

ქართული ხელოვნების

შემაჯავრობა

ანუ
შემაჯავრობის
რედაქციის გზა

გერმანელი მწერლის, ლიონ ფოიხტვანგერის (1884—1958) ამ ისტორიულ რომანში ასახულია ნიჟიერი ესპანელი მხატვრის, ფრანსისკო გოიას, ცხოვრება და მოღვაწეობა. მწერალი გვიჩვენებს მხატვრის შემოქმედებით და მოქალაქეობრივ სახეს და აუცილებელ პირობად მიიჩნევს პიროვნების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გერმანულიდან თარგმნა
თამარ ქიფიანმა

ლექსები თარგმნეს
მაშუკა წიკლაურმა და შუქრი მირცხულავამ

I

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს თითქმის მთელ დასავლეთ ევროპაში შუასაუკუნეობრიობა დამთავრებული იყო. სამი მხრით. ზღვითა და მეოთხედან მთებით ჩაკეტილ იბერიის ნახევარკუნძულზე კი იგი კვლავ გრძელდებოდა.

ნახევარკუნძულიდან არაბების განსადევნად სამეფო ტახტი და ეკლესია ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინ გახდნენ იძულებულნი, ერთმანეთთან ურღვევი კავშირი დაემყარებინათ. გამარჯვება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მეფეები და სამღვდლოება რკინისებური დისციპლინით მოახერხებდნენ ესპანელი ხალხების გაერთიანებას და მოახერხეს კიდევ. მათ ხალხი შეაკავშირეს ტახტისა და საკურთხეველისადმი მგზნებარე, ფანატიკური რწმენით. და ეს სიმტკიცე, ეს ერთიანობა ბოლომდე იქნა შენარჩუნებული.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს იბერიული ტრადიცია ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში გაიყინა. ორი საუკუნით ადრე ამ ქვეყნის უდიდესმა მწერალმა დრომოკმული ტრადიციების შენარჩუნების ეს ბრმა, ახირებული ლტოლვა თავისი ნაწარმოების მასალად გამოიყენა. მან შექმნა უკვდავი სახე რაინდისა, რომელიც უაზროდ ქცეულ რაინდულ ადათებს ვერ თმობს. მისმა ძალზე საყვარელმა, მომზიბლავმა და სასაცილო გმირმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

ესპანელები დასცინოდნენ დონ კიხოტს, მაგრამ ტრადიციებს ვერ ელეოდნენ. დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებზე უფრო ხანგრძლივად ამ ნახევარკუნძულმა შეინარჩუნა შუასაუკუნეობრივი რაინდული ჩვევები. მეომრული შემართება, თავგანწირული სიმამაცე და უთუოდ წმინდა მარიაშისადმი თავყანისცემიდან გამომდინარე ქალისადმი უანგარო სამსახური. ეს თვისებები კვლავაც რჩებოდა ესპანელების იდეალად. დრომოკმული, უაზროდ ქცეული რა-

ონდული ვარჯიშობანი მაინც არ წყდებოდა. ამ მეომრულ ჩვევებთან იყო დაკავშირებული ფარული ზიზღი სწავლულობისა და შეგონებისადმი. აგრეთვე ის წარმოუდგენელი, მთელ ქვეყანაში განთქმული და ყბადაღებული სიამაყე, სიამაყე ყველასი საკუთარი ერთ, სიამაყე თითოეულისა საკუთარი კასტით. ესპანეთში ქრისტიანობამაც კი დაკარგა შემწყნარებლობა და სილალე; მას სისასტიკისა და შეუწყნარებლობის დაღი დააჩნდა. ეკლესია გახდა ზვიადი, მებრძოლი, მკაცრი, უმოწყალო.

ასეთი იყო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულს ეს მსოფლიოში ყველაზე არქაული ქვეყანა. მისი ქალაქები, მცხოვრებთა ჩაცმულობა, მიხრა-მოხრა და სახის გამომეტყველებაც კი, უცხოელზე გაქვეავებული ნამყოს გადმონაშთის შთაბეჭდილებას ახდენდა.

მაგრამ ჩრდილოეთის მოსაზღვრე მთებს გადაღმა, ესპანეთიდან მხოლოდ ამ მთებით გამოყოფილი, ყველაზე ნათელი, ყველაზე კეთილგონიერი ქვეყანა — საფრანგეთი მდებარეობდა და მიუხედავად ყოველგვარი აკრძალვისა, ამ მთებიდან იჭრებოდა ესპანეთში საღი აზრი და სიცოცხლის ხალისი. და ძალზე ნელა, შეუმჩნეველად იცვლებოდნენ გაქვეავებულ საფარველქვეშ მყოფი ნახევარკუნძულის მკვიდრნი.

ესპანეთს ამ დროს უცხოელი მეფეები, წარმოშობით ფრანგი მბრძანებლები — ბურბონები — განაგებდნენ. ესპანელებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ისინი თავიანთ ყაიდაზე გარდაეჭმნათ ისევე, როგორც ერთ დროს ჰაბსბურგები აიძულეს გაესპანელებულიყვნენ. მიუხედავად ამისა, ესპანეთის წარჩინებულებმა ფრანგი მეფეებისა და მათი ფრანგული ამალისაგან უცხოური ჩვევები გადმოიღეს და ზოგი შეისისხლხორცეს კიდევც.

მაშინ, როდესაც წარჩინებულნი თანდათან ფერს იცვლიდნენ, ხალხი მაინც ჯიუტად ებლაუჭებოდა ძველს. დიდი სერიოზულობითა და მონდომებით მიიღო მან თავის თავზე ის უფლებანი და მოვალეობანი, რომლებზედაც დიდმა ბატონებმა უარი თქვეს. აღრე ყველაზე უფრო კეთილშობილურ სპორტად ხართან ბრძოლა ითვლებოდა და იგი დიდებულთა პრივილეგიას წარმოადგენდა. თვით ვარჯიში და სანახაობაც მხოლოდ მათთვის იყო განკუთვნილი. მას შემდეგ, რაც გრანდები ხართან ბრძოლას აღარ ეტანებოდნენ, ამ ველურ ჩვევას სიყვარულით დაეწაფა ხალხი. რაც უფრო თავისუფ-

ლად იქცეოდნენ გრანდები, მით უფრო მტკიცედ იცავდა ეტიკეტს ხალხი. მეწაღეები მოითხოვდნენ, ისე მოქცეოდნენ მათ, როგორც წვრილ აზნაურებს — იდაღოებს, ხოლო თერძები ერთიმეორეს გრძელი ტიტულებით მიმართავდნენ. დონ კიხოტი გადადგა, დონ კიხოტი ვერსალელ მოხდენილ ბატონად იქცა. ხალხმა მისი ფარი და ჯაგლაგი ცხენი დაისაკუთრა. სანჩო პანსა გმირულ და სასაცილოდონ კიხოტად იქცა.

გადაღმა, პირენეებს იქით, ფრანგმა ხალხმა თავის მეფეს თავი მოჰკვეთა და ბატონები გააძევა. აქ, ესპანეთში, ხალხმა თავისი მონარქები გააღმერთა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფრანგები იყვნენ და მეფური არაფერი ეცხოთ. მეფე ხალხისთვის მეფედ დარჩა, გრანდი — გრანდად. რაც უფრო ბეჯითად ითვისებდნენ ეს გრანდები ყოველგვარ ფრანგულ ჩვევას და მზადაც კი იყვნენ რესპუბლიკურ საფრანგეთთან ხელშეკრულება დაედოთ, მით უფრო გულმოდგინედ ებრძოდა ხალხი ურჯულო ფრანგებს და თავსა სწირავდა თავისი მეფისა, თავისი გრანდებისა და სამღვდლოებისათვის.

რალა თქმა უნდა, ესპანელებში
ისინიც იყვნენ, ვინც კარგად გრძნობდა
დიდ და უცნაურ უთანხმოებას.
იყო კამათი განუწყვეტელი
ემოციებს და გონებას შორის,
უახლესსა და დრომოქმულს შორის —
ავადმყოფური და ვნებიანი,
თუმცა დროდარო სულ უწყალო.

2

ალბების საგვარეულოს მეცამეტე ჰერცოგის ასულმა დონია კაეტანამ, თავის მადრიდის სასახლეში, მეგობრებისათვის თეატრალური საღამო მოაწყო. როიალისტი პარიზელი მსახიობების ერთი დასი, რომელიც იძულებული გახდა ტერორს გამოქცეოდა და პირენეის მთები გადმოელახა, მწერალ ბერთელინის დრამას „მარია ანტუანეტას მარტვილობას“ დგამდა. პიესა, მიუხედავად თანამედროვე შინაარსისა, კლასიკურ სტილში იყო გადაწყვეტილი.

არცთუ მრავალრიცხოვანი მაყურებელი, უმთავრესად წარჩინებული ბატონები და ქალბატონები, ჩაკარგულიყო ვრცელ დარბაზ-

ში, რომელიც სუსტად გაენათებინათ, რათა სცენაზე მიმდინარე ამბავი უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო. საზეიმოდ და მონოტონურად ჟღერდა სცენაზე ექვსმუხლიანი იამბები, მათი მაღალფარდოვანი ფრანგული ესპანელთა ყურებისთვის ყოველთვის გასაგები როდი იყო. დარბაზში თბილოდა. მოხერხებულ სავარძლებში მოკალათებულ მაყურებლებს თანდათან მელანქოლიური, სასიამოვნო მოთენთილობა დაეუფლათ.

ამ დროს სცენაზე კი წამებული დედოფალი თავის შვილებს, თოთხმეტი წლის Madame Royale-სა და ცხრა წლის ლუი მეჩვიდმეტეს კეთილშობილურ დარიგებებს აძლევდა. შემდეგ მიუბრუნდა თავის მულს, პრინცესა ელისაბედს, და შეჰფიცა, რომ რაც არ უნდა მოსვლოდა, ყველაფერს ისე მამაცურად აიტანდა, როგორც ეს მის მოკლულ მეუღლეს, ლუი შეთექვსმეტეს, ეკადრებოდა.

თვით ქალბატონი ალბა ჯერ კიდევ არ გამოჩენილიყო. სამაგიეროდ, პირველ რიგში იჯდა მისი ქმარი, მარკიზ დე ვილიაბრანკა. რომელმაც, ჩვეულების თანახმად, თავის სხვა მრავალ ტიტულს. მეუღლის ტიტულიც მიუმატა. ჩუმი, მოხდენილი, ხმელ-ხმელი, მაგრამ პირბადრი ბატონი თავისი შავი ლამაზი თვალებით ჩაფიქრებული შესცქეროდა გამხდარ მსახიობ ქალს, სცენაზე სანტიმენტალურ, პათეტიკურ სილაბურებს რომ კითხულობდა, აქაოდა მკვლარი მარია ანტუანეტა ვარო. ჰერცოგი ალბა მდარე ხელოვნებას ვერ იტანდა, ამიტომაც თავიდანვე სკეპტიკურად განეწყო. მაგრამ მისმა საყვარელმა მეუღლემ განაცხადა, მარია ანტუანეტას საშინელი სიკვდილით სასახლეში გამოწვეულმა გლოვამ მადრიდში ცხოვრება ძალზე მოსაწყენი გახადა და რაიმე უნდა ვიღონოთო. ამგვარი წარმოდგენა კი, როგორც „მარტვილობა“, სახლს გამოაცოცხლებს და ამასთანავე საფრანგეთის სამეფო დინასტიის დამხობისადმი თანაგრძნობასაც გამოხატავსო. ჰერცოგს ესმოდა, რომ მისი მეუღლე, რომლის ჰირვეული ხასიათი ევროპის ყველა სამეფო კარზე იყო ცნობილი, მადრიდში, თავის სასახლის ვრცელ დარბაზებში, მოწყენილობას და მარტობას გრძნობდა. ცოლს დავა აღარ დაუწყო და ახლა წარმოდგენას მოთმინებით და სკეპტიკურად უყურებდა.

მის გვერდით დედამისი იჯდა, მეათე მარკიზ დე ვილიაბრანკას ქვრივი, და წარმოდგენას უხალისოდ უსმენდა. რა ხმაურიანი და

მტირალაა ჰაბსბურგის ასული სცენაზე! არა, მარია ანტუანეტა ასეთი როდი იყო. მარკიზ დე ვილიამბრანკას მეუღლეს იგი თავის დროზე უნახავს და უსაუბრაა კიდევ მასთან ვერსალში. მარია ანტუანეტა ჰაბსბურგი და ბურბონი მომაჯადოებელი ქალი იყო, მხიარული, მომხიბლავი, შესაძლოა ცოტა უცნაური და მოუხვენარიც. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჰაბსბურგთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და ვილიამბრანკების თავდაპირველი კეთილშობილებისა არაფერი ეცხო. ისე კი, ჩემ, მორადებულ ქმართან მარია ანტუანეტას დამოკიდებულებასა და მის ვაჟიშვილ დონ ხოსესადმი კაეტანა დე ალბას დამოკიდებულებას შორის რაღაც მსგავსება არის. შვილს მალულად შეავლო თვალი. ეს იყო მისი უსაყვარლესი შვილი, სუსტი და აზიზად განზრდილი — დედის ცხოვრების ეს ერთადერთი მიზანი. ჰერცოგს უყვარდა თავისი მეუღლე და ეს გასაგები გახლდათ ყოველი ადამიანისათვის, ვისაც კი ერთხელ მიინც ენახა ეს მანდილოსანი. მაგრამ ერთი კი უქვევლი იყო: ცოლი მას ჩრდილავდა. ქვეყნის თვალში ის კაეტანა ფონ ალბას ქმარი იყო. ეჰ, ცოტა ვინმე თუ იცნობდა წესიერად მის ვაჟს, ხოსეს, ხალხი ხედავდა და აღიშნებდა ჰერცოგის მშვიდ კეთილშობილებას, მაგრამ მისი მუსიკალური ბუნება და საოცარი სულიერი ჰარმონია ბევრს არ გაეგებოდა, მის ცოლსაც არ ესმოდა ეს საკმარისად.

აი, დედოფლისათვის განაჩენის გამოსაცხადებლად სცენაზე გამოვიდა რევოლუციური ტრიბუნალის პრეზიდენტი, გულქვა ოტროველა. მან კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრეთ ყველა მისი დანაშაული, წაიკითხა უაზრობამდე შემაზრზენი ბოროტმოქმედების ვრცელი სია.

თავის ფართო სავარძელში ჩაფლულიყო ელჩის მუნდირში გამოწყობილი სუსტი და გამხდარი მუსიო დე ავრე, რუმუნებული რეგენტისა. რომელიც რესპუბლიკელების მიერ დატყვევებული მცირეწლოვანი მეფის მაგიერ ვერონიდან მართავდა საფრანგეთს. იოლი როდია ისეთი გვეყნის მართვა. სადაც ერთი გოჯი მიწაც კი არ გეკუთვნის და კიდევ უფრო ძნელია იყო ასეთი რეგენტის წარგზავნილი. მუსიო დე ავრე ძველი დიპლომატი და მთელი ათეული წლების მანძილზე ბრწყინვალე ვერსალის წარმომადგენელი იყო. და ახლა მას უმძიმდა ახალ, დამამცირებელ მდგომარეობასთან შეგუება. განცხადებანი, რომელსაც თავისი მბრძანებლის, რეგენტის,

დავალებით ხანდახან ძალზე ზვიადდაც კი წარუდგენდა ხოლმე მადრიდის სამეფო კარს, უცნაურად ყლერდა იმ კაცის პირიდან, რომელსაც დიპლომატის გაქუცული მუნდირი ეცვა და მადრიდის სამეფო კარის დახმარების ვარეშე სადილის ფულის გადახდაც კი გაუქირდებოდა.

მუსიო დე ავრე იჯდა თავ-ს 16 წლის გამხდარი მომხიბვლელი ქალიშვილის, ენევეიევას, გვერდით და მუნდირის გაცრეცილ ადგილებს სამკუთხა ქუდს აფარებდა. არც ქალიშვილს აწყენდა ახალი კაბა, როგორც საკუთარი, ისე საფრანგეთის ინტერესებისათვის. ეჰ, როგორ წახდნენ! მადლიერნი უნდა იყვნენ, რომ კაეტანა ალბა ჯერ კიდევ კადრულობს მათ.

სცენაზე ტრიბუნალის წარმომადგენელმა წამებულ დედოფალს განაჩენი გამოუცხადა. მან უპასუხა, მსურს შეეფერთდე ჩემს მეუღლესო, მაგრამ ასე ადვილად როდი მოუღეს ბოლო უღმერთო ბოროტმოქმედებმა, უკანასკნელი სასჯელიც მოუგონეს. ბოროტმა კაცმა სცენაზე ისევ ლექსად გამოაცხადა, მარია ანტუანეტამ მრავალი წლის მანაილზე აღვირახსნილი მეძავობით მსოფლიოს თვალში სახელი გაუტეხა საფრანგეთსო: ამიტომ ხალხის სურვილია, იგი თავადაც შერცხვენილი, წელამდე გაშიშვლებული წაიყვანონო დასასჯელად.

მაყურებლებს ბევრი შემაზრზენი ცნობა წაეკითხათ, მაგრამ ეს რაღაც ახალი იყო. გამოფხიზლდნენ, აღშფოთებულნი და გაღიზიანებულნი უსმენდნენ; ყველასათვის საინტერესოდ ქცეული წარმოდგენა დასასრულს უახლოვდებოდა.

ფარდა დაეშვა. თავაზიანად დაუკრეს ტაში. სტუმრები წამოდგნენ, მუხლის გამართვა ესიამოვნათ და დარბაზში გაისეირნეს.

სანთლებს მოუმატეს. ახლა უკვე შეიძლებოდა იქ მყოფთა გარჩევა.

თვალში განსაკუთრებით მოგხვდებოდათ ერთი კაცი, რომელიც ამ ნატიფ ქალბატონებსა და ბატონებში, მიუხედავად გემოვნებიანი, ძვირფასი ჩაცმულობისა, ოდნავ ტლანქად გამოიყურებოდა. მას მძიმე ქუთუთოებქვეშ ღრმად ჩამჯდარი თვალები ჰქონდა, ქვედა ტუჩი — სქელი და უშნოდ წამოშვერილი, მსხვილი, პირდაპირ შუბლიდან ჩამოშვებული ბრტყელი ცხვირი და თავის რაღაც ლომისებრი

მოყვანილობა. იგი დარბაზში დახეტიალობდა. თითქმის ყველა იცნობდა და მოკრძალებით ესალმებოდა.

— მოხარული ვარ, რომ გხედავთ, ღონ ფრანსისკო, — ესმოდა წამდაუწუმ.

ღონ ფრანსისკო დე გოიას უხაროდა, რომ კაეტანა ფონ ალბამ იგი რჩეულ სტუმართა შორის მიიწვია. ახარებდა დაფასება, რომლის ღირსადაც თვლიდნენ. ძალზე გრძელი გზა იყო ფუენდეტოდოსელი გლეხის ოჯახიდან ალბას სასახლემდე. ეს არ იყო იოლი გზა. მაგრამ ახლა იგი უკვე აქ იყო, პატარა ფრანჩო, აქჟამალ მეუღის კარის მხატვარი. Pintor de Cámara. და როცა იგი დიდი ბატონებისა და ქალბატონების პორტრეტებს წერდა, საკითხავე იყო, ვინ ვის მიმართ იჩენდა მოწყალებას.

მან მდაბლად დაუკრა თავი მოხუც მარკიზა დე ვილიაბრანკას.

— როგორ მოგეწონათ პიესა და შესრულება, ღონ ფრანსისკო? — შეეკითხა იგი.

— არა მგონია, დედოფალ ანტუანეტას ასეთი ლაპარაკი სცოდნოდეს, — მიუგო მან, — და თუ იცოდა, მაშინ ნაკლებად მწყდება გული მის სიკვდილზე.

მარკიზას გაელიმა.

— მაინც სამწუხაროა, რომ მათი უდიდებულესობანი აქ არ ბრძანდებოდნენ.

მის ტონში რაღაც გამჭირდავი ჟღერდა. იგი შეჰყურებდა გოიას თავის მშვენიერი. გამჭოლი თვალებით. განიერ თხელტუჩებიან ბაგეებზე ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა გაუთამაშა. გოიასაც გაელიმა და მიუხვდა, რაც ქალბატონმა ბოლომდე არ თქვა: სახელდობრ. ესპანელი ბურბონები დიდად ნასიამოვნები როდი დარჩებოდნენ, მთელ საღამოს რომ ესმინათ, თუ რა ბედი ეწია მათი ფრანგი ნათესავების კისრებსო.

— ბოლოს და ბოლოს როდის უნდა დამხატოთ, ღონ ფრანსისკო? — განაგრძო მანდილოსანმა, — ვიცი, მოხუცი ვარ და თქვენ უკეთესი საქმეები ვაქვთ.

გოია ამის ცხარედ და დარწმუნებით უარყოფას მოჰყვა. მარკიზა, მიუხედავად ორმოცდათხუთმეტი წლის ასაკისა, ჯერ კიდევ ლამაზი იყო. მას კიდევ აჩნდა ახლახან გავლილი ბობოქარი ცხოვრების შარავანდედი. გოია შეჰყურებდა მის შინაარსიან, კდემამო-

სილ. სათნო სახეს, მის სადა ძვირფას თაღს კაბას და თხელ თეთრ
მოსასხამს, რომლის ქვეშაც ვარდი მოჩანდა. იგი სწორედ ისეთი
იყო. როგორც გოიას თავის ახალგაზრდულ ოცნებაში ჰყავდა წარ-
მოდგენილი წარჩინებული მანდილოსანი. უხაროდა, რომ მისი პორ-
ტრეტი უნდა დაეხატა.

სახლთუხუცესმა სტუმრები მისაღებ დარბაზში მიიპატიჟა, სადაც
მათ პერცოგის მეუღლე ელოდებოდათ. გოია მაკინის ქვრივს მია-
ცილებდა. ნელა მიჰყვებოდნენ სურათების გალერეას, რომელიც
სათეატრო დარბაზს მისაღებ დარბაზთან აერთებდა. აქ ეკიდა ძველ
ესპანელ. ფლამანდიელ. იტალიელ ოსტატთა რჩეული ნაწარმოებები.
თუნდაც რომელიმე მათგანის გვერდის ავლა ძალზე ძნელი იყო.
მოკაშვასე სანთლების შუქზე კედლებიდან სულში იჭრებოდა ძველი
ცხოვრება.

— რა ვქნა, რომ ყველაზე მეტად ჩემი რაფაელი მიყვარს, —
უთხრა მარკიზის ქვრივმა, — ყველა აქ დაკიდებულ სურათს „წმინ-
და ოჯახი“ მირჩევნია.

გოია, საყოველთაო აზრის საწინააღმდეგოდ, არ იყო რაფაელის
თაყვანისმცემელი და შეეცადა განსხვავებული აზრი რაც შეიძლება
რბილად გამოეთქვა.

მაგრამ მათ უკვე გალერეის ბოლოს მოუხვიეს და მისაღები დარ-
ბაზის ღია კარიდან კაეტანა დე ალბა დაინახეს. ძველი ჩვეულების
თანახმად, იგი ნოხით მოფენილ დაბალ ესტრადაზე¹ იჯდა, რომე-
ლიც ვრცელი დარბაზიდან ფართოკარიანი ცხაურით იყო გამოყო-
ფილი. კაეტანას, სხვა ქალბატონებივით, თანამედროვე მოდაზე შე-
კერილი კაბა კი არ ეცვა, არამედ ძველი ესპანური ყაიდისა. მარ-
კიზის ქვრივს გაეღიმა. ასეთი გახლდათ კაეტანა: იგი ფრანგებისა-
გან იღებდა, რაც საფრანგეთიდან საუკეთესო შემოღოდა, მაგრამ
ესპანელობაზე კი ზელის ადებდა არ სურდა. ეს მისი საღამო იყო,
სტუმრები მისი და მეუღლის სახელით კი არა, მხოლოდ მისი სა-
ხელით იყვნენ მოწვეულნი. ვერავინ დასძინახავდა. თუ საღამოს
პირველ ფრანგულ განყოფილებას მეორე ესპანური მოჰყვებოდა.
მაგრამ საკუთარ სახლში, წარჩინებულთა საზოგადოებაში, ესპანუ-

¹ ამ შემთხვევაში დარბაზში გამოყოფილი ამდლებული ადგილი.

რი, მახას¹ ჩაცმულობით გამოწვეული ეფექტი, ცოტა არ იყოს, მეტისმეტი იყო.

— ჩვენი დონია კაეტანა ყოველთვის რაიმე ახალს გამოიგონებს ხოლმე, — უთხრა მარკიზამ მხატვარს, — Elle est chatoyante, — დასძინა ფრანგულად.

გოიამ პასუხი არ გასცა. გაოგნებული, უსიტყვოდ, გაუნძრევლად იდგა კარებში და თვალს არ აშორებდა კაეტანა დე ალბას. მას ეცვა შავი მაქმანით გაწყობილი მოვერცხლისფრო რუხი კაბა; მოგრძო, ფერ-უმარილწაუცხებელ. ფერმკრთალ, სათნო სახეს თვალწარმტაცად შემოვლებოდა მაღალი სავარცხლით დაგვირგვინებული შავი კულულები. განიერი, გრძელი ქვედატანიდან მოსჩანდა წვრილცხვირიან ფენსაცმელებში გამოწყობილი პატარა, ლამაზი, ჩამოსხმული ფეხები. ერთი ციკქნა, სასაცილო თეთრი ხუჭუჭა ძალი კალთაში ჩაესვა და მარცხენა ხელთათმანიანი ხელით ეფერებოდა. მარჯვენა კი — შიშველი, ნატიფი, ფუნთუშა, ბავშვური — ნახევრად სავარძლის ზურგზე ეღო და წაწვეტილ, ოდნავ გაშლილ თითებში ძირს დაშვებული, თითქმის დაკეცილი ძვირფასი პარაო ეჭირა. რადგან გოია კვლავ დუმდა, მარკიზის ქვრივმა იფიქრა, ფრანგული ვერ გაიგოო და გფდაუთარგმნა:

— კატასავით თაენებაა.

ღონ ფრანსისკო ისევ გაოგნებული იდგა. მას ხშირად ენახა კაეტანა, მისი სურათიც კი დახატა უგულოდ და ვერაფერი შვილი გამოუვიდა. თავშესაქცევად მეფის სასახლის გობელენისათვის გალანტურ მსუბუქ ჩანახატებში გადმოსცა დიდი ქალბატონის სახე, რომელზედაც მთელი მადრიდი სიამოვნებით ლაპარაკობდა. მაგრამ ახლა იგი ვერ ცნობდა მას, თითქოს არასოდეს არ ენახა. და იყო კი ეს ალბა?

მუხლები აუკანკალდა. კაეტანას თმის ყოველმა ღერმა, მისი კანის ყოველმა ფორმა, ხშირმა, აწეულმა წარბებმა, შავი მაქმანიდან გამომქვირვალე ნახევრად შიშველმა მკერდმა გოიას განუზომელი ვნება აღუძრა.

მარკიზის ქვრივის სიტყვები ესმოდა, მაგრამ მათი აზრი ვერ გაეგო და მექანიკურად უპასუხა:

¹ ხალხიდან გამოსული ქალიშვილი.

— დიახ, დონია კაეტანა საოცრად თავნებაა, სულით ხორცამდე ესპანელია.

გოია ისევ კარებში იდგა და ქალს თვალს არ აშორებდა. კაეტანამ თავი ასწია, მისკენ გაიხედა. შეამჩნია თუ არა? თუ ისე, ანგარიშმიუცემლად შეავლო თვალი? ქალი ლაპარაკს განაგრძობდა და ისევ პაწაწა ძაღლს უსვამდა მარცხენა ხელს. მარჯვენათი კი მარაო ასწია, სულ გამალა, ისე რომ გამოჩნდა მასზე გამოხატული სურათი მომღერლისა, რომელიც აივანს შეჰყურებდა და მღეროდა; დაკეცა და ისევ გაშალა იგი.

გახარებულ და შეშინებულ ფრანსისკოს სუნთქვა შეეკრა. ეს იყო მარათი საუბარი, რომლის მეოხებითაც მახებს, ხალხიდან გამოსულ ქალიშვილებს, ეკლესიაში, სახალხო დღესასწაულებზე, სამიჯიტნოებში შეეძლოთ გასაუბრებოდნენ უცხო მამაკაცებს; ახლა ესტრადიდან მოცემულმა ნიშანმა გოიას დიდი სიმხნევე შეჰმატა.

შესაძლოა მარკიზის ხანდაზმულმა ქვრივმა კიდევ თქვა რაიმე; შესაძლოა გოიამაც უპასუხა, მაგრამ ეს აღარ ახსოვდა. ასე იყო თუ ისე, მოუბოდიშებლად მიატოვა მარკიზის ქვრივი და ესტრადისაკენ, ალბასაკენ გაეშურა. ირგვლივ ხმადაბალი ლაპარაკი, სიცილი, თეფშებისა და ქიქების წკრიალი ისმოდა. ამ თავშეკავებულ ხმაურში ესტრადიდან გაისმა ოღნავ მკვანე, მაგრამ დაბალი, სრულიად ბავშვური ხმა, მისი ხმა:

— კაცმა რომ თქვას, მარია ანტუანეტა ცოტას მოისულელებდა, არა? — იკითხა ალბამ და როცა მიხვდა, ჩემი უკმეხი სიტყვები არავის მოეწონაო, დამცინავი ღიმილით დაუმატა:

— მე, რა თქმა უნდა, მხედველობაში მყავს მუსიო ბერთელინის პიესის ანტუანეტა.

გოია უკვე ესტრადაზე იდგა.

— როგორ მოგეწონათ ჩვენი წარმოდგენა, სენიორ დე გოია? — ჰკითხა მან.

გოიამ პასუხი არ გასცა. იგი იდგა აქ, თვალს ვერ აშორებდა მანდილოსანს და აღარაფერი ახსოვდა. ფრანსისკო უკვე ახალგაზრდად აღარ ჩაითვლებოდა, ორმოცდახუთი წლისა იყო და ულამაზოც. მრგვალი სახე, ბრტყელი მსხვილი ცხვირი, ჩაღრმავებული თვალები და წინგამოშვებული ქვედა ტუჩი არ უხდებოდა ხშირ, მოდაზე გაპულდრულ თმას. ელეგანტურ კოსტიუმში გამოწყობილი ზორბა სხე-

ული ერთობ სქელი მოუჩანდა. მდიდრულად მორთული ლომის სახის მამაკაცი სამეფო კარის მოღურ სამოსელში გამოწყობილ გლეხს ჰგავდა.

მან არ იცოდა, გასცა თუ არა პასუხი. არც ის იცოდა, თუ ვინმემ კიდევ რაიმე თქვა. მაგრამ აი, ახლა ქალბატონმა მისკენ მიაბრუნა შავგვრემანი, ფერმკრთალი, ამაყი, უნიანი სახე და მომაჯადოებელი ხმით ჰკითხა:

— მოგწონთ ჩემი არსიები? ეს ფელდმარშალ ალბას ნაალაფარია სამასი წლის წინათ, არ ვიცი, ფლანდრიისა თუ პორტუგალიაში. გოიამ კრინტი არ დასძრა.

— რა აღმოაჩინეთ ჩემში? თქვენ მე დამხატვთ და უნდა მიცნობდეთ.

— პორტრეტი უვარგისია, — აღმოხდა გოიას, მისი მეღერი, ტკბილი ხმა მხურვალედ და ძალზე ხმამაღლა გაისმა, — გობელენის სახეებიც უბრალოდ თავშესაქცევია. მე მსურს მეორედ ვცადო თქვენნი დახატვა, დონია კაეტანა.

ქალს არც „ჰო“ უთქვამს, არც „არა“. იგი მხატვარს შეჰყურებდა უტყვი, ფერმკრთალი სახით, მაგრამ შავი, ლითონისებრ მბრწყინავი, გამჭოლი თვალებით. სამ წამს უყურა მხატვარს ასე, ეს სამი წამი მთელ საუკუნედ იქცა და ხალხმრავალ შენობაში თავს ისე გრძნობდნენ, თითქოს მარტონი ყოფილიყვნენ.

ეს მომაჯადოებელი განმარტოების გრძნობა კაეტანამ უეცრად გააქარწყლა. გაკვრით მოიხსენია, რომ, სამწუხაროდ მოდელირებისათვის ამ მოკლე ხანში არ ეცლებოდა, ვინაიდან დაკავებული იყო მონკლოაში ახალი სააგარაკო სახლის მშენებლობით. ამ პროექტზე მადრიდში ბევრს ლაპარაკობდნენ, კაეტანა ალბას, საფრანგეთის გარდაცვლილი დედოფლისათვის რომ ეჯობნა, სურდა აეგო ტრიონონი, პატარა კოშკი, სადაც შეეძლებოდა რამდენიმე დღე გაეტარებინა ოჯახის მოკეთებთან კი არა, მარტო თავის პირად მეგობრებთან ერთად.

ქალი მაშინვე უწინდელ ტონზე გადავიდა:

— ამ შუალედში შესაძლოა სხვა რაიმე დამიხატოთ, დონ ფრანსისკო. იქნებ მარაო დამისურათოთ, მაგალითად „El abata y la maja“? — მას მხედველობაში ჰქონდა „El fralle y la maja“ — „ბერი და გოგონა“, რამონ დე ლა კრუსის ინტერმედია, ერთი პატარა გაბედული კომედია, რომელიც აკრძალული იყო ღია წარმოდგენებისა-

თვის, მაგრამ სცენისმოყვარულთა წრეში ფართლად იღვწებოდა ხოლმე.

კაეტანა ფონ ალბა სთხოვდა კარის მხატვარს ფრანსისკო დე გოიას მოეხატა მისთვის მარაო. აქ არაფერი იყო საძრახისი. ქალბატონები ხშირად ახატვინებდნენ ხოლმე მარაოებს; დონია იზაბელა დე ფარნესიო ცნობილი იყო თავისი ათასზე მეტი მარაოს კოლექციით. ესტრადაზე არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, მაგრამ იქ მყოფთა თვალში მიიჩნეოდა ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს სათაყილო, აკრძალული სანახაობის მოწმენი გამხდარიყვნენ.

„საცოდავი დონ ფრანსისკო“, ფიქრობდა დარბაზში დარჩენილი ხანდაზმული ქვრივი. მას თვალწინ წარმოუდგა რუბენსის სურათი, ახლახან გალერეაში რომ ნახა, ჰერკულესი ომფალას სართავი ჯარათი ხელში. მარკიზა მკაცრი იყო ეტიკეტის საკითხში, მაგრამ ხანში შესულ ქალბატონს ცუდად არ ჩამოურთმევია მხატვრისათვის, ასე უზრდელად რომ მიატოვა მარტო. ამ გრანდების საზოგადოებაში მხოლოდ გოია იყო დაბალი წრიდან გამოსული. არ ამტყუნებდა თავის რძალსაც. თავს რომ ნებას აძლევდა ასე გაბედულად და უსირცხვილოდაც კი გართობილიყო. მას ესმოდა დონია კაეტანასი, თავადაც ბევრი განეცადა და უყვარდა სიცოცხლე. მის სუსტსა და ნებიერ ვაჟს საკუთარი ცხოვრების თხელი კალაპოტის მასაზრდოვებლად ძლიერი შენაკადი ესაჭიროებოდა. როდი აწყენდა ასეთი ქალის გვერდით ყოფნა; ასეთ ქალს ბევრი ეპატიება. ესპანელთა დიდი ოჯახები დაჩიავდა, მამაკაცები თანდათან განაზღნენ და დაკნინდნენ და თუ ვინმეს ძალა შემორჩა — ისევ ქალებს, თუნდაც მისი საყვარელი ვაჟის მეუღლეს, იქ, ზევით რომ აჯადოებდა და უტიფრად ეთამაშებოდა მხატვარს, რომელიც ესპანეთში ნამდვილ მამაკაცთა მცირე რიცხვს ეკუთვნოდა.

ჰერცოგი ალბა დიდი, ჭკვიანი თვალებით თვითონ უყურებდა თავისი მეუღლის მხატვართან თამაშს. იჯდა იგი, დონ ხოსე ალვარეს დე ტოლედო — ბერვიკისა და ალბების მეცამეტე ჰერცოგი, მეთერთმეტე მარკიზი დე ვილიაბრანკა და სხვა მრავალი ტიტულის მფლობელი. სამეფოს ას ცამეტი გრანდიდან მხოლოდ ორი იყო მასავით ბრწყინვალე წარმოშობისა. მას მიმადლებული ჰქონდა ამქვეყნიური ყველა სიკეთე. აქ იჯდა იგი ნატიფი და კეთილშობილი, უაღრესად ელეგანტური და სრულებით არ იზიდავდა ქვეყნის ბედნილბალი, რომელში ჩარევის უფლებასაც აძლევდა მას მისი წარმო-

შობა და შეძენილი სახელი ზვიადი, ამაყი, მრისხანე ალბებისა, ამჟამადაც რომ თავზარსა სცემს ფლანდრიას. პირიქით, ალბა დაღალა ამ დიდებამ და ცხოვრების ურთულეს საკითხებზე ფიქრმა. მას არ ჰქონდა ხალისი ვინმესთვის რაიმე მოეთხოვა ანდა აეკრძალა. ჰუმბარტ სიხარულს მხოლოდ მაშინ განიცდიდა, როცა მუსიკას უსმენდა ან თვითონ უკრავდა. თუ საქმე მუსიკას ეხებოდა, დიდი ძალა ემატებოდა; გამბედაობაც კი ეყო მეფისთვის წინააღმდეგობა გაეწია, როცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა კოლისეო დელ პრინსიპეში ოპერის სუბსიდირებაზე. მაშინ ალბა გამომწვევად მანამ უზრუნველჰყოფდა ოპერას საკუთარი თანხით, სანამ მეფემ მას ეს არ აუკრძალა. და აი იგი უყურებდა თავის ლამაზ მეუღლეს, რომელიც მხატვარს ანკესზე წამოგებას და ცდუნებას უპირებდა. იცოდა, რომ თვითონ სუსტი იყო, რომ კაეტანას იზიდავდა დონ ფრანსისკო — ხელოვანი და მამაკაცი. მართალია, კაეტანას მეუღლე უყვარდა, მაგრამ ჰერცოგს ისიც მშვენიერად ესმოდა, რომ ამ სიყვარულში სიბრალული მეტი ერია. ცოლს არასოდეს ასეთი თვალებით არ შეუხედავს მისთვის, როგორც ახლა დონ ფრანსისკოს უყურებდა. დონ ზოსე ფარულმა სევდამ მოიცვა. დარჩება თუ არა მარტო, სტაციებს ხელს ვიოლინოს და ჰაიდნით ან ბოკერინით დაიმშვიდებს „მარიამ ანტუნეტას მარტვილობით“ და მას შემდეგ მომხდარი ამბით აფორიაქებულ სულს. მან იგრძნო დედის მზრუნველი, ნაზი მზერა და თითქმის შეუმჩნეველი ღიმილით მიიხედა მისკენ. მათ უსიტყვოდ ესმოდათ ერთმანეთისა და ღედა მიხვდა, მისი ვაჟიშვილი არ უშლიდა ესტრადაზე მყოფ ცოლს თამაშს.

ესტრადაზე მდგომმა გოიამ იგრძნო, დონია კაეტანა მასზე უკვე აღარ ფიქრობდა და მიხვდა, ამ საღამოს მეტად აღარც შეხედავდა. თუმცა უხერხული იყო ასე აჩქარება, მაინც წავიდა შინ.

გარეთ დაუხვდა იანვრის კაცთმოძულე უსიამო ღამე, მადრიდს რომ სჩვევია. საშინელი ქარი ქროდა და თოვლნარევი წვიმა უშენდა. მას ეტლი ელოდებოდა ლივრეიანი მსახურებით. ასე შეჰფეროდა კარის მხატვარს, როცა იგი ჰერცოგ ალბას ასულთან იყო მიპატივებული. მაგრამ მსახურთა განსაცვიფრებლად, ეტლი უკანვე გააბრუნა. ამ მომჭირნე კაცმა ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ აბრეშუმის ცილინდრი და ფეხსაცმელები დაუზიანდებოდა.

სიგიჟედ, მაცდუნებლად, გამომწვევად და საშინელებად წარმო-

ესახა ახლო მომავალი. ორიოდ დღის წინ სარაგოსაში თავის მეგობარ მარტინ საპატერს მისწერა, კარგად მიდის ჩემი საქმეებიო და ეს მართალიც იყო. ცოლთან — ხოსეფასთან — კინკლაობას ბოლო მოეღო, ფრანსისკო შეჭნაროდა თავის შვილებს; თუმცა მრავალ შვილთაგან, რომელიც ცოლმა შესძინა, სამილა შერჩა ცოცხალი, მაგრამ ესენი მშვენიერი, ჯანსაღი ბავშვები იყვნენ. მისი ცოლისძმა, აუტანელი ბაიუუ, მეფის პირველი მხატვარი, მეტად აღარ არიგებდა ჰკუას, როგორ უნდა ეცხოვრა და ეხატა. ისინი შერიგდნენ. ამასთანავე ბაიუუს ძლიერ აწუხებდა კუპის ტკივილი და, ალბათ, დიდხანს ვერ იცოცლებდა. ქალებისადმი ტრფიალი ადრინდელივით მწვავედ აღარ იზიდავდა ფრანსისკოს. პეპა ტუდო, რომელთანაც უკვე რვა თვეა ცხოვრობს, გონიერი ქალია. მძიმე ავადმყოფობაც, ერთი წლის წინ რომ შემოუტია, გადაიტანა, და სმენა მხოლოდ მაშინ ეხშობოდა, როცა რაიმეს გაგონება არ სურდა. შემოსავლის საქმეები როდი მიდიოდა ცუდად. მათი აღმატებულებანი ყოველ ხელსაყრელ დროს მხატვრისადმი მოწყალებას იჩენდნენ, ასევე იქცეოდა დონ მანუელიც, ჰერცოგი ფონ ალკუდია, დედოფლის ფავორიტი და ყველა, ვისაც მადრიდში სახელი და ფული გააჩნდა, მისკენ მიისწრაფოდა დასახატავად. წერილი ასე დაამთავრა: „მალე ჩამოდი, ჩემო გულითაღო მეგობარო, და ნახე, რა განცხრომაშია შენი ერთგული მეგობარი, პატარა, ფრანჩო, ფრანსისკო დე გოია ი ლუსიენტეს, აკადემიის წევრი და მეფის კარის მხატვარი“. წერილის თავსა და ბოლოში ჯვრები გამოსახა, რათა ბედნიერება არ გათვალულიყო და ბარათის მინაწერში სთხოვდა მეგობარს, წმინდა ქალწულ დელ პილარს ორი კელაპტარი აუნთე, რათა მფარველად ექმნეს ჩემს ბედნიერებასო.

მაგრამ კელაპტრებმა და ჯვრებმა საქმეს ვერ უშველეს და, რაც ორი დღის წინ იყო, ახლა უკვე გაქრა. ესტრადაზე მყოფმა ქალმა ყველაფერი ყირაზე დააყენა. გოიას ნეტარება აგრძნობინა დიდი. ლითონისებრ მბრწყინავი თვალებისა და თინიანი, ამაყი სახის ცქერამ. იგი ახალი განცდებით აღივსო. მაგრამ იცოდა, თუკი რამ კარგი არსებობს ამქვეყნად, კარგ საფასურსაც მოითხოვს და, რაც უფრო უკეთესია, მით უფრო ძვირია. იცოდა, რომ უბრძოლველად და უტანჯველად ამ ქალს ვერ მოინადირებდა, რადგან ადამიანი მარად-ყამს გარემოცულია ბოროტი სულებით; და თუ ფრთხილად არ იქ-

ნება და ოცნებებსა და სურვილებს გადაჰყვება, მაშინ მაქალაქუნები ყოველმხრივ შემოესევინან.

ადრე თურმე ცუდად ხედავდა, ამ ქალისაგან ნებიერი თოჯინა შექმნა. სხვათა შორის ის ასეთიც იყო, მაგრამ სხვა, შინაგანი არსი, რაც მას გააჩნდა, ვერ დაინახა. თანაც მაშინ ცუდ მხატვრად როდი ითვლებოდა, სხვებზე ბევრად უკეთესიც იყო, იმ ორზეც — ბაიუსა და მაელაზეც, რომელთაც მეფის კარზე საპატიო ადგილი ეჭირათ. შესაძლოა მათ ბევრი ისწავლეს თავიანთი მენგისა და ვინკელმანისაგან, მაგრამ გოიას უკეთესი თვალი ჰქონდა და მასწავლებლად ველასკესი და ბუნება ჰყავდა. მიუხედავად ამისა, ადრე მაინც გამოუცდელი მხატვარი იყო, მხოლოდ გამოაშკარავებულს, გარკვეულს ხედავდა ადამიანებში, ხოლო მნიშვნელოვანს, მრავალმხრივს, აბნეულს, საშიშს, რაც ყოველ ადამიანშია — ვერ ამჩნევდა. ნამდვილი მხატვრობა, უკანასკნელ წლებში, უფრო სწორად, რამდენიმე თვის წინ, ავადმყოფობის გავლის შემდეგ დაიწყო. ორმოცზე მეტი წლისაა და მხოლოდ ახლა გაიგო, რას ჰქვია ნამდვილი მხატვრობა. ახლა შეიცნო ეს და ყოველდღე მთელი საათობით მუშაობდა; სწორედ ახლა გადაეღობა ქალი წინ. ეს დიდებული ქალია და განცდაც დიდებული იქნება. ბევრი საზრუნავი გაუჩნდება, ბევრ დროს წაართმევს და მუშაობაშიც ხელი შეეშლება. წყევლიდა თავის თავს, ქალსაც და თავის ბედსაც, რადგან იცოდა, ეს გრძნობა ძვირად დაუჯდება.

თოვანში ზანზალაკის წკრიალი გაისმა და გოიამ დაინახა, მღვდელი და მგალობელი ბიჭი როგორ მიიჩქაროდნენ, ცუდი ამინდის მიუხედავად; ისინი უთუოდ მომაკვდავთან საზიარებლად მიეშურებოდნენ. მხატვარმა გულში შეიგინა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო. ტალახში გაშალა და მუხლი მოიყარა, როგორც ამას ინკვიზიციის ადათი და მისი საკუთარი გული მოითხოვდა.

ავის მომასწავებელი იყო მომაკვდავისკენ ზიარებით გაჩქარებული მღვდლის შეხვედრა. ეს ქალი კარგს არას გადაჰკიდებდა. „უმჯობესია ჩინში ცხრა წლის ხარი შემოგეფეთოს, ვიდრე ქალი, რომლისადმიც ავზორცობა გიზის გულში“, — ფიქრობდა გოია. ის ხალხიდან იყო გამოსული და მეხსიერება სავსე ჰქონდა ძველი ხალხური ანდაზებითა და ცრურწმენებით. უსიამოდ ამოიხვნეშა. ქარსა და წვიმაში სახლების კედლების პირ-პირ მიიწევდა წინ. რად-

გან შუა ქუჩაში კოქებადღე ტალახი იყო. მუდამ გაუთავებელი ჰირ-
ვარამი და მეტი არაფერი. ამ დროს გაახსენდა საფრანგეთის წარ-
მომადგენელი მუსიე დე აერე. გოიამ იგი დახატა და ფრანგმა
ფული არ გადაუხადა. როცა მესამედ გაუგზავნა ანგარიში, აგრძო-
ბინეს, თუ კვლავ მოაბეზრებდა თავს ბატონს, სასახლეში ამ საქცი-
ელს კარგად არ ჩამოართმევდნენ. ფრანსისკოს აუარებელი შეკვე-
თები ჰქონდა. მაგრამ როცა საქმე ფულის გადახდაზე მიდგებოდა,
სიძნელები წამოიჭრებოდა. ამასთანავე, გასავალი მატულობდა.
ეტლი და ცხენები ძვირი უჭდებოდა, მსახურები გათავხედდნენ და
სულ მეტსა და მეტს მოითხოვდნენ, თანაც ჰურდობდნენ, მაგრამ
მათთან ვერაფერი გააწყო, კარის მხატვარს ძუნწობა არ შეჰფერო-
და. ცხონებულ მამამისს რომ გაეგო, მისი პატარა ფრანხო ორ დღე-
ში იმდენს ხარჯავდა, რამდენსაც ფუენდეტოდოსში გოიას მთელი
ოჯახი წლის განმავლობაში, საფლავში გადაბრუნდებოდა. განა ჩი-
ნებული არ იყო, რომ ფრანსისკოს ამდენის ხარჯვა შეეძლო? და
სახეზე ღიმილმა გადაურბინა. უკვე სახლს მიაღწია. სერენომ, ღამის
დარაჯმა ჰიშკარი გაულო. გოია ზევით ავიდა, გაიძრო სველი ტან-
საცმელი და ჩაწვა, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაიძინა. ღამის ხალა-
თით შევიდა სახელოსნოში. ციოდა. ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი.
მსახურ ანდრეოს ოთახის ჰუჭურტანიდან სინათლე გამოდიოდა. და-
უჟაკუნა. რაკი ეს ბიჭი მისგან თხუთმეტ რეალს ღებულობდა,
ცეცხლი მაინც უნდა დაენთო. ნახევრად შიშველმა ბიჭმა უხალისოდ
შეუსრულა ბრძანება.

გოია ჩამოჯდა და ცეცხლს დააქცერდა, კედლებზე საოცარი.
შემაზრზენი ჩრდილები დაცოცავდნენ. ერთ კედელზე ეკიდა გობე-
ლენი, რომელზედაც პროცესია იყო გამოხატული. მოცეკვავე ალი
ცალკეულ ნაწილებს აშუქებდა სიბნელეში; ჩანდა უზარმაზარი
წმინდანი, რომელიც ფიცარნაგით მოჰყავდა ველურ, გამოთაყვა-
ნებულსახეებიან ბრბოს, მეორე კედლიდან კი ოდნავ მოღლილი
მკაცრი თვალებით იცქირებოდა ველასკესის მიერ დახატული წვერ-
ცანცარა კარდინალი, რომელიც მოლიცილიცე ალზე მოჩვენებას
ჰგავდა, და თვით უძველესი ყავისფერ-მოშავო, ფრანსისკოს მფარ-
ველი ყოვლად წმინდა ატოჩის ღვთისმშობელი, ხისგან გამოკვეთი-
ლი ფიგურა, თითქოს დასცინოდა და ემუქრებოდა მას.

გოია ადგა, გაიზმორა, ღონიერი, მოსული მხარ-ბეჭი გაშალა,
ძილი ჩამოიბერტყა და ბოლთის ცემას მოჰყვა. მშრალი სილა აიღო
და მაგიდაზე დაყარა.

ხატვა დაიწყო ქვიშაზე, მალე
გამოიკვეთა შიშველი ქალი,
ის იატაკზე იჯდა მორთხმული,
იზიარებოდა დაღლილი სახით...
სწრაფად წაშალა გოიამ ქალი,
ახლა მეორე დახატა, ისიც
გამიშვლებული და ქალიშვილი
ცმკევედა ცეცხლით სავსე ფანდანგოს.
ისევ წაშალა. ახლა ქვიშაზე
გაჩნდა ამაყი, ტანსრული ქალი
მხარზე შედგმული ღოქით.
ის ქალიც
კვლავ დაუბრუნა ქვიშას, წაშალა.
ფანქარს მიმართა, ქალღმერთს უცებ
უკვე მეოთხე ქალი გამოჩნდა—
მაღალ სავარცხლით,
არშიიანი
შავი მოსასხმით, რომელიც ქალის
მარმარილოს ტანს ეფინა ჩრდილად.
დახედა ქალღმერთს, ამოიოხრა,
ამოიგმინა და ის ნახატიც
უცებ დახია.

3

გოია მუშაობდა. ტილოდან იცქირებოდა ერთობ ლამაზი მანდილო-
სანი, მოგრძო სახეზე ოდნავ გამოუცნობი და დამცინავი იერი დაჰ-
კრავდა. მაღალ წარბებს ქვეშ ერთიმეორისაგან შორიშორ ჩამჭდარი
თვალეები მოუჩანდა, ფართო პირი თხელი ზედა და სქელი ქვედა
ტუჩით მოკუმული ჰქონდა. უკვე სამჯერ უჯდა მხატვარს მანდილო-
სანი. გარდა ამისა, გოიას მისი ნაირ-ნაირი ესკიზები ჰქონდა დამ-
ზადებული. ახლა პორტრეტის დამთავრებაზე მუშაობდა. ხელმარჯვე
და სწრაფი მუშა იყო. ამ სურათზე კი უკვე მეოთხე კვირაა ჯახი-
რობდა, მაგრამ არ იქნა და არა, მაინც კარგად ვერ გამოსდიოდა.

ამასთანავე, ყველაფერი „სწორი“ კი იყო, ზუსტად ასეთი იყო

მანდილოსანი, რომლის გამოსახვაც ეწადა; გოია მას დიდი ხანია იცნობდა, რამდენჯერმე კიდევ დაეხატა: იგი მისი მეგობრის, მიგელ ბერმუდესის მეუღლე იყო. სურათზე ყველაფერი ჩანდა: იღუმალე-ბა, დამცინავი იერი და თანაც ცბიერება, რასაც იგი წარჩინებული მანდილოსნის ნილაბქვეშ მალავდა. მაგრამ აკლდა რაღაც ერთი ბეწო და სწორედ ეს ერთი ბეწო იყო მხატვრისთვის გადამწყვეტი.

მან ეს ქალი ყოვლისშემძლე ფავორიტ, დონ მანუელ, ჰერცოგ ალკუდიასთან ნახა წვეულებაზე, რომლის რწმუნებული მდივანიც იყო მიგელ ბერმუდესი. მაშინ ქალს თეთრი მაქმანით გაწყობილი ბაცი ყვითელი კაბა ეცვა. გოიამ მყისვე შეიცნო იგი მთლიანად, შეიცნო ის დამაბნეველი, შემაცბუნებელი და ძნელჩასაწვდომი, რაც მასში იყო. ქალი ვერცხლისფერი ბრწყინვალეებით წარსდგა მხატვრის წინაშე. მაშინ, თეთრმაქმანიან ყვითელ კაბაში გამოწყობილი დონია ლუსია ბერმუდესის დანახვისთანავე, მიხვდა მხატვარი, რისი გაკეთების სურვილი ჰქონდა და რა უნდა გაეკეთებინა. ახლა წვალობდა ამ სურათზე; ყველაფერი რიგზე კი იყო: სახეც, სხეუ-ლიც, პოზაც, კაბაც და ნათელი რუხი ფონიც სწორად შერჩეული, მაგრამ ეს მაინც არაფერს ნიშნავდა. აკლდა რაღაც ერთი ბეწო და ეს ერთი ბეწო იყო ყველაზე მთავარი. ქვეშეცნეულად იცოდა, რატომ არ გამოსდიოდა პორტრეტი. ორ კვირაზე მეტი გავიდა ალბას სასახლეში გამართული თეატრალური საღამოს შემდეგ და აღარა-ფერი სმენოდა ესტრადაზე მყოფი ქალის თაობაზე. თუ თვითონ ვერ მოდიოდა, რად არ იხმობდა თავისთან და არ სთხოვდა მარაოს? ცხადია, დაკავებული იყო თავისი ახირებული და არაფრის მაქნისი სასახლის მშენებლობით მონკლოაში. გოიას შეუძლია მიუწვევლა-დაც წავიდეს და მიართვას მარაო, მაგრამ ამის ნებას სიამაყე არ აძ-ლევს. ქალმა უნდა დაუძახოს. ქალი დაუძახებს. ხომ არ შეიძლება ესტრადაზე მათ შორის მომხდარი ამბავი ერთი ხელის მოსმით წაი-შალოს მის მიერ სილაში გამოხატული ფიგურებივით.

ფრანსისკო მარტო არ იყო სახელოსნოში. როგორც ყოველთვის, მასთან განუყრელად, ახლაც აქ იყო მისი მოწაფე და თანაშემწე აგუსტინ ესტევე. დარბაზი საკმაოდ დიდი იყო და ერთიმეორეს ხელს არ უშლიდნენ.

დღეს დონ აგუსტინი გენერალ რიკარდოსის ცხენიან პორტ-რეტზე მუშაობდა. მოხუცის დაღვრემილი სახე გოიამ დახატა. ცხე-

ნის, სამხედრო მუნდირისა და მედლების აურაცხელი წვრილმანი, რომელთა ზუსტ წარმოსახვას გენერალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მან თავის კეთილსინდისიერ აგუსტინს მიანდო. ხმელ-ხმელი აგუსტინ ესტევე ოცდაათ წელს იყო გადაცილებული. ჰქონდა უსწორმასწორო თავი, მაღალი, გამობურცული, შემელოტებული შუბლი, ჩაცვნილი ლოყები და თხელბაგიანი საკმაოდ წაწვეტილი გრძელი სახე. ის არ იყო ლაპარაკის მოყვარული, ფრანსისკოს კი, ბუნებით გულლიას, უყვარდა მუშაობის დროს მასლაათი, მაგრამ დღეს ისიც დუმდა. ჩვეულების მიუხედავად, ალბასთან გატარებული საღამოს თაობაზე ახლობლებთან არაფერი უთქვამს.

აგუსტინი, ჩვეულებისამებრ, მდუმარედ დადგა გოიას უკან და თვალთვლით დაუწყო მოვერცხლისფრო რუხ ტილოს, რომელზედაც რუხ ვერცხლისფრად იყო გამოსახული მანდილოსანი. იგი უკვე შვიდი წელიწადია, რაც გოიასთან ცხოვრობდა და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. დონ აგუსტინ ესტევეს არ ეთქმოდა დიდი მხატვარი და გულისტკივილით გრძნობდა ამას. მაგრამ მხატვრობა კარგად ესმოდა და ტოლი არ მოეპოვებოდა, რომ მასავით ზუსტად სცოდნოდა, რა მხრივ იყო ფრანსისკო ძლიერი და რა მხრივ სუსტი. გოიას ესაჭიროებოდა იგი, ესაჭიროებოდა მისი ბუზღუნით ქება, ბუზღუნით გაკიცხვა, და მისი უსიტყვო საყვედურები. შფოთავდა, დასცინოდა და აგინებდა კრიტიკოსს, თავსლათს ასხამდა, მაგრამ ესაჭიროებოდა მისი მოწონება და დაწუნება. გოიას ესაჭიროებოდა თავისი ჩუმი, მარად ცხვირჩამომშვებული, გამგებანი, ბევრის მცოდნე, ჩამომხმარი აგუსტინი, რომელიც შვიდ გაძვალტყავებულ ძროხას აგონებდა, სასტიკად აგინებდა მას, ჯანდაბას გზავნიდა, თანაც უყვარდა. გოიას ისე არ შეეძლო უმისობა, როგორც აგუსტინს არ შეეძლო დიდი, აუტანელი, თანაც სათაყვანებელი მეგობრის გარეშე არსებობა.

აგუსტინი დიდხანს აკვირდებოდა სურათს. ისიც იცნობდა მანდილოსანს, ახლა რომ ტილოდან გამჭირდავად შემოსცქეროდა, ძალიან კარგადაც იცნობდა, უყვარდა კიდევ, ქალებში ბედი არ სწყალობდა და იცოდა, რომ მიმზიდველი არ იყო. დონია ლუსია ბერმუდესს იცნობდნენ მაღრიდში. როგორც ერთ იმ მცირერიცხოვან ქალთაგანს, რომელსაც ქმრის გვერდით კორტეზო, ოფიციალური საყვარელი არა ჰყავდა. ფრანსისკო, თუკი მოისურვებდა, ყოველ

ქალს შეაცდენდა და შეეძლო მისი კორტეხოც გამხდარიყო. და, რაკი მას ეს აშკარად არ სურდა, აგუსტინი ამით კმაყოფილი იყო, მაგრამ შეურაცხყოფილიც. მიუხედავად ყველაფრისა, აგუსტინს საკმაო ცოდნა ჰქონდა, რომ სურათი მხატვრული ღირსებით განეჭვრიტა. ხელავდა, კარგი იყო, მაგრამ, რასაც ფრანსისკო ესწრაფოდა, მიღწეულად მაინც არ ჩაითვლებოდა. ეს სწყენდა და თანაც უხაროდა. მიუბრუნდა თავის ტილოს და ჩუმად განაგრძო მუშაობა გენერლის ცხენის გავაზე.

გოია მიჩვეული იყო, რომ აგუსტინი ზურგს უკან უდგებოდა და მის ტილოს უყურებდა. დონია ლუსიას პორტრეტი ვერაფერი შვილი გამოუვიდა, მიუხედავად ამისა, რაც გააკეთა, ახალი იყო და გაბედული; ახლა აგუსტინის განაჩენს მოუთმენლად ელოდებოდა. მაგრამ, როცა აგუსტინი კვლავ ხმაამოუღებლივ მიუჯდა თავის ცხენოსან გენერალს, გოია პირდაპირ გაცოფდა. რა უტიფარია ეს უმეცარი შეგირდი, ეს მათხოვრული ლუკმით გამოკვებილი! რა მოუვიდოდა ამ უზადრუქს, ფრანსისკოს რომ არ გაემართა მისთვის ხელი? ეს პირწავარდნილი საჭურისი ყველა ქალს ეპოტინება, ხოლო თავის თავისა კი არა სჯერა და ვერაფერს აღწევს. ჰოდა, ასეთმა კაცმა გაბედა და უსიტყვოდ შეაქცია ზურგი მის სურათს! მაგრამ გოიამ თავი შეიკავა. ისე მოიქცა, თითქოს არც კი შეემჩნის, რომ აგუსტინი სურათს აკვირდებოდა, და მუშაობა განაგრძო.

ორიოდე წუთს ითმინა, ხოლო შემდეგ გულმოსულად ესროლა ზურგშექცევით:

— რა ბრძანე? ხომ იცი, დღეს სმენა ისევ მღალატობს. არაფერი გიჭირდა შენი მცონარა პირი უფრო მეტად გაგელო.

ღონ აგუსტინმა საკმაოდ გულგრილად და ხმამაღლა უთხრა:

— მე არაფერი მითქვამს.

— როცა კაცს შენი აზრის მოსმენა სურს, — ბუზღუნებდა ფრანსისკო, — მაშინ ენა ჩაგივარდება, და როცა არაფერს გეკითხებიან. სიტყვებს ჩანჩქერივით აფრქვევ.

აგუსტინმა კრინტი არ დასძრა. გაბრაზებულმა გოიამ კი განაგრძო:

— გენერალ რიკარდოსს დავპირდი ამ ნათითხნს ერთ კვირაში ჩაგაბარებ-მეთქი. ბოლოს და ბოლოს როდის მორჩები მაგ ცხენს?

— დღეს, — მშრალად მიუგო აგუსტინმა, — მაგრამ მერე აღმო-

აჩნთ, რომ გენერლის სული ჯერ კიდევ სრულად არა გაქვთ გამოვლენილი და კვლავ მიუბრუნდებით.

— შენი ბრალბა, დროზე რომ ვერ ვაბარებ სურათს. — გაცხარდა გოია, — მეგონა, იმდენი ხელობა მაინც ისწავლე, რომ მთელი კვირა ცხენის უკანალს არ გადაჰყოლოდი, — დასცინა მან.

აგუსტინმა შეურაცხყოფილად როდი ჩამოართვა მეგობარს უხეშობა. ფრანსისკოს ნათქვამი ანგარიშგასაწევი არ იყო, ანგარიშგასაწევი იყო მხოლოდ ის, რასაც ხატავდა. სურათში ბეჯითად აქსოვდა თავის გრძნობებსა და შეხედულებებს და მისი პორტრეტები ხშირად კარიკატურის საზღვარს აღწევდა. ფრანსისკოს მიერ დახატულ აგუსტინის სურათებს არა მარტო მინაწერი ამკობდა: „ღონ აგუსტინ ესტევეს—მისი მეგობარი გოია“, არამედ ეს ჭეშმარიტი მეგობრის ნაწარმოები იყო.

გოიამ ისევ პორტრეტის წერა განაგრძო. ერთხანს ორივე კვლავ ჩუმად მუშაობდა. შემდეგ ვილაცამ დააკაუნა და შემოუბრატიებლად შემოვიდა სტუმარი — აბატი ღონ დიეგო.

გოიას ხელი არ ეშლებოდა, როცა ვინმე მუშაობის პროცესში უყურებდა; ის ბეჯითი მომუშავე იყო და დასცინოდა ანტონიო კარნისეროსთანა უვიც მხატვრებს, სულიერ განწყობაზე რომ ბევრს ქადაგებდნენ. ხატვის დროს ფრანსისკოს შვილებსა და მეგობრებს ყოველთვის შეეძლოთ სახელოსნოში შესვლა, მისთვის შეკითხვების მიცემა და ყბედობა, რამდენიც სურდათ. სახელოსნო მხოლოდ ნაადრევი ვახშმობის შემდეგ იკეტებოდა; მაშინ იგი ღებულობდა მხოლოდ მას, ვინც თვითონ სურდა, მეგობარ ქალსა თუ კაცს, ან მარტო რჩებოდა.

ასე რომ, აბატის მოსვლა დღეს არ სწყენია, თითქმის გაუხარდა კიდევ. გოია გრძნობდა იმ სანუკვარ ციალს, სულ ხელიდან რომ უსხლტებოდა, დღესაც ვერ „იხილავდა“. იგი იმ მცირე გამონაკლისს ეკუთვნოდა, რასაც მარტოოდენ შრომით ვერ მოიპოვებ და რასაც უნდა ელოდო.

ანგარიშმიუცემლად უყურებდა, როგორ დაბორილობდა სახელოსნოში აბატი. ჩასუქებულ ბატონს წყნარად ჯდომა არასდროს შეეძლო, საოცარი მსუბუქი ნაბიჯით მიმოდრიდა ოთახში. მას ჩვევად ჰქონდა: სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყველაფერი უნდა გაესინჯა, ხელში აეღო და ისევ ადგილზე დაედო, წიგნები, ქაღალდები, თუ

სხვა რამ საგანი. გოია, რომელიც ადამიანის სწრაფად გამოცნობის უნარით იყო დაჯილდოებული, დიდი ხანია იცნობდა აბატს, მაგრამ მისი ბუნება კი ვერ იქნა და ვერ გამოიცნო. მას ეჩვენებოდა, რომ ეს ჭეშმარიტი ინტელიგენტი მულამ ოსტატურ ნიღაბს ატარებდა. მის მაღალ, ლამაზ შუბლს ქვემოდან ჭკვიანი, ეშმაკი თვალები გამოიყურებოდნენ. ბრტყელი, სწორი ცხვირი და ფართო, მსხვილტუჩება პირი ჰქონდა. ფერმკრთალ, სიცოცხლით სავსე, ჭკვიანურ სახეს სულ არ ეხამებოდა შავი სასულიერო ტანსაცმელი. აბატს უფრო ტლანქი კაცი ეთქმოდა, მაგრამ ისეთი შნოიანი იყო, რომ სასულიერო სამოსელიც კი მოხდენილად ჩანდა მის ტანზე. მძიმე, შავი აბრეშუმიდან ძვირფასი მაქმანი მოუჩანდა. ბრწყინავდა ფესსაცმელების ძვირფასი თვლებით მოჭედული ბალთები.

აბატი მიმოდიოდა დიდ სახელოსნოში და ჰყევებოდა აქეთურსა და იქითურს თბილი ირონიით, ხანდახან საკმაოდ ენამწარედ, მაგრამ მოსაწყენად კი არასდროს. მან ბევრი იცოდა და ბატონ ინკვიზიტორებთანაც ისევე შინაურულად გრძნობდა თავს, როგორც თავისუფალ მოაზროვნეთა წრეში.

ფრანსისკო მაინცდამაინც გულდასმით არ უსმენდა, მაგრამ აგერ ყური მოჰკრა მის ნათქვამს: „როცა მე დღეს დონია კაეტანას დილის ტუალეტს ვესწრებოდი...“ აღლელებისაგან ფრანსისკო შეკრთა. მაგრამ ეს რა ამბავია? ხედავდა აბატის მოძრავ ტუჩებს, და არც ერთი სიტყვა კი არ ესმოდა. გაუგონარმა შიშმა შეიპყრო. ნუთუ ხელახლა შეუბრუნდა ის სენი, სამუდამოდ რომ განკურნებული ეგონა? ნუთუ დაყრუვდა? შეშინებული და უმწეო მხერა მიაპყრო მალლა ატოჩის წმინდა ქალწულის ხის ქანდაკებას. „დამიფარე ღვთისმშობელო და ყველა წმინდანო“, გაიფიქრა რამდენჯერმე; სულ ეს იყო, რის გაფიქრებაც შეეძლო.

როცა სმენა კვლავ დაუბრუნდა, აბატი ექიმ ხოაკინ პერალის ამბავს ჰყევებოდა; როგორც ჩანს, ისიც ესწრებოდა კაეტანა ალბას დილის ტუალეტს. ექიმი პერალი სულ ახლახან დაბრუნებულა საზღვარგარეთიდან და მეორე დღესვე მადრიდის მთელი საზოგადოებისათვის ჯადოქარ მკურნალად ქცეულა; ხმა დაირხა, თითქოს მკვდრეთით აღედგინოს გრაფი ესპანა. გარდა ამისა, ჰყევებოდა აბატი, ექიმი ყოველგვარ ხელოვნებას და მეცნიერებას იცნობსო. საზოგადოების თვალთა და მის მეგობრობას ერთმანეთს ეცილებიან, მაგრამ განე-

ბივრებუღია და თავს იფასებსო. კაეტანა ჰერცოგ ფონ ალბასთან ყოველდღეა და იგი მას დიდად აფასებსო.

ფრანსისკომ ძლიეს მოახერხა სული მოეთქვა. იმედია აგუსტინსა და დონ დიეგოს არ შეუძმჩნევიათ ეს შეტევა; ორივეს გამჰკრიახი თვალი კი ჰქონდა.

— მე კი ჯერ ვერც ერთმა ამ დალაქმა და სისხლის გამომშეებმა ვერ მიშველა, — თქვა გულმოსულმა გოიამ.

არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ექიმებმა დალაქების ამჰკრიდან გამოყოფა შესძლეს. აბატს გაელიმა.

— ჩემი აზრით, დონ ფრანსისკო, — უთხრა მან, — სამართლიანი არ ბრძანდებით ექიმ პერალის მიმართ. მან იცის ლათინური და ანატომია. ლათინური რომ ჩინებულად იცის, ამის თქმა დაბეჯითებით შემძღია.

შემდეგ წუთით გაჩუმდა. იგი იდგა გოიას ზურგს უკან და უყურებდა პორტრეტს, რომელზედაც მხატვარი მუშაობდა. აგუსტინი დაძაბული აკვირდებოდა. აბატი ბერმუდესების მეგობართა წრეს ეკუთვნოდა და აგუსტინი დარწმუნებული იყო, რომ ის ყურადღება, რომელსაც მშვენიერი ლუსიას მიმართ სიტყვით გამოთქვამდა და საქმით ამტკიცებდა, ზოგჯერ მეტს ნიშნავდა, ვიდრე დარბაისელი აბატის უბრალო თავაზიანობას.

ახლა აბატი იდგა დონია ლუსიას პორტრეტის წინ და აგუსტინი მოუთმენლად ელოდა, რას იტყოდა.

მაგრამ ჩვეულებრივ ლაპარაკის მოყვარულმა ბატონმა სურათზე კრინტი არ დასძრა; პირიქით, ისევე დიდ მკურნალ პერალზე განაგრძო საუბარი. მას თურმე საზღვარგარეთიდან საუცხოო სურათები ჩამოეტანა. მაგრამ ჯერ კიდევ არ გაეხსნა; ექიმი თავისი კოლექციისათვის ბინას ეძებდა. ჯერჯერობით კი შეუძენია ბრწყინვალე ეტლი, დონ ფრანსისკოზე ბევრად უფრო ლამაზი, ინგლისური ყაიდისა. ოქროცურვილი მოკაზმულობა კარნისეროს ესკიზების მიხედვით ყოფილა მოხატული, სხვათა შორის, ეს მხატვარიც დასწრებია დონია კაეტანას დილის ტუალეტს.

— ისიც? — თავი ვეღარ შეიკავა და წამოიძახა ფრანსისკომ.

ცდილობდა წყნარად ყოფილიყო, რომ ბრახისა და სიყრუის ტალღას ხელახლა არ დაერტყა. რის ვაი-ვაგლახით მოახერხა ეს. მხატვრის თვალთ გონებაში ხედავდა ყველას, ხედავდა აბატს, დალაქს და

მთხუპნელ, მოხალტურე კარნისეროს, მლიქვნელობით რომ მიიღო კარის მხატვრის ტიტული, ხედავდა, როგორ იჯდა ეს სამი უღირსი, როცა მხეველები დონია კაეტანას აცმევდნენ და ვარცხნიდნენ, ხედავდა მათ გაბლენძილ მიხრა-მოხრას, ხედავდა, როგორ ჩურჩულებდნენ, როგორ ტკებობდნენ ქალის ცქერით, ხედავდა ქედმაღლურ, მაგრამ წამაქეზებელ მომღიმარ ქალსაც.

მასაც თავისუფლად შეეძლო წასულიყო ამ ქალის დილის ტუალეტზე დასასწრებად. უეჭველია, დონია კაეტანა მას უფრო ღრმა-აზროვან, მეგობრულ ღიმილს აჩუქებდა, ვიდრე სხვებს. მაგრამ ამ ძვლით მას შეეძლო სხვა ძალი მიეტყუებინა. გოია კი იქ არ წავიდოდა, კიდევაც რომ სცოდნოდა, ქალი წამსვე თავისით ჩამიგორდება ლოგინშიო. მთელი ინდოეთის საუნჯეც რომ ეჩუქებინათ, მაინც არ წავიდოდა.

ამასობაში აბატი განაგრძობდა: რამდენიმე კვირაში, როგორც კი სასახლეში გლოვა დამთავრდება, პერცოგის მეუღლე ახალმოსახლეობის აღსანიშნავი წვეულების გადახდას აპირებსო ბუენავისტას სასახლეში, მონკლოას სააგარაკო კოშკში. თუმცა ძნელია წინასწარი გეგმების შედგენა გუშინ მიღებულ სამხედრო ცნობების შემდეგო.

— რა სამხედრო ცნობებისა? — იკითხა აგუსტინმა ჩვეულებრივზე სწრაფად.

— რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ, ჩემო საყვარელო მეგობრებო? — წამოიძახა აბატმა, — ნუთუ მე ვარ ცუდი ცნობის მომტანი პირველი კაცი?

— რა ცნობისა? — ჩააცივდა აგუსტინი.

აბატმა მიუგო:

— თქვენ მართლა არ იცით, რომ ფრანგებმა ტულონი დაიბრუნეს? დონია კაეტანას დილის ტუალეტის დროს სხვა სალაპარაკო არაფერი იყო, რასაკვირველია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხართან მომავალ ბრძოლაში კოსტილიარესის შანსებს და ექიმ პერალის ახალ ეტლს. — დაუმბატა მან ეშმაკური ღიმილით.

— ტულონი დაეცა? — იკითხა ხრინწიანი ხმით აგუსტინმა.

— ეს, როგორც ჩანს, რამდენიმე დღის წინ მიღებული ცნობაა, — მიუგო აბატმა, — მაგრამ აქამდე საიდუმლოდ ინახავდნენ. ერთ სულ ახალგაზრდა ოფიცერს ჩვენი და ინგლისელების ფლოტის ზედ

ცხვირწინ აულია ციხე-სიმაგრე. უბრალო კაპიტანი ყოფილა, სახე-
ლად ბონაფედე თუ ბონაპარტე.

— მაშ, მალე ზავი ჩამოვარდება, — თქვა გოიამ და ძნელი გასა-
გები იყო, მის ხმაში ტკივილი ჟღერდა თუ ცინიზმი.

ავუსტინმა კუშტად შეხედა.

— ესპანეთში ცოტა ვინმე თუ ისურვებს, რომ ზავი ასეთ პირო-
ბებში ჩამოვარდეს, — წარმოთქვა გაბრაზებით.

— ცხადია, ბევრი ამას არც ისურვებს. — კვერი დაუკრა აბატმა.

იგი სხვათა შორის და ორაზროვნად ლაპარაკობდა. ფრანსისკო
და ავუსტინი ვერც გაერკვნენ მის ნათქვამში. აბატზე ათასგვარი
ხმები დადიოდა. წლების განმავლობაში იგი „ინკვიზიციის მდივნის“
ტიტულს ატარებდა. ეს ტიტული თვით ახალმა, ძალზე ფანატიკოსმა,
დიდმა ინკვიზიტორმაც შეუწარმოა. ზოგიერთი იმასაც ამბობდა,
ღონ დიეგო ინკვიზიციის ჯაშუშიაო. მეორე მხრივ, ახლო მეგობრო-
ბა ჰქონდა მოწინავე სახელმწიფო მოღვაწეებთან, ამბობდნენ, თით-
ქოს ავტორიც კი ყოფილიყო ამ მოღვაწეთა გარკვეული ნაწარმო-
ებებისა და ზოგი იმასაც ირწმუნებოდა, საფრანგეთის რესპუბლი-
კის ფარული მომხრეაო. გოიასაც არ ეყო გამჭრიახობა, გამოეცნო
ამ გამჭირდავი, მომთმენი ბატონის ბუნება. ერთი კი ეპქს არ იწვევ-
და: მისი სიბარიტული ცინიზმი, რომელსაც გარეგნულად ატარებდა,
ნიღაბი იყო.

აბატის წასვლის შემდეგ ავუსტინმა თქვა:

— ახლა თქვენმა მეგობარმა ღონ მანუელმა ნება-უნებლიეთ სა-
ხელმწიფოს მართვა-გამგეობა უნდა იკისროს. მისინ კი თქვენი
მდგომარეობა უფრო მყარი და შესაშური იქნება.

საქმე კი ასე იყო: ფავორიტი ღონ მანუელ გოდოი, ჰერცოგი ალ-
კუდია, თავიდანვე ომის წინააღმდეგი იყო და სახელმწიფოს ოფი-
ციალურად მართვაზე უარს აცხადებდა.

გოიამ, რომელმაც რამდენჯერმე დაწერა ღონ მანუელის პორ-
ტრეტი, რითაც მისი გული დიდად მოიგო, ავუსტინთან ტრაბახობდა,
სახელმწიფოში ყველაზე ძლიერი კაცი მათსებო. ამიტომაც ავუს-
ტინის დაცინვაში გაორკეცებული სიმწვავე იგრძნო. ის კი სახელ-
მწიფო საქმეებისადმი ცხოველ ინტერესს იჩენდა, მათ შესახებ
ცხარედ, საქმის ცოდნით ლაპარაკობდა, და მეგობარს ჰკიცხავდა,

რომ იგი ამგვარ საზრუნავს გულთან არ იკარებდა. ახლა აგუსტინის ნათქვამი გოიას გულზე მწარედ მოხვდა. მართლაც ფრანსისკოს პირველი გაფიქრება ეს იყო, რომ მალე ზავი ჩამოვარდებოდა და მისი მწყალობელი დონ მანუელი სახელმწიფოს სათავეში მოექცეოდა და განა ბუნებრივი არ იყო, გოიას ეს გახარებოდა? ის პოლიტიკოსი არ იყო, პოლიტიკურ საქმეებში საერთოდ ვერ ერკვეოდა: ომი თუ მშვიდობა, ეს მეფის, მისი მრჩეველებისა და გრანდების საქმე იყო. ფრანსისკოს ეს არ ეხებოდა, ის მხატვარი იყო.

მან არაფერი უპასუხა. იგი მივიდა სურათთან, დონია ლუსიას პორტრეტთან.

— სურათზე ერთი სიტყვაც არ დაგცდენია. — უსაყვედურა აგუსტინს.

— უჩემოდაც კარგად იცით, როგორიცაა. — მიუგო აგუსტინმა და ავითონაც მივიდა სურათთან. — არაფერი აკლია და ყველაფერი აკლია, — განაცხადა ბუზლუნითა და ავტორიტეტულად.

— მძიმე წუთებში უფრო სასიამოვნო თანამგრძობელს სანთლითაც ვერ მოვძებნიდი, — უკბინა გოიამ. და რადგან აგუსტინი სურათს არ შორდებოდა და ათვალიერებდა, განაგრძო: — ეს ხომ ის არის, შენი ლუსია, ვერა ხედავ? — მოისაზრა, როგორი სიტყვებით უფრო გაამწარებდა და განაგრძო: — შეხედე მაინც. მეტის შნო შენ არა გაქვს, შე საწყალო პლა-ტო-ნი-კო-სო.

ეს სიტყვა დამარცვლით წარმოთქვა. აგუსტინმა პირი მოკუნა. დონა ლუსიასადმი თავის სიყვარულზე კრინტიც არასდროს არ დაუძრავს, მაგრამ გოიას როცა უხასიათოდ იყო, ამით აღიზიანებდა მას.

— ვიცი, შეუხედავი ვარ, — უპასუხა აგუსტინმა ჩვეულებრივზე უფრო მიყრუებული ხმით, — მაგრამ თქვენს ადგილასაც რომ ვიყო, თქვენი ნიჭი და ტიტულებიც რომ გამაჩნდეს, მაინც არ შევეცდებოდი ჩვენი მეგობრის, მიგელ ბერმუდესის ცოლის ცდუნებას.

„ქუთის კოლოფი“ —

ფრანსისკომ ცივად

ჩაიჭირქილა, — „შენ ჰეშმარიტად

სათნოება ხარ ტერფით-თხემამდე,

ვპ, საწყენია, ამ შენს თვისებებს

ვერასდროს იგრძნობს ლუსია —

სულმთლად

გაოგნებული დიდი სურვილით!“
 და აუმჯავდა სახე ესტევეს,
 ჩამოისრისა ჩუმაღ ნიკაპი,
 ისევე გახედა თავის სალოცავს,
 თავის მეფე-ქალს. „გესმის! — იყვირა
 ისევე გოიამ, — მაგ შენს მკავე სუნს,
 თუ იუნოსაედა, გენოსსაც კი
 აერეოდა რიტმი, 'შუქ-ჩრდილი!“
 ხელი დასტაცა ქუდს და ლაბადას,
 სახელოსნოდან გარეთ გავარდა.

4

როცა გოიას იმდღევანდელივით, რაიმე განსაკუთრებული საქმე არ ჰქონდა, სიამოვნებდა თავის ოჯახში საღამოს გატარება; უყვარდა ცოლი და ხარობდა თავისი ბავშვებით, მაგრამ შიშობდა, ისეთ გუნებაზე, როგორც დღეს იყო, ვაითუ ვერ აეტანა ოჯახური უზრუნველი საუბარი. ამჯობინა, თავის საყვარელთან, პეპა ტუდოსთან წასულიყო.

პეპა მისმა მოულოდნელმა სტუმრობამ გაახარა. მადრიდელი ქალების უმრავლესობის მსგავსად, იგი საშინაოდაც ურიგოდ როდი იყო ჩაცმული. დღესაც ლამაზი, ცისფერი ხალათი ეცვა, საიდანაც მისი თეთრი კანი ანათებდა. ტახტზე ზურგით მიყრდნობილი იჯდა, მიბნედილი, მიმზიდველი, მარაოს ათამაშებდა და გოიას წყნარად ესაუბრებოდა.

შემოვიდა მისი დუენია კონჩიტა და იკითხა, რას ისურვებდა ღრანსისკო ვახშმად. ჩამომხმარი კონჩიტა პეპას დაბადებიდანვე მზრუნველობდა და მისი განცდებით სავსე ახალგაზრდული, მოუსვენარი ცხოვრების თანამზრახველი იყო. მათ ერთად იმსჯელეს საქმელის შერჩევაზე: შემდეგ მოხუცი ქალი წავიდა საჭირო სანოვაგის, უპირველეს ყოვლისა კი — მანსანილას — მდაბიური ღვინის. მოსატანად, რომელსაც ფრანსისკო უპირატესობას ანიჭებდა.

გოია კონჩიტას გასვლის შემდეგ ჩუმაღ იყო. პეპას გემოვნებით მორთულ ბინაში სასიამოვნოდ თბილოდა. მაყალი ნაკვერჩხლებით იყო სავსე. ორივემ მოდუნება და სიმყუდროვე იგრძნო, თუმცა იცოდნენ, ზოგი რამ მოსალაპარაკებელი ჰქონდათ. პეპას ერთი მოურიდებელი ჩვეულება ჰქონდა: მოსაუბრეს პირდაპირ უყურებდა შორიშორ ჩამ-

ჯდარი მწვანეთვალემა, შუბლდაბალი, ფართო თეთრი სახით, რომელსაც ქერა, ოქროსფერი თმა ამშვენებდა.

— როგორ გაატარე ბოლო დღეები? — ჰკითხა ბოლოს ფრანსისკომ.

პეპას თურმე უმღერია, შეუსწავლია სამი მშვენიერი სიმღერა, რომელსაც მარია პულპილიო ახალ ოპერეტა სარსუელაში მღერის, და აგრეთვე ღუენიასთან ბანქო უთამაშია: საოცარია, ერთობ პატიოსანი კონჩიტა თურმე ბანქოს თამაშისას ცუდლუტობს: უეჭველია, სამ რეალში მაინც მოატყუა. პეპა ყოფილა აგრეთვე მკერავ მადმუაზელ ლიზეტთან, პუერტა სერადასთან რომ ცხოვრობს. მეგობარ ლუსიას დაურწმუნებია, მადმუაზელ ლიზეტი შეღავათიან ფასს მოგთხოვსო. მაგრამ ამ შეღავათიან ფასითაც კი მოსასხამი, რომელიც მას ესაჭიროებოდა, გაცილებით უფრო ძვირი დაუჯდა. ესე იგი, მომავალში ისევე ბუასეტასთან მოუწევს კერვა.

— სხვათა შორის ლუსიაც მოვინახულე, — დაუმატა მან, — ერთხელ ისიც იყო აქ.

გოიას სურდა გაეგო, რა აზრი გამოთქვა ლუსიამ პორტრეტზე, მაგრამ ქალმა მანამ არაფერი უთხრა, სანამ გოია იძულებული არ გახდა, თვითონ ეკითხა. დიახ, პორტრეტის თაობაზეც ჰქონია ლაპარაკი რამდენჯერმე.

— შენ ხომ ყვითელ კაბაში ხატავ? ეს მადმუაზელ ლიზეტას შეკერილია. რეაასი რეალი გამოართვა. ხედავ, როგორი მეძვირეა!

გოიამ თავი შეიკავა.

— რა თქვა დონია ლუსიამ პორტრეტის თაობაზე? — ჰკითხა მან.

— უკვირს, რომ ჯერ კიდევ არ არის მზად. მისი აზრით, დიდი ხანია დამთავრებული გაქვს და უკვირს, რადა ხარ წინააღმდეგი მის მეუღლეს უჩვენო. მართალი გითხრა, მეც გაკვირვებული ვარ, — განგრძობდა იგი, — თუმცა, დონ მიგელმა ისე იცის ყველაფერზე კრიჭაში ჩადგომა, რომ ძნელია რაიმე მოაწონო. მაგრამ სხვა დროს ასე რომ არ წვალობ? ნეტა რამდენს მოგცემს დონ მიგელი? შესაძლოა არც არაფერი მოგცეს, ის ხომ შენი მეგობარია. ცხადია, კუთვნილ სამი ათას რეალს ვერ მიიღებ.

გოია წამოდგა და წინ და უკან სიარულს მოჰყვა. მგონი, უკეთესი იქნებოდა თავის ოჯახში ევახშმა.

— მითხარი, ფრანსისკო, — არ ეშვებოდა პეპა, — ასე რად ირჯე-

ბი? აღმირალისთვის ჩემს პორტრეტზე სამ დღეზე მეტი არ გიმუ-
შავნია და მან ოთხი ათასი მოგცა. ნუთუ ლუსია ჩემზე რთულია? თუ
აქ სხვა ამბავია? გინდა მასთან ღამის გატარება? თუ უკვე გაატარე
კიდევ? რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზია.

პეპა სრულიად უბრალოდ, მშვიდად ლაპარაკობდა.

გოიას ჯმუხი სახე მოენისლა. პეპა ამას გასაბრაზებლად ეუბნე-
ბოდა? როგორც ჩანს, არა. ის ხშირად იყო ასეთი პირდაპირი და საქ-
მიანი. გოიას რომ ნამდვილად მოენდომებინა, დონია ლუსიას უთუ-
ოდ გადაიბირებდა, მიუხედავად იმისა, რომ წარჩინებული მანდი-
ლოსნის ნიღაბს აფარებდა თავს. მაგრამ აქ ბევრი „მაგრამი“ იყო.
პეპა ხანდახან ძნელი ასატანი ხდებოდა. კაცმა რომ თქვას, არც არის
გოიას გემოვნების შესაფერი. ჩასუქებული ხამონაა, ლამაზი, სასია-
მოვნო, პრიალაკანიანი ნეჭვი.

პეპამ გიტარა აიღო და სიმღერა დაიწყო. მღეროდა ხმადაბლა,
გრძნობით. ერთობ მიმზიდველი იყო, როცა ასე იჯდა, გიტარას უკ-
რავდა და ძველ ხალხურ რომანსებს არაკრავებდა. გოიამ იცოდა,
ძველ პოეტურ სიმღერებში ქალი თავის საკუთარ განცლებს აქ-
სოვდა.

ოცდასამი წლის პეპას ბევრი რამ გადანდენოდა თავს. იგი ერთი
შეძლებული პლანტატორის შვილი იყო, ამერიკის კოლონიაში აღ-
ზრდილი. ათი წლისა იქნებოდა, როცა მამამისმა თავისი გემები და
მთელი ქონება დაკარგა და ოჯახით კვლავ ევროპაში დაბრუნდა. სიმ-
დიდრესა და ფუფუნებაში აღზრდილმა პეპამ სიღარიბე და სიდუხ-
ჭირე იგემა. მისმა ბედნიერმა ხასიათმა იხსნა, უიღბლობას შეაგუა.
მერე მის ცხოვრებაში ლამაზი და თვინიერი საზღვაო ოფიცე-
რი ფელიპე ტულო შეიქრა. შეხმატკბილებული ცოლქმრობა
ჰქონდათ, მაგრამ ფელიპე ღარიბი იყო და იმულებული გახდა ცო-
ლისთვის ვალი აეღო. ალბათ ეს ცოლქმრობა შემდეგში მათთვის
უსიხარულო შეიქნებოდა, მაგრამ თავისი ესკადრილის მოგზაურო-
ბის დროს ფელიპე მექსიკის წყლებში დაიღუპა და უთუოდ სამო-
თხეში მოხვდებოდა, ვინაიდან ძალიან კარგი კაცი იყო. როცა პეპამ
გენერალ მასარედოს პენსიის მომატების თაობაზე თხოვნა მიართვა,
ხანში შესულ, ჩამრგვალებულ ბატონს იგი უზომოდ შეუყვარდა.
ბატონმა მას ვიუდიტა — პატარა, მადის აღმძვრელი ქვრივი — უწო-

და და კალე მაიორში შესანიშნავი სახლი აუგო. პეპამ იცოდა, გენერალი თავის წარჩინებულ მეგობართა წრეში მას ვერ გამოაჩენდა; ისიც დიდი ამბავი იყო, გამოჩენილ კარის მხატვარს რომ შეუკვეთა მისი სურათი. ახლა, ომის დროს, ღონ ფედერაციო თავის არმადით შორეულ ზღვებს სერავდა და კიდევ კარგი, პეპა თავის მხატვარს შეხვდა, რომელმაც გულმხურვალედ განუცხადა, მზადა ვარ მარტოდ დარჩენილი განუგეშოო.

პეპა სათნო ხასიათისა იყო და რაც ჰქონდა, მით კმაყოფილდებოდა; მაგრამ ხშირად იგონებდა კოლონიაში ფუფუნებით ცხოვრებას, უზარმაზარ მამულებს და უთვალავ მონებს. ამოდენა სიმდიდრიდან პეპას მხოლოდ პატიოსნებით სავსე მოხუცი, ერთგული კონჩიტა შერჩა, რომელიც მხოლოდ ბანქოს თამაშის დროს ცუდლუტობდა. ფრახსისკო, ფრანჩო, შესანიშნავი მეგობარი და ნამდვილი მამაკაცი იყო, რომელთანაც ყოველი ვიუდიტა ბედნიერად იგრძნობდა თავს, ამასთან დიდი მხატვარიც, მაგრამ იგი ძალზე დაკავებული იყო. ხელოვნება თავისას მოითხოვდა, მეფის კარი — თავისას, მისი მრავალრიცხოვანი მეგობარი — ქალი თუ კაცი — თავისას. და მაშინაც კი, როცა პეპასთან იყო, გოიას ფიქრები ყოველთვის ამ ქალს არ ეკუთვნოდა.

ყველაფერ ამაზე ოცნებობდა პეპა ტუდო, როცა რომანსებს მღეროდა. ზოგჯერ ოცნებობდა. რომანსის გმირად საკუთარ თავს წარმოიდგენდა, თითქოს იგი ყოფილიყოს მაგალითად, ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, მავრების მიერ მოტაცებული, ან საყვარლისაგან მავრებისათვის მიყიდული; ანდა მამაცი, შავი თავადის მიერ გაღმერთებული თეთრი სატრფო, ამაშიც იყო თავისი ლაზათი. ხან ოცნებობდა, რომ აქ, მადრიდში, ბედს კვლავ იპოვიდა და თავის თავს ისეთ ქალბატონად წარმოიდგენდა, რომელიც წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ ქალაქის საკუთარი სასახლიდან სააგარაკო კოშკში მიემგზავრებოდა და ბრუნდებოდა დიდებულების, მოახლეებისა და ლაქიების თანხლებით, უბრწყინვალესი პარიზული ტანსაცმლითა და რამოდენიმე საუკუნის წინ კათოლიკე იზაბელას მხედართმთავრებისა თუ კარლოს მეხუთის ნაალაფარი სამკაულებით მორთულ-მოკაზმული.

ღუენიამ სთხოვა პეპას სუფრის გაშლაში მიშველებოდა. სუფრა გემრიელი და უხვი იყო. ისინიც მადიანად შეექცნენ.

კედლიდან გადმოჰყურებდათ ადმირალ ფედერიკო დე მასარე-
ლოს სურათი. ადმირალმა გოიას დაახატვინა თავისი დისთვის პორ-
ტრეტი და ასლი პეპასთვის შეუკვეთა. აგუსტინ ესტევემ ასლი კე-
თილსინდისიერად გადაიღო და ახლა ადმირალი უყურებდა პეპას
და მხატვრის ვახშმობას.

გოია დიდ ვნებას არ მოუყვანია აქ, მაგრამ ის სისადავე და სით-
ბო, რომელთაც პეპა მას ახვედრებდა, სიამოვნებდა და სავსებით
აკმაყოფილებდა. გლეხური სალი გონებით ხვდებოდა, რომ პეპა მი-
სი სიყვარულისათვის მსხვერპლს იღებდა. იცოდა მისი შესაძლებ-
ლობის ამბავი. მისი საზღვაო ოფიცრის გარდაცვალების შემდეგ
პეპა დიდ მსახიობ ტირანასთან სწავლობდა და ის მცირედი, რაც
გააჩნდა, ამ საქმეს მიახარჯა. ახლა, ომის დასაწყისში, თვეში ათას
ხუთასი რეალი ეძლეოდა. გოიასთვის ნათელი არ იყო, რამდენს
ღებულობდა პეპა სახელმწიფო პენსიას და რამდენი ჰქონდა პირა-
დად ადმირალის ნაჩუქარი. ათას ხუთასი რეალი ბევრიც იყო და
ცოტაც. ამ თანხით მადმუაზელ ლიზეტს კაბებს ვერ შეუკვეთდა.
გოია ძუნწი არ იყო და თავის მშვენიერ, სასურველ მეგობარს ხში-
რად ასაჩუქრებდა. მოჰქონდა ხან მცირე და ხანაც მნიშვნელოვანი
რამ. მაგრამ ხანდახან არაგონელი გლეხის ანგარიშიანობა სძლეოდა
და ხშირად, როცა მისთვის გამიზნული საჩუქრის ფასს გაიგებდა,
ამჯობინებდა თავი შეეკავებინა და არ შეეძინა.

სუფრა ააღაგეს. ძალზე თბილოდა. პეპა მიმზიდველად და მო-
ხერხებულად გადაწვა დივანზე, ლამაზი და მოხდენილი ზანტად ინი-
ავებდა მარაოს. ცხადია, ისევ დონია ლუსიას პორტრეტზე ფიქრობ-
და, რადგან ადმირალის სურათს მარაოთი მიათითა და თქვა:

— დიდად როდი შეგეწუხებია თავი ამისთვის. როცა ვაკვირდები,
ვხედავ, რომ მარჯვენა ხელი მოკლე აქვს.

გოიას ყელში მოაწვა უიღბლობის გრძნობა, რომელიც ამ უკა-
ნასკნელ დღეებში კვალდაკვალ სდევდა: კაეტანა ალბას გულისგამა-
წყალებელი ლოდინი, დონია ლუსიას პორტრეტზე წარუმატებლობა,
ღვარძლი პოლიტიკისა და აგუსტინის კრიტიკის მიმართ: ახლა კიდევ
პეპას სულელური, უტიფარი შენიშვნები დაემატა. ვის გაუგონია, იმ
კაცმა, რომლის მიმართ კაეტანა ალბამ ესპანეთის გრანდების თან-
დასწრებით ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოს გოიას საწოლში
ყოფილიყო, ასეთი უაზრო ტიტინი მოისმინოს და ისიც ვისგან, ასე-

თი ხამონასაგან? მან აიღო თავისი რუხი აბრეშუმის ქუდი და პეპას თავზე ჩამოამხო.

— შენ ახლაც ისევე ხედავ ადმირალის პორტრეტს, როგორც აქამდე ხედავდი. — უთხრა გესლიანად.

პეპამ ქუდი მოიგლიჯა. ძალზე სასაცილო და ლამაზი ჩანდა მალა აქოჩრილი, აჩეჩილი თმით.

— კონჩიტა! — დაიყვირა გაანჩხლებულმა და, როცა დუენია გამოჩნდა, უბრძანა: — გაუღე ფრანსისკოს კარი!

ფრანსისკომ გაიცინა და უთხრა:

— სისულელეა, კონჩიტა, გადი ისევ შენს სამზარეულოში. — და, როცა ის გავიდა, ბოდიში მოიხადა: — მე დღეს ვერა ვარ კარგად, ბევრი უსიამოვნება შემხვდა. გარდა ამისა, რაც შენ სურათზე თქვი, ნამდვილად არ იყო ჭკვიანური. აბა კარგად დააკვირდი, მაშინ ხელი მოკლედ აღარ მოგეჩვენება.

პეპა გაბუტული იყო და ჭიუტობდა:

— მაინც მოკლეა.

— ბრმა ხარ, მაგრამ რა მშვენიერი ხარ ასე თმაგაჩეჩილი. — უთხრა მან ალერსით, — მე შენ ახალ კუაფურს გაჩუქებ, — და დასამშვიდებლად აკოცა.

მოგვიანებით, ლოგინში პეპამ უთხრა:

— იცი, რომ დონ ფედერიკო ამ დღეებში ჩამოვა? ეს ამბავი ადმირალის მოკითხვასთან ერთად გადმომცა კაპიტანმა მორალესმა.

ფრანსისკოსთვის ეს საქმის ვითარებას ცვლიდა.

— რას იზამ, გენერალი რომ დაბრუნდება? — ჰკითხა პეპას.

— ვეტყვი, როგორაცაა საქმე, — უპასუხა პეპამ, — „და ჩვენს შორის მეგობარო, ყველაფერი გათავდა“, — მოიყვანა ადგილი ერთი თავისი რომანსიდან.

— ეწყინება, — ხმამალა ფიქრობდა გოია, — ჯერ ტულონის და მერე შენი დაკარგვა.

— მართალი რომ ვთქვათ, ტულონი მან კი არა, ინგლისელებმა დაკარგეს, — დაიცვა თავისი ადმირალი პეპამ, — მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება, მას დაადანაშაულებენ.

ცოტა ხნის შემდეგ გოიამ ხმამალა გამოთქვა აზრი, რომელიც მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ასვენებდა:

— მაშინ შენს პენსიას რა ეშველება?

— არ ვიცი, — მიუგო პეპამ რამდენადმე უღარდელად, — ცოტას მაინც დამიტოვებენ.

სხვა ქალის უზრუნველყოფა გოიას საქმე არ იყო. ასეთი რამ დიდ მხატვარს არ ესაჭიროებოდა. ისიც გაიფიქრა, პეპას გარეშე ცხოვრებაც არ იყო წარმოდგენილი. მეორე მხრივ კარგად ესმოდა, ასეთ ლამაზ ქალს შეძლებულად ცხოვრება სურდა, და მაინც გულს სტკენდა ის ამბავი, რომ რაკი თვითონ საქმარის ფულს ვერ მისცემდა, ბოლოს პეპა ვინმე სხვასთან დაიჭერდა საქმეს, ან ისევ აღმოჩნდებოდა.

გულგრილად უთბრა გოიამ პეპას:
„ნულარ იღარდებ, ვიზრუნებ შენთვის,
რომ კვლავ იცხოვრო ისე, ვით წინათ“.
და გაეღიმა პეპას უნდილად:
„დიდი მადლობა...“ გოიამ უცებ
გამოუცხადა: „უნდა ჩამოვხსნათ
ეს აღმირალი კედლიდან ღღესვე!“
პეპამ: „რაისთვის?“
ხელი მოკლეა?
არ დაიჭერო, მე შენ გეხუმრე,
რადგან როგორღაც დიდხანს მოუნდი,
ვეღარ ამთავრებ ლუსიას პორტრეტს“.

5

გოია მარტო იდგა პორტრეტის წინ. ყურადღებით ათვალიერებდა, მახვილი თვალით ნაკლს ეძებდა. ეს, რა თქმა უნდა, დონია ლუსია არის. ასეთია ცხოვრებაში, ასეთი ნახა გოიამ. აქ ყველაფერია: წარჩინებული მანდილოსნის ნილაბიც, რაღაც ხელოვნურიც, იღუმალიც. რაღაც ფარული იყო მასში და ზოგიერთს ეგონა, რომ ეს ოცდაათიოდე წლის ქალი წინათაც ენახა, წარჩინებული მანდილოსნის უნილბოდაც.

პეპამ ჰკითხა გოიას, ისურვებდა თუ არა ამ ქალთან ღამის გათევას? სულელური შეკითხვაა. ყოველ ჯანსაღ, ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცს შეუძლია ღამე გაატაროს ცოტად თუ ბევრად კარგი გარეგნობის ქალთან, თუკი შემთხვევა მიეცემა. დონია ლუსია ბერმუდესი კი მადის აღმძვრელად ლამაზი იყო, ნატიფი, თავისებური, სხვებისაგან განსხვავებული სილამაზისა.

მისი მეუღლე დონ მიგელი, გოიას მეგობარი იყო. მაგრამ ფრანსისკო თავის თავს გულახდილად უტყუებოდა, რომ ეს არ აკავებდა. ჯაფასა და დროს არ დაიშურებდა დონია ლუსიას მოსანადირებლად, მაგრამ აკავებდა ლუსიას ბუნებაში არსებული რაღაც გამოუცნობი და ფარული. ეს ხიბლავდა მასში მხატვარს და არა მამაკაცს. ამ ქალის ბუნებაში არსებული და არარსებული ერთმანეთში იყო გადახლართული, იყო განუყოფელი, რაღაც მოჩვენების მსგავსი და შემაზრზენი. ერთხელ იხილა იგი ფრანსისკომ მაშინ, მეჯლისზე, დონ მანუელთან, ყვითელ კაბაზე ვერცხლისფრად მოლივლივე ის წყეული, კურთხეული შუქი, ის, რაშიაც იყო ლუსიას სიმართლე, გოიას სიმართლეც, და აი, ის სურათი, რომლის შექმნაც სურდა.

და უეცრად მან იგი ხელახლა დაინახა, მიხვდა, როგორ უნდა გადმოეცა მაშინ დანახული მოციმციმე, მოცქრიალე, ვერცხლისფრად მოლივლივე რუხი ფერი. ამას არც ფონი შველოდა და არც თეთრი მაქმანი ყვითელ კაბაზე. ეს ხაზი აქ უნდა შერბილდეს, ეს კი აი აქ, რათა პორტრეტზე ათამაშდეს სახიდან და ხელიდან არეკლილი ხორცისფერი შუქი. სულ ერთი ბეწო რამაა, მაგრამ ესაა ყველაფერი. გოიამ თვალები დახუჭა და ახლა დაინახა, როგორ უნდა გაეყეთებინა ეს.

შეშაობდა. ცვლიდა. ერთ ნამცეცს ჩამოაცლიდა, ერთ ნამცეცს დაუმატებდა. ყველაფერი თავისთავად, იოლად გამოდიოდა. წარმოდგენლად მოკლე ვადაში დაამთავრა პორტრეტი.

ახლა აკვირდებოდა თავის ნახელავს. კარგი რამ იყო. იგი მან შექმნა. ეს იყო რაღაც დიდი და ახალი. ეს იყო ლუსია ისეთი, როგორიც ის სინამდვილეში იყო, ისეთივე გაციკროვნებული და მოციმციმე. მან დაიჭირა ხელშეუვლები, წამიერი. ეს იყო მისი შუქი, მისი ჰაერი, მისი თვალით დანახული სამყარო.

ფრანსისკოს სახე დაუმშვიდდა, სიამოვნებისაგან თითქმის უაზრო გამომეტყველება მიიღო, კმაყოფილებით მოთენთილმა სავარძელში შევებით მოიკალათა.

შემოვიდა აგუსტინი. კუშტად მიესალმა გოიას, გადადგა ორიოდ ნაბიჯი. სურათს არც შეხედა ისე ჩაუარა გვერდი, მაგრამ თითქოს რაღაცამ მიიზიდა მისი ყურადღება, ერთბაშად შემობრუნდა, მზერა აენთო.

დიდხანს უცქირა პორტრეტს. ჩაახველა.

— ეს სწორედ ის არის, დონ ფრანსისკო, — წარმოთქვა ჩახლეჩილი ხმით, — ახლა ნამდვილად მიგიგნიათ, ახლა შუქიც არის და ჰაერიც, ეს უკვე შენი ნამდვილი რუხი ფერია, ფრანსისკო.

გოიას ბავშვივით გაუბრწყინდა სახე.

— მართალს ამბობ, აგუსტინ? — ჰკითხა და მხრებზე ხელი მოხვია.

— მე იშვიათად ვხუმრობ. — მიუგო აგუსტინმა.

იგი გოიაზე ნაკლებად როდი იყო აღელვებული. მას არ უსწავლია დონ მიგელ ბერმუდესისა და აბატის მსგავსად არისტოტელესა და ვინკელმანისაგან ციტატების ირგვლივ ფრქვევა. ეს არ ეხერხებოდა. ერთი უბრალო მხატვარი იყო, მაგრამ ხელოვნებისა სხვებზე მეტი ესმოდა. იცოდა, რომ ფრანსისკო გოიამ, მისმა ფრანჩომ, ახლა რაღაც დიდს მიაღწია, რითაც გაუსწრო თავის საუკუნეს: განთავისუფლდა ხაზისაგან. სხვები კი მუდამ ხაზის სიფაქიზეს ჩაკირაკიტებენ. მათი მხატვრობა მხოლოდ გაფერადებული ნახატები იყო. ის, ფრანსისკო კი, ასწავლის ადამიანებს, ახლებურად დაინახონ ქვეყანა. დაინახონ მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მიუხედავად თავის თავზე ზვიადი წარმოდგენისა, შესაძლოა თვითონაც არ ესმის, რა დიდი და ახალი რამ შექმნა.

გოიამ ახლა განზრახ ნელა აიღო ფუნჯები და გულმოდგინედ შეუდგა მათ რეცხვას. ამ საქმიანობისას, გულში გახარებულმა, კვლავ განზრახ ნელა თქვა:

— ხელახლა უნდა დაგხატო. აგუსტინ. შენი გაზინზლილი ყავისფერი პიჯაკი ჩაიცვი და შენი უქმური გამომეტყველება მიიღე. ეს დიდებული შეხამება იქნება ჩემს რუხ ფერთან. ხომ მართალია? აი, ნახავ, შენი უქმური სიფათი და ჩემი ნათელი ფერი მართლაც რომ დიდ ეფექტს შექმნის.

მერე მივიდა და ცხენოსანი გენერლის უზარმაზარი სურათის წინ დადგა, რომელიც აგუსტინს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინა.

— ცხენის გავა ჩინებულია, — გამოტყდა იგი. შემდეგ კი კიდევ ერთხელ გარეცხა თავისი უკვე სუფთა ფუნჯები.

აღსილი იყო დღეს აგუსტინი
დაუფარავი სიხარულით. რა, ხუმრობაა?
მეგობარია ასეთი კაცის!
თუმც უგერგილოდ, მაგრამ მაინც ის,

ის დაეხმარა, დაუდგა ვერდიო,
რომ მის საყვარელ ფრანსისკო-ფრანჩოს
ამგვარად, ასე გადაეწყვიტა.
და ალტაცებით განათებული
მხატვარს შესცქერდა, როგორც ხანდახან
ჰამა შეჰყურებს ალტაცებული
ვაეს, ტალანტი რომ აღმოაჩნდება,
რომლისგან ათას სიციტეს ელის,
მაგრამ მზადაა სულველაფერი
რომ აპატიოს და მტკიცედ უთხრას
თავს, რომ დღეიდან მშვიდად აიტანს
ენიანობას, განუსჯელობას
და ახირებას ძველ მეგობრისას.

6

მეორე დღეს, გაიგეს თუ არა, სურათი მზადააო, დონ მიგელი
და დონია ლუსია ბერმუდესები ფრანსისკოს სახელოსნოში გაჩ-
ნდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთიმეორის ნაკლოვან მხარეებს იც-
ნობდნენ, ფრანსისკო გოია და მიგელ ბერმუდესი ახლო მეგობრები
იყვნენ. ყოვლის შემძლე ჰერცოგ ალკუდიას, დონ მანუელის, პირ-
ველი მდივანი, დონ მიგელი, ესპანეთის ბედის ფარული გამგებელი
იყო. როგორც მოწინავე პიროვნებას და ფრანგების მომხრეს, დიდი
მოქნილობა სჭირდებოდა ამ დროში ინკვიზიციის ინტრიგებისაგან
თავის დასაცავად. ფრანსისკოს აოცებდა დონ მიგელის თავმდაბლო-
ბა, რის მეოხებითაც იგი თავის ძალაუფლებას უფრო ფარავდა, ვიდ-
რე ამჟღავნებდა. მაგრამ თავმდაბლობას როდი იჩენდა, როგორც
სწავლული და ხელოვნების ისტორიკოსი და მის მიერ გამოქვეყნე-
ბულ მხატვართა ლექსიკონში ერთობ ავტორიტეტულადაც მსჯე-
ლობდა. სენიორ ბერმუდესი რაფაელ მენგისა და ვინკელმანის თე-
ორიის მიმდევარი იყო, სწამდა მხოლოდ კეთილშობილური, სადა
ხაზები და მხატვრობაში ძველის მიბაძვას მოითხოვდა. რაფაელ
მენგსი და გოიას ცოლისძმა ბაიეუ თანამედროვე ესპანეთის დიდ
მხატვრებად მიაჩნდა და გულდაწყვეტილი, პედანტურად ტუქსავდა
მეგობარ ფრანსისკოს, რომ ამ ბოლო დროს იგი სულ უფრო და
უფრო უხვევდა გვერდს კლასიკურ თეორიას.

ფრანსისკო ბავშვივით გახარებული მოელოდა, როგორ დაუმტკიცებდა მეგობარს მისი მეუღლის სურათით, თუ რისი მიღწევა შეიძლება ხატვის დადგენილი წესიდან გადახვევით. დარწმუნებული იყო, რომ მიგელი, მიუხედავად მკაცრი დოქტრინისა, ჭეშმარიტ ხელოვნებას აღიარებდა. თავაზიან მეგობარს თუმცა ძალიან ანტერესებდა გოიას ახალი ნამუშევარი, მაინც მოჩვენებით გულგრილობას იჩენდა; გოიას სურდა ეცლია მისთვის კვლავ თავისი პრინციპების მიხედვით გამოეთქვა აზრი და შემდეგ კი გაციკროვნებული დონია ლუსიათი გაეოცებინა. ამიტომ დახატული ქალი მთელი მისი ჰაეროვნებით, შუქითა და მშვენიერებით პირით კედლისკენ ისე მიიბრუნა, რომ სურათის მხოლოდ ცარიელი, ხაოიანი, მორუხო-ყავისფერი უკანა მხარე ჩანდა.

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გოია მოელოდა. დონ მიგელი ფეხი ფეხზე შემოდგმული იჯდა, ოდნავ გაპუდრულ, შუბლნათელ, ოთხკუთხ სახეზე ღიმილი უთამაშებდა და მის მიერ მოტანილ სქელტანიან საქალაღეზე მიუთითა.

— ბედი მეწია და, მიუხედავად დავიდარაბისა, ხელთ ვიგდე ეს პარიზული გრავიურები. პირდაპირ გაცოდებით, ჩემო ძვირფასებო, შენ, ფრანსისკო, და თქვენ, დონ ავუსტინ! გრავიურები მორელისაა. ისინი შესრულებულია უაკ-ლუი დავიდის უკანასკნელი წლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიდან.

უაკ-ლუი დავიდი, საფრანგეთის ცნობილი მხატვარი, იმ კლასიკური სკოლის სულის ჩამდგმელი იყო, რომელსაც ბერმუდესი დიდად აფასებდა.

ძველ კლასიკურ სცენებთან ერთად, გრავიურები თანამედროვე ადამიანებსა და ამბებს ისევ ანტიკური მანერით გამოხატავდნენ: ფრანგი დეპუტატები ტენისის დარბაზში ფიცს სდებდნენ, რომ აღარ მოითმენდნენ ტირანიის თვითნებობას, აქვე იყო დემულისისა და დანტონის პორტრეტები და, რაც მთავარია — აბაზანაში მოკლული მარატის გრავიურაც.

ფრანგი მხატვრის ნაწარმოებები ფრანსისკოს ბუნებისა და შემოქმედებისათვის უცხო იყო. მიუხედავად ამისა, არავის შეეძლო მასზე უკეთ გაეგო, რაოდენი ხელოვნება იყო ჩაქსოვილი ამ სურათებში. აი, თუნდაც მოკლული მარატი. მისი გვერდზე გადაწეული თავი უღონოდაა მისვენებული, აბაზანიდან უმწეოდაა გადმო-

კიდებული მარჯვენა, ხოლო მარცხენას კი ისევ უჭირავს ცბიერი მკვლელის მიერ მოტანილი თხოვნა. იგი მშვიდად იყო მოფიქრებული და ოსტატის უგრძნობი ცივი ხელით დახატული, მაგრამ მაინც როგორ ამაღლევებლად. რეალისტური გამოსახვის მიუხედავად, რა მშვენიერი და დიდებული იყო მოკლულის უშნო სახე. რა ძლიერ ჰყვარებია მხატვარს ეს „ხალხის მეგობარი“. მისი მაცქერალი გოია სურათზე მომხდარმა ამბავმა მშვენიერი და სასტიკი სინამდვილით ისე გაიტაცა, რომ იმ წამს სხვისი ნაწარმოების კრიტიკის ქარცეცხლში გამტარებელი ხელოვანი კი აღარ იყო, არამედ შეიპყრო შიშმა ბედისწერისა, რომელიც ყოველ კაცს უდარაჯებს, რათა მოულოდნელად საფარიდან ამოხტეს და თავს დააცხრეს მოლბერტის წინ მუშაობისას, საწოლში სიყვარულით ტკობისას, აბაზანაში განცხრომისას.

— ამ მხატვრის სურათების მნახველს ტანში ურუანტელი დაუვლის, — თქვა ბოლოს, — დიდი, მაგრამ საზიზღარი ადამიანია. — და უცებ ყველას გაახსენდა, როგორ მისცა ხმა მხატვარმა და რევოლუციონერმა დავიდმა ეროვნებათა კონვენტში თავისი მფარველის, ლუი მეთექვსმეტის, სასიკვდილო განაჩენს. — ერთი თვითაც არ ვისურვებდი გამეცვალა ჩემი ცხოვრება მისაზე, თუნდაც სანაცვლოდ ველასკესის დიდება შემოეთავაზებინათ.

სენიორ ბერმუდესი კი ირწმუნებოდა, ფრანგი მხატვრის სურათები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება ანტიკური მოძღვრებიდან გამომდინარეობსო და რომ ყველაზე მეტად ეს ხაზებში მყდუნდებაო. ფერები კი თურმე აუცილებელი ჭირი ყოფილა და მას ერთადერთი ფუნქცია ჰქონია — დამორჩილებოდა ხაზებს.

ფრანსისკომ გულკეთილად ჩაიცინა. ახლა აგუსტინმა აღიმალა ხმა. ის დიდ პატივს სცემდა სენიორ ბერმუდესს, როგორც გამბედავ და მოხერხებულ პოლიტიკოსს, მაგრამ დანარჩენი ყველაფერი სძაგდა ამ კაცისა. უპირველეს ყოვლისა, ვერ იტანდა სკოლის მასწავლებლის დამახასიათებელ მის მშრალ, პედანტურ ენთუზიაზმს და ვერ მიმხვდარიყო, როგორ გაჰყვა მას ცოლად ლუსია ბერმუდესის-თანა ნატიფი და მომხიბლავკულულებიანი მანდილოსანი; ის ხომ მხოლოდ ორფეხა ენციკლოპედია იყო და სულიერად გამოფიტული. აგუსტინს ღვარძლიანად უხაროდა იმის გაფიქრებისას, თუ როგორ

შეარცხვენდა აქ, დონია ლუსიას წინაშე, ფრანსისკოს ნაწარმოები ბერმუდესსაც და მთელ მის სულიერ თეორიასაც.

აგუსტინმა გახსნა თავისი თხელბაგიანი, ავეია პირი და დაგუბული ხმითა და უჩვეულო თავაზიანობით წარმოთქვა:

— თქვენ მიერ ნაჩვენები დავიდის ნახატები მართლაც ხელოვნების ერთ-ერთ მწვერვალად მიმაჩნია.

— ერთადერთ მწვერვალად. — გაუსწორა ბერმუდესმა.

— ვთქვათ ერთადერთ მწვერვალად. — მოახსენა აგუსტინმა, — მიუხედავად ამისა, შემიძლია წარმოვიდგინო, — განაგრძო მან ცბიერი, თავაზიანი ტონით, — რომ ფერებითაც, რომელთაც თქვენ უგულვებელჰყოფთ. შეიძლება მიღწეულ იქნას გასაოცარი ეფექტი, მწვერვალი ეფექტი.

— მესმის, დონ აგუსტინ, რასაც თქვენ გულისხმობთ, — თქვა დონ მიგელმა, — ჩვენ, მე და დონია ლუსია, მოუთმენლად ველოდებით პორტრეტს, რომელიც აქამდე, აქამდე... — წინადადება აღარ დაუმთავრებია, რადგან ახლა მოლბერტიდან დახატული ნარნარი ლუსია იცქირებოდა.

დონ მიგელი იდგა და ხმას არ იღებდა, ხელოვნების მკოდნეს, წინასწარ მოფიქრებული თეორიის საზომით სურათების შეფასებას ჩვეულს, დაავიწყდა თავისი პრინციპები. ქალი ტილოზე მისი ლუსია იყო, რომელსაც იცნობდა, და ამავე დროს სხვა ამაღელვებელი არსებაც. შეხედა ცოცხალ ლუსიას და, თავის წესების მიუხედავად, ძლივს მალავდა უხერხულობის გრძნობას.

ლუსია მაშინ, როცა დონ მიგელმა მოიყვანა, უბრალო მახა იყო, ხალხიდან გამოსული გოგონა: იგი ცეცხლოვანი და სიცოცხლით სავსე იყო. მისი შერთვის უეცარი გადაწყვეტილება ძნელად გასაბედავ საქმედ ითვლებოდა. მაგრამ ინსტინქტმა, გამოცდილებამ და კლასიკოსების მოძღვრებამ დონ მიგელს ასწავლა, ვინც საქმეს თავის დროზე გვერდს აუვლის, ხშირად ხელცარიელი რჩება, რადგან ღმერთები მოკვდავს დიდ მოწყალებას სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გადმოუგდებენო. და არც გახდომია სანანებლად ეს ნაჩქარევი ნაბიჯი. დღესაც ისე უყვარდა და ეთაყვანებოდა თავის მშვენიერ მეუღლეს, როგორც პირველ დღეს; ამ ხნის განმავლობაში ლუსია მეტად საეჭვო ქუჩის გოგონადან ღირსპატივსაცემ სენიორა ბერმუდესად იქცა. აგი ბევრს კიდევ შურდა დონ მიგელისთვის. ახლა ტილოდან

რქვირებოდა მაღალი წრის ქალბატონი, მომხიბლავი და ტანკენარი. მის ირგვლივ იფრქვეოდა უხილავი ვერცხლისფერი ცილი და ღონ შიგელი მიხდვა, რომ მისი ლუსია, წლების განმავლობაში საფუძვლიანად შესწავლილი რომ ეგონა, დღესაც ისეთივე მახა, ისეთივე ამაღელვებელი, უცხო, გამოუცნობი და საშიშარი იყო, როგორც პირველ დღეს. გოიამ მხიარული კმაყოფილებით შეამჩნია დაბნეულობა მეგობარს, რომელსაც ყოველთვის შესანიშნავად ეხერხებოდა თავის დაჭერა. დიახ, ჩემო ძვირფასო მიგელ, შენი მუსიო დავიდის მეთოდები მშვენიერია: ნათელი ხაზები კარგი საქმეა. მათი მეოხებით ნათელი საგნები ნათლად გამოისახება, მაგრამ ცხოვრება და ადამიანები ყოველთვის როდი არიან ნათელი. ბოროტი, საშიში, ეშმაკისეული და უჩინარი შენი საშუალებებით არ დაიხატება, ამას ვერც პატივცემულ ძველ ხელოვანთაგან შეისწავლი. აქ ვერაფერს გახდება შენი ვინკელმანი, ვერც შენი მენგის და ვერც თვითონ შენ.

ფრანსისკომაც დახატული ქალიდან ცოცხალზე გადაიტანა მზერა. ღონია ლუსია დამუნჯებული უყურებდა სურათს. მაღალ, მედიდურ წარბებქვეშ გამოშხირალი წვრილი, ირიბჭრილიანი თვალებით სურათიდან ანარეკლ მოციმციმე შუქს მისჩერებოდა, მისმა ყინიანმა სახემ ნიღბი ოდნავ ჩამოიცილა, ფართო პირი თავისუფლად გაეხსნა, ღიმილმა გადაურბინა, არა ჩვეულებისამებრ მსუბუქმა და დამცინავმა, არამედ უფრო იღუმალმა, საშიშმა, უხამსმა და ბიწიერმაც კი. გოიას ერთბაშად მოაგონდა ერთი ეპიზოდი, რომელიც დავიწყებული ჰქონდა და დიდხანს ცდილობდა გაეხსენებინა. ერთხელ გოია პრადოზე მანდილოსანთან ერთად სეირნობდა. მას ერთი აველი ანერა, ნუშის გამყიდველი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგონა მიუახლოვდა. გოიამ მოისურვა ნუშით გამასპინძლებოდა თავის მანდილოსანს. გოგონამ ძვირი დაუფასა, მან კი მცირე შეაძლია. მაშინ ახალგაზრდა გამყიდველმა, როგორც ნამდვილ მახას შეეფერებოდა, ქოქოლა მიაყარა მუშტარს და დასცინა: — ორ რეალად? კეთილი, ჩემს პატრონს ვკითხავ. დამიცადეთ აქ, მშვენიერო ბატონო, ნახევარ წელიწადში დავბრუნდები უკან და პასუხს მოგახსენებთო. და მაშინვე თავის ამფსონებს დაუძახა: „აქეთ მოდით, ჩემო კარგებო. აქ არის ფულის მფანტველი კაცი, მეტად გულუხვი! მზადაა თავის მანდილოსანისთვის ორი რეალი გაიმეტოს“. შერცხვენილმა და გაბრაზებულმა გოიამ უტიფარ გომბიოს ხუთი რეალი გადაუგდო. ახლა უხაროდა,

რომ დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბიდან რალაც შეიტანა თავის ლუსიას პორტრეტში იმ უხამსი, ყაჩაღანა, უტიფარი პასუხისა და უხეში ხუმრობის მოყვარული ლუსიასი. უხაროდა, რომ მისმა სურათმა ოდნავ მაინც ჩამოხადა ნილაბი ლუსიას. ამასობაში კი, როცა ქალი პორტრეტის წინ იდგა, დონ აგუსტინი ხედავდა, ცოცხალი ქალის სიტურფე როგორ ამალღებდა პორტრეტის სილამაზეს, ხოლო პორტრეტის სილამაზე — ცოცხალი ქალის მშვენიერებას და მხატვრის გული წადილითა და ნეტარებით ივსებოდა.

ყველა წინანდებურად დუმდა. ბოლოს დონია ლუსიამ გახსნა ბაგე და თავის ოდნავ გაჭიანურებული ხმით უთხრა ფრანსისკოს:

— არ მეგონა, თუ ბიწიერიც ვიყავი.

ამჯერად მისი ხუმრობის კილო და ღიმილი ნილაბი კი აღარ იყო, არამედ გულახდილი აღიარება. უეჭველია, ქალი იწვევდა ფრანსისკოს და სურდა თავისივე ქმრის წინაშე დაეწყო მის მეგობართან სახიფათო თამაში.

გოიამ საკმარისად სცნო თავაზიანი პასუხი:

— მოხარული ვარ, რომ ჩემი პორტრეტი მოგეწონათ, დონია ლუსია.

მათმა გაბაასებამ აგუსტინი ალტაცებიდან გამოიყვანა და გაახსენა, რომ დონ მიგელის შერცხვენა ჰქონდა განზრახული.

— მაინტერესებს გავიგო, — უთხრა თავისი ჩახლეჩილი ხმით, — არის თუ არა ბატონი თქვენი მეუღლე თქვენსავით კმაყოფილი ამ სურათით?

დონ მიგელმა პირადი განცდების დასაძლევად თავს ძალა დაატანა, მაგრამ მის არსებაში ხელოვნების თეორეტიკოსი სურათით არანაკლებ იყო გაოცებული, ვიდრე დონია ლუსიას ქმარი. ვერ იცრუებდა: ეს ყოველგვარ წესებს გადასული ნაწარმოები ამალელებელი, მოსაწონი და მშვენიერი იყო.

— აქ ყველაფერი წესებს სცილდება, — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ უნდა გამოეტყდე, რომ დიდებულაია.

— თქვენ გულწრფელი ბრძანდებით, — უთხრა აგუსტინმა და მის ჩამომხმარ, გაძვალტყავებულ სახეზე ღიმილმა გადაირბინა.

ხოლო პატიოსანმა დონ მიგელმა კიდევ დაუმატა:

— მე ხომ მინახხარ ლუსია ამ ყვითელ კაბაში გამოწყობილი დონ მანუელთან მეჯლისზე. უამრავი სანთლების შუქზე საოცრად

მომხიბლავი იყავი, მაგრამ ამ სურათში ბევრად უკეთესი ხარ. ამას-თანავე, სინამდვილიდან არ გადაუხვევია ამ ჯადოქარს. როგორ მიაღწიე ამას, ფრანსისკო?

— მე შემძლია ეს მოგახსენოთ, დონ მიგელი, — მშრალად მიუგო აგუსტინმა, — სინამდვილეზე კიდევ მეტი რამაც არსებობს.

აგუსტინის გესლიან სიტყვებს დონ მიგელი არ გაუჯავრებია, აგრეთვე სურათით გამოწვეულმა სულის შემსუთავმა ეჭვებმა და ფიქრებმაც გაუარა და აღარ აწვალებდა. იგი ხელოვნების ძვირფასი ნიმუშების ფანტიკოსი კოლექციონერი იყო და გული სიხარულით აღევსო, რომ ასე იაფად, პირდაპირ მუქთად იგდო ხელთ ყოველგვარ კანონის საზღვარს გადაცილებული, მაგრამ ამაღლელებელი და ხელოვნების ისტორიისათვის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები.

დონ მანუელის საქმეები მას აწვა კისრად და მეტად მოუცლელი იყო. მიუხედავად ამისა, არ ჩქარობდა მეგობრის სახელოსნოდან წასვლას. ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა და დავიდის გრავიურებს ანგარიშმიუცემლად ატრიალებდა ხელში.

— მაინტერესებს, ფრანსისკო, ჩემს ჰერცოგს რომ დახატავ, შენს ახალ მეთოდს გამოიყენებ თუ არა? — და რადგან გოიამ შეხედა, ვითომც არაფერიაო, ისევ განაგრძო: — მას შემდეგ, რაც დონ მანუელი მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა, თავისთავად ცხადია, უნდა გთხოვოთ მისი სულ ცოტა ორი პორტრეტი მაინც დაწერო, გარდა ამისა, კიდევ დაგვჭირდება აუარებელი ასლები სამინისტროებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებებისათვის.

გოიას უხაროდა. მისი მეგობარი მიგელი საჩუქრის მიღებას არ აპირებდა, დონია ლუსიას პორტრეტში არაფერს იხდიდა, მაგრამ სამაგიეროდ მხატვარს ღირსეულ და სარფიან შეკვეთებს ჰპირდებოდა. ტულონის დაცემამ გოიას ცხოვრებაზეც იქონია გავლენა; მართალია, თავს მოახვია პეპას მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა, მაგრამ სარფიანი შეკვეთებიც გაუჩინა.

დონ მიგელი ამასობაში ისევ არხეინი, უზრუნველი ტონით განაგრძობდა:

— თუ თანახმა ხარ, ამ დღეებში მოგიწყობ ხანგრძლივ მოდელირებას დილის ტუალეტის დაწყებიდანვე.

— ძალიან დამავალე, — უთხრა გოიამ.

მაგრამ სენიორ ბერმუდესს სათქმელი კიდევ ჰქონდა:

— ზოგი რამ უეჭველად შეიცვლება ახლა, სახელმწიფოს მართვა-გამგეობა დონ მანუელის ხელთაა, ქვეყანას მოუწევს იმ აზრის შეგუება, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა არსებობს და მას ანგარიში უნდა გაეწიოს.

აგუსტინმა თავი ასწია.

— სწორად გაგიგეთ? — იკითხა მან სწრაფად, — დონ მანუელი ქვეყნის შინაურ პოლიტიკას ისევ ძველ პრინციპებს დაუქვემდებარებს? ლიბერალების საწინააღმდეგო ზოგიერთი ღონისძიებების გაუქმებას აპირებს?

— სწორედ ასეა, — მიუგო ბერმუდესმა, ხელში კვლავ გრავიურებს ათამაშებდა და ფრანსისკოსთვის არც შეუხედავს, ისე მიმართა: — სხვათა შორის, შენ შეგიძლია ჩვენი დახმარება, დონ ფრანსისკო. თავადაც იცი, როგორ სიამოვნებს დონ მანუელს შენთან ყოფნა. იქნებ მოდელირების დროს შეძლო წააქეზო იგი ერთი პოლიტიკური ღონისძიების გასატარებლად, — და კიდევ უფრო უზრუნველი, მსუბუქი ტონით დაუმატა: — მგონია, ხელსაყრელი დრო დადგა დონ გასპარის დასაბრუნებლად.

მშვიდი აგუსტინი აღელვებული წამოიჭრა. გოია ღრმად ქმინავდა და ბრტყელცხვირა სახე უსიამოვნოდ დაღრეჯოდა.

საქმე შეეხებოდა დონ გასპარ მელჩორე დე ზოველიანოსს — ამ ქვეყნის ყველაზე პატივცემულ ლიბერალს და მწერალს, რომელსაც „ესპანეთის ვოლტერს“ ეძახდნენ. წინანდელი მეფის დროს ზოველიანოსი მინისტრად იყო და ბევრი სასარგებლო რეფორმა გაატარა. კარლოს მეოთხემ და დონ მანუელმა ვერ იგუეს სასტიკი, მუდამ მოუსვენარი კაცი, რომელმაც ბევრჯერ წააჩხუბა მეფე ინკვიზიციასთან და რეაქციულად განწყობილ დიდებულებთან. ლიბერალების ბელადისა და მემბოხის თავიდან მოსაცილებლად საფრანგეთის რევოლუცია კარგი საბაბი იყო, იგი თავის სამშობლოს შორეულ მთებში გაგზავნეს და აუკრძალეს ნაწარმოებების გამოქვეყნება. იოლი საქმე როდი იყო, ასეთი კაცის შეწყნარება ეთხოვა ვინმეს დონ მანუელისათვის.

ფრანსისკო დუმდა. აღელვებული აგუსტინი ფართო ნაბიჯებით ბოლთასა სცემდა. დონია ლუსია ხელში მარაოს ათამაშებდა და თავისი გამოუტყნობი თვალებით ცნობისმოყვარედ შეჰყურებდა გოიას უკმაყოფილო სახეს.

— რად დაგვირდი ასეთი საქმისათვის, მიგელ? — ჰკითხა ბოლოს ფრანსისკომ, — რატომ თვითონ არა სთხოვ ხოველიანოსის თაობაზე?

— როგორც კი ჩემი ჰერცოგი ხელისუფლების სათავეში მოექცა, — თავაზიანი უდარდელობით მიუგო დონ მიგელმა, — გადაეწყვიტე ჩემი ლბერალი მასწავლებლებისა და მეგობრების რეაბილიტაცია მომეთხოვა, მაგრამ დონ მანუელმა, ისევე როგორც ყველამ, ძალიან კარგად იცის, როგორა ვარ დავალებული დონ გასპარისაგან, რომ მას ვუმაღლი მე მთელს ჩემს კარიერას და ფილოსოფიასაც. შენ კი, ფრანსისკო, ეპვემიუტანელი ხარ, იციან, პოლიტიკაში არ ერევი და ვერაფრით ვერ ჩაგთვლიან დონ გასპარის პოლიტიკურ თანამებრძოლად. თუ არ ვცდები, ერთხელ მან შენც გაგიწია რალაც დანმარება. უთუოდ კარგი იქნებოდა შენ მიგეცა პირველი ბიძგი. მერე მეც წინ წავეწვდი საქმეს და როცა ხოველიანოსი დაბრუნდებოდა, გრაფ კაბარუსისა და დანარჩენების რეაბილიტაციას მოვახერხებდი.

ფრანსისკომ გულმოსულად მოიჩეჩა ხშირი თმა. ხოველიანოსის მიერ გაწეულ დანმარებაზე გადაკრულმა სიტყვამ გააბრაზა. ხოველიანოსი მართლაც დაეხმარა, როცა გოია უსახელო და ჯიბეებგაფხეკილი ჩამოვიდა მადრიდში; მან დიდი პორტრეტი შეუტყვეთა და წარჩინებულთა წრეში სახელი გაუთქვა. მაგრამ გოიასთვის ეს უღმობლად მკაცრი აღამიანი მაინც უცხო დარჩა. იგი მასში ისეთსავე მსუსხავ განცვიფრებას იწვევდა, როგორც მხატვარი დავიდი. მისთვის გასაგები იყო, რომ სათნო და უდარდელი დონ მანუელი ვერ იტანდა მკაცრ ხოველიანოსს, რომელიც ცოცხალი საყვედურივით დასტრიალებდა თავს. და ახლა კიდევ ეს მოწყალე მიგელი მოითხოვდა, მას, ფრანსისკოს, გამოეჩინა მადლიერება და დიდბუნებოვნება. გოიამ გაიხსენა ხალხური ლიბრძნე: „კეთილი საქმეებისათვის საიჭიოს ცხონდები, ავისათვის კი სააქაოს მოგეზღვებო“.

დონ მიგელი არწმუნებდა:

— დონ მანუელი საფრანგეთთან ზავის დადებას აპირებს და სწორედ ეხლაა საიმედო, რომ ასეთ უუამდგომლობას წარმატება ხედება წილად.

ეს, ალბათ, მართალი იყო. მიუხედავად ამისა, მიგელის თხოვნა იძულებას ჰგავდა და გოიას სახე, რომელსაც ტყუილი არ ეხერხე-

ბოდა, აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა. გოია ნელ-ნელა იუმ-ჯობესებდა მდგომარეობას, ეს მდგომარეობა მან მუყაითობით, გამძლეობით, მოხერხებით და წინდახედულობით მოიპოვა. ახლა კი, თუ სახელმწიფოს საქმეებში ჩაერეოდა, მიღწეულს საფრთხეს შეუქმნიდა.

— ბოლოს და ბოლოს შენა ხარ პოლიტიკოსი, მე კი მხატვარი, — უკმაყოფილოდ უთხრა მან.

— გაიგე, ფრანსისკო, — ხელახლა მოთმინებით დაიწყო განმარტება ბერმუდესმა, — ამ შემთხვევაში სწორედ შენა ხარ საუკეთესო შეამავალი, იმიტომ რომ პოლიტიკური ამბიცია არ გაგაჩნია.

დონია ლუსია თვალს არ აშორებდა ფრანსისკოს. მარათ თითქმის სულ დაკეცილი ექირა, მკერდისკენ მიბრუნებული, რაც მახების ენაზე ცივ უარს გამოხატავდა, და მის თხელ ტუჩებზე ღიმილი უფრო იღუმალი გახდა. აგუსტინიც დაძაბული მიშტერებოდა გოიას, ოდნავ დაცინვითაც კი, და ფრანსისკომ იცოდა, რომ ერთგული მეგობარი ყოყმანისათვის ჰკიცხავდა. დიდი სიმდაბლე იყო დონ მიგელის მხრივ დონია ლუსიას და აგუსტინის თანდასწრებით ასეთი უსიამო დავალების შეთავაზება.

ჩაიჩურჩულა გოიამ წყენით:

„კარგი, დაეწყებ, დაე ჰფარავდეს
ამ საქმეს ჩვენი წმინდა ქალწული,

დაე,

მან მიხსნას დამარცხებისგან“.

და გულზე ხელებგადაკდობილმა
წმინდა ღვთისმშობელს შეხედა კრძალვით.

მაგრამ ლუსიამ კვლავ მხიარულად

უთხრა მეუღლეს:

„ხედავ, როგორი

მეგობარია შენი ფრანსისკო!

მე არ ვიცოდი, თუ ის ასეთი

გულადი იყო, კეთილშობილიც

და, ერთი სიტყვით, ნაღდი იდალგო“.

გოიამ სტყორცნა აღმასი მზერა..

როცა ის ორნი კარს მიეფარნენ

და თან წაიღეს ლუსიას პორტრეტი,

ეტა ესტევეს: აი, შენ ზიხარ

და იღიმიები შე მაწანწალავ,

შენთვის რა არი, სულ ადვილია...“ —
და გაიხსენა ძველი ანდაზა, —
„ლარიბს არრა აქეს დასაკარგავი“.
ჩაიბუზღუნა მერე ხმადაბლა:
-ეკ, ყოველის მხრივ ისევ ის ძველა
სადარდებელი: ოჯახი, ზრუნვა,
მოვალეობა,
ბანძური ტვირთი“.

7

ორი დღის შემდეგ, დონ მანუელის დილის ტულეტზე გოია შეკვეთილი პორტრეტის დასაწყებად რომ გამოცხადდა, წინადადებაში ხალხით გაჭედილი დახვდა. ღია კარიდან მოჩანდა მდიდრულად მოწყობილი საწოლი ოთახი, სადაც ჰერცოგს აცმევდნენ და ვარცხნიდნენ. აქ შეგროვილიყვნენ ყველა ჯურის მომმარაგებლები, მაქმანებითა და ოქროულობით მოვაჭრენი, აქ იყო ამერიკიდან ახლახან დაბრუნებული კაპიტანი, რომელსაც უცხო ფრინველები მოეყვანა საჩუქრად. იყო აგრეთვე სენიორ პავანიცი, დონ მანუელის სახსრებით ახლახან დაარსებულ გეოგრაფიულ ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქტორი. აქვე იყო სახელმძოხვეჭილი ბოტანიკოსი დონ რობერტო ორტეგა, ჰერცოგისათვის თავისი უკანასკნელი ნაწარმოების მისართმევად, ვინაიდან დონ მანუელი ბოტანიკურ მეცნიერებას მოწყალე თვალთ უყურებდა. მოსულთა უმრავლესობას ახალგაზრდა ლამაზი ქალები შეადგენდნენ, რომელთაც სურდათ მინისტრისათვის თხოვნა მიერთმიათ.

მოახსენეს თუ არა, გოია გეახლათო, დონ მანუელი ნახევრად ჩაცმული, საშინაო ხალათწამოსხმული გამოვიდა წინადადებაში მდივნებისა და მსახურების თანხლებით. ლაქიებს წითელი წინდები ეცვათ, რომელთაც წინათ, სხვებისაგან გამოსარჩევად, მხოლოდ მეფის კარის მსახურები ატარებდნენ, მაგრამ კარლოს მეოთხემ ჰერცოგებს ნება დართო მათს მსახურებსაც ჩაეცვათ განმასხვავებელი წინდები.

დონ მანუელი გულითადად მიესალმა გოიას:

— მე თქვენ მოგელოდით, — უთხრა და შეიპატიჟა თავის ოთახში, თვითონ კი ცოტა ხანს წინადადებაში დაყოვნდა. მოწყალედ და ალერსიანად გამოელაპარაკა რამოდენიმე კაცს, ორიოდე ტკბილი სი-

ტყვით მიმართა კაპიტანს, რომელმაც მტრის ალყა გაარღვია; თავაზიანად გადაუხადა მადლობა ბოტანიკოსს, მაცდურად, მოურიდებლად გადაავლო შემფასებლის თვალი მომლოდინე ქალებს, უბრძანა მდივნებს მათი თხოვნების მიღება, მთელი შეკრებულობა გაისტუმრა და თავის საწოლ ოთახში შებრუნდა გოიასთან.

ვიდრე მის მორთვას დაასრულებდნენ, ვიდრე სენიორ ბერმუდესი ყოველგვარ ქალაღს ხმამაღლა წაუკითხავდა და ხელმოსაწერად მიაწვდიდა, გოიამ საქმეს მიჰყო ხელი. მინისტრის პატარა, მოხდენილ, ლალისფერბაგეებიან, ლამაზ, მსუქან, ზარმაც სახეს რაღაც საოცარი გაქვავებულობის დაღი აჩნდა. გოია მუშაობისას იგონებდა სხვა მხატვრების მიერ ამ სახიდან გადაღებულ მრავალრიცხოვან უხეირო სურათს და გულში ეცინებოდა. ამ სურათების უვარჯისობა იმით აიხსნებოდა, რომ მხატვრები ცდილობდნენ გმირული გამომეტყველება მიეცათ მისთვის. იოლი როდი იყო დონ მანუელის ნამდვილი სახის დანახვა, ბევრს იგი სძულდა. ქვეყნის საქმე ცუდად მიდიოდა და მეფის ერთგული ესპანელები თავიანთ მონარქს კი არ ამტყუნებდნენ ამაში, არამედ გადამითეულ, იტალიელ დედოფალს და უპირველეს ყოვლისა მის საყვარელს, მას — კორტეხოს, დონ მანუელს. ის დაბალი წრიდან იყო გამოსული და, გარდა თავისი იღბლიანი ბედისა, არაფერი გააჩნდა და ამიტომ ქცევაც შესაფერისი უნდა ჰქონოდა და არ უნდა წარმოედგინა თავი მბრძანებლად ან მეფედ.

გოია კი სხვანაირად ფიქრობდა. ახალგაზრდა ბატონს სწორედ საკუთარი ბედნიერება და ზღაპრული წინსვლა აძლევს სიმპათიურ იერსო.

მანუელი დაიბადა უბრალო ოჯახში ბადახოსში, ცხვრის ფარებით მდიდარ ესტრამადურაში. ჯერ კიდევ ყმაწვილი, როცა გვარდიის ლეიტენანტი იყო, მეფის კარზე გამოჩნდა და თავისი ვაჟკაცური, ლამაზი გარეგნობითა და სასიამოვნო ხმით მოხიბლა ტახტის მემკვიდრის მეუღლე, ასურიელი პრინცესა. ხალისიანმა მანდილოსანმა მას ზურგი არ შეაქცია არც მაშინ, როცა სადედოფლოდ ითვლებოდა და არც დედოფლობის დროს. ახლა ოცდამეოთხეტი წლის წარმოსადეგი ახალგაზრდა მანუელ დე გოდოი ი ალვარეს დე ფარია პერცოგ ალკუდიად იწოდებოდა. იგი იყო ვალონიის ლაიბგვარდიის გენერალი, დედოფლის პირადი მდივანი, სამეფო კარის საბჭოს პრეზიდენტი, ოქროს ვერძის მედლის კავალერი, ყველაფრის მქონე, რასაც კი მოი-

სურვებდა, და მამა მეფის ორივე უმცროსი ბავშვისა — მეფის ასულ იზაბელასი და მეფისწულ ფრანსისკო დე პაულასი, ისევე როგორც მრავალრიცხოვანი უკანონო ბავშვისა.

გოიას ესმოდა, რომ ძნელია ამოდენა ბედნიერება ზილო და ბოროტი გული არ გქონდეს. ღონ მანუელი კი სათნო ადამიანად დარჩა, ქედს იხრიდა ხელოვნებისა და მეცნიერების წინაშე, მგრძნობიარე იყო მშვენიერებისადმი და მრისხანე მხოლოდ მაშინ, როცა ვინმე მის სურვილს წინ აღუდგებოდა. იოლი საქმე როდი იყო ახალგაზრდა ჰერცოგის ფართო სახის ნახატში გაცოცხლება, რადგან მანუელი სიამოვნებით იდგა გაუნძრევლად და ამ დროს სრულიად არხეინ, მედიდურ გამომეტყველებას ლებულობდა. ფრანსისკოს იმედი ჰქონდა, რომ ჰერცოგისადმი სიმპათიური განწყობის წყალობით, შეიძლება ხილულად ექცია მის ოდნავ მოწყენილ ნიღაბში მიმალული სიცოცხლის სიყვარული და ხალისი.

ღონ მანუელმა ხელი მოაწერა წარმოდგენილ ქაღალდებს.

— ახლა კი, — მოახსენა სენიორ ბერმუდესმა, — თქვენს აღმატებულებას უნდა მოვახსენო ისეთი ამბები, გარეშეებთან რომ არ ითქმება. — და გაღიმებულმა გოიას შეხედა.

— ღონ ფრანსისკო გარეშე როდია, — ალერსიანად თქვა ჰერცოგმა და მიგელი მოსახსნებლად მოემზადა.

სათრანგეთის რეგენტის რწმუნებული მუსიო დე ავრე მედიდური ტონით მოითხოვდა, რომ ესპანელებს ურჯულო ფრანგების წინააღმდეგ უფრო ინტენსიურად ეწარმოებინათ ბრძოლა. ღონ მანუელი ამ ამბავმა უფრო გაართო, ვიდრე გააჯავრა.

— ვერონის სასტუმროს ნომერში მჯდომარე ჩვენი ჩასუქებული პრინცი ლუისათვის ადვილია ბრძოლა, — ბრძანა მანუელმა და მხატვარს განუმარტა: — ის ცხოვრობს სასტუმრო „სამ კუზიანში“ და ჩვენ რომ ფულს არ ვუგზავნიდეთ, იძულებული გახდებოდა ორი ოთახიდან ერთი დაცალოს. სახელდობრ რას მოითხოვს? — მიმართა ისევე ბერმუდესს.

— ავრე გამომიტყდა, რომ მის ხელისუფალს იმედი აქვს ესპანეთიდან ათი მილიონი ფრანკისა და სულ მცირე ოცი ათასი კაცის მიღებისა. — მოახსენა ბერმუდესმა.

— ავრეს ლამაზი ქალიშვილი ჰყავს, — აღიარა ღონ მანუელმა, — თუმცა გამხდარი კია, ცარიელი ძვალი და ტყავია. მე გამხდრების

საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მეტისმეტად სუსტიც არ ვარგა. თქვენ როგორ გგონიათ, დონ ფრანსისკო? — და პასუხს არც დაელოდა, ისე მისცა განკარგულება დონ მიგელს: — აცნობეთ მუსიო დე ავრეს, რომ ჩვენ გავაკეთეთ, რაც შეგვეძლო და, ღვთის გულისათვის, ერთხელ კიდევ გაუგზავნეთ ხუთი ათასი ფრანკი. მართლა, ერთი მითხარით, მოგცათ თუ არა სურათის საფასური? — მიუბრუნდა გოიას. და უარყოფით პასუხზე თქვა: — ასეთია ცხოვრება. ხუთი წლის წინ მუსიო დე ავრე ვერსალის სასახლის ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი იყო და ახლა თავის მხატვარსაც ვერ ისტუმრებს.

— სამწუხაროდ, — განაგრძობდა მოხსენებას ბერმუდესი, — მართო მუსიო დე ავრე როდი თხოულობს ფრონტზე დამხმარე ძალების გაგზავნას. ამასვე გვითვლის გენერალი გარსინი და უფრო დაყინებითაც. ბრძოლის ველიდან ცუდი ამბები მოდის, — განაგრძობდა იგი და ფურცლავდა ქაღალდებს, — ფიგერა დაეცა. — დააბოლოვა თავისი მოხსენება.

ჰერცოგს აქამდე პოზა არ შეუცვლია. ახლა თავი ასწია, მოულოდნელობისგან შეცბა და ბერმუდესისკენ მიიხედა. მაგრამ მყისვე შემოტრიალდა და აღრინდელი პოზა მიიღო.

— მაპატიეთ, დონ ფრანსისკო, — უთხრა მან.

— გარსინის ეშინია, — განმარტავდა დონ მიგელი, — ჩვენი მოკავშირეები რომ დამარცხდნენ, ვაითუ ფრანგებმა თავიანთი ჯარები სხვა ფრონტიდან მოხსნან და პირენეებზე გაგზავნონო, გარსინის ეშინია, დახმარებას თუ ვერ მივიღებ, ვაითუ ფრანგებმა ერთ კვირაში ებროს მიაღწიონო.

გოიას ეგონა, ახლა დონ მანუელი დამითხოვსო, მაგრამ იგი პოზას არ იცვლიდა.

— არა მგონია, — ხმამაღლა გამოთქვა თავისი აზრი, — არა მგონია, გარსინის დამხმარე ძალები მივაწოდო, — და რაკი ბერმუდესმა შესიტყვება მოინდომა, განაგრძო. — ვიცი, ეკლესია შემომწყრება, მაგრამ ამას როგორმე ავიტან. მოკავშირეებზე მეტი ჩვენ გავაკეთეთ. განა ქვეყანა სისხლისაგან უნდა დაიცალოს? მეფის კარი თანდათან იზღუდება. დონია მარია ლუიზამ ორი შტალმაისტერი და ათი ლაქია დაითხოვა. არა მგონია, დედოფალი მეტ დათმობაზე წავიდეს, —

ოდნავ ხმას აუწია, მაგრამ გოიას მითითებული ადგილიდან არ დაძრულა.

— რა ვაუწყო გენერალ გარსინის? — ჰკითხა ბოლოს ბერმუდესმა.

— საფრანგეთის რესპუბლიკა, — მიუგო დონ მანუელმა, — ომის წამკვეპ გენერლებს გილიოტინაზე გზავნის, ჩვენ მხოლოდ მით ვკმაყოფილდებით, რომ დამხმარე ძალებს არ ვაწვდით. ეს აცნობეთ, გეთაყვა, გენერალ გარსინის, მაგრამ თავაზიანად.

— როგორც ჩანს, — განაგრძობდა მოხსენებას დონ მიგელი, — ჩვენმა მოკავშირეებმა ფრანგების დამარცხების ყოველგვარი იმედი დაკარგეს. პრუსიის წარმომადგენელმა თავისი მთავრობის მოსაზრება ომის თაობაზე კარგა მოზრდილ მემორანდუმში გამოაქვეყნა.

— მოკლედ მომახსენეთ, გეთაყვა, — სთხოვა დონ მანუელმა.

— ჰერ ფონ როდე, — მიუგო ბერმუდესმა, — აღნიშნავს, რომ მის მთავრობას განზრახული აქვს ზავი ჩამოაგდოს, თუკი როგორმე მიალწვეს ოდნავ ასატან პირობებს. ჩვენც იგივეს გვირჩევეს.

— რა მიაჩნია ოდნავ ასატან პირობებად? — ჰკითხა დონ მანუელმა.

— თუ ჩვენ საფრანგეთის რესპუბლიკა სიკვდილით დასჯილ მეფე-დედოფლის ბავშვებს მოგვცემს, პრუსია ამას საპატიო ზავად მიითვლის.

— მამულებსაც თუ ვერ მივიღებთ, საფრანგეთის მეფის ბავშვებისათვის თხუთმეტი მილიონი რეალი და თორმეტი ათასი მკვდარი ესპანელი ძალზე ძვირი საფასურია. ასე არ არის, დონ ფრანსისკო?

გოიამ თავაზიანად გაუღიმა. ესიამოვნა, რომ დონ მანუელმა საუბარში ჩარია. ხატვას განაგრძობდა, მაგრამ დაძაბული კი უსმენდა.

— თუ მცირეწლოვანი მეფე ლუი და Madame Royale ჩვენი მფარველობის ქვეშ იქნებიან, — განაცხადა ბერმუდესმა, — მაშინ საფრანგეთის მონარქიის იდეები ჩვენს მიწა-წყალზე განაგრძობს სიცოცხლეს. ეს როდი იქნება არასაკადრისი ზავი.

— იმედი მაქვს, დონ მიგელ, — მიუგო ჰერცოგმა, — რომ ბავშვებისთვის ნავარის სამეფოს მაინც დაათმობინებთ.

ბერმუდესი თავაზიანად შეეპასუხა:

— ძალ-ლონეს არ დავიშურებ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ

ვმისობ. თუ გარსინის დამხმარე ძალას ვერ მივაწვდით, მხოლოდ ბავშვებით მოგვიხდება დაკმაყოფილება.

მან აკრიფა თავისი ქალაქლები, გამოემშვიდობა და წავიდა.

გოიას პოლიტიკურმა საუბარმა დააინფიცა მიზანი, რისთვისაც დონ მიგელმა ჰერცოგთან შეხვედრა მოუწყო. ახლა კი ზოველიანოსის საქმე ლოდივით დააწვა გულზე. თავის თავს ეკითხებოდა, თუ როგორ დაეწყოს შუამდგომლობა. მაგრამ ამასობაში დონ მანუელმა დაიწყო:

— ბევრი მომთხოვეს, — თქვა. ჩაფიქრებულმა, — რომ გარსინი უკან გამოვიწვიო. აგრეთვე ბევრი იმასაც მოითხოვეს, აღმირალი მასარედო უკან გამოვიწვიო, ვინაიდან მან ტულონი დაცემისაგან ვერ იხსნა. მაგრამ ომი ბედის საქმეა და მე შურისმგებელი როდი ვარ. თქვენ, მგონი, აღმირალმა რამდენიმე სურათი შეგიკვეთათ, არა? — გამოცოცხლდა ჰერცოგი. — მგონია, ერთი თქვენი დახატული სურათი მის სახლში მინახავს დაკიდებული. დიახ, — დაუდასტურა თავის თავს, — სწორედ აღმირალთან ვნახე მანდილოსნის ძალიან კარგი პორტრეტი.

გოია გაოცებული უსმენდა. საით გადაჰკრავდა დონ მანუელი? ქალი, რომელიც აღმირალისთვის დახატა, პეპა ტუდო იყო. სწორედ ამ სურათისთვის პოზირების დროს გაიცნო ეს ქალი. მან ყურები ცქვიტა.

— დიახ, — თქვა გოიამ თითქოსდა არათერაიო, — მე დავხატე აღმირალისთვის ერთი მისი ნაცნობი მანდილოსანი.

— სურათი შესანიშნავი გამოსულა, — შენიშნა დონ მანუელმა, — ეს ქალბატონი უთუოდ ცოცხალიც ძალიან ლამაზი იქნება. მგონი. აღმირალმა მითხრა, რომ ქვრივია, ვიუდიტა. მისი ქმარი მექსიკაში თუ სადღაც დაღუპულა და საზღვაო მინისტრს მისთვის პენსია დაუნიშნავს. თუ მეშლება რაიმე? საოცრად ლამაზი მანდილოსანია.

ასლა გოია თავისი გლეხური, პრაქტიკული ჰკუთ უკვე მიხვდა. რას უმზინებდა დონ მანუელი. თავგზა აერია და აღელდა. დაინახა. რა რთულ ინტრიგაში გახლართეს. მიხვდა, თვითონ რატომაც არ ითხოვა ზოველიანოსის დაბრუნება მიგელმა და განზრახ ის მიაგზავნა. მიგელს არ ჰყავდა ძველ ლიბერალში შესათავაზებელი პეპა. ფრანსისკო მიხვდა, რომ გააცურეს. შესაძლოა ეს სულ დონია ლუიას გაჩაჩხული საქმე იყოს. უთუოდ ამიტომ შეხედა სახეში ისე

აგდებულად და უტიფრად გაიღიმა, როცა გოიამ მაშინვე თანხმობა არ განაცხადა. მიუხედავად გაცხარებისა, გოიას ართობდა ის ამბავი, რომ სათნოების განსახიერებამ, მიგელ ბერმუდესმა, კიდევ უფრო უსაზნოესი პიროვნების გაძევებიდან დასაბრუნებლად ასეთი უცნაური გზა აირჩია. შესაძლოა მიგელს გოიას მოვალეობად მიაჩნია შეყვარებული შეწიროს ისეთ დიდ საქმეს, როგორც ხოველიანოსის დაბრუნება? მიგელი ამას რომ მოითხოვს მისგან, უთუოდ არც ისე დიდ მსხვერპლად უთვლის. ეს მართლაც ასეა: ბოლოს და ბოლოს უპეპოლდაც შეუძლია გაძლება. მაგრამ ძალით თავსმოხვეული ასეთი როლი გოიას დამცირებად და თავმოყვარეობის შელახვად მიაჩნია. პეპა მაინცდამაინც დიდად არ უყვარს, მაგრამ იძულებით კი ვერ გააყიდვინებენ. ამ ამპარტავან, ჩერჩეტ მანუელს მაინც არ დაუთმობს მხოლოდ იმისთვის, რომ თვალში მოუვიდა.

მეორე მხრივ გოია დავალებული იყო დონ გასპარისაგან და როცა ესპანეთს უჭირდა, არ იქნებოდა სამართლიანი მისი უსაქმოდ მთებში ჯდომა მხოლოდ იმიტომ, რომ ფრანსისკო ვერ თმობს არცთუ ისე საყვარელ ქალს, ამ ხამონას.

ახლა თვითონ მიიტანს იერიშს და ხოველიანოსის განთავისუფლებას სთხოვს. დონ მანუელი დაიღრიჯება; მაგრამ „რასაც დასთეს, იმას მოიშვი“, როგორც ანდაზა ამბობს. ძნელი საფიქრებელია, რომ ასეთ ვითარებაში დონ მანუელმა უარის თქმა შეძლოს; მერე კი მონახავს ფრანსისკო გამოსავალს.

გოია მუშაობას განაგრძობდა და პეპა ტუდოს არც ახსენებდა ცოტა ხნის შემდეგ კი თქვა:

— ქვეყანა თქვენი მადლიერი იქნება, დონ მანუელ, თუ ზავს ჩამოაგდებთ, მადრიდი ძველ იერს მიიღებს და ყველას გულს მოგვეფონება, როცა კვლავ ვიხილავთ იმ ადამიანებს, ამდენ ხანს რომ გვაკლდნენ.

დონ მანუელი გაოცდა, როგორც ფრანსისკო მოელოდა.

— გვაკლდნენ? — ჩაჰკითხა მან, — თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, დონ ფრანსისკო, რომ მადრიდს აკლია ის ორიოდ მგზნებარე თავისუფალი მოაზროვნე, ჩვენ რომ იძულებული გავხდით, სოფლად ცხოვრების პატივი მიგვეგო?

— რაღაც გულსატკენია, — მიუგო გოიამ, — ზოგიერთი ადამიანი აქ რომ არ იმყოფება. იცით თუ არა, თქვენო აღმატებულება,

რომ ჩემი პორტრეტები ნახევარ სიცოცხლეს დაკარგავენ სუსტი გაშუქების გამო? ასევე აკლია რაღაც მადრიდს, როცა, მაგალითად, ვთქვათ, გრაფი კაბარუსი ან სენიორ დე ხოველიანოსი არ არიან აქ.

გაბრაზებული დონ მანუელი წამოიჭვიმა, მაგრამ გოიამ უშიშრად უბრძანა:

— თქვენო აღმატებულებავ, გეთაყვათ, თავს ნუ ანძრევთ!

დონ მანუელი დაემორჩილა.

— ჩვენს მეგობარ მიგელს რომ მსგავსი რამ ეთქვა, არ გამიკვირდებოდა. თქვენს ბაგეთაგან კი მოულოდნელად ჟღერს ეგ სიტყვები. — თქვა მან ცოტა ხნის შემდეგ.

გოია ხატავდა.

— მე ეს მოვიფიქრე, — თქვა მან თითქოსდა სხვათა შორის, — როცა თქვენ პატივი დამდეთ და დონ მიგელთან საუბრის დროს დამისწარით. გთხოვთ მაპატიოთ, დონ მანუელ, თუ მეტისმეტად ვავთავხედლი; ისე მეგონა, თითქოს შემეძლო ჩემი თავისთვის ნება მიმეცა თქვენთან გულახდილი ვყოფილიყავი.

ამასობაში ჰერცოგი მიხვდა, როგორაც მიდიოდა მორიგების საქმე.

— ყოველთვის სიამოვნებით ვისმენ გულახდილ მოსაზრებას, — თქვა მან თავაზიანად, მაგრამ ოდნავ ქედმაღლურადაც, — მე თქვენი წამოწყებული საქმის მომხრე ვარ და ყურად ვიღებ მას, — შემდეგ ერთბაშად გამოცოცხლებულმა განაგრძო: — დაუებრუნდეთ ისევ იმ მანდილოსანს, რომლის კარგი სურათიც ახლახან მოვიხსენიეთ. შემთხვევით ხომ არ იცით, მადრიდშია თუ არა? ამ მოკლე ხანში არსად შეგხვედრიათ?

გოიას ართობდა ის, რომ ჰერცოგი იძულებული იყო ასეთი უნიათო ფანდებისათვის მიემართა. ყოველი ადამიანის საქმიანობა აღრიცხული იყო პოლიციის წიგნებში, ისევე როგორც სანტა კასას, წმინდა ინკვიზიციის, სიაში და დონ მანუელმა, ცხადია, ყველაფერი იცოდა, რაც პეპა ტუდოს შეეხებოდა, აგრეთვე რა ურთიერთობაცა ჰქონდა ქალს მასთან, ფრანსისკოსთან. შესაძლოა ამის თაობაზე დონ მიგელთანაც ჰქონდა საუბარი. დონ ფრანსისკო თავს იკავებდა.

— დიახ, დონ მანუელ, — უპასუხა მან საკმაოდ ცივად, — ხანდახან ვხვდები ამ მანდილოსანს.

ჰერცოგს სხვა გზა აღარ ჰქონდა — გულახდილად უნდა ელაპა-

რაკა. თავი ისე მორჩილად დაიკირა, როგორც გოიას ესაქიროვებოდა და თითქოს სხვათა შორის თქვა:

— თქვენი მხრივ კარგი იქნებოდა, დონ ფრანსისკო, თუ მას გამაცნობდით. იქნებ გეთქვათ მისთვის, რომ მე არც ისე განურჩეველი და ხარბი ვარ ქალების მიმართ, როგორც მტრები მირჩევენ ხმებს, პირიქით, მხურვალე და წრფელი გული მაქვს ყოველგვარი ჭეშმარიტი მშვენიერებისადმი. სენიორას პორტრეტი ინტელიგენტი ქალის პორტრეტი, უეჭველია, მასთან საუბარი შეიძლება. ქალების უმრავლესობამ არაფერი იცის, გარდა ლოგინში ჩაწოლისა, და როცა მათ კაცი მესამედ შეხვდები, აღარ იცი, რალა მოუხერხო. მართალი არა ვარ?

გოიამ გულში კარგა გვარიანად შეიგინა, ხმამალა კი თქვა:

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, მხოლოდ გამონაკლის ქალებთან შეიძლება ფილოსოფიაზე ლაპარაკი.

ახლა დონ მანუელმა სულ გადაუშალა გული:

— რა იქნებოდა, მხიარულად და გონივრულად გაგვეტარებინა ერთი საღამო ერთად, თქვენ, ძვირფას ვიუდიტას და ზოგიერთ მეგობარს, ვისთანაც სმა-ჰამა, მასლაათი და სიმღერა ღირს? — შესთავაზა გოიას, — თუ არ ვცდები, დონია ლუსია უნდა იცნობდეს ვიუდიტას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენც იქნებით იმ საღამოზე, ჩემო ძვირფასო, დონ ფრანსისკო.

ამაზე მეტი აშკარა მორიგება აღარ შეიძლებოდა: დონ მანუელი მზად იყო მოლაპარაკება ეწარმოებინა ზოველიანოსის თაობაზე, თუ გოია მზად იქნებოდა მოლაპარაკება ეწარმოებინა ვიუდიტაზე. ფრანსისკოს გონებაში წარმოესახა პეპა, თითქოს აგერ ზის არჩეინად, მომხიბვლელი, ვნებიანი და შეჰყურებს მას შორიშორ ჩამჯდარი მწვანე თვალებით. ახლა შეეძლო შეუცდომლად დაეხატა მაგალითად, მძიმე, მაქმანით გაწყობილ მწვანე კაბაში. ეს იქნებოდა სწორედ შესაფერი მის ახალ მოვერცხლისფრო რუხ ფერთა გამისათვის. ცუდი არც ის სურათი გამოსულა, აღმირალ მასარედოსათვის რომ დახატა. მაშინ შეიყვარა პეპა და ეს გრძნობა ჩააქსოვა სურათშიც. სასიერო სახელდობრ ის იყო, რომ გოიამ თავის დახატული კარგი პორტრეტით აღუძრა მანუელს მადა. ახლა სავსებით ცხადად ხვდავდა პეპას ნამდვილ სახეს, მიხვდა, როგორაც უნდა დაეხატა და როგორსაც, შესაძლოა, მომავალში დახატავდა.

ფრანსისკო გოია უკვე აქედანვე ემშვიდობებოდა თავის საყვარელს, პეპა ტუდოს, მიუხედავად იმისა, რომ კიდევ შეეძლო მასთან ორიოდღე ღამის გატარება.

— თქვენი აღმატებულების ნახვასა და გაცნობას სენიორა ხოსეფა ტუდო, ცხადია, დიდ პატივად მიიჩნევს და გაუხარდება. — უთხრა მან მშრალად.

ამის შემდეგ მალე გამოცხადდა წითელწინდა ლაქია და დონ მანუელს მოახსენა:

— ქალბატონი უკვე ათი წუთია გელოდებათ, თქვენო აღმატებულებავ.

მსახურის დინჯ, გაქვავებულ, მოკრძალებულ სახეზე ეწერა ამ ქალბატონის ვინაობა: ეს იყო დედოფალი.

— სამწუხაროა, — ამოიოხრა დონ მანუელმა, — ახლა კი უნდა დაეამთავროთ საუბარი.

აფორიაქებული მიდიოდა გოია შინისაკენ. მართალია, ქალებს ცუდად ეპყრობოდა და ხშირად მიუტოვებია ისინი თავისი კარიერისტის, მაგრამ არავის არ გაუბედავს ამასავით უტიფარი თხოვნით მომართვა: ვერც წარმოიდგენდა, თუ ამგვარ თხოვნას ყურადღილებდა, საქმე რომ ხოველიანოსს არ შეეხებოდეს.

თავის სახელოსნოში აგუსტინი დახვდა. მანაც თავის უქმური, მარად გამომწვევი სახით შეიტანა საკუთარი წვლილი ამ საჩოთირო მორიგებაში გოიას ჩასათრევად. ფრანსისკომ აიღო დონ მანუელის პორტრეტისათვის დამზადებული ესკიზები და ხატვა განაგრძო. ჰერცოგს ჩასუქებული სახიდან გაქრა სათნოება, გაქრა სული, იგი თანდათანობით ბიწიერი და ღორული ხდებოდა. გოიამ დახია ესკიზები, მაგიდაზე სილა დაყარა და მოჰყვა მასში ხატვას. დახატა ხარბი, თვალთმაქცი ლუსია ბოროტი კატის სახით, ეშმაკი, უტიფარი მიგელი კი მელიის სახით. შემდეგ უქმყოფილოდ ამოიოხრა და სახეები წაშალა.

ის ერთი ღამე შხამად გალია,
მეორე ღამეც არ სჯობდა პირველს.
და მესამე დღეს კაცი გამოჩნდა
აღბას სახლიდან. მან მოიტანა
ბილეთი — მხატვარს ოჯახურ ბალზე
იპატიებდნენ. ოჯახურ ზეიმს

ახლსახლობას უკავშირებდნენ,
ჰერცოგინია ალბას უნდოდა
ბუენაეისტას სახლში გადასვლა
რომ აღენიშნა, ბოლოს ეწერა:
„როდის ინებებთ, დონ ფრანსისკო, რომ
კვლავ დამიბრუნოთ ჩემი მარაო?“
გალიმბული, ღრმა გულისცემით
ჩასცქერდა იგი ერთურობით ჩაწნულ,
ხლართულ ასოებს: ეს მოწონება
იყო, თან ჯილდოც,
რადგან მან მართლაც
შეუძლებელის შეძლება შეძლო
ესპანეთისთვის, ესპანელთათვის
და დონ გასპარის გადარჩენისთვის.

8

პრუსიის წარმომადგენელი, ჰერ ფონ როდე, დონ მანუელ გოდოსის, ჰერცოგ ალკუდიას, თაობაზე პოტსდამს აუწყებდა:

„იგი აღრე დგება; თავის შტალმაისტერებსა და დანარჩენ ხელქვეითებს იმ დღისა და უახლოესი დროისათვის დაწვრილებით განკარგულებებს აძლევს. რვა საათზე მიდის თავის სააგარაკო სახლის საჯირითო მოედანზე. ყოველ დღით, ცხრა საათზე, იქ ეწვევა დედოფალი ცხენებით ერთად გასასეირნებლად. დონ მანუელი შესანიშნავი მოჯირითეა. ეს სეირნობა გრძელდება თერთმეტ საათამდე. თუ მეფე ნადირობიდან დაბრუნებას მოასწრებს, მათთან ერთად სეირნობს. ამასობაში ჰერცოგს მრავალი ადამიანი ელოდება, რომელთაც მასთან სხვადასხვაგვარი სათხოვარი აქვთ. თხუთმეტ წუთში იგი მათ ისტუმრებს. მერე იწყება მისი ოფიციალური ტუალეტი. რასაც, ჩვეულებრივ, მაღალი წრის ათიოდე მანდილოსანი ესწრება და საუკეთესო მუსიკოსები კონცერტს მართავენ. პირველ საათზე დონ მანუელი მეფის სასახლეში ცხადდება. იქ მას საკუთარი აპარტამენტი აქვს მიჩენილი: სასადილო, სამუშაო და საწოლი ოთახი. როგორც კამერჰერი, მონაწილეობს მეფის ოფიციალურ სადილობაში. ნასადილევს განმარტოვდება თავის ბინაში, რომელიც უშუალოდ დედოფლის აპარტამენტის ქვეშაა მოთავსებული და იქ რიგიან-პირიანად პურმარილობს დედოფლის თანდასწრებით, რომელიც მასთან

ფარული კიბით ჩამოდის, ხოლო მეფე კი ამასობაში ნადირობით ერთობა. ამ შეხვედრების დროს დონია მარია ლუიზა და დონ მანუელი თანხმდებიან სხვადასხვა ღონისძიებებზე, რომელსაც შემდგომ შეფეს წარუდგენენ.

დაახლოებით შვიდ საათზე დონ მანუელი მეფეს ეახლება მოხსენებით. რვა საათზე კვლავ შინ ბრუნდება, სადაც, ჩვეულებრივ, ოცდაათი თუ ორმოცი ყოველი წოდებისა და კლასის მანდილოსანი ელოდება თხოვნით. მათი თხოვნების გარჩევას ორ საათს მაინც უნდება. ათი საათისათვის იწვევს თავის მრჩეველებს და მათთან ერთად იწყებს ნამდვილ მუშაობას. ამისთვის მას ღამის მხოლოდ და მხოლოდ ორი საათი აქვს განკუთვნილი. მაშინ ცდილობს მიმდინარე საქმეები სწრაფად და ზუსტად გადაჭრას. თითქმის ყოველთვის იმავე დღეს პასუხობს წერილებს, რომლებიც დიდ მოფიჭრებას არ საჭიროებენ. ძალზე სწრაფი და სწორი მოსაზრების უნარი აქვს. მართალია საქმით დიდხანს თავის შეწუხება არ უყვარს, მაგრამ მსჯელობის სიზუსტე აქარწყლებს ბოროტებას, რომელიც შეიძლება მუშაობისათვის განკუთვნილ მოკლე დროს გამოეწვია.

საერთოდ კი, მიუხედავად ახალგაზრდობისა, თავის მძიმე მოვალეობას ცუდად როდი უძღვება და კარგი იქნებოდა ევროპისათვის, ყველა სახელმწიფოს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მსგავსი თანამშრომლები ჰყოლოდა“.

9

დონ მანუელისა და ვიუდიტა ხოსეფა ტულოს გაცნობა დონია ლუსია ბერმუდესთან უნდა მომხდარიყო.

სენიორ ბერმუდესის დიდი და ტევადი სახლი ხელოვნების ნიმუშებით იყო გაჭედილი. კედლებზე ზევით და ქვევით, მკვიდროდ, ერთიანი ნოხივით ეკიდა ძველი და ახალი, დიდი და პატარა აურაცხელი სურათი. ძველი ესპანური ჩვეულების მიხედვით, მაღალ ბალდახინქვეშ, თავის ესტრადაზე, მჯდომი ლუსია სტუმრებს აქ ღებულობდა. ის ერთიანად შავებში გამოწყობილიყო. გრაციოზული თავი ხვლიკს მიუგავდა, მაღალ სავარცხელქვეშ ემხიანად და იდუმალად გამოიყურებოდა მისი სახე. ტურფა ქალბატონი თავდაპირველი ჩან-

და, მაგრამ მოსალონდელი ამბით მაინც გახარებული და ანცურად აღგზნებული იყო.

დონ მანუელი ადრე მოვიდა. საგულდაგულოდ ჩაეცვა, მოხდენილად და ზომიერად. არც პარიკი ჰქონდა და არც ქერა თმა დაეპუდრა. მრავალრიცხოვანი ორდენებიდან მხოლოდ „ოქროს ვერძი“ ებნია. მის ფართო სახეზე მოყირკებულობის კვალიც კი გამქრალიყო. ცდილობდა დიასახლისთან თავაზიან საუბარს, მაგრამ არ გამოსდიოდა, — მოლოდინში იყო.

აბატი გოიას დახატულ დონია ლუსიას პორტრეტთან იდგა. მიგელს ჯერ უნდოდა ეს სურათი განსაკუთრებულ ადგილას დაეკიდა, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა, რომ სხვა ძვირფას ნაწარმოებთა გვერდით უფრო მოიგებდა. ამიტომაც ეკიდა ის აქაურ მრავალ სურათთა შორის. დონ დიეგო მიხვდა, მის წინ მეტ ხანს უსიტყვოდ დგომა უხერხული იქნებოდა. ენაწყლიანად მოქარვა თავისი სიტყვა ლათინური და ფრანგული ციტატებით, ხოტბა შეასხა სურათის სიახლესა და ღირსშესანიშნაობას; მისი სიტყვები დონია ლუსიასადმი სიყვარულის ახსნასავით ეღერდა. ექვნარევი სიხარულით ისმენდა დონ მიგელი ცოცხალ და დახატულ დონია ლუსიას ხოტბას. ამასთანავე, უნდა გამოტეხილიყო, რომ დონ დიეგო ნაწარმოებსა და მის ახალ ელფერს საქმის უფრო მეტი ცოდნით აქებდა, ვიდრე ამას თვით დონ მიგელი შესძლებდა.

შემოვიდა პეპა. მას ღია ფერის მაქმანით დაფარული მწვანე კაბა ეცვა და მკერდზე ერთადერთი სამკაული ეკიდა—ადმირალის ნაჩუქარი პატიოსანი თვლებით მოოჭვილი ჯვარი. სწორედ ასეთი წარმოესახა პეპა გოიას, როცა დონ მანუელმა ის უნამუსო წინადადება მისცა, ასეთი სურდა დაეხატა თავისი ახალი ხერხით. პეპამ დაგვიანებისათვის თავმდაბლად მოიბოდიშა. დუენია დიდად გარჯილიყო ტახტრევანის მოსაძებნად. გოია მოხიბლა მისმა თამამმა სიმშვიდემ. მათ შორის მხოლოდ ნართაულად ითქვა, თუ რა უნდა მომხდარიყო ამ საღამოს. გოია მოელოდა და იმედი ჰქონდა, რომ პეპა მას საყვედურებით აავსებდა. მსგავსიც არაფერი მომხდარა, წარმოითქვა მხოლოდ ხმადაბალი, გამქირდავი და მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები. პეპას ახლანდელი საქციელი, რა თქმა უნდა, წინასწარმოფიქრებული და განზრახული იყო. განგებ დაიგვიანა, განგებ გამოამჟღავნა თავისი სიღარიბე. მას ჰერცოგის წინაშე გოიას

შერცხვენა სურდა სიძუნწისათვის. მაშინ, როცა საკმარისი იყო პეპას ერთხელ გაეხსნა ბაგე და გოია მას უკეთეს პირობებს შეუქმნიდა; თუმცა ცოტას კი წაიბუზღუნებდა. არა, ეს დიდი უნამუსობა იყო.

ღონ მანუელს უთუოდ არც კი გაუგონია პეპას ნათქვამი. ისე მოურიდებლად, მაგრამ სავსებით მოხიბლული მიაშტერდა ქალს, რომ სხვებს აქამდე არც კი ეგონათ, თუ ამის ნიჭი გააჩნდა. ბოლოს, როცა ღონია ლუსიამ ქალი გააცნო, უფრო მდაბლად დახარა თავი, ვიდრე დედოფლის ან პრინცესების მისალმებისას. წამსვე შეუდგა თხრობას, როგორ მოხიბლა გოიას დახატულმა პეპას სურათმა და ამ ერთადერთ შემთხვევაში როგორ ჩამოიტოვა უკან სინამდვილემ ასეთი დიდი მხატვრის ნაწარმოები. მისი გამომეტყველება თავმდაბლობასა და მონა-მორჩილებას გამოხატავდა.

პეპა მიჩვეული იყო გადაჭარბებული ხოტბის შესმას: ამაში ყველა ესპანელი ერთმანეთს ჰგავდა — მადრიდელი მახოები, პროვინციელი იდალგოები, მეფის კარის გრანდები. მაგრამ იგი კარგად ერკვეოდა ნიუანსებში და სწრაფად მიხვდა, რომ ამ დიდ ბატონს მეტად ჩაუვარდა გულში, ვიდრე ადმირალ მასარედოს, რომელიც მალე უნდა დაბრუნებულიყო და შესაძლოა მეტადაც, ვიდრე ღვთისა და ზღვის მიერ მიძინებულ ქმარს, საზღვაო ლეიტენანტს, ტუდოს. რაკი ფრანსისკომ გასცა და გაყიდა, დაე იგრძნოს, რა ძვირფასი რამ დაკარგა და გადაწყვიტა თავი ძვირად დაეთვასებინა. მისი ბროლივით კრიალაკბილებიანი ფართო პირი უდარდელად და არხეინად იცინოდა, მისი მარაო არც მოცილებას გამოხატავდა და არც მიწვევას. დიდი სიამოვნებით შეამჩნია, რომ ფრანსისკო ღონ მანუელის მასთან კურკურს დიდი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდა.

პაემა მოახსენათ, სუფრა გაშლილიაო. გავიდნენ სასადილო ოთახში. აქაც თავიდან ბოლომდე იყო გაჭედილი კედლები ფლამანდრიელი, ფრანგი და ესპანელი მხატვრების ნატურმორტებითა და ტრაპეზების სურათებით. აქ იყო ველასკესის „მამაკაცები კერასთან“, ვან-დეიკის „ქორწილი კანაში“, შესანიშნავად დახატული ნანადირევი, შინაური ფრინველი, თევზი, წყლიანი ხილი მნახველს პირში ნერწყვს მოჰგვრიდა. პურ-მარილი საუკეთესო იყო, მაგრამ უხვი კი არა; იყო სალათი, თევზეული, ნამცხვრები, ტკბილეული, მალაგა, ხერესი, პუნში და ყინულიანი ტკბილი წყალი. გარდა პაეისა, მსახურები არ ჩანდნენ; მამაკაცები ქალებს ემსახურებოდნენ.

დონ მანუელი პეპას უმასპინძლდებოდა. არწმუნებდა, ისეთსავე ნათელ სიმშვიდეს ჰფენთ ირგვლივ, როგორც გოიას მიერ დახატული პორტრეტი. მაგრამ მანუელს აქამდე აზრადაც არ მოსვლია, რაოდენი ამაღლევებელი იფარებოდა ამ სიმშვიდეში. მიუხედავად სინარნარისა, ქალი უზომოდ მომხიბლავია, ამაღლევებელი და საოცარი.

— იცით თუ არა ფრანგული?

— Un peu, — უპასუხა პეპამ ძლიერი აქცენტით.

დონ მანუელსაც სწორედ ასე ეგონა. იცოდა, ის სხვა მადრიდელ ქალებზე მეტად განათლებული იქნებოდა. სხვებს, მეფის კარის მხევლებს, ყოველ პეტიმეტრს და მახას მხოლოდ და მხოლოდ გალანტრეაზე შეუძლიათ ლაპარაკი. პეპასთან კი ცხოვრების სხვა მხარეებზეც და მაღალ მისწრაფებებზეც შეიძლებოდა ბაასი. პეპა სვამდა, ჰვამდა და ისმენდა; ხელთათმანის მაქმანიდან მისი ხელები თეთრად გამოკრთოდნენ.

მოგვიანებით მარათი აუწყა, რომ ჰერცოგიც სასიამოვნო იყო მისთვის. მაშინ აღტაცებულმა დონ მანუელმა განაცხადა, რომ გოიას კიდევ უნდა დაეხატა პეპა; დაეხატა ისეთი, როგორიც ახლა იჯდა აქ, არ დაეშურებინა ძალ-ღონე: მისთვის, მანუელისთვის, უნდა დაეხატა იგი.

დონია ლუსია ცდილობდა საუბარში ჩაება გოია. წყნარად, ჩაეიქრებული იჯდა და ირონიულად უყურებდა დონ მანუელს, რომელიც პეპას ეარშიყებოდა. იმის დანახვაზე, თუ როგორი თვალით უყურებდა დონ მანუელი პეპას და როგორ იხრებოდა მისკენ, ყველასათვის ნათელი გახდა, რა მაგრად გაება იგი სიყვარულის მახეში, ზოლო დონია ლუსია კი ამ სანახაობით ტკებოდა.

დონია ლუსია ცივ სასმელს წრუპავდა და თითქოს სხვათა შორის ეთხრა გოიას:

— მიხარია, რომ ჩვენი პეპა მოწყენილი არაა. საბრალო ბავშვი! ასეთი ახალგაზრდა ქვრივი და თანაც ობოლი! საოცარი სიმაძაქით უმკლავდება ბედის უკუღმართობას. ასე არ არის? — და დონ მანუელისთვის თვალის მოუცილებლად განაგრძო: — რა საოცარია, დონ ფრანსისკო, რომ სწორედ თქვენ მიერ დახატული სურათი გახდა საბაბი პეპასადმი დონ მანუელის თანაგრძნობის აღძვრისა. თქვენ ადა-

მიანთა ბედს განაგებთ. ფრანსისკო, მხედველობაში მაქვს თქვენი სურათები.

გოიას სჯეროდა, რომ მას უკეთ ჰყავდა შესწავლილი ქალები, ვიდრე სხვა მის ნაცნობ მამაკაცებს. მაგრამ აქ იჯდა ლუსია, მომზიბვლელი, წარმტაცი, ნატიფი, მოხდენილი, გამოუცნობი, მიუწვდომელი, ბიწიერი და მოურიდებლად დასცინოდა მას. გოიას ყურში ესმოდა ის ურცხვი, ხმამალალი სიტყვები, რომლებითაც მაშინ პრადოს ნუშის გამყიდველი, ტურტლიანი გოგო გაუმასპინძლდა, სამასხროდ გახადა და გოიამ თავი სულელად ჩათვალა. არ იცოდა, გაგებული ჰქონდა თუ არა პეპას ამ ინტრიგის დეტალები, შესაძლოა ის და ლუსია დასცინოდნენ კიდევ. ბრაზი ყელში მოაწვა, მაგრამ თავი შეიკავა. ცალკობად პასუხობდა, თავს იკატუნებდა, ლუსიას შორიშორ ჩამჯდარ თვალებში უაზროდ შეჰყურებდა, თითქოს არაფერი ესმოდა.

— დღეს თქვენ ჩვეულებრივზე უფრო გულცივი ხართ, დონ ფრანსისკო. ნუთუ სულ არ გახარებთ პეპას ბედნიერება?

გოიას ესიამოვნა აბატის მოახლოება, ამით საშუალება მიეცა უხერხული საუბრისაგან დაეღწია თავი.

გოია მოშორდა თუ არა დონია ლუსიას, პეპამ იხმო და სთხოვა ერთი ჰიქა პუნში მიეწოდებინა მისთვის. დონ მანუელი მიხვდა, პეპას დონ ფრანსისკოსთან მარტო დარჩენა უნდოდა, და აღარ მოისურვა მისთვის ხასიათი გაეფუჭებინა. იგი სხვებს შეუერთდა.

— როგორ გამოვიყურები? — ჰკითხა პეპამ გოიას.

მიბნედილი და მიმზიდველი პეპა სავარძელში იჯდა. გოია დაიბნა. არასდროს არ არიდებდა თავს მასთან გულახდილ საუბარს. ახლა პეპას ბრალი იყო, თუ ახსნა-განმარტების მიუცემლად შორდებოდნენ ერთიმეორეს და არა ისე მეგობრულად, როგორც შესაძლებელი იყო. თუ ვინმეს გასაბრაზებელი ჰქონდა, ისევ მას, გოიას.

— აქ არ მინდა დიდხანს დარჩენა. — განაგრძო პეპამ, — მე წამოვიდე შენთან თუ შენ წამოხვალ ჩემთან?

გოიას სახემ გაოცებისაგან უაზრო გამომეტყველება მიიღო. რა სურდა ამ ქალს? პეპა ისე სულელი არ იყო. რომ ვერ მიმხვდარიყო, თუ რისთვის მოიპატივეს ამ საღამოს. იქნებ ლუსიას არც კი უთქვამს მისთვის რაიმე? შესაძლოა თვით ფრანსისკოა დამნაშავე და რიგიანად ვერ მოიქცა?

სინამდვილეში კი პეპამ რამდენიმე დღით ადრე იცოდა ყველა-

5. ლ. ფოიბტკანგერი

ფერი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება არც ისე გაიოლებია, როგორც გოიას ეგონა. ქალი მთელი ღამეების განმავლობაში ეკითხებოდა თავის თავს, რატომ ღუშდა გოია და უნდა მოეწვია თუ არა ახსნა-განმარტებისათვის. მიუხედავად სათნო ხასიათისა, პეპა ნაწყენი იყო, რომ ასე ადვილად დათმო გოიამ კარიერისათვის თუ იმისათვის, რომ მობეზრდა და აღარ სურდა მისი სიახლოვე. ამ საგონებელში ჩავარდნილი პეპა ახლალა მიხვდა, როგორი ძვირფასი იყო მისთვის ფრანსისკო.

პეპას წრფელი გრძნობები შერჩა, მიუხედავად მრავალგზის გადატანილი განცდისა. მამაკაცებთან კეკლუტობა და კურკური უყვარდა, მაგრამ ფელიპე ტუდო იყო პირველი, ვისაც უბიწოება ჩააბარა. ქმრის სიკვდილის შემდეგ, განსაკუთრებით სამსახიობოდ მზადების პერიოდში, მამაკაცები მოსვენებას არ აძლევდნენ, ვიუდიტას ეს სძაგდა და არ იზიდავდა. მალე მის ცხოვრებაში ძლიერი იალქნებით შემოცურდა ადმირალი და ამ გარემოებამ ერთობ აამაღლა პეპა საკუთარ თვალში. მაგრამ ნამდვილი, ჭეშმარიტი სიტკბოება მხოლოდ ფრანსისკო გოიასთან განიცადა. რა სამწუხაროა, რომ ახლა გოიას წინანდებურად აღარ უყვარდა.

როცა ლუსიამ უთხრა, როგორ ცდილობდა ყოვლისშემძლე მინისტრი მის გაცნობას, პეპა, რა თქმა უნდა, ხელად მიხვდა, რა ფართო, გასხვივოსნებული გზა იშლებოდა მის წინ. რომანსებით მონაბერი ოცნება მდიდრული სასახლეებისა და მონა-მორჩილი ჯალაბობის თაობაზე შესაძლოა სინამდვილედ ქცეულიყო.

პეპა ოცნებამ გაიტაცა: შესაძლოა ისეც მომხდარიყო, რომ ჰერცოგი ალკუდია, დედოფლის კორტეზო, მისი კორტეზოც გამხდარიყო. ფიქრებში წასულმა ვერ შენიშნა, ამჯერად როგორ გააცურა იგი ღუენიამ კარტის თამაშში.

მიუხედავად ყველაფრისა, პეპამ გადაწყვიტა არ დაშორებოდა ფრანსისკოს, თუ ის თვითონ არ ისურვებდა ამას და თავისი გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია.

ახლა პირდაპირ დაუსვა საკითხი:

— მე მოვიდე ამალამ შენთან, თუ შენ მოხვალ ჩემთან?

გოია კი ისეთი გამოთაყვანებული სახით იჯდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.

რადგან იგი ღუშდა, ისევ პეპამ ჰკითხა ალერსიანად:

— სხვა ხომ არ შეგიყვარდა, ფრანჩო?

და რაჟი გოია კვლავ დუმდა, განაგრძო:

— მოგბეზრდი? რისთვის მიუგდე ჩემი თავი ჰერცოგს?

იგი ალერსიანად და ხმადაბლა ლაპარაკობდა, სხვებს რომ ეფიქრათ, უბრალო რაიმეზე მასლაათობენო.

აი, აქ ზის პეპა მომხიბლავი და მადის აღმძვრელი, გოიას მოსწონდა იგი, როგორც მამაკაცსა და მხატვარს. სამწუხაროდ მართალი იყო; სხვა ქალი მონახა, კი არ მონახა — თვით ქალი შეიჭრა მის ცხოვრებაში, ამ სხვა ქალმა შებოჭა სულით ხორცამდე და ამიტომაც უთმობდა ჰერცოგს პეპას თავს. მაგრამ პეპა მხოლოდ ნაწილობრივ იყო მართალი. არ იცოდა საქმის ვითარება, არ იცოდა, რა მსხვერპლს იღებდა მხატვარი გასპარ ზოველიანოსისა და ესპანეთისათვის. გოია ბოლმით აივსო. ადამიანები ყოველთვის ცდებიან. ახლა ყველაფერს ერჩია პეპას მიტყუება.

აგუსტინ ესტევეს ხან ლუსიადან პეპაზე გადაჰქონდა მზერა, ხან პეპადან ლუსიაზე. ესმოდა საქმის ვითარება. ფრანსისკოს უჭირდა. ფრანსისკოს ის ესაჭიროებოდა. ასე რომ არ ყოფილიყო, არც წამოიყვანდა აქ ამ საღამოს და ამით გრძნობდა აგუსტინი. რა მტკიცე იყო მათი მეგობრობა. მიუხედავად ამისა, აგუსტინი ვერ იყო ამ საღამოს კარგ გუნებაზე. თავს აქ უცხოდ გრძნობდა და ფრანსისკოს ბედი და უბედობა შურდა.

ლუსიამ განკარგულება გასცა შამპანური მოერთმით. აგუსტინი მსმელი კაცი არ იყო, მაგრამ ახლა ბევრი დალია. ეწაფებოდა ხან მისთვის არასასურველ მალაგას და ხანაც არასასურველ შამპანურს, მაგრამ მაინც გუნება ვერ გამოუყეთდა.

ღონ მანუელმა სხვების მიმართ ზრდილობის ვალი მოხდილად ჩათვალა და ახლა მთელი ყურადღება ვიუდიტას მიაპყრო. ეს პეპას ესიაძოვნა. ახლახან მან გარკვევით და გულწრფელად შესთავაზა თავი ფრანსისკოს, თავი დაიმცირა და უარყოფილ იქნა. მაშ კარგი, პეპა წავა იმ გზით, საითაც გოიამ მიუთითა. მაშინ ყველაფერი ისე ახდება, როგორც მის საყვარელ რომანსებშია. დაე, გაკიცხონ, სამაგიეროდ სხვებზე მალლა დადგება. ვინ იცის, იქნებ ამ დიდ ბატონს, ჰერცოგს ჰგონია, რომ სულ იოლად ჩაიდგებს ხელში. რაჟი მანუელი მზადაა საფასური არ დაიშუროს, პეპა თავის საფასურს, უმაღლეს საფასურს, მოითხოვს.

პეპა ტუდო ლუსია ბერმუდესს ემეგობრებოდა, ხშირად ესწრებოდა მასთან გამართულ საღამოს წვეულებებს, მაგრამ საზეიმო სადილებზე კი, რომლებსაც ქალბატონი და ბატონი ბერმუდესები დროდადრო მართავდნენ, მას არ იწვევდნენ. პეპა გონიერი ქალი იყო და ესმოდა. მაღალ საზოგადოებაში ადგილი არ ჰქონდა უბრალო საზღვაო ოფიცრის ქვრივს. მაგრამ ახლა საქმეს სხვა პირი უჩანდა. თუკი მანუელთან კავშირს მოისურვებდა, მაშინ პატარა, ფარულ საყვარლობაზე კი არ დათანხმდებოდა, არამედ ოფიციალურ საყვარლად. დედოფლის მეტოქედ უნდა ქცეულიყო.

ღონ მანუელმა საკმაოდ სვა, შეხურებული და აღგზნებული იყო მამპანურითა და ვიუდიტას სიახლოვეთ. სურდა მისთვის თავი მოეწონებინა. მანუელმა ჰკითხა, შეეძლო თუ არა პეპას ცხენოსნობა? ეს საოცრად სულელური შეკითხვა იყო: ცხენოსნობა და ჯირითი მარტო გრანდებისა და უმდიდრესთა ცოლების საქმე იყო. პეპამ დინჯად მიუგო, რომ მამამისის პლანტაციებში ის ხანდახან ჯდებოდა ცხენზე, მაგრამ აქ, ესპანეთში, მხოლოდ ვირსა და ჯორზე თუ მჯდარა. ეს უნდა გამოსწორდესო, მიუგო მანუელმა. პეპამ ცხენით უნდა ისეირნოს და იქიდან ღმერთქალივით უნდა გამოიყურებოდეს. თვითონ მანუელიც როდია ცუდი მხედარი.

პეპამ შემთხვევით ისარგებლა:

— მთელმა ესპანეთმა იცის, — ჩაუბრუნო მან სიტყვა, — თუ რა შესანიშნავი მხედარი ბრძანდებით, ღონ მანუელ, — და დაუმატა, — მაქვს თუ არა უფლება ერთხელ მაინც გნახოთ ცხენზე?

ქვეყნის თვით ულამაზესი ვიუდიტას პირიდანაც კი წარმოთქმული ეს გულუბრყვილო შეკითხვა მეტისმეტად გაბედული, განზრახი და პირდაპირ თავხედური იყო: ღონ მანუელი ხომ ცხენზე ჩვეულებრივ დედოფლის და ხანდახან მეფის თანდასწრებით ჯირითობდა. განა სენიორა ტუდოს არ ეცოდინებოდა ეს ამბავი, რაზედაც მთელი მადრიდი ლაპარაკობდა? წუთით შეცბა პერცოგი, კიდეც მეტიც — გამოფხიზლდა, თვალწინ წარმოუდგა უზარმაზარი გალიის ღია კარი, საიდანაც მომჯადოებელი ქალის ბაგე შიგ შესასვლელად ეპატიყებოდა. მაგრამ შემდეგ დაინახა ეს მიმზიდველი, პასუხის მშვიდად მომლოდინე ლამაზი ბაგე, დაინახა პეპას მწვანე თვალები და მიხვდა: თუ ახლა „არას“ ეტყოდა, თუ უკან დაიხევდა, მაშინ დაკარგავდა ამ მშვენიერ ქალს, რომლის სპილენძისფერი თმა, ქათქათა კანი და

სურნელი ასე ათბობდა. ცხადია, „არაც“ რომ ეთქვა, ამ ქალს მაინც დაეუფლებოდა, მაგრამ მანუელს უფრო მეტი სურდა. სურდა პეპა მუდამ თან ჰყოლოდა, ყოველთვის, როცა მოიწადინებდა, ხოლო ყოველთვის — ეს ნიშნავდა, ქალი მარტო მისი უნდა ყოფილიყო. მანუელმა ნერწყვი ჩაყლაპა, სასმელი მოსვა, ისევ ნერწყვი ჩაყლაპა და მიუგო:

— რა თქმა უნდა, სენიორა. თავისთავად ცხადია, დონია ხოსედა. დიდ პატივად მივითვლი თქვენი თანდასწრებით გაჯირითებას. მეფის კარი ამ დღეებში ესკურიალში მიემგზავრება. ერთ მშვენიერ დილას თქვენი მონა-მორჩილი მანუელ გოდოი მადრიდს დაბრუნდება თავის გარეუბნის სახლში, რამდენიმე საათით ჩამოიბერტყავს საზრუნავსა და სახელმწიფო საქმეებს და თქვენს წინაშე, თქვენთვის იჯირითებს, დონია პეპა.

ეს პირველად მიმართა პეპას შემოკლებული სახელით.

პეპა ტუღო გულში ზეიმობდა. აგონდებოდა თავისი საყვარელი რომანსები: ახლახან მანუელის ნათქვამი მისი რომანსებივით პოეტურად უღერდა. ბევრი რამ შეიცვლება მის ცხოვრებაში, ზოგი რამ მანუელის ცხოვრებაშიც და ზოგიც ფრანსისკოს ცხოვრებაში. პეპაზე იქნება დამოკიდებული, შეუსრულებს ფრანსისკოს ამა თუ იმ თხოვნას თუ არა. მაგრამ მის მწვანე თვალებში შურისძიების ცეცხლმა გაიელვა. გოიამ უნდა იგრძნოს, რომ მისი კეთილდღეობა პეპაზე იქნება დამოკიდებული.

სენიორ ბერმუდესი ხედავდა, თუ როგორი ალტყინებული ეკურკურებოდა პეპას დონ მანუელი და შეუფოთდა. გრძნობის საკითხში მისი ჰერცოგი ხშირად იყო თავდაუპყრელი, მაგრამ არასდროს არ ყოფილა ასე გატაცებული. საჭირო იყო თვალყურის დევნება, რათა რაიმე სისულელე არ ჩადინა. ხანდახან დედოფალს მისი ერთგულება თავს აბეზრებდა და არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ მანუელი ვინმესთან გაერთობოდა, მაგრამ არც ისეთი ქალი იყო, რომ ვინმესთან სერიოზული კავშირი ეპატიებინა. ახლა კი, როგორც ეტყობოდა, საქმე ხანმოკლე გატაცებას როდი ეხებოდა.

დონია მარია ლუიზა თუ გაკაპასდა, საზღვარი აღარ იცის. მაშინ ის წინააღმდეგება დონ მანუელის პოლიტიკას და ასევე მის, მიგელის, პოლიტიკასაც. დონ მიგელს აღარ უნდოდა საშიშროებაზე წინასწარ ეფიქრა, ზურგი შეაქცია მანუელსა და პეპას და დონია ლუსიასკენ

გაიხედა. რა მშვენიერი, რა სათუთი იყო იგი! მართალია, მას შემდეგ, რაც ფრანსისკოს დახატული პორტრეტი სხვა სურათებთან ეკიდა, მიგელი აღრინდებულად აღარ იყო დარწმუნებული მისი სილამაზის კეთილშობილებაში. მრავალი წლის განმავლობაში ბეჭითი მეცადინეობით მიგელმა არა ერთი მტკიცე წესი შეითვისა; შეისწავლა შეფტსპერი და სამუდამოდ გაერკვა, თუ რა არის მშვენიერი და რა არა. მაგრამ ახლა საზღვარი აერია ერთსა და მეორეს შორის და ორივე ლესია — დახატული და ცოცხალი — ისე კიაფობდა, რომ მიგელს მოსვენებას უკარგავდა.

პეპამ მიიღო თუ არა დონ მანუელის ჯირითზე დასწრების ნებართვა, უფრო გამოცოცხლდა. უყვებოდა დონ მანუელს თავისი ბავშვობის. შაქრის პლანტაციების, მონების, თავისი კარგი ნაცნობების აწბავს და აგრეთვე, თუ როგორ მეგობრობდა და ასწავლიდა მას ცნობილი მსახიობი ქალი ტირანა.

დონ მანუელმა მამინვე გულმხურვალედ წარმოთქვა, რომ სცენაზე პეპა მართლაც შესანიშნავი იქნებოდა: მისმა ძუნწმა, მაგრამ აპასთანავე მრავლისმთქმელმა ჟესტებმა, გამომეტყველებით აღსავსე სახემ, გულში ჩამწვდომმა ხმამ, პირველი დანახვისთანავე აღუძრა აზრი, რომ იგი სწორედ სცენისთვის იყო გაჩენილი.

— თქვენ უთუოდ მღერით კიდევაც, — უთხრა მან.

— ცოტას, — მიუგო პეპამ.

— ერთხელ მაინც მომასმენინეთ თქვენი სიმღერა, — სთხოვა მან.

— მე მხოლოდ ჩემთვის ვმღერი. — მიუგო პეპამ, მაგრამ, როცა მანუელის უკმაყოფილო სახეს შეხედა, განაგრძო საამო, მინაზებული ხმით: — როცა სხვისთვის ვმღერი, ასე მგონია, მას დაახლოების ნებას ვაძლევ-მეთქი. — და მანუელს თვალი თვალში გაუყარა.

— როდის იმღერებთ ჩემთვის, დონია პეპა? — ჩააცივდა ხმადაბლა და ვნებიანად დონ მანუელი.

პეპამ პასუხი არ გასცა. მხოლოდ მარაო დაკეცა უარის ნიშნად.

— დონ ფრანსისკოსთვის ხომ მღეროდით? — ეჭვიანად ჰკითხა დონ მანუელმა.

ახლა კი პეპამ მკაცრი გამომეტყველება მიიღო, ხოლო დონ მანუელი აფორიაქებული ნანობდა და ევედრებოდა:

— მაპატიეთ, დონია პეპა. მე თქვენი შეურაცხყოფა არ მინდოდა.

ეს თქვენც კარგად იცით. მაგრამ მე მიყვარს მუსიკა. ისეთ ქალს ვერ შევიყვარებდი, რომელსაც შინაგანი მუსიკალობა არ ექნებოდა. ცოტას მეც ვმღერი. ნება მიბოძეთ თქვენთვის ვიმღერო. — შესთავაზა მან.

მადრიდში ამბობდნენ, დედოფალს, დონია მარია ლუიზას, უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის თავისი საყვარლის სიმღერის მოსმენაო, მაგრამ ამისთვის დიდად უნდა შეეხვეწოს დონ მანუელს და ოთხ თხოვნაში სამზე უარს ლებულობსო. პეპა გულში დიდად ამაყობდა, რომ პირველი შეხვედრისთანავე ასე მოხიბლა ჰერცოგი, მაგრამ თავდაპირველად მხოლოდ ეს თქვა:

— ლუსია, გესმის, ჰერცოგს სურს გვიმღეროს.

ყველანი გაოცდნენ.

პაემა გიტარა მოართვა. დონ მანუელმა ფეხი ფეხზე გადაიდო, გიტარა ააწყო და დაიწყო სიმღერა. საკუთარი აკომპანემენტით იმღერა ძველი სანტიმენტალური რომანსი ახალწვეულ და ომში გაგზავნილ ჭაბუკზე: „მიცურავს ზღვაში არმადა. შორს, შორს მიცურავს არმადა და ჩემი როსიტა მრჩება, ო, ჩემო როსიტა“. — მღეროდა იგი. ხმას მშვენივრად ფლობდა. მღეროდა კარგად და გრძნობით.

— კიდეც, კიდეც! — სთხოვდნენ ნასიამოვნები ქალბატონები და დონ მანუელმა იმღერა სეგიდილია ბოლერა — სანტიმენტალურირონიული კუპლეტები ტორეადორზე, რომელიც ცირკის არენაზე ისე შერცხვა, ხალხს და მით უმეტეს ხარებს ველარ ეჩვენება თვალთ. წინათ ორასი მადრიდელი კოპწია ლამაზმანი, მახა და ორი ჰერცოგის ასულიც კი მისი გულისთვის თვალებს სთხრიდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ახლა მადლიერიც უნდა იყოს თუ თავის თანასოფლელი გოგო სადმე თივაზე მიიწვევს გვერდით. მომღერალი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს; დონ მანუელს ესიამოვნა. გიტარა გადადო.

— კიდეც, კიდეც! — ევედრებოდნენ ქალბატონები.

მინისტრი ცოტა ყოყმანობდა, ბოლოს მოღბა და განაცხადა, რომ იმღერებდა ნამდვილ ტონადილიას, მაგრამ ამისთვის მეორე მომღერალია საჭიროო და ფრანსისკოს შეხედა. სიმღერის მოყვარულ და ღვინით შეზარხოშებულ გოიას ბევრი პატიყი არ დასჭირვებია. მან და ჰერცოგმა ჩურჩულით მოითათბირეს, ხმები მოსინჯეს და შეთანხმდნენ. მღეროდნენ, თამაშობდნენ, ცეკვავდნენ სცენას ტონადილიას მეჯორებზე. მეჯორე აგინებს მხედარს, ის კი უფრო მეტად

ჯიუტობს: აბრაზებს ჯორსა და მის პატრონს, ძირს არ ჩამოდის, არ ამბობს, როდის იწყება აღმართი და ამასთანავე ძუნწობს — ერთ გროშსაც არ უმატებს დანაპირებ თანხას. მხედრისა და მეჯორის ყვირილსა და გინებას თან ერთვის ჯორის ყროყინი, რომელსაც შესანიშნავად ბაძავდნენ ხან მანუელი და ხან ფრანსისკო.

პირველი მინისტრი და მათ კათოლიკურ აღმატებულებათა კარის მხატვარი თავდავიწყებით მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ორი ელეგანტურად ჩაცმული ბატონი არა მარტო თამაშობდა ავყია მეჯორისა და ძუნწი მხედრის როლს, არამედ ნამდვილად მეჯორე და მხედარი უფრო იყვნენ, ვიდრე პრემიერი და კარის მხატვარი.

მანდილოსნები მათ უსმენდნენ და უყურებდნენ, ხოლო სენიორ ბერმუდესი და აბატი ერთიმეორეს ჩურჩულით ებაასებოდნენ. მაგრამ როცა მანუელმა და გოიამ მეტისმეტი ქნეს, ისინიც გაოგნებულნი დაღუმდნენ და მიუხედავად ცხოვრებაში ბევრის ხილვისა, იმ ორის მიმართ მსუბუქი, დამცინავი ზიზღი იგრძნეს, რომელიც მათი გონებრივი უპირატესობიდან და დიდი განათლებულობიდან გამომდინარეობდა. როგორ ირჩებიან ეს ველურები, ქალებს რომ თავი მოაწონონ? როგორ იმცილებენ თავს და თვითონ ვერც კი ხვდებიან ამას.

სიმღერითა და ხტომით დაქანცული ბედნიერი მანუელი და ფრანსისკო ბოლოს, როგორც იქნა, შედგნენ და სულს ძლივს ითქვამდნენ.

მაგრამ მოულოდნელად გამოვიდა კიდევ ერთი, დონ აგუსტინ ესტევე.

ესპანელებს ეზიზღებათ სიმთვრალე, იგი ადამიანს ღირსებას ხდის. დონ აგუსტინს არ ახსოვდა, რომ ღვინოს მისთვის ჯერ ოდესმე გონება აერიოს. მაგრამ დღეს ზომაზე მეტი დალია, ამას თვითონაც გრძნობდა, გული მოსდიოდა თავის თავზე და უფრო მეტად კი დანარჩენ სტუმრებზე. აგერაა ორივე მამაკაცი, — მანუელ გოდოი, თავს რომ ჰერცოგ ალკუდიას უწოდებს და მუცელს ოქროს უღარუნებით ირთავს, და ფრანსისკო გოია, რომელსაც ფეხებზე ჰკიდია საკუთარი თავიცა და მხატვრობაც. ბედმა ორივე არარაობიდან უმაღლეს წერტილზე აიყვანა და დააბერტყათ ის, რაზედაც მხოლოდ ოცნება შეეძლოთ: სიმდიდრე, ძალა-უფლება, პატივი, სახარბიელო ქალები და იმის მაგიერ, რომ ღმერთსა და ბედს მორჩილად თაყვანი სცენ,

თავს სასაცილოდ იგდებენ, ხტიან და ჭყვირიან დასაკლავი ღორებივით და ისიც ქვეყანაზე უმშვენიერესი ქალის წინაშე. იგი კი, აგუსტინი, უნდა იდგეს, უცქიროს და შამპანური ყლაპოს, რომელიც მას უკვე ყელში ამოსდის. კიდევ კარგი, რომ ახლა სიმხნევე შეემატა და შეუძლია თავის აზრი გაბედულად უთხრას აბატსა და დონ მიგელს— ამ სწავლულ გამოფიტულ ვირს, რომელსაც ვერ შეუგნია, თუ რა საუნჯეა დონია ლუსია.

ჩახლეჩილი ხმით დაიწყო აგუსტინმა ქადაგი ზოგიერთი ბატონის უნაყოფო სწავლელობაზე. ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობენ აქეთურსა და იქითურზე; გერმანულად, ბერძნულად, ცხვირში რომ გჩრიან არისტოტელესა და ვინკელმანს. რა დიდი ამბავია, თუ სწავლისთვის საკმაო ფული და დრო გქონდა, თუ „კოლეგიალში“ ჩაგრიცხეს, მაღალ საყულოსა და აბზინდიან ფესსაცმელებში გამოქიმული დადიოდი. ამ დროს აგუსტინ ესტევე შრომით წელში წყდებოდა, ხან კი მათხოვრობდა, რათა წყალწყალა წვნიანი მაინც ჰქონოდა ვახშმად. ზოგიერთ ბატონს კი გამოუჩნდა საჭირო ოცი ათასი რეალი ქეიფის, ხარების კიდილისა და დოქტორის დიპლომისათვის. ზოგიერთი კი, ვისაც დოქტორის ხარისხი არა აქვს, მაგრამ მის ნეკს მეტი ესმის ხელოვნებისა, ვიდრე ოთხივე უნივერსიტეტს და აკადემიას თავის დოქტორებიანად, აქ ზის, შამპანური უნდა სვას, ვიდრე ყელში არ ამოუვა და იძულებულია დამარცხებული გენერლების უკანალქვეშ ცხენები ხატოს.

აგუსტინს ქიქა წაეჭვა. თვითონაც ქშენით დაემხო მაგიდაზე. აბატმა ღიმილით თქვა:

— ესეც ასე, ახლა ჩვენმა აგუსტინმაც იმღერა თავისი ტონადილია.

დონ მანუელმა გაუგო გულისტკივილი თავის კარის მხატვრის ჩამოგზმარ თანაშემწეს.

— შვეიცარიელივით დამთვრალა, — თქვა მან კეთილგანწყობილად.

შვეიცარიის გვარდიის ჯარისკაცები ცნობილი იყვნენ მით, რომ როცა საღამოს თავისუფლებას მიიღებდნენ, გრძელ რიგად ხელი-ხელგაყრილნი ქუჩა-ქუჩა მთვრალეები დახეტიალობდნენ, ღრიალებდნენ და გამვლელებს ეკინკლავებოდნენ. დონ მანუელმა სიამოვნებით დადრწმნა განსხვავება სიმთვრალეში უქმურ, ღვარძლიან აგუსტინს.

ტინსა და საკუთარ თავს შორის, რომელსაც ღვინო ამზიარებდა, კარგ გუნებაზე აყენებდა. იგი გოიას მიუჭდა, რათა მხატვრისათვის, შიკიანი, უფროსი და თანამგრძობი მეგობრისათვის სმაში გული გაღელვებულა.

ღონ მიგელი პეპასთან მივიდა. ესპანეთისა და პროგრესის ინტერესებისათვის სასარგებლო იქნებოდა პეპასთან მეგობრობის განმტკიცება. რადგან საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ღონ მანუელი რამდენიმე ხანს მაინც იქნებოდა ამ ქალის გაელენის ქვეშ.

ღონ დიეგო ლუსიას მიუჭდა გვერდით. მას ეგონა, რომ იცნობდა ადამიანებს, იცნობდა ღონია ლუსიას. რომელსაც ბევრი განუცდია. ყველაფერი მოყირჭებული აქვს, მიზანს მიაღწია: ასეთი ქალის მონადირება იოლი როდი იყო. მაგრამ თვითონ ხომ მეცნიერია, ფილოსოფოსი, თეორეტიკოსი და გამომუშავებული აქვს თავისი სისტემა და სტრატეგია. თუკი ხანდახან ღონია ლუსიას მსუბუქი, ძნელად გამოსაცნობი დაცივნა გადაურბენს სახეზე ნაცვლად მისთვის უფრო ბუნებრივი კმაყოფილებისა, ეს უთუოდ იმიტომ, რომ ახსოვს თავისი წარმოშობა და ამყოფს მით. იგი დაბალი ფენებიდან გამოსული მახაა, ეს არ ავიწყდება და ამაშია მისი ძალა. მადრიდელმა მახებმა და მათმა მახობმა იციან თავიანთი ფასი. მათ თავი ისეთივე ესპანელებად მოაქვთ, როგორც გრანდებს და შესაძლოა კიდევ უფრო ღირსეულებადაც კი. აბატს ეს მაღალი წრის ქალბატონი — ლუსია ბერმუდესი — ფარულ რევოლუციონერად მიაჩნია, რომელსაც შეეძლო პარიზში გარკვეული როლი ეთამაშა და ამაზე ააგო თავისი გეგმა.

არ იცოდა, ბჭობდა თუ არა მასთან პოლიტიკურ საქმეებზე ღონ მიგელი და აინტერესებდა თუ არა ეს ღონია ლუსიას. მაგრამ აბატი იმგვარად იქცეოდა, თითქოს ლუსია თავისი ესტრადიდან, თავისი სალონიდან განაგებდა ესპანეთის ბედს. ზავის ჩამოსაგდებად გადაღმულ პირველ გაუბედავ ნაბიჯს წარმატება არ მოჰყოლია: პარიზი ფხიზლობდა. რატომ არ უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკება პარიზელებთან ესპანეთის საქმეებზე სამღვდლოების წარმომადგენელს, რომლისადმიც უფალი ინკვიზიტორები კეთილგანწყობილნი იყვნენ, და წარჩინებულ ქალს, რომლის სალონიც მთელ ევროპაში იყო სახელგანთქმული? მათ ხომ უფრო თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება, და, მამასადამე, უფრო ნაყოფიერადაც, ვიდრე სახელმწიფო მოლ-

ვაწეებსა და კარისკაცებს. დონ დიეგომ გაკვრით მოიხსენია, რომ პა-
რიზში დიდი გავლენა და ისეთ ადამიანებთან ურთიერთობა ჰქონდა,
რომლებთანაც სხვას იშვიათად თუ მიუწვდებოდა ხელი. დიდი სიფრ-
თხილით, ტკბილი სიტყვებით სთხოვდა ლუსიას რჩევას და კავშირს
სთავაზობდა. ჰკვიან ლუსიას ესმოდა, აბატის მიზანი პოლიტიკა არ
იყო. განებივრებულ ქალბატონს ეამა განათლებული, გულჩათხრო-
ბილი კაცის ნდობა და მის მიერ შემოთავაზებული ფაქიზი, ძნელი
როლი. მისმა ირიბად ჰკრილმა მრავლისმეტყველმა თვალებმა პირვე-
ლად შეხედეს აბატს სერიოზული ინტერესით.

მაგრამ მალე დაღლა დაეტყო, გვიანი იყო, დასაძინებლად წას-
ვლა ისურვა. გავიდა ოთახიდან და თან გაიყოლა პეპაც, რომელსაც
თავის წესრიგში მოყვანა სურდა.

დონ მანუელი და გოია დარჩნენ. ველარაფერს ამჩნევდნენ, რაც
შათ ირგვლივ ხდებოდა. სვამდნენ და ერთიმეორეს ესაუბრებოდნენ.

— მე შენი მეგობარი ვარ, ფრანჩო, — არწმუნებდა ჰერცოგი მხა-
ტვარს, — შენი მეგობარი და მფარველი. ჩვენ, ესპანელი გრან-
დები, მუდამ ვიყავით ხელოვნების მფარველნი. ამასთან მესმის ხე-
ლოვნება. შენ უკვე მოისმინე, როგორი მომღერალიცა ვარ. ჩვენ
ორივენი ერთი ვართ, შენ — მხატვარი, მე — პოლიტიკოსი. შენ
გლახი ხარ, ხომ მართალი ვარ? არაგანელი გლახი, გამოთქმაზე გე-
ტყობა. დედამიერი აზნაურის ქალია, მაგრამ, ჩვენს შორის დარჩენ და,
მეც გლახი ვარ. მე დიდკაცობისაკენ გავიკვლიე გზა. შენც გაქცევ
დიდ კაცად. ამაში დარწმუნებული იყავი, ჩემო ფრანჩო, ჩვენ კაცე-
ბი ვართ, მე და შენ. აქ ბევრი კაცი როდი მოიპოვება. „ესპანეთი
დიდ კაცებს შობს, მაგრამ მალევე ასამარებს მათ“, — ამბობს ანდა-
ზა. და ასედაც არის. ეს ხშირი ომების ბრალია. ძალიან ცოტანი და-
რჩნენ. მე და შენ გადავრჩით. ამიტომაც ჩხუბობენ ქალები ჩვენი გუ-
ლისთვის. მეფის კარზე ას ცხრამეტი გრანდია, კაცი კი — მხოლოდ
ორი. მამაჩემი მუდამ ასე მეძახდა: „მანუელ, ჩემო მოზვერო“.
მოზვერი შემარქვა და მართალიც იყო. მაგრამ ამ ხარის მომრევი
ტორეადორი ჯერაც არ დაბადებულა. აი, რას გეტყვი, დონ ფრან-
სისკო, ჩემო ფრანჩო; ბედი უნდა გქონდეს კაცს. ბედია საჭირო. იგი
კი არ მოდის, დაბადებიდანვე თან ჰყვება კაცს. ეს არის საკუთრება,
როგორც ცხვირი, როგორც ფეხი, როგორც უკანალი და სხვა დანარ-
ჩენი რამ; ზოგს აქვს ეს, ზოგს — არა. მე მომწონხარ, ფრანჩო, უმა-

დური კაცი არა ვარ და შენგან დავალებულად ვგრძნობ თავს. ბუნებით ცუდი თვალი არა მაქვს, მაგრამ სწორად დანახვა მხოლოდ შენ მასწავლე. შენი სურათი რომ არა, ვინ იცის, ვიუდიტა იქნებ ჩემს ცხოვრებაში ვერც კი შემემჩნია. ვინ იცის, შენი სურათი რომ არა, ამ ქალში ღვთაება ვერ შემეცნო. სად არის იგი? აქ აღარ ჩანს. არა უშავს, ისევ მოვა. ბედნიერება მე არ გამიბრბის. მე შენ გეუბნები, რომ ეს ნაღია. სენიორა ხოსეფა ტულო სწორედ საჩემოა. თუმცა ეს შენ უჩემოდაც კარგად იცი. ჰკვიანი ქალია, ინტელიგენტი, ლაპარაკობს ფრანგულად, ხელოვანიცაა, ტირანას მეგობარი. კისერზე არ გეკიდება, თავდაჭერილია. ასეთი ქალები ძალზე ცოტანი არიან. რა შინაგანი მუსიკალობის პატრონია, ეს კი მხოლოდ მასთან ახლო მყოფს შეუძლია იცოდეს. მაგრამ დადგება დღე, ან უფრო სწორად ღამე, როცა მე ამას გავიგებ. როგორ გგონია, ის ღამე დადგა უკვე თუ არა?

გოია გაორებული გრძნობით უსმენდა მთვრალს, ამ გრძნობაში ზიზღიც იყო და მეგობრული გულითაღობაც. ჰერცოგმა მართლაც გადაუშალა გული სიმთვრალეში. დონ მანუელი ძალზე თავისუფლად გრძნობდა თავს, სწამდა ფრანსისკო და მას თავის მეგობრად სთვლიდა. საოცარია, როგორ გადაეჭლო ერთმანეთს მოვლენები. ხოველიანოსის დაბრუნება მოინდომა და თავი აიძულა სანაცვლოდ პეპა დაეთმო. ახლა კი ესპანეთში ყველაზე ძლიერი კაცი, დონ მანუელი, მისი მეგობარი გახდა. აღარ დასკირდება თავისი მედიდური, პედანტი ცოლისძმის, ბაიუეს მფარველობა. ჰერცოგის მეგობრობის წყალობით, გოია ახლა, მიუხედავად ყოველგვარი წინააღმდეგობისა, მეფის პირველი მხატვარი გახდება. მართალია, ბედს ვერსად წაუხვალ, მაგრამ დონ მანუელი რომ ამბობს — ქუდბედიანები იბადებიანო. სისულელეა. ფრანსისკო უგუნური როდია, იცის, ყოველ კაცს ბნელი ძალები ახვევია გარშემო. თავის გუნებაში პირჯვარი გადაიწერა და მოიგონა ძველი ანდაზა: „ბედს მოკლე ფეხები აქვს, უბედურებას კი ფრთები ასხიაო“, ჯერ კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის ვიდრე ის მეფის პირველი მხატვარი გახდებოდეს. ერთ რამეში კი მართალი იყო დონ მანუელი — ორივე ერთი ყაიდისანი არიან, ნამდვილი მამაკაცები. და ამიტომაც, ყოველგვარი ბნელი ძალების მიუხედავად, თავის საქმეში დაჯერებულია. ახლა ბედნიერება მისთვის მხოლოდ ერთ რამეში მდგომარეობდა; ეს არ არის მეფის ბეჭედდასმული ქა-

დალდი. ეს არის მკრთალი, მოთეთრო, მოგრძო სახე და ბავშვური ფუნთუშა ხელები. იგი კატასავით ვერაგი და არასაიმედოა. მართალია, დიდხანს ალოდინა, ბოლოს მაინც მიიწვია მონკლოაში, ბუენა-ვისტას სასახლეში, საკუთარი ხელით დაწერილი ბარათით.

დონ მანუელი განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ უცებ გაჩუმდა, ისევ შემოვიდა ხელახლად შელამაზებული პეპა.

სანთლები დაიწვა, დარბაზში ღვინის სუნი იდგა, დალდილ პაეს სკამზე ნახევრად ეძინა. მაგიდასთან მიმჯდარ აგუსტინს დიდკობიანი თავი ხელებზე დაეყრდნო, თვალები დაეხუჭა და ზვრინავდა. დონ მანუელსაც დაღლა ეტყობოდა. პეპა კი იჭდა ჩვეულებრივ მშვიდად, მიმზიდველი და მომხიბვლელი.

სენიორ ბერმუდესმა ახალი სანთლების ანთება მოინდომა, მაგრამ გამოფხიზლებულმა დონ მანუელმა შეაჩერა:

— ნუ შეწუხდებით, — მიაძახა მან, — საჭირო არ არის. ყველაზე საამურ ზეიმსაც უნდა ჰქონდეს ბოლო.

სწრაფად მიიჭრა პეპასთან და თავი მდებლად დახარა მის წინაშე.

— ნება მიბოძეთ, დონია ხოსეფა, სახლამდე მიგაცილოთ. — უთხრა მან ლაქუციტო.

პეპამ მშვიდად და ალერსიანად შეანათა მწვანე თვალები, ხელში კი მარაოს ათამაშებდა.

— დიდად გმადლობთ, დონ მანუელ, — უთხრა მან და თავი დახარა.

და ჩაუარა პეპამ გოიას
მანუელითურთ. დეენიას ღრმად
ჩასძინებოდა საფეხურებზე.
პეპამ მძინარე მოსამსახურე
გამოაფხიზლა ღიმილით. უკვე
დაიჭიხინეს ცხენებმა. ფართოდ
გახსნეს კიშკარი წითელფეხებმა
ლაქიებმა და სამეფო ეტლი
შეეხმაურა ძინარე მადრიდს —
დონ ნანუელი, პეპასთან ერთად,
მიემართება სასახლისაკენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა გოია დონ მანუელის სურათზე უხალისოდ მუშაობდა, მოულოდნელი სტუმარი ეწვია: დონ გასპარ ხოველიანოსი. მინისტრს თავისი დანაპირები დროზე შეესრულებინა.

აგუსტინის გამხდარ სახეზე შეცბუნება, სიხარული და მოკრძალება გამოიხატა, როცა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე სახელოსნოში შემოსული დაინახა. თვითონ გოიაც დაიბნა. თან ეამაყებოდა და თან რცხვენოდა, დიდი კაცი დაბრუნებისთანავე რომ ეახლა მადლობის სათქმელად.

— უნდა მოგახსენოთ, — თქვა დონ გასპარმა, — ჩემი გაძევების მთელი ხნის განმავლობაში ექვი არ შემპარვია, რომ მოწინააღმდეგეები იძულებულნი გახდებოდნენ, უკან გამოვეძახებინე. პროგრესი უფრო ძლიერია, ვიდრე ცალკეული ტირანის ნება-სურვილი. მაგრამ თქვენ რომ არ ჩარეულიყავით ამ საქმეში, დონ ფრანსისკო, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ამბავი. რა სასიხარულო და სანუგეშოა, როცა მეგობრები გაბედულად აღიმალლებენ ხმას სამშობლოს კეთილდღეობისათვის. გაორკეცებით სასიამოვნოა, როცა ასეთ გამბედაობას გამოიჩენს კაცი, რომლისგანაც, გულახდილად გითხრათ, არ მოელი. მიიღეთ ჩემი მადლობა, დონ ფრანსისკო.

იგი ღირსეულად ლაპარაკობდა. მისი მკაცრი, დანაოჭებული სახე მოღუშული იყო. დაამთავრა თუ არა ეს, თავი მდაბლად დახარა.

გოიამ იცოდა, ლიბერალების წრეში მალაღფარდოვანი სიტყვები მიღებული იყო, თუმცა მას პათეტიკა არაფრად ეპიტნავებოდა. სტუმრის ენაწყლიანობამ შეაცბუნა და უღიმამოდ გასცა პასუხი. შემდეგ კი ხალისიანად შენიშნა, რომ დონ გასპარი, მისდა სასიხარულოდ, ჯანმრთელად და კარგად გამოიყურებოდა.

— დიახ, — უპასუხა მოღუშულმა ხოველიანოსმა, — თუ ზოგიერთი ფიქრობდა, რომ გადასახლებაში დარდი მომიღებდა ბოლოს, იმედი გაუცრუვდა. მე მიყვარს ჩემი მთები. დავხეტილობდი აღმადლობა, ვნადირობდი. მუშაობაშიც ხელს არავეინ მიშლიდა, როგორც თქვენც სწორად შენიშნეთ, ყოველივე ამან მარგო.

— მაშასადამე, — თავმდაბლად უთხრა აგუსტინმა, — თქვენ ამ დასვენების დროს ბევრ შესანიშნავ წიგნს დაწერდით.

— თავისუფალი დრო მქონდა, — მიუგო ხოველიანოსმა, — დარამდენიმე ჩემი იდეა ქაღალდზე გადავიტანე. ესენია — მსჯელობანი ფილოსოფიურ და პოლტიკურ-ეკონომიურ საკითხებზე. ახლო მეგობრებმა ჩემი ხელნაწერები მოიწონეს და ჰოლანდიაში შეაპარეს, მაგრამ მადრიდამდე ალბათ ძალიან მცირეს ან სულაც არაფერს მოუღწევია.

— მგონია, ცდებით, ღონ გასპარ, — მოახსენა სიხარულით გაღიმებულმა აგუსტინმა ჩახლეჩილი ხმით, — აქ არის, მაგალითად, ერთი მცირე ზომის, მაგრამ შინაარსით მნიშვნელოვანი ხელნაწერი, სათაურად აქვს „პური და არენა“. ავტორია ვიღაც კანდიდო ნოსედალი, მაგრამ ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ხოველიანოსის ნაწარმოებები, იცის, ვინც არის ეს ნოსედალი. ესპანეთში მხოლოდ ერთი კაცი წერს ასე.

ხოველიანოსის გამხდარი, დანაოჭებული სახე აინთო, წამოწითლდა, აგუსტინი კი გატაცებული განაგრძობდა:

— ინკვიზიცია ამ ნაწარმოებზე ნადირობდა და თუ ვისმე კითხვისას წაასწრებდნენ, შავ დღეს აყრიდნენ. მაგრამ მადრიდელებს ვერ შეაშინებ, ისინი განუწყვეტლივ იწერდნენ და იწერდნენ ხელნაწერს. ბევრმა ზეპირადაც იცის, — და მან დაიწყო ციტირება: — „მადრიდში უფრო მეტი ეკლესია და სამლოცველოა, ვიდრე საცხოვრებელი სახლი, მეტი მღვდელი და ბერი. ვიდრე ერისკაცი. ყოველი ქუჩის კუთხეში გამვლელს ყალბ რელიქვიებსა და ცრუ საკვირველების ამბებს სთავაზობენ, რელიგია არაფრის მაქნისი ფორმალობებისაგან შესდგება. სარწმუნოებრივმა ძმობის კავშირებმა ძმური გრძნობა ჩაკლეს. ჩვენი მიხრწნილი, დაშლის გზაზე დამდგარი, უვიცი, ცრუმორწმუნე ესპანეთის ყოველ კუთხეში ქუჩყით დაფარული ღვთისმშობლის გამოსახულება ჰკიდია. ყოველთვე აღსარებაზე დაუღივართ, მაგრამ მიწიერების ჭაობში ჩაფლულნი მივათრევთ ჩვენი სიცოცხლის ყოველ დღეს აღსასრულამდე. არც ერთი წარმართი არ არის ისეთი ბარბაროსი და მსახვრელი, როგორც ჩვენ, ესპანელი ქრისტიანები. გვეშინია ინკვიზიციისა და არ გვეშინია განკითხვის დღისა“.

— ღონ კანდიდო მართალია, — ჩაიცინა ხოველიანოსმა.

ფრანსისკო ამ მკდერ წინადადებებს უკმაყოფილოდ და შიშით ისმენდა და გული მოსდიოდა აგუსტინზე, ასეთ სიტყვებს ჩემს ჭერ-

ქვეშ რად ამბობსო. გოიას ეკლესია და მისი მესვეურები არ უყვარდა. მაგრამ ამგვარი უკმეხი და ღვთისმგმობი სიტყვები საშიში იყო, მათ შეეძლოთ კაცისათვის ინკვიზიციის რისხვა დაეტეხათ თავს. ამასთანავე, ეს ბედის გამოწვევა იყო. მან ატოჩის ღვთისმშობელს მიაპყრო თვალი და პირჯვარი გადაიწერა.

მაგრამ გოიას, როგორც მხატვარს, არ გამოპარვია უეცარი ცვლილება, რომელიც ზოველიანოსში მოხდა. მისი მკაცრი გამომეტყველება გაქრა, იგი ტკბებოდა შექმნილი სიტუაციის კომიზმით — უკითხავდნენ საკუთარ კარგ ფრაზებს, გაძევების პერიოდში სხვისი სახელით რომ შემოაპარა მადრიდში. გოია ხედავდა, რაც გამოსჭვიოდა ზოველიანოსის გახეშემებული ნაკეთებიდან, ახლა იცოდა, როგორც უნდა დაეხატა იგი, ეს მართლაც დიდი პიროვნება, მიუხედავად ხაზგასმულად მკაცრი სათნოებისა.

ახლა ზოველიანოსი სიამოვნებით იგონებდა თავის პოლიტიკურ წარსულს. ყვებოდა, რამდენი ეშმაკობა და მოხერხება სჭირდებოდა პროგრესული ღონისძიებების გასატარებლად. ერთხელ კიდევ მიაღწია ერთგვარ წარმატებას. ააკრძალვინა მადრიდის ქუჩებში ყოველგვარი სიბინძურის დაყრა. ამაზე მოწინააღმდეგეებმა ექიმების დასკვნა გამოქვეყნეს. თითქოსდა მადრიდის გაუხშობებული ჰაერი იყოს საშიში ავადმყოფობების მიზეზი და ეს რომ თავიდან იქნას აცილებული, საჭიროა ჰაერი გაიჟღინთოს ნაგვის შმორის სუნითო. მაგრამ მან, ზოველიანოსმა, სხვა საექიმო დასკვნით დაამარცხა ისინი: მადრიდის ჰაერი მართალია გაუხშობებულია, მაგრამ მის გასაყენთად საკმარისია ბოლი და ქვარტლი იმ სამრეწველო საწარმოებისა, რომლებიც მან მადრიდში გახსნა.

მაგრამ დონ გასპარის კარგი განწყობილება სწრაფად გაქრა და იგი დღევანდელი რეჟიმის სასტიკ საყვედურს მოჰყვა.

— ჩვენ თავის დროზე, — ცხარობდა იგი, — მოსახლეობის ღარიბ ფენებს გადასახადების შემცირებით პირობები გავუთმჯობესეთ. მოვახერხეთ, რომ ყოველ მერვე ბავშვს სკოლაში ევლო. როცა ოქროთი დატვირთული ჩვენი გემები ამერიკიდან ბრუნდებოდა, მცირე დანაზოგსაც კი ვინახავდით. ახლანდელმა რეჟიმმა ყველაფერი გაანიავა. სასახლის ამ ვაჰბატონებმა და ქალბატონებმა მაინც ვერ შეიგნეს, რომ მარია ანტუანეტას უყაირათობა იყო რევოლუციის მთავარი მიზეზი. ისინი ახლაც ფლანგავენ. არმიების გაძლიერების ნაც-

ვლად ინახავენ ფავორიტებს, ინგლისურ და არაბულ ცხენებს. ჩვენ ხალხის განათლებასა და კეთილდღეობაზე ვზრუნავდით, ესენი კი უვიცობასა და სიღარიბეს თესავენ: აკი კიდევაც იმკიან ახლა განადგურებასა და დამარცხებებს. ჩვენს დროში ესპანეთის ნაციონალური ფერები ყვითელი და წითელი იყო, ამათ დროში კი ოქრო და სისხლია.

ფრანსისკოს ზოველიანოსის სიტყვები არასწორად და გადაჭარბებულად ეჩვენებოდა. ზოგ რამეში უთუოდ მართალი იყო ზოველიანოსი, მაგრამ სიძულვილი მას დამახინჯებულად უჩვენებდა საერთო სურათს და ახლა რომ წერდეს მის პორტრეტს გოია, უთუოდ გააუბულ, გონებაშეზღუდულ ფანტიკოსად გამოიყვანდა და სხვა არაფრად. ამასთანავე, გასპარ ზოველიანოსი უეჭველად ესპანეთის ერთ-ერთი უჭკვიანესი და უსათნოესი ადამიანი იყო. ვისაც პოლიტიკაში ხელი ურევია, ყოველთვის ან ერთ მხარეს გადასძლევეს, ან მეორეს. გოიას უხაროდა, პოლიტიკასთან საქმე რომ არა ჰქონდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ზოველიანოსი დონ მანუელის სურათს მოღუშული აკვირდებოდა. ბოლოს ასწია თითი და ბრალმდებლის ქესტით მიუთითა ჰერცოგზე, რომელიც, ნახევრად გამზადებული, მედიდურად შემოჰყურებდა ტილოდან:

— ეს ბატონი და მისი ქალბატონი ასეთი უმოწყალო მფლანგველები რომ არ იყვნენ.—წარმოთქვა გაცხარებულმა,—მაშინ სკოლებისათვის მეტი ფული გვექნებოდა, მაგრამ სწორედ ეს სურთ მათ, უმეცრებას უწყობენ ხელს. რათა ხალხი ვერ გაერკვეს, სად არის სიდუხჭირის მიზეზი, როგორ მოხდა, ლატაკმა საფრანგეთმა მთელი მსოფლიო რომ დაამარცხა? ამას ახლავე მოგახსენებთ, ზატონებო. ეს მოხდა, რადგან ფრანგი ხალხი გონიერია, წესიერია და აქვს მტკიცე რწმენა. ჩვენ კი რა გაგვაჩნია? ერთი უჭკუო მეფე, დედოფალი, რომელსაც თავის ავხორცობის გარდა არაფრის დარდი არა აქვს და პირველი მინისტრი, თავის ნიჰს რომ მხოლოდ ერთადერთი რამით—ლონიერი ბარძაყებით—ამტკიცებს.

ფრანსისკო აღშფოთდა. კარლოს მეოთხეს დიდი ჰკვიანი არ ეთქმის და დონია შარია ლუიზაც თავნება და ავხორცია, მაგრამ მეფე მაინც კეთილი და თავისებურად ღირსეული კაცია, დედოფალი ხომ პირდაპირ ბრძენია. და გარდა ამისა მან ქვეყანას შესძინა მთელი წყება

ჯანსალი უფლისწულებისა და მეფის ასულებისა. დონ მანუელს კაცო ადვილად შეეწყობი, თუ არ გააღიზიანებ. ყოველ შემთხვევაში, ფრანსისკო მოხარულია, რომ ამ პირებმა მეგობრად გაიხადეს. დარწმუნებულია, მეფეები ღვთისაგან მირონცხებულნი არიან, და თუ სოველიანოსს მართლაც სწავს, რასაც ამბობს, მაშინ ის ესპანელი არ ყოფილა და დაე, ურჯულოთა და მეამბოხეთა ქვეყანაში—საფრანგეთში—გადაიკარგოს.

მაგრამ გოიამ თავი შეიკავა და მხოლოდ ეს უთხრა:

—ცოტა უსამართლო ხომ არ ბრძანდებით ჰერცოგის მიმართ, დონ გასპარ?

—ცოტაო? — შეუბრუნა კითხვა ხოველიანოსმა, —იმედი მაქვს, ცოტა კი არა, ბუღიანაც უსამართლო. არც მსურს სამართლიანი ვიყო ამ გაიძვერას მიმართ. ის რომ ჩემს მიმართ უსამართლო იყო, ყველაზე მცირედად მიმაჩნია იმ დანაშაულებათა შორის, რაც მან ჩაიდინა. პოლიტიკა შეუთავსებელია სამართლიანობასთან. ლმობიერება სამართლიანობას არ შეესატყვისება. ლმობიერება ხანდახან უსამართლობას მოითხოვს.

ფრანსისკომ, რომელიც გრძნობდა თავის ირონიულ და ორქოფულ მდგომარეობას, კვლავ თავდაპირილად მოახსენა:

—მაგრამ ახლა ხომ ცდილობს დონ მანუელი, გამოასწოროს თქვენს მიმართ დაშვებული შეცდომა? ასე რომ არა, რად გამოგიწვევდათ უკან?

ხოველიანოსმა ნახევრად გამზადებულ სურათს გულმოსულად შეხედა და თქვა:

—ღამით ძილი წამართვა იმის ფიქრმა, რომ ამ კაცისაგან დავალებული ვარ და მადლობა უნდა გადავუხადო.

ხოველიანოსი უეცარი ცვლილების ნიჭით იყო დაჭილდოვებული და ხელად გარდაიქმნა იმ ადამიანად, იოლად რომ გავიწყებს, რაც მასში უხეში, მსუსხავი, არასასიამოვნოა, და განაგრძო:

— მოდიხ მოვრჩეთ ამ ამბავს, ვილაპარაკოთ ხელოვნებაზე, თქვენს ხელოვნებაზე. თქვენგან დავალებული ვარ, დონ ფრანსისკო, და როცა თქვენს ხელოვნებაზე ვფიქრობ, მსიამოვნებს, რომ თქვენგან ვარ დავალებული. გავიგე, ახლა თურმე ქვეყნის უდიდესი მხატვარი ბრძანებულიხართ.

ამ სიტყვების წარმოთქმისას დონ გასპარს სახე მომჯადოებელი თა-

ვაზიანობით უბრწყინავდა და გოია ერთობ გაახარა მისმა ნათქვამმა მაგრამ ეს ცოტა ხნით. ღონ გასპარი წაჰსვე აუტანელი გახდა და განაცხადა:

— როგორც გადმომცეს, ზოგიერთი თქვენი ნაწარმოები ბაიეუსა და მელას სურათებს არ ჩამოუვარდება.

ამ სიტყვებზე აგუსტინიც კი შეკრთა.

ხოველიანოსი მიმოდირდა სახელოსნოში და გოიას სურათებსა და ესკიზებს დიდხანს, სერიოზულად, კეთილსინდისიერად, მღუმარედ ათვალიერებდა.

— თქვენგან დიდად დავალიანებული ვარ, ღონ ფრანსისკო, — თქვა მან ბოლოს, — სწორედ ამიტომაც გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ დიდად ნიჭიერი ბრძანდებით, შესაძლოა ისეთივე ნიჭიერი, როგორც ბაიეუ და მელა, შესაძლოა მეტიც. მაგრამ ამაოდ აკეთებთ ექსპერიმენტებს, გაურბიხართ დიდ, მიღწეულ ჭეშმარიტებას. ფერებით თამაშობთ და უგულვებელყოფთ ხაზებს. ამით ზიანს აყენებთ თქვენს ნიჭს. აიღეთ მაგალითი ჟაკ-ლუი დავიდისაგან. ჩვენ აქ, მადრიდში, ასეთი მხატვრები გვესაქიროება. ჟაკ-ლუი დავიდი აქ მეფის კარისა და მისი გახრწნილებისადმი ზიზლით აღენთებოდა და ლამაზ ქალებს კი არ დახატავდა. არამედ განრისხებულ ზევსს.

„გამოყეუჩებული ბებერი! — გაიფიქრა გოიამ და გაახსენდა ანდაზა: „გული ნაღვლითა აღვსილი ვით იქმნას გამომკვლეველადო“, ხმა-მალა კი აშკარა დაცინვით უპასუხა:

— ვნებავთ დაგხატოთ, ღონ გასპარ?

წუთით კაცს ეგონებოდა, რომ ხოველიანოსი სასტიკად გაბრაზდებოდა. მაგრამ თავი შეიკავა და თავაზიანად უპასუხა:

— სამწუხაროა, რომ ჩემს შენიშვნას ყურად არ იღებთ, ღონ ფრანსისკო. მე თქვენ სერიოზულად გეპყრობით. პოლიტიკის შემდეგ არაფერი ისე ახლოს არ მოდის ჩემს გულთან, როგორც ხელოვნება. პოლიტიკურ სწრაფვასთან შერწყმულ ხელოვნების ნიჭს ყოველგვარი უმაღლესი მწვერვალის დაპყრობა შეუძლია, რაზეც კი ადამიანს ხელი მიუწვდება. ჟაკ-ლუი დავიდის მსგავს მხატვარს ჩვენი ქვეყნისთვის მირაბოზე მეტი სარგებლობის მოტანა ძალუძს.

ხოველიანოსის წასვლის შემდეგ გოიამ მხრები აიჩეჩა. შემდეგ კი

ზოლმა შემოაწვა. ასე ხმამაღოლებლივ უსმინა ამ გონებაშეზღუდული პედანტის სულელურ ბოდვას.

— ეკ ღირსი იყო იქ მჭდარიყო, თავის მთებში, — იღრინებოდა იგა და აგუსტინს მივარდა: — სულ შენი ბრალია! ისე მიყურებდი შენი სულელური, ფანატიკური, საყვედურით სავსე თვალებით, რომ ხმა ვერ ამოვიღე. მეც ბრყვი ვარ — შენ აყვევი. ახლა, ვინ იცის, რამდენ ხანს უნდა ველოლიაო ამ გამოსტერებულ პედანტს. მაგის თვალთამზერისაგან პალიტრაზე საღებავები შრება.

ახლა კი აღარ გაჩუმდა აგუსტინი:

— ასე ნუ ლაპარაკობთ, — უთხრა მან პირქუშად და გამომწვევად, — რა თქმა უნდა, რაც მან დავიღზე და თქვენზე თქვა, სწორი არ არის, მაგრამ მას რომ სურს ხელოვნება პოლიტიკისგან გათიშული არ იყოს ახლა — დღეს, ესპანეთში, ამაში კი მართალია. თქვენ აი ეს უნდა იქონიოთ მზედველობაში.

აგუსტინს ეგონა, რომ გოია აუყვირდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მან დაბალი, მაგრამ გესლით სავსე, დამცინავი ხმით მიუგო:

— ერთი დამიხედეთ, ამას მასწავლის ისეთი კაცი, რომელიც უდიდესი შთაგონების დროს ცხენის გავას ძლივს ხატავს. ვითომ რა ასეთი პოლიტიკაა მაგ შენი ცხენის გავაში? ესპანელი დავიდი! ეს ხომ მტენარი სისულელეა! ესპანელი დავიდი შენც შეგიძლია იყო, დონ აგუსტინ ესტევე, საამისოდ გეყოფა ნიჭი.

აგუსტინმა ჩიუტად დახარა ღიღი, კოპებიანი თავი და მკაცრად და დაეინებით განაგრძო:

— იცით, რას გეტყვით, დონ ფრანსისკო, იცი რას გეტყვი, ფრანჩო, რას გეტყვი, ბატონო კარის მხატვარო და აკადემიის წევრო? რაც არ უნდა იხტუნო და შხამი ანთხო, დონ გასპარი ათასჯერ მართალია. მიუხედავად შენი ნიჭისა, შენი სურათები ნათითხნია და მეტი არაფერი, დონ ფრანსისკო გოია, და ჩემს ცხენის გავაში მეტი აზრი და პოლიტიკაა, ვიდრე შენი ღიღი ქალბატონების ავხორცულ სიფათებში. სანამ ასეთი მზღალი განზე დგახარ, სანამ შეხედულელებას არ შეიცვლი და ამას არ გამოამკლავნებ, მანამ შენი მხატვრობა ნაგავი და ნაყარწყარია, — მან დონ მანუელის პორტრეტზე მიუთათა, — არა გრცხვენია ამის შეხედვა? სირცხვილია და თავის მოჭრა, „Que vergüenza!“ მთელი კვირაა ამას გადაწყვევი და იცი კი, რომ არარაობაა. საოცარი ფერებით გამოგყავს დადებული სამხედრო ფორმა და დადებული ორდენები, სახე კი

უშინაარსოა და შთლიანადაც უსუსურობა. ეს თითხნაა და არა მხატვრობა. მერედა რისთვის? რადგან შენი მანუელის გალამაზება გწადია. შენი მანუელიც ისეთივე ბრძანდება, როგორიც შენა ხარ. ქედმაღალი, პატივმოყვარე და თანაც მშვიშარა. ორივე შიშით კანკალებთ, რომ რეპუტაცია ერთი ბეწოთი არ შეგელახოთ. ამიტომაც ვერ ბედავ, დახატო ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. სიმართლის გამომკვლავნების გეშინია, მისი სიმართლისა და შენი სიმართლის. თხუპნია ხარ და მეტი არაფერი!

ეს უკვე მეტისმეტი იყო. გოიამ დახარა მრგვალი, გლეხური, ლომისებრი თავი, გაიწია აგუსტინისაკენ, ღონიერი მუშტი მოიღერა, სულ ახლო დადგა მასთან და ავის მომასწავებელი დაბალი ხმით უთხრა:

— ხმა ჩაიწყვიტე, საცოდავო მასხარავ!

— სულაც არ ვაპირებ გაჩუმებას, — მიუგო აგუსტინმა, — შენ თითხნი, თხუპნი ღლეში ათ საათს და თავი მოგაქვს მუყაითობით. თავი მოგაქვს შენი ასობით სურათით. მე კი გეუბნები, რომ ზარმაცი ხარ, თავქარიანი, გარყვნილი, ბინძური. თავი გინდა დაიძვრიხო პასუხისაგან, მშვიშარავ, შენი ნიჭის ღირსი არა ხარ. დახატე ლუსია და მიაგენი შენს ახალ შუქსა და ახალ ჰაერს, მაგრამ რა გამოგვივიდა ამით? იმის მაგიერ, რომ მუყაითობა გამოგეჩინა, იმის მაგიერ, რომ ეს ახალი განგემტკიცებინა და შეგეისხლხორცებინა, შენს მარჯვენას მიენდე, თხუპნი უმეცრად, ძველი, დრომოკმული მეთოდებით, გაკვალული გზით მიდიხარ.

— ჩაიწყვეტ თუ არა ხმას, შე ძაღლო! — უთხრა გოიამ ისეთი მუქარით, რომ სხვა შიშით უკან დაიხევდა, მაგრამ აგუსტინი კი—არა. ხედავდა, როგორ ქშინავდა გოია. იცოდა, ამ თავის მტერ-მოყვარეს გაცხარებისაგან სიყრუე მოუვლიდა და ხმას აუწია:

— შენი მანუელი, — ყვიროდა აგუსტინი, — შესაძლოა შენი ნათხუპნით კმაყოფილიც დარჩეს. მაგრამ ეს ნაგავია, ეფექტური ნაგავი და მამასადამე, ორმაგი ნაგავი. ეს შენც კარგად იცი. რატომ ვეღარ ართმევ თავს? იმიტომ რომ დასნეულებული ხარ სიზარმაცით, გამოუსწორებელი მცონარა ხარ, გულდასმით მუშაობა არა გსურს. შეტისმეტად თავაშვებული ხარ და დაკვირვებით მუშაობა არ შეგიძლია. სირცხვილი შენი, *Que vergüenza!* ეს იმიტომ, რომ ოცნებობ ქალზე, რომელიც მაშინვე არ დაგნებდა და შესაძლოა არც იყოს შენი ოცნების ღირსი.

უკანასკნელი, რაც გოიამ გაიგონა იყო „Que vergüenza“, შემდეგ კი ბოლომდე აღვისილს მუქ-წითელმა სისხლის ტალღამ ყურებში და ტვინში ისე დაარტყა, რომ მეტი აღარაფერი გაუგონია.

— გაეთრიე აქედან!—დაიღრიალა მან.—წაეთრიე შენს ხოველიანოსთან! ის დახატე! ის დახატე, როგორც დავიღმა დახატა აბაზანაში მოკლული მარატი.

გოიას აღარ გაუგონია, რა უპასუხა აგუსტინმა, მხოლოდ მისი ტუჩების მოძრაობა დაინახა. უნდოდა ყელში სცემოდა, მაგრამ აგუსტინი მართლა წავიდა. იგი სწრაფად, ბანდალით გავიდა გარეთ.

ახლა ფრანსისკო მთვრალივით იღვა

თავის ნახევრადდამთავრებული

მანუელის წინ. ჩაილულულა:

„Qué vergüenza!“ —

კიდე და კიდე გაიშეორა

„Qué vergüenza, „que vergüenza!“

გამოედევნა,

მერე გაჩერდა...

კვლავ გაეკიდა ესტევეს, ისე

უყვიროდა, რომ ხმა საკუთარი

თვით არ ესმოდა:

„ჰეი! დაბრუნდი შე ბრიყვო ვირო!

სხვა რა გიწოდო, როგორ მოგმართო?

დადექი, მოდი, ვილაპარაკოთ.

შენ როგორც გინდა, ისე მაგინებ,

მე კი ვერ ვბედავ შეპასუხებას!

ოჰ, ღმერთო ჩემო, შენ მგუანი ხარ,

როგორც ბებერი ინფანტა, ისე!“

11

ფრანსისკო გოიამ ესპანეთის ას ცხრამეტი გრანდიდან თითქმის ნახევარი ჰაინც დახატა. იცოდა ამ გრანდების ნაკლოვანი მხარეები და მათთან თავი ისე ეჭირა, როგორც ტოლებთან. მაგრამ ახლა ჰერცოგის ასულ აღბასთან, მონკლოასკენ, გზად მიმავალი შიშმა შეიპყრო, ასეთი რამ მან ერთხელ ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოსცადა, როცა ყოვლისშემძლე ფეოდალის, ფუენდეტოდოსის გრაფის წინაშე უნდა წარმდგარიყო, რომლისგანაც მამამისი იჯარით მიწას იღებდა.

გოია თავის თავს დასცინოდა. რისი ეშინოდა? ან რისი იმედი ჰქონ-

და? მიემგზავრებოდა ისეთ ქალთან, რომელმაც გარკვეულად იმედი მისცა. ეს ნაღდი იყო, მაგრამ რატომ დუმდა ეს ქალი ამდენ ხანს?

მართალია, ამ ბოლო ხანებში დონია კაეტანა ერთობ დატვირთული იყო. გოიას მასზე ბევრი რამ გაეგონა, მთელი ქალაქი ლაპარაკობდა მის საქმიანობაზე. სადაც არ უნდა ყოფილიყო ფრანსისკო, მუდამ იმის მოლოდინში იყო, რომ ამ ქალის სახელს ახსენებდნენ და ამ სახელის გავრეხვა მას თან აშინებდა და თანაც ენატრებოდა.

იცოდა, ეს სახელი ერთნაირ შთაბეჭდილებას ახდენდა, როგორც მახოებისა და მახების ლუღხანებში, ისე გრანდების სალონებში. სასტიკად აგანებდნენ, საშინელ ამბებს ჰყვებოდნენ მის გარყვნილებაზე და ამასთანავე გაოცებულნი იყვნენ, რომ ესპანეთის პირსისხლიან მარშალ ალბას შეილთაშვილი ასეთი თვალწარმტაცი, ბავშვური, ამაყი და ყინიანი იყო. ხან ქუჩის ბიჭებთან ხარების მოჰავალ ჭიდილზე ბჭობდა, ხან ქედმაღლურად სალაშზე პასუხს არ იძლეოდა. ხან ყოველგვარი ფრანგულისადმი აშკარად მიილტვოდა, ხანაც, როგორც ქეშმარიტ მახას, ნამღვილ ესპანელ ქალად მოჰქონდა თავი და იტალიელ, გადამთიელ დედოფალთან მუდამ შფოთის მიზეზს ეძებდა.

საერთოდ კი კაეტანა დე ალბა დედოფალზე ნაკლებად ამაყი როდი იყო და მასზე ნაკლებ ფუფუნებაში როდი ცხოვრობდა. მასაც სჩვეოდა ძვირად ღირებული ახირებანი და მასზე მეტ სათნობასაც ვერ დაიკვეხნა. მაგრამ, როცა ტორეადორი კოსტილიარესი ხართან ბრძოლას დედოფალს უძღვნიდა, ხალხი ხმას არ იღებდა, საკმარისი იყო ბრძოლა კაეტანა დე ალბასთვის მიეძღვნა—მთელი არენა ზეიმობდა.

ალბას მხრივ დიდი თავხედობა იყო ახლა ომისაგან გაჩანაგებულ ქვეყანაში ახალი სასახლის აგება, განა მარია ანტუანეტას გილიოტინაზე ასვლის ერთ-ერთი მიზეზი მისი მულანგველობა არ იყო, ტრიანონის აგების დროს რომ გამოიჩინა? დონია კაეტანამ კი თავხედური ღიმილით და ალბური ზვიადი სიამაყით ჩასჭიდა ხელი მარია ანტუანეტას ამ გასართობს და განაგრძო იქიდან, სადაც მარია იძულებული გახდა შეჩერებულიყო. ბევრს არ შეეძლო ეთქვა, მათ შორის ფრანსისკოსაც, დონია კაეტანა უყვარდათ თუ სძულდათ. მუდამ ასეთი განწყობალება ჰქონდათ ზადრიდელებს მისადმი, გული მოსდიოდათ მასზე, დასცინოდნენ, თანაც უყვარდათ.

სასახლე დიდი არ იყო: მოწვეული იყვნენ კაეტანას მხოლოდ უახლოესი მეგობრები და უმაღლესი გრანდები. ფრანსისკო ამაყობდა და უხაროდა, რომ კაეტანამ მათ რიცხვში ჩათვალა. მაგრამ კაეტანას ისე ვერ დაენდობოდა კაცი, როგორც მომავალი წლის ამინდს. შესაძლოა თვითონაც არ ესმოდეს, თუ რისთვის მიიწვია ფრანსისკო. ნეტავ, როგორ შეხვდება? ექნება ნეტავ თან მისი მარაო? რას ანიშნებს მარაოთი? ნეტავ გოიას დაუძახებს, დონ ფრანსისკოს თუ უბრალოდ ფრანსისკოს?

ეტლმა ბუენავისტას სასახლის ცხატრ ჭიშკარს მიაღწია და ზევით აუხვია. წინ ამაყად აღიმართა სადა, ერერას *desornamentado*¹ სტილით ნაგები დიდებული ფასადი. ჭიშკარი გაიხსნა, გამოჩნდა შიგნით შესასვლელი საუცხოო შვეული კიბე. სტუმრებს ამაყად გადმოჰყურებდა კიბის თავზე დაკიდებული კაეტანა ალბას ერთ-ერთი შორეული წინაპრის პორტრეტი. გოია უნებლიეთ თრთოდა ალბების, ესპანეთის პირველი გვარის წინაშე, რომელიც უფრო ძველი, უფრო სახელმწიფო-ქილი და კეთილშობილი იყო, ვიდრე ბურბონებისა. ასე მიჰყევებოდა ზევით სადარბაზო კიბეს ორ წყებად ჩამწკრივებულ ლაქიებს შორის, სახლთუხუცესის თანხლებით, გარეგნულად წარჩინებული, ხოლო შინაგანად გლეხი გოია. მასთან ერთად, ქვევიდან ზევით, ბაგიდან ბაგეზე მიფრინავდა მოკრძალებული ჩურჩულით მისი სახელი: „სენიორ დე გოია, მეფის მხატვარი“. ბოლოს, სულ ზევით, მეკარემ ხმაძალდა გამოაცხადა: „სენიორ დე გოია, მეფის მხატვარი“.

კიბეზე ამავალმა გოიამ თავისი მოკრძალებისა და ღირსების მიუხედავად, გაკვირვებულმა შენიშნა, რომ ამ პატარა სასახლის მართულობა თავხედურად და დამცინავად ეწინააღმდეგებოდა მის სადა კლასიკურ ნაგებობას. აქ ყველაფერი ბრწყინავდა იმ გულისგამზარებელი ფუფუნებით, რომელიც გასულ საუკუნეში საფრანგეთის სამეფო კარმა, ლუდოვიკო მეტხუთმეტისა და ქალბატონ დიუბარის კარმა შექმნა. ხომ არ სურდა სასახლის პატრონს ამით ეჩვენებინა, რომ იგი იყო ესპანეთის ამაყი და სასტიკი ალბების ჩამომავალიც და ამავე დროს საფრანგეთის დამხობილი არისტოკრატიის ფუქსავატური ცხოვრების მიმდევარიც?

მაგრამ კაეტანა ალბას თავისი სასახლის კედლები სულ სხვა ხასია-

¹ უბრალო, უსამკაულო სტილი.

თის სურათებით მოერთო, ვიდრე ფრანგ წარჩინებულებს სჩვეოდათ. აქ ვერ ნახავდით ბუშესა და ვატოს სურათებს, არაფერი მოიძებნებოდა გოიასა თუ მისი ცოლისამის ბაიუს გობელენების მსგავსი. აქ ეკიდა მხოლოდ ძველი, დიდი ესპანელი მხატვრების ნაწარმოებები—სასტიკი, მრისხანე გრანდების პორტრეტები, რომლებიც ველასკესის ფუნჯს ეკუთვნოდა, რიბეირას სასტიკი წმინდანი და სურბარანის ფანტიკური, პირქუში ბერი.

ამ სურათებს ქვეშ არცთუ ისე ბევრ სტუმარს მოეყარა თავი. აქ ბრძანდებოდა თორმეტიდან ხუთი ისეთი გრანდი, რომელთაც თავიანთი წარჩინება უფლებას აძლევდა მეფესთან და დედოფალთან ქუდი არ მოეხადათ. აქ იყო აგრეთვე გოიას მუდმივი მოვალე, საფრანგეთის მეფისწულისა და მისი რეგენტის წარმომადგენელი, მუსიო დე ავრე; რიხიანად, მაგრამ ოღნავ დასაწყლებულად, და გამომწვევად გამოიყურებოდა, გვერდით კი მოესვა თავისი თექვსმეტი წლის ლამაზი ასული სათუთი ენევიევა. აქ იყო აბატი დონ დიეგოც. აქვე იყო ქერა სახის მკვეთრი ნაკვთების მიუხედავად, მშვიდი გამომეტყველების მქონე ზორბა ბატონი და ვიდრე მას წარმოდგენდნენ, გოიამ უკვე იცოდა, რომ ეს იყო საზაზლარი ექიმი პერალი, მკურნალი, დალაქი.

ეს ვინღაა ნეტავ, მედიდური, პირქუში, კეთილშობილი ხელალებით უარმყოფელი ყველა იმ ნატიფი ხარახურისა, რომლითაც სავსეა სახლი? ოჰ, ეს ხომ ისაა, ეკლესიისა და საპეტო ტახტის მოწინააღმდეგე, არცთუ დიდი ხალისით რეაბილიტირებული დონ გასპარ ხოველიანოსა, რომლისადმიც მეფეს ჯერ არ მოელო მოწყალება, რათა საშუალება მიეცა მადლობის ნიშნად ხელზე მთხვევისა. დონია კაეტანას მხრივ დიდი თავხედობა იყო სწორედ დღეს მისი აქ მოწვევა, როცა მათ კათოლიკურ აღმატებულებებს—მეფე-დედოფალს ელოდებოდა. შეკრებილმა ქალბატონებმა და ბატონებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეოდნენ დონ გასპარს. თავაზიანად, მაგრამ გულცივად მიესალმნენ და მასთან ლაპარაკს თავს არიდებდნენ. ხოველიანოსს ეს კიდევაც მოსწონდა. მისთვის ერთგვარი გამარჯვება იყო, რომ სახელმწიფოს უწარჩინებულესმა ქალბატონმა ასეთ ნადიმზე მიაბატიყა; საერთოდ კი მაინცდამაინც დიდად როდი სიამოვნებდა წარჩინებულთა ბრბოსთან სიახლოვე. განმარტობით იჯდა პატარა მოოქროვილ სკამზე და გოიას ეგონა, ეს

მცირე ზომის ღვაპი ვერ გაუძლებდა ამოდენა ღირსების სიმძიმეს და ჩატყდებოდა.

ჰერცოგი ალბა და დედამისი, მარკიზ დე ვილიაბრანკას ქვრივი სტუჰარებს ეგებებოდნენ. ჰერცოგი ჩვეულებრივზე უფრო ხალისიანად გამოიყურებოდა.

— თქვენ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი გელით, ჩემო ძვირფასო, — უთხრა მან გოიას.

აბატმა გოიას განუმარტა საქმის ვითარება: ჰერცოგის მეუღლეს ბუენავისტას თეატრალური დარბაზი კამერული მუსიკისათვის დაეთმო და მასში თვით ჰერცოგი მიიღებდა მონაწილეობას. გოიას ეს არაფრად აინტერესებდა. ის ნერვიულობდა, უცნაური იყო, რომ დიასახლისი არ ჩანდა და პირადად არ ეგებებოდა თავის სტუმრებს. მაგრამ აბატმა მიზეზიც ახსნა. მათი აღმატებულებების მობრძანებამდე, ნებისთ თუ უნებლიეთ სასახლეს ვერ დაათვალიერებდნენ. კაეტანამ ისიც არ ინება მეფე-დედოფალს დალოდებოდა. შემოსასვლელთან დააყენა საიმედო მაცნეები, რათა დარბაზში თავადაც უშუალოდ მათი აღმატებულებების შემობრძანებისთანავე შემოსულიყო.

აი ისიც, გოიამ რამდენჯერმე უბრძანა თავის თავს, არ აღეღე-ბულიყო, მაგრამ ისევე მოხდა, როგორც მაშინ, ესტრადაზე ხილვისას. ყველაფერი შთაინთქა: სტუჰარები, ოქროულობა, სურათები, სარკე, ჭადი ჯა დარჩა მხოლოდ დონია კაეტანა. კაცს თვალში ეცემოდა მისი უბრალო ჩაცმულობა. ისეთი სადა, თეთრი კაბა ეცვა, როგორსაც ახლა, ალბათ, რესპუბლიკურ პარტიზში ატარებდნენ ქალბატონები; ფართო ბაბთით შემოსალტული წერწეტა წელიდან ძირს ეშვებოდა ოქროსფერქობიანი განიერი ნაკეციები. ხელზე ჰქონდა სადა ოქროს სამაჯური და სულ ეს იყო მისი სამკაული. შიშველ მხრებზე ხშირი, შავი თმის კულულები ეფინა.

გოია დაიბნა. არავითარი ყურადღება არ მიაქცია იმ პირებს, რომელთაც უფლება ჰქონდათ პირველნი მისალმებოდნენ ქალბატონს და დააპირა პირდაპირ მისთვის მიეშურებინა, მაგრამ წინასწარი დაგეგმვის თანახმად, ერთბაშად კიბიდან გაისმა და თანდათან ძლიერდებოდა ხმა: „მათი კათოლიკური უდიდებულესობანი.“ სტუჰარებმა გზა დაუცალეს, ხოლო კაეტანა მათ შესაგებებლად გაეშურა.

საბლთუხუცესმა კვერთხი დაჰკრა და უკანასკნელად გამოაცხადა:

„მათი კათოლიკური უდიდებულესობანი და მისი აღმატებულება ჰერცოგ ფონ ალჟუდია“ — და ისინიც შემობრძანდნენ. ორმოცდაექვსი წლის ბატონმა, მეფე კარლოს მეოთხემ, წარმოსადგემა და ღიბიანმა, იქაურობა აავსო. მას ეცვა წითელი, ვერცხლით გაწყობილი ფრაკი, მკერდზე ორდენის ბაბთითა და ოქროს ვერძის ორდენით, ილიაში სამკუთხა ქუდი ამოეჩარა და ხელში ყავარჯენი ეჭირა. მეფე ცდილობდა თავისი წამოფაკლული, კმაყოფილი, დიდცხვირა, სქელტუჩება, შუბლშემელოტებული სახისათვის შთამავონებელი გამომეტყველება მიეტა. მის გვერდით, ოდნავ უკან, მოაბიჯებდა დედოფალი დონია მარია ლუიზა პარმელი, რომლის განიერმა კაბამ ფართოდ გახსნილი შემოსასვლელი დაფარა. წმინდანის ქანდაკებასავით იყო შექმნილი პატიოსანი თვლებით და ხელში უზარმაზარი მარაო ეჭირა. მისი ქუდის ვეება ფრთები თითქმის მაღალი შემოსასვლელის ჰერს წვდებოდა. მათ უკან გამოჩნდა დონ მანუელი. ლამაზ, მაგრამ ოდნავ მოუხეშო სახეზე მისთვის დამახასიათებელი კმაყოფილი ღიმილი დასათამაშებდა.

კაეტანამ თავაზიანად მუხლი ჩაიკეცა და პირველად მეფეს ემთხვია ხელზე, ხოლო შემდეგ დონია მარია ლუიზას. დედოფალმა განცვიფრება ძლივს დამალა და თავისი მხვილი, წვრილი შავი თვალები მიაშტერა კაეტანას თვალში საცემად უბრალო კაბას, რომლითაც გაბედა ქედმაღალმა ჰერცოგის ასულმა მათი კათოლიკური უდიდებულესობის დახვედრა.

მეფე-დედოფალმა სტუმრებთან გააბა საუბარი. იქვე ისე იდგა მემბოხე ვასპარ ხოველიანოსი, თითქოს ისიც მათიანი ყოფილიყოს. მეფემ, რომელსაც უცბად მოსაზრების უნარი არ გააჩნდა, უმაღვე ვერ იცნო იგი. შემდეგ კი ხმა ჩაიწმინდა და მიმართა:

— რა ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს. როგორ ბრძანდებით? ისე კი შესანაშნავად გამოიყურებით.

დონია მარია ლუიზას არაფრად ესიამოვნა ეს მოულოდნელი შეხვედრა და უცებ ვერ მოახერხა თავისი აღშფოთების დამალვა. შემდეგ კი იფიქრა: რაკი ხოველიანოსი დააბრუნეს, ურიგო როდი იქნება, მისი ფინანსური საქმის ნიჭი მაინც გამოვიყენოთო. მოწყალეობა მოილო და მემბოხეს ხელზე ამბორის ნება დართო.

— ამ მძიმე დროში, სენიორ.—უთხრა მან.—ჩვენს საბრალო ქვეყანას ყოველი კაცის სამსახური სჭირდება, ვინც არ უნდა იყოს იგი. ამი-

ტომ ჩვენ, მე და მეფემ, გადავწყვიტეთ თქვენც ჰოგცეთ თავის გამოჩენის საშუალება.

დედოფალი ხმამალა ლაპარაკობდა თავის საკმაოდ სასიამოვნო ხმით, რათა ყველას დაეთასებინა მისი ორმხრივი ქათინაური, რომლის ნეოხებითაც მძიმე მდგომარეობას დააღწია თავი.

—მადლობელი გახლავართ, თქვენო უდიდებულესობავ, —მოახსენა ზოველიანოსმა და ორატორობაში გაწაფულ ხმას ისე აუწია, რომ მთელ დარბაზს გაეგონა. —იმედი მაქვს იძულებითი უსაქმოდ ყოფნის ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩემს ნიჭს უმოქმედობით ჟანგი არ მოჰკიდებია.

„ყველაფერს გაზღვევინებ“, — გაიფიქრა მარია ლუიზამ; იგი კაეტანა ალბას გულისხმობდა.

დაათვალიერეს შენობა.

—ძალიან კარგია, ძალიან მოხერხებული, —აქებდა დონ კარლოსი.

ხოლო დედოფალი ფარული შურითა და მცოდნის გამომეტყველებით ათვალიერებდა სასახლის მოწყობილობის ნატიფ და ძვირფას წვრილმანებს. შემდეგ მიუთითა ესპანელი მხატვრების შედეგებზე, საოცრად ცივად და ქედმაღლურად რომ გადმოჰყურებდნენ სასახლის ფუქსავატურ სიმდიდრეს:

—საოცარი სურათები დაგიკიდიათ კედლებზე, ჩემო კარგო, —მომართა დედოფალმა კაეტანას, —მე ყრუანტელი დამივიღდა მათ დანახვაზე.

სათეატრო დარბაზში თვით დინჯმა გრანდებმაც ველარ შეიკავეს თავი ალტაცების წამოძახილებისაგან. მდიდრული და მიუხედავად ამისა, დარბაისლური სტილის ცისფერი და ოქროსფერი დარბაზი უთვალავი სანთლის შექმნე კაშკაშებდა. ძვირფასი მასალით ნაკეთები ლოყები და სავარძლები კაცს თავაზიანად და ცერემონიალურად ეპატიჟებოდნენ. აივნის დასაყრდენი სვეტები დაბოლოებული იყო უძველესი ჰერალდიკური მხეცების ქანდაკებებით, რათა სტუმრებისათვის შეეხსენებინათ, რომ მიბატოებული არიან ისეთ ქალბატონთან, რომელიც შვიდი ესპანელი გრანდის ტიტულს ატარებდა.

აი, დადგა ის წუთიც, რომელსაც ჰერცოგი ალბა ეს რამდენიმე კვირაა გულისფანცქალით მოელოდა. სახლთუხუცესმა ბატონებსა და ქალბატონებს სთხოვა დაბრძანებულებიყვნენ. სცენაზე გამოჩნდნენ ჰერცოგი, მისი რძალი დონია მარია ტომასა და პატარა ქენევიევა, მუსიო

დე ზურგს ასული. ჰერცოგის რძალი, შვეთმიანი, ზორბა ქალბატონი, ენევიევისა და ჰერცოგთან შედარებით ზონზროხად გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, სცენის სამი ინსტრუმენტიდან ყველაზე პატარაზე—ვიოლინოზე—უკრავდა. სხეულითა და ჩაცმულობით მოღარიბო ენევიევი კი, პირიქით, თავის დიდ ვიოლონჩელოსთან შედარებით, სათუთი და ერთი ციციკნა ჩანდა. ჰერცოგი ისეთ ინსტრუმენტზე უკრავდა, რომელსაც კაცი ახლა სულ უფრო იშვიათად თუ ნახავდა და მოისმენდა, ეს იყო მრავალსიმიანი, არცთუ დიდი, ამალელებლად მკვეთრი და ამასთანავე ერთობ ტკბილხმიანად მკლერი ბარიტონი, ვიოლა დე გამა.

სამივემ მოსინჯა თავიანთი ინსტრუმენტები, ერთმანეთს თავები დაუკრეს და ამის შემდეგ დაიწყეს ჰაიდნის დივერტიმენტი. დონია მარია ტომასა ვიოლინოზე დინჯად და თავდაჭერებულად უკრავდა. ენევიევი ფართოდ გაღებული თვალებით, შეშინებული, დიდი მონდომებით იღვწოდა თავის უზარმაზარ ვიოლონჩელოზე, ჩვეულებრივ ცივი და უგულისყურო ჰერცოგიც კი დაკვრის დროს გამოცოცხლდა; თითებს, რომლებიც სიმებს აქლერებდნენ, თითქოს სული ჩასდგომოდან და საკუთარი სიცოცხლე მინიჭებოდან, ლამაზი მეღანქოლიური თვალები უბრწყინავდა, ამ საერთოდ თავდაჭერილი კაცის სხეული ამოძრავდა, წინ და უკან იხრებოდა, თითქოს სურდა ინსტრუმენტისათვის მასში ჩამალული სული ამოერთმია. გრძობამორეული და ალტაცებული შესტკეროდა თავის საყვარელ ვაჟს მოხუცი მარკიზა დე კილიაბრანკა.

— განა ჩემი ზოსე ნამდვილი ხელოვანი არ არის?—ჰკითხა მის გვერდით მჯდომ გოიას.

მაგრამ გოია მხოლოდ ცალი თვალთ ხედავდა და ცალი ყურით ისმენდა. კაეტანასათვის ჯერ ერთი სიტყვაც არ ეთქვა და არ იცოდა, დაინახა თუ არა იგი ქალმა.

სტუმრებს მუსიკა მოეწონათ და ზოტბა, რომლითაც მოღიშარი და მოქანცული ჰერცოგი შეამკეს, ალალი გულით იყო ნათქვამი. დონ კარლოსმა დაივიწყა, რომ დონ ზოსე, ამა თუ იმ არასაპატიო მიზეზით, რამდენჯერმე გაკადნიერდა და უარა თქვა მეფის მიერ მის სასახლეში ჩამოყალიბებულ კვარტეტში მონაწილეობის მიღებაზე, და მონდომა ორიოდღე მოწყალე სიტყვით მიემართა. ზორბა, ჩასხმული მეფე დაღვა თავის ხმელ-ხმელი პირველი გრანდის წინ.

— თქვენ ნამდვილი ხელოვანი ბრძანდებით, დონ ხოსე. ეს არც კი წეეფერება თქვენისთანა მაღალი თანამდებობის მქონე ბატონს. მაგრამ არც მართალია, უნდა ითქვას. თქვენს ბარიტონთან ჩემი პატარა ვიოლინო ხომ გამოსაჩენიც არ არის.

კაეტანა ალბამ გამოაცხადა, რომ სცენა ეთმობოდა ხელოვნების მოყვარულთ და კარგი იქნებოდა, თუ რომელიმე სტუმართაგანი მონაწილეობის მიღებას ინებებდა. დედოფალმა თითქოს სხვათა შორის, მაგრამ ყველას გასაგონად იკითხა:

— რას იტყოდით, დონ მანუელ! იქნებ მოგვასმენინოთ რომელიმე თქვენი რომანსი ან სეგიდილია ბოლერა?

დონ მანუელი ცოტა შეეყოყმანდა. შემდეგ თავმდაბლად მოახსენა, ასეთი რჩეული საზოგადოების წინაშე და ასეთი შესანიშნავი ნომრის შემდეგ ჩემი ღარიბი ხელოვნება ვაითუ შეუფერებელი გამოდგესო.

ეს დონია მარიამ უარპყო.

— ნუ ინაზებით, დონ მანუელ, — ეუბნებოდა იგი და ეს თხოვნა დედოფლისა კი აღარ იყო, არამედ ქალისა, რომელსაც თავისი საყვარლის მრავალმხრივი ნიჭის ჩვენება სურდა ნაცნობებისათვის. მაგრამ დონ მანუელი, შესაძლოა პეპაზე ფიქრობდა, ხასიათზე არ იყო და არ სიამოვნებდა, რომ მისით ამაყობდნენ.

— გაზოგოთ მერწმუნოთ, ქალბატონო, დღეს ხმა არა მაქვს და ვერ ვიმღერებ.

ეს თავხედობა იყო. გრანდს უფლება არა ჰქონდა დედოფლისათვის ასეთი პასუხი გაეცა, არც კორტეხოს — თავის საყვარლისათვის, მით უმეტეს სხვების გასაგონად. მცირე ხნით უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მაგრამ კაეტანა ალბას იმდენი ტაქტი გააჩნდა, რომ მხოლოდ რამდენიმე წუთით დამტკბარიყო დედოფლის მარცხით. შემდეგ კი ყველანი თავაზიანად მიიპატიჟა სუფრაზე.

გოია უბრალო აზნაურებთან, ხოველიანოსსა და აბატთან იჯდა. უკეთესს ვერც ინატრებდა, მიუხედავად ამისა, ცუდ ხასიათზე იყო, ცოტას ლაპარაკობდა და ბევრს ჭამდა. ამდენ ხანს ვერ მოეხერხებინა კაეტანა ალბასთან დალაპარაკება. ნავაზშმევეს ჰერცოგმა თავის სავანეს მიაშურა. ფრანსისკო კუთხეში მიიყუჟა. ახლა უკვე გული აღარ მოსდიოდა, მოიწყინა და სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— თქვენ თავს მარიდებთ, დონ ფრანსისკო,—ჩაესმა მას ოდნავ მკვახე ხმით წარმოთქმული სიტყვები. მაგრამ გოიას ის უფრო ღრმად ჩასწვდა გულში, ვიდრე წელან ავსტრიელი კომპოზიტორის მუსიკა. — ჯერ მთელი კვირეების განმავლობაში არ გამოჩნდიო, — განაგრძო კაც-ტანამ, — ახლა კი თავს მარიდებთ.

გოია მიაშტერდა უწინდებურად, ქალი კი ალერსიანად უყურებდა და არა ისე, როგორც მაშინ. იგი ხელში მარაოს ათამაშებდა, ეს არ იყო გოიას მარაო, მაგრამ მაინც სასიამოვნოს აუწყებდა.

— დაბრძანდით აქ, ჩემთან, — უბრძანა ქალმა, — ბოლო ხანებში არ მეცალა, ამ სახლის მშენებლობის გადაწყვიდეს ახლო მომავალშიც არ მექნება ბევრი თავისუფალი დრო, სამეფო კარს უნდა გავყვე ესკუ-რიალში. მაგრამ დაებრუნდები თუ არა, უნდა დამხატოთ თქვენი მე-თოდით. მთელი ქვეყანა აღტაცებულია თქვენი ახალი პორტრეტით.

გოია უსმენდა, თავს იხრიდა და ღუმდა.

— ერთი სიტყვაც არ დაგცდენიათ ჩემი სასახლის თაობაზე. სულ არა ხართ თავაზიანი. რას იტყვით ჩემს პატარა თეატრზე? ცხადია არაფერს! თქვენ უფრო მოგეწონებოდათ მამაკაცური გემოვნების უხე-ში კომედია, სადაც მაღალმკერდიანი, მყვირალა ქალები მონაწილეო-ბენ. ასეთი ხანდახან მეც მომწონს. მაგრამ მე მსურდა ჩემს სცენაზე სხვანაირი პიესები გათამაშებულიყო, ძალზე გაბედული და ამასთანა-ვე მოხდენილი და ფაქიზი. მაგალითად, რას იტყვით, კალდერონის „ვაი მას, ვინც სიყვარულს აბუჩად იგდებს“ უფრო მოგწონთ თუ „გომეს არიასის გოგონა?“

ფრანსისკო თავის ყურებს არ უჯერებდა, თვალთ დაუბნელდა. „გომეს არიასის გოგონა“ იყო დახლართული, ტკბილი და სასტიკი კომე-დია კაცზე, რომელმაც უზომოდ შეიყვარა გოგონა, მოიტაცა, მალე მობეზრდა და მავრებს მიჰყიდა. ფრანსისკოს გულზე შემოაწვა. აღ-ბამ ყველაფერი იცოდა მასა, პეპასა და მანუელს შორის მომხდარი ამბისა. იგი დასცინოდა მხატვარს. გოიამ რაღაც წაიბუტბუტა, წამოდ-გა, უხერხულად დაუკრა თავი ქალს და გაეცალა.

გაბრაზდა. თავის გულში მის ნათქვამს იმეორებდა. სჯიდა, ზომავე-და. გომესი, რა თქმა უნდა, უნამუსო იყო, ამასთანავე დიდი უნამუ-სოც, მასთან არც ერთ ქალს უარი არ გაუვიდოდა, კაეტანას სიტყვები ამტკიცებდა, რომ გოიას იმედი ფუჭი არ იყო. მაგრამ ასე აბუჩად აგ-

დების ნებას კი არ მისცემდა, ის ხომ ბიჭუკელა არ არის, რომ მასთან თამაში შეიძლებოდეს.

ღონ მანუელი გოიას მიუჯდა. ილაპარაკა აქეთურსა და იქითურზე, დაიწყო შინაურული, მამაკაცური საუბარი და გაიხსენა დედოფლის აბუჩად აგდება და თანაც საღ, ალბას სახლში.

— არავის არ მივცემ უფლებას მიბრძანოს. მე მაშინ ვმღერი, როცა მსურს, ვმღერი ისეთი ადამიანებისათვის, რომელთაც მუსიკა გაეგებათ და არა ასეთი გრანდებისათვის. მეც გრანდი ვარ, მაგრამ აბა ეს რა საზოგადოებაა? ჩვენ ორივე, ფრანსისკო, მე და შენ, იოლად აღვინთებით ხოლმე; მაგრამ განა აქაურ ქალებში ბევრია იმისთანა, ვისთანაც ღამის გატარებას ისურვებდით? ჩემთვის ასეთი ხუთიც არ მოიძებნება. ეს პატარა ჟენევიევა მომხიბვლელია, მაგრამ სულ ბავშვია და არც მე ვარ ისე ბებერი, რომ ბავშვებმა გამართონ. სხვათა შორის, შემოძლია ჩვენი კეთილი დიასახლისის გარეშეც გავძლო. იგი ჩემთვის მეტად რთულია, მეტად ახირებული, დიდი პრეტენზიების შქონე. უნდა, რომ მთელი კვირები და თვეები სდიოს კაცმა. ეს ღონ მანუელის საქმე არ არის. გრძელი უვერტიურები როდი მიყვარს. მირჩევნია, როცა ფარდა ერთბაშად აიწვევა ხოლმე.

გულშემაჯკობილი და გამწარებული გოია ეთანხმებოდა. ღონ მანუელი შართალი იყო. კმარა ამდენი თვალთმაქცობა. დროა გულიდან ამოგლიჯოს იგი. ვიდრე მათი უდიდებულესობანი აქ არიან, ისიც უნდა დაჩქეს, მაგრამ წავლენ თუ არა, გოიაც მათ მიჰყვება. კაეტანა ალბასაც და მასავით გადარეულ ბუენავისტას სასახლეს სამუდამოდ დაივიწყებს.

ჯერჯერობით კი შეუერთდა ერთ ჯგუფს, ტრიოს მონაწილე ორ ქალს რომ შემოხვეოდა. იქ ლაპარაკი იყო მუსიკაზე და ექიმი პერალი, კაეტანას კარის მკურნალი, წყნარი, დაბალი, მაგრამ საქმეში გარკვეული კაცის ხმათ მსჯელობდა ბარიტონზე, იმ ინსტრუმენტზე, რომელიც, სამწუხაროდ, მოღადან გადადიოდა და სენიორ იოსებ ჰაიდნზე, ამ ინსტრუმენტისათვის მრავალი ნაწარმოების შემქმნელ ავსტრიელ კომპოზიტორზე.

— გამიგონეთ, ექიმო, — გაისმა ღონია კაეტანას ხმა, — მოიძებნება სადმე რაიმე, რომლის შესახებაც თქვენ არაფერი იცოდეთ?

ალბას ოღნავ მკახე ხმაში დაცინვა გამოკრთოდა, მაგრამ გოიას მას-

ში სანახე მოესმა და ამან გააცეცლა. თავი ძლივს შეიკაფა და მოყვა ანეგლოტს, თუ როგორ გაითქვა საღონებში დიდი სწავლულის სახელი ერაჰა ახალგაზრდა ბატონმა უბრალო რეცეპტის მეოხებით. ამ ყმაწვილს სამიოდე მეცნიერული ფაქტი სცოდნოდა, მაგრამ მას თურმე ყველგან მოხერხებულად ჩაუტოვებდა. ყოველთვის მოჰყავდა ერთი გამოთქმა წმინდა იერონიმიდან. ხელსაყრელ შემთხვევაში ჰყვებოდა, რომ ვირგილიუსმა თავისი გმირი ენეასი მოწუწუნედ და ცრუმორწმუნედ აქცია კეისარ ავგუსტუსის გულის მოსაგებად, ვინაიდან ისიც იმავე თვისებებისა ყოფილა. შემდეგ თურმე ლაპარაკობდა აქლემის სისხლის განსაკუთრებულ შემადგენლობაზე. ზემოხსენებული სამი ცნობის მოხერხებულად გამოყენებას ყმაწვილისთვის საქვეყნოდ დიდი სწავლულის სახელი მოუპოვებია.

ვაოცებული მსმენელები ცოტა ხანს დუმდნენ. შემდეგ ექიმმა პერალმა მისთვის ჩვეული წყნარი ხმით ჩასჩურჩულა აბატს:

— ეინ არის ეს ჩასუქებული ბატონი?— შემდეგ ოდნავ ჭუმრობის კილოთი დაუმატა:— ბატონი კარის მნატვარი მართალს ბრძანებს. ადამიანის ცოდნა სრულყოფილი როდია. ჩემს დარგში, მაგალითად, ყველაზე დიდი სწავლულიც კი ვერ დააკეხნის რამდენადმე სრულყოფილი ცოდნით. არსებობს ოთხი თუ ხუთი ასეული უტყუარი საშუალება. სანაგიეროჲ. იმით, რაც არ იცის და ჯერჯერობით არც შეუძლია იცოდეს ნამდვილმა მედიკოსმა, მთელი ბიბლიოთეკები აივსებოდა.

ექიმი, უპრეტენზიოდ. ისეთი საქმეში ჩახედული კაცის ზრდილობიანი ტონითა ლაპარაკობდა, რონელსაც სულ იოლად შეეძლო ყოველი უზრდელი უვიცისათვის კუთვნილი ადგალი მიეჩინა.

კატეჯანა აღბას ართობდა მნატვრის გაცხარებული თავდასხმა მის მეგობრებზე. შოისურვა ეჩვენებინა გოიასთვის, როგორი გავლენა ჰქონდა მამაკაცებზე. უცებ ჰერცოგ ალკუდიას მიუბრუნდა და უთხრა:

— მესმის, დონ მანუელ, თუ რატომ არ ინებებ ჩემს შინაურ სცენაზე სიმღერა, მაგრამ აქ არც ბევრის მომთხოვნი სცენაა და არც წუნია ხალხი, გაგვახარეთ და გვიმღერეთ რაიმე; ჩვენ ყველას ბევრი კარგი რამ ვესმენია თქვენი ხმის თაობაზე.

ვიდრე სტუმრები დონ მანუელს მორიდებით და ცნობისმოყვარეობით უტკეპრდნენ, დონ კარლოსმა ბრძანა:

— შესანიშნავი იდეაა, აქ ხომ მხოლოდ ახლობლები ვართ.

ღონ მანუელი წუთით შეყოყმანდა: დედოფლის კვლავ გაჯავრება სისულელე იქნებოდა. მაგრამ აუ უკან დაიხევდა, ამ ბატონებისა და ქალბატონების თვალში სასაცილოდ გაიხდიდა თავს. ის ხომ ლაჩარო არ იყო. შექებათ ნასიამოვნებმა მოწყალედ გაიღიმა, კაეტანა ალბას წინაშე თავი დახარა, დადგა პოზაში, ხმა ჩაიწმინდა და სიმღერა დაიწყო.

ღონია მარია ლუიზას შავი თვალები ბოროტად უელავდა, მაგრამ თავისი მეტოქის სახლში ეს მეორე დამცირებაც ღირსეულად აიტანა. წაწვეტილი ნიკაპი მალლა აეწია და ამაყად იჯდა ძვირფასეულობით მოოქვილ კაბაში გამოწყობილი. ნელა იქნევდა უზარმაზარ მარაოს და ბაგეზე ალერსიანი ღიმილი უთამაშებდა.

გოია, რომელსაც მარია ლუიზა მრავალგზის დაეხატა, კარგად იცნობდა მის ყოველ ნაოქსს, მის ავხორცს, ვნებიან, დაუქმყოფილებელი წადილებით გაცრეცილ სახეს. ლამაზი არასდროს არ ეთქმოდა, მაგრამ ვიდრე ახალგაზრდა იყო, იმდენი თავაწყვეტილობა და აღვირახსნილობა გამოსჭვიოდა მისგან, რომ მამაკაცებს იოლად იზიდავდა. ამასთანავე კარგი ტანადიც იყო; ახლა მისი სხეული მრავალი მშობიარობისაგან მოშვებულყო და ლამაზი მხოლოდ ხელებიდა შერჩენოდა. გოია მწარე დაცინვითა და ოდნავ სიბრაღულით უცქეროდა, როგორ საცოდავად გამოიყურებოდა დედოფალი, მიუხედავად თავისი სიამაყისა და მდიდრული მორთულობისა. გაფურჩქნილ ალბასა და მის ბრწყინვალე უბრალოებასთან შედარებით ჭკნობისაკენ წასული მარია ლუიზა მეტად გამჭირახი გონებისა და განუსაზღვრელი ძალაუფლების პატრონი იყო. მეორე კი— მომჩადოებელი მიმზიდველობისა. ორივე კუდიანივით ბოროტია, მაგრამ საკითხავია: ამ ორ კუდიანში რომელი უფრო საშიშია, ლამაზი, თუ მახინჯი? როგორ უადგილო, სულელურა და უხეში იყო ალბას მხრივ თავისი მეტოქის მეორედ დამცირება. ფრანსისკო მიხვდა, რომ კარგს არაფერს მოუტანდა ამ ქალის დიდხანს ყურება. იგი შეათედ დაადგა მტკაცვე გადაწყვეტილებას— მეფის წაბრძანებისთანავე გასცლოდა იქაურობას.

თუმცა იცოდა კი, რომ დარჩებოდა. იცოდა, რომ ეს ლამაზი ქალი მისი ცხოვრების უდიდესი ცდუნება და უსაშინელესი საფრთხეა. ის ერთადერთია, რომლის მსგავსი აღარ შეხვდება. ესაა დიდი სიხარული-

სა და დიდ ტანჯვათა წყარო. მაგრამ იგი ფრანსისკო გოიად იწოდება და ამ ერთადერთს გვერდს არ აუვლის.

ღონ მანუელმა ახლა სავი სიძლერა შეასრულა. მესამის დამთავრებისთანავე დედოფალმა ბრძანა:

— თქვენ ხვალ ალიონზე აპირებთ სანადიროდ წაბრძანებას, ღონ კარლოს, ჩემის აზრით, ღროა გზას გავუღვეთ.

მაგრამ მეფემ ბრჭყვიალა ჟილეტი გადაიხსნა, მის ქვეშ ეცვა მეორე, უფრო სადა, საათის რამდენიმე ძეწკვით შორთული, ორი საათი აშოაძრო, დახედა ორივეს, ორივე ყურთან მიიღო, ერთმანეთს შეადარა. უყვარდა საათები და სიზუსტე.

— ახლა მხოლოდ თერთმეტის თორმეტი წუთია, — ბრძანა მან, შეინახა საათები, შეიბნია ღილები, უფრო მოხერხებულად დაჯდა და ახოვანმა, ზანტმა, მშვიდმა კვლავ საქმლის მონელება განაგრძო, — ნახევარ საათს კიდევ შეგვიძლია დავრჩეთ, ძალიან სასიამოვნო საღამოა.

ღონ დიეგოსათვის მეფის სიტყვები მეტად ხელსაყრელი იყო. მთელი სულითა და გულით ომის მოწინააღმდეგემ იცოდა, რომ ღონ მანუელს და დედოფალს ზავის ჩამოგდება სურდათ, მაგრამ ფრთხილობდნენ და ამის ხვამალა გამოთქმას ვერ ბედავდნენ. ჭკვიანი აბატი ეარაუდობდა, რომ ტემპერამენტიან ღონია მარია ლუიზას, როგორც დამარცხებულ ქალს, გაუხარდებოდა, თუკი შემთხვევა მიეცემოდა ამჯერად სახელმწიფო ძალა-უფლება გამოეჩინა და ბრძოლის ველი ისეთ უბანზე გადაეტანა, რომელზედაც მისი მოქიშვე ვეღარ გაუმკლავდებოდა.

აბატმა დრო იხელთა და მეფეს მოახსენა:

— თქვენმა უდიდებულესობამ ინება მხიარული განწყობისათვის, დღევანდელ დღეს რომ ახასიათებს, „სასიამოვნო“ ეწოდებინა. ახლა სადაც არ უნდა შეიყარონ თავი მაღალი თუ დაბალი წოდების ესპანელებმა, ყველგან შვებას გრძნობს კაცი, ვინაიდან თქვენი ბრძნული მმართველობის მეოხებით ამ სასტიკი ომის დასასრული ახლოვდება.

მეფემ გაკვირვებით შეხედა გრუზა, ტლანქ ბატონს, რომელსაც შავი, სასულიერო სამოსელი მოხდენილად ეცვა. ეს რა უცხო ფრინველია? კარისკაცია თუ სასულიერო? მეფემ ვერ გაიგო ამ კაცის ბაგეთაგან წარმოთქმული უცნაური სიტყვების აზრი, მაგრამ ღონია მარია ლუიზა, როგორც აბატი იმედოვნებდა, ჩანგალს გამოედო, შემთხ-

ღვეა ვაპოიენა. გაებრწყინა, თუ როგორც ქალს არა, როგორც დედო-
ღალს წაინტ. თავი ქვეყნისათვის მზრუნველ დედასავით დაიჭირა, რო-
მელიც არასახარბიელო ზავს ამჯობინებდა ღირსეულ, მაგრამ სისხლად
და ოქროდ ღირებულ ომის გაგრძელებას.

-- აქ ნათქვამია თქვენმა სიტყვებმა, ბატონო აბატო, — ბრძანა მან
თავისი მკვლელობით, — დიდად ვვასიამოვნა. ჩვენ, მე და მეფე, მონარ-
ქის წინადა პრინციბს სხვებზე უფრო დიდხანს და თავგამოდებით ვი-
ცადეთ ფრანგო მეთაურობებისაგან. ვცდილობდით თხოვნითა და მუ-
ჭარით შეგვეგვლიანებინა ჩვენი მოკავშირეები, მტკიცედ დასდგომოდ-
ნენ თავიანთ მოვალეობას, საფრანგეთი დაეპყროთ და მისი ღვთი-
აუკრობეული პატრიონებისათვის დაებრუნებინათ, მაგრამ სამწუხაროდ,
ჩვენი მოკავშირე თავადები და ხალხები ისეთი მსხვერპლის გამღები
როდი არიან. როგორც ჩვენ და ჩვენი ესპანელები. ისინი მზად არიან
ჩვენთან ერთად და უჩვენოდაც ცნონ საფრანგეთის რესპუბლიკა. მაგ-
რამ საკმარისა მართო დავრჩეთ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომის
დროს, რომ რომელიმე ხარბი ვრი, რომელსაც შურს ჩვენი სანაოსნო
დღეობა, თავს დაგვესხმის, სანამ ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო
მძიძოლაში ვიქნებოთ ჩაბმული ჩვენი ქვეყნის საზღვრებთან. ამიტომაც,
ჩვენ, მეფეს დამე. მიგვაჩნია, რომ საკმარისად დავიცვათ საკუთარი
და ეროს ღირსება და ღვთისა და ერის წინაშე მოვალენი ვართ
ჩვენს ხალხებს მშვიდობა დავუბრუნოთ. ეს იქნება ღირსეული ზავი.

ასე ლაპარაკობდა მარია ლუიზა პარკელი და ბურბონელი. იგი არ
აზღვარა, ფართო მოსასხამში გამოწყობილ, პატოსანი თვლებითა და
ფრთხებით მორთული კერპივით გაჯგმული იჭდა, თავის წინაპრების
პორტრეტებიდან გადმოელო მეფური თავდაპყრა, ჰქონდა სასიამოვნო,
ნაკარჯიშები ხმა, და ოდნავი იტალიური კილო, რაც მასა და მის მსმე-
ნელებს შორის საზეიმო მანძილს ქმნიდა.

დედოფლის სიტყვებმა საწყალი მუსაო დე ავრე, საფრანგეთის უფ-
ლისწულისა და მისი რეგენტის წარგზავნილი. სასოწარკვეთილებამა
ჩაადლო. ამ საღამოს იგი სიხარულით ელოდა, ძალიან ესიამოვნა, რომ
ჰერცოგ ალბას მეუღლემ მოიწვია და მის საბრალო, მშვენიერ და ასე
ნიჭიერ გოგონას დიპერტისმენტში მონაწილეობის წყალობა მიავო.
სტენაზე ენევიევას ხანმოკლე გამოჩენა ამ საღამოს, წყვილიადის ერ-
აადერტი ნათელი სხივი იყო. მუსიო დე ავრეს, ჯერ ერთი, ამ ეშმაკი

აბატის საზე უნდა აეტანა, ამ მსუქანი გველისა, რომელიც თავის მეფის შხამით გესლავდა და მეორე—ხოველიანოსის, ამ არქიმეანობის საზიზღარი სიფათი, რომელიც აქ, ალბასთან, კი არ უნდა მოეწვიათ სტუმრად, არამედ მათ კათოლიკურ უდიდებულესობათა ჭალათისათვის უნდა ჩაებარებინათ, რომ აღარაფერი ვთქვათ ამ უტიფარ მხატვარზე. რომელიც მოუზიდებლად, განუწყვეტლივ აგონებდა ვალს, ნაცვლად იმისა, რომ მოხარული ყოფილიყო ასეთი პატივისა, როგორცაა საფრანგეთის პატარა უფლისწულის წარგზავნილის უკვდავყოფა ტალოზე. ახლა კიდევ ეს საშინელი დარტყმა, საკუთარი ყურით გაიგონა, ესპანეთის დედოფალმა მოურიდებელი, უნამუსო სიტყვებით თავისი გრანდების თანდასწრებით, როგორ გათელა ჰონარჰის პრინციპი, რომლის უპირველესი წარმომადგენელიც თვითონ იყო. მუსიო დე აგრე აქ უნდა იჯდეს მწვიდად. უმფოთველად და არ შეეძლოს თავი ზელებში ჩარგოს და აქვითინდეს. ეჰ, უმჯობესი იყო ამბოხებულ პაროზში დარჩენილიყო თავის მეფესთან ერთად და მისთვისაც მოეკვეთათ თავი გილიოტინაზე.

სამაგიეროდ, დიდი იყო აბატისა და ხოველიანოსის სიხარული. აბატი ამაცობდა, ადამიანის ბუნების გამოცნობის ნიჭი რომ გააჩნდა და ხელსაყრელი წუთი რომ გამოიყენა. სიპაჩულე რომ ვთქვათ, პირენეების აქეთა მხარეს ის ერთადერთი ქემშარიტი სახელმწიფო მოღვაწე იყო. გამარჯვების სიხარულს ვერ ჩრდილავდა ის ამბავი, რომ მისი დამსახურება პროგრესის წინაშე ისტორიაში არასდროს აღინიშნებოდა. ხოველიანოსმა, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ მარია ლუიზას, ამ მესალინელ გვირგვინოსან მეძავს, ქვეყნის კეთილდღეობაზე ზრუნვამ კი არ აიძულა ზავის დადება, არამედ იმის შიშმა, რომ მასა და მის საყვარელს ომის მხარდი მოთხოვნების გამო საკმაო ოქრო აღარ ექნებოდათ თავაწყვეტილი მფლანგველობისათვის. მაგრამ ასე იყო თუ ისე, დედოფალმა ყველას გასაგონად გამოაცხადა. მზადა ვარ შევწყვიტო საომარი მოქმედებაო. დამთავრდება ომი. დამყარდება მშვიდობა და დადება დრო, როცა კეთილი საქმისათვის თავდადებულ კაცს საშუალება მიეცემა თავისი ხალხისათვის ზელსაყრელი რეფორმები გაატაროსო.

სტუმრების უმეტესობისათვის მარია ლუიზას განცხადება იმდენად საკვირველი არ იყო, რამდენადაც მოულოდნელი. სამეფო ტახტის გა-

დაწყვეტილება სასახლოდ თუ არა, გონივრულად მაინც მიიჩნიეს. კვაყოფლი იქნებოდნენ, თუკი ომს ბოლო მოეღებოდა. მისი გაგრძელება ყოველი მათგანისათვის საკუთარი სახსრების შემცირების საშიშროებას ქმნიდა. დედოფლის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ შეძლო ესპანეთისათვის ეს არც თუ დიდად საამაყო გადაწყვეტილება ჰკვიანურად და ღირსეულად გამოეთქვა.

ამგვარად, დონია მარია ლუიზამ მოიგო გრანდების გული, მაგრამ ვერ მოიგო გული დონია კაეტანასი. ალბას ვერ აეტანა, რომ მისმა მოქიშპემ დიდი, გადამწყვეტი სიტყვა თქვა და ისიც მის ახალ სახლში. ალბა შეეპასუხა:

— უეჭველია, ბევრ ესპანელს გაახარებს მეფური ბრძნული გადაწყვეტილება, მაგრამ ჩემთვისაც და უეჭველად ჩემთან ერთად ზოგიერთი ესპანელისთვისაც, ძალიან საწყენია, რომ ზავის დადებაზე ფიქრობენ მაშინ, როცა ჩვენს მიწა-წყალზე მტრის ჯარები იმყოფება. მაგონდება, როგორ გაიღო უღარიბესმა მოსახლეობამ უკანასკნელი სახსრები შეიარაღებისათვის; მაგონდება, როგორ სიმღერით, ცეკვით და აღფრთოვანებით მიდიოდა ხალხი ომში. მე ბოლოს და ბოლოს ძალზე ახალგაზრდა და გამოუცდელი ქალი ვარ, მაგრამ რა ვქნა, რომ ასეთი დასასრული იმ ენთუზიაზმთან შედარებით მეტისმეტად მდარედ, ასე ვთქვათ. მეტისმეტად უნიათოდ მიმაჩნია?

იგი წამოდგა. თეთრი და ტანწერწეტა; კეთილშობილი უბრალოებით იღვა დედოფლის მდიდრული ბრწყინვალეების წინაშე.

საფრანგეთის საცოდავ წარმომადგენელს, მუსიო დე ავრეს, გული სიხარულით აუძგერდა. ესპანეთში ჯერ კიდევ გაისმოდა ხმები კეთილშობილებისა და სიწმინდის დასაცავად, კიდევ მოიპოვებოდნენ ამ ქვეყანაში ადამიანები, რომლებიც მონარქიას იცავენდნენ მემამბოხეებისა და უღმერთოებისაგან. გულაჩუყებული შეჰყურებდა ამ იბერიელ ორღეანელ ქალწულს და თავის უნევეივას სათუთად ეფერებოდა ხელზე.

კაეტანას სიტყვებმა სხვებზეც მოახდინა ზეგავლენა. დედოფალი, რასაკვირველია, მართალი იყო. ალბას შემოთავაზებული აზრი იყო რომანტიკა, წმინდა წყლის უაზრობა, ჰეროიკული სისულელე. მაგრამ რა თვალწარმტაცი და გაბედული იყო იგი. განა მოიძებნებოდა ესპანეთში ისეთი ქალი ან კაცი, რომ კათოლიკე დედოფლის წინააღმდეგ სი-

ტყვის თქმა გაებედა, როგორც ეს ალბამ მოიმოქმედა? მთელი საკრებულოს გულები ალბას ეკუთვნოდა.

მისი სიტყვების შემდეგ ყველა გაჩუმდა. მხოლოდ დონ კარლოსმა გააქნა დიდი თავი და დასაშოშმინებლად უთხრა:

— აბა, აბა, ჩემო ძვირფასო, ასე არ შეიძლება.

დონია მარია ლუიზამ გულისტკივილით იგრძნო, რომ ეს გამარჯვება კვლავ დამარცხებად ექცა. უფლება ჰქონდა უტიფარი მოწინააღმდეგისათვის ენა ჩაეგდებინებინა, მას ჰქონდა ძალაუფლება, მაგრამ მოთმინებიდან არ უნდა გამოსულიყო, არ უნდა შეემჩნია, რომ მეტოქის სიტყვებმა შეურაცხყო, არ უნდა გაბრაზებულიყო.

— თქვენი ახალი სახლის ფასადი, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო.— ბრძანა მან დინჯად. — ძველი საუკეთესო ესპანური სტილისაა. მაგრამ შიგნით კი ახალი დროის მოთხოვნილებების მიხედვითაა მოპირკეთებული. პირადად თქვენზეც შეიძლება ასევე ითქვას.

უკეთესი პასუხი ძნელად თუ მოინახებოდა. დედოფალმა თავისი პირველი სეფექალი ღირსეულად დატუქსა. მაგრამ მარია ლუიზასათვის ცხადი იყო, ეს არაფერს ნიშნავდა—ის ყველას თვალში შეუხედავი დედაბერია და მეორე კი, რაც არ უნდა ტყუოდეს. მაინც მართალი რჩება.

ცხადია, ეს ალბამაც იცოდა. მუხლთმოიყარა დედოფლის წინაშე და თავხედური, მოჩვენებითი მორჩილებით მოახსენა:

— დიდად ვნანობ, თქვენო უდიდებულესობავ, რომ თქვენი რისხვა დავიმსახურე. ადრე დავობლდი და ვერა ვარ სათანადოდ აღზრდილი. ამიტომ ხშირად უნებლიეთ შევცოდებ ხოლმე ესპანეთის სამეფო კარის მკაცრი და ბრძნული ცერემონიალის წინაშე.

მაგრამ ამ სიტყვების დროს კაეტანა ალბა აღმაცერად გაჰყურებდა თავისი წინაპრის, სისხლისმსმელ ფელდმარშალ ჰერცოგ ალბას პორტრეტს, რომელმაც მეფეს ანგარიშგების მოთხოვნისას ასეთი ანგარიში წარუდგინა: „ესპანეთის სამეფო ტახტისთვის დავიპყარი ოთხი სახელმწიფო, მოვიპოვე ცხრა გადამწყვეტი საბოლოო გამარჯვება, წარმატებით ჩავატარე 217 გარემოცვა, ვიმსახურე 60 წელი“.

გოიას გული ეთანადრებოდა, როცა ამ ორი დიდი ქალბატონის შეკამათებას უსმენდა. მას სჯეროდა მონარქიის ღვთიური წარმოშობა, ქვეშევრდომთა მორჩილება მისთვის ისეთივე წმინდა იყო, როგორც

ლეთისმშობლის თაყვანისცემა და კაეტანა ალბას სიტყვები უტიჯარ ლეთისკობად მიიჩნია. თავის გულში პირვეარი გადაიწერა, როცა მისი ნათქვამი მოისმინა. ასეთ დიდ უტიფრობას შეიძლება მთქმელისათვის რისხვა დაეტეხა. მიუხედავად ამისა, გული მაინც თითქმის ტკივილით ეკუმშებოდა კაეტანა ალბას სიამაყითა და მშვენიერებით მოხიბლულ გოიას.

არცთუ ისე მოწყალედ განწყობილი მათი უდიდებულესობანი მალე დიდი ზარ-ზეიმით წაბრძანდნენ. გოია დარჩა, დარჩნენ უმეტესი სტუმრებიც.

ახლა კი ხოველიანოსმა საჭიროდ მიიჩნია ჰერცოგის მეუღლისთვის ჰკუა ესწავლებინა. ეს კაეტანას სიტყვებისთანავე დააპირა, მაგრამ ამაყი და მშვენიერი მანდილოსანი სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულითა და წინდაუხედაობით თვით ესპანეთის ალეგორიად ეჩვენა და ვერ გაიმეტა, თავისი აზრი მოქიშპეს თანდასწრებით ეტკვა მასთვის. ახლა კი მედიდურად ალაპარაკდა:

— სენიორა, — მიმართა მან, — დონია კაეტანა, მესმის თქვენი გულისტკივილი იმის გამო, რომ ომი მოუგებლად უნდა დამთავრდეს. მერწმუნეთ, თქვენზე ნაკლებ ესპანურად არ მიძგერს გული. მაგრამ ჩემი გონება ლოგიკური კანონების მიხედვით მსჯელობს. ამ შემთხვევაში მეფის მრჩეველები არ ცდებიან. ომის გაგრძელება მხოლოდ ზიანს მოგვაცენებს. გაუმართლებელ ომზე უსასტიკესი დანაშაული არ არსებობს. ძნელია მოვითხოვო ქალისაგან წარმოიდგინოს ომის საშინელებანი. მაგრამ ნება მიბოძეთ ამ საუკუნის უდიდესი მწერლის ნაწარმოებიდან მოვიყვანო ერთი ადგილი:

და დაიწყო:

— „კანდიდი სულთმობრძავთა და მიცვალებულთა ხროვაზე გადახიხდა და მიაღწია ერთ ფერფლად და ნაცრად ქცეულ სოფელს. მტრებს გადაეწვათ იგი საერთაშორისო კანონის ძალით. სახრის ქვეშ ქედმოხრილი ქმრები ხედავდნენ, თუ როგორ ახრჩობდნენ მათ ცოლებს და როგორ იხოცებოდნენ ისინი გასისხლიანებულ მკერდზე მიკრული თავიანთი ჩვილი ბავშვებით. რამდენიმე გმირის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეჰდეგ მუცელგამოფატრული გოგონები სულს ლაფავდნენ. სხვები კი, ნახევრად დამწვარნი, სიკვდილს იხვეწებოდნენ. მიწა მოფენილი იყო დანთხეული ტვინითა და მოკვეთილი ხელ-ფეხით“. გთხოვთ მაპატიოთ, მოწყალე ბატონებო და ქალბა-

ტონებო, არასასიამოვნო სურათის აღწერა. საკუთარი გამოცდილებით შემიძლია გითხრათ: ეს კაცი მართალია. და უნდა მოგახსენოთ, რომ მისი აღწერილი ამბავი ხდება ახლა, სწორედ ახლა, ამ დამით, ჩვენს ჩრდილოეთ პროვინციებში.

სენიორ ზოველიანოსს ინკვიზიციისა რომ არ შეეშინდა, ამ ქვეყანაში ყველაზე მეტად აკრძალული მწერლის მუსიო დე ვოლტერის ნაწარმოებიდან სიტყვები მოეტანა და ისიც ალბას სასახლეში, ეს უტაქტობას ჰგავდა. მაგრამ პიკანტობას მოკლებული კი არ იყო. სალამო ძალზე ამაღელვებელი იყო და სტუმრები დიდხანს არ დაშლილან. გოიამ ზოველიანოსის სიტყვები ისე მიიღო, თითქოს მას აფრთხილებდნენ, კაცუნა ალბას ერიდო, ამ ქალის ლაპარაკი და მოქმედება უბედურების მომასწავებელი იყო. გოიას მასთან აღარაფერი ესაქმებოდა. ამჯერად საბოლოოდ წასასვლელად მოემზადა.

მაშინ კაცუნა მისკენ მიბრუნდა. მისი ერთი ხელი მსუბუქად შეეხო გოიას სახელოს, მეორე კი მარაოს გამომწვევად ათამაშებდა.

კაცუნამ თქვა: „იცი, გოია,
მე რაღაცაში შევედი, ეტყობა,
მე ვახოვეთ მაშინ, ჩემი პორტრეტი
ესკურიალთან დაბრუნებისთვის
რომ დაგებატათ.“ გაცირვებული
უსმინს გოია. იგრძნო აშკარად,
ხაფანგს ემარცვებს პოროტი სელი.
კაცუნა კი მიუახლოვდა,
კულქინამწველია. ფრთხილად განაგრძო:
„მწველი, ფრანსისკო. გოხოვ პატიებას,
მე არ მუტს დაცვა. არ შემიძლია
ამდენი ხანი.
გესმის! ან ეხლავ
გამოგიგნავნი მიწვევას სასა-
ხლეში, ან თქვენთან მე მოვალ თვითონ...
თქვენ მოვალე ხართ დაუყოვნებლივ
დამხატოთ. ერთად, ჩვენ, დონ ფრანსისკო,
საკვირველებას შევქნით იმნაირს,
რომ გაოცდება მთელი ქალაქი.“

გოია მეტწილად თავის ოჯახის წევრებთან სადილობდა. ამ დროს იგი თავით ფეხებამდე ოჯახის მამა იყო; გულს უხარებდა მეუღლე ზოსეფა, შვილები, სასმელ-საკმელი და მუსაიფი. დღეს კი პურის ქამა ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილად მიმდინარეობდა; მრგვალ მაგიდასთან დუმდნენ გოია, ზოსეფა, სამი ბავშვი და ხმელ-ხმელი აგუსტინი. ცნობა მოვიდა, რომ კარგა ხნის ავადმყოფს, ზოსეფას ძმას, ფრანსისკო ბაიეუს, დიდი-დიდი ორი-სამი დღელა ეცოცხლა.

გოია ცოლს ჩუმად უთვალთვალედა. ქალი ჩვეულებისამებრ წელში გამართული იჯდა, მის მოგრძო სახეზე არავითარი განცდა არ იყო აღბეჭდილი. მისი ნათელი, ცოცხალი თვალები გარეთ იყურებოდნენ, გრძელ ცხვირქვეშ თხელბაგიანი პირი მაგრად მოეკუმა, ზედა ტუჩი ოდნავ შეწეოდა და ნიკაპი კი ჩვეულებრივზე მეტად წაწვეტებოდა. მოწითალო ოქროსფერი თმა მძიმე ნაწნავებად ისე ჰქონდა შემოწყობილი მაღალ შუბლს ზევით, როგორც ქურუმის ძველებური, შუბლიდან თხემისაკენ ირიბად წაჭრილი ქული. სარავოსაში, როცა ისინი ჯერ კიდევ ახალი დაქორწინებული იყვნენ, გოიამ იგი წმინდა ქალწულის სახით დახატა, რომელსაც სიხარულით უციმციმებდა სახე. მასთან ერთად გამოსახა ორი ბავშვიც, ერთი ახალშობილ ქრისტედ, მეორე კი — პატარა იოანედ. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ერთად ინაწილებდნენ ისინი იმედებსაც და უიმედობასაც, კარგსაც და ავსაც, ცოლმა მას ბავშვები შესძინა, ზოგი გაიზარდა, ზოგიც დაიხოცა. გოიას ახლაც ხანდახან ისეთივე ეჩვენებოდა მეუღლე, როგორც მაშინ. მიუხედავად მრავალჯერ ფეხმძიმობისა, ორმოცდასამი წლის ზოსეფა ქალწულებრივი სინაზით, რაღაც ბავშვური, რაღაც სადა, ნატიფი მშვენიერებით გამოირჩეოდა.

გოიას კარგად ესმოდა ზოსეფას დღევანდელი განცდა და თანაუგრძნობდა მას. ძმის დაკარგვით ქალს ბევრი რამ აკლდებოდა. გოია მან შეიყვარა როგორც მხოლოდ მამაკაცი, ძლიერი, შეუპოვარი, მის მხატვრობას მაინცდამაინც დიდად არ აფასებდა. მით უფრო ღრმად სწამდა თავისი ძმის გენიოსობა.

მისთვის ოჯახის თავად ითვლებოდა ფრანსისკო ბაიეუ, მეფის კარის პირველი მხატვარი, აკადემიის პრეზიდენტი და ესპანეთის ყველაზე დიდი ხელოვანი. გოიას ოჯახის კეთილდღეობა მისგან

მომდინარეობდა და ხოსეთას გულს სტკენდა ის ამბავი, რომ მისი მეუღლე ბაიეუსა და მის თეორიას ეწინააღმდეგებოდა.

ხოსეთა ზედგამოჭრილი ძმა იყო. მაგრამ გოიას მოსწონდა ხოსეთას ბუნებაში ის, რაც მის ძმაში აუტანლად მიაჩნდა. ნერვებს უშლიდა ცოლისძმის მედიდურობა და ჭიუტობა. ხოსეთაც ამაყობდა თავისი ოჯახით. ისიც ჭიუტი და გულჩათხრობილი იყო, მაგრამ სწორედ ეს მოსწონდა გოიას. მას სწორედ ასეთი უყვარდა თავისი ცოლი და უყვარდა იმიტომაც, რომ იგი ნამდვილი სარაგოსელი ბაიეუ იყო. გოია ხშირად ლებულობდა არასასიამოვნო შეკვეთებს, რათა დაემტკიცებინა ხოსეთასთვის რომ, ბაიეუს ასულის შესაფერი ხელგამოლილი ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებათა გამონახვა შეეძლო.

ხოსეთას არასოდეს არ დაუყვედრებია ქმრისთვის, როგორც მხატვრისთვის, ხელმოკლეობა და არც ქალებთან ხშირად სასიყვარულო ურთიერთობა. გოიასათვის მისი მტკიცე ერთგულება თავისთავად გასაგები იყო, ქალს, რომელიც გოიას მისთხოვდა, უნდა სცოდნოდა, რომ იგი მოვალეობის კაცი კი არა, მამაკაცი იყო.

სამაგიეროდ, ცოლისძმა ბაიეუმ მრავალჯერ სცადა მის ცხოვრებაში ჩარევა. მაგრამ გოიამ მაგრად შეახურა თავისი ცოლისძმა, ბატონი მეფის კარის პირველი მხატვარი, ბატონი მასწავლებელი და მოვალეობის კაცი. რა უნდოდა ცოლისძმას? განა გოია გაურბოდა მეუღლის მოვალეობას და ხოსეთასთან იმაზე მეტ ღამეებს არ ატარებდა, ვიდრე მას სურდა? განა ყოველ წელს არ აჩენინებდა თითო ბავშვს? პურს მასთან არ ჭამდა? უკეთესად არ აცხოვრებდა, ვიდრე გოიას წოდებასა და შესაძლებლობას შეეფერებოდა? კაცმა რომ თქვას, თვითონ ხოსეთა იყო ხელმოჭრილი და ძუნწი კი. არც გაემტყუნება. იგი ხომ მოვალეობის კაცის და არის. განა გოიამ არ აიძულა ხოსეთა, ლოგინში ესაუზმა შოკოლადით, არისტოკრატიულად? ისიც საუკეთესო შოკოლადით, მედუქნის მიერ ხოსეთას თვალწინ დაფხვნილი ბოლივეური მოო შოკოლადით! ბაიეუ ქედმაღლურად შეეპასუხა გოიას, სოფლური წარმოშობა წამოსძახა, უპატივემყოფოდ მოიხსენია ერთი ქალი, რომელთანაც გოიას კავშირი ჰქონდა, ფრანსისკო იძულებული გახდა ყელში სცემოდა და შეენჭლრია, რის გამოც ბაიეუს ვერცხლით მოჭარგული ფრაკი ალაგ-ალაგ დაიხა.

და ახლა ხოსეთა ძმას კარგავდა, რითაც მისი ცხოვრების ერთი დიდი სხივი ქრებოდა. მაგრამ მის სახეს აღელვება არ ეტყობოდა,

თავს ჩინებულად იკავებდა, ამისთვის უყვარდა გოიას და მოხიბლულად იყო მისით.

სუფრასზე სიჩუმე ჩამოვარდა. გოიას მოწყენილობა მობეზრდა და მოწულოდნელად განაცხადა პურის ქამა უჩემოდ დაამთავრეთ, მე ბაიეუსთან მივდივარო. დონია ხოსეფამ ქმარს ახედა. მერე თითქმის მიუხედა სურვილს და ესიამოვნა: ჩანს, გოიას ეწადა პატიება უმოწყებოდ ეთხოვა მომაკვდავისათვის ყველა იმ უსიამოვნების გამო, რაც ცოლისძმისათვის მიეყენებინა.

გოიას ცოლისძმა დაბალ ლოგინზე, ბალიშებში ჩაფლული დახვდა. ჩამომხმარი, გაყვითლებული სახე კიდევ უფრო მეტად დანაოპებოდა და ზედ სიმკაცრისა და ტანჯვის დაღი აჩნდა.

გოიამ დაინახა კედელზე თავდაღმა დაკიდებული ცნობილი სურათი წმინდა ფრანსისკოს გამოსახულებით, ძველი ხალხური რწმენის მიზეზივით, მხოლოდ ასეთი ძალდატანებით შეიძლებოდა წმინდანების იძულება, თანაგრძნობა გაეწიათ ადამიანისათვის. ძნელი დასაჯერებელია, რომ გოიას განათლებულ, შეგნებულ ცოლისძმას ამ გნით დახმარების მიღების იმედი ჰქონოდა, ის ხომ საუკეთესო ექიმებს ეკითხებოდა რჩევას, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი თვით ამ უკუღმართი საშუალების წინ არ იხევდა უკან, რათა დაეცვა თავისი სიცოცხლე ოჯახისა. ქვეყნისა და ხელოვნებისათვის.

გოია თავს ძალას ატანდა მწუხარე ყოფილიყო, მომაკვდავი მაინც მისი ცოლისძმა იყო, მისთვის კარგი სურდა, ხანდახან გვარიანადაც დახმარებია, მაგრამ ვერაფრით აიძულა თავი მისთვის თანაგრძნობო. ამ ავადმყოფს შეძლებისდაგვარად მრავალჯერ მოუშხამავს მისთვის სიცოცხლე. როცა ისინი სარაგოსას ფრესკებს ერთად ხატავდნენ, არაერთგზის დაუტუქსავს, მთელი კათედრალის წინაშე, როგორც ენიქო, კირვეული მოწაფე. გოიას ახლაც ამის მოგონებაზე განუკურნელი წყლულოვით სწვავდა სირცხვილი, „სარანა“. ყველაფერთან ერთად, ცოლის, ხოსეფას, ჩამოშორებაც კი მოუნდომა. მოიწადინა ეჩვენებინა დისტვის, როგორ ეზიზღებოდა ყველას მისი ქმარი და როგორ აფასებდნენ მის ძმას. იმდენი მოახერხა, რომ გოია კათედრალიდან შერცხვენილი გააგდეს და ფეხებში მიაყარეს შეპირებული გასამრჯელო. მის ცოლს კი, „ჩვენი დიდი მხატვრის, ბაიეუს დას“, იმავე სულიერმა მამებმა ოქროს მედალი აჩუქეს. გოია დაჰყურებდა ტანჯულს, მომაკვდავს და მოღუშულმა გაიხსენა ძველი, კარგი ანდაზა:

„ცოლისძმა და სახნისი, როცა მიწაში არიან. მხოლოდ მაშინ გამოგადგებიანო“.

გოიას ძლიერ მოესურვა ზაიეუს სურათის დახატვა, არ დაუკარგავდა ღირსებას. მიზანსწრაფულობას, შრომისმოყვარეობას, ინტელიგენტობას, მაგრამ შიგ ჩააქსოვდა მის სიჭიუტეს და შეზღუდულობას.

ამასობაში ბაიეუმ გაჭირვებით, მაგრამ როგორც ყოველთვის, მოხდენილი ფრაზებით დაიწყო ლაპარაკი:

— მე ვკვდები, შენ გიცლი გზას, შენ იქნები აკადემიის პრეზიდენტი; ამის შესახებ შევეუთანხმდი მინისტრს, აგრეთვე მეელას და რამონს. გულახდილად გეუბნები, მელა უფროა პრეზიდენტობის ღირსი და ჩემი ძმა რამონიც გჯობია. მართალია, შენ უფრო ნიჭიერი ხარ, მაგრამ აღზრდა გაკლია და ზედმეტად თავდაჭერებული ხარ. მეორე მხრივ, ღმერთი მავატიებს, რომ დის სიყვარულით უპირატესობა უფრო ცუდ კაცს მივანიჭე.

ცოტა შეისვენა, ლაპარაკი უმძიმდა. ჩაახველა. „სულელი, — გაიფიქრა გოიამ, — აკადემიას მე უამისოდაც ჩამაბარებდნენ, დონ მანუელი მოახერხებდა ამას“.

— მე ვიცი შენი ჭირვეული გულის ამბავი, ფრანსისკო გოია, — განაგრძო ბაიეუმ. — და შესაძლოა უკეთესიც იყოს. რომ ჩემი ხელით შესრულებული შენი პორტრეტი არ რჩება ამქვეყნად. მაგრამ დადგება დრო, როცა იხანებ, რომ ჩემი დაჟინებული კეთილი რჩევა ყურად არ იღე. უკანასკნელად გაფრთხილებ: ნუ გადაუხვევ კლასიკური ტრადიციებიდან. ყოველდღე წაიკითხე მენგსის თეორიიდან რამდენიმე გვერდი. გიტოვებ მის ნაბოძვარ ეგზემპლარს ჩემი მრავალი შენიშვნით. კარგად იედავ, რას მიცალწიეთ მე და იმან. გონს მოდი! შესაძლოა შენც ამასვე მიაღწიო.

გოიამ დამცინავი სიბრაღული იგრძნო. ამ საცოდავმა კაცმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, რათა დაერწმუნებინა თავისი თავიცა და სხვაც, რომ დიდი მხატვარი იყო. დაულალავად ისწრაფოდა „ქვეშარიტი ხელოვნებისაკენ“ და ყოველთვის წიგნებში ამოწმებდა სწორად მუშაობდა თუ არა. მას საღი თვალი და გაწაფული ხელი ჰქონდა, მაგრამ მისმა თეორიამ ყველაფერი წყალში ჩაუყარა.

„შენ და შენმა მენგსმა, — ფიქრობდა გოია, — დამწიეთ უკან წლების მანძილზე. ჩემი აგუსტინის ელამი თვალი და მოქცეული ყბა უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე მთელი თქვენი წესები და პრინციპ-“

ბი. შენ. საბრალლო პირველო მხატვარო, ცხოვრება გაუმწარე შენს თავსაც და სხეებსაც, ჩვენ მიწაზე უკეთ ვიგარძნობთ თავს, როცა შენ მის ქვეშ იქნები“.

თითქოს ბაიეუ იმას უცდიდა, რომ სიძისათვის უკანასკნელი ლექცია წაეკითხა. დამთავრებისთანავე სული განუტევა.

დაბალი საწოლის ირგვლივ ბაიეუს დაღვრემილი უახლოესი მეგობრები და ნათესავები იდგნენ: ხოსეფა, რამონი, და მხატვარი მაელა. გოია ღვარძლიანად უყურებდა სულთმობრძავს. ამ ცხვირს არ ჰქონდა ალღოს ადების უნარი, ბაგეთა ირგვლივ გაყოლებული ნაოქები უნაყოფო მისწრაფებებზე მეტყველებდნენ, ამ ბაგეებს მხოლოდ ჰკუის დამრიგებლური მკაცრი სიტყვების წარმოთქმა შეეძლოთ. სიკვდილის შეხებამაც ვერ გახანდა ეს სახე უფრო ღირსეული.

კარლოს მეფე დიდად აფასებდა თავის პირველ მხატვარს; განკარგულება გასცა ისე დაეკრძალათ, როგორც სახელმწიფოს გრანდს შეეფერებოდა. ფრანსისკო ბაიეუ დაკრძალულ იქნა სან-ხუან ბაუტისტას ტაძრის კრიბტაში, ნახევარკუნძულის უდიდესი მხატვრის, დონ დიეგო ველასკესის გვერდით.

გარდაცვლილის ნათესავები და რამდენიმე მეგობარი შეიკრიბნენ მის სახელოსნოში მოსათათობირებლად, თუ რა ექნათ მისი დატოვებული სურათებისათვის. დიდი რაოდენობით იყო დამთავრებული და დაუმთავრებელი სურათები. დამთვალეირებლები ყველაზე მეტად ერთმა მოზრდილმა ტილომ მიიზიდა, სადაც ბაიეუს თავისი თავი ჰყავდა გამოსახული მოლბერტის წინ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დეტალი, პალიტრა, ყალამი, ყილეტი დიდი მონდომებით იყო დახატული, პორტრეტი მაინც არ იყო დასრულებული; კეთილსინდისიერ კაცს თავისი სახე ვერ დაეხატა. ნახევრად დაუმთავრებელი, უსიცოცხლო, თითქოს დაბადებამდევე ჩამკვდარი თვალებით მიშტერებოდა თავის მაცურებლებს.

ცოტა ხნის შემდეგ რამონმა თქვა:

—სამწუხაროა, რომ ჩვენს ძმას ბედმა არ არგუნა ამ სურათის დამთავრება.

—მე დავამთავრებ, — თქვა გოიამ.

ყველამ თავი ასწია და გაკვირვებით და დაეჭვებით შეხედა მას. მაგრამ გოია უკვე დაეპატრონა ტილოს.

დიდხანს მუშაობდა ავუსტინის თვალწინ ბაიეუს პორტრეტზე.

ნატავდა ანგარიშგაწევით და ბევრი არაფერი შეუცვლია. მხოლოდ-
ოდნავ მეტი სისასტიკე მისცა წარბებს და ცხვირიდან ბაგეების ირ-
ვლივ შემოყოლებულ ნაოჭებს—მეტი სიღრმე და დაღლილობა, მეტი
სიჭიუტე — ნიკაპს, მეტად ამრეზილად დაეშვა ბაგეთა ბოლო-
ები. სიძულვილსა და სიყვარულს აქსოვდა სურათში, მაგრამ ამან-
ვერ დანისლა ცივი, გაბედული, მოუსყიდველი მხატვრის თვალი.
ბოლოს დასრულდა სურათი პირქუში, ავადმყოფური, მთელი სი-
ცოცხლის მანძილზე ნამოღვაწარი მხცოვანი ბატონისა, თავისი მა-
ღალი მდგომარეობითა და განუწყვეტელი შრომით დაღლილს-
მოვალეობის შეგნება დასვენების ნებას რომ არ აძლევდა.

აგუსტინ ესტევე გოიას გვერდით იდგა და დასრულებულ ნა-
წარმოებს აკვირდებოდა. ტილოდან გამოიყურებოდა წარმოსადგეო
მამაკაცი, რომელიც ამ ქვეყნიდან გაცილებით მეტს მოითხოვდა,
ვიდრე ეკუთვნოდა, და საკუთარ თავსაც იმაზე მეტს სთხოვდა, რი-
სი გაცემის ძალაც შესწევდა. მაგრამ მთელი სურათი აღსავე იყო
მოვერცხლისფრო ციალით, მას აფრქვევდა გოიას მიერ ცოტა-
ხნის წინ აღმოჩენილი ვერცხლისფრად მოციმციმე რუხ-ნათელი ტო-
ნი; ეშმაკი აგუსტინი მიხვდა, მთელ სურათზე დაღვრილი ვერცხლის-
ფერი სინაზე ამკვეთრებდა სახის სისასტიკეს და მისი დამხატავი მარ-
ჯვენის პედანტურ სიტხიზლეს. ნაკლებ მიმზიდველი ჩანდა სურათზე-
გამოხატული მამაკაცი, მაგრამ სამაგიეროდ მიმზიდველი იყო თვით-
სურათი.

— ეს შესანიშნავია, ფრანჩო, — აღმოხდა მოხიბლულ, კმაყოფილ
აგუსტინს.

დაღუბებული დასცქერდა პორტრეტს
ზოსეფა სახეჩამოქუფრული.

გოია მიდგა ზოსეფას გვერდით.

„იმედი მაქვს, რომ არ გამოწყრება

მე ცხონებული ცოლისძმა, არა?“

გაჩუმდა, ჰკითხა ზოსეფამ: „სურათს

რას უხამთ?“ ქალის კითხვას გოიამ

მიუგო: „ახლა იგი თქვენია“.

„გმაღლობთ,“ —

თქვა ცოლმა... მაგრამ შემდეგ კი,

ვერასდიდებით ვერ მოიფიქრა,

სად დაეკილა პორტრეტი. ბოლოს
მან გადაწყვიტა, რომ გაეგზავნა
ძმისთვის — მანუელ ბაიუსთვის
სარაგოსაში...

13

სამგლოვიარო კვირების მოწყენილობა გოიას ნერვიულობას ამწვავებდა. ტანჯვით ელოდა ამბავს ესკუტრიალიდან, მაგრამ კაცტანა დუმდა.

ერთ დღეს მოულოდნელად მოადგა კარს სტუმარი — მარტინ საპატერი. ისიც გოიას მშობელი კუთხიდან იყო.

გოიამ დაინახა თუ არა გულითადი მეგობარი, მხურვალედ ჩაიკრა გულში, ყველა წმინდანს მოუხმო თავის სიხარულის მოწმედ. დაკოცნა, ჩასვა სავარძელში, ისევ წამოაყენა, ხელი ჩააელო და სახელოსნო შემოატარა.

მიუხედავად სიამაყისა, გოია ბუნებით გულდია ადამიანი იყო. ჭშირად სიამოვნებით გაუხსნიდა ხოლმე გულს ხოსეფას. აგუსტინს. მიველს. მაგრამ მისი ყველაზე უფრო სანუკვარი ოცნება, ყველაზე უფრო იდეალური სასოება და ყველაზე ფარული გულისტკივილი მხოლოდ თავისი უგულითადესი მეგობრისათვის — მარტინისათვის — შეეძლო გაეზიარებინა. ათას შეკითხვას აძლევდა ამ წარმოსადგე, კეთილშობილ, ღირსეულ კაცს და თვითონაც ზედიზედ აყრიდა ამბებს; აგუსტინი კი შურითა და ეჭვით უსმენდა მათ.

ის და მარტინ საპატერი მას შემდეგ დამეგობრდნენ, რაც ექვსი წლის ფრანსისკო მშობლიურ სოფელ ფეუნდეტოროსიდან სარაგოსაში მოხვდა.

მათ ერთად ისწავლეს წერა-კითხვა ფრანსისკოს სკოლაში. მაგრამ ორ მტრულად განწყობილ ჯგუფს ეკუთვნოდნენ: გოია ღვთისმშობელ დელ პილარისას, ხოლო საპატერი — წმინდა ლუისას. მას შემდეგ, რაც პატარა გოიამ საპატერი მაგრად მიბეგვა, მარტინი მისადმი პატივისცემით განიმსჭვალა, მის ჯგუფში გადაბარგდა და იქიდან მოყოლებული უახლოესი მეგობრები გახდნენ. მარტინი საპატერიობდა ძლიერი, თავშეუყავებელი პიროვნების სიახლოვეს. გონიერი მარტინი თავის მხრივ მუდამ საქმიან რჩევას აძლევდა და პრაქტიკულ მომსახურებას უწევდა. ფრანსისკო ღარიბი ოჯახიდან

იყო, მარტინი კი — შეტლებული, სახელგანთქმული ვაჰრის ოჯახიდან. მარტინს პატარაობიდანვე სწამდა, რომ გოიას მოწოდება ხელოვნება იყო; საპატერის მამის შუამდგომლობით გრაფმა პიგნატელმა, სარაგოსელმა მეცენატმა, პატარა გოიას ხატვისა და ფერწერის შესწავლის საშუალება მისცა.

— ბიჭო, შენ სულ არ გამოცვლილხარ, — უთხრა გოიამ მთელი თავით მასზე მაღალ საპატერს, — მხოლოდ ეგ გოლიათური ცხვირი გაგსივებია კიდეც უფრო. ტანადი ვაჟკაცი ხარ, ღირსეული, შენში შერწყმულია სარაგოსას ყველა დიდი ოჯახის ღირსება; სალვადორეს-თა, გრასასთა და ასნარესთაც.

— იმედია, — მოახერხა სიტყვის ჩართვა მარტინმა, — კასტელა, ლონსა და პუენტეც აქვე იქნებიან.

— ყველანი, — მხურვალედ მიუგო ფრანსისკომ, — და ოცნებით მართლაც გარკვევით ხედავდა თავისი ახალგაზრდობის ქალაქს — სარაგოსას, მის მოქანცულ ზვიადობას, ტალახსა და მტვერს, მავრიტანულ მინარეთებს, მღვრიე, მღორე ებროს წყალზე გადებულ ძველ-თაძველ ხიდს. მის გაღმა მტვრიან, ნაცრისფერ დაბლობებს და შორეულ მთებს.

ახლა, როცა თავი შეიყარეს, ბავშვებად იქცნენ, მათ ისევ თავგადასავლებით აღსავსე ცხოვრება ეპატიებოდა და ყოველ კუთხეში ჩასაფრებული ჰყავდათ რაღაც ახალი, ამაფორიაქებელი, მოსაძიებელი, გამოსარკვევი. გრძნობდნენ, თუ რა საჭირონი იყვნენ ერთიმეორისათვის. ფრანსისკოს ესაჭიროებოდა მეგობრის პრაქტიკული ნიჭი, მისი მზადყოფნა მომსახურების გასაწევად; მარტინის თვალში კი უფერული გარემომცველი სამყარო ნაირფერად აყვავდებოდა ხოლმე, როცა გოია ჩაახედებდა მას მხატვრის თვალით დანახულ ამ სამყაროში.

მომდევნო დღეებში გოია მეგობარს ხატავდა. ეს იყო ნეტარი დღეები. ახარებდათ და ართობდათ, როცა ტილოზე გამოსახებოდა მარტინი ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო: ჰკვიანი, ღირსეული, საყვარელი, ოდნავ ობივატელი, გულთბილი. მსუქან ლოყებსა და ვეება ცხვირს ზემოთ მხიარულად გამოიყურებოდნენ დინჯი, გონიერი, ეშმაკი თვალები.

— აი, თურმე, როგორი ვყოფილვარ, — თქვა მარტინმა და ენა გააწკლაპუნა.

8. ლ. ფოიბტვანგერი

ფრანსისკომ აღარ იცოდა — ხატვა ჯობდა თუ შესვენება, რომლის დროსაც მეგობარს ელაზღანდარებოდა. მაშინ ამა თუ იმ მიზეზით უდიდეს სამოწინააღმდეგო იშორებდა აგუსტინს და თავს თავისუფლად კრძნობდა. ზედიზედ არეულად წამოიჭრებოდნენ ხოლმე ძველი მოგონებანი, გოგონები, უფულობა, პოლიციელებთან შეტაკება, თავგადასავლებით აღსავსე გაქცევა ინკვიზიციისაგან, თავზეხელაღებული გამოწვევანი, საშიში ჩხუბი დანებითა და ხმლებით, უთანხმოებანი პაიექს ოჯახთან. გოია გულუბრყვილო ტრაბახით აღნიშნავდა. სხვაობას თავის გაჭირებულ ახალგაზრდობასა და ახლანდელ კეთილდღეობას შორის. მას ახლა მადრიდში შესანიშნავი სახლი აქვს ძვირფასი ავეჯითა და ხელოვნების ნიმუშებით მორთული. ჰყავს ლივრეიანი მსახურები, მოდიან წარჩინებული მეგობრები, რომელთაც გოია ყოველთვის არც კი ღებულობს. აქვს ძვირფასი ეტლი, ინგლისური სტილის ოქროცურვილი ბერლინა, ასეთი მხოლოდ სამსა აქვს მადრიდში. დიახ, ამ ეტლითა და კაროსით ამაყობდა გოია. მადრიდში ეტლისა და მით უმეტეს ცხენების შენახვა ძვირი ჯდება, მაგრამ გოია არაფერს იშურებდა, ამისათვის ღირდა მსხვერპლის გაღება. და უშუალოდ სამგლოვიარო დროს არ შეეფერებოდა, მაინც გაასეირნა მეგობარი ეტლით პრადოზე.

ხანდახან ფრანსისკო და მარტინი მღეროდნენ და უკრავდნენ. გაითამაშებდნენ სეგიდილიას, ტირანას, ბოლეროს. ორივეს მგზნებარედ უყვარდა ხალხური მუსიკა. ხშირად კამათობდნენ ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების შეფასებისას, ჩვეულებრივ ფრანსისკო დაარწმუნებდა თავის სიმართლეში მარტინს და შემდეგ დასცინოდა მის ჩამორჩენილ გემოვნებას. აქილიკებდა აგრეთვე ტორეადორ კოსტილიარესის გულშემატკივრობისათვის. თვით გოიას კერპი კი რამირო იყო. დაყრიდა სილას მაგიდაზე და ორივე ტორეადორს დახატავდა, დაბალ ჩასკვნილ რამიროს თავისი ლომისებრი სახით, ხოლო მაღალ, მოსულ კოსტილიარესს უზარმაზარი ცხვირით და ორივე ხემაღლა ხარხარებდა.

მაგრამ ფრანსისკო შუა სიცილში უცებ დაღუმდებოდა და სახე მოეღუშებოდა.

— ახლა ვიცინი, — იტყოდა ის, — და შენთან ვტრაბახობ, თუ რამდენს მივალწიე. მართლაც შორს წავედი. მე Pintor de Cámara ვარ. და რამდენიმე დღეში აკადემიის პრეზიდენტი გავხდები. მთელ ესპა-

ნეთში საუკეთესო თვალი და ყველაზე გაწაფული ხელი-მე მაქვს, რაც ყველას შურს, მაგრამ გულახდილად უნდა გითხრა, . მარტინ: ეს ყველაფერი ფასადია, ხოლო შიგნით კი ნაგავია.

მარტინისათვის ახალი არ იყო მეგობრის გუნების უცაბელო ცვა-
ლებადობა და უთავბოლო მსჯელობანი.

— ფრანჩო, ფრანჩო, — ცდილობდა მის დაწყნარებას, — ნუ ლა-
პარაკობ ასე შეუგნებლად და ღმერთს ნუ სცოდავ.

ფრანსისკო უცებ შეავლებდა თვალს ატოჩის წმინდა ქალწულს,
პირჯვარს გადაიწერდა და მიანიც განაგრძობდა:

— მაგრამ ეს ხომ სიმართლეა, Chico!, ყოველ ჩემს წარმა-
ტებას-თავისი ჩრდილოვანი მხარე აქვს. ყველა ამით უკან ავი სულე-
ბი ამოფარებულან და მელრიჯებიან. ახლა ბედმა გამილიმა, ჩემი ცო-
ლისძმა, უკმური პედანტი, როგორც იქნა გამოეთხოვა წუთისოფელს;
მაგრამ ხოსეფა მოჩვენებას დაემსგავსა, დღე და ღამე მოთქვამს: იმა-
შიც ბედი მეწია, რომ დონ მანუელი ახლო დამიმეგობრდა. იგი ხომ
უძლიერესი ხელისუფალია ესპანეთში და თავადაც შესანიშნავი ჭაბუ-
კია, მაგრამ გაიძვერა და საკმაოდ საშიშიც. გულზე შემომაწვება, რო-
ცა მომაგონდება, თუ რისთვის დამიმეგობრდა. ჩემი გულიდან არ
ამოვა, თუ რა მომთხოვა დონ გასპარის გულისთვის და მე კი მას, ამ
სათნოების განსახიერებას, ვერ ვიტან. კაციშვილს მადლობა არ
უთქვამს ჩემთვის ამის გამო. პეპა დაციწვით მიყურებს თავისი მწვანე
თვალებით და ისე მოაქვს თავი, თითქოსდა დაუხმარებლად მოეპოვე-
ბინოს წარმატება. ყველა ჩემგან გამოელის რაღაცას და არც ერთი
მათგანი თავს არ იწუხებს ჩემს სულში ჩასახედავად.—და მაგარ-მაგარი
სიტყვებით შეამკო საქციელი დონ მანუელისა და აგუსტინისა, რომ-
ლებიც ყოველ მეორე კვირას მასთან ისხდნენ და აიძულებდნენ ჩარე-
ულიყო მეფისა და სახელმწიფოს საქმეებში. იგი კარის მხატვა-
რია, მეფის კარს ეკუთვნის და ეს კარგია, მასაც ეს უნდა, ამით ამა-
ყოფს კიდევაც. მხატვრობით უფრო მეტ სამსახურს უწევს სამშობ-
ლოს, ვიდრე მოლაყებ და ტრაბახა რეფორმატორები თავიანთი ქაჭა-
ნით.

— მხატვარმა უნდა ხატოს, — თქვა მან ბრაზითა და გადაქრით.
ხორცსავსე სახე მოელუშა, — მხატვარმა უნდა ხატოს, მორჩა და გა-
თავდა.

¹ ბიჭუნა (ესპ.).

და განავრძო:

— ჩემი ფულადი სახსრების თაობაზეც უნდა მოვეთაობირო ვინმე საქმეში ჩახედულს.

ეს იყო საოცარი და სასიამოვნო შემობრუნება. მარტინი მოელოდა, რომ ფრანსისკო რჩევას ჰკითხავდა. მას სარაგოსაში ბანკი ჰქონია და გოია ამ საქმეში გარკვეულ კაცად თვლიდა.

— მოხარული ვიქნები, თუ შეგძლებ კეთილი რჩევა მოგცე, — უთხრა მარტინმა გულწრფელად და ჩაფიქრდა. — რამდენადაც ვიცი. შენს დინანსურ საქმეებს საფრთხე არ მოელის.

მაგრამ გოია ამის უარყოფას მოჰყვა.

— იპოქონდრიკი არა ვარ და წუწუნი არ მიყვარს, — თქვა მან. — ფულის ყადრი არ ვიცი, მაგრამ აუცილებლად კი უნდა მქონდეს ის. აქ, მადრიდში, საქმე სწორედ ისეა, როგორც ანდაზა ამბობს: „ღარიბისათვის მხოლოდ სამი კარია ღია: ციხისა, საავადმყოფოსი და ეკლესიის ეზოსია“. მე უამრავი ფული უნდა დავახარჯო ტანსაცმელსა და თაღლით მსახურებს, მდგომარეობა მაიძულებს, და ასე რომ არ მოვიქცე. მაშინვე შემიმცირებენ სურათების ფასს ჩემი გრანდები. გარდა ამისა, ვირივით ვმუშაობ და მინდა რაიმე მერგოს. ამქვეყნად ყოველ სიამოვნებას ფული სჭირდება. იმას ვერ ვიტყვი, რომ ქალები მძარცვავდნენ. მაგრამ ხანდახან მაღალი წრის ქალბატონებთან მაქვს კავშირი და ისინი მოითხოვენ, მათი საყვარელი გრანდებს არაფრით ჩამოუვარდებოდეს.

ღონ მარტინმა იცოდა, გოიას გულით უნდოდა ფუფუნებით ეცხოვრა და ფული უყაირათოდ ეფანტა აქეთ-იქით, მაგრამ ხანდახან სინდისის ქენჯნა იპყრობდა და გლეხური მომჭირნეობის გრძნობა აკავებდა. მეგობარ ფრანსისკოს ნუგეში ესაჭიროებოდა და მარტინიც აიძულებდა. მეფის კარის მხატვარ გოიას იმდენი შემოსავალი ჰქონდა საათში, რამდენიც არაგონელ მეცხვარეს მთელი წლის განმავლობაში. განა იმ პორტრეტში, რომელსაც ორ დღეში მორჩებოდა, ოთხი ათას რეალს არ მიიღებდა? ასეთ ფულის ტომარას მომავლის შიში არ უნდა ჰქონოდა.

— შენი სახელოსნო ბევრად უფრო შემოსავლიანია, ვიდრე ჩემი ბანკი სარაგოსაში, — არწმუნებდა ის გოიას.

ფრანსისკოს სურდა რაც შეიძლება მეტი ასეთი ნუგეშის მოსმენა.

— ეს ყველაფერი კარგი, ჩემო დიდცხვირავ, — თქვა მან, — მაგრამ

ნუ დაგავიწყდება, თუ რაოდენ მოთხოვნილებას მიყენებენ სარაგოსელები, უპირველესად კი ჩემი ძმები. შენც კარგად იცი, „ცხამიან ყველს ესევა მატლები,“ — სინანულით წარმოთქვა ძველი ანდაზა. — დედაჩემს, რა თქმა უნდა, არაფერი არ უნდა აკლდეს; ჯერ ერთი რომ მიყვარს და მეორეც Pintor de Cámara-ს დედა შეძლებულად უნდა ცხოვრობდეს. მაგრამ ჩემი ძმა ტომასი ვირთხასავით უნამუსოა. განა მე არ ავაგებინე მოვარაყებული სახელოსნო კალიე დე მორერიაზე? შეკვეთების შოვნაში არ ვეხმარებოდი? ქორწილში არ ვაჩუქე ათასი რეალი და სამასი—ყოველი ბავშვის დაბადებისას? კამილო კიდევ უფრო უარესია. ენას ჩავიგდებ და ჩემთვის კაცს არაფერს ვთხოვ, მისთვის კი თავი დავიმცირე და ხვეწნა-მუდართ ვუშოვე მღვდლის ადგილი ჩინჩონში, მაგრამ მის გულს ვერ გააძღებ. დღეს ეკლესიისთვის სჭირდება რაღაცა, ხვალ — მღვდლის ოჯახისთვის. მე რომ მაგას სანადიროდ წაყვავე, კურდღელს ცხენის ფასად დამისვამს.

ყოველივე ეს მარტინს მრავალჯერ მოესმინა.

— სისულელეს ნუ ამბობ, ფრანჩო, — უთხრა დაყვავებით, — განა შენ არქიეპისკოპოსის შემოსავალი არა გაქვს? მოდი შენი მიმდინარე ანგარიში შევამოწმოთ, — შესთავაზა მან.

— შენ დაინახავ, — წინასწარმეტყველებდა გოია, — რომ ოცდაათი ათასი რეალიც არ მომიგროვდება.

მარტინს გაეცინა. მის მეგობარს ჩვეულებად ჰქონდა განწყობის მიხედვით ციფრების ხან გაბერვა და ხანაც შემცირება.

გამორჩკვა, რომ გოიას საშინაო და სხვა ხარჯების მიუხედავად, ოთხმოცი ათასი რეალი ჰქონდა.

— მაინც ცოტაა, — თქვა მან, — რაღაც ნამცეცებია.

— ყოველ შემთხვევაში, — ანუგეშა მარტინმა, — ამით გამობრუნდები კბილის ამოვსება შეიძლება, — წუთით დაფიქრდა. — შესაძლოა ესპანეთის ბანაკმა რამდენიმე პრივილეგიური აქცია დაგიტომოს. კარგი იქნებოდა, გრაფი კაბარუსი ისევ ჩასდგომოდა ბანკს სათავეში. ამის მოგვარება მხოლოდ ხოველიანოსს შეუძლია, რომლის დაბრუნებაშიც შენ გარკვეული წილი გიძევს, — დაუმატა მან ღიმილით. გოია საწინააღმდეგოს თქმას აპირებდა, მაგრამ... — ნუ სწუხხარ, ფრანჩო, — დაამშვიდა მარტინმა, — მე ამას ტაქტიკურად და თავაზიანად მოვაგვარებ.

ფრანსისკოს გულზე მოეშვა, რადგან მარტინმა გულდასმით მოუს-
წინა და გონივრული რჩევაც მისცა. სურდა მისთვის გაეზიარებინა თა-
ვისი ყველაზე ძვირფასი, ყველაზე დიდი საიდუმლო — ოცნება კაეტა-
ნაზე. მაგრამ ვერ ახერხებდა, სიტყვებს ვერ პოულობდა. როგორც არ
იცოდა, რა იყო ნამდვილი ფერი, ვიდრე რუხ ფერს აღმოაჩენდა, ზუს-
ტად ასევე არ იცოდა, რა იყო ვნება, ვიდრე კაეტანა არ იხილა ესტრა-
დაზე. ვნება — ფუქსავატური სიტყვაა, ის სრულიადაც ვერ გამოხატავს
მის ნამდვილ შინაარსს. ამის სიტყვით გადმოცემა შეუძლებელია, და
არც არავინაა, — მარტინიც კი, — რომ მისი არეული როშვის გაგება
შეეძლოს.

გოიას სასიხარულოდ. მარტინის მადრიდში ყოფნის დროს მოხდა
მისი აკადემიის პრეზიდენტად დანიშვნა. ფრანსისკოს შინ ეწვივნენ
დონ პედრო მელა და აკადემიის ორი წევრი სიგელის გადასაცემად.
რამდენჯერ გაუზომავთ ამ კაცებს გოია ზიზღის თვალთ, რადგან საკ-
მაოდ კლასიკურად არ ხატავდა და წესებს არ იცავდა, ახლა კი მასთან
იდგნენ და ხმამალა უკითხავდნენ პატივისცემისა და დიდების გამო-
მხატველ მაღალფარდოვან სიტყვებს საზეიმოდ ბეჭედდასმულ პერგა-
მენტის გრაგნილიდან. გოია სიამოვნებით ისმენდა.

ბოლოს, როცა დეპუტაცია წავიდა, ფრანსისკოს სიტყვა არ დასც-
დენია თავისი განცდების თაობაზე. არც მეუღლე ხოსეფასთან და არც
მეგობრებთან — მარტინთან და აგუსტინთან, მხოლოდ ეს თქვა თით-
ქოსდა სხვათა შორის:

— ეს საქმე წელიწადში ოცდახუთ დუბლონს მომცემს. ამდენს მე
ერთადერთ სურათში ვაკეთებ. ამ თანხისათვის იძულებული ვიქნები
კვირაში ერთხელ მიანიც მეფის კარის სამოსელი ჩავიცვა, უსაქმოდ მო-
წყენილი საათობით ვიჯდე სხდომებზე, საზეიმო სისულელეები ვისმი-
ნო და თვითონაც ასეთივე საზეიმო სისულელეები ვროშო. „დიდი პა-
ტივი. მცირე სარგებელი“, — დაურთო მან ძველი ანდაზა.

მერე ის და მარტინი მარტონი დარჩნენ.

— იყავ ბედნიერი და კურთხეული, — გულით მიულოცა მარტინ-
მა, — იყავ ბედნიერი და კურთხეული, სენიორ დონ ფრანსისკო, დე
გოია ი ლუსიენტეს, მეფის მხატვარო და სან-ფერნანდოს აკადემიის
პრეზიდენტო. მარადის გფარვიდეს ჩვენი მეუფე ყოვლად წმინდა
ღვთისმშობელი დელ პილარი.

— და ჩვენი ატოჩის წმინდა ქალწული. — სასწრაფოდ დასძინა გოიამ, თვალი მიაპყრო ჭანდაკებას და პირჯვარი გადაისახა.

შემდეგ სიცილს მოჰყვნენ, სიხარულის ყიყინა ატეხეს, ერთიმეორეს ბეჭებზე ხელი შემოჰკრეს, იმღერეს სეგიდილია გლესზე. რომელმაც მოულოდნელად მიიღო მემკვიდრეობა, სეგიდილია მისამღერით:

ახლა კი მოდი, ვიცეკვოთ,
მოდი. ფანდანგო ვიცეკვოთ,
თუკი ფულია ჯიბეში,
თუ ღამეს ებრძვის გიტარა,
მოდი. ფანდანგო იცეკვე,
გინდა იცუდე. გინდ არა!

და დაუარეს ფანდანგო.

ბოლოს, როცა მუხლებმოწყვეტილები ჩამოსხდნენ, ახლა გოიას მეგობრისადმი ერთი სათხოვარი გაუჩნდა. თურმე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყოლია, აბატები და ენამწარე ვაებატონები, რომლებიც დიდი ქალბატონის დილის ტუალეტის დროს მის წარმოშობას აქილიკებდნენ. ამას წინათ მისმა საკუთარმა ლაქიამ, ტუტუტუმა ანდრესმა, ვითომდა სრულიად შემთხვევით წარმოუდგინა იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იგი, ანდრესი, იდალგოა, „Hijo de algo, ამა და ამის შვილი“. აზნაური. მარტინმა ხომ იცის, რომ გოიას სისხლი წმინდაა და მისი მოღვმის ძველი ქრისტიანული წარმოშობა არავითარ ეჭვს არ იწვევს: ფრანსისკოს დედა, დონია ინგრასია დე ლუსიენტეს, ისეთ მოღვმას ეკუთვნოდა, რომელიც ჯერ კიდევ გოთების ბატონობის ხანიდან მომდინარეობდა. რა კარგი იქნებოდა, თავისი წარმოშობის სიწმინდის დამადასტურებელა საბუთი ხელთა ჰქონოდა. მარტინი დიდად დაავალდებდა, თუ ფრია ხერონიმოს დაიყოლიებდა, რომ მას ფეუნდეტორისა და სარაგოსას ეკლესიების ჩანაწერების საფუძველზე გოიას დედის საგვარეულო შტო დაედგინა. ამით გოიას საშუალება მიეცემოდა ცხვირში მიეჩარა საბუთი მისთვის, ვისაც მის კეთილშობილებამაჟეკლავ ეჭვი შეეპარებოდა.

შემდეგ დღეებს ბევრი მოლოცვები მოჰყვა.

მოზრძანდნენ აგრეთვე აბატ დონ დიეგოს თანხლებით ქალბატონები დონია ლუსია და პეპა ტუდო. გოიასთვის ეს მოულოდნელი იყო, თავს უხერხულად გრძნობდა, ჩვეულებრივ ბევრ ლაპარაკის მოყვარული სიტყვაძვირობდა. საპატერს თავი ღირსეულად ეჭირა, მაგრამ

სიამოვნებით ლაყბობდა. საწინააღმდეგო გრძნობებით აღვსილი აგუსტინი ლამაზ ქალებს მოღუშული მიმტერებოდა. პეპამ დრო იხელთა ფრანსისკოსთან მართო სასაუბროდ. დაბალი ხნით, ოდნავ ირონიულად უყვებოდა თავის ამბებს. თურმე, ახლა პატარა კერძო სახლში კალე დე ანტორჩაზე ცხოვრობს — ჩირალდნის ქუჩაზე. იგი დონ მანუელს პეპასთვის შეუძენია გრაფ ბონდალ რეალის განსვენებული ქვრივის მემკვიდრეებისაგან. დონ მანუელი რამდენჯერმე ჩამოსულა ესკურიალიდან მადრიდში პეპას მოსანახულებლად. მასვე მიუპატიებია მანუელის თავისი კარგი ცხენოსნობის საჩვენებლად. გოიას ბევრჯერ სმენია პეპატუდოს წარმატებების ამბავი, მაგრამ ყოველთვის წაუყრუებია ამისთვის. ახლა კი უნდოდა თუ არა, უნდა ესმინა ყოველივე.

გარდა ამისა, პეპამ შეატყობინა, რომ დონ მანუელის ნათქვამის მიხედვით, გოიას მალე მიიწვევდნენ ესკურიალში.

— მე ეს ძალიან ვთხოვე, — თქვა სხვათა შორის და სიხარულით შემამჩნია, თუ როგორ გაუჭირდა გოიას თავის შეკავება, მისთვის რომ სილა არ გაეწნა.

„მე თვითონ, — თქვა მან შინაურული, აკლებულ ტონით, — მე თვითონ ვიყავ ესკურიალში...“

როცა გოიამ

გააფთრებულმა შეხედა პეპას,

იმან განაგრძო:

„ზომ ორივენი

კარიერისთვის ვმუშაობთ ახლა,

ჩვენ, დონ ფრანსისკო!“

„Hombre!“

იყვირა მაშინ მარტინმა,

როცა ქალები გავიდნენ გარეთ,

„Hombre!“ —

უვიროდა მორღვეულ ენით.

მეორე დღეს კი წითელფეხება

მაცნე მოვიდა ესკურიალიდან

და მოიტანა მაცნემ მიწვევა,

რომ დონ ფრანსისკოს,

როგორც პრეზიდენტს

იპატიებდნენ

ესკურიალში...

მადრიდის ჩრდილო-დასავლეთით, ოცდაათი მილის მანძილზე, შორიდანვე გარკვევით ჩანს შავ ფონზე აღმართული სიერა-გვადარამის სასახლე ელ ესკურიალი. იგი უზარმაზარი ქვის ლოდითაა წამოკიშული ცივი, მედიდური, პირქუში და განმარტოებული.

ვატიკანისა და ვერსალის სასახლეებით ესკურიალი ევროპის უშესანიშნავესი ნაგებობა იყო; ესპანელები მას მსოფლიოს მეცხრე საოცრებად თვლიდნენ.

სასახლე ააგო მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში სასტიკმა, ფანატიკოსმა, ავხორცმა, ეჭვიანმა, ბიუროკრატმა მმართველმა ფილიპე მეორემ. მას სამმაგი მიზანი ჰქონდა. როცა მისმა ჯარისკაცებმა სანქვენტინთან ფრანგები დაამარცხეს, უცაბედად დაანგრიეს წმინდა ლავრენტის მონასტერი; ლავრენტი კი წარმოშობით ესპანელი იყო. მისი მოწამებრივი სიკვდილის გამო — ცოცხლად დაწვეს — ესპანელებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი გახდა და ფილიპე მეფემ დანაშაულის გამოსასყიდად ისეთი ტაძრის აგება გადაწყვიტა, რომლის მსგავსიც ჯერ კაცის თვალს არ ეხილა. გარდა ამისა, სურდა მამის, კარლოს მეფის ბრძანება აესრულებინა, რომელმაც ანდერძად დაუტოვა, მისი და მისი მეუღლის — დედოფლის — ცხედრებისათვის ღირსეული საძვალე აეშენებინა. ბოლოს, ფილიპეს სურდა თავის სიკოცხლის უკანასკნელი წლები განმარტოებით თავის თავთან და თავის ღმერთთან, ბერებთან და ლოცვებში გაეტარებინა.

ქვეყნის მბრძანებელს არაფერი დაუზოგავს თავისი განდევილობის შესაფერისად მოწყობისათვის. ვესტ-ინდოეთის საკუთარი კუნძულებიდან გამოიწერა მაღალი ხარისხის საშენი მასალა, კუენკის საკუთარი ტყეებიდან კი უძვირფასესი ხეები. გრანადისა და არასენის მთებში წარმოებდა ყავისფერი, მწვანე, წითელძარღვიანი მარმარილოს მოპოვება, თეთრისა — ფილაბრესის მთებში, ხოლო იასპისა — ბურგო დე ოსმას საბადოებში. მარტო ესპანეთში როდი იღვწოდნენ საუკეთესო მხატვრები და მოქანდაკეები მისთვის, — ფლანდრიაშიც, ფლორენციასა და მილანშიც. შორეულ შარავზე მთედინებოდა და შვიდ ზღვაზე მოცურავდა ტრანსპორტი მისი სასახლისათვის. მეფე საკუთარი თვალითა და ხელით სინჯავდა ყოველ დეტალს; თუ სალაშქროდ იყო წასული, იქ უნდა მიეწოდებინათ ყო-

ველდღიური ცნობები: ზღვის იქითური პროვინციების შემოსავალი მთლიანად ამ მშენებლობას მიახარჯა.

ესკურიალის ძირითადი გეგმა ისეთი იყო, რომ სასახლეს ერთიანად უნდა წარმოესახა ის იარაღი, ღვთის არჩევანით წმინდა ლავრენტის საწამებლად რომ იქნა გამოყენებული, რკინის ლასტი, რომელზედაც იგი დაწვეს. უზარმაზარ ოთხკუთხედიან შენობას თავისი მრავალი ეზოთი იმ გადაბრუნებული ლასტის შთაბეჭდილება უნდა შეექმნა, კუთხეებში მოთავსებულ ოთხ კოშკს — მისი ოთხი ფეხისა, წინ წამოწეულ ინფანტების სასახლეს კი — სახელურისა.

და აი ახლა იდგა აღმართული პირამიდების მსგავსად უშორესი აწყობისათვის გამიზნული, მაგრამ უფრო გამძლე მასალით თეთრონაქროსპერალეზოსური გრანიტით ნაშენი პირქეში, თანაც ღვთაებრივი სიდიადის მქონე მტკიცე ნაგებობა. 16 შინაეზო ჰქონდა ესკურიალს. 2673 ფანჯარა, 1940 კარი, 1860 დარბაზი, 86 კიბე, 89 შადრევანი, 51 ზარი.

ესკურიალს ჰქონდა შესანიშნავი ბიბლიოთეკა, რომელშიაც 100 000 ტომი და 4000-ზე მეტი ხელნაწერი ინახებოდა. განსაკუთრებით ფასდაუდებელი არაბული ხელნაწერები ნაპოვნი იქნა იმ გემებზე. რომლებითაც მაროკოს სულთანის — ციდიანის — განძეულობას ეზიდებოდნენ და ესპანელებს ჩაუვარდათ ხელში. მაგრამ მეფე ორ მილიონ რეალს იძლეოდა ხელნაწერების გამოსასყიდლად, მაგრამ ესპანელები დამატებით მოითხოვდნენ ყველა დატყვევებული ქრისტიანის განთავისუფლებას. რადგან სულთანი ამაზე არ თანხმდებოდა, ხელნაწერები ესკურიალში ინახებოდა.

სასახლეში იყო 204 ქანდაკება და 1563 სურათი. მათ შორის ლეონარდოსი, ვერონეზესა და რაფაელის, რუბენსისა და ვან დეიკის, ელ გრეკოსა და ველასკესის შედეკრები.

მაგრამ ესპანელები ამ ხელოვნების ნიმუშებზე მეტად ამყობდნენ ესკურიალის „რელიკარიოში“ თავმოყრილი განძეულით — რელიკვიებით. აქ იყო ოქროს, ვერცხლის, ოქროცურვილი ბრინჯაოსა და უკეთილშობილესი ხის 1515 სარკოფაგი. მრავალი მათგანი მოოქვილი იყო პატიოსანი თვლებით. მათში ინახებოდა ათი მარტვილისა და წმინდანის მთლიანი ჩონჩხი, 144 თავის ქალა, 366 ხელისა და ფეხის ძვალი, 1427 ცალკეული თითი და კბილი. იქვე იყო წმინდა ანტონის ხელი, წმინდა ტერეზას ცალი ფეხი, იროდის მიერ მოკ-

ლული ოქმითა ბავშვის ჩონჩხი, იქ იყო იმ თოკის ნაწყვეტი, რომ-
ლითაც იესო ქრისტე შებოჭეს, მისი გვირგვინის სამი ეკალი, ერთი
ნაჭერი ჯარისკაცის მიწოდებული ძმრით გაელენთილი ღრუბლისა და
ერთი ნატეხი იმ ჯვრისა, რომელზეც იგი გააყრეს. იქვე ინახებოდა
აგრეთვე თიხის კუთრკელი, რომლის წყალიც ქრისტემ ღვინოდ აქცია.
წმინდა ავგუსტინის სამელნეც და ბოლოს წმინდანი მამის პიუს მე-
ხუთის საშარდებუშტის კენჭი. ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ
ერთმა ეშმაკის მიერ თავგზაარეულმა ბერმა ბევრი ძვირფასი სარკო-
ფაგი დააყარა, უპატიურად დაახვავა და დაყარა, რაც მათში
ინახებოდა, რის გამოც შეუძლებელი გახდა გამორჩევა, რომელი ხე-
ლი იყო ისიდორესი და რომელი ვერონიკასი.

განსაკუთრებულ კაპელაში ინახებოდა ესკურიალის ყველაზე სა-
ამაყო რელიკვია. „Santa forma“ — ჰოსტია, ობლატი, რომლის ღვთა-
ებრიობა სულის ამაღლების საოცარ ძალაში გამოიხატებოდა. მწვა-
ლებლებმა, „ცვინგლიანებმა“, ხელთ იგდეს იგი, მიწაზე დაანარცხეს
და ფეხქვეშ გათელეს. მაგრამ Santa forma-ს სისხლის დენა აუტყდა,
თვალნათლივ დააჩნდა სისხლჩაქცევები, რაც მის ღვთაებრიობას ამ-
ტკიცებდა. ეს ჰოლანდიაში მოხდა; იქაური მონასტრიდან იგი ვენა-
ში, სოლო შემდეგ პრაღაში გადასვენეს მეფე რუდოლფ მეორის
დროს. ამის შემდეგ იგი მსოფლიოს მბრძანებელ ფილიპეს ხელში
გადავიდა. რისთვისაც მან საკმაოდ დიდი საფასური გაიღო — თავისი
ნიდერლანდების სამი ქალაქი და მნიშვნელოვანი სავაჭრო კონცესი-
ები. ამჟამად Santa forma ესკურიალში ესვენა და მწვალების თვა-
ლი ვერ იხილავდა.

მეფის კარის ცერემონიალი ისეთივე მკაცრი და დიდებული იყო.
როგორც თვით ესკურიალი: იგი ესპანეთის მბრძანებლებისაგან მო-
ითხოვდა ყოველ მათგანს სასახლეში გაეტარებინა მტკიცედ დადგე-
ნილი ვადა. სამოცდასამ დღეს უნდა დარჩენილიყო ესკურიალში მე-
ფე და მისი კარი. ვადა მტკიცედ იყო დადგენილი. კარლოს მესამე,
ამჟამად მმართველი მეფის მამა, ამ წესის დაცვას შეეწირა: უგულვ-
ბელპყო ექიმების გაფრთხილება და, ფილტვების ანთების მიუხედა-
ვად, დაწესებული ვადა ესკურიალში გაატარა.

ბუნებით კეთილ კარლოს მეოთხეს სასახლის სასტიკი მედიდუ-
რობა სულს უხუთავდა. იმ ცხრა კვირისათვის, რომელიც იქ უნდა
გაეტარებინა, პირადი აპარტამენტი მხიარული გუნების შესაფერი-

სად მოაწყო; ქვედა ოთახები, სადაც ფილიპე მეორემ თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა, პირქუშად და მონასტრულად გამოიყურებოდა, ზემოთ კი კარლოს მეოთხე კომფორტაბელურ ოთახებში ცხოვრობდა, რომელთა კედლები მოფენილი იყო მხიარული ფერების ნახებითა და სურათებით. მათზე გამოსახული იყო მოთამაშე ბავშვები, კეკლუცი მწყემსი გოგონები და ლაპარაკში გართული, ჩასუქებული მრეცხავი ქალები.

კვირაში ერთხელ, როგორც წესი მოითხოვდა, ეს მონარქიც მიდიოდა ესკურიალის ტაძარში თავის გარდაცვლილი წინაპრების მონანახულებლად. იგი ვაივლიდა Patio de los Reges-ს, სადაც იუდეველთა მეფეების გრანიტის ქანდაკებები იდგა: დავიდი არფითა და ხმლით, სოლომონი წიგნებით, ეზეკია ტარანით, მანასია შვეულით, იოსაფეტი ნაჯახით. ეს იყო იარაღები, რომლითაც ამ მეფეებმა იერუსალიმი ააშენეს. ამჟამად ესკურიალი განაგრძობდა ტრადიციას და ქრისტიანული სამყაროსათვის იგივე იყო, რაც ძველი აღთქმის ხალხისთვის სოლომონის ტაძარი.

ამ მეფეებს გვერდით ჩაუვლიდა დონ კარლოსი. მის წინაშე იხსნებოდა ეკლესიის მთავარი კარი, რომელიც მხოლოდ ცოცხალი და გარდაცვლილი სამეფო რანგის პიროვნებებისათვის იღებოდა. უხალისოდ, მედიდურად და პირქუშად მიაბიჯებდა ჰარმაგი მეფე დიდებული ნაგებობის ამაყ და თამამ ჰარმონიაში, და მიუხედავად თავის წარმოსადგეგობისა, ქონდრის კაცად ჩანდა უზარმაზარი ტაძრის გიგანტურ თაღებქვეშ.

რჩეული მარმარილოთი ნაგებ კედლებსა და თაღებს შორის ჩადიოდა ქვევით დონ კარლოსი ინფანტების პანთეონში. პრინცებისა და პრინცესების და იმ მეფეთა მეუღლეების აკლდამებში, რომელთა შვილებს ტახტზე ხელი არ მიუწვდათ. შემდეგ ჩადიოდა კიდევ ქვევით, ისევ გრანიტის საფეხურებით, მეფეთა პანთეონში. იქ იდგა რვაკუთხა აკლდამა იასპითა და შავი მარმარილოთი მოპირკეთებული, ევროპის ყველაზე უდიდებულესი და უძვირფასესი მავზოლეუმი. აკლდამა ამოშენებული იყო მთავარი კაპელის ქვეშ, ისე რომ მღვდელი ჰოსტიას აღმართავდა გარდაცვლილ მეფეთა თავზე მდგარი და ამ გზით ისინიც ღებულობდნენ მონაწილეობას ღვთის წყალობაში.

აქ დადგებოდა ხოლმე კარლოს მეოთხე ბრინჯაოს სარკოფაგებს შორის, რომლებშიაც მისი წინაპრების ცხედრები ესვენა.

არცთუ უშიშრად ის დაჰყურებდა
საფლავებს. ცივი და მკაცრი სტილით
იუწყებოდნენ ლიტერები აქ
დასაფლავებულ წინაპრების სახელებს
და იქვე პატრონს ელოდა
თავისუფალი ორი სამარე,
რომელსაც ფლობდნენ გვირგვინოსნები.
ერთ-ერთ მათგანზე წაეწერათ: „დონ
კარლოს მეოთხე“, მეორეზე კი:
„მარია ლუიზა“. ის ხუთ წუთს იდგა
ამ აკლამასთან წესის თანახმად,
ძლივს ჩაათვა თელა სამასამდე,
მერე გაეარდა პანთეონიდან,
სწრაფი სირბილით დაჰყვა კიბეებს,
გადაიარა ეკლესია, გადაჰკრა ეზო
და ჩაუარა იუდეველ მბრძანებლებს გვერდით...
ბოლოს და ბოლოს მან მიადწია
მზით განათებულ ოთახებამდე,
ულამაზესი გობელენები
და სურათები ეკიდა ყველგან.
გადაისროლა შავი სამოსი
და სანადიროდ მოირთო მყისვე..

15

გოია თვით ესკურიალში კი არ დააბინავეს, არამედ სასტუმრო სან-ლორენსოში. ეს მისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო; ესკურიალი, მიუხედავად სიდიდისა, ყველა სტუმარს ვერ დაიტევდა. გოია მაინც უკმაყოფილო იყო.

დონ მიგელმა მოინახულა. გოიამ დონია ლუსია მოიკითხა. დიახ, იგი თურმე აქ ყოფილა, თავსაც კარგად გრძნობს; დონ მიგელი ცოტას ლაპარაკობდა, მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდა, როცა სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდა. თქვა, რომ მოლაპარაკებას ზავის თაობაზე, რომელსაც ესპანელები ბაზელში ფრანგებთან აწარმოებდნენ, წარმატება არ ჰქონდა. საფრანგეთი არ თმობდა გარდაცვლილი ლუი მე-თექვსმეტის მცირეწლოვან ვაჟსა და ასულს. ესპანეთი კი თავის

წმინდა მოვალეობად თვლიდა მეფისწულების განთავისუფლებას და დონ მანუელი ამ საკითხში დათმობაზე არ მიდიოდა.

მოგვიანებით გოია შეხვდა აბატ დონ დიეგოს და დონია ლუსიას. აბატმა ვრცლად განმარტა პოლიტიკური სიტუაციის საჩოთირო მდგომარეობა. სამხედრო თვალსაზრისით ომი წაგებული ყოფილა. მაგრამ მხოლოდ დედოფალი იქცევა თურმე გონივრულად და თანახმაა დათმოს საფრანგეთის მეფისწულები ზავის ჩამოგდების დასაჩქარებლად. დონ მანუელის მიერ გადაბირებული კარლოსი კი ყოყმანობდა. კარის პირველი მინისტრი ელოლიაგებოდა იდეას, ცოლად შეერთო საფრანგეთის პატარა პრინცესა და ამ გზით გავლენიანი თავადის ტიტული მიეღო.

— და ჩვენი პეპა ხელს უწყობს მას თავისი გეგმის განხორციელებაში. — თქვა დონია ლუსიამ. მისი შორიშორ ჩამჭდარი თვალები გოიას ბევრად უფრო დამცინავად და ცბიერად ეჩვენა.

— პეპა ისევ აქ არის? — იკითხა უსიამოდ გოაცებულმა გოიამ.

— აღმირალ მასარედოს სამსახურიდან გადადგომის გამო პეპა ტუდოს პენსიის საქმე გაურთულდა. — განმარტა აბატმა. — იგი აქ არის და ამის თაობაზე მეფეს თხოვნა მიაართვა.

— დედოფალს უკვირს, — განაგრძო ლუსიამ, — რომ პასუხს პეპა მაღრიდში არ ელოდება. მაგრამ თქვენ ხომ იცით ჩვენი პეპას ამბავი. ჩამოვიდა და აღარ აპირებს უკან გაბრუნებას. აიკვიატა ის აზრი, რომ მისმა დონ მანუელმა საფრანგეთის მეფის ასული უნდა შეერთოს. ყოველ დღეგამოშვებით უმღერის მანუელს ბალადას ვაჟკაც რამიროზე, რომელმაც გმირულად მოიტაცა მეფის ასული.

— ერთი კი ცხადია, — შენიშნა აბატმა, — რომ სენიორა ტუდოს ესკუჟრიალში ყოფნა ჩვენი დელეგაციის ამოცანას, ზავის საკითხში, ძალზე ართულებს.

გოიას არ ესიაშოვნა, რომ მისი ყოფილი საყვარელი სახელმწიფო საქმეებში ყოფდა ცხვირს. ეს უგვანობა იყო და ეწინააღმდეგებოდა ღვთით დადგენილ წესიერებას.

— ნეტავ მოგენახულებინათ პეპა, დონ ფრანსისკო, — უთხრა ლუსიამ ალერსიანი, მაგრამ ცბიერი ღიმილით, — ქვედა სასტუმროში ცხოვრობს.

გოიამ გადაწყვიტა პეპასთვის თავი აერიდებინა.

მეორე დღეს ფრანსისკო ესკუჟრიალში გამოცხადდა, რათა, არსე-

ბული წესის თანახმად, დედოფლის დილის ტუალეტს დასწრებოდა: არ იცოდა, დონია კაეტანა მოემსახურებოდა თუ არა ამჟამად დედოფალს, სურდა თუ არა გოიას ამ ქალის ხილვა და ეშინოდა თუ არა შეხვედრისა.

წინაღარბაში მორთულ-მოკაზმული ბატონებითა და ქალბატონებით გაჰედლიყო. აქ იყო აბატი, საფრანგეთის წარმომადგენელი მუსიო დე ავრე, და აგრეთვე — ფრანსისკოს ერთბაშად წაუხდა გუნება — კარნისერო, მისი კოლეგა, მოხალტურე, რომელსაც ეფექტებითა და გაბერილი ფასებით გაჰქონდა ლელო.

საძინებელი ოთახის კარი ყურთამდე გაიღო. ესპანეთის დედოფალი ტუალეტის მაგიდას მისჯდომოდა. ცერემონიებით, ეტიკეტით ზუსტად დადგენილი მოძრაობით ემსახურებოდნენ მალალი წრის ქალბატონები. ქვედაწელს აწვდიდა ჰერცოგის მეუღლე, ზედაწელს — გრაფის მეუღლე, ხოლო მარკიზის მეუღლე კი — ლეკვერთხებს. ნარნარად მოძრაობდნენ, ნიღბისმაგვარი სახეები წაცხებულშეღებილი ჰქონდათ. ეს კაპწია თოჯინები ცივი, მელანქოლიური ღიმილით მიდი-მოდოდნენ. გოია უყურებდა და არ იცოდა, ეს საუკუნეობით დაწესებული ლამაზი, საზეიმო ჩვეულება სასაცილო იყო თუ დიადი.

უცებ გოიამ კაეტანა ალბა დაინახა. მისმა გულმა ძგერას უმატა.

სხვებივით თოჯინასავით მოკაზმული და შეღებილი კაეტანაც დადგენილი ეტიკეტის მიხედვით მოძრაობდა, მაგრამ მაშინ, როცა სხვები აქ, ესკურიალში, ესპანეთის გარდაცვლილ მბრძანებელთა აკლდამების თავზე მოძველებულ ჩვეულებას ემსახურებოდნენ, კომედიას თამაშობდნენ და სასაცილონი იყვნენ, ის, დონია კაეტანა, აქ თავის ადგილზე გრძნობდა თავს; რასაც აკეთებდა, მისი ღვიძლი საქმე იყო, ძვალსა და რბილში გამჯდარი.

ღონ მანუელმა გოია გაიხმო. უთხრა, მოხარული ვიქნები, თუ დროს გამოენახავ შემდეგი მოდელირებისათვის, მაგრამ ახლა მეტად დაკავებული ვარო. ზავის თაობაზე ისედაც ძნელი მოლაპარაკება კიდევ უფრო რთულდება პირადი პრობლემების გამოო.

— ჩვენს საერთო მეგობარს, სენიორა ტუდოს, — ამბობდა იგი, — სურს გმირად ვიქცე. ეს სასიამოვნოა და პატრიოტულიც, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ არ შემიძლია ქვეყანა სისხლისაგან დაცვალო მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი თავისა და ჩვენი პეპას თვალში გმირად

გამოვჩნდე? მე პოლიტიკური მოღვაწე ვარ, უნდა დავემორჩილო გონებას, პოლიტიკურ აუცილებლობას და არა გრძნობას.

გოია უხალისოდ უსმენდა. ცხადია, კვლავ რაღაც ელობებოდა გზაზე, უცნაური რამ, რაღაც დამამცირებელი.

— გარდა ამისა, — განაგრძობდა მინისტრი, — დედოფალი ნერვიულობს, აწუხებს იმ ძნელი გადაწყვეტილების მიღება და გულთან ახლოს მიაქვს ყოველი წვრილმანი, თუნდაც ჩვენი მეგობრის ტუდოს აქ ყოფნაც კი. სენიორა, რასაკვირველია, დედოფლის სურვილს ემორჩილება, მაგრამ სამართლიანად გრძნობს თავს შეურაცხყოფილად. მინდოდა მისი ერთი რამეთი გახსარება, ვიდრე მადრიდში გაბრუნდებოდა. რა კარგი იქნებოდა, რომ ისევ გაგვემეორებინა ის სასიამოვნო საღამო, რომელზედაც თქვენი წყალობით სენიორა ტუდო გავიცანი.

— ეს პეპას იდეაა? — ჰკითხა გოიამ და უკმაყოფილებას ძლივს მალავდა.

— ნახევარი მისი და ნახევარი ჩემი, — მიუგო მან, — პეპა ფიქრობს, რომ საღამო გავმართოთ ესკურიალში, ჩემს აპარტამენტში. მისი აზრით, ეს განსაკუთრებით სასიამოვნო იქნება.

გოიას ძალიან გაუფიქრდა გუნება. რად დასჭირდა პეპას საეჭვო საღამოს გამართვა ესპანეთის უდიდებულეს სასახლეში? „არა შეჭდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“, — გაივლო გულში განაწყენებულმა ძველი ანდაზა. ანდა რად სჭირდებოდა იქ გოია? უნდა დაანახვოს, თუ რას მიაღწია? მაგრამ მინისტრის მიპატიჟებაზე უარის თქმის საბაბი მაინც ვერ გამოიხატა.

ამგვარად, მეორე საღამოს, გოია ხელახლა ავიდა სადარბაზო კიბეზე და გრძელ, პირქუშ დერეფნებში გაემართა ღონ მანუელის აპარტამენტისაკენ.

წინა დარბაზში პეპას დუენია იჯდა, გალეული კონჩიტა, გოიას თავმდაბლად მიესალმა, მაგრამ მის ჩამომხმარ სახეზე უტიფარი, უნამუსო დაცივნა კრთოდა.

ღონ მანუელთან იგივე საზოგადოება შეიკრიბა, როგორც მაშინ, ღონია ლუსიასთან. აკლდა მხოლოდ აგუსტინი და წინდახედული მიგელი. პეპა მშვენიერი სანახავი იყო მოხატულ მწვანე კაბაში. ფრანსისკო თავისდაუნებურად გამოუტყდა ამაში. ძალიან კარგად მიუხვდა პეპას, თუ რა ხდებოდა მის გულში — ესმოდა მისი შეურა-

ცხოვრა და ტრიუმფი. მოსცილდა თუ არა მას, ყელამდე აივსო ყვე-
ლაფრით, რაც კი ქალს შეეძლო ენატრა. და ახლა აქ პეპა ტუდო,
სახელმწიფოს საუკეთესო სასახლეში, განსვენებული მეფეების საძ-
ვალეთა თავზე, უტიფარი და ამაყი, საღამოს მართავდა; მისი მოწვე-
ვით მოვიდა აქ გოია და უარის თქმაც კი ვერ გაბედა. „Tragalo perro—
აპა, ჩახეთქე, ძაღლო!“

პეპა უბრალოდ მიესალმა, ალერსიანად და თანაც უცხოსავით.

— კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს ველირსე თქვენს ნახვას, დონ
ფრანსისკო. ყური მოვკარი, მათი უღიდებულესობების დასახატავად
ჩამოსულხართ. მწყინს, რომ ლოდინი გიხდებათ. მეც საქმეებზე ვარ
ჩამოსული. შეიძლება ითქვას, მივალწიე ჩემსას და ხვალ მადრიდში
ვაპირებ გაბრუნებას.

გოია ახლა დიდი სიამოვნებით ჩააველებდა ხელს მხრებში, ლო-
ნივრად შეანჯღრევდა და უსირცხვილო სახეში მიახლიდა რამდენიმე
მაგარ, ბინძურ სიტყვას, მაგრამ დონ მანუელის წინაშე თავი უნდა
შეეკავებინა.

დონ მანუელს თავი ისე ეკირა, თითქოსდა ქვეყნის თვალში არა-
ფერიაო, რომ მან პეპა ტუდოს საღამოს გასამართავად თავის საღარ-
ბაზო ოთახები დაუთმო ესკურიალში. კარგ გუნებაზე იყო, ხალისი-
ანად ლაპარაკობდა და ქოთქოთებდა, მაგრამ მისი უდარდელობა
მოჩვენებითი იყო. დონია მარია ლუიზამ ბევრი აპატია, ამჯერად მა-
ნუელს მეტისმეტად ხომ არ გაუვიდა თავს?

ამ საღამოს ჭეშმარიტ სიხარულს აბატი განიცდიდა. ტკბებოდა
ლუსიასთან ყოფნით. მრავალი მიკიბ-მოკიბული საშუალებებით თან-
დათანობით შეძლო მისი დაახლოება და ლუსია ახლა მისი თვლებით
უცქერდა პოლიტიკას, და ისიც მასავით იყო აღტაცებული ამ საღა-
მოს გამჭირდავი ბიწიერებით. ფილიპე მეორეს, მომავლის დიდ წი-
ნასწარმეტყველს, ალბათ, არც დაესიზმრებოდა, რომ ოდესმე სა-
ხელმწიფოს პირველი მინისტრი მისი საფლავის თავზე ინადიმებდა
თავის საყვარელთან ერთად.

ამ საღამოს იმღერა პეპამ თავისი ერთი რომანსი, შემდეგ მეორე
და მესამეც. იმღერა რომანსი მეფე დონ ალფონსოზე, რომელმაც
ტოლედოში ებრაელი ქალი Raquel la hermosa — „მზეთუნახავი რა-
ხილი“ შეიყვარა, მიატოვა თავისი დედოფალი, ინგლისელი ლეონო-
რა და სატრფოსთან იცხოვრა შვიდი წელიწადი. შემდეგ კი აღშფო-

თებულმა გრანდებმა მოკლეს ებრაელი ქალი და მეფე უზომოდ იტანჯება. პეპა მღეროდა:

თავს იკლავდა ალფონსი —
ახვამ წამართვა რაელი;
ჩემი მზეთუნახავი,
ლამაზი ებრაელი!

შემდეგ მოდის ანგელოზი და მეფეს თავის დანაშაულს მოაგონებს. დონ ალფონსო ნანობს და დანაშაულის გამოსასყიდლად ათას მავრს ელეტს.

ასე მღეროდა პეპა. დანარჩენები ჩაფიქრებულნი უსმენდნენ.

— ჩვენს პეპას სურს ძველი ესპანური ყაიდის გმირად მაქციოს, — თითქოსდა სხვათა შორის თქვა დონ მანუელმა.

და პეპამაც ვითომდა არაფერიო, უპასუხა:

— მე არ მირევია არც ერთი წვეთი ებრაული თუ მავრიტანული სისხლისა, წმინდა კასტილიური წარმოშობისა ვარ, — და პირჯვარი გადაიწერა.

— ეს ვიცი, — დააჩქარა მისი დაწყნარება დონ მანუელმა, — ეს ჩვენ ყველამ კარგად ვიცით.

— შენ ახლა წინანდელზე უკეთესად მღერი, პეპა, — უთხრა გოიამ, როცა საშუალება მიეცა მასთან ცალკე ლაპარაკისა.

პეპამ უტიფრად მიანათა სახეში მწვანე თვალები.

— ჩემი რომანსები სინამდვილეზე გაცილებით უკეთესია. — უთხრა მან.

— ყური მოვკარი, რომ პოლიტიკით დაინტერესებულსარ, — უთხრა გოიამ.

პეპამ ხალისიანად მიუგო:

— მე ესპანეთი და დონ მანუელი მაინტერესებს. ვიდრე ჩემი ცხონებული ფელიპე ცოცხალი იყო და ადმირალთან მქონდა ურთიერთობა, ფლოტი მაინტერესებდა. როცა მე და თქვენ ვმეგობრობდით — მხატვრობა. გახსოვთ, როგორ გაგამახვილებინეთ ყურადღება, რომ თქვენ მიერ დახატულ სენიორ მასარედოს სურათზე ერთი ხელი თითქოსდა მოკლე ჩანდა? ამჟამად კი დონ მანუელი მაინტერესებს. ის ესპანეთის უდიდესი სახელმწიფო მოღვაწეა და რატომ არ უნდა გახდეს ყველაზე დიდი მსოფლიოში? მაგრამ არ იფიქროთ,

ძველი მეგობრები დავივიწყო. ჩემი თხოვნით ღონ მანუელი მეფეს ურჩევს, რომ პირველი მხატვრის სანაცვლოდ სხვა პირი დანიშნოს. სამწუხაროდ, ღონ კარლოსი ჭიუტია და სურს ეს ჯამაგირი დაზოგოს.

გოიამ თავი შეიკავა.

— მე შენს ადგილას, პეპა, ესპანეთის მეფესა და საფრანგეთის კონვენტს მივანდობდი ლუი მეთექვსმეტის შვილების ბედს. — უთხრა გოიამ.

პეპა წინანდებურად არ აშორებდა თვალს.

— თქვენ ჭკვიანი ხართ, ღონ ფრანსისკო, — მიუგო მან, — ჩემი რომანსების გმირებს როდი ჰგავხართ. ყოველთვის სალი თვალით ხედავთ მოვლენებს. უთუოდ ჭკვიანურ რჩევას მაძლევთ. თუმცა მე უკვე ვიქცევი თქვენი რჩევის თანახმად და თანაც უფრო აღრგევილრე თქვენ მას მომცემდით.

გოიამ გაიფიქრა: „ქალი რომ წყლიდან ამოთრიო, მტკიცებას დაგიწყებს, რომ თვითონ შენ ეგდე წყალში“. ამავე დროს, თუმცა არ იცოდა, სიტყვებით როგორ გამოეთქვა, მაგრამ თავისი კარგი გლეხური, მამაკაცური ინსტინქტით ხვდებოდა, თუ რას გრძნობდა პეპა. გოიას წყენინების სურვილი იმის დამადასტურებელი იყო, რომ კვლავ უყვარდა იგი. საკმარისი იყო ერთი დამახეხა და პეპა, თავის ფლეგმატურობის მიუხედავად, ხელად ჩაუხტებოდა ლოგინში. დაე, დასცინოს, დაე, თავი ქედმაღლურად ეჭიროს, მაინც ეცოდება ის გოიას.

მას აინტერესებდა, თუ როგორ დაამთავრებდნენ მანუელი და პეპა საღამოს. გაბედავდნენ თუ არა ესკურიალში, დედოფალთან ერთ პერქვეშ, კარლოს მეხუთისა და ფილიპე მეორის საქვალეთა თავზე, ერთად ღამის გათევას?

ლუსია და აბატი გამოემშვიდობნენ. პეპა წასვლას არ აპირებდა. გოიას წასვლის ჟამიც მოახლოვდა.

— ღამე ნებისა, ღონ ფრანსისკო, — უთხრა პეპამ ნელი, სასიამოვნო ხმით, — ღამე ნებისა, ფრანჩო, — უთხრა და ჩახედა თვალებში.

გალერეაში გამოვიდა და
ნახა ბებერი ლუენია იქ
ჩაცუცქულიყო, თავის კანტურით
თვლემდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა,

ადგა მოხუცი და მიესალმა
მხატვარს, — დააღო უკბილო პირი.
შეერთა გოია, გადაისახა
პირჯვარი. ბილწი, მზაკვარი ქაღალდის
ესკურიალის სახურავის ქვეშ
უფრო საშინლად მოეჩვენა მას,
უფრო საძაგლად, საზიზრლად, ვიდრე
ღონ მანუელი პეპას საწოლში.

16

სასტუმროში შეფის კარის მხატვარს ღონ ფრანსისკო დე გოია ი ლუსიენტეს ესკურიალიდან ბარათი მოართვეს. შიგ ეწერა: „მე ზვალ არ ვემსახურები დედოფალს. რატომ არასდროს არ ესწრებით ჩემს დილის ტუალეტს? თქვენი მეგობარი კაეტანა დე ალბა“.

ნაღვლით აღვისილი ელოდა გოია ამ ცნობას. ახლა ყოველი უსიამო გრძნობა გაქრა. „თქვენი მეგობარი კაეტანა დე ალბა“. გაიფიქრა უფრო ღმობიერად.

მეორე დღეს, შედგა თუ არა იქ ფეხი, მაშინვე მოუხმო კაეტანამ.

— რა კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს მანც მომბრძანდით, ღონ ფრანსისკო, — მიესალმა იგი, — ჩვენ ბევრი გვაქვს მოსალაპარაკებელი. სხვები რომ წავლენ, თქვენ დარჩით.

ის ლაპარაკობდა წვრილი, ოდნავ მკახე, გულწრფელი, უდარდელი, აწეული ხმით, ისე რომ სხვებს მისი სიტყვები ესმოდა.

სამწუხაროდ აქ ბევრი უცხო იყო და ისეთებიც, რომელთა შეხვედრა გოიას არ გახარებია. აქ იყო მალალი, ქერა ექიმი პერალი, აქ იყო მისი კოლეგა თხუპნია კარნისერო, აქ იყო ლამაზი პრანკია მარკიზ დე სან-ადრიანი, რომლის თავაზიან მოპყრობაში გოია ყოველთვის რაღაც ზიზლს გრძნობდა, იყო აგრეთვე ტორეადორი კოსტილიარესა, რომლისთვისაც, ღვთის წინაშე, ესკურიალის კარი არც კი უნდა გაღებულყო.

ღონია კაეტანა კი ყველას მეგობრულად უყურებდა. ლოდინში გოიას სიხარული გაიფანტა. ყველას მოკლე პასუხს აძლევდა.

მან სტუმრებს ზურგი შეაქცია და კედელზე დაკიდებულ ფერად გობელენებს დაუწყო დათვალიერება.

აღბებს ის რამდენიმე დარბაზი ეჭირათ, რომლებიც მეფემ უკა-

ნასკნელი ათწლეულისათვის დამახასიათებელი მსუბუქი სტილით ააგებინა. გობელენებს შორის ერთი გოიას იმ ესკიზით იყო შესრულებული, რომელიც თვითონ ფრანსისკომ დაამზადა ჯერ კიდევ იმ დროს, როცა იგი ხალისიანად და უღარდელად ხატავდა ყველაფერს, რასაც მოიფიქრებდა. მასზე გამოხატული იყო მხიარული ხალხური სცენა. ოთხი გოგონა თავის შესაქცევად „პელელს“ — ჯამბაზს თავსაფრით მალდა ისროდა და ახტუნებდა. კომპოზიცია ცუდი როდი იყო, ან მოძრაობა არაბუნებრივი. მიუხედავად ამისა, გოიას არ მოეწონა მაშინდელი თავისი ნაწარმოები. ეს მახები, ხალხიდან გამოსული გოგონები, თოჯინას რომ ახტუნებდნენ, არ ჰგავდნენ ნამდვილს. ესენი მახები კი არა, მეფის კარის ქალბატონები იყვნენ, რომლებიც მახებს განასახიერებდნენ და მათი სიხარულიც ისევე ხელოვნური იყო და გაქვავებული, როგორც მან დედოფლის დილის ტუალეტის დროს დაინახა. ჯამბაზის სასაცილო, უსიცოცხლო მოძრაობა უფრო ჰგავდა ნამდვილს, ვიდრე გოგონებისა.

გოიას თავის დროზე ერთობ მოსწონდა ასეთი მხიარული მასკარადი და სიხარულით ეტანებოდა. მას ყველა ეტანებოდა. მისი პარიზელი კოლეგები ვერსალის ბატონებსა და ქალბატონებს მწყემს გოგონებად და ბიჭებად ხატავდნენ ისეთსავე გაშეშებულსა და ხელოვნურს, როგორიც გოიას მახები და მათი კავალრები იყვნენ. ზოგიერთ ამ მოხდენილ მწყემს ბიჭსა და მწყემს გოგონას უკვე მოჰკვეთეს ელეგანტური, თოჯინას თავი. თვით გოიამაც, მიუხედავად იმისა, რომ ბედმა ამჟამად წინანდელზე უკეთ გაუღიმა, ბევრი რამ ისწავლა. და თავისი ხალხური სცენის მხიარულება ახლა მას სულელურად, დაბაბულად და აღმამფოთებლად ეჩვენებოდა. კაცმა რომ თქვას, გობელენის მხიარული სახეები თითქოს პორტრეტებს არც ჰგავდა, მაგრამ მაინც პორტრეტები იყო. მას შეეძლო მტკიცე უარი ეთქვა, რომ ამ თოჯინისსახეებიან ქალებში მესამე კაეტანა ალბაა, თუმცა სინამდვილეში კი ის იყო. ამ საქმეში გოია უდიდეს ხელოვნად ითვლებოდა: შეეძლო სახისათვის მსგავსება მიენიჭებინა და ამავე დროს ანონიმურად ექცია. დიახ, ის, კაეტანა ალბა, სიამოვნებით ათამაშებს თავის პელელს.

— ჩემო ბატონებო და ქალბატონებო, ჩემი მორთვა, მგონი, დამთავრდა, — ერთბაშად გამოაცხადა კაეტანა ალბამ და თავაზიანად, მაგრამ საბოლოოდ გამოემშვიდობა სტუმრებს.

— თქვენ დარჩით, ღონ ფრანსისკო, — გაუმეორა მან.

— სასეირნოდ მივდივართ, ეუფემია, — გამოუცხადა თავის დუნეზიას, როცა ყველანი წავიდნენ და წარუდგინა იგი გოიას: — ეს გახლავთ ღონია მარია ბეატა ეუფემია და ფერერ ი ესტალა.

ფრანსისკომ მდაბლად დახარა თავი და მოახსენა:

— ჩემთვის დიდი პატივი და სიხარულია თქვენი გაცნობა, ღონია ეუფემია.

დიდი ქალბატონის სამიჯნურო საქმეებში დუნეზია მეტად მნიშვნელოვანი პიროვნება იყო, რომელიც თავის სურვილისამებრ ქმნიდა დარსა თუ ავდარს.

მოახლეები ტულეტის მაგიდით მოაგორებდნენ სალბუნებიან ახალ ქილებს და ნელსაცხებლიან შუშებს. წინასწარ განზრახული გასეირნებისას საკირო იყო მზის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება. გოიას თვალწინ თეთრად გაქათქათდა კაეტანას მოგრძო, ფერმკრთალი, შავგვრემანი სახე; არაჩვეულებრივად მალა ატყორცნილი წარბებითაც კი ეს სწორედ კაეტანა აღბას განუმეორებელი სახე იყო. სად ჰქონდა გოიას თვალები, როცა პელელე-გობელენისთვის მესამე გოგონას ხატავდა?

— რომელი კაბის მირთმევას მიბრძანებს ჩემი მერცხალი გასასეირნებლად? — მიმართა დუნეზიამ კაეტანას, — პარიზული მწვანისას, ანდალუზიურისას თუ თეთრ მადრიდული მუსლინისას?

— თეთრისას, რა თქმა უნდა, — უბრძანა ალბამ, — და წითელი მანდილისას.

ახლა გოიას აღარ ელაპარაკებოდა კაეტანა და მთელი გულისყური მოკაზმვისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. მადრიდელი ქალბატონები მიჩვეული იყვნენ მამაკაცების თანდასწრებით ჩაცმა-დახურვას და გულუხვად უჩვენებდნენ მათ მკლავებს, მხრებს, ზურგს, მკერდს; მხოლოდ არ ღალატობდნენ ძველ ჩვეულებას და ფეხებს მაღავდნენ. ღონია კაეტანა კი ფეხებსაც არ მაღავდა. „თუ გოგონა ფეხს არ მაღავს, დიდხანს ხვეწნით არ დაგალავს“, — გაუელვა თავში გოიას ერთი ძველი ტონადილიის მისამღერმა.

მიუხედავად მასში აღძრული ძლიერი ვნებისა და წყურვილისა, მხატვრის გავარჯიშებული თვალთ საფუძვლიანად აითვისა მორთვის რთული ცერემონია, რომელსაც წინდახედულად ხელმძღვანელობდა დუნეზია. ღონია ეუფემია — ჭოკივით გრძელი და ჩამომხმარი, შუბლ-

მრუდე, ცხვირმიტყაპნილი და გადმობრუნებულტუჩებიანი ქალი გახლდათ. დიდი თავი წვრილ კისერზე ჰქონდა წამოდგმული. კაეტანა ალბა დარბაისელ მოხუც შავოსან ქალს ხან მბრძანებლობდა, როგორც მონას, ხან ეხუმრებოდა, ხანაც მეტისმეტად მოურიდებლად ეპყრობოდა. თეთრი მარმარის კაბა უფრო მოკლე ჩანდა, ვიდრე წესი მოითხოვდა: ბოლო უკან არ ეთრეოდა და გასასეირნებლად მეტად მოხერხებული იყო. ბოლოს წითელი მანდილიც შემოიხვია და გაქუჩქუჩებულ შავ თმაზე თხელი ბადე გადაიკრა.

დონია კაეტანას ჩვეულებრივი თანმხლებნიც გამოცხადდნენ: ათიოდე წლის გაყვითლებული, უტიფართვალება ბიჭი, პაჟი ხულიო, და პატარა ხუთიოდე წლის ზანგი გოგონა მარია ლუცი. დუენიას ქოლგა ეჭირა, პაჟს — ქურჭელი პუდრითა და ნელსაცხებლით, ზანგის გოგოს ხელში აეყვანა ერთი ბეწო, თეთრი, გაქუჩქულებული ძალღი დონ ხუანიტო.

დონია კაეტანასა და გოიას წინამძღოლობით პატარა პროცესიამ საზეიმო დერეფანი გაიარა, დიდ კიბეს ჩაჰყვა და ბაღში გავიდა. გაუყენენ ხრეშით მოფენილ მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებს ყვავილების კვლებსა და წიფლისა და ურთხელის ცოცხალ ღობეს შორის, რომლის მიღმაც უზარმაზარი, პირქუში სასახლე ჩანდა. ბოლოს დონია კაეტანა ბალის საზღვრებს გასცდა და დაადგა ერთ ბილიკს, იგი სწრაფად ვიწროვდებოდა და ზევით, მეფის სავარძელთან — „die „silla del Res“—სთან ქარაფის წამოშვერილ ქიმს აღწევდა. საიდანაც ესკურიალის დიდებული სანახაობა იშლებოდა.

ჰაერი საამურად გაკრიალებულიყო, კაშკაშა ცაზე მზე ფერმკრთალი ჩანდა, ნიავეი ქროდა. კაეტანა ალბა მხიარულად და გაბედულად მიაბიჯებდა მოდური, ცხვირამვერილი, მოხდენილი, კოპწია ფესსაცმელებით. მარცხენა ხელით მსუბუქად მიაქანებდა დაკეცილ მარაოს, მომცრო ტანის, თვალწარმტაცი და გაბედული ალბა აღმა მიჰყვებოდა ვიწრო, ქვიან ბილიკს, რომელიც თანდათან ასდევდა რუხ-მოყვითალო უდაბნოს გვადარამის კალთებამდე.

ოდნავ უკან მიჰყვებოდა გოია. ვინც კი ესკურიალს ესტუმრებოდა, მისთვის დაწესებული იყო სამეფო კარის სამოსელის ტარება. უხერხულად მიაბიჯებდა იგი გამოსხეპილი ზიფთანით, ქუდით, დაშნით და პარიკით შევიწროებული. მისჩერებოდა წინ მიმავალ ალბას წითელი მანდილით შემოტმანნილ თვალწარმტაც, მრგვალთეძობიან

პატარა, კოპწია ტანს. წინ მიდიოდა ერთი ნამცეცა, ლარივით გაქიმული და ნატიფი ალბა. იგი არც მიაბიჯებდა, არც მიდიოდა და არც მიცეკვავდა. ძნელია გამოინახოს შესაფერი სიტყვები მისი მოძრაობის გამოსახატავად.

გოიას გრძლად ეჩვენა გზა, მაღლა რომ ასდევდა მზის სხივებით მოფენილ, რუხ-მოყავისფრო, გადათეთრებულ ქვიან უდაბნოს. შაოსანი ღუენია ღირსეულად და უსაყვედუროდ ამოძრავებდა თავის ბებერ ხელ-ფეხს, პაჟ ხულისოს უხალისოდ მოჰქონდა ნელსაცხებლები და საპუდრეები, პატარა ზანგი გოგონა ლუცი წინ და უკან დარბოდა, ერთი ციციქნა ლეკვი მბრძანებლურად წკმუტუნებდა და წამდაუწუმ გაავებულად მოითხოვდა მიწაზე დასმას უკანა ფეხის ასაწევად. გოია გრძნობდა მიყრუებულ გზაზე მიმავალ ამ პატარა, ქრელი, მოდური პროცესიის სასაცილო შესახედაობას.

ალბა ზურგშექცევით ელაპარაკებოდა:

— სენიორა ტუდო იმავე სასტუმროშია, სადაც თქვენა ხართ?

— როგორც გადმომცეს, სენიორა ტუდო გამგზავრებულა. — მიუვო გოიამ და თან ცდილობდა აღეღვება არ დაემჩნია.

— როგორც ყური მოვკარი, — განავრძო ალბამ, — სენიორა ტუდოსათვის შესანიშნავი ზეიმი გაგიმართავთ. თუ ეს დონ მანუელი იყო? თქვით რაიმე, ნუ იქნებით ასე პედანტურად გულჩათხრობილი. დონ მანუელი ჯიუტია, მაგრამ არც იტალიელმა ქალმა იცის დათმობა. როგორ გგონიათ, ვინ ვის აჯობებს სიჯიუტეში?

— ჰერცოგის ასულს, მე ამ ამბისა ბევრი არაფერი ვიცი. — მშრალად მიუგო გოიამ.

— ჰერცოგის ასულს მაინც ნუღარ მიწოდებთ. — მოისურვა დონია კაეტანამ.

ამასობაში მიადგნენ კლდის ქიმს სავარძელ die silla del Réy-ს, მეფე ფილიპეს საყვარელ ადგილს, საიდანაც იგი თვალყურს ადევნებდა, როგორ იზრდებოდა თანდათანობით მისი სასახლე ქვიდან ქვამდე. ალბა დაჯდა, დაკეცილი მარათ კალთაში ედო, ღუენია და ორი ბავშვი მის უკან ძირს დასხდნენ, გოია ფეხზე იდგა.

— თქვენც დაბრძანდით! — ზურგს უკან გადაისროლა ალბამ ბრძანება.

გოიამ მიწაზე უხერხულად მოიკალათა. უშლიდა დაშნა და წვეტიანი კენჭები.

— Cubrios — დაიხურეთ! — უბრძანა ალბამ.

გოია ვერ მიხვდა სერიოზულად, დაცინვით თუ ხუმრობით იზ-
მარა ჩვეულებრივი ფორმულა, რომლითაც მეფე თორმეტ რჩეულ
გრანდს მიმართავდა. თავნება და კოპწია ღონია კაეტანა იჯდა აქ ქვის
სკამზე და გაჰყურებდა გაკაშკაშებულ უდაბნოსა და სასახლეს.
უთუოდ ასე მჭდარა აქ მისი წინაპარიც, ფანატიკოს ფილიპე მეორეს
მიერ ხშირად გამოძახებული. ალბების ამ წინაპარს აქ უთუ-
ოდ მრავალგზის გაუზარებია ის განკარგულებანი და ბრძანებები,
რომელსაც მეფე თავისი ჩვეულებრივი დაბალი ხმით თავაზიანად
გასცემდა ხოლმე დაუმორჩილებელ ქვეყნებზე თავდასხმისა და
მწვალებლური პროვინციების განადგურების თაობაზე.

ალბა გარინდებული იჯდა, სხვებიც არ იმძრეოდნენ. სულიც
ხორცამდე შეებოჭა კაეტანა თვალუწვდენელი უდაბნოს ციალში
აზიდულ თვით უდაბნოსავით გაქვავებულ და უსიცოცხლო სასახ-
ლის ხედს.

გოიაც სხვებივით გაჰყურებდა გაშეშებულ უკაცრიელ მიდამოს.
უეცრად უდაბნოზე მომავალი რაღაც ქმნილება დაინახა. ის ძლივს
მოხიზნავდა. ეს იყო რაღაც არარსებული, აბსტრაქტული და ამასთანავე
ძლიერ გარკვეულიც, უდაბნოსავით გამოხუნებული, რუხმო-
ყავისფრო ვეება გომბეშო თუ კუ. დაუზარებლად მოხიზნავდა და წინ
მოიწევდა ადამიანისთავიანი თვალბეგადმოკარკლული არსება. ფარ-
თოდ პირდაღებული, თვალთმაქცურად და ჯოჯოხეთურად კბილდალ-
რქენილი, თავის ძლიერებასა და მსხვერპლის უმწეობაში დარწმუნე-
ბული. საჭიროა გავეცალოთ აქაურობას, მაგრამ რად არ დგებიან?
არიან სულები, რომლებიც ღამღამობით მოქმედებენ და არიან ისე-
თებიც, დღისით რომ ჯადოქრობენ. ასეთები იშვიათია, მაგრამ უფრო
საშიშნი არიან. გოიამ იცნო დღის სინათლეზე გამომძვრალი მოჩვენე-
ნება. პატარაობისას გაეგონა მისი სახელი, სასიამოვნოდაც კი ჟღერ-
და, მას ეძახდნენ „ელ იანტარას“ — შუადღისეულს, ან უფრო ალერ-
სიანადაც „ლა სიეტას“. მაგრამ, მიუხედავად თავისი ციალისა, ალერ-
სიანობისა და ღრეჭისა, ის მაინც ბოროტი სული იყო. მხოლოდ მზე-
ში გამოჩნდებოდა. ახლა საჭირო იყო ძალის მოკრება, ადგომა და
აქაურობას გაცლა.

ამ დროს ალბამ ლაპარაკი დაიწყო, წამსვე გაქრა მოჩვენება და
უდაბნო დაცარიელდა.

— იცით, რომ ამჯერად ესკურიალში ყოფნის დროს რაღაც არა-
ჩვეულებრივი შემემთხვევა? — უთხრა ალბამ.

— რატომ გგონიათ ასე? — ჰკითხა გოიამ.

— ჩემმა ეუფემიამ მითხრა, — მიუგო კაეტანამ, — დაეჭვრება კი-
დეც. მომავლის საქმეებში კარგად ერკვევა, კუდიანების თანაზიარია.
გამაჯავრებს თუ არა, ინკვიზიციას ვადავცემ.

— ცილს ნუ მწამებთ, ჩემო სულისდგამავ, — შეევედრა ღუენია, —
ბატონი კარის მხატვარი ჰკვიანი კაცია და ხუმრობა ესმის, მაგრამ
შესაძლოა თქვენ დაუდევრობით ვინმე სხვასთან ინებოთ მაგის გა-
შეორება.

— გვიამბე რაიმე, ეუფემია, — უბრძანა ალბამ, — გვიამბე ესკუ-
რიალის კედლებში ცოცხლად დატანებულთა ამბავი.

— ეს ძველი ამბებია, — მიუგო ღუენიამ, — და შესაძლოა, კიდეც
იციოდეს ღონ ფრანსისკომ.

— ნუ იპრანჭები! — უბრძანა კაეტანამ და ეუფემიამ დაიწყო:

— ერთი სოფელ სან-ხორენსოელი ჰაბუკი, ვიღაც მატეო, იგინე-
ზოდა მონასტრის ძმობის მიერ გლეხებისათვის დაკისრებული დიდი
გადასახადების გამო. იგი ბერებმა დააბეზლეს. მატეო შავ ძაღლად
იქცა და მთელი ღამეები ყმუოდა, რათა სოფლელები მონასტრის
ძმობისათვის მიესია. ბოლოს ბერებმა ძაღლი მონასტრის სახურავის
ღირეზე ჩამოჰკიდეს. ძაღლმა კვლავ სახე იცვალა და სოფელში
დაბრუნდა ერთ წარმოსადეგ ახალგაზრდა ჯარისკაცად. ირწმუნებო-
და, ოცდამედი მაგრი მოვკალიო და ხალხს მონასტრის მსახურთა
წინააღმდეგ ამხედრებდა. ერთმა სწავლულმა გამოიკვლია, რომ ჯა-
რისკაცი, ძაღლი და წინანდელი მატეო ერთი და იგივე იყვნენ და
ინკვიზიციასთან დააბეზლა. როცა დასაჭერად მივიდნენ, ჯარისკაცი
ისევ ძაღლად იქცა. მაშინ სამონასტრო ძმობამ ძაღლი დაიჭირა და
ცოცხლად ჩაატანა მშენებლობის საძირკველში; ეს ის დრო იყო, რო-
ცა მონასტერს ესკურიალად აქცევდნენ. ამჟამადაც კი, — დაასკვნა
ღუდაბერმა, — სავსე მთვარის დროს ძაღლის ყმუილი მოისმის.

— საინტერესო თქმულებაა. — თქვა ფრანსისკომ.

— სხვათა შორის, — ზურგშექცევით მიმართა ალბამ ფრანსის-
კოს, — კიდეც მყავს სხვა მისანი, ბებიჩემის მოახლე, სახელად ბრი-
ჯიდა. ის თავის დროზე კუდიანობისთვის დაწვეს. ბევრი ამბობდა,
რომ უდანაშაულო იყო, მაგრამ როცა ჯალათმა პატიების საფასურად

კოცნა მოსთხოვა, არ აკოცა; ეს კი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ნამდვილად ჯადოქარი იყო. ბრიგიდა ხანდახან ჩემთან მოდის და მაუწყებს, რა უნდა გადამხდეს თავს. შესანიშნავი წინასწარმეტყველია.

— მაინც რა გიწინასწარმეტყველათ? — ჰკითხა გოიამ.

კაეტანამ სერიოზულად მიუგო:

— რომ სიბერემდე ვერ მივალწევ, აი ამიტომაც დრო უნდა გამოვიყენო და ცხოვრებას გამოვტაცო, რაცა მსურს.

და კაეტანამ ფერმკრთალი სახე
შემოაბრუნა ფრანსისკოსაყენ,
გაუყარა ცივად, პირდაპირ
მეტალის მზერა გოიას შემდეგ, —

„თქვენ გჯერათ გრძნეულ სულის, ჯადოქრის?“ —
ჰკითხა უეცრად მას კაეტანამ.

„ჰო, რა თქმა უნდა“, — წაიღუდუნა
შუბლადარუბლულმა, ტლანქ, სარაგოსულ
ღიალექტზე მან, რომელსაც ზოგჯერ
ხმარობდა ხოლმე და დაუმბათა:
„მჯერა გრძნეულის,
სხეანაირად არც შეიძლება“.

17

გადიოდა დღეები. ფრანსისკოს დონია კაეტანა არ უნახავს და აღარც რაიმე გაუგონია მის შესახებ. იჯდა სასტუმროში, თავის ოთახში და ელოდებოდა. ხატავდა შუადღის მოჩვენებას. დახატა ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ, „Elle est chatoyante“, — ფიქრობდა იგი.

ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად მიიღო წინადადება გადასახლებულიყო სასახლეში. ცხოველმა სიხარულმა და შიშმა აიტანა, იფიქრა, რომ ეს კაეტანას მეოხებით იქნებოდა მიღწეული. მაგრამ ასე არ იყო, თვით მეფემ ისურვა გოიას სასახლეში გადაყვანა. დაძაბული პოლიტიკური ვითარება შენელდა, დონია ლუიზა და დონ მანუელი შერიგდნენ, მეფეს დრო და სურვილი ჰქონდა მოდელირებისა.

კარლოსი აფასებდა თავის გოიას. მეფეს, მიუხედავად უწყინარი ფლეგმატურობისა, უყვარდა თავის გამოჩენა და ბრწყინვალეობა. მან გადმოიღო ესპანეთის მბრძანებლების ტრადიციული თვისება — ხე-

ლოვნების, განსაკუთრებით კი მხატვრობის მფარველობა. ამას მძიმე ტვირთად არ თვლიდა. სიამოვნებდა იმაზე ფიქრი, რომ სიკვდილის შემდეგ კარგი მხატვრების მიერ შესრულებულ ტილოებზე კვლავ: განაგრძობდა არსებობას.

კარლოსმა გულდასმით მოითათბირა გოიასთან ერთად, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი სურათები. სურდა მიეღო სამი ისეთი პორტრეტი, რომ ყოველ ქვეშევრდომს მის დანახვაზე მეხსიერებაში წარმოესახა მეფის ხელმოწერა: „Yo el Rey. — მე მეფე ვარ“.

გოიას ყოველთვის ხიბლავდა ველასკესის უნარი — ფილიპეს პორტრეტების ხატვისას გადმოეცა სამეფო მანტიის ბრწყინვალეობის ანარეკლი მისი მტარებელის სახეზე, ველასკესისგან ისწავლა ადამიანისა და მისი სამოსელის საოცარი შეხამება, მათი გაერთიანება. იგი ხატავდა კარლოსს ოქრო-ვერცხლით გაწყობილ წითელ, ცისფერ და ყავისფერ სამოსში, ბაბთებითა და ვარსკვლავებით, მეწამულითა და ყარყუმით, აგრეთვე გვარდიელის მუნღირით, ქვეითსა და ცხენოსანს. ბევრჯერ მოახერხა კარლოს მეფის მშვიდი, მოუხეშო, დაძაბული, გაბღენძილი გამომეტყველებიდან და ბრწყინვალე სამოსელიდან, მკერდზე დადებული ორკეცი ღაბაბით, გაბერილი მუცლითა და ბრჭყვიალა ორდენებით შეექმნა რალაც ახალი, ორგანული, რომელშიც მხილველი ხედავდა ცნებას მეფობისას ისე, რომ თავად ბუნჩულა ჩასუქებული კარლოსი ოდნავადაც არ იყო შელამაზებული. მას ახარებდა ნაცნობი თემის ახალი, უკეთესი ვარიანტის მიგნება.

კარლოსი თავის მოვალეობად თვლიდა მხატვარს დახმარებოდა და ხანდახან უხერხულ მოდელირებას მოთმინებით იტანდა. შესვენებას არ მოითხოვდა, მაგრამ მადლიერი კი იყო, როცა ამის საშუალება მიეცემოდა. ამ შემთხვევაში გოიასთან ისე მასლაათობდა, როგორც ესპანელი ესპანელთან. სიამოვნებით იძრობდა მძიმე სამეფო სამოსს, განიერ სავარძელში მოხერხებულად მოიკალათებდა, ან შარვლითა და ჯუბით აქეთ-იქით მძიმედ დაბაჯბაჯებდა. მაშინ გამორჩნდებოდა ხოლმე მისი საათების ძეწკვები და ხშირად თავადაც ჩამოაგდებდა სიტყვას საკუთარ საათებზე. სანახევროდ ხუმრობით და სანახევროდ სერიოზულად ამბობდა, რომ ერთში აჯობა თავის წინაპარს, კარლოს მეფეს: იმდენი მოახერხა, რომ მისი საათები წუთითაც არ ტყუიან და ზუსტ დროს უჩვენებენ. ამაყად ამოიძრობდა სა-

ათებს, შეადარებდა ერთიმეორეს, უჩვენებდა გოიას და მასაც მოას-
მენინებდა მათ წიკწიკს. კარლოსი ირწმუნებოდა, კაცმა თურმე
მუდამ თან უნდა ატაროს საათით. მან რომ ხანგრძლივად და კარგად
იმუშაოს, საჭიროა ადამიანის სხეულთან მისი სიახლოვეო. თურმე
საათს რაღაც ადამიანური გააჩნია. მისი აზრით, დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს საათების თან ტარებას. ზოგს კი, რომელსაც თვითონ
ვერ იკეთებს, თავის კამერდინერს ატარებინებს.

გოიას შეკვეთილი სურათებისათვის დიდი-დიდი სამი თუ ოთხი
დღე დასჭირდებოდა; მზა ესკიზებისა და სამოსის მიხედვით, რომელ-
თა გამოგზავნა სახელოსნოშიც შეიძლებოდა, უთუოდ უფრო სწრა-
ფად და კარგად იმუშაებდა. მაგრამ კარლოსი მოწყენილი იყო ეს-
კურიალში, მოდელირება ახალისებდა და თავის მხატვარს ხუთ
დღეს უჯდა, ხოლო რვა დღეს კი დილაობით ორ-სამ საათს. უნდა
ითქვას, რომ გოიასთან საუბარი აშკარად ართობდა. მხატვარს შეი-
ლების ამბავს ეკითხებოდა, და თავის შეილებზეც უამბობდა. ან
ნადირობაზე ლაპარაკობდა, ან მსჯელობდა სანუკვარ კერძებზე და
არასდროს არ ავიწყდებოდა მისი ძვირფასი მანუელის სამშობლო
ესტერმადურადან გამოგზავნილი დიდებული, არაჩვეულებრივი ხა-
რისხის შაშხის შექება.

ბოლოს დედოფალმა განაცხადა, გოიას კარლოსისთვის ბევრი
დრო შეუწირავს და ახლა ჩემი ჯერი დადგაო.

დონია მარია ლუიზა კარგ გუნებაზე იყო. ესკურიალის სასახლე-
ში პეპას მოწყობილ „ორგოიას“ არც ისე აღუშფოთებია, როგორც
მოელოდნენ. მთავარი ის იყო, რომ ეს ქალი აქაურობას გაეცალა.
ახლა შეეძლო, თავისი ღირსების შეუბღალავად, მანუელის სიახ-
ლოვით დამტკბარიყო. მანუელმა კი, თავის მხრივ, დიდი სიმსუბუქე
იგრძნო, რაკი მარია ლუიზამ მას ისეთი რისხვა არ დაატეხა თავს,
როგორსაც მოელოდა. და სიამოვნება ისიც, რომ დროებით მაინც
შეისვენებდა ყურები პეპას ჩიჩინისაგან გმირად გახდომის თაობაზე.
გარდა ამისა, გონიერმა დონია მარია ლუიზამ უდიდესი კეთილშობი-
ლება გამოიჩინა. ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქოსდა დონ მა-
ნუელი დიდი ხნიდან შესდგომოდა ზრუნვას საფრანგეთის რესპუბ-
ლიკასთან დაძაბულობის შესანელებლად, აქებდა მანუელს და მადლა
აყენებდა სხვა გრანდებსა და მინისტრებზე, როგორც ესპანეთისთვის
მშვიდობის მომტან კაცს. დედოფალსა და მის პირველ მინისტრს

შორის მეგობრობა ადრინდელზე უფრო მეტად განმტკიცდა. მარია ლუიზა გოიას მეტად გახალისებული და გულმონყალე დახვდა. გოიამ იგი თითქმის ამ ათი წლის წინ დახატა, როცა ჯერ კიდევ სადღეოდ იყო. უკმეხობისა და ერთობ უღამაზო გარეგნობის მიუხედავად, მაშინ კიდევ შეეძლო მამაკაცის მიზიდვა. ახლა კი უფრო დაბერებული და დაუშნოებული იყო, მაგრამ, მაინც ებლაუჭებოდა არა მარტო სამეფო ტახტს, არამედ ქალობასაც. ევროპის ყველა დედაქალაქიდან გამოწერილი ჰქონდა კაბები, საცვლები, ძვირად ღირებული მალამოები, ზეთები, ნელსაცხებლები, ღამდამობით ცომისა და იშვიათი ცხიმეულის ნიღბს იღებდა სახეზე, მეცადინეობდა ცეკვის მასწავლებელთან და ნარნარი სიარულის შესათვისებლად კოკებზე ჯაჭვწამოცმული მიდი-მოდოდა სარკის წინ. სუვერენული უსირცხვილობით უამბობდა გოიას, თუ რა ფასად უჯდებოდა თავისი ქალური ღირსებების დამტკიცება. გოიას ხიბლავდა მისი დაუშრეტელი ენერგია და ეწადა ისეთი დაეხატა, როგორიც სინამდვილეში იყო — შეუხედავი და მიმზიდველი.

გოიას ესაჭიროებოდა თავისი სახელოსნო და კიდევ უფრო მეტად აგუსტინი, მისი რჩევა, მისი ბუზღუნით გაკიცხვა და მისი უანგარო სამსახური. მაგრამ ესკურიალში, სივიწროვის გამო, ძნელი მოსათხოვი იყო მისი მიწვევა.

ღონ მანუელმა დედოფალს შერიგების ნიშნად თავისი თავლის სიამაყე — ულაყი მარსიალი — აჩუქა. სწორედ ამ ცხენზე მჯდარი უნდოდა გოიას მინისტრისათვის დაეხატა იგი. მაგრამ ამოდენა სურათის დაუხმარებლად დაძლევა, და ისიც ასე მოკლე ვადაში, შეუძლებელი იყო. გოიას კარგი საბაბი მიეცა მეგობრისა და მოწაფის, ღონ აგუსტინ ესტევეს, ესკურიალში მოსაწვევად.

აგუსტინი ჩამოვიდა. ყურთამდე გაღიმებული მიესალმა თავის ძალზე მონატრებულ მეგობარს. კმაყოფილი იყო, ფრანსისკომ მისი ესკურიალში მიწვევა რომ მოახერხა.

აგუსტინმა მალე შეამჩნია, რომ გოია მოულოდნელად ითიშებოდა მუშაობისას, სევდით აღსავსე ელოდა რაღაცას, რაც არ მოდიოდა. მალე ლუსიას, მიგელის და აბატის სიტყვებიდან მიხვდა საქმის ვითარებას, მიხვდა, თუ როგორ უღვთოდ და ძლიერად გაება ამჟამად ფრანსისკო.

მეგობრის ნამუშევარს კირკიტი დაუწყო. მეფის სურათები რო-

დია ისეთი კარგი, როგორიც უნდა იყოსო. მართალია, ბეჯითი ხელა ატყვია, მაგრამ შინაგანი მთლიანობა კი აკლიაო. ეს წმინდა რეპრეზენტული სურათებია და დღევანდელი გოიასთვის მეტისმეტად მცირეაო.

— ვიცი, რატომ არ გამოვივიდათ კარგი, — უთხრა მან, — თქვენ გულსყური სხვაგანაა, უგულოდ მუშაობთ.

— შე ჰკუთსკოლოფო, შე შურიანო, შე უმეცარო სტუდენტო, — შეესიტყვა გოია, — მშვენიერად იცი, რომ ეს სურათები ისევე კარგია, როგორც ჩემ მიერ დახატული კარლოსის სხვა სურათები.

— მართალია, — მიუგო აგუსტინმა, — და სწორედ ამიტომაც ისინი ცუდი. ახლა თქვენ მეტი შეგიძლიათ, ვიდრე წინათ. გიმეორებთ: დიდი უქნარა ხართ, — უცებ დონია ლუსია მოაგონდა და უფრო შეგულიანდა, — თქვენს ასაკს არ შეეფერება წვრილმანი მუსუსობა, — ამბობდა გესლიანად, — ჯერ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ და დრო კი ცოტა დაგრჩათ. თუ კვლავ ასე განაგრძობთ, ყველაფერი, რაც გაგიკეთებიათ, არასრულწლოვანი იქნება და თქვენ კი გაუქმებულ მალაროს დაემსგავსებით.

— განაგრძე, განაგრძე, — მიუგო დაბალი ხმით გულმოსულმა გოიამ, — დღეს კარგად მესმის, დღეს შემიძლია შენი აზრის ბოლომდე მოსმენა.

— არაჩვეულებრივი, დაუმსახურებელი ბედი გწყალობს, — ცხარობდა აგუსტინი, — მეფე ყოველდღე აქ გიზის დასახატავად. ჯუბაში გამოწყობილი დაგიჯდება ცხვირწინ და თავის საათებს შენთვის აწიკწიკებს. შენ კი გამოიყენე განა ეს ერთადერთი შესაძლებლობა ადამიანის ძირფესვიანად განსაჭვრეტად? შენი კარლოსის სახეს ჩააქსოვე განა ის, რასაც ჩვენ, პატრიოტები, მასში ვხედავთ? ფუქსავატური ავხორცობით დაბრმავებული იმასაც ვეღარ ხედავ, რასაც ყოველი ბრიყვი ამჩნევს. *Que vergüenza!* რაკი კარლოსი მეგობრულად გესაუბრება ესტერმადურული შაშხის შესახებ, დიდ მეფედ მიიჩნევ და მის სამეფო მუნდირსა და ოქროს მედლებს ღირსეული სახეც მიახატე.

— მაშ ასე, — თქვა გოიამ ისევ არაჩვეულებრივად წყნარად, — შენ შენი უკვე თქვი. ახლა მე გაგაბრუნებ უკან ყველაზე ჯაგლაგი ჯორით, როგორიც კი სან ლორენცოში მოიპოვება.

ფრანსისკო მრისხანე პასუხს მოელოდა. ფიქრობდა, აგუსტინი

გარეთ გავარდებოდა და კარს ისე გაიჭახუნებდა, რომ მთელი ესკუ-
რიალი შეზანზარდებოდა. მსგავსიც არაფერი მომხდარა. მან აიღო
ხელში ერთი ფურცელი, რომელიც ფრანსისკომ მეფის სურათების
ესკიზებს ყუთიდან ამოღების დროს დაუდევრობით ამოაყოლა.

ეს იყო ელ იანტარას — შუადღის მოჩვენების სურათი. აგუსტინი
იღვა და მას თვალს არ აცილებდა.

გოიამ კი, თავისი ჩვეულების წინააღმდეგ, თითქმის დარცხვენი-
თაც თქვა:

— ეს არაფერია. ისე ნათხუპნია. უბრალო ახირებაა — კაპრიზი.

მას შემდეგ აღარ უხსენებია აგუსტინს ფრანსისკოს ახალი არში-
ყობა და ხელოვნებაში ჩამორჩენა. პირიქით, საალერსო და ზომიერ
სიტყვებს არჩევდა მაშინაც კი, როცა საქმე მათი მუშაობის მხოლოდ
ტექნიკურ მხარეს შეეხებოდა. ფრანსისკოს ვერ გაერკვია, სიამოვ-
ნებდა თუ არა, რომ აგუსტინი ასე ღრმად ჩასწვდა მისი გულის-იღუ-
ბალებას.

ლეიბ-გვარდიის მუნდირში გამოჭიმული დედოფალი გოიას წინ
დააგელვებდა გახლებულ ულაც მარსიალს. ის შესანიშნავი ცხენო-
სანი იყო, მამაკაცურად იჯდა უნაგირზე, ამაყად და გაბედულად აეწია
თავი მალლა სამხედრო ფორმაში გამოწყობილს. გოიასთვის საკმაო
იქნებოდა შემდეგი სეანსების დროს ხის ტაიკზეც რომ მჯდარიყო,
მაგრამ მწვავე სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ცხენოსნობის ხელოვნების
ხილვა მეორედაც და მესამედაც კი და, მით უმეტეს, აგუსტინის თან-
დასწრებით. განკარგულებას აძლევდა დედოფალს, ცხენი ხან აქეთ
მოებრუნებინა, ხან იქით, თავი ხან ასე დაეჭირა, ხან ისე. აგუსტინს
წინა პლანზე აყენებდა, ამით ხაზს უსვამდა მის მონაწილეობას სუ-
რათის შექმნაში და ეკითხებოდა:

— როგორ ფიქრობ, აგუსტინ, ეს ასე დაეტოვოთ, თუ ისე უფრო
უკეთესი იქნება?

დიდი ხნის წინათ...

მაშინ პირველად

ის ნატურიდან ხატავდა გრანდსა

და მკრთალად, თვალებისათვის

ძლივს შესამჩნევად, გრანდის პორტრეტზე

გამოიყვანა თავისი სახე.

ახლა... სხვა დროა, ახლა სიხარულს

ვერ მალავს, როცა მისი მეგობარი,

თანაშემწე და თანამდგომი
უბრძანებს გვირგვინოსან დედოფალს, —
მათ წინ აქენოს ცხენი, ვიდრემლის
შეუდგებოდეს დახატვას. ნეტაუ,
ეს დაენახა მოხუც გოიას!
დაიჭებდა ამ საოცრებას?..
ეჰ, რა ცოდვია რომ სამარეში,
სძინავს და ჩვენ არ გვიყურებს ახლა!

18

გოია იმ დერეფანს მიუყვებოდა, რომელიც დონია მარია ლუიზას საეანიდან მისი ოთახისაკენ მიდიოდა. ის დედოფლისგან ბრუნდებოდა, წითელწინდა ლაქიას სახატავი მოწყობილობა მოჰქონდა. წინ შემოხვდათ მტკიცე ნაბიჯით მომავალი პატარა, ნატიფი ალბა, რომელსაც დონია ეუფემია ახლდა თან.

გოიას მუხლთ მოეკვეთა, მის ფერხთქვეშ იატაკი შეირყა. ალბა შეჩერდა.

— კიდეც კარგი, რომ შეგხვდით, დონ ფრანსისკო. — თქვა მან ნელა და გარკვევით განაგრძო ფრანგულად: — ესკურიალში ყოფნა აღარ შემიძლია, ერთი ორი დღით მადრიდში მივიღივარ. გავემგზავრები ოთხშაბათს. თქვენც იქ იქნებით?

გოია გაუგონარმა, ბედნიერებით აღსავსე შიშმა აიტანა. აი, დაღა აღსრულების ყამი. დათქმულია გარკვეული დრო, — ოთხშაბათის ღამე. მაგრამ წამსვე მისმა გლეხურმა ანგარიშიანმა გონებამ უკარნახა, რომ სწორედ ეს დრო არ ეკუთვნოდა მას. ამ დღეს დედოფალი დილიდანვე ელოდებოდა მოდელორებისათვის. თუ არ მივიდოდა, მისი მომავალიც დაილუპებოდა. ვერასოდეს ელორებოდა სამეფო კარის ვერცერთი პირის დახატვას, ვერასოდეს განდებოდა მეფის პირველი მხატვარი. კვლავ არარად იქცეოდა. მაგრამ თუ კაეტანა არ გაიგონებდა გოიას აღტაცებულ „ღიახ“-ს მანამ, სანამ მისი უკანასკნელი სიტყვა კვლავ ჰაერში ჟღერდა. ეს ამაყი, დამცინავი, ლამაზი ქალი ამ დერეფანს გაჰყვებოდა და სამუდამოდ დაეკარგებოდა.

აჰ, ალბა ძლივს შესამჩნევად შეირბა, მის გამჭირდავ ბაგეს დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრა. გოიამ იგრძნო, რომ ეს ჯადოქარი მიხვდა, რაც მის გულში ხდებოდა. შიშმა აიტანა. მოსალოდნელი იყო

ამ საქმის წაგება. ხმაჩახლეჩით, სასწრაფოდ უპასუხა ესპანურად:

— სწორად გავიგე თუ არა? ოთხშაბათ საღამოს მადრიდში უნდა გეახლოთ, არა?

ალბამ ისევ ფრანგულად მიუგო:

— სწორად გაგიგიათ, ბატონო ჩემო.

გოიას აღარ ახსოვდა, როგორ მივიდა თავის ოთახში. მოსაზრების უნარდაკარგული იჯდა კარგა ხანს. გრძნობდა მხოლოდ ერთს: „გადაწყვეტილია, ყველაფერი გადაწყვეტილია“.

შემდეგ გლეხური ეშმაკობით დაიწყო ანგარიშიანობა: სამართლიანად მიაჩნდა, რომ ალბასთან გატარებულ ღამეში ბედი მისგან დიდ საფასურს მოითხოვდა. მაგრამ განა მთელი კარიერა ამას უნდა შესწიროს? უნდა გამოინახოს საფუძვლიანი, დამარწმუნებელი საბუთი დედოფლის სეანსის გადასადებად. ვთქვათ, ვინმე ავად გახდა, სიკვდილის პირას არის რომელიმე მისი ოჯახის წევრი. ასეთი შინაარსის ბარათი უნდა აჩვენოს დედოფლის პირველ კამერჰერს.

— ბოლოს და ბოლოს როდის უნდა წახვიდე მადრიდში ესკერასთან? — განზრახ უხეშად შეეკითხა ერთი საათის შემდეგ გოია აგუსტინს, — კიდევ რამდენ ხანს უნდა მალოდინო საღებავებისთვის?

— სულ ცოტა სამი-ოთხი დღის სამყოფი საღებავები გვაქვს. გარდა ამისა, მისი ჩამოტანა ყოველდღიურ შიკრიკსაც შეუძლია. თუ სწორ ინფორმაციას მივაწვდი, ესკერა ყველაფერში გაერკვევა.

მაგრამ მოლუშულმა გოიამ უპასუხა:

— შენ წახვალ მადრიდში! დღესვე!

— ხომ არ შეშლილხარ? — მიუგო აგუსტინმა, — პირობა ხომ დადე, დონ მანუელის დაბადების დღისთვის სურათი დაგემთავრებინა. თვითონ გამოსახოვე დედოფალს ოთხჯერ მოდელირება და ახლა ჩემი თავიდან მოშორება მოიწადინე?

— შენ წახვალ მადრიდში! — უბრძანა გოიამ და უფრო ხმაჩახლეჩილად, უფრო გადაჭრით განაგრძო, — იქ შენ გაიგებ, რომ ჩემი უმცროსი გოგონა ელენე მძიმე ავადმყოფია და რომ ხოსეფა ჩემ დაუყოვნებლივ დაბრუნებას მოითხოვს.

კიდევ უფრო განცვიფრებულმა აგუსტინმა უთხრა:

— არაფერი არ მესმის.

— არცაა საჭირო გესმოდეს, — უკმაყოფილოდ მიუგო გოიამ, — შენ უნდა მოიტანო ცნობა, რომ ელენე ავადაა. მეტი არაფერი.

შეძრწუნებული და ღრმად ჩაფიქრებული აგუსტინი დიდი ნაბიჯებით მოჰყვა ბოლთის ცემას.

— ესე იგი, დედოფალს უარს ეუბნები? — დაასვენა ბოლოს აგუსტინმა, — გინდა მადრიდში წახვიდე?

გოიამ გულისტკივილითა და თითქმის ვედრებით მიმართა:

— მადრიდში უნდა წავიდე, ჩემი სიცოცხლე ამაზე ჰკიდია.

— და სხვა არაფერი შეგიძლია მოიმიზეზო? — შეეკითხა შეცბუნებული აგუსტინი.

ახლა გოია თვით შეცბა ამგვარი მომიზეზების გამო, მაგრამ სხვა საბაბი ვერ ეპოვნა.

— ახლა ყელს ნუ გამოშვრი, — შეეხვეწა გოია, — შენც იცი, როგორ ვმუშაობ, როცა ვადა გვაქვს დანიშნული. სურათი მზად იქნება და კარგიც გამოვა, ოღონდ ახლა გამიმართე ხელი.

მას აქეთ, რაც აგუსტინმა შუადღის მოჩვენების ესკიზი ნახა, იცოდა, ფრანსისკოს გადაწყვეტილი ჰქონდა დიდი სისულელის ჩადენა და რომ მას ვერავინ და ვერაფერი ვერ აღუდგებოდა წინ.

— მე წავალ მადრიდში და შენ მიიღებ საჭირო ბარათს. — უთხრა სასოწარკვეთით აგუსტინმა.

— გმადლობ, — მიუგო ფრანსისკომ და სთხოვა: — ეცადე გამიგო.

წავიდა თუ არა აგუსტინი, გოია მუშაობას შეუდგა. აიძულებდა თავს, მაგრამ გულს კი ვერ უდებდა. მისი საფიქრალი მხოლოდ მადრიდის ღამე იყო. ნეტავ როგორ ჩაივლის? საოცნებო სიყვარული ჟღერდა მის სულში. გაახსენდა და წარმოიდგინა ის ბიწიერებანი, რაც აქაურ გარეუბნების სამიკიტნობებში ენახა და გაეგონა.

საღამო აბატსა და ლუსიასთან გაატარა. გრძნობდა, როგორ თვალმოუშორებლივ, დამცინავად უყურებდა ყველაფერს მიმხვდარი ლუსია. ქალებთან მოპყრობის ტექნიკა გამოუმუშავებული ჰქონდა. იქნებოდა ის ქალბატონი, თუ მეძავი, მაგრამ ოთხშაბათის ღამე აფიქრებდა, ეშინოდა თავი არ მოსჭროდა, შურდა აბატის მოხერხებულობა, მისი ელეგანტობა, რისთვისაც ასე ხშირად აქილიკებდა. ეშინოდა კავტანა ალბას დაცივნისა, უფრო მეტად მისი ღიმილისა.

შუალამე დიდი ხნის გადასული იყო: გოიას მოუსვენრად ეძინა. შემოვიდა აგუსტინი. კარებში იდგა გამტვრიანებულ სამგზავრო ტანსაცმელში, მის უკან მსახური იდგა ჩირაღდნით ხელში.

— თქვენი წერილიც აქ არის, — უთხრა გოიას. აგუსტინის ხელში ბარათი მიიმედ ჩანდა.

ფრანსისკო სასწრაფოდ წამოიქრა. აიღო ბარათი, გაუხსნელად ეკირა ხელში და თითქოს დიდ სიმძიმეს წონიდა.

— წერილი ისეთი შინაარსისაა, როგორც თქვენ გპირდებით, — უთხრა აგუსტინმა.

— გმადლობ, აგუსტინ. — მიუგო გოიამ.

მეორე დღეს დილით გოიამ მოახსენა დედოფლის პირველ კამერჰერს — მარკიზ დე ვეგა ინკლანს, — რომ, სამწუხაროდ, იძულებულია უარი განაცხადოს დონია მარია ლუიზას მოწყალე მოდელირებაზე, დაასახელა მიზეზი და გადასცა ბარათი. მარკიზმა ბარათი გამოართვა, წაუკითხავად დადო მაგიდაზე და უთხრა:

— მისი ბრწყინვალეობა დედოფალი მაინც იძულებული იყო უარი ეთქვა მოდელირებაზე. მეფისწული ფრანსისკო დე პაულა მიიმედ განდა ავად.

გოიამ, თითქოს გახევებულმა, ცილად შეხედა მარკიზს სახეში, თავისთვის რაღაც ჩაიჩურჩულა და კარს, მიმართა ფეხარეულმა, კამერჰერმა კი ათვალწუნებით გაჰკიდა მზერა: „ჰმ, მანერები კარის მხატვრების! საოცარია, როგორ იტანენ ესკუტიალში ა, ამისთანებს!“ და გაიფიქრა: „აი, მდაბიო, პლები, მონა“.

19

— ჩვენ თეატრ „კრუსში“ მივდივართ, — უთხრა კაეტანა ალბამ მასთან გამოცხადებულ გოიას, — „გადამტერებული ძმები“ გადის. რამდენადაც ვიცი, უაზრო პიესაა, მაგრამ კორონადო თამაშობს სულელის როლს, გისმანა—სუბრეტისაჲ, ტონადილიებიც, რა თქმა უნდა, შესანიშნავია.

გოია გააბრაზა ამ სიტყვების მსუბუქმა ტონმა. განა ეს იყო სატრფიალო ღამის შესავალი? რას ფიქრობდა ალბა?

თეატრის შესასვლელთან ვაჟების დიდ ჯგუფს მოეყარა თავი,

რათა კარეტებიდან და ტანტრევეანიებიდან გადმომავალი მანდილოს-
ნებისთვის შეეხედათ. ეს იყო ერთადერთი საშუალება ქალის ფეხის
დანახვისა. ალბა ტანტრევეანიდან გადმოვიდა. „რა მომაჯადოებელი
ფეხებია! — მიიძახეს მას, — ჩამოსხმული, კოხტა, პირდაპირ ჩასა-
ყლაპავი“.

მოლუშული გოია გვერდით ედგა. სიამოვნებით მიბეგვავდა რო-
მელიმეს, მაგრამ აყალმაყალს მოერიდა.

თეატრში შესასვლელად საჭირო იყო ბნელი, გრძელი დერეფნის
გავლა. იყო ხმაური და ჭყლეტა. დამტარებლებს დაჰქონდათ წყალი,
ტკბილეული და სიმღერის ტექსტები. სიბინძურე სუფევდა და მყრა-
ლი სუნი იდგა. ასეთ ჭყლეტაში ძნელი იყო გავლა და კაბისა და ფეხ-
საცმლის სიბინძურისაგან დაცვა. მცირერიცხოვანი ლოყები — ქა-
ლებს მამაკაცთა თანხლებით მხოლოდ ლოყებში უშვებდნენ — გა-
ცემული იყო. მის საშოვნელად გოიას დიდი ხვეწნა დასჭირდა და
დიდი თანხის გაღებაც.

მათი ლოყაში შესვლისთანავე პაციოში — პარტერში — ხმაური
ატყდა. იქ მსხდომმა ხალხმა, „Mosqueteros“-მა წამსვე იცნო კაეტა-
ნა ალბა. ხალხი მის სახელს გაიძახოდა და ტაშს უკრავდა. უფრო
მწვავე ინტერესი — თუმც უფრო ჩუმი — გამოიჩინეს ქალებმა.
ისინი თეატრში მათთვის განკუთვნილ ნაწილში გალინეროში — სა-
ქათმეში — ისხდნენ. წესის თანახმად, ყველანი შავი კაბებითა და
თეთრი მანდილებით იყვნენ და ახლა ლოყისაკენ ერთიანად თავმიბ-
რუნებულნი ქოთქოთებდნენ და იცინოდნენ.

გოიამ ძლივს მოახერხა პირქუშ, ჯმუხ სახეზე აღელვება არ და-
ემჩნია. დონია კაეტანა ისე იქცეოდა, თითქოსდა ეს ხმაური მას არ
ეხებოდა და ალერსიანად და მშვიდად ემუსაიფებოდა მას.

პიესა „გადამტერებული ძმები“ მართლაც სულელური იყო. იგი
ლოპე დე ვეგას ერთი კომედიის უბადრუკ მიბაძვას წარმოადგენდა.
ცულლუტმა უმცროსმა ვაჟმა უფროსი ძმა შეაძულა საკუთარ მამას
და სატრფოს. უკვე პირველ მოქმედებაშივე ხდება დუელი სასაფ-
ლაოზე, ჩნდებიან სხვადასხვა სულელები, ბოროტი ძმა კეთილს ტყეში
გააძეებს, მამას კი კოშკში ამოხდის სულს შიმშილით. გლეხები და
აგრეთვე მაყურებლებიც აღშფოთებული არიან ახალი ბატონის მოქ-
მედებით, და როცა ავი ძმის დასახმარებლად ალ გვასილის —
პოლიციის ოფიცრის როლში მოთამაშე მსახიობი მაყურებელთა

ღარბაზიდან გამოჩნდა, ხალხმა ფურთხება დაუწყო და კინალამ მი-
ბეგვეს; მან ფიცი და მტკიცი დაიწყო, პოლიციელი კი არა, მსახიობი
ვარო.

— თქვენ, კაცმა რომ თქვას, „ჩორისო“ ხართ თუ „პოლაკო?“ —
ჰკითხა ალბამ მხატვარს.

თეატრის დიდად მოყვარული მადრიდელები ნახევარი საუკუნის
წინ ორ ბანაკად გაიყვნენ. ერთნი თავის თავს დიდი ხნის წინათ გარ-
დაცვლილი კომიკოსის „კუბატას“ პატივსაცემად „ჩორისოს“ უწო-
დებდნენ, ხოლო მეორენი — „პოლაკოს“, აბატის პატივსაცემად,
რომელიც პამფლეტით გამოვიდა მოწინააღმდეგე ბანაკის დასაცავად.
გოია გამოტყდა, რომ „ჩორისო“ იყო.

— მეც ასე ვფიქრობდი. — უთხრა განაწყენებულმა ალბამ. —
ჩვენ, ალბები კი, პაპაჩემიდან მოყოლებული, „პოლაკოები“ ვართ.

პირველი მოქმედების ბოლოს შესრულებული ტონადილიები
მხიარული იყო და ორივე ბანაკი აღტაცებული ხმაურით გაერთიანდა.
მეორე მოქმედება კოშკში დაიწყო ჭაჭვების უღარუნსა და თივის ფა-
ჩაუჟჩიში. მამაკაცისსახიანი, მაშინდელი მოდის მიხედვით მოკლე
შარვალში გამოწყობილი, ფრთებიანი ანგელოზი დატყვევებულ ჰა-
ლაროსან მოხუცს ანუგეშებს. გოგონა, რომელმაც არ ირწმუნა ბო-
როტი ძმის სიტყვები, უღრან ტყეში ხვდება განდევნილ გრაფს.
გულაჩუყებული მაყურებლები გაირინდნენ. ალბამ თქვა, რომ ახლა
შეიძლება აქედან შეუმჩნევლად გასვლაო.

ღრმად ჩაისუნთქეს საღამოს გრილი ჰაერი.

— ერთ-ერთ თქვენს დუქანში. — გაიმეორა ალბამ.

! გოიამ ვითომ ვერ გაიგო და ერთი ძვირი რესტორანი შესთავაზა.

! — საფერინოსთან? — ჰკითხა მან.

! — ერთ-ერთ თქვენს დუქანში. — გაიმეორა ალბამ.

! — ამ მორთულობით მანოლერიაში წასვლა არ შეიძლება. — გა-
უბედავად უთხრა გოიამ.

მანოლერია იყო გარეუბნის ერთი კვარტალი, სადაც მახები და
მახოები ცხოვრობდნენ.

— ჩემთვის არ არის საჭირო ამის განმარტება, — უთხრა თავის
წკრიალა ხმით ალბამ, — შინ გავბრუნდები, ტანსაცმელს გამოვიც-
ვლი და დაგელოდებით.

გულამღვრეული დაბრუნდა გოია შინ. განა ამისთვის იწვალა ამდენი, შეთხზა ბარათი პატარა ელენეს ავადმყოფობის თაობაზე და თავის კარიერა ბეწვზე დაჰკიდა? „Que vergüenza“ გაისმა მის გულში ავუსტინის ჩახლეჩილი ხმა.

ტანსაცმლის გამოცვლამდე ფეხაკრეფით შევიდა ბავშვების ოთახში და პატარა ელენეს დახედა. გოგონას ტკბილად ეძინა.

გადაიკვა თავისი ძველი მახოს ტანსაცმელი. ხელად გაქრა ცუდი გუნება, ბედნიერების მოლოდინით აღივსო. ცოტა არ იყოს, ტანსაცმელი მოძველებულიყო, ხასხასა მწვანე ყილეტი და მოკლე. წითელი ქურთუკი ტანზე შემოსხეპილი ჰქონდა. მაგრამ ამ მორთულობაში ბევრი რამ კარგი განეცადა. როცა განიერი შარფი შემოირტყა და შიგ დანა — ნ ა ვ ა ხ ა — გაირჭო, თავი თავგადასავალს მოწყურებულ ახალგაზრდად იგრძნო. „ანაფორა ჩაიცივი და ლათინური გეცოდინებო“, გაახსენდა ძველი ანდაზა. შემდეგ განიერი საწვიმარი — კ ა პ ა — წამოისხა, რომელიც უკვე თითქმის აკრძალული იყო, დაინტერესდა ფართოფარფლებიანი ქუდი ჩ ა მ ბ ე რ გო. გაეცინა, როცა აღბას კარისკაცს მისი შეშვება არ უნდოდა. გოიამ თავისი სახე და ანახვა და კაცი გაიღრიჭა. კაეტანასაც გაეცინა მის დანახვაზე და, როგორც გოიას მოეჩვენა, მოეწონა კიდევ. თვითონ ჩაეკვა მდიდრული განიერი ქვედაწევი და ღრმად ამოჭრილი ჭრელად მოქარგული ლიფი. თმა ბადით გადაეკრა. ეს ტანსაცმელი ძალიან უხლებოდა და მახად იოლად გასაღებოდა.

— სად მივდივართ? — იკითხა მან.

— როსალას ღვინის სარდაფში — ბარკილოში. მაგრამ თქვენი მანტილია უსიამოვნებას შეგამთხვევთ, — გააფრთხილა გოიამ, რადგან ეუფემიამ მოახურა იგი. ტ ა პ ა დ ა — სახედაფარული მანდილოსანი არ უყვარდათ მანოლერეაში. კაეტანამ პასუხის ნაცვლად უფრო მეტად ჩამოიფარა სახეზე მანტილია.

— ნება მიბოძეთ წამოგყვეთ. ჩემო მერცხალო, — შეევედრა ღუენია, — შიში მომკლავს თქვენს დაბრუნებამდე.

— სისულელეა, ეუფემია, — მკაცრად უთხრა კაეტანამ, — დონ ფრანსისკო ვაჟკაცია და შეძლებს ჩემს დაცვას.

ღვინის სარდაფი ხალხით გაჰვდილიყო. კასტილიური მედიდურობით ისხდნენ, სვამდნენ, აბოლებდნენ, სიტყვაძვირობდნენ. ბევრ მამაკაცს ფართოფარფლებიანი ქუდი ეხურა. ქალები კუნთმაგარნი

იყვნენ და მათში ბევრი ლამაზი ერია: ყველას სახე უჩანდა. შენობაში სქელი ბოლი გაწოლილიყო. ვიღაც გიტარაზე უკრავდა.

ახალმოსულებს თავდაქერილი ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ. მაგრამ არცთუ ისე მონარული იყვნენ მათი მოსვლით. ერთმა გოიას ფარულად შემოტანილი თამბაქო შესთავაზა.

— რა ღირს? — ჰკითხა გოიამ.

— ოცდაორი რეალი. — მიუგო კაცმა.

— რაო. გაბაჩო ხომ არ გგონივარ? — შეეკითხა გოია. ამ საბუნდველი სახელით იხსენიებდნენ უცხოელებს, უმეტესად ფრანგებს. — თექვსმეტ რეალს მოგცემ სხვასავით.

ერთ-ერთი გოგონა ჩაერია საუბარში:

— ბატონო ჩემო, ერთ სიგარეტს მაინც არ უყიდით თქვენს მანდილოსანს?

— მე არ ვეწევი. — მიუგო ნიღაბჩამოფარებულმა ალბამ.

— ძალიან ცუდსაც შვრებით, — უთხრა გოგონამ.

მის გვერდით მყოფმა ქაბუკმა განმარტა:

— თამბაქო ასუფთავებს ტვინს, აღვიძებს მადას და კბილებს გაფუჭებისაგან იცავს.

— კარგი იქნება, თქვენმა მანდილოსანმა მანტილია გადაიძროს. — ისუსებოდა გოგონა.

— დაწყნარდი, სანკა, ყანჩისფეხავ, — უთხრა ვაჟმა, — აყალმალს ნუ ატეხ.

მაგრამ სანკა არ ცხრებოდა.

— სენიორ, უთხარით თქვენს მანდილოსანს, რომ გადაიძროს მანტილია. საზოგადოებრივ ადგილებში სახეზე ჩამოფარება არ შეიძლება და მით უმეტეს აქ არ ვარგა ეს.

მეორე მაგიდიდან ყმაწვილმა წამოიძახა:

— იქნებ თქვენი მანდილოსანი გაბაჩავ?

ფრანსისკომ კაეტანას უწინასწარმეტყველა, რომ მისი მანტილია დიდ უსიამოვნებას გამოიწვევდა. იცნობდა მახობებს, თვითონაც მათი იყო. ისინი ვერ იტანდნენ ჩაცმებულ ცქერას. თავი წმინდა სისხლის ესპანელებად მიაჩნდათ და გარეშე პირთა ქედმაღლურ ცნობისმოყვარეობას ვერ ითმენდნენ. ვინც მათს სამიკიტნოში შევიდოდა, მათს ადათს უნდა დაჰყოლოდა და სახე ეჩვენებინა. შეწყდა

გიტარაზე დაკვრა. ყველა გოიას მიაჩერდა. ახლა აღარაფრით აღარ შეიძლებოდა უკან დახევა.

— ვინ ახსენა გაბაჩა? — ხმაუწველად, დინჯად იკითხა მან და თან სიგარას აბოლებდა. ხანმოკლე დუმილი გამეფდა. ჩასუქებულმა დიასახლისმა—როსალიამ გიტარაზე დამკვრელს მიმართა:

— ნუ ზარმაცობ, დაუკარი ფანდანგო.

მაგრამ ფრანსისკომ გაიმეორა:

— ვინ იყო, გაბაჩა რომ ახსენა?

— მე ვიყავი. — თქვა ერთმა მახომ.

— კეთილ ინებე და ბოდიში მოიხადე სენიორას წინაშე.

— რატომ მოიხადოს, ქალმა ხომ მანტილია არ გადაიძრო, — თქვა მეორემ.

ეს მართალი იყო, მაგრამ გოიას არ უნდოდა დათმობაზე წასვლა.

— შენ რას ეჩრები სხვის საქმეში? — უთხრა მან და განაგრძო: — ხმა ჩაიკმინდე, თორემ მე შენ გიჩვენებ, თუ როგორ შემიძლია ფანდანგოს ცეკვა ყოველი თქვენგანის ცხედარზე.

სწორედ ასეთი სიტყვები შეეფერებოდა მანოლერეას. ამან აღავსო სიხარულით იქ მყოფთა გულები.

მაგრამ ჭაბუკმა, ალბას რომ გაბაჩა უწოდა, თქვა:

— ახლა მე ათამდე ვითვლი. თუ ამ ხნის განმავლობაში შენს მანდილოსანს ვერ დაიყოლიებ, რომ არ გააპრანჭოს და მანტილია გადაიძროს, მაშინ შენ, კეთილო კაცო, ჭერჭერობით რომ მიცოდებ და ხელს არ მახლებ, ისეთ პანჩურს ამოგკრავ, არანხუესში ამოგაყოფინებ თავს.

გოია მიხვდა, რომ ახლა ჭერი მასზე მიდგა. ადგა, კაპა — გრძელი მოსასხამი ძირს ჩამოუცურდა და ხელით მოსინჯა თავისი დანა — ნავახა.

მაგრამ ანაზღად გაოცების ხმამალალი შეძახილები გაისმა. ალბამ მანტილია გადაიძრო.

გარშემო ყვირილი ატყდა:

— ალბა, ჩვენი ალბა!

— მაპატიეთ, სენიორა, თქვენ ჩვენიანი ხართ.

ასეთი თავყვანისცემა და ლაციცი უფრო შეეზიზლა გოიას, ვიდრე აქამდე ატეხილი აყალმაყალი. ყმაწვილის ნათქვამი სინამდვილეს არ შეეფერებოდა: ალბა აქაურობას არ ეკუთვნოდა. უფრო სწორად, იგი

მეფას კარის მანდილოსანი იყო მახას როლში. გოიას რცხვენოდა ჭეშმარიტი მახებისა ალბას აქ მოყვანისათვის. ახლა მოაგონდა, რომ თვითონ მას, ფრანსისკო გოიას გობელენების ხალხური სცენებისათვის მახები კი არ დაუხატავს, არამედ ჰერცოგისა და გრაფების გადაცემული მეულღეები: ამან კიდევ უფრო მეტად გააბრაზა.

იქ მყოფთ ალბა მათს ენაზე ებაასებოდა. გოიას მოეჩვენა, რომ მის მეტი ვერავინ გრძნობდა კაეტანას ლმობიერ, ალერსიან სიტყვებს მიღმა მიმალულ ბატონკაცურ ქედმაღლობას.

— წავიდეთ, — თქვა გოიამ მოულოდნელად და ეს, თავისდაუნებურად, მბრძანებლურად გამოუვიდა.

გაოცებულმა ალბამ წუთით შეხედა, მაგრამ უმაღვე ოდნავი დაცხვით განუმარტა სხეებს:

— დიახ, სენიორებო, სამწუხაროდ უნდა დაგტოვოთ. ბატონი კარას მხატვარი ერთ წარჩინებულს ელოდება დასახატავად.

ატყდა სიცილი. ეს მობოდიშება ყველას უაზროდ ეჩვენა, უმწეო გოიას ბრაზი ახრჩობდა.

მოჰკვარეს ტახტრევანი.

— ისევ მალე მოგვინახულეთ, — მისძახოდნენ ალბას გულწრფელად აღტაცებულნი.

— ახლა საით წავიდეთ? — ჰკითხა გამწარებულმა გოიამ.

— თქვენს სახელოსნოში, რა თქმა უნდა, — მიუგო მან, — სადაც თქვენ თქვენს მოდელს ელოდებით.

მისმა დაპირებამ გოიას სუნთქვა შეუკრა. მაგრამ კაეტანა ალბა ისეთი ახირებული იყო, რომ იოლი შესაძლებელია გზაშივე შეეცვალა აზრი.

მომხდარი ამბის გამო აღგზნებული, უმწეო ბოღმით აღესილი, ალბას უცნაურობითა და თავის უსუსურობით გაწამებული, მოლოდინითა და ვნებით შეპყრობილი გოია მიჰყვებოდა მის ტახტრევანს გვერდით ღამის სიბნელეში. აი კვლავ გაისმა ზარების წკრიალი — მოდიოდა მღვდელი და თან მოჰქონდა წმინდა შესაწირაეები. მზიდავებმა ტახტრევანი ძირს დაუშვეს. კაეტანა ალბა გადმოვიდა, გოიამ მას თავისი ცხვირსახოცი დაუფინა, ყველამ მუხლი მოიყარა და ასე დარჩნენ, სანამ მღვდელი და ბიჭი ჩაივლიდნენ.

ბოლოს გოიას სახლს მიაღწიეს. სენერომ, ღამის ღარაჯმა ჭიშკა-

რი გაულო. ავიდნენ სახელოსნოში. გოიამ მაინცდამაინც ხელმარ-
ჯვედ ვერ აანთო სანთლები. ალბამ სავარძელში მოიკალათა.

— აქ ბნელა და ცივა კიდევ. — თქვა მან.

გოიამ მსახური ანდრესი გააღვიძა. მან ვერცხლის ორი მრავალ-
სანთლიანი შანდალი შემოიტანა და ვაი-ვაგლახითა და ბუზღუნით
შეუდგა ცეცხლის დანთებას. ალბას მანტილია გადაეძრო და ისე
აღვენებდა თვალს. ანდრესის გასვლამდე კრინტი არ დაუძრავთ.

მსახური გავიდა. გამთბარ ოთახში მკრთალი შუქი იღვრებოდა.
გობელენზე ბუნდოვნად ჩანდა უზარმაზარი წმინდანი და გამოთაყვა-
ნებულსახიანი ბრბო; არც ველასკესის ესპანიოლიანი, სასტიკი კარ-
დინალი ჩანდა მკაფიოდ. ალბა სურათს მიუახლოვდა.

— ვის ეკუთვნოდა ეს ველასკესი თქვენამდე? — შეეკითხა თავის
თავსაც და მასაც.

— ეს ჰერცოგ ოსუნის მეუღლის საჩუქარია. — მიუგო მან.

— დიახ, გამახსენდა, რომ იგი ალამედაში მინახავს. თქვენ მისი
საყვარელი იყავით? — ჰკითხა მან ოდნავ მჭახე, ბავშვური ხმით.

გოიამ პასუხი არ გასცა. ალბა ისევ სურათთან იდგა.

— ველასკესისგან ბევრი რამ ვისწავლე, — წარმოთქვა გოიამ ცო-
ტა ხნის შემდეგ, — უფრო მეტი, ვიდრე სხვებისაგან.

ალბამ უთხრა:

— ერთ ჩემს აგარაკზე მონტეფრიოში მაქვს ველასკესის, შეიძ-
ლება ითქვას, ჯერ კიდევ უცნობი, პატარა, შესანიშნავი ნახატი. თუ
ოდესმე ანდალუზიაში მოხვდეთ, ღონ ფრანსისკო, გეთაყვა, ნახეთ
იგი. ჩემის აზრით, ის აქაურობას მოუხდება.

ქალმა მაგიდაზე დაწყობილი ესკიზები დაათვალიერა. ეს იყო
ღედოფლის პორტრეტის მონახაზები.

— თქვენ თითქოს აპირებთ ისეთივე მახინგი დახატოთ იტალიელი
ქალი, როგორიც სინამდვილეშია. იძლევა კი ამის ნებას?

— დონია მარია ლუიზა ჰკვიანი ქალია და ამიტომაც სურს თავის
თავს ჰგავდეს სურათებში.

— რა თქმა უნდა, როცა ქალი ასეთი შესახედაობისაა, ჰკვიანი
მაინც უნდა იყოს.

ალბამ დივანზე მოხერხებულად მოიკალათა და საზურგეს მიეყრ-
დნო. ასე იჯდა პატარა, კოპწია, მიმზიდველი, ოდნავ შეპუღრული
ფერმკრთალი სახით.

— ვფიქრობ, მახად დაგხატოთ. მაგრამ არა. — უთხრა გოიამ, — არ მინდა ხელმეორედ შევცდე და ნილაბში გამოგსახოთ. უნდა ჩავწვდე და შევიცნო, როგორია ნამდვილი კაეტანა.

— თქვენ ამას ვერასოდეს ვერ მიაღწევთ, — დაპირდა ალბა, — მართალი რომ ვთქვა, მეც არ ვიცი. სერიოზულად მგონია, რომ ყველაზე მეტად მახა უნდა ვიყო. სხვის აზრს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს და სწორედ ეს არის მახას დამახასიათებელი თვისება.

— ხომ არ გაწუხებთ ასე რომ გიყურებთ? — ჰკითხა გოიამ.

— ეს არ მწყინს, ვინაიდან მხატვარი ხართ. თქვენ საერთოდ მხოლოდ მხატვარი ხართ? ყოველთვის და ყველგან მხოლოდ მხატვარი? ოდნავი ენაწყლიანობაც როდი გაწყენდათ.

გოია ღუმდა. დონია კაეტანა დაუბრუნდა თავის წინანდელ სიტყვებს:

— მე მახად ვარ აღზრდილი. ჩემი პაპა რუსოს პრინციპების მიხედვით მზრდიდა. იცით, დონ ფრანსისკო, ვინ იყო რუსო?

გოიას უფრო სასაცილოდ ეჩვენა მისი სიტყვები, ვიდრე შეურაცხმყოფელად.

— ჩემი მეგობრები ხანდახან მაძლევენ ენციკლოპედიას წასაკითხავად. — მიუგო მან.

ალბამ სწრაფად შეავლო თვალი გოიას. ენციკლოპედია განსაკუთრებით სძულდა ინკვიზიციას; ამ წიგნის ქონება, მისი კითხვა დიდი ცოდვა და საშიში საქმე იყო. მაგრამ კაეტანა მის სიტყვებს აღარ აპყვა და განაგრძო:

— მამა აღრე გარდამეცვალა, პაპამ კი სრული თავისუფლება მომანიჭა. გარდა ამისა, დროდადრო გამომეცხადება ხოლმე ბებიაჩემის მხევალი და მეუბნება, რა გვაკეთო და რა არა. სერიოზულად გეუბნებით, ფრანსისკო, თქვენ მახად უნდა დამხატოთ.

გოიამ ბუხარში ლაღარი გაქექა.

— თქვენი არც ერთი სიტყვა არა მჭერა, — უთხრა მან, — არც მახად მიგაჩნიათ თავი და არც გარდაცვლილ მოახლეს ებაასებით ლამდამობით. — შემობრუნდა და გამომწვევად ჩახედა თვალებში. — მე ვამბობ იმას, რასაც ვფიქრობ, როცა ამის სურვილი მაქვს. მე მახო ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან ენციკლოპედიას ვკითხულობ.

— მართალია, — მეგობრული გულითადობით ჰკითხა ალბამ, —

რომ თქვენ ოთხი, თუ ხუთი კაცი საიქიოს გაამგზავრეთ ჩხუბის დროს, თუ ეპეიანობის ნიადაგზე? მართლა გაიქცეით იტალიაში, სადაც პოლიცია გეძებდათ? მართლა მოიტაცეთ მონაზონი რომში და მხოლოდ ჩვენმა წარმომადგენელმა შეძლო თქვენი დახსნა? თუ ყველაფერი ეს თქვენ თვითონ გამოიგონეთ? რომ უფრო საინტერესო გამხდარიყავით და მეტი შეკვეთები მიგელოთ?

გოიამ გაიფიქრა: შეუძლებელია, რომ ამ დროს ქალი მასთან ატელიეში მხოლოდ და მხოლოდ შეურაცხყოფის მოსაყენებლად მოსულიყოს. დონია კაეტანა მის დამცირებას ცდილობდა, რათა ბოლოს და ბოლოს თვით არ გამოსულიყო დამცირებული. თავს ძალა დაატანა და მშვიდად, ალერსითა და ხუმრობით უთხრა:

— მახოს უყვარს მალაღფარდოვანი სიტყვები და ბაქიაობა. ეს თქვენთვის ახალი არ უნდა იყოს, ჰერცოგის ასულო.

— თუ ერთხელ კიდევ ჰერცოგის ასულს მიწოდებთ, წავალ, — უთხრა ალბამ.

— არა მჯერა, რომ წახვიდეთ, ჰერცოგის ქალო, — მიუგო გოიამ, — ჩემის აზრით, თქვენ მოინდომეთ ჩემი, — იგი სიტყვას ეძებდა, — ჩემი განადგურება.

— რად უნდა მსურდეს თქვენი განადგურება, ფრანჩო? — ჰკითხა მან წყნარად.

— არ ვიცი, — უთხრა გოიამ, — საიდან უნდა ვიცოდე, რა გწადიათ თქვენ?

— ეს ფილოსოფიურად, მწვალებლურად, ჟღერს, ფრანჩო. ვშიშობ, უფრო მეტად ეშმაკი გწამთ, ვიდრე ღმერთი.

— თუ რომელიმე ჩვენგანით დაინტერესდება ინკვიზიცია — ეს უპირველესად თქვენით.

— ინკვიზიცია ხელს არ ახლებს კაეტანა ფონ ალბას, — ისე უბრალოდ მიუგო ალბამ, რომ ქედმაღლობაც კი არ იგრძნობოდა ამ სიტყვებში, — და საერთოდ, არ უნდა გეწყინოს, თუ ხანდახან მწარე სიტყვას გეტყვი. არაერთხელ შევედრებებივარ წმინდა ქალწულს, დელ პილარს, რომ მფარველი კალთა გადაგაფაროს, ვინაიდან ეშმაკი გტანჯავს. მაგრამ, — და ახედა ატოჩის ღვთისმშობლის ხის გამოსახულებას, — ახლა უკვე აღარა გაქვს უწმინდესი ქალწულის დელ პილარის იმედი. თუმცა წინათ კი განსაკუთრებით გწამდა, ვინაიდან სარაგოსელი ხარ. ესე იგი ყველაფერთან ერთად მერყევიცა ხარ.

ამასობაში ადგა, ძველისძველ შავ-მოყავისფრო ხის ქანდაკებას-
თან მივიდა და თვალიერება დაუწყო.

— მაგრამ არ მინდა უპატიურად მოვიხსენიო ატოჩის წმინდა
ქალწული, მით უმეტეს ეს, ვინაიდან თქვენი მფარველია. უეჭველია
მასაც ღიღი ძალა აქვს და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი
შეურაცხყოფა.

და ხის ფიგურა
ჩვენი მფარველის,
წმინდა ქალწულის — ღვთისმშობელისა —
შალში შეხვია, რომ დაეფარა
და წმინდა ქალწულს არ დაენახა
სცენები, აქ რომ დაიწყებოდა.
თმიდან მოიძრო მყის სავარცხელი.
ფეხთ გაიხადა. ოდნავ დაბალი
დაჩნდა. უსირცხვოდ და საქმიანად
გაიხსნა კაბა და კაეტანამ
ბუხრის აღმურით განათებულმა
ჩასწია ზონარს...

1

1478 წელს კათოლიკე მბრძანებლებმა, ფერდინანდმა და იზაბელამ, საგანგებო ტრიბუნალი დააარსეს რელიგიის ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს მოხდა არაბების დამარცხების შემდეგ, როცა საჭირო იყო ძლივძლივობით გაერთიანებული სახელმწიფოს ერთი სარწმუნოებით განმტკიცება. „ერთი სამწყსო, ერთი ნწყემსი, ერთი რწმენა, ერთი მეფე, ერთი ხმალი“, — მღეროდა იმ დროს პოეტი ერნანდო აკუნია.

ამ სასულიერო სამსჯავრომ — ინკვიზიციამ, წმინდა officium-მა თავისი მოვალეობა შეასრულა. მიკვლეული, გაძევებული და განადგურებული იქნენ არა მარტო არაბები და ებრაელები, აგრეთვე ისინიც, ვინც ცდილობდა თავისი ამბოხი სული კათოლიკური რწმენის ნიღაბქვეშ დაემალა: ფარული მავრები და ებრაელები, მორისკები, იუდეველები, მარანები.

მაგრამ, როცა ინკვიზიციამ თავისი მოვალეობა შეასრულა, თვით იქცა სახელმწიფოს დამოუკიდებელ ხელისუფლად. თუმცა მისი მოქმედების სარბიელი მწვალებლების მიკვლევითა და დასჯით განისაზღვრებოდა, მაგრამ რა აღარ იწოდებოდა მწვალებლობად? სულ ცოტა, რომ ვთქვათ, მწვალებლობად ითვლებოდა ყოველგვარი შეხედულება, რომელიც კათოლიკური ეკლესიის დოგმებიდან ოდნავ შიინვ იხრებოდა. მაშასადამე, ინკვიზიციის მოვალეობას შეადგენდა ყოველივე დაწერილის, დაბეჭდილის, ნათქვამის, სიმღერისა და ცეკვის. დასაბეჭდის, სათქმელის, სამღერის, საცეკვოს ცენზურა. მწვალებლის შთამომავლის მიერ წარმოებული ყოველგვარი დიდი საზოგადოებრივი საქმე მწვალებლობად ითვლებოდა. ამიტომ წმინდა ეკლესიას ევალებოდა გამოეკვლია ყოველი კაცის სისხლის სიწმინდე, რომელიც თანამდებობის დაკავებას ცდილობდა. ყველა კანდიდატს

უნდა დაემტკიცებინა თავისი — „impieza“, — წარპოშობის სიწმინდე, რომ მისი მშობლები და პაპათა პაპები უხსოვარი დროიდან ქრისტიანებად იყვნენ მონათლულნი და რომ მის შთამომავლობაში მავრები და ებრაელები არ ერია. ასეთი დახასიათება მხოლოდ ინკვიზიციას შეეძლო გაეცა. მასვე შეეძლო ამ გამოძიების სურვილისამებრ გაკვიანურება, საამისოდ გაღებული საფასურის თვითნებურად გადიდება; შეეძლო თუ არა ესპანელს თავის სამშობლოში სახელმწიფო თანამდებობის დაკავება — ამის თაობაზე საბოლოო სიტყვა ინკვიზიციას ეკუთვნოდა. მწვალებლობად ითვლებოდა აგრეთვე ლანძღვა-გინება; მიშველი სხეულის დახატვა, მრავალცოლიანობა, ავხორცობა, მწვალებლობა იყო მევახშეობა, რადგან მას ბიბლია კრძალავდა. მწვალებლობა იყო უცხოელებთან ცხენებით ვაჭრობაც კი, ვინაიდან ასეთი საქმიანობა პირენეის მთებს გადაღმა ურკულოებს სარგებლობას ნიუტანდა.

თავისი მოვალებობის ამგვარი ფართო ინტერპრეტაციის მეოხებით, ინკვიზიცია თანდათან სტაცებდა სამეფო ტახტს ძალაუფლებას და სახელმწიფოს ავტორიტეტს ნიადაგს აცლიდა.

წმინდა ინკვიზიცია რწმენის ელიქტის გამოსაცხადებლად ყოველწლიურად ირჩევდა რომელიმე დღესასწაულს. ამ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: თუ რომელიმე ადამიანი მწვალებლობისადმი ღტოლვაში თავს დამნაშავედ გრძნობდა, შეეძლო შვლავათიან ვადაში — ოცდაათი დღის განმავლობაში — თვითონ წარმდგარიყო წმინდა საწაჯავროს წინაშე. გარდა ამისა, იგი მოუწოდებდა ყოველ მორწმუნეს, ემხილებინა მის ყურამდე მიღწეული ყოველგვარი ცდომილება. ამ ბრძანებულებას თან ახლდა საეპკოვო მიჩნეულ ქმედობათა გრძელი ნუსხა. ფარულ მწვალებლობად ითვლებოდა ყველა ებრაული ჩვეულება, პარასკევ საღამოს სანთლების ანთება, შაბათს საცვლების გამოცვლა, ღორის ხორცის უჭმელობა, პურის ქამის წინ ხელის დაბანა. მწვალებლობისადმი მიდრეკილებად ითვლებოდა უცხოური და საერთოდ საერო ხასიათის წიგნების კითხვა. შვილებს უნდა დაებეზდებინათ მშობლები, ცოლს ან ქმარს თავის მეუღლე. თუკი საეპკოს შეამჩნევდნენ, თორემ შეჩვენება არ აცდებოდათ.

სულის შემხუთავი იყო ტრიბუნალის ფარული მოქმედების წესი. დაბეზლება საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო. დიდ რისხვას დაი-

ტენდა თავს, ვინც დამნაშავეს გააფრთხილებდა. სულ მცირე საბაბი იყო საკმარისი დასაპატიმრებლად, და შემდეგ კი ვერავინ გაბედავდა, ეკითხა ინკვიზიციის ჭურღმულებში დაკარგულის ამბავი. დამბეზღებლებს, მოწმეებს, დამნაშავეებს ავალდებულებდნენ ჩუმიად ყოფილიყვნენ. ფიცის გამტებს მწვალებელივით სჯიდნენ.

თუ დამნაშავე ტყუოდა, ან ჭიუტად უარყოფდა თავის ცდომილებას, წამებას მიმართავდნენ. ჯალათისათვის გადასახდელი თანხის დაზოგვის მიზნით ინკვიზიცია ხანდახან მიმართავდა მაღალი თანამდებობის საერო მოხელეებს, უსასყიდლოდ ეწარმოებინათ ეს სამადლო საქმე. ზუსტად იყო გამოზომილი, როგორც სასამართლოს ყოველი ფანა, ისე წამებაც, რასაც უნდა დასწრებოდა ექიმი და მდივანი — ოქმში ყველაფრის დაწვრილებით შესატანად. ეს სულიერი მსაჯულები საუკუნეთა განმავლობაში დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, რომ ამ სათაკილო საშუალებას — ცოდვილების წამებას — სათნობის გამო მიმართავდნენ, რათა, სახელდობრ, მწვალებლები, ძვალსა და რბილში გამჯდარი ცდომილებისაგან გაეთავისუფლებინათ და ქეშმარიტების გზაზე დაეყენებინათ.

დანაშაულში გამოტყვილ და მონანიებულ ადამიანს „ეკლესია შეირიგებდა“. შეირიგება დაკავშირებული იყო მონანიებასთან. მომნანიებელს გაწკეპლავდნენ, ან სამარცხვინო სამოსელში მთელი ქალაქის დასანახავად დაატარებდნენ, ან სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცემდნენ სასჯელის მოსახდელად სამიდან რვა წლამდე, ანდა სამუდამო კატორღას მიუსჯიდნენ. მომნანიებელს ქონება ჩამოერთმეოდა, ხოლო ზოგჯერ მის სახლსაც ანგრევდნენ. მასა და მის ჩამომავლებს მეხუთე მოდგმამდე არ შეეძლოთ თანამდებობის დაკავება, ან მოღვაწეობა რომელიმე საპატიო სარბიელზე.

საღმრთო ტრიბუნალი ლმობიერების პრინციპს მტკიცედ ადგამამინაც კი, როცა მწვალებელი არ გამოტყდებოდა, ან ნაწილობრივ გრძნობდა თავს დამნაშავედ. ეკლესია ცოდვილს არ კლავდა; იგი გააძევებდა თავის შემადგენლობიდან გაკეუტებულ, ან ხელმეორედ მწვალებლობას დაბრუნებულ დამნაშავეს და სამოქალაქო ხელისუფლებას გადასცემდა. მასაც ურჩევდა შეერბილებინა სასჯელი და მართლმსაჯულების ხმლით კი არ გასწორებოდნენ დამნაშავეს, არამედ ყურადღილოთ დაწვრილი; „უკეთუ ვინმე არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარე ვითარცა ნახსლევნი და განკმა, და შეეკრიბონ იგი და

ცეცხლსა დასანან და დაიწყო. ამის მიხედვით სამოქალაქო ხელი-სუცლება ამოთხრილ ლერწებს — ეკლესიისაგან განკვეთილებს — ცოცხლად წვადა. თუ ადამიანის მწვალებლობა სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნებოდა, ცხედარს საფლავიდან ამოაგდებდნენ და წვა-დნენ. თუ მწვალებელი გასამართლების შემდეგ გამოტყდებოდა, ჩა-შობარჩობდნენ და შემდეგ დაწვადნენ. თუ გაიქცეოდა. მის გამოსა-ხულებას დაწვადნენ, ხოლო მისი ქონება კი ყოველთვის კონფისკა-ციამწინილი ხდებოდა. ერთი ნაწილი სახელმწიფოს ხელში გადადიოდა, მეორე კი — ინკვიზიციისა.

ინკვიზიცია ერთობ მდიდარი იყო. იშვიათად თუ ვინმეს გაამარ-ულვდნენ. ინკვიზიციის მიერ დამწვარ თუ უმძიმეს სასჯელმიზნულ დამნაშავეთა საერთო ჯამი მისი დაარსებიდან კარლოს მეოთხის გა-მეფებაშდე ესპანეთში 348907 კაცს შეადგენდა.

რამდენადაც ფარულად არჩევდა საქმეს ინკვიზიცია, იმდენად ზარ-ზეიმით აცხადებდა საქვეყნოდ განაჩენს და სისრულეში მოჰყავდა. განაჩენის გამოცხადებას და სისრულეში მოყვანას „სარწმუნოების აქტი, სარწმუნოების დადასტურება, სარწმუნოების მანიფესტი — Auto de fe“ ეწოდა. მასში მონაწილეობის მიღება სამად-ლო საქმედ იყო მიჩნეული. ეწყობოდა ბრწყინვალე პროცესიები, საზეიმოდ ფრიალებდა ინკვიზიციის ბაიარაღები. ვეებერთელა ტრი-ბუნებზე ისხდნენ საერო და სასულიერო წარჩინებულები. ცალ-ცალ-კე იბახებდნენ თითოეულ დამნაშავეს, წინასწარ სამარცხვინო პერანგ-გადაცმულს, თავზე მაღალ წოწოლა მწვალებლის ქუდით და განაჩენს ხმაალა უცხადებდნენ. კვამადეროსაკენ — დასაწვავი ადგილისა-კენ—დამნაშავენი მრავალრიცხოვან მცველთა რაზმით გარშემორტყმუ-ლი მიჰყავდათ. ისეთი წყურვილით უყურებდა ბრბო მწვალებლის დაწვას, რომ მასთან შედარებით ხარების ქიდილით განცხრომა ალა-რაფრად ჩანდა. როცა განაჩენის გამოტანის შემდეგ მოინანიებდა დამ-ნაშავე და მხოლოდ ჩამოხრჩობით მოიხდიდა სასჯელს, მაყურებლები ბუზლუნს მოჰყვებოდნენ.

ხშირად ასეთ „სარწმუნოების აქტებს“ საზეიმო ვითარებას უკავ-შირებდნენ: მეფის ტახტზე ასვლას ან ქორწინებას, ან ტახტის მემ-კვიდრის დაბადებას; ამ შემთხვევაში კოცონს მეფის ოჯახის რომელი-მე წევრი ანთებდა.

ყოველი აუტოლაფეს შესახებ ქვეყნდებოდა ანგარიში, რომელიც

სასულიერო მწერლის მიერ იყო შედგენილი. ამ ანგარიშებს დიდი მოწონება ჰქონდა. ასე მაგალითად, პადრე გარაუ გვაუწყებს, კუნძულ ნალიორკაზე მომხდარ ერთი აუტოდაფეს ამბავს, თუ როგორ დაწვეს სამი გამოუსწორებელი ცოდვილი და როცა ალი მისწვდათ, როგორ გამწარებით ცდილობდნენ თავის დაღწევას, მწვალებელი ბენიტო ტერონგი მართლაც გაუსხლტა ცეცხლს, მაგრამ მის მარცხნივ ავიზგიზებულ სხვა კოცონში ჩავარდა. მისი და კატალინა, რომელიც ცოტა ხნის წინ იკვებნიდა, რომ თვითონ ჩავარდებოდა ცეცხლში, წიოდა და კიოდა, მიხსენითო. მწვალებელი რაფაელ ვალსი ჯერ ქანდაკებასავით გაქვევებული იდგა კვამლში, მაგრამ როცა ალი მისწვდა, მანკვა-გრეხა დაიწყო. ის ძუძუთა გოჭივით მსუქანი და ვარდისფერკანიანი იყო და როცა გარედან ალი ჩაქრა, შიგნეულობა განაგრძობდა წვას, მუცელი გაუსკდა, ნაწლავები იუდასავით გადმოუცვივდა. პადრე გარაუს წიგნს „სარწმუნოების ზეიმს“ დიდი წარმატება ხვდა წილად; იგი თოთხმეტჯერ გამოიცა, უკანასკნელად — ფრანსისკო გოიას დროს.

ზოგიერთ ინკვიზიტორს წმინდა რელიგიური მისწრაფება ამოძრავებდა, ზოგი კი თავის ძალაუფლების გამოსაყენებლად, გაუმადლობისა და ავხორცობის დასაკმაყოფილებლად ინკვიზიციის ავტორიტეტით სარგებლობდა. გადარჩენილ მსხვერპლთა ნაამბობი შესაძლოა გადაქარბებულიც იყო, მაგრამ ინკვიზიციის Manuale — სასამართლო წარმოების წესდება ადასტურებს, რა უფლებებით იყვნენ მოსილნი სასულიერო მოსამართლეები და აქტები ამოწმებენ, რა თვითნებურად მოქმედებდნენ ისინი.

ინკვიზიცია იკვებნიდა, რომ მთელი ესპანეთის მოსახლეობა კათოლიკებად მონათლა და ნახევარკუნძული სარწმუნოებრივი ბრძოლისაგან დაიცვა, რაც დანარჩენ ევროპას არ ასცდა. ინკვიზიციამ ესპანელები დაარწმუნა, მთავარია ეკლესიის დოგმების შეუწყვეელი რწმენა და არა ცხოვრების ზნეობრივი მხარეო. ესპანეთში სტუმრად ჩამოსული უცხოელები თითქმის ერთხმად ირწმუნებოდნენ, იმ ქვეყანაში, სადაც ინკვიზიციაა გამეფებული, რელიგიას მორალთან საქმე არა აქვს და დოგმების ბრმა რწმენა ხშირად შესისხლხორცებულია აღვირახსნილ ყოფაქცევასთანო. წმინდა ტრიბუნალი ხშირად მსუბუქად სჯიდა დამნაშავეს იმ დანაშაულისათვის, რომელიც მთელ ქვეყანას საშინელებად მიაჩნდა, მაგალითად, ცლუნება აღსარების

დროს. საბაგიროდ, დოგმის უმნიშვნელო დამრღვევს კი ყოველთვის სასტიკად უსწორდებოდნენ. მაგალითად, კორდობაში ერთ-ერთი სხდომის დროს დაადგინეს, კოცონზე დაეწვათ ას შვიდი ადამიანი, მამაკაცები, ქალები და ბავშვები, რადგანაც ისინი ვილაც ერეტიკოსად მიჩნეულ შემბრევეს აღსარებას დაესწრნენ.

იმ ხანებში, როცა გოია დაიბადა, მთელი წყება ებრაელებისა და მათ შორის ერთი თვრამეტი წლის გოგონა, რალაც ებრაული წეს-ჩვეულების შესრულებისათვის ერთ განსაკუთრებულ ბრწყინვალე აუტოდაფეზე დაწვეს. მაშინდელი საფრანგეთის უდიდესმა მწერალმა მონტესკიემ თავის ნაწარმოებში ერთ მსჯავრდებულს ათქმევინა თავდაცვით სიტყვაში: „თქვენ მუსულმანებს ადანაშაულებთ, რომ მათ ხმლით გააერცვლეს თავიანთი სარწმუნოება: მაშ რატომ აერცვლებთ თქვენ თქვენსას ცეცხლით? თქვენი რელიგიის ღვთაებრიობის დასამტკიცებლად შრავალგზის იმოწმებთ მარტვილთა სისხლს. ამჟამად კი თქვენ თავად იკისრეთ დიოკლეტისანის როლი და ჩვენ წამებულად გვაქციეთ. თქვენ მოითხოვთ, ჩვენ გაექრისტიანდეთ, თვით თქვენ კი ხელს იღებთ ამ ქრისტიანობაზე, გადაუდებით მას. თუკი ქრისტიანები აღარა ხართ, ისე მაინც მოიქეცით, რომ გაგაჩნდეთ ის ოდნავი სამართლიანობის გრძნობა, რომლითაც ბუნება უმდაბლეს არსებასაც კი აჯილდოებს: ერთი კი ცხადია: თქვენი მოღვაწეობა მომავალ შემატანეს დაუდასტურებს, რომ ჩვენი დროის ევროპა ველურებითა და ბარბაროსებით იყო დასახლებული“.

თვით ესპანეთში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხელიდან ხელში გადადიოდა პაემფლეტები, რომელშიაც ინკვიზიციას ბრალდებოდა ქვეყნის დაუძლურება, მოსახლეობის შემცირება და სულიერი დაკნინება. აგრეთვე მაშინდელი მბრძანებლები — ბურბონები, წარმოშობით ფრანგები — არ მალავდნენ, რომ ქვეყანა დაილუპებოდა თანამედროვე „მწვალებლური“ რეფორმების გაუტარებლად. თავიანთი ღვთისმოსაობისა და ტრადიციების მიმართ მოკრძალების გამოსახატავად, წმინდა ინკვიზიციას ავტორიტეტის დასაცავად გარეგნული მხარე შეუწარმუნეს, მაგრამ გამოაცალეს მისი უმთავრესი მოვალეობანი და უპირატესობანი.

მიუხედავად ამისა, ინკვიზიციის გავლენა არ შენელებულა; ხოლო სიბნელე და იდუმალება, რომლითაც მისი ძალაუფლება იყო მოცული, მიმზიდველობას მატებდა. ის დღე, როცა სარწმუნოების ელიტი

უნდა გამოცხადებულიყო, დიდი ზარ-ზეიმით და მაცდუნებელი ბრწყინვალეობით ეწყობოდა სწორედ წმინდა ტრიბუნალის გაუქმების საშიშროების გამო. მას მრავალი მაყურებელი აწყდებოდა; უფრო და უფრო ძველად იზიდავდა ხალხს აუტოლად, ეს ერთად შერწყმულა საშინელებს, სისასტიკე და სიავე.

ასე ხლართავდა ინკვიზიცია
საწინელ ბადეს გამცემლობისას.
თვითელს თითქოს მუხთალი ბედი
ითრევდა. დიდი ზეიმი ჰქონდა
თვალთშაქცობას და ფარისევლობას.
თავისუფალ აზრს ძმას ვერ ეტყოდი,
ჩურჭულითაც კი ხმას ვერ დასძრავდი...
მაგრამ მუდმივი ძრწოლა და შიში
უნიათო და უფერულ ყოფას
სიმახვილეს და სიმკვეთრეს სძენდა.
და ესპანელებს სულაც არ სურდათ
იმ სისხლის წვიმის შეწყვეტა, რადგან
ინკვიზიციამ მისცა მას ღმერთი,
მათთვის უფალი იყო საერთო,
განსაკუთრებით კი... ესპანური.
და ღალბი თავის ჩიუბი რწმენით,
თავგამოდებით, მორჩილად, ენით
მას ეყრდნობოდა, კისერს უშვერდა,
როგორც ბედს,
როგორც საკუთარ მონარქს.

2

ბაზელში ჭიანჭურდებოდა მადრიდის სამეფო კარის მოლაპარაკე-
ბა საფრანგეთის მთავრობასთან ზავის ჩამოგდების თაობაზე. თუმცა
ესპანელებმა ფარულად გადაწყვიტეს აღარ წამოეყვანათ საფრანგე-
თის მეფის შვილები, მაგრამ თავის მოვალეობად მიაჩნდათ უკანას-
კნელ წუთამდე არ უარეყოთ ეს მოთხოვნა. ამასობაში პარაზში სუ-
ლაც არ ფიქრობდნენ კაპეტების მემკვიდრის დათმობას და ამით
როიალისტური წინააღმდეგობის ცენტრის შექმნას და ესპანელებს
განუწყვეტლივ ცივი უარით ისტუმრებდნენ. მიუხედავად ამისა და
სალი მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საფრანგეთის როიალისტების
წარმომადგენელს მადრიდში, მუსიო დე ავრეს, იმედი ჰქონდა,

ესპანელების შეუპოვრობა და დაეინება საბოლოოდ გამარჯვებით დაჯიკრვინდებოდა. ოცნებით უკვე ხედავდა მადრიდში მოგვილი ჰატარა მეფეს და თავისი თავი მის დამრიგებლად, მეურვედ და დიდი, ძლიერი, მშვენიერი, საყვარელი საფრანგეთის ფარულ რეგენტად ესახებოდა. და აი, უეცრად საშინელი ამბავი მოვიდა: მეფისწული, ლუი შეჩვიდმეტე გარდაცვლილიყო. მუსიო დე ავრეს არ სჯეროდა ეს ამბავი. შესაძლოა როიალისტებმა გაიტაცეს და დამალეს ბავშვი. მაგრამ დონია მარია ლუიზა და დონ მანუელი მზად იყვნენ დაეჯერებინათ ჰატარა ლუის სიკვდილის ამბავი. დიახ, მადრიდის სამეფო კარმა აპოისუნთქა და გულში კიდევაც ესალმებოდა ამ ცულ ამბავს. ახლა ესპანეთის სახელის შეუბღალავად მოიხსნა სადავო საკითხი.

მიუხედავად ამისა, ზავზე მოლაპარაკება ერთ წერტილზე იყო გაყინული. თავისი არმიების წარმატებით შეგულიანებული რესპუბლიკა მოითხოვდა დაეთმოთ მისთვის გიპუსკოას პროვინცია დედაქალაქ სანსებასტიანით და დაეფარათ სამხედრო ხარჯები ოთხასი მილიონის ოდენობით. დონია მარია ლუიზა თავის პირველ მინისტრს ეუბნებოდა, ჩემი ანგარიშით, ზავი ჩვენ უფრო ხელგაშლილი ცხოვრების საშუალებას მოგვცემსო. დონ მანუელი მიხვდა, რომ არ ჰქონდა ოთხასი მილიონის გადახდის უფლება. თავის მხრივ კი პეპა ეუბნებოდა: იმედი მაქვს ესპანეთი ომის შემდეგ თქვენი წყალობით ძლიერ სახელმწიფოდ აღდგებოდ და მანუელისთვის ცხადი შეიქნა, ბასკური პროვინცია არ უნდა დაეთმო.

— მე ესპანელი გახლავართ, — უთხრა მან მედიდურად და პირქუშად დონ მიგელს, — არც სანსებასტიანს დავთმობ და არც ამოდენა ხარკს გადავიხდი.

მაგრამ გაქნილმა დონ მიგელმა, თავისი ბატონის რეპუტაციის შეულახავად, მოახერხა პარიზში ფრთხილად ნიადაგის მოსინჯვა და წებლო საინტერესო ცნობის მოტანა: პარიზის დირექტორია არათუ მარტო დაზავებისკენ მიისწრაფვის, არამედ ესპანეთთან კავშირიც კი სწადია; თუკი მას შეკავშირების იმედი ექნება, მზადაა დაზავების პირობები საგრძნობლად შეამსუბუქოსო.

— როგორც ყური მოვკარი, — ფრთხილად დაასკვნა დონ მიგელმა, — პარიზი კმაყოფილდება თქვენი პირადი დაპირებით სასურველი კავშირის დამყარების თაობაზე.

დონ მანუელმა თავი ასწია.

— პირადად ჩემი? — იკითხა მოულოდნელობით კმაყოფილმა.

— დიან. სენიორ, — დაუდასტურა დონ მიგელმა, — თქვენ რომ, რა თქმა უნდა, საიდუმლოდ, ამგვარი დაპირება საკუთარი ხელით დაწერილი გაგეზზავნათ ერთ-ერთი დირექტორიის წევრისათვის, ვთქვათ, აბატ სიესისთვის, მაშინ რესპუბლიკა ამ ორ საგანგებო საჭირობოროტო მოთხოვნას აღარ გამოეღევენებოდა.

დონ მანუელი დიდად კმაყოფილი იყო იმ მნიშვნელობით, რომელსაც პარიზში მის პიროვნებას აკუთვნებდნენ.

მან დედოფალს მოახსენა, რომ იმედი ჰქონდა არათუ მისაღები, არამედ საპატიო დაზავებისთვისაც მიეღწია, თუკი უფლებამოსილი იქნებოდა პირადი, არაოფიციალური მოლაპარაკება ეწარმოებინა პარიზის ხელისუფლებასთან. მარია ლუიზამ ამას სკეპტიკურად შეხედა.

— მე მგონია, გადაჭარბებით აფასებ შენს თავს, Pico, ჩემო პატარავ, — უპასუხა მან.

დონ მანუელი შეურაცხყოფილი იყო.

— კეთილი, დონია მარია ლუიზა, — უთხრა მან, — მაშინ სახელმწიფოს გადარჩენა თქვენთვის მომინდია. — და, დონ მიგელის დაჟინების მიუხედავად, აბატ სიესს არაფერი მისწერა.

ფრანგებს თავი მოაბეზრა გაუთავებელმა ვაჭრობამ და გენერალ პერიმიონს შეტევაზე გადასვლის განკარგულება მისცეს. რესპუბლიკის არმიამ ტრიუმფალური სვლით სწრაფად დაიკავა ბილბაო, მირანდა, ვიტორია და კასტილიის საზღვრებს მიაღწია. მადრიდში პანიკა გამეფდა. ხმა დაირხა, რომ სამეფო კარი ანდალუზიაში აპირებდა გახიზვნას.

— მე გიხსნით თქვენ, Madame, — თქვენ და ესპანეთს, — განუცხადა დონ მანუელმა და მისწერა პარიზში.

ერთი კვირის შემდეგ ხელმოწერილ იქნა დაზავების წინასწარი ხელშეკრულება. საფრანგეთი დაკმაყოფილდა იმით, რომ ესპანეთმა მას დაუთმო ანტოლიის არქიპელაგის კუნძულ სან-დომინგოს თავისი კუთვნილი ნაწილი და ხელი აიღო ბასკურ პროვინციაზე. რესპუბლიკამ აგრეთვე მიიღო ესპანეთის წინადადება, რომ სამხედრო ხარჯები გადაეხადა ნაწილ-ნაწილ ათი წლის მანძილზე. შემდეგ რესპუბლიკა პირობას დებდა ლუი XVI-ის ასულ პრინცესა მარია ტერეზასთვის ნება დაერთო წასულიყო ესპანეთში კი არა — ავსტრიაში.

მთელი ქვეყანა უსაზღვროდ იყო გახარებული და გაკვირებული.

რომ წაგებული ომიდან, ტერიტორიის დაუთმობლად დააღწიეს თავი. ყოჩაღ, მანუელ გოლოი!

— შენ ხომ ხარ და ხარ! — უთხრა დონ კარლოსმა და მხარზე ხელი დაჰკრა.

— გინდა გითხრა, როგორ მოვახერხე ეს? — ჰკითხა დონ მანუელმა დედოფალს.

— არა, არა! — მიუგო მან, იფიქრა, რაღაც ხრიკებთან იქნება დაკავშირებულიო და არ მოისურვა მისი გაგება.

ვინაიდან ხელსაყრელი ზავის ჩამოგდება დონ მანუელის წყალობით მოხერხდა, იმდენი პატივი დაიმსახურა, რამდენიც დიდი ხანია აღარავის რგებია წილად. მას საჩუქრად გადაეცა გრანადასთან მდებარე სახელმწიფო სამემკვიდრეო ადგილ-მამული და მიემატა ტიტული Principe de la Paz, მშვიდობის თავადი და სახელმწიფოს მთელი არმიების გენერალისიმუსი.

გენერალისიმუსის მუნდირში გამოწყობილი წარსდგა იგი მბრძანებელი წყვილის წინაშე მადლობის მოსახსენებლად. თეძობზე შემოსხპოდა თეთრი შარვალი, მკერდი ამაყად გამოეჩვიმა მუნდირში, ილიაში ამოდებულ ქუდზე ლამაზი ფრთა ირხეოდა.

— დიდებულად გამოიყურები, — უთხრა დონ კარლოსმა და წამსვე დაუმატა, — დაიხურე ქუდი!

სახელმწიფოში მხოლოდ თორმეტ პირველ გრანდს ჰქონდა უფლება მეფის პასუხის გაცემამდე ქუდის დახურვისა. მეორე რანგის გრანდებს მხოლოდ პასუხის გაცემის შემდეგ შეეძლოთ თავზე დაეხურათ. ხოლმე მესამე რანგისას კი — როცა დაჯდომას შესთავაზებდნენ.

დონია მარია ლუიზას ეჭვი ეპარებოდა, რომ დონ მანუელი მართო შეძლებდა ასეთი დაზავების მიღწევას. მას უთუოდ ეხმარებოდნენ ეკვმიტანილი, განათლებული, დაუმორჩილებელი აფრანჩესადოები—ფრანგოფილები და შესაძლოა მოჩვენებით ბრწყინვალე წარნაუტებას ახალი ომი, მოულოდნელი და შესაძლოა დამღუპველი შედეგიც მოჰყოლოდა. ასე თუ ისე ბრწყინვალე საპატიო ზავი მიღწეული იყო და იგი დონ მანუელმა ჩამოაგდო. დედოფალმა თვითონ ჩააცვა ჭაბუკს ეს სამხედრო მუნდირი, მაგრამ ახლა მაინც თრთოდა, ხიბლაჟდა მისი ვაჟკაცური შემართება და გული მისთვის უძგერდა.

კვლავ არსებობდა პირველი რანგის თორმეტი გრანდი, თორმეტი ჩამომავალი იმ თაობისა, რომლებიც, დიდი სანჩოდან მოყოლებული

ცხრა საუკუნის განმავლობაში და კიდევ მეტ ხანსაც ბატონობდნენ ნახევარკუნძულზე. ისინი ერთიმეორეს ძმურად „შენობით“ მიმართავდნენ. ახლა კი, როცა მეფის წყალობით მისი აღმატებულება მშვიდობის თავადი მეცამეტედ შეემატათ, დასძლია მანუელმა ძვალსა და რბილში გამჭდარი მოკრძალება, „შენობით“ მიმართა ჰერცოგ არკოსს, ბეხარს, მედინა სილონიას, ინფანდატოს და დანარჩენებსაც. პირველად ოდნავ იუცხოვეს, მაგრამ „შენ“ უკანვე დაუბრუნეს და დონ მანუელმა თავი ბედნიერად იგრძნო.

მან ჰერცოგ ალბას მიმართა:

— ხოსე, მიხარია, რომ დღეს კარგად გამოიყურები.

გამხდარი, მოხდენილი ბატონის არც მშვიდ სახეს, არც მის ჭკვიან ღამაზე თვალებს არაფერი გამოუხატავს და ხალისიანად მხოლოდ ეს უპასუხა:

— გამდლობთ ყურადღებისათვის, თქვენო ბრწყინვალეზავ. — დი-ახ, „თქვენო ბრწყინვალეზავ“ თქვა მან და „შენ“ კი არ წარმოთქვა.

ახლა დონ მანუელმა დონ ლუის მარია დე ბურბონს, გრაფ დე ჩანჩონს, სევილიის არქიეპისკოპოსს, მიმართა:

— დიდი ხანია აღარ მინახიხარ, ლუის.

მან კი, ძლიერ ახალგაზრდა და სასტიკმა ბატონმა, ისე შეხედა, თითქოს მის წინ ადამიანი კი არა, ჰაერი ყოფილიყოს და გვერდით ჩაუარა. ამასთანავე, დონ ლუის მარია მხოლოდ ნახევრად იყო ბურბონი: თუმცა შვილი იყო კასტილიის მეფისწულისა, ანუ მეფის ბიძაშვილი, მაგრამ დედამისი უბრალო დონია მარია ტერეზა დე ვილი აბრიგა იყო, არაგონელი ხელმოკლე აზნაურის ასული და მეფეს დონ ლუის მარიასათვის „ინფანტობა“ არ უბოძებია. მართალია, დონ ლუის მარია მეფის სისხლ-ხორცი იყო, მაგრამ დონ მანუელი ახლა უკვე მასზე მაღლა იდგა წოდებითა და მდგომარეობით. დონ მანუელი, ცხადია, პატივმოყვარე არაა, მაგრამ ამ ბასტარდს, ამ ნახევრად ბურბონს ქედმაღლობას არ შეარჩენს.

მარია ლუიზამ, საყვარლისადმი მიყენებული შეურაცხყოფის გამოსასწორებლად, მისთვის ახალი პატივისცემა გამოიგონა. მეფის კარის ასტროლოგმა გულდასმითი გამოთვლების საფუძვლებზე გამოიტანა დასკვნა, რომ გოდოის ოჯახი ბევარიელი კურთხეურსტებისა და სტიუარტების სამეფო შტოს ენათესავებოდა, მეფის გენეალოგმა გრძელი სამემკვიდრეო ცხრილებით გამოიკვლია, რომ მანუელ გოდოი

ძველი გოთების მეფეთა ჩამომავალი იყო. მისი სახელიც ამასვე ამტკიცებდა, ვინაიდან სახელი გოლოი წარმოიშვა სიტყვებიდან „Godo soy“,—ვარ გოთი.

შემდეგ კარლოსმა ბრძანა, Principe de la Paz-ის ოფიციალური გამოსვლის შემთხვევაში, პეროლდს მის წინ იანუსის თავი ეტარებინა, იმის დასამტკიცებლად, რომ მას ძალა შესწევს სწორად განსაჯოს ნამყო და მყობადი.

ღონ მანუელმა პირველად აკადემიის გახსნის დღეს დაანახვა ეს ახალი წარმატება ქვეყანას.

ის ეკიპაჟი, მთელ ქალაქში რომ
გამორჩეული ოთხი ქურანი
იყო შებმული, ისეთ გზას გაჰყვა
აკადემიის მიმართულებით,
რომ პეპას, პირველს ნაცნობთა შორის,
ეჭვრიტა მისთვის,
ამ ახალ, დიად
ელკარებში. მან დაინახა
პეპა სარკმელთან და თავმოდრეკით
სალამი უძღვნა, უსაზღვრო იყო
პეპას ხალისი და აღტაცება.
ამაყი იყო, იმის შეგნებით,
რაც მან შეიძლო —
ეს მან აქცია
ღონ მანუელი სახელმწიფოში
პირველ კაცად და პირველ რაინდად.
აი, მათ დარად ის რომანსებში,
რომ უმღეროდა, — საშობლოს მხსნელთა,
მამულისათვის გარჯილთა დარად.
„ღიახ, ასეთი, — ირწმუნა პეპამ, —
დაე, დახატოს იგი გოიამ“.

განმანათლებელი მეგობრებისა და მრჩევლებისაგან წაქეზებულმა ღონ მანუელმა თავისი არაჩვეულებრივი პოპულარობა მოწინავე იდეების გასატარებლად გამოიყენა. აქამდეც ცდილობდა ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის მფარველობა გაეწია. ამგვარი ლიბერალური პოლიტიკით უმტკიცებდა პარიზის ხელისუფლებს გულწრფელ მისწრაფებას დაპირებული კავშირის მომზადების საქმეში.

მაგრამ ეს ღონისძიებანი უშედევგოდ რჩებოდა, ვინაიდან ეკლესია მთელი ძალ-ღონით ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ. მეგობრები ურჩევდნენ მანუელს, კიდევ უფრო შეეზღუდა ინკვიზიციისათვის სასამართლოს წარმოების უფლებამოსილება. ჩამოერთმია და სახელმწიფო სარგებლობაში გადაეცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი. დიან, ახლა, როცა მან ხალხში სიყვარული და თაყვანისცემა დაიმსახურა, შეუძლია გააუქმოს გადასახადებისაგან ეკლესიის განთავისუფლების კანონი და ამგვარად აქციოს დიდი ხნის ოცნება ცხადად. ერთბაშად გააჯანსაღოს სახელმწიფოს ფინანსური მდგომარეობა და სამუდამოდ მოსპოს ეკლესიის წინააღმდეგობა ქვეყნის გათანამედროვეობისადმი.

ამგვარი აშკარა ომი მანუელის ბუნებაც როდი ეგუებოდა. ამასთანავე, პეპაც თავს არ იზოგავდა, რომ შეეკავებინა იგი გადამწყვეტი ღონისძიების გატარებისაგან. მას ბავშვობაში ენახა ველური აუტოდაფე, სასტიკი დღესასწაული, ბაირალები და მღვდლები, საბრალო ცოდვილები და კოცონები, რომლებშიაც ისინი იწვოდნენ; ეს იყო ყველაზე უმძიმესი მოსაგონარი. მისი მოძღვარი ცდილობდა პეპას სული ინკვიზიციის ბნელი მისტიკით მოეხიზლა. ბატონ ინკვიზიტორებს მასთან ურთიერთობა, მისვლა-მოსვლა ჰქონდათ. დიდი ინკვიზიტორის ახლობელმა, გრანადელმა არქიეპისკოპოსმა დესპანგმაც კი მიიღო იგი, როცა უკანასკნელად მადრიდში მცირე ხნით ჩამოვიდა.

სამოციან და სამოცდაათიან წლებში ინკვიზიციის გავლენა შემცირდა, მაგრამ, როცა პირენეებს გადაღმა შფოთმა და უღმერთობამ თავი წამოჰყო, ხელახლა გაძლიერდა. ლიბერალი დიდი ინკვიზიტორი სიერა მოხსნეს და იგი ფანატიკოსმა, ტოლედოს კარდინალ-ეპისკოპოსმა, სასტიკმა ლორენსანამ, შეცვალა. მთავრობის წახალისებით წმინდა ინკვიზიცია უღმერთობად და „ფილოსოფიზმად“ თვლიდა ყოველგვარ სულიერ მისწრაფებას, რომელიც ფრანგული თეორიებისადმი სიმპათიას გამოხატავდა და დევნა დაუწყო მრავალრიცხოვან ფრანკოფილებს. მაგრამ ახლა რესპუბლიკასთან ზავი დაიდო და შეკავშირებაზეც კი ოცნებობდნენ. თავისუფალმა მოაზროვნეებმა კვლავ უპირატესობა მოიპოვეს. ინკვიზიციის ახლად შექმნილ ძალაუფლებას საფრთხე ემუქრებოდა.

ექვიანმა პოლიტიკოსმა, ინტრიგანმა ლორენსანამ წინასწარი ზომები მიიღო. თითქმის ყველა მინისტრი და მაღალი თანამდებობის პირი,

დონ მანუელის მეტაურობით ექვემდებარებოდა იყენენ „ფილოსოფიზ-
მსა“ და „ნატურალიზმში“, ღმერთისა და ბუნების გათანაბრებაში.
ლორენსანა აგროვებდა მასალას ბატონების წინააღმდეგ, მისი ტრი-
ბუნალის არქივებში დაბეზღებები ხეავდებოდა. ნებაყოფლობითი და
დაქირავებული ჯაშუშები უთვალთვალდნენ მშვიდობის თავადის
ცხოვრებას, რასაც პეპა ტუდოს ზოგიერთ პრელატთან მეგობრობა-
მაც შეუწყო ხელი. პირველი მინისტრის ყოველი დღე და ყოველი
ღამე გულმოდგინედ შეჰქონდათ წმინდა ინკვიზიციის ნუსხაში. დაბე-
ჯითებით ამოწმებდა და ზომავდა დიდი ინკვიზიტორი, თუ როგორ
ცივდებოდა და ხურდებოდა ფავორიტის გრძნობა დედოფლის მიმართ,
რაც პეპა ტუდოსადმი სიყვარულის ტემპერატურაზე იყო დამოკიდე-
ბული. იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დონ მანუელის მდგომარეობა
არც ისე მყარი იყო და წმინდა ინკვიზიციისა არც ისე სუსტი, როგორც
მიაჩნდათ.

ლორენსანა თავს დაესხა ურჯულო მინისტრს და მოიგერია მწვა-
ლებლები. ზოგიერთი პროვინციის მთავარ ქალაქებში ინკვიზიციამ
გახსნა საქმეები ფილოსოფიურად აზროვნების გამო დიდად საპატივ-
ცემულო ადამიანების, პროფესორების, მაღალი თანამდებობის პირე-
ბის წინააღმდეგ. დაატყვევეს და ბრალი დასდეს საფრანგეთში ესპა-
ნეთის წინანდელ წარმომადგენელს გრაფ დე ასორას, ფილოლოგ
იერეგის, რომელიც კარლოს მესამის დროს მეფისწულის აღმზრდე-
ლი იყო, აგრეთვე სალამანკას უნივერსიტეტის ცნობილ მათემატიკოსს
ლუი დე სამანიეგოს.

მოუთმენლად ელოდა დიდი ინკვიზიტორი, ჩაერეოდა თუ არა საქ-
მეში პირველი მინისტრი, ეცდებოდა თუ არა თავისი ამხანაგების,
თავისუფალი მოაზროვნეების წართმევას. დონ მანუელმა ეს ვერ გა-
ბედა; სიმხდალე გამოიჩინა, წმინდა ინკვიზიციას მიმართა თხოვნით,
რომ ღმობიერება გამოეჩინა და სასტიკად არ დაესაჯა ეს ადამიანები,
ვინაიდან მათ სახელმწიფოსათვის სამსახური გაეწიათ.

ლორენსანა გადამწყვეტი დარტყმისათვის მოემზადა; მოინდომა
მოესპო თავისუფალ მოაზროვნეთა ბელადი, ევროპაში სახელგან-
თქმული მწერალი და საზოგადო მოღვაწე ოლავიდე.

დონ პაბლო ოლავიდე დაიბადა ლიმაში — პერუს დედაქალაქში.
იგი ფენომენალური ბავშვი იყო და ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა
დანიშნეს მოსამართლედ. როცა ლიმა საშინელმა მიწისძვრამ დაანგ-

რია, ოლავიდეს მიანდეს მამულებისა და თანხების ზედამხედველობა, რომლებიც მესაკუთრეთა ამოწყვეტის გამო სადავო ქონებად გადაიქცა. თანხა, რომელსაც კანონიერი მემკვიდრეები არ აღმოაჩნდა, მეტად ახალგაზრდა ბატონმა ეკლესიისა და თეატრის მშენებლობას მოახმარა. ამან გამოიწვია სასულიერო პირთა უკმაყოფილება. გაელენიან პერუელ მღვდელთმსახურთა დახმარებით, იმ მიმჩემებლებმა, რომელთა მემკვიდრეობა არ იქნა დასაბუთებული, საჩივრები მადრიდში გაგზავნეს. ოლავიდე მადრიდში გამოიძახეს, სამართალში მისცეს, თანამდებობიდან მოხსნეს, მთელ რიგ შემთხვევებში დანაკლისის ანაზღაურება დააკისრეს და ციხე მიუსაჯეს. მალე ავადმყოფობის გამო გამოუშვეს და განათლებული ადამიანები ისეთი ზეიმით შეხვდნენ, როგორც წამებულს. ერთი შეძლებული ქერივი ცოლად გაჰყვა. ოლავიდემ მოახერხა მოუხდელი სასჯელის მოხსნა და წავიდა სამოგზაუროდ. ხშირად ჩადიოდა პარიზში. ერთი სასახლე ესპანეთის დედაქალაქში შეიძინა და მეორე — საფრანგეთის დედაქალაქში. მეგობრობა დაამყარა ვოლტერთან, რუსოსთან და მათთან მიწერ-მოწერა ჰქონდა. პარიზში ინახავდა თეატრს, რომელშიაც თავის ნათარგმნ თანამედროვე ფრანგულ პიესებს დგამდა. კარლოს მესამეს ლიბერალი მინისტრი არანდა განსაკუთრებულ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხებში მას რჩევისათვის მიმართავდა. მთელი ევროპა პაბლო ოლავიდეს პროგრესული იდეების მატარებლად თვლიდა.

სიერა მორენას სამხრეთ ფერდობზე გადაჭიმული ვრცელი მამულები ადრე რომ მუშავდებოდა, მავრებისა და მორისკების გაძევების შემდეგ გავერანებულ იქნა. მეცხოველეობის გაერთიანება — მესტამ — მიალწია იმას, რომ ეს მიწები სამუდამოდ მას გადასცემოდა უსასყიდლოდ თავისი მრავალრიცხოვანი მომთაბარე ცხვრის ფარების იალაღებად. ახლა კი, ოლავიდეს დაყენებით, მთავრობამ მესტას ეს პრივილეგია წაართვა და ოლავიდე აღჭურვა გავერანებულ მიწების ახალშენის Nuevas Poblacines მოწყობის უფლებით. ბავარიელი პოლკოვნიკის, ტიურრიგელის, დახმარებით მან იქ ათი ათასამდე გლეხი დაასახლა. უმეტესად გერმანელები, აგრეთვე ლიონელი მეაბრეშუმეები და მქსოველები. თავად კი ამ მიდამოების გუბერნატორად დანიშნეს და დიდი უფლებებით აღჭურვეს. ნება დართეს თავისი კოლონია ლიბერალურად ემართა. ახალდასახლებულებს შეეძლოთ თავიანთი სამშობლოდან მღვდლები ჩამოეყვანათ, თვით პროტესტან-

ტებიც კი. სულ რამდენიმე წელიწადში ოლავიდემ უდაბნო აყვავებულ ბალნარად აქცია, გაშენდა სოფლები, პატარა ქალაქები 'სასტუმროებით, სახელოსნოებით, ფაბრიკებით.

ჰვალცელმა ჩამოსახლებულებმა თან ჩამოიყვანეს თავიანთი სულის მფარველი კაპუცინი ფრაიბურგელი ძმა რომუალდი. ის ვერ შეეგუა ლიბერალ ოლავიდეს. უთანხმოება თანდათან იზრდებოდა და რომუალდმა დააბეზლა იგი წმინდა ტრიბუნალის წინაშე, როგორც ათეისტი და მატერიალისტი. საიდუმლოდ, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, ისე, რომ ოლავიდემ არაფერი იცოდა, ინკვიზიციამ მოწმეები დაკითხა და მასალას აგროვებდა. ჯერ კიდევ ვერ ბედავდნენ ცნობილი პიროვნების წინააღმდეგ აშკარა ბრალდების წაყენებას. მაგრამ მესტას ჰყავდა გავლენიანი პროტექტორი გრანადელი არქიეპისკოპოსი დესპინგი. მან და მეფის მოძღვარმა ოსმელმა ეპისკოპოსმა, დაიყოლიეს კარლოსი მეტად ორჭოფულ განცხადებაზე, რომ ინკვიზიციას გზას არ გადაუღობავდა, თუკი ოლავიდეს, საქმეში გარკვევის მიზნით, დააპატიმრებდნენ.

ყოველივე ეს დონ მანუელის ძალაუფლების ხელში აღებამდე მოხდა. სასტიკი დიდი ინკვიზიტორი ლიბერალმა შეცვალა, ხოლო იგი კიდევ უფრო ლიბერალმა სიერამ და მთელი ამ ხნის განმავლობაში ოლავიდე ინკვიზიციის საპყრობილეში იმყოფებოდა. არ სურდათ მისი გამოშვებით წმინდა ინკვიზიციის ავტორიტეტის დაცემა, მაგრამ არც სასჯელს ადებდნენ.

ორმოცდამესამე დიდი ინკვიზიტორი დონ ფრანსისკო ლორენსანა სხვა კაცი იყო, ვიდრე მისი წინამორბედნი. მან გადაწყვიტა ოლავიდესთვის სასჯელი დაედო. ეს მაღალი წოდების გამჭირდავებისთვისაც იმის დამადასტურებელი იქნებოდა, რომ ინკვიზიცია კვლავ ცოცხლობდა და ბატონობდა.

ლორენსანამ გაიგო დონ მანუელის მერყევი ხასიათის ამბავი. მიუხედავად ამისა, სურდა ვატიკანს მისთვის მხარი დაეჭირა. სწამდა, რომ ენერგიული პიუს მეექვსე მხარს დაუჭერდა. იგი პაპს სწერდა: ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ოლავიდემ თავისი ცოდვები აუტოდაფეთი გამოისყიდოსო. მეორე მხრივ, მოფილოსოფოსოთა მიერ მხარდაჭერილი და გაღმერთებული ერეტიკოსის საჯაროდ დასჯა ასეთი ურჯულოების დროს უეჭველად გამოიწვევს თავდასხმებს უპირველეს ყოვლისა ესპანეთის ინკვიზიციისა და შემდეგ კი, შესაძლოა, მთელი

მსოფლიოს ეკლესიების მიმართაცო. ამიტომ სთხოვდა იგი წმინდა მამას მითითებებს.

აბატმა, ინკვიზიციის ერთ-ერთმა მდივანმა, გაიგო დიდი ინკვიზიტორის გულისნადები. იგი და ღონ მიგელი აგულიანებდნენ მშვიდობის თავადს მიელო ზომები და ლორენსანა დროულად გაეფრთხილებინა, რომ მთავრობა ასეთი აუტოდაფეს ნებას არ დაართავდა.

მანუელი წუთით შეცბა. მაგრამ არ მოისურვა ლორენსანას წინ გადალობებოდა. განაცხადა, რომ პაბლო ოლავიდე დატყვევებულ იქნა პირველი ლიბერალი მინისტრის არანდას დროს და მეფემ მოიწონა ეს ნაბიჯი. საქმის ასეთ ვითარებაში მე არ შემოძლია განაჩენს ხელი შევეშალოო. გარდა ამისა ეგონა, ლორენსანას მთავრობის მხოლოდ შეშინება სურდა, თორემ, უკიდურეს შემთხვევაში, განაჩენს ფარულად გამოიტანს და აუტოდაფეს არ მოაწყობსო. ის მხოლოდ პეპაზე ფიქრობდა, უდარდელსა და თავდაჯერებულს არ ესმოდა ღონ მიგელის მუდარა.

აჲ ღონ მიგელი
და ღონ დიეგო
და ღონ გასპარი
ხანგრძლივად ბეობდნენ,
არცთუ შესაშურ განწყობილებით.
ბოლოს გადაწყდა ფრანსისკოსათვის,
რომ მიემართათ, ეთხოვათ მისთვის,
დახმარებოდა. ცნობილი იყო,
ანემად პეპა ტულოს დაკვეთით,
თავადის პორტრეტს ხატავდა იგი.

4

გოია მთლიანად გაიხლართა კაეტანასადმი ვნებათა ქსელში. ეშინოდა და იმედიც ჰქონდა, ასე მოულოდნელად თავსდამცხრალი ვნება სწრაფადვე გაქრებო. ბევრჯერ ეგონა, რომ უზომოდ უყვარდა ესა თუ ის ქალი, ორი-სამი კვირის შემდეგ კი უკვირდა, ნეტავ, რამ მომაწონაო. მაგრამ კაეტანა მარად და მარად ახალი, შეუცნობი იყო მისთვის. მხატვრის ნაცადი თვალთ მისი გარეგნობის ყოველი წვრილმანი შეისწავლა ისე, რომ შეეძლო ზეპირად, დაუნახავად დაეხატა. მიუხედავად ამისა, ყოველი შეხვედრისას კაეტანა სხვა ჩანდა და ფრანსისკოსათვის გამოუცნობი რჩებოდა.

რაც არ უნდა ეკეთებინა, რაზედაც არ უნდა ეფიქრა, ეხატა, თუ

სხვებთან ელაპარაკა, კაეტანა გონებიდან არ შორდებოდა. მასთან ურთიერთობა სულ სხვა იყო, ვიდრე უშფოთველი კავშირი მასა და ჭოსეფას შორის და სულ სხვა, ვიდრე ბედნიერი თუ მტანჯველი გატაცება, რომელსაც ადრე ამა თუ იმ ქალის მიმართ გრძნობდა.

კაეტანა წამდაუწუმ იცვლებოდა და ყოველი მისი სახე მთლიანი იყო, დასრულებული. ის მრავალსახოვანი იყო. გოია ხედავდა მრავალ სახეს, მაგრამ ამ მრავალში უკანასკნელს კი ვერა. ის კი არსებობდა. გოია მას გრძნობდა, იცნობდა, მაგრამ მაინც ვერ ეპოვა ის თავისებური, გამაერთიანებელი სხვადასხვა ნიღაბქვეშ დამალული სახე. იგი ხან ერთ ქანდაკებას ჰგავდა, ხან — მეორეს, მაგრამ უმაღვე ქვად იქცეოდა, გოიასთვის მიუღწეველი და მიუწვდომელი. მხატვარი ისევ ძველ თამაშს განაგრძობდა, ხატავდა მის ამა თუ იმ სახეს სილაში, მაგრამ კაეტანას ქვეშპირიტი სახე კი იმავე სილასავით იფანტებოდა.

გოია მას ხატავდა ბუნების წიაღში, საგანგებოდ შერჩეული ლანდშაფტის ფონზე, მაგრამ ისე, რომ ლანდშაფტი ქრებოდა და გარდა კაეტანასი აღარაფერი ჩანდა. თეთრი, ამაყი, ნატიფი იდგა იგი შავი თმის ტალღებს ქვემოთ საოცრად მალლა შემართული წარბებით, წელზე შემორტყმული შარფით, მკერდზე წითელი ბაბთით. მის წინ იდგა და სულელურად გამოიყურებოდა, ერთი ბეწო თეთრი, გაქუჩქულებული პატარა ფინია, უკანა ფეხზე მიბმული წითელი ბაბთით. ეს იყო კაეტანას საკუთარი ბაბთის სასაცილო წაბაძვა. თვით კაეტანა ქედმაღლურად, ხელის გრაციოზული ეესტით მიუთითებდა თავის ფერხთქვეშ: იქ წმინდა, ნატიფი ასოებით ეწერა: „კაეტანა ფონ ალბას — ფრანსისკო დე გოია“ და ასოები მოკრძალებით მობრუნებულიყვნენ მანდილოსნისაკენ.

გოიამ ისეც დახატა, როგორც პირველად იხილა თავის ესტრადაზე, ისეც, როგორც ესკურიალის წინ ნახა სასეირნოდ გამოსული. ხშირად ხატავდა, მაგრამ მხატვარი მაინც არ იყო კმაყოფილი. ის, რამაც მამინ ესტრადაზე მოაჯადოვა, რამაც გასეირნების დროს შებოჭა, რაც განუწყვეტლივ აღელვებდა და იზიდავდა, მის სურათებში არ ჩანდა.

მიუხედავად ყველაფრისა — ბედნიერი იყო. კაეტანა უშიშრად, სხვების მოურიდებლად დადიოდა მასთან ერთად და გოია ამყობდა, რომ იგი, უხეში, ხანში შესული დაბალი წრიდან გამოსული მამაკაცი,

კაეტანას კორტეხო იყო. იგი უკანასკნელ მოღაზე იცვამდა, ხატვის დროსაც კი, განსაკუთრებით სწორედ ხატვის დროს. ასე შემოიღო წესად, როცა მადრიდში ჩამოვიდა; მაგრამ ხოსეფა აიძულებდა არ გაეჭუჭყიანებინა ძვირფასი ტანსაცმელი და უბრალო სამუშაო ხალათი ჩაეცვა; ამაზე ხოსეფამ თანდათანობით დაიყოლია და საკუთარმა მომპირნეობამაც აიძულა უბრალოდ ჩაეცვა. ახლა ხალათი ისევ გაქრა. ამასთანავე, იცოდა, რომ გამოსხებილი, მოღური ტანსაცმელი არ უხდებოდა და თავის თავს თვითონვე დასცინოდა. ერთხელ დახატა პეწენიკი, რომელიც სარკეში აკვირდება თავის თავს; არაჩვეულებრივად ჰაღალი საყელო ნიკაბთან ებჯინება, თავის განძრევა არ შეუძლია, უწველებელ ხელთათმანებში სახსრებს ვერ ამოძრავებს, ვიწრო სახელოებში კი — ხელს, დაბალქუსლიანი, ცხვირწამახული ვიწრო ფეხსაცმელები სულს ხდის.

გოია ლმობიერად ეპყრობოდა თავის თავსაც და სხვებსაც. მოთმინებით იტანდა მიგელის პედანტიზმს, აბატის სწავლულობას და გაქნილ საქმიანობას, აგუსტინის მზრუნველ გამომეტყველებას. ოჯახში მხიარული და ყურადღებიანი იყო. თავისი ბედნიერება მთელი ქვეყნისთვის სურდა ეწილადებინა.

თუ კაეტანა ბავშვურად მოიქცეოდა, თვითონ კიდევ მეტს იზამდა. თუ იგი მოულოდნელად ეწვეოდა, ყირამალა დადგებოდა და ფეხებით მიესალმებოდა. სიხარულით იყენებდა თავის ხელოვნებას მის გასაცინებლად. უხატავდა თავის საკუთარ სახეს სულელურ სიფათად, არაჩვეულებრივად დამახინჯებული თავებით ხატავდა დუენია ეუფემიას, პრანჟია მარკიზ დე სან ადრიანს, გულკეთილ, მოყვყეჩო, ჩასუქებულ მეფეს. ხშირად დადიოდნენ თეატრში და იქ გულიანად იცინოდა სულელურ ტონადილიებსა და კუპლეტებზე. მალიმალ ეწვეოდნენ მანოლერიას; მახების ღვინის სარდაფში სიხარულით ხედებოდნენ სასურველ სტუმრებს.

სიბერის საზღვარს მიღწეული გოია ხელმეორე ახალგაზრდობას განიცდიდა. აქამდე ყველაფერი გამოცდილი ჰქონდა, კარგიცა და ავიც. ყველაფერი ერთგვარი იყო, როგორც ნაცნობი კერძების გემო. ახლა კი ცხოვრება მრავალფერად და ახლებურად წარმოესახა. ეს იყო მისი მეორე ახალგაზრდობა.

ამასთანავე სწამდა, რომ ბოროტი სულები ჩასაფრებული ჰყავდა და ამ დიდ ბედნიერებას დიდი უბედურება მოჰყვებოდა. განა არ იხილა

შუადღისეული მოჩვენება? მაგრამ კატანას შემოჭრა მის ცხოვრებაში დიდი ბედნიერებაა და მზადაა ამისათვის საფასური არ დაიშუროს.

ბედნიერებამ მის შემოქმედებაზეც იქონია გავლენა. ხელი მსუბუქი ჰქონდა, თვალი სწრაფი, მახვილი, შეუცდომელი. დაწერა ჰერცოგ დე კასტრო ტერენოს პორტრეტი, ღონ მიგელის სურათი, აბატის სურათი; ამას გარდა ღონ მანუელმა კიდევ ორი პორტრეტი შეუკვეთა სხვადასხვა პოზაში.

შემდეგ საკუთარი თავის გასახარებლად დახატა კიდევ ერთი რთული სურათი, რომელიც მისთვის არავის არ დაუკვეთია და რომელიც დიდ სიფაქიზეს მოითხოვდა: ეს იყო რომერია, სალოცავად სვლა დედაქალაქის მფარველ წმინდა ისიდროს პატივსაცემად.

წმინდა ისიდროს მინდორზე სამხიარულოდ გასვლა მადრიდელების საყვარელი თავშესაქცევი იყო. თვითონ ფრანსისკომ, ხოსეფას უკანასკნელი მშვიდობიანი მომშობიარების აღსანიშნავად, წმინდა ისიდროს მინდორზე სამასი მეგობრისათვის გამართა ზეიმი, მამალი ინდაურის ხორცი მიირთვეს და წირვა მოისმინეს, როგორც წესი მოითხოვდა. ასეთი რომერიების ხატვა განსაკუთრებით იზიდავდა დედაქალაქის მხატვრებს. ამას აკეთებდა მათა და მისი ცოლისძმა ბაიეუც. თვითონ გოიამაც დახატა ათიოდე წლის წინ წმინდა ისიდროსადმი მიძღვნილი ეს სახალხო დღესასწაული მეფის გობელენის მანუფაქტურისთვის. მაგრამ ეს დღესასწაული მხოლოდ ხელოვნური მხიარულება იყო ნიღბებიანი კავალრების და ქალბატონებისა. ახლა კი იგი საკუთარი თავისა და თავისი მადრიდის მოზღვავებულ სინარულს ხატავდა.

იქით, შორეთში, უკანა პლანზე
დაჩნდა საყვარელ ქალაქის სახე:
„ანურჩევლობა გუმბათებისა,
კოშკები, თეთრი ტაძრების ელვა,
აი, სასახლეც... წინა პლანზე კი
მშვიდად კრიალებს მანსანარესი.
და მდინარეზე შეურილი ხალხი
ლხინობს, ზეიმობს და აღიდეგენ
თავის მშობლიურ ქალაქის მფარველს.
მიდი-მოდიან ბედნიერ სახით
ცხენოსნები და ეკიპაჟები.

ზეერი ნამცეცა ფიგურა მოჩანს
დიდი გულდასმით გამოყვანილი.
ვინ ზის, ვინ კიდე მწვანე მინდორზე
წამოწოლილა. სვამენ, ხუმრობენ,
ჰამენ, ყბედობენ და იცინიან.
შეღერებული კავალერები.
ქალაქის მკვიდრნი, ყაჩაღანა ქალიშვილები.
ბოლო მათ ზემოთ ნათელი ცა—
ცის სილაცვარდე... გოიამ თითქოს
აქ, ამ სურათზე გადაიტანა:
გულის ხალისი; თვალის შუქი, ხელის სიმარჯვე.
წამოიბერტყა საბოლოოდ და გადააგდო
სწორხაზოვნების უმკაცრესი მეცნიერება,
ის რაც აქამდე სულს უბოჰავდა...
გათავისუფლდა.
დღეს ლაღი იყო, —
„რომერიაში“ ჰქონდა ზემი:
სინათლეს, ფერებს და პერსპექტივას.
წინა პლანზეა — მდინარე, ხალხი,
იქით, შორეთში, უკანა პლანზე —
თეთრი ქალაქი და ყველა ერთად
ერთმანეთს ერწყმის ერთი ერთობით.
ხალხი, ქალაქი, ტალღები, ზეცა
ერთად ქცეულან,—
მსუბუქი, ბედნიერ
და ფერადოვან სინათლედ მოჩანს.

5

ფრანსისკომ დონ გასპარ ხოველიანოსის ბარათი მიიღო, თავაზიანად და დაეინებით რომ იწვევდა „ჩაიზე“. ლიბერალები უპირატესობას ჩაის ანიკებდნენ არისტოკრატიულ, რეაქციულ მოკოლადთან შედარებით. სწორედ ჩაისადმი სიყვარულს და მონარქიული ხელისუფლების მიერ მისი ფასის გადიდებით გამოწვეულ აღშფოთებას მოჰყვა ამერიკის ინგლისურ კოლონიებში რევოლუცია და თავისუფლება.

გოიას არც ეს ნელთბილი სასმელი უყვარდა და არც პედანტი, ფიცხი ხოველიანოსი, მაგრამ, როცა კაცი ამგვარი თავაზიანი მიძალებით ეპატყებოდა, უარის თქმას გულშიც ვერ გაივლებდა.

ხოველიანოსთან მცირერიცხოვანი საზოგადოება დახვდა; აქ იყ-

ნენ: დონ მიგელ ბერმუდესი, დიდი ფინანსისტი გრაფი კაბარუსი, და, ცხადია დონ დიეგოც. სტუმართა შორის ფრანსისკო არ იცნობდა ერთადერთ კაცს — ადვოკატსა და მწერალს — ხოსე კინტანას. გოიასაც სხვებივით ზეპირად ახსოვდა მისი ლექსები, პოეტს ისინი თექვსმეტი წლის ასაკში დაეწერა. კინტანა დღესაც ძალზე ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ოც. ოცდაერთ წელს ძლივს მისცემდით. თვითონ გვიან მომწიფებული გოია უნდობლად უყურებდა ახალგაომცხვარი ტალანტების ნამოღვაწარს. მაგრამ მოეწონა ხოსე კინტანას თავმდაბლობასთან შეხამებული სიმკვირცხლე.

კედელზე ეკიდა გოიას მიერ ამ ოცი წლის წინ, მადრიდში ჩამოსვლის დროს, დახატული მასპინძლის დიდი პორტრეტი. შნოიან, უბრალო საწერ მაგიდასთან იჯდა მოხდენილი, თავაზიანი ხოველიანოსი. თვით კაცს, მის ჩაცმულობას, ავეჯს ზედმიწევნით ნატიფი გემოვნების იერი დაჰკრავდა. დღევანდელი ხოველიანოსის პირქუში სათნოების კვალიც კი არ ჩანდა სურათზე. შესაძლოა მაშინ მეტად ლმობიერი იყო, მაგრამ ცხადია, ასეთი უწყინარი და რბილი კი — არა. და გოიას მიუხედავად ახალგაზრდობისა, იგი ასე მცდარად არ უნდა მოსჩვენებოდა.

როგორც გოია მოელოდა, ლაპარაკი პოლიტიკას შეეხებოდა. ისინი კიცხავდნენ მშვიდობის თავადის საქმიანობას. რასაკვირველია, მინისტრი მეტისმეტად თავდაჯერებული იყო. ახლა, როცა დონ მანუელს ხატავდა, გოიას შეეძლო უშუალოდ დაკვირვება, თუ როგორი თვითკმაყოფილი დაუდევრობით, თავისი საქციელით, მთელი გარეგნობით ადასტურებდა თავის ახალ ღირსებას. მაგრამ განა ვნებდა ქვეყანას ეს პატავმოყვარეობა? განა მუდამ არ იყო კეთილგანწყობილი მანუელი ყოველგვარი სიახლის მიმართ? განა არ გამოუყენებია თავისი პოპულარობა კეთილმოყოფელი რეფორმისათვის?

— მშვიდობის თავადის ღონისძიება ცალმხრივია, — განაცხადა ხოველიანოსმა. — მთავარი იყო და არის ბრძოლა ინკვიზიციის წინააღმდეგ, ეკლესიის წინააღმდეგ. პირველი მინისტრის შიში კი არაფრით განსხვავდება მდაბიოს შიშისაგან ინკვიზიციის წინაშე. ყოველგვარი სერიოზული მიზანშეწონილი გარდაქმნა, — განაგრძობდა იგი ცხარედ თავისი მკლერი ფანატიკური ხმით, — სამღვდელოების ალაგმვას უნდა ისახავდეს პირველ მიზნად, ვინაიდან ეკლესია ხელს უწყობს და იცავს ყოველგვარი უბედურების საფუძველს — მასების უვიცობას. საშინე-

ლებაა, რაც მადრიდში ხდება, მაგრამ არანაკლებ გულსაკლავია პროვინციებში გამეფებული უფიცობა და ცრუმორწმუნეობა. დონ ფრანსისკოს შეუძლია ნახოს ექიმ პერალის კოლექცია სანთლისაგან გამოწერწილი ქრისტეს პატარა ფიგურებისა, რომელიც ექიმს მონასტრის ნებადის მეოხებით შეუძენია.

— მონაზვნები, — განაგრძობდა იგი, — ამ წმინდა ფიგურებით ისე თამაშობენ, როგორც თოჯინებით. პატარა ქრისტეებს ხან მღვდლებივით გამოაწყობენ, ხან მოსამართლეებივით, ხანაც პარიკიან ექიმებად ოქროსბუნჯიანი ყავარჯნებით ზელში. როგორ უნდა გავატაროთ იმ ქვეყანაში ჰიგიენური ღონისძიებანი, როცა თვით პერცოგის მეუღლე მედინა-კოელიც კი თავის ავადმყოფ ვაჟს წმინდა იგნატეს დანაყილი თითის ფხვნილს აძლევს ნახევარს წვნიანში და ნახევარს კლისტირში? ინკვიზიცია კი სასტიკად უსწორდება ყველას, ვინც ასეთი საშუალების სასწაულმოქმედებაში დაექვედება.

აქ შეწყვიტა სიტყვა და ღიმილით წარმოთქვა:

— მაპატიეთ, ცუდი მასპინძელი გახლავართ. პურ-მარცლის მაგიერ ჩემი ღვარძლის მწარე სასმელით გიმასპინძლდებით, — და უბრძანა, მოეტანათ ჰიპოკრასი, პახარეტე, ხილი, პაშტეტები და ტკბილეულობა.

ახლა სიტყვა სურათებსა და წიგნებზე ჩამოვარდა. აბატმა სთხოვა ახალგაზრდა კინტანას, თქვენი რამდენიმე ლექსი წაგვიკითხეთო. პოეტს ბევრი ხვეწნა არ დასჭირვებია. მაგრამ ამჯობინა, წაეკითხა ახალი, საკმაოდ გაბედული პროზაული ნაწარმოები. მსმენელებს განუმარტა, რომ ეს იყო მოკლე ბიოგრაფია იმ პატარა პორტრეტების „მინიატურების“ მსგავსი, რითაც წინათ იწყებოდა წიგნები და ახლა ისევ შემოდის მოღაშით. როცა ყველა დაეთანხმა, დაიწყო კითხვა ინკვიზიციის ყველაზე უღირსშესანიშნავესი მარტვილის, ტოლედოს ეპისკოპოსის, დომინიკანელი ბართლომე კარანსას ცხოვრების აღწერისა.

თუმცა სამასი წელი გავიდა,
რაც მიიცვალა, მიუხედავად
ამისა, ხალხში მისი პატივი
კვლავ ითვლებოდა დანაშაულად.
და მაინც ხალხის ხსოვნამ აცოცხლა,
ახსოვდათ მისი ნათელი საქმე,

მის წმინდა სიბრძნეს არ იეიწყებდნენ..
ლაპარაკობდნენ, რაღა თქმა უნდა,
მხოლოდ მალეით და
მხოლოდ ჩურჩულით.

6

ღონ ბართლომე კარანსამ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიიღო თეოლოგიის პროფესორობა და მალე ესპანეთის ეკლესიის პირველი მოძღვარი გახდა. კარლოს მეხუთემ თავის წარმომადგენლად გაგზავნა ტრიენტის ტაძარში სადაც მან თავის ქვეყანასა და ეკლესიას ფასდაუღლებელი სამსახური გაუწია. კარლოსის მემკვიდრეს, ფილიპე მეორეს, ინგლისსა და ფლანდრიაში ყოფნისას სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ რჩევას აძლევდა, რისთვისაც კარანსას ტოლედოს არქიეპისკოპოსობა და, მაშასადამე, სახელმწიფოს პრემიასობაც მიენჭა. ღმერთმსახურთა მოვალეობის პირნათლად შესრულების მკაცრმა მოთხოვნამ და მისმა არაჩვეულებრივმა სათნოებამ კარანსას მთელ ევროპაში თავისი დროის ღირსეული ღვთისმოსავის სახელი მოუხვეჭა.

მაგრამ იგი არ იყო პოლიტიკოსი; მისმა მალაშმა თანამდებობამ. მისმა მოუსყიდველმა, უღმობელმა სიმტკიცემ, როცა საქმე მალალი სასულიერო პირების მოვალეობას შეეხებოდა, მისადმი შური და მტრობა გააღვიძა.

მისი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო სევილიის არქიეპისკოპოსი ღონ ფერნანდო ვალდესი. კარანსამ, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ ღვთისმოსავობის საბაბით აიძულა იგი თავისი სამწყსოს შემოსავლიდან ორმოცდაათი ათასი ღუკატი სამხედრო ბეგარა გადაეხადა ფილიპე მეორისათვის; ღონ ფერნანდო ვალდესი ფულის დიდი მოყვარული იყო. გარდა ამისა კარანსამ ხელიდან გამოაცალა ქვეყნის უმდიდრესი შემოსავლიანი ტოლედოს საარქიეპისკოპოსო, რომელიც წელიწადში რვა-ათ მილიონამდე შემოსავალს იძლეოდა. ღონ ფერნანდო ვალდესი ღელსაყრელ შემთხვევას ელოდებოდა კარანსასთან ანგარიშის გასასწორებლად.

ამის შესაძლებლობა მიეცა, როცა ვალდესი დიდ ინკვიზიტორად დანიშნეს. არქიეპისკოპოსმა კარანსამ კატეხიზმოს კომენტარები დაწერა და ამ კომენტარებმა ბევრი ქებაც დაიმსახურა და ძაგებაც. სწავლულმა დომინიკემ მეღჩორე კანომ, რომელიც კარანსაზე თეო-

ლოგის საკითხებში აზრთა სწვადასხვაობის გამო განაწყენებული იყო, ამ წიგნის ცხრა ადგილი მწვალებლურად მიიჩნია. შემდეგ კიდევ შემოვიდა მსგავსი განცხადებანი და დაბეზლებანი კარანსას ორაზროვანი სიტყვების გამო. დიდი ინკვიზიტორი გაეცნო ჩვენებებს, შეისწავლა ისინი და საკმარისად ჩათვალა მხილებანი საქმის აღსაძრავად.

კარანსამ რაკი გაიგო, რომ მისი წიგნის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, წარმოადგინა შეფასებანი სახელმძოვქილი თეოლოგებისა, რომლებიც ამ ნაშრომის სამაგალითო ღვთისმოსაობასა და მართლწმინდობას მაღალფარდოვანი სიტყვებით აღიდებდნენ და მხარის დასაჭერად მიმართა თავის გაზრდილს ფილიპე მეფეს, რომელიც იმჟამად ფლანდრიაში იმყოფებოდა. დიდმა ინკვიზიტორმა იცოდა, მეფის დაბრუნების შემდეგ კარანსას ხელს ველარ ახლებდა და გადაწყვიტა, აღარ დაეყოვნებინა.

კარანსა სამსახურებრივი მოვალეობის გამო ტორელაგუნაში გაემგზავრა. ინკვიზიციამ ბრძანება გასცა, ორი დღის განმავლობაში იმ ადგილებში არცერთი მცხოვრები გარეთ არ გამოსულიყო. პატარა სასახლეს, სადაც არქიეპისკოპოსი იმყოფებოდა, შეიარაღებული ჯარისკაცებით ალყა შემოარტყა. ვაისმა მოწოდება: „კარი გაუღეთ წმინდა ინკვიზიციას“. ატრემლებული თვალებითა და პატიების მუდარით მოიყარა მუხლი ინკვიზიტორმა დეკასტრომ არქიეპისკოპოსის სარეცელის წინაშე და გადასცა მას ბრძანება დატყვევების თაობაზე. კარანსამ პირჯვარი გადაიწერა და თავი დაატუსაღებინა. ისე გაქრა ადამიანის თვალთაგან, თითქოს მიწამ უყო პირი.

დიდმა ინკვიზიტორმა სასწრაფოდ მიაშურა ფილიპე მეფეს ფლანდრიაში და საქმის ვითარება აუწყა. ეპისკოპოსიდან მოყოლებულ და უფრო მაღლა მდგომ საეკლესიო პირებს ინკვიზიცია ხელს ვერ ახლებდა. ამის უფლება მხოლოდ პაპს ჰქონდა. მაგრამ ვალდესმა წმინდა პაპს გამოსტყუა დამოუკიდებლად მოქმედების უფლება, განსაკუთრებული სახიფათო შემთხვევების დროს კვლევაძიება ეწარმოებინა რომიდან თანხმობის მიუღებლად. ეს შემთხვევა სწორედ ასეთიაო— განუმარტა მეფეს და წარუდგინა მხილებანი. ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტოლედოს საეპისკოპოსოს საკუთრებას ყადაღა დაადო და რომ საკვლევაძიებო ხარჯების დაფარვის შემდეგ ინკვიზიცია შემოსავალს, მეფის ხაზინას გადასცემდა. ყოველივე ამის შემდეგ ფილიპემ დაინა-

ბა, რომ მისი მრჩეველი და სულიერი მოძღვარი მწვალებლობისკენ გადახრილიყო და მოიწონა დიდი ინკვიზიტორის ნამოქმედარი.

კარანსა ვალადოლიდში გადაიყვანეს. იქ, სან პედროს გარეუბანში, ის და მისი ერთადერთი მხლებელი ორ დახუთულ და ბნელ ოთახში ჩაამწყვდიეს.

დაიწყო გულისგამაწვრილებელი კვლევა-ძიება. ოთხმოცდაცამეტი მოწმეს დაჰკითხეს, გადააქოთეს ტოლედოს არქივებისკოპოსის ვეება არქივი, ამოქექეს ქადაგების შავად ნამუშევარი, რომელიც ორმოცი წლის წინ, სტუდენტობის დროს ეწარმოებინა კარანსას. გამოძებნეს ადგილები მწვალებლური წიგნებიდან, რომლებიც მას დასაგმობად ამოეწერა, როგორც ტრიესტის ტაძრის რწმუნებულს, და უამრავი მსგავსი საეჭვო საბუთი.

წმინდა მამის მიერ ინკვიზიციისათვის მინიჭებული უფლებამოსილება ეალდესს დამნაშავეს მხოლოდ დატყვევებისა და მასალის შეკრების ნებას აძლევდა. პაპი პავლე მოითხოვდა, რომ ტუსალი და მასალები მისთვის რომში გადაეგზავნათ. დიდი ინკვიზიტორი ამას გვერდს უხვევდა, ხოლო მეფე ტოლედოს საეპისკოპოსოს შემოსავლით ტყებობდა. ამასობაში პაპი პავლე გარდაიცვალა, იგი პიუს მეოთხემ შეცვალა. რომის მიერ ბოძებულ უფლებამოსილებას ორი წლის შემდეგ ვადა გაუვიდა. პაპმა პიუსმა მოითხოვა ტუსალისა და კვლევა-ძიების საბუთების გამოგზავნა. დიდი ინკვიზიტორი ამას თავს არიდებდა, ხოლო მეფე საარქივოსკოპოსოს შემოსავლიდან პაპის ნებოტს პენსიას უხდიდა. პიუსმა უფლებამოსილება ჯერ ორი წლით გაუგრძელა, შემდეგ კიდევ ერთი წლით.

ამასობაში კარანსას საქმემ ევროპაში უკმაყოფილება გამოიწვია. ტრიენტის ტაძარმა კარანსასადმი უპატიურ მოპყრობაში დიდი უსამართლობა, ეკლესიის შერყვნა და პრელატების ხელშეუხებლობაზე ინკვიზიციის თავდასხმა დაინახა. ტაძარმა კარანსას კატეხიზმოს კომენტარები, ის ნაწარმოები, ესპანეთის ინკვიზიციამ რომ მწვალებლობის მთავარ საბუთად მიიჩნია, არათუ მწვალებლობის მთავარ საბუთად ჩათვალა, არამედ კათოლიკური რწმენით გამსჭვალულ და მთელი მსოფლიოს მორწმუნეთათვის სანუკვარ, საკითხავ წიგნად აღიარა.

ამასთანავე, პაპმა პიუსმა ტაძარსა და მთელ ქვეყანას აუწყა, რომ უწმინდესი ტახტი კათოლიკე მეფის სასტიკი სიჯიუტით შერყვნილია. ინკვიზიციის უფლებამოსილება კარანსას საქმის წარმოებაში მომავა-

ლი წლის პირველი იანვრისათვის ძალას კარგავდა და დატყვევებული არქიეპისკოპოსი საკვლევადიებო მასალებთან ერთად რომის ხელი-სუფლებისათვის უნდა გადაეცათ. მაგრამ ინკვიზიციას ხელი დააფარა ფილიპე მეფემ. მას არ სურდა ტოლედოს საეპისკოპოსოს შემოსავლის დაკარგვა და პაპისათვის დათმობა თავისი პრესტიჟის დაცემად მიაჩნდა. კარანსა ვალადოლიდში დარჩა ტყვედ.

პაპმა დიდი აზბით განაცხადა: თუ არქიეპისკოპოსის გადაგზავნას კვლავ დააყოვნებდნენ, ყოველი დამნაშავე ipso facto ეკლესიიდან განიდევნებოდა, ჩამოერთმეოდა წოდება, თანამდებობა და დამნაშავედ ჩაითვლებოდა; ამო იქნებოდა მომავალში ისევ ძველი თანამდებობის დაკავების სურვილი, ხოლო კარანსა დაუყოვნებლივ უნდა გადასცემოდა პაპის ნუნციას, ფილიპე მეფემ პასუხი არ გასცა; კარანსა დარჩა ვალადოლიდის საპყრობილეში.

ბოლოს და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ პაპის რწმუნებულები, ესპანეთის ინკვიზიტორებთან ერთად, ესპანეთის მიწაზე გაარჩევდნენ კარანსას საქმეს.

რომმა ოთხი ისეთი რჩეული ელჩი მიავლინა, როგორც ჯერ არც ერთი მბრძანებლისათვის არ გაეგზავნა. ერთი იყო შემდეგში პაპი გრიგოლ მეცამეტე, მეორე მომავალი პაპი ურბან მეშვიდე, მესამე — კარდინალი ალდობრალდინი, მომავალი პაპის, კლიმენტი მერვის ძმა, მეოთხე — შემდეგში პაპი სიქსტუს მეხუთე. დიდმა ინკვიზიტორმა წარჩინებული გვამები ღირსეულად მიიღო, მაგრამ მოითხოვა, რომ საქმე გაერჩიათ ინკვიზიციის უმაღლესი ტრიბუნალის მეთაურობით, ე. ი. თხუთმეტ ინკვიზიტორთან ერთად. ეს იმას ნიშნავდა, რომ მათ ცხრაშეკეტი მხოლოდ ოთხი ხმა ექნებოდათ. ვიდრე ამაზე დაობდნენ, გარდაიცვალა პაპი პიუს მეოთხე. სასიკვდილო სარეცელზე გამოტყდა. გაუმაძღარი კათოლიკე მეფის გულისთვის შეეცოდნენ ეკლესიის კანონების, კარდინალებისა და ტაძართა სურვილის წინააღმდეგ არქიეპისკოპოს კარანსას საქმეში. არაფერი ისე არ უღრღნიდა გულს, როგორც კარანსას საქმისადმი გამოვლენილი სისუსტე.

გარდაცვლილი პაპის მემკვიდრე გახდა უხიაიე პიროვნება, პიუს მეხუთე. მალე ესპანეთის ელჩმა სუნოტამ შესჩივლა თავის მეფეს, წმინდა მამა სახელმწიფოს საქმეებში გამოუცდელია და არა აქვს არავითარი კერძო ინტერესი, სამწუხაროდ, მხოლოდ იმას აკეთებს,

რაც სამართლიანად მიაჩნიაო. მართლაც ახალმა პაპმა განაცხადა, რომ იურისდიქცია დიდი ინკვიზიტორისა და მისი ბატონებისა სწორედ ამით ამოიწურებოდა. დიდ ინკვიზიტორს ვალდებს დაევალა დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა დატუსაღებული არქიეპისკოპოსი რომში წასამგზავრებლად, სადაც პირადად პაპი განსჯიდა მის საქმეს. ამ საქმის საბუთები სამი თვის განმავლობაში უნდა ჩასულიყო რომში. ყოველივე ეს ღვთის წყრომის მოციქულების—პეტრესა და პაულეს შერისხვისა და ეკლესიის მიერ შეჩვენების შიშის ქვეშ უნდა გაკეთებულიყო.

ფულის, ძალაუფლებისა და შურისძიების მოყვარული ვალდესი მზად იყო ახალი პაპის წინააღმდეგ გაელაშქრებინა. მაგრამ შინაურ და საგარეო პოლიტიკაში გახლართულმა კათოლიკე მეფემ ინტერდიქტს თავი აარიდა. კარანსა პაპის ლეგატს ხელიდან ხელში გადაეცა და იტალიაში გადაგზავნეს.

ათი წელი დაჰყო არქიეპისკოპოსმა ტყვეობაში, ახლა კი წმინდა ანგელოზის კოშკში კეთილმოწყობილად, მაგრამ მაინც ტყვეობაში ცხოვრობდა, ვინაიდან პიუს მეხუთემ, როგორც საქმის კაცმა, ბრძანა ხელახლა დაეწყოთ კვლევა-ძიება. მთელი აუარებელი მასალა ითარგმნა იტალიურ და ლათინურ ენებზე. ჩვიდმეტი კაცისგან შემდგარი საგანგებო საბჭო პაპის თავმჯდომარეობით ყოველ კვირა ბჭობდა, მათ შორის ოთხი იტალიელი იყო. კათოლიკე მეფე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქმის მსვლელობას და განუწყვეტლივ გზავნიდა ახალ მასალას.

პროცესი ჭიანჭურდებოდა. რვა წელიწადს ესპანეთის ციხეში ჯდომას იტალიაში ხუთი წლის პატიმრობა დაემატა.

ბოლოს წმინდა მამამ ყოველივე დადებითი და უარყოფითი აწონდა-აწონა. მან და მისმა სასამართლომ კარანსას მწვალებლობის ბრალდება მოუხსნეს. განაჩენი თვით პაპის მეთვალყურეობითა და მზრუნველობით იყო შედგენილი და მრავალი საბუთით დამტკიცებული. მიუხედავად ამისა, წმინდა მამამ არ გამოაცხადა განაჩენი და თავაზიანობისათვის ჯერ მეფე ფილიპეს წარუდგინა.

მაგრამ გამმართლებელ და ღასაბუთებულ განაჩენის პროექტს ესპანეთში კვალდაკვალ მოჰყვა პაპი პიუს მეხუთის გარდაცვალების ამბავი. განაჩენი არ გამოცხადებულა. იგი გაქრა.

პიუს მეხუთის შემცვლელმა გრიგოლ მეცამეტემ, ცხადია, იცოდა გამმართლებელი განაჩენის ამბავი, მაგრამ იგი ადრე ერთ-ერთი დღე-ღამე ვატიკანის იყო იმ ოთხიდან. რომელიც წმინდა ტასტმა თავის მხრივ გაგზავნა ესპანეთში კარანსას საქმის გამო და იცნობდა კათოლიკე მეფის ჯიუტ ხასიათს. მან განაცხადა, ხელახლა თვითონ შეეუდგებოდა კვლევა-ძიებასო.

ფილიპე მეფე ახალ-ახალ მასალებს გზავნიდა. შემდეგ, სულ მალე მისწერა პაპს, მთელი არსებით დარწმუნებული ვარ კარანსას მწვალებლობაში და დაბეჭითებით მოვითხოვ მის სასწრაფოდ დასჯასო. სანი ევირის შემდეგ მან პაპს ხელმეორედ საკუთარი ხელით მისწერა მკაცრი და მკვერმეტყველური ბარათი, რომლითაც კარანსას კოცონზე დაწვას მოითხოვდა. სხვა, უფრო ლომობიერ სასჯელს იქნებ კარანსასთვის შესაძლებლობა მიეცა შორეულ მომავალში კვლავ დაებრუნებინა თავისი საარქიებისკოპოსო. აუტანელი იქნებოდა ესპანეთის მეფისთვის, რომ მის საბრძანებელში უმაღლესი სასულიერო თანამდებობა მწვალებელს ჰქონოდა.

მაგრამ პაპმა უკვე გამოუტანა დიპლომატიური განაჩენი არქიებისკოპოსს. ვიდრე ეს ბარათი მასთან მიაღწევდა. კარანსას ბრალი ედებოდა თექვსმეტ შემთხვევაში მწვალებლობისაკენ მსუბუქ გადაჭრაში, რაც საქვეყნოდ უნდა მოენანიებინა და ხუთი წლით უნდა აეღო ხელი თავის თანამდებობაზე. ამ ხნის განმავლობაში უნდა ეცხოვრა ორვიეტოს ერთ მონასტერში და თავის სარჩენად თვეში მიეცემოდა ათასი კრონი. გარდა ამისა, ევალებოდა მსუბუქი მონანიება.

გრიგოლ პაპმა ფილიპე მეფეს საკუთარი ხელით მინაწერ ბარათში აუწყა განაჩენი. სწერდა: „დიდად ვწუხვართ, რომ იძულებული გავხდით დაგვესაჯა ასეთი შესანიშნავი, უმწიკვლო, განსწავლული, სათნო ადამიანი. იმედი არ გავგიმართლდა და ვერ შევძელით მისი გამართლება“.

ჩვიდმეტი წელი დაჰყო ესპანეთისა და იტალიის საპყრობილებებში დონ ბართოლომე კარანსამ, ტოლედოს არქიებისკოპოსმა, კაცმა, რომელიც იბერიის ნახევარკუნძულზე ოდესმე ფეხდადგმულ წმინდანთა შორის უწმინდეს კაცად მიაჩნდა ათასობით ადამიანს. პაპები—პაულე მეოთხე, პიუს მეოთხე და პიუს მეხუთე გარდაიცვალნენ სანამ იგი თავის განაჩენს შეიტყობდა.

უარყო თუ არა არქიებისკოპოსმა ვატიკანში თავისი ცდომილება.

გაეშურა იმ საეკლესიო მონანიების ვალის მოსახდელად, რომელიც წმინდა მამამ დააკისრა. ეს კი იმაში მდგომარეობდა, რომ რომის შეი-
დი ეკლესია უნდა მოენახულებინა. პატივისცემისა და თანაგრძნობის
გამოსახატავად გრიგოლ პაპმა ამ მოგზაურობისთვის თავისი ტახტრე-
ვანი და მსლებლებისათვისაც კი ცხენები შესთავაზა. მაგრამ კარანსამ
უარი განაცხადა. იგი ფეხით წავიდა. გზაზე ათიათასობით ადამიანმა
მოიყარა თავი, ბევრი შორიდანაც მოდიოდა მის სანახავად, მოწიწების,
პატივისცემისა და მოკრძალების გამოსახატავად. მისი მონანიება ისეთ
ტრიუმფად იქცა, როგორიც თვით პაპსაც იშვიათად ხედომია წილად.

როცა კარანსა მოსანანიებელი მოგზაურობიდან დაბრუნდა, ძლი-
ერი ტკივილები დაეწყო და ლოგინად ჩავარდა. რამდენიმე დღეში ცხა-
დი გახდა, რომ მისი აღსასრული ახლოვდებოდა. პაპმა ცოდვების შენ-
დობა და თავისი სამოციქულო ლოცვა-კურთხევა გამოუგზავნა. კარან-
სამ მოითხოვა შეიდი სასულიერო პირი. შენდობის მიღების შემდეგ
და უკანასკნელი ზიარების მიღების წინ, მათი თანდასწრებით საზე-
იმოდ განაცხადა: „ვფიცავ ყოვლისშემძლეს, ვის წინაშეც მალე წარ-
სდგები პასუხსაგებად, მეუფეთა მეუფეს, ვისი ძალაც ამ წმინდა
ზიარებაშია, რომელიც მე უნდა მივიღო, რომ მთელი იმ ხნის განმავ-
ლობაში რაც ღვთისმეტყველებას ვასწავლიდი და შემდეგში ესპანეთ-
ში, გერმანიაში, იტალიაში და ინგლისში რასაც ვწერდი, ვქადაგებ-
დი. ვკამათობდი და ვწირავდი — მუდამ ქრისტეს რჯულის მღალა-
დებელი ვიყავი და მწვალებლობასთან საბრძოლველად ვიღვწოდი.
ღვთის წყალობით მრავალი ადამიანი ვაზიარე კათოლიკურ რწმენას.
ამის მოწამეა ფილიპე მეფე, ჩემი სულიერი ძე დიდი ხნის მანძილზე.
მიუვარდა და ახლაც მიუვარს იგი მთელი სულითა და გულით. არც
ერთ შეილს არ შეუძლია ჩემსავით გულწრფელად უერთგულოს მას.
შემდგომ ამისა, გარწმუნებთ, წილი არ მიდევს არც ერთ ცდუნებაში,
რომელშიაც ექვმიტანილი ვარ. ჩემი სიტყვები დაამაზინჯეს და გა-
აყალბეს. მიუხედავად ამისა, ჩემი პროცესის მიერ გამოტანილი საბ-
რალდებო განაჩენი სამართლიანად მიმაჩნია, რადგან იგი ქრისტეს
მოსაყდრისგან მომდინარეობს, სიკვდილის წინ მიპატიებია ყველასთ-
ვის, ვინც ამ პროცესზე ჩემ წინააღმდეგ გამოვიდა, მათი მტრობა გულ-
ში არ გამივლია, მათ შევავედრებ ყოვლის შემძლეს, თუ იქ მივალ,
სადაც ღვთის მოწყალებით ვიმედოვნებ მისვლას“.

გაიცა გვამის გაკვეთის განკარგულება. ეჭიმებმა დაასკვნეს, რომ

სამოცდაცამეტა წლის მოხუცის სიკვდილი გამოწვეული იყო კიბოს-
მაგვარი დაავადებით. მაგრამ ეს არვის სჯეროდა. ყველამ იცოდა, რომ
მისი სიკვდილი კათოლიკე მეფისთვის ხელსაყრელი იყო და ბრალსაც
მას სდებდნენ. ეს ამაყი კაცი, როგორც თვითონაც წერდა, ვერ აი-
ტანდა, რომ კარანსას კვლავ დაებრუნებინა თავისი საეპისკოპოსო.
მეფე და არქიეპისკოპოსი ერთი ცის ქვეშ ვერ იცხოვრებდნენ და მე-
ფეს მიაჩნდა, რომ ღმერთმა მას მიანიჭა უფლება ყოველივე ელონა
მოწინააღმდეგის თავიდან მოსაცილებლად.

„განაჩენს, —სწერდა ის პაპს რომისას, —
აჲ, ესპანეთში, რბილ განაჩენად
თელიან. თუმცა კი არ შეიძლება
არ აღიარო პაპის სურვილი —
სწრაფვა—გულწრფელი, სერიოზული, —
სამართლიანი განაჩენისთვის
და ეს მით უფრო მართებულია,
რომ ახლა ჩვენმა მეურვემ უკვე
მ-მართა დროულ ღონისძიებას
და ზეციურმა ქრისტიანობა
ამით გამიჭნა მეტად საშიში
და დამღუპველი შედეგებისგან
უსახლეროდ რბილი ღონისძიებით...“

7

არქიეპისკოპოსის — წმინდანისა და მწვალებლის — დონ ბართო-
ლომე კარანსას ამბავი ჭაბუკმა კინტანამ „მინიატურის“ სახით წაუკით-
ხა ხოველიანოსსა და მის სტუმრებს.

ეს ამბავი ყველამ იცოდა, მაგრამ კინტანას ბაგეთაგან უცხოდ და
ახლებურად ჟღერდა. მას არ შეშინებია სინამდვილედ წარმოდგება
მოვლენები, რომელთა შესახებ უბრალო მოკვდავთ არაფერი იცოდნენ
და, სულ დიდი, შეიძლება მხოლოდ წარმოდგენა ჰქონოდათ. საოცარი
იყო: ისე ჰყვებოდა, თითქოს ეს ამბავი სხვანაირად არც შეიძლებოდა
შომზღარიყო.

გოიაც სხვებივით სულგანაბული უსმენდა. ჭაბუკის მიერ მოთხრო-
ბილი ამბავი თითქოს სამი საუკუნის წინანდელი კი არ იყო, არამედ
დღევანდელი, ამაღელვებელი და აღმაშფოთებელი. სწორედ ამიტო-

მაც, რაც აქ ხდებოდა, პირდაპირი ამბოხი თუ არა, საექვო საქმე მაინც იყო. და ახლა, როცა გოიას ცხოვრება სწრაფვათა ხორცშესხმას ჰპირდებოდა, სისულელე არ იყო ამ შეამბოხებთან და ფანატოკობთან კავშირი? ამასთანავე მოსწონდა გულუბრყვილო ჰაბუკი, კითხვის დროს რომ ძლივს იკავებდა თავს აღშფოთებისაგან. ფრანსისკოს შეეძლო დაუსრულებლივ ესმინა და ესმინა მისთვის, თუმცა აჯობებდა კი აქაურობას ვასცლოდა.

როცა ჰაბუკმა კინტანამ კითხვა დაამთავრა, ყველა დაღონებული დუმდა. ბოლოს ხოველიანოსმა ჩაახველა და მიმართა:

— თქვენი შეცოდება წმინდა კასტილიური ენის წინაშე აურაცხელია, ჩემო საყვარელო დონ ხოსე, მაგრამ თქვენს ყოველ ფრაზაში ძალა იგრძნობა. ჭერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ხართ და ბევრის გამოსწორება შეიძლება.

აბატი წამოდგა. შესაძლოა დანარჩენებზე მეტად მასზე იმოქმედა კინტანას წაკითხულმა.

— ჩვენ, ინკვიზიციის მსახურნი, ყველაფერში ვერკვევით, — თქვა მან. უფლებაც ჰქონდა ეთქვა: „ჩვენ, ინკვიზიციის მსახურნიო“, ვინაიდან კიდევ ატარებდა „წმინდა ინკვიზიციის მდივნის“ ტიტულს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მფარველი დიდი ინკვიზიტორი სიერა შერისხეს საექვო თეოლოგიურ შეხედულებათა გამო და პასუხისგებაში იყო მიცემული. ამჟამად კი იგი დონ გასპარის ფართო ოთახში ბოლთასა სცემდა, აიღებდა ხელში ამა თუ იმ ნივთს, აკვირდებოდა და თან მოხსენებას აკეთებდა:

— ჩვენ, ინკვიზიციის მსახურნი, — ამბობდა იგი, — მუდამ ჰკვიანურად ვიქცეოდით. ჩვენ არ ჩაგვისვამს კარანსა ციხეში და წუთისოფელს არ გამოგვისალმებია. ესენი იყვნენ პაპი და ფილიპე მეფე. და თუ ახლა დიდ ინკვიზიტორს ლორენსანას სურს დაამთავროს ოლავიდეს საქმე, განა მისი ბრძანებით არ დაატუსაღეს ეს დიდი ადამიანი? განა მან ბოლოს და ბოლოს არ უნდა მიიყვანოს ბოლომდე ეს დაუსრულებელი საქმე?

გოიამ ყურები ცქციტა. პაბლო ოლავიდეს საფუძვლიანად არ იცნობდა; იგი ადრე, რამდენიმე წლის წინათ, აღაშფოთა ამ მამაცი, ბრწყინვალედ განსწავლული ადამიანის დაპატიმრებამ და იმ ამბავმა, რომ სიერა მორენაში მის დიდ წამოწყებას საფრთხე მოელოდა. ბოლო ხანებში ყურიც კი მოჰკრა, რომ ინკვიზიციას უნდოდა ოლავიდე-

სათვის ბოლო მოეღო. მაგრამ გოიას არ სურდა მისი ბედნიერება რა-
ღაც ხმებს დაეჩრდილა და გულთან ახლო არ მიიტანა. ახლა კი კინტა-
ნას წაკითხულმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ თავი ვე-
ღარ შეიკავა და იკითხა:

--- მართლა ჩაიდენენ...?

— რა თქმა უნდა, — მიუგო აბატმა და მხიარული, კვეიანი თვა-
ლები მოენისლა, — ლორენსანას თავიდანვე პატივმოყვარეობის გრძნო-
ბა ამოძრავებდა და სურს რწმენის სიწმინდისათვის ბრძოლაში ისე-
თივე სახელი მოიხვეკოს, როგორც დიდმა ინკვიზიტორმა ვალდესმა.
ოლავიდეს მოსასპობად უკვე მიიღო წმინდა მამის ნებართვა. თუ დონ
მანუელი კიდევ დიდხანს ვერ დააღწევს თავს საღათას ძილს, და თუ
ბოლოს მეფე არ შეზღუდავს დიდ ინკვიზიტორს, მაშინ ეს დედაქა-
ლაში ისეთ აუტოდაფეს იხილავს, როგორც საუკუნეების განმავ-
ლობაში არავის მოსწრებია.

გოიამ გარკვეულად იგრძნო, რომ აბატის ავი წინასწარმეტყველება
და შესაძლოა თვით ახალგაზრდა კინტანას წაკითხულიც მხოლოდ მის-
თვის იყო განკუთვნილი. ახლა კი გულახდილად მიმართა მას ხოვე-
ლიანოსმა:

— თქვენ ახლა principe de la paz-ის პორტრეტს წერთ, დონ ფრან-
სისკო. დონ მანუელი მოდელირების დროს ადვილი მისადგომი უნდა
იყოს. რა იქნება, ერთხელ ოლავიდეს საქმეზე ჩამოუგდოთ სიტყვა?

თუმცა ხოველიანოსი ცდილობდა თავისუფლად ელაპარაკა, თით-
ქოსდა არაფერიყო, მაინც იგრძნობოდა, რომ ყოველი სიტყვა აწო-
ნილ-დაწონილი ჰქონდა. სიჩუმე ჩამოვარდა, ყველა გოიას პასუხს
ელოდებოდა.

— ვეჭვობ სერიოზულად მიიღოს ჩემგან დონ მანუელმა ის, რაც
მხატვრობის ფარგლებს სცილდება, — უსიამოდ თქვა მან და უღიმ-
ღაშო ხუმრობით დაუმატა, — და თუკი ჩემს მხატვრობას არ ეხება,
გულახდილად რომ მოგახსენოთ, ჩემთვის არც არავითარი მნიშვნე-
ლობა არა აქვს მიიღებენ თუ არა სერიოზულად ჩემს აზრს.

ყველა უკმაყოფილოდ დუმდა. ხოველიანოსმა კი მკაცრად და პირ-
დაპირ მიახალა:

— თქვენ უფრო ქარაფშუტად გინდათ გვიჩვენოთ თავი, ვიდრე
სინამდვილეში ხართ, დონ ფრანსისკო. თქვენ ნიჭიერი ხართ და ასეთი

კაცი ყოველ დარგში ნიჭიერია. კეისარი არა მარტო დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი იყო, არამედ დიდი მწერალიც. სოკრატე იყო ფილოსოფოსი, რელიგიის ფუძემდებელი, ჯარისკაცი, ერთი სიტყვით ყველაფერი. ლეონარდო, გარდა მხატვრისა, იყო მეცნიერი, ტექნიკოსი, ააგო სიმაგრეები და მფრინავი მანქანები. და თუ ჩემს უმნიშვნელო პიროვნებაზე ვიტყვით რაიმეს, ჩემი სურვილია მარტო სახელმწიფოს ეკონომიკის სფეროში კი არ მთვლიდნენ მცოდნედ, არამედ მხატვრობის საკითხებშიაც.

მიუხედავად შიშისა, რომ ამ ბატონების თვალში გლახაკად გამოჩნდებოდა, გოია ხელმეორედ თავს ნებას არ მისცემდა პოლიტიკის საკითხებში ჩარეულიყო.

— ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ უარი მოვახსენოთ, დონ გასპარ, — მიუგო მან, — დონ პაბლო ოლავიდეს წინააღმდეგ აღძრული საქმე თქვენზე ნაკლებად არ მალეღებებს, მაგრამ, — განაგრძო უფრო და უფრო ენერგიულად, — ამის შესახებ დონ მანუელს ვერაფერს მოვახსენებ. ჩვენს მეგობარ დონ მიგელს უთუოდ ჰქონია მასთან ბჭობა ამ ავბედით საქმეზე, უთუოდ თქვენც, დონ დიეგო, — მიუბრუნდა აბატს, — ყველაფერი იღონეთ მის დასარწმუნებლად. თუკი თქვენ ორიგე გაგაწვბილათ, თქვენ, ამდენად გაწაფული პოლიტიკოსები, რას უნდა მიაღწიოს მიაშიტმა არაგონელმა მხატვარმა?

გამოწვევას დონ მიგელი გამოეხმაურა:

— ბევრ დიდ ბატონს შენთან ყოფნა რომ სიამოვნებს, ფრანსისკო, ეს მარტო შენი პორტრეტებისთვის როდი ხდება. მათ ირგვლივ მთელი დღე უამრავი სპეციალისტი ტრიალებს, მეურნეები, ტექნიკოსები, ჩემისთანა პოლიტიკოსები. მაგრამ ხელოვანი სპეციალისტზე მალა დგას, ის ყველაზე ახდენს გავლენას, ყველას სულში იხედება, ყველას მაგიერ, მთელი ხალხის მაგიერ ლაპარაკობს. ეს ესმის დონ მანუელს და ამიტომაც ყურადღიღებს შენს ნათქვამს. ვალდებული ხარ შოელაპარაკო მას პაბლო ოლავიდეს წინააღმდეგ აღძრული უსამართლო და უაზრო საქმის თაობაზე.

ჰაბუკი კინტანა თავმდაბლად, მაგრამ გაცხოველებით ჩაერია:

— რაც თქვენ ახლა ბრძანეთ, დონ მიგელ, მეც არაერთხელ მომსვლია აზრად. ჩვენ, უბადრუკი მწერლები, კი არა, დონ ფრანსისკო, ეს თქვენ ლაპარაკობთ ყველასათვის გასაგები ენით. — Idioma Universal.

ოქენი სურათების ხილვისას უფრო ღრმად ჩასწვდება კაცი აღა-

მიანის არსს, ვიდრე ცოცხალი სახეების შეხედვითა და ჩვენი ნაწერების კითხვით.

— ყმაწვილო, თქვენ დიდად აფასებთ ჩემს ხელოვნებას, — მიუგო გოიამ, — მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემვან მოითხოვენ ველაპარაკო დონ მანუელს. აქ შოკლებული ვარ ჩემს Idioma Universal-ს. მე მხატვარი ვარ, ბატონებო, — თქვა თითქმის უზრდელურად ხმაშაღლა, — ბოლოს და ბოლოს გაიგეთ, მხატვარი ვარ და მეტი არაფერი.

როცა მარტო დარჩა, ცდილობდა თავიდან მოეშორებინა უსიამო მოგონება ხოველიანოსსა და მის სტუმრებზე. იმეორებდა თავისი უარის გასამართლებელ საბუთს, ეს კარგი საბუთი იყო. „უსმინე, უცქირე, პირი მოკუმე“. ეს მიაჩნდა მრავალ ძველ ანდაზათა შორის ყველაზე გონივრულად. მაგრამ უსიამო შეგრძნებას თავი მაინც ვერ დააღწია. უნდოდა თავისიანებისთვის გაეზიარებინა ეს ამბავი და თავი ემართლებინა. თავის აგუსტინს უამბო, თუ ხოველიანოსი და სხვები როგორ აიძულებდნენ მეფის საქმეებში ჩარეულიყო და, ცხადია, გვარიანადაც გააწბილა ისინი.

— ადამიანს ორი წელიწადი სჭირდება ლაპარაკის სასწავლად და სამოცი წელიწადი კი იმისათვის, რომ ენაზე კბილის დაქერა ისწავლოს, — დაასკვნა მან ოდნავ ძალდატანებითი უდარდებლობით.

აგუსტინი ნაწყენი იყო. როგორც ჩანს, წინასწარ იცოდა ყოველივე.

— პირიქით, „Quien calla, otorga“. — წარმოთქვა მან ხრინწიანი ხმით, — „სიჩუმე თანხმობის ნიშანია“.

გოიამ პასუხი არ გასცა. აგუსტინმა ძლივს შეიკავა თავი ყვირილისაგან, შეეცადა მშვიდად წარმოეთქვა:

— თუ შენს ნაჭუჭში ჩაიკეტები, სიბნელე დაგაბრმავებს და საკუთარ საქმიანობასაც ველარ გაართმევ თავს, ფრანჩო.

— სისულელეს ნუ როშავ. — გაეცხლდა ფრანსისკო, — განა ახლა წინანდელზე უარესად ვხატავ? — და ისევ თავის შეკავება სცადა. ხანდახან ის შენი სათნო ხოველიანოსი თავის ჭიუტობითა და მაღალფარდოვანი სიტყვებით ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ უფრო ხშირად სასაცილოდ მეჩვენება.

„სასაცილოა და უცნაური,
ვინც აქ კი არა, — ამ ცოდვილ ცის ქვეშ,
იდეალებში, ზღაპრებში ცხოვრობს.
ეპ, სამწუხაროდ, ქვეყნიერებას

უნდა აუწყო ღეხი, ცხოვრების
ესაა აზრი“

—რა ვქნათ, ვტყობა,

გადაგვასწარით, თქვენ, დონ ფრანსისკო, —

თქვა აგუსტინმა ეს ექიდნურად.

მაგრამ მარიამ მიუგო: „სხვათა

შორის, ამ ქვეყნად მოსაძებნია

გზა. დამჩერე, მე მას მოვძებნი

მოვაგნებ სადმე. შენც დაინახე,

მაინც ვიპოვი, აგუსტინ

ჩემო!“.

8

გოია წერდა სან-ისიდროს დღესასწაულის სურათს. წერდა თავ-
დაღიწყებით. უეცრად იგრძნო, რომ ატელიეში ვიღაც იძვოფებო-
და.

ღიან, აქ ვიღაც იყო, დაუკაკუნებლად შემოსულიყო ნუნციოს ტან-
საცმელში გამოწყობილი მამაკაცი, წმინდა ინკვიზიციის შიკრიკი.

—დიდ არს ქრისტე ღმერთი, — თქვა კაცმა.

—უკუნითი უკუნისამდე, ამინ. — მიუგო ფრანსისკომ.

—დონ ფრანსისკო, გეთაყვა, კეთილინებეთ და დამიდასტურეთ,
რომ გადმოგეცით წმინდა ინკვიზიციის გამოგზავნილი ბარათი,—თავ-
მდაბლად მოახსენა ნუნციომ.

მან ქვითარი გაუწოდა. გოიამ ხელი მოაწერა. კაცმა ბარათი გა-
დასცა, ფრანსისკომ გამოართვა და პირჯვარი გადაიწერა.

—ნეტარ არს წმინდა ღვთისმშობელი, — თქვა ნუნციომ.

—სამგზის ნეტარ არს, — მიუგო გოიამ და ნუნციო წავიდა.

გოია დაჯდა. ხელში ბეჭედდასმული, გაუხსნელი ბარათი ეჭირა,
უკანასკნელ ხანებში ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმის თაობაზე, რომ
ინკვიზიცია დონ პაბლო ოლავიდეს განაჩენის საქვეყნოდ გამოცხადე-
ბას კი არ აპირებდა, არამედ Auto particular-ში დახურულ აუტოდაფე-
ზე, სადაც მხოლოდ რჩეული სტუმრები იქნებოდნენ მიწვეულნი. აქ
მიწვევა დიდი მოწყალებაც იყო და საშიშიც. ეს გაფრთხილებას ნიშნავ-
და. გოია დარწმუნებული იყო, რომ ხელში სწორედ ასეთი მოსაწვევი

ბარათი ეჭირა. მხოლოდ ახლა იგრძნო შიკრიკის ჩუმი და მოულოდ-
ნელი გამოცხადების მთელი საშიშროება. იჭდა სავარძელში მხრებ-
ჩამოყრილი, მუხლმოკვეთილი და ბარათის გახსნა დიდხანს ვერ შე-
ძლო.

ხოხედა სასტიკად შეშინდა, როცა ფრანსისკომ მიპატიყების ამ-
ბავი ამცნო. აღსრულდა მისი ძმის წინასწარმეტყველება: ფრანხო უზ-
ნეო ცხოვრებამ მწვალელობამდე მიიყვანა. როგორც ჩანს, უღმერთო-
ებთან მისმა უბრალო ურთიერთობამ კი არ აიძულა იმდენად ბატონი
ინკვიზიტორები ასეთი საშიში მიწვევა გამოეგზავნათ, რამდენადაც ალ-
ბასადმი თავხედურმა გამოაშკარავებულმა ვნებამ. უბედურება ისაა,
რომ მისი ფრანხო მართლაც მწვალელებელია და კიდევ უფრო უარესია
კი ის, რომ უყვარს იგი, უყვარს ისე, როგორც შეიძლება ერთ ადამიანს
მეორე უყვარდეს. დაე, აწამოს ინკვიზიციამ, ფრანხოს წინააღმდეგ ერთ
სიტყვასაც ვერ დააცდევინებენ. თავს ძალა დაატანა, რომ მის იღუმე-
ლებით მოცულ, ბაიეუს ამაყ სახეზე აღელვება არ დამჩნეოდა, მხო-
ლოდ ბაგე მოკუმა ოდნავ უფრო მეტად. შემდეგ თქვა:

— ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი იყოს შენი შემწე, ფრანხო.

როცა ფრანსისკომ კაეტანა ალბას აუწყა მიპატიყების ამბავი, ისიც
კი უსიამოდ შეიჩხა, მაგრამ სასწრაფოდ დამალა მღელვარება და უთ-
ხრა:

— დახეთ, დონ ფრანსისკო, როგორი დაფასებული პიროვნება
ბრძანდებით.

დიდმა ინკვიზიტორმა ლორენსანამ სახელმწიფოში დაფასებული და
გამოჩენილი კაცები მიიწვია ინკვიზიციის ზეიმზე, არა მარტო დონ
მიგელი, კაბარუსი და ხოველიანოსი, არამედ დონ მანუელიც კი. რომი-
ღან დაბეჭითებით ურჩევდნენ ლორენსანას, არ გაეღიზიანებინა სამე-
ფო ტახტი და ოლავიდესთვის არ მოეწყო სახალხო აუტოდაფე, მაგრამ
ერეტიკოსის განაჩენი კი საქვეყნოდ გამოეცხადებინა. მან მოაწყო
აუტოდაფე „ღია ჭიშკარი“, ისე რომ მიუხედავად ფარული დასჯისა,
მთელი მაღრიდის მოსახლეობას შეეძლო მონაწილეობა მიეღო ერეტი-
კოსის განკიცხვაში. ზეიმამდე ერთი კვირით ადრე ინკვიზიციის მსა-
ხურნი და ტრიბუნალის წევრები ცხენებზე ამხედრებულნი ბუკითა და
ნალარით გამოვიდნენ ქალაქში, პეროლდმა ხალხს ამცნო, რომ მღეუ-
რისა და კათოლიკური რწმენის სადიდებლად წმინდა ოფიციალში სან

დომინგო ელ რეალის ტაძარში „ღია ჰიშკარში“ აწყობს დახურულ აუტოლაფესო. ყოველი მორწმუნე მიწვეულია წმინდა წარმოდგენაზე დასასწრებად და ეს ღვთისმსახურებას უდრისო.

აუტოლაფეს წინაღობით ეკლესიაში შეიტანეს ვეება მწვანე ჯვარი და წმინდა ინკვიზიციის ბაირაღები. დომინიკანელების წინამძღვარს მოჰქონდა მწვანე ჯვარი; მას გარს ეხვივნენ ჩირალდნებიანი ბერები, რომლებიც „მიზეზერეს“ გალობდნენ. ალისფერ ფარჩის ბაირაღებზე ამოქარგული იყო მეფისა და უწმინდესი ინკვიზიციის გერბები, ჯვარი, მახვილი და როზგი. ბაირაღებს მოჰყვებოდა გარდაცვლილი და საფლავიდან ამოთხრილი მწვალელების კუბოები, რომლებსთვისაც განაჩენი უნდა გამოეტანათ, და აგრეთვე გაქცეულთა გამოსახულებანი. აურაცხელი ბრბო ჩამწკრივებულიყო ქეაფენილების გასწვრივ და ბაირაღებისა და ჯვრების წინაშე მუხლს იყრიდა.

მეორე დღეს, დილაადრიანად, სან დომინგოს ელ რეალის ეკლესიაში შეიკრიბნენ მოწვეული სტუმრები: მინისტრები, გენერლები, უნივერსიტეტის რექტორი, გამოჩენილი მწერლები, თავისუფალ აზროვნებაში ეჭვმიტანილი ყოველი რანგის მამაკაცი. ასეთ ზეიმზე მიპატიჟებულის გამოუცხადებლობა, ავადმყოფობის შემთხვევაშიაც კი, მწვალელობაში თავის გამოქვავებას უდრისო.

მათ მოსდევდნენ თავიანთი გამარჯვების სადღესასწაულოდ მოწვეული ოლავიდეს მოწინააღმდეგენი, რომელთაც მის ჩამოგდებაში ედოთ წილი: გრანადის ეპისკოპოსი დესპინგი, ოსმელი ეპისკოპოსი, ძმა რომუალდი ფრაინბურგიდან, საქმოსნები მესაქონლეობის კავშირიდან, რომელთაც ოლავიდემ უფასო საძოვრები ჩამოართვა დასასახლებლად.

ყველა ისინი, მტრები და მოყვრები, ერთ დიდ ტრიბუნაზე ისხდნენ, ხოლო მათი მოპირდაპირე ტრიბუნა კი ბატონ ინკვიზიტორებს ელოდებოდა. ამ ტრიბუნის თავზე ეკიდა წმინდა დომინიკეს ცნობილი გამოსახულება; იგი მიწაზე იწვა სხეულის სიკვდილით ღონემიხდილი და ზიბრალულით აღვისილი, ყოვლადწმინდა ქალწული თავის ძუძუდან პირში რძეს ასხურებდა.

შუა ეკლესიაში აღმართული იყო ფიცარნაგი. მასზე იდგა გარდაცვლილთა კუბოები, ხოლო შავად შეღებილ ჯვარზე გაკრული იყო

გადახვეწილ ერეტიკოსთა გამოსახულებანი. მეორე ფიცარნაგი ელო-
დებოდა ცოცხალ ერეტიკოსს.

ამასობაში გარედან ახლოვდებოდა მოსამართლეთა და ცოდვილთა
პროცესია. წინ მიუძღოდა მურსიის ცხენოსანთა არმია, ბოლოში კი—
აფრიკელი ცხენოსნები მოჰყვებოდნენ. ირგვლივ ჩამწკრივებულაყო
მადრიდის დანარჩენი გარნიზონები. ორ გრძელ წყებად მოაბიჯებდნენ
ინკვიზიციის მსახურები და მათ შორის ცოდვილებიც.

სან დომინგოს ეკლესიის სამღვდლოება შესასვლელთან შეხვდა
დიდ ინკვიზიტორსა და მის ამაღას. ლორენსანას უშუალოდ უკან მოჰ-
ყვებოდა დედაქალაქის წმინდა ტრიბუნალის თავმჯდომარე დოქტორი
დონ ხოსე დე კევედო და სამი საპატიო მდივანი, მათ შორის აბატი
დონ დიეგოც. პროცესიის ეკლესიაში შემოსვლისთანავე სტუმრებმა
მუხლი მოიყარეს.

როცა თავი მალა ასწიეს, ფიცარნაგი უკვე დაეკავებინათ ცოც-
ხალ მწვალებლებს. ისინი მოკალათებულ იყვნენ გარდაცვლილთა კუ-
ბოებიან ფიცარნაგის პირდაპირ დაბალ, გრძელ ხის სკამზე, შავად შე-
ბურვილი ჯვრის ძირში.

ისინი ოთხნი იყვნენ, სამარცხვინო ტანსაცმელში — სამბენიტოში
— გამოწყობილნი. ყვითელი პერანგები, რომლებზედაც ანდრიას შა-
ვი ჯვრები იყო გამოსახული, ტომარასავით უშნოდ ეკიდათ ტანზე. კა-
ნაფის თოკები კისერს უხეხავდათ. თავზე ჩამოფხატული ჰქონდათ
წოწოლა ქედები, ფეხები კი უხეში ნაჭრის ფაჩუჩებში გაეყარათ. ხელ-
ში ეჭირათ ჩამქრალი, მწვანე სანთლები.

დიდად აღმფოთებული უყურებდა გოია საბრალო სამბენიტოიან
ცოდვილებს. ყოველ ეკლესიაში ეკიდა ასეთი სამარცხვინო პერანგი
და გოიას მენხიერებაში ამოტევივდა მოგონება იმ სამბენიტოსი,
რომელიც პირველად იხილა ბავშვობაში და იქვე განუმარტეს მისი
მნიშვნელობა. ის იყო ძველთაძველი სამბენიტო ჰოხატული საშინელი
ეშმაკებით, რომლებიც ცოდვილებს ჯოჯოხეთში ისროდნენ. ზევით
ეწერა იმ ერეტიკოსის დანაშაული და სახელი, რომელსაც იგი ასი თუ
მეტი წლის წინათ ატარებდა. გარკვევით გაახსენდა ფრანსისკოს მაშინ-
დელი შეპრწუნება და აღელვება, რომელიც განიცადა იმის გაგონება-
ზე, რომ იმ ერეტიკოსის შთამომავალნი დღესაც მოკვეთილნი არიან
მართლმორწმუნეთა რიგებიდანო.

შეშლილივით მოწყურებული ეძებდა ის პაბლო ოლავიდეს სახეს, მაგრამ სამბენიტოიანი და წოწოლაქულებიანი ოთხი ერეტიკოსი ერთამეორეს ჰგავდა, მოკრუნჩხულები ისხდნენ ჩამქრალი, გაფითრებული სახეებით. მათ შორის თითქოს ერთი ქალიც ჩანდა, მაგრამ მამაკაცებიდან ძნელი გამოსარჩევი იყო. ფრანსისკოს სახეების მოგონების დიდი ნიჭი გააჩნდა, ახლა გარკვევით წარმოუდგა თვალწინ რამდენიმე წლის წინ ნახული პაბლო ოლავიდე; ხმელ-ხმელი, ელეგანტური, ცოცხალი, ალერსიანად მოლიმარი, გულწრფელი გამომეტყველების მქონე. ახლა კი დიდხანს ვერ გაარჩია, რომელი იყო ამ ოთხში ოლავიდე, მას საკუთარი სახე აღარ გააჩნდა, ის წაშლილიყო და მიმქრალიყო.

მდივანი ავიდა კათედრაზე და წაიკითხა ფიცის ტექსტი; დამსწრენი იმეორებდნენ და პირობას იძლეოდნენ შეუსიტყვეებლად დამორჩილებოდნენ წმინდა ინკვიზიციას და თავგამოდებით ებრძოლათ მწვალებლების წინააღმდეგ. ყველამ წარმოთქვა: „ამინ“. შემდეგ იქადაგა დომინიკანელების მოძღვარმა. მისი ტექსტი იყო: „აღდეგ ღმერთო, ჰსაჯე ჰსჯაჲ შენი“ მისი სიტყვა მოკლე იყო და უღმობელი.

— წმინდა სამსჯავრო, — იუწყებოდა იგი, — და ეს ცოდვილნი, რომელნიც უნდა ეწამონ, თვალსაჩინო მაგალითია იმ სურათისა, რაც ყოველმა ჩვენგანმა უნდა განიცადოს განკითხვის დღეს. მაგრამ დაეჭვებულნი იკითხავენ: ო, უფალო, ნუთუ სხვა მტრები არ გაგაჩნია, გარდა იუდეველებისა, მაჰმადიანებისა და ერეტიკოსებისა? ნუთუ ყოველდღიურად უამრავი სხვა ადამიანი არ შეურაცხყოფს შენს სიწმინდეს შეცოდებითა და დანაშაულით? — სრული სიმართლეა, — მიუგებს უფალი, — მაგრამ საპატიებელი შეცოდებებია და მე ვუნდობ მათ. ჰირივით მძულს იუდეველები, მაჰმადიანები და ერეტიკოსები, ვინაიდან ისინი ბილწავენ ჩემს სახელსა და პატიოსნებას. ამის თქმა სურდა დავითს, როცა უფალს მოუხმობდა: აღდეგ უფალო რისხვითა შენითა, ვანიღვიძე უფალო ღმერთო ჩემო. აღდეგ ღმერთო, ჰსაჯე ჰსჯაჲ შენი. შერისხენ შენ წარმართთა, და წარჰსწყმდა უღმერთოჲ. ამ სიტყვების მიხედვით მოქმედებს დღეს წმინდა ინკვიზიცია.

შემდეგ დაიწყეს ოთხი მწვალებლისათვის გამოტანილი განაჩენის კითხვა. გამოირკვა, რომ პაბლო ოლავიდე შოუქცევითა უსახელო და ურანგო ადამიანთა გვერდით, რათა ეჩვენებინათ, რომ ინკვიზიციის სამსჯავროს წინაშე მაღალი მდაბლის თანაბარია.

პირველად გამოიძახეს მზარეული ხოსე ორტისი; მას წინათ პალენ-სიის სემინარიაში უსწავლია. ახლა ექვი შეპარვია ჩვენი წმინდა ქალწულის—დელ პილარის სასწაულთმოქმედებაში. ამასთან უთქვამს, რომ ყველაფერზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს ჩემი სიკვდილის შემდეგ, ის იქნება, თუ ჩემს ცხედარს ძაღლები დააძლებიანო. სიტყვები ძაღლის თაობაზე უმნიშვნელო მწვალებლობად იქნა მიღებული, ვინაიდან წამებულთა გვამები ძაღლების, მტაცებელი ფრინველების და ღორების ნადავლადაც კი ხდებოდა. სამაგიეროდ, მისი პირველი განცხადება მიღებულ იქნა კათოლიკური დოგმების მკრეხელურ უარყოფად. ამ კაცს მიესაჯა საჯაროდ ორასი როზგი და ქალაქის შემოტარება, რის შემდეგაც ჩაბარდება სამოქალაქო ხელისუფლებას ხუთი წლით კატორღაში სასჯელის მოსახდელად.

შემდეგ გამოიძახეს წიგნის სავაჭროს პატრონი კონსტანცია როდრიგესი. მის საცავში აღმოჩენილიყო ჩვიდმეტი აკრძალული წიგნი, ხოლო მათ შორის სამი აკინძული უვნებელი სათაურებით. გარდა აუცილებელი „დამატებითი სასჯელისა“— გაძევებისა, ქონების კონფისკაციისა და სხვა მსგავსისა, ამ ქალს მიესაჯა შერცხვენა—*vergüenza*, რაც იმას ნიშნავდა, რომ წელამდე გაშიშვლებულს შემოატარებდნენ მთელ ქალაქს და ამასთანავე ჰეროლდი მის დანაშაულსა და სასჯელს ამცნობდა ხალხს.

ლიცენციატ მანუელ სანჩეს ველასკოს სან-კაეტანოს ეკლესიაში ღვთისსაგმობი სიტყვები წარმოუთქვამს, სახელდობრ: რომ წმინდანი ვერ დაეხმარებოდა და სხვა მისთანანი. მას ლმობიერი სასჯელი გამოუტანეს. სამუდამოდ აეკრძალა მადრიდში ცხოვრება, კარგი თანამდებობის დაკავება ან მოღვაწეობა რომელიმე საპატიო სარბიელზე.

განაჩენები გაჭიანურებულად იკითხებოდა ყველა დებულებებისა და მტკიცებების წვრილად ჩამოთვლით. მოწვეული სტუმრები მოწყენილნი უსმენდნენ და მღელვარებით ელოდებოდნენ ოლავიდეს განაჩენს. მაგრამ მაინც ვერ აღწევდნენ თავს საშინელებისა და საცოდანობის გრძნობას საბრალო ადამიანების დამახინჯებული სამბენიტოანი სხეულების დანახვაზე, ადამიანებისა, რომელთა ცხოვრება სამუდამოდ დაღუპული იყო ერთადერთი გაუფრთხილებელი სიტყვის გამო, ვერ იცილებდნენ შიშს ინკვიზიციის სამსჯავროს წინაშე, რომელაც

მლიონიანი ყურით იჭერს დაუფიქრებელ სიტყვებს და შეუძლია განადგუროს ყოველი კაცი, ვის დაღუპვასაც მოიწადინებს.

ბოლოს გამოიძახეს ოლაიდი და ჩამოთვალეს ყველა მისი ტიტული: პერუს ვიცე-სამეფოს ყოფილი აუდიტორი, სევილიის ყოფილი გუბერნატორი, ახალ დასახლებათა ყოფილი გუბერნატორი, სანტ-იაკოს ორდენის ყოფილი კომანდორი, ანდრიას ჯვრის ყოფილი რაინდი.

ხალხით გაჰყვდილ ეკლესიაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, როცა გამოიყვანეს პატარა, დაჩივებულნი, მოკრუნჩხული მამაკაცი, რომელსაც წოწოლა ქუდი გოლიათივით მალალს აჩენდა. მან სცადა დაუბარებლად გავლა, მაგრამ მარჯვნივ მყოფი მღვდლები და მარცხნივ მყოფი მებადრაგეები იბულებულნი გახდნენ მიშველებოდნენ. ეკლესიის იატაკზე მისი სასაცილო ყვითელი ნაჭრის ფაჩუჩებიანი ფეხების ჩლარტიჩლურტი ისმოდა. აშკარა იყო ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და დაჯექიო უბრძანეს. იგი დაჯდა. ზედატანით უსიცოცხლოდ მიეყრდნო დაბალ მოაჯირს, რომლითაც დამნაშავეთა ადგილი იყო შემოფარგლული. წოწოლა ქუდის წვერი საოცრად წამოშვეროდა წინ. ირვვლივ ისხდნენ: პრემიერ-მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორი და ბევრი წარჩინებული ადამიანი, სწავლულები და მწერლები — მისი წინანდელი მეგობრები და აგრეთვე მისი ცბიერი მტრები; ყველა ისინი მისი შერცხვენის მოწამენი გახდნენ.

განაჩენი დაწვრილებით, მოფიქრებულად შეედგინათ და თეოლოგიის მრავალი დებულებით დაესაბუთებინათ. დამნაშავე გამოტყდა, რომ დაუფიქრებელ სიტყვებს ამბობდა, ოღონდ ამასთანავე ირწმუნებოდა, არასდროს არ გადამიხვევია კათოლიკური რწმენიდან და გულში არასოდეს არ გამივლია მწვალებლობაო. მაგრამ წმინდა ინკვიზიცია შეუსწავლია დამნაშავეს ნაწერები და წიგნები, დაუკითხავს სამოცდათორმეტი მოწმე და პაბლო ოლაიდიც დანაშაული დადასტურებულა: ის თურმე ამბობდა, სასწაული არა მწამსო. სადავოდ მიიჩნდა არაკათოლიკეს ჯოჯოხეთში მოხვედრა. ამბობდა, წარმართული რომის ბევრი იმპერატორი ზოგიერთ ქრისტიან მეფეებზე უფრო ღირსეულიაო. ეკლესიათა მოძღვრებასა და სქოლასტიკოსებს ადანაშაულებდა, ისინი აბრკოლებენ ადამიანის სულიერ წინსვლასო. საეჭვოდ მიუჩნევია, რომ მოუსავლიანობის თავიდან აცილება ლოცვით შეიძლება. ეს უკვე სცილ-

დებოდა დაუფიქრებელი ლაპარაკის ზღვარს, ეს მწვალებლობა იყო. გარდა ამისა, ოლავიდე მარტო აკრძალული წიგნების პატრონი როდი ყოფილა, თურმე შვეიცარიაში მოუნახულებია ანტი-ქრისტიეს ქომაგი — ურჯულო ვოლტერი, პატივისცემითა და მეგობრულად ეპყრობოდა მას და ოლავიდეს ქაღალდებში აღმოჩნდა წერილები, რომლებიც ამ არქიმწვალებელს მისთვის გამოუგზავნია. ამას გარდა დამნაშავეს მოწმეთა თანდასწრებით უთქვამს, ქექა-ქუხილის დროს ზარების რეკვა ამოაო. ებიდემიის დროს დაუწესებია, რომ გარდაცვლილები ეკლესიაში კი არ დაესაფლავებინათ, არამედ საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, უკურობს მიწაში, მოკლედ პაბლო ოლავიდე ას სამოცდაექვს შემთხვევაში უდავოდ მხილებული იყო მწვალებლობაში.

ამ ას სამოცდაექვსი შემთხვევის ჩაკითხვას ორ საათზე მეტი დრო დასჭირდა. მეორე საათის დასასრულს ოლავიდე ჩიკეცა და ყველასათვის ცხადი გახდა, რომ გრძნობა დაკარგა. წყალი მისაბურეს და ცოტა ხნის შემდეგ მოსულაოდა თუ არა, კითხვა განაგრძეს.

ბოლოს შიადწიეს დასკვნას. იქ ნათქვამი იყო: „ყოველივე ამის საფუძველზე ჩვენ ვაღიარებთ მას მხილებულ მწვალებლად, ქრისტიანული საზოგადოების მიხრწნილ წევრად და გამოგვაქვს განაჩენი, რომ განუდგეს მწვალებლობას და შეურიგდეს ეკლესიას“. მოსანანიებლად ცხრა წელი უნდა გაეტარებინა ხერონის კაპუცინის მონასტერში. ამას თან ერთვოდა დამატებითი სასჯელებიც: კონფისკაცია გაუკეთდებოდა მის ქონებას, სამუდამოდ უნდა მიეტოვებინა მადრიდი და მოშორებით ეცხოვრა მეფის ყოველი რეზიდენციიდან, ასევე პერუს სახელმწიფოდან, ანდალუზიიდან და სიერა-მორენას დასახლებიდანაც. ამასთანავე ჩამოერთვა საპატიო წოდებანი და სახელმწიფო თანამდებობის დავებების უფლება. არ შეეძლო ყოფილიყო ექიმაღ, მეაფთიაქედ, მასწავლებლად, ადვოკატად, გადასახადების ამკრეფად. უფლება არ ჰქონდა ცხენზე შეჯდომისა, სამკაულების ტარებისა, აბრეშუმისა და ნაწი შალის ტანსაცმელის ჩაცმისა, გარდა შინ ნაქსოვი უხეში ზამისა. ხერონის მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ ერეტიკოსის პერანგი, სამბენიტო, ახალშენის ეკლესიაში უნდა ჩამოიკიდოს ოლავიდეს მწვალებლური საქმიანობის ნუსხასთან ერთად, რათა მთელმა ქვეყანამ გაი-

გოს ეს ამბავი. ეს თანასახელები მისი შთამომავლობის ხუთ თაობაზე ვრცელდებოდა.

სანთლები უხვად ენთო; ეკლესიაში შიშვე ჰაერი იდგა ნესტისა და ბულის გამო. სამღვდელოებას ძველებური სამოსელი ეცვა, — სუტანები და მანტიები, დიდი ბატონები ძვირფას საზეიმო მუნდირებში იყვნენ გამოწყობილნი და ყველანი სულგანაბულნი, მოქანცულნი და აფორიაქებულნი გაპირვებით ითქვამდნენ სულს და ისმენდნენ. აბატი, როგორც მადრიდის წმინდა ინკვიზიციის ერთ-ერთი მდივანი, მსაჯულთა შორის იჯდა. ის მეგობარი იყო დიდი ინკვიზიტორის, სიერასი, რომელიც ლორენსანამ ჩამოაგდო და მწვალებლობაში დაადანაშაულა; ლორენსანამ, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ ჩამოგდებულმა დიდმა ინკვიზიტორმა აბატს მიანდო, შეემუშავებინა დროის შესაფერი მემორანდუმი იმის თაობაზე, თუ როგორ ეწარმოებინა ინკვიზიციას საქმის გამოძიება. ამიტომ აბატისათვის ნათელი იყო, რომ მასაც ოლავიდესავით შეეძლო სამარცხვინო პერანგით საბრალდებულო სკამზე მჯდარიყო, თუ ლორენსანას ჭერ მისი დატყვევება ვერ გაებედა, მხოლოდ იმიტომ, რომ აბატი დონ მანუელის ნდობით აღკურვილი პირი და ოფიციალური ბიბლიოთეკარი იყო. მაგრამ ცხადია, ისიც მათ სიაში იყო, ვისაც ოლავიდეს ხვედრი ელოდა და ამ აუტოდაფეს შემდეგ ყოველდღე დაჭერის მოლოდინში უნდა ყოფილიყო. შეეძლო დიდი ხნის წინ გასცლოდა აქაურობას, თავის თავსა და ინკვიზიციას შორის პირენეის მთები დაედო საზღვრად. მიზეზს, რისთვისაც ეს არ ჩაიდინა, ჰქონდა თავისი სახელი: დონია ლუსია. არ შეეძლო ესპანეთი მიეტოვებინა, მანამ ლუსიას პოლიტიკურ განათლებას არ დააგვირგვინებდა, არ შეეძლო მის უნახავად გაძლება.

დონ მანუელი პირველ რიგში იჯდა წარჩინებულთა შორის. უნდოდა ამდგარიყო და დემონსტრაციულად გასცლოდა აქაურობას. მისი მეგობრები მართალნი იყვნენ: ამ სამარცხვინო წარმოდგენის უფლება არ უნდა მიეცა. მაგრამ ლორენსანას გაიძვერობა სათანადოდ ვერ შეაფასა და როცა აუტოდაფე დაინიშნა, გვიანდა იყო. გამოცხადებული აუტოდაფე რომ აეკრძალა, ასეთი საქციელი დიდ აურზაურს გამოიწვევდა და საქმე მის აუცილებელ გადადგომამდე მივიდოდა. მაგრამ რაკიგ სამარცხვინოა, რომ ეს ლორენსანა პირდაპირ ღვთის-

სადარი მსაჯულის მთელი ბრწყინვალეობით წამოჰიმულა აქ და ლაფში სერის ოლავიდესთანა კაცს, რომლის ფრჩხილსაც კი მეტი ღირსება აქვს, ვიდრე ლორენსანას გასივებულ თავს. მეორე მხრივ, მართალი იყო პეპაც, აქ ხომ სენიორ ლორენსანას სახით რომი და პაპის ტახტი — თვით ეკლესია ზეიმობდა გამარჯვებას. ისეთი გაიძვერა ადამიანიც კი, როგორც ლორენსანაა, იმ წუთიდან, როცა უფლება მიეცა მოესხა დიდი ინკვიზიტორის მანტია, ღვთაებრივი მართლმსაჯულების განსახიერებად ითვლება და მის წინააღმდეგ გალაშქრება იოლი საქმე როდია. მიუხედავად ამისა, მანუელმა დაიფიცა, მეგობრებთან თავი ემართლებინა. ამგვარი საზიზღარი წარმოდგენის გამართვის უფლებას აღარ მისცემს ლორენსანას: არ მოითმენს, რომ ოლავიდე წამებით სიკვდილის პირას მიიყვანონ.

ფრანსისკო გულდათუთქული უყურებდა საბრალო ცოდვილს. რაც მას გადახდა, შესაძლოა ყველას მოსვლოდა. ეს იმ ავი სულების ნახელავია, ყველგან რომ არიან ჩასაფრებულნი; მათ ჩააცვეს ოლავიდეს სამარცხვინო პერანგი, თავზე მწვალებლის ქული ჩამოაფხატეს და თვით ისინი დიდი ინკვიზიტორისა და მისი ხელქვეითების სახით მასხრად იგდებენ საცოდავს.

„Tragalo perro — ხეთქე, ძაღლო“!. გოია იჭდა და სან-დომინგოს ელ რეალის ეკლესიაში მიმდინარე ამბის ყოველ წვრილმანს ამჩნევდა. მაგრამ ამავე დროს თვალწინ წარმოუდგა თავისი ჭაბუკობის დროის ამბები. მაშინ, მშობლიურ სარაგოსაში, იხილა უფრო საზეიმო, შემაზრზენი, საშინელი აუტოლადფე. ეს მოხდა ღვთისმშობლის, დელ პილარის, ეკლესიაში და მის წინ მოედანზე, შემდეგ კი დაწვეს მწვალებლები პუერტა დელ პორტილიოს წინ. ახლა ოდნავ უფრო გარკვევით, ვიდრე მაშინ, ზედავდა გოია სარაგოსელ მსაჯულებს, დამნაშავეებს და მოწმეებს, იყნოსავდა დამწვრების მყარ სუნს. მაშინდელი მწვალებლები და დღევანდელი საბრალო მსჯავრდებულნი ერთმანეთში გაითქვიფნენ.

მუხლმოყრილმა ოლავიდემ, შავად შებურვილი ჯვრის წინაშე, გადაშლილ ბიბლიაზე ხელდადებულმა, უარყოფის ფიცი დასდო. მღვდელი ამბობდა და ის იმეორებდა, რომ განუდგებოდა ყოველგვარ მწვალებლობას, რომელსაც იგი ფიქრით, სიტყვით, თუ საქმით ეწეოდა. მღვდელი ამბობდა და ის იმეორებდა, იფიცებდა ღმერთსა და ღვთის-

მშობელს, რომ მოთმინებით აიტანდა ყოველგვარ დაკისრებულ მონანიებას და ძალ-ღონეს არ დაიშურებდა მის შესასრულებლად. თუკი მას სულიერი ძალ-ღონე უმტყუნებს ან ხელახლა შესცოდებს, მაშინ თვითონ ჩათვლის თავს მოუხანიებლად, მოუქცეველ მწვალებლად, რომელიც სასამართლო პროცესის გარეშე უნდა დაისაჯოს კანონიკური წესის მთელი სისასტიკით — კოცონზე დაწვით.

ბრბოს ყაყანი და აურზაური
შემოდოდა ქუჩიდან კარში,
მაგრამ ტაძარი, რომელიც ხალხით
გაქედლიყო, დუმდა საოცრად,
და რომ დაეშვა გუშავს შემთხვევით
ძირს ალებარდი, შეთრთოლდებოდა
მთელი ტაძარი. და ამ საშინელ
დუმბილში ყველა უსმენდა მოძღვარს.
და ოლავიდუ, თითქოსდა განგებ,
ხმას იხუთავდა,
მხოლოდ და მხოლოდ
ჩანდა მკრთალ, ჩამქრალ სახეზე, როგორ
იძვროდა ბაგე უხმოდ, წამებით,
შეჭირვებით... და ასე დასრულდა
ეს წმინდა აქტი. ცხადად მოისმა
გარედან შქისე, მკვეთრი ბრძანება
და ჯარისკაცთა ნაბიჯის ხმები.
და იმავე მტკიცედ დადგენილ წესით,
როგორც პირველად შემოდგეს ფეხი,
გარეთ გავიდნენ მოსამართლენი.
და იმათ კვალზე ყარაულებმა
გამოიყვანეს მყის მწვალებლები
ეკლესიიდან სან-დომინგოსი.

9

გოიას მოუთმენლად სურდა გაემყდავნებინა, რაც სან-დომინგოს ეკლესიაში განიცადა. აგუსტინი ამაზე არაფერს ეკითხებოდა. დარწმუნებული იყო, ფრანსისკო თვითონ უამბობდა ყველაფერს.

გოია დუმდა. მისი განცდა მეტისმეტად ჩახლართული იყო. მან ამაზე მეტი დაინახა, ვიდრე ოლავიდეს ტანჯვა და მისი მსაჯულების

უხეში ფანატიზმი იყო. იხილა დემონები, რომლებიც მსაჯულების, მწვალებლების, სტუმრების ირგვლივ ფრინავდნენ, ხოხავდნენ, ცუცქედებოდნენ, ის ავი სულები, ადამიანს რომ მუდამ გარს ეხვევიან, იხილა მათი მხიარული ღრეჯა. და თვითონ ისიც, მიუხედავად ამ უცნაური სანახაობის მიერ აღძრული სიბრაღისა, ზიზღისა და სისაძაგლისა, თვითონ ისიც კი იზიარებდა დემონების ამ სიხარულს, რასაც ალბათ ვერასოდეს ვერ ჩასწვდებოდა ეს ჩაის მოყვარული აგუსტინი. კიდევ უფრო მეტიც: ისევ განიცდიდა ბავშვურ, შიშით აღსავსე ალტაცებას, როგორც მაშინ იგრძნო პატარამ, სიკვდილმისჯილი ერეტიკოსის დაწვისას. ამ ალიაქოთის, ამ ძველი და ახალი სახეების აღრევის აღწერა სიტყვებით შეუძლებელი იყო. ამის მხოლოდ დახატვა შეიძლებოდა.

ხატავდა. ყველაფერს თავი დაანება და ხატავდა. უარი თქვა სეანსებზე, რომლებზეც მშვიდობის თავადმა მოწყალება მოიღო და დათანხმდა. თავი აიძულა უარი ეთქვა კატანასთან შეხვედრაზე. ატელიეში არავის უშვებდა. აგუსტინს სთხოვა არ დაეხედა მისი ნახატებისათვის, ხოლო როცა მზად იქნებოდა, პირველად მას უჩვენებდა.

თავის საუკეთესო ტანსაცმელს იცვამდა მუშაობისას, ხანდახან უხერხულობის მიუხედავად მანოს სამოსელსაც.

ხატავდა სწრაფად, ამასთანავე დაძაბულად. მუშაობდა დამლაშობითაც. ამ დროს თავზე იხურავდა დაბალ, ცილინდრისებურ ლითონის ქუდს, ზედ აკრავდა სანთლებს, რათა თანაბარი სინათლე ჰქონოდა.

გოია გრძნობდა, რომ „წმინდა ისიდროს დღესასწაულის“ დამთავრების შემდეგ, მოკლე დროში, მისი მხედველობა გადახალისდა და ფერებიც მოუშრავლდა. სიხარულით იყო აღსავსე და გამარჯვებულის მოკრძალებით წერდა თავის გულითად მეგობარს მარტინს, რომ ახლა ხატავდა მცირე ზომის სურათებს თავის სურვილის მიხედვით, და გაცილებით მეტად აქსოვდა შიგ საკუთარ გულისთქმას, საკუთარ შთაბეჭდილებებს და ხასიათს, ვიდრე შეკვეთილ სურათებში. მის ფანტაზიას ფრთები შეესხა და ხატავდა ისეთ ქვეყანას, როგორსაც თვითონ ხედავდა. „შესანიშნავად გამოდის, — წერდა ის, — და ამ სურათებს ჭერ აქ გამოვაფენ მეგობრებისათვის, ხოლო შემდეგ — აკადემიაში. მხოლოდ ის მწადა, ჩემო სულო, მარტინ, რომ დროზე ჩამოხვიდე მათ სანახავად“. წერილზე დიდი ჯვარი გამოსახა, რათა ავ-

სულელებს კადნიერი თავდაჯერებულის დასასჯელად საბოლოოდ არ წახედინათ საქმე.

ბოლოს დადგა დღეც, როცა აგუსტინს თითქმის ღვარძლიანი სიხარულით უთხრა:

— აჰა, მზადაა. ახლა ნება გაქვს დახედო, და თუ სურვილი გაქვს, შეგიძლია აზრიც გამოთქვა.

სურათები იქ ეწყო.

ერთზე გამოსატული იყო სოფლის ღარიბულად მოწყობილი ხარების კიდილი. იქ იყო არენა, მოჭიდავეები, ცხენები, მაცურებლები და უკან კი მოჩანდა ორიოდ უშნო ნაგებობა. გახელებული, გასისხლიანებული ხარი, ერთი მშობარა, ოჩანი ცხოველი, ღობეს მიკვროდა, შარდავდა და ბრძოლა კი აღარ უნდოდა, არამედ—სიკვდილი. მაცურებლები ხარის ლაჩრობით იყვნენ აღშფოთებულნი, ვინაიდან ველარ უჩვენებდა იმ სანახაობას, რომელზედაც მათ უფლება ჰქონდათ. ხარი სინათლეზე და არენაზე აღარ ჩნდებოდა, სულმდაბლად ჩრდილში მიმალულიყო და ფეხის გაფშეკას ელოდებოდა. მას დიდი ადგილი არ ექირა სურათზე. ხარი კი არ იყო ფრანსისკოს მიზანი, არამედ მისი ბედი, და ამისათვის ტორეადორები, მაცურებლები, ცხენები ხარზე არანაკლებ იყვნენ საჭირონი, სურათი მრავალფიგურიანი იყო, მაგრამ არაფერი ჰქონდა ზედმეტ., ან უმნიშვნელო.

მეორე სურათზე გამოსატული იყო სულით ავადმყოფები საგიჟეთში. ეს იყო დიდი სარკოფაგისმაგვარი შენობა შიშველი ქვის თაღოვანი კედლებით. თალიდან და გისოსებიანი ფანჯრიდან შუქი შემოდის. აქ ერთად არიან შეყრილი გიჟები, ბევრნი არიან, მაგრამ ყოველი მათგანი უიმედოდაა მარტო. თითოეული თავისებურად გიჟობს. შუაში დგას ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე შიშველი მამაკაცი. ის მხეცური ქესტებით ედავება და ემუქრება უხილავ მოწინააღმდეგეს. აქ სხვებიც არიან ნახევრად შიშველნი, ინდიელებივით გვირგვინებით, ხარის რქებითა და კრელი ფრთებით მორთულნი. ისინი სხედან, დგანან, წვანან ერთმანეთზე მიკრულნი ქვის თაღქვეშ, მაგრამ მათ ირგვლივ დიდი სიმსუბუქე და სინათლეა.

მესამე სურათზე გამოსატული იყო წითელი პარასკევის ლიტანობა. ადამიანთა სიმრავლე არ იყო თვალში საცემი. მაგრამ სურათზე გამოსატული ბაირაღები, ჯვრები, მლოცავეები, მომნანიებელი ცოდვილები, მაცურებლები ქმნიდნენ ერთიან მოძრავ მასას. შავად შებურვი-

ლი სახლების წინ მოირხეოდა მძიმე ფიცარნავი, რომელიც ოფლში გაწურულ ღონიერ ვაჟკაცებს მოჰქონდათ. მასზე იდგა შარავანდელით მოსილი ღვთისმშობლის უზარმაზარი გამოსახულება, უკან კი, ცოტა მოშორებით, მოჩანდა ასეთივე ფიცარნავი წმინდა იოსებით და კიდევ უფრო მოშორებით — გიგანტური ჯვარცმით. ბაირალები და ჯვრებიც წინ მოჰქონდათ პროცესიის თავში. ყველაზე გარკვეულად გამოხატული იყო მომნანიებელი ცოდვილები სანახევროდ შიშველნი, ზოგი თეთრი სამარცხვინო წოწოლა ქუდით და ზოგი კი შავოსანი შავი ეშმაკის სახით. ყველა ფანტიკურად იყო აღგზნებული და მრავალწვერიან შოლტებს იქნევდნენ.

მაშინ, იმ აუტოდაფეზე, რომელსაც ცხრა წლის გოია სარაგოსაში დაესწრო, დაინახა და მოისმინა, თუ როგორ გამოუტანეს განაჩენი მღვდელს, მამა არევალოს. იგი შიშველ მომნანიებლებს ამათრახებდა და მოითხოვდა, მათაც გაემთრახებინათ მისი სხეულის ის ნაკვთები, რომლებითაც შესცოდა.

მღვდლისათვის გამოტანილი განაჩენი ღმობიერი იყო, მაგრამ ძალზე გრძელი და იკითხებოდა დიდხანს, ზედმიწევნით დასაბუთებულად, კანონის სწინააღმდეგო აკრძალული სასჯელის ყოველი წვრილმანის აღწერით, რომელსაც მღვდელი თავის თავსა და თავის მრევლს ახვევდა თავს.

ათეული წლები გავიდა და გოიას აღარ განხენებია ეს ამბავი. მაგრამ სან-დომინგოს ეკლესიაში კი ხელახლა გარკვევით იგრძნო ის სირცხვილი და გულითადი თანაგრძნობა, რომლითაც მაშინ განიმსჯვალა განაჩენის კითხვის დროს. მის მეხსიერებაში წამოიშალა მოგონებები მრავალ ფლაგელანტზე, პროცესიებზე ნახულ იმ თავისებურ მომნანიებლებზე, რომლებიც მომავალ ტანჯვათა ასაცილებლად თავს იწამებდნენ. ისინი სიამოვნებით ისჯიდნენ თავს. მათი როზგები სატრფოთა მიერაა მოხატული და როცა ამ ქალებს გვერდით ჩაუვლიდნენ, ცდილობდნენ თავიანთი სისხლი შეეშხეფებინათ, ეს პატივისცემა და გულისმოგება იყო არა მარტო ღვთისმშობლისა, არამედ სატრფოებისაც. ასე დახატა გოიამ მომნანიებლები. წინ ისინი მიაბიჯებენ, ცეკვავენ, კუნთებიანი შიშველი ზურგები წაუხრიათ, თეთრი ენქერი შემოუხვევიათ და თეთრი წოწოლა ქუდები დაუხურავთ. თვალისმომჭრელი სინათლე ეცემა მათ. ხოლო ღვთისმშობელი მკრთალსა და ნარნარ შუქსა ჰფენს ირგვლივ.

სულ სხვა პროცესია იყო გამოხატული მეოთხე სურათზე. ეს იყო „სარდინის დასაფლავება“, ის ველური დღესასწაული, რომლითაც მთავრდება კარნავალი, უკანასკნელი დღესასწაული დიდი მარხვის წინ. თავი მოუყრია მხიარულებას მოწყურებულ ბრბოს. ეშმაკისახიანი მთვარეა გამოხატული დიდ დროშაზე; ორიოდე ჭაბუკს ბავშვებმა შესაშინებელი ნიღბები აუფარებიათ. ორი გოგონა, რომლებიც გადაცმულ მამაკაცებს ჰგვანან, მძიმედ ცეკვავს მესამე ნიღბსან მამაკაცთან. ეს არის თავაწყვეტილი, გიჟური მხიარულება, ფანტიკური აღვირახსნილობა. იგრძნობა, რომ ამას კვალდაკვალ მოჰყვება ის დრო, როცა ყველაფერი ნაცრად და ფერფლად იქცევა.

ამ სურათში გოიამ პირადი გესლი ჩააქსოვა. სახელდობრ, ინგლისელებს მარხვაში დიდი რაოდენობით შემოპქონდათ ესპანეთში გამხმარი თევზი. პაპი, იმ მიზნით, რომ საძულველი ბრიტანელებისათვის ზელი შეეშალა, ნებას აძლევდა მარხვაშიაც ხორცი ეჭამა მას, ვისაც ექიმი და მღვდელი მოწმობას მისცემდნენ. თუ ვინმეს ამ პრივილეგიით სარგებლობა სურდა, უნდა შეეძინა ყოველწლიურად ახალი დაბეჭდილი ეგზემპლარი პაპის ნებართვისა—ბულა, მისი, მრევლის მღვდლის მიერ ხელმოწერილი. მღვდელი კი მას ფასს ადებდა შემძენის შემოსავლის მიხედვით. ეს მაღალი სასყიდელი წლითი წლობით ბრაზით ახრჩობდა ფრანსისკოს და ამიტომ გამოუვიდა მას „სარდინის დასაფლავება“ ასე პირქუში.

ბოლოს, მეხუთე სურათზე, წარმოდგენილი იყო აუტოდაფე, ოღონდ სან-დომინგოს ეკლესიაში შემდგარი კი არა, არამედ მაღალთალებიან, ნათელ ტაძარში. წინ, ყველაზე ამალღებულად, ფიცარნაგზე ზის სამარცხვინოპერანგიანი მწვალებელი, სასაცილოდ აჩრილა წოწოლა ქუდი ჰაერში. წამებისა და სირცხვილისგან გუნდად ქცეული კაცი შთლიანად მოკრუნჩხულა, მაღალ ადგილზე ყოფნა ორმაგად საცოდავად აჩენს მის სატანჯველს. მისგან განცალკევებულად, უფრო ქვემოთ ზის სამი სხვა ცოდვილი, მათაც ხელები აქვთ შეკრული, მათაც აცვიათ სამარცხვინო ტანსაცმელი და ახურავთ წოწოლა ქუდები. ერთი ქანცგაწყვეტილია, ხოლო ორი ჭერ კიდევ ფეხზეა. უკანა პლანზე სამსჯავროს წინაშე მდივანი განაჩენს კითხულობს. ირგვლივ სხედან სასულიერო და საერო პირები პარიკებითა და სკუფიებით; სხედან ჩასუქებული უსულგულო ნიღბოსნები არხეინად, ფარისევლურად, შუაში მოუმწყვდევიან მწვალებელი მამაკაცი და განაჩენს უკითხავენ.

ამ სურათების წინ იდგა ახლა აგუსტინი, იდგა და აკვირდებოდა. წვდებოდა მათ არსს, გაოცებული იყო, თანაც შეშინებული.

ეს იყო სიხარულის შიში. ეს ის მხატვრობა იყო, რომელიც კაცის თვალს აქამდე არ ეხილა. ამის დამხატველი იყო სხვა და ამასთანავე ძველი ფრანსისკო. აქ წვრილმანებში იყო გამოსახული სხვადასხვა ხალხმრავალი ეპიზოდები, მაგრამ ყველაფერი გადაუჭარბებლად. ეს იყო ზომიერი სისასვე. გამოტოვებული იყო, რაც მთლიანობას არ ექვემდებარებოდა, ცალკეული ადამიანები და საგნები მხოლოდ დაქვემდებარებულ ნაწილებს წარმოადგენდნენ. საოცარი ის იყო, რომ ხუთივე სურათი, მათი შინაარსების სხვაობის მიუხედავად, ერთნაირი იყო: მოკლული ხარი, უაზრო საკარნავალო მსვლელობა, ფლაგელანტები, საგიჟეთი, ინკვიზიცია. ეს ერთი იყო. ეს იყო ესპანეთი. აქ იყო მთელი ველურობა, სისასტიკე, ყუყუჩობა, უვიცობა, რაც ესპანურ სიხარულშიაც კი იგრძნობა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს შეეძლო გამოეხატა მხოლოდ ისეთ კაცს, როგორც მისი მეგობარი ფრანსისკოა, მიუხედავად ამისა, ყველაფერს მსუბუქი, ფრთებშესხმული დაღი ესვა: დახატული ეპიზოდების შემაზრუნეობა შერბილებული იყო ცის ნაზი შუქით, მოციალე, ნარნარად მომფინარე სინათლით. და რასაც ფრანსისკო თავის აგუსტინს სიტყვებით ვერასდროს ვერ გადასცემდა, ახლა იგი ამ ნახატებზე ხედავდა; სახელდობრ იმას, რომ ეს უცნაური ფრანზო ბოროტ დემონებს არ ებუებოდა, ფრანსისკოს მიერ დახატულ სიბნელეში გამოსჭვიოდა მისი სიცოცხლის ხალისი და დახატვის ხალისი, ცხოვრების განუზომელი სიხარული, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს ცხოვრება.

თუ შეიძლება ამ ხელოვნებას
ამბოხებული ფერწერა ერქვას?
თუ ჩანს ის, რაიც ვერ ურიგდება
ტახტსა და სკიპტრას? ალბათ ამაო
არის აქ ძებნა გამოწვევისა,
მაგრამ ეს მცირე ჩანახატები
ხმაღალა ეღერენ, მეტი ძალა აქვთ,
ვიდრე ქუჩაში — პროკლამაციებს
ან აღშფოთებულ ტრიბუნის სიტყვებს.
აი, ეს სისხლში მცურავი ხარი,
ეს სევდიანი მხარულება
საგუშაგოსთან ნახევრადშიველ

ფლაგელანტების გამოჩენამდე,
და სასამართლო მწვალებლებისა...
გულში იჭრება, ბოლმით და რისხვით
ალავებენ კაცს, აზრს ამძაფრებენ...
„აბა, რას იტყვი?“ — გოიამ ჩუმაღ
გამოსცრა:
„ვერა, ვერაფერს ვიტყვი,
აქ რალა ითქმის?“ — თქვა აგუსტინმა.
და გაუნათა უცებ ღიმილმა
დაღლილი, კუშტი, დატანჯული,
შავი ღრუბლებით მოცული სახე.

10

მოვიდა ხოსეფა, დახედა სურათებს და მოშორებით კუთხეში მიდგა. მას აშინებდა კაცი, რომელიც უყვარდა.

ხოველიანოსი ახალგაზრდა პოეტ კინტანასთან ერთად მოვიდა. ხოველიანოსმა თქვა:

— თქვენ ჩვენი ხართ, დონ ფრანსისკო. მე კი კინლამ შეეცდი.

ახალგაზრდა კინტანამ გაიხარა:

— აი, საყოველთაო ენა. თქვენს სურათებს ყოველი კაცი გაიგებს მეჯორედან მოყოლებული თვით პრემიერ-მინისტრამდე.

დონ მიგელი, ლუსია და დონ დიეგო სურათებს აკვირდებოდნენ. სისულელე იქნებოდა ამ სურათებისადმი მენგისა და ბაიეუს კანონების საზომით მიდგომა.

— ვმიშობ, ჩვენ იძულებულნი გავხდებით ხელახლა შევუდგეთ სწავლას, დონ მიგელ, — მიმართა აბატმა.

მაგრამ მეორე დღეს დონ მიგელი ისევ მივიდა გოიასთან. ფრანსისკოს სურათებმა ძილი წაართვა. მათ პოლიტიკოსი ბერმუდესი ხელოვნებათმცოდნე ბერმუდესზე არანაკლებ ააღელვეს. განა სხვა მტრები ვერ იგრობებენ ამ სურათებში ფართული ამბოხების სულსკვეთებას, თუნდაც დიდი ინკვიზიტორი ლორენსანა? ისინი თავს არ აიტკივებენ ამ სურათებში ჩაქსოვილი ხალასი ხელოვნებისათვის, ამ ნაწარმოებებს მხოლოდ აღრევად, ამბოხებად და მწვალებლობად მიიჩნევენ.

აი, ეს უნდოდა გაეზიარებინა ახლა მიგელს თავისი მეგობრისათვის. იგი ეუბნებოდა ფრანსისკოს, რომ ამ სურათებით მან სწორი

პოლიტიკური ალლო და საკმარისი გამბედაობა გამოამქლავნა. მეტიც გაკეთება — ამ სურათების გამოფენა უაზრო თავგანწირვა იქნებოდა. თუ ინკვიზიციის მიერ სან-დომინგოში აუტოდაფეზე დასასწრებად მიწვეული კაცი ასეთ სურათებს გამოფენდა, ეს იქნებოდა გამოწვევა, რომელსაც წმინდა ინკვიზიცია ვერ მოითმენდა.

გოია აღტაცებული აკვირდებოდა თავის სურათებს.

— მე ამ ნახატებში ისეთს ვერაფერს ვპოულობ, რამაც წმინდა ინკვიზიციას ჩემ წინააღმდეგ გამოლაშქრების საბაბი მისცეს. ჩემმა ცხონებულმა ცოლისძმამ მტკიცედ შემათვისებინა პაჩეკოს მითითება. არასოდეს არ დამიხატავს შიშველი სხეული, არასოდეს არ დამიხატავს ჩვენი სათაყვანებელი ღვთისმშობლის ფეხები. მთელ ჩემს მხატვრობაში არაფერი მოიძებნება, ინკვიზიციის აკრძალვას რომ ეწინააღმდეგებოდეს.

კიდევ გადაავლო თვალი სურათებს.

— ამ სურათებში ვერაფერ საჩოთიროს ვერ ვპოულობ, — გაიმეორა მან და დინჯად გააქნია თავი.

მიგელმა ამოიოხრა გოიას გულუბრყვილო, გლახურ ეშმაკობაზე.

— ამბოხნი აქ გარკვეულად არ ჩანს, — მოთმინებით განუმარტა მან, — მაგრამ ამ სურათებს ნამდვილი ჯანყის სუნი ასდის.

ფრანსისკომ ვერ გაიგო, რა სურდა მიგელს. როგორც ჩანს, კაცი მას ვერაფრით აამებდა. გოია ჯერ მხოლოდ ზელოვანი იყო მის თვალში, ახლა კი ვითომ მეტიმეტად შეჭრილიყო პოლიტიკაში. ნეტავ, რა საქმე ჰქონდა მის სურათებს პოლიტიკასთან? განა გოიამდეც ბევრმა არ დახატა ინკვიზიციის სამსჯავრო?

— მაგრამ ახლა არა, — წამოიძახა მიგელმა, — და ასე არა!

გოიამ მხრები აიჩეჩა.

— ვერ წარმომიდგენია, რომ ამ სურათებს შეეძლოს ჩემთვის უსიამოვნების მოყენება. მე უნდა დამეხატა ისინი. მათზე ჩანს, თუ რისი გაკეთება შემიძლია და არ მინდა მათი დამალვა, მინდა მათი ჩვენება, მათი გამოფენა. — და რადგან მეგობრის სახეზე ზრუნვა და ჰუმუნვა შეამჩნია, გულთბილად განავრძო: — თვითონ შენ ბევრჯერ ჩაგიგდია თავი საფრთხეში. კარგია, რომ მეგობრულად გწადია გაუფრთხილებელი მოქმედებისაგან შემაკავო, — შემდეგ გადაჭრით დაასკვნა: — ყბას ნუ მოიქცევ ბევრი ლაპარაკით, მე ამ სურათებს მაინც გამოფენ.

მიგელი დანებდა და ესლა უთხრა სევდიანად:

— იმას მაინც ვეცდები, რომ დონ მანუელი მოვიდეს და თავისი აზრი გამოთქვას სურათებზე. იქნებ ამან მაინც შეაკავოს დიდი ინკვიზიტორი.

დონ მანუელი სასწრაფოდ მოვიდა პეპას თანხლებით. თურმე პეპას ფრანსისკოს დარდი არ ასვენებდა მას შემდეგ, რაც ის აუტოდაფეზე მიიწვიეს. მან გოიას მიმართა:

— მე ამას ყოველთვის გეუბნებოდით, დონ ფრანსისკო, რომ თქვენში მწვალებლური სული იგრძნობა. თუ დონ მანუელი არ არის ისეთი კათოლიკე, როგორც მე მსურდა ყოფილიყო, მას ეპატიება, სახელმწიფო მოღვაწეა და სამეფო ტახტის პრივილეგიები უნდა დაიცვას. მაგრამ შენ კი, ფრანსისკო, მხოლოდ მხატვარი ხარ.

— ამის სიტყვებმა არ შეგაშინოს, დონ ფრანსისკო, — ხალისიანად ამშვიდებდა დონ მანუელი, — თქვენს თავს არავის დავაჩაგვრინებ. ერთხელ მივეცი ნება წმინდა ინკვიზიციას წარმოდგენის დადგმისა, ამიერიდან ეს აღარ გამეორდება. აბა გვიჩვენეთ თქვენი სურათები. მიგელი ბევრს მელაპარაკა მათ შესახებ.

დაათვალიერეს ნახატები.

— საუცხოოა, — თქვა მანუელმა, — თქვენ, ფრანსისკო, ასე ეთქვათ ჩემი მკვლარეული უნდა იყოთ, რომ აუტოდაფე არ ავკრძაღე, თორემ ასეთ სურათებს არ დახატავდით.

პეპა დიდხანს ჩუმად აკვირდებოდა სურათებს. ბოლოს ოდნავ გაჰიანურებული, დაბალი, მინაზებული ხმით თქვა:

— ეს მართლაც საუცხოოდ დაგიხატავს, ფრანჩო. მართალი რომ ეთქვა, ვერ გამიგია, რატომ არის ხარი ასე პატარა და ტორედორი ასე დიდი, მაგრამ, ალბათ, ასე იყო საქირო. ისეთი გაზვიადებული წარმოდგენა გაქვს შენს თავზე, რომ არც კი უნდა შეგაქოს ადამიანმა, მაგრამ მწამს, მართლაც დიდი მხატვარი ხარ, — და უტიფრად შეანათა თავისი მწვანე თვალები.

ეს დონ მანუელს არ მოეწონა.

— ჩვენი წასვლის დროა, — თქვა მან, — დონ ფრანსისკო, გეთაყვა, გამომიგზავნეთ სურათები, მე ვყიდულობ მათ.

გოია მოულოდნელმა სიხარულმა აღავსო — თავშესაქცევად დახატული სურათები ფულსაც მოუტანდა, მითუმეტეს შეეძლო დონ მანუელისათვის ძვირად დაეფასებინა. მაგრამ ეს ნახატები მისთვის არ ემეტებოდა და მით უმეტეს პეპასთვის. არ სურდა, ისინი გონებაში-

ლუდული, უვიცი ადამიანების საკუთრებად ქცეულიყო. დიდი გამბედაობა და დაუკვირებლობა კი იყო მშვიდობის თავადის განაწყენება, მაგრამ მაინც უთხრა:

— ვწუხვარ, დონ მანუელ, რომ არ შემიძლია სურათები დაგიტოვო, სხვას დავპირდი.

— მაშინ, — უკმაყოფილოდ უთხრა დონ მანუელმა, — ორს მაინც უნდა შეეღოთ, ერთს სენიორა ტუდოსთვის, ერთს—ჩემთვის.

ეს მბრძანებლურად განუცხადა და უარის თქმა შეუძლებელი იყო. გამომშვიდობების დროს პეპამ უთხრა:

— ხარი ძალიან პატარაა, თქვენ ამას თვითონ დაინახავთ, ფრანსისკო, მაგრამ თქვენ მაინც ესპანეთის სიამაყე ხართ.

მანუელმა ოდნავ უხეშად დაურთო:

— ჩვენი პეპა ყოველთვის თავისი რომანსების ენით ლაპარაკობს.

კაეტანას გარდა ყველა მეგობარმა დაათვალიერა სურათები. ფრანსისკო მას ელოდებოდა. ვნების ძლიერი ტალღა დაეძგერა და შიგ მოიმწყვდია, ახლა აუტანელი ბოლმა ახრჩობდა გოიას.

ბოლოს კაეტანაც მოვიდა, მაგრამ მარტო კი არა—ექიმი პერალის თანხლებით.

— მე თქვენ მაკლდით, დონ ფრანსისკო, — განუცხადა ქალმა.

ერთიმეორეს ისეთი ცეცხლით, უსირცხვილოდ და ბედნიერებით შესცქეროდნენ, თითქოს საუკუნე გასულიყოს მათი უკანასკნელი შეხვედრიდან, შემდეგ კაეტანა სურათებთან მივიდა. მაღალ, ამაყ წარბებქვეშ მისი მეტალისებურად მბრწყინავი თვალები ნაწარმოებებს ხარბად ისრუტავდნენ. ბავშვური ყურადღებით, გულდასმით აკვირდებოდა სურათებს. გოია სიხარულმა აიტაცა. მეტი რაღა შეეძლო ცხოვრებას მიეცა კაცისათვის? აქ. თავის კედლებს შორის, ერთად იყო შერწყმული ნაწარმოები, რომელიც მხოლოდ მას შეეძლო შეექმნა და მისთვის განკუთვნილი ერთადერთი შესანიშნავი მანდილოსანი.

— მე ვისურვებდი ყოველივე ამის მონაწილე ვყოფილიყავი, — განაცხადა ქალმა.

გოია წამსვე მიუხვდა და დიდად გაიხარა. სწორედ ამას გრძნობდა თვითონ და უნდოდა სხვასაც ეგრძნო. ქალს სურდა მონაწილეობა მიეღო ხარების ჭიდილში, კარნავალში, ინკვიზიციის პროცესშიაც კი. კიდევ უფრო მეტიც: თუ ვინმეს საგიჟეთის დანახვაზე არ აღეძვროდა სურვილი ტანზე ყველაფერი შემოეგლიჯა, დაეკარგა ზრდილობა და

გონება, მაშინ გოია ამაოდ დამშვრალა, მაშინ მისი სურათები ჩალის ფსახადაც არ ღირებულა. „მე ვისურვებდი ყოველივე ამის მონაწილე ყყოფილიყავი“. მან, კაეტანამ, გაიგო ყველაფერი. იგი, კაეტანა, ყველაფერს ჩასწვდა.

ორივემ დაივიწყა ექიმი პერალი, უკანასკნელმა კი მოაგონათ თავი და თავის ჩვეული დინჯი ხმით მიმართა:

— თქვენს ახლახან ნაბრძანებში, დუკესიტა, მეტი სიბრძნეა, ვიდრე ხელოვნებათმცოდნეთა სქელტანიან წიგნებში.

იმის გამო, რომ ამ ვაჟბატონმა ასე თავხედურად, შინაურულად უწოდა „დუკესიტა“, „პატარა ქალბატონი“ ფრანსისკოს ბედნიერი განწყობილება წუთში გაუქრა. მაინც როგორი იყო მათი ურთიერთ-დამოკიდებულება?

— რაც მე უმთავრესად მხიბლავს, — მიუბრუნდა ახლა პერალი ფრანსისკოს, — ისაა, რომ თქვენი მხატვრობა, მიუხედავად მძიმე შინაარსისა, ასეთი მსუბუქია, მე ვიტყვოდი—მხიარულიც კი. დონია კაეტანა ამაში მართალია: თქვენს ნახატებში, დონ ფრანსისკო, საშინელელებაც კი მომხიბვლელია, — და უცებ ასეთი კითხვა მისცა: — არ მომყიდით ერთ სურათს, დონ ფრანსისკო?

გოიამ გულში გესლიანად ჩაიცინა. ეს პერალი სწვდება მისი ნაწარმოებების არსს, არაა პეპასავით თავცარიელი. მიუხედავად ამისა, თითქმის უხეშად მიუგო:

— მე ძვირად ვღირვარ, ექიმო.

პერალმა თავაზიანად უპასუხა:

— არც მე ვარ ღარიბი, ბატონო კარის მხატვარო.

ჰერცოგის მეუღლემ კი ალერსიანად, მაგრამ გადაჭრით უბრძანა:

— ორი სურათი მე დამითმეთ, დონ ფრანსისკო.

გოია განრისხდა. ღიმილითა და საგანგებო თავაზიანობით კი მიუგო:

— ნება მიბოძეთ, ორი სურათი საჩუქრად მოგართვათ, *Amiguilta de mi alma*. — გოიამ ქალს „სულიკო“ უწოდა, ამ „დალაქზე“ რომ შური ეძია დუკესიტას გამო. — მერე უკვე თქვენი ნებაა, ვისაც გნებავთ იმას აჩუქეთ.

— გამდლობთ, — წყნარად და ალერსიანად მიუგო ალბამ.

კოლექციონერმა პერალმა გოიას უხეშობას ყურადღება არ მიაქ-

ცია. გაუხარდა, რომ საშუალება ეძლეოდა ერთი ან იქნებ ორივე სურათის მფლობელიც გამხდარიყო. და ალტაცებულმა ნამდვილი გულწრფელობით განაგრძო:

— ეს სურათები პირველი ქმნილებებია ახალი ხელოვნებისა. პირველი წინამორბედნი მომავალი საუკუნისა. როგორი მიმზიდველია ეს კაცი, — მიუთითებდა „ინკვიზიციის“ მწვალებელზე, — ეს სიგიჟეა, მაგრამ თქვენ სავსებით მართალი ხართ, ღონია კაეტანა, მის მდგომარეობაში ყოფნა მოგინდება კაცს.

თითქოს სძლია მოზღვავებულ გრძნობებს, მაგრამ მაინც აღელვებული განაგრძობდა:

— თქვენი შეგრძნება, დონ ფრანსისკო, ისტორიული ფაქტებით დასტურდება. იყენენ ისეთი იუდეველები და მარანები, რომელთაც შესაძლოა კიდევ ჰქონდათ გაქცევის საშუალება, მაგრამ ინკვიზიციის განკარგულებაში რჩებოდნენ და ელოდებოდნენ, თუ როდის სტაცებდნენ ხელს და დაატყვევებდნენ. უთუოდ ხიბლავდათ ასეთ სამბენიტოში გამოწყობა.

— თქვენ საოცრად გაგეგებათ იუდეველთა განცდები. ფრთხილად იყავით, ინკვიზიციამ თვით თქვენ არ მიგიჩნით ერთ-ერთ მათგანად, — მიახალა გაბრაზებულმა გოიამ.

— აბა, რა ვიცი. — წყნარად წარმოთქვა ექიმმა პერალმა, — რომ ებრაული სისხლი არ მირევიან? რომელ ჩვენგანს შეუძლია ამის დანაშაულებით თქმა? ერთი კი ცხადია: ებრაელებმა და მავრებმა მისცეს კაცობრიობას საუკეთესო ექიმები. მე ბევრი ვისწავლე მათი შრომებიდან. კმაყოფილი ვარ, რომ საზღვარგარეთ გავეცანი მათ.

ოლავიდეს დალუპვის შემდეგ მხოლოდ გაბედულ ვაჟკაცს შეეძლო ამ სიტყვების წარმოთქმა. გოიამ ძალაუწებურად აღიარა ეს და კიდევ უფრო მეტად გაბრაზდა.

მალე სენიორა ღონია ხოსეფა ბაიეუ დე გოიას ალბების საგანძურად, კაეტანა ალბას მოკითხვასთან ერთად, ძღვნად მოართვეს ძველი ვერცხლეული. ხოსეფა დაიბნა უამრავი ძვირფასეულობის დანახვაზე. ანგარიშიანი ქალი იყო და უხვმა საჩუქარმა გაახარა, გოიამ კი ოღნავ შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

— იძულებული გავხდი პერცოგის მეუღლისათვის მეჩუქებინა ორი ჩემი სურათი. ბუნებრივია, სამაგიერო საჩუქარს გზავნის. ხედავ? — დასძინა კმაყოფილებით, — მე რომ იმ სურათების გაყიდვა მომენდო-

მებნა, ექვსი ათას რეალზე მეტს ვერ ავიღებდი, რაც ჩვენ წინ აწყვია, ოცდაათი ათას რეალზე ნაკლები არ ღირს. ყოველთვის გეუბნებოდი, გელუხვობა უფრო შემოსავლიანია, ვიდრე ხელმოკერილობა-მეთქი.

გოიამ აკადემიაში გამოფინა სურათები. მისი მეგობრები შიშით მოელოდნენ ინკვიზიციის პასუხს.

მოუტანეს ამბავი, რომ წმინდა ინკვიზიცია გზავნის საქმის მცოდნეებს სურათების დასათვალისწინებლად; გოიაც ადგილზე უნდა ყოფილიყო.

სასულიერო ბატონები არქიეპისკოპოს დესპინგის მედაურობით გამოცხადდნენ გამოფენაზე. გოიამ იცოდა, რომ პეპა ამ პრელატთან წეგობრობდა. გაუელვა, იქნებ მისი გამოგზავნილი იყოსო. ვითომ დასახმარებლად? თუ დასალუპავად?

ეკლესიის წარმოგზავნილმა სურათები დაათვალიერა.

— ეს ქეშმარიტად კარგი, ღვთისმოსავი ნაწარმოებებია, — ბრძანა მან, — ამ „ინკვიზიციიდან“ ერთგვარი კეთილისმყოფელი საშინელება ჩანს, რის ჩასაგონებლადაც ისწრაფვის უწმინდესი ინკვიზიცია. შვილო ჩემო, ჩვენ უნდა შემოგვწიროთ ეს სურათი. საჩუქრად უნდა ვიართვათ ეს ბატონ დიდ ინკვიზიტორს.

გოია დაიბნა, თავი გაბედნიერებულად იგრძნო.

გაკვრით უამბო ხოსეფას, რომ „მწველებელთა სამსჯავრო“ წმინდა ინკვიზიციას შესწირა.

ამ უმაღლესი კადნიერებით
გაბეებულმა ხოსეფამ ძლივს თქვა:
„ოცი, შენს სურათს ცეცხლში ისვრიან,
შენ კი — ციხეში“. მაგრამ ფრანსისკომ
სრულიად მშვიდად: „მე ის სურათი
მთავარმა ინკვიზიტორმა მთხოვა“.
გაშრა ხოსეფა: „ყველაფერ ამას,
არ მესმის,
როგორ ახერხებ, ფრანჩო?!
შენ ყოველივე მოაჯადოვე
და შენს ნებაზე ტრიალებს ყველა!“

პაბლო ოლაიდე საბრალებულს სკამზე რომ ნახა, აბატს ტანმაცკი უგრძნო, როგორ მოხოხავდა მისკენ საშიშროება და დღითი დღე

უახლოვდებოდა. იცოდა, ლორენსანას სძულდა, ვინაიდან ის გადამდგარი სიერას მეგობარი და ინკვიზიციის მტერი იყო. დრო, რომელიც აბატს გასაქცევად დარჩენოდა, იწურებოდა. მას კი ძალა არ შესწევდა მიეტოვებინა მადრიდი და ლუსია.

მანუელი მაღალფარდოვანი სიტყვებით დაჰპირდა მფარველობას, მაგრამ აბატს მისი იმედი არ ჰქონდა. ლორენსანას ასალაგმავად მხოლოდ ერთი საშუალება არსებობდა. დონ მანუელს ახლა, სწორედ ახლა, უნდა გამოეგლიჯა ოლავიდე ინკვიზიციის კლანჭებიდან.

აბატი და მიგელი დაჟინებით მოითხოვდნენ მისგან ხელი შეეწყო ოლავიდეს გაქცევისათვის. თვით მინისტრს კი გულს უკოდავდა და სწვავდა სან-დომინგოს ეკლესიაში მომხდარი სამარცხვინო სანახაობის მოგონება. მომხრე იყო, გათამამებული ეკლესიის მსახურთათვის ხელიდან გამოეტაცა ოლავიდე. მაგრამ ასეთი საქმის ჩადენისა ეშინოდა და დედოფლის თანხმობის გარეშე ამას ვერ გაბედავდა, ხოლო მისი დაყოლიება კი შეუძლებლად მიაჩნდა.

იმის გამო, რომ პეპასთან მანუელის ურთიერთობა კვლავ გრძელდებოდა, მარია ლუიზა განაწყენებული იყო და ბოლო ხანებში არაერთგზის დატუქსა საყვარელი. ცდილობდა მის შეურაცხყოფას, დასცინოდა იმ მარცხისათვის, რომელიც ოლავიდეს საქმეში განიცადა. ცხადია, დედოფალი ეტყოდა: ახლა იწვნიე შენივე ნამოქმედაიო.

არწმუნებდა თავის მეგობრებს, ოლავიდეს გერონის მონასტერში არ დავაქლექებო, მაგრამ მსჯავრდადებული მწვალებლის მოტაცება სახათაბალო საქმეა, მჭირდება დრო კარლოსის დასაყოლიებლადო. ჯერჯერობით კი ინკვიზიციასთან ბრძოლას სხვა სარბიელზე ვაწარმოებო. საქირო იყო ომის დროიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მერყევი ესპანური ვალუტის განმტკიცება. უცხოელმა საქმოსნებმა თანხმობა განაცხადეს დიდი რაოდენობით გავერცელებინათ ესპანეთის სესხი. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს გაბედული ფინანსისტები ებრაელები აღმოჩნდნენ. ასეული წლობით იღვწოდა ინკვიზიცია იმისთვის, რომ ესპანეთის მიწა არც ერთ ებრაელს არ შეეხებოდა. ამავე დროს ებრაელი საქმოსნები ესპანეთის ფინანსების განმტკიცებას მხოლოდ იმ პირობით შეუდგებოდნენ, თუ საშუალება მიეცემოდათ პირადად გასცნობოდნენ ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას. დონ მანუელმა დედოფალს მოახსენა საქმის ვითარება და სესხის რაოდენობა დაუსახელა ორასი მილიონი. მარია ლუიზას წინააღმდეგობა არ გაუწყ-

ვია, რომ მის მინისტრს თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით მოეთხოვა დიდი ინკვიზიტორისაგან ორი ბანკირის შემოშვების უფლება.

ლორენსანამ წამსვე უარყოფითი პასუხი გასცა. ის მეფესთან იქნა გამოძახებული. მოლაპარაკება დონ მანუელის თანდასწრებით მოხდა, რომლის დროსაც დონ კარლოსმა ჩვეულებრივზე მეტი სიჭიუტე გამოაჩინა. დიდმა ინკვიზიტორმა მხოლოდ მას მიაღწია, რომ ორ ებრაელზე მეტს არ შემოუშვებდა და ისინიც იქ ყოფნის მთელი დროის მანძილზე ინკვიზიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდნენ.

ებრაელმა ბატონებმა, ანტვერპენელმა მუსიო ბომერმა და ამსტერდამელმა მინჰერ პრიერამ მადრიდში სენსაცია გამოიწვიეს. მოწინავე ადამიანები ერთიმეორეს ასწრებდნენ მათ პატივისცემას. ზოველიანოსმა ისინი ჩაიხე მიიწვია. თვით კაეტანა ალბამ მათ პატივსაცემად წვეულება გამართა.

გოიას შემთხვევა მიეცა ებრაელებს დაკვირვებოდა. ის იმედგაცრუებული დარჩა, ვინაიდან სულ სხვანაირად გამოიყურებოდნენ, ვიდრე რემბრანდტის სურათების ებრაელები. მუსიო ბომერი, საშინელი სიკვდილით დაღუპული დედოფლის, მარია ანტუანეტას კარის იუველირი, ერთი კოპწია ფრანგი იყო, როგორებიც მას ათასობით ენახა და მინჰერ პრიერა სუფთა, უნაკლო კასტილურ ენაზე ლაპარაკობდა. ებრაელებს გრანდებთან თავი თანატოლებივით ეჭირათ.

ლორენსანამ, გაცოფებულმა იმის გამო, რომ მისი მმართველობის დროს დედაქალაქის ჰაერი ებრაელების სუნთქვით იწამლებოდა, გაამწვავა ლიბერალებთან ბრძოლა. უკანასკნელ წლებში ხმამაღულღებლივ ითმენდნენ, რომ გავლენიან პირებს აკრძალული წიგნები ჰქონდათ. ახლა კი გაწმირდა ჩხრეკა და მასთან ერთად ინკვიზიციას მოუმრავლდა საბრალდებო მასალა.

ერთხელ, როცა აბატი სახლში უჩვეულო დროს ბრუნდებოდა, დაინახა თავისი კარებიდან გამომავალი ვინმე ლოპეს ხილი, რომელსაც ინკვიზიციის ჯაშუშად იცნობდა. აბატმა სთხოვა დონ მანუელს, აღარ შეეცა ნება ოლავიდეს საქმის მსგავსი რამ გაემეორებინათ; დააფიცა მინისტრს შეეკავებინა დიდი ინკვიზიტორი და კიდევ უკეთესი იქნებოდა, თუ ოლავიდეს გაქცევას შეუწყობდა ხელს.

დონ დიეგოს თხოვნა მინისტრმა ყურად იღო, სანახევროდ დათანხმდა, მაგრამ გულში მაინც ყოყმანობდა.

ამ საქმეში თვით დიდმა ინკვიზიტორმა აღმოუჩინა დახმარება. უკანასკნელ ხანებში სასულიერო პირებმა გამოაქვეყნეს მთელი წყება ნაწერებისა, რომლებიც მოუწოდებდნენ მოსახლეობას დაეწვათ ხოველიანოსის, კარაბუსის, ხოსე კინტანას შემადრწუნებელი წიგნები და მათა ავტორებისათვის შთაეგონებინათ, ესპანეთი კათოლიკური ქვეყანა არისო. ახლა ერთ განსაკუთრებით გესლიან ბროშურაში ნათქვამი იყო, ბინძურ და ღვთისმგმობ წიგნებს ჩვენში ითმენენ და აქებენ, რადგან სახელმწიფოს პირველი მოხელე და პირველი ქალბატონი თვით იძლევიან აღვირახსნილობის მაგალითსო.

დონ მანუელმა გაიხარა, როცა პოლიციამ ეს ბროშურა მოუტანა. ლორენსანამ ახლა შორს შეტოპა. მანუელმა პასკვილი დედოფალს მიართვა. მარია ლუიზამ წაიკითხა.

— ლორენსანას ხელებზე უნდა მოვეცხოთ, — ბრძანა მან ავისმომასწავებელი სიმშვიდით.

— თქვენი აღმატებულება, როგორც ყოველთვის, მართალი ბრძანდება, — მიუგო მანუელმა.

— შენ რა თქმა უნდა, გაგიხარდება, თუ მე ყველა შენს გაფუჭებულ საქმეში ჩავერევი, — უთხრა დედოფალმა.

— თქვენ მხედველობაში გაქვთ ოლავიდეს საქმე? — გულუბრყვილოდ ჰკითხა მანუელმა და მყისვე განაგრძო: — დიახ, ყოველ შემთხვევაში, მე მიმაჩნია, რომ ოლავიდე უნდა მოვაშოროთ მათ.

— მე კარლოსს უნდა მოველაპარაკო, — მიუგო დედოფალმა.

მარია ლუიზა კარლოსს მოელაპარაკა, მერე მანუელი მოელაპარაკა მიგელს, მიგელი — აბატს და ბოლოს აბატი — დიდ ინკვიზიტორს.

მოლაპარაკება ლათინურ ენაზე წარმოებდა. აბატმა დაიწყო იმით, რომ ის ლაპარაკობდა არა როგორც უწმინდესი ინკვიზიციის თავმდაბალი მსახური მისსავე წინამძღვართან, არამედ როგორც კერძო პირი. დონ მანუელი და კათოლიკე მეფე დაინტერესებულნი არიან მოლაპარაკების შედეგებითო. ლორენსანამ მიუგო, კარგია, ეს გვაცნობეთო. ურიგო არ იქნებოდა თუ, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად, დონ დიეგო გააგებინებდა დონ მანუელს და იგი კი თავის ნებრივ მის ბრწყინვალეობა დონ კარლოსს, რომ, სამწუხაროდ, ყოფილი დიდი ინკვიზიტორის, სიერას წინააღმდეგ მხილებანი მრავლდებოდა და საბრალდებო განაჩენის გამოტანა აუცილებელი გახდებოდა.

— შენ, ძმაო ჩემო, კარგად იცნობ ამ კაცს და წინასწარ უნდა

გცოდნოდა. რომ მისგან მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო. — დაუმბატა ლორენსანამ.

— ო, მამაო ჩემო, მე ვიცნობ მას და გიცნობ შენც, — მიუგო აბატმა, — ამიტომაც ეს არ მოცეხს.

დიდი ინკვიზიტორი შეეკითხა:

— ისევ განაგრძობ მუშაობას იმ თემაზე, რომელიც მან მოგანდო? დონ დიეგოს გონება უბრძანებდა „არა“ ეთქვა, მაგრამ თავისმა ბობოქარმა გულმა ამის ნება არ მისცა.

— ჩემთვის არავის უბრძანებია ამ სამუშაოს შეწყვეტა, — მიუგო მან უნაკლო იტალიურით და განაგრძო: — ყოვლისშემძლე უბრძანებს მთვარეს გაივსოს და დანაკლულდეს. უფლის ბრძანებით მთვარე ივსება და იღუვს. ყოვლისშემძლე შთააგონებს უწმინდეს ინკვიზიტორს ხან ლმობიერებას და ხანაც სისასტიკეს. ამიტომაც თავმდაბლად ვიმედოვნებ, რომ შესაძლოა ჩემი შრომა ოდესმე გამოსადეგი გახდეს.

— ვშიშობ, ო, ძმაო ჩემო, — უბასუხა ლორენსანამ, — რომ შენ იმედი უფრო მტკიცე გაქვს, ვიდრე ქვეშარიტი რწმენა, მაგრამ მითხარი, რა დავალებითა ხარ მოსული? — განაგრძო მან მბრძანებლურად.

— მშვიდობის თავადს სურს, ო მამაო, შენი ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდადებული მწვალებელი პაბლო ოლავიდე სხეულით მეტად სუსტია და თუ ამ სხეულს ილაჯი გაუწყდება იმ დროის განმავლობაში, სანამ ის ინკვიზიტორის მეთვალყურეობის ქვეშ არის, მშვიდობის თავადი შიშობს, რომ მთელი ევროპა ესპანეთსა და კათოლიკე მეფეს სასტიკად გაკიცხავს. ამიტომ მშვიდობის თავადი გახოვთ, Reverendissime¹, მწვალებლის ჯანმრთელობა განსაკუთრებული ზრუნვის საგნად აქციოთ.

— შენ იცი, ძმაო ჩემო, — შეესიტყვა დიდი ინკვიზიტორი, — რომ ადამიანისთვის განკუთვნილ სიცოცხლის დღეების რიცხვს უწინდესი ინკვიზიტორია კი არ აწესებს, არამედ წმინდა სამება.

— ეს სრული ქვეშარიტებაა, მამაო ჩემო, — მიუგო დონ დიეგომ, მაგრამ თუ წმინდა სამებამ დღეების ისეთი მცირე რიცხვი არგუნა მას. რომ ეს ვადა უწმინდესი ინკვიზიტორის მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნას დროს მიიწურება, მაშინ, Reverendissime, კათოლიკე მეფე

¹ დიდად პატივცემულო (ლათ.),

ამაში უზენაესის გულისწყრომის ნიშანს დაინახავს. მისი უბრწყინ-
ვალესობა საჭიროდ მიიჩნევს წმინდა მამას მიმართოს წმინდა ინკვი-
ზიციის ხელმძღვანელობის შესაცვლელად.

ლორენსანა ნახევარ წუთს დუმდა.

— მაშ რას მოითხოვს დონ მანუელი უწმინდესი ინკვიზიციისაგან? —
მკვახედ იკითხა მან ბოლოს.

აბატმა განსაკუთრებული თავაზიანობით მოახსენა:

— არც მშვიდობის თავადს და არც კათოლიკე მეფეს მიზნად არა
აქვთ მეფეთ მეფის საქმიანობაში ჩარევა, რომლის მართლმსაჯულებას
ესპანეთის მიწაზე შენ განაგებ, მამაო ჩემო. მაგრამ შენ მოგმართავს
თხოვნით ორივე საერო წინამძღოლი, სერიოზული ყურადღება მიაქ-
ციოთ იმ ამბავს, რომ ხსენებული მწვალებლის სხეული დასუსტებუ-
ლია და სამკურნალო წყლებს საჭიროებს. მამაო ჩემო, მოწყალება
მოიღეთ და მოიფიქრეთ, ხომ არ გექნებათ საშუალება მწვალებლის
შესაფერ სამკურნალო წყლებზე გაგზავნისა? მშვიდობის თავადი მე-
ტად მოხარული იქნება, თუკი სამი დღის განმავლობაში გაიგებს შენა
გადაწყვეტილებას.

ლორენსანამ უთხრა:

— გმადლობ შენ, ძმაო ჩემო, რომ მაუწყე ყოველივე. შენ და შენს
ბატონს ამ ზრუნვას არ დაგივიწყებთ.

მთელი საუბრის განმავლობაში აბატს ატკობდა განსხვავება მის
დახვეწილ და დიდი ინკვიზიტორის ვულგარულ ლათინურს შორის.

მოკლედ და საქმიანად აუწყა ლორენსანამ პირველ მინისტრს, რომ
უწმინდესი ინკვიზიცია მომზანიებელ მწვალებელს, პაბლო ოლავი-
დეს, შერყეული ჯანმრთელობის აღსადგენად, კალდას დე მონტბუიში
უპირებს გაგზავნას ოთხილი აბაზანების მისაღებადო.

— აბა, სენიორებო, გაამეთ თუ ვერა? — ამაყად ჰკითხა დონ მანუ-
ელმა თავის მეგობრებს მიგელსა და დიეგოს.

— როგორ გაქვთ წარმოდგენილი შემდეგი? — ჰკითხა აბატმა.

მანუელმა ალერსიანად და ეშმაკურად ჩაიცინა.

— აქ ერთი როლი თქვენთვისაც გამოვნახე, ჩემო ძვირფასო, —
უპასუხა მან. დიდი ხანია მიზნად დავისახე გამეგზავნა პარიზში სა-
განგებო ელჩი კავშირის თაობაზე მოსალაპარაკებლად. გთხოვთ ეს
მისია თქვენ იკისროთ, დონ დიეგო. ჩემს მიერ უფლებამოსილი იქ-
ნებით. განკარგულებაში იყოლიეთ მეფის რომელი ქვეშევრდომიც

გინდათ. თუ მგზავრობის დროს გზას ოდნავ გადაუხვევთ და თქვენს მეგობარ ოლავიდეს წყლებზე მოინახულებთ, კარგი იქნება. ალბათ არ გაგიჭირდებათ შორეულ გზებზე გასეირნებაზე მისი დაყოლიება და თუ ამ დროს გზა აებნევა და საფრანგეთში აღმოჩნდება — მისი ნებაა.

აბატს ჩვეულებრივ მოსწრებული პანუხი ყოველთვის მზად ჰქონდა, ახლა კი ენა ჩაუვარდა და გაფითრდა. სულითა და გულით სურდა დონ მანუელის შემონათავაზები მიეღო, საკუთარი ხელით გამოეგლიჯა ოლავიდე ლორენსანასათვის და პირენეებზე გადაეყვანა, მაგრამ თუ ამას ჩაიდენდა, თვითონაც იძულებული გახდებოდა საფრანგეთში დარჩენილიყო, თანაც დროებით კი არა, — სამუდამოდ.

თუ უკან დაბრუნებას გაბედავდა ასეთი საშინელი ბოროტმოქმედების შემდეგ, როგორც დასჯილი მწველებლის მოტაცებაა, მაშინ ესპანეთში ვერც ერთი კაცი და თვით მეფეც ვერ შეძლებდა მის დაცვას. დიდი ინკვიზიტორი ხელს სტაცებდა — აბატმა ტყუილად კი არ ამოიკითხა მის თვალეში დაუფარავი ზიზლი — კოცონზე გაგზავნიდა, მთელი ქვეყნის ფანტიკურ მხიარულების საგნად აქცევდა.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ, დონ მანუელ, — უთხრა მან, — გთხოვთ ერთი დღე მომცეთ მოსაფიქრებლად, გამოვდგები თუ არა ასეთი სათავადასავლო საქმისათვის.

ყველაფერი უამბო ლუსიას. განუმარტა, რომ პირადი სიმპათია და მსოფლმხედველობა დავალების მიღებას კარნახობდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა თავისი სურვილით ესპანეთისა და ლუსიას სამუდამოდ მტოვება. ლუსია ჩვეულებრივზე უფრო ჩაფიქრებული ჩანდა.

— განა ოლავიდემ არ შექმნა თავის დროზე პარიზში ახალი ესპანეთი? — შეეცადა ქალი აბატის დარწმუნებას. — ეს თქვენ თვითონ მიაშბეთ. რატომ არ შეგიძლიათ ანლა თქვენ და ოლავიდეს იგივეს გაკეთება? — და რადგან აბატი დუმდა, განაგრძო: — მე კარგად ვიცნობდი ქალბატონ ტალიენს, როცა აქ ცხოვრობდა და ქალბატონ ტერეზა კაბარუსად იწოდებოდა. შემიძლია ვთქვა, რომ ვმეგობრობდი კიდევაც. დიდი სურვილი მაქვს მისი ნახვისა. როგორც ყური მოგკარი, პარიზში გავლენიანი ქალი ყოფილა. როგორ გგონიათ, დიეგო, შევძლებდი თუ არა პარიზში ესპანეთის საქმისათვის სარგებლობის მოტანას?

დონ დიეგო, პოლიტიკოსი, მოქნილი და გონებამახვილი ცინიკოსი,

ისე გაწითლდა, როგორც ყმაწვილი, რომელსაც გოგონამ პირველად უთხრა „პო“.

— შეძლებდით?... თანახმა ხართ? — სულ ეს იყო, რის თქმაც შეძლო აბატმა.

ლუსიამ კი საქმიანად ჰკითხა:

— თქვენი აზრით, რამდენი ხანი დასჭირდება კაცს, საფრანგეთის პირველ სოფელს რომ მიაღწიოს?

აბატმა სწრაფად გამოიანგარიშა:

— ორი კვირა, — მიუგო მან, — დიახ, ორ კვირაში ვიქნებით სერაბერეში.

— თუ მეც წამოვალ, — დაუმატა ლუსიამ, — მოსამზადებლად მცირეოდენი დრო დამჭირდება, — მან დიეგოს შეხედა, — ერთი კვირაც დაუმატეთ ჰარიზს გამგზავრებამდე სერაბერეში გასაჩერებლად.

დარბაისელი მამაკაცის ელეგანტური გონებამახვილობა გაქრა და ბედნიერებისაგან ბავშვივით სტვენას მოჰყვა.

„ეს რომ ასრულდეს, ასე რომ მოხდეს, —
თქვა მან, — და მაშინ იქ, სერაბერეში,
გარიდებულთა საშიშროებას,
ფრანგულ მიწაზე გნახავდეთ ერთად —
მარცხნივ დონ პაბლო ოლაიდეს და
ჩემს მარჯვნივ კი — თქვენ, დონა ლუსია,
აი, მაშინ კი მართლაც ვიტყოდით:
— არსებობს ღმერთი!
ღმერთს ვირწმუნებდი.“

12

თითქმის სამი კვირის შემდეგ მიგელმა გოია მოინახულა.

— სიხარულის საბაბი გვაქვს, — აუწყა გოიას, — პაბლო ოლაიდე გადარჩენილია. დონ დიეგომ საზღვარზე გადაიყვანა.

გოია თუმცა საკუთარი თავითა და თავისი ბედნიერებით იყო გატაცებული, მაგრამ ოლაიდე გადარჩენამ მაინც ააღელვა, არა ნაკლებ ააღელვა აბატის გაქცევამაც. ცხადი იყო, არცთუ ისე ჩქარა და შესაძლოა აღარასოდეს არ დაბრუნდებოდა დონ დიეგო. მოაგონდა, რომ თვითონ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, იძულებული გახდა გაქცეულიყო, როცა მასზე ეჭვი მიიტანეს მკვლელობაში. თითქოს დღეს მომხ-

დარცხოს, თვალწინ ცხადად წარმოუდგა კადისის თეთრი სანაპირო, მწვანე ტყვილს გრძნობდა, რომ თავისი ესპანეთი უკან რჩებოდა და, ვინ იცის, რამდენი ხნით. მაშინ გოია ახალგაზრდა იყო, გაურბოდა საშინელ საფრთხეს და ცისფერი და მომზიბვლელი ეჩვენებოდა შორეული მხარე. დონ დიეგო კი ახალგაზრდა აღარ იყო. მან თავისი შეჩვეული და საყვარელი ცხოვრება რაღაც უცნობზე გაცვლა. ფრანსისკოს ვერ წარმოედგინა უფრო დიდი საშინელება, ვიდრე ის, რომ იძულებული გამხდარიყო ახლა სადმე გაქცეულიყო. მადრიდის, სარაგოსას, მეფის კარის, ხარების ცირკის, ზოსეფას და ბავშვების, თავისი სახელის, მახების, საკუთარი სახლის, ეტლის და მისი კაეტანას მიტოვება უაზრობა იქნებოდა. საამისო ძალ-ღონე გოიას არ შესწევდა. მიგელი თავის საყვარელ პოზაში იჯდა,—ფეხი ფეხზე შემოდებული, მეტისმეტად მშვიდი; ოდნავ შეპუდრული, შუბლნათელი, ალერსიანი სახით, მაგრამ თავის მოგონებებიდან დაბრუნებულმა გოიამ უტყუარი თვალთ მის სახეზე ერთი ბეწო, ძლივს შესამჩნევი მოუსვენრობა მაინც ამოიკითხა.

დონ მიგელი ნაძალადევი უზრუნველობით ჰყვებოდა, რომ გრაფი კაბარუსი დიდი ხანია მოითხოვდა, დონია ლუსიას მოენახულებინა ძველასძველი მეგობარი, მისი ასული, ქალბატონი ტალიენი, და რადგან ახლა ოლავიდე და აბატიც იქ არიან, მიგელმა მიიღო ეს მიპატიუება. პოლიტიკურ წრეებში გავლენიანი მეგობრის დახმარებით, ლუსია და ორივე მეგობარი, უეჭველია ზოგ რამეს მიაღწევენო.

გოია განცვიფრდა, შემდეგ გაიაზრა, რა რასთან იქნებოდა დაკავშირებული და მეგობარი შეეცოდა. მან, მიგელმა, ლუსია გარყვნილების წუმბიდან ამოიყვანა და ქალაქის ერთ-ერთ წარჩინებულ ქალბატონად აქცია. საბრალო მიგელი! როგორ რაინდულად იცავდა და ხელს აფარებდა მას!

სხვათა შორის, გოიას არც კი ეგონა, თუ ლუსიას ასეთი გატაცების თავი ჰქონდა. დიახ, მარკიზ დე სან ადრიანის მაგვარ ფრანტს ან სხვა რომელიმე თავქარიან არისტოკრატს რომ გამოჰკიდებოდა, გასაგები იქნებოდა, მაგრამ ხანში შესულ, ჩასუქებულ, უფულო, უტიტულო კაცს რომ ვაჰყვა—ეს კი საოცარია. რა საცოდავი შესახედავი იქნება დონ დიეგო პარიზში, თავგადასავლის მაძებარი, ინკვიზიციის ლტოლვილი მსახური. რა უცნაური არიან ქალები. უკლებლივ ყველა.

სადამოს მარტო იჯდა სენიორ ბერმუდესი კაბინეტში და თავისი

სკელტანიანი „მხატვრების ლექსიკონის“ შენიშვნებს ათვალეობდა. ეგონა, ეს საქმიანობა გამართობსო. მაგრამ გული თავის საყვარელ ნაწერებისაკენ კი არ მიუწევდა—ლუსიას პორტრეტისაკენ.

ფრანსისკომ კარგად გამოიცნო. სურათზე მოციალე სინათლე და ღრმად ორაზროვანი, რალაც ცბიერი მართლაც იმალებოდა წარჩინებული ქალბატონის ნიღაბქვეშ. არც გარკვეული ხაზები ჩანდა და არც რაიმე ნათელი. სრული უწესრიგობა იყო—შინაგანიც და გარეგანიც. მიგელი კი თურმე სულელი ყოფილა—სწამდა, რომ გარდაქმნიდა ბოუთვინიერებელ მახას. ამ მუდამ თავდაჯერებულ, დაგვიანებულ, გამოუსწორებელ ჰუმანისტს, ღონ კიხოტს, გონების ღეთაებრივი ძალა სწამდა და მასების უფიცობის დაძლევა თავის მისიად მიაჩნდა. რა სულელური ქედმაღლობაა! გონება სამუდამოდ განწირულია, უძღურია! გაყინულია ცივ და უსასოო მარტოობაში.

მოაგონდა ოლავიდესთან გატარებული ერთი საღამო. მაშინ ოლავიდემ თავისი ოცნებები გაუმჟღავნა, რომ სიერა მორენადან გარეკავდა ველურ მხეცებს და უდაბნოს აყვავებულ მხარედ აქცევდა. ორ-სამ წელიწადს მის ექსპერიმენტს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ შემდეგ საკუთარი კეთილდღეობის ფასად დაუსვენს და ახლა ის მთიანი მხარე ისევ უდაბნოდ იქცა. სწორედ ასეთივე ბედი ეწვია მის მიგელსაც. ვერასოდეს ვერ მოახერხებს განათლებული კაცი ადამიანის შინაგანი ბუნებიდან განდევნოს უხეშობა, ველურობა, სისასტიკე, ვერასდროს ვერ შესძლებს გონება ბარბაროსობის ცივილიზაციით შეცვლას.

მან პირველად მაშინ იგრძნო თავისი სავალალო მარცხი, როცა სან დომინგოს ეკლესიაში სამბენიტოში გამოწყობილი ოლავიდე იხილა. ბედნიერება წამიერია, შემდეგ კი ადამიანები კვლავ ძირს ენარცხებიან და მხეცებად იქცევიან. საფრანგეთის მასები მხოლოდ ორი წლით გაიყვანა დღის სინათლეზე გონებამ, შემდეგ კი ველური, თავაწყვეტილი ძალები აბობოქრდნენ და ხელახლა დაატყდა თავს ქვეყანას კიდევ უფრო ბნელი და კუნაპეტი ღამე.

„სინათლე, რწმენა და სისპეტაკე
არსებობს მხოლოდ ხელოვნებაში,
მაგრამ ყოველთვის?
— არა. — მენგსები,
ბაიეუ და მაგათი მოღვაძე

უბილონია. მაგათ სურათებს
მანერულობა აწევს სიპივით,
ქალზე ყალბია ხაზი, ხალხი კი
გამოგონილი. ეს სურათები
ამღვრეულია, ყრუა და ბნელი,—
ასე ფიქრობდა ღონ მიგელი და
გმინავდა მთელი მისი არსება,
რომ ის უცხოა ლუსიასათვის,
...გოიასთვისაც. მათში თავს მალავს
იმდენი მტრობა და სიველურე,
მათ სულს იმდენი სიბრძავე ხუთავს...
დიდხანს უმწერდა გოიასაგან
დახატულ პორტრეტს—ლუსიას სახეს...
და გული თითქოს დაცარიელდა,
დარჩა სიცივე და სიმარტოვე.

13

როცა დიდ ინკვიზიტორს, ლორენსანას, გაახსენდებოდა, თუ მანუელ გოდოიმ, ამ ნაძირალამ, როგორ უსირცხვილოდ და პირდაპირ უბრძანა მწვალებლის სამკურნალოდ გაგზავნა, რათა თავისი ზელქვეითისთვის მისი საზღვარგარეთ გაყვანა გაედვილებინა და მით უმეტეს მოღალატე აბატთან ლათინურ ენაზე საუბარს რომ მოიგონებდა, ამ ხანდაზმულ მამაკაცს ყელში ბრაზი წაუჰქერდა და ახრჩობდა. ინკვიზიციას თავისი არსებობიდან დღემდე არ ახსოვდა ასეთი უნამუსო მოქმედება.

ახლობელი მეგობრები და მრჩეველები, გრანადის არქიეპისკოპოსი დესპინგი და ოსმელი ეპისკოპოსი, აიძულებდნენ ლორენსანას გადამჭრელი ზომები მიეღო. თუ მანუელ გოდოი გაუგონარი ბოროტმოქმედებისათვის დაუსჯელი დარჩებოდა, ინკვიზიცია ამით სამუდამოდ დაკარგავდა თავის გავლენას. მოითხოვდნენ, დიდ ინკვიზიტორს დაუყოვნებლივ დაეტუსალებინა უტიფარა მწვალებელი და უწმინდესი ტრიბუნალის წინაშე დაეყენებინა. ამისთვის მთელი ესპანეთი მადლობას გეტყვისო.

ლორენსანასთვის მეტი გასახარელი აღარაფერი იქნებოდა, მაგრამ ეშინოდა, რომ დონია მარია ლუიზას ასე ადვილად ვერ გამოსტაცებდა საყვარელს. იცოდა, ღონ მანუელის დატყვევება მეფის ტახტთან ისეთ ომს გამოიწვევდა, როგორც უწმინდეს ინკვიზიციას

ჯერ არ ენახა. მიუხედავად ამისა, ბოლოს თანახმა გახდა აღედგა საქმე პირველი მინისტრის წინააღმდეგ მხოლოდ იმ პირობით, თუ წმინდა მამა — პაპი ამაზე აშკარა თანხმობას მისცემდა.

არქიეპისკოპოსმა დესპინგმა რომში თავის მეგობარს კარდინალ ვინსენტის მიმართა. ამან პაპს მოახსენა, რა სახითათო მდგომარეობაშიც იყო დიდი ინკვიზიტორი. პაპი, პიუს მეექვსე თვითონ იყო შევიწროებულ მდგომარეობაში. გენერალი ბონაპარტე შეიჭრა მის საფლობელოში და დატყვევებით ემუქრებოდა. მაგრამ პაპი ისეთი კაცი იყო, რომელსაც მუქარა საბრძოლველად ალაგზნებდა და ამასვე ურჩევდა ლორენსანას. კარდინალ ვინსენტის დაავალა კარდინალ-არქიეპისკოპოს დესპინგის შეკითხვაზე დაწვრილებითი პასუხის გაცემა, რათა პაპის აზრი, თავის მხრივ, დიდი ინკვიზიტორისთვის მოეხსენებინა. ეგრეთ წოდებულ მშვიდობის თავადის ბოროტმოქმედება, ნათქვამი იყო ლათინურად დაწერილ უსტარში, შეუწყნარებელია, და დიდი სიბრცხელია, კათოლიკე მეფეს ასეთი კაცი პირველ მრჩევლად ჰყავდესო. ამიტომაც წმინდა მამა იწონებდა ბატონ დიდი ინკვიზიტორის განზრახვას. თუ ლორენსანა მანუელ გოდოსის საქმიანობას ბოლოს მოუღებდა, გაათავისუფლებდა არა მარტო ესპანეთს, არამედ ქრისტეს ნაცვალსაც საშინელი მტრისაგან.

მაგრამ შიკრიკი, რომელსაც ეს ვატიკანის უსტარი სევილიაში უნდა ჩაეტანა, გენუის მახლობლად დატყვევებულ იქნა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარისკაცების მიერ. ბონაპარტემ უსტარი უმალვე გადაიკითხა, ლათინურის ბევრი არაფერი გაეგებოდა, მაგრამ წამსვე მიხვდა, დიდი ინკვიზიტორი პაპის დახმარებით მშვიდობის თავადის წინააღმდეგ ინტრიგას ქსელავდა. ახალგაზრდა ფრანგი გენერალი სიმპათიით იყო გამსკვალული ახალგაზრდა ესპანელი მინისტრისადმი, რომელიც მასავით ზღაპრულად ამადლდა. გარდა ამისა მისთვის საჭირო იყო საფრანგეთ-ესპანეთის კავშირის თაობაზე გაჭიანურებული მოლაპარაკების დაგვირგვინება. მან გადაიღო პაპის წერილის ასლი და მოკითხვასთან ერთად გაუგზავნა იგი მანუელს და აცნობა. რომ თვით უსტარი სამი კვირის შემდეგ მიუვიდოდა ადრესატს.

მანუელი გაახარა გენერალ ბონაპარტეს მიერ აღმოჩენილმა დიდმა მეგობრულმა დახმარებამ. მოითათბირა მიგელთან, რომელიც გულში ზეიმობდა. გარდა პოლიტიკური მტრობისა, მას დიდი ინკვიზიტორის პირადი სიძულვილიც ჰქონდა. ლორენსანას წყალობით გაიქცა აბატი

ესპანეთიდან და მასთან ერთად ლუსიაც. ლორენსანამ გაანადგურა მიგელის ცხოვრება. ახლა ცბიერი მტერი ხელთ ჰყავდა.

მიგელი ცდილობდა დაერწმუნებინა მანუელი, რომ ეს საბუთები გარკვევით ცხადყოფდნენ ლორენსანასა და ორივე ეპისკოპოსის მიერ სასულიერო თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, რათა კათოლიკე მეფისათვის მოეხებიათ ესპანეთის ინტერესებისთვის მტრული პოლიტიკა. მათ მეფის ზურგს უკან ურთიერთობა ჰქონდათ უცხო სახელმწიფოსთან, რომელიც ებრძოდა ესპანეთის სამეფო ტახტთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფ რესპუბლიკას. დონ მანუელს სამივე უნდა დაეტუსალებინა და კასტილიის უმალლესი საბჭოსათვის გადაეცა გასასამართლებლად, როგორც სახელმწიფო დამნაშავენი.

მაგრამ მანუელი შეუშინდა ასეთი ენერგიული ღონისძიების გატარებას. თქვა: ეს კარგად უნდა მოვიფიქროთ და გარდა ამისა ჩემს განკარგულებაში კიდევ სამი კვირააო.

ღლეები გალიოდა. გაიარა ერთმა კვირამ, დონ მანუელი კვლავ ყოყმანობდა. ვინაიდან მამხილებელი უსტარი ხელთ ჰქონდა, დიდად არ ეშინოდა, მაგრამ აშკარა შეტევაზე გადასვლის მომხრე ნამდვილად არ იყო.

ჩვეულებრივ მშვიდი მიგელი აღშფოთებისაგან თავს ვეღარ იკავებდა და მწარედ შესჩივლა თავის მეგობარ გოიას. ხელთ ჰქონდათ შესანიშნავი შესაძლებლობა, სისხლისმსმელი მხეცი ლორენსანა თავიდან მოეშორებინათ, ესპანეთის ეკლესია რომისაგან დამოუკიდებლად ექციათ, ინკვიზიციისათვის სასიკვდილო ლახვარი ჩაეცათ და ყველაფერი იღუპებოდა მანუელის ყოყმანის გამო. თუ ახლა არ მოიშორებდა მოსისხლე მტერს თავიდან, უეჭველია, თავის თავს ზიანს მიაყენებდა. მაგრამ სიზარმაცის გამო ბრძოლის თავი არა ჰქონდა და მოთმინება, როგორც პეპაც არწმუნებდა, ძველ ესპანურ სულგრძელობად მიაჩნდა.

სევდიანად და რისხვით გაღმონთხია მიგელმა ფრანსისკოსთან გულში დაგროვილი ბოღმა და ნალველი. ეს მოსიყვარულე, გულკეთილი მანუელი ლმობიერია და ამავე დროს ჭიუტი, დონდლო, რბილი ცომია, რომელსაც ადგილიდან ძვრას ვერ უზამ. ამასთანავე, უზომოდ ბატივმოყვარეა. მიგელს პირფერობით უნდა დაეტკბო მისთვის მიცემული ყოველი რჩევა. მისი, მიგელის ცხოვრება ყოველდღიური კაპიტუ-

ლაცა, ყოველდღიური წამოჩოქება იყო ქედმაღლობისა და თვითნებობის წინაშე.

— როგორ მომბეზრდა, — აღეღებელი ამბობდა იგი, — კომპრომისება, მუდმივ მიკიბულ-მოკიბული გზით მოქმედება, რომელსაც იძულებული ვარ მივმართო, ერთი გოჯით რომ მაინც მივუახლოვდე ჩემს მიზანს. დავიღალე და მოვხუციდი. თუ ახლაც არ დაადგება სამველი, თუ მანუელი ლორენსანას ჯანდაბას არ გაგზავნის, მაშინ ყველაფერზე ხელს ავიღებ. პოლიტიკას განვუდგები და მხოლოდ სურათები და წიგნები იქნება ჩემი საქმე.

გოიას ჯერ არ ენახა გულგრილი და მომთმენი მიგელი ასე დასევდიანებული და ქანცაწყვეტილი. ჩაფიქრდა, რით ვუშველო მეგობარსო. ერთბაშად იღეა დაებადა. ახლა მშვიდობის თავადის მიერ შეკვეთილ უკანასკნელ სურათს ხატავდა. დონ მანუელი მოდელირების დროს განსაკუთრებით კარგ ხასიათზე იყო ხოლმე. შესაძლებელია მანუელს გოიასათვის ეამბნა აგდებული, დამცინავი ტონით დიდი ინკვიზიტორის შეთქმულებისა და კოვზის ნაცარში ჩავარდნის აზბავი. მაშინ ფრანსისკო თავის აზრს მოახსენებდა.

მანუელმა მართლაც უამბო ლორენსანას მზაკვრობა და აგრეთვე ისიც, თუ რა მხიარულმა და სასიამოვნო გარემოებამ მოიტანა მის ყურამდე ეს აზბავი. თან იცინოდა და უნდოდა ეჩვენებინა, რომ ეს სახიფათო ინტრიგა თავშესაქცევად და სამასხროდ არ ყოფნიდა.

გოია კვერს უკრავდა:

— თქვენისთანა კაცს ბატონების — დიდი ინკვიზიტორისა და კარდინალის — ხრიკები შეუძლია ჭეშმარიტად სამასხროდ აიგდოს.

მანუელი გაკიშული იდგა, სამხედრო მუნდირში გამოწყობილი, მკერდზე ორდენებითა და ლენტებით. მისი მარჯვენა მიუთითებდა ჯერჯერობით ოდნავ ბუნდოვნად დახატულ მისი სასახელო მოღვაწეობის ალეგორიულ გამოსახულებაზე.

ამაყად აწეული თავით გოიას ჰკითხა:

— თქვენ რა აზრისა ხართ ამის თაობაზე, ფრანსისკო?

გოიამ დინჯად, სამუშაოდან თავაუღებლად, ნელა მიუგო:

— წმინდა მამა გენერალ ბონაპარტეს მიერ უაღრესად შევაწროებულია. ხომ არ გაუგზავნიდა ესპანეთის სამეფო ტახტი ნუგეშისმცემლებს? მაგალითად, ბატონებს დიდ ინკვიზიტორსა და ორივე ეპისკოპოსს?

მანუელი წუთით დაფიქრდა. მერე პოზა დაივიწყა და მხატვარს მხარზე ხელი დაჰკრა:

— დიდი ზღმარა ხარ, ფრანჩო, — წამოიძახა მან, — შესანიშნავი იდეებ- გებადება. — მერე ხმამალალ გულახდილობას მოჰყვა: — ჩვენ მე- გობრები ვართ, მე და შენ. ეს შენთან შეხვედრის პირველი წუთი- დანვე ვიგრძენი. ჩვენ ერთიმეორეს ვეხმარებით, ერთიმეორეს ვე- კითხებით. დანარჩენები მხოლოდ გრანდები არიან. მათთვის ქალებ- თან დიდი-დიდი მხოლოდ ღამის გათევის შნო თუ მიუცია ღმერთს. მაგრამ ქალების აცეკება საკუთარი სურვილის მიხედვით მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია. ამიტომაც გვწყალობს ბედი. ბედი კი მხოლოდ ქა- ლია და სხვა არაფერი.

ახლა მანუელმა იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო. კარგ გუ- ნებაზე მივიდა კარლოსთან და მარია ლუიზასთან, უჩვენა მათ წერი- ლი და აუწყა ცბიერ ღვთისმსახურთა ხრიკების ამბავი.

კარლოსმა თავი გააქნია.

— ლორენსანას ეს არ უნდა ჩაედინა, — ბრძანა მან, — თუ შენით უკმაყოფილო იყო, ჩემთვის უნდა მოემართა და არა პაპისთვის, ჩემ ზურგს უკან! შენ მართალი ხარ. ეს მიუტევებელია, ეს უდიდესი და- ლატია. ეს არ უნდა ჩაედინა.

მარია ლუიზას თვალები ბოროტად შელავდა და მანუელი მიხე- და, რომ მას უხაროდა იმ პასკვილის გამო დიდი ინკვიზიტორისა- თვის სამაგიეროს მიზღვა.

— ჩემის აზრით, — თქვა მანუელმა, — კარგი იქნება, თუ მას და ორივე ეპისკოპოსს წმინდა მამას გაუუგზავნით. ამჟამად პაპი გაჭირ- ვებაშია და ძალზე ესაჭიროება მრჩევლები და ნუგეშისმცემლები.

მეფე უცებ ვერ მიუხვდა, მაგრამ დონია მარია ლუიზას გაეცინა.

— დიდებულია, — ბრძანა მან და მანუელს მიუბრუნდა, — ეს შე- ნი იდეაა, მანუელ, თუ შენი სენიორ ბერმუდესის?

— გეფიცებით ჩვენს მფარველ ღვთისმშობელს, — უკმაყოფი- ლოდ მიუგო მანუელმა, — რომ ის დონ მიგელს არ მოუფიქრებია.

ლორენსანას და ორივე ეპისკოპოსს აუწყეს, რომ მეფის დავა- ლებით წმინდა მამას უნდა ხლებოდნენ. ვინაიდან ბონაპარტე პაპის სამფლობელოში რესპუბლიკის გამოცხადებას აპირებდა, კუნძული მაროკა შეეთავაზებინათ თავმესაფარებლად და როგორც არ უნდა

ყოფილიყო მისი გადაწყვეტილება, მომღვენო წლებშიც თან ხლებოდ-
ნენ ნუგეშისმცემლებად.

რომში წასვლის წინ
გამოსათხოვრად
სამეფო კარზე მისულ ლორენსა-
ნას დედოფალმა უთხრა ხაზვასმულ
ღრმა სიყვარულით: „გთხოვთ, კარდინალო,
ჩემი მდაბალი პატივისცემა
გადასცე ჩვენსა უწმინდეს მამას.
და თანაც, ეგებ დაფიქრდეთ გზაში,
საყოველთაო ბენტარულ ამინდს
განსაზღვრავს იქნებ ცილისწამება,
რომლითაც ახლა თქვენი წრის ხალხი
დასაქმებულა და კადრულობენ,
რომ შეურაცხყოფნ მონარქის ცოლიც
კი? სხვათაშორის, იქნებ აქაა
იმის მიზეზი, რომ მთელ ევროპას
აჭანყებებს ცეცხლი მოედო?
ჰო, წადი, ღმერთი გყავდეთ ყოველთვის
მეპატრონედ და მწედ. კარდინალო,
ღე: ზურგის ქარმა იქროლოს თქვენთვის“.

14

კაეტანასთან ურთიერთობა ფრანსუასკოს პირველ ხანებში ისეთ
დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა, როგორიც წინათ არასოდეს განეცადა.
ხოლო მოგვიანებით, განცხრომისა და კმაყოფილების წუთებში სულ
უფრო და უფრო ხშირად მოუსვენრობა ეუფლებოდა. კაეტანას სი-
ყვარულში კი იყო დარწმუნებული, მაგრამ მისი გამოუცნობი ბუნე-
ბა სულის სიმშვიდეს უკარგავდა. კაცი ვერ გაიგებდა, როგორ შე-
ზღავდა ქალი ამა თუ იმ მოვლენას. ადამიანს, სურათს. ხანდახან
მნიშვნელოვნად შიამჩნდა ის, რასაც გოია სისულელედ თვლიდა. ხან
კი გულგრილი თავაზიანობით ეკიდებოდა იმ ადამიანებსა და მოვლე-
ნებს, რომლებიც ვოიას აღუღკავდა.

გოია სამუშაოს აყოლებდა გულს. შეკვეთა ბევრი ჰქონდა, ნაწარ-
მოები იოლად გამოსდიოდა ხელიდან, დამკვეთები კმაყოფილნი
იყვნენ. ფული შემოდისოდა.

დახატა გრაფის მეუღლე მონტიხო ოთხი ქალიშვილით. სურათი

უხეირო გამოვინდა. თითქოს თხუთმეტი წლის წინ დაეხატოს და არა ახლა. აგუსტინმა თავი ვერ შეიკავა და უთხრა:

— როცა ხალხს ხატავ, მანებისა და მანობების ჯგუფს, მაშინ შენი კომპოზიცია ბუნებრივია, ხოლო როცა საქმე არისტოკრატიულ აჯახს შეეხება, გახევებული სხეულები გამოგდის.

ფრანსისკომ ქვედა ტუჩი გულმოსულად ჩამოუშვა. შემდეგ გაეცინა.

— როგორც იყო გავიგონე ძველი აგუსტინის ხმა, — თქვა მან. სურათს ორი ფართო ხაზი გადაუსვა დაწუნების ნიშნად და ხელახლა შეუდგა ხატვას.

ჰერცოგ ოსუნის მეუღლემ სთხოვა გოიას ორი ფანტასტიკური სურათი დაეხატა ალაბედლაში მდებარე მისი სააგარაკო სასახლისათვის.

გოიას უამრავი სამუშაო ჰქონდა, მაგრამ მაინც დათანხმდა, რადგან ეს ქალბატონი მისი ძველი მეგობარი იყო. ეს ფრანსისკოს შეკვეთებსა და რეკომენდაციებს ჯერ კიდევ მაშინ აძლევდა, სანამ მხატვარი სახელსა და დიდებას მოიხვეჭდა.

ოდნავ უკმაყოფილოდ გოცებულმა კაეტანამ უთხრა:

— თქვენ ერთგული მეგობრობა გცოდნიათ, დონ ფრანსისკო.

ის, რაც გოიამ ჰერცოგის მეუღლე ოსუნისათვის დახატა, იყო ჯადოქრებისა და კუდიანების სცენები. აქ იყო კუდიანების სამზარეულო, სადაც ადვოკატს მხეცად აქცევენ. აი მას უკვე გაუჩნდა ძაღლის თავი და კუდი. აქ იყვნენ მოცეკვავე, მფრინავი და წელამდე შიშველი წოწოლაქუდიანი კუდიანები. ძირს კი ხოხავდა უსახო ბრბო. მესამე სურათზე გამოხატული იყო ეშმაკი ვეება წამოჯგიმული ვერძის სახით; მას ლამაზად მოხრილი ძლიერი რქები ჰქონდა. ირგვლივ კი თავყანისმცემელი კუდიანები ეხვია. ყველაფერი მსუბუქი, მომხიბლავი, ფანტასტიკური და ამაღლევებული იყო.

აგუსტინმა სურათები დაათვალიერა.

— ვირტუოზულადაა დახატული, — თქვა მან.

— მაგრამ? — ჰკითხა გოიამ.

— წინათ, — უპასუხა აგუსტინმა და ფრთხილად დაუწყო სიტყვებს შერჩევა, — როცა რაიმე ახალს აღმოაჩენდი, სულ მალე მოგბეზრდებოდა და ისევ ახალს ეძიებდი, ყოველი ახალი ჩანაფიქრისათვის, რაღაც ახალს გამოიხატავდი. ეს კი, — მიუთითა კუდიანთა სუ-

რათებს, — ინკვიზიციის სურათების მსგავსია, მხოლოდ უშინაარსოა. ცარიელი.

— გმადლობ, — უთხრა ფრანსისკომ.

ალბა სურათების წინ იდგა.

— შესანიშნავია, — თქვა მან, — მე ისინი ჰერცოგის მეუღლისათვის არ მენანება.

გოია გაბრაზდა.

— არ მოგწონს სურათები? — ჰკითხა მან.

— გწამს კუდიანები? — შეუბრუნა ალბამ კითხვა.

— ეს ერთხელ უკვე მკითხე, — უკმაყოფილოდ მიუგო მან.

კაეტანამ განაგრძო:

— მაშინ ჰო მითხარი და ამიტომ მიმაჩნია ეს სურათები შესანიშნავად.

გოია გაახარა და თანაც დადარდიანა მისმა სიტყვებმა.

სწორად კაეტანას უფრო ღრმად ესმოდა, რასაც ის ხატავდა, ვიდრე სხვას, ხანდახან კი გულგრილად შეაქცევდა ზურგს ისეთ სურათს, რომელსაც, გოიას აზრით, უნდა აელელებინა. თუ რაიმეს მოიწონებდა, მოიწონებდა წამსვე, მტკიცედ, თუ რაიმეს გულგრილად შეხედავდა — ეს სამუდამო იყო. ხანდახან, თავის ჩვეულების საწინააღმდეგოდ, გოია ცდილობდა აეხსნა მისთვის, რატომ გააკეთა ასე და არასხვაგვარად, მაგრამ კაეტანას გულისყური სხვაგან იყო, მოიწყენდა და ისიც თავს ანებებდა ახსნა-განმარტებას.

გოიამ მის დახატვაზეც უარი თქვა. მართალია, მისმა დახატულმა კაეტანას სურათებმა მთელი ქვეყნის აღიარება მოიპოვა, მაგრამ თვითონ ფრანსისკოს კი არ მოსწონდა. კაეტანა მოითხოვდა, დაეხატა ნამდვილ და არა გადაცემულ მახად, მაგრამ ასეთი მხატვარს ის არ ენახა და არც უნდოდა დაეხატა ასეთად.

კაეტანა მართლაც მახა იყო, იმით მაინც, რომ გოიასთან კავშირი უდარდელად გამოჰქონდა სააშკარაოზე. ყველგან მასთან ერთად იყო: თეატრში, ხარების ქიდილზე დელ პრადოს ბულვარში. პირველად გოიას ეს ეამყებოდა, მაგრამ თანდათან გულის ტკივილი ემატებოდა, რომ მისი გრძნობა ქვეყნის გასართობი გახდა; გარდა ამისა უსიამოვნებისა ეშინოდა. როცა გოია ამის თაობაზე მორცხვად რაიმეს ეტყოდა, კაეტანა უფრო მალა აწევდა წარბებს. ის ალბა იყო და ვერავითარი კორი ვერ მოსცხებდა ჩირქს.

გოიას ყოველ წვეულებაში ეპატიეობდნენ, ჰერცოგის სასახლე-შიც და ხანდაზმულ მარკიზა ვილიაბრანკასთანაც, მაგრამ იოტისოდენადაც არ იმჩნევდა არც ერთი, თუ იცოდნენ კაეტანასა და გოიას დამოკიდებულება. ჰერცოგი გოიასთვის უცხო იყო, მისადმი რაღაც სიბრაღულსა და ზიზღს გრძნობდა, მაგრამ შეეხებოდა თუ არა საქმე მუსიკას, ამ კაცის სახე გარდაიქმნებოდა და ეს გულში სწვდებოდა გოიას და პატივისცემას უნერგავდა მისადმი, დანარჩენ გრანდებს არაფრის თავი არ ჰქონდათ, გარდა ქედმაღლობისა.

ხანდაზმული მარკიზას მიმართ გოია პატივისცემითა და სიმპათიით იყო განწყობილი. ეს ქალბატონი კარგად ცნობდა ადამიანებს. Elle est chatoyante“, — თქვა მან კაეტანაზე. გოია დროთა ვითარებაში დარწმუნდა, რომ ეს სიტყვები ზედგამოჭრილი იყო. გოიას სურდა მეტი ელაპარაკა ამ ქალთან კაეტანაზე, მაგრამ თანდაყოლილი სათნოების მიუხედავად. იმდენად დიდი ქალბატონი იყო, რომ მხატვარს ეს ეუხერხულებოდა.

კაეტანასთან მუდამ მყოფთა შორის, ექიმი ხოაკინ პერალი გოიას ყველაზე მეტად ეჩხირებოდა თვალში. მას აღიზიანებდა შესანიშნავი ეტლი, რომლითაც ექიმი დაჰქროდა, ბრაზი ახრჩობდა, რომ ყველაფრის მცოდნედ მოჰქონდა თავი, როგორ ლაპარაკობდა ყველაფერზე, ჰერცოგის მუსიკაზე და გოიას სურათებზეც კი. აბრაზებდა ის გარემოება, რომ მას, ადამიანთა ურთიერთობის სწრაფი გამოცნობის უნარის მქონეს, ვერაფრით ვერ გაეგო, როგორი დამოკიდებულება იყო კაეტანასა და ექიმს შორის. ამას კაცი ვერ ამოიკითხავდა ვერც ექიმის თავაზიან თავდაპერილობაში და ვერც კაეტანას მეგობრულ ირონიულობაში. რაც დრო გადიოდა უფრო და უფრო აღარ სიამოვნებდა გოიას ექიმის დანახვა. შეხვდებოდა თუ არა დონ ხოაკინს, ცდილობდა რაც შეიძლება თავი შეეკავებინა, მაგრამ უმაღვე წამოსცდებოდა უაზრო, უხეში სიტყვები, რომლებიც სხვების გაკვირვებას, ხოლო თვით პერალის ალერსიან და მშვიდ ღიმილს იწვევდა.

ექიმმა საზღვარგარეთ შეძენილი სურათების კოლექციისათვის შესაფერი ადგილი ვერ გამოიხატა. ბოლოს ჰერცოგის მეუღლემ ლორიას უზარმაზარი სასახლის ორი დარბაზი დაუთმო და მოიწვია თავისი და ექიმის მეგობრები კოლექციის დასათვალიერებლად.

აქ ეკიდა ერთიმეორისაგან მეტად განსხვავებული სურათები

ფლამანდიელი და გერმანელი მხატვრებისა, ძველი, ნაკლებად ცნობილი იტალიელებისა, ერთი გრეკო, ერთი მენგსი, ერთი დავიდი და ერთიც გოია, რომელიც კაეტანამ თავის ექიმს უბოძა. მაგრამ ამ სიჭრელეში იგრანობოდა მთლიანობა, მცოდნის მკვეთრი, თუმცა რამდენადმე თავისებური გემოვნება.

— ვერა და ვერ მოვახერხე რაფაელის შეძენა, — გულნაკლულად თქვა კაეტანასთან და სხვებთან ექიმმა, — შესაძლებელია მომავალმა ჩვენმა ჩამომავლებმა ჩათვალონ, რომ რაფაელს გადაჭარბებით ვაფასებთ, მაგრამ პირადად მე, გამოგირცხდებით, აქ დაკიდებულ ყოველ სურათს დაუნანებლად გავცვლიდი ერთ რაფაელში, თქვენ. მგონი, არ მეთანხმებით, დონ ფრანსისკო, — მეგობრულად მიმართა მას, — და ცხადია, მართალაც ბრძანდებით, მაგრამ გთხოვთ გაგვაცნოთ თქვენი მოსაზრებანი.

— თქვენთვის ეს მოსაზრებანი რომ ამეხსნა, დონ ხოაკინ, — უხეშად მიმართა ფრანსისკომ, — ეს სწორედ ისეთივე უმიზნობა იქნებოდა, როგორც მაგალითად თქვენ რომ ჩვენთვის სამკურნალო შეხედულებანი გაგეზიარებინათ.

ექიმმა პერალმა თავაზიანი გამომეტყველებას შეუცვლელად დაიწყო სხვებთან საუბარი. კაეტანას სახეს ღიმილი არ მოშორებია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ ფრანსისკო უხეშობისათვის დაუსჯელი დარჩებოდა. როცა მეჯლისი დაიწყო, კაეტანამ ბრძანა დაეკრათ მოდიდან გამოსული ცეკვა მენუეტი, და გოიას პარტნიორობა შესთავაზა. ფრანსისკომ იცოდა, ვერაფერი შესახედავი იქნებოდა საზეიმო ტანსაცმელში გამოქიმული ჩასუქებული მამაკაცი ნატიფი მენუეტის ცეკვის დროს, არ უნდოდა კაეტანას პელელე-ჯიმბაზად ქცეულიყო. მოჰყვა ბუზლუნს, მაგრამ კაეტანამ ერთი გადახედა და გოიამაც დაიწყო ცეკვა. ცეკვავდა გულმოსული. შინ გააფთრებული წავიდა.

ივლისის შუა რიცხვებში მეფის კარი მთაში სან-ილდეფონსოს კოშკში აღიოდა ცხელი თვეების სიგრილეში გასატარებლად, კაეტანაც, როგორც დედოფლის პირველი მხევალი, თან უნდა გაჰყოლოდა. ფრანსისკოს ეშანოდა მადრიდის ხანგრძლივი მოსაწყენი ზაფხულისა, მაგრამ ერთ დღეს კაეტანამ თქვა:

— დონ ხოსე წელს თავს ცუდად გრძნობს და არ შეუძლია ცხელი თვეების მეფის კარზე გატარება. მე მოვახერხე ჩემთვის ნებარ-

თვის მიღება, რომ ზაფხული დონ ზოსესთან ერთად გავატარო პიედრაიტაში, ჩვენს მამულში. თქვენც მოწვეული ხართ ჩვენთან, დონ ფრანსისკო. უნდა დახატოთ დონ ხოსე და დონია მარია ანტონია. შესაძლოა ჩემი დახატვაც მოისურვოთ. იქ ბევრი დრო გვექნება; ყოველ ჩვენგანს შეეძლება რამდენჯერაც გნებავთ, იმდენჯერ დაგიჯდეთ მოდელირებისათვის.

ფრანსისკო გაიბადრა. მიხვდა, კაეტანამ მისთვის მსხვერპლი გაიღო. მიუხედავად დედოფლისადმი თავის ანტიპათიისა, მეფის კარზე ცხოვრება არჩია აგარაკზე ხანგრძლივ მოსაწყენ თვეებს.

მეორე დღეს, დილის ტუალეტის შემდეგ, მარია ლუიზამ კაეტანა შეაყოვნა. ბრძანა, სულითა და გულით მსურს დონ ზოსესათვის სასარგებლო გამოდგეს პიედრაიტაში ყოფნაო. აგრეთვე ესალმებოდა იმ გარემოებას, რომ დონია კაეტანას გადაეწყვიტა მეუღლეს გაჰყოლოდა აგარაკზე.

— ამით, — დაასვენა მან ალერსიანად, — მეფის კარსა და ქალაქს ნაკლები საშუალება მიეცემა სახელმწიფოს პირველი სეფექალის გაქორვისა.

კაეტანამ დათაფლული ხმით თავხედურად მიუგო:

— მართალი ბრძანებაა, ქალბატონო, მეფის კარზე ძნელია ქორისავე თავის დაცვა: მიკვირს პირდაპირ, ვისთან კავშირს აღარ მაბრალებენ, აქეთ გრაფი ფონ ტება, იქით დონ აგუსტინ ლანკასტერი, ვრაფი დე ფუენტესი, ჰერცოგი დე ტრასტამარა და შემეძლო კიდევ მთელი დუჟინი ჩამომეთვალა.

ყველა დასახელებული მამაკაცი დედოფლის საყვარლად ითვლებოდა.

მარია ლუიზამ ისევ გულითადად მიმართა:

— მე და თქვენ, დონია კაეტანა, ხანდახან სურვილი გვაქვს გვერდზე გადავდოთ ცერემონიები და მახების როლში გამოვიდეთ. თქვენ შეგიძლიათ ამის უფლება მისცეთ თავს, ახალგაზრდაც ხართ და კარგი შესახედავიც. მე კი იპიტომ, რომ ღვთის წყალობით დედოფალი ვარ. ჩემთვის ეს არც ისე ადვილია, ჩემი ახალგაზრდობა წავიდა და ზოგ მამაკაცს არ მოვწონვარ. ეს ნაკლი ჭკუითა და ხელოვნებით უნდა შევივსო. როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე საკუთარი კბილი ბრილიანტით შევცვალე, რომ კბილის ჩავლება და შენარჩუნე-

ბა შეეძლო.—წუთით გაჩუმდა და გაიცინა,—როცა ჩაეღებინა სურ-
ვილი მომივლის.

ალბამაც გაიცინა: მაგრამ ეს ისეთივე ნაძალადევი სიცილი იყო,
როგორც გობელენესე გამოხატული გადაცმული მახებისა. იტალიელი
ქალის სიტყვები მუქარად უღერდა.

—პიედრაიტაში ცოტანი ვიქნებით. მხოლოდ მხატვარი გოია მო-
ვიწვიეთ, — თქვა ალბამ, — მისი აზრით, ჩემი სურათის დამთავრებას
საშველი აღარ დაადგა. — მხიარულად დაასკვნა მან.

—გასაგებია, ხელოვნების სიყვარულით მხატვარს თქვენი შე-
სწავლის საშუალებას აძლევთ, — და თითქოს სხვათა შორის დაუმა-
ტა: — ეცადეთ, ჰერცოგის მეუღლევ, ჭორობის საბაბი არ მისცეთ
ხალხს.

„გაფრთხილებაა ეს თუ — ბრძანება?“ —

თქვა კაეტანამ და შეაყინა

მხერა დედოფალს... და დედოფალმა

შინაურული ტონით მიუგო:

„არა, ამჟერად, მხოლოდ უბრალოდ

და მეგობრულად, თუ გსერს, დედურად

ინდა გირჩიო...“ — და კაეტანას

კანს უინელივით მოედო ჟრჟოლა.

მაგრამ ფრანსისკო დაუდგა თვალწინ

და ის დღეები და ღამეები —

ფრანსისკოსთან ერთად!.. დაუდგა თვალწინ.

და სხეულიდან ჩამოიბერტყა

მტკერივით,

ახლა დედოფლისაგან

გადაკვრით თქმულა მხამა სიტყვები.

როცა მეფის კარი სან-ილდეფონსოს მახლობლად საზაფხულო რე-
ზიდენციაში გადაბარგდა, დონია ხოსეფა ტუდომ მადრიდის პაპანაქე-
ბაში დარჩენა აუტანლად მიიჩნია. დონ მანუელმა სასწრაფოდ მიიწვია
იგი სან-ილდეფონსოში.

პეპა Posada de Embajadores-ში ცხოვრობდა და ცხელ დღეებს სა-
ამურ მოწყენილობაში ატარებდა თავის კონჩიტასთან ერთად. ეთამა-
შებოდა კარტს ან ფრანგულს სწავლობდა, ან თავის გიტარას აეღარუ-

ნებდა. ღონ მანუელმა მოახერხა და განსაზღვრულ საათებში სასახლის ბაღში შესვლის ნებართვა აუღო. იქ ხანგრძლივად იჯდა რომელიმე ცნობილ შადრევანთან, ფემას წყაროსთან ან დიანას აუზთან, ან ქარის შადრევანთან, ისმენდა წყალვარდნილთა ჩუხჩუხს, დუდუნებდა რომელიმე თავის რომანსს, ზანტად, ტკბილად და სევდიანად იგონებდა ოკეანეში დამხრჩვალ ახალგაზრდა მეუღლეს და აგრეთვე მხატვარ ფრანსისკოსაც.

ღონ მანუელთან ერთად სეირნობდა მთის შესანიშნავ ტყეებში, რომლებიც სასახლეს გარს ერტყა. გზები კარგად იყო მოვლილი მეფის ნადირობისათვის. დააჭენებდნენ ცხენებს ლოსოის ველზე და ვალსაინის ტყეებში. ცხენოსნობა პეპამ მადრიდში ისწავლა.

ხანდახან მანუელი ლაპარაკობდა გოიას ალბებთან ზაფხულის გატარების თაობაზე, დამცინავი და უხამსი სიტყვებით გამოხატავდა გოია — ხარისა და პატარა ნატიფი კაეტანას ურთიერთობას. პეპა გულგრილი გამომეტყველებით, მაგრამ ყურადღებით უსმენდა და არაფერს ამბობდა.

საკმაოდ ხშირად იგონებდა ღონ მანუელი პიედრაიტას ამბავს. კმაყოფილი იყო, რომ ამაყი ჰერცოგი, მასთან რამ „შენობით“ საუბარი არ ინება, ახლა ქვეყნის სასაცილო გახდა ფრანსისკოსთან ინტიმური სიახლოვის გამო. მისთვის ისიც ხელსაყრელი იყო, რომ თავის ცნებებში ჩაძირულ მხატვარს პეპას თავი აღარა ჰქონდა. მეორე მხრივ ვერ გაეგო, რა იპოვა კაეტანაში იმ მამაკაცმა, რომელიც პეპას უყვარდა. თვითონ მანუელი ვერ იტანდა იმ ჰირვეულ, ხელოვნურ, მანჭია მოჭინას. ერთხელ — ეს არც კი უამბნია პეპასთვის, — როცა დედოფლის ტუალეტის დროს შეეკითხა: „რასა იქმს ჩვენი მეგობარი ფრანსისკო“, კაეტანამ წაუყრუა ზუსტად ისეთივე თავაზიანი გამომეტყველებით, როგორც თავის დროზე ჰერცოგმა მის „შენს“.

ერთხელ, ცხენით სეირნობის დროს, ვალსაინის მონადირეთა ძველი ქოხის ნანგრევებთან, მანუელმა ისევ დაიწყო ხუმრობა — ფრანხო კვლავ პიედრაიტაშია და ვერ გაძღა ალბასთან ყოფნითო. პეპას ამჟამადაც არ ამოუღია ხმა. მაგრამ მოგვიანებით მოულოდნელად მოუბრუნდა მანუელის სიტყვებს. ცხენებიდან ჩამოხტნენ, მოიკალათეს მიწაზე, მეჭინი-ზემ საუზმე მოუმზადათ და ჰამას შეუდგნენ.

— კაცმა რომ თქვას, ფრანსისკოს კი უნდა დავეხატე ცხენზე მჭლო-

დონ მანუელს ამ დროს პირში უნდა ჩაედვა ერთი ლუკმა კურდ-
ლის პაშტეტი და უცებ ხელი ჩამოუვარდა. პეპა, ცხადია არ იყო
გაწაფული მოჭირითე, მაგრამ ცხენზე თვალწარმტაცი სანახავი იყო.
ამას ვერავინ უარყოფდა და გასაგები იყო, რომ ცხენოსნის ტანსაცმე-
ლში უნდოდა დახატულიყო. მეორე მხრივ, ცხენოსნობა ცოტა ხნის
წინ მხოლოდ გრანდების პრივილეგია იყო; მართალია, დაბალი წოდე-
ბის პირებს პირდაპირ არ ეკრძალებოდათ ცხენზე შემჯდარი დახატუ-
ლიყვნენ, მაგრამ ეს ჯერ არმომხდარი, სულ უბრალოდ რომ ვთქვათ,
უჩვეულო ამბავი იყო. რას იტყვის დედოფალი და მთელი ქვეყანა,
თუ პირველი მინისტრი ახალგაზრდა ქვრივ პეპა ტუდოს ცხენზე შემ-
ჯდარს დაახატვინებს?

— დონ ფრანსისკო პიედრაიტაშია სტუმრად ალბასთან,— შეეპასუ-
ხა იგი.

ოდნავ გაოცებულმა პეპამ მიმაროა:

— თუ თქვენ ინებებთ, დონ მანუელ, შესაძლოა დონ ფრანსისკომ
თავისი ზაფხულის დასვენება პიედრაიტადან სან-ილდეფონსოში გად-
მოიტანოს.

— Vous avez toujours des idées surprenantes ma chérie!, —
— უთხრა დონ მანუელმა.

— Alors viendra-t-il? — დამტკრეული ფრანგულით შეუბრუნა
კითხვა პეპამ.

— Naturellement, comme vous le desirez³, — მიუგო მან.

— Muchas gracias⁴. — თქვა პეპამ.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა მანუელი პეპას განზრახულზე, მით
უფრო მეტად ახარებდა იმის წარმოდგენა, როგორ გამოაცლიდა ხე-
ლიდან მხატვარს ამაყ ალბებს. მაგრამ იცოდა ფრანჩოს ამბავი, შეეძ-
ლო რაიმეს მომიზეზება და მანუელის მიპატიყებაზე უარის თქმა; თუ
ნამდვილად უნდოდა მისი ჩამოსვლა, სხვა, ძალზე ეფექტური რამ უნ-
და ელონა.

მარია ლუიზას სთხოვა, სან-ილდეფონსოში ყოფნისას თავისუფალი
დრო გამოეყენებინა და მანუელისთვის დახატულიყო მხოლოდ და

¹ თქვენ, ძვირფასო, ყოველთვის უცნაური უანტაზიები მოგდით თავში (ფრ.).

² მაშ ჩამოვა? (ფრ.).

³ უსათუოდ, რაკი თქვენ გსურთ (ფრ.).

⁴ დიდი მადლობა (ესპ.).

მხოლოდ გოიას ხელით. მაშინ მანუელიც შეუკვეთავდა დედოფლისათვის თავის სურათს. დონია მარია ლუიზას ჭკუაში დაუჭდა თავხედი ალბას მწყემსური იდილიის ჩაშლა. ბრძანა, რომ ცუდი იდეა არ იყო და მანუელს შეეძლო გოიასთვის შეეთვალა, ჩამოსულიყო; დედოფალი უთუოდ მოახერხებდა გამოენახა დრო მოდელირებისათვის.

თავისი შენათვალისთვის რომ მეტი ფასი დაედო, მშვიდობის თავადმა პიედრაიტაში შიკრიცის ხელით გაგზავნა ბარათი.

ფრანსისკო აქ მშვიდობიან, სიხარულით აღსავსე დღეებს ატარებდა. მართალია წყნარი, ღირსეული ჰერცოგის იქ ყოფნის გამო იგი და კაეტანა იძულებულნი იყვნენ თავშეკავებულობა გამოეჩინათ, მაგრამ დონ ხოსე და მარკიზა კაეტანას ისე უყურებდნენ, როგორც მშვენიერ, განებივრებულ ბავშვს, რომლის თუნდაც გადაჭარბებულ ყინიანობას ღმილით ხვდებოდნენ. გოიასა და მას იმდენ ხანს შეეძლოთ ერთად მართლად ყოფნა. რამდენსაც მოისურვებდნენ.

კვირაში ორჯერ თუ სამჯერ ჰერცოგი უკრავდა. აღტაცებული მარკიზა ყურადღებით უსმენდა, ცხადია, მხოლოდ შვილის სიყვარულით. ფრანსისკოსა და კაეტანას მოსწონდათ მხოლოდ ხალხური სიმღერები და ცეკვები — ტონადილიები და სეგიდილიები. ჰერცოგის ჰარმონიები მათთვის მეტად დახვეწილი იყო, მათი შეფასება მხოლოდ ექიმ პერალს შეეძლო.

დონ ხოსემ სთხოვა ფრანსისკოს დაეხატა იგი. მან ხატვა დაიწყო ჯერ ძალდატანებით, შემდეგ თანდათან მზარდი ინტერესით, ბოლოს კი გატაცებით. გამოვიდა მეტად დარბაისელი, დიდ ჰკვიანთვალეზა, ოდნავ სევდიანი ბატონის სურათი, რომლისთვისაც კლავიდორებითა და ნოტებით გატაცება ზედგამოჭრილი იყო.

გოიამ დახატა მარკიზაც და ხატვის პროცესში უფრო ღრმად შეისწავლა მისი სულიერი სამყარო. ნამდვილად ისეთი დიდებული მანდილოსანი იყო, როგორი შთაბეჭდილებაც პირველი ნახვისას მოახდინა მხატვარზე, მარად სიცოცხლის მოყვარული და სათნო, მაგრამ ამჟამად მის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სახეს ოდნავი სევდის კვალი დაჰკრავდა და გოიას ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია. ცხადია, მარკიზამ ყველაფერი იცოდა და არ კიცხავდა რძალს შეუფერებელი საქციელისათვის, მაგრამ დონია მარია ანტონია, მეათე მარკიზ დე ვილიაბრანკას ქვრივი უფრთხილდებოდა საგვარეულო ღირსებას და ხანდახან გოიას მის ნართაულ სიტყვებში ოდნავ შესამჩნევი შიში მოესმოდა, რომ ვაითუ კა-

ეტანას გნება უფრო ღრმა და სახიფათო აღმოჩენილიყო და ყოველგვარ საზღვრებს გასცილებოდა. მისი სიტყვები გოიამ გაფრთხილებად მიიჩნია და სურათი ისე სწრაფად არ გამოსდიოდა ხელიდან, როგორც მოელოდა.

ბოლოს, აი, დაამთავრა კიდევ და გოიამ დაინახა, რომ მარკიზას ცოცხალი, ნატიფი, ნათელი სახე. ცისფერი ბანტები და ვარდი, რობელიც მან ხელში მისცა, სურათს ხალისიან იერს აძლევდა.

სურათის წინ მდგარმა თვით მარკიზამ კი ღიმილით მიმართა:

— თქვენ მოხუცებულობის სევდა ჩაგვიქსოვიათ ჩემს თვალებში. წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ ასე აშკარად ნეტყობოდა იგი. — შემდეგ სასწრაფოდ დასძინა: — მაგრამ სურათი მაინც შესანიშნავია, და თუ თქვენ ჩემისთანა ხანდაზმული მანდილოსნისათვის დროს კიდევ გამონახავთ, მეორედ უნდა დამხატოთ.

კაეტანა კი ნულამ ბავშვურად იყო აღტაცებული. გოიას მარტო საცხოვრებლად დაუთმეს პატარა ფლიგელი „კაზინო“ ანუ პალასეტეიქ ნახულობდა კაეტანა ყოველდღე. მოდიოდა აგრილებისთანავე, დაღამებამდე: თან ახლდა ღირსეული ღუენია ეუფემია, რომელსაც, მიუხედავად ზაფხულისა, შავები ეცვა. ხანდახან თან მოიყვანდა ზანგის გოგოს მარია ლუეს და პაე ხულიოს; თითქმის ყოველთვის უკან მოსლევდა ორი თუ სამი თავისი კატა. კაეტანა ბავშვურად იქცეოდა. ხშირად გიტარასაც მოიტანდა და მოითხოვდა, ფრანსისკოს ემღერა ერთად მოსმენილი სეგიდილიები და საინეტები.

ხანდახან მოხუც ღუენიას კუდიანების ამბავს ნოაყოლებდა. კაეტანას აზრით, ფრანსისკოს გრძნეულებისაკენ ჰქონდა მიღრეკილება და ურჩევდა ერთ ცნობილ კუდიანს მიჰბარებოდა შეგირდად. დონია ეუფემია კი უარყოფდა მის ამ საქმეში ვარგისიანობას, რადგან გოიას ყურებზე დიდი ბიბილოები გაზრდოდა. ასეთი ყურებისა და ბიბილოების მქონე ადამიანს ჯადოქრობის შესწავლა გულშიაც კი არ უნდა გაეყო. ყოფილა შემთხვევები, რომ ასეთი შეგირდები გარდაქცევის დროს გაფარჩხული ყურებით გაჩხირულან და შემდეგ წვალებით ამოხლომით სულღი.

ერთხელ კაეტანას თურმე მისი გარდაცვლილი მოახლე ბრივიდა გამოსცხადებია. მკვდარს უწინასწარმეტყველებია, რომ მისი ურთიერთობა ბატონ კარის მხატვართან ხანგრძლივი იქნებოდა და დამთავრდებო-

და დიდი გაუგებრობების, ძლიერი სიყვარულისა და უსიანოვნების შემდეგ.

კაეტანა დაეინებით მოითხოვდა ხელახლა დაეხატა გოიას, მხატვარი ნელა იშუაობდა და კაეტანა ამით უკმაყოფილო იყო.

— მე ხომ სწრაფი ლუკა არა ვარ. — გულმოსულად უთხრა გოიამ.

ამ სახელს უწოდებდნენ ლუკა ჯორდანოს, რომელიც კარლოს მეორისათვის ხატავდა სწრაფად, დიდად აქებდნენ და შემოსავალიც კარგი ჰქონდა. მიუხედავად ფრანსისკოს დიდი მონღონებისა, სურათის დამთავრებას საშველი არ დაადგა.

— შენი ბრალია, მადრიდის მანდილოსნებში ერთადერთ ნამდვილ მხანდ რომ არ მცნობ. მე მახა ვარ, შენ კი არ მცნობ. — სანახევროდ ხუმრობით უთხრა კაეტანამ.

პიედრაიტაში ყოფნისას მხოლოდ ის იყო საწყენი, რომ კაეტანას სურათი არ გამოვიდა კარგი. დანარჩენი ყველაფერი ნათელი და სასიხარულო იყო.

ეს საამური მყუდროება დაარღვია წითელწინდა შიკრიკის მიერ ჰოტანილმა მშვიდობის თავადის ბარათმა. რომლითაც გოიას სან-ილდეფონსოში იწვევდა.

ფრანსისკო ნასიამოვნებიც იყო და დაბნეულიც. სან-ილდეფონსოს ახლოს, სეგოვიას მთებში, საზაფხულო აგარაკზე ესპანეთის მბრძანებლები, რასაკვირველია, დროს სიმშვიდესა და დასვენებაში ატარებდნენ, სახელმწიფო საქმეებით თავს არ იტკივებდნენ, რთული ცერემონიები გაუბრალოებულნი ჰქონდათ და მათი უბრწყინვალესობანი მხოლოდ პირველი რანგის გრანდებსა და სანდო მეგობრებს ღებულობდნენ; სან-ილდეფონსოს სასახლეში მის მკვიდრთა დასვენების უამს მიწვევა დიდ დაფასებად ითვლებოდა, მიუხედავად სიხარულისა. გოია მაინც არ იყო ნასიამოვნები. პიედრაიტაში გაატარა თავისი ცხოვრების უმშვენიერესი დრო, მას ვერაფერი შეედრებოდა. ან რას იტყვის კაეტანა მის წასვლაზე?

კაეტანას წერილი უჩვენა. მაშინ თავისი მტერი დედოფალი იმის ღირსად არ სცნო, რომ გოიასთვის მისი ავის მომასწავებელი იუქარა გაეზიარებინა. ახლაც თავი შეიკავა და არაფერი თქვა.

— თქვენი უარი ძალიან თავაზიანად და ფრთხილად უნდა დაასაბუთოთ, ფრანხო, — წყნარად უთხრა მან, — იტალიელ ქალს უთუოდ ჰგონია, რომ ძალზე ჰკვიანური და შესანიშნავი საშუალება გამოიხატა

ჩემი და თქვენი ზაფხულის ჩასამწარებლად. ბრაზისაგან გამწვანდება, როცა თქვენი უარის ბარათს ნიილებს.

გოიამ მთლად დაბნეულად შეხედა მას. აზრადაც არ მოსვლია, რომ წერილი შესაძლოა მისი ხელოვნებისთვის კი არ ყოფილიყო დაწერილი, არამედ იმისთვის, რომ ღონია მარია ლუიზას სურდა თავისი მტრის, კაეტანასთვის, კვანტის გამოღება. ახლა თანდათან ცხადი გახდა გოიასთვის, რომ მიპატიჟებაში ნამდვილად პეპასაც მიუძღოდა ღვაწლი.

კაეტანან ამასობაში თავისი ნატიფი, წვერილი, მაგრამ ამავე დროს ჩაპუტკუნებული ბავშვური თითებით დაუდევრად დახია ღონ მანუელის წერილი. ფრანსისკო ანგარიშშიუცემლად უყურებდა მის მოძრაობას, მაგრამ ისეთი მახვილი თვალით, რომ მისი ქესტები სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში.

— მე კარის მხატვარი ვარ, — გულმოსულად თქვა მან, — და მანუელი მიწვევს დედოფლის დავალებით.

— რამდენადაც ვხედავ, წერილი დედოფლის ბრძანებით არაა დაწერილი, — მიუგო ალბამ და ხმადაბლა, ბავშვური კისკისა ხმით დასძინა: — განა თქვენ მანუელის დუდუქზე უნდა იხტუნოთ?

გოია უმწეო ბრაზით აივსო. ნუთუ კაეტანამ არ იცოდა, რომ ის ჭერ კიდევ არ იყო მეფის კარის პირველი მხატვარი? რომ იგი მარია ლუიზას მოწყალებაზე იყო დამოკიდებული? მეორე მხრივ კაეტანა მისი გულისთვის წავიდა მოსაწყენ პიედრაიტაში, მარტო დარჩენა და გოიას წასვლა მწარედ შეურაცხყოფდა მას.

— შემოძლია ჩემი გამგზავრება გადავდო ორი ან სამი დღით, ან ოთხი, ან ხუთითაც. მოვიმიზეზებ, რომ აქ პორტრეტი მქონდა დასამთავრებელი. — უმწეოდ თქვა გოიამ.

— დიდი მოწყალე ბრძანდებით, ღონ ფრანსისკო, — უთხრა კაეტანამ ისეთი თავაზიანი მუქარით, რომელიც მხოლოდ მას შეეძლო ჩაექსოვა თავის ხმაში. — უთხარით, გეთაყვა, მაჟორდომს, როდის გნებავთ ეტლი მოგიმზადოთ.

გოიას სულში გაიღვიძა იმ ღამის განცდილმა მთელმა გაჭირვებამ, როცა კაეტანას გულისთვის იძულებული გახდა დალოდებოდა მისი პატარა ელენეს მძიმე ავადმყოფობის ამბავს.

— შეიგნეთ ბოლოს და ბოლოს, — წამოიყვირა მან, — რომ გრანდი არა ვარ. ვარ მხოლოდ მხატვარი, ერთი ჩვეულებრივი მხატვარი, სავსებით დამოკიდებული ღონია მარია ლუიზას მოწყალებაზე, — და მკაც-

რად. პირდაპირ შეხედა ქალს თვალებში, — აგრეთვე ღონ მანუელზე. კაეტანამ პასუხი არ გასცა. მაგრამ სიტყვებზე მეტად გოიაზე იმოქმედა ქალის სახეზე აღბეჭდილმა ქედმაღლურმა ზიზღმა.

— შენ ჩემი წარმატების დარდი არა გაქვს, — გაცხარდა გოია, — შენ ჩემი ხელოვნების დარდი არა გაქვს, შენ მხოლოდ საკუთარ სიამოვნებაზე ფიქრობ.

კაეტანა ნელა გავიდა, მოკლე, მტკიცე, მაგრამ ნარნარი ნაბიჯებით. გოია ნარკიზასა და ღონ ხოსეს გამოემშვიდობა.

ყოყმანის შემდეგ დასძლია თავი

და კაეტანას ეახლა, მაგრამ

ღუენიამ მას აუწყა მშრალად:

„შეუძლოდ გახლავთ,

ვერავის იღებს“.

„როდის მექნება პატივი ვნახო?“ —

ჰკითხა ფრანსისკომ. „საერთოდ. სტუმარს

არ იღებს იგი, არც ღღეს და არც ხვალ“, —

განსაკუთრებულ, დიდი თავაზით

ეს თქვა ღონია ეუფემიამ.

16

მეთექვსმეტე საუკუნეში ესპანელის ორი დიდებული სახე გამოიკვეთა: ერთი იყო რაინდი, გრანდი, ხოლო მეორე პიკარო, უუფლებო ლატაკი, რომელიც ყოველთვის მალულად იბრძოდა, სიცრუითა და ეშმაკობით იკაფავდა გზას ცხოვრებაში. ხალხი და პოეტები პატივს სცემდნენ და ხოტბას ასხამდნენ გმირსა და რაინდს, მაგრამ ნაკლებად როდია აფასებდნენ და მეტადაც უყვარდათ დაბალი ფენებიდან გამოსული პიკარო და პიკარა. ცბიერი, თავზე ხელაღებული, მარად მხიარული, პრაქტიკული, სიცოცხლისუნარიანი პიკარო ისეთივე ნამდვილი დამახასიათებელი მოვლენა იყო ესპანეთისათვის, როგორც გრანდი. ისინი ერთიმეორეს ავსებდნენ. დიდმა პოეტებმა პიკაროები, გუსმანები და ლასარილიოები, თვალთმაქცეები და გაიძვერები, თავიანთი სილატაკით, თავიანთი გაშიშვლებული, ყოველგვარ მორალს მოკლებული მატერიალიზმით და საქმიანი, მხიარული, ჯანსაღი გერგილიანობით ისევე ცოცხლად შემოინახეს თავიანთ ნაწარმოებებში, როგორც რაინდობის წარმომადგენლები სიდი და ღონ კიხოტი.

მეთვრამეტე საუკუნეში პიკარო და პიკარა მახოდ და მახად იქცნენ. მათი ჩვეულებებისა და ადათ-წესების გარეშე იმდროინდელი ესპანეთის წარმოდგენა ისევე ძნელია, როგორც აბსოლუტური მონარქიისა და ინკვიზიციის გარეშე.

მახოები სახლობდნენ ყოველ დიდ ქალაქში. მაგრამ მათი მთავარი ადგილსამყოფელი იყო მადრიდი, მისი გარკვეული ნაწილი — ნანოლერია. მამაკაცები იყვნენ მკედლები, ზეინკლები, ფეიქრები, ხელმოკლე მიკიტნები, ყასბები, ან ცხოვრობდნენ კონტრაბანდით, მეწვრილმანობით, საქონლის ბინაზე მიტანით, ან თამაშით. ქალებს ჰქონდათ ყავახანები, კემსავდნენ ტანსაცმელსა და თეთრეულს, ან ქუჩაში იყვნენ გამყიდველებად, სთავაზობდნენ ხალხს ხილს, ყვავილებს და ყოველგვარ სანოვაგეს; მათი წვრილმანი საქონლის გარეშე არ ჩაივლიდა არც ერთი დღესასწაული და ბაზრობა. არც იმისა რცხვენოდათ დიდად, თუ მდიდარ კაცს ფულს დასციცლავდნენ. 1

მახოები და მახები, გარდა ესპანური ტრადიციული ტანსაცმლისა, არაფერს იცვამდნენ. მამაკაცები ატარებდნენ მუხლებამდე შემოსხეპილ შარვლებს, აბზინდიან ფეხსაცმელებს, მოკლე ქურთუკს. წელზე შემორტყმულ განიერ შარფს, ვეება ჩამომხობილ ფარფლებიან ქედს; ყოველთვის ესხათ მხრებზე გრძელი საწვიმარი — კაპა, მუდამ თან ჰქონდათ ნავახა — დასაკეცი დანა და შავი, მსხვილი სიგარა. ქალები ატარებდნენ დაბალქუსლიან ფეხსაცმელებს, ღრმად გულამოჭრილ ლიფებს, მკერდზე გადაჯვარედინებულ ფერად შარფს. უქმეებზე იპრანჭებოდნენ მაქმანის მანტილიებით და მალალი სავარცხლებით. მარცხენა ლეკვერთხში ძალიან ხშირად ჰქონდათ გარკობილი პატარა ხანჯალი.

ხელისუფლები უნდობლად უყურებდნენ მახოების გრძელ ლაბადებსა და სახეზე ჩამოფხატულ ვეება ქუდეებს. მახოებს უყვარდათ გრძელი ლაბადები, ვინაიდან მის ქვეშ იოლად იფარებოდა მათი ტანსაცმლის ლაქები, კუჭყი და ხანდახან სხვა რაიმეც, რის გამოჩენაც არ სურდათ; უყვარდათ აგრეთვე ჩამოფხატული ქუდეები, რადგან ის ჩრდილავდა სახეს, რომლის ცნობაც საჭირო არ იყო.

— ჩემი მადრიდელები, — ჩიოდა კარლოს მესამე, — ქუჩებში შეთქმულებივით სახედამალულები დაძვრებიან და ისე არ დადიან, როგორც ცივილიზებულა მონარქიის მშვიდობიან ქვეშევრდომებს შეეფერება.

მისმა პრემიერ-მინისტრმა, ნეაპოლემა სკილაჩენ აკრძალა ლაბადისა და ქუდის ტარება, მაგრამ აჯანყდნენ მახობები და გადამთიელი მინისტრი ესპანეთიდან გააძევეს. ჰკვიანნა შემცვლელმა მოიფიქრა და დააწესა, რომ ჯალათს თავისი მოვალეობის შესრულების დროს ეს ყბადაღებული ქუდი უნდა ჰხურებოდა, ამან იქონია გავლენა და ბევრს აალებინა ხელი ქულზე.

მახებსა და მახობებს, თავისებური ტანსაცმლის გარდა, ჰქონდათ საკუთარი ზნე-ჩვეულებანიც. საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი ენა. მაზო პატივს სცემდა ძველთაძველ ესპანურ ტრადიციებს, ფანატიკურად იცავდა აბსოლუტურ მონარქიას და სამღვდლოებას, მაგრამ სძულდა ახალი კანონები, ბრძანებულებები და არ ცნობდა მათ. კონტრაბანდით ვაჭრობა თავის პრივილეგიად მიაჩნდა და დიდ საპატიო საქმედ თვლიდა შემოპარებული თამბაქოს მოწვევას. მახოს თავი ღირსეულად ეჭირა, არ უყვარდა ბევრი ლაყბობა. მაგრამ, როცა დაილაპარაკებდა, ხნარობდა ხატოვან, ლამაზ სიტყვებს, მისი ტრაბახი და თავის ქება პოეტების შემოქმედების წყაროდ იქცა და სახელი გაითქვა საზღვარგარეთ.

მაზო ამაყი იყო. ვერავინ გაბედავდა მის ხელის წამოკვრას, ან აღმაცერად შეხედვას. გაუთავებელი ბრძოლა ჰქონდა საშუალო კლასის პეწენიკთან — პეტიმეტრთან. მდიდარი მოქალაქეების ვაყების შერჩეული ტანსაცმლის გაფუჭება და პეტიმეტრის გულმოდგინე ვარცხნილობის აჩეჩვა მახოსა და მახასთვის უდიდესი სიამოვნება იყო. მახოს ერიდებოდა პოლიცია და სხვებიც, ვინაიდან ის ჩხუბის თავი იყო. იოლად მოიშველიებდა უშვერ სიტყვებს, მუშტებს და წამსვე დანაც გაუჩინებოდა ხელში.

მაზო საუკეთესო ნოკავშირე იყო მონარქიისა და ეკლესიისა განათლების, გონების, ფრანგული სულის, რევოლუციისა და მისგან გამომდინარე ყველაფრის საწინააღმდეგო ბრძოლის საქმეში. მახოს უყვარდა მეფის შიღრული სასახლეები, გრანდების ლამაზი გამოსვლა, ეკლესიის შესანიშნავი პროცესიები, უყვარდა ხარები, დროშები, ცხენები და დაშნები. თავშეუკავებელი ნაციონალური სიამაყით უნდობლად და ზიზღით უყურებდა განმანათლებლებს, ლიბერალებს, ფრანკოფილებს. რომლებიც ყოველივე ამის გაუქმებას ლამობდნენ. ამოდ ჰპირდებოდნენ მას მოწინავე მწერლები და სახელმწიფო მოღვაწეები უკეთეს ბინებს, საუკეთესო პურსა და ხორცს. მაზო ყველაფერზე უარს იტყოდა, ოღონდ კი მისთვის დაეტოვებინათ საყვარელი თამაშობანი

და დღესასწაულები. ამ დიდი დღესასწაულების ქრელი ფანტიკური მონაწილენი მახები და მახოები იყვნენ. მათით იყო გაჭედილი თეატრის Patio. ისინი შეადგენდნენ პოლაკოსა და ჩორისოს ძირითად ბირთვს, ანობოქრდნენ, როცა აკრძალეს autos sacramentales — სახალხო წმინდა წარმოდგენა, რომელშიაც ჯვარცმიდან ნიწაზე გადმოსული ქრისტე ეკლის გვირგვინსა და თეძოების გადასაყრავს მახოს ტანსაცმელზე ცვლიდა, რათა სხვა მოთამაშეთა შორის ეცეკვა სეგიდილია. მახო დიდი მომხრე იყო აუტოლაფესი და აგრეთვე ერთგული გულშემატიკივარი ხარების ჭიდილისა; აღშფოთდებოდა, როცა ტორეადორი, ხარი ან მწვალე-ბელი ცუდად მოკვდებოდა. მას სულმოკლეობა სძულდა.

სამიჯნურო საქმეებში მახო ცეცხლოვანი, გულუხვი და არასაიმედო იყო. ასაჩუქრებდა თავის სატრფოს ქრელაჭრულებით, სცემდა, თუ ქალი ოდნავ გააბრაზებდა და თუ საქმე მიტოვებას შეეხებოდა — იყო ეს მისი თუ ქალის ბრალი — საჩუქრებს უკანვე ნოითხოვდა. მახას სინდისი არ დაუშლიდა თავისი საყვარელი პეტიმეტრი სულით ზორცამდე გაეცალა. გათხოვილ მახასაც, როგორც წესი, ჰყავდა შეძლებული კორტეხო, ხან ორიც კი. ესპანელი მამაკაცების აზრით, მახებს გააჩნდათ ის თვისებები, რომელთაც ქალში განსაკუთრებით აფასებდნენ. ქუჩაში მიუქარებელი, ამაყები იყვნენ, ეკლესიაში ანგელოზები, ლოგინში გრძნეულები. უცხოელებიც აღიარებდნენ, რომ დედანიწაზე არც ერთ ქალს არ შეუძლია განაცდევინოს მამაკაცს ისეთი ნეტარება, სიამე და ექსტაზი, როგორც მახას.

ესპანეთში ლუი მეთექვსმეტის წარმომადგენელი ჟან ფრანსუა დე ბურგენი თავის ცნობილ წიგნში ესპანელების შესახებ, ბევრს ამბობს მახას უსირცხვილობასა და აღვირახსნილობაზე და უფრო მეტად აფასებს აქედან გამომდინარე მათ მომხიბლაობასა და ბიწიერებას.

მახოს თავი მოჰქონდა საუკეთესო ესპანელობით *espanolismo*, ამ მხრივ გრანდებს ტოლს არ უდებდა. ასევე უყურებდა მას მთელი ესპანეთი, ყოველ ჭეშმარიტ ესპანელს რაღაც მახოსებრი უნდა ჰქონოდა, მახო და მახა იყვნენ საინეტებისა და ტონადილიების საყვარელი გმირები და საყვარელი თემა მწერლებისა და მხატვრებისათვის.

ართუ სხეები,

მაშინ გრანდებიც

და გრანდესებიც იცვამდნენ მახოს

და მახას კოსტუმს. დიდი ხალისით

იკვარებოდნენ ამ ტანსაცმელში
და მახოს ცნობილ გამონათქვამებს
სწორად ხმარობდნენ სიტყვა-მასუხში.
ცნობილ ქალაქელთ თუ გრანდებს დიდად
მოწონდათ მახოს როლის თამაში,
და, კაცმა რომ თქვას სიმართლე, მათში
მრავლად ერია ერთ ღრის ყოფილი,
ნამჯელია მახო.

17

ღიღი პატრებით მიიღეს გოია სან-ილდეფონსოში. დააბინავეს სასახლეში და არა სასტუმროში. წიგნები, ტუბილუელი, ღვინო მისი გემოვნების მიხედვით დახვდა შერჩეული. ერთი წითელწინდა ლაქია მუდმივ მსახურად მიუჩინეს. მისი აპარტამენტი სამი ოთახისაგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი სახელოსნოდ შეეწყო განოყენებინა.

აცნობეს, რომ მანუელი სთხოვდა სალამოს ექვს საათზე მისუღიყო საჯირითო მოედანზე, სალამოს შეხვედრისათვის ეს უჩვეულო ადგილი იყო. ნეტავ მანუელს თუ თვით დონია მარია ლუიზას სურდა კვლავ ცხენზე ამხედრებული დახატულიყო.

საჯირითო მოედანთან მანუელი და პეპა დახვდნენ. პეპა ვაბრწყინებული სახით მიესალმა.

— თქვენი აქ მოწვევა მანუელის შესანიშნავი იდეაა, — მიმართა მან. — ამ ზღაპრულ მთიან მხარეში ჩვენ შესანიშნავად გავატარეთ დრო, იმედია ფრანსისკო, თქვენც არ იყავით მოწყენილი.

მანუელი პეპას გვერდით იდგა, როგორც პატრონი, კმაყოფილი, მხედრულ ტანსაცმელში გამოქიმული.

მამასადამე კაეტანა მართალი ყოფილა. გოია გაასულელეს, აბუჩად აიგდეს. შესაძლოა ამ ორს არც კი ესმით, რა მოიმოქმედეს, ნეტარი, ბედნიერი ცხოვრება დაუმსხვრიეს, მაგრამ შესაძლოა განზრახაც მოიქცნენ ასე. სასაცილო და ამასთან აღმაშფოთებელი იყო, რომ ამ ვივინდარა, მიგდებული მეძავის — პეპას ახირებამ სანეტარო ზაფხული ჩაუმწარა.

— მე თქვენზე დიდ იმედებს ვამყარებ, ფრანჩო, — მიმართა მხიარულად ნიშვილობის თავადმა, — უპირველეს ყოვლისა მინდა დამიხატოთ ცხენზე მჭდარი სენიორა ტუდო. ხომ თანახმა ხართ, რომ მას საოცრად

უნდება ამაზონი? — კმაყოფილებით თქვა მშვიდობის თავადმა და ძალდაუტანებლად დახარა თავი პეპას წინაშე. მეჭინბემ კი სასწრაფოდ განიოყვანა შეკაზმული ცხენი. გოია ახლა სიამოვნებით გააწნავდა მაგარ სილას პეპას სახეში, როგორც ნამდვილი მახო. მაგრამ ის მახო აღარ იყო. გაათუქა წარმატებამ და მეფის კარზე ცხოვრებამ. გულში გაიფიქრა; რაკი აქ ჩანოვედი, ჩემი თავშეუტყაველობით ყველაფერი აღარ უნდა დავლუპოო. მაგრამ ამ ნეზეს, რა თქმა უნდა, არ დახატავს ცხენზე მჯდომს. „არწივი ცაში ფრინავს, ნეზვი ნეზვი გორავს“. რა თავგასული უტიფრობაა ამ გატყლარქული დედაკაცის მხრივ ცხენზე შესკუპება და მოთხოვნა, რომ გრანდესასავეთ დახატოს მხატვარმა ჯა ისიც გოიამ.

— სამწუხაროდ ამ დავალების შესრულება ჩემს ძალ-ლონეს აღემატება, ღონ მანუელ, — თავაზიანად მოახსენა მან, — მე სილამაზის მხატვარი როდი ვარ. თუ შევეცდები ცხენზე მჯდომი სენიორა ტუდოს დახატვას, ვნიშობ. ჩემი სურათი თქვენი თვალით მოწონებულ სინამდვილეს ბევრად ჩამორჩება.

პეპას თეთრი, გულგრილი სახე ოდნავ შეეშალა.

— უნდა ნცოდნოდა, რომ სიხარულს ჩამიშხამებდი, ფრანჩო, — მიმართა მან. — ყოველგვარ სიამოვნებას წამიმწარებ ხოლმე, — და განიერი, დაბალი შუბლი შეკრა, — ღონ მანუელ, გეთაყვა, მიეცით შეკვეთა მაელას ან კარნისეროს.

მანუელი მიხვდა, ეს წამოწყება მხატვარს მეტად სახიფათოდ ეჩვენა. გულში კი გაუხარდა, რომ თავს აარიდებდა ასეთ გაბედულ საქმეს.

— მოდიტ ერთხელ კიდევ კარგად მოვიფიქროთ, სენიორა, — უთხრა მან დასაწყენარებლად, — თუკი გოიას არ შესწევს უნარი დაგხატოთ ცხენზე მჯდომი, როგორღა შეუძლია ვიღაც მაელას ან კარნისეროს ამის შესრულება?

პიკო დე პენილარადან მაამებელი სიო მოპქროდა, მაგრამ საამურ სიგრილეში ჰქეპა-ქუხილის მოახლოება იგრანობოდა.

— უმჯობესია უკანვე გავბრუნდე, — თქვა ფრანსისკომ.

— სისულელეა, ფრანჩო, — მიუგო მანუელმა, — ამ საღამოს თავი გავითავისუფლე. პეპა გონს მოეგება. აქვენ, რასაკვირველია, ჩვენთან იჯახშმებთ.

პურის ჭანის დროს პეპა იჯდა უხალისოდ, მდუმარე და ლამაზი. გოიას მასთან ღამის გატარების სურვილი აღეძრა. ეს იქნებოდა სამა-

ღიეროს მიზლვა კაეტანასთვის, მანუელისთვის და თვით პეპასთვისაც. ნაგრამ არ სურდა პეპასთვის შეემჩნევინებინა, რომ ის მხატვარს ძველ-ბურად ხიბლავდა და გოიაც სიტყვაძვირობდა.

სამაგიეროდ მანუელს მოჭარბებოდა სიხარული.

— ვიცი, როგორც უნდა დახატოთ პეპა, გიტარით ხელში, — მოი-
ფიქრა მან. ეს ფრანსისკოსაც ნოეწონა. არწივი ზეცაში, ნეზვი ნეზვში,
გამოთაყვანებულსახიანი პეპა გიტარით ხელში.

გოია მუშაობას ხალისით შეუდგა. პეპა დამჯერე მოდელი იყო. ის
მომშვებული იჯდა, მადის აღმძვრელად და გოიას პირდაპირ სახეში
შეჰყურებდა უსირცხვილო თვალებით. ფრანსისკოს ძალზე სწყუროდა
მისი ალერსი. იცოდა, პეპა პირველად მასხრად აიგდებდა, თუმცა
შემდეგ კი უფრო დამყოლი იქნებოდა. მაგრამ კაეტანას შეებოჭა იგი.
სული ვერ წამძღვესო, ფიქრობდა. სამაგიეროდ სურათში ჩააქსოვა
ნათელი თავისი წყურვილი. მუშაობდა სწრაფად. თუ ნოინდომებდა
სწრაფი ლუკას გასწრებას შესძლებდა. სამი სეანსი ეყო „გიტარინი მან-
დილოსნის“ დამთავრებას.

— ეს კარგი გამოგივიდა, ფრანჩო, — უთხრა ნასიამოვნებმა პეპამ.

მანუელი აღტაცებული იყო.

ღონია მარია ლუიზამ ფრანსისკო იხმო. მაშასადამე, ისიც ნამდვი-
ლად ყოფილა შეთქმულების მონაწილე. დანაღვლიანებული ეახლა მას
გოია.

ღედოფალი ალერსიანად მიესალმა და გოია გონს მოეგო; არ ჰქონ-
და იმის საბაბი, რომ ღედოფალზე გულნაკლული ყოფილიყო. მარია
ლუიზას გოიასათვის კი არ უნდოდა ჩაემწარებინა ზაფხული, არანედ
მხოლოდ და მხოლოდ თავისი მტრისათვის, კაეტანა ალბასათვის; ეს
გასაგებიც იყო, რამდენჯერ გამოიწვია კაეტანამ. გოიას გულში კიდე-
ნაც უხაროდა, რომ ღედოფალი და კაეტანა მასზე დავობდნენ. უნდოდა
ეს ამბავი თავის მეგობარ მარტინისათვის მიეწერა სარაგოსაში.

მარია ლუიზას გულწრფელად უხაროდა გოიას იქ ყოფნა. აფასებდა
მის დამოუკიდებელ და ამასთანავე თავმდაბალ მსჯელობას და ესმოდა
მისი ხელოვნება. აგრეთვე ღვარძლიანად უხაროდა, რომ მხატვარი ახლა
აქ იყო და არა პიედრაიტაში. იმიტომ კი არა, რომ თითქოს ალბასთვის
არ ეთმობოდეს ჩასუქებული, ხანში შესული გოია: ლოგინში მას ახალ-
გაზრდა, მოსული. ნაკლებ ინტელიგენტი ვაჟკაცები ერჩია. რომლებმაც
კონტად იცოდნენ სამხედრო მუნდირის ტარება. მაგრამ ის ქალბატონი

მეტისმეტად გათავხედდა, საჭიროა ხანდახან თავში ჩაუკაკუნოს და გონს მოიყვანოს. ამიტომაც დახატავს ახლა გოია მას, მარია ლუიზა დე ბურბონს და არა კაეტანა დე ალბას.

ალბას მოგონებაზე კარგი იდეა დაეხდა. ფრანსისკოს წინადადება მისცა, მახად დაეხატა.

გოიას ეს არ ესიამოვნა და გაოცდა. ჯერ პეპამ მოსთხოვა ცხენზე შესკუპებული დამხატეო, ახლა დედოფალმა — მახადო. გოიას ადრეც მოსვლია აზრად, რომ ნართლაც რალაც მახასებრი ჰქონდა დედოფალს. ეს აშკარავდებოდა იქიდანაც, რომ უგულვებელყოფდა ცერემონიებს. ეჯავრებოდა ჭორაობა და ჰქონდა სიცოცხლის თავაწყვეტილი წყურვილი. მაგრამ მახას ტანსაცმელში გამოწყობის უფლება დიდ ქალბატონებს მხოლოდ კოსტუმირებული ბალის დროს ჰქონდათ; ასეთი ტანსაცმლით დონია მარია ლუიზას დაჯდომა დასახატავად სულ ცოტა რომ ვთქვათ, დიდი უცნაური რამ იქნებოდა. და ცხადია, გოიას კაეტანასთან ახალი უსიამოვნება ელოდა.

გოია ფრთხილად შეეცადა გადათქმევივნებას. დედოფალი დათანხმდა. მხოლოდ ერთი რამ დათმო: ჭრელ კაბას კი არ ჩაიცვამდა, არამედ შავს. სხვა მხრივ, როგორც ყოველთვის, კარგი მოდელი იყო. ხელს კი არ უშლიდა, პირიქით, ეზმარებოდა მხატვარს. სულ უმეორებდა:

— ისეთი დამხატეთ, როგორიცა ვარ. ნუ შეეცდებით ჩემს გალამაზებას. მინდა ისეთი გამოვიდე; როგორიცა ვარ.

მიუხედავად ამისა, პორტრეტზე მუშაობის საქმე როდი მიდიოდა კარგად. არა მარტო იმიტომ, რომ დედოფალი ბევრ მოთხოვნას უყენებდა მხატვარს და მხატვარი კიდევ საკუთარ თავს, არამედ ქალი ნერვიულობდა, ეჭვიანობდა და გამბრაზებული იყო მანუელზე, რადგან იგი იმ პიროვნებასთან ურთიერთობას კვლავ განაგრძობდა, სწორედ ამის გამო დედოფალმა ბევრჯერ თქვა უარი მოდელირებაზე.

გოია როცა არ მუშაობდა, მოწყენილი და გუნებაგაფუჭებული დაბოროტდებოდა სასახლესა და პარკში. ქვედატუჩგამოწეული ირონიულად და კრიტიკულად შეჰყურებდა მიელასა და ბაიეუს ფრესკებს. დადგებოდა მითოლოგიურფიგურებიან შალრეკნებთან და უყურებდა ამოვარდნილ და ძირს დაცვენილ წყლის ჭავლებს, მათ ლივლივს, რომელთა შორის ზევით ნოჩანდა ვეება, თეთრად მოქათქათე სასახლე, ესპანეთის ვერსალი, დიდი წვითა და დაგვიტ აშენებული, ცაში ატყობარცნილი სასახლე. სხვებზე უკეთ გრძნობდა გოია განსხვავებას ფრან-

გულ ნაგებობათა, ბაღების ხელოვნურობასა და ესპანურ ველურ ბუნებას შორის. სხვებზე უკეთ ესმოდა ფილაპე მეხუთესი, რომელმაც უამრავი დრო, ფული და ჯაფა შეაღია მის აშენებას, ხოლო თავისი სურვილის შესრულების შემდეგ, როცა შადრევნებმა პირველად იფეთქეს, ასე თქვა: „ეს შადრევნები ხუთი მილიონი დამიჯდა და თავიც ხუთი წუთით შემაქცევინესო“.

გოია ვერ იტანდა სასახლის მანდილოსნებთან და ბატონებთან ყოფნას, მანუელისა და პეპას საზოგადოებაც ამოუვიდა ყელში, მაგრამ როცა მარტო დარჩებოდა ამ მანერულ, ნათელ, თვალისმომჭრელ, გულის ამრევ, გადატყლარქულ, ფრანგული მორთულობის ბრწყინვალეებაში. მისდაუნებურად კაეტანაზე ფიქრები მოიცავდა და თავს ვეღარ აღწევდა. ყოველგვარი სალი მოსაზრების მიუხედავად. ფიქრობდა, კაეტანა ალბათ მომწერს და გამომიძახებსო. ვაითუ მათ შორის ყველაფერი დამთავრდა. ისინი ხომ ერთიმეორეს ეკუთვნიან.

სურდა გაცლოდა სან-ილდენფოსოს, ეგონა, მადრიდში, თავის სახელოსნოში მეტ ნყურდობას მოიპოვებდა. მაგრამ პორტრეტზე მუშაობა აკავებდა. მასავით განერვიულებული მარია ლუიზა სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობდა უარს მოდელირებაზე.

შემდეგ მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც სურათის დანთავრება რამდენიმე კვირით გადადო.

პარმაში გარდაიცვალა დედოფლის პატარა ნათესავი და ვინაიდან დედოფალს სურდა იმ წარჩინებულ პერსონაჟთა გვარის ღირსებისა და პრესტიჟის აწევა, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. სასახლეში დაწესებულ ვადაზე უფრო ხანგრძლივი გლოვა გამოცხადდა.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სურათისთვის მოდელირება ხელახლა უნდა შეწყვეტილიყო.

გოიამ წერილობით ითხოვა მადრიდში გამგზავრების უფლება. იუწყებოდა, სურათი თითქმის უკვე მზად არის და რაც წვირლმანი აკლია, მადრიდშიც დავამთავრებო. ცივად უპასუხეს, რომ მის აღნაგობას — დედოფალს სურდა, მხატვარს აქ დაემთავრებინა მუშაობა. ათ დღეში დედოფალი მოწყალეობას მოიღებს და დასახატავად დაუჯდება, ხოლო სამგლოვიარო ტანსაცმელი გოიას შეუძლია მადრიდიდან გამოიწეროს.

მადრიდიდან შავი წინდების გამოგზავნა დავიწყებოდათ და სამუშაოდ ხელახლა მიწვეული გოია რუხი წინდებით გამოცხადდა. მარკიზმა

დე ვეგა ინკლანმა აგრძნობინა, რომ არ შეიძლებოდა გოია ასე წარს-
დგონოდა დედოფალს. გულმოსული მხატვარი თავის ბინაში დაბრუნდა,
ჩაიცვა თეთრი წინდები, მარჯვენას ტუშით დაახატა კაცი, რომელიც სა-
ოცრად ჰგავდა ჰოფმარშალს. მარცხენა წინდაზე კი გამოსახა მეორე
კარისკაცის—მარკიზის სულიერი ძმის ფიზიონომია, არავის ყური არ ათ-
ხოვა და გულმოსულად და უტიფრად შეიჭრა მარია ლუიზასთან. იქ
ბრძანდებოდა ნეფეც. ის ვერაფერს მიხვდა და ოდნავ უხეშად მიმართა:

— ეს რა უცნაური და უხამსი კაცუნები გახატიათ წინდებზე?

გულმოსულმა გოიამ მიუგო:

— სამგლოვიაროა, თქვენო ბრწყინვალეებავ, სამგლოვიარო.

მარია ლუიზამ ხმამაღლა გადაიხარხარა.

ერთ კვირას კიდევ ინუშავა გოიამ. ბოლოს სურათი მზად იყო. ოდ-
ნავ უკან დაიხია. „დედოფალი მარია ლუიზა მახას ტანსაცმელში“,
წარუდგინა მან თავისი დედოფალი ხორცშესხმულ დედოფალს.

აი, ჩვენს თვალწინ ბუნებრივ და ამასთანავე მედიდურ პოზაში დგას
ნახა და დედოფალი. მტაცებელი ფრინველის ნისკარტივით ცხვირს ზე-
მოთ ხარბი თვალები ანათებს, აღმასის კბილები დაფარულია ჭიუტ ნი-
კაპს ზემოთ მაგრად მოკუმული ტუჩებით. შეღებულ სახეზე აწერია გა-
შოცდილება, სიხარბე, სისასტიკე. მანტილია, პარიკიდან რომ ეშვება,
მკერდზე აქვს გადაჯვარედინებული. ღრმად ამოღებული კაბის გული-
დან კისერი ნიმშიდველად ჩანს. ბეჭდებით სავსე, მსუქანი, მაგრამ ლა-
მაზი მარცხენა ხელი ზანტადაა ძირს დაშვებული. მარჯვენას გულთან
შაცდუნებლად და მოლოდინით მიუტანია დაკეცილი პაწაწინა მარაო.

გოია ცდილა არც ძალზე ბევრი ეჩვენებინა და არც ძალზე ნაკლები.
მისი ღონია მარია მახინჯი იყო, მაგრამ ეს სიმახინჯე გააცოცხლა, გა-
აბრწყინა, თითქმის მიმზიდველი გახადა. თმაზე მოლურჯო წითელი
ბანტი მიაბნია და ამ ბანტის ბრწყინვალეების გამო კიდევ უფრო შავად
ბზინავდა მკამანი. ჩააცვა ოქროს ფეხსაცმელები, რომლებიც შავი კა-
ზის ქვეშ კიაფობდა და ყველაფერს სხეულის ნარჩარი შუქი მოჰფინა.

დედოფალს აღარაფერი ეთქმოდა. თავისი კმაყოფილება დიდი შექე-
ბით გამოხატა და მხატვარს მოსთხოვა იქვე, სან-ილდენფონსოშივე
გაემზადებინა ორი ასლი ამ სურათისა.

მაგრამ გოიამ თავაზიანად განაცხადა უარი. ვერ გადაიღებდა იმ
სურათის ასლს, რომელზედაც ამდენი შრომა გასწია. სამაგიეროდ შეეძ-

ლო თავის თანაშემწე დონ აგუსტინ ესტევესათვის მიენდო ასლის გადა-
ღება, რომლის სიბეჭითე და კეთილსინდისიერება დონია მარია ლუი-
ზასათვის ცნობილი იყო. როგორც იქნა ეღირსა მადრიდში დაბრუნება.

მაგრამ აქ სან-ილდეფონსოზე უკეთ როდი გრძნობდა თავს. ასჯერ
უშეშებდა თავის თავს, რომ უნჯობესი იქნებოდა ბარათი გაეგზავნა
კაეტანასათვის, ან უბრალოდ ჩასულიყო პიედრაიტაში. მაგრამ ვერ დას-
ძლია თავის სიამაყეს.

და ის საკუთარ თავს სწყევლიდა, რომ
ასეთი იყო... რად შეიყვარა
ეს კაეტანა!
მსხვერპლს მსხვერპლზე ითხოვს
სულელური და გიჟური გრძნობა.
გაუგონარი,
ზღაპრული ფასით
ეს ვნება უნდა ანაზღაურდეს!
და მთელი რისხვა მან ალბასაყენ
მიმართა.

მაინც ავი სულები
ყველა კუთხეში როგორ ჩასაფრდნენ
და შესაფერის წამსლა ელიან,
რომ გადაჩეხონ. იმათაც, ალბათ,
კაეტანასთან შეუკრავთ პირი.

18

ზაფხულის ბოლოს დაბრუნდნენ ალბები მადრიდში. კაეტანა არ
ჩანდა და არც რაინეს იტყობინებოდა. რამდენჯერმე შეხვდა ფრანსის-
კო ალბების ეტლს. გადაწყვიტა შიგ არ შეეხედა. მაინც შეიხედა. ორ-
ჯერ შიგ ჰერცოგი იჯდა, ორჯერ — ვილაც უცხო და ერთხელ კი — მო-
ხუცი მარკიზა.

ერთ დღეს მოიტანეს ბარათი, რომლითაც მეფის კარის მხატვარს
გოია ლუსიენტეს და სენიორა დონია ხოსეფას ჰერცოგთან იწვევდნენ
ნუსიკალურ საღამოზე. უნდა ემღერათ სენიორ დონ ხოსე ჰაიდნის ოპე-
რა „ნითვარეზე ცხოვრება“. ერთი საათის განმავლობაში ფრანსისკოს
ნტიციედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ წასულიყო, ხოლო მეორე საათში

ასევე მტკიცედ გადაწყვიტა წასულიყო. ხოსეფას აზრადაც არ მოსვლია მიპატიებებაზე უარის თქმა.

იმ საღამოსავით, როცა გოიას ავბედითი გატაცება დაიწყო, კაეტანა ალბა დიდხანს არ გამოჩენილა. ფრანსისკოს ჯერ ბოლომდე უნდა ნოესმინა სენიორ ჰაიდნის ოპერა. ახლა იჯდა ხოსეფას გვერდზე გაწამებული მოუთმენლობით, შიშით და იმედით; ნაღვლიანად იგონებდა პიედრაიტაში გატარებულ იმ საათებს, როცა ჰერცოგის ამგვარ მუსიკალურ საღამოებზე კაეტანას გვერდით იჯდა.

ამასთანავე, ოპერა მსუბუქი და გრაციოზული იყო მასში წარმოდგენილი იყო ასტრონომიით გატაცებული ერთი მდიდარი კაცი, სახელად ბონაფედე, ორი ლამაზი ასულის მამა, რომელიც მოატყუა შარლატანმა ეკლექტიკომ — მთვარის მცხოვრები ვარო. ამ მნათობის სიყვარულმა წამოაცდენინა თანხმობა ბონაფედეს, თავისი ასულები ისეთი კაცებისთვის მიეთხოვებინა, როგორებსაც დედამიწის ზურგზე არაფრის გულისთვის არ მისცემდა. იტალიური ტექსტი თვით ჰერცოგის მიერ იყო ესპანურად თარგმნილი, ამჟამად გადაკარგული აბატის დახმარებით. მუსიკა არც ისე ძნელად გასაგები იყო, როგორც გოია მოელოდა და სხვა პირობებში ეს მშვენიერი წარმოდგენა სიამოვნებას მოჰპვრიდა. მაგრამ ახლა თავის გულში იგინებოდა და ილანძლებოდა.

წარმოდგენა დამთავრდა. მაქორდომმა მთავარ დარბაზში მიპატიუა სტუმრები.

როგორც ნაშინ, ახლაც ისე, ძველი ესპანური ჩვეულების მიხედვით, ღონია კაეტანა ესტრადაზე დამჯდარი ღებულობდა სტუმრებს. ბალდახინს, რომლის ქვეშაც ის იჯდა, ამშვენებდა ხუან მარტინეს მონტანესის ნამუშევარი. შეღებილი ღვთისმშობლის ქანდაკება. გულხელდაკრეფილი, მორცხვად თავდახრილი უბიწო ქალწული, ძლივს შესამჩნევი ესპანური ამაყი ღიმილით, გრაციოზულად იდგა ნახევარმთვარის პატარა სკამზე, რომელიც თვალწარმტაცი ანგელოზების თავზე იყო შედგმული. ამ ნომხიბვლელი ქანდაკების ქვეშ მიმზიდველად მჯდომი კაეტანა ალბას გარეგნობას რაღაცნაირი ბიწიერი და მომჯადოებელი დალი ესვა.

ამჯერად ის ლოყებმეგვარდისფრებული და გაპუდრული იყო. ეცვა ესპანური ძველი ყაიდის შესანიშნავი კაბა, ვიწრო წელიდან ფართოდ იშლებოდა ძირს განიერი ქვედატანი. საგანგებო, თოჯინისებური და თითქმის სასაცილო ქედმაღლური გამომეტყველება ჰქონდა. ნაღალ

წარბებს ქვეშ საოცრად ცოცხლად ბრწყინავდა მისი ლითონისებრი თვალები, ორგზის ცოდვილად გამოიყურებოდა მისი თეთრი, ღიმილ-შეცივებული სახე უწმინდეს ქალწულთან ნომხიბვლელი და უტიფარი მსგავსების გამო, რომელიც ღიმილითა და მორცხვი კმაყოფილებით სასიხარულო ამბავს ისმენს.

ბრაზისა და აღტაცებისაგან აცახცახებული ფრანსისკო თავს ძლივს იკავებდა, ძალზე სწყუროდა ისეთი რამ ეთქვა, რაც მხოლოდ მათ შეეხებოდა — რაიმე უსაზღვროდ სასიყვარულო ან უსაზღვროდ უხამსი. მაგრამ კაეტანა ცალკე დალაპარაკების საშუალებას არ აძლევდა, და აქასთანვე დიდი ქედმაღლური პატივისცემით ეპყრობოდა.

ამ საღამომ ისედაც დაანაღვლიანა გოია. აქ, რასაკვირველია, იყო კარნისერო, ხელობით მისი კოლეგა, მთითხენელი. მას ჯაფხატა „მთვარეზე ცხოვრების“ დეკორაციები. გოიას თვალები ატკინა დატკბილულმა ნათითხნმა. ჰერცოგმა და მარკიზამ კი თავისი გულითადობით გაუჰიროვნეს საქმე. დონ ხოსეს თუმცა კი მოსწონდა მბატყარ კარნისეროს დეკორაციები, მაგრამ ნანობდა, რომ ესკიზები გოიას შესრულებული არ იყო: კაეტანას თქმისა არ იყოს, მას თურმე ამ ბოლო ხანებში კაცი ველარ მიეკარება. მოხუცმა მარკიზამაც სინანული ვამოთქვა, რომ გოიას აღარ ეცალა ვილიაბრანკების სასახლეში მისასვლელად და მისი მეორე პორტრეტის დასახატავად; ფრანსისკომ მის სიტყვებში ფარული ირონია შეამჩნია; უთუოდ იცოდა მარკიზამ, რაც გოიასა და კაეტანას შორის მოხდა.

მეტისმეტად აუტანელი იყო ექიმი პერალი. საქმის გულისამრვევი ცოდნით გამოთქვამდა თავის აზრს დონ ხოსე ჰაიდნის ნუსიკაზე. ჰერცოგს ჩვეულებრივ უსიცოცხლო სახე გაუბრწყინდებოდა, როცა ექიმი დიდი ენთუზიაზმით და სპეციალური ტერმინების გამოყენებით ახსნა-განმარტებდა იძლეოდა, თუ როგორ ნიჭიერად და გონებამახვილურად ცვლიდა ჰაიდნი ორკესტრირებას, როცა ბონაფეტე ტელესკოპში იტკირებოდა და მთვარეზე ცხოვრების თაობაზე თავის დაკვირვებებს იუწყებოდა, ან როგორი რეალიზმით გადმოსცემდა მუსიკა ფრენის შეგრძნებას. ამ სწავლულ ტრაბახას ქაქანზე კიდევ უფრო მეტად უქლავდა გულს ფრანსისკოს საიდუმლო სიტყვები, რომლებითაც კაეტანა და ექიმი ერთიმეორეს ებაასებოდნენ და კაეტანას სიცილი მხოლოდ მათთვის გასაგონ ექიმის ხუმრობაზე.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ელაპარაკებოდა „დალაქი“ კაეტანას, იგრძნობოდა რაღაც აღმაშფოთებელი მესაყუთრეობა.

გოია მთელი განვლილი დღეების განმავლობაში წანებითა და სიხარულით ელოდებოდა ამ საღამოს. ახლა კი მწარედ მოითქვა სული, რადგან შეეძლო გამომშვიდობებოდა და გაქცეოდა კაეტანას ჯაღოს. უკან დაბრუნებისას ხოსეფამ თქვა, რომ საღამო განსაკუთრებით სასიანოვნო იყო, დონ ხოსე ჭეშმარიტად დიდი მუსიკოსია და ოპერაც შესანიშნავიაო.

მეორე დღეს გოიამ დაიწყო პატარა სურათი: კაეტანა ნახევარმთვარიანი ღვთისმშობლის ქვეშ. იგი დახელოვნდა ანონიმური, მაგრამ მაინც საცნობი სახეების დახატვაში. ბალდახინს ქვეშ მთრად მორთულ მანდილოსანს ჰქონდა რაღაც ბიწიერი, ბოროტი, დამცინავი, მკრეხელური. გოია ხატავდა ჩუმად, როცა აგუსტინი იქ არ იყო. უმაღლავდა მას პატარა ნახატს. ხატავდა სწრაფად და მონდომებით. ერთხელ დაავიწყდა ტილოს შენახვა. როცა შინ დაბრუნდა, აგუსტინი ნახატის წინ დახვდა.

— შესანიშნავია, — თქვა აგუსტინმა, — ეს არის ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისა.

— სულაც არ იყო საჭირო, ეს გენახა, — უთხრა ფრანსისკომ და სურათი სანუდამოდ გადამალა.

ერთმა კვირამ კიდევ გაიარა და კაეტანაზე არაფერი გაუგონია. ახლა გოიამ იცოდა, რომ ვერაფერს შეიტყობდა მისგან ვერც სამ თვეს და ვერც მთელ წელიწადს. მთელ თავის ცხოვრებაში ყველაფერზე მწარედ პიედრაიტადან და კაეტანასაგან გამოქცევას ნანობდა.

მოულოდნელად განოცხადდა მის სახელოსნოში ღუენია ეუფემია და ბუნებრივი ტონით შეეკითხა, ჰქონდა თუ არა ფრანსისკოს დრო და სურვილი ხვალ საღამოს კაეტანასთან ერთად კრუსში წასვლისა, სადაც მაელას „მოტყუებულ მატყუარას“ დგამდნენ და თურმე ღონია კაეტანა ბევრ სიამოვნებას მოელოდა სეგიდილიისაგან.

თეატრში წავიდნენ. ისე იქცეოდნენ თითქოს გუშინ დამშვიდობებოდნენ ერთიმეორეს. ერთმანეთს არაფერს ეკითხებოდნენ, ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ, რაც პიედრაიტაში მოხდა, თითქოსდა არაფერი იყო. მომდევნო დღეებში კიდევ უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთიმეორეს, ერთიმეორით ცოცხლობდნენ, ისევ უყვარდათ ერთიმეორე, როგორც პიედრაიტაში კინკლაობამდე.

ჩვეულებრივ, კაეტანა გოიას წინასწარ აფრთხილებდა, როცა მოსვლას დაპირებდა; გოია ახერხებდა მართო დახვედროდა. ერთხელ, როცა კაეტანა გაუფრთხილებლად მოვიდა, აგუსტინი ასლს იღებდა სურათიდან „დედოფალი ნახას შავ ტანსაცმელში“.

კაეტანამ მტრის პორტრეტი დაათვალიერა. აი, ის დგას ბუნებრივ პოზაში. უნდა ითქვას, რომ ფრანჩოს მისი სიმახინჯე დაუმალავს, მაგრამ თავი არ დაუზოგავს, რომ ის მცირედი, რითაც მარია ლუიზას შეეძლო ეაწყა — ფუნთუშა ხელები და კისერი გულამოღებულ კაბაში, კარგად დაეხატა. ტილოზე იგი სავსებით ჰგავდა მახასაც, წარჩინებულ ქალბატონსაც და არაფრით არ იყო სხასაც ილო.

კაეტანას ხელახლა დაუარა იმ ჟრუანტელმა, როგორმაც მაშინ, დედოფალმა რომ გააფრთხილა. არ შერცხვა აგუსტინისა და გულმოსულმა ჰკითხა:

— რატომ დახატე ასე?

— ეს კარგი სურათია, — ცივად მიუგო ფრანსისკომ.

— შენი არაფერი მესმის, — მიახალა კაეტანამ, — ამ ქალმა უსიროცხვილოდ და უნამუსოდ ჩაგვიშხამა ზაფხული, შენი და ჩემი სიხარული, ახლა მას დედოფლად ხატავ. ორივემ გავიგეთ, თუ რას წარმოადგენს; უბრალო იტალიელი მკერავი დედაკაცია და შენ მას დედოფლად ხატავ. ისიც თავიდან ფეხებამდე ესპანელად.

— რაკი ასე დავხატე, მაშასადამე ასეთია, — წყნარად და მედიდური ტონით მიუგო ფრანსისკომ, რომელიც კაეტანას ტონს ტოლს არ უგდებდა.

აგუსტინი გაახარა მეგობრის პასუხნა.

ამ დღიდან მოყოლებული კაეტანა ცდილობდა კიდევ უფრო მეტად ეწყენინებინა დედოფლისათვის, ვიდრე აქამდე. მან შეიტყო, რომ მარია ლუიზას პარიზიდან გამოეწერა გამომწვევი ტანსაცმელი. კაეტანამ იმოვა მოდელი და დარბაზობის მეორე დღეს, რომელზედაც მარია ლუიზას ეს კაბა ეცვა, დელ პრადოს ბულვარში გამოვიდა ალბების გერბით ორი ეტლი, რომლებშიაც კაეტანას ორი მოახლე იჯდა ზუსტად ისე გამოწყობილი, როგორც წინადლით დედოფალი იყო. ხალხი იცინოდა, მარია ლუიზა გაგულისდა, მაგრამ არც ისე, როგორც კაეტანა მოელოდა. ხანდაზმულმა მარკიზამ ხუმრობა უკბილოდ ჩათვალა, კიდევ უფრო უკბილოდ ჩათვალა იგი ფრანსისკომ.

მაგრამ საყვარელ ქალის მზერაში
ის საუვედური თოვლივით დადნა,
დაიმსხვრა კაეტანას წინაშე...
საკვირველია, ამ ქალში ერთად
არის ბავშვიც და ჰერცოგინაც.
უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე
ბედნიერება შეიგრძნო, მაგრამ
წამოიშარა იქვე ხიფათი —
სამარადუამოდ და განუყრელად
გადაჰაჭეული ბედნიერებას.

19

იმ ხანებში მალრიდში იფეთქა ყელის დაავადების ეპიდემიამ, რომელიც უმთავრესად ბავშვებს მოედო. ჭერ იწყებოდა ნუშისებრი ჭირკვლების ანთება. ყელის ჭირკვლები იმდენად უსივდებოდათ, რომ მალე უძნელდებოდათ ყლაპვა. ბოლოს პულსი უნელდებოდათ, გული უსუსტდებოდათ, ცხვირიდან უფერული, მყრალი სითხე სდიოდათ. ავადმყოფი ბავშვები იტანჯებოდნენ თანდათან გაძნელებული სუნთქვის გამო. ბევრი კვდებოდა. გოიას სამი ბავშვიდან ავად გახდა მარიანო, მას მიჰყვა სულ უმცროსი ელენე.

ფრანსისკო, თუმცა მონვლელებს უშლიდა ხელს, მაგრამ მომავლადვის ლოგინს ვერ სცილდებოდა. შიშისგან თავზარდაცემული ხედავდა, რომ ბავშვის მდგომარეობა უარესდებოდა. პირველი წუთიდანვე იცოდა, ავი სულეების გამომწვევი ბარათისათვის, რომლითაც მან კაეტანასთან პირველი ღამე იყიდა, სამაგიერო უნდა ეზღო.

შინაურმა მკურნალმა გალარდომ ცხელი სასმელები და შეხვევა დაუნიშნა ბავშვებს, ხოლო, როცა სიცხემ უმატათ — ცივი აბაზანები. ექიმი ჰიპოკრატეს ეყრდნობოდა. თავი მცოდნედ მოჰქონდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ ალალბედზე მოქმედებდა.

გოიამ რელიგიურ საშუალებებს მიმართა. მკურნალი ქალწული-სადმი მიძღვნილ ქალალდის პატარა ნაკუწებზე ეწერა „Salus infirmorum სნეულთა მხსნელი“. პატარა რგოლებად დახვეული ეს ქალალდის ნაკუწები ბავშვებს ჰქიქა წყალთან ერთად ეძლეოდათ. გოგონამ ვერ გადაყლაპა, რაც ცუდის ნომასწავებელი იყო. დიდი თანხა გადაიხადა ფრანსისკომ, რათა სახმარად გამოეტანა მონასტერში შენახული საბანი,

რომელშიაც გოგონას მფარველი წმინდა ელენეს კაბის ნაწილები იყო და შიგ გაეხვია ავადმყოფი.

გოიას მოაგონდა, თუ რა არ იღონა, როცა ხოსეფა ამ ბავშვზე იყო ჟეხმძინედ. გაიხსენა, როგორ მოიტანეს შინ წმინდა რამუნდ ნონატას და წმინდა ვისეტ ფერერის ხატები და როგორ ევედრებოდნენ ამ წმინდა მწარველებს ფეხმძიმისათვის მშობიარობის დრო შეემოკლებინათ და შეემსუბუქებინათ. მერე რა მხიარულად წავიდნენ სან ისიდროს მოსალოცავად, რათა მისთვისა და სხვა წმინდანებისთვისაც თაყვანი ეცათ კეთილად ნომშობიარებისათვის. ყველაფერი ასე კარგად გაგრძელდებოდა, რომ თვითონ არ შეეწირა მკრეხელურად ავი სულებისათვის ბავშვი.

მან მიაშურა ატოჩის შემოგარენს, რათა თავისი გაჭირვება ატოჩის ღვთისმშობლისათვის შეეჩვილა. პირადი სიამოვნებისათვის უღალატა შვილს. ახლა ნანობდა და ემუდარებოდა, ესმინა მისი ნონანიება და დაჭმარებოდა.

გოიამ აღსარება თქვა ერთ უცნობ, სოფლელი კაცივით უბრალო შესახედაობის მღვდელთან. ფრანსისკოს იმედი ჰქონდა, წმინდა მამა ვერ ნიხვდებოდა, რას ინანიებდა გოია, მაგრამ მღვდელი თითქოს ყველაფერს მიხვდა. ღმობიერად მოეპყრო, დაუწესა მარხულობა, „მამაო ჩვენოს“ მრავალგზის წარმოთქმა და აუკრძალა იმ ქალთან ავხორცობა. გოიამ ფიცი დასდო, რომ თავის თვალს არ შებილწავდა იმ კუდიანი და მეძავე კაეტანას ცქერით.

იცოდა, რომ ყველაფერი ეს უგუნურება იყო. თავის თავს უბრძანა, გონებით შეებოჭა აღვირახსნილი ვნებაში, თუ გონებას სძინავს, მაშინ კაცს სიზმრები ეხვევა, დამურასფრთებიანი, კატისსახიანი და ურჩხულებიანი საშინელი სიზმრები. საჭიროა უგუნურება გულშივე ჩაახშო, დამალო, ლაგამი ამოსდო, მუნიად აქციო, არ მისცე აზობოქრების დახვის ამოღების საშუალება. დუმდა გოია, დუმდა აგუსტინთან, მიგელთან, ხოსეფასთან. მაგრამ ნისწერა მეგობარ მარტინ საპატერს. მისწერა, თუ მაშინ როგორ მიმართა თავის სიამოვნებისათვის წყეულ, ცოდვილიან, თვალისამხვევ საშუალებას და ახლა როგორ აქცია ეშმაკმა მისი ტყუილი სიმართლედ, ახლა ნას მიუძღვის ბრალი საყვარელი შვილის საბედისწერო ავადმყოფობაში, თუმცა იცის, ამას არაფერო აქვს საერთო გონებასა და სინამდვილესთან, მაგრამ მისთვის ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა. წერილს სანჯერ დაასვა ჯვარი და სთხოვა მეგო-

ბარს არ ედარდა, ბევრი კელაპტარი დაენტო ღვთისმშობელ დელ პი-
ლარისათვის და შევედრებოდა გოიასა და მისი შვილების განკურნებას.

კაეტანა ალბამ გაიგო ფრანსისკოს შვილების ავადმყოფობა. გოიას
არაფერი უთქვამს კაეტანასთვის იმ ხრიკის თაობაზე, რომელსაც მა-
შინ მიმართა, მაგრამ ქალს ესმოდა, რა ცეცხლიც ტრიალებდა ფრან-
სისკოს გულში. გაგზავნა დუენია და ატყობინებდა, მოვალო. არ გა-
კვირვებია, როცა გოიამ მის ნახვაზე უარი განაცხადა. კაეტანამ ინახუ-
ლა ხოსეფა და დაპირდა თავისი ექიმის, მკურნალ პერალის გამოგზავ-
ნას.

გოია არ გამოჩენილა, როცა პერალი მოვიდა. ხოსეფა აქებდა მას,
როგორც დარბაისელ, ჰკვიან, მცოდნე ექიმს. გოია ღუმიდა. ორი დღის
შემდეგ მარიანო უკეთ გახდა. ექიმებმა გადარჩენილად ჩათვალეს. მესა-
მე ღლეს ელენე გარდაიცვალა.

გოიას სასოწარკვეთილებასა და ბედისადმი აღშფოთებას საზღვა-
რი აღარ ჰქონდა. პატარას სასიკვდილო სარეცელიდან პირდაპირ სა-
ხელოსნოს მიაშურა, დასწყევლა წმინდანები, რადგან დახმარება არ
აღმოუჩინეს, დასწყევლა თავისი თავი, დასწყევლა კაეტანა — ყველა-
ფერში დამნაშავე, კუდიანი, მეძავე და დიდგვაროვანი, რომელმაც თა-
ვის ქედმაღლური სურვილისა და სიამოვნებისათვის აიძულა გოია საყ-
ვარელი შვილი შეეწირა მსხვერპლად. შემდეგ ისევ მიცვალებულის
სარეცელთან იდგა და იგონებდა, როგორ იტანჯებოდა სულშემბუთვე-
ლი შეტევებისგან საცოდავი გოგონა, მამა უყურებდა და ვერაფრით
შველოდა. მის ფართო, ლომისებრ სახეს გამოუთქმელი მწუნარება
გადაეფარა. არც ერთ კაცს იმდენი არ განეცადა და არ იტანჯებოდა,
როგორც იგი. მერე ისევ სახელოსნოს მიაშურა და თავისი გულისტკი-
ვილი რისხვად და შურისძიების წყურვილად აქცია. უნდოდა იმ წყეუ-
ლისათვის მთელი თავისი რისხვა, ზიზღი და გმობა ქედმაღლურ თო-
ჯინასებრ სახეში მიეხალა.

აგუსტინი განუყრელად თან ახლდა. ცდილობდა, შეუმჩნეველი
ყოფილიყო, მხოლოდ აუცილებელ რაიმეზე თუ დაილაპარაკებდა, თით-
ქოს ცერებზე დადიოდა. ცდილობდა გოიას შეუკითხავად ეკისრა პა-
სუხისმგებლობა იმ საქმეებზე, რომლებიც განსაკუთრებით ახლა დაგ-
როვილიყო. ფრანსისკოზე კარგად მოქმედებდა მეგობრის ასეთი თა-
ნაგრძნობა. მადლიერი იყო, რომ მისი ესმოდა და იაფფასიანი, უშინა-
არსო სიტყვებით არ ანუგეშებდა.

ხლავდა ცოტა არ იყოს უსიამოდ გაოცდა. როცა გოიამ ელენე მე-
ვის ასულის საკადრისი პატივით დაასაფლავა.

შეზღვევ დასხდნენ ჩამობნელებულ დარბაზში. ბევრი მოდიოდა სამ-
-ჩიპრის სათქმელად. მეორე დღეს გოიამ ველარ აიტანა ნომსვლელოთა
გულგრილი, ხელოვნურად დანალვლიანებული სახეების ცქერა და
თავის სახელოსნოს მიაშურა. იქ ხან ჯდებოდა, ხან წვებოდა, ხანაც მო-
-უსვენრად დაბორიალობდა. ფანქრით ხაზავდა ქალაღზე მოჩვენებებს,
ნედავდა დაუმთავრებელ მონახაზებს.

შენიღვიდა ალბა.

მნატვარი მას შიშითა და წყურვილით ელოდებოდა. კაეტანა მომა-
-ჯადოებელი იყო. ამჟამად მისი სახე ნიღაბს აღარ მიაგავდა. ეს იყო
მოყვარული ადამიანის სახე, რომელიც დამწუხრებულ მეგობართან
სანუგეგვებლად მოსულიყო. გოიამ ეს თავისი უტყუარი თვალით დაი-
-ნახა და გაიფიქრა: მართალია კაეტანამ ის შეურაცხყო, მაგრამ გოიამ
კიდევ უფრო მეტად შეურაცხყო იგი. მაგრამ ჩახედა თუ არა ქალს
სახეში. მხატვრის საღი გონება წალეკა თავაშვებულმა, ავხორცულმა
მძვინვარებამ. ყველაფერი ერთბაშად მოზღვავედა მის სულში; ის, რაც
პაშინ ჩაიხვია კაეტანას წინააღმდეგ გულში, როცა ის პირველად ესტ-
-რადანე ნახა, რისხვა უტიფარი, სასტიკი, ცუდი ხასიათის გამო, თავის
დამონების გულსტიკივილი, პანიკური შიში ბედის წინაშე, რომელმაც
ეს ქალი გამოიყენა მის საწამებლად.

წინ წამოეწია ქვედა სქელი ტუჩი, ხორცსავსე სახე დაუცხრომელი
ზიზლის გამო უთრთოდა. ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ ვერ
შოახერხა. კაეტანამ ძალაუნებურად უკან დაიხია.

— შენ! შენ ბედავ ჩემთან მოსვლას?! ჯერ შვილი მომიკალი და ახ-
-ლა მოწვედი, რომ დამცინო?

კაეტანამ თავი შეიკავა.

— გონს მოდი, ფრანჩო, — შეეხვეწა იგი, — ნწუხარებისაგან ჰკუას
ნუ დაკარგავ.

რასაკვირველია ამ ქალს არ ესმის მისი განცდა. თავად უნაყოფოა.
არაფრის შობა არ შეუძლია, არც ტკივილისა და არც სიხარულის, გარ-
-და ავხორცობისა. ესაა უნაყოფო ჯადოქარი, თვით ბოროტება, ქვეყნად
ემშაკისაგან მოვლენილი.

— შენ ყველაფერი ეს მშვენივრად იცოდი, — ბრაზისაგან გონება-
-დაკარგული ყვიროდა გოია, — შენ ყველაფერი წინასწარ მოიფიქრე,

შენ ჩამავიღონ ავადმყოფობა მებეღებინა ჩემი ელენესათვის. ან ჩემი ელენე უნდა შემეწირა შენთვის მსხვერპლად, ან ჩემი კარიერა და ჩემი ხელოვნება. ეს იყო შენი დაახლოების საუფასური. შემდეგ კიდევ მეორედ სცადე პიედრაიტაში — არ გინდოდა მეფის კარზე გაგეშვი, რათა დაგეკარგებინებინა ჩემი სახელი და მხატვრობა. მაგრამ ვერ მოგართვეს! ახლა კი მოითხოვ. მარია ლუიზა სამარცხვინოდ დაეხატო. გინდა ყველაფრისაგან გამცალო: შვილებისაგან, კარიერისაგან, ხელოვნებისაგან. სულ შენი წყვეული უნაყოფო კალთისათვის, — აქ უნამსი სიტყვა იხმარა, — ყველაფერი გინდა წარმტაცო.

უსაზღვრო იყო კაეტანა ალბას რისხვა. მოსიყვარულე. მანუგეშებელი კაეტანა ერთბაშად იქცა სისხლისმსმელ მარშალ ალბას შვილიშვილად. ისიც დიდი საბოძვარი, დიდი მოწყალება იყო. რომ ამ ხეპრესნება დაართო მასთან დალაპარაკებისა და ერთი ჰაერით სუნთქვისა. ახლა ამ გაუთლელმა თავისი სულელური მონანიებისათვის მის განდობვაზე უკეთესი გამოსავალი ვერ იპოვა.

— თქვენ თავიდანვე, — დაიწყო მან ალერსიანი, ხმადაბალი, გამანადგურებელი ტონით, — ფუენდეტოლოსელო სენიორ გოია, მხოლოდ და მხოლოდ მეფის კარის მასხარად ვარგოდით. თავი მახოდ ნოგაქეთ? თქვენ ყოველთვის გლენად დარჩებთ, რაგინდ ძვირფასადაც არ უნდა გამოეწყოთ. რას ფიქრობთ, რატომ მიგიყარეს ახლოს ოსუნმა და მედინა კოელი? მათ სურდათ თავი შეექციათ გაუთლელი და სულელი კაცით. საჭირო არაა ჯადოქრობა, რომ თქვენისთანა ჯამბაზი და მასხარა ახტუნოს და აცეკვოს აღმინაშნა. — ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ბავშვური ხმა ბოლოს მჟახვდ და უსიამოდ გაისმა.

ფრანსისკომ შეამჩნია, კაეტანამ მაღალი წარბები რისხვით შეიკრა და უხაროდა, რომ შეძლო მისი მოთმინებიდან გამოყვანა. მაგრამ მისი კმაყოფილება გააფთრებამ დაფარა. როცა კაეტანა მის მტკივნეულ ადგილს შეეხო, დასცინა მასზე. რაზედაც თავის გულში ხშირად ეჭვობდა ხოლმე. მაგრამ ეს არ იყო მართალი, არ შეიძლება სინამდვილე ყოფილიყო. არა მარტო დასაცინად და დროს გასატარებლად იწვევდნენ ქალები სარეცელზე, არც ოსუნი, არც მედინა კოელი, არც თვით კაეტანა. გოიას ახსოვს. როგორ დამდნარა ის ათასჯერ მის ხვეენა-ალერსში, და გოიას სურს წყეულ, მშვენიერ, უტიფარ, ამაყ სახეში მიახლოს უწმაწური სიტყვები. მერე სტაცებს ხელს, მიათრევს კარებამდე და პირდაპირ გარეთ გაუძახებს.

კაეტანა ხედავს, რომ მისკენ წამოვიდა. აი, ახლა სცემს. სურს, რომ გოიამ სცემოს, მაშინ ნამდვილად ყველაფერი გათავდება. შესაძლოა მაშინ ბოლო მოუღოს მას კაეტანამ.

— აბა მოდი, შე გლახო! — ახელებს მას კაეტანა. — იამაყე, რომ შენი ხელები ჩემსაზე ღონიერია, აბა, ჰე!

მაგრამ გოია მასთან აღარ მიდის. არ სცემს და ხელსაც არ აკარებს. შუა გზაზე შედგა. ხედავს, როგორ იხსნება და იხურება კაეტანას ბაგეები, მაგრამ სიტყვები კი არ ესმის. ისევ ავადმყოფობამ დარა ხელი. დაყრუვდა.

და უიმედოდ ჩაეშვა იქვე
მღვარ საეარძელში. ხელებში ჩარგო
ფერმკრთალი სახე.
და მიხვდა ალბა
ძლიერ უპირდა ახლა ფრანსისკოს.
წამოხტა სწრაფად და როგორც ყმაწვილს
თავზე ჩურჩულით გადაუსვა ხელი,
მაგრამ ფრანსისკოს ხმა არ ესმოდა,
სახეს ხედავდა ქალისას მხოლოდ
და მის სულ ოდნავ მოძრავ ბაგეებს...
უეცრად მიხვდა, რომ კაეტანა
სასიყვარულო სიტყვებს ამბობდა,—
ეფერებოდა.. მილულა თვალი,
გაირინდა და მძიმეუ ატირდა.

20

ღონ მიგელი მთელი დღეების განმავლობაში პოლიტიკური საქმეებით იყო დატვირთული, მაგრამ ახლა ეს წინანდებურად აღარ იზიდავდა. საღამოობით ცდილობდა ხელოვნებით გართულიყო, უკუთვებდო ფიჭი და დარდი ლუსიაზე და სულ უფრო მზარდი გულისტკივილი იმ დამცირების გამო, რომელსაც მანუელთან სამსახურში განიცდიდა.

დაუსრულებლად კითხულობდა იმ ნაწარმოებს, სადაც მისი დიდი დამრიგებელი ნიკოლო მაკიაველი აღწერს, თუ როგორ ცხოვრობს ის შერისხვის შემდეგ, თავის პატარა კარ-მიდამოში სან-კაშანოს ახლოს. დგება ალიონზე, მიდის ტყეში და შეშის მკრელებს ნითითებას აძლევს. მერე ერთ საათს სეირნობს, შეისვენებს წყაროსთან, ან კორდთან, ფრინველთა საქერ ადგილთან, ამოიღებს დანტეს, პეტრარკას, ტიბულის, ოვიდიუსის ან სხვა მათი მსგავსი პოეტის წიგნს, კითხულობს მათი

სიყვარულის ამბებს, გაიხსენებს საკუთარს და ცოტა ხნით ტკბება ამგვარი მოგონებებით. მერე მიდის ქუჩის პირას, ყავახანაში, ეკითხება გაშვებულ-გამომვლელებს ანალ ამბებს, ირკვევს მათს აზრს ამ ამბებზე, დაბრუნდება თავის ღარიბულ ბინაში ღარიბული სადილის საკმელად. ისევ ყავახანაში მიდის, თანაშობს შაშს ან კარტს მეპატრონესთან, ყასაბთან, მეწისქვილესთან და ორ მექოთნესთან. იქ უმნიშვნელო წაგებისათვის ყოველთვის ატყდება ბილმე ისეთი აყალმაყალი, რომ ჩხუბის ხმა სოფელ კაშანომდე აღწევს. საღამოს მაკიაველი გაიძრობს გაქეპილ ტანსაცმელს, გადაიცვამს საგარეოს და მიდის თავის ძმებთან — წიგნებთან, უჩველესი დროის ბერძნების საზოგადოებაში, იწყებს მათთან საუბარს და ისინიც მეგობრულად ებასებიან. ასე ატარებს სევდიან საათებს, ავიწყდება უფერული ყოველდღიურობა, არ აწუხებს სიღარიბე, აღარ ეშინია სიკვდილის. ცხოვრობს თავისი კლასიკოსი ავტორებით, ეს ეკითხება და ისინი უპასუხებენ, ისინი ეკითხებიან და ეს უპასუხებს, კითხულობს მათ წიგნებს და წერს მათზე თავისას.

მიგელ ბერმუდესი ცდილობდა მისთვის მიეხაძა. ჩაეფლო სურათებში, წიგნებში, ხელნაწერებში, ამუშავებდა „მხატვართა ლექსიკონს“ და ხანდახან ახერხებდა ორ-სამ საათს მკლარიყო, ემუშავა და ლუსიას პორტრეტთან არ მისულყო.

ლუსია კი იწერებოდა ბევრს და უბრალოდ. ისე იქცეოდა, თითქოს მართლა მიგელის დავალებით ყოფილიყოს პარიზში წასული და ბევრს იწერებოდა პოლიტიკაზე, ურთიერთობა ჰქონდა გავლენიან პირებთან; ყველანი გაოცებული და ნაწყენი ყოფილან, რომ ესპანეთი აგვიანებდა კავშირის ხელშეკრულების დადებას.

იწერებოდა აგრეთვე პარიზელი მხატვრებისა და ყველაზე მეტად კი მხატვარ ჟაკ ლუი დავიდის ამბებს, რომელიც რობესპიერის დამარცხების შემდეგ ორჯერ მკლარა ციხეში, ჰკვიანურად და ღირსეულად მოქცეულა, შეგუებია თავისუფლებისა და თანასწორობის გადამსინჯველ ანალ რეჟიმს, მაგრამ არ დაუთმია კლასიკური რესპუბლიკური იდეები. ანლა თურმე ისევ ხუთასიან საბჭოს თავმჯდომარეობს, აწყობს რესპუბლიკის ხელოვანთა კრებებს და ყველაზე გამოჩენილ, გავლენიან მხატვრად ითვლება საფრანგეთში. თურმე ამჟამად მუშაობს დიდ ტილოზე, რომელსაც „საბინელები“ ეწოდება. მასზე კლასიკური ფორმითა და კლასიკური უბრალოებით იქნება გამოხატული, თუ როგორ შუამა-

ვლობენ მტრებს შორის მოტაცებული ქალები; ამის მეოხებით თურმე მხატვარი ცდილობს თვალნათელი გახადოს, რამდენად საჭიროა წინა-აღმდეგობათა შერიგება, მუსიო დავიდს ამ სურათის გეგმა ჯერ კიდევ ციხეში ჯდომისას მოუხზავს, იქიდან მოყოლებული მთელი თვეების განმავლობაში უხატია. ის ნელი და კეთილსინდისიერი მომუშავეა. ლუსია იწერებოდა, მთელი პარიზი გულშემმატკივრობს ამ ნაწარმოების შექმნას, ყოველ ორ კვირაში ქვეყნდება ბიულეტენები მუშაობის პროცესის შესახებო.

მოგვიანებით ლუსია პარიზის მხატვრების ამბებს თან ურთავდა და უგზავნიდა მიგელს გრავიურებს და ზოგჯერ ტილოებსაც კი, რომელთაც ვითომ იაფად იძენდა. ერთხელ დავიდის ნახატიც კი გამოგზავნა. მიგელი გაორებული, ორჭოფული გრძნობით იღგა ძვირფას ნაწარმოებებთან. გაუმადლარ კოლექციონერს მათი პატრონობა ახარებდა. მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ სანაცვლოდ მისგან პოლიტიკურ სამსახურს მოითხოვდნენ. უპირველეს ყოვლისა, უნდა მიემართა ყოველგვარ საშუალებისათვის, რათა ხელშეკრულების დადება დაეჩქარებინა. ასეთი პოლიტიკა მის მრწამსს შეეფერებოდა, მაგრამ არ სიამოვნებდა, რომ ამ მრწამსს ცუდად მოიხსენიებდნენ, ანგარებაში ჩამოართმევდნენ. ამასთანავე, ცხადი იყო, დონ მანუელის მიერ მიცემული წერილობითი ვალდებულებების გარეშეც უნდა დადებულიყო ხელშეკრულება საფრანგეთთან. თუმცა შესაძლოა ამ ხელშეკრულებით მონარქიული სახელმწიფო სახიფათო დანოკიდებულებაში აღმოჩენილიყო უფრო ძლიერი მოკავშირის—საფრანგეთის რესპუბლიკასთან. მაგრამ საფრანგეთის დაუმარებლად ესპანეთს ძალა აღარ შესწევდა დაეცვა თავისი კოლონიები ინგლისელების ძლიერი ფლოტისაგან. მშვიდობის თავადს შეეძლო საყვედურის არ შეშინებოდა და ბოლოს და ბოლოს შეესრულებინა პარიზისთვის მიცემული პირობა.

მაგრამ კვლავ ყოყმანობდა და ახალ ნიზნეებს ეძებდა პარიზის დასაშორებინებლად. დედოფლისა და დონ მიგელის წინაშე თავი დიდ პატრიოტად მოჰქონდა და ამბობდა, ვაითუ საფრანგეთმა ესპანეთს დაადოს ბორკილები, რომლისგანაც ქვეყანა დიდხანს ვერ განთავისუფლდებაო. მარია ლუიზა მთელი სახით იცინოდა, ხოლო მიგელი კი—გულში. ორივეს ესმოდა, რომ პირველი მინისტრის მოქმედება გამოწვეული იყო მისი პირადი ინტერესებით.

საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ დონ მანუელმა როიალისტების წარმომადგენელ მუსიო დე ავრეს ასულთან, პატარა ყენევიევასთან მიჯნურობა გააბა.

ის თითქმის თავისდაუნებურად გაიხლართა ამ ამბავში. ერთ საღამოს როსაწყენ ოფიციალურ საზოგადოებაში დონ მანუელმა ოდნავი სიძაპითა ეგრძნო ყენევიევას ნიშართ. გოგონას ბავშვური სიგამხდრე, რომელიც მანუელს საერთოდ ეჭაგრებოდა, მაშინ მიმზიდველად ეჩვენა და აგრეთვე ისიც აინტერესებდა, რომ იგი წარმოშობით საფრანგეთის უძველეს წარჩინებულთა ჩამომავალი იყო. გარდა ანისა, არ უნდოდა თავის თავს გამოსტეხოდა, რომ ეკვიანობდა გოიაზე. ბუნდოვნად გრძნობდა, რომ პეპას ჯერ კიდევ ვერ ამოეგდო გულიდან მხატვრის სიყვარული. უნდოდა ეგრძნობინებინა პეპასათვის, რომ მისი, მანუელის, ერთგულების იმედი დიდად არ ჰქონოდა. რალაც მოიმზიხეა და ყენევიევა ერთ საღამოს თავის სახლში მიიპატიჟა და ყოველგვარი ნართაულობის გარეშე. პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. შეშინებული ყენევიევა გაიქცა და ფერდაკარგულმა მამას უამბო ამ მხეცური თავდასხმის ამბავი. მუსიო დე ავრეს წინაშე საჩოთირო პრობლემა წარმოიშვა. რესპუბლიკა მოითხოვდა, ესპანეთს მეტად აღარ აღმოეჩინა დახმარება როიალისტი ფრანგი ემიგრანტებისათვის. დიახ. ხმაც კი დაიზახა, რომ ღრეპტორია მათ გაძეგებას მოითხოვდა. შესაძლოა მომავალი ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა ესეც ყოფილიყო. მისი ლტოლვილი მეფე-მბრძანებელი ლუი მეფრამეტე — საეალლო მდგომარეობაში მყოფი, გერმანიაში დახეტილობდა მხოლოდ იმ ფინანსური დახმარების იმედით. რაც მის ბედასლ წარმომადგენელს კათოლიკე მეფის მინისტრებისაგან სამოწყალოდ უნდა მიეღო. შესაძლოა ბედი ეწია, რომ ამ პირუტყვმა, მშვიდობის თავადმა. მისი საწყალი გოგონა შეიყვარა. ხომ არ იქნებოდა ეს სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა, თავისი ნაზი ყენევიევა მინოტავრისათვის რომ მიეგლო?

ამგვარად ჩაირიცხა ყენევიევა დე ავრე დონ მანუელის საყვარლების კრებულში. ის მალე გაცივდა პატარა ქალის მიმართ, მით უმეტეს, რომ პეპას მისი ახალი გატაცება უფრო სასაცილოდ მიაჩნდა, ვიდრე შეურაცხყოფად. მაგრამ ნაზმა გოგონამ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. მის ზურგს უკან კრძალვით იდგა მუქარით აღსავსე მამა: მანუელს არ სიამოვნებდა, როცა წარმოიდგენდა, რომ მუსიო დე ავრე დაიწყებდა ევროპაში ხეტიალს და უკმაყოფილოდ წუწუნს, ესპანეთმა

საფრანგეთის მონარქიის გაჭირვება საფრანგეთის არისტოკრატიული ოჯახების შესარცხვენად გამოიყენაო. რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა შეკავშირებულიყვნენ, გაეძევინათ როიალისტები, თავიდან მოეცლებინა მოსაყვედურე ყენევიევა და მამამისი. მაგრამ რა სახეებს მიიღებენ მისი სახელმწიფო თანამოღვაწენი, პირველი რანგის ის თორმეტი გრანდი, ერთიმეორეს „შენობით“ რომ მიმართავენ, თუ მშვილობის თავადი პატარა საყვარელს გააძევენს. და როგორ აიგდებენ მას სასაცილოდ მარია ლუიზა და პეპა?

მაგრამ პარიზის დირექტორიას არ სურდა, რომ მისი პოლიტიკისათვის მანუელ გოდონის სასიყვარულო თავგადასავლებს შეეშალა ხელი. უკანვე იქნა გაწვეული წარმომადგენელი გენერალი პერინიონი, ვინაიდან ესპანეთის საკითხში მეტისმეტი სიბიბილე გამოიჩინა და მის ნაცვლად დაინიშნა მოქალაქე ფერდინანდ-პიერ გილმარდე.

პარიზში მყოფი ესპანელი აგენტების მიერ მოწოდებული ცნობები მოქალაქე გილმარდეს დღემდე გამოვლილი ცხოვრების თაობაზე უსიამოდ გაისინა ზაფხულის სანეტარო დასვენების დროს მეფის კარზე, სან ილდეფონსოს სასახლეში.

ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა გილმარდე ეჭიმად მუშაობდა პარიზის მახლობელ სოფელში; სონა-და-ლუარას დეპარტამენტმა, როგორც მგზნებარე რესპუბლიკელი, კონვენტში გაგზავნა. ლუი მეთექვსმეტის ბასამართლო პროცესის დროს მან განაცხადა: „როგორც მოსამართლე — სასიკვდილო განაჩენს ვაძლეე ხმას, როგორც სახელმწიფო მოღვაწე ისევ სასიკვდილო განაჩენს ვაძლეე ხმას. ამგვარად, ორჯერ ვაძლეე ხმას სასიკვდილო განაჩენს“.

ჩრდილოეთის სამი დეპარტამენტის კომისრად ყოფნის დროს გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც „ტაძრის, ეკლესიის და სამლოცველოების“ სახელით ცნობილი საზოგადოებრივი შენობები ამიერიდან ცრუმორწმუნეობის ნიშნით კი აღარ იქნებოდა გამოყენებული, არამედ საზოგადოებრივი სასარგებლო მიზნებისათვის. ასეთი მეფის მკვლელი და ურჯულო კაცი გაგზავნა რესპუბლიკამ სან-ილდეფონსოში. როიალისტების გაძევების მოსათხოვნად და ხელშეკრულების დასაღებად.

მოქალაქე გილმარდე ჩანოსვლისთანავე ესპანეთის მინისტრთა კოლეგიაში გამოცხადდა. მან თავაზიანი, ამაყი, ცერემონიების მოყვარული, სიტყვაძვირი კაცის შთაბეჭდილება მოახდინა. ყოველ შემთხვევა-

ში ასეთი აზრისა დარჩნენ კათოლიკე მეფის მინისტრები. თავის მხრივ მან აუწყა პარიზს, რომ ესპანეთის კაბინეტი შედგება ოთხი ყუყუჩისაგან, რომელთაც ერთი ინდაური მეთაურობს.

როცა მოქალაქე გილმარდემ რესპუბლიკის სამსახური დაიწყო, წესის თანახმად, საზეიმო ფიცი დადო: „ვფიცავ: ნაადვილი ერთგული ვიყო რესპუბლიკისა და მუდმივი მოძულე მეფეებისაო“. მაგრამ, როგორც წარმომადგენლისათვის, ძნელი იყო კათოლიკე მეფის კარზე ყოფნისას მონარქისათვის სიძულვილის აშკარად ჩვენება, და მიმართა ღირეპტორიას, ნიეთითებინა, თუ როგორ მოქცეულიყო. ურჩიეს სავსებით დამორჩილებოდა ესპანეთის სამეფო კარის ცერემონიებს, რათა უფრო ენერგიულად შესძლებოდა თავისი პოლიტიკური მოთხოვნების გატარება. ამას მოჰყვა ის, რომ ახალმა მოქალაქე წარმომადგენელმა მრავალი დამცირება გადაიტანა.

ჯერ ერთი მას კათოლიკე მეფისთვის საზეიმო აუდიენციის დროს უნდა წარედგინა რწმუნებულობის სიგელები და გამოსცხადებოდა მეფის მთელ საგვარეულოს. სატახტო დარბაზში მეფე-დედოფლის ჯვარდით ჩამწკრივებულიყვნენ მეფისწულები და მეფის ასულები. მეფის მკვლელი მოწიწებით უნდა მთხვეოდა ხელზე არა მარტო სულელ კარლოს მეფეს და გარყვნილ მარია ლუიზას, არამედ ცალ-ცალკე ყოველ ბიჭუქელასა და გომბიოს. სხვათა შორის ყველაზე უმცროსი ნეფისწული. პატარა ფრანსისკო დე პაულა, მამალი ინდაურის უკანონო ნეილი, მივარდა მას და სიხარულით შესძახა: „მანა, მანა!“

სულ მალე დონ მანუელმა ქირღვა დაუწყო გილმარდეს და უკანასკნელი იძულებული გახდა აეტანა ეს. თავის ნოტაში აუკრძალა მინისტრს მიმართვისას ეხნარა სიტყვა „აღმატებულება“, ვინაიდან რესპუბლიკაში დაწესებულია თანამდებობის პირები „მოქალაქეებად“ იწოდებოდნენ. დონ მანუელმა უპასუხა: „უნდა მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ მინართვა „თქვენ“ ესპანეთში არ არის მიღებული. დაბალი წოდების ადამიანებისათვის შემოღებულია მიმართვა „თქვენო მოწყალეებავ“, ხოლო მაღალი წოდებისათვის „თქვენო აღმატებულება“. ყველაზე უნაღვსი წოდების პირები ერთიმეორეს „შენობით“ მიმართავენ. ვინაიდან ამიერიდან თქვენს აღმატებულებას „თქვენი აღმატებულებით“ აღარ შემიძლია მივმართო, გთხოვთ მაცნობოთ, ნება ნეჭნება თუ არა, თქვენს აღმატებულებას „შენობით“ მივმართო?

ის უსიამოვნებანი, რომელსაც გილმარდე რესპუბლიკის საკეთილ-
დღეოდ ითმენდა, ოდნავ გაქარწყულდა იმ გარემოებით, რომ მეჯემ მის
პატივსაცემად ნადიმი მოაწყო.

მარია ლუიზამ მოიწონა საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი. მას
პკონდა მეტყველი. ოდნავ მოღუშული სახის ნაკვთები. ერთობ უხდე-
ზოდა ფერადი, ძვირფასი სამხედრო მუნღირი, რომელიც პარიზის დი-
რექტორიამ ახლახან შემოიღო მაღალი თანამდებობის პირებისათვის
სატარებლად. საერთოდ კარგად გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში
ბევრად სჯობდა ხანში შესულ, ჩამომხმარ. გაქუცულ ავრეს. დედოფალ-
მა განაცხადა, რომ აუცილებელია გილმარდეს წახალისებაო და ამ მიზ-
ნით საზეიმო სადილის გამართვა დააპირა. ეს იდეა არ მოეწონა მშვი-
დობის თავადს. მან გაითვალისწინა პატარა უნევეივას საყვედურები
და ჩივილი, რომელიც თავს საშინლად შეურაცხყოფილად იგრძნობდა,
თუ მანუელი დათანხმდებოდა, რომ მეფის კარი მისი მეფის ნკვლელს
უღირს პატივს მიაგებდა; თვით მანუელსაც არაფრად ეპიტნაევბოდა,
თუ უღირს პლებების ასეთი ზეიმით მიიღებდნენ. მან განუმარტა დე-
დოფალს, რომ მდაბიოს ასეთი პატივისცემა რესპუბლიკის მოთხოვნა-
თა წინაშე კაპიტულაციას ნიშნავდა. მარია ლუიზას ესმოდა თავისი მა-
ჩუელის გულისტკივილი და უხაროდა მისი გაჭირვებულ ნდგომარეო-
ბაში ჩაუარდნა.

— ტყუილად ნუ ირჯები, cheri, — აღერსიანად მიმართა მან. — მე
მომწონს მოქალაქე გილმარდე.

ღონ ნანუელმა წინადადება მისცა, მუსიო ავრე მაინც მოეწვია. მა-
რია ლუიზამ გაითვალისწინა ის ახალი გართულებანი. რაც ამ ამბავს
მანუელისათვის მოჰყვებოდა და ღიმილით დაეთანხმა.

საზეიმო სადილის გამო ისე გაითურჩქნა და გამოკოპწწიავდა სან-
ილდეფონსო, როგორც ვერსალი ათიოდე წლის წინ, მსგავსი ნადინე-
ზის მოწყობის დროს. მაგრამ ახლა მაგიდის თავში დაბრძანებულებო
ბრწყინვალედ მორთული მეფის მკვლელი მდაბიო, ხოლო ჩამოგდებუ-
ლი მეფის გაქეჟილმუნღირიანი წარმომადგენელი სადღაც სულ ბოლოს
ეჯდა თავისი ნაზი ასულის გვერდით. პეწენიკი მოქალაქე გილმარდე
პირქუშად გადახედავდა ხოლმე საცოდავ როიალისტს, ხოლო ავრე კი
თანდაყოლილი ღირსებით არიდებდა მას თვალს.

ნასადილევს მათი უბრწყინვალესობანი ბაასობდნენ. მოქალაქე გილ-

მარდეს პატივსაცემად სუფრაზე მოიტანეს მღაბიური კერძი — ოლა პოდრიდა. მეფეს უყვარდა ეს კერძი და ამან კარგი საბაზი მისცა სასაუბროდ.

— რას იტყვით ჩვენს ეროვნულ კერძზე, ჩემო ძვირფასო მარკიზო? — მხიარულად შეეკითხა მუსიო დე ავრეს. ფრანგს ნაკლებად მოსწონდა უხვი, პლებეურად შეკაზმული კერძი და ძლივძლივობით წამოილულლულა რაჭდენიმე საჭებარი სიტყვა. მეფეს არასდროს არ მოსწონდა ეს გაყოყოჩებული ლენჩი, ნისგან პირა იბრუნა და მეორე წარმომადგენელს მიმართა:

— აბა, თქვენო აღმატებულებავ, როგორ მოგწონთ ჩვენი ნაციონალური კერძი? — ჰკითხა მან ხმამაღლა, — ეს თქვენს პატივსაცემად მოგანზადებინეთ, — და მოჰყვა კლასიკური ოლა პოდრიდას დამზადების სხვადასხვა წესებს დაწვრილებით. თურმე სადავოდ არავის მიაჩნდა, რომ მის შემადგენლობაში შედის ცხრა სახეობის ბოსტნეული და შვიდი სახეობის ბალახი; მაგრამ რის ხორცია შიგ მეთი: ძროხის, ცხვრის, ქათმის, ღორის ძეხვი და ქონი, თუ მხოლოდ სამი ანათგანი და სახელდობრ რომელი და რომელი, ამის თაობაზე არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა.

— პირადად მე, — თქვა მან, — მომხრე ვარ ხუთივე ხორცის შერვისა. რაც მეთია შერევა, ნით უკეთესია. ახლა გეახლებით ამას და ვფიქრობ: სწორედ მსგავსადვეა მეფე შეერთებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენასთან.

საფრანგეთის წარმომადგენელ გილჰარდეს სიამოვნებდა, რომ ტირანი მეფე-დედოფალი მისი გულისთვის თავს იწუხებდნენ. მაგრამ აღმაშფოთებელ უტაქტობად მიაჩნდა მასთან ერთად მოლალატე როცალისტის მოწვევა. სასწრაფოდ დაივიწყა პატივისცემა, ერთბაშად გაიზარდა მისი რისხვა მიყენებული შეურაცხყოფის გამო. დაჯდა, დაწერა სასტიკი ნოტა, სადაც ეყრდნობოდა ადრე წამოყენებულ პირობებს და მუქარით მოითხოვდა საფრანგეთის მეფის მიმდევარი ემიგრანტების გაძევებას.

მარია ლუიზამ აღერსიანად მოაგონა დონ მანუელს, რომ ძველი კონფლიქტის გამწვავება გამოიწვია მისი წინადადებით მუსიო დე ავრეს მიპატიებამ. მანუელს აღარათფერი ეთქმოდა, მაგრამ სწორედ ამიტომ მიაჩნდა თავის დამცირებად პლებეის ნოთხოვნების დაკმაყოფილება. ამას ყველაფერი სჯობდა.

თავისი სახეიმო ეტლით გაემგზავრა გილმარდესთან და ბრძანა წინ იანუსის თავი წაემძღვარებინათ. ღონ მანუელმა ვრცელი სიტყვით მიმართა. სურდა დაერწმუნებინა წარმომადგენელი, რომ სტუმართმოყვარეობის დარღვევა ესპანური თავაზიანობის ძირითად წესებს ეწინააღმდეგებოდა.

— თუ კათოლიკე მეფის მთავრობა, — ცივად მიუგო მოქალაქე გილმარდემ, — კვლავ მოითმენს თავის მიწა-წყალზე როიალისტ გამცემლების ყოფნას ან ხელს გაუმართავს მათ, მაშინ რესპუბლიკა ამას მისაღწი მტრულ დამოკიდებულებად მიიჩნევს.

მანუელი ოდნავ გაფითრდა, თუმცა ეს მისთვის მოულოდნელი არ იყო. მზადყოფნით უპასუხა, რომ მუსიო დე ავრეს თავაზიანად ჩააგონებდნენ, რა დიდი უსიამოვნებისაგან იხსნიდა ესპანეთის სამეფო კარს, თუ, ვთქვათ, ერთი წლის განმავლობაში თავის მბრძანებელს ნოინახულებდა, რომელიც ცნობების მიხედვით, გერმანიაში უნდა იმყოფებოდესო.

— რესპუბლიკა ვერ მოითმენს ამ ახალ განვადებას, — ბრძანა გამყინავი ხმით და ნეტი მუქარით გილმარდემ.

— თქვენო აღმატებულებავ, — ჩაურთო სიტყვა მშვიდობის თავადმა, — ნება მიბოძეთ დავამთავრო ჩემი სიტყვა. მისი უბრწყინვალესობის, კათოლიკე მეფის მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ სურს სტუმართმოყვარეობის შელახვა და ამიტომაც მზადაა რესპუბლიკას დაუთმოს სხვა საკითხში. — წამოდგა ორდენების ქლარუნით და საზეიმოდ განუცხადა: — თქვენო აღმატებულებავ, მე უფლებამოსილი ვარ ჩემი დიდი მბრძანებლის სახელით მოგახსენოთ შემდეგი: თუ თქვენი აღმატებულება კეთილინებებს და მიიღებს მხედველობაში, რომ მუსიო დე ავრე ერთი წლის შემდეგ დატოვებს აქაურობას, მაშინ კათოლიკე მეფე მზადაა ორი კვირის განმავლობაში დადოს ხელშეკრულება იმ სახით, რომელიც რესპუბლიკამ თავის უკანასკნელ ნოტაში წამოაყენა.

ამგვარად დამყარდა დიდი ხნის მომზადებული შეტევითი და თავდაცვითი კავშირი კათოლიკე მეფესა და გაერთიანებულ საფრანგეთის რესპუბლიკას შორის, რაც ესპანეთის სამეფო ტახტისათვის დიდ ბრიტანეთთან გარდაუვალი კონფლიქტის მომასწავებელი იყო.

გამოაცხადეს ფლოტზე უეცრად
მღკომარეობა სამხედრო განგა-
შის. თუმცა მალე სან-ილდეფონსოს

დიდ სასახლესი, დიდი ზეიმით
ხელისმომწერა შედგა შეთანხმება-
ზე, რომლითაც ზავი დაიდო
რესპუბლიკასა და გვირგვინს შორის;
მაგრამ იმავე დღეს ინგლისის მეფემ
ლორდ სენტ-ელენსი — ხელისმომწერი
ამ დოკუმენტზე,
უკან გაიხმო.

21

მრავალმა დღემ განვლო და გოიას სრულებით აღარაფერი ესმოდა, თავის გულს ასკდებოდა. დაეკარგა თავის შეკავების უნარი. თანამგრძნობელს ახლოს არ იკარებდა. ცდილობდა თავისი სიგიჟე სხვებისთვის კიდევ უფრო მეტად ეჩვენებინა. ახლა ყველა აგუსტინივით იქცეოდა, მისი თანდასწრებით ცერებზე დადიოდნენ. იცოდნენ, რომ შველა არაფრით შეიძლებოდა.

მოვიდა ალბა. მსახურებს სასტიკად ჰქონდათ ნაბრძანები ყოველი მნახველისათვის გზა გადაეღობათ და არავინ შეეშვათ გოიასთან. ჰერცოგის მეუღლე ხოსეფამ მიიღო. ელაპარაკა თავაზიანად და მტრულად. იცოდა, ბავშვის სიკვდილი კი არა, ეს ქალი იყო დამნაშავე ფრანზოს უბედურებაში. ხოსეფამ გააგებინა, რომ ღონ ფრანსისკომ კიდევ დიდხანს, შესაძლოა თვეების განმავლობაში ვერ შეძლოს მუშაობა და საზოგადოებაში ყოფნაო.

ერთ კვირაზე მეტს გოია არავის იკარებდა გარდა ხოსეფასი და აგუსტინისა; მათთანაც გულჩათხრობილი და მრისხანე იყო.

დაუღალავი, ბეჭითი აგუსტინი იმ დღეებში მეტად მოცლილი იყო და გრავიურაზე იწაფავდა ხელს. გრავიორმა ჟან ბატისტ ლეპრენსმა ნახატების ტუშით გრავირებისათვის აკვანტინის მეთოდი შემოიღო. თანესი სიცოცხლეში ამას საიდუმლოდ ინახავდა, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა იგი მეთოდურ ენციკლოპედიაში და ახლა ნონდომებული აგუსტინი ცდილობდა მის დაუფლებას. გოია აკვირდებოდა მის საქმიანობას, მაგრამ მეტწილად უსულგულოდ. თვითონ იგი ჭერ კიდევ ახალგაზრდობაში ცდილობდა ველასკესის სურათების გრავირებას, მაგრამ ბევრს ვერაფერს მიაღწია. აგუსტინს იმედი ჰქონდა, ახალი ტექნიკა მიიქცეოდა ხელოვანის ყურადღებას, მაგრამ ამის თაობაზე კეთილგონივრულად კრიტიკაც არ ძრავდა მასთან. ფრანსისკოც არა-

ფერს ეკითხებოდა, მხოლოდ ისევ და ისევ მიუბრუნდებოდა აგუსტინის მაგიდას და აკვირდებოდა მის საქმიანობას. ხანდახან დონ მიგელი მოინახულებდა. პირველ ხანებში ხმას არ იღებდა, ხოლო მოგვიანებით წმინდა ებასებოდა აგუსტინს. არ იცოდნენ, ესმოდა თუ არა ფრანსისკოს მათი საუბარი.

მაგრამ ერთხელ აშკარად ეტყობოდა, რომ ყურს უგდებდა. ეს ზოხდა, როცა მიგელი დაწვრილებით ყვებოდა, თუ როგორ შეეგუა ახალ რეჟიმს მხატვარი ჟაკ ლუი დავიდი. როცა მიგელმა ამბავი დაამთავრა, აგუსტინმა რამდენიმე გამჭირდავი შენიშვნა დაურთო. მას ისეთი შთაბეჭდილება შექმნია, რომ დავიდის ნაწარმოებები, მიუხედავად გარეგნული ფორმის სრულყოფისა, რაღაც უშინაარსო და დეკორატიულია. აგუსტინისთვის სრულებითაც არ ყოფილა მოულოდნელი, რომ დავიდმა თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა დაემო და ძალაუფლების ხელში ჩაიგდებ მსხვილი საქმოსნებისკენ გადაიხარა. გოიამ გესლიანად ჩაიცინა. მაშასადამე, ჟაკ ლუი დავიდიც, სამაგალითო რესპუბლიკელი, ფრანკოფილთა კერპი, თანამედროვეობას შეგუებია. მეგობრები კი მოითხოვენ, რომ ფრანსისკო რევოლუციონერი გახდეს. როცა ოქროც იქანგება, რკინისგან რაღას გამოელი?“.

— ჩემთვის გასაგებია, — თქვა მან ბოლოს გულმოსულნი — რომ მას არ სურდა ეშაფოტზე ასვლა. თუმცა უფრო მეტად კლასიკური იქნებოდა და მის საკუთარ მანერას მეტად შეეფერებოდა, მათთვის თავი მოეკვეთინებინა.

გოიას მხოლოდ მაშინ გაუბრწყინდა სახე, როცა მოულოდნელად ეწვია მისი გულთადი მეგობარი მარტინ საპატერი. ხოსეფამ მისწერა მას სარაგოსაში. მაგრამ არც ის და არც მარტინი არ უმხელდნენ ფრანსისკოს, რომ მეგობარი მხოლოდ მისი გულისთვის იყო ჩამოსული.

როგორც იქნა განიხილა ადამიანი, ვისთანაც გოიას დაუფარავად შეიძლო საუბარი თავის ჭირსა და ვარამზე. უამბო, თუ როგორ აიძულა იმ ქალმა ეცრუა, თითქოს მისი შვილი უკანასკნელ დღეში ყოფილიყოს; სწორედ მან, ბოროტმა ჯადოქარმა კაეტანამ, ჩააგონა ეს აზრი. როგორ ზოვიდა ბავშვის მოკვლის შემდეგ მასთან და როგორ დასცინა; და როცა გოიამ მისი დანაშაული აშკარად მიახალა პირში, თავს დააცხრა უშვერი სიტყვებით, როგორც მანაკაცის მიცემული ფულით უკმაყოფილო მეძავი. როგორ სასტიკად გაბრაზდა გოია და დაყრუვდა. ;

მარტინი სიგარეტს ეწეოდა, ყურადღებით უსმენდა და ხმას არ იღე-

ბდა. მისი უშმაკი, მოსიყვარულე თვალები ბარაქიან ცხვირს ზევით და-
ფიქრებულად და თანაგრძნობით გამოიყურებოდნენ.

— ვიცი შეშლილი გგონივარ, — ცხარობდა ფრანსისკო, — ყვე-
ლას შეშლილი ვგონივარ. ისე ჩუმაღ ნივლიან ირგვლივ, როგორც შმაგს.
ეს შეურაცხყოფაა. თუ მართლა გიყი ვარ, მაშასადამე იმან მომაჯაღო-
ვა. იმან გამაგიჟა. როცა ჩემი დახატული საგიყეთი ნახა, თქვა: „ნეტ
მინდა მათში ვერიოო“. აი, რა უნდა გითხრა, — ხელახლა დაიწყოს
ფრანსისკომ ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ თუ აქამდე ყვიროდა, ახლა
სულ ნიუახლოვდა მარტინს და საიდუმლოდ ჩასჩურჩულა:

— ჯერ კიდევ არ შევრყეულეარ, მაგრამ მოსალოდნელია მართლაც
ასე მოხდეს. ხანდახან და ხშირადაც კი ვგრძნობ, რომ მართლა შევირ-
ცხვი.

მარტინ საპატერი ფრთხილად იქცეოდა და ბევრს არ ელაპარაკებო-
და, მაგრამ მისი იქ ყოფნა და სიმშვიდე დამაწყნარებლად მოქმედებ-
და გოიაზე.

მარტინის სარაგოსაში გაბრუნებამდე ცოტა ხნით ადრე, მოვიდა
ხანდაზმული მარკიზას შიკრიკი. დონია მარია ანტონია ეკითხებოდა,
ჰქონდა თუ არა ამჟამად გოიას დრო, შესდგომოდა მისი მეორე პორტ-
რეტის ხატვას, რომლის შესახებაც პიედრაიტაში ჰქონდათ საუბარი.

მარტინი ურჩევდა შეკვეთა მიეღო. გოია ისე იქცეოდა, თითქოს
თავს ძალას ატანს თანხმობისთვისო, გულში კი მაშინვე გადაწყვიტა
დათანხმებულყო. შესაძლოა კაეტანა ამ წინადადებას ეფარებოდეს
და თუ ასე არ არის, მაშინ იქნებ შემთხვევას მოეყვანა ხანდაზმული
მარკიზას სახლში მისი მუშაობის დროს. ბოლმითა და ავბორცულად
იწვოდა მისი ნახვის სურვილით. რას მოიმოქმედებდა, შემდეგ არ იცო-
და, მაგრამ ნახვით კი უნდა ენახა. შეკვეთა მიიღო.

გოიამ მალე გაიგო, რომ დონია მარია ანტონიას, სამწუხაროდ,
უკეთაც სცოდნია მასა და კაეტანას შორის მომხდარი ამბავი, ვიღრე ეს
გოიას სურდა. ხანდახან, როცა მარკიზა ალერსიანი, გამბედავი თვალებ-
ით მოურიდებლად პირდაპირ სახეში შეჰყურებდა, გოიას ეგონა,
თითქოს მის წინაშე შიშველ-ტიტველი მდგარიყოს. ნანობდა, რომ შეკ-
ვეთა მიიღო.

მიუხედავად ამისა, საბუშაოს აქიანურებდა. არა მხოლოდ ინიტომ,
რომ ეშინოდა ან იმედი ჰქონდა კაეტანას მოსვლისა, არამედ იმიტომ,
რომ ახლა მარკიზასთან ხშირად ყოფნის გამო წვდებოდა კაეტანას

ცხოვრებასა და არსებაში რაღაც ბუნდოვანს, ფარულს, რისი დაჯერება ან მოფიქრება აქანდე აშინებდა. გაბრაზებულმა გოიამ უნაყოფო უწოდა. არის კი ეს ასე? მას რომ რომელიმე საყვარლისგან შვილი შესძენოდა, განა ჰერცოგი და მარკიზა ვილიამბრანკას და ალბას გვარს მისცემდნენ ნაბიჯვარს? ასეთი პრობლემის თავიდან აცილების მიზნით. შესაძლოა ექიმ პერალს იყენებდა ან ეუფემიას და ან ორივეს ერთად. იქნებ ამით აიხსნებოდა მისი ექიმთან მეგობრობა. მარკიზას პორტრეტზე ნუშაობის პერიოდში გოიამ განკვერიტა, რომ ალბების სახლში ცხოვრება არც ისე მარტივად მიმდინარეობდა, როგორც აქამდე ეგონა.

ღონია მარია ანტონიას სურათს ბედი არ სწყალობდა. გოიას აქამდე არც ერთ სურათზე არ დაუმზადებია ამდენი ესკიზი. აქანდე არასდროს არ ყოფილა მისთვის ასე ბუნდოვანი, რა უნდა გაეკეთებინა. ამასთანავე, მისი სმენის საქმე ძველებურად ცუდად იყო. მხოლოდ ახლობელი ადამიანების ბაგეთაგან შეეძლო ამოეკითხა სიტყვები, მარკიზას ნათქვამიდან კი ძალიან ცოტას იგებდა. ანასთანავე, იმედს არ კარგავდა, რომ კაეტანას შეხვდებოდა მარკიზასთან.

მარტინი სარაგოსას გაბრუნდა. ღონ მიგელი ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად მოდიოდა, შესაძლოა იმიტომ, რომ ხვდებოდა მის გასაკირს. თუმცა ფრანსისკო არ იყო მასთან გულახდილი. მიგელმა წინადადება მისცა, რომელიც თხოვნის ფორმით შენიღბა, ნამდვილად კი გულისხმიერი მეგობარი დანმარების ხელს უწყვიდა ფრანსისკოს.

ღონ მანუელსა და საფრანგეთის წარმომადგენელს შორის ძველებურად გულგრილი დანოკიდებულება იყო. პოლიტიკური გონიერება მოითხოვდა, მოქალაქე გილმარდესათვის ეამებინა, მაგრამ მშვიდობის თავადი ვერ ახერხებდა თავის შეკავებას, რომ პლებებისთვის, რომელმაც პოლიტიკური მარცხი აგემა, აშკარად არ ეჩვენებინა თავისი სიძულვილი. თავის მხრივ სენიორ ბერმუდესი ყოველ ღონეს მიმართავდა, გავლენიანი კაცის გული მოეგო; გილმარდე მხატვრობით დაინტერესდა და ძალზე გაანაწყენა იმ ამბავმა, რომ ესპანეთის უდიდეს მხატვარს როიალისტი წარმომადგენელი ავრე დაეხატა. მან ნართაულად უთხრა ღონ მანუელს, დიდად ნოხარული ვიქნებოდი, თუ გოია მეც დახატავდაო. თუ ფრანსისკო ამ შეკვეთას მიიღებდა, ამით ესპანეთის ლიბერალების საქმეს გაუწევდა სამსახურს და შესაძლოა ამ სამუშაოს მასზედაც კეთილი გავლენა მოეხდინა. სასწრაფოდ უნდა შესდგომოდა

საქმეს; ფრანგი მოუთმენელი კაცი ყოფილა და გაღიზიანებულის, რადგან მანუელი მას ხშირად ალოდინებდა ხოლმე.

ფრანსისკოს უხაროდა, რომ მარკიზას პორტრეტზე მუშაობის შეწყვეტის საბაზი იპოვა. მისი მობოღიშება მარკიზამ ალერსიანად უარპყი, გაამხნევა ფრანსისკო, შევიძლიათ, როცა დრო და სურვილი გექნებათ, ხელახლა შეუდგეთ მუშაობასო.

ნიუხედავად მარკიზას გულითადობისა, ფრანსისკო გულდამძიმებუ-ლი წავიდა ვილიაბრანკას სასახლიდან. რცხვენოდა მისი და თავისი თავისაც, რომ პორტრეტი ვერ დაამთავრა. მსგავსი რამ ჯერ არ მოსე-ლია და შემდეგაც ხშირად სტანჯავდა დაუმთავრებელი სურათის მოგო-ნება. ახლა მით უფრო მეტი მონდონებით მოპკიდა ხელი ახალ საქმეს. გილმარდეს თავი მოსწონდა, რომ მიწვევისთანავე ეახლა მხატვარი, და მეგობრულად დაუხვდა. სურდა სამხედრო მუნდირში დახატულიყო თავისი თანამდებობის ყველა ატრიბუტებით.

— თქვენ ნე კი ნუ დამხატავთ, პატივცემულო მაესტრო, — მოითხო-ვა მან, — დახატეთ რესპუბლიკა, — დიდი ქესტით უჩვენა, — რესპუბ-ლიკამ ამ წლების განმავლობაში დიდი ცვლილებანი განიცადა. თქვენ, მოქალაქე გოიავ, უთუოდ იცნობთ არისტოტელეს მოძღვრებას ენერ-გიისა და ენტელექციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ყოველ საგანში დასაბამიდანვე არსებული თესლი, პოტენცია აღმოცენებისაყენ, არსო-ბისაყენ ისწრაფვის. ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა რესპუბლიკა და მასთან ერთად, ისიც, ფერდინანდ-პიერ გილმარდეს, იქცა მოქალაქე გილმარდედ.

ფრანსისკოს ბევრი არაფერი გაეგებოდა მაღალფარდოვანი ფრან-ჯული სიტყვებისა, მაგრამ სხვათაშორის გაიხსენა მხატვარი დავიდი და მიხვდა, მეფის მკვლელსა და ტაძრების დამამხობელ გილმარდეს დიდი ბრძოლა და ტანჯვა-ვაება უნდა გადაეხადა იმის გამო, რომ რეს-პუბლიკა ხალხს ხელიდან გამოეცალა და მსხვილ საქმონებს ჩაბარდა. ხედავდა, თუ როგორ ატანდა თავს ძალას გილმარდეს, ეს გარდაემნა რომ დაემალა საკუთარი თავისათვის. ხედავდა წარმომადგენლის მუდ-მივ არაბუნებრიობას და დაქიმულობას, ხედავდა მის თვალეში სიგი-ქემდე მისულ სიამაყეს, ესმოდა, თავის მოტყუება, ეს კაცი რომ თავს აფარებდა, თანდათანობით უფრო ღრმა ცდომილებეში შეიყვანდა.

ყოველივე ამის გამოხატვა ფრანსისკოსთვის სასურველი ანოცანა იყო. თუმცა გილმარდეს ბოლომდე ვერ გაუგო, მაგრამ დახატა ისე,

როგორც მან მოითხოვა. ხატავდა გამარჯვებულ რესპუბლიკას, რაც გამარჯვებულ რესპუბლიკაში ღირსშესანიშნავი და თეატრალური იყო, მის ბრწყინვალეობას და გადაქარბებულ წმინდა გიჟურ მედიდურობას.

ფრანსისკოს სიყრუემ მისი მხედველობა უფრო გაამახვილა. ხმის უღერა არ ესმოდა და ამ დანაკლისს ფერით ავსებდა. ხატავდა რესპუბლიკის ფერებს, ისე, როგორც დღემდე არავის დაეხატა. ეს იყო ცისფერი, თეთრი, წითელი ფერების ნამდვილი ზეიმი.

აი, ზის ფერდინანდ გილმარდე, სოფლის პატარა ექიმი, ამჟამად ერთიანი და განუყოფელი რესპუბლიკის წარმომადგენელი, რომელმაც ლუი მეთექვსმეტეს ორგზის სიკვდილი მიუსაჯა და ესპანეთის მონარქია იძულებით აქცია თავისი ქვეყნის ვასალად. ზის იგი მუქ ლურჯ-მუნდირში გამოჯგინული, ოდნავ მედიდურ პოზაში, ტანით გვერდზე მიბრუნებულია, მაგრამ სახე მთლიანად მაცურებლისკენ აქვს მიქცეული. სულ წინა პლანზე ბრწყინავს მისი ხმლის ვადა, რომელიც მის ცისფერ-მოთეთრო-წითელ გამონასკვეულ შარფს აშუქებს. ნაგიდაზე მიუგდია ცისფერ-თეთრ-წითელფრთებიანი და ცისფერ-თეთრ-წითელკოკარდია-ნი ძვირფასი სამკუთხა ქული. ერთი ხელი სკამის ზურგზე გადაუდია, ხოლო მეორეთი ღონივრად, მოხდენილად და გამომწვევად შემოუყრია დონჯი. მთელი სინათლე მის სახეზეა აღბეჭდილი. მოკლედ შეჭრილი შავი კულულები ლანაზი მოყვანილობის ფართო შუბლზე აქვს ჩამოკარცხნილი. ტუჩები მოღუნული, ცხვირი წინ წამოჩრილი. სახე აქვს მოგრძო, კეთილშობილური, გონიერი და ღირსეული. რეკვიზიტები მკრთალია, ჩანს მოყვითალო-ოქროსფერი, მოცისფრო ფერებით დახატული სკამი, მაგიდა, ფოჩიანი სუფრა. ფერთა მკვეთრი დისონანსები ერთმანეთს ერწყმის ამ ოსტატურად ნოწესრიგებულ ქაოსში.

თავიდან კაცთმოძულეობის გუნებაზე მყოფმა გოიამ წარმომადგენლის სახესა და პოზას მეტი ქედმაღლობა, მეტი აფექტურობა მისცა; უფრო მკვეთრად გამოავლინა ამ კაცისა და რესპუბლიკის განდიდების მანია. მაგრამ მიგელმა და აგუსტინმა ფრთხილად დაუწყეს დარწმუნება, თუ რაოდენ მიზანსწრაფული ენერგიით იყო აღსავსე გილმარდე და რაოდენ წარმატებას შიადწია რესპუბლიკამ. გოიანაც შეარბილა ის, რასაც შეიძლება დაცინვა გამოეწვია და გარკვევით გამოხატა. ის, რა შიაც იყო გილმარდეს ძალა.

და პორტრეტიდან ისე უმზერდა
გილმარდე — ხატი, ნამდვილ გილმარდეს,
როგორც ცოცხალი. და შეჰყურებდნენ
ისინი ერთუბრთს. აღფრთოვანებულ
დესპანს — საკუთარ თავის ღირსებით
და საფრანგეთის ღიღებით ამაყს
უცებ აღმოხდა: „აი, ეს შენ ხარ,
შენ რესპუბლიკავ!“ ვერ გაარჩია
ფრანსისკომ, რა თქვა ფრანგმა ფრანგულად,
მაგრამ გამოიხნა, როგორ აენტნენ
ელჩის თვალები აღფრთოვანებით
და ბაგეები როგორ შეერხა...
მის არსებაში უეცრად თითქოს
მარსელიოზას ჰანგი აულერდა

22

ეპიდემია, რომელმაც ბევრი ბავშვი გამოასალმა წუთისოფელს,
თითქმის მიწყნარებული იყო, როცა მარია ლუიზას უმცროსი ვაჟი, მე-
ფისწული ფრანსისკო პაულა გახდა ავად. რვა შვილი შობა მარია ლუი-
ზამ; ცოცხლად დარჩენილი ექვსიდან ყველაზე მეტად პაულა უყვარდა.
ქერაწითური ბიჭუნა, ეჭვს გარეშეა, მანუელისა იყო. დედოფლის საყ-
ვარელი ვაჟი უმწეოდ იწვა, ებრძოდა სულის ხუთვას, ებრძოდა სიყ-
ვდილს.

მოხუცმა კარის ექიმმა ვისენტე პიკერმა დაუნიშნა გაყინული წყალი
და ცივი სახვევები. მარია ლუიზამ სასტიკი გამომეტყველება მიიღო და
მადრიდში დიდად სახელმწიფოეკილი და დიდად ძაგებული ექიმი პერა-
ლი მოიწვია. ამან დიდი ყურადღებითა და თავაზიანად მოუსმინა თავის
უფროს კოლეგას და შემდეგ ისეთი საშუალებები გამოუწერა, რომ
გაკვირვებულმა და გაოცებულმა კარის ექიმმა დაღებული პირის მო-
კუმვა ველარ მოახერხა.

ბავშვმა მოიკეთა და განიკურნა.

ღონია მარია ლუიზამ ჰკითხა ექიმ პერალს, ხომ არ ისურვებდით
შემდეგშიაც თვალყური ადევნოთ პატარა მეფისწულის, ჩემი და მე-
ფის მთელი ოჯახის წევრების ჯანმრთელობასო.

დედოფლის შემონათავაზები დიდად სახარბიელო იყო. ეს იმას ნიშ-
ნავდა, რომ გავლენა ექნებოდა, სადაც კი მოისურვებდა — პოლიტიკურ
და კერძო საკითხებში; ეს აგრეთვე იმასაც ნიშნავდა, რომ ესპანეთის

საუკეთესო მხატვრული კოლექციები მის საკუთრებად იქცეოდა. მაგრამ თუ დათანხმდებოდა, ცოტა დრო დარჩებოდა მეცნიერებისა და სურათებისათვის და სავსებით უნდა გამოსთხოვებოდა კაეტანა დე ალბასთან სასიამოვნოდ მწარე სიახლოვეს. დიდი მობოდიშებით ითხოვა მოსაფიქრებელი დრო ნიეცათ.

საერთოდ გონიერი და დინჯი ადამიანი დაიბნა. თუ უარს განაცხადებდა, ხელიდან გამოეცლებოდა არა მარტო ერთადერთი განუმეორებელი ბედნიერი შემთხვევა, არამედ მტრადაც გადაიკიდებდა დედოფალს. მაგრამ არაფრით არ უნდოდა თავისი დუქესიტას დაკარგვა. არავინ და თვით კაეტანაც კი არ იცნობდა თავის თავს ისე, როგორც პერალი. საქმიანი უსირცხვილობით ასჯერ მაინც შეუთავაზებია მისთვის ხელში კაეტანას თავისი სხეული გასასინჯად, გაუნდია ამ სხეულის ტკივილები დახმარების მისაღებად, მაგრამ განათლებულმა ექიმმა პერალმა იცოდა: ანტიკური ხანის რომაელი მანდილოსნები სწორედ ასევე ექცეოდნენ სწავლულ ბერძენ მონებს, რომლებსაც საექიმო დახმარებისა და რჩევისათვის ყიდულობდნენ; თავიანთ მშვენიერ სხეულს მოსავლელად ანდობდნენ, მაგრამ მზრუნველ მკურნალთა გაწაფული ხელები იგივე იყო ამ ქალებისათვის, რაც ჯაგრისი და ღრუბელი. როცა დუქესიტა მას ისე ექცეოდა, როგორც მეგობარს, მრჩეველს და მახლობელს, დონ ხოაკინი ხშირად ეკვობდა, რომ კაეტანასთვის მაინც ბერძენ მონა მკურნალზე მეტი არ უნდა ყოფილიყო.

ექიმი პერალი თავის თავს წმინდა წყლის თავისუფალ ნოაზროვნედ თვლიდა. მისი მასწავლებლები იყვნენ: ლამეტრი, პოლბახი, პელეციუსი. ღრმად იყო დარწმუნებული, რომ გრძნობა და გონება სხეულის პროდუქტებია. როგორც შარდი და ოფლი. ადამიანის სხეულის ანატომია მუდამ უცვლელია. ავზორცული გრძნობები ყოველთვის ერთნაირია; ძროხის დამგრილებელი ბულისა და ბეატრიჩესადმი დანტეს გრძნობაში მხოლოდ გრადუალური განსხვავებაა და როცა სიყვარულს ანსხვავებენ ავზორცობისაგან, ეს მხოლოდ იდეალიზებული ცრურწმენაა. ექიმი პერალი თავის თავს რაცხნდა ნატურალისტ ჰედონისტად, ამბობდა, ცხოვრების ერთადერთი აზრი განცხრომაშიაო. ჰორაციუსის მსგავსად სიამოვნებით უწოდებდა თავისთავს „ეპიკურეს კოლტის ღორს“.

მაგრამ კაეტანა ალბასთან მარცხდებოდა მისი ფილოსოფია, ფიქრობდა, თუ გულისთ მოვიწოდებ, „ვიყოლიებ“ ჩემს დუქესიტასო, მაგ-

რამ საოცარი იყო, რომ თავისი შეხედულების საწინააღმდეგოდ, მას ეს არ აკმაყოფილებდა. კაეტანასაგან მეტი უნდოდა. ზოაკინი ხედავდა, როგორ ირჩევდა ეს ქალი მამაკაცებს. მისთვის ერთადერთი გზის მაჩვენებელი გრძნობა იყო. ეს გრძნობა შესაძლოა ნხოლოდ ერთ საათს გაგრძელებულიყო, ან უფრო ცოტა ხანსაც, მაგრამ აუცილებლად კი უნდა ყოფილიყო. კაეტანას საერთოდ რომელიმე მამაკაცი კი არ სურდა, არამედ ერთადერთი გარკვეული პიროვნება. სამწუხაროდ პერალი არასდროს არ ყოფილა ეს გარკვეული ერთადერთი პიროვნება.

რაკი საქმის ვითარება ასეთი იყო, სისულელე იქნებოდა ახლა დონია მარია ლუიზას წინადადებებზე უარი ეთქვა. არ არსებობდა ისეთი მეგობრული დახმარება, კაეტანას ახირებული გრძნობა რომ მისკენ მიეზიდა, და თუ ახლა დედოფალს უარს ეტყოდა, თავისი ცხოვრების საუკეთესო შანსს ქარს გაატანდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, იცოდა, მაინც უარს იტყოდა. მისი ცხოვრება აზრს დაკარგავდა თუ იგი დუქესიტასთან საერთო ჰაერს არ ისუნთქავდა, თუ მეტად აღარ ექნებოდა საშუალება დაკვირვებოდა მისი მოქნილი სხეულის ნიუწვდომელ კაპრიზს.

მან უამბო კაეტანას მარია ლუიზას წინადადების შესახებ; თითქოს სხვათა შორის ლაპარაკობდა, რაღაც უმნიშვნელოზე.

— მხოლოდ ზრდილობისათვის მოვთხოვე მოსაფიქრებელი დრო. რა თქმა უნდა, უარს ვეტყვი.

ბოლო ხანები კაეტანასთვის მძიმე იყო, მტკივნეულად განიცდიდა ფრანსისკოსთან განშორებას, პერალიც რომ დაეკარგა, ველარ აიტანდა. მისმა მტერმა, იტალიელმა ქალმა, კარგი დრო იხელთა სამაგიეროს მისაზღავად. მაგრამ კაეტანამ ძალ-ღონე მოიკრიბა. ექიმს გულგრილად მიუგო:

— კარგად მოგეხსენებათ, რომ მოხარული ვიქნები, თუ ჩემთან დარჩებით: იმედი მაქვს, უარს ჩემი გულსათვის არ ეუბნებით, — და მალლა აწეულ წარბებს ქვეშ მისი ლითონისებური თვალები პერალს ნიაჩქერდნენ პარდაპირ, წყნარად, ცივი, ალერსიანი გამომეტყველებით.

პერალს კარგად ესმოდა, რაც მის სულში ხდებოდა: კაეტანა მოელოდა, რომ ექიმი ჯილდოდ საყვარლობას მოსთხოვდა. ალბათ და უთუოდ ქალიც დაეთანხმებოდა, მაგრამ პერალი ვერ ააღელვებდა მის სისხლს და ექიმი მას სამუდამოდ დაკარგავდა.

„ექიმო, თქვენ მე, ალბათ, მიმიხვდით,
დარწმუნდით, როგორ უმადური ვარ“ —
თქვა კაეტანამ. „დიახ, — მიუგო
მას ხოაკინმა, — და იცით, თუკი
მე არ მივიღებ დედოფლის წინა-
დადებას, სულაც იმიტომ არა,
რომ თქვენი გული მოვიგო ამით.“
„ო, დონ ხოაკინ, ა, ეს კარგია“, —
და კაეტანამ, თითისწვევრებზე
შემდგარმა, მდაბლად თავდახრილ ექიმს
შუბლზე აკოცა.

23

კაეტანა ისევ ძველებურად ცხოვრობდა. მის ირგვლივ განუწყვე-
ტელი ორომტრიალი იყო; ღებულობდა აურაცხელ მიპატიყვებას, ნა-
ტულობდნენ თეატრებში, ხართან ბრძოლაზე, თავად აწყობდა და
სხეასთანაც მიდიოდა წვეულებებზე და ჩინებული ურთიერთობა
ჰქონდა დონ ხოსესა და მარკიზასთან.

მაგრამ ამ სამი ზრდილობიანი ადამიანის ურთიერთობაში ახლა
ზნარი შეიპარა.

როცა ორივე თითქმის ბავშვები იყვნენ, მარკიზამ თავისი ვაჟი ხოსე
დიდი და სასტიკი ალბების გვარის მატარებელ ერთადერთ და უკანა-
სკნელ ქალზე რომ დანიშნა, მარტო ორივე ოჯახის სიმდიდრისა და
ტრატულების გაერთიანება კი არ ჰქონდა მიზნად, არამედ მას იზიდავდა
კაეტანას ძლიერი, თავნება და მიმზიდველი პიროვნება. იმედი ჰქონდა,
ნაზი, მოღუწებული ხოსეს სიცოცხლე შეივსებოდა გოგონას გადაჭარბე-
ბული ენერჯით. ცხადია, რომ კაეტანა ბავშვობიდანვე ოდნავ ექსცენ-
ტრიკული, „chatoyante“ იყო. მისმა პაპამ ხომ რუსოს მოძღვრების
მიხედვით აღზარდა; მაგრამ მარია ანტონიას იმედი ჰქონდა, როგორი
აღზრდილიც არ უნდა ყოფილიყო ალბებზე ჩამომავალი, არასდროს
არ უღალატებდა ტრადიციასა და ზრდილობას.

დონია კაეტანას, მიუხედავად ალტყინებისა, თავი მართლაც ყოველ-
თვის ღირსეულად ექირა. მანდილოსნური დარბაისლობა არასდროს
არ დაუკარგვს. რამდენჯერ გახლართულა სიყვარულის ქსელში, მა-
გრამ არასდროს არ დაუყენებია მარკიზა და დონ ხოსე მძიმე პრობლე-
მის წინაშე, რომ უკანონო შვილი ესპანეთის უდიდესი გვარის მემკვი-

ღრედ ეცნოთ. ნარკიზა არ შეუწუხებია საჩოთირო შეკითხვებით და რჩევა არ უთხოვია; თვითონ ყოველთვის ტაქტით, გამონახავდა ნოლმე საშუალებას, ასეთი სიტუაციის თავიდან ასაცილებლად. ახლა კი კაეტანას თავგზა აებნა. მრავალგზის დაუღწევია თავი მძიმე მდგომარეობიდან ისე, რომ მითქმა-მოთქმა არ ატეხილა. არავენი გაკიცხავდა დიდ ქალბატონს, თუ კორტეხოს გაიჩენდა. არავენი განსჯიდა ჰერცოგ ალბას მეუღლეს, როგო მან კორტეხოდ მეფის კარის მხატვარი აირჩია. მაგრამ ბოლო ხანებში იმგვარად ამქადავებდა თავის გატაცებას, რომ მოსაწონი აღარ იყო. იმის ნაცვლად, რომ ეს გრძნობა თანდათანობით უარეყო, ერთბაშად აღკვეთა და ამით გასცდა საზღვარს. ახლა მთელი მადრიდისათვის ცხადი გახდა, რომ ეს მეტი ყოფილა. ვიდრე თავშესაქცევი და დაცინვით იცოდებდნენ ჰერცოგს. მარკიზა იძულებული გახდა თვალი გაეხილა. და დაენახა, რა ღრმა ყოფილა ეს ვნება.

ჰერცოგიც ამასვე გრძნობდა. კაეტანა არასდროს არ არწმუნებდა ყალბ სიყვარულში, სამაგიეროდ მისი ერთგული მეგობარი იყო და ამიტომაც მის ახირებას სულგრძელად მიუტევებდა. მაგრამ ამჯერად ეს კაპრიზი მწვავე ვნებად იქცა, რომელმაც შეურაცხყო მისი ზომიერების გრძნობა და ღირსება. ამან აუმღვრია გუნება და მიუხედავად გარეგნული თავშეკავებისა, ფიცხი გახდა.

ამ სიტუაცხემ მიაღებინა მოულოდნელი და წინდაუხედავი გადაწყვეტილება. ყველაჟერზე მეტად ცხოვრებაში მუსიკა უყვარდა და სტანჯავდა ის ხანამალალი მანალური სიტყვები, რომელთაც კარლოსი ამის თაობაზე გამოთქვამდა და ის გონებაჩლუნგი ხუმრობა, რომლითაც დონ ზოსეს მიმართავდა. ახლა ჰერცოგი ამას ველარ იტანდა. ერთ დღეს, როცა კვარტეტში კარლოსი პირველ ჭიანურს აწრიბინებდა, უთხრა დედას, რომ მეფის საშინლად გამოყეყეჩებამ ესპანეთში ჭეშმარიტი მუსიკა ჩაახშო. უნდა იტალიასა და გერმანიაში გავემგზავრო სიბილწისაგან ყურებისა და გულის განსაბანადო. შიშობდა დედა, არ ურჩევდა გამგზავრებას. დონია მარია ანტონია მართლაც შეშფოთებული იყო, ამგვარ მოგზაურობას შესაძლოა ევნო შვილის ჭანმრთელობისათვის. თუმცა იმედიც ჰქონდა, წთაბეჭდილებათა შეცვლამ და მუსიკამ იქნებ გამოაცოცხლოსო ზოსე. და რაც მთავარია, დედა თავის გულში ვარაუდობდა ამგვარი მოგზაურობა კაეტანას პრობლემას გადაწყვეტს და იტალიელ და გერმანელ მამაკაცებთან მალე დაივიწყებს

მადრიდელ მხატვარსო. ამიტონაც მოიწონა შვილის განზრახვა და მხარი დაუჭირა.

გადაწყვიტეს მალე გასდგომოდნენ გზას.

— უმჯობესია ცოტანი გავემგზავროთ. მხოლოდ თქვენ, დედა, კაეტანა და მე მცირერიცხოვანი მსახურებით. — თქვა დონ ხოსემ.

— ცხადია, ექიმი პერალიც, — დაუროთო მარკიზმა.

— ექიმის წაყვანა არ ღირს, — თქვა ხოსემ, მარკიზამ შეხედა. — ჩემის აზრით ექიმის წაყვანა არ ღირს, — გაინეორა ალერსიანად და არაჩვეულებრივი სიმტკიცით დონ ხოსემ, — მუსიკაში ძლიერ კარგად ერკვევა, — განმარტა ღიმილით, — მე კი მსურს თვით ვიპოვო, რაც ნომწონს.

მარკიზონაც გაიღმა. მიხვდა, რაც ახლა ხოსემ უთხრა, სანახევროდ იყო მართალი; ცხადია, სურდა მუსიკა საკუთრივ ეგრძნო ამ მოგზაურობისას, მაგრამ უპირველეს ყოვლისა კი სურდა თავისთვის ჰყოლოდა კაეტანა მისი მრავალი საიდუმლოს ნდობით აღჭურვილი პირის გარეშე.

— კეთილი და პატიოსანი, დონ ხოიაკინი აქ დავტოვოთ, — უთხრა დედამ.

როცა დონ ხოსემ კაეტანას თავისი განზრახვა გაუზიარა, ქალი უსიანოდ გაოცდა. ხომ არ ავნებს დონ ხოსეს ფაქიზ აგებულებას დამქანცველი მოგზაურობა? — ჰკითხა მან ფრთხილად, — ან იქნებ ჰკუასთან უფრო ახლო ყოფილიყო, ზაფხულის პიედრაიტაში ან მათ ზღვისპირა მამულში გატარება? — მაგრამ ეს იყო ახალი ხოსე, გამოცოცხლებული, ნიზანსწრაფული ხოსე, რომელმაც მისი შემონათავაზები ალერსიანი სიმტკიცით უარჰყო.

კაეტანა მთელი არსებით აღენტო ამის საწინააღმდეგოდ. უესპანეთოდ მისი სიცოცხლე არ არსებობდა. მაშინაც კი, ორივეჯერ, როცა საფრანგეთში წაიყვანეს, უკან დაბრუნება ენატრებოდა და შინისკენ ისწრაფოდა; გერმანიის ქალაქებისა და მუსიკოსების თვით სახელებიც კი, რომელთაც დონ ხოსე ახსენებდა, ბარბაროსულად ეჩვენებოდა. ფრანსისკოც თავისებურად გაიგებს ამ მოგზაურობას, ეგონება, რომ კაეტანა მადრიდიდან მის დასასჯელად მიდის, საშუალებას აღარ მისცემს განუმარტოს ყოველივე და სამუდამოდ დაკარგავს მხატვარს. მაგრამ თუ ავადმყოფ მეუღლეს არ გაჰყვება, მეფის კარსა და მთელ

ქვეყანას გადაიკიდებს. კაეტანა ვერ ხედავდა ღონ ხოსესთან გამგზავრებისაგან თავდასალწევ ვერავითარ საძულებას.

კაეტანამ ღონია მარია ანტონიას მიმართა. მას ყოველთვის ესმოდა კაეტანასი; უნდა მიხვდეს ახლაც, რომ არ შეუძლია ესპანეთის დატოვება. არწმუნებდა, ღონ ხოსეს მძიმე გზა ავნებსო და დაბეჭითებით ვევედრებოდა გადაეთქმევიანებინა შვილისთვის ეს აზრი.

მაგრამ ამჟერად ღონია შარია ანტონიამ მისი არ შეისინინა. უფრო მეტიც. კაეტანამ მის გამგებიან, სათნო სახეზე ფარული მტრობა ამოიკითხა. მისი გრძელი, თხელბაგიანი პირის ღიმილი არ იყო მეგობრული.

ღიან, მარკიზა ღვარძლიანად ზეიმობდა. მან თავისი დრო მოჰამა, იცოდა, რა არის სიყვარული, ესმოდა კაეტანას ვნება, გრძნობდა მისი თხოვნის ძალას, მაგრამ ხოსე მარკიზას ღვიძლი შვილი იყო, ის იყო ყველაფერი, რაც ამქვეყნად გააჩნდა, უყვარდა იგი, იცოდა, დიდხანს ვეღარ იცოცხლებდა და კაეტანას იმდენი ტაქტი უნდა გამოეჩინა, ჭმრისთვის სიცოცხლის უკანასკნელი წლები შეემსუბუქებინა. ეცადოს მაინც, ღონ ხოსეს მოაჩვენოს, რომ ძვირფასია მისთვის.

— მე არ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას, ღონია კაეტანა, — თავდაპირილად უთხრა მან, — მე ბევრს მოველი ხოსესთვის ამ მოგზაურობიდან.

ამავე დროს ჰერცოგმა აცნობა ექიმ პერალს, რომ დიდი ხნით აპირებდა საზღვარგარეთ გამგზავრებას. პერალი შეცბა. კაეტანა ხომ არ გზავნიდა ჰერცოგს? მარტო სურდა დარჩენა? ფრთხილად შეეკითხა, ხომ არ აშინებდა მის აღმატებულებას დამღლეი მოგზაურობა? ღონ ხოსემ უზრუნველად მიუგო, რომ ახალი ადამიანების ხილვა, ახალი მუსიკის გავლენა მას გამოაცოცხლებდა. პერალმა, რადგან არ იცოდა, ღუქესიტა მიჰყვებოდა თუ არა, ისევ ფრთხილად ჰკითხა, სურდა თუ არა ჰერცოგს თან ხლებოდა? ჰერცოგმა ისევ უჩვეულო უდარდლობით მიუგო, რომ დიდ მადლობას მოახსენებს ღონ ხოაკინს, მაგრამ არ სურს თავის განებივრება, ეცდება მის დაუხმარებლად იოლად წავიდეს.

პერალმა წამსვე ჰერცოგის მეუღლეს მიაშურა. კაეტანამ არ იცოდა. რომ ექიმის წაყვანას არ აპირებდნენ. ძლივს მოახერხა არ გამოემყლავნებინა ეს არასასიამოვნო მოულოდნელობა. დაიბნენ. ვერცერთი ვერ პოულობდა გამოსავალს. ექიმმა ჰკითხა, საბოლოოდ გადაწყვიტა თუ

არა, ხლებოდა ჰერცოგს? კაეტანამ არაფერი უპასუხა, მხოლოდ მორჩილად, უნუგეშოდ ჩაიქნია ხელი. პირველად დაინახა ექიმმა მის თვალზე მომდგარი ცრემლი და დახმარების მუდარა. ეს ქალი, ესპანეთის გრანდთა შორის ყველაზე მეტად დამოუკიდებელი და ამაყი ჰერ არასდროს არ ენახა ასეთ მდგომარეობაში, მაშინაც კი, როცა ექიმის დახმარება უფრო მეტად სჭირდებოდა. მისთვის ეს იყო უსუსური და მწარე კმაყოფილება, რომ კაეტანა ალბა მას ერთადერთს ანდობდა თავის ჭირსა და ვარამს.

ნისი სახე მხოლოდ ორიოდ წამის განმავლობაში გამოხატავდა დახმარების მუდარას. მაგრამ ექიმს მოეჩვენა, რომ ამ ორიოდ წამში მათ შორის უფრო ღრმა ურთიერთგაგება დამყარდა, ვიდრე ოდესმე.

შეიქნა მოგზაურობის წინა სამზადისი, როცა ალბებისა და ვილია-ზრანკების რანგის დიდებულები მგზავრობას განიზრახავენ, თუნდაც მცირერიცხოვანი კორტეჟით, დიდი სამზადისია საჭირო.

იქ ირეოდნენ კურიერები,
ოფიცრები და მალემსრობლები,
მოახლეები თუ მკერავები...
ეულამდე ჰქონდათ საქმე მოდენის,
ავსტრიის, პარმის, ტოსკანისა და
ბავარიის ელჩ-წარმომადგენლებს.
სწერდნენ პატაქებს და ტელეგრამებს.
ჰერცოგი მისთვის უჩვევ სიფიცხით
ჩქარობდა, რათა სწრაფად დაეწყო
მოგზაურობა.

24

ალარ გაემგზავრნენ. სამზადისის დროს ჰერცოგი არაჩვეულებრივ სისუსტეს უჩიოდა. ჰერ გადაიღო გამგზავრება, ხოლო შემდეგ საბოლოოდ უარი თქვეს.

დონ ხოსე ყოველთვის ავადმყოფობდა. მაგრამ ამჯერად ისე გამოეცალა ძალ-ღონე, რომ ძლივს ინიძრეოდა. მომლონიერებელი წამლები აღარ შველოდა. ექიმებს ვერ აეხსნათ ეს გამუდმებული, ძლიერი მომქანცველობის მიზეზი.

დონ ხოსე უმეტესად სავარძელში იჯდა, განიერ შლაფროკში გახვეული, ჩამომდნარი, მტანჯველი სისუსტისაგან თვალდახუჭული.
231

როცა თვალებს გაახელდა, ისინი დიდრონად ჩანდნენ ჩამომხმარ. სა-
ხეზე. გაშეშებული ნაკვთები სასტიკ, საბრალო გამომეტყველებას.
ლებულობდნენ, ყველა ხედავდა, როგორ დნებოდა მისი სიცოცხლე.

დონია. კაეტანას უსიტყვოდ, თავაზიანად, ქედმაღლურად აგრძნო-
ბინებდა ზიზღს. ასევე თავაზიან, ხელშეუვალ უცხოობას აგრძნო-
ბინებდა მას მარკვიზაც. ხალისიანი, დარბაისელი დონია მარია ანტონ-
ნია სინწარემ დაამსგავსა თავის შვილს. ერთი სიტყვითაც არ აგრძნო-
ბინებდა კაეტანას, რომ უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბებს მიაწერ-
და შვილის დაღუპვის მიზეზს; მაგრამ დონია კაეტანამ იგრძნო, დონია,
მარია ანტონია აღარასოდეს გაუწევდა მეგობრობას. როცა ცხადი შე-
იქნა აღსასრულის მოახლოება, დონ ხოსემ მოისურვა ვილიაბრანკე-
ბის სასახლეში გადაეყვანათ. აქამდე ნებას არ აძლევდა ლოგინში
ჩაეწვანათ, ახლა კი წინააღმდეგობას თავი დაანება. ფხიზლად ადგ-
ნენ თავზე დედამისი, ძმა ლუი და რძალი მარია ტომასა. იწვა დაღ-
ლილი დიდებისა და პატივისაგან. კაეტანა კი თავს უცხოსავით
გრძნობდა.

ლირიასა და ვილიაბრანკების სასახლეების შესასვლელებში ეწყო
ფურცლები, რომელზედაც ხელს აწერდნენ ავადმყოფი დიდებულის
ამბის გასაგებად მოსული ადამიანები. ირგვლივ ქუჩებში ჯალხი
გროვდებოდა და ჩურჩულებდა. დონ ხოსე იყო სახელმწიფოს სამ
პირველ გრანდთაგან ერთ-ერთი, ჰერცოგ ალბას ასულის მეუღლე
და მადრიდი დაინტერესებული იყო მისი ამბით. ამბობდნენ ჯანმრთე-
ლა არასოდეს არ ყოფილა და სიბერემდე ვერ მიაღწევსო, მაგრამ
ასეთი სწრაფი აღსასრული მაინც მოულოდნელი იყო. იმასაც ამბობ-
დნენ, დაინტერესებულთა ხელი ურევია მის საოცარ დასუსტებასა
და დაუძლურებაში, ნელა მოქმედი შხამი შეაპარესო. ამგვარი ხმე-
ზი ხშირად ვრცელდებოდა მადრიდში და კიდევაც სჯეროდა ხალხს.
სახელგანთქმულ ფელდმარშალ ალბას და მის მეფეს, ღვთისმოსიშ
და სასტიკ ფილიპე მეორეს, სახელმწიფოებრივ და ღვთის მოსაწონ
საქმედ მიაჩნდათ გზიდან ჩუმად და მოხერხებულად ჩამოეცილები-
ნათ ზოგიერთი მოწინააღმდეგე; მას შემდეგ ნახევარკუნძულზე მრავ-
ალი წარჩინებული პირი გამოესალმა წუთისოფელს საექვო მიზე-
ზით. იმასაც კი ამბობდნენ, დონ ხოსე ალბას ხელს უშლიდაო. განა
ცოტას ლაპარაკობდა მთელი ქვეყანა მის მრავალრიცხოვან საყვარ-
ლებზე?

აღსასრული კაშკაშა შუაღლისას დადგა. მღვდელმა დაწესებული გლოვისა და შენდობის ლათინური ლოცვები წარმოთქვა და მომაკვდავს ჯვარცმა გაუწოდა. დონ ხოსეს დიდი ღვთისმოსაობა არ გამოუჩენია, ის თითქოს სხვა რაღაცით იყო გატაცებული, შესაძლოა მუსიკის ჰანგები მოესმოდა; მაგრამ შაინც ძალ-ღონე მოიკრიბა და წესის თანახმად მოწიწებითა და მოკრძალებით ემთხვია ჯვარცმას. შემდეგ მღვდელმა ოქროს ბარძიმიდან ზეთიანი ბამბა ამოიღო და მომაკვდავს თვალებზე, ცხვირზე, ბაგეებსა და ხელ-ფეხზე სცხო მირონი.

განუტევა თუ არა სული დონ ხოსემ, წამსვე შეუდგნენ დიდგენილი სამგლოვიარო წესების შესრულებას. მიცვალებულს სახე შეულაშაზეს, ფრანცისკანელმა ბერებმა თავიანთი ორდენის სამოსელი ჩააცვეს, ოთახს, რომელშიაც გარდაიცვალა, შავი ქამბა გამოაყრეს. შეიტანეს სამი საკურთხეველი ძველი, ძვირფასი ჯვარცმებით, ალბეზისა და ვილიაბრანკების საგანძურებიდან. სარეცელის ორსავე მხარეს საკურთხეველებზე აანთეს ოქროს შანდლებში გრძელი სანთლები. ასე მედიდურად და პირქუშად განისვენებდა მიცვალებული დონ ზოსე ალვარეს დე ტოლედო, მეცამეტე ჰერცოგი ბერვიკი და ალბა, ნეთერთმეტე მარკიზი ვილიაბრანკა.

მობრძანდა ორივე ინდოეთის პატრიარქი. მეფემ თავის კარის კაპელის წევრები გამოგზავნა სულთათნას საგალობლად. წესის აგებას ესწრებოდნენ გარდაცვლილის ოჯახი, მეფე-დედოფლის წარმომადგენლები, უმაღლესი გრანდები, უახლოესი მეგობრები. მგალობლები და მუსიკოსები თავს არ ზოგავდნენ, გარდაცვლილი ხომ ხელოვნებით მათი თანამომე იყო. მაღალი სტუმრები გაშეშებული, უმოძრაო სახეებით იდგნენ წესის თანახმად. მუხლპოყრილ დონია მარია ანტონიას სახე თითქოს გაქვავებოდა. ორი ქალი ხმამაღლა მოთქვამდა. თუმცა ჩვეულება ამის ნებას არ იძლეოდა. ერთი იყო დონია მარია ტომასა. ის მაზლს ემეგობრებოდა და არაერთხელ, როცა ერთად უკრავდნენ, ყოფილა მოწმე იმისა, თუ როგორ ამოუხეთქავს ხოლმე ამ ღირსეული და თავდაჭერილი კაცის სულს. მეორე იყო პატარა, საბრალო ქენევიევა დე ავრე. ამ კვირეებში უნდა დატოვოს ეს სასტიკი ქვეყანა. აქ საშინელება განიცადა. მამის სურვილს დაემორჩილა და საფრანგეთის შრომანებისთვის დონ მანუელის მხეცურ ავხორცობას შეეწირა. ამ ნახევარკუნძულზე ბედნიერი

დღე ცოტა ჰქონდა, ასეთად თვლიდა იმ დღეებს, როცა ნებას მისცემდნენ ალერსიან და თავაზიან კაცთან ერთად დაეკრა, რომელიც ახლა აქ კუბოში იწვა.

მოგვიანებით შემოუშვეს ხალხი მიცვალებულთან გამოსათხოვებლად, და მთელი ღამის განმავლობაში სამ საკურთხეველზე კითხულობდნენ შესანდობარ მესებს.

შემდეგ მიცვალებული შავი ხავერდით გადაკრულ, ოქროს ლურსმნებით მოჭედით და ოქროსსირმიან კუბოში ჩაასვენეს. ეს კუბო ნატიფი ხელოვნებით გაკეთებულ ბრინჯაოს კუბოში მოათავსეს. ასე წაასვენეს ტოლედოში, რათა იქ. წესის თანახმად ჰერცოგ ალბების საგვარეულო აკლდამაში დაესვენებინათ.

ძველ კათედრალურ წმინდა ტაძარში მას ელოდნენ დიდი გრანდები, თითქმის მთელი შემადგენლობით, უამრავი სხვა გრანდი, აგრეთვე მეფისა და დედოფლის წარმომადგენლები და ბოლოს კარდინალი ტაძრის მთელი კაპიტულით.

ტაძრის შუაგულში აღმართული იყო უზარმაზარი კატაფალკი. მარჯვნივ და მარცხნივ ანათებდა ურიცხვსანთლიანი თორმეტი ვეება კანდელაბრი. იქ მოათავსეს კუბო. ისე საზეიმოდ და ბრწყინვალედ აუგეს წესი, როგორც მხოლოდ სახელმწიფოს პირველ გრანდს შეეფერებოდა. ზარები გუგუნებდნენ, ძველთაძველი ტაძარი ბრწყინავდა თერთმეტსაუკუნოვანი მშვენიერებით.

ბოლოს გახსნეს ტაძრის ჭკეშ აკლდამა და Don Iose Alba Villabranca დაასვენეს ალბების ჰერცოგთა წინაპართა გვერდით.

და კატანა ალბების მალაღ
ტიტულის მფლობელად ერთი რჩებოდა..
ღონ ბოსეს მმას კი
დიდი ზეიმით
გადასცეს ფარი ელიაბრანკას
უძველეს ღერძით. ამიერიდან
სწორედ ღონ ღვის მარიას ხალხში
საყოველთაოდ ეწოდება მარკიზ
ელიაბრანკა მეორევე და
ის მოიცილა რძლის — კატანას —
მიცვალებამდე. მერე კი, როგორც
მემკვიდრეს, ტიტულს დაუმშვენებდა —
„ჰერცოგი ალბა“.

ვილიაბრანკების სასახლეში უახლოესი ნათესავები ღებულობდნენ მოსასამძიმრებლად მოსულ მეგობრებსა და ნაცნობებს.

მოვიდა გოიაც. მოუსვლელობა დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა. მან ყური მოჰკრა, ალებები საზღვარგარეთ მიემგზავრებიანო. სჯეროდა, ეს კაეტანამ მოიფიქრა მხოლოდ მის დასარწმუნებლად, თითქოსდა გოია მისთვის აღარათერს წარმოადგენდა. შემდეგ ჰერცოგის მძიმე ავადმყოფობა შეიტყო. დაირხა ხმები, თითქოს ამ საქმეში მზაკვრობას ჰქონდა ადგილი. ეს, რა თქმა უნდა, სულელური მონაქორი იყო, ამაზე დაფიქრებაც კი არ ღირდა. მაგრამ ფრანსისკო თავის თავს ვერ მოერია: ამ შეუწელებელმა ხმებმა აღუძრა შიში, აღშფოთება და ამასთანავე ფარული სიხარულიც. იმ სულელური ჩხუბის შემდეგ კაეტანა აღარ ენახა, ისეთი აღგზნებული მივიდა ვილიაბრანკების სასახლეში, როგორც თავის დღეში არ ყოფილა.

დიდი დარბაზის სარკეებს და სურათებს ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. დაბალ სკამზე, ძაძებში ისხდნენ მგლოვიარენი. ისინი ოთხნი იყვნენ. მარკიზა, დონია კაეტანა, გარდაცვლილის ძმა—დონ ლუის მარია და მისი მეუღლე.

გოიამ ჩვეულების თანახმად, ჩუმად დაიკავა ადგილი. იჯდა უხმოდ და დინჯად, მაგრამ მის გულში სულის შემხუთველი ფიქრებისა და მღრღნელი გრძნობების ორომტრიალი იყო. ცხადია კაეტანას ბრალი არ მიუძღოდა ჰერცოგის სიკვდილში, ეს სულელური მონაქორია. თუმცა არა, არ არის სულელური. ხალხის ნათქვამში ყოველთვის უდევს სიმართლეს წილი. კაეტანას ხელი ერია ამ მოულოდნელ, სულის ამომხდელ ავადმყოფობაში. თუ დონ ხოსე მისი, გოიას გულისთვის მოკვდა, რა საშინელება! და რა ბედნიერება! „სისხლიანი ხელი და ჰკვიანი თავი წინაპრებისგან მემკვიდრეობით გადმოდის“, მოაგონდა ძველი ანდაზა. ახლა აქ, ამ ჩაბნელებულ დარბაზში, იგი შეიპყრო თვით ალებების გვარისადმი შიშისა და მიზიდულობის ნარევემა უცნაურმა გრძნობამ. ადგა, მივიდა ხანდაზმულ მარკიზასთან, თავი დახარა, მიყრუებული ხმით წარმოთქვა ჩვეულებრივი, თანაგრძნობის გამოსახატავი არაფრისმთქმელი სიტყვები. დონია მარია ანტონიას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყურადღებით უსმენდა, მაგრამ ამ ნიღაბს მიღმა მხატვრის გამჭირახი თვალი ხედავდა რაღაც გაქვავებულისა და გამომტერებულს, რაც წინათ არ ჩანდა ამ სახეზე. კიდევ

ერთი საშინელი რამ გახდა მისთვის ცხადი. მგლოვიარეთა სკამებზე ერთიმეორესთან დიდი-დიდი თითო მეტრით იქნებოდა დაშორებული, მაგრამ ეს პატარა მანძილი კაეტანასა და მარკიზას შორის სამყაროსა-ვით ვრცელი იყო. ამგვარი განუზომელი, უსიტყვო; ზრდილობიანი მტრობა იყო ამ ორ მანდილოსანს შორის.

შემდეგ გოია კაეტანასთან მივიდა და დიდის მოწიწებით დახარა თავი. ქალმა მისკენ იბრუნა სახე, გოიამ ის ზემოდან დაინახა: ძლიერ პატარა, თეთრად გადაფეთქილი ჩანდა შავი სამოსელიდან, შავი პირბადე შუბლიდან წარბებამდე ჰქონდა ჩამოწეული, საყულო ნიკაპამდე დახურული.

გოიას ბაგეები თანაგრძნობის დაკანონებულ სიტყვებს წარმოთქვამდნენ. გულში კი ფიქრობდა: „ო, შე კუდიანო, შე მკვლევო, შეჩვენებულო, დიდგვაროვანო, ყოველი კაცისთვის უბედურების მომტანო. შენ მოჰკალი ჩემი შვილი, რა დაგიშავა? შენ მოჰკალი შენი ქმარი, რა დაგიშავა? ვაი, რომ ხელში ჩაგივარდი. მაგრამ ახლა მთელს სიგრძე-სიგანით გაგიცანი და ახლა უკანასკნელად გხედავ. აღარასოდეს გიხილავ, აღარასოდეს დაგიბრუნდები. მე ასე მსურს, დავიფიცე, და უნდა შევეასრულო“. ამას ფიქრობდა, მაგრამ იცოდა, კაეტანას სიკვდილამდე ვერ მოსცილდებოდა. ამავე დროს, ზიზღსა და სასოწარკვეთილებასთან ერთად, მასში იღვიძებდა მხეცური, ბიწიერი, მოზეიმე სიხარული, რომ კაეტანას იცნობს არა მარტო ასეთს, აქ რომ ზის, მეხსიერებაში წარმოესახა ქალის პატარა, შიშველი, მის მკლავებში მთრთოლვარე სხეულის სურათი, წარმოიდგინა ეს ამაყი, მიუწვდომელი წარჩინებული ქალბატონი, როგორ დანებდება ხელახლა მის მკლავებს, როგორ დაკბენს ამ ამაყი სახის ტუჩებს, როგორ დადნება ეს ამაყი სახე, ეს დამცინავი ყალბი თვალეჭა მიიბნიდება და დაიხუჭება. ხელს არ გადაუსვამს, არ ეტყვის მოსაფერებელ, აღტაცებულ სიტყვებს და ისე დაეუფლება, როგორც უკანასკნელ მეძავს.

ამას ფიქრობდა და გრძნობდა გოია, ვიდრე გამოზომილ, თავმდაბლურ სამგლოვიარო და სანუგეშო სიტყვებს ამბობდა, მაგრამ მისი თვალეჭი მბრძანებლურად იძირებოდნენ კაეტანას თვალეჭში. რამდენი ადამიანის ხასიათი შეუსრუტავს და შეუნახავს ამ თვალეჭს. ეს გამომცდელი, დაკვირვებული თვალეჭი მოულოდნელად დასხმიანთავს მრავალ ადამიანს, რომელთაც თავისდაუნებურად გამოუჟღავ-

ნებიანთ თავიანთი არსი. ახლა მას უნდოდა დაენახა და გამოეკვლია, რა იღვარებოდა ამ სასტიკ, ნატიფ, ამაყ, ჭიუტ პატარა თავში.

კაეტანა მიშტერებოდა თავაზიანად, გულგრილად, როგორც ეს, ალბათ, დარბაზში მყოფთ მიაჩნდათ. მაგრამ სინამდვილეში მისი გადაფთქილი შუბლიც ფარავდა ველურ ფიქრებს, თვით მისთვისაც შეუცნობელს და გოიას მოსაზრებების მსგავსს.

აქამდე, როცა ეუფემია უამბობდა, როგორი ჭორები დარხეულიყო ხალხში ხოსეს გარდაცვალების გამო, კაეტანა ყურს არ ათხოვებდა. მაგრამ ახლა, როცა გოიას განზრახ დაშვებულ და გამომცდელ თვალებს შეხედა, მიხვდა, რომ ბრბოს გარდა, სხვებსაც დაუჭერებია ჭორები. ახლა სძაგდა ფრანსისკო და უხაროდა, რომ მან მკვლელად მიიჩნია. ზეიმობდა, რომ ფრანსისკო, მიუხედავად შიშისა და სიძულვილისა, ვერ სცილდებოდა მას. ამგვარი ფიქრებით შეპყრობილი გოიას მადლობას უხდიდა გაცვეთილი სიტყვებით თანაგრძნობისათვის.

გოია უმწეო ბოღმით აღსავსე გაეცალა იქაურობას. კაეტანას მიაწერდა მთელი ქვეყნის ბოროტებას, არწმუნებდა თავის თავს, რომ ეს სისულელეა, იცოდა, ყოველთვის ასე იფიქრებდა და თავისდა უნებურად გამოუტყდებოდა ქალს ამაში.

რამდენიმე დღის შემდეგ მის სახელოსნოში გამოცხადდა დონია ეუფემია და აუწყა, რომ ამ საღამოს კაეტანა აპირებდა მასთან მისვლას: გოია უნდა ცდილიყო არავინ შეხვედროდა ქალს გზაზე.

აღლეგებულმა ფრანსისკომ ძლივს მოახერხა პასუხის გაცემა. მტიცედ გადაწყვიტა კრინტი არ დაეძრა არც მათ შორის მომხდარ ამბავზე და არც დონ ხოსეს სიკვდილზე.

კაეტანა პირბადეჩამოფარებული მოვიდა. არც ერთს ხმა არ ამოუღია, არც კი მისალმებიან ერთიმეორეს. მოიხსნა პირბადე; წაუცხებელი შავგვრემანი სახე თბილი, ფერმკრთალი სიფითრით გაშუქებოდა. გოიამ მიიზიდა და ლოგინზე მიაწვინა.

შემდეგაც დიდხანს სდუმდნენ. გოიას აღარ ახსოვდა, რა უთხრა უკანასკნელი შეხვედრის დროს, მხოლოდ ის მოაგონდა ბუნდოვნად, რას ფიქრობდა იქ, ვილიაბრანკების სასახლის სამგლოვიარო დარბაზში. მაგრამ ერთი კი იცოდა: ყველაფერი სხვანაირად მოხდა და არა ისე, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა; ეს კი ძირითადად დამარცხებას

ნიშნავდა. მაგრამ რა სასიხარულო დამარცხება იყო, თავს მოქანცულად და ბედნიერად გრძნობდა.

კაეტანამ კი წუთების თუ საათების შემდეგ თქვა:

— წინასწარ ვიცოდი, რომ უსიამოვნება მომელოდა. იმ ღამეს, თეატრში რომ ვიყავით „მოტყუებულ მატყუარაზე“, ისევ გამომეცხადა ბრიგადა, ხომ გახსოვს ჩემი გარდაცვლილი მოახლე, და მიწინასწარმეტყველა, უსიამოვნება დაგატყდება თავსო. გარკვევით არაფერი უთქვამს, ბუნდოვნად დამამახსოვრდა. როცა სურვილი აქვს, წუძლია გარკვევით ილაპარაკოს, მაგრამ ხანდახან, ჩემს გასაჯავრებლად ბურუსში გამხვევს ხოლმე. ასე რომ, თავს დატეხილი უსიამოვნება ჩემთვის მოულოდნელი არ იყო — ლაპარაკობდა თავისი დაბალი, წკრიალა ხმით ძალიან სერიოზულად.

„უსიამოვნება!“ მათ შორის მომხდარი საშინელი ჩხუბი და ხოსეს გარდაცვალება მისთვის მხოლოდ „უსიამოვნება“ იყო. კაეტანა თავის თავს არაფერში ადანაშაულებდა, ყველაფერში ბედისწერას მიუძღოდა ბრალი. „უსიამოვნება!“ უეცრად კვლავ დაეუფლა ფრანსისკოს ის ბოროტი ფიქრები, რომელთაც მაშინ ვილიაბრანკების სასახლის სამგლოვიარო დარბაზში ქსელავდა კაეტანას ირგვლივ. თვალწინ წარმოუდგა კაეტანასაგან შორს მჯდომარე მოხუცი მარკიზა. თითქოს გრძნობდა კაეტანასგან გამომდინარე სისხლის სუნს. მაგრამ, ანსთანავე, გოია თავის თავს არწმუნებდა, ყოველივე ეს სისულელეა, ყოველგვარ ჭეშმარიტებას მოკლებულიო. მაგრამ დონია როსალიას სამიკიტნოდან გავრცელებული ხალხის მითქმა-მოთქმა მის გონებაზე ძლიერი აღმოჩნდა. „რაც უფრო ცუდს ფიქრობ თითოეულზე, მით უფრო მართალი ხარ“.

კაეტანამ განაგრძო:

— ეს უსიამოვნებანი კიდევ არ დამთავრებულა. ჩვენ ერთმეორეს იწვიათად უნდა შევხვდეთ, მე ახლა გაორკეცებული სიფრთხილდ მმართებს. აღამიანების ამბავს ვერ გაიგებ. ხან სიხარულით ეგებებიან ვინმეს, კაცმა არ იცის, რისთვის, ხან აძაგებენ და წყევლიან ვინმეს, კაცმა არ იცის, რისთვის.

„სისხლს გამომწეურება სურს, — გაიფიქრა გოიამ. — კაეტანამ, სურს თუ არა, ამაზე უნდა ილაპარაკოს. მაგრამ ამისი ნათქვამი არასოდეს არ მჯერა. რომ თქვას, ეს მე არ ჩამიდენიაო, არ დავუჯერებ“.

და რომ თქვას, ჩავდიხარ, არც იმას დაეუჯერებ. ქვეყანაზე არ მოიპოვება ამისთანა მატყუარა ქალი; თვითონაც არასოდეს არ იცის, რომელია ტყუილი და რომელი სიმართლე.“

— ეს შენც იცი და ხშირადაც გითქვამს, — განაგრძობდა კაეტანა მშვიდად და საქმიანად, — ბოროტი სულები გვისაფრდებიან ყოველ ნაბიჯზე და თუ ერთს ბედი გაუღიმებს — ყველანი ერთბაშად დაგვაცხრებიან თავსო. მე რომ ალბა არ ვიყო, შესაძლოა უწმინდეს ინკვიზიციას გავესამართლებინე, როგორც კუდიანი. განა შენ თვითონ არ მაფრთხილებდი ფრანჩო?

„კრინტი არ დასძრა, — უბრძანა თავის თავს გოიამ, — მე დავიფიცე“, — მაგრამ მაშინვე უთხრა:

— ჰკუთსთან ახლო იქნებოდა, თავიდან მოგეცილებინა შენი პერალი, როცა შენთან ექიმს ველარ დაინახავენ, მიტქმა-მოთქმასაც ბოლო მოელება.

კაეტანამ უკან დაიხია, წამოიწია, ნახევრად წამოწოლილი იჯდა იდაყვებზე დაყრდნობილი, შიშველი, შავი დალალების დაშლილ ტევარში და აკვირდებოდა გოიას. ისინი ახლახან იწვნენ ერთად სხეულით ერთურთს მიკრულნი, მაგრამ რა ხდებოდა ქალის არსებაში, ამის შესახებ გოიამ არაფერი იცოდა. ცხადია, მხატვარი მოითხოვდა მისგან, რომ ქალს თავი დამნაშავედ ეცნო. მაგრამ კაეტანა თავს იოტისოდენადაც არ გრძნობდა დამნაშავედ. თუ პერალმა, დონ ხოსეს მკურნალმა, რაიმე ჩაიღინა, მათი მოგზაურობის ხელის შესაშლელად, ეს მხოლოდ თავისთვის და არა კაეტანასთვის, ვინაიდან დონ ხოსე ამ უაზრო მოგზაურობით დიდი ხნით წაართმევდა ქალბატონის თავს. უფრო ადრეც. როცა მან, დონ ხოაკინმა, ლეიბექიმაღ დანიშვნაზე უარი თქვა, მაშინაც გარკვევით განაცხადა, რომ ეს თავისთვის მოიმოქმედა და არა კაეტანასთვის. ფრანსისკოზე ბევრად უკეთესად ესმოდა კაეტანასი დონ ხოაკინს და ბევრად უფრო ამაყიც იყო. კაეტანას არ სურდა ვინმესგან დავალებული ყოფილიყო, ვერ იტანდა ვალდებულებას, ეს ესმოდა ხოაკინს და თავის თავს ნებას არ მისცემდა თუნდაც ნართაულად ეგრძნობინებინა, რომ ამ უაზრო ხმებმა კიდევ უფრო მეტად დააახლოვა ისინი ერთიმეორეს. იგი გულგრილად უვლიდა გვერდს გარშემო მყოფთა უნამუსო ჩურჩულს და ბინძურ ცნობისმოყვარეობას.

1 გოიას უგულისყურობამ კაეტანას გული გაუტეხა, შეაშინა. ის

მხატვარია და, როგორც ასეთი, გრანდებს უნდა ეკუთვნოდეს და ეს კი თავს უმეტესად ზეცამდე ამალლებულად გრძნობს უბრალო ადამიანებთან შედარებით. მერე უეცრად ძირს ეშვება და ისეთივე უსულგულო და უხეში ხდება, როგორც მეჭორე. ნეტავ რას ფიქრობს იგი კაეტანაზე? თუ ეს ხოაკინმა მართლა ჩაიღინა, განა გაჭირვებაში მართო უნუგეშოდ უნდა მიატოვოს კაეტანამ? მან ფრანსისკოსგან ძლიერ შორს იგრძნო თავი. მაგრამ იმავე წუთში დასცინა თავის თავს. გოია მახო იყო, სწორედ ეს უყვარდა მასში, მახო ექვიანი უნდა იყოს, მახო უხეშია, როცა ექვიანობს.

— სამწუხაროა, ფრანჩო, რომ დონ ხოაკინი გეჭავრება. — მიმართა მან, — რამდენადაც ვიცი, მას არ სძულხარ; ის ჩემს ნაცნობებში ყველაზე უფრო ჰკვიანია. ამიტომ ჰგონია ინკვიზიციას, რომ ებრაული წარმომობისაა და თითქოს დღენიდაგ ხანჯალსა და საწამლავეებზე ფიქრობდეს. ნამდვილად ძალზე ჰკვიანია და გაბედულიც. სამწუხაროა, რომ გეჭავრება.

გოიას თავის თავზე ბრაზი მოსდიოდა. ისევ ყველაფერი გააფუჭა. კაეტანას არ უყვარს რჩევა-დარიგება, დროა ეს გაიგოს მან. კაეტანა ისე იქცევა, როგორც სურს, ელაპარაკება და ეტრფის, ვისაც სურს. მეტ სულელურს ველარაფერს მოიმოქმედებდა გოია, თუ მას პერალის ჩამოშორებას ურჩევდა.

ყოველ შემთხვევაში ახლა კამათს აზრი არ ჰქონდა და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთიმეორეს.

მახლობელ კვირებში კიდევ უფრო ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. არც თავიანთ დიდ ჩხუბს ახსენებდნენ და არც დონ ხოსეს სიკვდილს. სათქმელის უთქმელობა კიდევ უფრო სასტიკსა და საშიშს ხდიდა მათს მეგობრობას.

ამ ხანებში გოია ბევრს მუშაობდა. აგუსტინმა პირში მიახალა, ხელითა და თვალით მუშაობ და არა გონებითო. აგუსტინი ისევ გულჩათხრობილი და ფიცხი გახდა და ფრანსისკო ბოლმიანი გინებით პასუხობდა.

გულში კი აგუსტინს ეთანხმებოდა. ხშირად მტანჯველად წარმოუდგებოდა თვალწინ მოხუცი მარკიზას დაუმთავრებელი პორტრეტი. ვული მიუწევდა მის დასამთავრებლად.

მან გაიკითხა, ხომ არ ინებებდა დონია მარია ანტონია გამოენახა მცირეოდენი დრო, ორი-სამი სეანსისათვის პორტრეტის დასამთავრე-

ბლად? მარკიზამ თავის მმართველს მიაწერინა, რომ მახლობელ წლებში არ ექნება საამისო დრო. წერილს თან დართული ჰქონდა პორტრეტისათვის წინასწარ შეთანხმებული სრული თანხის ჩეკი.

ეს წერილი გოიასთვის სახეში სილის გაწვნას უდრიდა. მარკიზა არავითარ შემთხვევაში არ მიაყენებდა ასეთ შეურაცხყოფას. კაეტანას ღანაშაულში და გოიას თანამონაწილეობაში დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო.

კაეტანაც კი, რომელსაც თავის დაქვერ კარგად ეხერხებოდა, გაფითრდა, როცა გოიამ ეს ამბავი ამცნო.

რამდენიმე დღეში გამოცხადდა ის შეწირულებანი და საჩუქრები, რომელიც კაეტანა ალბამ მისი ქმრის გარდაცვალების შემდეგ გაერთიანებებსა და კერძო პირებს უბოძა, ექიმ დონ ხოაკინს წილად ხვდა რაფაელის „წმინდა ოჯახი“ ლირიას სასახლის გაღერეადან.

ყველა დროის მხატვართა შორის რაფაელ სანტის ესპანელები ყველაზე მაღლა აყენებდნენ და წმინდა ოჯახის სურათი მთელს იბერიის ნახევარკუნძულზე მიჩნეული იყო ხელოვნების საამაყო ნიმუშად. ერთ-ერთმა ჰერცოგმა ალბამ ნეაპოლის ვიცე-ხელმწიფედ ყოფნისას, ეს ძვირფასი სურათი ნოჩერადან წამოიღო და ამ ხნიდან მოყოლებული ჰერცოგ ალბებს თავიანთი კოლექციის თვალად მიაჩნდათ. რაფაელის მაღონა ალბების მანდილოსნების მფარველად ითვლებოდა. თუ კაეტანამ მართლა ასეთი მეფური საჩუქარი მიუწვდნა ექვინტანილ ექიმს, თითქოსდა გარდაცვლილი მეუღლის მოსაგონრად, მაშინ ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მთელი არსებით იცავდა ხოაკიანს. თუ ექიმი დამნაშავე იყო, მაშინ კაეტანაც დამნაშავე იყო.

— წყნარად იყავ! — უბრძანა თავის თავს გოიამ, როცა მიგელმა და აგუსტინმა კაეტანას ქმედობის ამბავი ამცნეს. იგრძნო, თუ როგორ უახლოვდებოდა საზარელი, ვეება. წითელი და შავი ტალღა დასაყრუებლად. ნებისყოფის მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა. ტალღა გოიასთან მიღწევამდე დაიშსებრა: ესმოდა, რასაც სხვები ლაპარაკობდნენ. თვალი მიაპყრო ატოჩის ღვთისმშობელს და პირჯვარი გაღაიწერა. წმინდა მფარველის გამჩუქებელმა ქალმა ზეციური რისხვა დაიმსახურა. აამხედრა თავის საწინააღმდეგოდ მარკიზა, დედოფალი, ინკვიზიცია და მთელი ქვეყანა. მის ნამოქმედართა შორის ეს იყო ყველაზე ქარაფშუტული, ყველაზე ქედმაღლური, ყველაზე სულელური, ყველაზე საოცარი.

გოიას გულზე მძიმედ შემოაწვა შიში კაეტანასა და თავისი თავის გამო. მხდალი როდია, გაბედულს უწოდებენ, მაგრამ იცის, რა არის შიში. მოაგონდა, როგორ ხშირად აკვირდებოდა ფარულად სამიკიტნოში ტორეადორ რომეროს და როგორ რწმუნდებოდა რაოდენი შიში ჰქონდა ამ ვაჟკაცს თვალებში, ბაგეთა ირგვლივ და სხეულის ყოველ ნაკვთში. რა ხშირად უხდებოდა თავისი შიშის დაძლევა. ხიფათი ყველას დარაჯობდა ყოველ კუთხეში, ყოველ ნაბიჯზე, კატა ჭამის დროს სულ აქეთ-იქით იტყირება, მტერი არ მომიახლოვდესო, კაცმა კატას უნდა მიბაძოს. ვინც ფხიზლად არაა — მისი საქმე წასულია.. შიში აუცილებელია, თუ ზედაპირზე გინდა დამაგრდე და თავდაყირა არ დაეშვა.

ასეა, მაგრამ კაეტანა იმ
სიმაღლეზეა დაბადებული,
სადაც ნებივრად და უზრუნველად
ცხოვრობენ სულმთლად თავისუფალნი
შიშისგან, რაიც ჩაგრავს და ლახავს
უვლას, ვისაც ვერ შეუღწევია
რჩეულთა წრეში
ახლა გოიას
წურდა ალბასი, რომ უყურებდა,
როგორ უშიშრად და უზრუნველად
ცხოვრობდა იგი. ეჩვენებოდა
თავისი გული ძლიერ ბეჩავად
და საცოდავად კაეტანას ლალ,
თავისუფალ და აწყვეტილ გულთან...
ღრმად და საზარლად ეგავრებოდა
და ვერ იტანდა ხოაკინ ჰერალს.
და იგი მიხვდა, რომ საუკუნოდ
გადასჯაქვოდა და უკრ შეიძებდა
თავი დაეხსნა ამ უცნაური
მედაკაცისგან.

შადრიდელები კაეტანა ალბას აქამდე საყვარელ, განებვირებულ ზავშვად თვლიდნენ; სადაც არ უნდა გამოჩენილიყო, თეატრში თუ ხარების ვიდილზე, სიხარულით ეგებებოდნენ, რადგან წარჩინებულ მანდილოსანს თავი მახასავით ეჭირა და ხალხს არ გაურბოდა. მაგრამ

ახლა, როცა რაფაელის მადონა, ეს ძვირფასი, წმინდა ხელოვნების ნიმუში, თავისი მეუღლის მკვლელს აჩუქა, დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა. ახლა უცხოდ ჩათვალეს, იტალიელად, ახლა გახდა წარჩინებული, რომელიც პრივილეგიებით სარგებლობს და ყოველგვარი უნამუსობის ნებას აძლევს თავს. საექვო აღარაფერი იყო, მისმა ექიმმა პერალმა საბრალო ახალგაზრდა ჰერცოგი შავი მაგიით გამოასალმა წუთისოფელს და ელოდებოდნენ, რომ ამ საქმეს წმინდა ინკვიზიციის ცეცხლით მოჰფენდა ნათელს.

— ვინ იფიქრებდა ამას დონია კაეტანაზე, chérie — ამბობდა დონ მანუელი, როცა პეპას კარტს ეთამაშებოდა, — ჩვენს მეგობარ ფრანსისკოსთვის ასე თავის შერცხვენა მეტისმეტია. *Ce n'est pas une bagatelle, ça*“.

პეპა თავის გულში აღტაცებული იყო კაეტანათი. მოსწონდა, რომ ამ ქალს განზრახ არ უნდოდა დაეფარა თავისი სიყვარული. თავის კარტებს დახედა. ოდნავ ჩაფიქრდა და ჩამოვიდა.

— მაგრამ, — თქვა მან, — ეს მანდილოსანი მაშინ მოიხვეჭს ჰემ-შარიტ დიდებას, როცა შედეგებსაც ღირსეულად აიტანს. ეფიქრობ, თქვენ ალბასა და ექიმის წინააღმდეგ აღძრავთ საქმეს.

მაგრამ ამ საქმის აღძვრას არც ფიქრობდა მანუელი. ეს სისულელე იქნებოდა: სხვა გრანდები უთუოდ ალბას დაუჰქერდნენ მხარს. ეს დონია მარია ლუიზას საქმე იყო, მიიღებდა თუ არა ზომებს თავისი მტრის წინააღმდეგ. მანუელს არ სურდა ამ საქმეში გარევა. ჩამოვიდა კარტს, განზრახ წააგო. პეპას პასუხი არ გასცა.

კაეტანაზე ფიქრი კი თავიდან არ შორდებოდა. რაფაელის სურათთან დაკავშირებული უტიფარი ყესტი ალბების გამოუთქმელი თვითნებობის ახალი საბუთი იყო. ამასთანავე, ახლა ნაკლები საფუძველი ჰქონდათ ასეთი ყოყოყური მოქმედებისათვის. ბედმა მწარე ხვედრი არგუნათ. კაცი, რომელმაც მანუელთან „შენობით“ ლაპარაკი არ ისურვა, ახლა მიწაში იწვა და დონია კაეტანას მდგომარეობაც არ იყო სახარბელო. იოლი როდი იყო სუნთქვა იმ სისხლის სუნში, რომელიც მის ირგვლივ იდგა. დონ მანუელს სურდა გაეგო, ისევ ისეთი შკაცრი, ენამწარე და ქედმაღალი თუ იყო კაეტანა.

სახვითი ხელოვნების მეცენატობა გრანდების პრივილეგიად და მოვალეობად ითვლებოდა და დიდი ბატონებისა და ქალბატონების საყვარელი საქმიანობა სურათების გაცვლა-გამოცვლა იყო. ამ საქმი-

ანობით განსაკუთრებით მგლოვიარობის დროს იყვნენ გართული. მოსაწყენი ცერემონიების თავიდან აცილების მიზნით.

მანუელი დონია კაეტანას ეახლა. ერთხელ კიდევ მიუსამძიმრა თავს ღამტყდარი უბედურების გამო. შემდეგ თავის სტუმრობის ნიშანზე გადავიდა. მისი საკუთარი კოლექციები თურმე ღარიბი ყოფილა იტალიელი მხატვრების ნაწარმოებებით, მისი მრჩეველები, დონ მიგელი და სამწუხაროდ ამჟამად აქ არ მყოფი აბატი დონ დიეგოც ამ შეხედულებისა იყვნენ. სამაგიეროდ იგი მდიდარია ესპანელი პირველხარისხოვანი მხატვრების ნაწარმოებებით. შესაძლოა ქალბატონს ენებებინა რომელიმე იტალიური სურათი გაეცვალა თუნდაც გრეკოსა ან ველასკესში. ფეხი ფეხზე გადადებული იჭდა მანუელი, ლამაზ ჩასუწებულ სახეზე წვრილი თვალები კაეტანას სინჯავდნენ უტიფარი, გამარჯვებული კმაყოფილებით თავიდან ფეხებამდე.

ალბამ უპასუხა, რომ სურათების „გაცვლა“ არ უყვარდა. თუმცა წაგებულა უთუოდ არ იქნებოდა, ვინაიდან ხელოვნებაში დიდად გაწაფული მეგობრები ჰყავს ლეიბჰკურნალი ექიმი პერალი და მეფის კარის მხატვარი ფრანსისკო დე გოია. მაგრამ არსებითად ის კოლექციონერი არ არის. სურათები უბრალოდ ახარებს მის თვალებს, და არც შეუძლია წარმოიდგინოს, როგორ შეიძლება „რჩევა“ მიიღოს, ვისგანაც არ უნდა გამომდინარეობდეს იგი.

— მაგრამ კმაყოფილი ვიქნებოდი, — დაასკვნა ალერსიანად, — ჩემი კოლექციიდან გამომეგზავნა თქვენთვის რომელიმე იტალიელი, და თუ ოდესმე თქვენი სამსახური დამპყირდებოდა, ნებას დაგრთავდით სამაგიერო გადაგეხადათ.

დონ მანუელმა თავი შეურაცხყოფილად ჩათვალა. კაეტანამ აგრძნობინა, რომ დაბალი წრიდან გამოსული მინისტრი ხელოვნების მფარველის როლში სასაცილო იყო და ისე ვერ იქცეოდა, როგორც გრანდს შეეფერებოდა. კაეტანა ქედმაღლურად ეპყრობოდა, თუმცა ჰკუასთან აქლო იქნებოდა მანუელის გული მოეგო. იქნებ საჭირო იყო ინკვიზიციისათვის ნიშანი მიეცა, რომ თუ ექიმ პერალის წინააღმდეგ აღიძრებოდა საქმე, მთავრობის მხრივ გზა ხსნილი იქნებოდა?

მანუელმა ვერც კი მოასწრო გადაწყვეტილების მიღება, რომ საქმე თავის თავად კეთილად წარიმართა.

დონ ხოსეს საეჭვო სიკვდილის შემდეგ, დონია მარია ლუიზა ფიქ-

რობდა, როგორ დაესაჯა ალბა და მასთან ერთად მისი მკურნალიც, რომელმაც ასე თავხედურად უარყო დედოფლის მიერ შეთავაზებულ სულგრძელი წინადადება. მაგრამ აკავებდა პოლიტიკური მოსაზრებანი. ინგლისთან ომის საქმე ცუდად მიდიოდა. საომარი საქირებებისათვის იძულებული იყო გრანდებისაგან სულ უფრო მეტი და მეტი თანხა მოეთხოვა. ასეთ ვითარებაში მაღალი წოდება გამოწვევად მიიღებდა, თუ დედოფალი ალბების რანგის მანდილოსნის წინააღმდეგ აღიმალლებდა ხმას. მაგრამ ახლა, როცა რაფაელის გასაჩუქებამ გრანდების აღფრთოება გამოიწვია, დედოფალს შეეძლო პროტესტების არ შეშინებოდა და თავხედისათვის კუთვნილი ადგილი მიეჩინა. დონია მარია ლუიზამ დაქვრივებული ალბა არანხუესში მიიპატიჟა, სადაც ამჟამად 'ეფის კარი იმყოფებოდა.

დედოფალმა კაეტანა თავის სამუშაო ოთახში წვილო. კედლები და სკამები თეთრი ქაშით იყო გადაკრული. საშინელი სიკვდილით ბოლომოდებულ ლუი XVI-ის ნაჩუქარი, სახელგანთქმული პლიუფინეს მიერ ივირფასი წითელი ხისგან ნაკეთები საწერი მაგიდა დიუბონმა ნატიფი ჩუქურთმით გაალამაზა. მეფემ თვითონ გაუკეთა შესანიშნავი საკეტი. ამ საწერ მაგიდასთან დაბრძანებულიყო მდიდრულ სანაფხულო სამოსში გამოწყობილი დედოფალი. მის პირდაპირ მძიმე შავებში — კაეტანა. ქალბატონები ჩაციებულ ლიმონათს მიირთმევდნენ.

— ერთხელ იძულებული გავხდი, ჩემო კარგო, — უთხრა მარია ლუიზამ, — გამეფრთხილებინეთ, რომ თქვენს საქციელს მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია. სამწუხაროდ, ჩემი დედობრივი დარიგება თქვენს ქარს გაატანეთ და ანგარიში არ გაუწიეთ, რა ხმებს დაარხედა ექილის მიმართ თქვენ მიერ გამოჩენილი დაუფიქრებელი გულუხეობა.

კაეტანა გულუბრყვილოდ გაოცებული შესცქეროდა დედოფალს სახეში.

— ცხადია, ყველაფერზე იოლი იყო, — განაგრძო მარია ლუიზამ, — გულდასმით გამორკვეულიყო ექიმ პერალის ვინაობა და საქმიანობა. მე თუ მეფეს ვთხოვე და გადავათქმევიანე ამ საქმის გამოკვლევა — მხოლოდ თქვენი გულისთვის, დონია კაეტანა. ან უკეთ რომ ვთქვა გულახდილად შინდა გოთხრათ — ეს ჩავიდინე თქვენთვის კი არა — მათთვის, ვინც თქვენს შემდეგ ატარებს ალბების გვარს.

— ერთი სიტყვაც არ მესმის, Madame — მიუგო კაეტანამ, — მაგრამ გავიგე მხოლოდ ის, რომ თქვენი რისხვა დამიმსახურებია.

დედოჯალმა ისე განაგრძო, თითქოს კაეტანას ერთი სიტყვაც არ ეთქვას:

— თქვენ, ჩემო კარგო, არ გსურთ, ან არ შეგიძლიათ ეს კეთილშობილი გვარი ისე დაიცვათ, როგორც გევალებათ. ამიტომაც იძულებული ვარ დავგეხმაროთ.

— მე არ გაზოვთ დახმარებას, თქვენო ბრწყინვალეებავ, — მიუგო ალბამ, — მე ის არ მსურს.

— თქვენ პასუხი ყოველთვის მზადა გაქვთ, დონია კაეტანა, — შეესიტყვა დედოჯალი, — მაგრამ მოგეხსენებათ უკანასკნელი სიტყვა მე მეკუთვნის. — ღიმონათის სასმისი განზე გადადგა და დაიწყო თამაში კალმით, ამ კალამს შეეძლო მისი სიტყვები ისეთ ბრძანებად ექცია, რომელთა წინააღმდეგ შესიტყვება აღარ შეიძლებოდა.

— მაშ ასე. გნებავთ თუ არა, უნდა დაგიცვათ ახალი ხმებისაგან. წინადადებას გაძლევეთ დროებით გაეცალეთ მაღრიდს, თქვენი სამგლოვიარო ვადის გასვლამდე. — განმარტა დედოჯალმა.

სამგლოვიარო ვადის გასვლამდე! იმ წუთიდან, როცა კაეტანა არანხუესში მიიწვიეს, იცოდა გააძევებდნენ. მაგრამ გაძევება თუ სამწელიწადს გავრჩელებოდა — რადგან ამდენი დრო იყო დაწესებული სამგლოვიაროდ პირველი რანგის გრანდის ქვრივისათვის — ეს კი აღარ ეგონა. სამი წელი უმადრიდო! სამი წელი უფრანსისკოდ!

დონია მარია ლუიზა საბედისწერო კალამს კვლავ ხელში ათამაშებდა და კაეტანას აკვირდებოდა; დედოჯალმა ოდნავ გახსნა ბაგე და გამოჩნდა ნბრწყინავი ბრილიანტები. კაეტანა წუთით აენთო, მაგრამ უმაღლე სძლია თავს; დედოჯალს არც კი შეეძლო მისი მღელვარების შემჩნევა.

— სამი კვირის ვადა გაქვთ, ჩემო კარგო, მოსამზადებლად — უთხრა ახლა დედოჯალმა. ისე დაატყბო გამარჯვებამ, რომ მისი ხმა მეგობრულადაც კი აქლერდა. ალბა გარეგნულად სავსებით დაწყნარებული ადგა, თავი დახარა, რვეერანსი გააკეთა და წარმოთქვა ფორმალური სიტყვები:

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეებავ მზრუნველობისათვის, — და, წესის თანახმად, კარგად მოვილილ, ჩაპუტკუნებულ, თითქმის ბავშვურ, ბეჭდებით შეჭედილ ხელზე ემთხვია.

კაეტანამ უამბო ფრანსისკოს, რაც მოხდა.

— ხომ ზედავთ, მე მართალი ვიყავი, — დაასკვნა მან ნაძალადევი

მხნეობით, — იტალიელი ქალი როდია ისეთი დიდბუნებოვანი, როგორაც თქვენ დახატეთ.

გოია გაოგნდა. კაეტანას აძევებენ! კაეტანას ასახლებენ მადრიდიდან! ეს მოვლენა ძირფესვიანად შეცვლიდა მის ცხოვრებას. კაეტანა, ცხადია, მოელოდა, რომ გოია გადასახლებაში გაჰყვებოდა. ძალზე მაცდუნებელი იყო მასთან ყოფნა ერთ-ერთ მის მამულში მეფის კარის ფუსფუსის გარეშე, მადრიდისა და ირგვლივ მრავალი ცნობის-მოყვარე თვალის გარეშე. მაგრამ ის მეფის მხატვარია, აკადემიის პრეზიდენტი, თუ საერთოდ შეუძლია მადრიდიდან წასვლა, ისიც სულ მცირე ხნით, გოია დაიბნა. მის აღრევას, ბედნიერებით წინასწარ ტკობას და მოვალეობის გრძნობას თან დაერთო ფარული სიამაყე. რომ საბოლოო ანგარიშში სწორედ ის შეიქრა ამ ზვიადი არისტოკრატი ქალის ცხოვრებაში.

ვერც კი მოასწრო გრძნობების თავის გართმევა, რომ კაეტანამ განაგრძო.

— ვფიქრობ, ერთი მხრივ კარგიცაა სავსებით დამოუკიდებლად ცხოვრება, ცოდნა იმისა, რომ მადრიდის ჰორები, ვიდრე შენამდგე მოაღწევდეს, დავიწყებულია.

ბოლოს გოიასაც უნდა ეთქვა რაიმე:

— სად უნდა წახვიდეთ? — იკითხა ბრიყვულად.

— ჭერჭერობით აქ ვრჩები, — მიუგო კაეტანამ და რადგან გოია გაშტერებული მისჩერებოდა, განმარტა: — მინდა ვაიძულო დედოფალი თავის კალამს მიმართოს. მეფური ბრძანება უნდა გამომოგზავნოს, როგორც კი Carta orden-ს მივიღებ, მაშინვე წავალ.

გოიამ გადაწყვეტილება მიიღო.

— შემძლია თან გეახლოთ, კაეტანა? — იკითხა უხერხულად თავისი გაბედულებით გაამაყებულმა. თან გლეხური ეშმაკობით იანგარიშა, რომ მისი ყურთნაკლებობა შვებულების მოთხოვნის საბაბს აძლევდა.

— რა თქმა უნდა, ჩემთან წამოხვალთ. — კმაყოფილებით წამოიძახა მან.

გოია ზეიმობდა:

— საუცხოოა. ეს კი აღარ უფიქრია მარია ლუიზას, რომ ჩვენ სამსახურს გვიწევდა.

მაგრამ მარია ლუიზამ იფიქრა ამაზე. გოიას შევებულების თხოვნას პასუხი გასცა პირველმა კამერპერმა, ბატონ აკადემიის პრეზიდენტს შევებულება უნდა გადაედო. მეფეს განუზრახავს მისთვის დიდი სურათის შეკვეთა. გოია მიწვეული იყო არანხუესში, სადაც მათი ბრწყინვალეებიანი ყველაფერზე დაწვრილებით მოელაპარაკებოდნენ.

რა გაიგონა ეს ალბამ, გაშრა.
გაფითრდა. „ა, ის უსირცხვო მძორი!“ —
წამოსცდა უცებ, მაგრამ მაშინვე
შავს დაეუფლა და თქვა: „კეთილი,
დაეხსენ, თუნდაც ერთი ან ორი
თვით ვერ მიხილო. ჩვენ მანც ერთად
ვიქნებით. ვაგლახ, ბედნიერებას
რა ძვირად უღირს ეს დრო. სასწრაფოდ
წადი. ძალიან უნდა ეცადო,
რომ დაამსგავსო პორტრეტი პატრონს,
ხალხი განცვიფრდეს — როგორ საოცრად
ჰგავს საკუთარ თავს აი, ეს მახა —
შავი ყორანი.

27

არანხუესში გოია პირდაპირ მეფეს მიჰგვარეს. მონარქი თავის ორ უმცროს შვილთან, მეფისწულ ფრანსისკო დე პაულასთან და მეფის ასულ მარია იზაბელასთან ერთად ბრძანდებოდა, სათამაშო გემს არხ ლა რიაზე აცურებდა და ამით თავს იქცევდა. ეტყობოდა, მეფეს უფრო დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა სათამაშო, ვიდრე ბავშვებს.

— შეხედეთ, დონ ფრანსისკო, — მიამახა მისკენ მომავალ მხატვარს, — ეს ჩემი ფრეგატი — „სანტისიმა ტრინიდადის“ ზუსტი ასლია. თვით ფრეგატი ახლა ალბათ სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში ცურავს, ფილიპინების კუნძულებთან. თუმცა, ახლანდელი საქმის ვითარების შესახებ აღარაფერი ისმის: ეს ინგლისელები თვით ეშმაკს დაუკავშირდნენ, სამაგიეროდ, აქ ჩვენ მამაცი ფრეგატის საქმე კარგად მიდის. ჩვენ იგი მთელი კუნძულის ირგვლივ შემოვაცურეთ, გავატარეთ ტახოსი და არხში, დარჩით ჩვენთან და ერთად ვითამაშოთ. — შესთავაზა გოიას.

ბოლოს, როცა ბავშვები შინ გაგზავნა, გოიასთან ერთად ბალებში გაისეირნა. მძიმედ მიაბიჯებდა ჩასუქებული მეფე, ნახევარი ნაბი-

ჯით უკან მიჰყვებოდა ფრანსისკო. ხეივნები თვალუწვდენელი იყო. წაღალი ხეების გადახლართული ტოტები განიერ, თალისმაგვარ ფოთლების სახურავს ქმნიდნენ, რომელშიაც მზის სხივები ძლივსა აღწევდნენ.

— ყური მიგდეთ, ჩემო ძვირფასო, აი რა განვიზრახე თქვენთვის, — უთხრა მეფემ, — ისე მოხდა, რომ ამ მშვენიერ მაისის თვეში ჩემმა ყველა საყვარელმა ადამიანმა მოიყარა თავი აქ, არანხუესში. ერთი იღუა დამებადა. ჩვენ უნდა დავგვხატო ერთად, დონ ფრანსისკო, ერთ სურათზე.

გოიას იმ დღეს კარგად ესმოდა და მის ბრწყინვალეებასაც ომახიანი ხმა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ეგონა სმენა ატყუებდა. ის, რაც ახლა მეფემ აუწყა და მისი სიტყვებიდან გამომდინარეობდა, განუმეორებელი, ზღაპრული ბედნიერება იყო, გოიას სურდა მაგრად ჩაეკიდა ზელი ამ იდეისათვის, ეწინოდა ჰაერში არ აორთქლებულიყო.

მეფეს იშვიათად აქვს სურვილი თავის ოჯახთან ერთად მოდელირებისა. სამეფო ტახტის ჩამომავლებს დიდი მოთმინება როდი სჩვევიათ, ერთმა რომ დრო იშოვოს, მეორეს არ ეცლება. მხოლოდ დიდად დაფასებულ მხატვრებს თუ შეუძლია ასეთი ჯგუფური სურათების დახატვა. მიგელ ვან ლოოდან მოყოლებული ეს ველარავინ შესძლო.

— მე ეს შემდეგნაირად მაქვს წარმოდგენილი, — განაგრძობდა დონ კარლოსი, — თქვენ დახატავთ მშვენიერ და ამასთანავე ღირსეულ ოჯახურ იდილიას, ვთქვათ, ისეთს, როგორიც ფილიპე მეოთხეს სურათზეა, სადაც პატარა მეფის ასული წყლიან ჰიქას ეპოტინება და პაწაწკინტელა ბიჭი ძალს წიხლს სთავაზობს. ან როგორც ჩემი პაპის, ფილიპე მეხუთეს, სურათზე არიან ყველანი ირგვლივ მყუდროდ ჩამომსხდარნი. მე, მაგალითად, შემიძლია ჩემი საათები შევადარო ერთმანეთს, ან ვიოლინოზე დაუკრა, დედოფალმა წიგნი იკითხოს, ხოლო უმცროსმა ბავშვებმა დაჰერობანა ითამაშონ; ყველა თავის საყვარელ საქმიანობას ეწეოდეს და მთლიანად კი სურათი ღირსეული გამოვიდეს. ხომ გამიგეთ, დონ ფრანსისკო?

დონ ფრანსისკომ გაიგო, მაგრამ ის სხვას ფიქრობდა. ჟანრული სურათი? არასოდეს! მაგრამ ფრთხილად იქცეოდა, არ უნდოდა ეს შესანიშნავი შესაძლებლობა ხელიდან გამოსცლოდა. თავმდაბლად მიუგო, რომ მადლობას მოახსენებს მეფეს ნდობის გამოცხადებისათ-

ვის და განსაკუთრებული მოწყალებისთვის. სთხოვს მეფეს ორი ან სამი დღის ვადას, შემდეგ მოახსენებს მის ბრწყინვალეებას თავის მოსაზრებას.

— კეთილი, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა კარლოსმა, — აჩქარება არასოდეს არ მიყვარს და მით უმეტეს არანხუესში, თუ რაიმეს მოიფიქრებთ, გვაცნობეთ მე და ღონია მარიას.

იმ და მომდევნო დღეებშიც საერთოდ კაცთმოყვარე გოია თავს არიდებდა საზოგადოებას. როცა ვინმე მიმართავდა, არ ესმოდა თუ არ სურდა გაეგონა; ფიქრებში ჩაძირული, ბედნიერებისაგან ჭკუას გადასული, დადიოდა ნათელ, საზეიმოდ მორთულ არანხუესის სასახლეში, დახეტილობდა შესანიშნავ ბაღებში, კალიე დე ალგამბრას და კალიე დე ლოს ემბახადორეს ფოთლოვან თაღებს ქვეშ, ხიდებსა და ბოგირებზე, მღვიმეებსა და შადრევნებს შორის...

რაღაც „მყუდრო იდილია!“ არა, მისმა ბრწყინვალეებამ უნდა უარყოს ეს აზრი. ვან ლოს „ფილიპე მეხუთის ოჯახი“, ფრიად ოსტატურად შესრულებული ჯგუფური პორტრეტი, იაფფასიანი წარმოდგენაა. სულელური, უხეირო ნამუშევარია, გოია ისე არ დაეცემა, რომ მსგავსი რამ შექმნას. ხოლო ველასკესის „სეფე-ქალები“, მისი „Meninas“ — ეს კი მესმის, ესპანურ მხატვრობას ამაზე დიდი არაფერი შეუქმნია და იგი აღტაცებულია ამ სურათით. მაგრამ გოიასათვის იგი მაინც უცხოა თავისი გაყინული მხიარულებით. როგორც ყოველთვის, არც ახლა უნდოდა გოიას გასთანაბრებოდა დიდ ველასკესს ანდა უმნიშვნელო ვან ლოსს. მხოლოდ თავის თავს უნდა გასთანაბრებოდა: მისი სურათი ფრანსისკო გოიას ნახელავი უნდა ყოფილიყო და არა სხვისი.

მეორე დღეს ბუნდოვნად და ძალზე შორეულად წარმოესახა გონებაში, რის გაკეთებაც ეწადა, მაგრამ მიახლოება ვერ გაბედა, რათა არ გამჭრალიყო ეს მოჩვენება. შორს მფრინავი, არამყარი ოცნების ხილვით ფიქრებში წასულმა და დამძიმებულმა ლოგინს მიაშურა, დაწვა და დაიძინა.

დილით გაიღვიძა თუ არა, გარკვევით იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა: ახლა ამას თვალნათლივ ხედავდა. ეახლა მეფეს, გააცნო თავისი მოსაზრება. უფრო მეტად მარია ლუიზას მიმართავდა, ვიდრე ღონ კარლოსს. თავმდაბლად მოახსენა, რომ კარგად მაშინ გამოუდიოდა კათოლიკე მბრძანებლები, როცა უფლება ეძლეოდა ხაზი გაესვა

იმ არაჩვეულებრივი ღირსებებისათვის, რომელსაც მათი აღმატებულიებანი თავიანთი შინაგანი არსიდან ასხივებდნენ. ემინოდა ხელოვნური ძალდაუტანებლობით არ შეექმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს უბრალო აზნაურის ან მოქალაქის ოჯახი დაეხატოს. ამიტომ უმორჩილესად სთხოვს მათ ბრწყინვალეობას ნება დართონ ოჯახის გათვალისწინებული სურათი რეპრეზენტატულად დახატოს. მეფის ოჯახის წევრები ისე უნდა გამოსახოს, როგორადაც ისინი ღმერთს შეუქმნია — მეფეებად და ინფანტებად. დაიხატოს უბრალოდ მთელი მათი ბრწყინვალეობით.

ღონ კარლოსს იმედი გაუტრუვდა. მისთვის ძნელი იყო უარეყო იდეა თავისი თავი ტილოზე არ ენახა ხელში საათებოთა და მაგიდაზე დადებული ვიოლინოთი. შესაძლოა არც ყოფილიყო მეფური ასე დახატვა, მაგრამ იმით იქნებოდა გამართლებული, რომ მონარქი შინაურ წრეში ოჯახის კაცია. მეორე მხრივ მხატვრის წინადადებას ხელახლა და უფრო ძლიერად აღუდგინა ოცნებანი, რომლებზედაც ბოლო ხანებში არაერთგზის უფიქრია. პარიზიდან ფარულმა ხმებმა მოაღწია თითქოს იქ როიალისტური შეთქმულება მზადდებოდა. მანუელმა ნართაულად ჩამოუგდო სიტყვა, რომ თუ ამ მოძრაობაში მოხერხებულად დაუქვრდნენ მხარს, ადვილი მოსალოდნელი იყო, ფრანგ ხალხს მისთვის, კარლოსისათვის, როგორც ბურბონთა მეთაურისათვის, საფრანგეთის გვირგვინი შეეთავაზებინა. „Yo el Rey de las Espanas y de la Francia“¹ ფიქრობდა იგი. თუ სურათზე თავისიანების შუაში გამოიჯიშება თავისი ახოვანი ტანით, სადღესასწაულო მუნდირით, ბაბთებითა და ორდენებით დამშვენებული და თუ დაყინებით მხოლოდ ამას იფიქრებს „Yo el Rey“-ო, მაშინ კარის მხატვარს შესაძლებლობა მიეცემა ეს გამოსხივება ტილოზე გადაიტანოს.

— თქვენი იდეა ცუდი არ არის, — უთხრა მხატვარს.

გოიამ შვებით ამოისუნთქა.

დედოფალს მაშინვე მოეწონა კარის მხატვრის სიტყვები, წარმოსადეგი ქალბატონი ბრძანდებოდა, ასედაც დახატა ის გოიამ ოფორტებში, თავისიანებს შორის კი დედოფალი ალბათ ორმაგად წარმო-

¹ მე ესპანეთისა და საფრანგეთის მეფე ვარ (ესპ.).

სადეგად გამოჩნდებოდა, მაგრამ ცოტა ხომ არ მოიუბრალოვდა. გოიას ჩანაფიქრი?

— როგორ გაქვთ ეს წარმოდგენილი, დონ ფრანსისკო? — ჰკითხა გულთბილად, მაგრამ დაეკვივებულად. — ყველანი ერთ მწკრივად? ერთფეროვანი ხომ არ იქნება? . . .

— თუ მოწყალებას მოიღებთ, სენიორა, და ნებას მომცემთ დავაზადო მონახაზები, იმედია კმაყოფილი დარჩებით.

შეთანხმდნენ, რომ ხვალ მეფე და მისიანები, ყველანი მორთულ-მოკაზმულნი, მწვანე გალერეაში შეიკრიბებოდნენ. იქ გადაწყდებოდა საბოლოოდ, როგორ დახატავდა ფრანსისკო „კარლოს მეოთხის ოჯახს“.

მეორე დღეს ესპანელი ბურბონების მთელი კრებული, დიდი და პატარა, მწვანე გალერეაში, გამოცხადდა; მედიდურ სეფექალს სათუთად ეკირა ხელში ძუძუთა მეფისწული, სურათში უთუოდ ისიც უნდა ყოფილიყო დახატული; მეფის ოჯახის წევრები ზოგი იჭდა, ზოგი იღვა მზით გაჩახჩახებულ დიდფანჯრებიან დარბაზში. ორი უმცროსი მეფისწული — თორმეტი წლის ისაბელი და ექვსი წლის ფრანსისკო დე პაულა დარბოდნენ. ყველანი საზეიმო ტანსაცმლით მორთულიყვნენ და დილის შუქზე არაჩვეულებრივი სანახაობა იყო. კედლების გასწვრივ მსახურები ჩამწკრივებულიყვნენ. ხმაური იყო და რალაც დაბნეულობაც იგრძნობოდა. ამგვარი ღონისძიება ცერემონიათა წიგნით გათვალისწინებული არ იყო.

სადავეები ღონია მარია ლუიზამ აიღო ხელში.

— თქვენს განკარგულებაში ვართ, დონ ფრანსისკო, — მიმართა მან, — აბა, ახლა კი ლამაზად გამოგვიყვანეთ.

გოია საქმეს შეუდგა. დედოფალი შუაში დააყენა, აქეთ-იქით კი — თორმეტი და ექვსი წლის უმცროსი მეფისწულები. მის მარცხნივ სულ წინა პლანზე, ახოვანი დონ კარლოსი დააყენა. ეს ჯგუფი თავისთავად კარგად გამოვიდა. მეორე ჯგუფიც იოლად შეიქმნა. მასში შედიოდა შეუძმჩნეველი, მაგრამ სანდომიანი მეფის ასული მარია ლუიზა თავის ძუძუთა ბავშვით, მხეველმა რომ მუხლმოყრით მიაწოდა, მას მარჯვნივ ეღვა მეუღლე, პარმის საჰერცოგოს მემკვიდრე, მალალი მამაკაცი, რომელიც მისთვის განკუთვნილ ადგილს მთლიანად ავსებდა. ცენტრალურ ჯგუფსა და მეორე ჯგუფს შორის უპირეტენზიო კავშირად იღვა მოხუცი ინფანტი დონ ანტონიო პასკუალი,

მეფის ძმა, ამ ძმებს შორის პირდაპირ სასაცილო მსგავსება იყო, მაყუ-
რებლიდან მარცხენა მხარე კარგად შეავსო სამმა დანარჩენმა ბურბონ-
მა: თექვსმეტი წლის ყმაწვილმა—ლამაზმა, მაგრამ არაფრისმთქმელსა-
ხიანმა ტახტის მემკვიდრემ ღონ ფერნანდომ, მისმა უმცროსმა ძმამ
ღონ კარლოსმა და მათმა მამიდამ, მეფის უფროსმა და საოცრად მა-
ხინჯმა დონია მარია ხოსეფამ. ეს იყო ბავშვური უბრალო კომპოზიცია
და გოია გრძნობდა, ამას უსუსურად ჩაუთვლიდნენ, მაგრამ სწორედ ეს
იყო ის, რაც მის მიზანს ესაჭიროებოდა. და უცებ:

— შეჩერდით, შეჩერდით, — ბრძანა მეფემ, — აქ ჩვენ გვაკლია
მეფის ორი ასული, — და განუმარტა გაოცებულ გოიას, — ჩემი
უფროსი ქალიშვილი, პორტუგალიის მმართველი პრინცესა და ნეა-
პოლელი ქალი, ტახტის მემკვიდრის მომავალი მეუღლე.

— როგორ მიბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, მათი აღმატე-
ბულებანი სურათებით დავხატო, თუ აღწერით?

— როგორც გნებოთ, ისე მოიქეცით, — მიუგო მეფემ, — მთავა-
რია. რომ დახატოთ ჩვენთან ერთად.

მაგრამ ახლა თავი წამოჰყო ასტურიის პრინცმა, ტახტის მემკვიდ-
რემ ღონ ფერნანდომ:

— არ მესმის, — თქვა მან ხრინწიანი, არათანაბარი ხმით, — რამ-
დენად მისაღებია ჩემი კუთხეში დგომა. ბოლოს და ბოლოს მე ასტუ-
რიის პრინცი ვარ, რატომ უნდა იდგეს პატარა — და მიუთითა ექვსი
წლისას, — შუაში და მე კი კუთხეში?

გოიამ მოთმინებით, მობოდიშებით მიმართა უფრო მეფეს, ვიდ-
რე პრინცს:

— ჩემი აზრით კომპოზიციის თვალსაზრისით, სასურველია, რომ
მის ბრწყინვალეობა მეფესა და მის ბრწყინვალეობა დედოფალს შორის
იდგეს უმცროსი მეფისწული და არა უფროსი, რათა მისი ბრწყინვა-
ლება მეფის სხეული უფრო მკაფიოდ გამოიჩინოდეს.

— არ მესმის, — ბრაზობდა ღონ ფერნანდო, — რატომ სათანა-
დოდ არ აფასებენ ჩემს ღირსებას?

— რადგანაც შენ გრძელი ხარ, — განუმარტა მეფემ.

მარია ლუიზამ კი მკაცრად უბრძანა:

— გაჩუმდით, ღონ ფერნანდო!

გოიამ ოდნავ უკან დაიხია და დააკვირდა ჩამწყვრივებულ ბურბო-
ნებს.

— უფლება მაქვს ვთხოვო თქვენს უბრწყინვალესობას და დანარჩენ სამეფო აღმატებულებებს, რომ სხვა დარბაზში გადაბრძანდეთ, ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა, — სინათლე მარცხენა მხრიდან მესაჭიროება, ძლიერი სინათლე, რომელიც ზემოდან მარცხნივ შემოდის და მარჯვნივ ქვევით ეშვება.

მარია ლუიზა მაშინვე მიხვდა, რაც ესაჭიროებოდა მხატვარს.

— გადავიდეთ „არიადნას დარბაზში“, — მისცა მან წინადადება, — მე მგონია იქ იპოვით, რაც გესაჭიროებათ დონ ფრანსისკო.

ხმაურითა და ბაკუნით აიშალა ბრწყინვალე ჯგუფი და გაუდგნენ სასახლის დარბაზებს. წინ მიუძღოდნენ ჩასუქებული მეფე და გამოპრანჭული დედოფალი. მათ მიჰყვებოდნენ მოხუცი, უშნო ინტანტები და ლამაზი პატარები, ბოლოს მიდიოდნენ სეფექალები და ჯარისკაცები. გაიარეს „არიადნას დარბაზისაკენ“ მიმავალი დარბაზები და დერეფნები. იქ შეიძლებოდა მიეღწია ფერთა შეხამებისათვის. მარცხნივ, ზემოდან ირიბად ეცემოდა ისეთი ძლიერი სინათლე, როგორც გოიას ესაჭიროებოდა; კედლებზე ვეება მითოლოგიური შინაარსის მქონე სურათები ბინდში იძირებოდნენ.

აქ დადგნენ მეფე-დედოფალი და პრინცები, მათ წინ კი — მხატვარი. გოიამ გადახედა მეფის ოჯახს, მისი თვალები დაუტყბრომელი წყურვილით იზიდავდნენ, ისრუტავდნენ მათ. დიდხანს დაძაბულად, კრიტიკულად გამჭრიახი, მახვილი თვალით უყურებდა მათ პირდაპირ სახეში. დარბაზში სიჩუმე იდგა. მეფის ამაღლას მიაჩნდა, რომ, რაც აქ ხდებოდა, სახელდობრ ის, რომ ქვეშევრდომი მეფეს და მის ოჯახს ასე პირდაპირ მისჩერებოდა — იყო უზრდელობა, თავხედობა, აღმაშფოთებელი რამ და ამის ნება არავის ჰქონდა. გარდა ამისა, თვითონაც ვერ იტყოდა გოია — რატომ ეცვა ამჭერად, თავისი ჩვეულებას საწინააღმდეგოდ, სამუშაო ზალათი.

ახლა კი ესეც დაუმატა:

— კიდევ ორი სათხოვარი მაქვს. მის აღმატებულება უმცროს მეფისწულს რომ პრიალა წითელი ტანსაცმელი ეცვას, თქვენი მეფური ბრწყინვალეებისა და მათი მეფური აღმატებულებისთვისაც უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. გარდა ამისა, კარგი იქნებოდა მის აღმატებულება ბატონ ტახტის მემკვიდრეს ეცვას წითელი კი არა, ცისფერი.

... — ეს წითელი ჩემი გენერლის მუნდირის ფერია, — წამოიძახა ფერ-
ნანდომ. — ეს ჩემი საყვარელი ფერია.

... — შენ ცისფერს ჩაიცვამ, — ცივად უთხრა დედოფალმა.

დონ კარლოსმა დასამშვიდებლად უთხრა:

— სამაგიეროდ თუ დონ ფრანსისკოს არაფერი აქვს - საწინააღმ-
დეგო. შეგიძლია ორდენები და ბაბთები დაიკიდო და ამასთან ოქროს
გერძის ორდენიც.

— თქვენო მეფურო აღმატებულებავ, ტახტის მემკვიდრეე, ძლიერ
სინათლეში იქნებით მოქცეული და თქვენი ორდენები და ბაბთები არა-
ჩვეულებრივად გაბზწყინდება, — დააწყენარა გოიამ.

... ესკიზი სწრაფად დამზადდა. შემდეგ მხატვარმა განაცხადა, რომ
ბატონებს. თითოეულს ცალკე, ან რომელიმე ჯგუფს, კიდევ ორიოდ
მოდელირებას სთხოვდა, ყველანი ერთად კი ერთხელ დასჭირდებო-
და უქანასკნელად საღებავებით შესრულებული დიდი ეტიუდისათვის.

— თანახმა ვართ, — ბრძანა მეფემ.

იმ ღამეს გოიას კარგად არ სძინებია. არა, ის ვან ლოოსავეთ გა-
მოგონილს არ დახატავს და არავის არ უნდა შეეძლოს თქვას, რომ
რის უფლებაც ველასკესს ჰქონდა, გოიას არა აქვს მისი ნება. „ველასკე-
სი დიდია, მაგრამ მკვდარია, — ფიქრობდა თითქმის სიხარულით, — ან-
ლა სხვა დროა. მეც როდი ვარ პატარა და ცოცხალი ვარ“. და გულ-
ში გახარებულმა სიბნელეში ნათლად დაინახა, რა უნდა დაეხატა.
დაუმორჩილებელ საღებავებს მოათვინიერებს, ერთად შეახამებს,
ხედავდა მოლივლივე და მოლიცილივე ანარეკლს და ამ ფანატიკურ
ელვარებაში სასტიკ, გაშიშვლებულ, გამოკვეთილ სახეებს.

ვიდრე ფრანსისკო ცალკეული მონახაზების დამზადებას შეუდგე-
ბოდა, მეფის ინტენდანტთან — მარკიზ დე არისასთან მიიწვიეს. მას,
მარკიზთან ერთად, იქ დახვდა მეფის საქურჭლეთუხუცესი დონ რო-
დრიგო სოლერი.

— ბატონო კარის მხატვარო, ზოგი რამ უნდა გაცნობოთ, — მარ-
კიზი თავაზიანად ლაპარაკობდა, მაგრამ სადღაც სივრცეს მისჩერებო-
და და ფრანსისკოს არ უყურებდა, — მართალია, ნეაპოლელი სეფე-
ქალი დონია მარია ანტონია მისი აღმატებულება მეფისწულის ტახტის
მემკვიდრის, დონ ფერნანდოს, საცოლედ შეიძლება ჩაითვალოს, მა-
გრამ მაღალ მხარეთა შორის მოლაპარაკება საბოლოოდ დამთავრე-

ბული არ არის და შესაძლებელია საქმის შემობრუნება. ამიტომ ბატონ კარის მხატვარს წინადადებას აძლევენ მისი აღმატებულება საცოლე გაურკვეველად დახატოს, ანონიმური სახით, რადგან კარის მხატვრის მიერ შექმნილი ქალბატონი შესაძლოა სხვა წარჩინებულმა მანდილოსანმა შეცვალოს. მიმიხვდა ბატონი კარის მხატვარი?

— დიხ, თქვენო ბრწყინვალეებავ, — მიუგო გოიამ.

— გარდა ამისა, — განაგრძო მარკიზმა დე არისამ, — ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ დასახატავ სამეფო საგვარეულო პიროვნებათა რიცხვი ცამეტს შეადგენს, თუ მივათვლით პარმის ტახტის მომავალ მემკვიდრეს, მხედველობაში მყავს ბუძუთა ბავშვი და მათ აღმატებულებას, ამჟამად აქ არ მყოფი მეფის ასულს. ცხადია, იქ დახატული მაღალი პიროვნებანი ყოველგვარ ცრუმორწმუნეობაზე ძალა დგანან, მაგრამ ეს არ ითქმის სურათის ყოველ მაყურებელზე. ამის გამო სასურველია, რომ ბატონი კარის მხატვარი, როგორც ეს მსგავს სურათებშიც არის აღბეჭდილი, თვითონაც დაიხატებოდეს, რა თქმა უნდა, ოდნავ მიშალულად. გამიგო კარის მხატვარმა?

გოიამ მშრალად მიუგო:

— ეფიქრობ, რომ კი, თქვენო ბრწყინვალეებავ, ნაბრძანებია, რომ მე მიჩრდილულად დავიხატო.

— მაღლობას მოგახსენებთ, ბატონო კარის მხატვარო, — შეაგება მარკიზმა, — ბატონმა კარის მხატვარმა გამიგო.

გოიას გონება დაძაბულად მუშაობდა. იგონებდა, როგორ ჩახატა ველასკესმა თავისი თავი „მეფის ოჯახში“, თავისთავად ცხადია, დიდად თავმდაბლად, მაგრამ მიჩრდილულად კი არა და შემდეგ მეფე ფილიპემ საკუთარი ხელით მიახატა დახატულ ველასკესს მკერდზე სანტ იაგოს ჯვარი. ფრანსისკო კი თავის თავს ჩრდილში დახატავს, მაგრამ იქაც გარკვევით შესამჩნევი იქნება და თავისი მეფე უხვად დააჯილდოებს, შესაძლოა უფრო ნაკლებად, ვიდრე დონ ფილიპემ — ვილასკესი, მაგრამ საბოლოოდ პირველ მხატვრად მაინც დანიშნავს — მას შემდეგ, რაც ასეთი დიდი და ძნელი შეკვეთა მისცა, ეს საექვო აღაჯა — გოია თავის ტიტულს დაიმსახურებს.

— მოსალაპარაკებელი დაგვრჩა კიდევ ჰონორარის საკითხი, — დაეჯიანად უთხრა დონ როდრიგო სოლერმა, მეფის ხაზინადარმა. ფრანსისკოს ტვინში ხელად ამუშავდა გლახური ანგარიშიანობა და

გადაწყვიტა კარგად მოესმინა. ხანდახან, მსგავს შემთხვევაში, მეტად მცირე ჰონორარს სთავაზობდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მხატვარს შეეკეთა პატივისცემად უნდა მიეღო.

— თავდაპირველად მეგონა, — ფრთხილად დაიწყო გოიამ, — მოსამზადებელ მუშაობას სახელდახელოდ გამზადებული ცალკეულ აღმატებულ პირთა ესკიზები ეყოფოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საკირო იქნება ცალკეულ პორტრეტთა ზედმიწევნით შესრულება. ასე რომ. გამოვა ოთხი მცირე ჭგუფური და ათი ცალკეული პორტრეტი.

მარკიზი დე არისა უსიტყვოდ, ქედმაღლური მიუკარებლობით იდგა.

— გადაწყვეტილია, თქვენი ჰონორარი დახარჯული დროით არ განისაზღვროს. თქვენი ნაწარმოები შეფასებულ იქნება იქ დახატულ მაღალ პიროვნებათა რიცხვის შესაბამისად. თქვენ მოგცემთ მათი უბრწყინვალესობებისა და მათი მაღალშობილი ბავშვებისათვის სულზე 2000 რეალს, დანარჩენი ოჯახის წევრებისათვის კი — 1000 — 1000 რეალს.

გოიამ გაიფიქრა, ნეტავ თუ მომცემენ იქ არმყოფი მეფის ასულებისა და ძუძუთა ბავშვის დახატვის საფასურსო, მაგრამ არაფერი თქვა.

გულში გაელიმა. ამ საფასურს ცუდი არავითარ შემთხვევაში არ ეთქმოდა. ფასს მაშინ აუწევდა, როცა შემკვეთი ხელების მიხატვასაც მოსთხოვდა. ამჯერად ხელებზე არაფერი თქმულა. გოიას განზრახული არ ჰქონდა ბევრის დახატვა, დიდი-დიდი ოთხიდან ექვსამდე. არა, ჰონორარი სავსებით საკმარისია, თუნდაც მარტო ათი სულისთვის რომ აენაზღაურებინათ.

„არიადნას დარბაზში“ სახელდახელოდ აგებულ სახელოსნოში იმავე დღეს შეუდგა მუშაობას.

აქ საშუალება ეძლეოდა თითოეული მოდელი ისე დაეყენებინა სინათლის შუქზე, როგორც საერთო სურათში უნდა ყოფილიყო მოთავსებული. ყველა ესკიზი ყოველი წვრილმანით ამოხატა. პარმის მემკვიდრე პრინცი დონ ლუისი, ღირსეული ახალგაზრდა, კარგი შესახედავი, ოდნავ მოსულელო გამოიყვანა. შეუმჩნეველი მეფის ასული მარია ლუიზა, თავისი ჩვილი ბავშვით, სათნოდ, ლამაზად გამოსახა. დახატა მეფის და, ხანდაზმული მარია ხოსეფა. თუმცა

გადაწყვეტილი იყო, მისი სახე მთელი ტანით აღმართულ ტახტის შემკვიდრესა და მის ანონიმურ მაღალ საცოლეს შორის უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ გოიამ მის დახატვას მთელი ორი დღია მოანდომა. ისე მოაჯადოვა ხანდაზმული მეფის დის შიშის მომგვრელმა სიმახინჯემ.

დიდად სასურველი მოდელი იყო თვით მეფე. გაქიმული იდგა და მუცელი და მკერდი წინ გამოეშვირა, რომელზედაც კარლოსის ორდენის მოციხფრო თეთრი ბაბთი ულივლივებდა, ბრწყინავდა ქრისტეს პორტუგალიური ორდენის წითელი ბაბთი, ბრჭყვიალებდა ოქროს ვერძი; წაბლისფერ-მოყავისფრო ხავერდზე მკრთალად ანათებდა ნაცრისფერი გასაწყობი. ბრწყინავდა მახვილის ვადა. ამ სიმდიდრის მატარებელი კი იდგა მტკიცედ, ღირსეულად და ამაყობდა, რომ ნიკრისის ქარის მიუხედავად, შეეძლო ფეხზე დიდხანს დგომა.

თუ მეფეს დგომა და მოდელირება ჰგვრიდა სიამოვნებას, არანაკლებ ერთობოდა მცირე შესვენების დროსაც. მაშინვე მოიხსნიდა დაშნას, ხანდახან ორდენებითა და ბაბთებით შემკულ მძიმე ხავერდის ქამხასაც გაიხდიდა, მოიკალათებდა სავარძელში, სიყვარულით ადარებდა თავის საათებს ერთიმეორეს, თავს ირთობდა ნადირობაზე, სოფლის მეურნეობასა, ბავშვებსა და ყოველდღიურობაზე საუბრით.

— სურათზე თქვენც უნდა ჩანდეთ, დონ ფრანსისკო, — აღერსიანად მიმართა ერთ დღეს გოიას; აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი მხატვარი და სათანადოდ შეაფასა, — წარმოსადეგი ვაუკაცი ხართ. რა იქნება ცოტა წავიქიდაოთ? — შესთავაზა უეცრად გამოცოცხლებულმა მეფემ, — მე თქვენზე ბევრად უფროსი ვარ, ამასთანავე, ბევრად უფრო მაგარი აგებულებისაც, მაგრამ ხნიერი ვარ და ნიკრისის ქართაც დაავადებული. გამასინჯეთ თქვენი კუნთები, — უბრძანა მან და გოია იძულებული გახდა მკლავი გაეშიშვლებინა.

— ჩინებულია, — მოიწონა; — ახლა კი ჩემი გასინჯეთ.

გოიამ ბრძანება შეასრულა.

— დიდებულია, თქვენო ბრწყინვალეზე, — მოახსენა მან.

დონ კარლოსი ერთბაშად დაეძგერა. თავდასხმისათვის მოუშზადებელი გოია თავს გაცხარებით იცავდა. მანოლერიაში რამდენჯერმე უჩხუბნია მახრებთან ხუმრობითაც და სერიოზულადაც. აქოშინებულმა კარლოსმა ნებადაურთველ იღეთებს მიმართა. ამით გაგულისებულმა

გოიამ დაივიწყა. რომ პირველ მხატვრად უნდოდა გამხდარიყო და როგორც ჭეშმარიტმა მახომ მწარედ უჩქმიტა მეფეს მარცხენა წვივის შიდა მხარეს.

— აუ, — წამოიყვირა გამწარებულმა დონ კარლოსმა.

ფრანსისკო გონს მოეგო და თვითონაც აქოშინებულმა მოახსენა:

— უმორჩილესად გთხოვთ პატიებას.

დონ კარლოსს მაინც დასჭირდა ჯაფის გაწევა. ვიდრე გოია დანებდებოდა და მკერდზე მუხლს დაადგმევინებდა.

— ყოჩაღ! — უთხრა კარლოსმა.

ფრანსისკოს საერთოდ მოწყალე თვალთ უყურებდა. არანხუესში მეფე თავს განსაკუთრებით ლალად გრძნობდა: ხშირად იმეორებდა ანდაზას: „ღმერთი რომ ღმერთი არ ყოფილიყო, ესპანეთის მეფობას შორსურებდა ფრანგი მზარეულითურთო“. დონ კარლოსი შესანიშნავ გუნებაზე იყო და სურდა ეს ფრანსისკოსაც გადასდებოდა, რითაც ხელს უშლიდა მუშაობაში. დაჰყავდა ფრანსისკო დაუმთავრებელ „კასა დე ლაბარდოს“ მიდამოებში, თავის „გლახის ქოხში“, მდიდრულ სასახლეში, რომელიც პარკში ააშენებინა და ჰპირდებოდა, აქ ბევრი სამუშაო გელისო. ხშირად სანადიროდაც თან დაჰყავდა. ერთხელ დიდ მუსიკალურ სალონში მიიწვია, რომლის ნატიფ, ჩინურ ნაგებობაში კარლოსი მეტად ტლანქი ჩანდა და იქ გოიასთვის ვიოლინოზე დაუკრა.

— მატყობ თუ არა წინსვლას? — ჰკითხა მან, — მართალია, ჩემს ორკესტრში უკეთესი მევიოლინეები მყავს, მაგრამ გრანდებში, რაც ჩვენი ძვირფასი ალბა უდროოდ გამოეცალმა წუთისოფელს, ყველაზე უკეთესი მუსიკოსი მე ვარ.

დასახატავ პირთა შორის ერთადერთი უკმაყოფილო ჰყავდა გოიას — ტახტის მემკვიდრე დონ ფერნანდო. ფრანსისკო განსაკუთრებულ თავაზიანობას იჩენდა თექვსმეტი წლის ყმაწვილისადმი და არაფერს იმურებდა მისი გულის მოსაგებად. მაგრამ, თავნება, ყოყოჩი ფერნანდო ჭიუტობდა. იცოდა, გოია მშვიდობის თავადის მეგობარი იყო და ის კი სძულდა. მხეველების, აღმზრდელი ქალების, სეფექალების მეოხებით ნადრეველ სქესობრივ სიტკბოებას ნაგემებმა პატარა მეფისწულმა ადრე გაიგო, რომ დონ მანუელი დედამისის საყვარელი იყო და მას ცნობისმოყვარეობით, შურითა და ეჭვით უთვალთვალებდა: ერთხელ, როცა პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილმა თერთმეტი წლის

ფერნანდომ პატარა დაშნას თავი ვერ გაართვა, დონ მანუელმა რჩევა მისცა ქედმაღლურად და არა ისე, როგორც ქვეშევრდომს შეეფერებოდა. ახლა კი იმ დონ მანუელის მეგობარს დასახატავად უნდა დაუდგეს ქამხაში გამოწყობილი, რომლის ფერიც არ მოუწონა და იმდენად გათავხედებულია მხატვარი, რომ მის, ტახტის მეპყვიდრის წინაშე მუშის ხალათით დგომას ბედავს.

სამაგიეროდ, დონია მარია ლუიზა იყო იოლი დასაყოლებელი მოდელი. გოიას სურვილისამებრ ხან მარტო დაღვებოდა პოზაში, ხან ბავშვებთან და ხან ერთ რომელიმე ბავშვთან.

ბოლოს საქმე ისე კარგად წარიმართა, რომ გოიას შეეძლო მბრძანებლებისათვის თავმდაბლად ეთხოვა ერთხელ კიდევ შეკრებილიყვნენ „არიადნას დარბაზში“ სამოდელიროდ საღებავებით შესრულებული დიდი ესკიზისათვის.

აი, უკვე. აქ დგანან. გოია აკვირდება მათ და ხედავს: აი ის, ერთი-შეორის საწინააღმდეგო ფერების შეხამება, რაზედაც ოცნებობდა, მდიდრული, ახლებური და მნიშვნელოვანი. ცალკეული მთლიანს ექვემდებარება, მთლიანი კი ყოველ ცალკეულში ისხამს ხორცს. კონტრასტული ფერები ერთმანეთს ერწყმის, მარცხენა მხარეს წითელი და ოქროსფერი ლივლივებს, მარჯვნივ კი—ცისფერი და ვარდისფერი. ყოველ შუქს მსუბუქი ჩრდილი ახლავს, ყოველ ჩრდილს ნათელი. ამ პრწყინვალებაში იდგნენ ნიღაბახდილი, სასტიკი, გარკვევით გამოკვეთილი, არაჩვეულებრივად ჩვეულებრივი სახეები.

ეს არ იყო გონებიდან გამომდინარე, ამის სიტყვებით გადმოცემა არ შეიძლებოდა, გოიამ მხოლოდ შეგრძნებით გადმოსცა ის

გოია აკვირდებოდა მათ შეუპოვრად, მახვილი თვალით, დიდხანს, ნებადაურთველად. ისე რომ. ამჯერად მეფის ამაღა ნამდვილად აღწეოთდა. მათ წინაშე დგას ეს კაცი, ეს უბრალო ქვეშევრდომი, ჭუჭყიანი ხალათით და მის წინ კი მორთულ-მოკაზმული მეფეები და პრინცები, და ისე ათვალიერებს მათ. როგორც გენერალი პარადზე გამოსულ ჯარისკაცებს. ეს ხომ ნამდვილი ამბოხებაა. ასეთი რამ საფრანგეთის რევოლუციამდე არც შეიძლება მომხდარიყო. რად აძლევენ ამის ნებას ბურბონები?

ფრანსისკო გაცხარებით შეუდგა ხატვას. ხატავდა დიდხანს. ხან-

დაზმული მეფის და მარია ხოსეფა ჩივილს მოჰყვა, რომ აღარ შეუძლია ფეხზე დგომა; კარლოსმა შეასმინა, რაკი მეფის ასული ხარ, ერთი ბეწო მოთმინებაც უნდა გქონდესო. გოიას არაფერი ესმოდა, ისე იყო მუშაობით გართული.

ბოლოს პაუზა გააკეთა. ყველას განძრევის საშუალება მიეცა და წასვლა დააპირეს, მაგრამ:

— კიდევ ოცი წუთი! — სთხოვა გოიამ და რადგან უკმაყოფილო სახეები შეამჩნია, ვედრება დაუწყო: — კიდევ მხოლოდ ოცი წუთი! მეტად არასოდეს აღარ დამჭირდება თქვენი შეწუხება.

დამეორჩილნენ. გოია ხატავდა. სიჩუმე იყო, მხოლოდ ფანჯრის მიწას ეხეთქებოდა დიდი ბუზი. ბოლოს გოიამ თქვა:

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, გმადლობთ თქვენო ბრწყინვალეებავ, მადლობას მოგახსენებთ, თქვენო მეფურო უდიდებულესობავ.

როცა მარტო დარჩა, დიდხანს იჯდა გასავათებული და ბედნიერი. რასაც ადრე ოცნებით ხედავდა, ახლა ფრთები შეასხა და ამის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა.

მერე ერთბაშად საშინლად მოსწყურდა კაეტანას დანახვა. ამ გრძნობის სიძლიერის მიხედვით, გოია მიხვდა, რა ენერგიად დაუჭდა მთელი ამ ხნის განმავლობაში მასზე ფიქრების თავიდან მოცილება.

კქუასთან ახლოს და ერთადერთი გონივრული საქციელი იქნებოდა, თუ აქ, არანხუესში, დარჩებოდა და მუშაობას განაგრძობდა. მაგრამ იგი შეეკითხა თავის თავს:

— ისევ მადრიდში იქნება იგი? ან ნეტავ რამდენ ხანს დარჩება იქ?

მადრიდს წერილი გაგზავნა. წერდა ის კაეტანას, რომ ხვალვე, დილით დაბრუნდებოდა. რჩებოდა ახლა, რამე ეშმაკურ მიზეზისათვის მიეგნო, რითაც გაამართლებდა ამ ნაუცბათვე წასვლას მადრიდში — დედოფლისა და მეფის წინაშე... ვთქვათ... — სამუშაოს დამთავრებისთვის ეუცილებლად სჭირდება წასვლა, ორი-სამი დღით. მაგრამ გოია

რაც შეიძლება სულელურად და
მთლად განუხელოდ მოიქცა. სწრაფად
გადმოაღა ეტიუდები
და ესკიზები შეკრა გრაგნილად,
მერე კი თავის თავით ამაყი
და ფრთებშესხმელი იმედისაგან
გაფრინდა მადრიდს.

23

დაბრუნდა თუ არა გოია, პირველივე ღამე კაეტანამ მასთან გაატარა. ზაფხულის ღამეები მოკლეა და სახიფათო იყო არავის წაესწრო გზაზე გოიასგან მიმავალისთვის. მიუხედავად ამისა, განთიადამდე მაინც დარჩა.

მეორე საღამოს ძალიან ადრე მოვიდა. გოიამ უამბო თავისი მუშაობის შესახებ. უჩვენა შეფერადებული ესკიზები, სცადა აეხსნა მისთვის ახლისა და დიდის შექმნის განზრახვა. კაეტანა ცალი ყურით ისმენდა მის უსუსურ სიტყვებს, უყურებდა ესკიზებს, ძვირფასი მორთულობის ზევით პრანკია, მოყირკებულ სახეებს, ყბა მოიქცია და გაიცინა. იცინოდა ხმამაღლა, გულიანად, გოიამ თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. ეს ეფექტი იყო? ინანა, რომ უჩვენა ნახატები.

მისი დარდი დიდხანს არ გაგრძელებულა, ბედნიერი იყო, რომ ზედავდა კაეტანას, გრძნობდა მის სიახლოვეს და ჰყავდა იგი. ბედნიერებას ჰგვრიდა მისი ყველაფერი. „Ven ventura. ven y dura — ბედნიერებავე, ჩემო ბედნიერებავე, მოწყალე მექმენ და შეჩერდი“. ფიქრობდა ის და ლილინებდა ამ სიტყვებს ისევ და ისევ.

კაეტანამ მეორე ღამეც მასთან გაატარა. შესაძლოა ეს იყო მისი მადრიდში ყოფნის უკანასკნელი საათები; ხვალ სრულდებოდა მარია ლუიზას მიერ ნაბოძები ვადა — სამი კვირა. მაგრამ კაეტანას არ სჯეროდა, რომ დედოფალს ნამდვილად გაეხედა მისთვის გადასახლების თაობაზე წერილობითი ბრძანების გაგზავნა. არც გოიას სჯეროდა.

ნაშუადღევს მიიღო გოიამ მისგან საზარელი წერილი „საჩქაროდ მოდიო“. მიხვდა, რომ აძევებდნენ და მისკენ გაეშურა.

ღირიას სასახლეში აურზაური იყო. მსახურები გარბოდნენ და გამოარბოდნენ, იძლეოდა განკარგულებები, იცემოდა და უქმდებოდა,

თვით დარბაისელი დონია ეუფემიაც ვერ ფარავდა შლელვარებას. დი-
ახ, კაეტანამ მიიღო carta orden, მეფის წერილობითი ბრძანება.

ფრანსისკო თავის საწოლ ოთახში მიიღო; ქვედაკაბით იყო და
უფესსაცმლოდ, ვინაიდან გასამგზავრებლად აცმევდნენ. თან მხეველებს
აძლევა განკარგულებას და თან გოიას ელაპარაკებოდა. დღესვე უნდა
დატოვოს დედაქალაქი და განუსაზღვრელი დროით გადასახლდეს ან-
დალუზიაში, თავის ერთ-ერთ მამულში. კატეგორიულად ეკრძალება ან-
დალუზიის სამეფოს დატოვება განსაკუთრებული ნებართვის გარეშე.

— სხვა გზით მოუხხვევ, — თქვა მან, — ისეთი გზით ვივლი, რომ
ღამე ჩემს კუთვნილ მიწა-წყალზე გავათიო.

აცინებდა ირგვლივ შექმნილი გაწამაწია. გაქუნქულებული თეთრ-
ბალლი წკმუტუნებდა.

გოიას გული მიუწევდა მის გასაცილებლად და მასთან ყოფნა სწყუ-
როდა, ვინაიდან ასეთი მომხიბლავი და საოცრად მამაცი იყო. განა-
შეიძლებოდა უარის თქმა იმ კვირეებზე, მთლიანად რომ მას უნდა
რგებოდა წილად? არა, ამაზე უარს ვერ იტყვის. უმჯობესია უარი თქვას
მის გონებაში უკვე მომწიფებულ სურათზე, უმჯობესია უარი თქვას
სახელსა და კარიერაზე. ახლა კაეტანასთან ყოფნა სწადია. ცეცხლი მო-
უკიდა მწველმა სურვილმა, მიბაძოს მას, აღაშფოთოს მთელი ქვეყანა,
როგორც ამ ქალმა ჩაიღინა გაბედული, ამაყი, გასაოცარი საჩუქარი
რომ უსახსოვრა თავის უცნაურ ექიმს. მაგრამ მეორე წუთში ასეთივე
მწველი სურვილი აქვს სურათის დახატვისა: ტილო მბრძანებლურად
უხმობს მას. სურათი მისია. მის ფერთა ნიაღვარია, თვალისმომკრელი,
კრიალა, გასხივოსნებული, მოელვარე და იქიდან ამოტივტივებულია
გაშიშვლებული სახეები: გოიას „მეფის ოჯახი“ ველასკესის „მეფის
ოჯახს“ მეტოქეობას ვერ გაუწევს, მაგრამ მაინც ჭეშმარიტად ისეთი
სურათია, რომ ღირს შესახედავად.

ოდნავ ჩახლეჩილი ხმით შეეკითხა ალბას:

— ნებას მიბოძებთ გეახლოთ, დონია კაეტანა? — და მაშინვე სულ-
მოკლედ დაუმატა, — პირველ დღეს მაინც.

რამდენიმე წუთს აკვირდებოდა კაეტანა მას, თავის გულთამხილა-
ვი თვალთ, უნდოდა ამოეკითხა, რა ხდებოდა მის გულში. გოიამ უხერ-
ხულობა იგრძნო. ის თითქოს ყველაფერს ხვდებოდა, რაც მასში ხდე-
ბოდა. მის საკმაოდ თავშეკავებულ წინადადებაზე კაეტანას გაეცინა,

თითქმის მეგობრულადაც კი. მიუხედავად ამისა გოია შეურაცხყოფილი იყო: განა ის არაფერს ნიშნავს, თუ მეფის კარის მხატვარი თავს ანებებს საშუაოს, რომელიც პირველი მხატვრის თანამდებობას მიანიჭებს და მზად არის გააცილოს გადასახლებაში მიმავალი შერისხული წარჩინებული მანდილოსანი?

— მე ვაფასებ თქვენს წინადადებას, დონ ფრანსისკო, გონიერი კაცობრძანდებით და მეც მინდა ამჟამად გონიერება გამოვიჩინო. თუ თქვენ ერთი დღის განმავლობაში გამოედევნებით ჩემს ეტლს და მის მტვერს, დაუწყებთ ყლაპვას, მხოლოდ იმისათვის, რომ პირველი მხატვრის ტიტული ველარასოდეს მიიღოთ, სამი დღის შემდეგ სანანებლად გექცევით და მთელი თქვენი სიცოცხლის მანძილზე ინანებთ. ასე არ არის? არც კი მიწდა ვიფიქრო იმ ლამაზ სახელებზე, რომლებითაც თქვენ ჩუმად გულში შემამკობთ მთელი წლების მანძილზე და შესაძლოა მართო გულშიც არა. ასე რომ, დიდი მადლობა, ფრანჩო, — შედგა ცერებზე და აკოცა. შემდეგ თითქოსდა სხვათა შორის უთხრა:

— გარდა ამისა, მაცილებს დონ ხოაკინი და მე ყოველ მხრივ სამედლო მფარველობის ქვეშ ვიქნები.

გოია უნდა შერიგებოდა იმ ამბავს, რომ კაეტანას ექიმი პერალე გააცილებდა. ეს თავისთავად ცხადი იყო. მიუხედავად ამისა, გულზე მაინც მწარედ მოხვდა.

ამასობაში ეკიპაისკენ
მოხმეს ალბა... „აბა, ფრანსისკო,
გვეწვიე!“ და ამ მარტივ ფრაზაში
მოუთმენლობამ შეძლო შეღწევა.
„ჰო, ასე, ფრანჩო!
მორჩით მაგ სურათს
და მოაშურეთ ანდალუზიას,
იქროლეთ სწრაფად,
სწრაფად, თითქოსდა,
უკან მოგდევდეთ
ინკვიზიცია!“

აქამდე გოიამ თავის აგუსტინს სერიოზული ლაპარაკის საშუალება არ მისცა. წავიდა თუ არა კაეტანა, უთხრა:

— მაშ ასე, უქმურო აგუსტინ, ახლა გიჩვენებ, რა დაეხატე, — გაშალა ესკიზები და ფიცარზე წვრილი ლურსმნებით მიამაგრა.

აგუსტინი მათ წინ დადგა, უკან დაიხია, კვლავ მიუახლოვდა. ხან ერთ ესკიზთან ჩაყო დიდი, კოპიანი თავი, ხან მეორესთან, ჩაყლაპა ნერწყვი. გააწვლაპუნა გრძელი, თხელი ტუჩები.

— ახლა აგისხნი, — დაიწყო გოიამ.

— ნურაფერს მეტყვი, — აუქნია ხელი აგუსტინმა, — მე უკვე ვიცი.

— შენ არაფერიც არ იცი, — მაგრამ გაჩუმდა და აცალა დაკვირვებოდა ესკიზებს.

— „Carajo!“ — წამოიყვანა ბოლოს აგუსტინმა.

ეს იყო ნამდვილი, მაღიანი, ძალზე უშვერი გინება მეჯორისა, და მისი წამოძახების მიხედვით, ფრანსისკო მიხვდა, რომ აგუსტინმა სურათი გაიგო. მიუხედავად ამისა, გოია თავს ვერ იკავებდა. ბოლოს და ბოლოს უნდა ეთქვა თავის ჩანაფიქრი და აუხსნა:

— არ მინდა არავითარი რთული კომპოზიცია, არ მინდა ველასკესავით ჩახლართული გამონაგონი, გესმის? მე ამ ადამიანებს ვაყენებ შარტივად, უბრალოდ, პრიმიტიულად.

გრძნობდა, რომ საერთოდ სიტყვები, უწინარეს ყოვლისა კი მისი სიტყვები, მეტად მოუქნელი და უხეში იყო იმ ფაქიზისა და რთულისათვის, რის გამოთქმაც სურდა, მაგრამ უთქმელობაც აღარ შეეძლო.

— ყოველი ერთეული, რასაკვირველია, გარკვეულად უნდა ჩანდეს, ამასთანავე, თვალში ძალიან მოსახვედრიც არ უნდა იყოს. მხოლოდ სახეები უნდა გამოიყურებოდნენ სურათიდან—სასტიკი, ნამდვილი, რეალური, როგორც არიან. უკან კი სიბნელეა, ძლივს მოჩანს „არი-აღნას დარბაზის“ ვეება ტილოები. ხედავ, რის ვაკეთება მსურს? გაიგე?

— სულელი ხომ არა ვარ, — მიუგო აგუსტინმა და ჩუმი. წყნარი სიხარულით უთხრა:—Hombre! ეს მართლაც დიდებული რამ არის. და რაღაც სულ ახალი. ფრანჩო, ფრანჩო რა მხატვარი ხარ, რა მხატვარი!

— გაიგე, როგორც იქნა? — უბასუხა კმაყოფილმა ფრანსისკომ. — ზეგ არანხუესში გავემგზავრებით. შენ რასაკვირველია, თან წაგიყვან.

საქმეს სწრაფად მოვრჩებით. მესაჭიროება მხოლოდ ტილოზე გადა-
ტანა. დანარჩენი ყველაფერი მზადა მაქვს. ჩინებულნი გამოვა.

— დიახ, დარწმუნებულად თქვა აგუსტინმა. გულის ძვრით ელოდა,
რომ ფრანსისკო თან წაყოლას შესთავაზებდა და ახლა ბავშვივით იყო
გახარებული. საქმეს მაშინვე პრაქტიკულად მიუღდა: — მაშასადამე
ზეგ გავემგზავრებით არანხუესში. მანამდე რამდენიმე საქმე გვაქვს გა-
საკეთებელი. უნდა წავიდე დაჩერთან ჩარჩოსა და ტილოსთვის, ესკე-
რასთან საღებავებზე, თან ლაქის თაობაზეც უნდა მოველაპარაკო. —
წუთით დაფიქრდა და შემდეგ დარცხვნილად თქვა: — რამდენი ხანია
მეგობრები არ გინახავს. ხოველიანოსი, ბერმუდესი, კინტანა. ახლა
ისევე დიდი ხნით მიდინხარ არანხუესში. არ უნდა მონახულო ისინი?

გოია მოიღუშა. აგუსტინს ეგონა, რომ ახლა იფეთქებდა. მაგრამ
ფრანსისკომ თავი შეიკავა. არ ესმოდა, როგორ შეძლო ამდენ ხანს უა-
გუსტინოდ ყოფნა. ვერც კი წარმოედგინა, როგორ შეძლებდა არან-
ხუესში ასეთი გამგები მეგობრის გარეშე მუშაობას. გადაწყვიტა ესია-
მოვნებინა მისთვის. გარდა ამისა, აგუსტინი მართალი იყო. მეგობრები
რომ არ მოენახულებინა — შეურაცხყოფად ჩამოართმევდნენ.

ხოველიანოსთან მიგელი და კინტანა დახვდნენ.

— დიდი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს. სამუშაოში ვარ ყველა-
მდე ჩაფლული, — მოუბოდიშა მან.

— აქვეყნად ყოველგვარ სასიამოვნოთა შორის, ერთადერთი მხო-
ლოდ მუშაობაა, რომელიც არავითარ ღირსს არ ტოვებს, — მწარედ შე-
ნიშნა ღონ მიგელმა.

შემდეგ, ცხადია, სიტყვა პოლიტიკაზე ჩამოვარდა. ესპანეთის საქ-
მეები ცუდად მიდიოდა, ბევრად უფრო უარესად, ვიდრე გოიას უნ-
დოდა ჰგონებოდა. არანხუესში შეგნებულად უვლიდა გვერდს ყოვე-
ლივეს, რაც ქვეყნად ხდებოდა მოკავშირე საფრანგეთის რესპუბლიკის
მიერ ომში ჩათრეული საზღვაო ფლოტი სან-ვისენტის კონცხთან ლა-
მარცხების შემდეგ არ იქნა და ველარ აღდგა. ინგლისელებმა ტრინიდა-
დი აიღეს, აბრკოლებდნენ ინდოეთიდან საქონლის შემოზიდვას, თავს
ესხმოდნენ ესპანეთის სანაპიროებს. ომის დიდმა ვადასახადებმა გამო-
იწვია შიმშილი და სიღარიბე. პარიზში კი დირექტორია სჯის ესპა-
ნეთს. იმის გამო, რომ დიდხანს ყოყმანობდა ხელშეკრულების დადე-
ბაზე. რესპუბლიკა განცხრომას ეძლეოდა მისი არმიების მიერ იტალი-

აწი მოპოვებული გამარჯვების გამო და ესპანელებს საკუთარი ძალ-ღონის ამარა ტოვებდა. გენერალი ბონაპარტე იქამდე მივიდა, რომ ესპანეთის სამეფო ტახტის იტალიელი ნათესავები ჩამოაგდო და მათი სამეფოები დაიპყრო. ცხადია, საფრანგეთთან კავშირი კარგი პოლიტიკა იყო და, როგორც წინათ, ისე ახლაც, ერთადერთი გამოსავალიც. მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ იძულებული გაეხადათ რესპუბლიკა, ხელშეკრულების თანახმად, თავისი მოვალეობა შეესრულებინა, ესპანეთი ყველაფერში დათმობაზე მიდიოდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ დედოფალმა და დონ მანუელმა თავიანთ მოკეთებებს დაურიგეს თანამდებობანი, ან პირდაპირ უბრალოდ გაყიდეს. საპასუხისმგებლო პოსტებზე ისეთ უღირს პირებს ეჭირათ თანამდებობანი, რომლებიც ესპანეთის ინტერესების დაცვის მაგიერ, რესპუბლიკიდან ქრთამებს იღებდნენ. მარია ლუიზაც არ იყო ძნელი დასაყოლიებელი. როგორც კი ძალ-ღონეს მოიკრებდა და ხმას აღიმადლებდა, პარიზი ძვირფას საჩუქრებს მოართმევდა და მწვავე საჩივარი თავმდაბალ თხოვნად იქცეოდა.

გოია ჩუმად უსმენდა მათ და თავის გულში ეწინააღმდეგებოდა. ის მეფის კარს ეკუთვნოდა. ეს ადამიანები კი, აქ რომ სამეფო კარის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, მისი მტრები იყვნენ. საოცარია—ესპანეთის საზიანოს მისთვის სიკეთე მოაქვს. შესაძლოა უწყინარი, მხიარული დონ კარლოსი, რომელსაც სათამაშო გეჰი უფრო აინტერესებს, ვიდრე ნამდვილი სანტისიმა ტრინიდადი, ცუდი მეფეა, შესაძლოა დონია მარია ლუიზას დედოფლობა უბედურებაა ქვეყნისათვის: მაგრამ ეს ორნი სხვანაირები რომ ყოფილიყვნენ და არა ასეთები, მაშინ გოიას შეკვეთები არ ექნებოდა. გოიასთვის ისიც კი ხელსაყრელი შეიქნა, გენერალმა ბონაპარტემ მარია ლუიზას ძმას რომ პარპის საჰერცოგო წაართვა. პარპის მეშვეობდრე პრინცი და მისი მეუღლე მეფის ასული რომ მდგომარეობას არ გაეხადა იძულებული ზაფხული არანხუესში გაეტარებინათ, ვინ იცის, მოუვიდოდა თუ არა დონ კარლოსს აზრად მისთვის ებრძანებინა „ჩვენ ყველანი ერთად“ დაგვხატეთო.

მაგრამ ეს მოსაზრებანი უსუსური აღმოჩნდა და გოიასაც გადაედო სხვების აღშფოთება ესპანეთის ანგარიშებიანი, ცუდი მმართველების მიმართ. „მმართველებს დიდ შრომად დაუჯდათ, რომ ისეთი მაღლიანი ქვეყანა, როგორიც ჩვენია, ასეთ დაუძლურებამდე მიეყვან-

ნათ... გოიას გონებიდან არ შორდებოდა ხოველიანოსის ეს სიტყვები და ტონი, რომლითაც ისინი იქნა წარმოთქმული.

მაგრამ გაიქნია დიდი თავი, სხვა საზრუნავი ჰქონდა: არანხუესში გასამგზავრებლად ემზადებოდა.

ხოხეთასთვის დრო ვერ გამონახა ამ ორიოდ დღეს. ახლა ეს აწვა გულზე ლოდვიტ. ბოლოს და ბოლოს, რაკი აგუსტინს და კაეტანას უჩვენა, აღარც მისთვის უნდოდა დამალა თავისი ნაწარმოები. ოდნავ დარცხენილმა მიიყვანა ხოსეფა ესკიზებთან. ეცადა აეხსნა მისთვის თავისი ჩანაფიქრი. ხოსეფას იმდენი კი ესმოდა მხატვრობისა, რომ ესკიზებსა და მის ჩანაფიქრში გარკვეულიყო. მან გამზადებული სურათი წარმოიდგინა და არ იცოდა, კარგი იქნებოდა თუ არა. ტილოდან უთუოდ გამოაშუქებდა ის საოცარი, თვალისმოშკრული ბრწყინვალეა, რომელზედაც გოია ლაპარაკობდა და მეფე-დედოფლისა და პრინციების სახეები მკაფიოდ გამოიკვეთებოდა. მაგრამ ესკიზები ბოროტად შემოჰყურებდნენ მას და დამთავრებული სურათის წარმოდგენა უსიამო ყრუანტელს ჰგვრიდა, იგი შიშობდა, ვაითუ მასში დაენახათ ავი სული, რაღაც მწვალებლური, საშიში, კრამოლური. მართალია, მათი უმალღესობანი ცხოვრებაშიაც არ ყოფილან გადასარევი სილამაზისანი, მაგრამ რაფაელ, მენგისი, მელას, მისი ძმისა და თავად ფრანსისკოს აღრინდელ პორტრეტებზე, ისინი, დიდი მსგავსების მიუხედავად, მაინც არ იყვნენ ასე მახინჯნი. ნოეწონებათ კი მათ ეს? ამ სურათიდან უბედურება იყო მოსალოდნელი.

„აბა რას იტყვი?“ — ჰკითხა გოიამ...

ხოსეფამ უთხრა „ვერ წარმოიდგენ,

რომ დედოფალი, მეფე, ბებერი

ინფანტა, განსაკუთრებით...“ — შედგა,

ვერ მოიძია საჭირო სიტყვა...

„ძალიან ჰგვანან თავისთავს, არა?“ —

უკარნახა მან. ხოსეფამ თავი

მყის დაუქნია. ელდანაცემი,

ღრმა ინტერესით უმზერდა დიდხანს

და ბოლოს უთხრა: „ძლიერ კარგია,

მაგრამ თითქოსდა

მოულოდნელი...“

არანხუესში, „არიადნას დარბაზში“: აღტაცებული აგუსტინი საქმის ცოდნით ადევნებდა თვალს, მისი მეგობრის გაწაფული ხელით როგორ ცოცხლდებოდა ყველას თვალწინ ის, რასაც გოიას შინაგანი მზერა სწვდებოდა.

კიდევ ერთი შეიქნა ცხადი, რაც აგუსტინს უსაზღვროდ ახარებდა: სახელღობრ ის, რომ „კარლოს მეოთხის ოჯახი“ პოლიტიკური სურათი იყო. ცხადია ფრანსისკო არ ფიქრობდა „პოლიტიკა“ ეხატა; სწამდა აპსოლოტური მონარქია, სიმპათიას გრძნობდა ამ გულკეთილი, ღირსებით სავსე მონარქისადმი და მარია ლუიზასადმი, რომელმაც თავისი გაუმადლობის დასაცხრობად საქვეყნო ნამცხვარს არაჩვეულებრივად დიდი ნაჭერი ჩამოაჭრა, მაგრამ გოიას სურდა თუ არა, ხატვის დროს თავიდან არ სცილდებოდა ის მძიმე ამბავი, რაც ესპანეთს დაატყდა თავს: განადგურებული გემები, გაძარცვული სახელმწიფო ხაზინა, ხალხის სიღატაკე, დედოფლის სისუსტე და ყოყოჩობა. სწორედ იმიტომ, რომ მის სურათში არ იყო ზიზღი, ამაყად მბრწყინავ მუნდირებსა, ორდენებსა და ძვირფასეულობის ფონზე განსაკუთრებით გარკვევით გაშემვლელბულად და უხეშად ხვდებოდა კაცს თვალში სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა ადამიანური არარაობა.

ჯერ არასდროს არ ემუშავათ ორივეს ასე შეხმატებილებულად. საკმარისი იყო ერთგულ აგუსტინს წარბი ოდნავ შეეკრა და ფრანსისკომ უკვე იცოდა, რალაც არ იყო რიგზე.

მაგალითად, გოია ეკითხებოდა:

— რა აზრისა ხარ დედოფლის ბაგეებზე?

აგუსტინი ჩაფიქრდებოდა, კეფას მოიფხანდა და ფრანსისკო უკვე ხატავდა მარია ლუიზას „საგვარეულო“ დამუწულ ბაგეებს, და არა გაღიმებულს, როგორც ესკიზში ჰქონდა.

— კაცმა რომ თქვას, ინფანტი ანტონიო საოცრად ჰგავს მეფეს, — შენიშნა აგუსტინმა და ფრანსისკომ მაშინვე გაუსვა ხაზი კარლოსის დაჭიმულ მედიდურ გამომეტყველებას, კიდევ უფრო დაამსგავსა! გატყლარქულ ინფანტს — ძმას, რომელიც უშუალოდ მის უკან იდგა.

მაშინდელივით, აუტოდაფეს შემდეგ ინკვიზიციისაზე რომ ხუთი სურათი დახატა, ახლაც ისე მუშაობდა გვიან ღამემდე სანთლების შუქზე, რომლებიც ცილინდრისებულ დაბალი ქუდის რკინის ფარზე ჰქონ-

და მიწებებული და ისე ეშმაკურად განელაგებინა, რომ ყოველი მათგანი სასურველ განათებას აძლევდა.

გოია კეთილსინდისიერად მუშაობდა, მაგრამ სუვერენულად უგულებელჰყოფდა ყოველივე მეორეხარისხოვანს. წინადადება მისცეს მისი აღმატებულება, ტახტის მემკვიდრის საცოლვე, რომელიც ჯერჯერობით შერჩეული არ იყო „ანონიმურად“ დაეხატა. მანაც ბრწყინვალედ გამოწყობილ უცნობ ინფანტას სახე საერთოდ განზე მიაბრუნებინა. ხოლო იქ არ მყოფი მეფის უფროსი ასული, პორტუგალიის პრინცესა—რეგენტი, სულ გადაავიწყდა და აგუსტინმა მოავონა.

— მაღროვე, ორ წუთში დაეხატავ, — და განაგრძო მუშაობა ულამაზო, ღირსეული ინფანტის, დონ ანტონიო პასკუალის, თავზე. დაუძახეს საჰმელად, მაგრამ მუშაობას განაგრძობდა. თავი დაამთავრა, ახლა ხელმეორედ დაუძახეს.

— წალი და დაჭეჯი, — მიპართა აგუსტინს, — მეც წამსვე მოვალ, ხელად დაეხატავ პრინცესა-რეგენტს.

და მართლაც, წვნიანი ჯერ კიდევ თბილი იყო, როცა ინფანტ ანტონიოსა და გრძელ ტახტის მემკვიდრე ლუის შორის უკვე გამოიყურებოდა ინფანტას არაფრისმთქმელი, გულგრილი სახე.

თავისი თავის სურათში ჩახატვას ერთ საათზე მეტს არ მონღოებია კმაყოფილებით და ცბიერად უკრავდა თავს ცოცხალი გოია დასატულს, რომელიც მეფის სურვილის თანახმად, ბანდუენდში ოდნავ მოჩრდილული იყო, მაგრამ ძალზე ნაცნობად და არცთუ ისე მორცხვად გამოიყურებოდა.

აგუსტინის მოლოდინის საწინააღმდეგოდ, გოია. საერთოდ, ზომიერ და კარგ გუნებაზე იყო. მეფე-დედოფალი აჰეაჰადაც ცდილობდა ხელი შეეწყო მხატვრისათვის და მუშაობა შეემსუბუქებინა. უგზავნიდნენ გოიას თავიანთ ორდენებსა და სამოსელს საჭიროებისამებრ და ისიც სიცილით ჰკიდებდა აგუსტინს კისერზე ოქროს ვერძის ჯვარსა და ბაბთას, ან, მეგობრის პირქუში სიამოვნებისათვის, მსუქან ლაქიას სამეფო სამოსელს ჩააცმევდა და უბრძანებდა, კარლოსის მსგავსად გაბღინებული პოზა მიეღო.

გათენდა ღლე, როცა მან უკანასკნელი შუქჩრდილები დააცხო სურათს. მერე კი საკუთარ თავსა და მეგობარსაც ასეთი კითხვა დაუსვა:

— მზადაა?

აგუსტინმა შეხედა. აქ იღვა ცამეტი ბურბონი. ეს იყო სასტიკია. საშინელი ქვეშარიტება საცოდავი სახეებისა და მეფის სამემკვიდრეო ხელისუფლების შესაფერი მომჯალოებელ, თავბრუდამხვევ ფერთა სიუხვე.

— დიახ, მზადაა, — თქვა აგუსტინმა.

— ჰვავს ვან ლოს „ფილიპეს ოჯახს“? — იკითხა გოიამ და ჩაიცინა.

— არა, — მიუვო აგუსტინმა და უფრო ხმამაღლა გაიცინა, — არც ველასკესის „სეფექალებს“, — და მისი რუხროხა სიცილი ბანს აძლევდა გოიას მელერ, ბედნიერ სიცილს.

— იქნებ ღირდა გვეჩვენებინა დონ მიგელისათვის? — შესთავაზა აგუსტინმა, — სენიორ ბერმუდესი არანხუესშია დონ მანუელთან. — აგუსტინს ახარებდა იმის წარმოდგენა, როგორ გაოცებულ სახეს მიიღებდა მზატერობის დიდი მცოდნე.

მოვიდა დონ მიგელი, ნახა და მაშინვე მტკიცე განაჩენი გამოუტანა. სურათმა გუნება აუმღვრია, შეაკრთო, მიუხედავად დიდი ხელოვნებისა, ბარბაროსულად ჩათვალა. მაგრამ მაინც ყოყმანობდა და დუმდა, განა თავის ლუსიაში დარწმუნებული არ იყო? განა ფრანსისკო მართალი არ გამოდგა, როცა ის ორანზროვნად დახატა? შესაძლოა ახლაც მართალია ფრანსისკო არა ხელოვნების კანონების ქვეშარიტი გაგებით. არამედ თავისი ფარული ინსტინქტის ძალით.

— არაჩვეულებრივი სურათია, — თქვა ბოლოს მიგელმა, — რაღაც უცხო და თავისებური, მაგრამ, — აქ გაჩუმდა, მოემზადა შეტევისათვის. გადაწყვეტილი ჰქონდა, არ დაეშვა გაცრუება ათეული წლობით მუყაითი შრომით შემუშავებული მისი ხელოვნების თეორიისა. მისი მოვალეობაა დაიცვას ასეთი ბარბაროსებისაგან ანტიკური ხანის ესთეტიკური მოძღვრება, რომელიც ორი ათასი წლის შემდეგ დონ მიგელ ბერმუდესმა ჰუმანისტებისაგან მიიღო მემკვიდრეობით.

— მოხიბლული ვარ ფერთა შეხამებით, ფრანსისკო, — უთხრა მან, — თუმცა ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ დასაშვებად მიმაჩნია, რომ ფერთა არეგ-დარევა, გადახლართული ქაოსი, დიდი ხელოვნებაა. ოღონდ რად შეურიე ასეთ მშვენიერებაში ამდენი სისაძაგლე? რად ახვევ თავს მაყურებელს ამდენ სიმახინჯესა და სისაზიზღრეს? ჩემზე არ ითქმის, რომ ახალი ეფექტების შეფასება არ ვიცოდე, რო-

გორი ვაბედულიც არ უნდა იყოს იგი, მაგრამ ამის არაფერი გაშეგება. კიდევ ერთი რამ არ გამეგება. კანონიდან გადახვევა — კეთილი და პატიოსანი, მესმის. მაგრამ აქ ვხედავ მარტოოდენ გადახვევას. მახარებს ყოველი ჭანსალი რეალიზმი, მაგრამ შენი ბურბონები პორტრეტები კი არა, ნამდვილი კარიკატურები არიან. რა საჭირო იყო, ასეთი სულ უბრალო, პრიმიტიული კომპოზიცია? არც ერთი ნაწარმოები არ ვიცი არც ძველი და არც თანამედროვე მხატვრებისა, რომელსაც შენ დაიპოწმებდი. ცუდად ნუ ჩამომართმევ, ფრანსისკო, აღფრთოვანებული ვარ შენით, შენი მეგობარი ვარ, მაგრამ ამაში კი ვერ გეთანხები, — და ავტორიტეტულად დაასკვნა: — ეს სურათი ვერ გამოგივიდა კარგი.

აგუსტინი ნანობდა, რომ ამ სწავლულ ვირს, რომელსაც თვით ლუსიაზე დარდმაც ვერ ასწავლა ჭკუა, სურათი აჩვენეს. გამწარებულმა დახარა დიდი კოპიანი თავი და პასუხის გასაცემად მოემზადა. მაგრამ გოიამ ანიშნა და შეაჩერა.

— შენგან არ მწყინს, ჩემო მეგობარო, — უთხრა მან არხეინად.

მაგრამ მიგელი კვლავ ლელავდა.

— უჩვენეთ სურათი მეფე-დედოფალს? — მზრუნველობით იკითხა მან.

— ყოველივე მათგანის ესკიზი ცალკე გავაკეთე და ნანახი აქუა. მაგრამ თვით სურათი მუშაობის პროცესში არ მიჩვენებია.

— მაპატიე, ფრანსისკო, — უთხრა დონ მიგელმა, — ვიცი, რომ მრჩევლები ყოველთვის როდი არიან სასურველნი, მაგრამ მოვალე ვარ გულახდილი ვიყო შენთან და შემიძლია რჩევა მოგცე, ნუ უჩვენებ მათ ამ სურათს ამგვარად. გვედრები, ნუ უჩვენებ, — და გოიას სახეზე გამოხატული აღელვების მიუხედავად განაგრძო: — არ შეგიძლია შენს კარლოსსა და შენს მარია ლუიზას ოდნავ მაინც, — სიტყვას დაუწყო ძებნა, — უფრო ლმობიერი გამომეტყველება მისცე? ბოლოს და ბოლოს. ჩვენს შორის შენ ყველაზე მეტად გწყალობენ ისინი.

— მე არ მიმაჩნია ისინი არც ლმობიერებად და არც სასტიკებად. მე ისინი მიმაჩნია ისეთებად, როგორიც არიან სინამდვილეში. ასეთები არიან და ასეთები დაჩაბიან საუკუნოდ.

ამასობაში სურათი შრებოდა, დაფარეს ლაქით. ცნობილმა ფრანგმა ჩარჩოების ოსტატმა, სენიორ ხულიო დაშემ, თავის ნახელავ ჩარ-

ჩოში ჩასვა. შეთანხმდნენ დღეზე, როცა მეფის ოჯახს სურათი ფნდა ეხალა.

გოია უკანასკნელად მივიდა „არიადნას დარბაზში“, მიღი-მოღიოდა! დამთავრებული სურათის წინ და მოლოდინში იყო.

კარი გაიღო. შემობრძანდნენ მათი უბრწყინვალესობანი და სამეფო აღმატებულებანი. ისინი უბრალოდ ჩაცმულნი დაბრუნდნენ სასახლის ბაღებიდან, ნასეირნები. მცირეოდენი ორდენები ეკიდათ, ძალიან სადად ეცვა მათ მხლებელ დონ მანუელსაც. მოჰყვებოდათ მრავალრიცხოვანი ამაღა, მათ შორის დონ მიგელიც. დონ კარლოსმა შეპოსვლისთანავე შარვლისა და ჟილეტის ჯიბეებში ჩაიყო ხელი, ამოიღო ორი საათი, შეადარა ერთიმეორეს და გამოაცხადა:

— ათი საათი და 22 წუთია. 14 ივნისი, ათი საათი და ოცდაორი წუთი. თქვენ დროულად დაამთავრეთ სურათი, დონ ფრანსისკო.

ახლა აქ იდგნენ, ბურბონები, იმგვარად დაწყობილნი კი არა, როგორც სურათზე, არამედ ერთიმეორეში არეული და ზორცშესხმული ბურბონები შეჰყურებდნენ დახატულთ, თითოეული მათგანი უყურებდა თავის თავს და ამასთან ყველას. მათ უკან სინამდვილეშიც და სურათზეც იდგა მხატვარი, რომელმაც ისინი ასე დააყენა და ასე დახატა.

ტილო მეფური ბრწყინვალეებით ლივლივებდა და ელვარებდა. ადამიანები ნატურალური სიდიდით, მთელი სიმაღლით იყვნენ წარმოსაჩვენები, კიდევ უფრო მეტადაც, ვიდრე ნატურალური სიდიდითა და ცოცხალი სინამდვილით, ისეთი მსგავსებით, რომ ყოველი კაცი, ვისაც კი ერაზხელ მაინც ენახა ისინი, თუნდაც ერთი თვალის მოკვრით, წამსვე იცნობდა სურათზე.

უყურებდნენ და დუმდნენ, ოდნავ შეწფოთებულები; ჯერ არც ერთი მათგანი არავის დაეხატა ამოდენა ტილოზე ამდენ მრავალ წარჩინებულთა შორის.

ახოვანი დონ კარლოსი შუაში იდგა სურათზედაც და დარბაზშიაც. მთლიანად სურათიც მოეწონა და თავისი თავიც. რა საუცხოოდაა დატეხილი მისი წაბლისფერ-მოყავისფრო სამეფო სამოსელი, ჩანს, რომ ხავერდისაა. როგორ კიაფობს დაშნის ვადა, ყოველი ორდენის ვარსკვლავი, ორდენის ბაბთა. თვითონაც ღირსეულ შთაბეჭდილებას ახდენს. მყარად დგას, დაუძლეველი, ჩანს რაოდენი ძალაა მის ძვლებში, მიუხედავად ხანდაზმულობისა და ნიკრისის ქარებისა „კლდესავითა ვარ, —

გაუელვა მას, Yo el Rey de las Espanas y de francia“. ფრიალ მნიშვნელოვანი სურათია“. უკვე ეძებს სიტყვებს, რომ გოიას რაიმე სასამოვნო და სახუმარო უთხრას, მაგრამ დაცდას ამჯობინებს, უმჯობესია პირველად მისმა მარია ლუიზამ გამოთქვას აზრი.

ის კი, ხანდაზმული, უშნო, მოუკაზმავი მარია ლუიზა, დგას მეუღლესა, საყვარელსა და შვილებს შორის, სწრაფი, მახვილი თვალებით სინჯავს დაბერებულ, უშნო მოკაზმულ მარია ლუიზას სურათზე. შესაძლოა მრავალს ბევრი რამ არ მოეწონოს ამ დახატული ულამაზო მანდილოანისა, მაგრამ მას კი მოსწონს, დაღებითად აღასებს ამ ქალს. ულამაზო სახე კი აქვს, მაგრამ ორიგინალურია, გაიძულებს ყურადღება მიაქციო. კაცს მესხიერებაში ჩარჩება. დიახ, ანთია ის, მარია ლუიზა ბურბონი, პარმის პრინცესა, მთელი ესპანეთის დედოფალი, დიდი ჰერცოგის ასული, მეფის მეუღლე, მომავალი მეფეებისა და დედოფლების დედა. მოწყურებული და უნარის მქონე, ცხოვრებას გამოსძალოს ის, რისი წარამევეაც შეიძლება, უშიშარი და უნანიებელი მანამ, სანამ ესკურიალში არ წაასვენებენ და მეფეთა საძვალეში არ ჩაუშვებენ. დღესაც რომ ამოხდეს სული, შეუძლია თქვას: ჩემს ცხოვრებაში გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც მსურდაო. ორგვლავ შვილები ახვევია. სიყვარულით უყურებს მშვენიერ პატარა მეფისწულს, მისთვის რომ ხელი ხელში ჩაუვლია, და თვალწარმტაც ახალგაზრდა მეფის ასულს, რომლისთვისაც მხრებზე ხელი მოუხვევია. ნანატრი შვილები ჰყავს, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ბავშვები, არა მარტო ჩასუქებული, უჭკუო კაცისაგან, რომელიც დედოფალს სჭირდება თავისი და შვილების მომავალი რანგის სამუდამოდ განმტკიცებისათვის, არამედ მისგანაც, ვინც ყველაზე მეტად უყვარს, და თუ ქვეყანა არ დაიქცა, მაშინ ეს ბავშვები ევროპის სამეფო ტახტებზე ავლენ, დიახ, ესენი ლამაზი, ჭანსალი, გონიერი ბავშვები არიან. საყვარლისაგან ვარეგნობა მიიღეს მემკვიდრეობით, მისგან კი ჭკუა. ეს კარგი, მართალი სურათია, გადაუმლამებელი, შეუღამაზებელი, მკაცრი და ამაყი. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ მანუელიც არ არის მასთან ერთად დახატული.

სიჩუმე დიდხანს გაგრძელდა. გოია უკვე მოუსვენრობამ შეიპყრო. მოღუშული უყურებდა დონ მიგელს. ნუთუ ამან დამატება თავს უბედურება თავისი გულისწამლები ბუზღუნით? ხოსიფაც ხომ დაეკედა. ნუთუ მათი უბრწყინვალესობანი ჩათვლიან, რომ მეტისმეტად უემურება

გამოიყვანა ისინი? მას ზომ არავითარი უპატივეცემლობა არ მოსვლია აზრად? პირიქით, ყოველთვის მადლიერი იყო გულკეთილი მეფისა და სიმპათია ჰქონდა ამ სიცოცხლემოწყურებული მანდილოსნისადმი, რომელიც ერთდროულად დედოფალიცაა და მახაც. მან ზომ სინამდვილე წარმოსახა. აქამდე ასე იქცეოდა და ყველას მოსწონდა მისი სინამდვილე, მახობესა და გრანდებს, ინკვიზიციასაც კი. იმედი ჰქონდა, ამ სურათით მეფის პირველი მხატვარი გახდებოდა. ნუთუ ამჟერადაც წააგებს? ბოლოს და ბოლოს რატომ ხმას არ იღებენ ეს გამოტყინებული და ეს მეძავი? მაგრამ დონია მარია ლუიზამ გახსნა ბაგე:

— რა კარგად გაგიკეთებიათ, დონ ფრანსისკო. ეს არის ჰეშმარიტი, მართალი სურათი. მომავალ თაობას გამოადგება გასაგებად, თუ როგორები ვართ ჩვენ, ბურბონები.

დონ კარლოსმაც მყისვე ხმამაღლა თქვა:

— საუცხოო სურათია. ოჯახის ისეთი სურათია, როგორიც გვესურდა გქონოდა. სხვათა შორის, რა ზომისაა, რამდენია სიმაღლე და განი? გოიამ მოახსენა:

— სიმაღლე ორი მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი და განი—სამი მეტრი და ოცდათექვსმეტი სანტიმეტრი.

— ყოველმხრივ დიდი სურათია, — განაცხადა კმაყოფილმა დონ კარლოსმა და თითქოს დონ ფრანსისკო მის პირველ თორმეტ გრანდთაგან ერთ-ერთი ყოფილიყოს, ცუდლუტად უთხრა: — Cubrios— დაიხურეთ თავზე, გოია.

ახლა ყველანი შემოეხვივნენ გოიას მისალოცად. არაჩვეულებრივად აღელვებულმა დონ მიგელმა მაგრად ჩამოართვა ხელი. ის შეშინებული ელოდა, რას იტყოდა მეფე. სულითა და გულით უნაროდა, რომ მეგობარს, მოუხედავად შიშისა, საქმემ ასე კარგად ჩაუარა და მისი შეხედულება არ გამართლდა: საკვირველიც არაფერი იყო— ბარბაროს მეფეს ბარბაროსული ნაწარმოები მოსწონდა.

ამასობაში მშვადობის თავადი მეფეს ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მეფემ ხმამაღლა მიუგო:

— ნართელად შეგვიძლია ვუთხრათ, — და ეშმაკური, მხიარული, სიცილით გოიას მიუბრუნდა:— ჩემო კარგო, ამ ორიოდ დღეში ერთი სასიამოვნო სიურპრიზი მოგვლით.

მანუელმა კი დასძინა:

— დიახ, ფრანჰო, ახლა ჩვენ ჩვენსას მივალწვიეთ.

ბაიეუს გარდაცვალებიდან მოყოლებული, ფრანსისკო ოცნებობდა, რომ მისთვის პირველი მხატვრის თანამდებობა ეზობებინათ. ეს დიდი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ მისი ტიტული მის ნიქს შეეფერებოდა. ორი წუთის წინ ეს კიდევ საეჭვოდ მიაჩნდა. მაგრამ. აი, კიდევ აღსრულდა. სურვილების სანატრელი აღარაფერი ჰქონდა. გრძნობდა საკუთარ ძალას, ზრდას, აღსრულებას. სურათი კარგი გამო-ღვიდა. ის აღიარა აგუსტინმა, აღიარეს მცოდნეებმა და ყვეყჩმა ხელი-სუფლებმა, აღიარებენ აგრეთვე ფრანგები და გერმანელებიც კი და მომავალი თაობებიც. *Idioma universal* ეს საყოველთაო ენაა. კინტანამ შესაფერი სიტყვა გამონახა. გოია ღღეს მიღწევით ტყებმა, ხვალ კი შესანიშნავი შეყვარებულათ დატყებმა.

დაბრუნდა მადრიდში და ანდალუზიაში გასამგზავრებლად მზადებას შეუდგა.

ვიდრე „დონ კარლოსის ოჯახზე“ მუშაობდა, კაეტანა თითქმის არც მოპგონებია, ახლა კი ნახვის წყურვილი ახრჩობდა და მოუთმენლობა კლავდა. მუშაობა აღარ შეეძლო; შეჩაერდა საღებავების სუნი და ტი-ლოს დანახვაც კი, მაგრამ მადრიდიდან წასვლა ვერ გადაეწყვიტა, ვიდრე დანიშვნის ქალაღი ხელთ არ ექნებოდა. მანამდე ვერ დაიჭერებ-და, სანამ ბრძანებას დაწერილს და ბეჭედდასმულს არ ნახავდა. სიტყვა-სა და შესრულებას შორის ბევრი რამ იყო მოსალოდნელი და გოიას ეშინოდა ავი სულებისა, ყოველ ნაბიჯზე რომ უსაფრღებთან ადამი-ანს. ბოროტი სულები რომ არ გაელიზიანებინა — მეფის დანაპირებს არავის უმეღავნებდა, არც აგუსტინს და არც ხოსეფას. სული სძვრე-ბოდა მოლოდინითა და წასვლა ვერ გაეებდა.

მოინახულა მეფის ხაზინადარმა დონ როდრიგო სოლერმა.

— დონ ფრანსისკო, ჰონორარზე ადვილად შევთანხმღებით, — აუ-წყა მან, — ექვსი წარჩინებული თავისთვის თქვენ მიიღებთ 2000 რე-ალს თითოში, ხუთში კი — 1000—1000 რეალს. ვათელი მისი აღმა-ტებულების ტახტის მემკვიდრის ჩვილსაც. მეორე მხრივ, უნდა დამე-თანხმოთ, რომ აქ არ მყოფი მეფის ასულების თავების ესე იგი მე-12 და მე-13 თავების ჰონორარი არ მოგეცემათ. ასევე არ შეღის ანგარიშ-ში თავი 14, თქვენი.

გოიამ გასამრჩელო დიღად უხვად არ ჩათვალა, მაგრამ არცთუ ხელმოჭერიღად.

გაიარა ერთმა დღემ, მეორემ, მესამემ. თანამდებობაზე დანიშვნა მაშინ შედიოდა ძალაში, როცა ყველა სათანადო ინსტანციას გაივლიდა, ისე რომ ყოველ დაუდევარ და არაკეთილმოსურნე მოსამსახურეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ გაექიანურებინა საქმე. გოიას სხვა გზა არ ჰქონდა — უნდა დაეცადა. მაგრამ მოუთმენლობა ავადმყოფობად ექცა, სმენა თანდათან უშარესდებოდა. უფრო და უფრო ხშირად მოსდიოდა აზრად, დაუყოვნებლივ გამგზავრებულყო ანდალუზიაში, კავტანასთან, რა შედეგიც არ უნდა მოჰყოლოდა ამას.

მაგრამ აი, მეოთხე დღეს, ხაზინადარის სტუმრობის შემდეგ, დონ მანუელი გამოცხადდა პეპასთან ერთად. უკან მოჰყვებოდათ მანუელის ერთი წითელწინდოსანი ხელში ვეება პორტფელით.

—გადმომცეს თქვენი სურათის ამბავი, დონ ფრანსისკო,—ატიტინდა პეპა,— დონ მანუელის ნებართვით, ასე ვთქვათ, მათი უუბრწყინვალესობებისაგან ფარულად, არანხუესში გავემგზავრე და ვნახე სურათი. ასეთ საქციელს ჩვეული არა ვარ, მაგრამ კარგად მოგეხსენებათ, როგორ დაინტერესებული ვარ თქვენი ხელოვნებით. მართლაც საუცხოო პორტრეტია, შეიძლება ითქვას—ტილოა. არა მარტო უდიდესი, არამედ საუკეთესოც მათ შორის, რაც აქამდე შეგიქმნიათ. ზოგ შემთხვევაში თავი დიდად არ შეგიწუხებიათ. მაგალითად, პარმის ტახტის მემკვიდრე პრინცი უექველად ძალზე გრძელია, მაგრამ მთლიანად საუცხოო სურათია. და მერე როგორი თვალისმომპრელი!

დონ მანუელმა ბრძანა:

—ოფიციალური დავალებით ვარ მოსული. ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გაუწყოთ, — და ანიშნა წითელწინდოსანს, რომელმაც მანუელს სახელმწიფობექდიანი დიდი სიგელი მიაწოდა,—თვითონ მოვიდეთ ხელი ამ საქმეს, — განაცხადა მან, — თორემ კიდევ სამ კვირას გაქიანურდებოდა. ამგვარად, შემიძლია საბუთი დღეს გადმოგცეთ. წავიკითხოთ? — ჰკითხა თავმომწონედ.

ცხადია, გოიამ იცოდა საქმის ვითარება და დონ მანუელს ჰქონდა მადლობის მიღების საფუძველი; მიუხედავად ამისა, გოიამ ძლივს დასძლია ფარული უკმაყოფილება ქედმაღალი მწყალობლის მიმართ.

—დღეს ვერ არის კარგად ჩემი სმენის საქმე, — მიუგო მან, — შეიძლება თვითონ წავიკითხო საბუთი?

—როგორც გენებოთ, — უთხრა შეურაცხყოფილმა მინისტრმა.

გოიამ წაიკითხა: „მეფეს, ჩვენს ბატონს, ნებაეს, მოწყალება მოი-
ლოს დიდი დამსახურებისათვის, დაგაჯილდოოთ თქვენ, რათა აკადე-
მიის დანარჩენი პროფესორები წახალისოს და უჩვენოს მათ, როგორ
მაღალ შეფასებას აძლევს მისი უბრწყინვალესობა ხელოვნების კე-
თილშობილ დარგს — მხატვრობას. ამის საფუძველზე მეფემ, ჩვენმა
ბატონმა, კეთილინება და დაგნიშნათ თქვენ პირველ მხატვრად. დღეი-
დან მოგეცემათ წლიური ხელფასი 50 000 რეალი. გარდა ამისა, ხაზი-
ნას ნაბრძანები აქვს ყოველწლიურად გადაგიხადოთ 500 დუკატი ეკი-
პაის შესანახად. ამასთანავე ხაზინას მიეცა მითითება, მოგელაპარაკოთ
შემდგომში უფრო ბრწყინვალე ბინის ხარჯების თაობაზე. ღმერთმა
მოგცეთ დღეგრძელობა. პირველი მინისტრი, მშვიდობის თავადი ღონ
მანუელი“.

ახლა პართლაც აღელვებულმა გოიამ ხმაჩახლეჩით მოახსენა:

— მაღლობას მოგახსენებთ, ღონ მანუელ.

— არაფრისთვის, ჩემო ძვირფასო, — უთხრა ღონ მანუელმა. მისი
უკმაყოფილება გაჰქრა მხატვრის გულწრფელი, ღრმა სიხარულის და-
ნახვაზე. პეპა კი პირდაპირ უყურებდა ლამაზი, მწვანე, უტიფარი თვა-
ლებით გოიას და უთხრა:

— მინდა პირველი მე ვიყო მომლოცველთა შორის, ფრანჩო.

როცა გოია მარტო დარჩა, კვლავ გადაიკითხა საბუთი ერთხელ და
შრავალჯის. ყველაზე მეტად ახარებდა სუბსიდია ბინისთვის და კიდევ
უფრო მეტად ეტლის შესანახი ხუთასი დუკატი. ყოველთვის სინდისის
ქენჯნას განიცდიდა ამ ეტლის გამო; ახლა ცხადი გახდა, რომ ეტლი სა-
ჭირო ყოფილა. ხანდახან მეფეს ხელმოკერილად თვლიდა, ვინაიდან
მხატვრის ხელფასზე ამდენ ხანს სიძუნწეს იჩენდა. თურმე ცდებოდა.
ღონ კარლოსი გულუხვი ყოფილა და სცოდნია ხელოვნების ფასი. თუ
მისი მეგობრები კვლავ დაუწყებენ მეფეს გინებას, კრინტსაც აღარ
დასძრავს მის საწინააღმდეგოდ.

ხოსეფან შვებით ამოისუნთქა, როცა მისი დანიშვნის ამბავი გაიგო.
მისი ცხონებული ძმა მუდამ იმას ამბობდა, მხატვარმა უნდა შეაერთოს
მშვენიერება და სინანდელიყო. ფრანჩომ ეს დებულება დაარღვია და
აქამდე სულ ეშინოდა, რომ მისი უბრწყინვალესობანი ვერ შეურიგდე-
ბოდნენ მათი წმინდა პიროვნებების ამგვარ წარმოსახვას. ახლა დარწ-
მუნდა, რომ ფრანჩომ წარმატებას მიაღწია არა მის ძმასა და ბაიუეს

დიდ გვართან კავშირის წყალობით, არამედ საკუთარი დამსახურებით და საკუთარი ძალით.

გოიამ თავის მეგობარ მარტინ საპატერს მისწერა:

„დიდი ხანია შენთვის აღარაფერი მომიწერია, მაგრამ სამუშაოში ყელამდე ვიყავი ჩაფლული. კარგ სამუშაოში. დღესაც არ შემიძლია ბევრი მოგწერო — სასწრაფოდ უნდა გავემგზავრო სამხრეთში, ერთ ცნობილ მანდილოსანთან. შენ უკვე მიხვდი, ვისთან. დამნიშნეს კარის პირველ მხატვრად და მესაჭიროება შენი რჩევა, როგორ უნდა გავანაწილო ახალი ფული. აგუსტინს დავავალე გამოემგზავნა შენთვის ჩენი ღიბლომის ასლი. უჩვენე ეს დედაჩემს, ჩემს ძმებს და ყველას სარაგოსაში. და რაც მთავარია, ჩვენს მოხუც ფრაი ხოაკინს, როტქელსაც არ სჯეროდა, რომ ჩემგან რაიმე გამოვიდოდა. ახლა ვაპირებ ჩემს ეტლში ჩაჭდომას, რომლის ხარჯებსაც სხვათა შორის, ამიერიდან მეფე გადამიხდის, წელიწადში 500 დუკატს. დიდ არს ღვთისმშობელი! ქანცაწყვეტილი ვარ ჩატარებული მუშაობისა და ბედნიერებისაგან. იყიდე ორი დიდი სანთელი და აუნთე ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს, დელ პილარს. მეფე-დედოფლის საცილობელ საგნად იქცა

შენი მეგობარი ფრანჩო“.

გოია არანხუესში გაემგზავრა, რათა მეფე-დედოფლისათვის მადლობა მოეხსენებინა. შეუკვეთა ექსტრა-ფოსტა სამხრეთისაკენ. აუდიენციის შემდეგ სასწრაფოდ გადაიცვა, გაგზავნა მადრიდში თავისი საზეიმო ტანსაცმელი და არანხუესიდან პირდაპირ ანდალუზიაში გაემგზავრა.

როგორ იწვედა, ეშურებოდა,
როგორ უხმობდა ანდალუზია!..
მაგრამ მეეტლემ — მრავალნაცადმა
შესთავაზა, რომ მოკლე გზა ახლა
საშიში იყო ყაჩაღებისგან.
ამიტომ გრძელი — შემოვლითი გზით
წასვლა უჯობდათ. მაგრამ გოიას
ამის მოსმენაც კი არ უნდოდა.
მან დუკატების შეკვრა აჩვენა
და გაოცებულ მეეტლეს უთხრა:
„მიდი, მოხუცო! ნუ გეშინია.
ვინ შეგვეხება? შენ ბედნიერი
მგზავრი მიგყვება!“

ნახევრადჩაცმული გოია მოხერხებულ სავარძელში მოკალათებულ-
ლიყო და უყურებდა, როგორ სვამდა კაეტანა ლოგინში შოკოლადს.
ლოგინი იდგა მანდურში, რომლის ფარდები ფართოდ იყო გადაწეული.
ლოგინის თავსა და ბოლოში კეთილშობილი ხისაგან გამოკვეთილი,
მკერდზე თითო შანდალმიმაგრებული ქალღნერთი იყო აღმართული.
ნიუხედავად იმისა, რომ შუადღე მოახლოებული იყო, სანთლები მაინც
ენთო. ისინი ბეუტავდნენ, ოთახში საამური ბინდბუნდი იდგა. კედლე-
ბის გასწვრივ მკრთალად მოჩანდა ფრესკები — ბაღის ულაზათო პანო-
რამა. თვით მანდური მოხატული იყო მაღალი ფანჯრებით: დახატულ
ღარაბებზე გამოსახული იყო თავშესაქცევი ფარული ხვრელები, რომ-
ლებიდანაც ნასიზმრევი მზის სხივები თუ შეძლებდა შემოჰკრას. სა-
მური იყო ოთახის სიგრილეში იმის წარმოდგენა, როგორი სიცხე უნ-
და ყოფილიყო გარეთ.

თავშექცევით და ძადიანად აწებდა კაეტანა ტკბილ ნამცხვარს სქელ
შოკოლადში. დუენია შიშით უყურებდა, არაფერზე დააწვეთოსო. გოი-
აც ნისჩერებოდა მას მოდუნებული და კმაყოფილი. არავინ ლაპარაკობ-
და.

კაეტანა საუზმეს მორჩა, დონია ეუფემიამ ფინჯანი ჩამოართვა. ქალ-
ბატონი ზანტად გაიზმორა.

ფრანსისკო საესებით ბედნიერი იყო. როცა ის გუშინ საღამოს მოგ-
ვიანებით მოვიდა, კაეტანა მის შესახვედრად გამოვარდა. თავისი სიზა-
რული ქალბატონისათვის შეუფერებლად გამოამკლავნა და მყოფლო-
მის თანდასწრებით გადაეხვია. შემდეგ, როცა გოია ბანაობდა და იცვამ-
და, გაღებული კარიდან ეტიტინებოდა. მთელი გზის მანძილზე გოიას
ეშინოდა, სანლუკარში ალბათ სტუმრები დამხვდებიანო. დიდხანს ალო-
დინა კაეტანა და საკვირველი არც იქნებოდა სტუმრების მოწვევა. მაგ-
რამ არავინ გამოჩენილა, თვით ექიმი პერალიც კი. სუფრასთან მარტონი
დასხდნენ; ეს იყო მხიარული ვახშობა. ნასლაათობდნენ, თავს იქცე-
დნენ ბავშვურად და არცთუ ბავშვურად. ერთი უკმეხი სიტყვა არ წა-
მოსცდენიათ. მთელი გრძელი საამური ღამის განმავლობაში არც ერთი
ბოროტი ფიქრი არ მოსვლია თავში გოიას. ეს იყო სანეტარო საათები.

კაეტანამ საბანი გადაიძრო, ლოგინზე წამოჭდა.

— თქვენთვის არ არის საჭირო, ჩემს დილის ტუალეტს დაესწროთ.

დონ ფრანსისკო, — მიმართა მან, — ცოტა ხანს კიდევ იძინეთ ან სასახლე დაათვალიერეთ, ან თუნდაც ბაღში გაისეირნეთ. მე შეგხვდებით სადილობანდე ნახევარი საათით ადრე ბელვედერთან და გავისეირნებთ.

გოია ბელვედერთან ნაადრევად მივიდა. აქედან იშლებოდა სახლისა და ლანდშაფტის შესანიშნავი ხედი. როგორც უმეტესი შენობები ამ მიდამოებში, ისე ეს ვრცელი ნაგებობაც არაბული სტილისა იყო, რომლის თეთრ კედლებში მცირე რაოდენობის ფანჯრები გამოეჭრათ, ბრტყელი სახურავიდან ცაში აწვდილიყო სათვალთვალო კოშკი. ბაღები ტერასებად ეშვებოდა. განიერი მდინარე გვადალკვივირი ზანტად ჩაედინებოდა ზღვაში. ქალაქი სანლუკარი მწვანე ოაზისივით გაშლილიყო შიშველ სილაში; თვალწარმტაცი ზვრებისა და ზეთისხილის ხეივნების ორივე ნხარეს შორს იშლებოდა მოყვითალო-თეთრი დაცემული ლანდშაფტი. ნაწევებისა და კორპის მუხების დაჩიავებული ტყეები სილაში იხრჩობოდა. ზღვასავით ლივლივებდა დიუნები, თეთრად ქათქათებდა მლაშობები.

გოია გულგრილად უტკებრდა ლანდშაფტს. პიედრაიტას მთები იყო ირგვლივ თუ სანლუკარის დიუნები, მისთვის სულ ერთი იყო. მთავარია, კაეტანასთან იყო მარტო, მეფის კარიდან შორს და მადრიდიდან შორს.

მანთან მივიდა ექიმი პერალი. დინჯად დაიწყეს საუბარი. პერალი უყვებოდა მათ წინ მდგარი შენობის ამბავს. ის უშენებია გრაფ ოლივარესს, ფილიპე მეოთხის ყოვლისშემძლე მინისტრს, რომელსაც ველასკესი ხშირად ხატავდა. თავისი უკანასკნელი გაძევების მწარე წლები აქ გაუტარებია. შემდეგ მის ძმისწულს და მემკვიდრეს დონ გასპარდე აროს გაუგრძელებია მშენებლობა და მისი სახელის მიხედვით დარქმევია სასახლეს „კასა დე არო“.

შემდეგ, ვიდრე გოია რაიმეს ჰკითხავდა, პერალი მოჰყვა, რა მოხდა აქ ბოლო ხანებში. ცხადია, კაეტანას არ შეეძლო დიდი წვეულებების გამართვა, მგლოვიარობის გამო, მაგრამ სტუმრები მაინც ყოფილან კადისიდან, ხერესიდან და სევილიადანაც კი. „თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდანაც მოვაო“, გაიხსენა გოიამ ძველი ანდაზა. დროდადრო თვითონაც ჩადიოდნენ კადისში, ალბას ქალაქურ სასახლეში, იქაურ კასა დე აროში. ერთხელ კაეტანა ფარულად კორიდას — ხარების ჭიდილს — დასწრებოდა კადისში. აქ სასახლეში ორი დღე ყოფილა სტუმრად ტო-

რეადორი კოსტილიარესი. გოია, რა თქმა უნდა, არ ფიქრობდა, რომ კაეტანა მთელი აქ ყოფნის განმავლობაში სათვალთვალ კოშკზე იყო შემდგარი და მის მოლოდინში სულ გზისკენ ეჭირა თვალი, როგორც ამას პეპას რომანსის მანდილოსნები სჩადიოდნენ, მაგრამ გუნება მაინც გაუფუჭდა.

კაეტანა თავისი ამალით გამოცხადდა. თან ახლდნენ: დუენია, პაეი ხულიო. ზანგი გოგონა მარია ლუცი, ლეკვი დონ ხუანიტო და რამდენიმე კატა. ცხადია, გოიას გულისათვის ქალი მეტად ფაქიზად გამოწყობილიყო, რამაც მხატვარი გაახარა.

— კიდევ კარგი, რომ ჩვენ ისე აღარ ვიქცევით, როგორც ჩვენი წინაპრების დროს, როცა ქვრივს შავები უნდა ეტარებინა სიკვდილამდე, ან გათხოვებამდე, — თქვა კაეტანამ.

გოია გააოცა ქვრივობაზე მისმა გულგრილმა ლაპარაკმა.

პერალმა წასვლის ნება ითხოვა. დანარჩენები კი ბალებს გაჰყვნენ. პატარა პროცესიას აქეთ-იქიდან მალლა კულდებაწეული კატები ვიაცილებდნენ.

— თქვენ აღრინდელზე ოდნავ მეტი მბრძანებლობით იშვერთ ქვევით საჩვენებელ თითს, კაეტანა. სხვა ცვლილებებს ვერ გამჩნევთ, — უთხრა გოიამ.

— და თქვენ კი უფრო მეტად დაგიშვიათ ქვედა ტუჩი, ფრანსისკო, — მიუგო მან.

ბალში მრავალი მზის საათი იყო, ერთს ჩრდილის მაჩვენებელი ისარი ჰქონდა მიხატული.

— გრაფი ოლივარესი, — განმარტა დონია კაეტანამ, — აქ თავისი გაძევების პერიოდში თითქოს უცნაური გამხდარა. უთუოდ ოცნებობდა, რომ შეეჩერებინა დროთა სრბოლა, ვიდრე მისი ვარსკვლავი კვლავ ამობრწყინდებოდა.

შეექცნენ მსუბუქ საუზნეს. სასადილო ოთახის კედლებს ირგვლივ გასდევდა ბალის გამოხუნებული ფრესკები, მრავალი ბოძი და ეგვიპტური მოტივის ყვავილწულები რომ იყო ზედ გამოხატული. აგრეთვე დახატული მზის საათის ისარი მუდამ ერთსა და იმავე დროს უჩვენებდა.

ნასაუზმევს კაეტანა გოიას გამოემშვიდობა. მხატვარმა თავის საწოლ ოთახს მიაშურა, საშინლად ცხელოდა, შიშველი დაწვა ლოგინზე შუადღისას რიგიან-პირიანად გამოსაძინებლად. სიზარმაცე მორეოდა

და აღარაფერი სურდა. ეს იშვიათად ხდებოდა მის ცხოვრებაში. თავში მუდამ გეგმები უტრიალებდა, არ შეეძლო ისე ჩაწოლილიყო ლოგინში, რომ ხვალინდელ დღეზე არ ეფიქრა, მონავალ კვირაზე, ახალ საკითხზე. დღეს კი ასე არ მოხდა. არ ნანობდა, რომ ძილი მოერია, ამას არ თვლიდა დროის დაკარგვად, სიხარულით გრძნობდა, როგორ გაეხვია ძილის ბურუსში, როგორ გამსუბუქდა მისი სხეული. ღრმად ეძინა და ბედნიერად გაიღვიძა.

პირველი დღის მსგავსად გაატარა მომდევნო დღეებიც — თავისუფლად, ბედნიერად, კმაყოფილებით. ის და კაეტანა უმეტესად მარტონი იყვნენ. პერალი ხელს ნაკლებად უშლიდათ. ეუფემიას არაფერს უფარავდა კაეტანა და არც ერიდებოდა მისი. ერთხელ კაეტანა და ფრანსისკო ნახევრად შიშველნი ისხდნენ ბნელ ოთახში. საშინლად ცხელოდა. კაეტანა მარაოს იქნევდა. შემოვიდა ეუფემია და ჩაცივებულნი ლიმონათი მოართვათ, დაინახა მარაო, წაიბორძიკა, გაუვარდა ლიმონათიანი სირჩა, მივარდა კაეტანას და გამოსტაცა მარაო.

— ამ მარათი ნუ იგრილებთ, როცა ასე ზიხართ! — დაუყვირა მან.

ეს იყო მარაო, რომელზედაც დახატული იყო უბიწო ქალწული დელ პილარი.

მსგავსი შემთხვევები სანლუკარში ამაღელვებელ მოვლენათა რიცხვში შედიოდა. ორივეს, ფრანსისკოსა და კაეტანას ბევრი ცული განეცადა და ასე უშფოთველად და კმაყოფილებით ჯერ დრო არ გაეტარებინათ მთელი თავიანთი სიცოცხლის მანძილზე. ამიტომაც ახლა განცხრონაში იყვნენ.

გოია ცოტას მუშაობდა. ტილოს, ფუნჯსა და პალიტრას ხელს არა ჰკიდებდა. თავისი მოწაფეობიდან მოყოლებული ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა არ მუშაობდა. სამაგიეროდ ბევრს ხატავდა, საკუთარი ჰამონებისათვის. ყველაფერს იხატავდა, რაც მოეწონებოდა კაეტანას ყოველდღიურობაში. ერთხელ კაეტანამ ჰკითხა; ხომ არ ისურვებ მახას როლში დამხატო.

— ნოღი უსაქმოდ ვიყოთ, — სთხოვა გოიამ, — ხატვის დროს მე ეფიქრობ, მოღი ნურაფერზე ვიფიქრებთ.

— ბოლოს და ბოლოს რამდენი სახელი გაქვთ? — ჰკითხა გოიამ ერთხელ ერთი საბუთის დათვალეირებისას, სადაც კაეტანას ტიტულების ჩამოთვლას სტრიქონების მთელი წყება დასჭირვებოდა. იდალგოს

ექვსი სახელი შეეძლო ეტარებინა, გრანდს თორმეტამდე, პირველი რანგის გრანდები შეზღუდული არ იყვნენ სახელების რაოდენობაში. ბევრი სახელის ტარება კარგი იყო; მაშინ ბევრი წმინდანი გეყოლებოდა მფარველად. კაეტანას ოცდათერთმეტი სახელი ჰქონდა. თვით ჩამოთვალა; „მარია დელ პილარ ტერესა კაეტანა დალინია ლუიზა კატალინა ანტონია ისაბელი... „და კიდევ მრავალი. გოიამ უთხრა, რომ მიუხედავად მისი კარგი მეხსიერებისა, ამდენი სახელის დასწავლა არ შეეძლო, მაგრამ ერთი კი იცოდა — კაეტანას იმდენივე სახე ჰქონდა რამდენიც სახელი.

— კიდევ ერთხელ ჩამოთვალე შენი სახელები სათითაოდ და ყოველ მათგანს სახეს დაუუხატავ, — უთხრა მან.

ის უთვლიდა თავის სახელებს და გოია ხატავდა. ქალები, კაეტანა და დუენია, უყურებდნენ. ხატავდა სწრაფად, ხალისიანად, გამოკვეთილად, თუმცა ეს სახეები კაეტანასი იყო, მაგრამ სინამდვილეში ერთიმეორისაგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ, მათში ბევრი სანდომიანი იყო, ხოლო ზოგი აშკარად ავი.

კაეტანა იცინოდა.

— როგორ ნოგწონვარ ეუფემია? — მიმართა დუენიას.

— შესანიშნავად ხატავს ბატონი კარის მხატვარი, მაგრამ უკეთესი ექნებოდა, თუ თავს დაანებებდა. ღვთის მოწყალება როდი მოჰყვება ყველაფრის ქალაღზე გადატანას — მიუგო დუენიამ.

— მითხარით, გეთაყვა, შემდეგი სახელი, — სთხოვა გოიამ.

— სუსანა, — უთხრა კაეტანამ და გოიამ ხატვა განაგრძო, რომლის დროსაც ეუფემიასთვის არც შეუხედავს, ისე ჰკითხა:

— ჯაღოქრად მიგაჩნევართ, დონია ეუფემია?

დუენიამ ფრთხილად შეარჩია საპასუხო სიტყვები:

— მე მგონია, თქვენო ბრწყინვალეზავ, ღვთის მიერ ნაბოძები მხატვრობის ნიჭი მხოლოდ წმინდანთა წარნოსასახავად უნდა იქნას გამოყენებული.

გოიას ხატვა არ შეუწყვეტია, ისე უთხრა სხვათაშორის:

— მე მრავალი წმინდანი დამიხატავს. ბევრ ეკლესიაში შეგიძლიათ ნახოთ კედლებზე დაკიდებული ჩემ მიერ დახატული ღვთისმოსავი სურათები. მარტო ჰერცოგ ოსუნისათვის ცხრაჯერ დავხატე წმინდა ფრანსისკო დე ბორნა.

— დიახ, — თქვა ალბამ, — ოსუნები დიდად ანაყოფენ თავიანთი

საოჯახო წმინდანებით, ჩვენ, ალბებს, კი არა გვეყავს საგვარეულო წმინდანები.

გოიამ ნახატი დაამთავრა, კონტად მოაწერა ნომერი და სახელი: „24. სუსანა“. ფურცლიდან გამოიყურებოდა მომხიბვლელი, სასაცილო და გამოუცნობი კაეტანა. აშკარად უკმაყოფილო ეუფენიამ აღზრდილს მიმართა:

— ჩემო მერცხალო, — უთხრა ვედრებით და თან ენერგიულად, — უმჯობესი იქნებოდა არ არსებულიყო ეს ფურცლები. სთხოვეთ ბატონ კარის პირველ მხატვარს ეს „სუსანა“ და ზხევიც დახიოს. მერწმუნეთ, ისინი ავ სულებს გამოიწვევენ. შეიძლება? — და ხელი სტაცა „სუსანას“.

— ხელი უშვი! — წამოიყვირა კაეტანამ და ხუმრობით თუ სერიოზულად გაიწია ეუფემიასაკენ. დუენიამ წინ შემოახვედრა კისერზე ჩამოკიდებული ოქროს ჯვარი, ავი სულის განსაღვენად, რომელიც მის მერცხალს მოვლენოდა.

ხშირად, როცა კაეტანა სადილის წინ თუ შემდეგ იძინებდა, ჯორზე შენჯღარი გოია ქალაქ სანლუკარს მიაშურებდა. იქ „ოთხი ეროვნების“ ტრაქტირში სვამდა ხერესს, იმ ყურძნისას, რომელიც აქ ახლოს იზრდებოდა და სამიკიტნოს სხვა მუშტრებთან მასლაათობდა. ეს მამაკაცები განიერ მრგვალ, თეთრ ქუდებს ატარებდნენ და ზაფხულშიც თავიანთი იისფერი ლაბადები ესხათ. უძველესი ქალაქი სანლუკარი — ბევრი მის სახელს ლიუციფერს უკავშირებდა — სახელგანთქმული და სახელგატეხილი იყო, როგორც ძირითადი ადგილსამყოფელი ეშმაკის მოწაფეთა, რომლებიც ყოველგვარი გაჭირვებისა და განსაცდელისაგან თავს დაიძვრენდნენ ხოლმე, ძველი რომანების პიკაროები აქ თავს ისე გრძნობდნენ, როგორც საკუთარ სახლში. მახოსთვის კი საამაყო იყო, თუ სანლუკარს თავის სამშობლოს უწოდებდა. ქალაქი კონტრახანდით გამდიდრდა, და ახლა, როცა ინგლისის ფლოტი კადისტან იყო, აქ ცხოვრება ყვაოდა და საქმეები იჩარხებოდა. „ოთხი ეროვნების“ ლუღხანაში ყოველთვის შეხვდებოდი ლამაზ, კრელ ტანსაცმელში გამოწყობილ მეჯორეებს, მათ იცოდნენ ქვეყნის ამბები და ისე ყვებოდნენ ამ მთისას და იმ ბარისას, რომ უკეთესად ვერავისგან გაიგონებდით. ამ მეჯორეებთან და სხვა ნუშტრებთან გოია მოცილილად მასლაათობდა. ეს ბაასი სავსე იყო ნართაულებით, მას, გოიას, ესმოდა მათი ენა, მათ კი — გოიასი.

ხანდახან ჯორით ჩამოვიდოდა მეზობელ სოფელ ბონანუსში ან ჩი-

პიონში. გზა გადიოდა კლდოვან თხელ მუხნარში და გაყვითლებულ, ნათელ სილის დიუნებზე. მლაშობები ყველგან თეთრად ქათქათებდა. ერთხელ, როცა შინისაკენ მიაჭენებდა ჯორს, კვლავ იხილა „ელ იანტარი“, შუადლის ნოჩვენება. ნელა მილოდავდა ეს ნახევარკუ თუ ნახევარადამიანი, მნახველს უფრო ძილს მოჰგვრიდა, ვიდრე შიშს, თავის მეორე სახელის „ლა სიეტას“ სრული შესატყვისობით, მოჩვენება თავის გზით მილოდავდა ნელა და შეუჩერებლივ, ფრანსისკოს საწინააღმდეგო მიმართულებით. გოიამ ჯორი შეაჩერა და დიდხანს უყურებდა მიმავალ მოჩვენებას. ზღვის სანაპიროდან კი ისმოდა დიუნებს ამოფარებული მოთამაშე ბავშვების ყრიაშული.

შინ დაბრუნებულ გოიას კადისიდან გამოგზავნილი ბარათი დახვდა. სენიორ სებასტიან მარტინესს მოესურვებინა სანტა-კუევას ტაძრისათვის სანი სურათი შეეწირა და ეკითხებოდა ბატონ კარის პირველ მხატვარს, ხომ არ ინებებთ შეკვეთის მიღებასო. სენიორ მარტინესი საყოველთაოდ ცნობილი იყო, როგორც ესპანეთის დიდი სავაჭრო ფლოტის მფლობელი, ამერიკასთან სავაჭრო ურთიერთობაც მეტწილად შის ხელთ იყო; ამასთანავე ხელოვნების გულუხვ მფარველად ითვლებოდა. წინადადება გოიას ხელსაყრელად ეჩვენებოდა. შეეძლო სენიორ მარტინესისათვის დიდი თანხა მოეთხოვა და სურათები სანტა-კუევასათვის სასურველი საბაზი იქნებოდა, გაგრძელებული „გამოსაჯანმრთლებელი შვებულება“ გაემართლებინა მეფის კარის წინაშე. თან ფიქრობდა, მსგავსი რელიგიური ნაწარმოების შექმნით შევძლებ. გაშოვისყიდო ცოდვები, რაც ვნებისა და ბედნიერებისათვის ჩავიღინეო. გადაწყვიტა პირადად მოლაპარაკებოდა სენიორ მარტინესს; კადისამდე სულ რამდენიმე საათის გზა იყო.

როცა გოიამ თავისი განზრახვა კაეტანას გაუზიარა, მან უთხრა, ეს სწორედ ზედგამოჭრილი შემთხვევა არისო, თვითონ აპირებდა გოიასათვის წინადადება მიეცა ორიოდღე დღით, ან ერთი კვირით კადისს გამგზავრებულიყვნენ. ამ ომის დროს იქ დიდი გამოცოცხლება არისოა თეატრებიც ჩინებულაიო. გადაწყდა, იმ კვირის ბოლოს გამგზავრებოდნენ კადისს.

გოიას თვალს იმ ღამეს ძილი არ მიჰკარებია. მივიდა ფანჯარასთან. ჰტვარე თითქმის შევსებულიყო. იგი ბალებს ზემოდან გადაჰყურებდა შორს მოლივლივე ზღვას.

და იქ, იმ მყუდრო მდუმარებაში.
იმ სიწყნარეში — მთვარიან ბალში
დასეირნობდა კაეტანა.
მან

გაიფიქრა, რომ ძირს ჩასულიყო
კაეტანასთან, რომელიც სულაც
არ უყურებდა გოიას სარკმელს.
და არ ჩავიდა, კატები პატრონს
თან დაჰყვებოდნენ...
ფრთხილ ნაბიჯებით
აღიოდა და ჩამოდიოდა,
გაზონზე თეთრად განათებული
ნაზი, ფერმკრთალი, დაბინდულ შუქით.
ღია სარკმელთან იდგა ფრანსისკო,
უმზერდა: კაეტანა ხეებში
მიმოდიოდა, ხოლო მის ნავალს
კუდებპარეხილ ციკათ ამაღა
მისდევდა მთელი ღირსების დაცვით
და საზეიმო განწყობილებით.

32

კაეტანა ალბა დაატარებდა გოიას თავის კადისის სასახლეში კასა
დე აროში. ამ სახლის ამშენებელ გრაფებს, ოლივარესს და გასპარ დე
ეროს, არ უძუნწიათ. მაშინ, როდესაც კადისში სახლების უმეტესობა
მაღალი იყო და ვიწრო, ვინაიდან ვიწრო კონცხი, რომელზედაც ქალა-
ქი იყო გაშენებული, არ იძლეოდა მისი ფართოდ გაშლის საშუალებას,
კასა დე აროში ვეება განიერ დარბაზებს თან ეკვროდა უზარმაზარი
მყუდრო პაციო, შესანიშნავად მოკირწყლული ეზო, რომელიც თავა-
დაც ფართო დარბაზს მიაგავდა. ამ ეზოს გასწვრივ, სამსართულიან შე-
ნობას შიგნითა მხრიდან გასდევდა აივნები. ბრტყელი სახურავიდან
ზეცაში აწვდილიყო სათვალთვალო კოშკი.

ვრცელ შენობაში გრილოდა, თუმცა ჰაერი კი დახუთული იყო. ისე
ჭოგორც სანლუკარში, აქაც იყო ნზის საათი დახატული ისრით, რო-
მელსაც დრო სამუდამოდ შეეჩერებინა. აქ ბევრი რამ იყო მარმარი-
ლოსი — სურათები, ქანდაკებები, ქალები; Senores antepasadores —
ბატონ წინაპრებს ფული არ დანანებიათ. მაგრამ ახლა სახლი თავმინე-
ბებულ იყო, კედლებზე გახუნებული ფრესკები იქერცლებოდა, მრავალ
საფეხურთაგან ზოგიერთი ამოცვენილიყო და დაზიანებულიყო.

გოია და კაეტანა დადიოდნენ გადაქექილ მარნარილოს დიდსა და პატარა კიბეებზე. თავადაც მოხუცებული, დაჩაჩანაკებული მოურავი პედრო მიუძღოდათ წინ და სიხარულით მიაბიჯებდა გაშეშებულ ფეხებს. ნელა ეღარუნობდა მისი გასაღებების შეცვრა. ბოლოს ისევე ასეთი ჩაყვითლებული, გადაქექილი მარმარილოს საფეხურებით მიაღწიეს მირადორს, სათვალთვალო კოშკს. ხრახნილი კიბით გვერდი აუარეს დაკეტილ კარს კოშკის ბრტყელ სახურავზე და დაბალი ბალუსტრადიდან გადახედეს ხმელეთთან მხოლოდ ვიწრო კონცხით შეერთებულ ქალაქს, კუნძულს რომე ჰგავდა და თეთრად ქათქათებდა ძალზე ლურჯ ზღვაში.

კასა დე არო მალღობზე იყო გაშენებული, ქალაქის თითქმის უმაღლეს წერტილზე. ფრანსისკომ და კაეტანამ ჩრდილო-დასავლეთს ნიაპყრეს თვალი და დაინახეს მისი დამცველი მრავალი პატარა ციხე-სიმაგრე. დაინახეს ძლიერი ესპანური სამხედრო ესკადრა და გრანადის მთებით შენოზღუდული ანდალუზიის დაბლობი. გაიხედეს დასავლეთით და დაინახეს გადამლილი ზოვა და ჰორიზონტზე ინგლისის ფლოტი, რომელსაც ნავსაღვურის შესასვლელი ჩაეკეტა. ახლა სამხრეთს ნიაპყრეს მზერა და დაინახეს აფრიკის სანაპიროები, მათ ფეხთქვეშ კი ნაირნაირი მცენარეულობით მორთულ-მოკაზმული კადისის ბრტყელსახურავიანი სახლები.

— ეს „ბაბილონის დაკიდებული ბაღებია“, როგორც თქვენი ბრწყინვალეების ნეტარხსენებული განსვენებული პაპა უწოდებდა ხოლმე, — განუმარტა ნოხუცმა მოურავმა.

კაეტანა და ფრანსისკო თითქმის მარტონი იყვნენ უზარმაზარ სახლში. ჯერ ისინი გამოემგზავრნენ და თან წამოიყვანეს მხოლოდ დუენია; დანარჩენები კი — ექიმი პერალი, მაჟორდომი, მდივანი და მთელი ჯალაბობა რამდენიმე დღეში უნდა მოჰყოლოდნენ მათ. გოია და კაეტანა მარტონი სხდებოდნენ პურის საჭმელად. ემსახურებოდათ პედრო და მისი მეუღლე. ხელს არავინ უშლიდათ, მაგრამ იცოდნენ, ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა და ტკბებოდნენ სინარტოვით.

მეორე დღეს გოია დაჰპირდა თავის შემკვეთს, სენიორ მარტინესს, რომ მასთან მივიდოდა. დრო ჰქონდა და დახეტილობდა მცირე ფერდობზე მჭიდროდ გაშენებულ და ხალხმრავალ ქალაქში. მიაბიჯებდა ვიწრო ქუჩებში თეთრ, მაღალ, ბრტყელსახურავებწინწანოშვერილ სახლებს შორის. გაიარა რიყის ქვის ქვაფენილით კალიე ანჩა, ალაბედე,

თელისა და ალვის ხეებით შემორგული მიწაყრილი. დაბრუნდა უკან პუერტა დე ლა მარისკენ და ესიამოვნა ხმაური და ალიაქოთი. ფრინველებით მოვაჭრე მაჰმადიანებს აფრიკის მახლობელი სანაპიროდან აქ ქათმები და იხვები ჩანოეყვანათ, მეთევზეებს ჭარბსუნიანი და ჭარბგერიანი თევზი და ნიჟარები გამოეფინათ, მემწვანილეებს ფერადი ნაყოფის მთები დაედგათ, თულუხჩებს ურიკები მოეგორებინათ, ყინულის გამყიდველებს — კასრები, შავწვერა, ფართო შარვლებიანი მაროკოელები თავიანთ ხურმას შემოსხდომოდნენ და გრძელ ყალიონებს ეწეოდნენ. ყავახანებისა და სამიკიტნოების პატრონები ვიწრო ღუქნებში დაყილობდნენ. მეწვრილმანეები ხატებით, ამულეტებითა და მგზღვაურთა ქუდებით ვაჭრობდნენ. კრიჭინებით მოვაჭრენი თავიანთ მოჭრიკინე საქონელს სპილენძის პატარა გალიებით, ან მოხატული პატარა სახლებით სთავაზობდნენ კორტეხოს თავისი მანდილოსნისთვის გასართობად. ყველაფერი ეს, ლურჯი ზღვით გარშემოვლებული, რომელზედაც ესპანეთისა და ინგლისის ესკადრა ნოჩანდა, გადაჭრელებული იყო, გნისობდა და ყარდა კამკამა ცის ქვეშ. ფრანსისკოს ხშირად აეკიდებოდნენ შავოსანი ქალები და სთავაზობდნენ გოგოებს, მაღინანად აღწერდნენ მათს ღირსებებს და ეუბნებოდნენ, რომ ახლოვდებოდა სოლანო, სულისშემბუთველი, ვნების აღმძვრელი ქარი და გოიას სანანებლად დაურჩებოდა შენათავაზების უგულვებელყოფა. „აი, ასეთი მშვენიერი, მრგვალი თეძოები აქვს“, აქებდნენ და ხელით უხაზავდნენ ნას.

ფრანსისკო უკან გაბრუნდა ქალაქის ვიწრო ქუჩებით. უკვე დრო იყო სენიორ მარტინესთან მისვლისა.

გოიას ბევრი გაეგონა სებასტიან მარტინესზე. მოწინავე კაცად ითვლებოდა და ღვაწლი მიუძღოდა ზღვის გაღმა მდებარე ესპანეთის ქვეყნებში მიწათმოქმედებისა და ინდუსტრიის ახლებურად წარმართვის საქმეში. სხვა კადისელი ვაჭრებივით არ კმაყოფილდებოდა მარტო მოვებულის თვლით, რამდენჯერ პირადად წაუძღვა ამერიკისაკენ საზღვაო მგზავრობაში თავის ფლოტს, და თავისი კაპერული გემების მტერთახ შეტაკებისას ვაჟაკობაც გამოიჩინა. ამ ამბის მცოდნე გოიას გაუკვირდა, როცა სენიორ მარტინესი ნახა. ეს იყო ხმელ-ხმელი, ხაზგასმული უბრალოებით ჩაცმული კაცი, რომელიც უფრო სწავლულ პედანტს ჰგავდა, ვიდრე დიდ ვაჭარს, პოლიტიკოს ან მეკობრეს.

შხატვარი მალე მიხვდა, რომ მას თავისი სანაქებო სურათების კო-

ლექცია პრესტიჟის ასაწევად კი არ მოუგროვებია, არამედ სიყვარულთა და ცოდნით. ხალისიანად აჩვენებდა გოიას თავის საუნჯეს, ამბობდა, მე თვითონ შევადგინე ჩემი გალერეის კოლექციის კატალოგიო. სურათებსა და ქანდაკებებზე ნაკლებ როდი ამაყობდა იმ ნაწარმოებთა რეპროდუქციების კოლექციებით, რომლებსაც ხელოვნების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავს იმით იქებდა, რომ ეს კოლექცია სრული იყო და ერთადერთი მთელ ესპანეთში.

— თქვენ ამაოდ დაუწყებთ ძებნას ამის მსგავს რაიმეს მარკიზ დე ქსერენას კოლექციაში, დონ ფრანსისკო, — და ბოროტად ჩაიხიბხითა.

მარკიზი დე ქსერენა ქალაქ კადისის მეორე ცნობილი კოლექციონერი იყო და სენიორ მარტინესის დიდი მეტოქე.

— მარკიზი უმეთოდოდ მუშაობს, — დასცინოდა მარტინესი, — აქ კრესოს ყიდულობს, იქ ტიციანს, ერთი სიტყვით, რაც თვალში მოუვა. ამგვარი ანარქიული პრინციპით ისეთი კოლექციის თავმოყრა არ შეიძლება, რომ პრეტენზია ჰქონდეს მხატვრულ და მეცნიერულ ღირებულებაზე. ხელოვნება — წესრიგია, ამტიციებდნენ ვინკელმანი, მენგსი და ბოლოს განსვენებული თქვენი ცოლისძმა.

სამ დარბაზში ქალაქ კადისის სიძველენი ჰქონდა გამოფენილი. სენიორ მარტინესმა მისი ჩვენების დროს სტუმარს უთხრა:

— თავი არ მომაქვს იმით, რომ ოკეანეს გაღმა მდებარე ჩვენი სამფლობელოების კეთილდღეობაზე ვიზრუნე; არც იმით, რომ ჩემნა ფლოტმა რამდენჯერმე აგემა ინგლისელებს დამარცხება. მაგრამ მით კი ვამაყოფ, რომ ვეკუთვნი ესპანეთის უძველესი ქალაქის სავაჭრო წოდებას. ჯერ კიდევ ისტორიკოსმა ჰოროსკომ მოიხსენია ჩემი წინაპარი, ვილადე მარტინესი. ეს დიდი ხნის წინათ მოხდა, როცა მარკიზ ქსერენას სახსენებელიც არსად იყო.

„სწავლულ ბრიყვზე უარესი არაფერია“. — მოიგონა გოიამ ძველი ანდაზა.

— ეს შესანიშნავი რამაა, დონ სებასტიან.

მაგრამ მარტინესმა შეაჩერა:

— თქვენო ბრწყინვალეზავ, ნუ მიწოდებთ დონს, მე არა ვარ დონ სებასტიან მარტინესი. უბრალოდ სენიორ. მარტინესი ვარ.

ახლა აჩვენა ქალაქის გერბის ძველისძველი გამოსახულება, ოდესღაც ქალაქის ამჟამად აღარარსებულ ჭიშკარს რომ ამშვენებდა. რელიეფზე ჩანდა ბოძები, რომელიც ჰერკულესს აღემართა, როცა აქ, ან და-

საწლებული ქვეყნის დასავლეთ მხარეში მოსულიყო. „Nec plus ultra“ — „მხოლოდ აქამდე“ — უთქვამს ჰერკულესს და ასე იყო გამოსახული გერბზე, თუმცა ლათინურად კი არ უთქვამს, არამედ — ბერძნულად: *εἰς ἄκρον προση*; — და სენიორ მარტინესმა წარმოთქვა ბერძნულად პინდარეს დიდებული ლექსი, საიდანაც ამოღებული იყო ეს სიტყვები, — მაგრამ სიმართლე თუ გნებავთ, მას ეს ბერძნულადაც არ წარმოუთქვამს — არამედ ფინიკიურად, ვინაიდან ეს ჰერკულესი შართლა ჰერკულესი კი არ იყო, არამედ ფინიკიელთა ღმერთი ნელკარტი. სწორედ ის მელკარტი, რომელიც ჩვენი ქალაქის სხვა ღერბზე ლომს ახრჩობს. ჩვენ, კადისელები, ჰერკულესზე ბევრად ძველი წარმოშობისა ვართ. ასე იყო თუ ისე, კარლოს მეწუთემ მიითვისა ღერბის ზვიადი სიტყვები, მაგრამ „nes“ ამოშალა. „Plus ultra — სულ წინ“ გაიხადა ღვევიზად და მას შენდევ სებასტიან მარტინესის წინაპრები და თვით სებასტიანიც ახორციელებენ მას. მათი შეუპოვარი გემები სულ უფრო წინ მიიწევენ დასავლეთისაკენ.

გოია გაღიმებული უყურებდა, როგორ ახალგაზრდავდებოდა მარტინესი, როცა თავის ქალაქის ძველისძველ ისტორიას ალტაცებით და მიმზიდველადაც ყვებოდა.

— მაგრამ თქვენ ამბებით შეგიქციეთ, ღონ ფრანსისკო, და საქმისათვის კი ნყავხართ მოწვეული. მინდოდა თქვენთვის შეთხოვა, თქვენო ბრწყინვალეზავ, — მიმართა მეტად ოფიციალური ტონით, — რომ სანტა კუევასთვის რამდენიმე სურათი დაგეხატათ. საერთოდ, სურვილი მაქვს თქვენთან საქმიანი ურთიერთობა დავამყარო, ბატონო კარის პირველო მხატვარო. გულახდილად რომ ვთქვა, მინდოდა ჩემი პორტრეტი დაგეხატათ, მაგრამ შეიძლება ამაზე არ დამთანხმდეთ. სანტა კუევას შეკვეთაზე კი ძნელია უარის თქმა. ხომ მართალს ვამბობ? — და ჩაიქირქილა. — გულახდილობის წილ გულახდილობა, — მიუგო გოიამ, — რამდენი სურათი უნდა დაგეხატო? რა ზომის? და რამდენს გადაიხდით?

— მენდოსას კანონიკს. რომელიც სანტა კუევას სამუშაოებს განაგებს, სურს სამი სურათი. — მსგავსადვე საქმიანად მიუგო მარტინესმა. —

1. სერობა, 2. ხუთი ათასის პურობა, 3. იგავი ქორწინებაზე. ეს მოითხოვს საშუალო ზომის ტილოებს. თუკი თქვენ ინებებდით და კანონიკთან ერთად სანტა კუევაში მიბრძანდებოდით, იოლად განსაზღვრავდით, რა ზომის სურათები იქნება საჭირო. თქვენს მესამე შეკითხვაზე ნება ძნობდით ერთი საიდუმლო გაგანდოთ. განზრახული მაქვს ჩემი რამდე-

ნიმე გემით ინგლისის ბლოკადა გავარღვიოთ, ეს გემები თვითონ ჩავიყვანო ამერიკაში და უკანვე გამოვბრუნდე. ზოგიერთი მიზეზის გამო, ჩემი პატარა ფლოტილია გავაღია ზღვაზე არა უადრეს და არა უგვიანეს დღეიდან სამი კვირის გავლისა. მინდოდა ჩემი ხელით გადამეცა სურათები სანტა კუევას კაპიტელისათვის, და, უნდა გთხოვოთ, რომ დაჩქარებით იმუშაოთ, დონ ფრანსისკო. და თუ სურათები სამი კვირის განმავლობაში მზად იქნება, მზადა ვარ, სამი ათასი რეალის ნაცვლად, რასაც თქვენ ჩვეულებრივ მოითხოვთ, თითოეულ სურათში ექვსი ათასი გადავიხადო, როგორც ხედავთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ბიურგერის ხელიც შეიძლება იყოს გულუხვი, — დაასკვნა მან და ჩაიხითხითა.

ის ვერასოდეს ურიგდებოდა
ქუჩაღლობას და კულაპიკობას
რჩეულ გრანდების. აი, ეს თეთრი
კაღისი მართლაც ზღაპრულ სიმდიდრის
ქალაქი, რომელს კუშტი ღონდონიც
ეგრ გაუბედავს მხრის დაზომებას
თავის სიმდიდრით, მეზღვაურებმა
და სოვდაგრებმა ააგეს. მაგრამ
ის არ ეხატა გულზე ფრანსისკოს,
თუქც გასაგები იყო მესამე
წოდების ხალხის ზეობა, მაინც
სებასტიანი თავის ფულებით
და ხელოვნების სფეროსკენ სწრაფვით
სქულდა გოიას, იაევე როგორც
ეს დაცრეცილი სიუჟეტები,
რონლებზეც შრომა უწევდა, ალბათ —
„ქორწილი“, „საიდუმლო სერობა“,
„ხუთათასის პურობა“, მაგრამ
მუდამ როლი აქვს იმის უფლება
მხატვარს, ის ხატოს, რაც ეხატება,
ამასთან, ისიც... გზაზე არ ყრია
ცქეცი ათასი. შეხედა მისკენ
გამოწვლილ, გამხდარ ხელს მარტინესის
და შეაგება თავისა მკერდზე
და ხორციანი ტოტა გოამ, —
„აჰა, ხელი ხელს“!

კაეტანამ სთხოვა ფრანსისკოს მირადორზე — სათვალთვალო კომ-
კზე—აპყლოდა, ამჯერად გვერდი არ აუარა ჩაკეტილ კარს შუა კი-
ბეზე, პირდაპირ გაალო ის და შიგ შეიყვანა გოია.

პატარა, ნახევრად ბნელ კაბინეტში დახშული ჰაერი ეცათ. კაეტანამ
დარბები გაალო და ოთახში ძლიერი შუქი დაიღვარა. ის თითქმის ცა-
რიელი იყო. კედელზე ეკიდა ერთადერთი ძვირფასჩარჩოიანი სურათი.
ნის წინ იდგა საჭდომად მოსახერხებელი ორი გაქეპილი სავარძელი.

— დაბრძანდით, ღონ ფრანსისკო, — შესთავაზა კაეტანამ ოღნავ
შესამჩნევი, და როგორც გოიას მოეჩვენა, დამცინავი ღიმილით.

ფრანსისკო სურათს დააკვირდა. მასზე წარმოსახული იყო მითო-
ლოგიური სცენა კუნთებიანი მამაკაცებითა და ჩასუქებული დედაკა-
ცებით. როგორც ჩანს იგი პეტერ პაულ რუბენსის სახელოსნოდან იყო
გამოსული და ეტყობოდა, მისი მაინცდამაინც ნიკიერი მოწაფეების
შექმნილი არ უნდა ყოფილიყო.

— თქვენ უკეთესი სურათები გაქვთ, — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ
ფრანსისკომ.

კაეტანამ კედელზე ერთ ღილაკს დააკირა ხელი. მითოლოგიური სურ-
ათი გვერდით გადაიწია, ალბათ ზამბარის ნეოხებით, და გამოჩნდა
მეორე ტილო.

ფრანსისკო წამოიმართა, ადგა, სავარძელს შემოუარა. სახე დაე-
ცაბა, ღიდი ყურადღების გამჟღ ოღნავ ნეკაცი გამომეტყველება მიიღო
ქვედა ტუჩი ჩამოუვარდა. ერთიანად დაკვირვებად და მზერად იქცა.

სურათზე წარმოსახული იყო მარჯვენა ხელზე დაყრდნობილი
წვლიარე ქალი, სარკეში იცქირებოდა მაყურებლისაკენ ზურგშექცე-
ული. ქალი შიშველი იყო. პატარა, დაჩოქილ ფრთოსან ყმაწვილს ეჭირა
სარკე, რომელშიაც ბუნდოვნად ჩანდა ქალის სახე. უცხოელის დახა-
ტული როდი იყო ეს შიშველი ქალი, ის არ იყო შექმნილი არც ანტვერ-
პენში და არც ვენეციაში. ამგვარი საზღვარგარეთელი სურათები ბევ-
რი ეკიდა მეფეთა სასახლეებში და იშვიათად — ამა თუ იმ გრანდის
სასახლეში; არა, სურათი, რომლის წინაშიც ახლა ფრანსისკო იდგა,
ესპანელის ხელით იყო დახატული, ეს მხოლოდ ერთს შეეძლო შეე-
ქმნა — დიეგო ველასკესს. ეს უეჭველად ის სურათი იყო, რომლის შე-
სახებაც ღონ ანტონიო პონსმა უამბო და მიგელმაც ახსენა. ეს იყო

კადნიერი, აკრძალული, ყბადაღებულის, სახელგანთქმული, ველასკესის Dona Desnuda „შიშველი ქალი“, ფსიქეა თუ ვენერა, როგორც არ უნდა ეწოდებინათ იგი, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი შიშველი ქალი. ის არ იყო არც ვარდისფერი და არც ფუნთუშა, არც თეთრი და ჩასუქებული, არ იყო ტიციანის იტალიელი ქალი, ან რუბენსის ჰოლანდიელი ქალი: ეს იყო ველასკესის მომჭადოებელი ესპანელი გოგონა.

ის სინანდილეთი არსებობდა და ფრანსისკო მის წინ იდგა.

გოიას დაავიწყდა, რომ სურათი ასორმოცდაათი წლისაა, რომ თვითონ კადისშია და მასთან კავებაა. ისე უყურებდა თავისი კოლეგის სურათს, თითქოს მხატვარს ეს-ეს არის დაემთავრებინოს, უყურებდა ყველაზე მეტად კადნიერ, ყველაზე მეტად აკრძალულ სურათს, კოლეგა ველასკესის „შიშველ ქალს“.

ყოველი კაცი ირჩევს მისაბაძავად ცოცხალსა თუ მკვდარ ადამიანს. თუ ფრანსისკო გოიას შეეძლო ბედისათვის რაიმე ეთხოვა, ეს იქნებოდა ველასკესის ხელოვნება და სახელი. ესპანეთში დიეგო ველასკესზე დიდ მხატვრად არავინ ნიაჩნდა. ბუნებასთან ერთად მისი მასწავლებელი ეს დიეგო ველასკესი იყო და მთელი სიცოცხლის მანძილზე ოცნებობდა საფუძვლიანად ჩასწვდომოდა მის ხელოვნებას. აი, აქ იყო ეს დიდი, საიდუმლოებით მოცული, ქვეყნად სახელგანთქმული სურათი. შეგრძნებასა და აღქმაში სწრაფმა გოიამ, სწრაფმა სიყვარულში, ზიზლსა, პატივისცემასა და სიძულვილში, იმ ნახევარი წუთის განმავლობაში, რაც სურათს აკვირდებოდა, ნოასწრო მოხიბლულიყო და უარეყო იგი.

გააოცა იმ გარემოებამ, რომ ეს მომჭადოებელი ქალი ბუნებრივად იწვა და თან სულაც არ ჩანდა უსიცოცხლო, მისი, ფრანსისკოს, ადამიანები ხშირად ჰაერში დატურავდნენ ჯდონისა და წოლის მაგიერ. უკვირდა როგორ მოეხერხებინა მის კოლეგას ქალის სახე ბუნდოვნად აერეკლა სარკეს და მაყურებლის მთელი ყურადღება მიმართული ყოფილიყო სხეულის საოცარ ხაზებზე, მწოლიარე კონტურზე, ნამდვილი ესპანელი ქალის ვიწრო წელსა და განიერ თეძოებზე.

ყველაზე მეტად კი ის ხიბლავდა, რომ ღონ-დიეგოს გაებედა ასეთი სურათის დახატვა. ინკვიზიციამ აკრძალა შიშველი სხეულის ხატვა. კანონი სასტიკი და შეუვალი იყო და ვერცერთ სხვა ესპანეთის მხატვარს ვერ გაებედა მაცდუნებელი, გაშიშვლებული ქალის სხეულის დახატვა. ღონ დიეგოს შესაძლოა მოწყალე თვალთ უყურებდა თავისი მეფე,

ან რომელიმე მეცენატი, მაგრამ ფილიპე მეოთხის კარზე უთუოდ იქნებოდნენ გავლენიანი და ძალაუფლებიანი მღვდლები და მლიჭუნელები, ზოლო მბრძანებელთა გუნება კი მეტად ცვალებადია. ველასკესს ამ ქალის დახატვით უნდოდა ეჩვენებინა, რომ სიშიშვლის გამოსახვა სხვა-ნაირადაც შეიძლებოდა და არა მხოლოდ ტიციანისა და რუბენსის მსგავსად. საშიშროების წინაშე არ შედრკა, ვინაიდან დიდი ხელოვანი იყო და ესპანური სიამაყით უნდოდა დაემტკიცებინა, ჩვენ, ესპანელებს, ესეც შეგვიძლიაო.

კიდევ დაამტკიცა. საოცრად გადადიოდა ერთიმეორეში ფერები: ზორცის სადაფისფერი, თეთრად გაქათქათებული პირბადე, სარკის მომწვანო-რუხი ზედაპირი, წაბლისფერი თმა, შიშველი ბიჭუნას მოწითალო-იისფერი ბანტები, მისი ოდნავ შესამჩნევი ცისარტყვიასფერი ფრთები. ნატიფად, მსუბუქად, მკაცრად და მოხდენილად იყო დახატული ეს შიშველი ქალი. მასში არაფერი იყო მდარე, თავშეუქავებელი, აშკარა ავხორცული, რაც იტალიელი და ჰოლანდიელი მხატვრების მიერ დახატული ქალების სხეულიდან გამოსჰვივის. პირიქით, რაღაც მსუბუქ ნისლში იყო გახვეული სურათი, შავი გადასაფარებელი, რომელზედაც ქალი იწვა, სარკის შავი ჩარჩო, შინდისფერი ფარდა და მთელი თავდაჭერილი, დახვეწილი კოლორიტი შორს იყო ავხორცული ზრახვებიდან. დონ დიეგო ჭეშმარიტი ესპანელი იყო. მისთვის მშვენიერება და სიყვარული არ იყო რაღაც იოლი, თავშესაქცევი. მისთვის ის იყო რაღაც სერიოზული, ველური და ძალიან ხშირად რთულის, ტრაგიკულის საწყისი.

გოია უყურებდა და იხიბლებოდა. დონ დიეგოსაც, ცხადია, ეს უნდოდა—ეცქირათ და მოხიბლულიყვნენ. მაგრამ, როცა ხელოვანი ქალის სხეულს ისეთ საოცარ ფერებში ხატავდა, როგორიც მისთვის ბუნებას მიუნიჭებია და ხატავდა ისე, რომ მნახველი იხიბლებოდა და ნაინც გულგრილი რჩებოდა, რაღაც არ იყო რიგზე. ვთქვათ, დონ დიეგომ მიაღწია ამ უსიყვარულო და უსიძულვილო ოსტატობას და იმ გულგრილობას, რასაც მიუწევდომელ ხელოვნებას უწოდებდნენ ვინკელმანი, რაფაელ მენგსი და ნისი განსვენებული ცოლისძმა, მაგრამ ფრანსისკოსათვის დღეს რომ უფასოდ შეეთავაზებინა ეშმაკს ამგვარი ხელოვნების ნიჭი, არ ისურვებდა და იტყოდა: „Muchas gracias no!“ კარგი ის იყო, რომ შიშველი ქალის ეს მომაჯადოებელი, მართლაც გულის გამხარებელი სურათი ქვეყნად არსებობდა. მაგრამ ისიც კარგი იყო,

რომ ნისი, გოიას, შექმნილი არ იყო. და ბედნიერი იყო არა მარტონით, რომ სან-ხუან ბაუტისტას ეკლესიის ქვეშ მდიდრულ აკლამაში არ განისვენებდა, არამედ იმითაც, რომ ის მხატვარი ფრანსისკო გოია იყო და არა მხატვარი ველასკესი.

უეცრად შენობაში გაისმა ყურისწამლები, წრიპინა ხმა:

— ეს მანდილოსანი დიდი მცონარაა, — თქვა ხმამ, — რაც მაგას ვიცნობ, წევს აქ დივანზე, იცქირება სარკეში და ზარმაცობს.

გოია შემობრუნდა. იქ იდგა მახინჯი, დაღრეკილ-დაღრეჭილი მოხუცი, ძალზე კრელ ტანსაცმელში, მეღლებით და მაღალი ორდენებით მორთული.

— ადამიანი კი არ უნდა შეაშინო, პადილა, — რბილად დატუქსა კაეტანამ და გოიას აუხსნა: ეს ქონდრის კაცი განსვენებული პაპაჩემის კარის ტაკიმასხარაა და პადილას ეძახიანო. აქ ცხოვრობს მოხუცი მოურავისა და მისი მეუღლის კმაყოფაზე, ადამიანებს გაურბის და იშვიათად ნახულობს დღის სინათლესო.

— ჰკვიანად მოიქცა Dona Desnuda ჩვენთან, კადისში რომ დასახლდა, — წრიპინებდა პადილა, — სხვაგან არ მისცემდნენ ცხოვრების ნებას. ნამდვილი წარჩინებული მანდილოსანია, უთუოდ პირველი რანგის გრანდესაა. საუკუნე-ნახევარია თითი არ გაუნძრევია.

გრანდებისათვის ყოველგვარი სამუშაო სამარცხვინოდ ითვლებოდა.

— ახლა წადი, პადილა, — ისევ ლმობიერად უთხრა კაეტანამ. — ბატონ პირველ მხატვარს ხელს ნუ უშლი.

პადილამ თავი დახარა და ორდენების ჟღარუნით გავიდა.

კაეტანა სავარძელში იჯდა უყურებდა გოიას და ღიმილითა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— როგორ ფიქრობ, პადილა მართალია? ეს მართლა გრანდესა იყო? ტიციანსა და რუბენსს ხომ უსხდნენ მაღალი წრის მანდილოსნები შიშველნი დასახატავად, ეს ცნობილია და თავის ოდნავ მჭახე, ბავშვური ხმით გაუმეორა: — ფიქრობ, რომ გრანდესა იყო?

გოია აქამდე მხოლოდ მხატვარსა და სურათზე ფიქრობდა და მოდელზე წუთითაც არ დაფიქრებულა. ახლა, როცა კაეტანა შეეკითხა, პასუხი უკვე მზად ჰქონდა: მისმა კარგმა მხედველობითმა მეხსიერებამ დაარწმუნა.

— არა, გრანდესა არ იყო, ის იყო მახა.

— შესაძლოა გრანდესაც იყო და მახაც, — თქვა კაეტანამ.

— არა, — წინანდელი დარწმუნებით უპასუხა ფრანსისკომ, — ეს არის ქალი სურათ „ნრთველებიდან“, — აუხსნა მან, — უეჭველია, ის, რომელიც ნართს ჯარადან ახვევს. მოიგონე ზურგი, კისერი, მკლავი; მოიგონე მხრები, თმა, სხეული.

ჰო, რა თქმა უნდა, არა გრანდესა,
მხოლოდ უბრალო მახაა! — მტკიცედ
უთხრა გოიამ.
კაეტანამ კი
ვერ გაიხსენა სურათი მაინც,
მაგრამ სწორია, ალბათ, ფრანსისკო. —
იფიქრა ქალმა და საბოლოოდ
დარჩა ნახატით გულგატეხილი;
რადგან აქამდე სულ სხვანაირად
წარმოედგინა ეს ყველაფერი.
და დიღზე თითის ერთი დაკვრით,
გაშიშვლებული ღვთაების ტანი,
ანდა იგივე შიშველი მრთველი,
მან გულმოდგინედ შემოსა ისევ
შითლოგით.

84

ვახშმობის დროს კაეტანა თავისი წარსულის ამბავს ყვებოდა, რის სურვილიც უთუოდ კარის ტაკიმასხარა პადილას გამოცხადებამ აღუძრა.

ბავშვობაში ბევრჯერ ყოფილა აქ, კადისში, პაპამის ნეცამეტე ჰერცოგ ალბასთან ერთად. იგი ესპანეთში უამაყეს კაცად ითვლებოდა, მთელ სახელმწიფოში არც ერთ გრანდს თავს არ უტოლებდა, გარდა მეფისა, და ამასთანავე უხემ კარლოს მესამესაც ვერ იტანდა. ერთხანს საფრანგეთში ყოფილა ელჩად, ლუი XV-ისა და XVI-ის კარი გაუოცებია საზეიმო და მდიდრული დარბაზობებით. ესპანეთში დაბრუნებისას ინკვიზიცია გადაიკიდა: მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციების პატივისმცემელი იყო. თავისი მაღალი თანამდებობის გამო შეეძლო თავისთვის ნება მიეცა „ფილოსოფოსი“ — თავისუფალი მოაზროვნე ყოფილიყო, რაც სხვას ეკრძალებოდა. ინკვიზიციის ციხიდან გამოიყვანა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც იქ დაეკოჭლებინათ, და მეფის კარის ტაკიმასხარად გამოზარდა, სწორედ ის ქონდრის კაცი, რომელიც დღეს ნახეს. უსწავლებია მისთვის შეუპოვარი ლაპარაკი და ძველი დი-

დი ამბოხების ბელადის პატივსაცემად პადილა დაურქმევია. დაუკიდებია მისთვის საკუთარი ორდენები და მედლები. გარდა მასხარასი, არავინ ყოფილა ალბასთან ურთიერთობის ღირსად ნიჩნეული. ვინაიდან პაპა ამყობდა თავისუფალი მოაზროვნეობით, თურმე კადისში ზშირად ჩამოდიოდა და უყვარდა აქ ყოფნა. ამ ქალაქს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ საზღვარგარეთის ქვეყანასთან, ყოველთვის სავსე ყოფილა უცხოელი ვაჭრებით და ესპანეთში ყველაზე განათლებულ ქალაქად ითვლებოდა.

— პაპაჩემი, — ღიმილით ამბობდა კაეტანა, — რუსოს პრინციპების მიხედვით მზრდიდა. სამი მასწავლებელი უნდა მყოლოდა: ბუნება, საკუთარი გამოცდილება და ბედნიერი შემთხვევა.

გოია ჭამდა, სვამდა და უსმენდა. ნამდვილი გრანდები სხვანაირები არიან, მათი სიამაყე ბევრად უფრო რთული ხასიათისაა, ვიდრე მას ჰქონდა წარმოდგენილი. ერთმა, როცა ბედი არ სწყალობდა, საათი და დრო შეაჩერა, მეორეს კი ენამწარე ტაკიმასხარა ჰყავდა და სხვას დალაპარაკების ღირსად არ ცნობდა. ავიღოთ თუნდაც ეს კაეტანა. ჩვიდნეტი ცარიელი სასახლე ელოდებოდა და ერთ-ერთ მათგანში მთელი წლების განმავლობაში — ეს ტაკიმასხარა, რომელიც მთელი ამ წლების მანძილზე ერთხელაც არ ნოჰგონებია.

გოია ჭამდა კაეტანასთან ერთად, ეძინა მასთან ერთად, ყოველ კაცზე უფრო ახლობელი იყო მისთვის და ამასთანავე ყოველ კაცზე უფრო შორეული.

მეორე დღეს, კადისში კაეტანასთან მთელი მისი ჯალაბობა ჩამოვიდა და ფრანსისკო უკვე იშვიათად იყო მასთან მარტო. ახლა, ომის დროს, კადისი თანდათან სატანტო ქალაქად იქცა. აქ ჩამოდიოდნენ მეფის კარის კაცები, სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები, დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, ინდოეთის საკითხის საბჭოს წევრები და ყველას სურდა თავისი მოწინება გამოეხატა კაეტანა ალბასადმი.

აქ ფრანსისკოც ხვდებოდა ბევრ მადრიდელ მეგობარსა და ნაცნობს. გაუხარდა, მაგრამ არ გაკვირვებია, როცა ერთ ნშვენიერ დღეს, დონ მანუელის მოადგილის სახით, სენიორ მიგელ ბერმუდესი გამოეცხადა.

მიგელმა, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე ჩამოაგდო სიტყვა. დონ მანუელს კვლავ შეეცვალა ნიშართულება, ვინაიდან ახლა ასე უფრო

ხელსაყრელი იყო მისთვის, საერთო ენა გამოენახა მაღალ წოდებასა და ეკლესიასთან და ხელს უშლიდა იმ ლიბერალურ ღონისძიებებს, რომლებიც თვითონ გაეტარებინა. საგარეო პოლიტიკაშიც მერყეობას იჩენდა. საფრანგეთის ახალი წარმომადგენელი — ტრიუგე, წყნარი, ჭკვიანი კაცი. მასთან უფრო გაუჭირდა მანუელს შეგუება, ვიდრე მის წინამორბედ გილმარდესთან. მასთან ხან მეტისმეტად აგრესიულია, ხანაც მონურად ქედმოხრილი.

— რა იქნა გილმარდე? — იკითხა გოიამ.

მიგელმა მიუგო, რომ წარმომადგენელი დაბრუნდა თუ არა პარიზში, მაშინვე საგიჟეში ანოყო თავიო.

გოია საშინლად აღელდა. მან ხომ არ დაუბედა ამ კაცს თავისი სურათით სიგიჟე?

გილმარდეს შეშლის მიზეზი, განაგრძობდა მიგელი, ჩემი აზრით, ის არის, რომ მან ვერ შეძლო გაეგო და ნაბიჯი გაესწორებინა საფრანგეთში მომხდარი მოულოდნელი საზოგადოებრივი ცვლილებებისათვის. რევოლუციური რადიკალიზმიდან ზომიერ ბურჟუაზიულ დემოკრატიზმზე გადასვლას როგორც იქნებოდა შეურიგდებოდა, მაგრამ უფრო მკვეთრი შებრუნება აშკარა პლუტოკრატიისაკენ უთუოდ აღემატებოდა მის ძალ-ღონესო.

სულ მალე კადისში ჩამოვიდა ესპანეთის ბანკის რწმუნებული ახალგაზრდა კინტანა. მიგელთან ერთად მოინახულა ფრანსისკო კასა დე აროში, ამ დროს აქ იყვნენ კაეტანა და ექიმი პერალიც.

ფრანსისკოს დანახვაზე კინტანას სახე გაუბრწყინდა და მაშინვე მოჰყვა „კარლოსის ოჯახის“ ქებას.

— დონ ფრანსისკო, — წამოიყვირა მან, — თქვენ იხსენით ესპანეთი სულიერი სიღატაკისაგან.

— რით? — ცნობისმოყვარეობით იკითხა კაეტანა ალბამ.

იგი იჯდა შავ კაბაში გამოწყობილი, გასხივოსნებული. თავს შეურაცხყოფილად არ გრძნობდა, რომ კინტანა აშკარად მეტად იყო გოიათი დაინტერესებული, ვიდრე მისით. მოურიდებლად ათვალეირებდა კაეტანა ახალგაზრდა ბატონს, რომელიც ასე გულწრფელად გამოთქვამდა თავის აღტაცებას. თვითონაც მფარველობდა ხელოვნებას, ვინაიდან ასე შეეფერებოდა გრანდესას; მაგრამ დიდად კი არ იყო მით გატაცებული.

კინტანა განაგრძობდა:

— ჩვენი ესპანეთი მთელ თავის ისტორიას და ტრადიციებს ჯაჭვივით მიათრევს. როცა გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც გვიჩვენებს, თუ რად იქცა ღლეს ძველისძველად დაწესებული ადამიანების, ამით დიდ საქმეს აკეთებს. აი, დონია კაეტანა, — გატაცებით უხსნიდა ის, — თუნდაც ღღევანდელი კათოლიკე მეფე გარეგნული ნიშნებით ხელისუფალია, მაგრამ მისი ფუნქციები ძირგამოთხრილია, გვირგვინი ახლა თავის მოძველებული სამკაულია. სახელმწიფოს ნართვისათვის ახლა კონსტიტუცია უფრო საჭიროა, ვიდრე სამეფო კვერთხი. ეს კი ნათლადაა ნაჩვენები „ღონ კარლოსის ოჯახში“.

— რას აღარ თხზავთ, ახალგაზრდავ, — უთხრა გოიამ.

ექიმმა პერალმა სთხოვა კინტანას, უფრო დაწვრილებით აეწერა სურათი.

— თქვენ არ გინახავთ? — იკითხა გაკვირვებულმა პოეტმა, — არც თქვენ, თქვენო ბრწყინვალეებავ?

— თქვენ გეცოდინებათ, ღონ ხოსე, რომ ჩემი სურვილით არ ჩამოვსულვარ აქ, განმძევებული ვარ მადრიდიდან, — მეგობრულად უთხრა ჰერცოგის ასულმა ალბამ.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, დამავიწყდა, — მოიბოდიშა საამურად გაღიმებულმა კინტანამ, — ცხადია, თქვენ ის არ გინახავთ, მაგრამ არავის არ შეუძლია მისი სიტყვებით გადმოცემა, — და შამინვე შეუდგა მის აღწერას. მოხიბლული იყო ფერთა სიმდიდრითა და სახეთა რეალისტური გამონახვით. ფერთა სიუხვეში მკვეთრად და მახინჯად გამოირსეოდა ნიღაბანდელი სახეები. ისე ლაპარაკობდა, თითქოს გოია არც კი ყოფილიყოს იქ.

— აქ მხატვარს განსაკუთრებული ხერხი აქვს გამოყენებული, — ამბობდა ის, — მრავალფეროვანი სურათზე მხოლოდ რამდენიმე ხელია ნაჩვენები, რის მეოხებითაც ორმაგად მკაფიოდ ჩანს ნიღაბანდელი სახეები ბრწყინვალა მუნდირებსა და საზეიმო სამოსელში გამოწყობილი ადამიანებისა.

— მეტი თანხა რომ მოეცათ, მეტ ხელს დაეხატავდი, — ცივად თქვა გოიამ, — ხელებში მეტ ფასს ვიღებ.

მაგრამ ახალგაზრდა პოეტი განაგრძობდა:

— ჩვენ ყველას გვეგონა, ესპანეთი მობერდა, მაგრამ მოვიდა ფრანჰისკო გოია და გვიჩვენა, რაოდენ ახალგაზრდა ყოფილა ის. ეს არის ახალგაზრდობის მხატვარი — ფრანსისკო დე გოია.

— აბა, აბა. — თქვა გოიამ. ის იჯდა სავარძელში ჩასქელებული, ოდნავ მხრებში მოხრილი, ორმოცდაათი წლის, მოყრუო, საერთოდ საკმაოდ მოტეხილი, და უცნაურად ჟღერდა, რომ კინტანამ ახალგაზრდობის მხატვარი უწოდა, მაგრამ არავის გასცინებია. კინტანამ დაასკვნა:

— ფრანსისკოს ბოლო დროის სურათებში დაადასტურა, რომ ჩვენს გვეყანას წილად ხვდა წარმოეშვა სამი უკვდავი მხატვარი: ველასკესი, მურილიო და გოია.

ფანტიკოსმა კოლექციონერმა მიგელმა გულში ჩაიცინა, როცა მოაგონდა, რომ მას გოიას ხუთი კარგი სურათი ჰქონდა და იხუმრა:

— ჩემთვის ცხადია, რომ კარლოს მესამის კანონი, რომელიც კრძალავს საზღვარგარეთ ველასკესის და მურილიოს სურათების გატანას, საჭიროებს დამატებას, მას უნდა დაეუერთოთ შენი სახელიც, ფრანსისკო.

— გარდა ამისა, ველასკესისათვის ეს უფრო იოლი იყო, — ხნამალა ფიქრობდა კინტანა, — მას მეფე და აზნაურები სულითა და გულით უყვარდა. ეს ბუნებრივი და მართებული იყო მაშინ. მას შეეძლო და ვალდებულიც იყო სულიერად შერწყმოდა მეფესა და მის კარს. მისი აზრით, მონარქიის ქება-დიდება ესპანელი მხატვრის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, თვითონაც არისტოკრატი უნდა ყოფილიყო, თავი ამ წრის წევრად უნდა ეგრძნო, რომ თავისი ხელოვნების მიზნისათვის მიეღწია. ჩვენს გოიას კი პირიქით, არისტოკრატისა არაფერი სცხია და ძწორედ ეს არის დღეს მთავარი. ეს ისეთივე მახვილი თვალით უყურებს მეფეს, როგორც ველასკესი უყურებდა, მაგრამ მასში რაღაც მახოსეულია, ეს არის ხალხიდან გამოსული ველასკესი და მის მხატვრობაში რაღაც მაიცოცხლებელი სიტლანქვა.

— იმედია ცუდად არ ჩამომართმევთ, დონ ხოსე, — გულთბილად უთხრა გოიამ, — თუ არაარისტოკრატიულად და უხეშად ძველ ანდაზას მოგაგონებთ: „სამი ღერი თმის ამოგლეჯას გაპატიებთ, მეოთხესას კი ვერა“.

კინტანამ გაიცინა და საუბარი სხვა თემამზე გადავიდა.

კინტანამ კი მოგვიანებით
ხალისიანად უთხრა გოიას,
რომ მეგობრები მისი უთუოდ
არიან ფრიად განათლებულნი.
მაგრამ, ვაი, რომ მხოლოდ ამისთვის

ვერც ერთს იმ ორი მამაკაციდან
 ვერ წარმოიდგენს თავის კორტეხოდ.
 „საოცარია, — განაგრძო ალბამ
 კდემამოხილი უბრალოებით,
 ისე რომ, არც კი დაფიქრებულა,
 თუ იქნებოდა სასიამოვნო
 ეს საუბარი ფრანსისკოსათვის. —
 საოცარია, ისეთი განათ-
 ლებული, როგორც ბერმუდესია,
 ან ის პოეტი — შენი კინტანა,
 ნემი პერალიც — ვერასდროს ჩემში
 ვერ აღვიძებენ და ვერ იწვევენ
 ოღნავაც ქალურ ვნებას და სურვილს...“

35

ესპანეთის ყველაზე განთქმული ქალბატონის, კაეტანა ალბას იქ
 ყოფნა კადისელებს აღელვებდა და ყველა ცდილობდა მასთან ურთი-
 ერთობას. ალბა გლოვობდა. ეს კარგი საბაბი ჰქონდა, მისი ნება იყო,
 მიიღებდა თუ არა ამა თუ იმ პიროვნებას.

ფრანსისკოს ეცინებოდა, როცა ამაყი კადისელები დონია კაეტანას-
 თან იბნეოდნენ და ყველაზე მეტად კი — ღვარძლიანად უხაროდა
 გულში, — როცა თავხედ, სწავლულ და თავდაჯერებულ სენიორ მარ-
 ტინესს საქციელი წაუხდებოდა.

იმ საბაბით, თითქოს სანტა კუევის სურათებზე სურდა მოლაპარა-
 კება, რამდენჯერმე მოინახულა მარტინესმა გოია კასა დე აროში. გოია
 იძულებული იყო კაეტანა ალბასთვის წარედგინა იგი. სენიორ მარტი-
 ნესი მეფის კარზეც კი მიღებული კაცი იყო, დიდი კაცები ცდილან მის
 გულის მოგებას. მისი აურაცხელი სიმდიდრე და საგმირო საქმე-
 ბის ამბები ჩამომხმარ, საძაგელი შესახედაობის კაცს ბევრი ქალისათვის
 ხდიდა მოსაწონარს. ამბობდნენ, დროდადრო საშინელ აღვირაზნნილ
 ცხოვრებას ეწვევა. დონია კაეტანამ კი ერთი ნახვისთანავე აღუძრა
 ჰაბუკური, რომანტიული ვნება. როცა მას ელაპარაკებოდა, თავს ვერ
 იკავებდა ეს განებივრებული, საერთოდ თავდაპყრილი ბატონი, თავ-
 ლები აენტებოდა და ჩამომხმარი სახე უწითლდებოდა. კაეტანას ამაზე
 ეცინებოდა, თავაზიანად და მხოლოდ მისთვის ჩვეული ოღნავ შესამჩ-
 ნევი ქედნაღლობით ექცეოდა. ცხოვრებაში გამოცდილ სენიორ მარ-

ტინესს, ცხადია უნდა სცოდნოდა, რომ ის კავტანასათვის მხოლოდ თავშესაქცევი იყო, ჯამბაზი. მაგრამ მიუხედავად ვაჭრული სიამაყისა, აწორედ გრანდესას თავდაჯერებული ქედმაღლობა იზიდავდა მარტინესს. გოია ღვარძლიანად დასცინოდა და ფიქრობდა: როცა ეს ფერმკრთალი ავანტიურისტი დონია კავტანასთან დალაპარაკების ღირსი ხდება, უთუოდ გონებაში ითვლის ქალის მაღალ ტიტულებს და ყველა თარიღს მისი პაპის, სასტიკი ფელდმარშლის მიერ მოგებული ბრძოლებისასო.

გოია მუშაობდა სანტა კუევას სურათებზე სწრაფად და გაწაფულად, არცთუ დიდი ხალისით, მაგრამ არც ახალი იდეების გარეშე. მეორე კვირის ბოლოს აცნობა მარტინესს, სურათები მზად არისო.

სენიორ მარტინესი აკვირდებოდა თვრამეტი ათას რეალად ღირებულ ნაწარმოებს, საქმეში ჩახედულად გამოთქვანდა აზრს:

— მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ, ბატონო პირველო მხატვარო, კაცთა ზროვა ასე შებოჭილად და ამასთანავე ასე მოძრავად გამოგეხატათ. — თქვა მან „ხუთი ათასის პურობის“ წინ მდგომმა.

„საიდუმლო სერობის“ ნახვისას კი თქვა:

— მხოლოდ ფრანსისკო გოიას შეეძლო ნება მიეცა თავისთვის მოციქულთა სუფრიდან გაძევებისა. როგორ დაგიმხვიათ ისინი პირქვე ღვთის სიტყვით შეშინებულნი. ეს სავსებით ახალია, ეს მეამბოხურია. სწვას რომ ექნა, იტყოდნენ, „მწვალებელიაო“ — ჩაიჭირქილა მან.

ბოლოს გახარებულმა კოლექციონერმა მაცდურად, ეშმაკური დინილით ჰკითხა ბატონ პირველ მხატვარს, ხომ არ ექნებოდა დრო და სურვილი, მისი.. კადისელი ვაჭრის, სებასტიან მარტინესის, სურათი დაეხატა. როგორც ფრანსისკოსთვისაც ცნობილია, მხოლოდ მომდევნო კვირაში გადის ზღვაზე საცურაოდ თავისი ფლოტილიით.

— არა მგონია, — ცივად მიუგო ფრანსისკომ. — რომ უახლოეს დღეებში მუშაობის ხალისი მექნეს. აქ დასასვენებლად ვარ ჩამოსული.

— რა თანხა გაიძულებთ თქვენი დასვენება ორი-სამი დღით შეწყვიტოთ? — ჰკითხა სენიორ მარტინესმა.

— ოცდახუთი ათასი რეალი, — უყოყმანოდ უპასუხა საკუთარი თავხედობით გაოცებულმა ფრანსისკომ.

— თანახმა ვარ, — უყოყმანოდვე მიუგო სენიორ მარტინესმა.

შემდეგ მორიდებულად ჰკითხა: შემიძლია თუ არა ქალბატონი ალბა და ბატონი მხატვარი ჩემს სახლში მივიპატიყო პატარა წვეულება-

ზეო. საბაბი ჰქონდა: სურათები სანტა კუევისთვის მზად იყო, ბატონ პირველ მხატვართან საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა და ქალბატონი ალბა გაიცნო. ამას გარდა იგი მზადაა ესპანეთის უქკნობი სახელისათვის ინგლისის ბლოკადა გაარღვიოს თა თაისი გემები ამერიკაში გაგზავნოს.

„Plus ultra“ — თქვა მან — „სულ წინ და წინ“!

გოიამ მშრალად მიუგო, რომ არაა უფლებამოსილი, ქალბატონი ალბას მაგივრად მიიღოს ნიპატიყებანი. გაიღა ამისა, იცის, რომ მის აღმატებულებას წინასწარ გათვალსწინებული აქვს ორი კვირის გეგმა, რის შემდეგაც, ალბათ, სენიორ მარტინესი ბედნიერ ცურვაში იქნება ზღვაზე.

სენიორ მარტინესი წუთით დაღუშდა. ხოლო მისი გამოფიტული სახე დაიძაბა. მას რომ ბედნიერება და პატივი რგებოდა წილად, დონია კაეტანას და ღონ ფრანსისკოს თავის ღარიბულ ჰერქვეშ მისალმებოდა, მაშინ თავის ფლოტილის არ გაჰყვებოდა და ისე გაუშვებდა ბლოკადის გასარღვევად ღია ზღვაში.

გოია სახტაუდ დარჩა. მხრები აიჩეჩა.

— მოელაპარაკეთ ქალბატონ ალბას, — ურჩია მან.

ახლოებელ ნევობრებს შორის. დონია კაეტანას თანდასწრებით, სიტყვა ჩამოვარდა მასზე. რომ სენიორ მარტინესს. ჰერცოგის მეუღლისათვის წვეულების გამართვის მიზნით, თურმე შეეცვალა გეგმა და თავის გემებს აღარ მიჰყვებოდა.

კაეტანამ აშკარა უკნაყოფილებით თქვა:

— ქალისთვის უთუოდ არაა სასიამოვნო, აღძრას გულისთქმა ყველგან, სადაც კი გაშოჩნდება.

— თქვენ ხერ კდევ ბავშვი ხართ, — უთხრა ჰერცოგის მეუღლემ.

სენიორ მარტინესს დონია კაეტანას მგლოვიარებისთვის გაეწია ანგარიში და ცოტა სტუმარი მოეწვია. გოია ყველაზე მეტად დაინტერესდა ერთი ბატონით, რომელიც სენიორ მარტინესმა სენიორ ბახერად წარმოადგინა, მაღაგელი გემების პატრონი, რომელთანაც საქმიანი ურთიერთობით მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მაგრამ უცხო ბატონის აქცენტი გარკვეულად ამტკიცებდა მის ინგლისურ წარმოშობას. უთუოდ ის იყო ნავსადგურის გზის გადამღობი ესკადრის ოფიცერი. ამ ბატონებს უყვარდათ გადაცემულებს შემოსვლა კადისში. ვახშმის დროს გოიამ გაიგო, რომ ჰკვიან სენიორ მარტინესს თავის ფლოტილის

ღია ზღვაზე გასაყვანად ინგლისელ ოფიცრებთან მოეგვარებინა საქმე. ამან ძალზე გააკვირვა და გაამხიარულა.

ღონ მიგელიც მოეწვიათ. ის კარგი აზრისა იყო სენიორ მარტინესზე, უწონებდა ხელოვნების ისტორიით დაინტერესებას და ახარებდა მისი მოწინავე აზრები. ჭაბუკი კინტანა კი არ მოვიდა; ვერ ეპატიებინა 'სენიორ მარტინესისათვის, რომ ლამაზი სახის გულსათვის უარი თქვა ისეთ პატრიოტულ წამოწყებაზე. როგორც გემების გაყვანა იყო.

ჩვეულებრივად საკუთარ თავში დარწმუნებული სებასტიან მარტინესი, ამ საღამოსაც ცდილობდა თავისი მოქალაქეობრივი პრესტიჟი არ დაეცა. ჰერცოგის პეულლეს დანარჩენ სტუმრებზე ოდნავ მეტ ყურადღებას თუ აქცევდა, მაგრამ თავს ვერ იკავებდა, რომ დროდადრო ვედრებით სავსე აღტაცებული თვალი არ შეეგლო მისთვის.

ღონ მიგელმა ანტიკვარულ საქმეებზე ლაპარაკში ჩაითრია. მას მარტინესის წიგნებში აღმოეჩინა ორთოდოქსული აზრით საკმაოდ საეჭვო ძველი გამოცემული წიგნები.

— ფრთხილად, სენიორ—გაეხუმრა ის,—თქვენისთანა განათლებული და ნდიდარი კაცი ინკვიზიციის ბატონებისათვის ძლიერ მაცდუნებელია.

— ჩემმა გემებმა ინგლისის ბლოკადა გაარღვიეს, — თავდაპირილი სიამაყით მიუგო სენიორ მარტინესმა, — ჩემს წიგნებსა და შეხედულებებს როგორმე გავაპარებ ინკვიზიციას.

კაეტანას და გოიას ეგონათ, სათამაშო მაგიდას მიუსხდებოდნენ, როგორც ჩვეულებრივ იყო შემოღებული. მაგრამ სენიორ მარტინესს რაღაც სხვა მოეფიქრებინა.

— შეიძლება გთხოვოთ თეატრალურ დარბაზში გადაბრძანება, დონია კაეტანა? თქვენთვის იცეკვებს სერაფინა.

— სერაფინა? — იკითხა მოულოდნელობისაგან გაოცებულმა კაეტანამ.

სერაფინა იყო ესპანეთის სახელგანთქმული მოცეკვავე. მას აღმერთებდნენ, ვინაიდან ესპანელ ხალხს დიდი გამარჯვება მოუპოვა. საქმე ასე მოხდა: ტოლედოს კარდინალ-პრიმასთან ბევრი საჩივარი შედიოდა, ყველაზე ნეტო კი უცხოელი საეკლესიო თავადებისაგან, იმის გამო, რომ ესპანეთში როგორ შეიძლება ისეთი უწესო და უხამსი ცეკვების მოთმენა, როგორიც ფანდანგო და ბოლეროაო. კარდინალ-პრიმასმა ბოლოს კონსისტოლიარული თათბირი მოიწვია, რათა გადაწყვეტილიყო, საქი-

როა თუ არა ამ ცეკვების აკრძალვა. სევილიელი არქიეპისკოპოსი შეა-
შინა უსიამოვნებამ, რომელიც შეიძლება ამ ცეკვების აკრძალვას მოჰ-
ყოლოდა მთელ ანდალუზიაში და შეიტანა წინადადება, რათა ღირსე-
ულ სულიერ მსაჯულებს საკუთარი თვალით ენებებინათ ამ ცეკვების
ნახვა. კონსისტორიუმის წინაშე იცეკვეს სერაფინამ და მისმა პარტნი-
ორმა პაბლომ. პრელატებმა თავი ველარ შეიკავეს, ადგილზე აცმუტდნენ
და ფანდანგო აღარ აიკრძალა.

მალე ამის შემდეგ გაქრა სერაფინა. ამბობდნენ, თითქოს გათხოვ-
დაო. ყოველ შემთხვევაში ორი-სამი წლის განმავლობაში სახალხოდ აღ-
არ უცეკვია.

— სერაფინა? — იკითხა სიამოვნებით გაოცებულმა ალბამ, —
თქვენ სერაფინა თქვით?

— ის ახლა ზერესში ცხოვრობს, — აუწყა სენიორ მარტინესმა, —
მისი მეუღლე ვარგასი ჩენი იქაური საქმეების რწმუნებულთაა. იოლი
როდია სენიორა ვარგასი უცხო ადამიანებთან ცეკვაზე დაიყოლიო.
თქვენთვის კი იცეკვებს, თქვენო ბრწყინვალეებაჲ.

მიაშურეს თეატრალურ დარბაზს. იგი ისე იყო მოწყობილი, რომ
ქმნიდა იმ ადგილების შთაბეჭდილებას, სადაც ხალხიდან გამოსული
მოცეკვავეები თავიანთ ხელოვნებას აჩვენებდნენ. წარსულში უთუოდ
ელეგანტური სათეატრო დარბაზი ახლა მავრიტანული სახლის გაჭუჭყ-
ყიანებულ, გაღარიბებულ სანადიმო დარბაზად იყო ქცეული. შიგ-
ეფინა ოდესღაც ძალზე ძვირფასი, ახლა კი გაქეჩილი, საკერებლიანი
ნოხები. კედლებზე გაკრული იყო თეთრი გაჭუჭყიანებული ტილო.
ჭერი ხელოვნურად იყო წითელი და ოქროსფერი არაბესკებით მოფე-
ნილი. იდგა რამდენიმე მორყეული ზის სკამი, რამდენიმე ჭრაქი და სან-
თელი სუსტად ანათებდა იქაურობას.

სტუმრები დასხდნენ. ჩამოშვებული ფარდის უკან, სცენიდან მო-
ისმა კასტანეტების გამომწვევი ტკაცუნი. ფარდა აიწია. სცენა წარმო-
ადგინდა მარტივად დახატულ ანდალუზიის ლანდშაფტს. ერთი მუსიკო-
სი მარტო იჯდა ტაბურეტზე ნოკორებით, კუთხეში, გიტარით ხელში,
კასტანეტებმა ხმას უმატეს. კულისების მარცხენა მხრიდან გამოვიდა
მახო, მარჯვნიდან კი მახა, მიუახლოვდნენ ერთმანეთს, როგორც დაცი-
ლებული და კვლავ შეყრილი შეყვარებულები. მათ ეცვათ იაფფასიანი
ქსოვილის ჭრელი კოსტიუმები ოქროსფერი და ვერცხლისფერი კილი-
ტებით გაწყობილი. ვაჟს შარვალი და გოგონას ქვედა ტანი შენობმას-

წილი ჰქონდათ თეძობებზე. ქვედატანი იყო მსუბუქი ქსოვილის, ქვევით განიერი და მოკლე. მაყურებლებს ყურადღებას არ აქცევდნენ და მხოლოდ ერთიმეორეს შეჰყურებდნენ. ხელგაშლილი მიცეკვავდნენ ერთიმეორისაკენ.

ჯერ მეტი არაფერი ისმოდა გარდა კასტანეტების ხელი, ამაღლვებელი ტკაცუნისა. აი, მოცეკვავეები ერთიმეორესთან სულ ახლოს მივიდნენ. გოგონამ ანაზღად უკან დაიხია ცეკვით, გაშლილი ხელებით, ვაჟი ჯერ ნელა დაედევნა. მერე კი უფრო სწრაფად. ბაგეები ორივეს ოდნავ გახსნილი ჰქონდათ. ეს პანტომიმა უფრო იყო, ვიდრე ცეკვა. ისინი შეჰყურებდნენ ერთიმეორეს, ხანაც დაბლა ხრიდნენ თვალებს. ქალი კვლავ გოგმანებდა, იტყუებდა ვაჟს, ეკეკლუცებოდა: ვაჟი ჯერ მორცხვად მისდევდა, მაგრამ თანდათან იღვიძებდა მასში ვნება. და აი, გოგონა მისკენ მობრუნდა. კასტანეტებმა ხმას აუწიეს, მათ გიტარა და პატარა უხილავი ორკესტრიც შეუერთდა. მოცეკვავეები უკვე შეერთდნენ, მათი ტანსაცმელი უკვე შეეხო ერთიმეორეს. სახე სახეს მიუახლოვეს. შუა ტაქტზე ერთბაშად შეწყდა მუსიკა, დადუმდა კასტანეტები, მოცეკვავეები გაქვავდნენ. პაუზა რამდენიმე წამს გაგრძელდა, მაგრამ თითქოს ბოლო არ უჩანდა.

კვლავ აუღერდა გიტარა. გოგონას სხეულში ჟრუანტელმა დაუარა, თანდათან გამოცოცხლდა, მოძრაობა იწყო, უკან დაიხია, მერე ისევ წინ წამოიწია. ვაჟიც შეიჩხა. ფიცხლად გაექანა გოგონას შესახველრად. უფრო ნელა, მაგრამ უფრო ნაზად მიგოგავს გოგონა მისკენ. ორივეს მოძრაობა გაცხოველდა, გამოხედვა გამომწვევი გაუხდათ. ყოველი კუნთი ვნებით უთრთით. თვალდახუჭული მიისწრაფიან ერთიმეორისაკენ, მაგრამ უკანასკნელ წუთში კვლავ პირი უქციეს ერთიმეორეს და კვლავ გიჟური, ამაღლვებელი, ავხორცული პაუზა. ბოლოს ორივემ უკან დაიხია და კულისებში მიიმალნენ. მაყურებლებმა იციან, რომ ახლა დაიწყება ის სცენა, ანდალუსიამ რომ შეიტანა ფანდანგოში. უთუოდ ბოშური და ძველი აღმოსავლური წარმომობისა იქნასოლო, ის ერთის ცეკვა, რომელმაც სერაფინასა და მის წინამორბედ მრავალ მოცეკვავეს მთელ ქვეყანაში სახელი გაუთქვა.

აი, გამოვიდა სერაფინა კულისებიდან, ამჯერად მარტო და უკასტანეტოდ. სცენის უკან გაისმა ფეხების რიტმული, მონოტონური ბაკუნნი, ტაშისცემა და მხოლოდ ერთი ღუღუნა ხმა მღერის ბანალურ, მაგრამ მუდამ ღრმა შინაარსის ბრძნულ სიტყვებს:

ჩაეფულათ
ტრფობის მორევში.
სანამ ჩენი მზე
ბრწყინდება,
თორემ წაპია
სიცოცხლე,
ჩიტყიით
გაგვიფრინდება.

მაღე სიტყვები იყარგება და გარკვეულად აღარ ისმის, მხოლოდ ერთი ხმა მღერის მონოტონურად, თითქმის დამწუხრებულად ჟღერს. და აი, ჟღერს ნელა, მაგრამ ცეცხლოვნად და ვნებით. ნარნარი, ცეცხლოვანი და ვნებიანია გოგონას ცეკვა, მაგრამ მუღამ ერთნაირი და მუღამ სხვანაირი. ცეკვავს ნაზად და ვნებიანად, ცეკვავს მთელი სხეულით. მოცეკვავე აშკარაჲ სთავაზობს თავის თავს შეყვარებულს, უჩვენებს, რა სიტყობება, განცხრომა და თავაწყვეტილი ვნება შეუძლია აგემოს მას.

მაცურებლები გარინდულნი სხედან. ტანში უვლით მონოტონური, ამაღელვებელი ბაქუნის ხმა, მაგრამ არ იმძრევიათ, ექერად არიან ქცეულნი. სცენაზე არაფერი ხდება საძრახისი, მაგრამ ღრმა უმწიკვლოებითა და დეტალურად გამოხატავენ გულისთქმანთა შორის ყველაზე ბუნებრავ ხორციელ წყურვილს, რომელიც ცეკვის რიტმთანაა შერწყმული.

მაცურებლებს პრავალგონის ენახათ ეს ცეკვა, მაგრამ ასეთი სრულყოფილი კი არასდროს. გოცებითა და საქმის ცოდნით უყურებდნენ სწავლული მიგელა და განათლებული მარტინესი. მაღალი ხელოვნებით, სულითა და გულით ცეკვავდა სერაფინა. უთუოდ ასეთი ქალები უნდა ყოფილაყენენ ისინი, რომაელებს რომ ვარყენილების გადესაღდან გამოჰყავდათ. რათა ცეკვით გაერთოთ ყოველგვარ განცხრომას მოყირკებულნი სენატორები და ბანკირები. უთუოდ ასეთი ქალები იქნებოდნენ წარსულში, რომელთაც ძველი ეკლესიის რისხვით ანთებული წმინდა მამები იროდიადას მოცეკვავე ასულს აღარებდნენ და უთუოდ მართალია ტრადიცია, რომელიც ირწმუნება, გადასელი მოცეკვავე ქალი ტელეთუხა ჰყავდა მოქანდაკეს მოდელად, როცა ვენერა კალიპიგოსს ძერწავდაო.

სერაფინა ცეკვავდა თავდავიწყებით, არაფრის გამომეტყველი სახით, მაღალი ხელოვნებით, თანდაყოლილი და შესწავლილი დაუცხრომელი ვნებით. სცენის უკან მონოტონური სიმღერა და ბაკუნი გამოცოცხლდა. მათ შეუერთდა მაყურებლებიც. ეს გრანდები და მდიდარი ბატონები უკრავდნენ ტაშს, ფეხებს ტაქტს აყოლებდნენ და აბაკუნებდნენ, გაიძახოდნენ „ოლეს“: სენიორ მარტინესის კლიენტები ინგლისელი ოფიცერიც კი, პირველად რომ შემცბარი იქდა, ფეხის ბაკუნს აჰყვა და ოლეს გაჰყვიროდა. სერაფინა კი ცეკვავდა. ნელი მოძრაობით ზრუნდებოდა მაყურებლისაკენ ხან გვერდით, ხან სახით, ხანაც ზურგით. სხეულში სულ უფრო და უფრო ხშირად უვლიდა ქრჭოლა, ხელეები მაღლა მიცურავდნენ და ჰაერში ირწეოდნენ. მერე ერთბაშად კვლავ პაუზა. მოცეკვავესთან ერთად ყველა გაირინდა. ამას მოჰყვა უკანასკნელი, სულის შემხუთველი, თითქმის აუტანელი ცეკვა — თრთოლვა, ალტყინება, ქანცაწყვეტა.

სოლო — ცეკვა დამთავრდა. და გაიმეორეს საცეკვაო პანტომიმი — მარადიული ორთა ბრძოლა სიყვარულისა: მოკრძალება, სურვილი, დიცხელი გადაწყვეტილება, ახალი შიში, აღმავალი ნდომა, დათმობა, აღსრულება, განთავისუფლება და დაკმაყოფილებული მოთენთილობა.

არაფერი უხამსი და ბიწიერი არ იყო ამ ცეკვაში. მასში იყო ხალასი ვნების მომჭადოებელი ძალა. ასე შიილო იგი მაყურებელმა, ასე განიცადეს იგი. ეს სიმღერა თავისი გაცვეთილი, მაგრამ მარად ბრძნული სიტყვებით, მუსიკა კი არ იყო, არამედ ერთი გაბმული, ყურისწამლები ჟღარუნი. ვერავითარი ხელოვნება ვერ გამოხატავდა უკეთესად, რასაც ამ დროს გრძნობდნენ და განიცდიდნენ ესპანელები. ამ ცეკვის წინაშე სადღაც ქრებოდა ანგარიშიანობა და აწონ-დაწონის ფიქრები. არარაობად იქცეოდა მოსაწყენი ლოგიკა, აქ საჭირო იყო მხოლოდ თვალი და ყური. აქ შეიძლებოდა და უნდა მისცემოდი კიდევ ბგერების მორევს და მოძრაობის ქარიშხალს.

კაეტანა ალბაც იმას განიცდიდა, რასაც დანარჩენები: მისდა შეუმჩნეველად გაჰქონდა ბაკუნი იატაკზე მის პატარა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს და წკრიალა, ბავშვური ხმით „ოლე-ს“ გაჰყვიროდა. თვალები დახუჭა, ველარ შეძლო ამ ვნების მორევის დაძლევა.

ფრანსისკოს მძიმე სახე მელანქოლიურად და სერიოზულად თით-

ქმის ისევე უმოძრაოდ გამოიყურებოდა, როგორც მოცეკვავეებისა. მრავალი რამ ხდებოდა მის სულში სიტყვასა და ცნობიერებაში ჩამოუყალიბებელი. მისი თვალები უყურებდნენ ანდალუზიურ ბოლეროს თუ რაც ერქვა ამ ცეკვას, მაგრამ თავად გულში, ნამდვილ საბრძოლო ცეკვას, მშობლიურ არაგონულ ხოტას ცეკვავდა, რომელშიაც ქალი და კაცი ერთიმეორეს ემუქრებიან. ეს არის მიმზიდველი, თავდაუზოგავი, თავშეკავებული ვნებით აღსავსე ცეკვა. გოიას ბევრჯერ წესისამებრ უცეკვია ის, დიდი შემართებით, თითქოს საომრად მიდიოდა, ასე მოცთხოვდა ცეკვა. ახლა სხვებთან ერთად ტაშს უკრავდა თავისი ღონიერი ხელებით და ხმამაღლა „ოლე-ს“ გაიძახოდა.

ბოლოს ცეკვაც დამთავრდა. მოცეკვავეებმა თავადაც განიცადეს და სხვებსაც განაცდევინეს მიწიერი სიყვარულის ყველა საფეხური ისე, რომ ერთიმეორეს არ შეხებიან. ახლა კი, ფარდის ჩამოშვებისას, შეერთებულუბმა უკან დაიხიეს — კულისებისაკენ. მუსიკა შეწყდა. ტაშისცემა აღარ ისმოდა. მაყურებლები უსიტყვოდ ისხდნენ ქანცგაწყვეტილნი და გამოფიტულნი.

სენიორ მარტინესმა გოიას მიმართა:

— ბედნიერი ვარ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ შევძელი მესაანოვნებინა თქვენთვის.

ამ სიტყვებში რაღაც ნართაული იყო, რამაც გოია აღაშფოთა; აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ სახეზე გარკვევით აწერია ყველაფერი და ახვას შეუძლია იგი ამოიკითხოს. ასე ნათლად რომ დაინახეს, როგორ ააღელვა სერაფინამ. ცხადია, კაეტანამაც გამოიცნო თავისი მახვილთვალით, რაც მის გულში ხდებოდა. და კიდევაც უთხრა:

— თქვენისთანა მამაკაცი სერაფინას კი უნდა მოეხიბლა. კადისში სახელგანთქმული კაცი ხართ, ღონ ფრანსისკო, თუკი სენიორ მარტინესმა დაიყოლია სერაფინა, ჩემთვის ეცეკვა, უთუოდ იმასაც შეძლებს, თქვენს სასარგებლოდ განაწყოს იგი.

ხოლო სენიორ მარტინესმა წამსვე ჩაურთო:

— უთუოდ მეტად დაგაინტერესებთ სერაფინას პორტრეტის დახატვა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ვიდრე ვინმე ბებერი ვაჭრისა. სენიორა. ვარგასი კი პატივად მითვლის თქვენთვის მოდელირებას, მით

უმეტეს, აუ პორტრეტს მე დამითმობთ. მოგახსენეთ თუ არა, რომ სენიორ ვარგასი ჩემი რწმუნებულია ხერესში?

სერაფინაც მოვიდა. ქება-დიდებით და ქათინაურებით შეამკეს. მშვიდად, ალერსიანად, გაუღიმებლად იხდიდა მადლობას. თაყვანისცემას მიჩვეული იყო.

გოია არაფერს ამბობდა, მაგრამ მოცეკვავეს თვალს არ აცილებდა.

ბოლოს სერაფინამ მიმართა:

— რამდენ ხანს დარჩებით კადისში, ბატონო კარის პირველი მხატვარო?

— არ ვიცი, — მიუგო მან, — უთუოდ ერთი ან ორი კვირა. შემდეგ ცოტა ხანს დავრჩები მახლობლად, სანლუკარში.

— მეც ახლოს ვცხოვრობ აქედან, ხერესში. განზრახული მქონდა გვიან შემოდგომაზე მომეწყო სახეიმო ლოგინად წოლა; დღეს კი გადაწყვიტე უფრო ადრე გავმართო, იმ იმედით, რომ თქვენ მომინახულებთ.

ამ მხარეში ჩვეულებად ჰქონდათ — მდიდარი ოჯახის ქალები ყოველწლიურად ერთი-ორი კვირით თავს მოიავადმყოფებდნენ და ლოგინში ჩაწვებოდნენ. მეგობრები და ნაცნობები კი მოინახულებდნენ და საჩუქრებით ანებივრებდნენ. ყოველ თავმოყვარე ქალიშვილს, მზითვეში, ერთი ხელი ძვირფასი ლოგინი მხოლოდ ამ მიზნისათვის უნდა ჰქონოდა განკუთვნილი.

გოიას სხვები არც კი ახსოვდა,
მხოლოდ და მხოლოდ ის სერაფინას
მიშტერებოდა. სამაგიეროდ
ქალმაც იგივე დაჟინებული
შემოაგება თავისი მზერა *
და აგრძელებდნენ მათი თვალები
საყვარელსა და ნაცნობ სიმღერას:
„მოდო, ჩავეფლათ ტრფობის მორევეში,
თორემ ხვალ უკვე იქნება გვიან“.
ბოლოს გოიამ შეწყვიტა შორი,
მენჯი ტრფიალი და სერაფინას
გაესაუბრა ისე, ვით მახას,
ესაუბრება თავისი მახო:
„ო, სერაფინავ, ჩემო ძვირფასო,
ბოლო მოუღე ამ წვეულებებს,

ან რად გვპირდება ეს თვალმაქცობა?
მე შენ ისედაც დაგხატავ... შენთან
ჩვენ შევიყრებით ამის გარეშეც“.

ორი დღის შემდეგ, საღამოს, გოია მარტო იყო კაეტანასთან. ქრო-
და სოლანო, აფრიკის სულისშემხეთველი ქაარი; მის ზუზუნში მოის-
მოდა ესპანეთის ახლოს მყოფი და ინგლისის შორს მყოფი ორივე
მტრული ესკადრის საღამოს სიგნალები.

გოია განერვიულებული და გულამღვრეული იყო. უნდოდა სანლუ-
კარში გაბრუნება, უნდოდა კაეტანა მარტო თავისთვის ჰყოლოდა. მო-
ბეზრდა კადისი. და ის ადამიანები, რომელთაც აქ ხვდებოდა. ნუთუ
ამიტომ გააგრძელა ასე მიუტევებლად თავიანთი შევებულება და კარის
მოწყალება ბედს მიანდო, რომ სენიორ მარტინესსა და მის მსგავსებ-
თან ესაუბრა? კაეტანას უთუოდ მოსწონდა ამ კაცის თაყვანისმცემ-
ლობა, გოიასი არაფერი გაეგებოდა. იმდენი გულისხმიერება და პატი-
ვისცემა მაინც უნდა გამოიჩინოს და ბოლოს და ბოლოს მიხედეს, რომ
გოიას აქ დარჩენა აღარ სურს.

ვერც კი მოასწრო ამის გაუქრება. რომ კაეტანამ გახსნა ბაგე:

— თქმა არ არის საჭირო, ფრანსისკო.

— რისი? — მოჩვენებითი უღარდლობით ჰკითხა მან.— რისი თქმა
აღარ მპირდება?

მან კი ღიმილით მიუგო:

— თუ გნებავს ხვალ გავემგზავროთ სანლუკარს.

ყოველგვარი უკმაყოფილების კვალი გაქრა, როცა გოია კვლავ მარ-
ტო დარჩა კაეტანასთან სანლუკარში. ისევე ბრწყინავდა ბედნიერე-
ბით, როგორც აქ გატარებულ წინა კვირებში, გამომგზავრების წინ.
კადისის მოგონებებიც უფრო შელამაზებულად ეჩვენებოდა. მამაკაცები
ხოტბას ასხამდნენ, ქალები კი იყვარებდნენ, ისეთ საფასურს უხდიდ-
ნენ, როგორიც გოიამდე არც ერთ მხატვარს არ ღირსებია. მთელ სახელ-
მწიფოში გახდა ცნობილი მისი სახელი. ამასთანვე ჯერ მხოლოდ იწ-
ყებდა გამომყლავნებას, რის შემძლეც იყო, მისი ხელოვნება აღმავლო-
ბას განიცდიდა. ამჟამად აქ არის თავის უმშენიერეს შეყვარებულთან.
რომელიც ყოველ სურვილს უსრულებს. დაუმტკიცა თავის თავს, რომ

ახალგაზრდაა, ყველაფერი აქვს, რასაც მოისურვებს „ცხოვრების და ხელოვნების ოქროს მაგიდასთან მჯდომარე“ — ყურში ჟღერდა ლექსის ერთი სტრიქონი, რომელიც მგონი, დონ მიგელთან გაეგონა.

ერთხელ ლოგინში ნებივრად მწოლიარე კაეტანამ ჰკითხა:

— ისევ ძველებურად არა გსურს მახად დამხატო?

— რატომაც არა, — მაშინვე მიუგო მან.

გოიამ დაბატა მშვენიერი, ნატიფი სურათი, რომელზედაც ოროვენი იყვნენ გამოსახულნი სეირნობის დროს. კაეტანა მახას კოსტიუმში გამოწყობილიყო, მოესხა შავი მანტილია, გოია ოღნავ უკან ჩამორჩებოდა, მისკენ მობრუნებულ ქალს კეკლუცად მოეხარა ვერხვისებრი წელი, ერთ ხელში მიმზიდველად ეჭირა გაშლილი მარაო, მეორეთი მრავალმნიშვნელოვნად მიუთითებდა მბრძანებლურად გაშვერილი საჩვენებელი თითით. გოია კი თავაზიანად მიმართავდა მას კარის მოხდენილი ყმაწვილი კაცის პოზაში. მეტისმეტად ელეგანტურად ეცვა, პირდაპირ ღენდივით, ყავისფერ ფრაკსა, ძვირფას მაქმანებსა და მაღალყელიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი ისეთი გაახალგაზრდავებული და ქაბუკივით შეყვარებული გამოიყურებოდა, რომ ცნობაც აღარ შეიძლებოდა.

კაეტანა მიხვდა, გოიას არ სურდა მისი მახად დანახვა, და რომ ისევ წარჩინებული ქალბატონი დახატა მახას კოსტიუმში. მაგრამ სურათი მაინც მოსწონდა. მისი დაცინვა უწყინარი, ანკუური იყო და ამასთანავე თავის თავსაც ბავშვური სიცელქით დასცინოდა.

მეორე დღეს კაეტანამ უამბო, რომ კვლავ გამოეცხადა თავისი გარდაცვლილი მოახლე ბრიგადა. კვლავ უთქვამს მისთვის, მალე მოკვდებიო, მაგრამ მანამდე კი არა, სანამ მახად არ დაგხატავენო. გოია საგარძელში მოწყვეტით ჩაეშვა.

— მაშინ წასულა შენი საქმე, — უთხრა გოიამ.

— სისულელეს ნუ ამბობ, — მიუგო მან, — მშვენივრად იცი, რაც ჰქონდა მას მხედველობაში.

— მე მიმაჩნია, რომ ეს ბედნიერი წინასწარმეტყველებაა, — უთხრა გოიამ, — მახად ნუ დაიხატები და ორას ორმოცდაათ წელიწადს იცოცხლებ.

— რაკი მე გადავწყვიტე, მოვახერხებ, რომ მახად დამხატონ. ეს ბრიგადამაც ისე კარგად იცის, როგორც ჩვენ ორივემ.

— სხვათა შორის, რა ეცვა შენს ბრიგიდას? — ჰკითხა ფრანსისკომ,
— მხევალივით იყო ჩაცმული, — მაგრამ უცებ აენტო, — რა ეც-
ვა! როგორ ინკვიზიტორივით მეკითხები.

— მე მხატვარი ვარ. რასაც თვალთ ვერ ვხედავ, ის არც არსე-
ბობს ჩემთვის. მოჩვენება, რომლის დახატვაც არ შემიძლია, არც არის
ნამდვილი მოჩვენება.

ექიმი პერალი კადისშივე თავს არიდებდა მათ და აქ ხომ სულ
გაქრებოდა, როცა იგრძნობდა, სასურველი არ იყო. საერთოდ კი მხი-
არული და საზრიანი თანამოსაუბრე მოწადინებული იყო ეჩვენებინა
გოიასთვის, საქმის როგორი ცოდნით იყო გაოცებული მისი ხელოვნე-
ბით. გოიას ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ამ კაცს, რომელმაც პერალ-
გას სიკვდილში ასეთი სასტიკი როლი ითამაშა, მუდამ ასეთი მხიარუ-
ლი და კმაყოფილი ყოფილიყო. მიუხედავად თავმდაბლობისა, პერალს
თავისი თავი ხალხთან შედარებით უთუოდ მთასავით მაღალი მიაჩნდა
და ფიქრობდა, რომ თავისი მეცნიერება იმის ნებას აძლევდა, რის უფ-
ლებაც გაუნათლებელ ბრბოს არ ეძლეოდა, თუ მას პერალგის სიკ-
ვდილში ხელი ერია, და ეს უთუოდ ასე იყო, მაშინ თავისი საქმე გულ-
გრილად და დაუფიქრებლად გაუკეთებია და აზრადაც არ მოსვლია, რომ
კუთხეს ამოფარებული ავი სულელები უთუოდ უთვალთვალებდნენ.

აღრე, როცა პერალმა გოიას თავისი პორტრეტის დახატვა სთხოვა,
მან იგი ზიზღით მოიცილა თავიდან. ახლა კი თვითონ სურდა დაეხატა,
სახის გამოკვეთილი ნაკვთების მიუხედავად, იღუმალეებით მოცული,
გამოუცნობი კაცი. რათა მის სულიერ არსს ჩასწვდომოდა. ერთ დღეს,
სხვათა შორის, გოიამ ასეთი რამ შესთავაზა. პერალი შეცბა და იხუმ-
რა:

— მე როდი შემიძლია სენიორ მარტინესივით გადავიხადოთ საფა-
სური.

გალიმებულმა გოიამ უპასუხა:

— პორტრეტს დაეწერ: A mi amigo.¹

ეს იმის აღმნიშვნელი ფორმულა იყო, რომ მხატვარი უსახსოვრებ-
და სურათს და გოიას ხელით მინაწერი ამგვარი პორტრეტის დახატ-

¹ ჩემს მეგობარს (ესპ.).

რონებამ მგზნებარე კოლექციონერ პერალს გული აუძგერა, უშფოთველი სახე გაუწითლდა.

— დიდი გულუხვი ბრძანდებით, დონ ფრანსისკო, — უთხრა მან.

გოია დიდხანს და მუყაითად წერდა პორტრეტს, წერდა მოვერცხლისფრო რუხ ფერში, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნოდა; ამ ფერის სინაზე ხაზს უსვამდა იმ სისასტიკეს, რასაც მხატვარი ექიპის ჰეკიანი, უშფოთველი სახის მიღმა ხედავდა. გოიამ დონ ხოაყინს საშუალება არ მისცა, რაიმე დაემალა; იმგვარად დასვა, რომ ორივე ხელი გამოსჩენოდა.

— როგორ? ხელებსაც მაჩუქებთ? — ხუმრობდა პერალი.

სწორედ იმ ხელების დახატვა სურდა გოიას, რომლებმაც კაეტანას ნეულეს ბოლო მოუღეს.

საერთოდ, სეანსები სასიამოვნოდ მიმდინარეობდა. პერალი საუბრის მოყვარული და გულახდილი იყო, თუმცა რაღაც ფარული და გამრუცნობი რჩებოდა მასში; გოია ძლიერ დაინტერესდა ამ კაცით, თითქოს შეიყვარა კიდევ, მაგრამ ხანდახან მისი შემთხვევითი გამოხედვა, ან შემთხვევითი ქესტი ზიზღს იწვევდა. მათ შორის წარმოიშვა თავიანთი მეგობრობა-მტრობა; ერთიმეორეს შეეჩვივნენ, ერთიმეორის საუფიქროსი გამოცნობას ლამობდნენ, სიამოვნებას ჰგვრიდათ ერთიმეორისათვის მწარე სინამდვილის თქმა.

რადგანაც გოია კაეტანაზე არ ლაპარაკობდა, პერალიც არ ახსენებდა მის სახელს. მაგრამ მათი საუბრის თემას ხშირად სიყვარული წარმოადგენდა. ერთხელ ექიმმა მხატვარს ჰკითხა, იცოდა თუ არა, რით ანსხვავდნენ ძველი ფილოსოფოსები ჰედონიკოსსა და ეროტიკოსს?

— მე ერთი უმეცარი მღებავი ვარ, ექიმო, — აღერსიანად უთხრა გოიამ, — და თქვენ კი ტერტულიანტი, ბრძენთა ბრძენი ტულიუს ციცრონი ბრძანდებით. გამანათლეთ გეთაყვა.

— ჰედონიკოსი, — დაიწყო თავმომწონედ ნასიამოვნებმა პერალმა, — ისეთი კაცია, რომელსაც სურს მხოლოდ თავისთვის შექმნას უმაღლესი ნეტარება, ხოლო ეროტიკოსი კი, თუკი ნეტარებას იგრძნობს, ცდილობს სხვასაც აგემოს იგი.

— ძალზე საინტერესოა, — ოდნავი უხერხულობის გრძნობით უთხრა გოიამ, რადგან ვერ მიხვდა, პერალს კაეტანა ჰყავდა თუ არა მხედველობაში.

— ფილოსოფოსი კლემენტი, — განაგრძობდა პერალი, — გვასწავლის: „ვაი მას, ვინც პედონიკოსი ქალის სარეცელზე აღმოჩნდება“, და მას, ვისაც ასეთი რამ დაემართება, განმკურნავ საშუალებად სთავაზობს თავი შეფაროს დიდ საზოგადოებრივ საქმეს, ჩაებას სამშობლოსა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ეს კარგად უღერს, მაგრამ მე, როგორც ექიმი, ვეპვობ, ამას შევლა შეეძლოს.

ამ სეანსების დროს პერალი ბევრს ლაპარაკობდა ხელოვნებაზე. განსაკუთრებით ანცვიფრებდა მეტყველი თვალების გამოხატვის ფრანსისკოს ტექნიკა.

— გამოვიცანი თქვენი ეშმაკური ხერხი, — მიმართა მან, — თვალის თეთრ გარსს უფრო პატარას ხატავთ, ვიდრე სინამდვილეშია, ხოლო გუგას კი უფრო დიდს, — და რადგან გოიამ განცვიფრებით შეხედა, განმარტა: გუგის განი ჩვეულებრივად აერთმეტ მილიმეტრს აღწევს, თქვენ სურათებზე კი ფერადი გარსი ცაპეტი მილიმეტრია, შე გაეზომე.

გოიამ არ იცოდა, გაეცინა თუ არა.

მეორეჯერ პერალმა სიტყვა გრეკოზე ჩამოაგდო. ნანობდა, რომ ფილიპე მეორემ საკმარისად ვერ გაუგო გრეკოს. რამდენად მეტი ძვირფასი ნაწარმოებები შეიქმნებოდა, ფილიპეს რომ ხელი არ აეღო მი! მოწყალებათზე.

— არ ვეთანხმები იმ ახალგაზრდა აღფრთოვანებულ პოეტს, რომელმაც ველასკესი, მურილიო და გოია დაასახელა ესპანეთის უდიდეს მხატვრებად. ჩემთვის უდიდესებია: გრეკო, ველასკესი და გოია.

გოიამ გულახდილად აღიარა, რომ გრეკო მისთვის უცხოა. მასში შეტისმეტად ბევრია არისტოკრატიული მანერულობა და ძალიან მცირეა ესპანური.

— შესაძლოა ჩვენი დონ ხოსე კინტანა მართალი იყოს. მე ვარ ესპანელი, ვარ გლეხი და ვხატავ უხეშად.

ბოლოს სურათიც მზად იყო. ტილოდან მნახველს შესცქეროდა პერალის დიდი, სკეპტიკური, ოდნავ მსუსხავი, გონიერი, შინაარსიანი და შემზარავი თვალები. გოიამ გულდაგულ დააწერა ფუნჯით: „Goya a su amigo goaquin Peral!“¹ პერალი თვალებს ადევნებდა.

— გმაღლობთ, დონ ფრანსისკო; — უთხრა მან.

¹ გოია თავის მეგობარ პერალს (ესპ.).

ხერესიდან ბატისფეხური ნაჯღაბნი ბარათი შოუვიდა. სერაფინა თავს ახსენებდა გოიას.

— შესაძლოა ერთი-ორი დღით ხერესს გავემგზავრო და სერაფინა დაეხატო, — უთხრა ფრანსისკომ კაეტანას.

— უკეთესი არ იქნებოდა აქ მოგვეწვია? — ჰკითხა კაეტანამ თითქოსდა არაფერი; მაგრამ მის სიტყვებში იმალებოდა ცბიერი, გულითადი წაქეზება, რამაც გოია აღანთო.

— მე ეს ისე უბრალოდ მომივიდა აზრად, — თქვა მან, — შესაძლოა არც მე წავიდე და არც ის მოვიწვიო. მაგრამ, — ღვარძლიანად დასძინა, — ის იდეალური მახა იქნებოდა. თუ ოდესმე მახას დაეხატავ, — მხოლოდ მას და სხვას არავის.

ცოტა ხანმა გაიარა ამის შემდეგ და გოია ჩვეულებრივ დროს მივიდა კაეტანასთან. ის დივანზე წამოწოლილი დახვდა იმ კოსტიუმში გამოწყობილი, რომელიც გასულ ზამთარში ეცვათ ხოლმე ქალებს მასკარადებზე. ეს იყო თხელი, ძვირფასი თეთრი ქსოვილის სამოსელი, ნახევრად პერანგი და ნახევრად შარვალი, რომელიც ტორეროს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მახას, სხეულზე ნაკეცებად შემოტმასნილი უფრო აშიშვლებდა, ვიდრე ფარავდა მას. ამასთანავე ეცვა მუქი ოქროსფერი ზედატანი—ბოლერო, შავი, ელვარე ლითონის ბრჭყვიალებით გაწყობილი, რომლებიც პეპლებს მიაგავდა. კაბაზე შემოკერილი ჰქონდა განიერი ვარდისფერი სარტყელი. ასე იწვა თავქვეშ ხელამოდებულად.

— თუ სერაფინას მახად დახატვას ისურვებ, იქნებ ეს პოზა და ეს კოსტიუმი გამოგადგეს? — ჰკითხა მან.

— ჰო, — მიუგო გოიამ გაურკვეველად. ეს არც ჰოს ნიშნავდა და არც არას. ქალი, რომელიც აქ დივანზე იწვა, მახას ტანსაცმელში გაბედულად გამოწყობილი, წარმტაცი იყო. მანოლერიის სამიკიტნობებში მას არც ერთი კაცი არ ჩათვლიდა მახად და ფრანსისკოს კი შეიძლება კაეტანა დაეხატა ასე და არა სერაფინა.

— თუ შენ ამგვარ მახას დახატავ, ისეთი სიდიდისას გამოიყვან როგორც ცხოვრებაშია? — ჰკითხა მან.

— პირველად მესმის შენგან ტექნიკური მხარეებით დაინტერესება. — უთხრა ოდნავ გაოცებულმა გოიამ.

კაეტანამაც ოდნავ მოუთმენლად უთხრა:

— დღეს შე ეს მაინტერესებს.

— ვფიქრობ, რომ ნატურალური სიდიდის სამ მეოთხედს დავხატავდი, — მიუგო გაღიმებულმა გოიამ.

ორიოდე დღის შემდეგ კაეტანამ გოია იმ ოთახში შეიყვანა, სადაც არავენ შედიოდა. ეს იყო შესანიშნავი, მაგრამ შივიწყებული საძილე ოთახი, რომელსაც წინათ უთუოდ კასა დე აროს პატრონები ოფიციალური დილის ტუალეტისათვის იყენებდნენ. კედელზე ეკიდა იაფფასიანი ფართო სურათი, რომელზედაც ნადირობის სცენა იყო გამოხატული. ისეთივე მოწყობილობის მეშვეობით, როგორც კადისში, კაეტანამ სურათი გვერდით გადააქურა. მის უკან გამოჩნდა ცარიელი ადგილი მეორე სურათისათვის. ფრანსისკო გამოყეყეჩებული იდგა.

— ვერ მიხვდი? — ჰკითხა მან, — მინდა რომ შენ ბოლოს და ბოლოს მახად დახატო, ნამდვილ მახად.

გოია მას მიაშტერდა. გაიგო, რაც მას სურს? ველასკესის შიშველი ქალი, ასე აუხსნა მან კაეტანას, არც ქალღმერთი იყო და არც გრანდესა, ის მახა იყო.

— მინდა ორი პორტრეტი შეგიკეთოთ, დონ ფრანსისკო, — უთხრა მან, — ერთი მახა კოსტიუმში, ხოლო მეორე კი — ნამდვილი მახა.

რაკი კაეტანას ასე სურს, ასე იყოს. დახატა ამ ძვირფას, თვალისმომპრეკლ კოსტიუმში და ახლა კი უკვე ხატავდა შიშველს გამჟვირვალე ქსოვილში. კაეტანა იწვა სანეტაროდ გაწყობილ ლოგინზე, ბაცი ნწვანე ფერის ბალიშზე, გადაქდობილი ხელები თავქვეშ ამოედო, მარცხენა ფეხი ოდნავ მოეხარა, მარჯვენა ბარძაყი რბილად ედო შეორეზე და მათ შორის სამკუთხა ადგილი მხატვარმა განზრახ ხაზგასმით გამოაჩატა. გოიამ სთხოვა სახე დახატვამდე ოდნავ შეეფერადებინა. მაგრამ მისი სახე არ დაუხატავს. ეს იყო ანონიმური, გაურკვეველნაკვთებიანი სახე, როგორაც მხოლოდ მას შეეძლო ხატვა. ეს იყო ერთის გარკვეული და ამასთანავე მრავალი ქალის სახე.

კაეტანა გაიტაცა შეჯიბრებამ, რომელზედაც ამაყად წავიდა. თავისას მიაღწია: ფრანსისკომ მახად დახატა; სერაფინამ კი, მახამ მახათა შორის, მახის განსახიერებამ, ამაოდ მიიპატიჟა გოია თავის საზეიმო ლოგინად წოლისას მოსანახულებლად.

ხატავდა იმ ოთახში, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო სურათები. მარცხნიდან შემოსული სინათლე ჩაცმულ მახასთვის გამოსადეგი იყო.

შიშველი მახა კი დახატა მირადორის სათვალთვალ კომპის ბრტყელ სახურავზე. აქ რიკულებიანი მოაჯირის მეოხებით იმდენი სინათლე იყო, რამდენიც გოიას სჭირდებოდა. დუენია სადარაჯოზე იდგა, მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო იყო იმით, რასაც ისინი სჩადიოდნენ; ამგვარი მოქმედება არასოდეს არ დაჩჩება გამოუმჯლანებელი. გოია გაცხარებული ხატავდა, გრძნობდა, კაეტანამ აუკრძალა სერაფინა და ცდილობდა მისთვის სერაფინაზე მეტი ყოფილიყო. სერაფინაზე მეტად ყოფილიყო მახა, მაგრამ ამას ვერ მოახერხებდა. გოიას გულში გესლიანად უხაროდა. როცა ახლა ის აქ ასე წევს მის წინაშე, გოია კი აღარ არის მისი პელელე, არამედ კაეტანაა მისი სათამაშო. ის, რაც ტილოზე იქმნებოდა, არ იყო მახა, წარმოშობამ და სიმდიდრემ ყველაფერი მისცა, რის მიცემაც ესპანეთს შეეძლო, ხალხისაგან კი მოწყვეტილი დარჩა; ის მხოლოდ საცოდავი, საწყალი გრანდესა იყო. რაც არ უნდა უცადოს, მახად ვერ იქცევა. უკანასკნელი ნილაბიც რომ მოიცილოს, მით უმეტეს ვერ იქნება.

გოიას ფიქრები უბრუნდებოდა ხორცშესხმულ ქალს და მისგან ისევ თავის ნაწარმოებს. ეექვებოდა, იყო თუ არა ჰემმარიტი ხელოვნება, რასაც ის აკეთებდა. რას იტყოდა ამაზე მისი სარაგოსელი მასწავლებელი ლუსანი! ლუსანი მას რიგიანად ჩაცმულ თაბაშირის ქანდაკებებს ახატკენებდა, ტყუილად კი არ იყო ინკვიზიციის ცენზორი. რასაც ახლა აკეთებდა, ჰემმარიტად არაფერი ჰქონდა საერთო იმ გულგრილ, უინტერესო ხელოვნებასთან, რომლის თაყვანისმცემლებიც მენგსი და მიგელი იყვნენ. მაგრამ Carajo, არ სურს შეეჯიბროს გარდაცვლილ ველასკესს. ეს მისი საკუთარი Dona Desnuda—ა, მან ამ ჩაცმულ და ჩაუცმელ შიშველ ქალში განასახიერა ყველა ქალი, რომელთანაც წოლილა ლოგინში, თუ სადღაც კუთხეში. დახატა ყოველგვარი სიტკბოების აღმთქმელი სხეული და ამასთანავე ორი სახე; ერთი ბიწიერების მოლოდინით აღსავსე, ავხორცი გულსთქმით აღსავსე, სასტიკი, მაცდური; საშიში გამოხედვით; მეორე კი ოდნავ ძილმორეული, ნელა რომ იღვიძებს დაკმაყოფილებული ვნებით და უკვე ახალ სიტკბოებას მოწყურებული. მას არც ალბას დახატვა სურდა და არც მახასი, არამედ დაუცხრომელი ავხორცისა, თავის განუსაზღვრელი მომქანცველი ნეტარებითა და საშიშროებით.

სურათები უკვე მზად იყო. კაეტანა ექვის თვალთ უყურებდა ხან

ერთსა და ხან მეორეს. ტორეროს კოსტიუმთან ქალს სხვა სახე ჰქონდა და შიშველს სხვა. ორივე კიდევე იყო მისი სახე და არც იყო. რატომ არ დახატა ფრანსისკომ მისი ნამდვილი სახე?

— თქვენ რაღაც განუმეორებელი, ამაღლვებელი შექმენით, ღონ ფრანსისკო, — თქვა მან ბოლოს. შემდეგ თავის თავს დასძლია, — მაგრამ ასეთი ნებიერი ნამდვილად არა ვარ, — თქვა მან თავის მოკატუნებით.

შემოუერთდა მათ დენია
და სურათები მიაკრეს კედელს.
შავ ფოსასხში გახვეულ მახაა
ამოუფარა შიშველი მახა.
შემდეგ ღიმილით თქვა კაეტანამ;
„ნახავ, ფრანსისკო, ჩენი სტუმრები
ამ მახაზედაც პირს დააღებენ“
და როგორც ცელქი, პატარა გოგო
დააწეა ღილაკს, კვლავ მათ წინაშე
გაშიშველებული გამოჩნდა
მახა...
თხემით ტერფამღე შავით მოსილი —
შექრწუნებული ბიწიერებით, —
ტუჩებს იკვნეტდა მოხუცებული
დენია... და აღბამ მჭირდავი
ღიმილის შემდეგ შიშველი მახა
ამოაფარა მეორე სურათს.
ბოლოს კი მალა ასწია თავი,
აზიდდა წარბნი ჯა დედოფლური
ამპარტავნებით და სიამაყით
თავისთან იხმო თავის ფრანსისკო
და განერიდა.

37

სანლუკარში სტუმრად ეწვიათ ღონ ზუან ანტონიო მარკიზ დე სან ადრიანი.

გოიას გუნება წაუხდა. ადრევე იცნობდა მარკიზს, დაეხატა კიდევაც იგი, ის ერთ-ერთი მისი საუკეთესო პორტრეტთაგანი იყო. ფართო ლანდშაფტის წინ დააყენა, ეფექტურად დგას ქვის ბოძზე მიყრდნობი-

ლი ახალგაზრდა ბატონი — თუმცა არც ისე ახალგაზრდა, ორმოცზე მეტის იქნებოდა, მაგრამ თავისი ლამაზი, თავხედი, ამაყი ბავშვური სახით ოცდახუთი წლისად გამოიყურებოდა. ეცვა მხედრული ტანსაცმელი, თეთრი ქილეტი, ვიწრო, ყვითელი შარვალი და ლურჯი ფრაკი. ერთი სიტყვით, ვერტერით იყო გამოწყობილი. მათრახიანი ხელით მოხდენილად შემოუყრია დოინჯი, მეორე, საგულდაგულოდ დახატული ხელით წიგნი უჭირავს, მაგრამ რისთვის, ამას ვერ გეტყვოდათ ვერც მხატვარი და ვერც თვით მოდელი, მაღალი ქუდი ქვის ბოძზე შემოუდევს. გოიას არ დაუფარავს ყოყმოზა ლამაზი, გადაჭარბებით განზვიადებული ბატონისა. რომელიც, როგორც მეფის კარის ერთი პირველი გრანდი, ჰაბუკობაშივე დაინიშნა ინდოეთის საქმეთა საბჭოს გავლენიან პრეზიდენტად. გოიას ხშირად უნახავს იგი კაეტანას წრეში. ამბობდნენ, რომ ის მისი ერთი საყვარელთაგანი იყო. დანამდვილებით კი მას დედოფლის ფავორიტად თვლიდნენ. შესაძლოა ალბამ მცირე ხნით გაიხადა კორტეხოდ მარია ლუიზას გასამწარებლად. განათლებული და არაჩვეულებრივად განვითარებული მარკიზ დე სან აღრიანი დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში, ძალზე მოწინავე კაცად ითვლებოდა და უთუოდ ასეთიც იყო. მაგრამ როცა ძალიან მაღალი, ოდნავ გაკვიანურებული ბავშვური ხმით ცინიკურ, ეფექტურ, გონებაშაზვიადებულ შენიშვნას გააკეთებდა, გოიას ეს ღრღნიდა და თავს ძლივს იკავებდა, რომ მისთვის რაიმე ტლანქად და უხეშად არ ეთქვა.

მარკიზი უბრალოდ და თავაზიანად იქცეოდა. მისი სიტყვით, დონია კაეტანას პატივისცემით ჩამოსულიყო, ვინაიდან მეფის კარზე მისი არ ყოფნა ვერ აეტანა. მაგრამ მეორე თითქმის ასეთივე საპატიო პიზუზი მისი ჩამოსვლისა იყო სურვილი, რომ დონ ფრანსისკოს ენებებინა ინდოეთის საქმეთა საბჭოს სხდომა დაეხატა, სევილია ხომ აქედან ახლოს იყო.

— მოგვენატრეთ, ჩემო ძვირფასო, — წაამღერა თავისი ოდნავ ყიყინა ხმით, — მოგხსენებათ, რომ საშუალება არა გვაქვს ხშირად დავიხატოთ. და თუ თქვენ დიდ თავპატიყს დაიდებთ, იძულებული გავხდებით მივმართოთ ისეთ კეთილ კაცს, როგორიც თქვენი კოლეგა კარნისეროა, და ჩვენი სახეები უფრო უშინაარსო გამოვა, ვიდრე სინამდვილეშია.

მარკიზი ცდილობდა ხელი არ შეეშალა მათთვის. მხოლოდ პურის-

კამაზე იყო მათთან და კაეტანას დილის ტულეტს ესწრებოდა. მისი აქ ყოფნა უფრო გასართობი იყო, ვიდრე ხელისშემშლელი. კაეტანა მას ოდნავ ირონიულად ექცეოდა, როგორც თავხედ კაბუქს. მათი კავშირ-უთუოდ წარსულს ჩაბარებოდა. ფრანსისკოს ძველებურად ყოველთვის შეეძლო მართო ენახა კაეტანა, როცა და რამდენჯერაც სურდა.

ერთ საღამოს სუფრაზე მასა და პერალს შორის ხელოვნებაზე ჩამოვარდა სიტყვა. დანარჩენი ორი მასში მონაწილეობას არ ლებულობდა. გოიამ ლაპარაკში თვალი მოჰკრა, როგორ უყურებდა კაეტანა სან აღრიანს, ეს იყო აღმაცერი გამოხედვა მისი სურათის მახისა; მან დონ ხუანს შეხედა გაკომწვევად, მოლოდინით, ბიწიერად. მზერა სულ ორ წამს გაგრძელდა. შესაძლებელია გოიას ეს მოეჩვენა. ცხადია მოეჩვენა; თავის თავს უბრძანა დაევიწყებინა ეს გამოხედვა, მაგრამ დაწყებული წინადადება ძლივს დაამთავრა.

იმ ღამეს თავის თავს არწმუნებდა, რომ ეს სისულელე იყო, რომ კაეტანა შიშველ მახაში აერია, ასეთი რამ აღრეც მოსვლია. მერე თავს საწინააღმდეგონი არწმუნებდა, რომ კაეტანა სან აღრიანის საყვარელი იყო და რად ჩამოვიდოდა, თუ არ ძველი მეგობრობის აღსადგენად? რასაკვირველია, კაეტანას თანხმობის გარეშე არ ჩამოვიდოდა. ყველაფერი ცხადი იყო — გოია გააბრიყვეს, კვლავ ჯამბაზად აქციეს. წარმოადგინა, როგორ წევს კაეტანა ამ პრანქია ყოყონა ფრანტთან ახლა, სწორედ ახლა, როცა ის უძილობით გატანჯული წრიალებს. მერე კაეტანა აჩვენებს მას „შიშველ მახას“ და სან აღრიანი თავის საზიზღარი ხმით დაიწყებდა მტკიცებას, რამდენი მშვენიერი რამ ვერ დაუნახავს მასში ფრანსისკოს.

ყველაფერი ეს უაზრთბა! ის უბრალოდ ეჭვიანი სულელია, მაგრამ აქვს საფუძველი ეჭვიანობისა. გოია ხანში შესულია და ჩასუქებული, ამასთანავე ცუდად ესმის. მისმა ზურგმა უკვე მოხრა იწყო; ეს განსაკუთრებით სამარცხვინოა სარაგოსელისათვის, აგრეთვე ფიცხია და პირქუში, კაეტანა კი „chatoyante“-ა, ეს სწორედ შენიშნა ხანდაზმულმა მარკიზამ. გოია ახალგაზრდაც რომ ყოფილიყო და თვალისმომპრელ-ლამაზიც, მინც შეიძლება უცებ მობეზრებოდა კაეტანას და სხვაზე გაეცვალა. ახლა კი რალას ჰგავს და, ცხადია, კაეტანას ახალგაზრდა, ჩამოსხმული, განათლებული, მუდამ მხიარული ფრანტი ურჩევნია მის თავს Trágalo perro -- ხეთქე, ძაღლო!

სიგიჟეა! განა კაეტანა მარკიზს არ დასცინოდა მარია ლუიზასთან სიახლოვისათვის? განა მისთვის ცხადად არ დაუნახებია, რომ ის, ფრანსისკო, მისი კორტენოა? მაგრამ რა უყოს ამ ალმაცერ გამოხედვას? არა, არ მოსჩვენებია, ის არ ეკუთვნოდა „შიშველ მახას“, ის ეკუთვნოდა ცოცხალ კაეტანას ლითონისებრ თვალებს. მეორე წუთში გულგრილად იცქირებოდა, იცვლებოდა, როგორც კატის თვალები, მასში არაფერი იყო ნამდვილი და გარკვეული. არაფერია საკვირველი, რომ მან კაეტანას დახატვა ვერ შეძლო. ვერც ველასკესი შეძლებდა მის დახატვას, საერთოდაც ვერაფერს შეძლებდა. მისი სიშიშველის დახატვაც არ შეიძლებოდა, თვით მისი სიშიშველე მატყუარა იყო. გულიც ისევე შენიღბული ჰქონდა, როგორც სახე. ბუნებით ბოროტია. მის ყურებში ეღერდა პეპას საყვარელი სიმღერის ერთი სტრიქონი: „მშვენიერ მკერდში საზაზღარი გული იფარება“.

მეორე დილას ხატვას შეუდგა, რადგან ახლა დაინახა ნამდვილი კაეტანა. მან დახატა ის ჰაერში მფრინავი; მასთან ერთად, მის ქვეშ, ღრუბლების დარად მიცურავდა მისი მატარებელი სამი მამაკაცის სხეული. ამჭერად ქალის ნაკვეთები უცნობი არ იყო. ეს სუფთა, ამაყი, მოგრობა სახე მხოლოდ ერთ ქალს შეიძლება ჰქონოდა ქვეყანაზე — კაეტანა დე ალბას; ადვილად საცნობი იყო მამაკაცთა სახეებიც; ერთი იყო ტორეადორი კოსტილიაროსი, მეორე — ინდოეთის საქმეთა საბჭოს პრეზიდენტი სან ადრიანი, მესამე — დონ მანუელი. — მშვიდობის თავადი, მიწიდან ფრენას შეჰყურებდა კბილდარეკილი, მახინჯი, დაჩაჩანაკებული კარის ტაკიმასხარა პადილია. ფრანსისკო ხატავდა „ამაღლებას“, ეს იყო უაღრესად ბილწი „ამაღლება“ და მისი მიზანი ცხადია ზეცა არ იყო. ქალს, რომელიც სამი მამაკაცის თავზე ფრინავდა, განიერი, გაფრიალებული სამოსელი გამობერილ გაჩაჩხულ ფეხებს უფარავდა. იოლი იყო ამ მფრინავი ქალისათვის მოკვდავთა შვიდივე ცოდვის მიწერა. იოლი დასაჯებელი იყო, რომ ამ სახეს ბაგის გაუხსნელად შეეძლო ბრძანება გაეცა უღანაშაულო ბეუღლის საიჭიოს გასამგზავრებლად, რადგან მას შეეძლო ცოლისათვის ხელი შეეშალა. დიან, ბოლოს დაინახა ეს გოიამ და ბოლოს ჩასწვდა მისი სახის საბოლოო არსს, დაინახა ნამდვილი, გარკვეული, ამპარტავანი, ძალზე მატყუარა, ძალზე მიამიტი სახე კაეტანასი, ეს იყო ავხორცობის, ცდუნებისა და სიცრუის განსახიერება.

მეორე დღეს კაეტანა არ გამოჩენილა. ღუენიამ ბოდიში მოიხადა სტუმრების წინაშე. მისი თეთრი ლეკვი ღონ ხუანიტო ავად გაჰხდარა-ყო, კაეტანა დარღობდა და არაუის ნახვა არ სურდა. გოია განაგრძობდა „ამაღლების“, „სიცრუის“ ხატვას.

ერთი დღის შემდეგ ძაღლმა მოიკეთა და კაეტანა სიხარულით გაბრწყინდა. გოია სიტყვაძვირობდა. კაეტანას ეს არ სწყინდა და რამდენჯერმე სცადა ლაპარაკში ჩაეთრია. მაგრამ რაკი გოია ვერ დაიყოლია, მოუბრუნდა სან ადრიანს, რომელიც მას ალერსიანად, ბავშვურად გულის მოსაგებად ექცეოდა, სან ანდრიანმა ფრანგული ციტატი მოიტანა, მანაც ფრანგულადვე უპასუხა და მოჰყენენ ფრანგულად ლაპარაკს. პერალი მერყეობდა ღვარძლიან სიხარულსა და თანაგრძობბას შორის, სცადა საუბარი ესპანურისაკენ შემოებრუნებინა, მაგრამ ის ორი ისევე ფრანგულად განაგრძობდა, ისე სწრაფად, რომ ფრანსისკოს გაგება არ შეეძლო. ბოლოს კაეტანამ მიმართა ფრანსისკოს ფრანგულად, რთული სიტყვებით, რომელიც მან ვერ გაიგო. ცხადია, რომ სან ანდრიანის წინაშე სურდა დაემცირებინა გოია.

ნავახშმევს კაეტანამ განაცხადა, რომ კარგ გუნებაზე იყო და ჯერ დაძინება კი არ სურდა, არამედ რაიმე გასართობის გამოგონება. მოისურვა დაეძახებინა თავისი მსახურებისათვის და ფანდანგო ეცეკვებინა. მისი მოახლე ფრუელა შესანიშნავად ცეკვავდა და მეჭინბე ვიკენტიც არანაკლებად. ხშირად ხდებოდა, რომ გრანდებს მოსწყინდებოდათ მაღალი საზოგადოება და გასამხიარულებლად თავიანთ ჯალაბობას აცეკვებდნენ.

გამოცხადდა ფანდანგოს საცეკვაოდ გამზადებული ხუთი წყვილი, რომელთაც ოცი სხვა მაყურებელი მოჰყვათ, მსახურები, იჭარადრები, გლენები. ხმა გავრცელდა. რომ ფანდანგოს ცეკვავდნენ, მის საყურებლად ყველას შეეძლო მოსულიყო მობოდიშების გარეშე. მსახურები ცეკვავდნენ არც ძალიან კარგად და არც ცუდად. მაგრამ ფანდანგო ისეთი გასართობი იყო, რომ სრულყოფილად სრულდებოდა თუ არა, მაინც იტაცებდა მაყურებელს. პირველად მაყურებლები წყნარად და ყურადღებით ისხდნენ, შემდეგ კი მოჰყენენ ფეხების ბაკუნს, რიტმულად ტამისცემას და გაჰყვიროდნენ „ოლე“-ს. ცეკვავდა მხოლოდ ერთი წყვილი, მაგრამ მისი შემადგენლობა ხშირ-ხშირად იცვლებოდა.

კაეტანამ მიმართა:

— გნებავთ იცეკვოთ, ფრანსისკო?

ფრანსისკო წუთით კინალამ შეცდა. მერე მოაგონდა, თუ როგორ უნდოდა კაეტანას მინუეტი ეცეკვებინა ფრანსისკოსათვის ჰერცოგისა და პერალის წინაშე, ახლა მის წინ იყო სან აღრიანის სასიამოვნო თავხელი სახე და ნუთუ კაეტანას გამო მის წინაშე თავი უნდა დაემცირებინა? ის შეუყოყმანყდა. ახლა კაეტანა სან აღრიანს მიუბრუნდა:

— ან იქნება თქვენ, აღრიან?

მარკიზმა თავისი ჩვეული გაპრანჭულობით წამსვე უპასუხა:

— ამას დიდ პატივად მივითვლიდი, მაგრამ ამ კოსტიუმით?

— შარვალს არა უშავს, — მცოდნესავით უპასუხა ალბამ, — ხელატანს კი ვინმე გათხოვებთ. გაემზადეთ, ვიდრე მე გადავიცვამდე.

კაეტანა დაბრუნდა იმ კოსტიუმში გამოწყობილი, რომელშიაც გოიამ დახატა, პერანგსა თუ შარვლისმაგვარი თხელი, თეთრი ქსოვილის სამოსში, რომელიც სხეულს უფრო აშიშველებდა, ვიდრე ფარავდა; ზემოდან ეცვა სამასკარადო ყვითელი ბოლერო, შავი მოლაპლაპე მეტალის ბრჭყვიალებით ამოქარგული, განიერი, ვარდისფერი აბრეშუმის ქამრით. ასე ცეკვავდა სან აღრიანთან. მათ არ ეცვათ ნამდვილი შესაფერი კოსტიუმები, ეს ცეკვა არ იყო ნამდვილი ფანდანგო, მოახლე ფრუელა და მეჩინიბე ვიკენტი უკეთესად ცეკვავდნენ, ვერც შეადარებდი სევილიელ და კადისელ მოცეკვავეებს, რომ არაფერი ვთქვათ სერაფინაზე: ეს იყო ფანდანგოს შიშველი, ერთმნიშვნელოვანი წარმოდგენა, რაღაც გაუგონარი, აღვირახსნილი იყო მასში. ჰერცოგის მეუღლე ალბა და ინდოეთის საქმეთა საბჭოს პრეზიდენტი სანლუკარელი გლეხებისა და მეეტლეების წინაშე წარმოადგენდნენ ვნების, სურვილის, სირცხვილის, ნეტარების პანტომიმას. გოია გრძნობდა, რომ კაეტანას ასევე იოლად შეეძლო მთელი ეს ჯალაბობა თავის ოთახში შეეყვანა, კნობისთვის თითი დაეჭირებინა და „შიშველი მახა“ — ეჩვენებინა, ყველაზე მეტად კი ის აბრაზებდა, რომ ეს ორნი სინამდვილეში კი არ იყვნენ მახა და მახო, არამედ თამაშობდნენ მათ როლს. ეს იყო უნამუსო, სულელური, უხამსი თამაში. ასეთი თამაში არ შეიძლებოდა, ეს იყო ესპანური სულის დაცინვა. ჩუმი ბოლმა ახრჩობდა გოიას, ბოლმა კაეტანასა და დონ ხუანისადმი, ყველა გრანდისა და გრანდესისადმი, რომელთა შორისაც ის ცხოვრობდა, ამ მანჭიებისა და თოჯინებისადმი. მართალია, ის თვითონ

ჯატაებზე მონაწილეობდა ამ უაზრო, ყალბ თამაშში იმ დროს, როცა გობელენს აკეთებდა, როცა შპალიერისათვის მუყაოზე ხატავდა. მაგრამ მას შემდეგ უფრო ღრმად შეისწავლა ადამიანები და საგნები, უფრო ღრმად გრძნობდა და ცხოვრობდა, და ეგონა, რომ კაეტანა ყველაზე უფრო მაღლა იდგა თავისი წრის მანდილოსანთა შორის. მას ეგონა, რომ მასა და კაეტანას შორის თამაში კი არ იყო, არამედ სიზამძვილე, ვნება, გზნება, სიყვარული, ნამდვილი ფანდანგო, მაგრამ კაეტანა ცრუობდა, მთელი ხნის განმავლობაში ტყუოდა, მან ამ წარჩინებულ ქალს თავი გაასულელებინა, მის ხელში პეღელედ, ჯამბაზად იქცა.

ლაქიებისა და მოახლეებისათვის, გლეხებისათვის, შიკრიკებისათვის, ჭურჭლის მრეცხაუებისა და მეჭინბეებისათვის ეს დიდი სამახსოვრო საღამო იყო. ისინი ხედავდნენ, როგორ ცდილობდა კაეტანა მათ მიმსგავსებას, ამას აფასებდნენ, მაგრამ ხედავდნენ, ამას რომ ვერ აღწევდა და მასთან შედარებით თავიანთ უპირატესობას გრძნობდნენ. ისინი ფეხებს უბაკუნებდნენ, ყვიროდნენ „ოლე“-ს, თავიანთ გრძნობებს სიტყვებით და გრძნობებით ხორცს ასხამდნენ, გრძნობდნენ რომ მათ წინაშე მოცეკვავე წყვილზე უკეთესები იყვნენ და თუ მოახლე ფრუელა ამაღამ მეჭინბე ვიკენტს ჩაუწვებოდა ლოგინში, ეს უფრო უკეთესი, უფრო ბუნებრივი და ესპანური, უფრო წესიერი, იქნებოდა, ვიდრე წარჩინებული ქალბატონის ამ პრანქიასთან, თუ თავის მხატვართან ჩაწოლა.

დუენიმ ეს სანახაობა ველარ აიტანა. მას უყვარდა თავისი კაეტანა, კაეტანა იყო მისი ცხოვრების აზრი, მაგრამ ახლა მისი მერცხალი მხატვარმა მოაჯადოვა. ბრაზითა და სევდით უყურებდა იგი, როგორ იმცირებდა თავს სახელმწიფოს პირველი მანდილოსანი, დიდი ფელდმარშლის ჩამომავალი ამ ნაძირალების, ბრბოს და პლებეების წინაშე.

პერალი იჯდა და უყურებდა. არც ტაშს უკრავდა და არც „ოლეს“ გაიძახოდა. ის ბევრჯერ ყოფილა კაეტანას ამგვარი ალტყინების მოწმე, შესაძლოა ასეთი მძაფრისა არა, მაგრამ არც ბევრად სხვანაირის. უყურებდა გოიას, ხედავდა, როგორ ეცვლებოდა სახე მღელვარებისაგან, თან ნიშნს უგებდა და თანაც ეცოდებოდა.

კაეტანა და ანდრიანი შეხურდნენ. მუსიკა უფრო გაცხოველდა, შეძახილები უფრო ხმამაღალი გახდა, ისინი თავდაუზოგავად ცეკვავ-

დნენ. „თავს ნუ იწუხებ, მახალ მაინც ვერ იქცევი, — ფიქრობდა გოია, — წარმოდგენაც არა გაქვს ფანდანგოზე. შენ გპირდება მხოლოდ ლამისათვის შემზადება, შეხურება, სანამ ამ მასხარას, ფრანტს და კომწის ლოგინში ჩაუწყებოდე“.

ფრანსისკო ცეკვის დამთავრებამდე გაეცალა იქაურობას.

ამ ღამესაც ცუდად ეძინა. მეორე დილას კაეტანა ელოდა, რომ შეუვლიდა გოია და სადილამდე გაისეირნებდნენ, როგორც აქამდე ჰქონდათ წესად შემოღებული. გოია მასთან არ მივიდა, შეატყობინა, რომ თავი მტკივა და სადილზე ვერ გეახლებითო. გოიამ გადმოიღო სურათები, „ამაღლება“ ანუ „სიცრუე“, ის უკვე მზად იყო, აღარაფერი სჭირდებოდა. მუშაობის ხალისი არ ჰქონდა. სტანჯავდა სოლანო — ცხელი ქარი, ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მისი სმენის საქმეც გაუარესებულიყო. სურათი შეინახა. მიუჯდა საწერ მაგიდას და დაიწყო ბარათის შედგენა. თან ფიქრობდა: „მოხუცს ჰყავდა ტაკიმასხარა, კაეტანას კი კარის მხატვარი. მაგრამ კმარა, თავს ვანებებ თამაშს“. მან შეადგინა ერთი ბარათი ჰოფმარშალისადმი, მეორე აკადემიისადმი, სადაც იუწყებოდა, რომ მადრიდს ბრუნდებოდა. შავად დაწერილი გადაუთერებლად მიატოვა.

ნასადილევს მოვიდა კაეტანა თავის სასაცილო, პატარა ძაღლით. თავი ისე ეჭირა თითქოსდა არაფერიყო. ალერსიანად, თითქმის მხიარულადაც კი ექცეოდა ფრანსისკოს. წუხდა, რომ ის თავს ცუდად ვგრძნობდა. რატომ არ მიმართავს ჩჩვევისათვის პერალს?

— პერალი მე ვერაფერს მიშველის, — მკაცრად მიუგო გოიამ, — გააგდე აქედან შენი სან აღრიანი.

— გონს მოდი! შენ იცი, რომ მე არ შემძლია შეურაცხყოფა მივაყენო აღამიანს. იპიტომ რომ შენ ცუდ გუნებაზე ხარ.

— გაუშვი აქედან! — აუხირდა იგი.

— რატომ ერევი ჩემს საქმეში? ხომ იცი, რომ ამას ვერ ვიტან. მე არასოდეს არ ავხირობივარ და არ მითქვამს: ასე და ისე მოიქეცი-მეთქი. — უთხრა კაეტანამ.

ამ გაუგონარმა თავხედობამ გოია გაამწარა. კაეტანა მისგან ყველაფერს მოითხოვდა, ყველაზე საშინელ მსხვერპლსაც კი, რის მოთხოვნაც აღამიანს აღამიანისაგან შეუძლია; ახლა, აი, დგას მის წინ და უდანაშაულოდ მოაქვს თავი: „მომითხოვია შენგან ოდესმე რაიმე?“

— მე ხერესს უნდა გავემგზავრო სერაფინას დასახატავად, — თქვა გოიამ. კაეტანა წყნარად იჯდა; კალთაში ფინია ჰყავდა.

— შენღ გამგზავრება სწორედ ზედგამოჭრილია, — უთხრა მან, მეცერთი-ორი დღით მივიღივარ აქედან. უნდა მოვიინახულო ზოგიერთი ჩემი მამული, მინდა ვნახო, როგორ საქმიანობენ იქ ჩემი მოიჯარადრეები. ღონ ხუანი თან მომყვება და თავის რჩევა-დარიგებით დახმარებას გამიწევს.

— მე ორი დღით არ მივიღივარ, — თქვა გოიამ, — და ჩემი გულისთვის აქედან წასვლა არ დაგქირდება. შეგიძლია წყნარად დარჩე აქ შენს პრანჭიასთან. მე აწი ხელს აღარ შევიშლი. ხერესიდან მე მადრიდს ვბრუნდები.

კაეტანა წამოღდა, ფინიამ დაიწკავწკავა. ქალს უნდოდა რაიმე მწარე ეთქვა. შეხედა გოიას დამძიმებულ სახეს, მას თვალები სულ შავად უელავდა, თეთრი გარსი თითქმის აღარ მოჩანდა. კაეტანამ თავი შეიკავა.

— დიდი სისულელე იქნება, ფრანსისკო, თუ სანლუკარში აღარ დაბრუნდები, მე ეს ძალიან მეწყინება. — და რადგან გოია ხმას არ იღებდა, სთხოვა: — გონს მოდი. ხომ იცი ჩემი ამბავი. შენ შე მიცნობ. ნუ მოითხოვ, შევიცვალო. მე ეს არ ძალმიძს. დაპტოვე ოთხი-ხუთი დღით, შენც ამდენივე დღით იყავი თავისუფალი. მერე დაბრუნდი, მე აქ მართო დაგზვდები და ყველაფერი ძველებურად წარიმართება.

გოია ისევ მიაშტერდა სიძულვილით აღსავსე თვალებით. შემდეგ უთხრა:

— დიახ, მე გიცნობ, — და გადმოიღო სურათი „ამაღლება“ ანუ „სიცრუე“ და ააყუდა მოლბერტზე.

კაეტანამ დაინახა თავისი თავი მფრინავი მსუბუქად, მოხდენილად, ნათელი, უბიწო სახით. ეს იყო მისი ნამდვილი სახე. მხატვრობის დიდ მცოდნედ არ მოჰქონდა თავი. მაგრამ ამას კი მიხვდა, ასე სასტიკად არავის დაუმცირებია. არც მარია ლუიზას და არც სხვას. ამასთანავე, ვერ გაერკვია, რაში გამოიხატებოდა ეს დამცირება, თუმცა კი მიხვდა. ეს გამოიხატებოდა სამ მამაკაცში, რომელიც გოიამ მას შეუერთა, სწორედ ამ სამში, მაგრამ რა შუაშია აქ ღონ მანუელი? გოიამ იცოდა, როგორ სძაგდა მას მანუელი და სწორედ ის აახლა თან კუდიანთა თემობაზე.

„მისი მიზეზით გამაძევეს, — ცხარობდა გულში კაეტანა, — ნება მივეცი დავეხატე, როგორც არც ერთ თხუპნია მხატვარს არ ღირსებია გრანდესას დახატვა. როგორ მიბედავს ასე მომექცეს“.

გოიას სამუშაო მაგილაზე საფხეკი, წვეტიანი დანა ედო. კაეტანაჲ ზელა აიღო ის და ერთი მოქნევით ჩაქრა ტილო ირიბად ბოლომდე. გოია მივარდა. ერთი ზელი მას სტაცა, მეორე სურათს. ფინია წკაწკა-ვით ფეხებქვეშ შეუძვრა. გოიას მოლბერტი და სურათი სასაცილოდ დაყირავდა იატაკზე.

სუნთქვაშეკრული იღვა ორივე.
მაგრამ გულცივად და ქედმაღლურად,
როგორც ეს მისთვის იყო ჩვეული,
სრული სიმშვიდით წარმოთქვა ალბამ:
„უსაზღვროდ ვწუხვარ, რომ დაზიანდა
თქვენი ნახატი, კეთილ ინებეთ,
დამისახელეთ სურათის ფასი.
თქვენ...“

და უეცრად გაჩუმდა იგი.
საშინელმა და ველურმა ტალღამ, —
რომლის შიშითაც აქამდე ძრწოდა,
დასცა გოია და გადათელა.
და სნეულივით ღონემიხდილი
გაქვეებული და ბორგნული
მოცელილივით სავარძლის ზურგზე
გადაესვენა. ღუმდა გოია,
გაუიარებელი, როგორც სიკვდილის
თეთრი ნიღაბი.

მ მ

დიდხანს იჯდა ფრანსისკო დამბლადაცემულივით, გაოგნებული და გონებადაჩლუნგებული. ტვინში განუწყვეტლივ უტრიალებდა საგინე-ბელი სიტყვები: „ჩემი ბრალია, ჩემი სისულელით მომივიდა, გავგიჟ-დი, ვგიჟდები, ამ უნამუსომ სულ მომითავა ხელი, ახლა ჩემი საქმე წა-სულია“. მერე ეს სიტყვები ხმამაღლა გაიმეორა. იმედი ჰქონდა გავი-გონებო, თუმცა იცოდა რომ ვერ გაიგონებდა. მივიდა სარკესთან. ხე-დავდა, როგორ იღებოდა და იხურებოდა მისი პირი, მაგრამ არ ეს-მოდა, რას ლაპარაკობდა. წინანდელი შეტევების დროს ჯერ მაღალი

ბგერები აღარ ესმოდა, შემდეგ დაბალი. დაიწყო ლაპარაკი ძალიან ბო-
ხი ხმით, ძალიან ხმამაღლა. ვერაფერი გაიგონა. წინანდელი შეტევების
დროს ძლიერი ხმაურის ჩუმი გამოძახილი ესმოდა. აილო ლარნაკი, და-
ანარცხა ქვის იატაკზე, დაინახა, როგორ დაიმსხვრა, მაგრამ ვერაფერი
გაიგონა.

— ჩემი ბრალია, — თქვა მან, — მომატყუა, გამაცურა, გამაბრიყვა,
შვილი მომიკლა, კარიერა დამიღუბა, სმენა მომტაცა.

ყელში ბოღმა მოაწვა. მოჰყვა წყევლას. დაამსხვრია კაეტანას ამ-
რეკლავი სარკე. გოცებული დააცქერდა თავის დაქრილ, გასისხლო-
ანებულ ხელს. შემდეგ სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

— Trágalo perro, — ხეთქე ძაღლო! — უთხრა თავის თავს და
კვლავ გაშეშდა გოგნებული და გონებადაჩლუნგებული.

მოვიდა პერალი. ცდილობდა რაც შეიძლება წარკვევით ელაპა-
რაკა, რომ ფრანსისკოს მის ბაგეებზე სატყეები ამოეკოთხა. მხატვარი
ჯერ ჩიუტად უიმედობის განსახიერებასავით იჯდა. პერალმა დაუწერა:
„შე თქვენ დამამშვიდებელ წაშალს მოგცემთ, ჩაწეკით ლოგინში“.

— არ მინდა! — იყვირა გოიამ.

„გონს მოეგეთ, — დაუწერა ექიმმა, — კარგად გამოიძინებთ და ყვე-
ლაფერი გაივლის“.

ის დაბრუნდა და წამალი მოიტანა. გოიამ შუშა ხელიდან გააგდებ-
ბინა.

— მეც არ მოგაწამვლინებთ თავს, — თქვა ამჯერად ხმადაბლა, მაგ-
რამ ძალიან სასტიკად, მხოლოდ არ იცოდა, გამოთქვა ეს სიტყვები
ხმამაღლა თუ არა. პერალი მას ჩაფიქრებული და თანაგრძნობითაც კი
უხუჩრებდა, შემდეგ უსიტყვოდ გავიდა. ერთი საათის შემდეგ კვლავ შე-
მობრუნდა.

— შეიძლება ახლა მოგცეთ წამალი? — ჰკითხა მან. გოიამ ხმა არ
გასცა, მხოლოდ ქვედა ტუჩი ჩამოუშვა. ექიმმა წამალი შეანჯღრია,
გოიამ მიიღო.

როგორც იქნა ხანგრძლივ ძილს დააღწია თავი და სინამდვილეს და-
უბრუნდა. დაინახა, რომ ხელი შეხვეული ჰქონდა. დაინახა, რომ იქ
ახალი სარკე იდგა, ჯერ კიდევ კაეტანას გამოსახულებით შეუბღალა-
ვი ახალი სარკე. ოთახში გაიარ-გამოიარა. ცდილობდა გაეგო, ესმოდა
თუ არა. აილო სკამი, დაახეთქა ქვის იატაკს. დიახ, მსუბუქმა გამოძა-

ხილმა მიადწია მის ყურამდე. იმედგაწყვეტილი შიშით შეპყრობილმა ცლა გაიმეორა. დიახ, ხმაური სავესებით ცხადად არ იყო გარკვეული, მაგრამ ნამდვილად არ ეჩვენებოდა. მას ესმოდა. ეს იყო იმედი, შეეძლო იმედი ჰქონოდა. მოვიდა პერალი. არ დაუწყო მას რწმუნება, მხოლოდ აცნობა, კაცი გავგზავნე კადისში იმ ექიმის მოსაყვანად, რომელიც ამ დაავადების კარგ სპეციალისტად ითვლებოდა. გოიამ მხრები აიჩეჩა, თავისი სიყრუე გააზვიადა. მაგრამ მთელი სულითა და გულით ჩაებლაუჭა იმედს.

იმავე დილას, ცოტა მოგვიანებით, იმ დროს, როცა ჩვეულებრივ გოია კაეტანასთან მიდიოდა, ქალი თვითონ მოვიდა, გოია შეიპყრო შიშ და ნაღველნარევემა სიხარულმა. ეგონა, რომ კაეტანა თავის პრანკიასთან ერთად გაემგზავრა, როგორც ნათქვამი ჰქონდა. ისეთი ქალი როდი იყო, რომ თავის განზრახვაზე ხელი აეღო გოიას ავადმყოფობის მიზეზით. მაგრამ აი, აქ იყო, კაეტანა ელაპარაკებოდა და ცდილობდა გარკვევით გამოეთქვა სიტყვები. გოია მეტისმეტად აღელვებული იყო და მისი არაფერი გაეგებოდა, არც უნდოდა გაეგო. ღუშდა. კაეტანა დიდხანს იჯდა მასთან. ბოლოს ნაზად გადაუსვა შუბლზე ხელი. გოიამ თავი უკან გადაწია. კაეტანა ცოტა ხანს კიდევ აჯდა და მერე წავიდა.

მოვიდა კადისელი ექიმი. დაუწერა გოიას მანუგეშებელი სიტყვები და გარკვევითაც უთხრა ისინი. ჩქარა და ბევრს ლაპარაკობდა პერალთან. გოიას დაუწერა, რომ მალაღ ბგერებს დიდხანს ვერ გაიგონებდა, სამაგიეროდ, დაბალს კი. ამ დადასტურებამ კიდევ უფრო მეტი იმედი მისცა გოიას.

მერე ღამით კვლავ ეწვივნენ მოჩვენებები, რომლებიც თავის მოჩვენებებით მდიდარ ცხოვრებაში ოდესმე ეხილა. ისინი ძალღისა და კატისთავიანები იყვნენ, აშტერდებოდნენ გოიას უზარმაზარი ქოტის თვალებით, კორტინდნენ ვეება ნისკარტებით და ფარფატებდნენ ღამურას უზარმაზარი ფრთებით. ღამე იყო და ბნელოდა. გოია თვალდახუჭული იყო, მაგრამ მარცხედავდა ამ მოჩვენებათა საზიზღარ სიფათებს და სანდომიან სახეებს, რომლებიც კიდევ უფრო საშინლად გამოიყურებოდნენ. გრძნობდა, როგორ შეკრეს წრე მის ირგვლივ, აორთქლებდნენ მას თავიანთ საზიზღარ ამონასუნთქს. მთვლემარე, მკვლარ სიჩუმეში, რომელშიაც ახლა გოია იყო ჩაკეტილი, ისინი წინანდელზე ბევრად შემაზრზენი ჩანდნენ.

განთიადის მოახლოებისას, როცა პირველი სხივი შემოიჭრა, გოია თავის სიყრუის საშინელებამ მოიცვა. ასე ეგონა, თითქოს უზარმაზარ ზარის ქვეშ მოექცა და სამუდამოდ გამოემწყვდია შიგ. აუტანელი იყო, რომ თავის ჭირისა და ლხინის სხვისთვის გაზიარებას ჩვეული, ამიერიდან ადამიანებისაგან მოწყვეტილი იქნებოდა. ველარ გაიგონებს ქალებისა და თავისი შვილების ხმას, მარტინის მეგობრულ საუბარს, აგუსტინის დამცინავ შენიშვნებს, ხოსეფას მზარუნველ, თბილ საყვედურებს, ველარც მცოდნეთა და ამა ქვეყნის ძლიერთა ქებას. ველარ ეღირსება პუერტა დელ სოლის და ცირკში ხართან ბრძოლის ხმაურის გაგონებას, ველარც სეგიდილიას და ტონადილიას მუსიკას, ველარ გაებასუხება მახებისა და მახობის ხუმრობას მადრიდის სამიკიტნოებში. ადამიანები მოერიდებიან. აბა ვინ ისურვებს ისეთ კაცთან საუბარს, რომელსაც არაფერი ესმის? ცხადია, ბევრჯერ უხერხულობაში ჩავარდება და ხშირად მოუხდება შებრუნებული პასუხების გაცემა. ამიერიდან სულ მზად უნდა იყოს და ეცალოს ვაიგონოს ის, რისი ვაგონებაც აღარ შეიძლება.

იცის, რა გულცივია ქვეყანა. საკმარისად ცუდია ჯანბრთელისათვის, რომელსაც თავის დაცვის უნარი შესწევს და უღმობელია ისეთი დაგლახებულისათვის, როგორიც ახლა ფრანსისკოა. თავისი მოგონებებით უნდა იცოცხლოს და იცის, როგორ უმახინჯებენ მოგონებებს ადამიანს ავი სულელები. ყური მიუგდო თავის შინაგან ხმას, სურდა გაეგონა მეგობრებისა თუ მტრების ნაცნობი ხმები და დაექვდა, არ იცოდა, სწორედ ესმოდა თუ არა ისინი. მაშინ აყვირდა, მოჰყვა ბორგვას.

მივიდა სარკესთან. ეს იყო მშვენიერი, დიდი, შესანიშნავი, ძვირფასად მოჩუქტურთმებული, ოქროცურვილჩარჩოიანი ოვალური სარკე. მაგრამ რაც იქიდან გამოიყურებოდა, იმ ურჩხულებზე უარესი იყო, ღამით რომ აჰყეტდნენ თვალებს, ეს გოია იყო. თავზე ადგას ველურივით გაჩეჩილი თმა, ჩაცვნილ ლოყებს და ნიკაპს სასაცილოდ შემოვლებია გაბურძგნილი წვერი, დიდი, ნახშირივით შავი თვალები ღრმად ჩაცვნია ღრმულებში, ხშირი წარბები საოცრად დაკეცილა და დაკბილულად მიტყუპებია შუბლს, ცხვირიდან ეშვება და პირის კუთხეებამდე გადაჭიმულა ღრმა ნაოქები, ერთი ტუჩი მეორისაგან სასაცილოდ განსხვავდება. მთლიანად ეს იყო სასტიკი, უმწეოდ გაბოროტებული, ტყვეობას შეურიგებელი ნადირის სახე. ასეთი სახეები მან თავის „საგეიეთზე“ გამოხატა.

ჩაჯდა სავარძელში სარკისაყენ ზურგშექცევით და თვალები დახუჭა. ასე იჯდა დაუძღურებელი ერთ საათს, რომელიც მას დაუსრულებლად მოეჩვენა.

შუადღის მოახლოებისას საშინლად აღელდა. არ იცოდა, მოვიდოდა თუ არა კაეტანა. თავის თავს არწმუნებდა, რომ ის უკვე წასული იყო, მაგრამ არ უნდოდა ამის დაჯერება. დამჯდარმა ველარ გაძლო, დადიოდა წინ და უკან. დადგა ის საათიც, როცა ჩვეულებრივ ხვდებოდნენ ერთმანეთს. კაეტანა არ ჩანდა. გავიდა ზუთი წუთი, ათი. გოიას საშინელი ბოღმა მოაწვა. როცა მის ფინიას კუჭი არ უმოქმედებდა, ისე შეწუხებული იყო კაეტანა, თითქოს ქვეყანა იქცეოდა და როცა გოია იქ იჯდა იობივით დამარცხებული, ქალი პირველ შემხვედრ ფრანტს მისდევდა სადღაც. მასში იფეთქა სამაგიეროს მიზღვის უაზრო წყურვილმა. სურდა მისი დახრჩობა, გათელვა, ცემა, თმით თრევა და განადგურება.

დანიხა მომავალი კაეტანა. ერთბაშად დამშვიდდა. ყოველგვარი უბედურება გაქრა, დიახ, თავს ისე გრძნობს, თითქოს აიწია მის თავზე დამხობილი ზარი. შესაძლოა უბედურებამაც გაიარა და კიდევ ესმის. მაგრამ ვერ ბედავს მოსინჯვას, არ უნდა კაეტანას დაანახვოს თავისი სავალალო ცდის ტანჯვა-წამება, უნდა დატკბეს მისი სიახლოვით და მეტი არაფერი, აგრეთვე არც დანახვა სურს მისი, უნდა მხოლოდ იცოდეს და გრძნობდეს, რომ ის აქ არის. ჩაეშვა სავარძელში, დახუჭა თვალები, სუნთქავს გასაგონად და თანაბრად.

კაეტანა შემოვიდა. უყურებს, როგორ ზის ფრანსისკო სავარძელში, უთუოდ სძინავს, ერთადერთი მამაკაცია, რომელიც მრავალჯერ ამბოხებულა მის წინააღმდეგ, გაუჯავრებია იგი, როგორც ჯერ არავის ამ ქვეყანაზე, რომელთანაც ისეა შეთვისებული, როგორც ჯერ არავისთან ყოფილა. ყველა ქალი, ვინც კი გოიას ჰყოლია და კვლავ ეყოლება. არაფერს წარმოადგენს და მამაკაცებიც, რომლებიც კაეტანას ჰყოლია თავის სიცოცხლეში და ეყოლება, არაფერს წარმოადგენენ, და ისიც არაფერს ნიშნავს, ის დღეს სან ანდრიანთან ერთად რომ მიემგზავრება. კაეტანას მხოლოდ ეს უყვარს, მხოლოდ ეს შეიყვარა და სხვა არავინ და ეს ასეც დარჩება. მაგრამ ფრანსისკოს და თავად შასაც სულიც რომ ამოხდეს. იგი გოიას გულისთვის არაფერს შეცვლის და უარს არ იტყვის თავის გადაწყვეტილებაზე.

ახლა ზის აქ და სძინავს ქანცაგაწვეტილსა და სასოწარკვეთილს, ამ
'ალზე უიღბლო კაცს, მისგან გაუბედურებულს. რა ბედნიერი იყო
პისგან და კიდევ პრავალჭერ იქნება კაეტანა მისი ბედნიერებისა და
უბედურების მიზეზი.

და კაეტანა ფრთხილი ნაბიჯით
თავზე წაადგა თავის ფრანსისკოს,
რომ სიცოცხლეში ამ ერთხელ მინც,
რასაც განიცდის — უთხრას გოიას.
უამბოს ახლა — ყრუს და მძინარეს,
რომ ვერ გაიგოს, ვერაფერს მიხედეს,
მაგრამ გოიას ესმის ქალის ხმა
როგორ ბეშვეურად, ნაზად წკრიალებს:
„ფრანხო სულელო, სულელო ფრანხო!
რარიგ ტყუედები, რარიგ არ იცნობ
მას, ვინც გაღმერთებს და შენი იყო,
შენ ერთს გეტრფოდა მთელი არსებით,
ჩემო ბებერო, სულელო მახო,
როგორ იფიქრე და დაიჭერე,
რომ კაეტანა თვით ჯოჯოხეთშიც
არ გაგყვება და ვინმეში გაგცელის.
ო, ერთადერთო ბედალო, მაგრამ
ჩემო შმაგო და გიეო მხატვარო!
რა სულელი ხარ! ამ ქვეყანაზე
შენ ჩემთვის ერთი ხარ სალოკაი!“
მაგრამ გოიას ისე ღრმად სძინავს,
რომ არაფერი არ ესმის. მხოლოდ
ბურანში ჩაფლულს გაელვიძება,
როდესაც ქალი დატოვებს ოთახს.

39

გოიას უხაროდა, რომ თავი ეშმაკურად მოიმძინარა და იმ ღამეს
მართლაც რიგიან-პირიანად გამოიძინა.

შეორე დილას გაიღვიძა თუ არა, შეშინებულმა შეამჩნია, რომ სმენა
სავესებით დაკარგოდა და სამუდამოდ ჩაკეტილიყო სიყრუის გაუმქვირ-
ვალ ზარქვეშ. ბრაზით და ნეტარებით იგონებდა, რომ უკანასკნელი
ბგერები, რაც ამქვეყნად გაიგონა, კაეტანას სიტყვები იყო. ეს თვით
გოიამ დაიმსახურა, ეშმაკობით გამოსტყუა ისინი მას.

დადგა ის საათიც, როცა კაეტანა ჩვეულებრივ მოდიოდა. გოია ეცა ფანჯარას, დაზვერა ბალი, გააღო კარი და დაზვერა შემოსასვლელო, რადგან არ შეეძლო მისი ფეხის ხმის გაგონება. გაიარა ნახევარმა საათმა. უთუოდ ვეღარ მოვიდოდა. განა წარმოსადგენია, რომ გოიასთან ლაპარაკის შემდეგ იმ პრანჭიასთან ერთად გამგზავრებულიყო?

ექიმი პერალი ეწვია და წინადადება მისცა, ერთად ვისადილოთო. რაც შეიძლება გულგრილად ჰკითხა ფრანსისკომ:

— დონია კაეტანა ბოლოს და ბოლოს მაინც წავიდა?

— ნუთუ არ დაგმწვიდობებიან? — შემოუბრუნა კითხვა გაკვირებული პერალმა, — ის ხომ თქვენთან დასამწვიდობებლად წამოვიდა.

ნასადილევს დიდხანს ისაუბრეს. გოიას მოთმინება არ ყოფნიდა, სანამ პერალი ცდილობდა გარკვეული არტიკულაციით გაეგებინებინა, ან სანამ დაწერდა სათქმელს. მას თავის სატკივრის რცხვენოდა. ცდილობდა მის მიერ კარგად შესწავლილ პერალის სახეზე ღვარძლიანი სიხარულის კვალი აღმოეჩინა. ვერ პოულობდა, მაგრამ მაინც არ ენდობოდა. ამიერიდან აღარავის ენდობა, ჩათვლიან პირქუშ მოხუცად, კაცთმოძულედ, ის კი სულაც არ არის ასეთი. უყვარს კარგი, მხიარული წრე, სურს შეეძლოს თავისი სიხარულისა და მწუხარების გაზიარება, მაგრამ ყურები დაზშული აქვს და ალბათ კიდევაც დამუხჯდება. პერალმა შიგნითა ყური დაუხატა და ცდილობდა აეხსნა, მისი ავადმყოფობის არსი, დიდი იმედი არ არისო და მუნჯური ლაპარაკის სწავლას უნდა შეუდგეო. ერთმა ფრანგმა დოქტორმა ლ-ეპემ კარგ მეთოდს მიაკვლია. კადისში რამდენიმე კაცი დაუფლებია ამ ენას და კარგი იქნებოდა, გოია დროზე შესდგომოდა ვარჯიშს.

— დიახ, — მკაცრად მიუგო გოიამ, — თქვენის აზრით მე დასაწყლებულებთან უნდა მექნეს ურთიერთობა— ყრუ-მუნჯებთან, მხოლოდ და მხოლოდ მათთან. ნორმალური ადამიანების საზოგადოებაში გამოსაჩენი აღარა ვარ.

ექიმის უსუსური ნუგეზი და დამხმარე საშუალებები ნათლად უჩვენებდა გოიას, რა სატანჯველს უმზადებდა მომავალში ქვეყნის შემაზრზენი დუმილი. განა კვლავ ეღირსება რომელიმე ქალთან ურთიერთობას? აქამდე თვით იყო წამყვანი მხარე; ამიერიდან კი განა არ შეაწუხებს იმის გრძნობა, რომ ქალი მას, ხეიბარს, მხოლოდ სამოწყალოდ თუ მიეკარება? ოჰ, რა სასტიკად დასაჯეს ავმა სულებმა, ვინა-

იდან ბინძურ ვნებას შესწირა შვილი და კინალამ ხელოვნებაც კი.

— მითხარით, მაინც რა არის ჩემი ავადმყოფობის მიზეზი? — უეცრად მიმართა პერალს.

ექიმი ამ შეკითხვას მოელოდა. ამისა ეშინოდა და თანაც გულით სწყუროდა. გოიას ავადმყოფობის მთელი დაწვრილებითი სურათი აღრევე ნათლად წარმოიდგინა. უკანასკნელი საშინელი შეტევის შემდეგ ფიქრობდა და ვერ გადაწყვიტა, ეთქვა თუ არა მისთვის სინამდვილე. ჯერ კიდევ ყოყმანობდა. პერალი აღტაცებული იყო გოიას მხატვრობით, უყვარდა მისი კისკასი ბუნება, მაგრამ შურდა კიდევ მისი უნარი ყოველი ადამიანის მოხიბვლისა და მიზიდვისა, მისი ბედნიერების რწმენა, მისი თვითმყობადი თავდაჯერებულობა, სიმკაცრე, და როცა ასეთ კაცს მარცხი მოუვიდა, სიამოვნებას გრძნობდა. თავის თავს ეკითხებოდა: სინამდვილე რომ შეუბრალებლად მივახალო, ამას ჩემი ადამიანობის, ექიმის, მეგობრის გრძნობით ჩავიღენ თუ მხოლოდ ბედისაგან განებიერებულზე ჯავრის ამოყრის მიზნითო. მაგრამ ახლა, როცა ფრანსისკო პირდაპირ შეეკითხა, უკუაგლო ეს ფიქრები და გადაწყვიტა საკითხის მტკივნეულად გადაჭრა, იგი სიფრთხილით არჩევდა სიტყვებს და ცდილობდა გამოკვეთილად გამოეთქვა:

— თქვენი ავადმყოფობის წარმომშობი საწყისი ტვინშია. — თქვა მან, — თქვენი სმენის თანდათან დაქვეითება ხდებოდა ტვინში. ეს სენი გამოწვეული უნდა იყოს ვენერიული დაავადებით, რომელიც თქვენ, ან რომელიმე თქვენს წინაპარს სჭირდა. იედს უნდა უმადლოდეთ, დონ ფრანსისკო, რომ ასე იოლად გადაარჩით, სხვა შემთხვევაში, და უფრო ხშირად, სწორედ ისე ხდება, რომ შედეგები გაცილებით უფრო მძიმეა.

გოია შეჰყურებდა ექიმს სახეში, შეჰყურებდა მის გამომსახველ ტუჩებს, რომლებიც მომაკვდინებელ სიტყვებს გამოთქვამდნენ. მის სულში ქარიშხალი მძვინვარებდა, იგი ფიქრობდა: „მას სურს მომწამლოს, ამ შხამების ოსტატს, ისევე საიდუმლოდ და ფარულად, როგორც ჰერცოგი მოწამლა“. ისევ ფიქრობდა: „ექიმი მართალია, მე კვივლები, მე უკვე გიჟი ვარ. იგი მხოლოდ გამოთქვამს თავისი განსწავლული ენით, რომ ჩემს ტვინს ღრღნის ცოდვა, ავი თვალი, ჯადოქრობა“. ამას ამბობდა თავის გულში. პირიდან კი შემდეგი სიტყვები ამოუშვა:

— გავგუდი! მე გავგუდი, მითხარით! მითხარით, გიჟი ვარ?

პერალმა ძალზე წყნარად და მკაფიოდ მიუგო:

— ბედი გეწიათ, რომ არ გავიყდი და მხოლოდ ყურს დაგაკლდათ. ეცადეთ გაიგოთ ეს, ღონ ფრანსისკო.

— რად იტყუებით? შეჰყვირა გოიამ, — თუ ჯერ არა ვარ შემლილი, შევიშლები. თქვენ ეს იცით. რა თქვით? ყურს დაგაკლდაო? — ჰკითხა მან, — ხომ ხედავთ როგორ ცრუობთ, — განაგრძო იმით გახარებულმა, რომ ამხილა ექიმი, — მშვენივრად იცით, რომ ყურს კი არ მაკლია, არამედ ყრუ ვარ, სავსებით და სამუდამოდ დაყრუებულნი. ყრუ ვარ და შემლილი.

პერალმა მოთმინებით მიუგო:

— ყურს რაკი დაგაკლდათ, ეს იმის იმედს იძლევა, რომ ძველი ავად-
მყოფობა ამით შეწყვეტს ბობოქრობას და დაცხრება.

— რისთვის მაწამებთ ასე? რატომ გარკვევით არ მეტყვით, რომ შემლილი ხარო? — ჩიოდა გოია.

— იმიტომ, რომ ტყუილის თქმა არა მსურს, — მიუგო პერალმა.

ამის შემდეგ ორ მამაკაცს შორის ხშირად იმართებოდა გულწრფელი და მნიშვნელოვანი საუბარი. ღონ ხოაკინი ხან დასცინოდა ავად-
მყოფს და ხანაც ანუგეშებდა; გოიას ეტყობა ეს მოსწონდა. ისიც ხან მადლობას უხდოდა ექიმს მზრუნველობისათვის, ხანაც ცდილობდა მის-
თვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

პერალი უწერდა:

— გაჭირვებაშიაც კი სხვებზე ბედნიერი ხართ. სხვები იძულებულ-
ნი არიან საშიში გრძნობები გულში ჩაიშარხონ, ვიდრე ისინი მართლაც
არ გაარღვევენ გონების კედელს. თქვენ კი, ღონ ფრანსისკო, შეგიძლი-
ათ მათი დახატვა. წუხილის ტილოზე გადატანივთ შეგიძლიათ გაიწმინ-
დეთ სხეული და სული.

— ისურვებდით ჩემ ადგილზე ყოფნას? — ჰკითხა გოიამ დამცი-
ნავი ღამილით, — ისურვებდით „ყურს გაკლდეთ“ და იმის ნიჭი გქონ-
დეთ, რომ სულის წუხილი ტილოზე გადაიტანოთ?

ამგვარად ხუმრობდნენ. მაგრამ ერთხელ, თავის სატყვივართ სასო-
წარკვეთილმა და ერთიანად აკანკალებულმა გოიამ მძიმე თავი მტრის
შკერდს მიაყრდნო. ესაჭიროებოდა ჩაბლაუჭებოდა ისეთ კაცს, რო-

შელსაც მისი ესმოდა და, რადგან კაეტანაზე არასდროს სიტყვა არ უთქვამს, გოიამ იცოდა. რომ მტერს მისი ესმოდა.

ხანდახან, როცა მარტო დარჩებოდა, რეტს ასწამდა თავისი მოძაველი ცხოვრების წარმოდგენა. ამიერიდან სხვასთან ყოფნისას უთუოდ ხან იყვირებს, ხანაც იჩურჩულებს. ვერასოდეს ვერ გამოზომავს ხმის სიძლიერეს, ხშირად ხმამალა იტყვის, რის გაფიქრებასაც მოისურვებს და არ ეცოდინება, ხმამალა გამოთქვა იგი თუ არა. განცვიფრებით მიაშტერდებიან და მუდამ გაურკვევლობაში და ექვეში უნდა იყოს. მისთვის, ამაყი კაცისათვის, აუტანელი იქნება აღამიანებში სიბრალულისა და ხშირად დაცინვის საგნად გახდომა. პერალი უთუოდ მართალი იყო, ქკუიდან შეშლა არ ასცდებოდა.

სურდა სიამოვნებით ელიარებინა, რომ სიყრუე მისთვის დაქსახურებული სასჯელია. მაგრამ აღსარება რომ თქვას, მღვდლის პასუხს ვერ გაიგონებს და პერალს რომ უთხრას, იგი ამას მხოლოდ სიგიჟის ახალ დადასტურებად მიიღებს.

პერალი ძალზე ქკვიანი ექიმი. უთუოდ დიდი ხანია იცის გოიას ავანჩავანი, უთუოდ წლების მანძილზე იცის მისი სიგიჟის ამბავი. გოია მართლაც გიჟია უხსოვარი დროიდან, რამდენი სიგიჟისა და გააფთრების შეტევა მოსვლია წლების მანძილზე! რა დიდი რაოდენობით უნაქავს სულ ცხადად ავი სულელები და მოჩვენებები, მხოლოდ მას და სხვას არავის! და ეს კიდევ მაშინ, როცა ქვეყანა მისთვის ხშიანი იყო; როგორღა იქნება ახლა, როცა მის ირგვლივ ასეთი უტანელი დემილაა გაძეფებული?

ამიერიდან გაარჩევს იგი
სხვათა სიმართლეს თავის რწმენისგან?

ან რას მიიჩნევს ამიერიდან

ის კაეტანას ქვემარტ სახედ?

ამაყ, ქედმაღალ პერცოგის ასულს,

თუ ავბორცობით გათანგულ მახას?

თუ იმ ჯადოქარს, მის სურათებში

ლაღად რომ დაჰქრის?

აჰა, შეხედეთ:

გამოჩნდა ისევ დემონთა დასი

გარეთ მზე ბრწყინავს... ბავშვობიდანვე

მან კარგად იცის, რომ დღის სულელები

ღამის სულელებზე საშინელია.

ძილშიაც ტანჯავს ავი ზმანება,

სურს დამალოს ველურ სიცხადეს,
ჩაგრამ ამოდ — დემონთა ღვენას,
დემონთა ხილვას ვერ გადაურჩა.
და თუ სულელები დაჰქრიან, ხოლო
მისი სხეული მათი ბუდეა,
მაშინ თვითონაც არის დემონი,
ნაშინ თვითონაც მათი მსგავსია.

40

პერალმა აუწყა კაეტანა ამ ათიოდე დღეში დაბრუნდებაო.

გოიამ ქვედა ტუჩი წამოიშვირა, გაბრაზდა.

— მე სამ დღეში მივემგზავრები აქედან, — თქვა მან.

— დონია კაეტანას ეს უთუოდ ეწყინება, — მიუგო პერალმა,
— იმედი აქვს, რომ აქ დახვდებით. მინდა გადაგათქმევინოთ ახლა
ასეთი შორეული და მომქანცველი მოგზაურობა. როგორმე უნდა შე-
ეჩვიოთ თქვენს ახალ მდგომარეობას.

— მე სამ დღეში მივემგზავრები, — გაიმეორა გოიამ.

ცოტა ხნის შემდეგ პერალმა შესთავაზა:

— შეიძლება თან გეახლოთ?

— ძლიერ გულკეთილი ბრძანდებით, დონ ხოაკინ, — უთხრა მოღუ-
შულმა გოიამ, — მაგრამ ჩემთვის მწარე იქნება, თუ მომავალში მე-
ურვეებისა და გამცილებლების გარეშე ველარ შევძლებ მოგზაურო-
ბას.

— მაშ, თქვენთვის დიდ ეტლს შევუქვეთავ გასამგზავრებლად.

— გამდლობთ ექიმო, — უპასუხა გოიამ, — მე დიდი ეტლით არ წა-
ვალ, არც სასწრაფოთი და არც ჩვეულებრივი საფოსტოთი. დავიჭირა-
ვებ მეჯორეს, გამოვიძახებ მეჯორე ხილს „Cuatro Naciones“ დუქნიდან.
ის კარგი კაცია. ცოტაოდენი ფული რომ ვაჩუქო ფეხის ქირად, განსა-
კუთრებულად მომივლის, ასე დაუძლურებულს რომ მნახავს.

რაკი პერალმა თავისი განცვიფრება ვერ დამალა, გალიზიანებულმა
გოიამ უთხრა:

— ნუ მიყურებთ ასე განცვიფრებული, დონ ხოაკინ. შეშლილი
არა ვარ. ჩემი საქმისა მე ვიცი.

გოიას აღარ შეეძლო იმ ქალის დანახვა, რომელმაც გაჭირებაში
შიატოვა. დაბეჯითებით იცოდა, რომ სანლუკარს დროზე უნდა გას-
ელოდა. მისთვის ცხადი იყო ისიც, რომ დიდი ზარ-ზეიმით არ უნდა

ემოგზაურა მეფის პირველი მხატვარის შესაფერისად. ექიმი მართალი იყო — ახალ მდგომარეობას უნდა შეგუებოდა, საფუძვლიანად შეესწავლა იგი. თავის სატყეიართან დაკავშირებული ყოველგვარი დამცირება ბოლომდე უნდა აეტანა. მხოლოდ თავისი ახალი მდგომარეობის სრული შესწავლის შემდეგ შეეძლება დაენახვოს თავის ახლობლებს, მეფის კარს, და თავის თანამოყალმეებს. ამიტომ უნდა იმოგზაუროს უბრალო კაცივით თავის ესპანეთში, მიეჩვიოს საკუთარი სატყეირის გამომყვანებას და მის გამო მობოდიშებას. დღეში ათასჯერ იტყვის: „მაპატიეთ, თქვენო მოწყალეზავ, კარგად არ მესმის, თითქმის სულ დავყრუვდი“.

არამც და არამც არ წავა მადრიდისაკენ პირდაპირი გზით. სამაგიეროდ, უფრო შორს წავა ჩრდილოეთით, გვერდს აუვლის მადრიდს, წავა არაგონისაკენ, მიაშურებნს სარაგოსას, რათა გულითად მეგობარ მარტინს თავისი ჭირ-ვარამი გაანდოს. მხოლოდ ამის შემდეგ, საპატეარისაგან დარიგებული და ნანუგეშები, მოინახულებს ხოსეფას, ბავშვებს და მეგობრებს.

მეჯორე ხილი, რომელთანაც ფრანსისკოს სანლუკარის ფუნდუქში არაერთხელ ჰქონია მამაკაცური საუბარი, ნამდვილი ძველი ესპანური ყაიდის ართერო იყო. ისეთი გამაყრუებელი ხმით ვაჰყვიროდა, რომ მისი „arre, arre“ შორეულ მთებს გადაღმა გაისმოდა. გაიგო თუ არა, დონ ფრანსისკოს ჩემი სამსახური ესაჭიროებო, თავის ხელობის შესაფერ ჭრელ, ლამაზ ტანსაცმელში გამოწყობილი გამოცხადდა კასა დე აროში. თავზე შემოხვეული ჰქონდა აპრეშუმის ჭრელი ბაღდადი, რომელზედაც ალგამბრა იყო დახატული. ბაღდადის ყურები ნაწნავებით ჰქონდა უკან გადაყრილი: ზემოდან ეხურა ფართოფარფლებიანი წოწოლა ქუდი. მისი შავი ცხვრის ტყავის ქურთუკი მდიდრულად იყო მოქარგული და მოჭედილი დიდი ზომის აქურული ვერცხლის ღილებით. წელზე ერთყა აპრეშუმის განიერი შარფი — ფახა — და მასში გარკობილი ჰქონდა დანა: ლურჯი ხავერდის შარვალი მორთული ჰქონდა ჭრელი ლამპასებითა და ვერცხლის ღილებით: ფეხთ ეცვა მაღალყელიანი, ყვითელი თალათინის ფეხსაცმელები. ასე ლამაზად მორთული წარსდგა ფრანსისკოს წინაშე. როცა ფრანსისკომ აუხსნა, რომ მასთან ერთად სურდა მადრიდის გვერდის ავლით, სარაგოსაში მისვლა, ხილმა ეს დიდი კაცი ახირებულად ჩათვალა. ერთი დაუსტვინა და გამოშეტყველი ყესტით თქვა:

— ოპო, ეს კარგა შორეული მოგზაურობაა.

ხილმა იცოდა, რომ გოია ამ ქვეყნის წესებს იცნობდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გაუგონარი ფასი მოითხოვა — რვაასი რეალი. ეს ხუთჯერ მეტი იყო იმ ჯამაგირზე, რასაც ის წელიწადში მწყემსობაში ღებულობდა.

გოია კარგად დააკვირდა მეჯორე ხილს, რომელთანაც ახლა ოთხ კვირას აპირებდა ცხოვრებას. ის უკვე მეფის პირველი მხატვარი კი აღარ იყო, არამედ მდაბიო და აი, პირისპირ იღვწენ. ერთი გლენის შვილი მეორის პირდაპირ, ერთი ცხოვრებაში ბევრის მნახველი მეორის პირდაპირ. რადგან გოია დიდხანს ხმას არ იღებდა და მხოლოდ უყურებდა, ბოლოს ხილმა თქვა:

— ასეთი წყვეული შორეული მოგზაურობისათვის ორი ჯორი დაგვიპირდება. თქვენ, რა თქმა უნდა, ველეროზო უნდა მოგვევართო, ესპანეთის ჯორთა შორის საუკეთესო, იმ ცნობილი ვირის, კონსტანტეს, ჩამომავალი, რომელმაც ერეტიკოსი ტომას ტრებინო ჩამოაგდო, მაშინ როცა კოცონზე დასაწვავად მიჰყავდა. ამგვარი ღვთისმომშიში ვირი გახლდათ იგი.

ახლა გოიამ გახსნა პირი და მშვიდად უთხრა:

— უთუოდ ვერ გაგიგე. ყურს მაკლია, ეს შენც გემახსოვრება, ფუნდუქშიაც შემამჩნევდი, ახლა კი სულ დავყრუვდი. შენ მართლა რვაასი რეალი მომთხოვე?

ხილმა კიდევ უფრო გარკვეული ექსტიკულაციით მიუგო:

— ყოველივე კარგს გისურვებთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ, მაგრამ თქვენ რომ ყურს გაკლიათ, ეს ჩემი და ჩემი ცხოველის მოგზაურობას არ ამსუბუქებს. რვაასი რეალი.

მაშინ გოია საშინელ გინებას მოჰყვა. მეჯორეს ისეთი „კარახო“, ისეთი სრულყოფილი ლანძღვა-გინება და წყევლა-კრულვა დააყარა თავს, რომ მისთვისაც კი ახალი იყო, თანაც საშინელი ხმით ღრიალებდა. მეჯორეც აგინებდა. გოიას მისი არ ესმოდა, მაგრამ ხვდებოდა, როგორ იქაჭებოდა იგი; გოია შუა გინებაში ერთბაშად შეჩერდა და ხმა-მაღლა გადაიხარხარა.

— თავს ნუ იწუხებ, — უთხრა მან, — სულერთია, მოგებული მე ვარ: შენ ჩემი გესმის და მე შენი კი — არა.

ხილმა ივრძნო თავისი შეცდომა და ისიც, რომ ამ ბატონს ვერ გა-
აუტრებდა.

— დიდი კაცი ბრძანდებით, ღონ ფრანსისკო. თქვენ ჩვენიანი ხართ.
მაშასადამე, შევთანხმდით — შევიდას ოთხმოცი რეალი მომეცით.

შეთანხმდნენ ექვსას სამოცზე. ამასთანავე, ზუსტად დათქვეს მარშ-
რუტი, ღამის გასათევი, ქასმელ-საჰმლის და პირუტყვის საკვები თა-
ნხა. ხილი უფრო და უფრო მეტად იმსჭვალებოდა თავისი მგზავრის
პატივისცემით. — *Por vida del demonio* — ეშმაკს გეფიცებით, —
უთხრა მან. — თქვენს ბრწყინვალეობას უფრო მეტი ესპის, ვიდრე რომე-
ლიმე ჩვენგანს. შეთანხმდნენ და ხელი ხელს დაჰკრეს.

გოია ცდილობდა რაც შეიძლება სადად გამოწყობილიყო სამგზავ-
როდ. შეიძინა შავი კრაველის ქურთუკი, ერთი უბრალო, განიერი შა-
რჯი, შავი ხავერდის ფარფლებიანი წოწოლა ქუდი, არ დავიწყებია
ბოტა — ტიკტორაც კი. უნაგირის ჩანთაში — ალფონსაში მხოლოდ
ყველაზე აუცილებელი ნივთები ჩატენა.

გაუდგნენ გზას. გოია თავს არ უვლიდა, პირს არ იპარსავდა, და
მალე ხშირი წვერ-უღვაშით შეიმოსა; ახლა არავინ ჩათვლიდა დიდ
ბატონად.

გზა გრძელი იყო და ისინი დღეში მცირე მანძილს გადიოდნენ.
პირველად კორდოვის გზას დაადგნენ. ამავე გზით ჩამოვიდა მაშინ ის
კაეტანასთან ექვსცხენიანი ექსტრაფოსტით, მოუთმენლობით ცეცხლ-
მოკიდებული და იღბლიანი. ამის საფასური იყო, ახლა რომ იმავე
გზით უკან მიდოდა დასაწყლებული, ხანში შესული გლეხი. მისთ-
ვის დამუწკბებულ ქვეყანაში ხშირად ხვდებოდა გულცივობას და და-
ცინვასაც კი.

ლა კარლოტას ფუნდუკში გაიგეს, რომ სამ დღეში კორდოვაში
სიკვდილით დასჯიდნენ ცნობილ ყაჩაღს, ელ პუნიალად ანუ ხანჯლად
წოდებულ ხოსე დე როკსას. ავაზაკის და ისიც ელ პუნიალისთანა
კაცის სიკვდილით დასჯა მშვენიერ კორიდაზე უფრო მიმზიდველი იყო.
თუ ღვთის განგებით კაცი ამ დროს ახლომანლო მოხვდებოდა, სიგიჟე
და ბოროტმოქმედებაც კი იქნებოდა გვერდი აველო ასეთი სანახაობი-
სათვის. მეჯორე მაშინვე ჩააცივდა ფრანსისკოს, რადგან არსად მიგვე-
ჩქარება, შევიცადოთ კორდოვაში ერთი დღე ამ დიდ სანახაობაზე
დასასწრებადო. ფრანსისკოს თავიდანვე იზიდავდა გაჭირვებაში მყო-
ფი ადამიანების დაკვირვება. და რადგან ახლა თავადაც გაჭირვებაში

იყო, სხვისი ტანჯვაც ორმაგად იზიდავდა. მან გადაწყვიტა დასჯას დასწრებოდა.

მეჯორე ხილი, როგორც მის პროფესიას შეეფერებოდა, ახალი აპკებისა და ყოველგვარი ანეკდოტების დიდი მოყვარული იყო. მგზავრობის დროს გოია ურიცხვი ამბით შეიქცია. ამბებს ბერავდა, ახალ ელფერს აძლევდა და ისე ყვებოდა. „En luengas vias luengas mentiras— გოძელ გზას გრძელი ტყუილი მოსდევსო“. ავაზაკ ელ პუნიალზე მასაც ბევრი გაეგონა და ახლა კი, როცა მთელი ეს მხარე ამ ყაჩაღის ამბებს ყვებოდა, თავის მხრივ ამანაც დაუერთო ზოგი რამ ახალი. ელ პუნიალი ყოფილა განსაკუთრებული ღვთისმოსავი და ღვთისმომიშივი ყაჩაღი, თურმე მუდამ თან ატარებდა ორ ავეგაროზს: კრილოსანს და კორდოვის მკმუნვარე ღვთისმშობლის წმინდა ხატს და აუცილებლად სწირავდა თავისი შემოსავლის მეთედ ნაწილს საეკლესიო შესაწირავების ყულაბას, რომელიც „cristo del Buen Ladrón“ „კეთილი ავაზაკების ქრისტეს“ წინ იდგა, რათა ბანდიტებს მით თავიანთი ცოდვების გამოსყიდვა ნაწილობრივ მაინც შესძლებოდათ. ღვთისმშობელს თავისი მფარველი კალთა გადაეფარებინა ელ პუნიალისათვის და ჯარისკაცები ვერასდროს ვერ ჩაიგდებდნენ ხელში, რომ პოლიციის მიერ მოსყიდულ მისი ბანდის ერთ გაიძვერას მძინარე პუნიალისათვის მკერდიდან არ მოეხსნა კორდოვის მკმუნვარე ღვთისმშობლის ხატი. მოსახლეობამ შვებით ამოისუნთქა, რადგან ყაჩაღის აღარ ეშინოდათ, მიუხედავად ამისა, მაინც ჰქონდათ მისი სიმპათია და არ მოსწონდათ ხელისუფალთა ღონისძიება. საქმე შემდგენიარად იყო: თუ პუნიალი თავის ბანდას ჯარისკაცებს მისცემდა ხელში, მას და მისიანებს შეწყნარებას ჰპირდებოდნენ. პუნიალმა მოახერხა თავისი ბანდის დაყოლიება, დანებდებოდნენ ხელასუფლებას.

მაგრამ ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ყაჩაღებმა პუნიალის სირცხვას კი არ დაუჭერეს, არამედ თვითონ წამოჰყვნენ გაგზავნილ ჯარისკაცებსო და მიუსაჯეს მას კაროტე — ჩამოხრჩობა.

ჩავიდნენ თუ არა კორდოვას გოია და ხილი, მაშინვე ციხეს მიაშურეს ყაჩაღის სანახავად. დაწესებული იყო, რომ დასჯის წინა დღით ყოველ მსურველს შეეძლო ბოროტმოქმედისათვის თავისი ზიზლი თუ თანაგრძნობა გამოეთქვა. ციხის შესასვლელში ფრანცისკანელი ბერები ბოროტმოქმედის სულის შესანდობრად თანხას აგროვებდნენ. წინ ეწყოთ ეკლესიის ყულაბები და ჯამები, ეწეოდნენ სიგარას და დრო-

დადრო წასახალისებლად გაპყვიროდნენ ცნობებს შეკრებილი შემოწორულების რაოდენობის თაობაზე.

სიკვდილმისჯილის საკანი თითქმის სულ ჩაბნელებული იყო, მაგიდაზე ორ დიდ სანთელს შუა იდგა ჭვარცმა და ღვთისმშობლის ხატი. პუნიალი კუთხეში, ტახტზე, იწვა. ზოლებიან საბანში პირამდე ჩამძვრალიყო, უჩანდა მხოლოდ თავის ზედა ნაწილი, გაბურძენილი კულულები და შავი გამჭოლი თვალები, რომლებიც მოუსვენრად ტრიალებდნენ თავიანთ ღრმულებში.

ყარაულებმა ფრანსისკოს და მეჯორეს წინადადება მისცეს გაწეულიყვნენ, სხვასაც ხომ უნდა დანახვა? მაგრამ ფრანსისკო პუნიალის ადგომას ელოდებოდა. ყარაულებს საკმაოდ აჩუქა ფული და ისინიც ჩამოეხსნენ.

ცოტა ხნის შემდეგ პუნიალი მართლაც წამოდგა. თითქმის დედობილა იყო, კისერზე ეკიდა კრიალოსანიც და მკმუნვარე ღვთისმშობლის ავეაროზიც, ყარაულები ამბობდნენ, ერთმა ბიჭმა მოუტანაო, იმ ბიჭისთვის თურმე უცნობ მამაკაცს მიუცია, ის უცნობი მამაკაცი დააკავეს, მაგრამ მას თურმე სხვა უცნობისაგან მიეღო იგი. უთუოლ მას, ვინც პუნიალს „მკმუნვარე ღვთისმშობელი“ მოპარა, არ უნდოდა იგი ავეაროზის გარეშე წასულიყო საიქიოს. და აი ახლა, ამდენი ქება-ღიღებისა და შერცხვენის შემდეგ, იჯდა ტახტზე ბანდიტი თითქმის ისევე, როგორც ამქვეყნად იშვა. შიშველ სხეულზე ჰქონდა მხოლოდ კრიალოსანი, რომელიც დაბადებისთანავე ჩამოჰკიდეს, „მკმუნვარე ღვთისმშობლის“ ხატი, რომელიც შეიძინა, დაკარგა, და სიკვდილის წინ კვლავ იპოვა, ჯაჭვები და ბორკილები, რომლითაც აღამიანებმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში დააჯილდოვეს. მნახველები აგინებდნენ და თანაუგრძობდნენ მას. პუნიალი დუმდა. ხანდახან აწევდა თავს მალა და იტყოდა:

— ჩემს სიკვდილში ჩემს ცოდვებს მიუძღვით ბრალი და არა ადამიანებს.

ეს რამდენჯერმე მექანიკურად გაიმეორა, უთუოდ ბერებს ესწავლებინათ ასე. მაგრამ გოია ხედავდა მის გამხეცებულ, იმედგაწყვეტილ და სასოწარკვეთილ გამომეტყველებას. ის სულ იმ კაცივით გამოიყურებოდა, გოიას სარკიდან რომ პირისპირ შესცქეროდა.

მეორე დღეს, სისხამ დღით, დანიშნულ დრომდე ორი საათით ადრე, ფრანსისკო და მეჯორე უკვე კორედერაზე იყვნენ, კორდოვას

დიდ. სწორკუთხოვან მოედანზე, სადაც სიკვდილით დასჯა უნდა მომხდარიყო. იქაურობა ხალხით იყო გაჭვდილი. ფანჯრები, აივნები, ბანები სავსე იყო მათურებლებით. უშუალოდ ეშაფოტის ირგვლივ სივრცე ხელჩაკიდებული ჯარისკაცებით იყო შემორკალული, იქ უშვებდნენ მხოლოდ რჩეულებს, თანამდებობის პირებს, მაღალი წრის ქალბატონებს და ბატონებს.

— თქვენო აღმატებულებავ, არ გნებავთ თქვენი ვინაობა გამოამჟღავნოთ? — ეძალებოდა მეჯორე.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხში ფეხზე დგომა ამ ჰყლეტასა და სივიწროვეში მომქანცველი იყო, და აგრეთვე დასჯის სცენაც ისე კარგად არ ჩანდა, გოიამ ამჯობინა ხალხთან ერთად განეცადა, რაც მათ წინ უნდა მომხდარიყო. მან ავადმყოფობის შეტევის შემდეგ პირველად დაივიწყა თავისი უბედურება და სხვებივით დაძაბულად ელოდებოდა მოსახდენ ამბავს.

ტკბილეულითა და სოსისებით მოვაჭრენი შუაგულ ხალხში მიძვრებოდნენ, იყიდებოდა რომანსები პუნიალის მოღვაწეობაზე, ვილაცა პატარა სკამებს აქირავებდა, რათა ზედ შედგომა და უკეთ დანახვა შესძლებოდა ხალხს. აქ იყვნენ ოქუთაბავშვებიანი ქალებიც. რომლებიც ჩიოდნენ, ხალხი გვაწუხებს და ვიჭყლიტებითო, მაგრამ მათთვის არავის სცხელოდა. ხალხის მოუთმენლობა მატულობდა; კიდევ ერთი საათის ცდა იყო საჭირო, კიდევ ნახევარი საათის, რა ნელა გადიოდა დრო!

— იმისთვის უფრო ჩქარა გადის, — ხითხითებდა ვილაცა.

გოიას არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ ხვდებოდა ყველაფერს, დაენდო ხალხს და მასთან ერთად გრძნობდა ყველაფერს. ისიც სხვებივით წარბშეკრული, სისხლმოწყურებული, თანაგრძნობითა და კმაყოფილებით ელოდებოდა მოსახდენ ამბავს.

ბოლოს ტაძრის სამრეკლოზე თორმეტმა ჩამოჰკრა, ხალხი უფრო მეტად შემოჭიდროვდა და კისრები წაიგრძელეს. მაგრამ პუნიალი არ ჩანდა. ესპანეთი ღვთისმოშიში ქვეყანაა და ტრიბუნალის საათი ათი წუთით უკან დაეყენებინათ, ათი წუთი უბოძეს ბოროტმოქმედს, შესაძლოა შეწყნარებისათვის, უფრო კი მოსანანიებლად.

მაგრამ ახლა ამ ათმა წუთმაც გაიარა და ისიც გამოჩნდა, ბოროტმოქმედის ყვითელ პერანგში გამოწყობილი, ფრანცისკანელი ბერებით გარშემორტყმული, რომელთაც ის მოჰყავდათ, მოდიოდა თავისი უკა-

ნასკნელი, მოკლე, დაუსრულებელი გზით. ერთ ბერს მის წინ მოჰქონდა ჯვარცმა. პუნიალი ხშირად ჩერდებოდა მის სამთხვევად და სი-
ცოცხლის გასახანგრძლივებლად. ყველას ესმოდა მისი ზოზინის მი-
ზეზი, მიუტევებდნენ და თანაც ერთი სული ჰქონდათ, სანამ ადგილზე
მიადწევდა.

ბოლოს ეშაფოტის საფეხურებსაც მიადწია. მუხლი მოიყარა, ბე-
რები მჭიდროდ შემოერთუნენ გარს, რათა ხალხს არ დაენახა მისი
საბოლოო აღსარება. ბოლოს იგი შესახედავად გულკეთილი, ერთად-
ერთი ჩასუქებული ბერის თანხლებით ავიდა საფეხურებზე.

სუნთქვაშემკრულმა პუნიალმა ზევიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებით
მიმართა ხალხს. გოიამ ვერ გაიგო, რას ლაპარაკობდა, მაგრამ ხედავ-
და მის სახეს და, ხელოვნური უდარდებლობის მიღმა, მის უსაზღვრო
შიშს. დაძაბული ელოდა გოია, რომ ბოროტმოქმედს წარმოეთქვა ჯა-
ლათისადმი წესად მიღებული მოტივების სიტყვები. ესპანეთში საშ-
ინლად სძულდათ ჯალათები, და ეს რელიგიის მიერ დაწესებული სა-
ჯარო მიტევება უკანასკნელ წუთებში პუნიალს კიდევ უფრო მწარედ
უნდა სჩვენებოდა. თვალმოკუტული უყურებდა გოია მის ტუჩებს და
მოახერხა სიტყვების გაგება. პუნიალმა თქვა:

— მე მკლავს ჩემი ბოროტმოქმედება და არა ეს პირუტყვი.

„ეს პირუტყვი“ თქვა მან, „ese hombre“; ეს იყო განსაკუთრებუ-
ლი გამანადგურებელი გამოთქმა და გოიამ სიამოვნება იგრძნო, რომ
ჟაჩაღმა რელიგიური ვალი მოიხადა და ამასთანავე ჯალათსაც დამსა-
ხურებელი ზიზღი გამოუცხადა. ახლა ბანდიტმა უკანასკნელი სიტყვე-
ბი წარმოთქვა:

Viva la fe — დაიყვირა მან, — Viva el Rey, viva el nombre, de
Iesús! — იდიდოს სარწმუნოება, იდიდოს მეფე, იდიდოს ქრისტეს სა-
ხელი!

ხალხი გულგრილად უსმენდა და არ ჰყვებოდა მის შეძახილებს.
ხოლო, როცა პუნიალმა დაიყვირა:

— Viva la Virgen Santisima! — დიდ არს უბიწო ღვთისმშობელიო
ერთხმად იგრილა ხალხმა „Viva la Santisima!“-ო და ფრანსისკომაც
ხმა შეუერთა. ამასობაში ჯალათი მზადებას ამთავრებდა. ის ახალგაზ-
რდა კაცი იყო. დღეს პირველად ასრულებდა სამსახურებრივ მოვა-
ლეობას. ყველას აანტერესებდა, როგორ გეარტმევედა თავს საქმეს.

ეშაფოტის ფიქრებში გაყრილი მსხვილი ბოძი მიწაში იყო ჩარ-
26. ლ. ფოიბტგანგერი

კობილი. მის წინ იდგა ხის გამოჩორკნილი ტაბურეტი. ამაზე დასვა ქალათმა პუნიალი. მერე ისე მაგრად შეუქრა შიშველი ხელ-ფეხი, რომ გაუსივდა და გაულურჯდა. სიფრთხილე იყო საჭირო; ცოტა ხნის წინ ერთმა ბოროტმოქმედმა ქალათი მოკლა, როცა ის თავის საქმისთვის ემზადებოდა. ბოძზე მიკრული იყო რკინის საყელური. ეს საყელური — გაროტა — ქალათმა პუნიალს თავზე გადააცვა. ჩასკვნილმა ბერმა შეკრულ ხელებში პატარა ჯვარცმა ჩასჩარა.

უკვე ყველაფერი მზად იყო. სასიკვდილოდ გამზადებული იჯდა ხელ-ფეხშეკრული, უკან გადაწეული თავი რკინის საყელურით ბოძზე ჰქონდა მიბჯენილი, მის კბილებდაკრეჭილ ლურჯი ცისკენ აწეულ სახეზე გიჟური შიში იყო აღბეჭდილი. ბერი ოდნავ გვერდით დადგა და თვალებს ხელით იჩრდილავდა მცხუნვარე მზისაგან. ქალათმა ხელი სტაცა ხრახნილის სახელუხოს, მსაჯულმა ნიშანი მისცა, ქალათმა პუნიალს შავი ნაჭერი დააფარა სახეზე, მერე ორივე ხელებით ისე მოუქირა ხრახნილს, რომ რკინის რგოლებმა პუნიალი დაახრჩო. სულჯანაბული უყურებდა ხალხი, თუ როგორ სავსავებდა სუნთქვაშეკრული ადამიანის ხელები, და როგორ საშინლად იწევდა მკერდი, ქალათმა ფრთხილად შეიჭვრიტა ტხვირსახოცის ქვეშ, უკანასკნელად მოატრიალა ხრახნილი, გადაადრო ნაჭერი, დაკეცა, ჩაიდო ჯიბეში, თავისუფლად ამოისუნთქა, მიატოვა ეშაფოტი და სიგარა გააბოლა.

ახლა მცხუნვარე მზეზე ყველამ კარგად დაინახა მკვლარი მამაკაცის, გაბურძგნილ წვერ-ულვაშში ჩალურჯებული, თვალებგადმოკარგული, პირდაღებული და ენაგადმოგდებული დამახინჯებული სახე. გოიამ იცოდა, რომ ამ სახის აღდგენას ყოველთვის შეძლებდა მეხსიერებაში.

ფიცარნაგზე დიდი სანთელი აანთეს, ფიცარნაგის წინ იდგა შავი კუბო და აგრეთვე მაგიდა ორი დიდი ჯამით, რომელზედაც ადამიანებს გროშის დაყრა შეეძლოთ, რათა მიცვალებულის წესის ასაგები თანხა შეგროვილიყო. მაყურებლები გაცხოველებით უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს. აშკარად ეტყობოდა, რომ ქალათს დიდი გამოცდილება არ ჰქონდა და, კაცმა რომ თქვას, პუნიალიც არ მომკვლარა ისე ვაჟკაცურად, როგორც იმდენად დიდ და სახელგანთქმულ ყაჩაღს შეეფერებოდა.

ცხედარი დაღამებამდე დატოვეს ეშაფოტთან. ბევრი მაყურებელი, მათ შორის გოია და ხილიც, დარჩნენ და ელოდნენ. ბოლოს გამოჩნ-

და მეშორეს ურიკა. ყველამ იცოდა, ცხედარს ახლა ქალაქიდან მთებში, მივარდნილ ადგილას, გადაიტანდნენ „la Mesa del Rey“-ად წოდებულ პატარა პლატოზე, რათა იქ ასო-ასო აექნათ, ნაკუწ-ნაკუწ დაეჩეხათ და უფსკრულში გადაეძახებინათ.

ხალხი ნელ-ნელა იშლებოდა.

— „ხორცი — მგელს, სული — ეშმაკს“, — მილიდინებდნენ და მიზუზუნებდნენ ადამიანები უკან გაბრუნებისას.

გოიამ და ხილმა დატოვეს კორდოვა და ჩრდილოეთისაკენ განაგრძეს გზა.

როცა ვინმე ჯორით მოგზაურობდა, ჩვეულების თანახმად, დიდ შარაგზებს გვერდს უვლიდა და მთებსა და ხეობებს მოკლე ბილიკებით კრიდა. დიდ შარაგზებზე იყო სასტუმროები და ლუდხანები, ხოლო ბილიკებზე მხოლოდ ვენტები — ღარიბი სამიკიტნოები მცირე საკვებით, ორიოდ თივის ლეებითა და უამრავი რწყილითურთ. ხილის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა — ვერ გაეგო, რად იჭირებდა საქმეს მეფის პირველი მხატვარი, მაგრამ გოია ამბობდა: „დადლილ ზურგზე ურბილესი ბუმბული არ არსებობსო“ და მას ორმად და გულიანად ეძინა.

ყოველთვის რაღაც სიახლე იყო მივარდნილი ბილიკებიდან კვლავ შარაგზაზე გამოვლა. აქ მუდამ მოგზაურობდნენ ვაჭრები, მღვდლები და ადვოკატები. ფეხითა და ჯორებით მიჩანჩალებდნენ სტუდენტები, ბერები, წვრილი ვაჭრები, თავისუფალი ყოფაქცევის გოგოები, მეწვრილმანები, რომლებიც ბედის საცდელად უახლოესი ბაზრისკენ მიეშურებოდნენ. კადისელი მდიდარი ვაჭრები ახალი მოდის ლამაზი ეტლებით მოგზაურობდნენ, ხოლო გრანდები — ძველი მოდის ოქროცურვილ და საგვარეულო გერბებით გალამაზებულ, მწყრივად შებმულ ცხენის ოთხთვალეებით და თან მრავალი ლაქია ახლდათ. გოიასთვის ეს გზები ნაცნობი იყო; და შესაძლოა, ახლა, როცა მისთვის ხმაური დადუმებული იყო, უფრო ნათლად ხედავდა მათს მრავალფეროვნებას. მაგრამ იცნობდა ამ ხმაურს. იცნობდა Chirrio -ს ბორბლების ყურის წამლებ ღრჭიალს, რომელთაც იშვიათად ქონავდნენ, რათა მათი მოახლოება შორიდანვე გასაგონი ყოფილიყო და მხეცები დაეფრთხო. იცნობდა მგზავრების მხიარულ ყრიაბულს, მეეტლებისა

და მეჭორეების გულიან გადაძახილს. ის ახლაც ხედავდა ბორბლების ტრიალს, ცხოველების ფლოქვების ცემას, მგზავრებისა და მეეტლეების პირების გაღება-დახურვას, მაგრამ ხმის უღერა მის მეხსიერებაში უნდა აღედგინა. ეს იყო მომქანცველი თამაში, ზოგჯერ მხიარული, უფრო ხშირად კი სევდიანი. ნიშანდობლივი იყო, რომ ყაჩად ელ პუნიალის მხეცური წამების დანახვის შემდეგ, მისი საკუთარი ტანჯვა თითქმის შენეღდა.

ერთხელ ის და მისი ხილი სამიკიტნოს წინ იღგნენ და სხვებთან ერთად უყურებდნენ, როგორ აბამდნენ ოთხ წყვილ ცხოველს საფოსტო ეტლში. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მაიორალმა, პირველმა მეეტლემ, ცხენების აღვირს ხელი ჩასჭიდა, საგალი — მისი თანაშემწე კოფოზე შეხტა მის გვერდით, სამიკიტნოს წინ მდგომმა მეჭორეებმა ქვები და სახრეები აღმართეს და ეტლი ეს-ესაა დაიძვრებოდა. გოია ხედავდა, როგორ ყვიროდნენ და ერეკებოდნენ ცხოველებს, თავი ვეღარ შეიკავა, მისი პირი თავისით გაიღო და ღრიალით ხმა მისცა მეეტლეებისა და გამრეკების ღრიალს: „Que perrooo! Macho—macho—machoooo!“.

შემდეგ კვლავ უხვევდნენ გოია და მისი ხილი შარაგზებიდან და ბილიკებს მიჰყვებოდნენ. აქ უფრო ხშირად, ვიდრე შარაგზაზე, ხედებოდა მათ ჭვარამართული ქვების გროვები და ფერადნახატებიანი ფიცრები იმ ადამიანთა მოსაგონებლად, რომლებიც აქ გარდაცვლილიყვნენ. მათ რიცხვს შეეძლო მთელი არმია შეედგინა. ფიცრებზე დახატული იყო, როგორ ცვივიან უფსკრულში, როგორ მიათრევენ ცხენები, ან როგორ ახრჩობთ აბობოქრებული წყალი, როგორ კუწავენ ხმლებით ყაჩაღები, ან უბრალოდ, როგორ ეცემათ აპოპლექსიური დამბლა. ამას ჩვეულებრივ თან ერთვოდა გართიმული მოწოდება შორწმუნე გამვლელისადმი, შეჩერებულიყო და უბედურის სულის საცხონებლად ლოცვა წარმოეთქვა. გოცებუღი უყურებდა ხიღი, როგორ ხშირ-ხშირად იხდიდა ქუღს ღონ ფრანსისკო და პირჯვარს იწერდა.

ხანდახან ისინი მიეკედლებოდნენ ჯორების გამრეკთა სხვა ქარავანს, რადგან უმჯობესი იყო ამ მივარდნიღ გზებზე მარტო არ ევღოთ. გოია არ ეტანებოდა ადამიანებს, მაგრამ არც გაურბოდა მათ; არ რცხვენოდა ეთქვა მათთვის, რომ ყრუა. ხიღი სულ უფრო და უფრო მეტად განიღსკვალა მეგობრული პატივისცემით ბატონისადმი, რომელსაც

დაეჭირავა. იგი მას იშვიათად ატყუებდა და ისიც წერილმანში. ხან-
დახან ხილი თავს ვერ იკავებდა, ფრანსისკოს აკრძალვის მიუხედავად
და სხვებს აგებინებდა, თუ ვინ იყო მისი მგზავრი და რა უბედურება
დაატყდა თავს.

ერთხელ ბანდიტები შემოეყარათ გზაზე. ისინი თავაზიანი ბანდიტე-
ბი იყვნენ, რომელთაც თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად ესმოდათ
და სწრაფად მოქმედებდნენ. ორი მათგანი ფრანსისკოს რომ ჩხრეკდა,
ხილი ამ დროს დანარჩენებს ეჩურჩულებოდა; უთუოდ ამცნობდა
მათ გოიას ვინაობას. მათ წაიღეს იმ ბატონისაგან, რომელმაც მეფის
სასახლის კედლის ნოხებზე ყაჩაღებისა და კონტრაბანდისტების ცხო-
ვრების ამსახველი სურათი ასეთი სიყვარულით გამოხატა, მხოლოდ
ნახევარი იმ ექვსასი რეალიდან, რომელიც მას თან ჰქონდა, და როცა
საქმეს მორჩნენ, მიიპატიეს, მათი ტიკტორის ღვინო ეგემა, პატივის-
ცემით უქნევდნენ დამშვიდობებისას ფართოფარფლებიან ვეება ქუ-
დებს და თავაზიანად უსურვებდნენ. — Vaya usted con la Virgen! —
ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი გფარვიდეს! თქვენო აღმატებულე-
ბავ!

ასე ტანჯული და მოქანცული,
გარემოცული მხოლოდ სიჩუმით,
თავის ნებიერ ვალეროსოთი
დადის ფრანსისკო, დაეხეტება
თუმც დაჟინებულ, მაგრამ მშობლიურ
სოფლებში ძველი ესპანეთისა.
დადის საბრალო შესახედავი,
მაგრამ საომრად ამხედრებული,
რომ დემონების საზიზღარ მოდგმას
მოუღოს ბოლო. ვნახოთ, ვინ ვის სძლევს!
კისერს მოუგრებს მათ ღონ ფრანსისკო—
არაგონელი მარდი ჰაბუკი
და ხელოვანი! ძღვევამოსილი
კიდევ მრავალჯერ შეეკიდება
შავ ბედს, ასე რომ მოუკლა გული.
უფრო მახვილი ექნება მზერა,
უფრო მეტბოლო გახდება ფუნჯი
და მან ხმამალა გადიხარხარა,
ისე ხმამალა, რომ ხილი, მისი
მეჯორე, შიშით შეხტა ადგილზე.

ქალაქს, რომელმაც აღიარა ქვეყნად
ყველაზე დიდი ბედნიერება -
და, უმძიმესი ტანჯვაც აგემა —
გოთია ღვარძლით გამოეთხოვა
და ჩრდილოეთში, სარაგოსაში, —
სადაც დაირწა მისი აკვანი, —
გასწია ჩქარა.

1

იმ დროისათვის, საუკუნის უკანასკნელ ხუთწლეულში. საფრანგეთის რესპუბლიკაში ძალა-უფლება საქმოსნების ხელში გადავიდა. „საშოვარზე გასულ საქმოსანზე უფრო საშიში არა არის რაო“, აღნიშნა ცოტა ხნით ადრე ენციკლოპედისტმა ბარონმა ჰოლბახმა; ამავე აზრისანი იყვნენ რევოლუციის ბელადებიც. მაგრამ გრაკხ ბაბეფი და მისი თანამზრახველნი დასჯილ იქნენ, ვინაიდან „თანასწორთა კავშირის“ დაარსება და შემოსავლის თანაბრად განაწილება მოისურვეს. საფრანგეთის ახალმა ბატონებმა კი გამოაცხადეს თავიანთი ღვევი — „გამდიდრდით!“

იმ მეორე ქვეყანაშიც, რომელმაც სცადა განმანათლებლური იდეები რევოლუციის გზით დაენერგა, სახელდობრ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხელმძღვანელები ახლა ისევ ძველ იდეებს ელოლიავენ ბოდნენ. ზურგი შეაქციეს საფრანგეთს, რომლის დაუხმარებლადც დამოუკიდებლობას ვერასოდეს მოიპოვებდნენ, შეურაცხვეს საფრანგეთის წარმომადგენელი და მისი რესპუბლიკის წინააღმდეგ ცივი ომი გააჩაღეს. გამოიცა კანონი, რომელიც უცხოელებსა და ამბოხს ეხებოდა და კონსტიტუციის იდეებს აყალბებდა, წყალი შეუდგა დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრინციპებს. როცა შტატების პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი თავისი პოსტიდან გადადგა, ფილადელფიის ერთი გაზეთი სიხარულით წერდა: „კაცი, რომელსაც ბრალი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის მთელ უბედურებაში, ღღვიდან ჩამოქვეითებულია თავის თანამოქალაქეთა დონემდე და აღარ ექნება უფლება ამრავლოს შეერთებული შტატების ჭირ-ვარამი. ყველას, ვისი გულაც ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ძგერს, ღღეს სიხარულით ავსებს იმის შეგნება, რომ შეწყდება ვაშინგტონის მიერ დაკანონებული უსამართლობა და კორუპცია“.

ცხოველმა სწრაფვამ იქათკენ, რომ რაც შეიძლება მოკლე დროში ახლებურად მოეწყოთ ადამიანთა ცხოვრება, ქვეყანა მოქანცა. მთელი ძალ-ღონის დაძაბვით ცდილობდნენ საზოგადოებრივი და კერძო ცხოვრების მოწესრიგებას გონების საშუალებით. ამან გამოიწვია მოდუნება და გაქცევა უკან გონების დამაბრმავებელი სინათლიდან აზრის დაისისაკენ. მთელ ქვეყანაში ახლა ძველ კონსერვატულ იდეებს ასხამდნენ ხოტბას. აზროვნების სიცივიდან უკან იხევდნენ რწმენის სითბოსაკენ, ღვთის მოშიშობისა და მგრძნობიარობისაკენ. გაურბოდნენ ქარიშხლებს, რომლებიც თავისუფლებამ მოიტანა, თავს აფარებდნენ ავტორიტეტთა და დისციპლინის მყუდრო ნავსადგურში. რომანტიკოსები შუასაუკუნეობრიობის აღორძინებაზე ოცნებობდნენ, პოეტები კრულვით იხსენიებდნენ მზის სინათლეს, შეჰხაროდნენ მთვარის იღუმალი შუქით განათებულ ჯადოსნურ ღამეს, ხოტბას ასხამდნენ მშვიდობასა და მყუდრო სამყოფელს კათოლიკური ეკლესიის კალთებქვეშ.

„განმანაოლებლებმა კანიც ვერ გაგვიკაწრესო“, უხაროდა ერთ კარდინალს.

ეს შეცდომა იყო. ნათელი, მახვილი, ახალი იდეები მრავალ გონებას დაეუფლა, რომელთა ამოძიკვა შეუძლებელი იყო. აქამდე შეურყეველ პრივილეგიებს ძირი გამოეთხარა. აბსოლუტიზმი, ძალაუფლების ღვთაებრივი წარმოშობა, კლასობრივი და კასტური განსხვავება, ეკლესიისა და დიდებულთა პრივილეგირებული მდგომარეობა, ყველაფერი ეს ეპვის ქვეშ დადგა. საფრანგეთმა და ამერიკამ დიდი მაგალითი უჩვენეს; მიუხედავად ეკლესიის და დიდებულების კვლავ გაძლიერებული წინააღმდეგობისა, მაინც გზას იკვლევდა აზრი, რომ კაცობრიობის ცხოვრებას უნდა აწესრიგებდეს მეცნიერების ახალი მღწევეანი და არა კანონები, რომლებიც ძველ, წმინდად მიჩნეულ წიგნებშია ჩაწერილი.

საუკუნის ხსენებულ ბოლო ხუთწლეულში საფრანგეთში ცხოვრობდა 25 000 000 კაცი, ინგლისსა და ესპანეთში თერთმეტ-თერთმეტი მილიონი; პარიზში 900 000 მცხოვრები იყო, ლონდონში 800 000, ამერიკის შეერთებულ შტატებში სახლობდა დაახლოებით 3 000 000 თეთრკანიანი და 700 000 ფერადკანიანი მონა. ამერიკის უდიდესი ქალაქი იყო ფილადელფია 42 000 მცხოვრებით. ნიუ-იორკი ითვლიდა 30 000 კაცს, ბოსტონი, ბალტიმორი და ჩარლსტონი 10 ათას მცხო-

ვრებს თითოეული. ამ ხუთწლეულში გამოაქვეყნა თავისი ესეი ინგლისელმა ეკონომისტმა მალთუსმა „მოსახლეობის პრინციპების“ შესახებ, სადაც ამტკიცებდა, რომ კაცობრიობა უფრო სწრაფად მრავლდება, ვიდრე მისი შესანახი საკვები საშუალებანი და საჭიროა მოსახლეობის ზრდის შეფერხება.

იმ ხუთწლეულში ადამიანებმა აითვისეს თავისი პლანეტის ახალი, დიდი ნაწილი. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობდნენ მოეზიდათ ახალმოსახლეები და ამ მიზნით დააწესეს უწყებები და საზოგადოებები, რომლებიც გრძელვადიანი და შეღავათიანი კრედიტებით ჰყიდდნენ მიწის ნაკვეთებს, აკრს ერთ დოლარად. ამავე ხუთწლეულში დაიწყო ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტმა მოგზაურობა სამეცნიერო მიზნით შუა და სამხრეთ ამერიკაში, რომლის შედეგები კოსმოსს უფრო იოლად შესაცნობად და ადვილ დასასახლებლად ზდიდა.

იმ ხუთწლეულში მთელ მსოფლიოში, ხოლო უპირველეს ყოვლისა ევროპაში, მოხდა ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილება. ძველი იმპერიები ემხოზოდა და ახალი სახელმწიფო ფორმაციები იქმნებოდა, უმეტესად რესპუბლიკები. სახელმწიფოს გადაეცა ურიცხვი საეკლესიო მეურნეობა. პაპი დატყვევებული ჩაიყვანეს საფრანგეთში, ხოლო ვენეციელი დოჯი უკანასკნელად შეუღლდა ზღვასთან. საფრანგეთის რესპუბლიკამ მრავალი ომი მოიგო ხმელეთზე, ხოლო ინგლისმა — ზღვაზე. ამასთანავე, ინგლისი საბოლოოდ დაეუფლა ინდოეთს. საუკუნის მიწურულს ინგლისმა თითქმის მთელ ევროპასთან დადო პაქტი, რათა ხელი შეეშალათ საფრანგეთის რესპუბლიკის შემდგომი წინსვლისათვის და მოწინავე იდეების გავრცელებისათვის. მოკლედ, ამ უკანასკნელ ხუთწლეულში მეტ ომსა და ძალმომრეობას ჰქონდა ადგილი, ვიდრე მთელი ამ საუკუნის განმავლობაში; და ამ ხუთწლეულში დაწერა გერმანელმა ფილოსოფოსმა იმანუელ კანტმა თავისი ნარკვევი „მარადიულ მშვიდობაზე“.

დაყოფილი მსოფლიოს სამხედრო ბელადებს პირად ცხოვრებაში ნაკლებად აწუხებდათ მასების მითქმა-მოთქმა და გაზეთები. იმ ხუთწლეულში შეიერთო ნაპოლეონ ბონაპარტემ ეოზეფინა ბოჰარნე და აღმირალმა ჰორაციუს ნელსონმა გაიცნო და შეიყვარა ემა ჰამილტონი.

იმ ხუთწლეულში უარყვეს აქამდე არსებული მძიმე, მდიდრული ტანისამოსი და წაიშალა ზღვარი პრივილეგიებულთა და მდაბიოთა სამოსელს შორის. საფრანგეთში მხატვარ ჟაკ ლუი დავიდის გავლე-

ნით გავრცელდა უბრალო, ანტიკური ტანსაცმლისმაგვარი — la merveilleuse; დაიწყეს გრძელი შარვლების, პანტალონების, ტარება; ეს სამოსელი სწრაფად ვრცელდებოდა მთელ ევროპაში.

იმ ხუთწლეულში ალექსანდრო ვოლტამ გამოიგონა პირველი ხელსაწყო, რომელიც მუდმივ ელექტრულ დენს იძლეოდა, პრისტლიმ აღმოაჩინა ნახშირმჟავას ნაერთი, სტანჰოპმა გამოიგონა ლითონის საბეჭდი დაზგა. მაგრამ თითქმის ყველგან მაგრად ებლაუტებოდნენ ადამიანები მემკვიდრეობით გადმოცემულ წარმოდგენებსა და მუშაობის მეთოდებს. აქამდე უცნობ ბუნების მოვლენათა აღმოჩენებს და გამოყენებლებს ეშმაკის მოციქულებად თვლიდნენ. ისევ ისე ჩიჩქნიდნენ მიწას, როგორც ათასი წლის წინათ. ამ ხუთწლეულში გამოაქვეყნა ექიმმა ედვარდ ჯენერმა გამოკვლევა, რომელშიაც რჩევას იძლეოდა, ყვავილის წინააღმდეგ ძროხის ყვავილის ვაქცინით აცრა გამოყენებინათ და ყველას მიერ სასაცილოდ იქნა აგდებული. მაგრამ სასაცილოდ არავის აუგდია ისინი, რომლებიც ნაკურთხ წყაროებსა და წყლებში ბანაობდნენ, ავადმყოფობას ავრცელებდნენ და ისინი, რომელნიც სენისაგან განკურნების მიზნით სხვადასხვა წმინდანებს სწირავდნენ სანთლისაგან გაკეთებულ ხელების, ფეხების, გულების გამოსახულებას; კიდევ უარესიც — ინკვიზიცია სდევნიდა ყველას, ვისაც ამგვარი საშუალების განმკურნავ ძალაში ეჭვი შეეპარებოდა.

იმ ხუთწლეულში აღიარებულ იქნა შექსპირი უკანასკნელი ათასი წლის უდიდეს მწერლად. ის ბევრმა მრავალ ენაზე თარგმნა. ავგუსტ ვილჰელმ შლეგელმა შექმნა თარგმანი, რომელმაც მომავალი საუკუნის გერმანული ენა გააღამაზა და გაამდიდრა. იმ ხუთწლეულში დაწერა გოეთემ ლექსად „ჰერმანი და დოროთეა“, შილერმა — თავისი ტრაგედია „ვალენშტაინი“, ალფიერმა — თავისი კლასიციკური ტრაგედია „საულა“, „ანტიგონე“ და „მეორე ბრუტოსი“, და ამავე პერიოდში გარდაიცვალა სურათოვან, გონებამახვილურ პიესა-ზღაპრების დიდი შემოქმედი კარლო გოცი, რომელმაც „უსარგებლო მემუარების“. სამი ტომი დატოვა. ჯენ ოსტინმა დაწერა ზნეობრივ-სანტიმენტალური რომანები „Pride and prejudice და Sence and sensibility“ კოლრიჯმა გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსები, ასევე მოიქცა შვედი პოეტი ტეგნერი. რუსეთში მიხეილ შათეს ძე ხერასკოვმა დაწერა ტრაგედია „განთავისუფლებული მოსკოვი“, ხოლო ვასილ ვასილის ძე კაპნისტმა გალექსილ კომედია „მაბეზლარაში“

ღვარძლიანად დასცინა მართლმსაჯულების ანგარებას. მილიონობით ადამიანმა, წინათ რომ წიგნი ხელში არ აეღო, დაიწყო კითხვა და ამაში სიამოვნებას ჰპოვებდა. მაგრამ ეკლესია კრძალავდა უმეტესად ისეთ ნაწარმოებებს, რომლებსაც მცოდნეები აქებდნენ. ესპანეთში, ვინც ამ აკრძალვას არ ემორჩილებოდა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ, გაამთრახებდნენ, ან ციხეში ჩააგდებდნენ; ხოლო ჰაბსბურგების მონარქიაში კი სამსახურიდან ხსნიდნენ დიდ მოხელეებს, თუ მათ აკრძალული ნაწარმოების კითხვა დაუმტკიცდებოდათ.

იმ ხუთწლეულში აუარებელი ხალხის თანდასწრებით პარიზში, პანთეონში, გადასვენებულ იქნა თავისუფალ მოაზროვნეთა ბელადის ნეშტი, ნეშტი შერისხული ვოლტერისა და იმავე ხუთწლეულში, იმავე პარიზში, მაღამ მარიანა ლენორმანმა გახსნა მკითხაობის სალონი, რომელიც უპირავ ხალხს იზიდავდა. ხოლო ქალბატონი ტუსოს პანოპტიკუმში ერთიმეორის გვერდით მშვიდობიანად იდგნენ სანთლის ფიგურები წმინდა დენისისა, რომელსაც საკუთარი თავი ილღიაში ჰქონდა ამოდებული და მწვალბეღელი ვოლტერისა.

იმ ხუთწლეულში ეგვიპტის ქალაქ როზეტაში, არაბეთის რეშიდში აღმოჩენალ იქნა წარწერებით დაფარული ქვა, რომელმაც მკვლევარ შამპოლიონს იეროგლიფების გაშიფვრის შესაძლებლობა მისცა. ანტუან კონდორსემ საფუძველი ჩაუყარა კოლექტივისტურ-მატერიალისტურ ისტორიის ფილოსოფიას. პიერ-სიმონ ლაპლასმა მეცნიერულად ახსნა პლანეტების წარმოშობა. მაგრამ ის, ვისაც არ სწამდა, რომ ქვეყნიერება ბიბლიის მოძღვრების მიხედვით ქრისტეს დაბადებამდე 3988 წლის 28 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, ექვს დღეში შეიქმნა. ასეთი კაცო ვერც ესპანეთის სამეფოში და ვერც ჰაბსბურგის მონარქიაში სახელმწიფო თანამდებობას ვერ ეღირსებოდა.

ამ ხუთწლეულში წერდა გოეთე „ვენეციურ ეპიგრამებში“, რომ ყველაზე მეტად საძულველი ამქვეყნად მისთვის „ოთხი რამ არის: თამბაქოს სუნი, ბალნინჯოები, ნიორი და ჯვარი“. თომას პაინი კი წერდა რაციონალიზმის სახელმძღვანელოს, „გონების საუკუნეს“, ამავე დროს შპაიერმახერმა დაწერა წიგნი: რელიგიის შესახებ მიმართვა „რელიგიის მოძულე განათლებული ადამიანებისადმი“, ხოლო ფრანგი პოეტი შატობრიანი რომანტიზებული კათოლიციზმის მიმდევარი გახდა. წიგნი „რომის იმპერიის დაცემისა და დამხობის ისტორია“, რომელშიაც ედვარდ გიბონი შეფარული დაცინვითა და ცივი ირონიით გამო-

ხატავდა ქრისტიანობის აღმოცენებას, როგორც ბარბაროსობისაკენ დაბრუნებას, საყოველთაოდ აღიარებულ იქნა ამ საუკუნის საუკეთესო ორტორიულ ნაწარმოებად; მაგრამ არანაკლები წარმატება ხვდა წილად „აპოლოგიებს“, რომლებშიაც ეპისკოპოსი რიჩარდ უატსონი მოხუენილად და თავშეკავებულად ცდილობდა გიბონსა და პაინს წინაღ-ღგომოლა.

ამ ხუთწლეულში მოხდა მნიშვნელოვანი ფიზიკური, ქიმიური, ბი-ოლოგიური აღმოჩენები. ნაპოვნი და დამტკიცებულ იქნა მნიშვნელო-ვანი სოციოლოგიური პრინციპები, მაგრამ აღმოჩენილებსა და გამომ-ქვეყნებლებს სდევნიდნენ. დასცინოდნენ, ციხეში ჰყრიდნენ. გამოცდილ იქნა ახალი სამკურნალო მეთოდები, მაგრამ სამღვდელოება და ექიმ-ბაშები ავადმყოფის სხეულიდან დემონებს სდევნიდნენ და ლოცვე-ბითა და ავგაროზებით მკურნალობდნენ.

ფილოსოფიურად მოაზროვნე სახელმწიფო ზოღვაწეები და ხარ-ბი საქმოსნები, ჩუმი სწავლულები და ბაზრის მოქაქანე თაღლითები, ძალაუფლების მოყვარული მღვდლები და ყმა გლეხები, ყოველივე ჰშვენიერებისადმი მგრძნობიარე მხატვრები და ყუყუჩი სისხლისმსმე-ლი ლანდსკნეხტები, ყველანი ერთად ცხოვრობდნენ მცირე ფართობ-ზე შეკჯუფებულნი, ერთიმეორეს ავიწროებდნენ, ხელს უშლიდნენ ჰკვიანი და სულელი, ისინი „რომელთა გონებაც პირველყოფილ ადა-მიანებზე მეტად განვითარებული არ იყო, და ისეთებიც, რომელთა გონება აზრებს ჰბადებდა, რომლებსაც უმრავლესობა მხოლოდ კიღვე ერთი ყინულოვანი პერიოდის გავლის შემდეგ თუ მიხვდებოდა, ისე-თები, რომლებიც მუშით დაჯილდოებულნი და ყოველგვარი მშვენიე-რებისადმი მგრძნობიარენი იყვნენ და ისეთებიც, რომელთაც გულს არ უძგერებდა სიტყვაში, ბგერაში და ქვაში განსახიერებული ხელოვ-ნება, ბეჯითი, გამრჯე, ჩამორჩენილი და ზარმაცი ყველანი ერთი ჰაე-რით სუნთქავდნენ, ერთიმეორეს ეხებოდნენ, ერთიმეორესთან მუღ-მივი უშუალო სიახლოვე ჰქონდათ. უყვარდათ და სძაგდათ ერთმანეთი, ობობდნენ, ხელშეკრულებას სდებდნენ, არღვევდნენ მას, კვლავ ობ-ობდნენ, კვლავ ხელშეკრულებას სდებდნენ, აწამებდნენ, სწვა-ვდნენ, კუწავდნენ ერთიმეორეს, ერთდებოდნენ, ბავშვებს ბადებდნენ და მხოლოდ იშვიათად თუ უგებდნენ ერთმანეთს. მცირერიცხოვანი ჰკვიანები და ნიჭიერები წინ მიიღტვოდნენ, უნიჭო ადამიანები მათ

უკან ეწეოდნენ, მტრობდნენ, ბორკილს ადებდნენ, ჟღეტდნენ და ყოველგვარ ღონეს ხმარობდნენ მათ თავიდან მოსაცილებლად. მიუხედავად ამისა მიდიოდნენ წინ მცირერიცხოვანი ნიჭიერნი, მართალია, შეუმჩნევლად, დიდი ხრიკებითა და დიდი მსხვერპლის ფასად და თან მიათრევდნენ დანარჩენთა მასასაც.

პატივმოყვარენი და გონებაშეზღუდულნი იყენებდნენ უმრავლესობის ჩამორჩენილობას, სიბნელეს და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ძირგამომპალი დაწესებულებანი. მაგრამ საფრანგეთის რევოლუციამ მაცოცხლებელი ჰაერი მოჰპერა მსოფლიოს და ნაპოლეონი, რომლითაც დამთავრდა რევოლუცია, აპირებდა ყოველგვარი დრომოკმულის საბოლოოდ თავიდან მოცილებას.

და არა ფუჰ და ცარაელ სიტყვად,
არამედ უკვე უცხოელს ძალად
იქცა იღუა თავისუფლების,
თანასწორობის, ძმობის, ერთობის.
ფუმც ეს იღუა ჯერ უსახოა,
ჯერ უმნიშვნელო და ახალგაზრდა,
მაგრამ საკუთარ გზის გამკაუფი,
გახდა ცხადი და გარდაუვალი
ფაქტი, ცხოვრების წესი. კანონი.
და მიწურულში იმ ხუაწლეულის,
იმ საუკუნის სწორედ დასასრულს,
სამყარო გახდა უფრო ჰყვიანი
და გონიერი, ვიდრე ის იყო
მის დასაწყისში.

2

ნახევარი საათის წინ დატოვა დონ მანუელმა სან ილდეფონსო. ზანტი და დაღვრემილი მიწოლილიყო თავისი ეტლის ბალიშებზე. წინ კადისისაკენ მიმავალი გრძელი გზა ედო, იქ კი უსიამოვნო საქმეები ელოდებოდა. თუმცა მანამდე ორიოდღე დღით დასვენება ჰქონდა განზრახული, მაღრიდში, ინკოგნიტოდ, პეპასთან ერთად, მაგრამ ამ პერსპექტივამაც ვერ შეძლო მისი ნაღველის შენელება.

Caramba, ამ უკანასკნელ კვირებებში უსიამოვნებების მეტი არაფერი უნახავს. არ კმაროდა, რომ ფრანგები აიძულებდნენ ინგლისელებ-

თან არაპოპულარული ომი ეწარმოებინა, და ახლა კიდევ ეს გაბაჩო-
ები უბიძგებენ წინდაუხედავი და გამოუსწორებელი ნაბიჯი გადად-
გას მეგობრულად განწყობილი პორტუგალიის წინააღმდეგ.

სახელდობრ, ინგლისის ფლოტს პორტუგალიის ნავსადგურში სა-
ყრდენი პუნქტები ჰქონდა და ფრანგები ხელშეკრულების ძალით მოი-
თხოვდნენ ესპანეთს მიეღწია იმისათვის, რომ პორტუგალიას დაეხუ-
რა ეს ნავსადგურები.

საფრანგეთის წარმომადგენელი, მოქალაქე ტრიუგე ისევ და ისევ
გულის გამაწვრილებელი ლოგიკურობით მოითხოვდა, თუ ვინიცობაა
პორტუგალია უარზე დადგებოდა, ესპანეთს შეიარაღებული ძალების
მეშვეობით იძულებული გაეხადა ისინი დაეხურა ეს ნავსადგურები.
რა თქმა უნდა, მეტისმეტად ნომინიბლელია პატარა, უსუსურ მეზო-
ბელ ქვეყანას თავს დაესხა და გამარჯვება მოიპოვო. მაგრამ პორტუ-
გალიის პრინც-რეგენტი კათოლიკე მეფის სიძე იყო, კარლოსსა და
მარია ლუიზას არ სურდათ საკუთარ ქალიშვილთან ომი. გარდა ამი-
სა, პორტუგალიამ მას, დონ მანუელს, ძვირფასი საჩუქარი მიართვა და
ჩუმი შეთანხმებით ინგლისთან ომმა თითქოს მიიძინა.

მარტო პორტუგალიის საკითხი როდი იყო საზრუნავი, როიალისტ
წარმომადგენლის, დე აერეს, ქალიშვილთან, ჟენევიევასთან, დაკავში-
რებულმა დიდი ხნის მივიწყებულმა უსიამო ამბავმა კვლავ წამოაყო
თავი. სახელდობრ, მარკიზმა თავისი ქალიშვილით ესპანეთიდან გასა-
ხლების შემდეგ პორტუგალიას შეაფარა თავი, ის იქ ცხოვრობდა მე-
ფის საიდუმლო ფონდიდან გამოყოფილი სახსრებით. გულისგამაწვრი-
ლებელმა ფრანგმა, უხეშმა, უტაქტო მოქალაქე ტრიუგომ ყნოსვით
მიაგნო ამ ამბავს და უსირცხვილოდ მოითხოვა, რომ მანუელს არა-
მარტო შეეწყვიტა „თავგადასავლის მაძებარ როიალისტთან“ ურთი-
ერთობა, არამედ პორტუგალიის პრინც-რეგენტი იძულებული გაეხა-
და გაესახლებინა მარკიზი თავისი ქვეყნიდან.

მშვიდობის თავადი ეტლში გადაწვა, სან ილდეფონსოს საქმეების
გამო არასასიამოვნო გრძნობა კიდევ არ გაჰქრობოდა, და კადისშიც
არასახარბილო მოლაპარაკების წარმოება მოელოდა. მარია ლუიზამ
რამდენიმე თავისი ფავორიტი წამოსწია იქაური სამხედრო ფლოტის
უფროსთა თანამდებობაზე; ამ ბატონებს არაფერი ებადათ გარდა მა-
ღალი ტიტულისა და დედოფლის მოწყალეებისა; ძალზე ნიჭიერი ოფი-
ცრები კი, რომლებიც უნიათო უფროსების ხელქვეითნი გახდნენ და

მათგან მხოლოდ ხელი ეშლეზოდათ, სამსახურიდან გადადგომით იმუქრებოდნენ. ყველგან აუტანელი უსიამოვნება იყო.

თუმცა ყველგან არა. რაც უფრო უახლოვდებოდა დონ მანუელი დედაქალაქს, მით უფრო იფანტებოდა უსიამოვნო ფიქრები. გადაწყვიტა ერთი ზედმეტი დღით დარჩენილიყო მადრიდში, პეპასთან. დავიწყებს, რომ ბედმა თავს მოახვია ესპანეთის სახელმწიფოს მართვა, ის ამ დღეს სახელმწიფო მოღვაწე კი არ იქნება, არამედ თავისი ცხოვრებით კმაყოფილი უბრალო დონ მანუელი.

საქმე კი სხვანაირად დატრიალდა. პეპა ბოლო ხანებში გულმოსული და მოწყენილი იყო. ფრანსისკო შორს იმყოფებოდა; კვირებისა და თვეების განმავლობაში, თავის კარიერის საზიანოდ, ალბას ხვედრს აზიარებდა. გულისტკივილით იგონებდა პეპა, თუ როგორი მწველი ვნებების ნიჟი ჰქონდა გოიას და როგორ უდარდელად დაუთმო მისი თავი დონ მანუელს. ეპ, ეს მანუელიც! სიტყვებით ბევრს ლაპარაკობდა მისადმი თავის სიყვარულზე, მაგრამ უმეტეს დროს სან ილდეფონსოში იყო, ან არანხუესში და ესკურიალში, მას მარტო ტოვებდა და როცა კი მოდიოდა — მოდიოდა მალულად. მანუელს დახვდა გაგულილებული, გაღიზიანებული პეპა.

პეპამ შესთავაზა ხარების ჰილილზე — ტორეადორ პედრო რომეროს კორიდაზე — ერთად წავიდეთ. დონ მანუელმა ამოიხვნეშა და უპასუხა, რომ კვირას უკვე კადისისაკენ მიმავალ გზას უნდა დაეღგეო.

— განა ეს ბევრია, თუ გთხოვთ ორი დღით ჩემთან დარჩენას? — ჰკითხა ქალმა.

— იოლი როდი დამიჯდა, ძვირფასო, — მიუგო მანუელმა, — ამ სამი თავისუფალი დღის გამონახვა თქვენს სანახავად, — გარდა სხვა გადაუდებელი საქმეებისა, ომის სარდლობაც მე მაწევს კისერზე, თქვენ მაინც ნულარ წამიმატებთ საზრუნავს.

— მე გეტყვით, რატომ არ გინდათ ჩემთან კორიდაზე წამოსვლა, უპასუხა პეპამ, — თქვენ ჩემი გრცხვენიათ. თქვენ არ გინდათ ჩემთან ერთად ხალხში გამოჩენა.

მანუელმა სცადა მისი გონს მოგება.

— ბოლოს და ბოლოს შეიგნეთ, — მოუთმენლად სთხოვა მან, — რა ქემშარიტად ჯოჯოხეთური, აუარებელი საქმე მაწევს მხრებზე. უნდა ვაიძულო პორტუგალია, შეწყვიტოს ურთიერთობა ინგლისთან, — უნდა გავუფრთხილდე პორტუგალიის პრინც-რეგენტს, უნდა გა-

დავყენო ფლოტიდან ექვსი ყეყეჩი გრანდი, უნდა ჩავჩარო სამი სხვა ყეყეჩი გრანდი არმადაში. ამასთანავე, ტრიუგე მიგზავნის მეორე თავხედურ ნოტას: უნდა გავაძევებინო მარკიზი დე აკრე ლისაბონიდან. კადისში ისედაც უქმყოფილონი იქნებიან, იმის გამო, რომ ორი დღით ვიგვიანებ და თქვენ კი მოითხოვთ, კვირასაც აქ დავრჩე. გაიგეთ ჩემი გასაჭირი.

— ყველა თქვენი გასაჭირი ერთი წყაროდან მომდინარეობს. თქვენი აღვირახსნილი, იაფფასიანი მგრძნობელობისაგან, მთელი თქვენი უთანხმოება პორტუგალიასა და საფრანგეთთან იქიდან გამომდინარეობს, რომ გაკნაჭული უენევიევა გაიხადეთ საყვარლად.

გულმოსულმა მანუელმა უპასუხა:

— ეს სულ შენი ბრალია, შენ რომ ისეთი სიყვარულით დაგეჯილდობინე, როგორც ღირსიც ჩემისთანა მამაკაცია, მაშინ იმ ლობიოს ზარს არასოდეს ხელს არ ვახლებდი.

მოთმინებიდან გამოსულმა, გაცეცხლებულმა პეპამ მიახალა:

— და თქვენ რომ კვლავ ბებრუხუნა მარია ლუიზას უძვრებით ლოგინში ესეც ჩემი ბრალია?

ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. მასში გაიღვიძა თანდაყოლილმა მახოს ბუნებამ, ესტრემიდურას მელორეობის პროვინციიდან. მან აღმართა მსუქანი ხელი და მთელი ძალღონით გააწნა პეპას სილა.

წუთით პეპამაც მოინდომა სამაგიერო სილა გაეწნა მისთვის, დაეკაწრა, დაეკბინა, დაეხრჩო. მაგრამ თავი შეიკავა. ზარს ჩამოქაჩა და დაიყვირა:

— კონჩიტა, კონჩიტა!

მანუელმა მის თეთრ სახეზე თავისი ხელის გავარვარებული ნაკვალევი დაინახა, დაინახა ქალის მწვანე, შორიშორ ჩამჭდარი, აღშფოთებისაგან გაცეცხლებული თვალები. ბოდიშის მოსახდელი სიტყვები წაილულლულა. მოთმინებიდან გამოსვლა საქმით გადატვირთვას გადააბრალა. მაგრამ ხმელ-ხმელი და სასტიკი კონჩიტა უკვე ადგილზე გამოცხადდა. პეპამ ხმა დაიმორჩილა და უთხრა:

— კონჩიტა, მიაცილე სინიორი კარამდე.

სინანულით და ნდომით აღსავსე მანუელი გაბრაზებული თავის სისულელეზე, რომელმაც თავისუფალი დღეები მოუშხამა, პეპას პატარებს ევედრებოდა, უნდოდა მისი ხელი დაეჭირა, მოხვეოდა.

— ბოლოს და ბოლოს როდის გაიყვან, კონჩიტა, აქედან ამ კაცს?—

დაიყვირა პეპამ და მეორე ოთახში გავარდა. მეტი გზა არ იყო, მანუელი იქაურობას უნდა გასცლოდა.

მანუელმა მწარედ გაიფიქრა, რომ ბედი მას სახელმწიფოს კეთილდღეობაზე ზრუნვისაგან წუთითაც არ აღირსებს დასვენებას და დაღვრემილმა, საქმეს მოწყურებულმა, კადისს მიაშურა. იმედი ჰქონდა, იქ საქმისა და გართობის ორომტრიალში დაიფიქვებდა თავის უბედურებას და შემდეგ მადრიდს დაბრუნებულს გონს მოსული პეპა დახვდებოდა.

კადისში მართლაც არ ჰქონდა თავისუფალი წუთი. მოლაპარაკებას აწარმოებდა გემების პატრონებთან, იმპორტისა და ექსპორტის ფირმების მფლობელებთან, ბანკირებთან. პირდებოდა ფლოტის საქმის მცოდნე ოფიცრებს, რომ ბოლო მოეღებოდა მაღალი წოდების ყეყეჩი აღმირალების მავნებლურ საქმიანობას. ინგლისის საბლოკადო ფლოტის უფროსებთან საიდუმლო შეხვედრისას მიაღწია ზეპირ შეთანხმებას, რომლის ძალითაც ორივე ფლოტი ვალდებულებას კისრულობდა ერთიმეორეს მხოლოდ დამუქრებოდნენ, მაგრამ თავს კი არ დასხმოდნენ. და თუ მისი დღეები სახელმწიფო საქმეებს ეკუთვნოდა, სამაგიეროდ ღამეებს კადისის სახელგანთქმულ გასართობებს სწირავდა.

მაგრამ ვერც საქმეებმა და ვერც მხიარულებამ ვერ განდევნა მისი გონებიდან პეპაზე ფიქრი. ყოველთვის თვალწინ წარმოუდგებოდა მის ლოყაზე თავისი ხელის ნაკვალევი და ამის მოგონება ავსებდა სინანულით, ნატყრითა და ვნებით.

მორჩა თუ არა საქმეებს, უმოკლესი გზით მიაშურა მადრიდს. სამგზავრო ტანსაცმლის გამოუცვლელად გაიჩქარა ბონდად რეალის სასახლისაკენ. სახლში არეულობა დახვდა, ავეჯი კედლებთან იყო მიწეული, ნოჯები შეკრული, გარეთ ეწყო სკივრები და შეფუთული ყუთები. მაყორდომს არ უნდოდა შეშვება. იქვე იღვა სასტიკი და იდუმალი გამომეტყველებით დუენია კონჩიტა. მანუელმა სამი ოქროს დუკატი ჩასჩარა ხელში. მან ცოტა ხანს დააცდევინა მანუელს და შემდეგ პეპასთან შეიყვანა.

— მე სამხრეთისაკენ მივემგზავრები, — უთხრა პეპამ თავის დაბალი მინაზებული ხმით, — მანავას მივდივარ, იქ თეატრში ვითამაშებ. აქ იყო სენიორ რივერო. მისი დასი სახელგანთქმულია. კარგი პირობები შემომთავაზა. თუ დადგება ისეთი ღრო, რომ თქვენი ფლოტი შეძლებს საზღვაო გზების განთავისუფლებას, მაშინ მე ჩემს მშობ-

27. ლ. ფოაბტანგერი

ლიურ ამერიკაში დავბრუნდები. ამბობენ, რომ ლიმას თეატრი საუკეთესოა მთელს ესპანეთის სამფლობელოშიო.

მანუელი გულში აღმფოთებული იყო. კარგი, მან სილა გააწნა, მაგრამ ხომ მოთვინიერდა, უკან დაბრუნდა, და მზადაა მომავალშიც გამგონე იყოს? პეპა ახლა არ უნდა დამუქრებოდა, რომ მათ შორის ოკეანე გადაიშლებოდა. მანუელს ხელახლა მოესურვა სილა გაერთყა ქალისთვის. მაგრამ მუქ, საშინაო კაბაში, მისი თეთრი კანი ქათქათებდა, მისი მწვანე, ფართოდ გაღებული თვალები სერიოზულად და მიმზიდველად გამოიყურებოდნენ და მანუელი მათ კეთილსურნელებას ისუნთქავდა. მას ახსოვდა ყოველგვარ ბიწიერებაში გაწაფულ, ლამაზ კადისელ ქალებთან გატარებული ღამეები, მაგრამ იცოდა: არ შეეძლო ამ ქალზე უარის თქმა, უდიდესი სიტკბოება, ჭეშმარიტი აღტაცება, ზეციური, სატანისებური თავბრუდამხვევი განცდა მხოლოდ პეპას შეეძლო მისთვის ეგემებინა. ახლა თავის რისხვას გასაქანს არ მისცემს და მის დასატოვებლად თავის მთელ მაცდურ მკვევრმეტყველებას მოიშველიებს.

მან სულითა და გულით და დიდი გზნებით ხელახლა მოიხადა ბოდიში. ახლა ყველა მას გლეჯს და წეწს: მადრიდელი თავისუფალი მოაზროვნენი და გონებაჩლუნგი გრანდები, ფანატიკოსი ულტრამონტანები, საფრანგეთი და პორტუგალია. არც გაუთლელ მოქალაქე ტრიუგესა და არც ცივ, პატარა, მელიასავით ეშმაკ ტალეირანს არაფერი ესმით მისი უნაკლო, ჭეშმარიტად სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებებისა. ის სულ მარტოა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც მისი ესმოდა, ეს იყო გენერალი ბონაპარტე, ახლა რომ სადღაც ეგვიპტეში იბრძოდა. არაფერია საკვირველი, რომ კაცმა ასეთ ვითარებაში წუთით გონება დაკარგოს.

— მე სასჯელი დავმისახურე, — გამოტყდა ის, — მაგრამ ასე სასტიკად არ უნდა დამსაჯოთ, სენიორა, ასე სასტიკად არ უნდა დამსაჯო შენ მე, პეპა. — და ხელი დაუჭირა.

პეპამ ხელი წაართვა, მაგრამ გაგულსებულმა კი არა. განაცხადა, რომ მადრიდში ცხოვრება მას არ აკმაყოფილებდა, დიდხანს იყო მანუელი მისი ნუგეში. მისმა ძლიერებამ და გულითადმა თავაზიანობამ გაიტაცა, ეგონა, რომ მანუელი იყო მახოცა და გრანდიც ერთდროულად. მაგრამ პეპა მოტყუებულა. მადრიდში თურმე მას მეტი აღარაფერი დარჩენია გასახსენებელი.

პეპას რომანტიულმა დარღმა მანუელზე შთაბეჭდილება მოახდინა. დაუწყო გატაცებით რწმუნება, რომ არ შეეძლო მისი მადრიდიდან გაშვება. თუ ის წავიდოდა, მანუელიც მიატოვებდა სამსახურს და თავის რომელიმე მამულში განმარტოებული დარდსა და ფილოსოფიას მისცემდა თავს.

— ესპანეთის კეთილდღეობისათვის უნდა დარჩეთ ჩემთან, სენიორა! — წამოიკვირა მან. — თქვენ ერთადერთი ბედნიერება ხართ ჩემი მძიმე ცხოვრებისა. უთქვენოდ ვერ წარმომიდგენია ჩემი გატანჯული არსებობა.

პეპამ თეთრი სახე მისკენ მიაბრუნა და თავისი ურცხვი თვალები შეანათა. შემდეგ, ნელა, მანუელისათვის შეჩვეული მინაზებული დაბალი ხმით უპასუხა:

— თუ ასეა, დონ მანუელ, მაშინ კეთილინებეთ და მარტო მე კი ნუ მეუბნებით ამას, არამედ დაანახვეთ ეს ქვეყანას! მე ძალიან დიდხანს ვეგუებოდი თქვენს საყვარლობას. თქვენს მეუღლეს არ მიაყენებდით ასეთ შეურაცხყოფას. მე შემიძლია მოვითხოვო, რომ თქვენ ოფიციალურად მცნოთ.

მანუელი შეკრთა. შერთვა! პეპას შერთვა! ყველა ღვარძლიანი ესპანური ანდაზა მოაგონდა ერთბაშად:

„Antes de ca sar, ten casas en que moran: ვიდრე ცოლს შეირთავდე, დაუკვირდი, ვის ირჩევ“. და „ვინც სიყვარულით ირთავს, ბრაზით იხრჩობა“. მაგრამ აღარ სურდა მეორედაც ხელმოცარული წასულიყო აქედან.

მან თქვა, რომ მთელი უკანასკნელი თვეების განმავლობაში ფიქრობდა პეპას ხელის თხოვნას, მაგრამ ეს ქორწინება გამოიწვევდა დონია მარია ლუიზასთან დამოკიდებულების გამწვავებას, გამოიწვევდა მის სამსახურიდან განთავისუფლებას, გამოიწვევდა ესპანეთისათვის საშიშროებას. მის გარდა არავის შეეძლო კარგად დაეგვირგვინებინა პორტუგალიასა და საფრანგეთს შორის ეს მუშაითური თამაში.

— მე რომ ჩემს გულისთქმას ავყვე და შეგიერთოთ, სენიორა, — დაასკვნა მან, — ეს ნიშნავს ომს ან პორტუგალიასთან, ან საფრანგეთთან.

პეპა თვალმოუშორებლად სახეში შეჰყურებდა და მშრალად და ცივად მიახალა:

— შესაძლოა თქვენ მართალი იყოთ. და ამიტომაც: ყოველივე კეთილს გისურვებთ!

დონ მანუელს გამოსავალი უნდა ეპოვნა.

— მომეცი დრო, პეპა! — ითხოვა მან, — მომეცი ცოტა დრო!

— სამი დღე, — უთხრა პეპამ.

მესამე დღეს მანუელმა განაცხადა, რომ იპოვა გამოსავალი.

ის შეირთავდა პეპას, მაგრამ ჭერჭერობით ფარულად. როგორც კი პორტუგალიის საკითხს მოაგვარებდა, მაშინ მეფის ტახტის გულისწყრომას არად ჩააგდებდა და სახელმწიფოსა და მთელ მსოფლიოს ამცნობდა თავისი ქორწინების ამბავს.

პეპა დაეთანხმა.

გამონახენ ერთი ვილაცა მოხუცი, დარბაისელი ბადახოსელი მღვდელი სელესტინოსი. პადრე, რომელიც პატარა პოლიტიკურ ინტრიგებს ქსელავდა, მზად იყო თავისი ყოვლისშემძლე თანამემამულისათვის სიხარულით გაეწია სამსახური.

ქალაქში ღამით თავადის კარზე
იქვე, პატარა სამლოცველოში,
მოხდა ჭერისწერა... და მოცახცახე
სანთლები ირგვლივ აფენდნენ ნათელს.
და ყველაფერი ჩატარდა რიგზე,
მართლაცდა ისე რომანტიულად,
პეპას რომ სურდა.
ჭერისწერის მოწმედ
იყვნენ დონ მიგელ და დუენია, —
მოხუცებული კონჩიტა.
მღვდელმა
მტყიე ფიცის ქვეშ
უბრძანა ყველას,
ამ საიდუმლოს ისე შენახვა,
რომ ვერ გაიგოს
ქვეყნად ვერავინ,
რაც ღამით მოხდა.

3

როცა დედოფალმა ყური მოჰკრა, მშვიდობის თავადს სენიორა ტულო შეურთავს ცოლადო, მის განრისხებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მან ამოათრია სიბინძურიდან ეს ვიგინდარა, სახელმწიფოს პირველ კაცად აქცია და ახლა კი თავით ფეხებამდე იმ როსკიპის განკარგულებაში მოექცა! მას, ამ უტვინო ჩასქელებულ დედაკაცს, ამ ბატსა და ღორს

გადასცა ბრწყინვალე ტიტულები, რომლებითაც მარია ლუიზამ დააჯილდოვა! წარმოდგინა, როგორ იწვა მანუელი თავის პეპასთან ლოგინში და როგორ დასცინოდნენ მას, მოტყუებულ დედაბერს. მაგრამ მანუელს ანგარიში აერია; ო, ეს ვიგინდარა, ეს არარაობა! ასეული შემთხვევა შეიძლებოდა გამოძებნილიყო მფლანგველობისა და დალატისა, რისთვისაც მისი სამართალში მიცემა შეიძლებოდა. მანუელი უსი-რცხვილოდ ძარცვავდა მეფის ხაზინას, ქრთამს იღებდა უცხოეთის სახელმწიფოებიდან, მან გასცა წმინდა მამა, საუკეთესო მოკავშირე. პარიზის დირექტორიის ურჯულო კაცებთან ინტრიგების ქსელს ხლართავდა კათოლიკე მეფის წინააღმდეგ. დალატობდა ყველას, მტერსა და მოყვარეს, ანგარების, პატივმოყვარეობის გამო, ან უბრალო ჟინის მოსაკლავად. მაგრამ ახლა სასამართლოს წინაშე დააყენებს, კასტილიის სამეფო სასამართლოს წინაშე, სამარცხვინოდ დასჯის და ეს ყველას გაუხარდება: პრელატებსაც, გრანდებსაც და მთელ ესპანელ ხალხს. იმ პიროვნებას კი, იმ მეძავეს, წელს ზევით გაშიშვლებულს შემოატარებინებს ქალაქს და შემდეგ კი გაამათრახებინებს.

მაგრამ იცოდა, რომ ამას ვერც ერთს ვერ გააკეთებდა. დედოფალი გონიერი ქალი იყო, იცნობდა ცხოვრებასა და ადამიანებს, თავის მანუელსაც და თავის თავსაც. მანუელს იზიდავდა დედოფლის ჭკუა და ძალაუფლება, რითაც ქალი ახერხებდა მასში გრძნობის გაღვიძებას. დროდადრო დედოფალს ბედი გაუღიმებდა და ეს გრძნობა ვნებად და სიყვარულად ექცეოდა დონ მანუელს. მაგრამ რა ხელოვნური და რა დროებითი იყო ეს სიყვარული! სანამდე შეეძლო შეუხედავ, ხანში შესულ ქალს ასეთი ახალგაზრდა და ჯან-ღონით სავსე მამაკაცის შენარჩუნება! თავისი ორმოცდამთხუთხრე წლის ასაკის მოგონებაზე გულზე სევდა და უიმედობა შემოაწვა. მისი ცხოვრება იყო გაუთავებელი ბრძოლა ათას, ათიათას ლამაზ, ესპანელ ყმაწვილ ქალთან. შეეძლო ყოველთვის გამოეწერა დამხმარე საშუალებები: კაბები პარიზიდან, ფერ-უმარილი, მალამოები, პუდრები, მოეწვია ცეკვის საუკეთესო მანწავლებლები და დალაქები. მაგრამ, ყოველი თავქარიანი პასკიტას, კონსუელასა და დოლორესის ქორთვა კანთან შედარებით, ეს ყველაფერი სასაცილო იქნებოდა.

და მაინც ასე სჯობს, როგორც არის, აი მაგალითად, ალბაც სულ რამდენიმე წლის შემდეგ იმ ხნის იქნება, როგორც დღეს თვითონ არის, და რაღა იქნება მაშინ ალბა? დემჰკნარი და გამოფიტული. იგო

კი, მარია ლუიზა, ულამაზობამ აიძულა გონება ევარჯიშებინა, დაკეიანდა, რადგან შეუხედავი იყო, ჭკუა კი მუდამ ექნება.

ბოლოს და ბოლოს, ყოველთვის მნიშვნელოვანი პიროვნება იქნება. ღვთის მადლით დედოფალია ესპანეთის სამეფოსი, აღმოსავლეთ და დასავლეთ ინდოეთის, ოკეანის კუნძულებისა, და მატერიკისა, მფლობელი ავსტრიისა და ბურგუნდიის საჰერცოგოსი, ჰაბსბურგთა, ფლანდრიისა და ტიროლის საგრაფოების. ეს ამხელა სამფლობელო, მართალია, აღარ არის მთლად ახალგაზრდა და მასავით სიბერეში შედგა ფეხი, მოქალაქე ტრიუგესაც თავხედობა ყოფნის კათოლიკე მმართველებს განკარგულებები მისცეს, მაგრამ ჯერ კიდევ მიუხედავად ყველაფრისა, ის ქვეყანაზე მაინც უძლიერესი ქალია. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ბრიყვი კარლოსი კი არ მართავს ესპანეთს, ორივე ინდოეთს და ოკეანეს, არამედ მარია ლუიზა.

და ამგვარ ქალს ამჯობინა იმ გამოტვივებულმა პეპა ტუდო! თავისი თავი სარკეში შეათვალიერა, მაგრამ სარკემ უჩვენა ის, როგორც ახლა, ამ წარმავალ წუთში იყო, — წონასწორობიდან გამოსული აღმწვთობელი ამბის გაგებით. არა, ეს ის არ იყო, ეს არ იყო ჭეშმარიტი მარია ლუიზა.

წამოდგა, რომ ჭეშმარიტი მარია ლუიზა ეხილა, გამოვიდა ბუდუარიდან. უფროსი სეფექალი, კამარერა მაიორი, რომელიც მას წინადადებაში ელოდებოდა, მოემზადა გაჰყოლოდა დედოფალს, როგორც ამას ცერემონიალი მოითხოვდა. მარია ლუიზამ მოუთმენლად მოიშორა თავიდან. მარტომ გაიარა განიერი დარბაზები და დერეფნები, გვერდით ჩაუარა მღვდლებსა და ლაქიებს, ჩაუარა საღარაჯოზე მდგომ ოფიცრებს და კარის მსახურებს, რომლებიც თავს მიწამდე ხრიდნენ. მარტო დადგა მდიდრულ საზეიმო დარბაზში „კარლოსის ოჯახის“ წინ.

აი, ამ სურათზე გამონატული იყო ჭეშმარიტი მარია ლუიზა. მხატვარი იცნობდა მას, იცოდა მისი ამბავი, შესაძლოა მხოლოდ ის იცნობდა და სხვა არავინ. სინამდვილეში ისეთივე იყო, როგორც ამ სურათზე, პატივისცემის გამომწვევი; აქ იდგა თავისიანებს შორის. მმართველ მეფესა და მომავალ მეფეებსა და დედოფლებს შორის, ამ ოჯახის დედაბოძი, შეუხედავი და ამაყი; ამგვარი თავს დამარცხებულად არ ჩათვლის იმის გამო, რომ შემთხვევით შეუყვარდა ვინმე ბრიყვი, რომელმაც მის ზურგს უკან თავისი მეძავე შეირთო. მან არ უნდა და-

ზაქოს ის კაცი. არ არის ამის ღირსი, რომ მისთვის იბრძოლოს, მაგრამ ის დედოფალია და მოვალეა თავის თავის წინაშე, რომ ყველაფერი იქონიოს, რასაც მოისურვებს და შეინარჩუნოს ის, რის შენარჩუნებაც სურს. ჭერ კიდევ არ იცის, რა გზით, მაგრამ ამ კაცს უთუოდ შეინარჩუნებს.

იმ ღამეს გულიანად ეძინა, დილით კი უკვე მოფიქრებული ჰქონდა კარგი გეგმა.

ელაპარაკა კარლოსს გაუთავებელ პოლიტიკურ საზრუნავზე. ჩამოთვალა კადისელ ვაჭრებთან დავა გადასახადების გადაუხდელობის გამო, უსირცხვილო ტრიუგესთან მოლაპარაკება, ფლოტის შეამბოხე ოფიცრებთან საქმის გართულება. ერთადერთ კაცს ეკისრა ყველა ამის მოგვარება — პირველ მინისტრს. საჭირო იყო მისი დახმარება და მისი ავტორიტეტის განმტკიცება. კარლოსი ჩაფიქრდა.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა მან, — მაგრამ უკეთესი ვედარაფერი მომიფიქრებია. აბა სადღა არის მეტი ტიტულები და მედლები, რაც ჩვენ მანუელისათვის გვიბოძებია?

— იქნებ. — თქვა მარია ლუიზამ, — ერთი მოქნევით ორი კურდღელი დაეიქაროთ. ჩემი აზრით, დროა ბარემ ბოლო მოვუღოთ ცნობილი ძია ლუისის შვილების მიერ გამოწვეულ უხერხულ მდგომარეობას.

ძია ლუისი, კარლოსს მესამის ძმა, ის ინფანტი იყო, რომელმაც მანდილოსანი ვალაბრიგა შეირთო, უბრალო აზნაურის ქალი, მისი შვილები ბურბონისა და ჩინჩონის გრაფების უბრალო ტიტულს ატარებდნენ. მათი ცერემონიალებში ჩართვა ყოველთვის სიძნელეს წარმოადგენდა.

კარლოსმა შეხედა დედოფალს და ვერაფერი გაიგო.

— რა იქნებოდა, — თქვა მარია ლუიზამ, — რომ ორივე „კასტილიის ინფანტებად“ გვექცია და ჩვენი მანუელისათვის დონია ტერესა, „ინფანტა“, შეგვეერთო ცოლად? მაშინ ისიც ინფანტი გახდებოდა და ოჯახის საგვარეულოში შევიდოდა.

— კარგი იდეაა, — დაჰკრა კვერი კარლოსმა, — მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩემი ნეტარსენებული მამის მოსაწონი იყოს. ჩემმა ნეტარსენებულმა მამამ დონ ლუისს და დონია ტერესას ბრწყინვალეა უბოძა და მეფური აღმატებულება კი არ მიუცია.

— დრო იცვლება — შემწყნარებელი მოთმინებით განუმარტა მარია ლუიზამ, — შენ, ჩემო ძვირფასო კარლოს, ზოგიერთ შემთხვევაში მიმიგაციას მითითებანი, რომლებიც ნეტარსენებული მამაშენის განკარგულებებს აფართოებენ, რატომ ამ შემთხვევაშიც არ უნდა გასცე ასეთი განკარგულება?

— როგორც ყოველთვის, შენ ახლაც მართალი ხარ, — დაურთო კარლოსმა.

დედოფალი საქმეს ენერგიულად შეუდგა. ინფანტა ტერესას მოწყალე თვალთ არ უყურებდა. ამ უბრალო აზნაურის ქალს თავი ღირსეულად ექირა და მარია ლუიზას აბრაზებდა ის, რომ ამ ქვეშევშას არ მოსწონდა დედოფლის საქციელი, თუმცა, რა თქმა უნდა, ამის თაობაზე ხმამაღლა არაფერი წამოსცდებოდა. დედოფალს სასიეროდ მიაჩნდა იმის მოფიქრება, რომ ქერა, ჩუმი, მონაზონივით მორცხვი ტერესა იძულებული გახდებოდა ლოგინში ჩაუწვეს ამ ხარს, — მანუელს.

იმავე დღეს, როცა მეფის თანხმობას მიაღწია დონია ტერესას მანუელისათვის მითხოვებაზე, შეუთვალა პირველ მინისტრს, რომ მოსალაპარაკებელი საქმე ჰქონდა მასთან.

დონ მანუელმა იცოდა, დედოფალს, მიუხედავად მტკიცე საიდუმლოებისა, მისი ქორწინების ამბავი შეუტყობელი არ დარჩებოდა და მოახლოებული ქარიშხლის გამო უსიამოვნებისა და შიშის ჟრუანტელმა აიტანა.

მაგრამ მარია ლუიზა სახეგაბრწყინებული დახვდა.

— მანუელ, — უთხრა მან, — მანუელიტო, დიდი გასახარელი ანბავი უნდა გაცნობო. დონ კარლოსმა კასტილიის ინფანტობა უნდა უბოძოს გრაფებს ბურბონებსა და ჩინჩონებს. შენ შეირთავ დონია ტერესას და მისი ტიტულის მონაწილე გახდები. მოხარული ვარ, რომ ამ გზით, შენი და ჩვენი ახლო ურთიერთობა მთელი ქვეყნისათვის ნათელი გახდება.

მოსალოდნელი სასტიკი კექა-ქუხილის ნაცვლად, ამ კოკისპირული ბედნიერებისა და მოწყალეების გარდმოვლენით გაოცებულმა მანუელმა პირველად ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ; გამომტერებული იდგა, მერე სიხარულმა აიტაცა. *Por la vida del demonio!* ნამდვილად ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილა დაბადებული. რასაც კი ხელს წაავლებდა, ყველაფერი მაღლად ექცეოდა. რა ხალისიანი და ნათელი იყო

მისი ბედნიერება! ახლა სამაგიეროს მიუზღავს დონ ლუის მარიას, რომელმაც ასე უზრდელად ცარიელ ადგილად ჩასთვალა იგი. მანუელი ამ ყოყოჩას დას მოუწვევა და ახლა ეს, აბუჩად აგდებული მანუელიტო, ნახევარ ბურბონს მთლიანად გახდის, ბასტარდ ლუისს კანონიერ ინფანტად აქცევს.

ამას ფიქრობდა მანუელი და გული სიამაყით აევსო. მამამისი მართალი იყო, როცა მას გამრჯე მოზვერს უწოდებდა, თავის გარჯით შეძლო მან დედოფლის მიმხრობა და მან შეხედა თავის ბებერ მარია ლუიზას მესაკუთრის კმაყოფილი, ნაზი, მოსიყვარულე თვალით.

დედოფალი მას ბეჯითად აკვირდებოდა. ეგონა, ეს ამბავი მანუელს შეაწუხებდა, დიდად შეაკრთობდა იმ დედაკაცის, პეპა ტუდოს, და სულელური ქორწინების მოგონება. მაგრამ მანუელს ოდნავი დარცხვენა და უხერხულობაც არ დაუმჩნევია. პირიქით, ის იდგა დიდებული შესახედავი, ბრწყინვალე მუნდირში გამოქიმული. მისი განიერი, გაბადრული, ლამაზი სახე მადლიერებითა და სიხარულით იყო გაბრწყინებული და მეტი არაფერი ემჩნეოდა. მარია ლუიზამ წუთით გაიფიქრა, რომ ყალბი ხმები დარხეულა და თავმოსაქრელი ქორწინება არც კი მომხდარაო.

სინამდვილეში კი მანუელს თავის ბედნიერების ნიაღვარში პეპა და მასთან ჯვარისწერა სულ გადაავიწყდა. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, გონს მოეგო. Carajo! ფიქრა და: Carajo! ამოიკითხებოდა მის სახეზე. მაგრამ მასში მოზღვავებულმა ბედნიერების გრძობამ წამსვე წალეკა მისი უსიამოვნება, თავისი ქორწინების კვალის გაქრობა იოლ საქმედ მიიჩნია. ამისათვის საჭირო იყო მხოლოდ ცოტაოდენი დრო.

მას შემდეგ, რაც დედოფალს უდიდესი მადლობა მოახსენა, მისი ხორცსავსე, ბექდებიანი ხელი მხურვალედ რამდენჯერმე დაკოცნა, სთხოვა ნება მიეცა, დონია ტერესასთან და მეფის ოჯახთან ბედნიერი დაკავშირება ორი ან სამი კვირის შემდეგ გამოეცხადებინათ. დედოფალმა გულში მწარედ ჩაიციხა, გულუბრყვილოდ ჰკითხა გადავადების მიზეზი. მანუელმა საიდუმლოების გზები არივ-დარია. განაცხადა, რომ განზრახული ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური გეგმებისათვის თავი დაედგა, რომლებიც მისი ამბოღების შემდეგ შეიძლება გართულებულიყო.

რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო ძნელი ეჩვენებოდა პე-

პასთან ფარული ჯვარისწერისაგან თავის დაღწევა. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ჯვარისწერა უარეყო; საკმარისი იყო დიდი ინკვიზიტორისათვის თვალი ჩაეკრა და მისი თანამემამულე, პადრე გელესტინოსი რომელიმე შორეულ მონასტერში გადაიკარგებოდა. მაგრამ რას იზამს პეპა? როცა გაიგებს, რომ მისი ჯვარისწერა არ მომხდარა, თავს წარმოიდგენს თავის ერთ-ერთი რომანსის გმირ ქალად. შესაძლოა თავიც მოიკლას, რაღაც საოცარ დრამატულ სოსულელეს ჩაიდენს, რაც ინფანტასთან მის დაქორწინებას შეუძლებელს გახდის. ცხადია, მას გააჩნდა საშუალება, რომ პეპა სამუდამოდ ჩამოეშორებინა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო თავისი ცხოვრება უმისოდ წარმოედგინა.

მანუელი გამოსავალს ვერ პოულობდა და თავის მიგელს გამოუტყდა.

მან მოუსმინა დონ მანუელს, თავაზიანად, თანაგრძნობის გამომხატველი გამომეტყველებით, მაგრამ გულში კი ღელავდა. მანუელი ყოველ ნაბოძებ წარმატებასთან ერთად, თანდათან კადნიერდებოდა და თავის მდივანს ლაქიასავით ეპყრობოდა. შისი უნამუსო სიწუწუკე, მისი განურჩეველი ავხორცობა, მისი დაუცხრომელი პატივმოყვარეობა თანდათან უციებდა გულს მასზე მიგელს. ახლა, როცა მანუელმა თავისი ახალი გასაჭირი შესჩივლა, მიგელს უნდოდა მანუელს მარტოს ეგემნა თავისი წამხდარი საქმე. ცბიერი დედოფლის გეგმა, ცხადია, იქითგნ იყო მიმართული, მანუელი პეპასთვის სამუდამოდ ჩამოეშორებინა, მაგრამ მანუელს არ შეეძლო პეპას მიტოვება. დონია მარია ლუიზა ვერ მოითმენს ამ სამუდამო კავშირს, შურის მაძიებელი ქალი მანუელს ჩამოაგდებს, თუ მას მიგელი არ გაუწვდის ხელს. უნდა გაუწოდოს კი დასახმარებლად ხელი? განა ბედნიერება არ იქნებოდა, ნამდვილი ბედნიერება, ასეთი უსულგულო ამპარტავანი კაცის თავიდან მოშორება? მაშინ ხომ შეძლებს მთელი დრო თავის სურათებს შეწიროს და დაწყებული დიდი შრომა, მხატვართა ლექსიკონი, დაასრულოს? მაგრამ წარმოიდგინა თავისი თავი უსაზღვროდ მარტო, თავის სურათებსა და ქაღალდებში. მან იცოდა, რომ სწორედ ისე, როგორც ეს მანუელი იყო მიჯაჭვული თავის პეპასთან, ასევე მისი, მიგელის, ფიქრებიც მარად ჭევდიანად იტრიალებდა ლუსიას ირგვლივ. მხოლოდ ამაღლელებელ სახელმწიფოებრივ თამაშს შეეძლო მისი აყოლიება, მას არ შეუძლია ამის გარეშე, არ შეუძლია უარი თქვას ქვეყნის წყვედიადიდან გამოყვანაზე. ის დაეხმარება მანუელს გასაჭირიდან თავის დახსნაში.

მან აწონ-დაწონა მდგომარეობა, შეადგინა გეგმა და შესთავაზა მანუელს. მანუელმა ხარბად ჩასჰიდა მას ხელი, მოეხვია ერთგულ მიგელს და თავი ბედნიერად შიიჩნია.

ეახლა მეფეს. საიდუმლოდ განუცხადა, რომ მოსული იყო პირად საქმეზე, რჩევა-დარიგებისა და დანხარების სათხოვნელად, როგორც მამაკაცი მამაკაცთან, როგორც კაბალიერო კაბალიეროსთან.

—რა მოხდა? — ჰკითხა კარლოსმა, — ჩვენ საფრანგეთს გავართვით თავი, შენი გულის საქმეებსაც გავართმევთ თავს როგორც იქნება.

ასეთი მოპყრობით გამხრევებული მანუელი გამოუტყდა მეფეს, რომ მას საყვარლად ჰყავდა ერთი მშვენიერი ქალი, დაბალი წრიდან გამოსული, ვინმე სენიორა ხოსევა ტუდო, ეს სიახლოვე გრძელდებოდა წლების მანძილზე და თავს იტეხდა, როგორ ეთქვა ამ ქალისათვის თავისი მომავალი დაქორწინების ამბავი. მისი აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალი ჰქონდა: საჭირო იყო პეპასთვის განემარტებინათ, რომ ინფანტასთან განზრახული ქორწინება სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის უნდა მომხდარიყო, რათა პიწველი მინისტრის პიროვნებას ბრწყინვალეობა შეჰმატებოდა, რასაც მნიშვნელობა ექნებოდა მოლაპარაკების დროს საფრანგეთთან, ინგლისთან და პორტუგალიასთან.

—მერედა რატომ არ აუხსნი ყოველივე ამას? — ჰკითხა დონ კარლოსმა.

—ეს ავტორიტეტულმა პიროვნებამ უნდა აუხსნას, თქვენო უბრწყინვალესობავ, თქვენ თვითონ რომ აუხსნიდეთ სენიორა ტუდოს, რომ ჩემი დაქორწინება სახელმწიფოს ინტერესებისათვის ხდება, მაშინ უფრო იოლად გადაიტანდა ჩემს მიერ მიყენებულ საშინელ სატანჯველს.

მეფე ჩაფიქრდა. შემდეგ თვალი ჩაუყრა და დაცინვით ჰკითხა:

—შენ გინდა შევაგონო წაა. რომ მაშინაც არ გამოგადოს, როცა დონია ტერესას შეირთავ?

—სწორედ მეც მაგას ვფიქრობდი, — უპასუხა მანუელმა, — მე გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, კიდევ ერთხელ დამდოთ დიდი პატივი და ჩემთან ერთად ივანშემოთ, ეს ვანშემობა უნდა მოხდეს სენიორა ტუდოს სახლში. თქვენი სტუმრობა სენიორა ტუდოსათვის დიდი პატივი იქნება და მაშინ მიმართავთ თქვენ სენიორა ტუდოს ორიოდ გულთბილი სიტყვით, რომლითაც თქვენს ქვეშევრდომებს ხში-

რად აბედნიერებთ ხოლმე, აუხსნით, რომ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ჩემთან დამოკიდებულება არ უნდა შეწყვიტოს და ამით სამუდამოდ გამაბედნიერებთ.

— კეთილი, — უთხრა ცოტა ფიქრის შემდეგ დონ კარლოსმა. — მე არ დაგაბრკოლებ.

მეფე დაჰპირდა მანუელს, რომ ოთხშაბათს, 6 საათსა და 45 წუთზე, უბრალო გენერლის მუნდირში გამოწყობილი, ბონდად რეალის სასახლეში გამოცხადდებოდა.

დონ მანუელმა ჰკითხა პეპას, შეეძლო თუ არა ოთხშაბათს მასთან ევანშმა და თან ერთი მეგობარი მიეყვანა?

— ვინ? — ჰკითხა პეპამ.

— მეფე, — უპასუხა დონ მანუელმა.

პეპას შშვიდი სახე გაკვირვებოსაგან გაუშეშდა.

— დიახ, — სიხარულით განაცხადა დონ მანუელმა, — მეფე, ჩვენი ბატონი, დაინტერესებულია თქვენი გაცნობით.

— შენ შეატყობინე მას ჩვენი ქორწინების ამბავი? — ჰკითხა ბედნიერმა პეპამ.

მანუელმა პასუხს თავი აარიდა.

— მეფემ შენ ერთი საგულისხმო ამბავი უნდა შეგატყობინოს, — უპასუხა მან.

— გეთაყვა, მითხარი, რა უნდა შემატყობინოს, — მოითხოვა პეპამ. — მე არ მინდა მოუშაადებელი დავხვდე, რაკი მეფე პატივს მღებს და ჩემთან პურის ჭამას კადრულობს.

დონ მანუელმა შექმნილი მდგომარეობა გამოიყენა და უხეშად და მოკლედ მიახალა.

— მეფეს სურს, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მისი ბიძაშვილი დონია ტერესა შევირთო. ეს უნდა, რომ გაცნობოს. მეფე მას ინფანტობას უბოძებს და ამ გზით მეც ინფანტად მაქცევს, ასე რომ, ჩვენი ქორწინება გაუქმებულად ჩაითვლება.

როცა გულწასული პეპა გონს მოვიდა, გულჩვილი საყვარელი მას მზრუნველობით უვლიდა. მანუელი ქალს უხსნიდა, რომ დიპლომატიური საქმეების კარგად დაგვირგვინება, რომელსაც სამეფო ტახტი და სამშობლო აკისრებდა მას, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მეფის ავტორიტეტით იქნებოდა აღჭურვილი და მეფის ოჯახის წევრი — ინფანტი — გახდებოდა, რომ მან იცოდა, თუ რა საშინელ

მსხვერპლს ითხოვდნენ მისგან. სწორედ ამიტომ გახადა დონ კარლოს-
მა თავისი სტუმრობის ღირსი. როცა მეფე მას გაიცნობდა, მადრიდის
საზოგადოებაში პეპას ადგილი სამუდამოდ განმტკიცდებოდა. ამასთან
დიდი ტიტულიც ელოდა. მეფე მოლაპარაკებას აწარმოებდა გრაფ
კასტილოფილთან, ხანში შესულ ბატონთან, სწორედ რომ ეთქვათ, და-
ლზე მოხუცებულ ბატონთან, რომელიც ვალებში იყო გახვეული და
მალაგის შემოგარენთან მდებარე თავის დიდ მამულში ცხოვრობდა.
გრაფი მზადაა პეპა შეირთოს. ის სიკვდილამდე, რომელსაც ბევრი აღ-
არ დააგვიანდებდა, მალაგიდან ფენს არ მოიცილის, ხოლო მისი *Seniora
de titulo*-ს ადგილსამყოფელი ძველებურად ისევ მადრიდი დარჩება.

— კი მაგრამ, ჩვენ ხომ ჯვარღაწერილები ვართ, — თქვა ჩაფიქრე-
ბულმა პეპამ.

— რა თქმა უნდა, — უპასუხა მანუელმა, — მაგრამ არ ვიცი, შევძ-
ლებთ თუ არა ამის დამტკიცებას. ერთადერთი სანდო მოწმე, სახელ-
დობრ, პადრე სელესტინოსი, — თქვა დაღვრემილმა მანუელმა, — და-
იყარგა, უგზო-უკვლოდ გაქრა.

პეპა დარწმუნდა, რომ ბედს არ სურდა მანუელთან მისი კანონიე-
რი შეუღლება. მიუხედავად პოეტურისადმი სიყვარულისა, იგი საღი
გონების თვალთ უყურებდა სინამდვილეს და ღამის ქორწინება სა-
იმედოდ არ მიაჩნდა; გადაწყვიტა ბედს დამორჩილებოდა.

— როგორ გვათამაშებს ბედო! — თქვა მან ოცნებით, — შენ ახლა
ინფანტიც გახდები! კასტალიის ინფანტი!

— ეს მხოლოდ და მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, — უთხრა
ალერსიანად მანუელმა.

— და მეფე თავისი მობრძანებით ჩვენს ფარულ კავშირს სანქციას
აღებს? — ჰკითხა პეპამ.

— ის კიდევაც გთხოვს იმღერო, — უპასუხა მანუელმა. — აი ნახავ,
თუ არა.

— და მე მართლა *Condesa* კასტილოფილი გავხდები? — დასარწ-
მუნებლად იკითხა პეპამ.

— *Oui, Madame*, — მიუგო მანუელმა.

— მაგრამ შენ თქვი, რომ მოხუცი გრაფი ვალებშია გახვეუ-
ლიო? — იკითხა რამდენადმე შეწუხებულმა პეპამ.

— გეთყვა, ეგ ჩემზე იყოს, — უპასუხა აღტაცებულმა მანუელ-

მა — Condesa კასტილოფილი ისე იცხოვრებს, როგორც სახელმწიფოს უღამაზეს მანდილოსანს და ინფანტ მანუელის მეგობარს შეეფერება.

— მზად ვარ შენთვის გაეუჩინარდე, — უთხრა პეპამ.

ოთხშაბათს, საღამოს 6 საათსა და 45 წუთზე, ღონ კარლოსი მანუელის თანხლებით ბონდად რეალის სასახლეში შებრძანდა. მას უბრალო გენერლის მუნდირი ეცვა და თავისუფლად იქცეოდა. შეათვალერა პეპა და თქვა, რომ მისი საყვარელი მანუელი თურმე მართო სახელმწიფო საქმეებში როდი ერკვეოდა კარგად.

და მოფერებით ქალბატონ ტუდოს
მხარზე სათუთად დაადო ხელი,
მეტად შეუქო ქალს რომანსები
ღა აღიარა, რომ ოლა ხახვით
მას საუცხოო გამოუვიდა.
იქვე შეპირდა, რომ მომავალში
ვიოლინზე დაკვრით გაართობს.
ბოლოს კი როცა დაშვიდობების
ღრო მოახლოვდა, დიდმა სტუმარმა
წარმოთქვა სიტყვა:
„ქალზე ძნელია —
ქვეყანა მართო, იგი მოითხოვს
წარმოუდგენელ შრომას და ზრუნვას...
და, ვფიქრობ, ახლა, ძვირფასო ჩემო,
აღბათ, თქვენთვისაც გასაგებია,
თუ რა მიმიგა და მომქანცველი
ტვირთი საბრალო მანუელისა.
და მუდამ დარჩით სიკეთით სავსე
ესპანელ ქალად. გაულამაზეთ
ჩემს დიდ მეგობარს მეტად ძვირფასი
და იშვიათი წუთები, ხოლმე,
დასვენებისა.

4

გრაფის ასული დონია ტერესა დე ჩინჩონი და დე ბურბონი გამოიძახეს მისი განმარტრებული მამულიდან, არენას დე სან-პედროდან და მეფის კარზე მიიწვიეს სან ილდეფონსოში. დონია მარია ლუიზამ მეფის თანდასწრებით განუცხადა, რომ ღონ კარლოსმა გადაწყვიტა

მისი გათხოვება და მისთვის მზითვად გაიღო ხუთი მილიონი რეალი. საქმროდ გამოურჩია პირველი და თავის მრჩეველებში საუკეთესო, თავისი საყვარელი დონ მანუელი—მშვიდობის თავადი. გარდა ამისა, გადაუწყვეტია ამ შემთხვევის გამო უბოძოს მას კასტილიის ინფანტის ტიტული, რათა იგი ამიერიდან მთელი ქვეყნის თვალში შეფის ოჯახს ეკუთვნოდეს.

უკანასკნელი სიტყვები ძლივს გაიგონა დონია ტერესამ. ნაზი, ოცნა წლის ქალიშვილი, რომელიც ბევრად უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ფეხზე ძლივს იდგა, ნათელ, ამქამდ სავსებით გაფითრებულ სახეზე და მუქ ცისფერ თვალებში გამოუცნობი შაში უკრთოდა. პირი ოდნავ გაეღო. რომელიმე მამაკაცის კოცნისა და ხევენის წარმოდგენა აშინებდა მას, ხოლო დონ მანუელზე ფიქრიც კი ეზიზღებოდა.

— აბა, — უთხრა ამასობაში კმაყოფილმა დონ კარლოსმა. — კარგად მომიფიქრებია? ხომ კარგი ბიძაშვილი გყავარ?

დონია ტერესა ხელზე ემთხვია შას და დედოფალს და მოკრძალებით წარმოთქვა სათანადო სიტყვები.

დონ მანუელიც ეწვია თავის მომავალ მეუღლეს. დონია ტერესამ ის თავისი ძმის, იმ დონ ლუის მარიას თანდასწრებით მიიღო, რომელმაც თავის დროზე იმდენი ქედმაღლობა გამოიჩინა, რომ მშვიდობის თავადი ყურადღების ღირსად არ სცნო.

ახლა იდგა აქ ის, დონ ლუის მარია, პრელატის სამოსელში, ტანადი, სერიოზული ახალგაზრდა. ამ რამდენიმე კვირის წინ საოცრად აწაღდა, მეფემ არა მარტო ინფანტობა უბოძა. არამედ სევილიის არქიეპისკოპოსობის სანაცვლოდ, სახელმწიფოში უმაღლესი სასულიერო თანამდებობა—ტოლედოს არქიეპისკოპოსობა და კარდინალის ქუდი უწყალობა. მას, რა თქმა უნდა, ესმოდა მოვლენათა კავშირი, ხედავდა დონ მანუელისა და დედოფლის ბინძურ, საზიზღარ თამაშს. ზიზღს ჰგვირდა ის გარემოება, რომ მისი ამადლება უხეში მანუელ გოდოის მოწყალება იყო, და გული ეკუმშებოდა, რომ მისი ძალზე საყვარელი, ნაზი, მორცხვი და მარია ლუიზას ყოვლად საზიზღარ საყვარელს უნდა შეეწირა მსხვერპლად. მაგრამ არავითარი გამოსავალი არ არსებობდა, მეფის სიტყვა კანონი იყო, ამასთანავე, ეკლესიის ახალგაზრდა თავადი ღრმად მორწმუნე და თავგამოდებული პატრიოტი იყო. არ იყო პატივმოყვარე, მაგრამ თავის ნიჭზე ბევრ იმედს ამყარებდა. თუ ახლა მას განგება ესპანეთის პრინციპობას უბოძებდა და შესაძლებლობა

მიეცემოდა პოლიტიკისათვის მიეწვდინა ხელი, მაშინ მისი დას მსხვერპლად შეწირვა ნაძირალა, უხეში მანუელისათვის, ორივეს ნათმინებით უნდა აეტანა.

ღონ მანუელი აკვირდებოდა თავის მომავალ მეუღლეს, მას წინ იჯდა ქერა, ძალზე გამზდარი და ნაზი ასული. ოღნავ ჩამოჰგავდა ყენვეივეა დე ავრეს, რომელმაც ცოტა ხნით ადრე ბევრი უსიამოვნება მიაყენა. არა, მისი გემოვნებისა არ იყო ასეთი გაღებული მაღალი წრის ქალიშვილები, პეპას მისი მომავალი მეუღლის შიში არ უნდა აქონდეს. და შეძლებს კი ეს წრიპა, დაუბადოს მას ბავშვი, ინფანტი? მაგრამ თავის მოსაზრებას კი არ ამქლავებდა, პირიქით, წუნდაუდებლად. ნამდვილი გრანდივით იქცეოდა. დააჯერა ღონია ტერესა, რომ ბედნიერი და მადლიერი ვარო და ისეთი პატივისცემით მოეპყრო ცვირმოუხოცელ ბიჭს ლუის მარიას, როგორც ეს მისი, ეპისკოპოსის, კვერთხსა და კარდინალის ქუდს შეჰფეროდა, მიუხედავად იმისა, რომ კვერთხი და ქუდი ღონ მანუელის წყალობა იყო.

შემდეგ ესკურიალის ეკლესიაში, ამა ქვეყნის ძლიერთა საძვალეთა თავზე, მეფე-დედოფლისა და ესპანეთის გრანდების თანდასწრებით, ჯვარი დასწერეს ღონ მანუელსა და ინფანტა ტერესას. ღონ მანუელმა არა მარტო კასტილიის ინფანტის ტიტული შეიძინა, არამედ ქორწინების გამო მეფემ განსაკუთრებული მოწყალება მოიღო და უბოძა ესპანეთისა და ინდოეთის უფროსი აღმირალობა, რაც მანამდე გარდა ქრისტეფორე კოლუმბისა არავის ღირსებია.

დაახლოებით ამავე დროს მალაგაში სენიორა ტუდო ცოლად გაჰყვა გრაფ კასტილოფილს. ახალმა კონტესამ რამდენიმე ხანი დაჰყო ანდალუზიაში თავის მეუღლესთან, შემდეგ დატოვა ის მალაგაში და თვითონ მადრიდს დაბრუნდა.

ღონ მანუელმა არ უღალატა თავის დაპირებას და პეპას მისცა საშუალება ისე ეცხოვრა, როგორც სენიორას ტიტულს შეეფერებოდა. ღონია ტერესას მოტანილი ხუთი მილიონის მზითევიდან კონტესა კასტილოფილს ნახევარი მილიონი გადასცა. „ნახევარი მილიონი“ — ეს სიტყვები პეპას ყურსა და გულში პოეტურად ჟღერდა. ის მას აგონებდა თავის რომანსებს, როცა მარტო იჯდა თავის ბუღუარში, აჯღარუნებდა თავის გიტარას და ოცნებაში წასული, მღეროდა თავისთვის: „ნახევარი მილიონი“ და ისევ და ისევ „ნახევარი მილიონი“.

პეპამ გამოიყენა ახალი სიმდიდრე: ხელგამოიღო ცხოვრებას მიჰ-

ყო ხელი, ეპატივებოდა მეგობრებს თავისი სიხარულის გასაზიარებლად. იწვევდა მსახიობებს, რომლებთანაც წინათ სწავლობდა, აგრეთვე უბრალო ოფიცრებს, იმ დროის ნაცნობებს, როცა ის მეზღვაურ ტუდოს ცოლი იყო, ამასთანავე, მოხუცებულ, ოდნავ საეჭვო მანდილოსნებს, დუენია კონჩიტას მეგობრებს. მისი ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე ის სენიორ რივერო, იმპრესარიო, რომელმაც თავის დროზე მალაგაში მიიწვია თავის დასში. ეს იყო გაენილი საქმოსანი, კავშირი ჰქონდა სახელგანთქმულ კონტრაბანდისტებსა და ბანდიტებთან, აგრეთვე ხელი ერია მეგობრეთა ბნელ საქმეებში. გრაფის მეუღლე კასტილოვილია თავისი ფინანსების მართვა მას მიაწოდდა და არც წაუგია.

პეპას წარმატების სიტკბობას სიმწარეც ახლდა: მეფის კარზე აღარ მიიღეს. დონია მარია ლუიზამ ახალი გრაფის მეუღლე არ ჩათვალა ხელზე მთხვევის ღირსად. მაღალი წოდების წარმომადგენელ პიროვნებას მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო დამტკბარიყო თავისი ტიტულითა და პატივით, როცა მეფის კარზე იქნებოდა წარდგენილი.

მაგრამ მეფის კარსა და ქალაქის საზოგადოებას ხელს არ უშლიდა ის გარემოება, რომ გრაფის მეუღლე კასტილოვილი არსებითად არ ეკუთვნოდა ხუთას ოცდათხუთმეტ de Titulo პიროვნებას და მის დილის ტუალეტზე ტევა არ იყო. სწამდათ პეპას გავლენიანობა და ბონდად რეალის სასახლეში თავს იყრიდა უჩვეულოდ ნარევი საზოგადოება: გრანდები და პრელატები, მსახიობები, უბრალო ოფიცრები და საეჭვო მოხუცი მანდილოსნები.

ხალხი დაინტერესებული კითხულობდა, ამოჰყოფდა თუ არა იქ თავს ერთ მშვენიერ დღეს პირველი მინისტრი. მაგრამ მანუელს პეპას წრისაგან თავი შორს ეჭირა. თავის ინფანტასთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდა ალკუდიას სასახლეში, მის პატივსაცემად რამდენიმე დიდი წვეულება გამართა და ქვეყნის თვალში კარგი, ერთგული ქმრის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა. თუ საერთოდ ბონდად რეალის სასახლეში შედგამდა ფეხს, უთუოდ მხოლოდ უკანა კარებიდან.

მაგრამ ორი თვის გავლის შემდეგ, რომელიც საკმაოდ გრძელ განვადებად მიიჩნია, ერთ დილას პეპას დილის ტუალეტზე ხუთი წუთით გამოცხადდა. მეორეჯერ უფრო დიდხანს დარჩა და ბოლოს სულ მოუხშირა იქ სიარულს. ბოლოს ბონდად რეალის სასახლეში თავისთვის სამუშაო კაბინეტი მოიწყო — და მალე უცხოეთის წარმომადგენლები

თავ-თავიანო საქვევო კარებს წერდნენ, რომ სახელმწიფო საქმეები ახლა ბონდად რეალის სასახლეში წყდებო. თვით სენიორა პეპა ტულო არიგებს თანამდებობებსა და წოდებებს და თვით მის დუენია კონჩიტას მეტი ხმა აქვს სახელმწიფო საქმეებში, ვიდრე დონ მანუელის კოლეგებს — დანარჩენ მინისტრებსო.

დელოფალს არ ეუცხოვა ამ ამბის გაგება. მან იცოდა, რომ დონ მანუელი ამ არსებას თავს ვერ დააღწევდა და ბრაზი ახრჩობდა. აგინებდა, წყველიდა თავის თავს, რომ თვითონ არ შეეძლო მანუელის ნოცილება. მაგრამ ბუნებას ასე გაეჩინა. სხვა დიდ მბრძანებელ ქალებსაც ჰყვარებიათ ისეთი მამაკაცები, რომლებითაც მაინცდამაინც დიდად ვერ იამაყებდნენ. დიდ სემირამიდას, ჰაერის ასულს, ჰყავდა თავისი მემონი თუ ნინო, თუ რასაც უწოდებდნენ, ელისაბედს — ესეც, ეკატერინე დიდს — მისი პოტიომკინი. ასე რომ, თვითონაც არ უნდა იფიქროს თავისი ცხოვრებიდან მანუელის ამოშლა. მაგრამ ასე იოლადაც ვერ აპატიებს თავხედობას. ცხადია, ისე სულელურად არ მოიქცევა, რომ სცენები გაუმართოს მისი კონტესასათვის, ერთი სიტყვაც არ წამოსცდება იმის შესახებ, რომ მისი საყვარელი პეპასთან განაგრძობს მიჯნურობას. მაგრამ უნიჭო პირველ მინისტრს სამარცხვინოდ გააგდებს. შერისხვისათვის რამდენიც გნებავთ, იმდენი მიზეზი აქვს, კარგი. არაპირადული, პოლიტიკური საბაბი. მან საქმეს თავი ვერ გაართვა, სამეფო ტახტს სახელს უტეხს თავისი უნიჭობით, სინაზმაცით, ანგარებით, რომელსაც სახელმწიფოებრივ ღალატამდე აღარაფერი უკლია.

მაგრამ, როცა ამის შემდეგ დონ მანუელი მის წინაშე წარსდგა, მთელი უტიფარი მამაკაცური მიზიდველობით. დელოფალმა დაევიწყა თავის განზრახვა.

-- ყური მოკვარი, რომ კათოლიკე მეფის პოლიტიკა თურმე ახლა იმ უკდაკაცის ლოგინში იქმნება, — დააცხრა თავს მანუელს.

მანუელი წამსვე მიხვდა, რომ ამჯერად ფიცით და მტკიცებით ფონს ვერ გაეღოდა. ამ ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყო.

— თუ თქვენი უბრწყინვალესობის უღმობელი სიტყვები, — უთხრა მან ამაყად. ცივად და გამომწვევად, — კონტესა კასტილოფილს ეკუთვნის, მაშინ მართალია, რომ მე ხანდახან მივმართავ ხოლმე ამ ნანდილოსანს რჩევისათვის. ის კარგი მრჩეველია. სულითა და ხორციით ესპანელია და არაჩვეულებრივად ჰკვიანიც.

ახლა კი ველარ შეიკავა თავი მარია ლუიზამ.

— შე ნაძირალავ, — წამოიყვირა მან. — შე გაუმძღარო, პატივმოყვარევ, ბაქიავ, ავაზაკო, არამზადავ, არარაობავე! ბილწო, თავქარიანო, მოღალატევე, უტვინო! მე შენ სიბინძურიდან ამოგათრიე. რეგვენო, ამ ბრწყინვალე სამხედრო მუნდირში გამოგვიმე და ინფანტობა გიბოძე. ის იოტისოდენა, რაც შენ პოლიტიკაში გესმის, მხოლოდ ჩემი დიდა შრომის წყალობითაა. ახლა კი ცხვირი ავიბზუვებია, შე მათხოვარო და პირში მეუბნები, რომ იმ უნამუსოს ეკითხები რჩევას!

და მწარედ, მოულოდნელად გააწნა სახეში ბეჭდებიანი ხელით სილა, მარჯვნივ და მარცხნივ, დონ მანუელს სისხლი წასკდა და თავისი სახეიმო კოსტიუმი დასვარა.

დონ მანუელმა ერთი ხელა მაჯაში ჩასკრა და მეორე ხელით სახიდან სისხლი მოიწმინდა. წუთის რაღაც მონაკვეთში დააპირა თვითონაც გაერთყა დედოფლისათვის ჯა ისეთი მწარე სიტყვები ეთქვა, რაც მისთვის სილაზე მტივიანული იქნებოდა. მაგრამ გაახსენდა ის ცუდი შედეგი, რაც იმ სილას მოჰყვა, რომელიც ჰეპას გააწნა და ეს სამაგიეროს მიზლვად მიიჩნია; მან თავაზიანად და წყნარად უთხრა:

— ვერ დავიჯერებ, Madame, რომ თქვენ სერიოზულად ლაპარაკობთ. ძნელი დასაჯერებელია, ესპანეთის დედოფალს პირველ მრჩევლად იმ თვისებების მქონე მამაკაცი აერჩია, რომლებიც ახლა ჩამოთვალეთ. თქვენ წუთიერად დაგობნელდათ გონება, — ჯა მოწინებით დღუმატა, — აქ მომხდარი ამბის შემდეგ შემიძლია ვიფიქრო, რომ ჩემი აქ დარჩენა თქვენი უბრწყინვალესობისათვის სასურველი არ უნდა იყოს.

როგორც ამას ცერემონიალი მოითხოვდა, დონ მანუელმა ცალი მუხლი მოიხარა, ემთხვია ხელზე დედოფალს, და უკუსვლით გავიდა ოთახიდან.

შინ დაბრუნებულმა დაინახა, რომ ქაბო, მუნდირი და თეთრი შარვალი სისხლის შხეფებით იყო დაწინწკლული. „ბებერი აღქაჯი“ — გამწარებულმა შეიგინა გულში.

იგი მოეთათბირა თავის მიგელს, ვინაიდან ეგონა, მარია ლუიზა შურს იძიებდა.

სენიორ ბერმუდესმა მანუელის მდგომარეობა საშიშად არ მიიჩნია. მისი აზრით, დედოფალს შეეძლო მისთვის ხელი შეეშალა, შეეძ-

ლო თანამდებობის წართმევა, მაგრამ ბევრს კი არაფერს დაუშავებდა. სამეფო კარიდან ინფანტ მანუელის გაძევებას იოლად ვერ მოახერხებდა. ისე კი, ეშმაკურად შენიშნა დონ მიგელმა, ცუდი როდი იქნებოდა, თუ ახლა დონ მანუელის ადგილზე სხვა დაინიშნებოდა. მოსალოდნელი იყო საფრანგეთთან მძიმე დათმობებზე წასვლა და იქნებ უკეთესიც ყოფილიყო, ამის პასუხისმგებლობა შემცვლელს ეკისრა, ზოლო წამებული და პატრიოტი დონ მანუელი კი განაწყენებული გვერდზე მდგარიყო.

მანუელი ჩაფიქრდა. დონ მიგელის მოსაზრებანი საფუძვლიანად ეჩვენა. გამხიარულდა.

— მანუელ გოდოიმ კვლავ მიზანში მოარტყა, — უხაროდა მას, — შენ მიგაჩნია ჩემო კარგო, რომ წყნარად ლოდინი ჯობს?

— მე თქვენს ადგილას, — ურჩია მიგელმა, — მის უბრწყინვალესობას დავასწრებდი. რატომ პირდაპირ მეფეს არ ეახლებით და არ სთხოვთ განთავისუფლებას?

დონ მანუელი კარლოსთან მივიდა. უკანასკნელ ხანებში, მოახსენა მან, დედოფალსა და მას, მანუელს, შორის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხში ისეთი მწვავე აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, რომ შემდეგში ერთად მუშაობა უთუოდ შეუძლებელი იქნება. ამ გარემოებათა გამო, მანუელი ღრმად დარწმუნებული, რომ ამით სამსახურს გაუწევს სამშობლოს. სთხოვს მეფეს, მომავალში საქმეთა წარმოება მარტო მარია ლუიზასთან ერთად, უმისოდ აწარმოოს. რადგან დონ კარლოსმა ნათლად ვერ გაიგო, რას ეუბნებოდა. გადაწყვიტა პირდაპირ ეთქვა:

— მე გთხოვთ, მეფევე, ნება დამართოთ დავტოვო ჩემი თანამდებობა.

კარლოსი შეშფოთდა.

— მაგას ნუ მიზამ, ჩემო ძვირფასო, — დაიკვნესა მან. — ჩემთვის გასაგებია შენი ესპანური სიამაყე, მაგრამ მარია ლუიზას ეს, ცხადია, ბოროტებით არ მოსვლია. ამას მე მოვაგვარებ. წადი, ჩემო საყვარელო ინფანტო, ნუ იქცევი ასე! — მაგრამ რადგან მანუელი თავისას არ იშლიდა, მან გაიქნია დიდი თავი და უთხრა: — ყველაფერი როგორ კარგად მიდიოდა. საღამოს, როცა ნადირობიდან დავბრუნდებოდი, მოხვიდოდით თქვენ, ან ორივე ერთად, ან მარტო შენ, მეტყობდით, რა ხდებოდა, მე კი კალმის ერთი მოსმით ხელს მოვაწერდი. როგორ შემიძლია ვენდო სხვას? ამის წარმოდგენა არ შემიძლია.

ის დაღვრემილი იჯდა. მანუელიც ღუმდა.

— მიჩიე მაინც, ვინ უნდა იქნეს შენი შემცვლელი. — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ოდნავ დამშვიდებულმა მეფემ.

მანუელი მოელოდა ამ შეკითხვას და წინასწარ შეადგინა ისეთი ეშმაკური, გაბედული და საიმედო გეგმა, რომ თავის მიგელთანაც ვერ გაბედა ამის თაობაზე მოთათბირება, ვინაიდან მას ხშირად იპყრობდა სინდისის ქენჯნა. მანუელს სურდა მეფისთვის რჩევა შეეთავაზებინა, სახელმწიფოში ორი საპასუხისმგებლო პოსტი მიენდო ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ შეხედულებათა ადამიანებისათვის. ამით ის ვარაუდობდა, რომ ყოველთვის, როცა ერთი ახალი ღონისძიების გატარებას მოინდომებდა, მეორე წინ გადაეღობებოდა და ამგვარად მთავრობის საშინაო პოლიტიკა დაუძლურდებოდა. მათ უბრწყინვალესობებს მალე დასჭირდებოდათ მხსნელის მოძებნა; ხოლო მხსნელი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ერთი ადამიანი.

ამგვარად, მანუელმა ურჩია მეფეს პირველ მინისტრად დაენიშნა ლიბერალი, ხოლო სამართლისა და იუსტიციის მინისტრად კი ულტრამონტანი; ამით მეფე დარწმუნებული იქნებოდა, რომ ამ მძიმე დროებაში არც ერთი დიდი პარტია მის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა.

— ცუდი აზრი როდია, — თქვა დონ კარლოსმა, — მაგრამ დედოფალი კი იქნება თანახმა?

— დათანხმდება, — დააწყნარა დონ მანუელმა. მას ეს საქმე ხომ მოფიქრებული ჰქონდა და მეფეს ორი ისეთი კაცი დაუსახელა, რომლებიც წინასწარ ჰყავდა შერჩეული. ისინი ორივე დონია მარია ლუიზას საყვარლად ჰყავდა, და ორივემ მიიღო მისი კეთილმოსურნობის უტყუარი ნიშანი.

ერთი იყო დონ მარია ლუის დე ურკიხო, ის დიდხანს ცხოვრობდა საფრანგეთში. ურთიერთობა ჰქონდა ფრანგ ფილოსოფოსებთან, თარგმნიდა ფრანგულ წიგნებს, უშიშრად მოჰყავდა ვოლტერის ციტატები. დონია მარია ლუიზას რადიკალური ლიბერალები არ ეკავნიკებოდა, მაგრამ მოეწონა ურკიხოს თამამი სახე და ტანადობა, და როცა წმინდა ინკვიზიციამ მოინდომა მის წინააღმდეგ საქმის აღძვრა, მაშინ დედოფალმა მას თავისი მოწყალე კალთა გადააფარა.

მეორე იყო დონ ხოსე ანტონიო დე კაბალიერო. ის იყო ბნელეთის მოციქული, მისი პოლიტიკური შეხედულებები შუასაუკუნეობ-

რივი იყო. მხარს უჭერდა რომის ყოველგვარ მოთხოვნას ესპანეთის მოწინავე სამღვდლოების წინააღმდეგ, ასეთი რადიკალური ულტრამონტანობა არ მოსწონდა მარია ლუიზას ისე, როგორც მისი საწინააღმდეგო შეხედულებანი, მაგრამ სენიორ დე კაბალიეროს თვალტანადობამ დედოფლის მოწონება დაიმსახურა. მიათხოვა მას ერთ-ერთი თავისი სეფეპალი და მათ ქორწილს პირადად დაესწრო.

ეს ორი კაცი დაუსახელა მანუელმა მეფეს. მან ნაღვლიანად დაუქნია თავი.

— აღარაფერი შეიძლება მოხერხდეს? — ჰკითხა ისევ, — ნამდვილად გინდა წასვლა? .

— ეს ჩემი მტკიცე და შეუტყვეველი გადაწყვეტილებაა, — მიუგოდონ მანუელმა.

თვალცრემლიანი დონ კარლოსი გადაეხვია მას.

მერე დაჯდა, რათა თავის საყვარელი მანუელისათვის ღრმა გრძნობით გამსჭვალული მადლობა წერილობით გამოეთქვა.

„გამორჩეული—წერდა კარლოსი, — და იშვიათი ნდომით მოსილი, თქვენ იძლეოდით კემპარიტ ნიშნებს ქეეუნის და მეფის ერთგულებისა. მაშ, ირწმუნეთ და მიიღეთ ჩვენი სამარადისო და გულითადი მადლობა“.

მეფემ თავის ხელწერა

„Yo el Rey“ განსაკუთრებით

და მონღომებით ჩაახუქუქა.

ეს ხელმოწერა, რომელიც უფრო

ჰგავდა გასაღებს ეიოლინოსას,

გამოიგონა თვითონ მონარქმა

და ამაყობდა გულში ფარულად.

და სიყვარულით ხატავდა იგი

თავის მშვენიერ, ჩინებულ ვენზელს,

ხატავდა, როგორც იმ დღეს, როდესაც

თავის ხელწერა გადასცა ოსტატს

ამოსაკეთად მემორიალზე,

რომ ესპანეთის ყველა მონარქის

ვენზელთა შორის მისი ხელწერაც

ბრწყინაედეს მარად.

ზაფხულობით მარტინ საპატერი ცხოვრობდა ქალაქგარეთ, აგარაკზე კინტა საპატერში. როცა მოულოდნელად ფრანსისკო მეჯორე ხილითა და ჯორებით გამოეცხადა და დიდ ფართოფარფლებიან ქუდს ქვეშ მარტინმა მეგობრის წვერგაბურძენილი, მოხუცებული, გაუხეშებული სახე დაინახა, გოცდა.

მეჯორე ხილმა უამბო, თუ რა გადახდა თავს ფრანსისკოს.

წარბშეკრული გოია იქვე იდგა. ვიდრე საპატერი რაიმეს იტყოდა, ფრანსისკომ მბრძანებლურად მიუთითა, რომ მიეცა მეჯორისათვის მისი გრატიფიკაციონსიტა — ცოტაოდენი ფეხის ქირა, რათა მას ბოლოს და ბოლოს საშუალება მისცემოდა სამიკიტნოში წასვლისა, ღღეს მათ ძნელი გზა გამოეცლოთ. „მიეცი ორასი რეალი“, — უბრძანა გოიამ. ეს გაუგონარი „მცირე ფეხის ქირა“ იყო. ფრანსისკომ და ხილმა უკანასკნელად მოსვეს ღვინო ტიკტორიდან. გულაჩუყებულმა მულეტტრომ თავისი არაჩვეულებრივი მგზავრი ღვთისმშობელსა და ყველა წმინდანს შეავედრა და შემდეგ გოიამ დაინახა. როგორ მიეფარა თვალს ღამის სიბნელეში სარაგოსასკენ მიმავალი მისი ხანგრძლივი თანამგზავრი თავისი ორივე ცხოველით.

ფრანსისკო ვერ ითმენდა, უნდოდა ეამბნა მეგობრისათვის, თუ რა უბედურება დაატყდა თავს, უწინარეს ყოვლისა, ის უსაშინელესი უნდოდა ეთქვა, პერალმა რომ გაუმეღაენა, მოსალოდნელი გაგიჟების საფრთხე, მაგრამ ჯერ მაინც დუმდა. ეშინოდა იმისა, რასაც მარტინი დაუწერდა. ფრანსისკოს თავიდანვე ეშინოდა დაწერილი სიტყვის მაგიისა; გონებაში გავლებული სიტყვაც კი იზიდავდა ღემონებს. კიდევ უფრო საშიში იყო წარწოთქმული, და დაწერილი კი — უსაშიშროესი. პირველ დღეებში მარტონი ცხოვრობდნენ კინტა საპატერში. მათ უვლიდნენ მარტინის მოხუცი მოურავი თადეო და მისი მეუღლე ფარუკა. თადეო მელანქოლიური ბუნებისა იყო და მეტისმეტი ღვთისმომშიში. მთელი საათობით იჯდა თვალდახუჭული, რელიგიურ ფიქრებში წასული. ფარუკას მეოცნებე ღვთისმომშიშობა უფრო ზომიერი იყო. მან თავი გამოაცხადა „eslava de la Santisima Trinidad“-ად, — „წმინდა სამების მონად“. მისმა სულიერმა მამამ წმინდა სამების სახელით ხელი მოაწერა და დაუდასტურა, სამება ამის თანახმა არისო, ფარუკამ დაივალა თავის ოთახში დადგმული ღვთისმშობლის ცვილის

ქანდაკებისათვის მოახლეობა გაეწია. რეგულარულად მოჰქონდა ახალ-ახალი ყვავილები და ქანდაკებას სანთლებს უნთებდა. მის წინაშე განსახლვრულ საათებში წარმოთქვამდა განკუთვნილ ლოცვებს, უცვლიდა ქანდაკებას ტანსაცმელს წელიწადის დროთა მიხედვით და სადღესასწაულო დღეებში, არასოდეს არ ავიწყლებოდა დაძინების წინ მისთვის საღამური პერანგის ჩაცმევა. გარდა ამისა ყოველ კვირაში უხდიდა ოთხ რეალს თავის სულიერ მამას, როგორც წმინდა სამების წარმომადგენელს.

მარტინი სიტყვაძვირობდა, მაგრამ ფრანსისკოს კი არ შორდებოდა. გოიამ შეამჩნია, რომ მარტინი ხშირად და მაგრად ახველებდა. უარუკა დიდი ხანია ეჩიჩინებოდა ექიმისათვის მიემართა. მარტინს არ სურდა დიდი მნიშვნელობა მიეცა თავის გაცივებისათვის, ხოლო ექიმები, „დალაქები“, კი მასაც ფრანსისკოსავით ესპანურად გვარიანად სძაგდა.

ფრანსისკო ურჩევდა საპატერს, რომ სულ მასთან არ მჯდარიყო და საქმეებზე გასულიყო ქალაქში. როცა მარტო რჩებოდა, მიდიოდა მასთან ფარუკა. ქალმა წერა-კითხვა არ იცოდა და იოლი როდი იყო მისთვის რაიმეს გაგებინება, მაგრამ მომთმენი იყო, თანაც ენაჭარტალა და თავის მოვალეობად მიაჩნდა უბედური ყრუ ენუგეშებინა და რჩევა მიეცა. მან უამბო ფრანსისკოს პედრო სასტრეს ამბავი. ის იყო იმ ბრაულიო სასტრეს, კათედრალის მეცეცხლურის შვილიშვილი, რომელსაც თავის დროზე დაკარგული ფეხის სანაცვლო სხვა ამოუვიდა, რადგან მთელი ერთი წლის განმავლობაში ნაჭრილობევს ჩვენი სენიორა დელ პილარის ლამპრისათვის ნაკურთხი ზეთით იზელდა. სასტრეს შვილიშვილიც, ამბობდა ფარუკა, დიდი ნიჭით დაჯილდოებული და სასწაულმოქმედი მკურნალი ყოფილა; საქმე ისაა, რომ თურმე ძნელია მასთან მოხვედრა; მაგრამ ისეთ ბატონს, როგორიც დონ ფრანსისკოა, უთუოდ მიიღებსო, და მან ხალისით მიასწავლა ამ მკურნალის სახლი. ფრანსისკოს გაახსენდა, როგორი შიშით ჩაუვლიდა ხოლმე გვერდს ამ პედრო სასტრეს სახლს, და გაიფიქრა, ის ახლა უთუოდ ღრმა მოხუცი იქნებაო.

მეორე დღეს, საღამოს, მარტინისაგან ნათხოვარი უბრალო სარაგოსული ტანსაცმელი გადაიცვა, თვალებზე ღრმად ჩამოიფხატა მრგვალი ფართოფარფლებიანი ქუდი და მარტომ ფარულად სარაგო-

სას შემოგარენს მიაშურა. ადვილად მიაგნო პედრო სასტრეს სახლს, ხელით გასწია იქით ქალი, რომელსაც შეშვება არ უნდოდა და საოცარი მკურნალის წინ წარსდგა.

როგორც ფრანსისკო მოელოდა, ეს იყო დალეული, ჩამომხმარი, დაჩაჩანაკებული კაცი. მან უნდობლად შეხედა ფიცხლად შემოჭრილ ყრუს თუ ყრუდ თავის წარმომდგენს, რომლის სახელიც ვერ გაარჩია.

ამგვარად, პედრო სასტრე. რომლის ცხოვრება ინკვიზიციის შიშში მიმდინარეობდა, უნდობლად უყურებდა ამ ძალად შემოსულს. მეორე მხრივ. დარწმუნებული იყო თავისი წამლის განმკურნებელ ძალაში; ის შეელოდა ავადმყოფობას, თუ პაციენტები მის ძალას იწამებდნენ. მან ყრუს მოუსმინა, განსაკუთრებული კარგი სმენის მქონე გარეული ძაღლის ქონისაგან დამზადებული მალამო მისცა და უთხრა, თავის ყურიდან ამოდებული გოგირდი შეერია სანთელში და აენტო იგი ჩვენი მფარველი დელ პილარისათვის. ფრანსისკოს მოაგონდა შიდა ყურის სურათი, რომელიც მას პერალმა დაუხატა და მისი ნათელი ახსნა-განმარტება, მრისხანე თვალთ შეხედა სასტრეს, მადლობის გადაუხდელად შეაჩეჩა ათი რეალი. ეს სასაცილო და უმნიშვნელო გასამრჯელო იყო, პედრო სასტრემ ეს საგინებელი სიტყვებით გარკვეულად და გასაგებად გამოთქვა, მაგრამ გოიას მისი ნათქვამი არ გაუგონია, ისე წავიდა.

ამასობაში ერთგულმა მარტინმა საოცრად მოკლე დროში შეისწავლა მუნჯური ენა. ის და ფრანსისკო ვარჯიშობდნენ; ხშირად ამ გაქიანურებული ვარჯიშობისას ფრანსისკო ხუმრობდა, უფრო და უფრო ხშირად წყევლიდა და აგინებდა მარტინს. ახლა, როცა ხელებისა და ტუჩების ნეტი დაკვირვება ესაპიროებოდა, უკეთ იგრძნო ამ ხელებისა და ტუჩების მნიშვნელობა, რასაც წინათ ყურადღებას არ აქცევდა. შეუდგა საპატერის სურათის წერას. წერდა ნელა და გულმოდგინედ, სურათში ჩააქსოვა საპატერისა და თავისი გულითადი მეგობრობა; როცა სურათი მზად იყო, დახატულ მარტინს ქვეშ ასეთი სიტყვები მიაწერა: „ჩემო მეგობარო საპატერო, უდიდესი გულმოდგინებით დახატა შენთვის ეს სურათი გოიამ“. მარტინმა კვლავ დაინახა ტილოზე თავისი საესე, ენერგიული, მადლიანი, დიდცხვირა სახე, დაინახა ხელმოწერის წინ დასმული სიტყვები და გაიფიქრა, რომ თავის ფრანსისკოსთვის ჯერ კიდევ ვერ ეცა საკადრისი პატივი.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა მარტინი სარაგოსას წავადა საქმე-
ებზე, გოია გზას გაუდგა, რათა გაესინჯა, თუ რა მოუვიდოდა ყრუ
კაცს, რომელიც ქალაქის ქუჩებში მარტო იხეტიალებდა. იმავე უბრა-
ლო ტანსაცმლითა და იმავე მრგვალი ქუდით. რომლითაც სასწაულმო-
ქმედ მკურნალ სასტრეს ეწვია, გზას გაუდგა სარაგოსასაკენ. თავი
ააზრდა მთავარ ქუჩას — კორსოს და კარგად ნაცნობ ქალაქში იწყო
ხეტიალი.

ის მიეყრდნო ძველი ხიდის მოაჯირს და სარაგოსას გადახედა. სა-
ხელგანთქმული ქალაქი და მისი დიდი მდინარე ებრო დაპატარავე-
ბული და გაუფერულებული ეჩვენა, ეს მის გონებასა და გულში დარჩე-
ილი ნაირფერი, ხმაურიანი ქალაქი, ახლა მოსაწყენი და უფერული
გამხდარიყო. დიახ, მკაცრად, უხალისოდ და დაჩაგრულად გამოიყუ-
რებოდა ის. მაშინ ახალგაზრდა ფრანსისკოს თავისი ხალისი ხომ არ
გადაჰქონდა საკუთარ ქალაქზე?

აი, ეკლესიები, სასახლეები, მაგრამ მისი გული ისევე ყრუა მათ
მიმართ, როგორც მისი ყური. მან გვერდით ჩაუარა იმ სახლს, სადაც
მრავალი წელი გაეტარებინა ლეთისმომშიმ, პატიოსან მშრომელ კაც-
თან — მხატვარ ლუსანთან, მრავალი წელი გააცდინა მასთან, მაგრამ
არ გრძნობდა არც სიბრაზეს და არც ზიზღს მის მიმართ. გვერდით
ჩაუარა ალაფერიას, სადაც ინკვიზიციის იდუმალებით აღსავსე შე-
მაზრზენი სხდომები მიმდინარეობდა და ახლა შიში არ უგრძნია.
ჩაუარა გვერდი სობადიელის სასახლეს და ესკოლაპიოს მონასტერს.
ამ შენობების კედლები გოიამ თავის დროზე ფრესკებით მოხატა. რა
განუზომელი იმედები, გამარჯვებები და დამარცხებები იყო დაკავ-
შირებული ამ სამუშაოებთან! ახლა გული არც მიუწევდა მათ სანა-
ხავად. გული გაუტყდა, როცა შინაგანი თვალთ წარმოიდგინა ეს სუ-
რათები.

აი, წმიდათაწმიდა ეკლესიები. აი, პირდაღებული, კანონიკ ფუნეს-
თან მოლაპარაკე ქრისტეს ქანდაკება, აი, წმინდა მიგელის სამლოცვე-
ლო. აქ იყო, რომ მოკვეთილი თავი მოგორდა არქიეპისკოპოს ლოპე
დე ლუნასთან და წმინდანის სახელით სთხოვა აღსარება მიელო მის-
გან და ცოდვები შეენდო; მხოლოდ ამის შემდეგ ისურვებდა თავი
დამარხვას. ამ თავმა ბევრი საშინელი სიზმარი მოუვლინა ფრანსისკოს
ბავშვობაში. მაგრამ ახლა ხანში შესულ, ყრუ ფრანსისკოს გულში ეს

წმინდა და საშიში ადგილი არც შიშს იწვევდა და არც დამცინავ ღიმილს.

აი, ღვთისმშობელ დელ პილარის ტაძარი, მისი უდიდესი იმედების კერა, მისი პირველი დიდი მიღწევისა და მისი უღოდესი შერცხვენის — „სარნას“ ადგილი, იმ მღრღნელი სირცხვილისა, რომელიც მისმა ცოლისძმამ ბაიეუმ მოახვია თავს. ეს იყო პატარა პატრონიკე, ეს იყო მისი ფრესკები, „სენიორ გოია, შეკვეთა გეძლევათ თქვენ“, უთხრა მაშინ ტაძრის წინამძღვარმა დონ მათეომ. გოია მაშინ ოცდახუთი წლისა იყო, ეს მოხდა 19 დეკემბერს. მის ცხოვრებაში ეს დიდი მოვლენა იყო. მას შემდეგ თავის დღეში ასეთი ბედნიერება აღარ უგრძნია, არც კაეტანასთან გატარებულ საუკეთესო წუთებში და არც მაშინ, როცა დედოფალმა ბრძანა: „კარლოსის ოჯახი“ დიდი მხატვრის ნაწარმოებიაო. მაშინ, რა თქმა უნდა, იცოდა, ტაძრის მეთაურმა ეს შეკვეთა იმიტომ მისცა, რომ ანტონიო ველასკესი ძვირს აიღებდა და თან დაუბრუნებელი პირობები — არასაკადრისად მოკლე ვადა და მისი ესკიზების შემოწმება „საქმეში გარკვეული პირების“ მიერ. მაგრამ გოია ყველაფერს შეურიგდა, 15 000 რეალი მისთვის დიდი თანხა იყო, იმით არაგონის სახელმწიფოსა და დამატებით ორივე ინდოეთის ყილვას შეძლებდა და დარწმუნებული იყო, რომ პატარა პატრონიკეს მოხატული ჭერი მას საუკუნოდ სახელს მოუხვეჭდა. და, აი, რა გამოვიდა. ეს საზიზღრობაა! ეს სიბინძურეა! თხუპნია კარნისეროც კი უკეთესად გააქოებდა. ეს არის წმინდა სამება? სულელური, ბურუსში გახვეული და მაინც ასეთი გარკვეული სამკუთხედი ებრაული წარწერით. რა მოუქნელი ანგელოზებია! ან რა ბამბის ღრუბლებია! ანდა მთლიანად რა სულელური და უაზრო ნათხუპნია!

ახლა გადავიდა ჩვენი ღვთისმშობლის დელ პილარის ტაძრის მეორე მხარეს, სარნას კერასთან. აი, მის მიერ მოხატული პატარა გუმბათები. აი, მისი „სათნობანი“: „რწმენა“, „გარჯა“, „მხნეობა“ და „მოთმინება“. აი, ის მხატვრობა, რომელიც ბაიეუმ და ტაძრის წინამძღვარმა ხილბერტო ალუემ ნათითხნად ჩათვალეს. უნდა ითქვას, რომ კარგად დახატული, ცხადია, არ იყო ეს „მწყალობლები“, მაგრამ, რასაც გოიასაგან მოითხოვდა ცოლისძმა და რაც თვითონ მას დაეხატა, საუკუნოდ არ ექნებოდა ღირებულება. და თუ პატრონიკეზე თავის ნა-

თხუპნის შეხედვით ტრიუმფს უკვე არ გრძნობდა, სამაგიეროდ საკურთხევის დანახვაზე დღესაც ისე წვეადა სარნა, როგორც მაშინ.

„Carajo!“ — გაიფიქრა მან და შეშინდა, რომ საგინებელი სიტყვა გაივლო გულში ჰემმარიტად წმინდა ადგილზე. აქ იდგა დელ პილარის სვეტი, რომელმაც სახელი მისცა კათედრალს, ის სვეტი, რომელზედაც მოციქულ სანტიაგოს, ესპანეთის მფარველს, გამოეცხადა ყოვლად უბიწო ღვთისმშობელი და აქ, ებროს ნაპირზე, ამ წმინდა ტაძრის აგება მიანდო. აქ იდგა კიდობანი წმინდა სვეტით. და ამ კიდობანში იყო ნახვრეტი, რომლის საშუალებითაც მორწმუნეებს შეეძლოთ სვეტს მთხვეოდნენ. გოია მას არ მთხვევია. იმიტომ კი არა, რომ ამ წმინდანის მიმართ ამხედრებული იყო, არც იმიტომ, რომ მის წინაშე დაჩოქება არ უნდოდა, უბრალოდ არ გრძნობდა სურვილს ღვთისმშობლისათვის დახმარება ეთხოვა. რამდენჯერ მიუმართავს გაჭირვებისას ღვთისმშობლისათვის, რამდენი სულიერი ბრძოლა და დაეჭვება გადაიტანა, ვიდრე დელ პილარის ღვთისმშობლიდან ატონის ღვთისმშობელზე გადაინაცვლებდა. და, აი, ახლა იდგა ყოველგვარი ძრწოლის გარეშე ამ წმინდათა შორის უწმინდესის წინაშე, რომელიც სიყმაწვილეში გულწრფელად სწამდა. მისი ცხოვრების რაღაც ნაწილი მოკვდა, და ამას არც ნანობდა.

მან მიატოვა ტაძარი და ქალაქის ქუჩებით უკან გაბრუნდა. „შარშანდელი ფრინველები ბუდეში აღარ არიან“, გაიფიქრა მან. შესაძლოა არც შარშან ყოფილან შიგ. სარაგოსას სურათი, რომელსაც ის გულში ატარებდა, მხიარული, ცოცხალი სურათი, მისი სიყმაწვილის წლები იყო და არა ქალაქი სარაგოსა. ქალაქი სარაგოსა მაშინაც უწნო და მტკრიანი იყო, როგორსაც ახლა ხედავდა თავის სიყრუის დროს. დამუხრებული სარაგოსა იყო ნამდვილი სარაგოსა.

წავიდა სახლში. მარტო იჯდა თავის პატარა ოთახის თეთრ კედლებს შორის კინტა საპატერში, უდაბნო იყო მის ირგვლივ და მის სულშიაც. და აი, დღისით, მზისით, ისევ საშინელი სიზმრები მოევლინა: ირგვლივ შემოერთყნენ კატისთავა, ბუსთვალემა, დამურას-ფრთებიანი საზიზლარი მოჩვენებები.

გოიამ მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მდელვარებას სძლია, ხელი სტაცა ფანქარს. მოხაზა ქალაქზე ავი სულები. აი ისინი. და, როცა ისინი ქალაქზე დაინახა, დაწყნარდა.

იმ დღეს, მეორე, მესამე და მეოთხე დღეს მეორეჯერ და მესამე-
ჯერ და სულ უფრო და უფრო ხშირად თავის არსიდან მოჩვენებები
ქალაქებზე გადაჰყავდა. ასე დაეუფლა მათ და ასე განთავისუფლდა
მათგან. ახლა, როცა ისინი ქალაქებზე ხოხავდნენ და ფრინავდნენ,
საშიშნი აღარ იყვნენ.

თითქმის მთელი კვირა გაატარა ფრანსისკომ თავის ცარიელ ოთახ-
ში, მარტო მოჩვენებებთან და ხატვაში, ისე, რომ საპატერს მისთვის
ხელი არ შეუშლია. დემონების წინაშე თვალებს აღარ ხუჭავდა, მა-
ვიდაზე აღარ ემხოზობოდა მათგან დასამალავად. სახეში შეჰყურებდა
მათ, არ უშვებდა, სანამ მთლიანად არ გამომქლავდებოდნენ მის წი-
ნაში, ძალად გადაჰქონდა ქალაქებზე ისინიც, თავისი შიშიც და თავი-
სი სიგიჟეც.

დააკვირდა სარკეში თავის თავს. ლოყები ჩასცვენოდა, თმა გას-
ჩეჩოდა, წვერი გაბურძენოდა, თუმცა სახე უკვე შეუმრგვალდა, ნაო-
ჭებიც აღარა ჰქონდა ისე ღრმა და უკვე აღარ იყო ის სასოწარკვეთი-
ლი კაცი, რომელიც მას სარკიდან უცქერდა მაშინ, სანლუჯარში, დი-
დი მარცხის შემდეგ. მაგრამ მაინც იოლად აღიდგინა მეხსიერებაში
ის სახე და თავისი უღრმესი მწუხარებისდროინდელი სახე ახლა და-
ხატა.

ისევ აღიდგინა მეხსიერებაში კაეტანას სახეც. ისევ და ისევ უბრუ-
ნდებოდა მას სურათი, რომელიც კაეტანამ გაჭრა, უწმინდურის ზეცა-
ში ამალღება სამუდამოდ გაჭრა და გოია აღარ ფიქრობდა ეს სურათი
მეორედ დაეხატა. მაგრამ სამაგიეროდ დახატა არა ზეცაში ამალღება,
არამედ კაეტანას გაფრენა კუდიანთა თემობაზე და სურათი უფრო სას-
ტიკი და მამხილებელი გამოვიდა. აგრეთვე ბევრი სხვა სახე და სხეული
დახატა მარად ცვალებადი კაეტანასი. აი, ის, მომჯადოებელი გოგონა,
ოცნებით გატაცებული უსმენს მაჭანკალს. აი, ის, მრავალ თაყვანისმცე-
მელთა შორის დგას მიუწვდომელი და მიმზიდველი. აი, ის, დემონე-
ბი რომ დადევნებიან, მათ გაუბრბის და შიშით უკან იხედება. და ბო-
ლოს დახატა კუდიანთა თემობა, „Aquelarre“ — თავაწყვეტილი
თარეში, ველური ორგია. უკანა ფეხებზე დამჯდარი წამოჭგიმულიყო
ეშმაკი — ვეება ვაცი, ყვავილწნულებით შემკული უზარმაზარი რქე-
ბით, მრგვალი, ვეებერთელა ცეცხლოვანი თვალებით; ცეკვით გარს
უვლიდნენ ალქაჯები, თაყვანს სცემდნენ, მსხვერპლს სწირავდნენ, მი-

ჰქონდათ თავის ქალები, ბუბუთა ბავშვები; და მას კი, ვაცს, აუწევია წინა ფეხები და ლოცავს თავის სამწყსოს, კუდიანთა ხროვას.

ამ ხროვის თავკაცი თვალწარმტაცი კაეტანა იყო.

აი, რას ხატავს ყოველდღიურად
გოია. ადგენს იგი ესკიზებს.
გახურებული და აგზნებული
ტვინიდან სუფთა და თეთრ ქალაღზე
უშვებს დემონებს, ურჩხულებს, სულებს,
ვირთხის კუდებით, ქოფაჯის თავით,
გომბემოს სახით. კაეტანა კი,
როგორც ყოველთვის, არის მათ შორის.
გოია ალბას ხატავს სასტიკი
გაშმაგებით და თავდავიწყებით.
ტკბილია მისთვის და მტკივნეულიც
მისი დახატვა. მაგრამ ეს თრობა
და გადარევა ბეგრად სჯობს იმ დროს,
მწვავე ტკივილი გულს რომ უღრღნიდა
და უსგრაედა ფიჭობებში ჩაფლულს,
თვითონ კი მაინც ველარ შეეძლო
გამოქცეოდა საშინელ განცდებს...
ღიახ, ვიდრე ის ხატავს ამ სურათს,
იქნება გიჟიც, შლეგიც, რადგანაც
ეს გადარევა გადაახედებს
საუკუნეებს. ბედნიერია,
ვინც გამოსცადა იგი ბოლომდე.
და ამიტომაც ხატავს გოია
ასეთი უინით.

6

მარტინი არაფერს ეკითხებოდა. ეს კიდევაც მოსწონდა გოიას და არც მოსწონდა. რასაც ამ ბოლო დღეებში ხატავდა, ეს იყო საშუალება სულის მოსათქმელად, მაგრამ მას უნდა ელაპარაკა, გარკვევით ელაპარაკა იმაზე. რაც აწუხებდა, იმაზე, რაც პერალმა გაუმჟღავნა, — თავის შიშზე. გაგიჟებ-ს შიშზე. მეტად აღარ შეეძლო ეს მარტოს აეტანა, ვინმესთვის უნდა გაემხილა თავისი საშინელი საიდუმლოება.

გოიამ მარტინს ნახატები უჩვენა. მაგრამ ყველა კი არა, მხოლოდ რსინო, სადაც მრავალსახოვანი ყალები, მომჯადოებელი, ჯადოქარი კაე-

ტანა იყო. მარტინი გაოცდა. აღლევებისაგან საშინელი ხველა აუტყდა. გადაათვალიერა რამდენიმე ფურცელი, გადადო გვერდზე, ისევ აიღო, ხელახლა გადაათვალიერა. თავს ძალას ატანდა. უნდოდა გაეგო, რის თქმა სურდა მეგობარს.

— ეს სიტყვებით არ გამოითქმება, — უთხრა ფრანსისკომ, — ამიტომაც ასე გამოვთქვი.

— ვფიქრობ, რომ გავიგე, — თავდაპირილად მიუგო ოდნავ დაექვებულმა მარტინმა.

— შენ მხოლოდ არ უნდა შეგეშინდეს, — გაამხნევა გოიამ, — მაშინ ყველაფერს კარგად გაიგებ, *Idioma universal* — საყოველთაო ენა, — თქვა მან მოუთმენლად. — ამას ყოველი კაცი უნდა მიხვდეს.

— მე უკვე გავიგე. — დააწყნარა მარტინმა. — მიხვდი, როგორ მომხდარა ყოველივე.

— ვერაფერსაც ვერ მიხვდი, — უთხრა ბრაზით გოიამ, — არავის არ შეუძლია გაიგოს, რა ზომამდე მიაღწია მისმა მატყუარობამ.

მან დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რა ცვალებადი ბუნებისა იყო კაეტანა, რა გარყვნილებას წუშპე იყო მასში, უამბო მასთან დიდი ჩხუბის ამბავი და როგორ გაუჭრა კაეტანამ სურათი. ამასობაში სოცარი ის იყო, რომ ლაპარაკის დროს არ გრძნობდა კაეტანასადმი იმ სასტიკ ზიზღს, რომლითაც თავი მოჰქონდა: პირიქით, მის სულში თბილად და გარკვევით უღერდა კაეტანას უკანასკნელი სიტყვები, ძლიერი და თავდაღებული სიყვარულის სიტყვები. მაგრამ არ უნდოდა მათი მოგონება, თავს აუკრძალა მასზე ფიქრი, კვლავ თავისი ნახატების რისხვით აინთო და იკვებინდა მარტინთან. რომ სამუდამოდ განდევნა თავისი ცხოვრებიდან კაეტანა და კარგადაც მოიქცა.

დადგა დრო, როცა მეგობრისათვის უნდა გაემქლავნებინა თავისი მძიმე საიდუმლოება. აჩვენა მას სხვა ნახატები, სიფათები და მოჩვენებები და კვლავ შეეკითხა:

— გაიგე ეს?

მარტინი გაოცებული იყო.

— ვშიშობ, რომ გავიგე, — მიუგო მან.

— შენ მხოლოდ მიხვდი ამას. — ჩააცივდა გოია და შემდეგ უჩვენა თავისი საკუთარი სურათი, წვერგაბურღნილი, განუზომელი სასოწარკვეთილების გამომხატველი თვალებით. სანამ დაბნეული და დამფრთხალი მარტინი ჯერ დახატულ და მერე ცოცხალ გოიას აკვი-

რდებოდა, და ისევ დახატულს დაჰყურებდა, ფრანსისკომ უთხრა:

— ვეცდები გაგაგებინო, — და ისე ჩუმად დაიწყო ლაპარაკი, რომ მარტინს ძლივს ესმოდა. — ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ძალზე საიდუმლო და ძალზე მძიმე; ვიდრე პასუხს გამცემდე, გულდასმით და კარგად უნდა მოიფიქრო და არავითარ შემთხვევაში არ დამიწერო, — და უამბო თუ რა გაუმელავნა მას ექიმმა პერალმა. თუ რა პოკლე მანძილია მისი სიყრუიდან სიგიჟემდე, — ექიმი პერალი, რა თქმა უნდა, მართალი იყო, — დაასკვნა მან, — ნაწილობრივ გიჟი დიდი ხანია ვარ, დახატული ურჩხული მართლაც ვიხილე ჩემი გიჟური თვალებით, და დახატული შეშლილი ფრანსისკოც ნამდვილი ფრანსისკოა.

მარტინი ცდილობდა მწუხარება დაეფარა. გოია კი განაგრძობდა: — ასეა, და ახლა მოიფიქრე. მერე კი გეთაყვა მოაზინება იქონიე და ნელა მელაპარაკე. მაშინ მე შევძლებ შენს ტუჩებზე ამოვიკითხო, რაც სათქმელი გაქვს.

მარტინს გული ატივია გოიას მორჩილებით ლაპარაკმა. მან ცოტა ხნის შემდეგ ფრთხილად და ძალიან გარკვეულად გასცა პასუხი: ვინც თავის სიგიჟეს ასე გარკვევით ამჩნევსო, უთხრა მან, ის ბევრ ადამიანზე უფრო ჭკვიანია და ვისაც ასე გარკვევით შეუძლია გამოსახოს თავის სიგიჟე, ის თავისი თავის საუკეთესო მკურნალიაო. საგულდაგულოდ არჩევდა სიტყვებს; ისინი იოლად და მოფიქრებულად მოდიოდნენ და ფრანსისკოსთვისაც მანუგეშებლად ჟღერდნენ.

ფრანსისკოს ჯერ კიდევ არ მოენახულებინა დედამისი. გული მიუწევდა მასთან სალაპარაკოდ; დედას შეეძლო ყური მოეკრა ფრანსისკოს სარაგოსაში ყოფნის ამბისათვის და განაწყენებულიყო, რომ შვილი მასთან არ მივიდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა მისი მონახულება; რცხვენოდა თავისი მდგომარეობისა. ახლა კი, მარტინთან თავისი გაჭირვების გამოთქმის შემდეგ მზად იყო მასთან შესახვედრად.

ჯერ იზოვა უკეთესი ტანსაცმელი, მერე წავიდა დალაქთან. მბრძანებლურად მიუთითა, გაეკრიჭა მისთვის წვერი და დალაქის მხიარულ ლაყბობაზე უხეშ და ძნელად გასარკვევე პასუხს აძლევდა. დალაქი გვიან მიხვდა, რომ მისი მუშტარი ყრუ იყო. ფრანსისკოს კანი განაზებოდა და პარსვის დროს ტკივილს გრძნობდა. გაბუზძენილი წვერის მოცილებისა და თმის ლამაზად დავარცხნის შემდეგ გამოჩენილმა სახემ გააოცა დალაქი. გაკვირვებული და ოდნავ შეშინებულიც

კი უყურებდა მამაკაცს, რომელიც სადალაქოში თმა-წვერგაბურღული შემოვიდა და ახლა აქედან კეთილშობილი და ზვიადი მიდიოდა.

ფრანსისკო დედამისთან გაუფრთხილებლად წავიდა. გაუბედავად, მაგრამ მოლოდინით სავსე მიდიოდა ნაცნობ ქუჩებში. ალექსილ სახეზე არაჩვეულებრივ სიმშვილესა და სიგრილეს გრძნობდა. მიწვეულ-მოხვეული გზით ფრთხილად მიუახლოვდა სახლს, რომელშიაც დედამისი ცხოვრობდა, შეჩერდა მის წინ, ისევ აიარ-ჩაიარა ქუჩაზე, ბოლოს მეორე სართულზე ავიდა, მოსწია სახელურს, კარი გაიღო, და-ყრუებული ფრანსისკო დედის წინაშე იდგა.

— შემოდი, — უთხრა დონია ენგრასიამ. — დაჯექი და დალიე ერთი ჭიქა როსოლი. — თქვა მან გამოკვეთილად, მკაფიოდ. — როსოლს მას ბავშვობაში აძლევდნენ, როცა გაცივდებოდა ან რაიმე ცუდი შემთხვეოდა. — შე ყველაფერი ვიცი. — უთხრა მან ძალზე გარკვევით, და როსოლიანი ბოთლი მოიტანა. — უფრო ადრე უნდა მოსულიყავი დედასთან. — უთხრა წყენით.

დაუდგა ფრანსისკოს ბოთლი, ჭიქები, ცოტაოდენი ნამცხვარი და დაჯდა მის პირდაპირ. გოიამ სიამოვნებით დაყნოსა მაგარ და ტკბილ სურნელოვან ლიქიორს, და დაასხა თავისთვისაც და დედისთვისაც. გადაყლაპა ერთი ყლუპი, ტუჩები მოილოკა, ჩააწო ნამცხვარი როსოლოში, და პირში ჩაიდო. შემდეგ ყურადღებით მიაჩერდა დედის სახეს.

— ჯიუტი ხარ და დიდგულა, — წაიკითხა გოიამ მის ტუჩებზე. — კარგად იცოდი, რომ კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანდა. ავი მეც ბევრჯერ მითქვამს შენთვის, რომ სასჯელი არ აგცდებოდა. „ყველაზე უარესი ყრუ ის არის, რომელსაც გაგონება არ სურს“, — მოაგონა მან ძველი ანდაზა, შენ კი არასდროს არ გსურდა გაგეგონა. მოწყალე ღმერთმა კიდევ ღმობიერი სასჯელი მოგიზღო. წარმოიდგინე, რომ სმენის მაგიერ სიმღიდრე წაერთმია.

დედის აზრთა მსვლელობა გოიას კარგად ესმოდა. დონია ენგრასია მართალი იყო, თავიდანვე აფრთხილებდა და მის წინსვლასა და განდიდებას არარად მიიჩნევდა. ის იდალგოს ასული იყო, უფლებამჟღერა „დონიად“ განედიდებინა თავისი თავი, მაგრამ, რაკი გოიას მამას გაჰყვა, გლახურად, ანგარიშიანად ცხოვრობდა, უბრალოდ იცვამდა და ყველაფერში შეეგუა ღუბჭირ სინამდვილეს.

მამის გარდაცვალების შემდეგ გოიამ დედა მადრიდს წაიყვანა,
29. ლ. ფოიხტანგერი

მაგრამ დედამ იქ დიდხანს ვერ გაძლო და ისევ სარაგოსაში დაბრუნება მოსთხოვა. ყოველთვის უნდობლად უყურებდა შვილის ბედნიერებას და არც მალავდა, რომ ის დროებითად მიაჩნდა. და აი, მის წინ იჭდა დაყრუებული ფრანსისკო, დედა მას როსოლით ამშვიდებდა და თანაც ტუქსავდა.

გოიამ დაუქნია თავისი დიდი, მრგვალი თავი და, მის გასახარებლად, ოდნავ გადაჭარბებულად მოჰყვა თავისი უბედურების ამბავს. მუშაობაშიც მეტი სიძნელეები მექნებო, ამბობდა ის. დიდი ბატონი და ქალბატონები მოუთმენელნი არიან და თუ მათ ყბედობას კარგად ვერ გავიგებ, შეკვეთები მომაკლდებაო.

— მაშ, შემიმცირებ ჩემს სამას რეალს? — წამსვე ჰკითხა გულმოსულმა დონია ენგრასიამ.

— იმას მაინც გამოგიგზავნი, ცეცხლში ჩადგომაც რომ დამჭირდეს. — მიუგო ფრანსისკომ.

— ისევ ისეთი ბაქია ხარ, — უპასუხა დედამ. — შენ კიდევ ბევრს რწავლი, პაკო. ახლა, როცა აღარ გესმის, შეგიძლია ზოგი რამ უკეთ დანიხნო. მუდამ ამაყობდი დიდებული მეგობრები მყავსო. ყოველი კაცის მეგობრობას წამსვე იწამებდი. ყრუსთან ურთიერთობა ბევრს არ ეპიტნავება. ახლა გაიგებ, თუ ვინ არის შენი ჰემმარიტი მეგობარი. — მაგრამ მის მკაცრ სიტყვებში იგრძნო ფრანსისკომ, როგორ ამაყობდა შვილით, რა მტკიცე იყო მისი იმედი, რომ უბედურებას ვაჟკაცურად აიტანდა, და როგორ არ უნდოდა თავისი თანაგრძნობით დაემცირებინა.

წასვლისას დედამ შესთავაზა, ევლო სადილად, როცა მოისურვებდა. იმ კვირაში გოია რამდენჯერმე მივიდა მასთან. დონია ენგრასიას კარგად ახსოვდა, რა კერძები უყვარდა ბავშვობაში ფრანსოს, და უმასპინძლდებოდა მას უბრალო, ცხარე, ბევრი ნივრიანი, ხახვიანი და ზეთიანი კერძებით, ხანდახან მაგარი პუჩეროთიც, გამარტივებული ოლა პოდრიდათიც კი. ორთავენი ჩუმად, მადიანად და გემრიელად შეეჭქეოვნენ საჭმელს. ერთხელ გოიამ ჰკითხა დედას, ჰქონდა თუ არა დახატვის სურვილი.

— ვიდრე ფასიანი მუშტრების დახატვას გაბედავდე, უმგობესა გამგონე მოღელზე სცადო შენი ძალა. — უპასუხა აშკარად ნასიამოვნებმა დედამ.

გოიამ უთხრა, რომ ისე დახატავდა, როგორც იყო, თავის საშინაო

ტანსაცმელში. მაგრამ დედას სურდა საგარეო ტანსაცმელში დახატულაყო; აგრეთვე მანტილია უნდა ეყიდა შვილს მისთვის, მაქმანიც და მელოტი თავის დასაფარავად ახალი თავსაბურავი.

სეანსები ჩუმად მიმდინარეობდა. დედა წყნარად იჯდა. მალალ მუბლქვეშ გამოიყურებოდნენ დაბერებული, ჩაცვნილი თვალეზ, დამახასიათებელ ცხვირს ქვეშ გრძელი ტუჩები მოკუმულეყენენ. ერთ ხელში დაკეცილი მარაო ეკირა, მეორეში — კრიალოსანი. ორივეს ახარებდა სეანსები და ორივე კმაყოფილი იყო. ბოლოს ტილოდან გამოიყურებოდა ხანდაზმული მანდილოსანი, რომელსაც ბევრი განეცადა, ბუნებით ჰკვიანი, მისი ხვედრის წყალობით დაბრძენებული, რომელსაც შეესწავლა მცირედით დაკმაყოფილება, მაგრამ მსურველი იმისა, რომ თავისი დარჩენილი წლები ტკბილად გაეტარებინა. განსაკუთრებული სიყვარულით დახატა ფრანსისკომ ორივე დამქნარი, ჩონჩხად ქვეული, ძლიერი ხელი. დონია ენგრასია თავის პორტრეტით კმაყოფილი დარჩა. უხაროდა, რომ შვილმა არ დაიშურა არც იმდენი ტილო და არც ამდენი შრომა მოხუცი ქალის სურათისათვის, რომელიც ფულს არ უხდიდა.

ახლა გოიამ თავისი ძმა, მომვარაყებელი თომასი მოინახულა. ის ნაწყენი იყო, რომ ფრანსისკო ასე გვიან მივიდა მასთან. ლაპარაკში ჰკითხა ფრანსისკოს, ამ ღეთის მითითების შემდეგ უფრო ხომ არ გრძნობდა, რომ თავისი ოჯახისათვის მეტი უნდა ეზრუნა და სთხოვა ხელი შეეწყო მისთვის მადრიდში გადასასახლებლად. ფრანსისკომ მიუგო: დიახ, ხვალ მე და მარტინი სანადიროდ მივდივართო.

ფრანსისკოს ცოლისძმა, მღვდელი მანუელ ბაიეუც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, რომ გოია ამდენს ჯანჯლობდა და საკუთარ ცოლისძმასთან სულიერი ნუგეშისცემის მოსაპოვებლად არ მიდიოდა; ეს ნიშანი იყო იმისა, რომ ზეცის გაფრთხილება სათანადოდ ვერ შეეგნო. როცა გოიამ მღვდელი მოინახულა, დაინახა, რომ გარდაცვლილი კარის მხატვრის ბაიეუს პორტრეტი, რომელიც ფრანსისკომ დახატა და ხოსეფამ სარაგოსას გამოგზავნა, მიბნელებულ კუთხეში ეკიდა. გოიამ ჰკითხა, რა აზრისა იყო ცოლისძმა სურათზე. მან უპასუხა, რომ პორტრეტი დიდ ხელოვნებაზე მეტყველებს, მაგრამ — დიდ გულცივობაზეცო. მას გულწრფელად ებრალებოდა ფრანსისკო, თუმცა ამ

სიბრალულში ოდნავ ღვარძლიანი ნიშნის მოგებაც ერია. ბოლოს და ბოლოს ფრთა მოსტყდა ურჯულო მხატვრის ქედმაღლობას.

სარაგოსას დიდი ოჯახები, სალვადორესი, გრასასი, აცნარესი, გულმოდგინედ ცდილობდნენ ფრანსისკო შინ მიეწვიათ, ის კი თავაზიანი მომიზეზებით უარს ამბობდა სტუმრობაზე. გრაფმა ფუენდეტოდოსმა კი, როცა მისმა ხელმეორედ მიპატიჟებამაც ნაყოფი არ გამოიღო, მარტინის საშუალებით ჰკითხა გოიას, ნება ეძლეოდა თუ არა მას, გრაფს, თვითონ ხლებოდა ფრანსისკოს. მასთან საუბარი არ გაუჭირდებოდა, რადგან გრაფს ყრუ-მუნჯთა ანბანი შეესწავლა. ასეთმა დაბეჭითებულმა, თითქმის თავმდაბალმა თხოვნამ გოიას გული მოუღბო; მოიგონა, როგორი შიში და მოკრძალება ჰქონდა მის ოჯახს გრაფის მიმართ. რომელიც გოიას მშობლიური სოფლის პატრონი იყო.

თვით დელ პილარის კათედრალური ტაძრის კაპიტულის მღვდელმთავარიც კი ეწვია გოიას. ის იგივე დონ ხილბერტო აღუე იყო, რომელიც მაშინ, ბაიეუსთან უთანხმოების დროს, ისე ღვარძლიანად და ქედმაღლურად დაესხა თავს გოიას. არაფერი იყო გოიას ამალღების რსეთი დამადასტურებელი, როგორც ამ პატივცემული, ამჟამად უხუცესი მღვდლის სტუმრობა. დონ ხილბერტო განსაკუთრებული თავაზიანობით იქცეოდა. წვრილი ნატიფი ასოებით დაუწერა ფრანსისკოს, როგორ ღრმა თანაგრძნობას უცხადებდა არქიეპისკოპოსი ბატონ პირველ მხატვარს, სარაგოსას უდიდეს ხელოვანს, თავს დამტყდარი უბედურების გამო. გოიას გული აღევსო მძაფრი სიხარულით, რომ გარდაცვლილი ბაიეუ აღარ იყო არაგონის უდიდესი მხატვარი.

შემდეგ დონ ხილბერტომ თქვა და დაწერა, რომ არქიეპისკოპოსი მოხარული იქნებოდა, თუ დონ ფრანსისკო კათედრალისათვის რამდენიმე სამუშაოს აიღებდა, მარტივ სამუშაოებს, რომლებიც დიდ დროს არ წაართმევდა. და მაშინვე ლამაზად და აღფრთოვანებით მიაწერა იქვე, რომ ტაძრის კაპიტული ამისათვის 25 000 რეალს სთავაზობდა.

გოია წუთით ჩაფიქრდა, მან ვერ ამოიკითხა სწორად თუ მღვდელმთავარს შეეშალა ჩაწერა? სწორედ 25 000 რეალი მოითხოვა მაშინ სახელმოხვეჭილმა ანტონიოს ველასკენმა რამდენიმე თვის სამუშაოში და ამის გამო ტაძრის კაპიტულმა მას არ მისცა შეკვეთა. ახლა

კი სთავაზობენ მას, გოიას, იმავე თანხას ორი კვირის სამუშაოში: „გუ-
ლო ჩემო, ნუ ყოყოჩობ“, უბრძანა თავის თავს, გადაწყვიტა საქმისა-
თვის მორჩილებითა და სიყვარულით მოეკიდა ხელი და დრო არ და-
ნანებოდა.

ის იყო ხატვას შეუღლა იგი,
რომ მადრიდიდან ცნობა მოვინდა.
ღონ მიგელ მშრალად და თავდაპირით
იუწყებოდა, რომ მარიანო, —
უმცროსი ვაჟი ღონ ფრანსისკოსი —
გარდაიცვალა. თვით ფრანსისკოს კი
ურჩევდა ცოლთან მალე ჩამოსვლას
მადრიდში. მანაც არ დააყოვნა.
დაიქირავა სწრაფი ცხენები
და გაემართა დიდი კომფორტით
თავის მეგობარ
მარტინთან ერთად.

7

გოია ხედავდა ზოსეფას, ხედავდა ნისი ტუჩების მოძრაობას, მაგრამ
სიტყვები არ გაეგებოდა. ზოსეფა თავს ძალას ატანდა, რომ ძალზე გა-
მოცვლილ ფრანზოს დანახვით გამოწვეული შიში არ გამოემჟღავნებო-
და.

პატარა მარიანო რამდენიმე დღის წინ მიიბარეს მიწას. ერთიმეორეს
მინართეს უღიმღამო მანუგეშებელი სიტყვებით. მათთვის სიტყვები
არაფრის მაქნისი იყო. დიდხანს ისხდნენ ერთად დადუმებულები, და მა-
თი სიჩუმე უფრო მეტის მთქმელი იყო, ვიდრე სიტყვები იქნებოდა.

გოიამ ძალ-ღონე მოიკრიბა და ოდნავ სახემოქცეული ღიმილით
გაუწოდა ზოსეფას ჩანახატების რვეული, რომელსაც ახლა მუდამ თან
ატარებდა, რათა მასში ჩაეწერა, თუ ვინმეს მასთან სათქმელი ჰქონდა.

— როცა ჩემთვის რაიმეს თქმას მოისურვებ, — უთხრა ზოსეფას, —
უნდა დამიწერო. მე გაგება მიჭირს, ყოველი სიტყვა უნდა გამოვიცნო;
ესე იგი, ნამდვილი ყრუ ვარ.

ზოსეფამ მხოლოდ თავი დაუქნია. არ სურდა რაიმე ეკითხა იმის
შესახებ, თუ რას აკეთებდა იმ შუალედში, რაც აღარ ენახათ ერთმანე-
თი.

ხოსეთა ადრინდელზე მეტად თავდაპირველი იყო, სავსებით გულ-ჩათხრობილი გამხდარიყო. მიუხედავად ამისა. გოია უფრო ღრმად და გარკვევით იხედებოდა მის სულში; ხოსეთას ყოველთვის ისე უყურებდა, როგორც ერთხელ და სანუდამოდ ბოძებულს, რომელშიც ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. თავი არ შეუწუხებია იმაზე ფიქრით, თუ რა აზრისა იყო ხოსეთა იმის შესახებ, როგორ ატარებდა იგი იმ დროს, როცა ერთად არ იყვნენ. მისი რანგის კაცი ნებას აძლევდა თავის თავს, საქმე დაეჭირა იმ ქალთან, რომელიც თვალში მოუვიდოდა. ასეთი ადამიანი არსებობდა. საჭიროების შემთხვევაში ხოსეთა გვერდით ჰყავდა. ასე უნდა ყოფილიყო, მას ასე სურდა და ასეც იყო. თავის მხრივ, ხოსეთას არ საყვედურობდა იმის გამო, რომ მას თავისი ძმა უფრო დიდ მხატვრად მიაჩნდა, რომ გოიას ნაწარმოებები არ ესმოდა, და რომ ის გულში ამაყობდა თავისი ოჯახით, რომელიც ბევრად უფრო დაფასებული იყო, ვიდრე გოიასი. ათეულმა წლებმა გაიარა, ვიდრე მის შეზნებამდე მიაღწევდა, რა მხატვარი იყო გოია და როგორ აფასებდა ქვეყანა. მაგრამ თავიდანვე შეიყვარა ის ხოსეთამ, პირველი გაცნობისთანავე, თორემ ბაიეუს ასული ვიღაც გოიას არ გაჰყვებოდა. გოიამ ის შეიერთო, ერთი მხრივ, იმიტომ, რომ უყვარდა, მეორე მხრივ, და რაც მთავარია, იმიტომ, რომ ის ბაიეუ იყო. ამას, ცხადია, ხოსეთა დიდი ხანია მიხვდა. მაგრამ ისევე უყვარდა და ყველაფერს ურიგდებოდა. ფრანსისკო გრძნობდა, რომ ხოსეთა მრავალ დარდს იკლავდა გულში და ხშირად ეცოდებოდა. მისდამი თბილი გრძნობა ჰქონდა და კმაყოფილი იყო, რომ ახლა ხოსეთასაც მიეცა მიზეზი მისი შეცოდებისა.

ფრანსისკოს გული საბოლოოდ მოაღბო თავისი ვაჟის, ხავიერის და ნახვამ. მას უკვე ბავშვი აღარ ეთქმოდა, უკვე ჰაბუჟი იყო, რომელსაც ქალი თვალშეუვლებლად გვერდს ვერ აუვლიდა. ხავიერმა განაცხადა, რომ ბოლო თვეებში ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე მხატვარი გამოვიდეო. ამასთანავე, იმედი ჰქონდა, რომ მანა შეგივრდოდ აიყვანდა. გოია სინაზითა და სიამაყით უყურებდა თავის საყვარელ ხავიერს. მარიანოს დაკარგვის შემდეგ მისი დიდი ნუგეში ეს ვაჟი იყო. არ სურდა ყმაწვილის ხვედრიც ისეთივე მწარე ყოფილიყო, როგორც მისი საკუთარი.

ჰაბუჟი წარმოშობით იდალგო იყო, ღონ ხავიერ დე გოია ი ბაიეუ. არაგონის კანონების მიხედვით, იდალგოს შეეძლო მამის ხარჯზე ეცხოვრა, რათა მას მუშაობით თავი არ წაეხდინა. ახლა ისინი კასტილიაში ცხოვრობდნენ, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, არაგონული კანონი კარგი

იყო. ფრანსისკო მას სიამოვნებით შეასრულებს. შვილი საზღვარგარეთ უნდა გაგზავნოს, იტალიაში, საფრანგეთში. თვით მის ხელოვნებას ბევრი შემატა იტალიამ, მაგრამ სჭირდებოდა ზრუნვა მომავალი სადილისათვის ბრინჯის, პურისა და ყველის საშოვნელად. სამაგეროდ, ხავიერს უნდა გაუადვილდეს ცხოვრება და სწავლა.

როცა აგუსტინმა ფრანსისკო ნახა, მისი მოღუშული სახე დაიღრია და ატოცდა. გოიას არ სურდა მანუგეშებელი სიტყვების მოსმენა და უხეშად ჰკითხა:

— ბევრი გაფუჟდა ჩემი აქ არყოფნის დროს? ბევრი უბედურება დაატრიალე? — და უბრძანა მას, დახმარებოდა საპატერს საანგარიშო წიგნების შემოწმებაში.

მოგვიანებით გოიამ მიმართა აგუსტინს, ეჩვენებინა მისთვის, რა გააკეთა ამ ხნის განმავლობაში. და აგუსტინმა უჩვენა მას ჟან ბატისტ ლეპრინსეს ახალი მეთოდით დამზადებული თავისი გრაფიკურები. აგუსტინ ესტევეს გაეუმჯობესებინა მეთოდი. ფრანსისკო განცვიფრებული იყო მიღწეულით. „Hombre!“ — „ყოჩაღ!“ — თქვა რამდენჯერმე და საერთოდ ქებაში ძუნწი გოია ახლა ძარღვიანი სიტყვებით ხოტბას ასხამდა მეგობარსა და თანაშემწეს.

— ეს ხერხი ამიერიდან ესტევეს მეთოდად უნდა იწოდებოდეს, — თქვა მან.

მათ შორის კვლავ აღსდგა ძველი, გულითადი ურთიერთობა. ახლაც კი ფრანსისკომ უჩვენა თავისი დახატული სურათები. აგუსტინი გაოცდა. ტურები აამოძრავა, გოიამ ვერ გაიგო, ამბობდა თუ არა რაიმეს: აგუსტინს ჩვეულებად ჰქონდა, როცა რაიმე ააღელვებდა, სასაცილოდ აწკაპუნებდა ტურებს და ნერწყვს ყლაპავდა. ის უყურებდა, უყურებდა და ცქერით ვერ ძღებოდა. ბოლოს გოიამ სათუთად გამოართვა სურათები.

— თქვი რაიმე, — გამოიწვია გოიამ.

აგუსტინმა კი თქვა:

— ეს არის შენი კემპარტი მოწოდება. — და თავისი დიდი, ტლანქი, გულდაგულ განოყვანილი ასოებით დაუწერა კიდევ. გახარებულად გოია ხუმრობდა:

— ესე იგი ჩემი ფერწერა არაფერია?

მეორე დღეს ფრანსისკომ მეფის კარს მიაშურა, უხალისოდ და დარდიანად, მაგრამ იქ განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრნენ, ყოყო-

ჩა მარკიზი დე არისაც კი ცდილობდა თანაგრძნობა გამოეხატა მის მიმართ.

თვით ღონ კარლოსი ეცადა ხმამაღალი ხორხოცით გაეფანტა სიყრუით გამოწვეული უხერხულობა. სულ ახლო მივიდა გოიასთან და საშინლად დაიყვირა:

— ყურებით კი არ ხატავენ, თვალებით.

შეშინებულმა გოიამ ვერაფერი გაიგო, მდაბლად დახარა თავი და მოწინებით ნიაწოდა სახატავი რვეული და ფანჯარი. მეფეს სახე გაუბრწყინდა, მიხვდა, რომ იყო საშუალება, რომლითაც შეძლებდა თავის პირველ მხატვართან საუბარს. მან დაუწერა მანუგეშებელი წინადადება, რომელიც წელან ჩაჰყვირა — „ყურებით კი არ ხატავენ, არამედ თვალებითა და ხელებით“ — და რაკი წერდა, ჩვეულებრივ მიაწერა „Yo el Roy“ და აგრეთვე ერთი კალმის მოსნით ხელიც მოაწერა. გოიამ წაიკითხა და მოწინებით თავი დახარა.

— რა თქვით, ჩემო ძვირფასო?.. — ჰკითხა მეფემ.

გოიამ უნებურად ძალზე ხმამაღლა უპასუხა:

— არაფერი, თქვენო უდიდებულესობავ.

მეფემ განაგრძო მასთან თავისებური გულითადი საუბარი.

— ჩემი რამდენი სურათი გაქვთ დახატული? — ჰკითხა მან.

გოიამ ზუსტად არ იცოდა, მაგრამ ამაში რომ გამოტეხილიყო უპატივცემლობა იქნებოდა და მიუგო:

— სამოცდაცხრა.

— დახეთ! — დაწერა კარლოსმა და გახარებულმა დაურო: — თუ წმინდა ღვთისმშობელმა მე და თქვენ დღეგრძელობა გვიბოძა, ასამდე ავა მათი რიცხვი.

მშვიდობის თავადმა გოია შინ მიიწვია. მანუელს დიდად აინტერესებდა ნისი ნახვა. ადრინდელზე მეტად გრძნობდა იღუმალებით მოცულ კავშირს მასსა და მხატვარს შორის. როგორც ჩანდა, ორივე ერთნაირ ვარსკვლავზე იყვნენ გაჩენილნი, ზღაპრულ წარმატებას მიღწეულთ, ერთსა და იმავე დროს ჩასცათ ბედმა ლაჩვარი. ფრანსისკოს მეოხებით გაიცნო პეპა, და მასთან კავშირს დიდი შედეგი მოჰყვა მის ცხოვრებაში. ისინი მეგობრები იყვნენ, ერთინეორის ესმოდათ, შეეძლოთ ერთმანეთთან გულახდილი საუბარი.

როცა მანუელმა მობერებული ფრანსისკო დაინახა, გულწრფელი თანაგრძნობით განიმსჭვალა მისდამი. მაგრამ სცადა ისევ ისეთი მხი-

რული ყოფილიყო, როგორც მათს საუკეთესო წლებში და კვლავ არწმუნებდა ფრანსისკოს, რომ ისინი ერთიმეორეს ჰგვანდნენ. განაწინათაც არ უწინასწარმეტყველებია, რომ ყოველი მათგანი თავის დარგში დიდების უმაღლეს მწვერვალს მიაღწევდა? და აი, ახლა ფრანსისკო პირველი მხატვარია, ის კი — კასტილიის ინფანტი.

— ახლა კი გამოჩნდა ცაზე ორიოდე ღრუბელი, — თქვა მან. — მაგრამ მერწმუნე, ჩემო ფრანჩო, — და მან ხელის გაქნევით გადარეკა ღრუბლები, — ეს ბურუსი მალე გაივლის და ჩვენი ვარსკვლავი კიდევ უფრო მეტად აკაშქაშდება. ვინც ჩვენსავით თავისით მოიპოვა ძალაუფლება და სახელი, — განაგრძო დაბეჭითებით და დიდი საიდუმლოებით, — უფრო მეტად აფასებს მას, ვიდრე ის, ვისაც დაბადებით თანდაყოლილი აქვს. იგი მას ხელიდან არ გაუშვებს.

— Plus ultra! — წამოიძახა მან, და რადგან გოიამ ვერ გაიგო, დაუწერა: „Plus ultra!“ მან ძლიერი მიდრეკილება გამოიჩინა ამ გამოთქმისადმი კადისში ყოფნის დროს. ამბობდა, რომ კადისში უკანასკნელად ყოფნისას ჩინებულად გაეტარებინა დრო, სხვათა შორის ფრანსისკოც თურმე არ ჩამორჩებოდა, და მან თვალი ჩაუკრა მეგობარს, აქ თურმე ხმები დარჩეულიყო რომელიღაც შიშველ ვენერაზე.

ფრანსისკო შეცბა. განა მესამემაც ნახა სურათი? კაეტანას არ შეეშინდა მითქმა-მოთქმის? არ შეეშინდა ინკვიზიციის?

მანუელმა შეამჩნია ფრანსისკოს შეშფოთება და თითოთ დაემუქრა.

— ეს მხოლოდ ხმებია, — უთხრა მან. — და მე არ მოვიტხოვ, თქვენ დამინტკიცოთ, ან რაინდულად უარყოთ. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით შეგიკვეთავდით ამგვარ ვენერას, საამისოდ მე მყავს რამდენიმე მადის აღმძვრელი მოდელი. შესაძლოა ამაზე ცოტა ნოგვიანებით მოვილაპარაკოთ. დღესდღეობით კი დამინატეთ ჩემი მეუღლე. როგორც ყური მოვკარა, თქვენ ის ჯერ კიდევ ბავშვი დაგიბატავთ.

სულ ახლო მივიდა გოიასთან და გულწრფელად უთხრა:

— სხვათა შორის მე ვსწავლობ ყრუ-მუნჯთა ანბანს. მინდა შენთან ზშირად და დაწვრილებით საუბარი, ფრანჩო, ჩემო მეგობარო. ბრძანება გავეცი შეიმუშაონ გეგმა თანამედროვე ტიპის ყრუ-მუნჯთა სასწავლებლის დასაარსებლად, დოქტორ დე ლეპეს პრინციპების მიხედვით და მას შენი სახელი უნდა ეწოდოს; ამის იდეა ხომ შენ მომეცი. მერწმუნე, ეს არ არის ჩემი მხრივ უბრალო თავდაჯერებულება, თუ მე დღეს ამგვარ დავალებას ვიძლევი. ჩემი უსაქმურობა დიდხანს არ გაგრძელ-

დება. მე კიდევ უფრო ავმალღლები. მერწმუნე, ჩემო ფრანხო. — და თუმცა გოიას არ ესმოდა, მაგრამ მანუელმა თავისი დაბალი ტენორი მაინც მეტალისებურად ააქლერა.

მეორე ღღეს ანდრესმა მოახსენა, ვილაც მანდილოსანი მოვიდაო, გოიას ნაბრძანები ჰქონდა არავინ შემოეშვათ და გაგულისდა. ანდრესმა თქვა, სტუმარი არ მომეშვა და მაღალი წრის ქალბატონი უნდა იყოსო. გოიამ აგუსტინი გაგზავნა. ის ოღნავ დაბნეული დაბრუნდა და იქვეა, რომ ეს იყო კონტესა კასტილოფილი, და რადგან გოიამ ვერ გაიგო, ჩასძახა ყურში:

— პეპა! ეს პეპაა!

პეპა კარვად ცხოვრობდა. დონ მანუელის გაშავებამ მას მეტი ბრწყინვალეობა შემატა. არავის სჯეროდა დონ მანუელის შერისხვის დიდხანს გაგრძელება, და ისინი, ვინც ინფანტს სიფრთხილის გამო თავს არიდებდნენ, ცდილობდნენ იმავე სიფრთხილით რაც შეიძლება ხშირად დასწრებოდნენ კონტესას, კასტილოფილის, დილის ტუალეტს. გარდა ამისა საოცრად მატულობდა მისი სიმდიდრე.

როცა მან ფრანსისკოს მწარე ხვედრის ამბავი გაიგო, პირველად სიხარული იგრძნო. ახლა მიეზლო გოიას სამაგიერო მისი ათვალისწუნებისათვის. მაგრამ ეს კმაყოფილება დიდხანს არ გაგრძელდა. პეპა გრძნობდა, რომ უბედურება გამომდინარეობდა მხატვრის ვნებიანობიდან, და ეხარბებოდა ასეთი ვნება. სწყინდა, რომ თვითონ არ იყო ის, ვინც ასეთი ვნება აღუძრა ფრანსისკოს.

აქ მოვიდა იმ განზრახვით, რომ ეგრძნობინებინა გოიასათვის, სამაგიეროს მიზლვა ამ ქვეყნადაც ხდება და იმ ქვეყნადაცო. მაგრამ, როცა დაინახა ახალი, სხვა ფრანსისკო, შეძრწუნდა, მისმა ძველმა სიმპათიამ გაიღვიძა. დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ გარკვევით აგრძნობინა, როგორ ანაღლებულიყო.

— მე ფეხმძიმედა ვარ. — ეუბნებოდა იგი ამაყად და შინაურულად, — ჩემი შვილი იქნება გრაფი კასტილოფილი, კანონიერი ქორწინების შედეგად დაბადებული.

გოიამ შეამჩნია, როგორ ცდილობდა ქალი დაემტკიცებინა თავისთვისაც და მისთვისაც, რომ არანაირტო მდიდარია, არამედ ბედნიერიც. ამავე დროს არ იყო ბედნიერი. ის ისე იტანჯებოდა გოიას გამო, როგორც გოია ალბას გამო და მასში გაიღვიძა პეპას მიმართ აღრინდელმა გულითაღმა, თანაგრძნობისნაგვარმა სათუთმა სინაზემ.

ისინი ბაასობდნენ, როგორც ძველი, გულითადი მეგობრები, რომლებმაც ბევრი ისეთი რამ იციან ერთმეორისა, რაც სხვამ არ შეიძლება იცოდეს. პეპა უყურებდა ურცხვი, მწვანე თვალებით, გოიას შეეძლო აღვილად ამოეკითხა სიტყვები მისი ტუჩებიდან. ნან დაადგინა, რომ მხოლოდ მათ ვერ უგებდა კარგად, ვისადმიც გულგრილი იყო. იმ ადამიანებისა, რომლებიც უყვარდა და, განსაკუთრებით მათი, ვინც სძაგდა, იოლად ესმოდა.

— კონჩიტა კიდევ ცულლუტობს ბანქოს თანაშუი? — ჰკითხა მან და დასძინა: — თუ ნებას მომცემ, ამ დღეებში შენთან მოვალ სავახშმოდ და მანსანილის დასალეკად.

პეპამ ტრაბახისაგან თავი ვერ შეიკავა.

— მხოლოდ წინასწარ უნდა განაფრთხილო, — უთხრა მან, — თორემ შესაძლოა ჩემთან დონ კარლოსს შეხვდე.

— რომელ დონ კარლოსს?

— დონ კარლოსს, მთელი ესპანეთისა და ორივე ინდოეთის მეფეს.

— Carajo! — თქვა გოიამ.

— ნუ იგინებით, — უთხრა პეპამ, — მით უმეტეს იმ მანდილოსნის წინაშე, რომელიც მალე პატარა გრაფს შობს; — და განაგრძო დონ კარლოსზე საუბარი: — ის უბრალო გენერალივით მოდის და ჩემგან არ მოითხოვს იმას, რასაც შენ ფიქრობ. მიჩვენებს თავის საათებს, მასინჯებს თავის კუნთებს, შევექცევით ჩვენს ოლა პოდრიდას, უკრავს ვიოლინოზე და მე ვუმღერი რამდენიმე რომანსს.

— მეც მიმღერე ორიოდ რომანსი, — სთხოვა გოიამ.

და ვინაიდან პეპა დაბნეული გამოიყურებოდა და არ იცოდა, როგორ გაეგო მისი სიტყვები, მოღუშულად უთხრა:

— შენ მართალი ხარ, მე ყრუ ვარ, მაგრამ მაინც უკეთ მესმის, ვიდრე ბევრ სხვას.

„იმღერე! — მკაცრად უთხრა გოიამ, —

„რაფერია, მე კი დაუუკრავ“.

ქალიც ამღერდა. ხოლო გოიამ

ხელში აიღო გიტარა ნაზად,

მწუხარედ, გზნებით, თავდავიწყებით,

როგორც შეჰფერის, საერთოდ, რომანსს,

ღირხა პანგი და გასაოცრად

ხმა ემთხვეოდა თითქმის გიტარის

აკომპანემენტს...

მარტინ საპატერი უფრო მეტ ხანს დარჩა მადრიდში, ვიდრე თავიდან ჰქონდა განზრახული. თითქოს საქმეები აკავებდა, მაგრამ მთელ დროს მეგობარს სწირავდა. ცდილობდა მარტო არ გაეშვა ქუჩაში გოია, — ეშინოდა, რაიმე ცუდი არ შემთხვეოდა. ფრანსისკოს სძაგდა ყოველგვარი მფარველობა. მარტინი დიდი ეშმაკობით ახერხებდა ამას და გოიას არ ამჩნევინებდა, რომ ყოველთვის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა.

შეკვეთების რიცხვი ისე იზრდებოდა, როგორც არასოდეს. მარტინი სულ ახალს და ახალს შოულობდა, რათა გოიას შთაბეჭდილება არ შექმნოდა, თითქოს მისმა სატყვივარმა ადამიანები ჩანოაცილა. გოია ბევრ სამუშაოს არ იღებდა, უმეტეს შემკვეთებს მომავლისთვის იზარებდა.

მარტინი ცდილობდა ყველაფერი გაეგო, რაც გოიას აინტერესებდა. კაეტანას თაობაზეც ცოტა რამ შეიტყო. მან აცნობა ფრანსისკოს, რომ ალბას ნებართვა უთხოვია საზღვარგარეთ წასვლისა, იტალიელ ნათესავებთან, და უთუოდ ესპანეთში მანამ არ დაბრუნდებოდა, ვიდრე მისი გაძევების ვადა არ გავიდოდა.

— სადაც უნდა იყო, — თქვა ფრანსისკომ, — ხეიბრისათვის თავს არ შეიწყუბებს.

მადრიდის მარად ცვალებად კლიმატში ცხოვრება საპატერს აშკარად ვნებდა. ცუდად გამოიყურებოდა, ბევრს ახველებდა და უხაროდა, რომ გოიას არ ესმოდა, როცა საშინელი ხველება აუვარდებოდა.

ბოლოს თქვა, შინ უნდა დაებრუნდეო. მეგობრები ხნაურით გამოემშვიდობნენ ერთიმეორეს, როგორც სჩვეოდათ. ცდილობდნენ, გრძობები არ გამოემყლავნებინათ, ერთიმეორეს მხარზე ხელი დაჰკრეს, გაიხუმრეს თავიანთ სიბერესა და სატყვივრებზე და შემდეგ მარტინი სარავოსას გაემგზავრა.

წავიდა თუ არა მარტინი, ფრანსისკო გზას გაუდგა, რათა გაერკვია მარტოს, დაუნბარებლად, როგორ შეეგუებოდნენ ერთიმეორეს მადრიდი და ყრუ გოია. მისი სახლიდან მცირე მანძილი იყო პუერტა დელ სოლამდე, ქალაქის მთავარ მოედნამდე. ის იყო მრავალი დიდი ქუჩის შესაყარი — გალე მაიორის, კარმენის, ალკადასი და ბევრი სხვისა.

პუერტა დელ სოლზე დიდი მოძრაობის დროს გავიდა. პირველად დუქნებისა და რედ დე სან ლუისის ვაჭრების ნაგიდებთან შეჩერდა: შემდეგ მიაშურა გრადასს, სან ფელიპე ელ რეალის უზარმაზარ კარიბ-

ქეს, შემდეგ კი მარიბლანკას ჭას. პუერტა დელ სოლი ყველაზე ხმაურთან მოედნად ითვლებოდა მსოფლიოში. გოია უყურებდა ხმაურს და აურზაურს. მას ხელს ჰკრავდნენ, აგინებდნენ; სადაც არ უნდა დამდგარიყო, ყველგან ხელის შემშლელი იყო, მაგრამ ამას ვერ ამჩნევდა. ის უყურებდა და ტკბებოდა ხმაურით. რამდენადაც სარაგოსა მიძინებულად ეჩვენა, იმდენად ცოცხალი იყო მისი მადრიდი.

„ცივი წყალი!“ — გაჰყვიროდნენ მეთულუხჩენი. ისინი მარიბლანკას ჭის ირგვლივ იდგნენ, საუცხოო ქანდაკების ქვეშ, და არავინ იცოდა, თუ ვის გამოსახავდა იგი: ვენერას თუ რწმენას; სახელგანთქმული იყო ნით, რომ ბევრს ხელავდა და ისმენდა და მიუხედავად იმისა, რომ ქალი იყო, არ ჰორაობდა. „ცივი წყალი!“ — ყვიროდნენ წყლის გამყიდველნი. — „ვის სწყურია? ცივი წყაროს წყალი!“ „ფორთოხალი!“ „ორი ერთ კუარტად!“ — გაიძახოდნენ ფორთოხლით მოვაჭრე დედაკაცები. „პატარა ეტლი, სენიორ!“ — პატიყებდნენ მეეტლეები. „შეხედეთ, რა კოპწია ეტლი მაქვს! შეხედეთ, რა თვინიერი ცხოველები მყავს! გაგასეირნებთ პრადოზე, ან საითაც გნებავთ!“ „გამიკითხეთ, — იხვეწებოდა ხეიბარი, — უწმინდესი ქალწულის გულისათვის“. „შეიწყალეთ გულადი ვეტერანი, რომელმაც მწვალებლებთან ომში ორივე ფეხი დაკარგა“. „როგორა ხარ, ჩემო სულიკო?“ სთავაზობდა თავს გამვლელს მიმზიდველი გოგონა. „გინდა ნახო ჩემი პატარა ოთახი, ჩემო პატარავ? გინდა ჩემი პატარა ლოგინი ნახო? გაფუმფულებული, ძვირფასი პატარა ლოგინი, მეორე მაგის მსგავსი არ მოიპოვება!“ „მოინანიეთ, — ქუხდა სკამზე შემდგარი მქადაგებელი, — მოინანიეთ და შეიძინეთ ცოდვების მისატყვებელი“, „გაზეთი, ახალი გაზეთი“, „დიარიო“, „გასეტა!“ გაჰყვიროდნენ გაზეთის გამყიდველები, „სამი ბოლო ნონერი“. ქაქანებდნენ გვარდიის ოფიცრები, კორტეხოები თავიანთ მანდილოსნებს ხმამაღლა უკითხავდნენ ჰრელ განცხადებებს. ხმაურობდნენ ვალონისა და შვეიცარიის არმიის ჯარისკაცები. და ისინიც, ვისაც უფროსისათვის თხოვნის მიცემა სურდა, კარნახობდნენ სახალხო მდივნებს: ოინბაზი მაიმუნს აცეკვებდა, გაცხარებული დავობდნენ „პროექტისტები“ ესპანეთისა და მთელი მსოფლიოს გადასაკეთებლად თავიანთი პროექტების თაობაზე, და განუწყვეტლივ სთავაზობდნენ ხალხს თავიანთ საქონელს ნექველმანეები.

გოია იდგა და უყურებდა. „პუერტა დელ სოლზე“ ერიდე ქალებს შენს წინ, ჯორებს შენს უკან, ეტლებს შენს გვერდით, ხოლო მოლაყბე-

ებს ყოველი მხრიდან!“ მოაგონდა ანდაზა. გოია თავს არ არიდებდა, იდგა და უყურებდა. მას კიდევ ესმოდა და არც ესმოდა ყოველი წამოძახილი, ყოველი სიტყვა, უკვე აღარც იცოდა ისინი და თანაც იცოდა და იცოდა უკეთ, ვიდრე წინათ.

აგერ გამოჩნდა ბალადების მომღერალი ბრმა ქალი. მადრიდში არ სწამდათ ბრმებისა, მრავალი მათგანი განზრახ იგონებდა სიბრმავეს, რომ უკეთ ჩაეყო ხელი სხვის ჯიბეში, ან მეტი შებრალება გამოეწვია. მადრიდელებს სჩვეოდათ ნამდვილი თუ არანამდვილი ბრმების ღვარძლიანი დაცინვა და გოიას არაერთხელ მიუღია ამაში მონაწილეობა. ნაგრამ ახლა ბრმის დანახვაზე უფრო მტკივნეულად განიცადა თავისი. სიყრუე. ქალი თვითონ უკრავდა და ამღერებდა გიტარაზე. უთუოდ კარგი სიმღერა შეეხზა, რადგან ყველა სულგანაბული უსმენდა და მომღერალთან ერთად განიცდიდნენ შიშსა და სიხარულს; გოიას კი, მიუხედავად იმისა, რომ გულდაგულ პირში შესჩერებოდა, არაფერი ესმოდა. მომღერლის პარტნიორი ანასობაში ხალხს უჩვენებდა თავის ჭრელ ნათხუპნს — ნახატებს, რაზედაც ქალი მღეროდა და უცებ გოიას გაეცინა; ის მიხვდა, რომ მას არ ესმის ქალის სიმღერა, ხოლო ქალი კი ვერ ხედავდა ამ სიმღერის ილუსტრაციებს.

ეს სიმღერა კი შეეხებოდა ელ მარაგოტოს, იმ ველურ ბანდიტს, რომელიც ყოჩაღმა ბერმა სალდივიამ შეიპყრო. ელ მარაგოტო არ იყო კეთილშობილი ბანდიტი, ის იყო გონებაჩლუნგი, გამხეცებული, სისხლისმსმელი და ხარბი მტარვალი, და როცა უბრალო ბერმა შესთავაზა ერთადერთი, რაც ებადა. თავისი სანდლები, მან იარაღით თავის გატეხა ნოუნდომა, „შენ და შენი სანდლები ტყვიად არ ღირხართო“, დაუყვირა მან. მაგრამ გაბედული ბერი ეცა მას, გამოსტაცა იარაღი, გაქეუულს საჯდომზე დაახალა ტყვია და შებოჭა. მთელი ქვეყანა გაახარა გამბედავმა ბერმა, და პუერტა დელ სოლთან თავშეყრილი ხალხი ენთუზიაზმით უსწენდა ბალადების მომღერალს, რომელიც უთუოდ ხატოვნად გადმოსცემდა მომხდარი ამბის წვრილმანებს. გოიამ თავი განმარტოებულად იგრძნო. იყიდა სიმღერის ტექსტი, რათა შინ დამწვიდებით წაეკითხა.

სალამო მოახლოვდა, ზარები რეკდნენ, ხალხს მწუხრის ლოცვისაკენ მოუწოდებდნენ, ნოქრებმა თავიანთი დუქნების განათება იწყეს, სახლებისა და წმინდა მარიაშის გამოსახულებების წინ ფარნები აანთეს. გოია შინისაკენ გაუდგა გზას.

მცხოვრებლები აივნებზე ისხდნენ და სიგრილით ტკებოდნენ. ერთი ბნელი, თითქმის უფანჯრო, საეკვო სახლის აივანზე ღია ფერის ტანსაცმელში გამოწყობილი, მოაჯირზე დაყრდნობილი, ლამაზი და ფუნთუშა ორი გოგონა იჯდა. ერთიწინორეს რალაც დიდად მნიშვნელოვან ამბავს უყვებოდნენ და თანაც ქვევით გამვლელი მამაკაცებისაკენ ეჭირათ თვალი. გოგონების უკან ღრმა ჩრდილში, გაუნძრევლად იდგა ორი ჭაბუკი, რომლებიც ისე იყვნენ ლაბადებში გახვეულნი, რომ სახეები არ უჩანდათ. გოიამ შეხედა მათ, ნაბიჯი შეანელა და ბოლოს სულ შეჩერდა. ინდენ ხანს უყურა მათ, რომ გახვეული მამაკაცები შეირხნენ, ეს სულ მცირე ენტი იყო, მაგრამ საშიში, უმჯობესი იყო იქაურობას გასცლოდა. დიახ, იქ აივანზე ნამდვილი მანოლერიის მახები იყვნენ, მახეზი მთელი თავიანთი ცდუნებითა და ბრწყინვალეებით, ხოლო მათ უკან: წესისამებრ, იდგა ჩრდილი და მუქარა.

მეორე დღეს ჰკითხა აგუსტინმა, ბოლოს და ბოლოს როდის შეუდგებოდა მარკიზ დე კასტროფუერტეს პორტრეტს. გოიამ მხოლოდ თავი გაიქნია. მას სხვა საქმე ჰქონდა. ის ხატავდა გუშინდელ განცილს. ხატავდა ექვს პატარა დაფაზე ყაჩად ელ მარაგოტოს ამბავს, როგორ დაესხა თავს მონასტრის ჭიშკართან კაპუცინს და როგორ არ დაკარგა ამ გაბედულმა სულის სიმხნევე და დაიჭირა დაჭრილი ყაჩალი. ეს იყო მარტივი, ცოცხალი ამბავი, შიგ იყო მთელი სიმღერა და მთელი ის უბრალო, გულწრფელი სიხარული, რომლითაც მას ხალხი ისმენდა პუერტა დელ სოლთან.

მაგრამ შემდეგ ის გაიტაცა მეორე ყაჩალის — პუნიალის — სურათ-ნა, რომლის დასჯასაც დაესწრო კორდოვეს მოედანზე. დახატა დამხრჩვალნი ყაჩალი ფიცარნაგზე, წვერაგაბურძენილი, ყვითელ ძაძაში, მცხუნვარე მზის შუქზე მარტო დაგდებული.

იმავე დღეს, რადგან გული აღარ უთმენდა და უნდოდა ეს სურათი იმავე დღეს დაეწყო — შეუდგა აივანზე ნანახი ნამდვილი მახებისა და მათ უკან ჩრდილში ნდგომი მათი საშიში მგეობრების ხატვას. ხატავდა ჭალებიდან გამომდინარე ცდუნებას, რომელიც მამაკაცებში იბუდებს და იმ საშიშ სიბნელეს, მათ ზურგს უკან რომ დგას და ამ ცდუნებას კიდევ მეტად აძლიერებს.

სურათები აგუსტინს უჩვენა.

— უკეთესი იქნებოდა, მარკიზ დე კასტროფუერტე რომ დამეხატა? — სიამაყითა და კმაყოფილებით ჰკითხა გოიამ.

აგუსტინმა ნერწყვი ჩაყლაპა და ტუჩები გააწკლავუნა.

სწავლა სიკვდილამდეო, უთხრა მან, და ეს მართლაც სულ სხვა მხატვრობა იყო, ვიდრე აქამდე დახატული მსგავსი სცენები. ბანდიტებისა და მახების სცენები ადრეც გამოსახა გოიამ მეფის სასახლის კედლის ნახევრზე, მაგრამ ისინი მხიარული და ძალიან უსუსური გამოვიდა ესენი კი სულაც არ იყო უსუსური. აგუსტინი საოცრად ააღელვა და გაახარა იმ ამბავმა, რომ კარის პირველი მხატვარი ახალი მეთოდით ხატავდა. ამასობაში გახარებული ფრანსისკო იკვებნიდა:

— ისმის მარაგოტოს მუქარა? — ჰკითხა მან, — ისმის გასროლის ხმა? ისმის მახების ჩურჩული? ეტყობა, რომ ყრუს მიერაა დახატული? — და ვიდრე აგუსტინი პასუხს გასცემდა, ამაყად თქვა: — ხომ ხედავ! რაღაც კიდევ შევისწავლე! *Plus ultra!*

— რას უბირებ ამ სურათებს? — ჰკითხა აგუსტინმა. — ჰერცოგ ოსუნის მეუღლეს სურდა ორიოდე მცირე ზომის სურათის შექმნა. მას, ცნაღია, მოეწონება „ყაჩაღი მარაგოტო“.

— ამ სურათებს არ ვყიდი, — უპასუხა გოიამ. — ესენი ჩემთვის დაეხატე. მაგრამ შემიძლია გავასაჩუქრო. შენ შეგიძლია ერთი დაიტოვო, დანარჩენს კი ხოსეფას ვაჩუქებ.

ხოსეფა გაოცდა, მაგრამ სიხარულით სახე აელეწა. გაღიმებულმა მონასტერში შესწავლილი ანბანით გულდასმით დაუწერა: „მადლობელი ვარ“ და მიახატა ჯვარი ისე, როგორც ყველაფერზე, რასაც გოია ხატავდა.

გოიამ შეხედა, უკანასკნელ ხანებში ხოსეფა კიდევ უფრო გახდა და კიდევ უფრო გულჩათხრობილი შეიქნა. ნათ ბევრი არაფერი ჰქონდათ ერთიმეორისათვის სათქმელი, მაგრამ ახლა ხანდახან სიამოვნებით ილაყებდა გოია მასთან. რამდენმა მისმა მეგობარმა და შორებელმაც კი შეისწავლა ყრუ-მუნჯთა ენა; გოიას სწყინდა და აღელვებდა, რომ ხოსეფამ ამისთვის თავი არ შეიწუხა.

უცებ აზრად მოუვიდა მისი დახატვა. გოიამ ის ახლებურად, უფრო გარკვევით დაინახა, ვიდრე წინათ. დაინახა ის, რასაც ვერ იტანდა მასში, მსგავსება მის ძმასთან, მისი ხელოვნების არცნობა. მაგრამ დაინახა აგრეთვე ის, რისი დანახვაც წინათ არ სურდა: მისი სიყვარულიდან გამომდინარე სევდა და მზრუნველობა გოიას უღმერთობის, დაუმორჩილებლობის და თავშეუქავებლობის გამო.

ხოსეფა კარგი, მომთმენი მოდელი იყო. იჯდა თავის სკამზე, რო-

ვორც გოიამ უბრძანა, წელში გამართული, მხრებზე ძვირფასი, ოდნავ უხეში შალი მოესხა. ფრანსისკომ ხაზი გაუსვა მის არაგონულ სიზანტეს და სიამაყეს; ხოლო მის თავდაპირველ პოზაში კი სიყვარული ჩააქსოვა. გოია აღერსიანად შესცქეროდა; არ შეულამაზებია, მაგრამ ოდნავ კი გააახალგაზრდავა. აი, ზის ხოსეფა, ოქროსფერი მძიმე ნაწნავებიანი თავი მალლა აუწვევია, თხელტუჩებიანი ბაგე გრძელ ცხვირქვეშ მაგრად მოუკუმავს. ნოვრდო სახის ნაკეთები ოდნავ წაწვეტებია. ჯერ კიდევ მკრთალ-ვარდისფერ სახის კანს ნაოჭები შეპარვია, დაქანებულ მხრებში ოდნავ მოღლილობა იგრძნობა. დიდი, მოციმციმე, დანაღვლიანებული თვალები სადღაც მაყურებელს იქით, შორს იცქირებია. რუხხელთათმანიანი ხელები კი მძიმედ უწყვია მუხლებზე, მარცხენა ხელის თითები უცნაურად გაფარჩხული უწყვია მარჯვენა ხელზე.

ეს იყო კარგი, სხეყვარულით სავსე, მაგრამ სევდიანი პორტრეტი. იგი ძალიან განსხვავდებოდა იმ სარაგოსული სურათისაგან, სადაც ხოსეფა ორ თავის შვილთან ერთად დახატა. ამ უკანასკნელი სურათის დამხატავი გოია აღარ იყო მხიარული.

ეს იყო უკანასკნელი სურათი. პორტრეტის დამთავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ხოსეფა ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. თვალსა და ხელს შუა დნებოდა. მისი სიკვდილს პირას მიმყვანი მიზეზი ცხადი იყო. ეს იყო მადრიდის უღმობელი კლიმატი, ყინვიანი ზამთრები, ცხელი ზაფხულები და საშინელი ქარები; გარდა ამისა ხშირი ორსულობა.

ახლა, როცა აღსასრული უახლოვდებოდა, ამ ჩუმ ქალს ბევრი სათქმელი ჰქონდა. ახლა ხედავდა გოია, რომ უსამართლოდ იყო ნაწყენი, რადგან ყრუ-მუნჯთა ანბანი არ ისწავლა ხოსეფამ. შესწავლით კი შეისწავლა ეს ანბანი, მაგრამ მას მხოლოდ გულჩათხრობილობის გამო არ იყენებდა. ახლა თავისი დაღლილი თითებით ელაპარაკებოდა ქმარს მხოლოდ ორიოდ დღეს, მერე კი ხელები დაუმძინდა. ფრანსისკო ხედავდა, თუ რა დიდი გაჭირვებით ამოძრავებდა ტუჩებს: მან ამოიკითხა მის ტუჩებზე უკანასკნელი სიტყვები: „იყავი მომჭირნე, ფრანჩო! ქარს ნუ გაატან ნურც შენს თავს და ნურც ფულს“. ისე მოკვდა, როგორც ცხოვრობდა, წყნარად, ბევრი დავიდარაბის გარეშე, ბაგეზე შეცივებული, მზრუნველი სიტყვებით.

გარდაცვლილი ქალის სახე მოწითალო-ოქროსფერი ხშირი თმის ქვეშ ნაკლებ დაღლილი ჩანდა, ვიდრე უკანასკნელ დროს. გოიას აგონ-

დებოდა ყველაფერი, რაც მასთან ერთად განეცადა: ნაზი, ჩამოსხმული, მოუქნელი გოგონას სხეული, რომლისთვისაც გოიამდე მამაკაცს ხელი არ ეხლო; შვილების დაბადებით გამოწვეული უდრტეინველი ტანჯვა, ზანგრძლივი უსიტყვო ტკივილი, რომელსაც ფრანსისკოს გამო იტანდა; ფრანსისკოს ხელოვნების გაუგებრობა, ნისი მტკიცე სიყვარული. რა საშინელებაა, რომ სწორედ ახლა მოკვდა, როცა ბევრად უკეთესად გაეცნეს ერთმანეთი.

მაგრამ მასში არ იყო ის ველური, სასოწარკვეთილი ტკივილი, რომელიც სხვა დროს ასე ადვილად შეიპყრობდა ხოლმე. ახლა უფრო სევდიანი, ჩლუნგი სიცარიელის გრძნობა, აუტანელი სიმარტოვის შეგნება სთრგუნავდა.

სადად, უბრალოდ, გულისტკივილით
გამოიტირა გოიამ ცოლი,
ის ფუფუნება, ადრე რომ ახლდა
შვილის — ელენეს დასაფლავებას.
ახლა შეცვალა ზომიერებით.
სასაფლაოდან მობრუნებულმა
გოიამ ერთი ძველი ანდაზა
წარმოთქვა ცივად: „მკედრებს — სასაფლაო,
ჩვენ — საესე ტაბლა“.
მეგობრებმა კი
იმედნეულად შეატყვეს მხატვარს,
რომ ეს ახალი უბედურება
მან მხნედ და მშვიდად გადაიტანა.
თვითონაც ასე დაასკვნა: „ალბათ,
ამიერიდან ვერას დამაკლებს
მტერი, რომელიც დიდი ხანია
ცოცხლობდა ჩემში“.

9

სარაგოსადან მოულოდნელად გოიას დედა ჩამოვიდა ნანუგეშებლად. მან კეთილად მოიხსენია გარდაცვლილი. როცა ის ადრე მადრიდში იყო, ხოსეფას ვერ შეეგუა.

დედა მარტო ჩამოსულიყო. ცხადია ტომასს სურდა ხლებოდა და აგრეთვე მოეფელ მანუელ ბაიუსაც, მაგრამ ის ფრანჩოს გაუფრთხილდა, ისინი ორივენი ფულს მოსთხოვდნენ და ახლა ამის დრო არ იყო. მარტინ საპატერს კი სიამოვნებით წამოიყვანდა, მაგრამ ის სამწუხა-

როდ, ისევ ავად ყოფილა, ხველა აღარ მოშვებია. ამჯერად საკმაოდ ბევრი სისხლი გადმოუნთხევია.

გოია შეწუხდა. აღელდა. დედის უსიამოვნო სიტყვებმა ცრუნორწმუნობრივი შიში აღუძრა, მარტინის დარდი მიეცა. მრავალი მისი მეგობართაგანი, რომლებიც დახატა, ხორციელად გარდაიცვალა და მხოლოდ მის სურათებში განაგრძობდა სიცოცხლეს. განა ხოსეფაც ასე არ გარდაიცვალა პორტრეტის დახატვის შემდეგ? ყოველთვის ასე ხდება! როცა ვინმეს სულითა და გულით დახატავს, უმოკლებს სიცოცხლის დღეებს, რადგან როცა ადამიანი იწყებს სიცოცხლეს სურათზე, მის რეალურ ხორციელ არსებობას ძალზე დიდი ნაწილი ერთმევა. ფრანსისკოს უბედურება მოჰქონდა, სწორედ ისე, როგორც კაეტანას. შესაძლოა სწორედ ეს იყო ის. რაც მას კაეტანასთან აკავშირებდა.

გონიერ დონია ენგრასიას მასთან ყოფნა დაეხმარა შავი ფიქრებისაგან თავის დაღწევაში. მოხუცი ქალი მხნე იყო და მიუხედავად იმისა, რომ გოიან დახატა მისი პორტრეტი, სასიკვდილო პირი არ უჩანდა.

სამწუხაროდ დონია ენგრასია ვერ იტანდა თავის შვილიშვილს, კაბუკ ხავიერს.

— ეს ბიჭი არ მომწონს, — თქვა თავისებური მოურიდებლობით, — ბაიუებისა და გოიების ყველაფერი ცუდი მას გამოჰყოლია. ცხვირს იბზუებს, იტყუება და ფულს ფლანგავს. შენ მას ჰკუთვნდა დაარბო, ფრანჩო, — და მან წარმოთქვა ძველი სიბრძნე: — „Al hijo y mulo para le cuto“ — „შვილსა და ვიწროს სახრით ელაპარაკე“.

თავმომწონე და კოპწია ხავიერსაც ისევე არ ნოეწონა არაგონელი გაუთლელი ბებია, როგორც ბებიას იგი. სამაგიეროდ. გოიას მეგობრები აგუსტინი, მიგელი და კინტანა ერთმანეთს ეჯობებოდნენ ფრანსისკოს დედის პატივისცემაში. ნიგელმა ფრანსისკოს წინადადება მისცა. დონია ენგრასია მეფის კარზე წაყვანა და მათი უღირებულებებისათვის წარედგინა, რათა სენიორას თავისი თვალთ დაენახა, თუ როგორ აფასებდნენ მის შვილს მეფე და მარია ლეიზა. მაგრამ დედაბერი გაჯიუტდა.

— მე მეფის კარს არ შევეფერები, — თქვა მან, — ისე როგორც შენ. ფრანჩო. ხახვად გაჩენილი ვარდად ვერ იქცევა.

დიდხანს არ დარჩენილა იქ, მიუხედავად გოიას თხოვნისა, დაიყინა, გამცილებელი არ მკვირდება და მარტო გავბრუნდები უკანო. განა ფრანჩოც მარტო არ ჩავიდა სარაგოსას?

— დედაბერი უფრო იოლად წავა, ვიდრე ყრუ, — თქვა მან.

სწორედ გამგზავრების წინ დაარიგა მან შვილი, რანაც გოიას ზოსე-ფას გაფრთხილება მოაგონა: იყოს ფრთხილად, მომჭირნედ, ცოტა აძლიოს ძმას და ცოლისძმას — ამ გაუმაძღარ ყორნებს.

— შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია უანდერძო საკმაო თანხა, მაგრამ ბიბოცხლეში მე მათ დახმარებას არ მოვუმატებდი. უპირველეს ყოვლისა, ეცადე პატარა კაცი იყო და არა დიდი, პაკო! ნუ იქნები ყოყონა. შენც ხომ კარგად იცი, ამას რაც მოსდევს. „რაც უფრო ლამაზია შენი ტანსაცმელი, მით უფრო ემჩნევა ჭუჭყიანი ლაქა“.

გოიამ ჩასვა იგი საფოსტო ეტლში. უფროსმა მეეტლემ და მისმა თანაშემწემ ცხოველები გაირეკეს. „Macho, Macho!“ ყვიროდნენ ისინი და რადგან ხელნის ცხენი მაშინვე არ დაიძრა ადგილიდან, შეიგინეს: „Que perro!“ ამ ყვირილში დედამ თავი გადმოჰყო ეტლიდან და თქვა: — ლეთისშობელი გფარვიდეს, პაკო!

ფრანსისკომ გინებაც დაინახა და ლოცვაც და მის სულში ისინი ერთიმეორეში აირია. ბოლოს ეტლი თვალს მიეფარა და გოიამ იცოდა, რომ მოხუცი დედის ნახვას ვეღარ ეღირსებოდა.

დონია ენგრასიას რომ შვილიშვილი არ მოეწონა, ეს აწუხებდა ფრანსისკოს. მას უყვარდა და ძველებურად ანებივრებდა შვილს. რასაც იტყოდა ხავეირი და როგორც იტყოდა, მოსწონდა მამას. ხავეირი უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა მის გულში. დედა არ იყო მართალი, ის არ შეიძლება მართალი იყოს, ჭაბუკი ღირსია, რომ მამამ გაანებივროს.

მან დახატა შვილი; ეს მას ხშირად ეხმარებოდა ადამიანების გამოცნობაში. არაფერი განორჩენია, არ დაივიწყა მისი სისუსტენი, რომელსაც ზოსეფა და უმეტესად დონია ენგრასია ამჩნევდნენ. სისუსტეები, რომლებიც ხავეირს გატყლარქულ მარკიზ დე ადრიანს ამგვანებდნენ. მაგრამ მამამ შვილისადმი მთელი თავისი სიყვარული სურათში ჩააქსოვა.

დახატა ახალგაზრდა კონტაპრუწა, მაგრამ რა ირონიული სინაზით იყო აღსავსე ეს მომხიბლავი პრანკია არსება. აი, დგას ჯერ კიდევ ბავშვი, გრძელკალთიან, არაჩვეულებრივ მოხდენილ მარგალიტისფერ რუხ ფრაკში, შემოსხეპილ შარვალში, ნალაყელიან შავ ფეხსაცმელებში, ფეხები მოღაზე აქვს გაჩაჩხული. აცვია ყვითელი ხელთათმანები, ერთ ხელში უჭირავს ჯოხი და სამკუთხა ქუდი, მეორე კი შეყოფილი აქვს დაქუჩქუჩებულ, თეთრ, მაქმანის ქაბოში. ყილეტზე ჰკიდია ძვირფასი

ბრელოკები და ჩამოსხმული ყმაწვილის გრძელ ფეხებთან სასაცილოდ ჩაცუცქულა ჩამრგვალებული თეთრი, წითელბაფთიანი პატარა ძაღლი. ბიჭს მოგრძო სახე აქვს, მოწითალო ქერა კულულები შუბლზე დაჰფეჰია, დედის თვალებს ქვეშ და გრძელ ზედა ტუჩს ზემოთ წამოშვერილია მამის მსხვილი ცხვირი. მთელი სურათი ჩაძირულია ნაზ, ნათელ და მუქ რუხ ფერებში, რომლებიც მომჯადოებლად გადადიან ერთიმეორეში.

განზადებული პორტრეტის პირისპირ მიხვდა ფრანსისკო, თუ ხავეირის რა თვისებები არ მოსწონდათ ხოსეფას და დონია ენგრასიას. მაგრამ მას უყვარდა ხავეირი ასეთი, როგორიც იყო, და მოსწონდა კიდევ მისი კოპწიაობა და მისი ყმაწვილური მიდრეკილება მორთულობისა და ფუფუნებისადმი.

სანაგიეროდ უეცრად შესძულდა სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა, შესანიშნავად მოწყობილი სახლი სან ხერონიმოს ქუჩაზე. ელენე მკვდარი იყო, მარიანო მკვდარი იყო, მარტო ის და ხავეირი დარჩნენ. სახლი და მისი ავეჯი მობეზრდა, მოპყირჭდა.

მან სხვა სახლი შეიძინა, იქვე. მაღრიდის შემოგარენში, ქალაქგარეთ, მანსანარესას სანაპიროზე, პუენტა სეგოვიას ახლოს; ეს იყო ძველი, ხალვათი, ორსართულიანი ნამდვილი აგარაკი — კინტა, — ვრცელი, თავისუფალი მიწებით. იქიდან თვალწინ იშლებოდა შესანიშნავი ხედი; ერთ მხარეს მოჩანდა მისი საყვარელი, არაერთგზის დახატული პრადერია და სან ისიდრო და მის ზევით გაშლილი გოიას ქალაქი მაღრიდი. მეორე მხარეს გოია გვადარამის მთებს გასცქეროდა.

მან კინტა მეტისმეტად უბრალოდ მოაწყო. ჩაიციანა, როცა შეამჩნია, რომ მის ვაჟს, ხავეირს, არ მოსწონდა ასეთი სიღარიბე და გასამხნეველბად, ნება მისცა თავისი ოთახები სურვილისამებრ ნდიდრულად მოეწყო. გადასცა შვილს ძვირფასი სკანები და სავარძლები, ოქროქსოვილი ქამხით გადაკრული სელები. სან ხერონიმოს ქუჩაზე მდებარე სახლიდან. მისცა აგრეთვე ბევრი სურათი; თავისთვის კი დაიტოვა კაეტანას ის პორტრეტი, რომელიც მისთვის კი არ დახატა, არამედ თავისი სიამოვნებისათვის. თავის საკუთარ ვრცელ ოთახებში ნხოლოდ აუცილებელი ნივთები მოათავსა. კინტას კედლები შიშველი დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ თავისი წინანდელი სახელოსნოს კედლები გობენენებითა და ძვირფასი ნახატებით ჰქონდა მოფენილი.

ამ შიშველ კედლებს შორის ხშირად იჯდა და ხანდახან ეშმაკურად

ილიმებოდა. განზრახული ჰქონდა მათი მოხატვა. მისი სულიერი სამყაროს სურათები უნდა ყოფილიყო ამ კედლებზე, მისი დაკვირვება, მისი ფანტაზია უნდა ამოძრავებდეს მის ყალამს, არავითარ კანონს არ დაემორჩილება, გარდა მისი საკუთარი კანონისა: და, მიუხედავად ამისა, ეს მისი შინაგანი სამყარო იქნება რეალური სამყარო.

მაგრამ, ვიდრე ჩანაფიქრის განხორციელებას მიჰყოფდა ხელს, კიდევ ბევრი უნდა ესწავლა. მართალია, მან რაღაცას მიაღწია თავის ხელოვნებაში, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი სიმაღლე იყო. ისე, როგორც ადამიანი, რომელმაც პირველ თხემს მიაღწია და თვალწინ გადაეშალა უორეული მზით გაშუქებული მთელი მთაგრეხილი. გოიამაც სწორედ ახლა, ამ წამების, ჰკუიდან შეშლის. დაყრუების, სიმარტოვის შენეცნების გარიჟრაჟის წელიწადში დაინახა თავისი ჭეშმარიტი, შორეული და ძალიან შალალი მიზანი. პირველად ეს ბუნდოვნად წარმოიდგინა, პაბლო ოლავედეს დამცირების სამარცხვინო სანახაობის დროს, როცა დახატა ინკვიზიცია, საგიყეთი და სხვა მცირე ზომის სურათები. ახლა კი უფრო გარკვევით გრძნობდა: გარეგანი სახე შინაგანით უნდა შეიყსოს, ხოლო ამქვეყნიური შიშველი სინანდვილე — საკუთარი გონების ფანტაზიით. როცა ამას მიაღწევს, მაშინ მიჰყოფს ხელს კინტას კედლების მოხატვას.

რამდენადაც ღარიბულად მოაწყო სახლი, იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ტანსაცმელს. ახლა ის იცვანდა ახალ, გაბურჟუებული პარიზის მოდაზე. მეფის კარის ტანსაცმელს მხოლოდ საამისოდ დაწესებულ დროს ატარებდა, ჩვეულებრივ კი კალსასის — მოკლე შარვლის მაგიერ ატარებდა გრძელს და სამკუთხა ქუდი შეცვალა მაგარი და მაღალი ქუდით, პროლიფარით, ანუ „ბოლივარით“. თმები ყურებზე ჰქონდა ჩამოვარცხნილი, რომელთაც სულ ერთია არაფრის გავონება არ შეეძლოთ. ხშირად ხედავდნენ მას, თუ როგორ დადიოდა წინ და უკან თავის ვრცელ მიტოვებულ, გაპარტახებულ ბალში. დააბიჯებდა ჭარბად, ღირსეულად, ლომისებრი სასტიკი სახით, შალალი ქუდით და ყავარჩნით. ხალხი მას „el sordo en la huerta“-ს — „ყრუს ბალში“ ეძახდნენ და მის სახლს „la Quinta del sordo“-ს — ყრუს აგარაკს.

მუდამ ხელში ეჭირა ქაღალდი და ფანქარი, რათა სხვას მისთვის თავისი სათქმელი დაეწერა. სულ უფრო და უფრო ხშირად ხატავდა ამ რვეულში მცირე ზომის სწრაფ მონახაზებს, პირველ ჩანახატებს იმისა, რაც მასში ცხოვრობდა და რაც გარს ერტყა.

როგორც სან ხერონიმოს ქუჩაზე მდებარე სახლში, ისე აქაც, კინტაში, გოიამ თავისი სახელოსნო აგუსტინს უწილადა. მაგრამ ახლა, როცა ხელი მოჰკიდა იმ ახალი ჩანაფიქრის გრავირებას. თვით ერთგული, თანამოაზრე-თანაშემწის იქ ყოფნაც კი ხელს უშლიდა. მაშინ ქალაქის ყველაზე ხმაურიან კვარტალში, კალიე დე სან-ბერნარდინოს კუთხეში, მაცხოვრებლებით გაჭედილ ერთ მაღალ სახლში დაიჭირავა ოთახი სულ ზედა სართულში. ეს ოთახიც ღარიბულად მოაწყო: გარდა აუცილებელი ავეჯისა, მხოლოდ ის ხელსაწყოები შეიძინა, რომლებიც გრავირებისათვის ესაჭიროებოდა: სპილენძის ფურცლები, პრესი და სხვა ტექნიკური მოწყობილობანი.

აი, აქ ჩაუჯდა სამუშაოს გოია. მისი ძვირფასი ტანსაცმელი უცნაურად გამოირჩეოდა სახელოსნოს სიღარიბეში. გაეცინა. როცა მოაგონდა, როგორ უკმაყოფილოდ შეიკრავდა ხოლმე წარბს ხოსეფა, როცა ჭუჭყიანი საქმის კეთების დროს გოია კიტელს არ იცვამდა. ასე იჯდა ის აქ: გვერდიდან, ქვევიდან, ხალხმრავალ კალე დე სან ბერნარდინოდან ხმაური იჭრებოდა, მაგრამ იგი აქ სამარისებურ სიჩუმეში იჯდა და ატარებდა თავის ახალ, გაბედულ, ძლიერ ცდას და შიშველი სახელოსნო მისთვის საყვარელ სავანედ — „ერმიტად“ იქცა.

აგუსტინის ახალი მეთოდი ახალი, ჯერ არარსებული ფერების ეფექტის საშუალებას იძლეოდა და ეს კარგი იყო, ვინაიდან მის წარმოდგენაში არსებული ქვეყანა, რომელიც დაფაზე უნდა გადაეტანა, მდიდარი და ნაირფეროვანი ჩანდა. იქ იყვნენ ადამიანები, საგნები და მოვლენები ფუნდენტოდოსსა და სარაგოსაში მისი გლეხურ. წვრილბურჯუაზიულ ვითარებაშია გატარებული ჭაბუკობის დროისა. იქ იყვნენ აკრეთვე ადამიანები და საგნები მისი კარისკაცული ცხოვრების წლებისა, მაღრიდისა და მეფის რეზიდენციის სამყარო. დიდხანს ეგონა, რომ დაბალი წარმოშობა, წარსული უკვე მკვდარია და მხოლოდ მეფის კარის გოია დარჩა. ახლა კი მისი დაყრუების და მეჯორე ხილთან მოგზაურობის შემდეგ შეამჩნია, რომ ეს წარსული კვლავ ცოცხლობდა მასში და სიამოვნებასა ჰგვრიდა. ახლა ის იყო ახალი გოია, დაბრძენებული, რომელმაც გლეხებთან, ქალაქელებთან, კარისკაცებთან და მოჩვენებებთან ურთიერთობაში შეისწავლა ცხოვრება.

ახალგაზრდა გოია ფიცხი იყო და მოუთმენელი, მაგრამ ახლა დარწმუნდა: ვინც ამქვეყნად მოინდომებს თავისი გაიტანოს, მას ბედი თაჯში ჩაუკაკუნებს. მოგვიანებით უფრო დამთმობი გახდა, შეეგუა, შეიხ-

მატკილა ფუფუნება მეფის კარის ცხოვრებისა, მაგრან საკუთარმა გამოცდილებამ დაარწმუნა, ვინც თავის „მეს“ უარყოფს, მასაც ბედი თავში ჩაუკაჯუნებს, თავსაც დაკარგავს და თავის ხელოვნებასაც. მიხვდა: რომ ქობა როდი უნდა შენოახიო, პირიქით უნდა ეცადო შემოკეცო და მოამრგვალო.

ეგონა, ყველაფერი, რაც განეცადა, მხოლოდ იმისთვის იყო განკუთვნილი, რომ იგი აქ, კალიე დე სან ბერნარდინოზე, ამ დიდ ნათელ, შიშველ შენობაში მოეყვანა და თითქოს დღემდე მის ნიერ დაწერილ-დახატული მხოლოდ ხელის გასავარჯიშებელი ყოფილიყოს საიმისოდ, რაც ახლა უნდა გაეკეთებინა. აქ, თავის ერმიტაში, იჯდა და არ ეწინააღმდეგებოდა ქვეყანას, შექრილიყო მასთან, ამავე დროს აიძულებდა ამ ქვეყანას, ისეთი ყოფილიყო, როგორსაც თვითონ ხედავდა.

ეს ნოხაზა მან ქალაღზე, ასე ფხაჭნიდა და შლიდა დაფაზე, ეს სულ სხვა იყო, ვიდრე შეკვეთილი პორტრეტის დახატვა, როცა იმისათვისაც უნდა გაეწია ანგარიში, რომ სხვას, რეგვენ მუშტარს, ეთქვა, ეს მე ვარო. აქ კი ნამდვილი ქეშმარიტების დახატვა შეიძლებოდა. *Hombre!* რა სასიამოვნოა!

როგორც თავისი კინტას სიშიშვლე, ისევე მოსწონდა გოიას სისადავე და სიძუნწე, რისკენაც მას თვით მისი ახალი ხელოვნების მასალა უბიძგებდა. შუქი და ფერი რაღაც მომაჯაღოებელი იყო, ხშირად დამთვრალა გოია მით, და კვლავაც ხშირად დათვრება. მაგრამ ხანდახან, ახლა ნარტობისას, სასტიკად აგინებდა თავის ადრინდელ სურათებს. დიახ, ისინი ისეთი ფერისა იყო, როგორც მაინუნის უკანალი! არა, მისი ახალი, მსუსხავი, მწარე მოჩვენებებისათვის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი საწერტელი და წესიერი შავი და თეთრი ფერი.

აკადემიას აუწყა, რომ სიყრუემ იძულებული გახადა გულდამძიმებულს თანამდებობიდან გადადგომა მოეთხოვა. აკადემიამ საპატიო პრეზიდენტად აირჩია და სამსახურიდან წასვლის გამოსათხოვარი მისი სურათების განოფენა მოაწყო.

მეფემ გამოფენისათვის გაიმეტა და აკადემიას ათხოვა „კარლოსის ოჯახი“.

ამ გაბედულ სურათზე ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. გამოფენის გახსნაზე არა მარტო მისი ხელოვნების მფარველნი, მეფის კარის წევრები და გოიასთვის თავიანთი მეგობრობის დასადასტურებლად მოსულნი

ესწრებოდნენ, არამედ ისინიც, ვინც მადრიდში პროგრესულ ადამიანებად ითვლებოდნენ.

ასე რომ, აქ ეკიდა სურათი, რომელმაც ირგვლივ ბევრი ქება, სხვადასხვა აზრი და დაცინვა გამოიწვია. მის პირველად მხილველ ადამიანთა უმეტესობას სუნთქვა ეკვრებოდა.

აკადემიის კომიტეტის თავმჯდომარემ, მარკიზმა დე სანტა კრუსმა გაატარა გოია მოწიწებით მოპლოდინე ხალხში და თავის ქმნილებასთან მიიყვანა. ჩასხმული მამაკაცი, ოდნავ გამოსხეპილ ტანსაცმელში, თავის ხნოვანებაზე მეტად გამოიყურებოდა. თვალბდაწკურული, ქვედატუჩჩამოშვებული, იღგა და ათვალეირებდა თავის ბურბონებს. მის უკან იდგნენ ქალაქ მადრიდის კარისკაცები, მოქალაქენი და მხატვრები. და როცა მათ გოია თავის ნაწარმოების წინ დაინახეს, გაისმა თავშეუკავებელი, ალტაცებული შეძახილები; „გაუმარჯოს ესპანეთს!“, „გაუმარჯოს ფრანსისკო გოიას!“, „Viva!“ . „Ole!“ და ამასთანავე ძლიერი ტაშის ცემა. გოია კი ვერაფერს ამჩნევდა. მარკიზმა დე სანტა კრუსმა სახელოში წაავლო ხელა მას და ფრთხილად შემოაბრუნა ხალხისაკენ, ფრანსისკომ დაინახა, რაც ხდებოდა და დინჯად დახარა მათ წინაშე თავი.

დიდი ინკვიზიტორი დონ რამონ დე რეინოსო-ი-არსე ათვალეირებდა სურათს. მას მოახსენეს რომ ეს იყო ლეგიტიმიზმის პრინციპის წინააღმდეგ მიმართული თავხედური გამოწვევა.

და დაიჯერა, რომ მათი აზრი
სარწმუნო იყო. „მეფის ადგილზე —
წყნარად წარმოთქვა მან ლათინურად, —
მე არა მარტო არ ვადირსებდი
გოიას პირველ მხატვრის წოდებას,
არამედ ახლაც მე მოვიტხოვდი
საგულდაგულო გამოძიებას,
რომ დაწვრილებით გამოგვეკვლია,
ხომ არ გვაქვს საქმე ფარულ ხერხებით
„laesae majestatis“-თან!.

1 უმაღლესობის შეურაცხოვა (ლათ.).

დონ მანუელმა კარგად გაიანგარიშა, როცა ნეფეს ურჩია ლიბერალი ურკიხო დაენიშნა პრემიერ-მინისტრად, ხოლო რეაქციონერი, ულტრამონტანი კაბალიერო — იუსტიციის მინისტრად. მაგრამ ერთი კი დაავიწყდა: სახელდობრ ის, რომ დონ მარიანო ლუის დე ურკიხო მარტო ახგარებიანი პოლიტიკოსი როდი იყო. მოწინავე იდეები, რომელთა მომხრედაც ის ითვლებოდა, მისთვის მეტს ნიშნავდა, ვიდრე მოდურძ სალონური თავშესაქცევი საუბრის თემა. ორივე მინისტრი ერთიმეორეს ებრძოდა და ცდილობდა ერთიმეორის ღონისძიებას გადალობებოდა წინ, როგორც ამას დონ მანუელი ნოელოდა. მაგრამ ურკიხომ მგზნებარე პატრიოტისა და თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის სახელი მოიხვეჭა, რასაც ეშმაკმა, თავისმოყვარულმა, გონებაჩლუნგმა კაბალიერომ ვერ მიაღწია. კაბალიეროს ხრიკების ნიუხედავად, ურკიხომ მოახერხა რომის გავლენის შენელება ესპანეთის ეკლესიის მიმართ და აიძულა ესპანელი ულტრამონტანები სამეფო ტახტისათვის ჩაებარებინათ ფული, რომელიც აწამდე რომს იგზავნებოდა; მოახერხა აგრეთვე ინკვიზიციის იურისდიქციის შეზღუდვა. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ურკიხოს საგარეო პოლიტიკაში ჰქონდა მიღწევები. მან არამარტო თავი აარიდა საფრანგეთის რესპუბლიკის წინაშე დათმობაზე წასვლას, რაც მანუელს გარდუვალად მიაჩნდა, პირიქით, მოქნილი პოლიტიკით ჰკვიანურად დაუთმო მცირედი და თავაზიანი, მაგრამ ბეჯითი, დაჟინებითი ნოთხოვნით მიაღწია დიდს — ძლიერ, გამარჯვებულ, ძნელად შესათანხმებელ მოკავშირის თვალში განამტკიცა ესპანეთის სამეფო ტახტის მდგომარეობა.

დონ მანუელს იმედები გაუტრუვდა. დონა მარია ლუიზას მისკენ საშველად ვედრებით არ გაუწვდია ხელი, პირიქით, ისევ ისე გულგრილად უყურებდა, ყურადღებას არ აქცევდა და მის მაგიერ, თავის კნაყოფილების ნიშნად, ახალ პრემიერ-მინისტრს წყალობით ყელამდე ავსებდა.

დონ მანუელს ქვეყნის თვალში ურკიხოსთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, მაგრამ ათასგვარ ინტრიგას ქსელავდა მისი პოლიტიკის დასაბრკოლებლად. ეხმარებოდა, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა თვალთმაქც კაბალიეროს, ამხნევებდა ულტრამონტანებს, რათა კათედრებზე და პრესაში ხმა აღემაღლებინათ ურჯულო პრემიერ-მინისტრის წინა-

აღმდეგ, აქეზებდა კასტილიის საბჭოს, კარლოს მეფესთან ეჩივლა ურკიხოს ხელში ცენზურის შესუსტების გამო.

ყველაზე მეტად კი ურკიხოს საგარეო პოლიტიკის ხელის შეშლას ცდილობდა დონ მანუელი. პარიზის მმართველთა მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ახალი პრემიერ-მინისტრი ჭკვიანი, შიზანსწრაფული მოწინააღმდეგე აღმოჩნდა და მადრიდში იღვწოდნენ მის ჩამოსაგდებად. მანუელს რომ პარიზისათვის თავისი თავი მოეგონებინა, დირექტორიას მიაწოდა სასურველი. კარგი საბაბი ურკიხოს გადადგომის მოსათხოვნად.

კარლოს მეფის ძმა, ფერდინანდ ნეაპოლელი, საფრანგეთის წინააღმდეგ კოალიციას მიემხრო, ერთი ხანმოკლე ლაშქრობის დროს დამარცხდა და ჩამოაგდეს, რაც კარლოსს გულში უხაროდა. მანუელმა ურჩია მეფეს ნეაპოლის ტახტი თავისი მეორე ვაჟისათვის მოეთხოვა. ეს კადნიერი მოთხოვნა იყო, ვინაიდან კარლოსს, როგორც საფრანგეთის მოკავშირეს, უნდა დაეყოლიებინა თავისი ძმა. რათა ნეიტრალური მხარე დაეჭირა. ურკიხომ მოახსენა მეფეს, რომ მისი მოთხოვნა პოლიტიკურ გონიერებას არ შეეფერებოდა და მას არასასურველი შედეგი მოჰყვებოდა: მაგრამ მეფე მანუელის რჩევას მტკიცედ დაადგა: ურკიხო იძულებული გახდა პარიზში ესპანეთის პრინციისათვის მოეთხოვა ნეაპოლის ტახტი. მისი ნაწინასწარმეტყველევი გამართლდა. დირექტორიამ მოთხოვნა სასაცილოდ ჰიჩინია, მკვანხე პასუხი გასცა და მიმართა მეფეს გადაეყენებინა მინისტრი, რომელმაც რესპუბლიკას ასეთი დამამცირებელი მოთხოვნა წარუდგინა. მანუელმა დაარწმუნა მეფე, რომ მხოლოდ ურკიხოს უტაქტო მიმართვამ შეურაცხყო პარიზი და აიძულა არასასიამოვნო ნოტა განოეგზავნა. მეფემ, მარია ლუიზას მოთხოვნის თანახმად და თავისი ღირსების დასაცავად, ურკიხო ჭერჭერობით თანამდებობიდან არ მოხსნა, მაგრამ უსაყვედურა კი და ეს განკიცხვის ანბავი აცნობა რესპუბლიკის მთავრობას. „ეს მეღაც მალე დაამთავრებს თავის მოღვაწეობას ბურგოსის ჭონთანო“, მოიგონა გახარებულმა მანუელმა ძველი ანდაზა.

და აი კიდევ წამოპყო თავი ერთმა ბედნიერმა შემთხვევამ, რომელსეღაც მანუელი დიდ იმედს ამყარებდა და მთელი ცხოვრების მანძილზე ამაზე ოცნებობდა. ნაპოლეონ ბონაპარტე დაბრუნდა ეგვიპტიდან და ოავი პირველ კონსულად გამოაცხადა. გამარჯვებას ჩვეულ მხედართმთავარს და სახელმწიფო მოღვაწეს სრულებითაც არ ეპიტნავებოდა ჯიუტ ურკიხოსთან ეწარმოებინა ესპანეთის საქმეებზე მოლაპარაკება

და არ მალავდა თავის სურვილს, რომ მიესალმებოდა იმ ანბავს, თუ კვლავ იხილავდა თავის მეგობარს, ინფანტ დონ მანუელს, ესპანეთის მთავრობის სათავეში.

ნაპოლეონი ისეთი კაცი როდი იყო, სურვილი სურვილად დაეტოვებინა. გაიწვია წინანდელი წარმომადგენელი ტრიუგე და მის ადგილზე დანიშნა თავისი ძმა ლუსიენი. მას კი მისცა ესპანეთსა და რესპუბლიკას შორის ახალი შეთანხმების გეგმა, მარია ლუიზას საგვარეულო სიამაყის ჭკვიანური ანგარიშგაწევით და დაარიგა, რომ ლუსიენს ამ ახალი ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკება ეწარმოებინა არა ურკიხოსთან, არამედ დონ მანუელთან.

ასე და ამგვარად ლუსიენმა საიდუმლოდ გაუმჟღავნა ინფანტ მანუელს, რომ პირველ კონსულს განეზრახა ტოსკანიის დიდი საჰერცოგოსა და პაპის სანფლობელოებისაგან შეექმნა ახალი — ეტრურიის სახელმწიფო. ზოლო სამეფო გვირგვინი მოფიქრებული ჰქონდა მემკვიდრე პრინც ლუისისათვის, ესპანეთის მონარქების სიძისათვის, დაკარგული პარმის საჰერცოგოს ასანაზღაურებლად. ამ ხელის გამართვის სამაგიეროდ, პირველი კონსული, თურმე მოელოდა, რომ ესპანეთი ანერკიაში თავის კოლონიას, ლუიზიანას, საფრანგეთს დაუთმობდა.

დონ მანუელი მაშინვე მიხვდა, ასეთი წინადადება, მიუხედავად იმიო-სა, რომ ესპანეთისათვის ხელსაყრელი არ იყო, დონია მარია ლუიზას ყურებისათვის სასიამოვნო მოსასმენი იქნებოდა და იგი დაჰპირდა ახალ წარმომადგენელს ლუსიენ ბონაპარტეს, რომ ყოველივე ამას აცნობებდა მეფე-დედოფალს და ისინი მხარს დაუჭერდნენ. დონია მარია ლუიზა მათ შორის დიდი ჩხუბის შემდეგ არ აძლევდა მანუელს მასთან მარტო ლაპარაკის საშუალებას. ახლა კი მანუელმა საიდუმლოდ მოლაპარაკება ითხოვა წინდა პოლიტიკური ვითარების თაობაზე. გააცნო ახალი პროექტი. გამოხატა თავისი სიხარული იმის გამო, რომ სამწუხარო დამბულობა რესპუბლიკასთან, რომელშიაც ბრალი მიუძღოდა უნიჭო ურკიხოს უტაქტო მოქმედებას, ახლა მისი მეოხებით თავიდან აცილებულია, როგორც მან პირველი კონსულის სულგრძელ წინადადებაში დაინახა.

— მეორე მხრივ, — განავრძო მან, — არ შეიძლება პირველი კონსული გავამტყუნოთ იმაში, რომ ამ საჩოთირო სახელმწიფოებრივ საქმეზე როგორც ეტრურიის სახელმწიფოს შექმნა და ესპანეთის საპასუხო საბოძვარი, არ ინება გაუთლელ ადამიანთან, ურკიხოსთან, ეწარმოებინა მოლაპარაკება.

მარია ლუიზა უსმენდა ყურადღებით, სანტიმენტალურად. ღაცუნვით. მან მანუელის ნაცვლად გვარდიის ლეიტენანტი ფერნანდო მალო გაიხადა საყვარლად და პარმის მემკვიდრის პირველი კამერჰეროზა უბოძა, მაგრამ ეს ნალო ბრიყვი და უხეში იყო, დედოფალს მობეზრდა, და ახლა, როცა მანუელი დიდი ხნის შემდეგ კვლავ მარტო იდგა მის წინაშე, იგრძნო, როგორ აკლდა იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში. დედოფალი სულითა და გულით ილტვოდა მისკენ. ცხადია, რომ მარიანო ლუის ერკიხო სულ სხვა ყალიბის სახელმწიფო მოღვაწე იყო, ამაში სწორი იყო მანუელი: პირველ კონსულს ურკიხოსთან კი არ სურდა ეწარმოებინა მოლაპარაკება, არამედ მანუელთან.

— თუ მე სწორად გავიგე, ინფანტო, — ბრძანა მან, — თქვენის აზრით, ხელშეკრულება. რომელზედაც ლაპარაკობთ, მხოლოდ თქვენი მეოხებით დაიდება.

გაღიმებულმა მანუელმა დედოფალს შეხედა.

— მისი აღმატებულება, წარმომადგენელი ლუსიენ ბონაპარტე, ყველას რომ არ ენდობა და თავისი ძმის საიდუმლო გეგმებს მე მიმწვავნებს, — თქვა მანუელმა, — რა თქმა უნდა, ნდობის დამადანსტურებელია, მაგრამ იქნებ, Madame, თქვენ ჰკითხოთ პირადად ბონაპარტეს, — განაგრძო მან უტეხად.

— შენ გსურს ყოველგვარ საშუალებას მიმართო, რომ პირველ მინისტრად გახდე, მანუელიტო? — უთხრა ოცნებითა და ტბილად დედოფალმა.

თქვენ სასტიკად სცდებით. Madame. — ალერსიანად მიუგო მანუელმა. — დღევანდელ ვითარებაში პირველი მინისტრის თანამდებობას მე კვლავ ვერ დავიკავებდი. რანდენჯერაც არ უნდა მოგეშართათ რჩევისათვის, მე ყოველთვის გაგიხსენებდით იმ სირცხვილს, რომელიც თქვენმა ხელმა მომაყენა.

— ვიცი, — თქვა დედოფალმა, — შენ მეტისმეტად სათუთი ხარ. ახლა რა გინდა დამტყუო, Chico, ჩემო პატარავ?

— უნდა გამიგოთ, თქვენო უდიდებულესობავ. — უთხრა დონ მანუელმა, — რომ მე მანამდე ვერ დავუბრუნდები ჩემს თანამდებობას, ვიდრე არ დამაკმაყოფალებთ.

— აბა, გააღე ბოლოს და ბოლოს შენი უნანუსო პირი. — უპასუხა მარია ლუიზამ, — და თქვი, რას მოითხოვ იმისათვის, რომ ჩემი ქალიშვილი ეტრუერიის დედოფალი გახდეს!

— უპორჩილესად გთხოვთ, — უთხრა დონ მანუელმა და თავისი დაბალი ტენორი ააქლერა, — რომ კონტესა კასტილოფილი თქვენი კარის მხევალთა რიცხვში ჩარიცხოთ.

— უნამუსო ხარ! — უთხრა ნარია ლუიზამ.

— მე პატივმოყვარე ვარ, — გაუსწორა მას ინფანტმა მანუელმა, — ვბრუნავ ჩემს თავზე და ჩემს ახლობელ ადამიანებზე.

როცა პეპამ მეფის პირველი კამერჰერის, ნარკიზ დე არისას წერილობითი უწყება მიიღო, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მეფის დაბადების დღეს მიწვეული იყო ესკურიალში Besamanos — ხელზე მთხვევისათვის, სიხარულით სახე გაუბრწყინდა, ორსულობის ზრდასთან ერთად მისი კმაყოფილებაც იზრდებოდა. მეფის კარზე ყველაზე სახეინო დღეს მიწვევა მისთვის ბედის საოცარი წყალობა იყო. მანუელი იქ იქნება, ყველანი იქ იქნებიან, ფრანჩოც იქ იქნება; მეფის დაბადების დღეს სირველი მხატვარი ვერ დააკლდება. პეპა დადგება დედოფლის პირდაპირ, მათ შეადარებენ ერთიმეორეს, ყველა შეაღარებს, მთელა მეფის კარი. აგრეთვე მანუელიც, ფრანჩოც.

სიხარულით შეუდგა სასწრაფო სამზადისს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მალე მსრობოლი ადრინოს მალაგას. მისი გამოჩერჩეტებული ბებერი მეუღლის მადრიდს ჩამოსათრევად, უიმისოდ წასვლა არ იქნება. ეს იოლი საქმე როდია, რამდენიმე ასეული რეალი მაინც დაჯდება, მაგრამ ასეთი საქმისათვის დასანანი არ არის. კიდევ კარგი, რომ პარიზიდან ეს-ეს არის მიიღო. ლუსიას მზრუნველობის მეოხებით, მადმუაზელ ოდეტეს სახელოსნოდან ახალი მწვანე კაბა, ოღნავ წელში გამოუშვებს. და ორსულობის დროს განსაკუთრებით კარგად მოადგენა ტანზე. დიდხანს ბჭობდა კაბის გადაკეთების თაობაზე მადმუაზელ ლიზეტთან, პუერტა სერადაზე რომ სახელოსნო ჰქონდა. შემდეგ გულდასმით შეუდგა „ცერემონიალთა სახელმძღვანელოს“ შესწავლას. წიგნი შეიცავდა დიდი ფორმატის ოთხმოცდასამ გვერდს; ის არ იყიდებოდა; ჰომეარშლები აწოდებდნენ იმ პირებს, რომლებიც მეფის კარზე იყვნენ დაშვებულნი.

ნიღბის დღეს თავის დაჩაჩანაკებული გრაფით დიდკაცურად მიადგა პეპა სასახლის მთავარ პორტალს. ამჯერად ის ესკურიალში შედიოდა არა უკანა კარიდან, არამედ მასპინძლის მიწვევით. ის მიაბიჯებდა გარდაცვლილ მეფეთა საძვალეს ზევით გაშენებულ დარბაზებსა და დერეფნებში, გვერდი ჩაუარა სადარაჯოზე მდგომ ჯარისკაცებს და სა-

ზეიმოდ მორთულ ლაქიებს, რომლებიც მოწიწებით დაბლა უხრიდნენ თავს. რვა სადღესასწაულო დღეს მთელი მეფის ამაღლა იყრიდა თავს, ვალონისა და შვეიცარიის გვარდიები, ამასთანავე დიდი და პატარა ზომისახურე, სულ — 1874 კაცი.

პეპას შეეგება კამარერა მაიორი, მარკიზა დე ნონტე ალეგრე, რომელსაც დავალებული ჰქონდა იმ მანდილოსნების მომზადება, რომლებიც მეფე-დედოფალს უნდა წარსდგომოდნენ. დღეს ასეთი ცხრამეტა მანდილოსანი იყო მიწვეული, უმეტესობა ძლიერ ახალგაზრდები იყვნენ. ყოველი მათგანი შემფოთებული იყო მომავალი გამოცდის გამო. ერთადერთი, ვინც სავსებით თავისუფლად გრძნობდა თავს, იყო გრაფის ძეგულლე კასტილოფილი; როცა ის მსახიობობას სწავლობდა, გაცილებით უფრო ძნელი როლების დაძლევა უხდებოდა.

როცა კამარერა მაიორი სატანტო დარბაზში გამოცხადდა თავისი მცირერიცხოვანი სამწყსოთი, იქ უკვე შეკრებილიყვნენ გრანდები, პრელატები და ელჩები, დაბალი აზნაურებისა და მაღალი თანამდებობის პირების ბრბოს ფართო დარბაზის განაპირა მხარეები და დერეფნები აევსო. პეპას შესვლამ ხალხი დააინტერესა. ის კი სრულიად თავისუფლად იყურებოდა ირგვლივ და ნაცნობებს ეძებდა. ბევრი ცერემონიულად აძლევდა სალამს, ისიც წყნარად და მხიარულად უყრავდა თავს. გალერეაში ფრანსისკოს მოჰკრა თვალი და სიხარულით მიესალმა.

წინადარბაზიდან პატარა საყვირების და განკარგულების ხმა გაისმა, ავღარუნდა ყარაულების ალებარდები. შემდეგ მეორე სახლთუხუცესმა სამჯერ დაჰკრა კვერთხი და განოაცხადა: „Los Reyes Catolicos“. მდებლად თავდახრილ კარისკაცთა შორის, მათი კათოლიკური აღმატებულებანი შებრძანდნენ დარბაზში, მათ მოჰყვებოდნენ მეფის ოჯახის წევრები, მათ შორის ინფანტი მანუელიც თავისი მეუღლითურთ. მათი აღმატებულებანი ტახტზე დაბრძანდნენ. სახლთუხუცესმა მაიორმა აუწყათ, რომ სახელმწიფოს გრანდები მოგროვილიყვნენ, რათა კათოლიკე მეფისათვის ამ ბედნიერ დღეს დიდებულთა კეთილი სურვილები გადაეცათ. „წმინდა ღვთისმშობელმა მისცეს დღეგრძელობა კათოლიკე მეფეს მთელი ხალხისა და ესპანეთის საკეთილდღეოდ!“ — წამოიძახა მან. ყველამ გაიმეორა მისი მოწოდება, მთელ სასახლეში საყვირების ხმა გაისმა, ავუგუნდა დიდი ტაძრის ზარები, ამ საზეიმო ხმაურის დროს, რომელიც ყრუდ აღწევდა უზარმაზარ დიდებულ, სუსტად განათებულ დარბაზში, პირველად მიუახლოვდა მეფე-დედოფალს

Esamanos — ხელზე სამთხვევად პირველი რანგის თორმეტი გრანდი შემდეგ დაიწყო ცხრაშეტი მანდილოსნის წარდგენა. ისინი ჩანწკრივებული იყვნენ რანგის მიხედვით. კონტესა კასტილოფილი მეშვიდე იყო, როცა მარკიზმა დე არიელამ პეპას გვარი გამოაცხადა და მარკიზმა დე ვეგა ინკლანა გაიმეორა, იქ შეკრებილთა თავშეკავების მიუხედავად, ღარბაზი დაძაბულობით და ცნობისმოყვარეობით შეიარხა. პირველმა კამერჰერმა პეპა მეფეს მიჰგვარა; როცა პეპა მის ხელს ჰკოცნიდა, კარლოსნა თავი ვერ შეიკავა მსუბუქი, მამობრივი, ალერსიანი ღიმილისაგან.

კონტესა კასტილოფილი ახლა მარია ლუიზას წარუდგა. ეს ის წუთი იყო, რომელსაც ყველა ინტერესით ელოდებოდა. აქ იყო დონ მანუელ გოდოი. ინფანტი, მშვიდობის თავადი, კაცი, რომლის გავლენას დედოფალსა და ესპანეთის ბედზე ყურადღებით, იმედითა თუ შიშით უყურებდნენ მთელი ევროპის კანცელიარები, კაცი, რომლის სასიყვარულო თავგადასავლებს მთელი ქვეყანა ზიზღით თუ ცბიერი თვალის პაჭუნით იხსენიებდა. აქ იდგა მისი სარეცელის ორივე თანაზიარი, დედოფალი, რომელსაც მისთვის თავი ვერ დაენებებინა და ხალხიდან გამოსული ქალი, რომელიც თვითონ მას არ ეთმობოდა. ამას უყურებდა დონ მანუელის კანონიერი ცოლი. ამას უყურებდა დონია მარია ლუიზას კანონიერი ქმარი და უყურებდა ამას პეპა ტულოს კანონიერი ქმარიც.

მარია ლუიზა იჭდა კერპივით თავზე ჯილადადგმული, პატიოსანი თვლებით შექედრულ მძიმე დამასტის სამოაელში გამოწყობილი.

პეპა ტულო იდგა მის წინაშე, მიმზიდველი, თავის სისქის მიუხედავად, ახალგაზრდა, დამშვიდებული და თავის მშვენიერებაში დარწმუნებული. ბზინავდა მისი თეთრი ქათქათა კანი და ოქროსფერი თმა. მან ორსულობის გამო ისე ღრმად ვერ ზოიყარა მუხლი, როგორც ამას წესი მოითხოვდა, ემთხვია მარია ლუიზას ხელს და წამოიმართა. ქალები ერთიმეორეს თვალებში შესცქეროდნენ. დედოფლის წვრილი, გამჭრიახი, შავი თვალები ზომავდნენ მის წინაშე ნდგომს, თავაზიანად, მაგრამ გულგრილად, როგორც წესი მოითხოვდა. დედოფლის გულში ქარიშხალი ტრიალებდა. ეს ქალი ბევრად უფრო ლამაზი ყოფილა, ვიდრე მას ეგონა. უფრო ჰკვირიდაც. მას კაცი ვერ დაამარცხებდა. პეპას თვალები უბრწყინავდა; იგი ლალად ტკებოდა მძლეთამძლის უძლურების. განო. ორ წუთს შესჩერებოდა დედოფალს სახეში კონტესა კასტილოფილი,

როგორც ამას წესი მოითხოვდა. შემდეგ პირი იბრუნა ასტურიის პრინცი, ტანტის მემკვიდრის მაღალი სავარძლისაკენ.

გოია გაღერებაში იდგა. მას შეეძლო ორივე ქალის სახის დანახვა. — „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი“, მაგრამ, ახლა შეჯდა მწყერი ხესა. პეპამ, მისმა ხამონამ, ამას მიაღწია. ის ახლა არის სენიორა de titulo. მისი ტიტული სიგელითაა დამტკიცებული; ბავშვი, რომელსაც ახლა მუცლით ატარებს, წარმოშობით გრაფი იქნება.

ნავისშემევს პეპამ მონაწილეობა მიიღო დედოფალთან ბანქოს თამაშში. დონია მარია ლუიზა მიმართავდა მეგობრული, გულგრილი სიტყვებით ხან ერთსა და ხან მეორეს. პეპა ელოდა, როდის დაელაპარაკებოდა მას დედოფალი. დიდხანს მოუხდა ლოდინი.

— იგებთ, კონტესა? — მიმართა მას ბოლოს მარია ლუიზამ თავის მკლერი სასიამოვნო ხმით. ნან გადაწყვიტა მეგობრულად მოპყრობოდა ამ არსებას, ეს უფრო ჭკვიანური იქნებოდა.

— არც ისე, Madame, — უპასუხა პეპამ.

— რა გქვიათ, კონტესა? — ჰკითხა დედოფალმა.

— ხოსეფა, — უპასუხა პეპამ, — მარია ხოსეფა. მადრიდელები კონტესა პეპას მეძახიან, ან უბრალოდ პეპას.

— დიან, — თქვა დედოფალმა, — ჩემი სატანტო ქალაქის ნცხოვრებლები გულითადი, მიმნდობი ხალხია.

პეპა გააოცა ამგვარმა უსირცხვილობამ; მარია ლუიზა „გადამთიელი, იტალიელი, მეძავი, ავაზაკი“ სძულდა ხალხს და როცა ის მადრიდში მოგზაურობდა, პოლიცია იძულებული იყო წინასწარ ნიელო გამაფრთხილებელი ზომები უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად.

— თქვენ ანდალუზიაში გაქვთ მამულები, დონია ხოსეფა? — ჰკითხა შემდეგ დედოფალმა.

— დიან, Madame, — მიუგო პეპამ.

— მაგრამ თქვენ მადრიდში გირჩევენიათ ცხოვრება? — განაგრძობდაკითხვა მარია ლუიზამ.

— დიან, Madame, — უპასუხა პეპამ, — როგორც თქვენ ბრძანეთ, თქვენი სატანტო ქალაქის ხალხი გულითადი და მიმნდობია. ასე არიან ჩემდამიც განწყობილი.

— და, მგონი, თქვენს მეუღლე გრაფსაც თქვენსავით მოსწონს მადრიდში ცხოვრება.

— ცხადია, Madame, — უპასუხა პეპამ, — მაგრამ მისი ჯანმრთელობა მოითხოვს, წლის უმეტესი დრო ანდალუზიაში გაატაროს!

— გასაგებია, — უთხრა მარია ლუიზამ, — თქვენ ფეხმძიმედა ხართ, დონია ხოსეფა? — გამოჰკითხა მარია ლუიზამ.

— ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის წყალობით, — მიუგო პეპამ.

„მოთხარით მაინც, გეთაყვა, ახლა რა ხნის ბრძანდება სენიორ კასტილოფიელი?“ — თბილად და მეგობრულად მას დედოფალმა ჰკითხა ამჯერად.

„სამოცდაცხრა წლის, — მიუგო პეპამ, — თუმც კიმედოვნებ და ჩემი გულოც ამასვე მიგრძნობს, რომ ღვთისმშობელი — წმინდა მარიამ — მომიცუნეს მსუბუქ მშობიარობას და ჯანმრთელ ბიჭსაც“.

შემდეგ კი პეპამ

დედოფლის სახეს მიაპყრო თვისი

ქალწულებრივი უმანკოებით

აღსავსე მზერა.

11

დონია მარია ლუიზას თავის ღირსების დასაცავად უნდოდა ექვი არავის შეჰპარვოდა, თითქოს ის კონსულ ბონაპარტეს მითითებით ნიშნავდა თანამდებობის პირებს და ურკიხოს განთავისუფლება უეადოდ გადადო.

ეს მანუელისათვის სასურველი იყო. მან თავიდანვე იცოდა და მიგული დამაჯერებელი ლოგიკით არწმუნებდა, რომ ლუსიენის შემოთავაზებული პირობები ესპანეთისათვის საზიანო იქნებოდა. თუკი საფრანგეთი დონია მარია ლუიზას სიძეს ეტრუერიის გვირგვინს უბოძებდა, ეს დააკმაყოფილებდა მარია ლუიზას პატივმოყვარეობას, მაგრამ საფასური ესპანეთს უნდა ეზღო. მანუელისათვის სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, თუ სხვა დიდებული მოაწერდა ასეთ ხელშეკრულებაზე ხელს და არა ის. დიახ, როლების ამაზე უკეთ განაწილებას ვერ უსურვებდა თავის თავს: ის მოლაპარაკებას აწარმოებდა ლუსიენთან და დედოფლის წყალობით სარგებლობდა, ურკიხო კი შეთანხმების წინააღმდეგი იყო. დედოფალი პატივმოყვარეობის გამო მას არ ეთანხმებოდა, ბოლოს და ბოლოს ურკიხო იძულებული გახდებოდა ხელშეკრულებაზე

ხელი მოეწერა და ამით თავი შეერცხვინა. დონ მანუელი, მტკიცედ დარწმუნებული, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ურკიხოს აფეთქება, თავისუფალი, დამშვიდებული სინდისით მინისტრთან მეგობრობდა. მას შემდეგაც, რაც ჩუმად შეატყობინეს, რომ ურკიხო მას ცუდად იხსენიებდა და დასცინოდა, მანუელი მაინც ძველებურად კარგად ეპყრობოდა. მან გაიღიმა და გულში თქვა: „მიბოძე მე კარგი მტრები. ყოველად წმინდა ღვთისმშობელს დელ პილარო, და ხანგრძლივი, ტკბილი შურისძიება!“.

დონ მანუელი იყო მაძლარი, ბედნიერი, კარგ გუნებაზე ბრძანდებოდა და უნდოდა სხვებიც ამ ბედნიერების მოზიარედ გაეხადა. მისი კეთილი, ბებერი, კვიანი მარია ლუიზა ძალზე წესიერად იქცეოდა. მანუელი მისი მადლიერი იყო, ნღეროდა დედოფლის გასართობად, ცდილობდა პეპასთან თავისი დამოკიდებულება მიეჩქმალა, დაარწმუნა პეპა, ამთავითვე ნაზი გრძნობები მაქვს მომავალი შვილისადმი, ახლაც რომ ნუცლით ატარებო, და სურდა ამ ბავშვს ექვის ჩრდილიც კი არ მისდგომოდა. ამ მიზნით დაიყოლია გრაფი კასტილოფილი, ცოლის მომშობიარებამდე დარჩენილიყო მადრიდში; თვითონ ის, მანუელი, კი ნიუხედავად იმისა, რომ ეს მისთვის ძნელი იქნებოდა, წესიერების დაცვის მიზნით, ფეხმძიმობის უკანასკნელ თვეებში იშვიათად მონიხაზულებდა პეპას. პეპა უყოყმანოდ დაეთანხმა. მასაც სურდა, აატარა გრაფი კასტილოფილი რაც შეიძლება ღირსეულ ვითარებაში გაჩენილიყო ამქვეყნად.

დონ მანუელმა თავისი კარგი განწყობილება მის ინფანტა დონიატერესასაც კი აგრძნობინა. მანუელმა გადაწყვიტა ცოლი შემწყყნარებლური, მოუხეშო ყურადღებით გაეხარებინა. ესპანეთის დედოფალმა დაუბადა შვილები მანუელს, მაგრამ სამწუხაროდ ისინი მის სახელს არ ატარებდნენ; საყვარელ ქალსაც უნდა დაებადებინა მისთვის შვილი, და სამწუხაროდ მასაც სხვისი სახელი უნდა ეტარებინა. მაგრამ ეს სისხლითა და ხორციით ინფანტა დაბადებს ვაჟს, რომელიც მის სახელს ატარებს. კაცმა რომ თქვას, ვერც კი წარმოედგინა, თუ ეს გაძვალტყავებული თხა შეიძლებოდა დაორსულებულიყო. მანუელს უნდოდა ცოლისთვის დაენახვებინა, რომ აფასებდა მის გულმოდგინეობას და ცდილობდა ყურადღება არ მოეკლო. მანუელმა იცოდა, როგორ მიუწევდა ქალს გული მადრიდიდან, თუნცა, ზოგიერთი მიზეზების გამო, მაინც მადრიდში უნდა ემშობიარა. მაგრამ მანამდე შეეძლო დონია

ტერესას ორი, სამი კვირა დამშვიდებით მყუდროდ გაეტარებინა თავის მამულში. არენას დე სან-პედროში, რომელიც მას ძალიან უყვარდა.

ხოლო უფრო მოგვიანებით — ესეც გაანარებდა ტერესას — ფრანსისკო ბოლოს და ბოლოს დახატავდა.

ფრანსისკო სიამოვნებით გაემგზავრა არენასში; ამ ადგილის სახელწოდებამ მასში კარგი მოგონებები გააღვიძა.

ხოველიანოსის რეკომენდაციით, თავის დროზე, როცა ფრანსისკო ჯერ კიდევ უცნობი იყო და არაფერს წარმოადგენდა, დონია ტერესას მამამ, მოხუცმა ინფანტმა დონ ლუისმა, არენასში მიიწვია, რათა იქ მისი ოჯახის სურათი დაეხატა. დონ ლუისმა გოიაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. მისი შეხედულება ცხოვრებაზე ძირფესვიანად შეცვალა იმ გარემოებამ, რომ ეს წარმოშობით პრინცი, ნეფის ძმა, ისე იქცეოდა, როგორც მადრიდელი და სარაგოსელი ყოველი პაბლო და პედრო. მაშინ მთელ თვეს დარჩა ფრანსისკო არენასში და ინფანტი ლუისი და მისი ოჯახი ისე ექცეოდნენ, როგორც თავისიანს. იმ ბედნიერ დროს გაიცნო მან დონია ტერესა და დახატა იგი, იმ დროს ჯერ კიდევ სულ ზავში, მორცხვი გოგონა, გოიას რომ მაინც გაუშინაურდა.

ახლა მაშინდელზე უკეთ ესმოდა გოიას, რა ბრძენი და გულთბილი კაცი იყო ინფანტი. დონ ლუისს შეეძლო, ბურბონების სამემკვიდრო კანონების თანახმად, ტახტზე პრეტენზია განეცხადებინა, მაგრამ ანაზე უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში ვერ შეირთავდა უბრალო არავონელ აზნაურ ვალიაბრიგას ასულს. მან ამჯობინა არენასში ეცხოვრა თავის მამულში საყვარელ ქალთან და შვილებთან, რომლებიც მისგან ჰყავდა და სოფლის მეურნეობისა, ნადირობისა, სურათებისა და წიგნებისათვის შეეწირა თავისი ენერგია. გოია იმ დროს დონ ლუისს ოდნავ შერყეულად თვლიდა. ახლა კი უკეთ ესმოდა დონ ლუისისა, თუმცა მის ადგილას დღესაც არ იტყოდა უარს მეფობაზე.

ფრანსისკომ მეორედ დახატა დონია ტერესა. მაშინ ის ჩვიდმეტი წლისა იყო და დიდი ხნის დაობლებული. დონია ტერესა თავის მშობლების ჭეშმარიტი შვილი იყო, მყუდრო ცხოვრებით კმაყოფილი; ნეფის კარის ფუქსავატურ მდიდრულ ცხოვრებას მოშორებული. ახლა კი მოუსვენარმა, უნამუსო მარია ლუიზამ ეს მშვენიერი, უბიწო გოგონა მუტრუკ და გარყვნილ ნანუელს ჩაუგდო ხელში, იმის საფასურად, რომ მინასტრი მომავალში ხანდახან ფარულად შემძვრალიყო დედოფლის ლოგინში. დონ მანუელმა ისე მიიღო დონია ტერესა, როგორც უფასო და-

ნამატი სანატრელი ტიტულისა, რასაც, თუ არა ამ გზით, ვერაფრით ვერ ეღირსებოდა.

მას შემდეგ, რაც ფრანსისკოს დიდი უბედურება დაატყდა თავს, უკეთ ესმოდა სხვისი გასაჭირი. ხედავდა ღონია ტერესას სევდიან ობლობას. ხედავდა, როგორ ტანჯავდა მას არასაკადრისი, სულელური სიტუაცია, რომელიც ძალად მოახვიეს თავს. დიდის მონდომებითა და გულჩაწვდომით დახატა ღონია ტერესა. თავისი ყოფილი მფარველის ასულში ჩააქსოვა მთელი თანაგრძნობა.

გამოვიდა უადრესად ნატიფი სურათი. აი, ზის პატარა ინფანტა; ბავშვური, ნაზი, ორსული მუცელი დაფარული აქვს თეთრი, მკერდქვეშ შემოჭერილი ჰაეროვანი კაბით, კისერი და მკერდი ნომჯადოებლად მოუჩანს კაბიდან. ზემოდან კი ზვინად დადგმულ ქერა თმის ქვეშ გამოიყურება მოგრძო, ულამაზო, მაგრამ მიმზიდველი სახე. სახეზე ნათლად ჩანს ფეხმძიმე გოგონას ამღვრეული გუნება. დიდი, ნაღვლიანი, შემკრთალი თვალები უყურებენ ქვეყანას და ვერ მიმხვდარან, რად არის ის ასეთი საძაგელი.

მანუელი გაოცდა. როცა პორტრეტი ნახა; მას თურმე არ სცოდნია, რა ამალელებლად ნაზი ყოფილა მისი ინფანტა. იგი თითქმის ღვთისნომშიშმა გრძნობამ შეიპყრო, გულში დამნაშავედ იგრძნო თავი, ხმა-მალლა კი წამოიძახა:

— Por la vida del demonio! შენ ისე დაგიხატავს ჩემთვის ინფანტა, ფრანსისკო, რომ მე ბოლოს და ბოლოს ის შემეიყვარდება.

მაგრამ დონ მანუელი ღონია ტერესას პორტრეტის სანახავად კი არ ჩამოსულა, არამედ მის მადრიდში წასაყვანად. მისი ბავშვი მადრიდში უნდა დაბადებულიყო. მეფის კარს მონაწილეობა უნდა მიეღო ბავშვის მონათვლაში. ორივეს სურდა, ღონია მარია ლუიზას და დონ მანუელს, ქვეყნისათვის ეჩვენებინათ, რომ კვლავ შერიგდნენ.

15 ოქტომბერს დონ მანუელის საგანგებო შიკრიკი გამოცხადდა ესკურიალში და მოახსენა დედოფალს, ღონია ტერესას ჯანმრთელი გოგონა შეეძინაო. ღონია მარია ლუიზამ წამსვე დონ კარლოსს მიაშურა და მოითხოვა. რომ მეფის კარს მიეტოვებინა ესკურიალი. რათა პატარა პრინცესას ნათლობა მადრიდის სასახლეში, მეფის სავანეში მომხდარიყო. დონ კარლოსი ჩაფიქრდა. ეს კი მართალია, მადრიდს გამგზავრება იხსნიდა მეფეს ესკურიალში წინაპართა საფლავებთან უსიამოვნო სიახლოვისაგან, ოღონდ ყოველ სასახლეში ყოფნის ვადა, ცერემონია-

ლის მიზეზით, სასტიკად იყო დადგენილი და მისი ცხოვრებული მამა ზვილის ადგილზე თავს მოიკლავდა და წესს კი არ დაარღვევდა. მაგრამ დონია მარია ლუიზამ განაცხადა, ინჟანტ მანუელს მეფისა და სახელმწიფოსათვის ფასდაუდებელი სამსახური აქვს გაწეული, და ეს სახუკეარი სურვილი მას უნდა შევეუსრულოთო; — დედოფალმა დაიყინა და მეფემ დაუთმო.

მეფემ განიძახა პირველი კამერჰერი და განკარგულება მისცა. შეშფოთებულმა მარკიზ დე არისამ მორიდებულად მოახსენა, „ცერემონიალთა სახელმძღვანელო“ ხელშეუვალია და ერთხელაც არ შეცვლილა საუკუნეების მანძილზეო. დონია მარია ლუიზამ ცივად ბრძანა;

— ერთხელ ხომ უნდა მოხდეს ეს პირველად?

მეფემ გაიქნია თავისი ზორბა თავი და მარკიზს უთხრა:

— ხომ გესმის, ჩემო კარგო!

მარკიზი დე არისა, მარკიზი დე ლა ვეგა ინკლარი და მარკიზის მეუღლე დე მონტე ალეგრე ერთად ისხდნენ შემცბარნი და შეშფოთებულნი. მარკიზმა დე არისამ, რომელსაც თავის დღეში წონასწორობა არ დაეკარგა, სახეაღწილმა წარმოთქვა:

— მირჩევნია საკუთარი ხელით ამოვხიო „სახელმძღვანელოს“ 52-ე გვერდი და შემდეგ კი უკანვე დავბრუნდე ჩემს მამულში.

ეთიკეტის დარღვევამ დიდი სენსაცია გამოიწვია. ყველა წარმონაღვენელმა აუწყა თავის მთავრობას მომხდარი ამბავი, როგორც უტყუარი ნიშანი იმისა, რომ დონ მანუელი კვლავ ხელთ იგდებდა ესპანეთის ბედის სადავეს.

მხოლოდ ოცდათექვსმეტ საათს უნდა გაგრძელებულიყო მეფე-დედოფლის მადრიდში ყოფნა. მაგრამ ყველა მინისტრი, მთელი ამაღა, მეფის კარის ყველა, დიდი და პატარა თანამდებობის პირი, როგორც მეფის, ისე დედოფლის კარის კაპელის წევრები, მეფე-დედოფლის და ინჟანტების მთელი ჯალაბობა უნდა ხლებოდნენ ნათ კათოლიკურ აღმშენებულებებს.

ნათლობა ისეთი ზეიმით მოაწყვეს, როგორც მხოლოდ ტახტის მემკვიდრეების მონათვლისას ეწყობოდა ხოლმე. კამარერა მაიორი შვეიცარიის გვარდიის ასეულის თანხლებით ალკუდიას კოშკში წავიდა, რათა იქიდან მანუელის ბავშვი მეფის კარზე მოეყვანა. უკან მოჰყვებოდა ძიძა მეფის კარის ეტლით. კათოლიკე მეფის სავანეში ბავშვი მონათლა დიდმა ინკვიზიტორმა დონ რამონ რეინოსო-ი-არსესმა. დაარქვა

მას სახელად შარლოტა ლუიზა. დონ კარლოსმა ინება ახალშობილის ზელში აყვანა. თავის მრავალრიცხოვანი ორდენით რომ ბავშვი არ დაეკაწრა, ფრთხილად დაუწყვო ნანაობა, თვალწინ თითხ უქნევდა და „ალუ, ალუ“-ს გაიძახოდა.

— მშვენიერი ბავშვია, — თქვა მან, — მაგარი, ჭანსალი პრინცესა, რომელიც ბურბონებს ასახელებს.

შემდეგ კამარერა მაიორმა, ამჟამად ბალონის გვარდიის თანხლებით, პატარა ინფანტა უკანვე წაიყვანა დონ მანუელის სასახლეში.

ერთი საათის შემდეგ მათი კათოლიკური აღმატებულებანი თვით ეწვივნენ დონ მანუელს. ისინი პირველად ჩასხდნენ იმ საზეიმო ეტლში, რომელიც სამი კვირის წინ საფრანგეთის რესპუბლიკამ საჩუქრად მოართვათ. იგი გამოტანილი იყო თავმოკვეთილი ლუი მეთექვსმეტის საჩინბოდან და სულ ოდნავ გადაკეთებული.

დონ მანუელთან ნადიმი გაიწართა. მეფე-დედოფალთან ერთად თითქმის ყველა სახელმწიფო მოღვაწე ლებულობდა მასში მონაწილეობას და აგრეთვე საფრანგეთის წარმომადგენელი ლუსიენ ბონაპარტეც. პატარა პრინცესასთვის მირთმეულმა განოფენილმა საჩუქრებმა ორბარბაზი ააესო. ლუსიენ ბონაპარტემ თავისი კონსულის სახელით ოქროს სარაჩხუნო მიართვა. მარია ლუიზა თავისი შავი გამჭირახი თვალებით სომავდა საჩუქრებს და ორიდან სამ მილიონამდე შეაფასა. დედოფალმა პირადად ახალდაბადებულს უბოძა მის მიერ დაარსებული ორდენი: „Nobilitati, Virtuli, Merito — კეთილშობილებისა, სათნოებისა და დამსახურებისათვის“.

ინფანტმა მანუელმა ბრძანა მოსახლეობისათვის დაერიგებინათ 50 ათასი რეალი, მაგრამ ბრბო, პოპულაჩო, მაინც იგიინებოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ პეპამ მოიშობიარა. პატარა გრაფი მონათლა ეპისკოპოსმა კუენკიმ. დაარქვა ლუის მარია და მთელი წყება სჯვა სახელებისა და მათ შორის მანუელი და ფრანსისკოც. საზეიმონათლობა ბონდად რეალის სასახლეში მოხდა.

დღესასწაულზე კათოლიკური
უმალღესობის წარმომადგენლად
თვით მანუელი მობრძანდა, მან ყრმას
მეფის სახელით მიართვა მეტად
გასაოცარი რამ საჩუქარი:
კბილო წმინდანის ისიდორესი,

ჩასმული ძვირფას და საგანგებოდ
მოვარაუებულ ოქროს ჩარჩოში.
კბილის მფლობელი თურმე სასწაულ-
ებრივ თვისებას იძენს: ყველასთვის
ის მაშინათვე ხდება საყვარელ,
მიღებულ პირად და განუჩრჩველად
იგებს ყველას გულს და იხვეპს ყველგან
უსაზღვრო ნდობას.

12

პატარა ინფანტას მოსანათლავად ნეფის კარის მადრიდს გამგზავრე-
ბის წინა დღით ლუსიენ ბონაპარტემ მოინახულა პირველი მინისტრი
ურკიხო პოლიტიკურ საქმეებზე მოსალაპარაკებლად. როცა ერთიმეო-
რეს ემშვიდობებოდნენ, წარმომადგენელმა სხვათა შორის უთხრა, რა
თქმა უნდა, ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთს მადრიდშიო. ურკიხომ
განუცხადა, თავს კარგად ვერ ვგრძნობ და მადრიდს ვერ გავემგზავრე-
ბიო. ამაზე ოდნავ გაოცებულმა ლუსიენ ბონაპარტემ დაცინვით უთხრა:
— რა უიღბლობაა, თქვენთ ბრწყინვალეზავ, რომ სწორედ ხვალ ვერ
იგრძნობთ თავს კარგად.

ურკიხოს ეს ავადმყოფობა გახდა მისი ჩამოგდების მიზეზი. პირ-
ველმა მინისტრმა უკანასკნელ ხანებში თანდათან მოუხშირა დონ მა-
ნუელის აშკარა ძაგებას, ინფანტას ნათლობაზე დაუსწრებლობა კი გა-
მოწვევა იყო. მანუელმა მიიღო ეს გამოწვევა. დიდი ხანია ამას ელოდა.
მარია ლუიზასთან შეთანხმებით გადაწყვიტა პირველი შემთხვევისთა-
ნავე დონ კარლოსისათვის მოეთხოვა ამ უსირცხვილოს გადადგომა.

შემთხვევაც მალე მიეცა. პაპმა ლუისმა გამოგზავნა საკუთარი ხე-
ლით დაწერილი საიდუმლო უსტარი, რომელშიაც მწარედ უჩიოდა პა-
პის წმინდა ტახტზე ესპანეთის წარმომადგენლის ცრუფილოსოფიურ
ჯამოთქმებს. ამასთანავე, წარმომადგენელს მოუხსენიებია ვითომდა
პირველი მინისტრის ურკიხოს მიერ დაპროექტებული იმგვარი ხასია-
თის რეფორმები, რომლებიც წმინდა ტახტის ძველისძველ უფლებებს
დიდ ზიანს აყენებდა.

პაპი აფიცებდა კათოლიკე მეფეს, ეს რეფორმები უარეყო, და კი არ
მიმხრობოდა შევიწროებული ეკლესიის მდევნელებს, არამედ ეკლე-
სიას მანუგეშებლად და მფარველად მოვლენოდა.

პაპმა დაავალა ნუნციოს ეს უსტარი მეფისათვის საკუთარ ხელში

გადაეცა. ნუნციონ, იცოდა ღონ მანუელის მტრული განწყობილება ურკიხოსადმი და კავშირი დაამყარა მშვიდობის თავადთან. მანუელმა საქმე ისე მოაწყო, რომ კარლოსმა ნუნციო მანუელისა და დედოფლის თანდასწრებით მიიღო.

პრელატმა გადასცა ნეფეს უსტარი და სთხოვა წმინდა მამის სახელით მაშინვე წაეკითხა. კარლოსმა წაიკითხა და აღშფოთდა. რეფორმებს, რომელსაც პაპი უჩიოდა, როგორც ურკიხოს ეთქვა, უნდა განეხორციელებინათ მისი დიდი წამოწყება — ესპანეთის განთავისუფლება რომის გავლენისაგან და მას, კარლოს მეფეს, თითქოს ორი კვირის წინ მოეწეროს ხელი ედიქტზე, რომელიც ან რეფორმებს მოქმედ კანონად აქცევდა. მეფე დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ ურკიხომ მოახერხა იგი მარტო ჩაეგდო ხელში, მან ამ ედიქტის სარგებლობა და მოჩვენებითი კანონიერება ეშმაკობით დაუმტკიცა და კარლოსი ბოლოს დაეთანხმა. დიახ, როცა ურკიხომ უთხრა, ულტრამონტანები ამაზე საშინელ შფოთსა და აყალმაყალს ატეხავენო, მეფემ დაამედა, რომ დაიცავდა ფრაილუკოს მღვდლების თავდასხმისაგან. და აი საზღაური!

მეფემ ნობოლიშებისმაგვარი რაღაც წაიბუტბუტა, ირწმუნებოდა, ღრმა პატივისცემა მაქვს წმინდა მამისა და გულმხურვალედ თანავეტარებობო. ნუნციომ მოახსენა, ამ ანბავს კი გადავცემ წმინდა მამას, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ამან საქმეს ვერ უშველოსო.

პრელატის წასვლის შემდეგ მანუელი და მარია ლუიზა თავს დაესხნენ ღონ კარლოსს. ურკიხო მელამ მოატყუა ნეფე, გულუბრყვილო მეფეს ეშმაკური მქვერმეტყველებით ღვთისმოძულე ედიქტი დასტყუა. ნეფის სინანული ურკიხოსადმი რისხვად იქცა. მანუელმა და მარია ლუიზამ მისი რისხვა გამოიყენეს. ურკიხოს მაშინვე უნდა ეგო პასუხი.

ის ავად იყო და იწვა. ურკიხო იძულებული გახდა ამდგარიყო, რათა სასწრაფოდ მომზადებულიყო მეფე-დედოფლისა და თავისი მოსისხლე ნტრის, მანუელის, წინაშე წარსადგომად.

— შენ ეს რა გაგიბედავს! — შეჰყვირა მეფემ. — როგორ გამაცურე! შენ მე წმინდა მამას წამაჩხუბე და ღვთის რისხვა დამატეხე თავს! შე მწვალებებლო!

— მე, თქვენო უბრწყინვალესობავ, ყველა მისაღები და საწინააღმდეგო მოსაზრებანი მოგახსენეთ, რასაც ჩემი მოვალეობა მოითხოვდა. — უპასუხა ავადმყოფმა მინისტრმა. — თქვენ, სირ, ჩემი მოსაზრებანი მოისმინეთ, ჯერ დაეთანხმეთ და მერე ხელი მოაწერეთ. კიდეც მე-

ტიც, სირ, თქვენ მფარველობას დამპირდით ულტრამონტანების მოსალოდნელი თავდასხმის შემთხვევაში.

— რა უნამუსო ტყუილია! — ღრიალებდა დონ კარლოსი. — მე დაგპირდი, რომ დაგიცავდი მღვდლებიდან, ფრიალუკოსებისაგან და არა ნუნციოსა და პაპისაგან. შენ უნდა აგო პასუხი იმისათვის, მხოლოდ შენ, რომ მე ახლა რომთან თითქმის საომრად მაქვს საქმე. ახლა გინდა შენი ბოროტმოქმედება მე გადმომპარალო?

და რათა მისი რისხვა არ შენელებულიყო, წამოიყვირა:

— პამპლონაში! ციხეში ნიაბრძანეთ! — და ძლივს შეაკავეს მეფე, ოორემ სცემდა ურკიხოს.

როცა სიკვდილივით გაფითრებული, მაგრამ ღირსებით სავსე მიწისტრი გავიდა, მარია ლუიზას დაენანა მისი დაკარგვა. კარლოსმა კი თავი გააქნია და თქვა:

— საოცარია, დღეს დილით მას სინაპათიურად ვთვლიდი, ახლა კი ბოროტმოქმედი და იძულებული ვარ ციხეში ჩავსვა.

„მეფე ბატონო, ნუ შეწუხდებით
ამაზე ფიქრით, — ამშვიდებს მონარქს
მანუელი და დასძენს: — ამჯერად
გულს ნუ გაიტეხთ,
უმჯობესია,
რომ უველაფერი, — მოსალოდნელი
ყველა წვრილმანი საქმის, მივანდოთ
ინკვიზიციას.“

13

ინფანტ მანუელის რჩევით, კარლოს მეფემ, პირველი კონსულისადმი მეგობრობისა და პატივისცემის განოსახაბტავად, პარიზის დიდ მხატვარს ჟაკ ლუი დავიდს შეუტყვეთა სურათი, რომელსაც გენერალ ბონაპარტე უნდა განედიდებინა. დავიდმა თემად „სან-ბერნარზე გადასვლა“ შესთავაზა. ის მეძვირე მხატვარი იყო. მოითხოვა მეოთხედი მილიონი რეალი, ამასთანავე უფლება, სანი ოდნავ შეცვლილი ასლის დამზადებისა. მაგრამ მთავარი იყო, კარგი დამოკიდებულების შენარჩუნება პირველ კონსულთან და მეფის კარმა სურათი შეუტყვეთა, დავიდმა დახატა. სურათი ჩამოვიდა, ის არანხუესში დაჰკიდეს. ფრანსისკო გოია, მიგელ ბერმუდესი და აგუსტინი მის სანახავად ნივიდნენ.

სურათი დიდი იყო. ორ მეტრ-ნახევარზე მეტი სიმაღლე და ორ მეტრ-ნახევარზე მეტი განი ჰქონდა. ნაპოლეონი იჯდა გამარჯვებულის პოზაში ყალყზე შემდგარ ფაფარაყრილ რაშზე, ბუნებრივ ლანდშაფტზე, მის ირგვლივ მოძრაობდნენ პატარა და ჩრდილივით შეუმჩნეველი ჯარისკაცები და ზარბაზნები. კლდის ლოდებზე გახუნებული მინაწერები ისენიებდნენ ორ დანარჩენ დიდ მხედართმთავარს ჰანიბალსა და კარლოს დიდს, რომელთაც ალპები გადაელახათ.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ მიგელმა პირველმა გამოთქვა თავისი აზრი:

— მეტი კეთილშობილებით გენიოსის განდიდება უთუოდ აღარ შეიძლება, გოლიათური ალპები ცეროდენად მოჩანს დიდ ბონაპარტესთან შედარებით. ამ დიდი სურათის ანტიკური მონუმენტალობის მიუხედავად, მხატვარს თავის გამორისათვის მოუხერხებია პორტრეტული მსგავსების შენარჩუნება.

— მეოთხედი მილიონისათვის თავისუფლად შეიძლება დაუმატოს კაცმა პორტრეტული მსგავსება, — საქმიანად თქვა გოიამ.

— ცხენს არა აქვს პორტრეტული მსგავსება, — გულცივად შენიშნა აგუსტინმა, — ეს ცხენი ბუნების საოცრებაა.

— დიახ, — დაემოწმა გოია, — შენი ცხენის გავები ბევრად უკეთესია.

მიგელმა აგუსტინს ჰკუთის სწავლება დაუწყო:

— თქვენ დავიდისათვის ვერ გიპატივბიათ, — ტუქსავდა ის, — რომ რევოლუციისათვის გილიოტინას არ შეუშვირა თავი. მე კი, ჩემდა თავად, ბედნიერი ვარ, რომ ეს დიდი მხატვარი შეგვრჩა. აგრეთვე ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თითქოს მას ელაღატოს თავისი კეთილშობილი ნიმუშისათვის, ანტიკური რომისათვის. რომაელი რომ ყოფილიყო, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ავგუსტუს კეისარს მიემხრობოდა და მართალიც იქნებოდა, რადგან რესპუბლიკა გაიხრწნა. როცა მან პირველი კონსულის მიერ მოხდენილი სახელმწიფო გადატრიალება შეიტყო, შესანიშნავი რამ თქვა. მან განაცხადა: ჩვენ არ ვართ საკმაოდ სათნონი რესპუბლიკისათვისო.

გოიამ ვერ გაიგო.

— რა უთქვამს კოლეგა დავიდს? — იკითხა გოიამ.

დარბაზი უზარმაზარი იყო. მიგელმა ყვირილით გაიმგორა: „ჩვენ არ ვართ საკმაოდ სათნონი რესპუბლიკისათვისო“.

გოიამ მხოლოდ ეს თქვა:

— ვხედავ.

იგი ხედავდა, რომ ახლა დავიდი ისეთივე აპოლოგეტი იყო ახალგაზრდა გენერლისა, როგორც წინათ რევოლუციისა: ამას უწოდებდა ის „სათნობას“ და შესაძლოა გულწრფელადაც კი. თვითონ მან, ფრანსისკომ, როცა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა პარმაში ცხოვრობდა, კონკურსისათვის დახატა ჰანიაბალის ალპებზე გადასვლა. სურათზე ბევრი სამხედრო დიდებული იყო გამოსახული, შეიარაღებული მეომრები, სპილოები, ბაირალები, დავიდი ძუნწი იყო და მხატვრობის ტექნიკით გამოირჩეოდა: ნაგრამ ორმოცდაათი წლის დავიდის ჩანაფიქრი ისევე არ იყო ღრმა, როგორც თავის დროზე ოცი წლის გოიას ჩანაფიქრი.

აგუსტინი განაგრძობდა დაცინვას:

— რაც უფრო გამობრძმედილია დავიდი თავის პოლიტიკაში, იმდენად გაყინულია ხელოვნებაში. ზანტი მხატვარია და გაწაფული პოლიტიკოსი.

— თქვენ მეტისმეტად აპყლიხართ თქვენს გრძნობებს, დონ აგუსტინ, — კვლავ არიგებდა მიგელი, — პოლიტიკაზე აზრის გამოთქმა ზიზლის გარეშე უნდა ხდებოდეს! ვისაც სურს პოლიტიკაში წარმატებას ნიაღვრის, მოღვაწე იქნება ის თუ მეთვალყურე, სამართლიანობის უნარი უნდა შესწევდეს! გარდა ამისა მალე მივიღებთ უფრო სარწმუნო ცნობებს ბატონი დავიდის შესახებ. — თქვა მან სხვათა შორის, მაგრამ ყოველი სიტყვა დანაწევრებულად წარმოთქვა: — პარიზში დონია ლუსიას მისია შესრულებულია. მე ამ ორ კვირაში ველოდები მას.

გოია ხედავდა, როგორ შეეშალა აგუსტინს სახე. ნაშასადამე, გოიას სწორად გაუგია. თვითონაც აღელდა. ახლა უკანვე ბრუნდებოდა ლუსია მიგელთან, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, და ისიც ისე ლებულობდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. აბატს რალა მოუვიდა? ჯერ ერთი მიატოვა, მერე მეორე, ასეთები არიან ისინი, კაცტანები და ლუსიები.

ორი კვირის შემდეგ დონია ლუსია მართლაც მადრიდში გაჩნდა.

მან მიიწვია თავისი უახლოესი მეგობრები Tertulia-ზე. ახლაც იგივე სტუმრები ჰყავდა, რომლებიც იმ საღამოს იყვნენ, პეპა რომ გაიცნო მანუელმა; აკლდა მხოლოდ აბატი.

ლუსია ისე თავისუფლად გრძნობდა თავს, თითქოს ცოტა ხნით ქალაქგარეთ ყოფილიყოს გასული და იქიდან დაბრუნებულიყოს. გოია

ყურადღებით აკვირდებოდა. მისი პორტრეტი ზედგამოჭრილი იყო, ის შეიძლება დღევანდელ ლუსიას უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ადრინდელს. აი იქდა ის ოდნავ გამოუცნობი, საოცარი, ცბიერი, მის სიმშვიდეში რაღაცა ამაღელვებელი იყო, იგი კეშმარიტი მაღალი წრის ქალბატონი იყო. მაგრამ მის ირგვლივ ჰაერი კიდეც უფრო გაქვნილიყო თავგადასავლებით. რაღაცა ფარული მსგავსება არსებობდა გოიას და ლუსიას შორის. ორივენი უდავოდ ეკუთვნოდნენ მაღალ საზოგადოებას, მაგრამ ორივეში კვლავ ცოცხლობდა რაღაცა დაბალი, საიდანაც გამოსული იყვნენ.

ლუსია ყვებოდა პარიზის ამბებს, მაგრამ ხმას არ იღებდა მასზე, რის გაგებაც ყველას სწყუროდა, აბატის ბედზე. და მისი თავაზიანი გულგრილობა ინტიმური შეკითხვების საშუალებას არ იძლეოდა.

შემდეგ ლუსია და პეპა ერთად დასხდნენ, ისევ ისე უახლოესი მეგობრები, ერთიმეორის გამგები, სხვას რომ არ საპირობდნენ. ისინი ჩუმად, საიდუმლოდ ჩურჩულებდნენ, მამაკაცთა სისულელე ართობდათ — ერთი კი იყო: თუ ლუსია ვინმეს ეტყოდა, რა მოხდა მასსა და აბატს შორის, ეს მხოლოდ პეპას.

ფრანსისკოს ლუსია ცოტას ელაპარაკებოდა. არც ცდილობდა გარკვევით ელაპარაკა. შესაძლოა ყრუსთან ლაპარაკი დამღლევი იყო. შესაძლოა გრძნობდა ლუსია, რომ მას ფრანსისკო სხვაზე უკეთ იცნობდა და ფრთხილობდა. გოიას ეს არ სწყინდა.

გოია სასიამოვნოდ გაოცდა, როცა შენდეგ ლუსიამ მოუხშირა მასთან კინტაში სიარულს. იქდა სახელოსნოში გოიასთან და აგუსტინთან ერთად. ლუსია, ისე როგორც წინათ, არც ახლა აქცევდა ყურადღებას მის სიყრუეს, გარკვევით არ ლაპარაკობდა, და თუ ფრანსისკო რაიმეს ვერ მისვდებოდა, დაუზარებლად დაუწერდა. მაგრამ ცხადი იყო, რომ მოსწონდა მასთან ყოფნა და სიამოვნებით აკვირდებოდა მის მუშაობას.

ხანდახან ერთად მოდიოდნენ ლუსია და პეპა. შენდეგ მოჰყვებოდნენ ლაყბობას, ან ჩუმად, მოშვებულნი, ისხდნენ.

აგუსტინი, მიუხედავად ფრანსისკოსადმი მეგობრული სიყვარულისა და თაყვანისცემისა, ამ ლამაზი ქალების დანახვაზე, გრძნობდა მისდამი ძველ დეარძლიან შურს. აი, ახლა, ეს ფრანსისკო მოხუცებულია და დაყრუებული, მაგრამ ქალები მაინც ეტანებიან. მას, აგუსტინს, ერთხელაც არ შეხედავენ. ამასთანავე, მასავით ესპანეთში კაცს არ ესმოდა ნებატრობა, და უმისოდ გოია ვერასდროს გოია ვერ განდებოდა. გარდა

ამისა ფრანსისკოს ამკარად ეტყობოდა, რომ ამ ქალებთან არაფერი ეს-
აქმებოდა. გუნებაში ის ისევ იმ წარჩინებულ ქალბატონზე ოცნებობ-
და, რომელმაც ეს უბედურება დაატეხა თავს. ალბა, რომლის ერთადერ-
თი პორტრეტიც გოიამ დაიტოვა, როცა დანარჩენი თავის დახატული
სურათები თავიდან მოიცილა, გადმოჰყურებდა ზევიდან ორივე ქალს
და ისინი ამას ითმენდნენ.

როცა აგუსტინი ლუსიას ალბას პორტრეტის ქვეშ დამჯდარს დაი-
ხნახვდა, ვერ გაეგო, როგორ შეეძლო ალბათი დაკმაყოფილება ისეთ
კაცს, რომელსაც საშუალება ჰქონდა ლუსიას ფლობისა. ალბა ყო-
ველთვის და ყოველგვარ სამოსელში სასაცილო წარჩინებული დარჩე-
ბა, თვით გოიას ხელოვნებამაც ვერ შეძლო მისი მახად გარდაქმნა; უთუ-
ოდ ხშირად აყვედრიდა გოიას თავის გრანდესობას, — რომ დაბალი
წრიდან გამოსული საბრალო მხატვარი ისე შორსაა ჰერცოგის ასულ
ალბასაგან, როგორც ვარსკვლავებიდან. ამგვარი ნოქმედებით უთუოდ
გაცოფებამდე მიჰყავდა გოია. ეს ლუსია კი ნამდვილ წარჩინებულ
მანდილოსნად იქცა და ამასთანავე ნამდვილ მახადაც დარჩა. სინამდვი-
ლეში ის სხვის აზრს აინუნშიაც არ აგდებს. მოესურვა და წაჰყვა თავის
აბატს პარიზში, როცა მადრიდი მოენატრა, ისევ უდარდელად დაუბ-
რუნდა სწავლულ ვირს, თავის ნეულლეს.

ერთხელ, როცა ლუსია პეპას გარეშე იყო ორივესთან ატელიეში,
უეცრად თქვა:

— მე შეგონა, თქვენ ჩვენი აბატის მეგობრები იყავით. ჩემის აზრით,
ვერაფერი მეგობრობაა, რომ არც ერთმა და არც მეორემ ერთხელაც
არ მკითხეთ მისი ამბავი.

ის თავისთვის ლაპარაკობდა და ძნელი გასაგები იყო, ვის ეკუთვნო-
და საყვედური—გოიას თუ აგუსტინს. გოია ხატვას განაგრძობდა; ის
უთუოდ არ დაკვირვებია ლუსიას ტუჩებს. გაცოცხლისაგან ენაჩავარდ-
ნილმა და გაშტერებულმა აგუსტინმა ბოლოს როგორც იქნა შესთავაზა:

— თუ გნებავთ, დავუწერ თქვენს ნათქვამს.

— ვისზეა ლაპარაკი? — გადმოიძახა გოიამ თავის მოლბერტიდან.

— აბატზე, — ძალზე გარკვევით უთხრა აგუსტინმა.

გოიამ ხატვას თავი დაანება და ლუსიას ყურადღებით მიაჩერდა.

— ის მალე დაბრუნდება, — თქვა თავისუფლად ლუსიამ.

აგუსტინი დაჯდა. გოიამ დაღო ფუნჯი, პალიტრა და წინ და უკან
სიარულს მოჰყვა.

— როგორ მოახერხებთ ანის გაკეთება, დონია ლუსია? — ჰკითხა მან.

ლუსიამ შეხედა თავისი გამოუცნობი, ოღნავ გამჭირდავი თვალებით.

— მე მივწერე, რომ დაბრუნებულიყო. — თქვა ლუსიამ.

— კი მაგრამ ინკვიზიცია? — წამოიძახა აგუსტინმა. — მას ხომ კოცონზე გაგზავნიან!

— უწმინდესი ინკვიზიცია ვერაფრით ვერ მოითმენს აბატის დაბრუნებას! — წამოიძახა თავის მხრივ გოიამ.

— ჩვენ, მე და პეპა, მოველაპარაკეთ დონ მანუელს, ის კი თავის მხრივ დიდ ინკვიზიტორს მოელაპარაკა. — თქვა ლუსიამ თავის ოღნავ გაქიანურებული ხმით. — ზოგიერთი უსიამოვნებანი ცხადია აბატმა უნდა აიტანოს. იგი მზადაა ამას შეეგუოს. სამაგიეროდ ესპანეთში მაინც იქნება.

დონია ლუსია ლაპარაკობდა უშფოთველად, მისი სიტყვებში სიამაყე ღღერდა. აგუსტინი და გოია გაშრნენ. მათ შეზიზღდათ ეს ქალი, თავი რომ ღამარჯვებულად მოჰქონდა. თავისი ქმრის უფროსის მეოხებით საყვარლის დაბრუნებას მიაღწია. ხოლო აბატი ბრუნდება უკან და მზად არის თავი მსხვერპლად მიიტანოს, ოღონდ კი იმ ქვეყნის ჰაერით ისუნთქოს, სადაც ლუსიაა. ცხადია ცოტა გასამრჯელოს როდი მოითხოვდა დიდი ინკვიზიტორი იმისათვის, რომ არქიმწვალებლის კოცონზე გაგზავნის სიამოვნება მოეკლო თავის თავისთვის. რაც დონ მანუელმა რეინოსოსთან „მოილაპარაკა“, კიდევ რამდენიმე კაცის ბედზე იქონიებს გავლენას. და აი, აქ იჯდა ქალი და ყვებოდა ყველაფერს სრულიად დამშვიდებულად, წარჩინებული ნანდილოსნის ტონით, ყვებოდა სხვათა შორის, თითქოს საქმე შეეხებოდა გართობას ან ვარცხნილობას. უცებ ფრანსისკოს მოაგონდა ნუშის გამყიდველი გოგონა პრადოზე, რომელმაც იგი მაშინ, როგორც ნამდვილმა მახამ, „ajos y cebollas“, მასხარად აიგდო და მიუსია ხალხის ზროვა, მოაგონდა ის ვულგარული, თავზე ხელაღებული ლუსია, ურცხვი პასუხებისა და უხამსი მასხრობის მოყვარული. ახლა იგი მასხარად იგდებს პირველ მინისტრს, დიდ ინკვიზიტორს და მთელ ქვეყანას.

თუმც გამოირკვა, რომ ნაადრევად
ლაიტრაბახა მან გამარჯვება.

დღეს დღე მისდევდა და კვირას — კვირა,
თვეც მიიწურა და დონ დიეგო

გოია იჭდა თავის ერმიტას ატელიეში კალიე დე სან ბერნარდინოზე და მუშაობდა. მან შეისვენა, გვერდით გადადო დაფა და საწერტელი, ოდნავ გაღიმებული დაბნეულად დააკვირდა თავის ჭუჭყიან ხელებს. წამოდგა დასაბანად.

ღაიანახა, რომ ოთახში მამაკაცი იდგა, შესაძლოა დიდი ხნის მოსულიც. ეს იყო ნუნციო, ინკვიზიციის ერთი მწვანე მოციქულთაგანი. მამაკაცი თავმდაბლად მიესალმა, რაღაც უთხრა, გოიამ ვერ გაიგო, კაცმა ქვითარი მიაწოდა და დაბეჭდილ კონვერტზე მიუთითა. გოია მიხვდა, რომ ხელი უნდა მოეწერა, მან მექანიკურად მოაწერა ხელი, მაგრამ ძალზე გულდასმით, კაცმა ქვითარი გამოართვა, გადასცა მას კონვერტი, თავი დაუკრა, რაღაც თქვა, გოიამ უპასუხა:

— დიდ არს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი!

კაცი წავიდა. გოია იჭდა მარტოდმარტო; ეს სიმარტოვე თითქოს კიდევ უფრო გაღრმავდა, ხელში ეჭირა კონვერტი და უაზროდ დაპყურებდა ბეჭედს, ჯვარს, მახვილსა და წიკებას. იცოდა, ინკვიზიციას კარგი მასალა ჰქონდა მის საწინააღმდეგოდ.

კუდიანმა, გაფუჭებულმა, დამლუპველმა კაეტანამ სხვას უჩვენა გოიას დახატული თავისი სიშიშველე სურათზე. თუკი ეს მანუელმა იცოდა, ცხადია, ინკვიზიციამაც იცოდა. შეიძლება ბევრი რამ მისი საუბრიდან მავნე ფილოსოფიად იქნეს მიჩნეული, თუ ბოროტი განზრახვით მიუდგება კაცი, აგრეთვე მის სურათებში შეიძლება გამოინახოს ესა თუ ის, რასაც შეიძლება მწვალელობა დაერქვას. მას გადმოსცეს დიდი ინკვიზიტორის სიტყვები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ის ცუდი თვალთ უყურებდა მასაც და მის მხატვრობასაც. მაინც გოიას ეგონა, რომ მეფის წყალობა და თავისი განთქმული სახელი დაიფარავდა. მაგრამ, აი, ახლა ხელთ ეპყრა გამოძახების ქალღიწმინდა სამსჯავროს წინაშე წარსადგომად.

სული ეხუთებოდა, გამაგიჟებელი შიში გულს უღრღნიდა. სწორედ ახლა, როცა არყოფნის ღრმა მორევებიდან ამოტივტივდა და როცა შეიცნო მისი უფსკრული, აღარ უნდოდა ხელახლა იქ ჩაშვებუ-

ლიყო. მხოლოდ ამ უკანასკნელ წელს გაიგო, რა არის ცხოვრება, რას ეწოდება მხატვრობა, რას ჰქვია ხელოვნება. არ შეიძლება მოხდეს ის, რომ სწორედ ახლა სტაცოს ინკვიზიციამ თავისი სასტიკი ხელი.

გოია ვერ ბედავდა წმინდა ინკვიზიციის გამოგზავნილ კონვერტის გახსნას. ამის მაგიერ სხვა ფიქრებს მიეცა. რამდენ ხანს იცადეს, ვერ გაბედეს მის წინააღმდეგ გალაშქრება. როგორ მოხდა, რომ ახლა დააცხრნენ თავს? მას მოაგონდა, როგორ ისხდნენ ერთად ლუსია და პეპა. მაცდუნებლები, თავხედები და საშიშნი, როგორც მანები აივანზე. შესაძლოა ის ჩათრეულია იმ მოწყობილ საქმეში, რომელიც ლუსიამ ითავა აბატის დასაბრუნებლად? კატანასთან განცილებილი ამბების შემდეგ საშინელი ეპეიანი გახდა; ყველას ყველაფრის ჩადენა შეუძლია.

გახსნა კონვერტი.

ტარაგონის ინკვიზიციის ტრიბუნალი იწვევდა მას Auto particular-ზე დასასწრებად, რომელზედაც განაჩენი უნდა გამოეტანათ ყოფილი აბატისათვის, მადრიდის წმინდა ტრიბუნალის ყოფილი მდივნის, მწვალებელ დიეგო პერიკოსათვის.

გოიამ. წუთით შვება იგრძნო, შემდეგ საშინლად მოუვიდა გული, ინკვიზიცია რომ ასეთ ცბიერ მიწვევას უგზავნიდა. მას, ყრუს, რომელიც წაკითხული განაჩენისას ვერაფერს გაიგებს, აიძულებენ გრძელი მოგზაურობის ჰაპანწყვეტა გადაიტანოს და შორეულ არაგონს ჩავიდეს. ეს უნამუსო მოთხოვნაა. სწორედ ასეთი მოთხოვნა ნიშნავს სასტიკ მუქარას.

ფრანსისკოს რომ თავისი სატიკვარი არ აბრკოლებდეს, გულის დარდს აგუსტინს ან მიგელს გაუზიარებდა. ახლა კი რცხვენოდა. ამგვარ საშიშ საქმეზე მხოლოდ სიტყვიერად, დაბალი ხმით შეიძლება ლაპარაკი. მაგრამ პასუხს ხომ ვერ გაიგებდა და შეკითხვების ხელახლა მიცემაც სასაცილოდ და მომბეზრებლად მიაჩნდა. თუ მისი მეგობრები პასუხს დაუწერდნენ, ამით ბოროტ დემონებს მიიზიდავდა.

გოიამ ბევრი იფიქრა და ვერ გადაწყვიტა, გამოტეხოდა თუ არა თავის ვაჟს, ხავიერს. მისი არ რცხვენოდა. მაგრამ ხავიერი მეტისმეტად ახალგაზრდა იყო.

ამგვარად დაატარებდა გოია გულში თავის ჰირ-ვარამს და შიშსა

და იმედს შუა მერყეობდა. ხან სჯეროდა, რომ დიდი ინკვიზიტორი მანუელს ანგარიშს არ გაუწევდა და რაკი აბატი ხელთ ჩაუვარდა, კოცონზე გაგზავნიდა, მას კი, გოიას, დაატუსაღებდა. ხან არწმუნებდა თავის თავს, რომ დონ მანუელი ეშმაკია, ლუსია კი გველივით სკვიანი. ცხადია, ისინი გარანტირებული არიან, პროცესი არაფერი იქნება ვარდა სასტიკი ფარსისა და მისი მიპატიებაც ცარიელი მუქარაა.

ამასობაში ინკვიზიციაში, მიუხედავად იმისა, რომ მის მოვალეობას საიდუმლოების დაცვა შეადგენდა, ხმა გაავრცელა მომავალი აუტოდაფეს თაობაზე და აბატის დაბრუნებას თავის გამარჯვებას მიაწერდა. ღმერთმა უბრძანა მწვალებელს, თავის ნებით დაბრუნებულიყო ესპანეთში და წმინდა ინკვიზიციის წინაშე წამდგარიყო.

როცა აგუსტინმა მომავალი აუტოდაფეს ამბავი შეიტყო, შეშფოთდა. თუმცა აბატის მედიდური სწავლულობა და მისი ამპარტავნობა ყოველთვის სძაგდა და საშინლად ეჭვიანობდა, რაკი ლუსიამ შეიყვარა ამგვარი კაცი, მაგრამ ის ალტაცებაში მოჰყავდა დონ დიეგოს იმით, რომ ლუსიას სიყვარულისათვის თავის ნებით ჩაუვარდა ხელში ინკვიზიციას. თანაც აგუსტინი საკმაოდ ჰკვიანი და პატიოსანი იყო და ესმოდა, რომ დონ დიეგო მოწინავე იდეებს ქადაგებდა. მას გულს უღრღნიდა ინკვიზიციის გამარჯვება სწორედ ასეთ კაცზე.

ერთურთის საწინააღმდეგო გრძნობებით გაწამებულმა ჰკითხა გოიას:

— იცით თქვენ, რომ აბატი ნამდვილად დაბრუნდა? გაიგეთ აუტოდაფეს ამბავი?

— დიახ, — უპასუხა გოიამ და გაუწოდა მას წმინდა ინკვიზიციის მოსაწვევი ბარათი.

მიუხედავად შიშისა, აგუსტინმა სიამაყე იგრძნო. რა დიდი შიში ჰქონიათ სულიერ მსაჯულებს ყრუ, მარტოხელა კაცისა, რა უძლეულად მიაჩნიათ თურმე მხატვარი, ასეთ გაფრთხილებას რომ უგზავნიან. მაგრამ ამის თაობაზე აგუსტინს სიტყვა არ დასცდენია. პიროქით, ისიც გოიასავით გაჯავრებული იგინებოდა, ფრანსისკოსაგან ასეთ მომქანცველ მოგზაურობას რომ მოითხოვდნენ.

— დიდი უნამუსობაა, თქვენგან რომ მოითხოვენ ასეთ მომქანცველ მგზავრობას. — იგინებოდა ის.

აგუსტინმა რომ ასე აღიქვა ეს მოწვევა, გოიას მოეწონა. ახლა

ორივე ინკვიზიციას და ლუსიას კი არ აგინებდა, არამედ გზის სიძნელეებს.

— მე, რა თქმა უნდა, გაგაცილებ. — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ ავუსტინმა.

გოია დიდი ხანია გულში ფიქრობდა ავუსტინისათვის გაცილება ეთხოვა, მაგრამ ეძნელებოდა, ვინაიდან საჭირო იყო გამბედაობა, ექვმიტანილი კაცის იმ ადგილამდე მისაცილებლად, სადაც მისთვის კკუა უნდა ესწავლებინათ. ახლა, როცა ავუსტინმა თვითონ შესთავაზა გაცილება, გოიამ რაღაცა უარისმაგვარი წაიდუღუნა, მადლობა გადაუხადა და მისი წინადადება მიიღო.

დიდ ინკვიზიტორს მას შემდეგ, რაც მთავრობა მადრიდში აუტოდოფეს მოწყობას არ დაეთანხმა, ტყუილად არ აურჩევია ქალაქი ტარაგონი. ამ ქალაქის სახელწოდება ყოველ ესპანელს მოაგონებდა ინკვიზიციის დიდ ტრიუმფს.

ეს მოხდა 1494 წელს. მაშინ ბარსელონაში შავი ჰიერი მძვინვარებდა და ინკვიზიტორმა დე კონტერასმა თავისი შტატით ტარაგონას შეაფარა თავი. მას ქალაქის მამები შემოეგებნენ კარიბჭესთან და განუცხადეს, თუ თქვენ ქალაქში თავის შეფარების ნებას მოგცემთ, მაშინ მეფის მოხელეებიც მოითხოვენ თავისთვის კარანტინის მოხსნას. ინკვიზიტორმა ბრძანა, რომ ის აძლევდა ბატონებს ვადას „Miserere“-ს სამგზის წაკითხვისა. თუ ამის შემდეგ ჰიშკარს არ გაუღებდნენ, ქალაქი შერისხული იქნებოდა ეკლესიის მიერ და მას ინტერდიქტს დაადებდნენ. შემდეგ მან სამჯერ წაიკითხა „Miserere“ და უბრძანა წმინდა ტრიბუნალის მდივანს კარიბჭეზე დაეკაკუნებინა. როცა კარიბჭე არ გაიღო, ინკვიზიტორმა დომინიკანელების წახლობელ მონასტერს მიაშურა. დაწერა იქ შერისხვის გუჯარი და გამოაკვრევინა ტარაგონას ჰიშკარზე. ერთი კვირის შემდეგ მოახსენეს ინკვიზიტორს, რომ ქალაქი მისთვის ღია იყო. მაგრამ ახლა შეურაცხყოფილმა ღმერთმსახურმა მოითხოვა, ყველა წარჩინებულს და მოწინავე მოქალაქეს საჯაროდ მოენანიებინა თავისი საქციელი. ქალაქი იძულებული გახდა დათანხმებულიყო. ტარაგონას ხელისუფალნი და ყველა მოწინავე მოქალაქე სამარცხვინო სამოსელში გამოწყობილნი, ხელში სანთლებით, წარდგნენ კათედრალში კატალონიის ვიცე-მეფისა და დიდი ინკვიზიტორის წინაშე და თავიანთ თავსა და შთამომავლობას წარუხოცელი ლაფი დაასხეს.

კლდელთათვის ამ ამბის მოსაგონებლად აირჩია ინკვიზიციამ ქალაქი ტარაგონა აბატის აუტოდაფესათვის.

გრძელი და ძნელი მოგზაურობის შემდეგ გოიამ და ავუსტინმა ტარაგონას სწორედ დროზე მიაღწიეს. ისინი ჩამოხტნენ ერთ უბრალო სასტუმრო-ბაეებში და ფრანსისკო გამოცხადდა არქიეპისკოპოსის სასახლე Palacio de la Patriarca-ში. მაგრამ ის მხოლოდ ვიკარიი მიიღო. მან განუმარტა, აუტოდაფე ზეგ შედგება არქიეპისკოპოსის სასახლის დიდ დარბაზშიო და ცივად განაგრძო, ბატონი პირველი მხატვრისათვის უთუოდ სასარგებლო იქნება თუ ამ სანახაობას დაესწრებაო.

ფრანსისკოს ჯერ ტარაგონა არ ენახა. მან და ავუსტინმა ქალაქი დაათვალიერეს: უზარმაზარი კედლები, რომაელებამდე კარგა ხნით იდრე აღმართული ციკლოპური მიწაყრილები, რომის სიძველეთა შრავალრიცხოვანი ნანგრევები, შესანიშნავი ძველთაძველი ტაძარი ფარული გალერეებითა და ჭიშკრებით, თავიანთი რომაული ბოძებითა და წარმართული ქანდაკებებით, გულუბრყვილოდ ქრისტიანულად გადაკეთებული. გოიას ართობდა ხუმრობანი, რომელიც დიდი ხნის განსვენებულ ამა თუ იმ მოქანდაკეს გამოეკვეთა. დიდხანს გაღიმებული იდგა ის ქვაზე გამოკვეთილი კატის თავგადასავლის წინ, რომელმაც სიკვდილი მოიგონა და როცა თავგებმა დასამარხავად წაათრიეს, დაერია მათ და მუსრი გაავლო. შესაძლოა ამ ამბავს თავის დროზე, როცა ძველი მხატვარი მას ქვაში ჰკვეთდა, არცთუ ასე უწყინარი სხვა ფარული აზრი ჰქონდა. გოიამ აიღო რვეული და კატის ამბავი თავისებურად ჩახატა შიგ.

ის და ავუსტინი ნავსადგურისაკენ გაეშურნენ, სადაც საწყობები იყო. ტარაგონას შორს ჰქონდა სახელი განთქმული თავისი ღვინოებით, ნიგვზით და მარციპანით. ერთ უზარმაზარ სადგომში გოგონები კაკალს ახარისხებდნენ, არჩევდნენ ფუჰსა და გულიანს. ფუჰს მაგიდის ქვეშ ყრიდნენ, ხოლო გულიანს — კალთაში ჩადგმულ კალათებში. მუშაობდნენ მექანიკურად და საოცარი სისწრაფით. ამასთანავე ლაყობდნენ, იცინოდნენ, მღეროდნენ და თამბაქოსაც ეწეოდნენ. ისინი ორასამდე იქნებოდნენ. დიდ სადგომში სიცოცხლე დუღდა, გოიამ დაივიწყა აუტოდაფე და ხატვას შეუდგა.

მეორე დღეს, დილით, გოია გამოცხადდა პატრიარქის სასახლის

სათათბირო დარბაზში. დარბაზი უზარმაზარი, თანამედროვე სტილი-
სა და უგემოვნო იყო.

მოპატივებულთა უმეტესი ნაწილი ტარაგონადან, ან ახლო მდებარე კატალონიის დედაქალაქ ბარსელონადან იყო. შორეული მადრიდიდან ფრანსისკოს აქ ჩამოყვანა მუქარას ნიშნავდა; მას ცნობისმოყვარეობით და შიშით უთვალთვალებდნენ და ვერავინ ბედავდა გამოლაპარაკებას.

შემობრძანდნენ ტრიბუნალის წევრები. ბაირალები, მწვანე ჯვარი, სასულიერო მსაჯულების შავი სამოსელი, მთელი ეს მკაცრი, მდიდრული საზეიმო პროცესია ეკალივით ხვდებოდა თვალში კაცს დარბაზის მოდურ მორთულობასა და სადა, თანამედროვე ტანსაცმლიან სტუმრებთან შედარებით.

შემოიყვანეს აბატიც. გოიას ეგონა, რომ მას ყვითელი სამარცხვინო პერანგი — სამბენიტო ეცმებოდა, მაგრამ, ჩანდა, სამღვდლოება ამაზეც მთავრობის წინაშე წავიდა დათმობაზე და ღონ დიეგოს ეცვა პარიზულ მოდაზე შეკერილი მოქალაქის ტანსაცმელი, თანაც ეტყობოდა ცდილობდა, ელეგანტური, დამშვიდებული წარჩინებულის შეხედულება ჰქონოდა. როცა დამნაშავეს ფიცარნაგზე აიყვანეს და ხის დაბალი ცხაურის უკან მიააწყვდიეს, მაშინ გარემოს კუშტი დიდებულებისა და თავის საკუთარი შერცხვენის დანახვაზე სახე მოექცა, სიკვდილის ფერი დაედო და ეს ცინიკოსი წარჩინებული, ხის გადაღობილში მყოფი, გრანდიოზული, საშინელი ტრიბუნალის წინაშე თავის ყოველდღიურ ტანსაცმელში ისევე საცოდავად გამოიყურებოდა, თითქოს სამბენიტო სცმოდა.

დომინიკანელების პრიორმა ქადაგება დაიწყო. გოიას არაფერი ესმოდა. არც ცდილობდა აზრის გაგებას: ის მხოლოდ უყურებდა. თუმცა ეს ტრიბუნალი ისეთი მდიდრული და ძლევამოსილი არ იყო, როგორც მაშინ ოლაიდეს გასამართლების დროს სან დომინგოს ელრეალის ეკლესიაში, მაგრამ არანაკლები სასტიკი და გულისწამლები ჩანდა: გარდა ამისა, რაზედაც არ უნდა შეთანხმებოდნენ დიდ ინკვიზიტორს ლუსია და მანუელი, და ღონ დიეგოს ლმობიერ განაჩენს გამოუტანდნენ თუ სასტიკს, მნიშვნელობა აღარა ჰქონდა, — აბატის სახე ამტკიცებდა, რომ კაცი განადგურებული იყო. ამგვარი საშინელი შეურაცხყოფის შემდეგ, რაც ამ კაცმა აქ განიცადა, ადამიანი ვერ გამართელდება, გონებისა და გამბედაობის რარიგ სკეპტიკური

ჯავშნითაც არ უნდა შემოსოს თავისი გული. რამდენიმე წლის შემდეგ კიდევაც რომ გაათავისუფლონ, სამუდამოდ უნდა ატაროს. დასჯილი მწვალებლის ლაქა და ესპანელები ზიზლით შეაქცევენ ზურგს.

ამასობაში განაჩენის კითხვა დაიწყეს. ის ამჯერადაც დიდხანს გაგრძელდა. შეშინებული გოია მოჯადოებულებით თვალს ვერ აშორებდა აბატის სახეს, რომელიც თანდათან ფითრდებოდა, ხედავდა თუ როგორ თანდათანობით ჩამოეცალა წარჩინებულის სკეპტიკური ნიღაბი და ყველა ხედავდა მის დამციერებას, სასოწარკვეთას, ტანჯვას.

აბატი თავის დროზე სან ღომინგოს ეკლესიაში ოლავიდეს განადგურებას უყურებდა, ახლა კი გამომწყვდეული იყო Palacio del Patriarca-ში სამარცხვინო ფიცარნაგზე და გოია მას უყურებდა; შესაძლოა თვითონ მასაც მოუხდეს ამგვარი მწვანე ჯვრის ქვეშ დგომა, ამგვარი სანთლების, ამგვარი მოზეიმე და სასტიკი ტრიბუნალის წინაშე დგომა, ხის ცხაურში ჩამწყვდეულს? გოიამ იგრძნო, როგორ მიუახლოვდნენ დემონები და ხელის ჩაეღებას უპირებდნენ. უშუალოდ, ორგანულად გრძნობდა, რა ხდებოდა აბატის ტვინში. იქ ჩამკვდარიყო ფიქრი საყვარელ ქალზე, ჩამკვდარიყო ფიქრი მომავალ შესაძლებელ ბედნიერებაზე, აღსრულებულზეც და მასზეც, რაც უნდა აღსრულებულიყო. იქ იყო მხოლოდ საცოდავი, განადგურებული, სამუდამო წამება ამ წუთისა. ამოდ აგონებდა თავის თავს გოია, რომ რაც აქ ხდებოდა, უაზრო თამაში იყო, მოჩვენებითი ფარსი, წინასწარ შეთანხმებული, ღმობიერი დასასრულით. მას ისეთივე გრძნობა ჰქონდა, როგორც ბავშვობაში, ელ კოკოთი — შავი კაცით რომ აშინებდნენ. არც სჯეროდა და შიშითაც გული უსკდებოდა, მართლა არ მოვიდესო.

და აი, აბატი უკვე ფიცს დებდა. თავის ელეგანტურ, მოღურ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი, შავად შებურვილ ჯვრის წინაშე მუხლმოყრილი, გადაშლილ ბიბლიაზე ხელდადებული, კიდევ უფრო საშინელი იყო, ვიდრე სამბენიტოში გამოწყობილი მომნანიებელი ოლავიდე. მღვდელი უკარნახებდა და ის იმეორებდა შემაზარზენ, დამამციერებელ ფორმულებს.

გოიამ ვერც კი მოასწრო გონს მოსვლა, რომ წმინდა ქმედობა შეწყდა. ცოდვილი გაიყვანეს. მოწვეულებიც წავიდ-წამოვიდნენ. მარტოდ დარჩენილ გოიას შეეშინდა. სიყრუის გამო ფეხქვეშ სიმ-

ტიცეს ვერ გრძნობდა, ბორძიკით, საოცრად შემკრთალი გამოვიდა დარბაზის სიბნელიდან.

აგუსტინი იჯდა ღუქანში. ჩვეულებრივ არამსმელ კაცს ერთი ბოთლი ღვინო დაედგა. მან იკითხა, თუ რა მიუსაჯეს აბატს. გოიამ არ იცოდა, ვერაფერი გაეგო. მაგრამ მელუქნემ მაშინვე აცნობა, ღონ დიეგოს სამი წლით მონასტერში დატყვევება მიუსაჯესო. მელუქნე ფარული ლიბერალი ჩანდა. პირველი მხატვრისადმი პატივისცემით იყო გამსჭვალული, ცდილობდა მისთვის ეამებინა, მაგრამ რაღაც საოცარი სიმხდალე ემჩნეოდა და თითქოს თანაგრძნობაც კი. ის ამბობდა, ცამეტი წელიწადია შვიდ ბოთლ არაჩვეულებრივ კარგ ღვინოს ეინახავ ჩემთვის და განსაკუთრებით საპატიო სტუმრებისათვისო, და ერთი ამ ბოთლთაგანი მოიტანა. გოიამ და აგუსტინმა ჩემად შესვეს იგი.

შინისაკენ მიმავალი ფრანსისკო და აგუსტინი სიტყვაძვირობდნენ. მსოლოდ ერთხელ ერთბაშად მოთმინებიდან გამოსულმა გოიამ მკაცრი კმაყოფილებით თქვა:

— ახლა ხომ ხედავ სადამდე მიიყვანს კაცს პოლიტიკაში ჩარევა. მე რომ ისე მოვქცეულიყავი, როგორც თქვენ გსურდათ, წმინდა ინკვიზიცია დიდი ხნის წინათ ამომყოფინებდა თავს საპატიმროში.

მაგრამ გულში კი სხვა გადაწყვიტა:
ღიაბ, ის სწორედ ახლა დახატავს
ინკვიზიციის წმინდა ტრიბუნალს.
თავის სენაკში — ყრუ ერმიტაში
ის გამოსახავს ბერებს — პირლია
და გაუმძღარ ფრაილუკოსებს,
მათ, ავბორცულად რომ უყურებენ
საბრალო მსხვერპლის ტანჯვა-წამებას
და ფიქარნაგზე უმწეო ფართხალს.
აულ სხვანაირად და მონღომებით,
უფრო სიმართლით დახატავს იგი
გაროტირებულთ. ამასთანავე,
დახატავს, ალბათ, ის ელ კოკოსაც —
იმ საფრთხობელას და მაქლაჯუნას,
დაბნელებული გონების პირმშოს,
ბორცტს, საზიზღარს, შავსა და პირქუშ
ჭოჭოს, რომელიც ამ ქვეყანაზე
კიდევ არსებობს და კიდევ არა.

როცა გოია მადრიდს ჩავიდა, მისმა ვაჟმა, ხავიერმა, უთხრა, რომ კაეტანა ალბას მასთან კაცი გამოეგზავნა. ქალი თურმე ისევ თავის ბუენავისტას სასახლეში მონკლოაში ცხოვრობდა; გოიას ახალი სახელი, კინტა, ძალიან ახლო იყო ამ პატარა აგარაკიდან. ფრანსისკომ არ იცოდა, გაგებული ჰქონდა თუ არა ხავიერს მისი დამოკიდებულება კაეტანასადმი. თავს ძალა დაატანა, ჩაახველა, ნერწყვი ჩაყლაპა და რაც შეიძლება გულგრილად, თითქოსდა არაფერიყო, უთხრა:

— გმადლობ, ჩემო ბიჭუნა!

მას ეგონა, რომ კაეტანას ბოროტ გავლენას მის მიმართ ბოლო მოეღო; დარჩა მხოლოდ სურათები, ზმანებანი ნათელი და საშიში, მაგრამ გონებით შებოქილნი. ეს ასეც იყო, ვიდრე კაეტანა იტალიაში იწყობებოდა და მათ შორის ზღვა იყო გადაშლილი. მაგრამ ახლა, როცა გოიას მისგან ორიოდ ნაბიჯილა ამოვრებდა, გაწყდა ის ჯაჭვი, რომლითაც მისი ოცნებანი იყო შებოქილი.

კაეტანასათვის არ მიუყითხავს. გაშუღმებით თავის ერმიტაში, განმარტოებულ სახელოსნოში იყო. ცდილობდა ემუშავა. მაგრამ ტარაგონელი მოჩვენებანი გახუნდნენ, მხოლოდ სანლუკარის საშიში ზმანებანი ცოცხლობდნენ. იჯდა ილაგაწყვეტილი, საშინლად მოწყენილი, სიყრუის ხუფქვეშ მომწყვდეული.

უეცრად მის წინაშე წარსდგა დონია ეუფემია. უცვლელად შავებში გამოწყობილი და ღირსეული, იდგა აქ, თავაზიანი ზიზღით აღსავსე, ადამისხნის მიუხედავად დაუბერებელი ჩანდა.

— ღვთისმშობელი შეგეწოთ, თქვენო აღმატებულებაჲ. იოლი როდია თქვენი მოგება და დავალების გადმოცემა. — და უკმაყოფილოდ მიმოიხედა ღარიბულ, დაულაგებელ სახელოსნოში. გოიამ არ იცოდა, სწორად გაიგო თუ არა მისი ნათქვამი, მეტისმეტად დელავდა.

— უნდა დამიწეროთ თქვენი სათქმელი, დონია ეუფემია. — უპასუხა მან ხმაჩახლეჩილად, — მე ადრინდელზე უფრო ცუდად მესმის, ასე რომ ვთქვათ, სულ დავყრუვდი.

დონია ეუფემიამ დანაბარები დაუწერა; წერის დროს თან ლაპარაკობდა:

— აკი გეუბნებოდით, ბატონო პირველო მხატვარო, რომ კარგად არ დამთავრდება ყოველგვარი სისაძაგლის ხატვა-მეთქი.

გოიამ პასუხი არ გასცა. ყურადღებით წაიკითხა წერილი. უთხრა, რომ ხვალ საღამოს რვის ნახევარზე დაელოდებოდა დონია კაეტანას.

— აქ, სახელოსნოში, კალიე სან ბერნარდინოზე, — ძალზე ხმა-მალლა წარმოთქვა მან.

იმ საღამოს საგანგებოდ გამოეწყო და გულში დასცინოდა თავის თავს. მხოლოდ მუშაობისა და ექსპერიმენტებისათვის გამოსადეგ უსუფთაო და, როგორც მისი ხელმოკლეობის წლებში, ისეთსავე ღარიბულად მოწყობილ სახელსნოში, ელეგანტურ ტანსაცმელში გამოქიმული გოია სასაცილოდ გამოიყურებოდა. რატომ სწორედ აქ დაიბარა კაეტანა? ეს იყო ბრიყუელი, ბავშვური გამოხდომა. ეს იცოდა, დონია ეუფემიას გამომეტყველებამაც დაუდასტურა, მაგრამ მაინც თავისებურად მოიქცა. და მოვა კი ის საერთოდ? იცოდა კაეტანამ, ან წარმოდგენილი ჰქონდა, როგორი შეცვლილი იყო გოია? განა დუენია არ ეტყოდა, რომ ახლა ის დაყრუებული, გულჩათხრობილი, რაღაც ახირებულ ოცნებას აყოლილი მოხუცი კაცია?

უკვე რვის ნახევარი გახდა, კიდევ ათი წუთიც გავიდა. კაეტანა არა და არ ჩანდა. მან წარმოიდგინა, როგორ გაატარა კაეტანამ ის დრო, რაც ერთმანეთი აღარ ენახათ უიმედოდ შეყვარებულ, ჩუმად მის მდევენელ პერალთან და იტალიელ კავალრებთან, რომლებიც ესპანელებზე მეტად თავაშეებულნი არიან. მივარდა კარებთან, გაიხედა, შესაძლოა აქ დგას და აკაკუნებს და დაავიწყდა, რომ მას არ ესმის. რადგან კაეტანას მხოლოდ თავისი თავი ახსოვდა ყოველთვის. კარი ოდნავ ღიად დატოვა, რათა შუქი გარეთ გასულიყო. უკვე რვა საათი შესრულდა და ის კი არ ჩანდა. ცხადია, უკვე აღარ მოვიდოდა. ცხრის ხუთ წუთზე მოვიდა, დაგვიანებით, როგორც სჩვეოდა. უსიტყვოდ გადაიძრო პირბადე, ის იდგა გოიას წინაშე ისევ ისეთი, შეუცვლელი; მისი კრიალა მოგრძო სახე საოცრად ნათლად გამოიყურებოდა პატარა, ჩამოსხმულ, შავად შემოსილ სხეულს ზემოდან. ისინი იდგნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ, როგორც მაშინ კაეტანას ესტრადაზე. მათ შორის დიდი ჩხუბი თითქოს არც მომხდარი-ყოს.

მომღევნო ღღეები, კვირეები, თვეები ისევ წინანდებურად მიმდინარეობდნენ. შესაძლოა ახლა ნაკლებს ლაპარაკობდნენ, განათავიდანვე გამომეტყველებითა და ექსტებით უკეთ არ ესმოდათ ერთმანეთის ვიდრე სიტყვებით? სიტყვებს ყოველთვის ცუდი მოჰქონდა მათთვის. თუმცა გოიას მისი სიტყვები უფრო ესმოდა, ვიდრე სხვისი, შეეძლო მის ტუჩებზე ყველაფრის ამოკითხვა და ეგონა, რომ მისი ბავშვური წკრიალა ხმა მის მხესიერებაში უფრო მტკიცედ შენთონახა, ვიდრე სხვისი. ყოველ წამს შეეძლო შინაგანი სმენით აღედგინა ზუსტი ქღერა უკანასკნელი სიტყვებისა, რომლებიც კაეტანამ უთხრა ისე, რომ არ იცოდა, ესმოდა თუ არა ისინი ფრანსისკოს.

დადიოდნენ თეატრში, თუმცა ფრანსისკო მუსიკასა და დიალოგს მხოლოდ მხედველობით აღიქვამდა. დადიოდნენ მანოლერიას სამიკიტონოში და მათ ძველებურად ხვდებოდნენ, როგორც სასურველ სტუმრებს. „El sordo“-ყრუს ეძახდნენ გოიას ყველგან. მაგრამ არავის არ აბეზრებდა თავს წუწუნით თავისი ნაკლის გამო, სხვებთან ერთად იცინოდა, როცა სასაცილო გაუგებრობას ჰქონდა ადგილი. და, საერთოდ, ის რომ ღირსეული კაცი არ ყოფილიყო, კაეტანას მასთან ამდენ ხანს საქმე არც ექნებოდა.

მისი მოგონებები კვლავ ცოცხლებოდნენ. იცნობდა კაეტანას სულის მაცდუნებელ უფესკრულებს, მაგრამ მისი ზმანებანი საიმედოდ იყვნენ შებოქილნი. მას შემდეგ, რაც იგემა ამ სულისშემხუთველ ჭურღმულში ყოფნა, განსაკუთრებით ახარებდა სინათლეზე გამოსვლა. არასდროს ისე არ დაუთვრია კაეტანას სიახლოვეს, როგორც ახლა. კაეტანაც თავდავიწყებული ვნებით პასუხობდა მას.

ახლა აღარ გრძნობდა მისი დახატვის აუცილებლობას და აღარც კაეტანა სთხოვდა ამას. მისი დიდი პორტრეტები ნამღვილი არ იყო, ისინი მხოლოდ გარეგნულს გამოხატავდნენ, მაგრამ გოიამ იცოდა, ამ გარეგნობის მიღმა რაც იმალებოდა, მას ეს ნანახი ჰქონდა. ამიტომ თავის მარტობასა და გაჭირვებაში წერდა და ხატავდა ნამღვილ კაეტანას შინაგან არსს და ეს იყო მისი წამალი და მკურნალი. კაეტანამ იმდენად გაამწარა, რამდენადაც ერთ ადამიანს შეუძლია მეორე გაამწაროს უდანაშაულო გულუბრყვილო ცბიერებით და შეუგნებელი უზნეობით. მაგრამ მანვე მისცა საშუალება, რომელმაც არათუ მოარჩინა იგი, არამედ აღრინდელზე მეტი ძალაც შემატა.

ამ ხნის განმავლობაში გოია ბევრ პორტრეტზე მუშაობდა. ხატავდა იოლად; დაუდევრად კი არა, არამედ ისე, როგორც წინა წლებში შეეძლო ამის გაკეთება; მან და აგუსტინმა იცოდნენ, რომ მას ახლა უკეთესის ხატვა შეეძლო. დახატა ბევრი ლამაზი ქალი, მხიარული მგრძობიარობით, რამაც მათი მშვენიერება გააცისკროვნა. ხატავდა კარისკაცებს, სამხედრო პირებს, მდიდარ მოქალაქეებს, და ისინი უფრო ღირსეული ჩანდნენ მის პორტრეტებში, მიუხედავად იმისა, რომ გოია არ მალავდა მათ სუსტ მხარეებს. მისმა პორტრეტებმა დიდი სახელი და დიდი ფული შემატეს მას. მეფის კარი და ქალაქი ირწმუნებოდნენ: ევროპაში ყრუ ფრანსისკო გოიას ბადალი მხატვარი არ მოიპოვებო.

თავის ვაჟს ხავეირს ძველებურად ანებიერებდა. მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა მის საქმიანობაში. მიუთითა რამონ ბაიესთან ემეცადინა, რათა მამის ნასწავლები მანერულობად არ ჰქცეოდა. სერიოზულად და ყურადღებით ისმენდა ხავეირის შეხედულებებს ხელოვნებაზე. ხშირად, როცა კაეტანა მის ვრცელ, ცარიელ სახლში, კინტაში, ეწვეოდა, ხავეირსაც იქ დაახვედრებდა. ეს ყმაწვილისთვის დიდი გაკვეთილები იყო. კაეტანა მას ხან ისე ექცეოდა, როგორც ბავშვს და ხანაც, როგორც ახალგაზრდა კავალერს. აძლევდა მას ალერსიანად და დაყვავებით რჩევა-დარიგებებს, თუ როგორ მოქცეულიყო. ანელებდა მის მისწრაფებას მეტისმეტად კოპწიად ჩაცმულობისადმი. აჩუქა ბრელოკები, ხელთათმანები, ბეჭედი და ურჩევდა, ბრჭყვიალა თვალისმომკრელი საგნები, რომელსაც ვაჟი ატარებდა ან უყვარდა, უფრო ნატიფი ნივთებით შეეცვალა. ხავეირი აღტაცებაში მოჰყავდა სახელმწიფოს პირველ წარჩინებულ ქალბატონთან ურთიერთობას და ჰერცოგის ასულ ალბას დაუფარავი. ახლო ურთიერთობა მამამისთან ყველაზე დიდი დადასტურება იყო მისთვის იმისა, რომ მამამისი დიდი მხატვარი იყო.

სწორედ ამ დროს კადისიდან მადრიდს ჩამოვიდა გემების პატრონი სებასტიან მარტინესი და გოია მოინახულა. ის მხატვარს უწერდა სათქმელს; მოჯადოებულებით უყურებდა ფრანსისკო, როგორი სისწრაფით გამოდიოდა გრძელი, დაკლაკნილი ფრაზები დიდი ვაჭრის გაწაფული თითებიდან და იგი თითქმის ნანობდა, რომ საკმაო სიბეჯითე ვერ გამოიჩინა ამ ხელების დახატვის დროს.

ბოლოს სენიორ მარტინესმა დაუწერა: „ხმები დადის, რომ თქვენ კადისსა და სანლუჯარში მარტო ხატები როდი გინატავთ სანტა კუევასთვის, ლაპარაკია რომელიღაც ვენერაზე. თავხედობა ხომ არ იქნებოდა ჩემი მხრივ, რომ ამ სურათის ასლი შემეკვეთა თქვენთვის?“ — ის წერდა და თან ქირქილებდა. ბოლოს ნაწერი გოიას გაუწოდა.

— ეს თავხედობა იქნება, სენიორ, — უპასუხა გოიამ.

სენიორ მარტინესმა მოხერხებულად დაუწერა: „მე გთავაზობთ 50 000-ს ასლში“. ხაზი გაუსვა სიტყვა ასლს, და დაწერილი გოიას გაუწოდა, სანამ ის პასუხის გაცემას მოასწრებდა უკანვე წამოიღო და წამსვე მიაწერა:

„მაინც თავხედად მიგაჩნევიართ?“

— თქვენ თავხედი ხართ. სენიორ, — გაიმეორა გოიამ.

— 100 000. — დაწერა მარტინესმა, ნულები ძალიან დიდები დასვა, ერთიანი კიდევ უფრო დიდი და სასწრაფოდ მიაწერა: „მაინც თავხედი ვარ?“

— დიახ, — უთხრა ხმაჩანლეჩილმა გოიამ.

დაღონებულმა სენიორ მარტინესმა მხრები აიჩეჩა, ამჯერად აღარაფერი დაწერა, მხოლოდ მკაფიოდ უთხრა:

— თქვენ ძნელი დასაყოლიებელი ხართ, თქვენო ბრწყინვალეზავ.

სენიორ მარტინესმა ჰერცოგის მეუღლე ალბა მოინახულა. კაეტანამ ის ნადიმზე მიიწვია. ნადიმი დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს „დესმაიო“ იცეკვეს. ეს იყო ავხორცობისა და თავდავიწყების ცეკვა, რომლის დროსაც ჯერ მოცეკვავე ვაჟი და შემდეგ ქალი ღონემიხდილი, თვალბდახუჭული ეცემა მკერდზე პარტნიორს. შემდეგ შეასრულეს *Marcha China*. ამ ცეკვის, „ჩინური მარშის“. დროს ჯერ ვაჟები ხოხავენ ოთხზე დამდგარნი დარბაზში, ხოლო შემდეგ ქალები კრავენ „ჩინურ კედელს“. ერთიმეორის უკან ჩამწკრივებული ქალები ისე იხრებიან, რომ ხელით იატაკს ეხებიან და ვაჟები ძვრებიან ქალების მკლავებს ქვეშ; ხოლო შემდეგ, ასევე ქალები — მამაკაცების მკლავების ქვეშ.

კაეტანა ორივე ცეკვაში მონაწილეობდა. „დესმაიო“ მან იცეკვა მარკიზ დე სან ადრიანთან; ხოლო „ჩინური მარში“ სენიორ მარტინესთან. ფრანსისკო უყურებდა ამ შემადრწუნებელ ცეკვას, და უნე-

ბურად მოაგონდა მის მიერ დაწერილი „Aqua larre“—თავაშვებული ქეიფი, საზიზლარი მხიარულება, კუდიანთა თემობა, რომელზედაც გამოსატა. თუ როგორ არის ვეებერთელა ყოჩი უკანა ფეხებზე წამოჭიმული და აკურთხებს მოცეკვავე მავნე სულებს, ხოლო ამ ხროვის ხელმძღვანელია ლამაზი კაეტანა.

მაგრამ ის ამღვრეული გუნება, ფრანსისკოს რომ დაუფლებოდა, შორს იყო იმ უაზრო რისხვისაგან, რომელიც მაშინ იგრძნო კაეტანას ფანდანგოს ცეკვის დროს. ახლა, როცა კაეტანა, სან აღრიანი, მარტინესი და ბევრი მისი მეგობარი საზიზლად და სულელურად ზოხავდნენ იატაკზე, მან ეს უფრო უკეთ შეიგრძნო, ვიდრე გონებით შეეძლო შეეცნო. გრძნობდა მთელი არსებით, თუ რამდენი ერთიმეორის მოწინააღმდეგე თვისება შეიძლებოდა ერთდროულად ერთ ადამიანს, და საერთოდ ყოველ კაცს, ჰქონოდა.

გოიას ეს თვითონ ჰქონდა გამოცდილი. ამ ქალს შეეძლო ყოფილიყო ერთგული, ნაზი და ვნებიანი, თავგანწირული, როგორც სხვა არავინ. შეეძლო ეთქვა: „მე მხოლოდ შენ მიყვარხარ“ — ისეთი ხმით, რომელიც გულის სიღრმეში ჩასწვდებოდა კაცს და რომელიც მის თავზე ჩამომხობილ სიყრუვის ხუფქვეშაც აღწევდა. და აქ კი იატაკზე ზოხავდა ვულგარულად, უხამსად, და თანაც იცინოდა, ისეთნაირად კისკისებდა, რომ ყრუ გოიასაც კი ესმოდა.

ასეთია კაეტანა. ასეთია ყოველი ადამიანი. ასეთია თვით გოიაც. მას შეეძლო ამაღლებულიყო უწმინდეს ზეცამდე და ჩაყურყუმელავებულებულიყო სიბინძურის უფსკრულში. მას ხიბლავდა ნათელ და სუფთა ფერთა მომჯადოებელი შეხამება, მაგრამ არც კი გარეცხდა, ისე გადაისროდა გვერდით ფუნჯს და ვნების დასაცხრომად მეძავს მიაშურებდა. ასეა შექმნილი ადამიანი. ოლა პოდრიდას თქველფავს და გატაცებულია ველასკესით, საკუთარი ხელოვნებისათვის იწვის და აგდია ორშაურიან მეძავის ბინძურ საწოლში, ხატავს დემონებს და ფიქრობს, თუ როგორ დასტყუოს დავილას პორტრეტში ათასი რეალით მეტი.

წვეულებიდან გვიან ღამით წავიდა თავის ერმიტაში.

აქ არაჩვეულებრივ სიჩუმეში დაიწყო მან ეს უკვე მერამდენეჯერ დავა კაეტანა დე ალბასთან. თანაც იცოდა, რომ ის ერთადერთი იყო, რომელიც ოდესმე ჰყვარებია და ეყვარება.

მოციმციმე სანთლების მერყევე სინათლეს ამოჰქონდა დიდი ოთა-

ბის ახალ-ახალი ნაწილები ცვალებად სინათლეზე და კედლებზე მო-
ცეკვავე, ხან გაზრდილი და ხანაც დაპატარავებული ჩრდილები კა-
ეტანას სახეებად ეჩვენებოდა. ყველა ბოროტი სახე ალბასი, რომე-
ლიც კი ოდესმე გოიას ენახა, ხელახლა ჩანდა გამჭირდავად კბილ-
დაკრეპილი, ჯადოქრული, გამანადგურებელი და აგრეთვე სხვა სა-
ხეებიც: თავდავიწყებით შეყვარებული, ვნებას დამორჩილებული და
ერთთავად უმეორებდა თავის თავს: „არ დაივიწყო! არ დაივიწყო
ახვებიც!“

გოიას სულითა და გულით სწყუროდა კაეტანას გამართლება. გა-
ნა მას კი არ შეუძლია ჰყავდეს თავისი დემონები და შეჰხაროდეს
მათ? შეეძლო თვითონ გოიას უდემონოდ ცხოვრება? ცხოვრება
უმათოდ მოსაწყენი იქნებოდა, მაშინ მიგელად უნდა ქცეულიყო. მას,
ფრანსისკოს, თავისი დემონები შებოჭილი ჰყავს, მას შეუძლია თავი-
სი ავი და კარგი დახატოს. კაეტანას თავისი დემონები შებოჭილი არ
ჰყავს, არც კი შეუძლია სიტყვიერად აღწეროს თავისი გარდაცვლი-
ლი სეფექალი ბრიგადა, არათუ ქალაღზე გადაიტანოს იგი. მაშასა-
დამე, მან თავისი სიამე და სისულელე სიტყვებითა და საქმით უნდა
გამოხატოს, რასაც მკვდარი ბრიგადა ჩასჩურჩულებს. ამიტომაც
იცეკვა მან დესმაიო და ჩინური მარში. უფრო ხშირად ის კაეტანა
იყო, მაგრამ ხანდახან ბრიგიდად იქცეოდა.

გოიამ თვალები დახუჭა და დაინახა ისინი, კაეტანა და ბრიგადა
შეერთებულად და მან დახატა მისი და თავისი უკანასკნელი ჰემმა-
რიტი არსი. გამოხატა ზმანება, სიცრუე, მერყეობა.

სურათზე გამოხატა მიმზიდველ პოზაში დაწოლილი ორსახოვანი
ქალი, ერთ-ერთი სახე მამაკაცისკენაა მიბრუნებული, რომელიც თავ-
დავიწყებით ჩაკვრია მას, მამაკაცს კი უდავოდ მისი, ფრანსისკოს,
ნაკვთები აქვს.

ხოლო მეორე სახე ქალისა,
მბრძანებლური და გაუმაძღარი,
ხარბი თვალებით მისჩერებია
სხვა მამაკაცებს ვნების აშშლელად.
და ერთი ხელი ამ უცნაურად
მოთენთილსა და ორსახოვან ქალს
შეყვარებულის ხელზე დაუდევს.
სამაგიეროდ, მეორე ხელი
გაუშვებია წერილისაკენ,

რომელიც უნდა გადასცეს ჩუმაღ
ორსახოვანმა ბრიგადამ. ამ დროს
სქელი ბრიგადა, რომელსაც ტუჩზე
მიუღვეს თითო, იცინის. ხოლო
ქვევით დაძრწიან ხოხვით, სისინიო,
უწმინდური და მავნე სულები,
აკლანებიან პირდაღებულ
წვეწარმავლები და დემონები.
მაგრამ შორს საღლატ მარადმბრწყინავი,
ბიუწედომელი, ჰაეროვანი
ცად აზიდულა ოცნების კოშკი,
რომელიც ბრიყმა შეყვარებულმა
ააგო ერთ დროს.

16

მანსანარესის ხეობაში, ფლორიდაში, კასა დელ კამპოს მიდამო-
ში, სადაც მეფეს ჩვეულებად ჰქონდა ნადირობა, იდგა წმინდა ან-
ტონიუს პადუანელის სახელობის პატარა ეკლესია. როცა მეფე ნა-
დირობიდან ბრუნდებოდა, ეკლესია სწორედ გზად ედო და საღამოს
ლოცვას იქ ასრულებდა. ეკლესია სიძველისაგან დანგრევის პირას
იყო მისული და შენების მოყვარულმა დონ კარლოსმა არქიტექტორ
ვენტურე როდრიგესს მიანდო მისი განახლება. სენიორ როდრიგესს
უყვარდა ხალისიანად გამომზირალი საუცხოო ნაგებობანი სამოციანი
და სამოცდაათიანი წლებისა. მან წამოაყენა წინადადება ერმიტა დე
სან ანტონიო დე ლა ფლორიდასთვის ხალისიანი, ლალი, მდიდრული
სახე მიეცათ. დონ კარლოსი წამსვე დათანხმდა. ფრანსისკო გოიამ
თავის დროზე მშვენიერი, მხიარული გობელენები დაუმზადა; ახლაც
სწორედ მას უნდა მოეხატა და არა სხვას განახლებული ეკლესია.

ფრანსისკო ამ შეკვეთამ გაახარა. რაკი ღვთისმოსიშმა მეფემ
სწორედ მას მიანდო თავისი საყვარელი ეკლესიის მოხატვა, მას შემ-
დეგ, რაც გოია გასაფრთხილებლად აუტოდაფეზე მიიწვიეს; ეს საი-
მედრო ფარი იყო დიდი ინკვიზიტორის თავდასხმისაგან დასაცავად.
მეორე მხრივ, რელიგიური სიუჟეტების ხატვის დროს ერთგვარ უხ-
ერხელობას გრძნობდა.

— რასაკვირველია, — უთხრა მან კაეტანას, — ვისაც თავისი ხე-
ლობა ესმის, ყველაფერს დახატავს. მაგრამ წმინდანების ხატვაში მე

მოვიკოვლებ. ეშმაკი შესანიშნავად შემიძლია დავხატო, რადგან ხშირად მინახავს, ხოლო წმინდანები კი იშვიათად.

მას უნდა გამოესახა წმინდა ანტონიუსის მთავარი სასწაული, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა: ერთ უდანაშაულოს დააბრალეს მკვლელობა და წმინდანმა მოკლულს სიცოცხლე დაუბრუნა, რათა მას ბრალდებულის უდანაშაულობა დაემტკიცებინა.

ფრანსისკოსთვის გაიარა მძიმე უსიამოვნებისა და სიმწრის დრომ, ზელახლა დაუბრუნდა მხიარულ და უდარდელ ცხოვრებას, მას არ იზიდავდა მკვლელობისა და ამაღელვებელი ამბების ხატვა, მაგრამ მან იპოვა გამოსავალი.

გოიამ პატიოსნად გამოხატა გუმბათის თაღზე სასწაული. ფრანცისკანელის ანაფორაში ჩანს გამხდარი ანტონიუსი რუხი ცის ფონზე; ის მოხრილი დგას მომლოდინე პოზაში. კუბოდან მისკენ მიიწევეს ნახევრად გახრწნილი ცხედარი, ჯერ კიდევ უსიცოცხლოდ გაშეშებული. ხოლო იქვე ვედრებითა და ნეტარებით აუწევია მალლა ხელები უდანაშაულო ბრალდებულს. ეს სასწაული მრავალი ადამიანის თანდასწრებით ხდება და სწორედ მაყურებლები იყვნენ გოიას გამოსავალი, რომლებიც დიდი სიყვარულით დახატა. წმინდანი, უდანაშაულო და მიცვალებული რეკვიზიტებად აქცია, და მთელი თანაგრძნობა მაყურებელთა ბრბოს დაუთმო. ამ ბრბოში ჩააქსოვა მან ის განწყობილება, რომლითაც ახლა ცხოვრობდა, თავისი განახლებული, მხიარული, დაბრძენებული ახალგაზრდობა.

გოიას დახატული ადამიანები წმინდა ანტონიუსის თანამედროვენი როდი იყვნენ, არამედ მხატვრის თაობის მადრიდელები, ჭეშმარიტი მადრიდელები, ბევრი მათგანი კი — მანორელიას მცხოვრები. ამასთან სასწაული მათში მორწმუნეობრივ გრძნობებს კი არ აღვიძებს, არამედ მას უყურებენ როგორც დიდებულ ხარების ჭიდილს, ან როგორც კარგად შესრულებულ მისტერიას. ეს მაყურებლები მოხერხებულად მიყრდნობიან ბალუსტრადას, რომელზედაც გადაფენილია ძვირფასი საფარველი. ზოგიერთი ცელქი ბიჭი მალლა ბალუსტრადაზე ამძვრალა და იქ მოუკალათებია. ერთიმეორეში ლაცობენ ეს მადრიდელები, ერთიმეორეს უთითებენ, რაც იქ ხდება. ზოგიერთი აღელვებულია, აკვირდება, მართლა გაცოცხლდება თუ არა ნახევრად გახრწნილი მიცვალებული, ზოგიც გულგრილად გამო-

იყურება, ჩურჩულებენ, უყვებიან ერთიმეორეს ამბებს, რომლებსაც სასწაულთან შეიძლება არცა აქვს კავშირი. უდანაშაულოს დარდი არც ერთს არა აქვს.

შესასვლელის თალი, ნიშების თალი და სარკმლების კრილები გოიამ მოხატა ქერუბიმებითა და ანგელოზებით. ესენია არაჩვეულებრივი ლამაზი, ქალური ანგელოზები მრგვალი, ავბორცული სახეებით, თავიდან ფეხებამდე ისე არიან ჩაცმული, როგორც ინკვიზიცია მოიხმოს, მაგრამ ცდილობენ აშკარად გამოაჩინონ თავიანთი სხეულის უპირატესობანი. ეს ანგელოზები გოიამ დიდი კმაყოფილებით დახატა. გარდა ფრთებისა მათთვის ანგელოზური არაფერი მიუცია. სამაგიეროდ მათ მისცა ანონიმური და მაინც ძალზე საცნობი სახეები, რის დახატვის უნარიც მხოლოდ მას შესწევდა, სახეები ქალებისა, რომლებიც გოიასთვის და ზოგი სხვისთვისაც ნაცნობი იყო.

როცა გოია დე სან ანტონიოს ერმიტას ხატავდა, ისევ უდარდელ, თავხედ გოიად იქცა, როგორც პირველად მეფის კარზე იყო, უსაზღვროდ რომ ტკებოდა მის ირგვლივ გამეფებული უზრუნველი ცხოვრებით. სიყრუე მისთვის არაფერს ნიშნავდა, გარდა მცირე ხელისშემშლელი უსიამოვნებისა, ის ისევ კარის სამოსელში გადაცმული მანო იყო, ხმაურიანი, კოლორიტული, ამაყი თავის სიცოცხლის უნარიანობის ძალით. ეს იყო მისი მხიარული, უდარდელი წარსულის უკანასკნელი ციალი. ამ ერმიტას ფრესკები მეორე გობელენებად იქცა, მაგრამ ისეთი კაცის დახატულად, ვისაც ბევრად მეტი შეეძლო და ბევრად მეტად ერკვეოდა ფერებსა, შუქსა და მოძრაობაში.

პატარა ეკლესია ახლო მდებარეობდა, როგორც მის კინტასთან, ასევე ბუენავისტას სასახლესთან. კაეტანა ხშირად ჩამოდიოდა აქ თავისი აგარაკიდან და გოიას მუშაობას უყურებდა. ხშირად მოდიოდა ხავეირიც, ავუსტინი კი თითქმის სულ იქ იყო; მოდიოდნენ გოიას სხვა მეგობრებიც, გრანდები და გრანდესები, აგრეთვე მანორელიას დუქნის მკვიდრნიც. გოია ხელმარჯვედ მუშაობდა. ყველა სიხარულით იყო გაოცებული, როცა ხედავდნენ, როგორ მკვიცხლად და მხნედ ძვრებოდა გოია ხარაჩოებზე და როგორ მოხერხებულად ხატავდა ზურგზე დაწოლილი. არაჩვეულებრივი საინტერე-

სო სანახავი იყო, როგორ იქმნებოდა არაფრისაგან ეს მკვეთრად გამოსახული, ნაირფეროვანი ხროვა ადამიანებისა, ეს ჩასკვნილი ანტიქერუბიმები, ეს ვნების აღმძვრელი ანგელოზები.

ორი დღის შემდეგ, რაც გოიამ გამოაცხადა, რომ მოხატულობა დამთავრებული იყო, ნადირობიდან მომავალმა მეფემ თავისი ახალი ეკლესია მოინახულა.

მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი ბატონები და ქალბატონები იდგნენ სუსტად განათებულ პატარა ეკლესიაში, რომელიც თითქოს გააშუქა და გაამხიარულა ფრთიანი და უფრთო მადრიდელების გოიასეულმა წარმოდგენამ. ოდნავ გაოცდნენ გრანდები და გრანდესები რელიგიური ამბის უაღრესად საერო გამოსახვით.

მაგრამ განა სხვა, თუნდაც საზღვარგარეთის მხატვრებს. რელიგიური ამბები ხანდახან ძალზე თვალისმომკრელად და მხიარულად არ წარმოუსახავთ? თვითონ მათ წარჩინებულ დამთვალეიერებლებს ამ ბოლო თვეებში ბევრი საზრუნავი გაუჩნდათ; მათ მოსწონდათ, რომ ეს ყრუ, ხანშიშესული კაცი ასე გულიანად ასაბუთებდა სიცოცხლის სიხარულს. სასიამოვნო იყო მოგონება იმ წლებისა, რომლებიც თავადაც ისე გაეტარებინათ, როგორც ამ ანგელოზებსა და მხიარულ ხალხს. არაჩვეულებრივი ბედნიერი შემთხვევა იყო ამ ფრესკებზე გამოხატული. საკმაოდ იშვიათად ხდებოდა, რომ უდანაშაულო ბრალდებული წმინდანის საქმეში ჩარევით გადარჩენილიყო. სასიამოვნო იქნება ასეთი ხალისიანი სასწაულის ხილვა, და ფიქრი იმისა, რომ შესაძლებელია სათაყვანებელმა ღმერთმა ჩვენთვისაც მოახდინოს სასწაული და დაგვიფაროს ომისაგან, ფრანგებისაგან და ჰუმბოვი ფინანსიური გაჭირვებისაგან.

ასე ფიქრობდნენ ისინი და საიამოვნებით შეასხამდნენ კიდევაც ხოტბას ამ მხატვრობას, მაგრამ მონარქების აზრის გამოთქმას ელოდებოდნენ და ღუმიდნენ. ლოდინი დიდხანს მოუხდათ, არაფერი ისმოდა, გარდა ეკლესიის ღია კიშკრიდან შემოსული, ქუჩაში შეგროვილი ხალხის ყრუ ხმაურისა, ცხენების კიხვისისა და ფეხების ბაკუნისა. კარლოსი აყოვნებდა, არ იცოდა, რა ეთქვა ამ მხატვრობაზე. ის არ იყო უქმური, კაცთმოძულე, უყვარდა ხუმრობა, მისი ღვთისმოსიშობა და ლოცვა არ იყო ასკეტური. პრინციპში არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ნათელი, მხიარული სახეებისა და სამოსლისა, აქ

გამოსახულ რელიგიურ სურათებზეც კი. განა თვითონ არ მოისურვა, რომ ეკლესია მხიარული გამოსულიყო? მაგრამ, რაც მის პირველ მხატვარს დაეხატა, განა მეტისმეტად უწმინდური და ქარაფშუტული არ იყო? ამ ანგელოზებს არაფერი გააჩნდათ ანგელოზური.

— აი იმას, დაკეცილფრთებიანს, მე ხომ ვიცნობ, — ერთბაშად წამოიძახა მან. — ეს პეპაა! აი ის კი რაფაელაა, რომელსაც პირველად ასკოსთან ჰქონდა ურთიერთობა, ხოლო შემდეგ ჭაბუკ კოლმეროს კმაყოფაზე გადავიდა. ამჟამად კი პოლიციის უწყებებში ხშირად იხსენიება. ჩემო საყვარელო ფრანსისკო — ამგვარი ანგელოზები მე არ მომწონს. ვიცი, რომ ხელოვნება აკეთილშობილებს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ რაფაელა საკმარისად ვერ გაგიკეთილშობილებიათ.

მეფის ძლიერმა ხმამ აავსო პატარა ეკლესია და მეხივით დაიქუხა, მაგრამ ფრანსისკოსათვის კი არა, ვინაიდან ყურთ არ ესმოდა. მან გაუწოდა მეფეს თავისი რვეული და:

— უმორჩილესად გთხოვთ პატიებას, მეფევ, — უთხრა მან, — მაგრამ კეთილინებეთ და ჩამიწერეთ თქვენი ყოვლადმოწყალებული არება.

დონია მარია ლუიზა წამსვე ჩაერია. ცხადია, მართალი იყო, რომ ეს დაკეცილფრთებიანი ანგელოზი იმ პიროვნებას, პეპას, ჰგავდა, ხოლო მეორე გაშლილფრთებიანი ქალაქში ცნობილ რაფაელას მოგვაგონებდა და გოიას სხვა მოდელები უნდა გამოენახა, მაგრამ ესენი ხომ ბოლოს და ბოლოს პორტრეტები არაა, არამედ უბრალო მსგავსება მიწიერსა და ზეცის ბინადართა შორის. თუ კაცი მოისურვებს, ფრესკებზე ბევრი მსგავსება შეიძლება გამოინახოს. ასეთი იყო გოიას მუშაობის თავისებურება, და დასანანიც კია, რომ თვითონ ის, დონია მარია ლუიზაც არ ურევია ამ ფრესკებში. ესეც კარგია, რომ პეპა მეძვე რაფაელას გვერდით იდგა. გარდა ამისა ჭერის მონატულობა მარია ლუიზას აგონებდა კორეჯოს ერთ სურათს პარმაში, და მისი საყვარელი პარმის მოგონება ყოველთვის სიამოვნებას ჰგვრიდა.

— თქვენ კვლავ სასახლო ნაწარმოები შექმენით, დონ ფრანსისკო, — უთხრა მან გარკვეულად, გამოთქმით. — რა თქმა უნდა, თქვენი ანგელოზები და მათი შემყურე ზოგიერთი ქალი და კაცი მეტისმეტად მხიარულად გამოიყურებიან, ამაში ვეთანხმები მეფეს,

ნაგრამ, როგორც ჩანს, ანგელოზები და ბრბო სასწაულის ხილვას დაუთვრია.

რაკი მარია ლუიზამ ნაწარმოები შეაქო, დონ კარლოსიც მოლბა. გოიას მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა.

— იოლი როდი იქნებოდა, — თქვა მან, — აღმა-დაღმა ძრომა და ანის მოხატვა. მაგრამ მე ვიცი, რომ ძვალმაგარი ხართ.

და ახლა ყველანი, გრანდები და სულიერი მამები მოჰყვენენ ფრანსისკოს ნამუშევრის ქება-დიდებას.

ამასობაში გარეთ მანსანარესას ხეობის მცხოვრებლები შეგროვილიყვენენ მეფისა და მისი ამალის გამგზავრების საყურებლად. მეფეს ალტაცებული ესალმებოდნენ. გოია ყველაზე ბოლოს გამოვიდა ეკლესიიდან. ბევრმა იცნო და მის დანახვაზე ყიჟინა დასცეს. გოიამ დაინახა, რომ ზეიმობდნენ, იცოდა, როგორ უყვარდათ თავის მშობლიურ მადრიდში, შეამჩნია, რომ უკანასკნელი შეძახილები მას ეკუთვნოდა. საზეიმოდ იყო გამოწყობილი, სამკუთხა ქუდი ილიაში ამოედო. დაიხურა და კვლავ მოიხადა, როგორც მიღებული იყო მისალმების პასუხად, და დაინახა რომ ხალხი კიდევ უფრო ხმამაღლა აყვირდა.

მისი ეტლი დაიძრა. მან ჰკითხა თავის მსახურს ანდრესს, რას ყვიროდა ხალხი. ანდრესი, რომელმაც გოიას დაყრუების შემდეგ ბუზლუნს უკლო და უფრო გულისხმიერი გახდა, ეცადა სიტყვები გარკვევით გამოეთქვა.

ისინი გაიძახოდნენ:

— დიდება წმინდა ანტონიუსს! გაუმარჯოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს და მის ზეციურ ამალას! გაუმარჯოს ფრანსისკო გოიას, წმინდა ანტონიუსის კარის მხატვარს!

მომდევნო დღეებში მთელმა მადრიდმა ფლორიდას მიაშურა გოიას ფრესკების სანახავად. გოიას თავს დაესხა ქება-დიდების სიტყვების თქეში. ექსტაზით ლაპარაკობდნენ და წერდნენ გოიას ახალ ქმნილებაზე. „ფლორიდაში ორი სასწაულია სანახავი, — წერდა ხელოვნებათმცოდნე ირიარტე, — ერთი წმინდა ანტონიუსისა, ხოლო მეორე მხატვარ ფრანსისკო გოიასი“.

მაგრამ ძალიან ცუდი აზრისა იყო გოიას მხატვრობაზე დიდი ინკვიზიტორი რეინოსო. მოიწვიეს თუ არა ეს მწვეალბელი ტარაგონაში, ადრინდელზე მეტად გათავხედდაო, ამბობდა იგი.

— როცა წმინდანს ხატავს, — ჯავრობდა ინკვიზიტორ-კარდინალი, — მოკვდავის შვიდივე ცოდვას თან დაურთავს და მათ მიმზიდველობას უფრო ანიჭებს, ვიდრე სათნოებას. უკეთესი იქნებოდა, თუ ცოდვილს დაიჭერდნენ და ეკლესიას მიაკეტავდნენ. მაგრამ გოია ეშმაკია. არც სიშიშველე და არც ხელშესახები უწესობა არ ჩანს ნახატებში. მეფე, ისევე როგორც ხალხი, სამწუხაროდ, ბრმა არის, არა აქვს მანკიერების და მკრეხელობის დანახვის უნარი.

ღიას, მადრიდელ ხალხს მოსწონდა მისი ფრესკები.

მახობები და მახები, გოიას მეგობრები დუქნებიდან, ლარიბი გლეხები, მანსანარესას მიდამოს მცხოვრებნი მათ სანახავად პირველნი მოვიდნენ და გაუთქვეს სახელი. ხოლო შემდეგ მათ მოჰყვა მადრიდის მთელი ხალხი, რათა საყვარელი წმინდანის სასწაული ეხილათ. ისინი ბალუსტრადაზე მყოფ ხალხთან გრძნობდნენ თავს. სწორედ თავადაც ასევე მოიქცეოდნენ, სასწაულის მოწამენი რომ ყოფილიყვნენ. ასეთი რელიგია უყვარდათ, სიცოცხლით სავსე, ამაღელვებელი. როგორც ბალუსტრადაზე მყოფნი, ისევე აღიქვამდნენ ესენიც საზეიმო პროცესიებს და აუტოდაფეებს, თავს განსხვავებულად არ გრძნობდნენ მხიარული, კრელი ხალხისაგან. რომლითაც მათ მხატვარს გაევსო ეკლესია. თვით ისინი დაეხატა გოიას, და ამისათვის მადლობას უხდიდნენ.

ერთ მომდევნო დღეს, შუადღისას, როცა ფლორიდაში პაპანაქება სიცხის გამო მნახველები არ იყო, გოია იქითკენ გაეშურა, რათა დამთავრებული ფრესკები თავისუფლად დაეთვალიერებინა. დადგა ერთ ბნელ კუთხეში; აქედან ყველაზე უკეთესად ჩანდა მოხატულობის ის ნაწილი, რომლის დაკვირვებაც ეწადა. ეკლესიაში ისე შემოვიდა ერთი მოხუცი ქალი, რომ გოია არ შეუმჩნევია, ის დააკვირდა ფრესკებს, თავი უკან გადასწია, რომ თაღზე გამოხატული სასწაული დაენახა, კმაყოფილებით დაიქნია თავი, მიცუნცულ-მოცუნცულდა მხიარული მოკრძალებით და მიიხედ-მოიხედა, ბოლოს ისევ შუაში დადგა და თავმდაბლად სცა თავყანი ყოველ მხარეს მოწიწებით, რაც შეიძლება დაბლა დახარა თავი და ვინაიდან სასწაულმოქმედი წმინდანი მის თავს ზევით იყო, სალაში უთუოდ მას კი არ ეკუთვნოდა, არამედ მხიარულ ანგელოზებს და უბრალო ხალხს — მაყურებლებს.

გაკვირვებულმა ჰკითხა გოიამ:
 „აქ რას აკეთებ, დედი, შითხარი,
 ან თაყვანს ვის სცემ ასე მუხლმოყრით?“
 მას არ ესმოდა, თუ რა მკვექარედ
 ქუხდა თაღებქვეშ ყოველი სიტყვა.
 ქალს შეეშინდა. მოხუცმა ირგვლივ
 მიმოიხედა და გაოცებით
 უცნობ სენიორს შეავლო თვალი.
 „აქ რას აკეთებ, დედი? — ხმამაღლა
 გაიმეორა ისევ გოიამ. —
 ან ამ ნახატებს რისთვის სცემ თაყვანს?“
 და დაეინებით უქქერდა მოხუცს,
 რომლის ბაგეთა მოძრაობაზე
 ამოიკითხა ქალის პასუხი:
 „როდესაც ასეთ მშვენიერებას
 ვნახავთ, მუხლმოყრის ღირსია იგი...“

17

ვიდრე პარიზში მმართველობა დირექტორიის ხელში იყო, ესპანეთის მთავრობას შეეძლო გადაედო პორტუგალიის საჩოთირო საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ ახლა ნაპოლეონი გახდა პირველი კონსული და როდი იყო იმის კაცი, რომ ცარიელი დაპირებითა და დაიმედებით დაკმაყოფილებულიყო. მან გადაჭრით მოითხოვა, ინფანტ მანუელს დაუყოვნებლივ წაეყენებინა ულტიმატუმი პორტუგალიისათვის, რათა დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობა შეეწყვიტა: თუ პორტუგალია ამჟამად უარს განაცხადებდა, მაშინ საფრანგეთის და ესპანეთის მოკავშირე არმიები ლისაბონს დაიკავენდნენ. თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად ნაპოლეონმა გენერალ ლეკლერკის სარდლობით ესპანეთის საზღვარზე საფრანგეთის ერთი კორპუსი გაგზავნა და უბრძანა ლეკლერკს ათი დღის ვადაში, იმისდა მიუხედავად, თუ რას შოიშოქმედებდნენ ამ ხნის განმავლობაში არანხუესში, თავისი ჯარით წარსდგომოდა კარლოს მეფეს ესპანეთის მიწა-წყალზე, პორტუგალიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდასაქერად.

ნაწყენ და შეუტრაცხოფილ მანუელთან გამოცხადდა წარმომადგენელი ლუსიენ ბონაპარტე. თქვა, რომ გრძნობდა, რა ძნელი იყო კათოლიკე მეფე-დედოფლისათვის ნათესავი პორტუგალიის სამეფო

ტახტის წინააღმდეგ გალაშქრება. ამიტოიაც სურდა გაეცნო პირველი მინისტრისათვის პროექტი, რომელიც საკუთრივ მისი მოფიქრებულია, მაგრამ ნაპოლეონიც იცნობს მას და იგი დედოფალს შეუმსუბუქებს საკუთარი ასულისა და მის სატახტო ქალაქ ლისაბონის წინააღმდეგ საომრად გალაშქრებას.

საქმე ისაა, რომ პირველ კონსულს თავის მეუღლე ჟოზეფინასგან მემკვიდრე არ უჩნდება, ამიტომაც ახლო მომავალში აპირებს მასთან განქორწინებას და სხვა ქალის შერთვას. ლუსიენი მოხიბლულია მეფის ასულის, თვალწარმტაცი დონია ისაბელის, მშვენიერებით, რომელიც ჭერ კიდევ ბავშვია, მაგრამ მოკლე დროში შეიძლებოდა დანიშვნა: მან თავის ძმას, პირველ კონსულს, უკვე მიანიშნა ამის თაობაზე და ნაპოლეონს დიდი ინტერესი გამოუჩენია ამ გარემოებისადმი.

დონია მარია ლუიზას უმცროსი ქალიშვილი, მეფის ასული ისაბელი, როგორც მსგავსებაც ადასტურებდა, დონ მანუელისაგან ჰყავდა. მას წუთით ბედნიერებისაგან რეტი დაესხა იმის გაფიქრებაზე, რომ მის ასულს ასეთი განდიდება მოელოდა. თუმცა მაშინვე გაუელვა, რასაც ლუსიენი ამბობს. წყლის ნაყვა იქნებაო. მაგრამ შარც გაუხარდა, რომ ლირსების შეუღლებავად შეეძლო თანხმობა მიეცა. მან საზეიმოდ განაცხადა, რომ ამგვარ პირობებში შეეძლო ღვთისა და თავისი სინდისის წინაშე პასუხი ეგო პორტუგალიისადმი წაყენებული ულტიმატუმის გამო: იგი ურჩევდა კათოლიკე მეფედ დედოფალს ყურადღეობთ პირველი კონსულის სურვილი.

შემდეგ ნართაული სიტყვებით შეთანხმდნენ ბატონები, თუ როგორ გაინაწილებდნენ ურთიერთ შორის პროცენტებს კონტრიბუციოდან, რომელიც პორტუგალიას დაედებოდა.

გენერალ ბონაპარტეს წინადადებამ მარია ლუიზა ააღელვა. მისთვის ძნელი იყო პორტუგალიის მმართველ თავის სათნო, თავმდაბალი ქალიშვილის, შარლოტასთვის შეურაცხყოფის მიყენება და იმის თავს დატეხა, მაგრამ ნაპოლეონმა ამას წინათ თავისი სიტყვა შეასრულა; მისი ქალიშვილი მარია ლუიზა ეტრუირის დედოფლად დასვა. ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ მას სურვილი ჰქონდა ბურბონებს დანათესავებოდა, მისი ქალიშვილი ისაბელი ვერსალს წაეყვანა და იქ მასთან ერთად ემართა სახელმწიფო. მაშინ ევროპის ყველა ტახტზე ჩვენ, ბურბონები ვიქნებითო, — გაიფიქრა მან.

შემდეგ დონ კარლოსი დაითანხმა, გარდაუვალს დამორჩილებოდა. გულდამძიმებულმა მეფემ მოიწვია ლუსიენ ბონაპარტე და აუწყა მას, პორტუგალიას ულტიმატუმს წავუყენებო.

— ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო წარმომადგენელო, — უთხრა ცრემლმორეულმა მეფემ, — რა გულისტივილის მიყენება შეუძლია გვირგვინის ტარებას. რამდენადაც ვიცნობ ჩემს სიძეს, დათმობაზე არ წავა, და მე იძულებული გავხდები გავგზავნო არმია საკუთარი შვილის წინააღმდეგ, რომელსაც ჩემთვის არაფერი დაუშავებია და წარმოდგენაც არა აქვს, რას ეხება საქმე.

პორტუგალიის პრინც-რეგენტმა მართლაც უარყო ულტიმატუმი და ესპანეთის არმია, დონ მანუელის სარდლობით, პორტუგალიაში შეიჭრა. ეს მოხდა 16 მაისს.

ოცდაათ მაისს კი განიარაღებულმა პორტუგალიამ დაზავება მოითხოვა. მოლაპარაკება მოხდა მანუელის მშობლიურ, სასაზღვრო ქალაქ ბადახოსში. ხელშეკრულება მოულოდნელი სისწრაფით დაიდო. მანუელი, რომელმაც პორტუგალიიდან მდიდრული საჩუქრები მიიღო, სულგრძელად დათანხმდა დამარცხებული მტრის ხელსაყრელ პირობებზე. ლუსიენ ბონაპარტემ, რომელმაც აგრეთვე მიიღო თავისი პროცენტები და ძვირფასი ძღვენი, ხელშეკრულებას საფრანგეთის სახელით მოაწერა ხელი.

მშვიდობის თავადმა თავისი სახელი ხელმეორედ გაამართლა და მიუხედავად მოპოვებული სამხედრო უპირატესობისა, დამარცხებული მოწინააღმდეგისათვის სასარგებლო პირობებს სულგრძელად დათანხმდა. „ბადახოსის ზავი“ ორივე ქვეყანაში იდღესასწაულეს. კარლოს მეფემ გამოსცა დეკრეტი, რომლის ძალითაც გამარჯვებული ინფანტის მადრიდს დაბრუნება ზეიმით უნდა აღნიშნულიყო.

მაგრამ ნაპოლეონმა, რომელმაც ახლახან მარენგოსთან ავსტრიელები სასტიკად დაამარცხა, მკაცრი ნოტა გამოგზავნა, სადაც იტყობინებოდა. რომ წარმომადგენელ ლუსიენს თავისი უფლებებისათვის გადაუქარბებია; თვითონ, პირველი კონსული, სრულებითაც არ აპირებდა ამ სულელური „ბადახოსის ზავის“ აღიარებას და ადრინდებულად აპირებდა პორტუგალიასთან ომს. თავისი ნათქვამის დასადასტურებლად მან ესპანეთში შეიყვანა საფრანგეთის მეორე „ღამხმარე კორპუსი“.

ინფანტ მანუელს თვალი დაუბნელა მისი ქვეყნის მიერ ნაკმევ-

მა საკმეველმა. საპასუხო ნოტაში, რომელიც ნაპოლეონის ნოტაზე ნაკლებ მკაცრი როდი იყო, იგი მოითხოვდა, საფრანგეთის მთავრობისაგან მის მიერ გამოგზავნილი და ამჟამად უმაქნისი არმია დაუყოვნებლივ უკან გაეწვია. მანამდე არც კი იფიქრებდა „ბადახოსის ზავის“ გადასინჯვას. ნაპოლეონმა უპასუხა. მანუელის უტიფარი სიტყვები უთუოდ იმას ადასტურებს, რომ მათი კათოლიკური აღმატებულებანი დალაღა ტახტზე ჯდომამ და ამიტომაც მონატრებიან სხვა ბურბონების ხვედრის გაზიარებაო.

მანუელმა დაუმალა ესპანელ ხალხს და თვით მეფე-დედოფალსაც კი, რომ პირველმა კონსულმა ხმა აღიმალა „ბადახოსის ზავის“ თაობაზე და მეფის კარი და ქალაქი ზარ-ზეიმით ეგებებოდა ინფანტს. მან კი, განდიდებით თანდათან უფრო მეტად დაბრმავებულმა, გადაწყვიტა ნაპოლეონის თავხედობისათვის საკადრისი პასუხი გაეცა. შეადგინა ღირსეული პასუხი, რომელიც მანუელის სახელით პარიზში ესპანეთის წარმომადგენელ ასარას გენერალ ბონაპარტესათვის უნდა გადაეცა პირადი აუდიენციის დროს. თავის პასუხში დონ მანუელი ჰკუთხდა ასწავლიდა მეტიჩარას, რომ პირველი კონსული კი არა, ყოვლისშემძლე ღმერთი განაგებდა სახელმწიფოთა ბედს, და მიუთითებდა, რომ ხელისუფლების საჭესთან მოსული ახალგაომცხვარი რეგენტი უფრო იოლად დაკარგავდა ძალა-უფლებას, ვიდრე კურთხეული მეფე, რომლის წინაპრებსაც სამეფო გვირგვინი ათასეული წლების მანძილზე უტარებიათ.

როცა მიგელმა ამ წერილის შავი პირი გადაიკითხა, გულს შემოეყარა. ყველა ფრონტებზე გამარჯვებული ნაპოლეონისათვის ასეთი ნოტის გაგზავნა სისულელეს უდრიდა. მდივანი ეცადა ჩაეგონებინა მანუელისათვის, პირველი კონსული ამგვარი პასუხისათვის უთუოდ საომრად გამოილაშქრებო მადრიდის წინააღმდეგ. მანუელმა მკაცრად შეხედა მდივანს, მაგრამ ბურუსი გაიფანტა, მან იცოდა, ნაპოლეონი დიდი ცერემონიების კაცი არ იყო.

— მაშ მე ტყუილად შემიდგენია პასუხი, — ბუზღუნით თქვა მან.

მიგელმა ურჩია, დონ მანუელს პარიზს გაეგზავნა ღირსეული და ბრძნული პასუხი და ამასთანავე მიეთითებინა წარმომადგენელი ასარასათვის, რომ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში გადაეცა იგი ნაპოლეონისათვის. დასევდიანებული მანუელი დაეთანხმა.

ამასობაში მადრიდს მოვიდა ნაპოლეონის პორტუგალიასთან და-
ზავების საბოლოო პირობები.

ეს მძიმე პირობები იყო: პორტუგალიას საფრანგეთისათვის უნდა
დაეთმო თავისი კოლონია გვიანა, ხელი უნდა მოეწერა საფრანგეთი-
სათვის ხელსაყრელ სავაჭრო ურთიერთობაზე, უნდა გადაეხადა ასი
მილიონი სამხედრო დანახარჯების ასანაზღაურებლად, და, თავისთა-
ვად ცხადია, ყოველგვარი ურთიერთობა შეეწყვიტა ინგლისთან. ამ
პირობების შესრულებას რომ არაფერი გადალობებოდა წინ, საფრან-
გეთის არმია ესპანეთის მიწა-წყალზე დარჩებოდა ინგლისთან ზავის
ჩამოგდებად. ერთადერთი, რასაც პირველი კონსული თავის მო-
კავშირე ესპანეთს უთმობდა, ის იყო, რომ ეს ზავიც ბადახოსში დაი-
დებოდა.

ღონ მანუელმა ჩივილით აღსავსე ჯიუტი ნოტა გაუგზავნა.

მაშინ ნაპოლეონმა თავის ძმას, ლუსიენს, მისცა მითითება, თავი
დაენებებინა მანუელთან მოლაპარაკებაზე და გაუგზავნა ბარათი,
რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გადაეცა დონია მარია ლუიზასთვის
საკუთარ ხელში. მანუელის გვერდის ავლით. პირველი კონსულის
ბრძანება ისეთი მკაფიო, სასტიკი სიტყვებით იყო გამოთქმული, რომ
ლუსიენს მეტი ღონე არ ჰქონდა — უნდა შეესრულებინა. დედოფ-
ლისადმი ნაპოლეონ ბონაპარტეს საკუთარი ხელით დაწერილ ბარათ-
ში ნათქვამი იყო: „თქვენი აღმატებულების პირველმა მინისტრმა ამ
ბოლო თვეებში ჩემს მთავრობას მთელი რიგი შეურაცხმყოფელი
ნოტები გამოუგზავნა და გარდა ამისა თავხედური სიტყვებით მიხ-
სენიებდა. მომბეზრდა ასეთი სულელური და უკადრისი მოქცევა.
გთხოვთ, თქვენო აღმატებულება, მიიღოთ მხედველობაში, რომ თუ
შე კვლავ ამის მსგავს თუნდაც ერთ ნოტას მივიღებ, იძულებული
ჯავხნები ესპანეთი ომის ქარცეცხლში გავხვიო.“

შეშინებულმა მარია ლუიზამ წამსვე მანუელი იხმო.

— აი, ესეც შენი კეთილი მეგობარი ბონაპარტე! — უთხრა მან
და წერილი მიუგდო.

დედოფალი აკვირდებოდა მანუელს კითხვის დროს: ჩვეულებრივ
თავდაჭერებულ მამაკაცს მსუქანი სახე მოლრეცოდა, ხოლო მისი
ზორბა სხეული მოღვენთილიყო.

— მირჩიეთ რაიმე, ბატონო პირველო მინისტრო! — უთხრა დე-
დოფალმა დაცინვით.

— ვშიშობ, რომ თუ ბონაპარტე ბადახოსის ზავს აღიარებს, — ნაღვლიანად უთხრა მან, — მაშინ შენი ქალიშვილი შარლოტა იძულებულა გახდება დაუთმოს კოლონია გვიანა.

— და ასი მილიონიც, — ბოროტად დაუმატა მარია ლუიზამ.

ასე მოაწერეს

ბადახოსის საზავო ხელშეკრულებას ხელი,

ამჯერად — პირადად

პირველმა კონსულმა.

სახელწოდება

შემორჩა მხოლოდ ძველი

შეთანხმებებიდან.

ხოლო ხელშეკრულების

საიდუმლო, ახალი პუნქტები

ესპანელი ხალხისთვის უცნობი დარჩა.

მანუელი დადიოდა როგორც გმირი,

მაგრამ ფრანგი ჯარისკაცები

რჩებოდნენ ესპანეთის მიწაზე,

ამასთან ერთად,

ესპანეთის ხარკზე.

18

გოია არანხუესში დონ მანუელის პორტრეტს ხატავდა. მიუხედავად გაბუქვისა, ბევრს ესმოდა, რომ „ბადახოსის ზავი“ ჩირადაც არ ღირდა. ეს უეჭველად ფრანსისკოსაც ესმოდა და მანუელს დიდი პურვილი ჰქონდა მიემხრო იგი, ვისთანაც სულიერ მსგავსებას პოულობდა. საგანგებო ყურადღებას იჩენდა მისდამი. პურმარილობდა და სეირნობდა მასთან ერთად.

მანუელი ხშირად მიმართავდა ხელით საუბარს, მაგრამ უმეტესად ისე სწრაფად და გაურკვეველად ლაპარაკობდა, რომ გოიას თითქმის არაფერი გაეგებოდა. ხანდახან ის თავის თავს ეკითხებოდა, სურდა თუ არა მანუელს, მისთვის გაეგოთ. როგორც ჩანს, ლაპარაკის მოთხოვნილება ჰქონდა, თანაც გონივრულად მიაჩნდა ისეთ კაცთან ელაპარაკა, რომლის ყურადღებაც გაფანტული იქნებოდა, ვინაიდან მანუელი ბევრს ორაზროვანს და საჩოთიროს გამოთქვამდა, მწარედ და ქედმაღლურად იხსენიებდა პირველ კონსულს, არ იზურებდა.

რონიულ სიტყვებს დონია მარია ლუიზასა და უფალი მეფის მიმართ.

ღონ მანუელმა სთხოვა გოიას, წარმოსადეგად დაეხატა იგი, გენერალისიმუსის ყველა რეგალიებით, ეს ისე მესახებაო, ამბობდა ის, როგორც დავიდის მიერ შესრულებული გენერალ ბონაპარტეს ალპებზე გადასვლა. ამისდა მიხედვით გოიამ ღონ მანუელი ძვირფას სამხედრო მუნდირში გამოწყობილი დახატა, ბრძოლის ველზე, გამარჯვების შემდეგ, მოშვებულად ზის კორტოხზე და ხელში დეპეშა უჭირავს.

კორტოხს სიანსების დროს ცვლიდა მოხერხებული დივანი. ამ დივანის საზურგეზე დაუდევრად გადაწოლილი ინფანტი უკმეხად ლაყობდა. გოია აღარავითარ პატივისცემას აღარ გრძნობდა თავის ყოვლისშემძლე მფარველის მიმართ. ის ხედავდა, რომ მანუელს მარტო სახე და სხეული კი არ ჰქონდა ქონით გაპოხილი, არამედ მთელი შინაგანი არსიც. გოიას მოაგონდა, როგორი უხეში გულგრილობით დაამახინჯა მანუელმა დონია ტერესას ცხოვრება, როგორ სულმდაბლად იძია შური თავის მოწინააღმდეგე ურკიხოზე, რადგან მან უკეთესი ნიჭი გამოიჩინა სახელმწიფოს საქმეებში. წინანდელი პირველი მინისტრი ახლა ჩამწყვდეული იყო პამპონას ციხის ნესტიან, ბნელ საკანში. ცუდად ჰყვებოდნენ, არ ანებებდნენ ქალაქსა და მელანს. ასეთ ფიქრებში ხატავდა გოია მთელი ბრწყინვალეობით გენერალისიმუსს, მაგრამ შიგ ჩააქსოვა მისი სიზანტე, ქონმორეული სიმსუქნე და მისი გულცივი ქედმაღლობა. „რაც უფრო მალა აცოცდება მაიმუნი, მით უფრო გარკვეულად აჩენს თავის უკანალს“, გაიხსენა გოიამ ძველი ანდაზა.

ხანდახან პეპაც ესწრებოდა სიანსებს. ის არანხუესში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. ის იყო დედოფლის სეფექალი, კარგი დამოკიდებულება ჰქონდა მასთან და კიდევ უკეთესი კარლოსთან; აღარ არსებობდა მეტი მაღალი მწაერვალი, რომელზედაც ასვლა შესძლებოდა პეპას. მის ირგვლივ ცისფერი სივრცე იყო. ის რომ გოიამ ანგელოზად დახატა ფლორიდას ეკლესიაში, პეპას იმ როლის დამადასტურებლად მიაჩნდა, რომელსაც კვლავ თამაშობდა მის სულში. პეპამ წინადადებაც მისცა გოიას, ენახა მისი პატარა ბიჭი. ფრანსისკოს ბავშვები უყვარდა. უღიმოდა პატარას, და თავისი თითი სათამაშოდ მისცა. პეპამ უთხრა:

— ბავშვმა სრულებით არ გიჟცხოვავთ, დონ ფრანსისკო. სულითა და გულით გიციინით. — და უეცრად ჰკითხა: — როგორ გგონია, ხომ გგავს შენ?

დონ მანუელის პორტრეტი მზად იყო; ის და პეპა მას ათვალიერებდნენ.

აქ იჯდა მანუელი თავისი სამხედრო აღჭურვილობის მთელი ზრწყინვალეობით პატარა კორტოხზე მიყრდნობილი, მთლიანად ოქროთი ელვარებდა, ხმლის ყაწიმზე ქრისტეს ორდენი კაშკაშებდა, მის მარცხნივ უსასოოდ დახრილიყო პორტუგალიისაგან ნაალაფარი დროშა; უკანა მხარეს ცხენები და ჯარისკაცები ჩრდილებივით მოძრაობდნენ. მანუელის უკან პატარად მოჩანდა მისი ადიუტანტი გრაფი ტეპა. ამგვარად, ტყვიისფერი, მოღუშული ცის ქვეშ იჯდა, ცხადია, გამარჯვებებით მოღლილი მხედართმთავარი, და მოწყენილი გამომეტყველებით კითხულობდა დეპეშას; ძალზე გარკვევით იყო დახატული მისი კარგად მოვლილი, მსუქანი ხელები.

— როგორღაც არაბუნებრივად ზის, — თქვა პეპამ, — მაგრამ ძალიან კი გგავს. შენ მართლაც გასუქდი, ინფანტო.

მანუელმა მისი აზრი არ გაიზიარა. სურათზე გამოხატული იყო გამარჯვების შარავანდელით მოსილი მამაკაცი. ამგვარი პოზა, ამგვარი ჩაცმა, და ამგვარი შესახედაობა მის ძალა-უფლებით მოსილებას ადასტურებდა.

— შესანიშნავი სურათია, — აქებდა ის, — ნამდვილი გოგია. სამწუხაროა, რომ დრო არა მაქვს დაგიჯდეთ და მეორე სურათი დაგახატვინოთ, ჩემო მეგობარო და მხატვარო, ვაი რომ, — ამოიოხრა მან, — მართვა-გამგეობის საქმე მართმევს მთელ დღეებს.

მართლაც ბევრი საქმე ჰქონდა მანუელს. ვინაიდან გენერალი ბონაპარტე წინ ელობებოდა ევროპაში მანუელის ძალა-უფლების გამოვლენას, ესპანელებისათვის მაინც უნდოდა ეგრძნობინებინა თავისი ძალა. უნდოდა მათთვის ეჩვენებინა, რომ ახლა საქესთან სხვა კაცი იჯდა და არა ურკიხო, ისეთი კაცი, რომელსაც ურჯულო საფრანგეთი თავის პოლიტიკაში ვერ ჩაითრევდა. დონ მანუელი ლიბერალების წინააღმდეგ მოქმედებდა და იახლოვებდა რეაქციონერ მაღალ წოდებას და ულტრამონტანურ სამღვდლოებას.

ბუნებით ლმობიერი მიგელ ბერმუდესი ცდილობდა ყველაფერი შეერბილებინა, შეელამაზებინა, ჰკვიანური, უწყინარი არგუმენტე-

ბით დაეჭვებინა მანუელი, მაგრამ ინფანტს მისი მოსმენაც არ სურდა, დიახ, აკრძობინა, რომ მისი რჩევა ზედმეტად მიაჩნდა. მიგელისადმი მანუელის დამოკიდებულება შეიცვალა. წინათ საჩოთირო მდგომარეობაში ჩავარდნისას ხშირად მიუპართავს მიგელისათვის და შველა უთხოვნი. ახლა კი მისი მოგონებაც აღარ სურდა. თავის ჯმჯღურობას შინაგანად იპით ამართლებდა, რომ მისი მდივანი ლუსიას საქმეში ლაჩრულად მოიქცა.

მიუხედავად თავისი გულგრილობისა, მიგელს უმძიჟდა მანუელის დაკარგვა. მიგელის ცხოვრება ისედაც აღსავსე იყო მოუსვენრობით და საზრუნავით. ლუსიას დაბრუნებამ, მოსალოდნელი სიხარულის ნაცვლად, ახალი შფოთი და დავიდარაბა მოუტანა. ახლა ქალი მანუელთან ერთად ქსელავდა ინტრიგებს მიგელის ზურგს უკან და ლუსიას უნდა სცოდნოდა, რომ მიგელს ეს არ მოეწონებოდა. უეჭველია, აბატის ლმობიერი სასჯელი გამოწვეული იყო მანუელის დიდ ინკვიზიტორთან საექვო შეთანხმებით და მთელი ამ ვიკარების უკან ამოფარებული იყვნენ ლუსია და პეპა.

მიგელი ხედავდა, რომ მას აიძულებდნენ სულ უფრო მეტად და მეტად დაშორებოდა მანუელს. მანუელი, მისი რჩევის მიუხედავად, სულ უფრო და უფრო მეტად ავიწროებდა ლიბერალებს და ახლა მომზადებული იყო უკანასკნელი სასტიკი დარტყმისათვის.

დიდმა ინკვიზიტორმა რეინოსომ, აბატი დიეგო პერიკოს ლმობიერი განაჩენის სამაგიეროდ მოითხოვა, თანამდებობიდან მოეხსნათ არქიმწვალებელი და მემბოხე გასპარ ხოველიანოსი. მანუელი გაიფოფრა, უარი თქვა წასულიყო იმ კაცის წინააღმდეგ, რომლის შეწყნარებასა და დაწინაურებაში თვითონ ედო წილი. გულში კი უხაროდა, რომ თავიდან მოიცილებდა უემურ მორალისტს, რომლის ყოველი დანახვაც ცოცხალ საყვედურს მოაგონებდა. ცოტაოდენი ყოყმანისა და ვაქრობის შემდეგ თანხმობა განაცხადა დიდი ინკვიზიტორის მოთხოვნაზე. მისი აზრით, სწორედ ახლა დადგა დრო დაპირების შესასრულებლად.

ხელსაყრელი საბაბიც მალე გამოჩნდა. ხოველიანოსმა გამოაქვეყნა ახალი გაბედული წიგნი, და წმინდა სამსჯავრომ გამოგზავნა სასტიკი მოწერილობა, რომ მთავრობას ურჯულ და აღმამფოთებელი ნაწარმოები დაუყოვნებლივ აეკრძალა და ავტორისათვის პასუხი მოეთხოვა.

— როგორც ჩანს, შენი დონ გასპარი ჭკუას ვერ ისწავლის, — ამოხვებით უთხრა დონ მანუელმა მიგელს, — ვშიშობ, ამჯერად მის წინააღმდეგ მომიხდება გალაშქრება.

— ნუთუ თქვენ წიგნს აკრძალავთ? ნება მიბოძეთ რეიმოსოსთვის ერთგვარი დამამშვიდებელი, შემრიგებელი პასუხი შევადგინო, — სთხოვა მიგელმა.

— მგონია, ამჯერად ამით ფონს ვერ გავალთ, — თქვა მანუელმა და თან შეხედა მიგელს გულუბრყვილო გამომეტყველებით, მაგრამ ცხადი იყო, რაღაც ბოროტებას ამზადებდა.

— თქვენ მართლა ფიქრობთ ხოველიანოსის გაკიცხვას? — ჰკითხა სერიოზულად შეშფოთებულმა მიგელმა. თავის თეთრ, ოთხკუთხ, შებლნათელ სახეზე სიმშვიდის შენარჩუნება ვეღარ შეძლო.

— ვშიშობ, ამჯერად ესეც არ იქნება საკმარისი, — უპასუხა მანუელმა და ასწია თავისი მსუქანი ხელი არისტოკრატიული გალანტური ყესტით უარის გამოსახატავად.

— დონ გასპარი მუდამ სადავოდ მიხდის საქმეს დიდ ინკვიზიტორთან და რომთან. ამას მას ვერ შეაგნებინებ. — ახლა ნილაბი ჩამოიცილა და გაავებულად, თავშეუკავებლად, ჰირვეული ბავშვივით წამოიძახა: — მომბეზრდა ეს გაუთავებელი დავიდარება. მე მას უკანვე გავგზავნი თავის ასტურიაში. მეფეს ამის ნებართვა უნდა ვთხოვო.

— თქვენ ამას არ იზამთ! — წამოიყვირა მიგელმა და ფეხზე წამოიჭრა. მასში გაიღვიძა მწარე მოგონებამ იმის თაობაზე, რა ფასი დაუჯდა ხანგრძლივი ბრძოლა გაძევებული ხოველიანოსის დასაბრუნებლად. ამ ბრძოლის მეოხებით შეიცვალა ფრანსისკოს, პეპას, მანუელის და მისი საკუთარი ბედიც. ნუთუ ასეთ მსხვერპლსა და შრომას ფუჭად უნდა ჩაევილო?

— უმორჩილესად გთხოვთ მაპატიოთ, დონ მანუელ! — უთხრა მან, — მაგრამ თუკი თქვენ ახლა დიდ ინკვიზიტორს შეუსიტყვებლად დაუთმობთ, მომავალში ის კიდევ მეტად გათავხედდება.

— ნუ დავივიწყებთ, გეთაყვა, დონ მიგელ, — შეესიტყვა მას წყნარად და ღვარძლიანად მანუელი, — რომ მე, როცა საქმე საქმეზე მიდგება, პაპთან და დიდ ინკვიზიტორთან ჩემი გამაქვს. გაგონილა ოდესმე, რომ მწვალებელი საზღვარზე გადმოიყვანო, უკან დააბრუნო და ის ცოცხალი გადაარჩინო? მაგრამ, ჩემო კარგო, მე ეს მო-

ვახერხე: ჩვენი აბატი ესპანეთშია, თავს ცუდად როდი გრძნობს და მომავალში კიდევ უკეთესად იქნება. შეიგნე ეს, ღონ მიგელ: წმინდა სამსჯავროს ჩვენ ძლიერი დარტყმა ვაგემეთ; სამართლიანობა მოითხოვს, რომ მცირეოდენი ჩვენც დავეთმოთ!

— არავითარი დათმობა! — წამოიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ღონ მიგელმა, — ხოველიანოსი, უდიდესი კაცი სახელმწიფოში, ვაგაძევოთ! ამგვარი დამარცხებისაგან ჩვენ ვერასოდეს ველარ აღვდგებით. კიდევ ერთხელ მოიფიქრეთ ეს, ღონ მანუელ, სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამდეთ! — შეევედრა ის.

— ჩემო კარგო, შენმა რჩევამ ამ ბოლო დროს გული გამიწყალა, მერწმუნე, რომ მე მარტოსაც ძალიან კარგად შემიძლია აზროვნება! თქვენ, ლიბერალებს, მეტიმეტად გაგივიდათ თავს. ჩემი ბრალია, მე გაგანებვირეთ. — ის წამოდგა, ჩასუქებული, წარმოსადეგი იდგა ჩია მიგელის წინ.

— ყველაფერი მოფიქრებულია, — თქვა მან, — შენი მეგობარი ღონ გასპარი მიიღებს მეფის carta orden-ს! — მისმა დაბალმა ტენორმა ცბიერად და ტრიუმფალურად დაიბუბუნა.

— მე მოვითხოვ გადადგომას, — თქვა ღონ მიგელმა.

— აი შე უმადურო ძაღლო! — დაიყვირა მანუელმა, — შე სულელო, ბრმა, უფიცო, უმადურო ძაღლო! ნუთუ კიდევ ვერ გაერკვიე საქმის ვითარებაში? ნუთუ ვერ მიხვდი, რომ ეს არის აბატის დაბრუნების საფასური? განა შენმა ლუსიამ არაფერი გითხრა ამის თაობაზე? ჩვენ პეპასთან ერთად შევთანხმდით ამაზე. და ასეთი ბრიყვი მე მასწავლი ჭკუას!

ღონ მიგელმა კი არ შეიმჩნია რომ მთელი ტანი უცახცახებდა. დიდი ხანია იცოდა, თუმცა, რაც მოხდებოდა, მაგრამ თავს მაინც არ უტყდებოდა. შემდეგ გამშრალი ტუჩების თრთოლვით ძლივს უპასუხა: „მადლობელი ვარ საქმის ასეთი გარკვევისათვის. მე ვიმედოვნებ, რომ სულ ესაა“. და თავის დაკვირვებას დატოვა იგი.

მიგელთან წაკამათების გავლენით დონ მანუელმა გადაიფიქრა ხოველიანოსის გაქვება მეფის დეკრეტით. მან უბრალო პირად საუბარში განუცხადა, რომ მისი მადრიდში ყოფნა განუწყვეტელ უსიამოვნებას იწვევდა რომის ერთგულ სამღვდლოებასთან და დიდ ინკვიზიტორთან და საფრთხეს უქმნიდა მის ბრწყინვალეობა მეფის პოლიტიკას. ამის გამო ურჩევდა დონ გასპარს, დაბრუნებოდა თავის მშობლიურ ასტურიას და, ამასთანავე, მთავრობას იმედი ჰქონდა, ხიხონში გამგზავრება ორი კვირის ვადაში მოხდებოდა.

დონ მიგელი, რომელსაც გულს ის უკლავდა, რომ დონ გასპარის მწარე ხვედრში მთავარი ბრალი ლუსიას მიუძღოდა, ხოველიანოსს ურჩევდა ასტურიის ნაცვლად საფრანგეთში წასულიყო. მანუელთან წაჩხუბების შემდეგ ესპანეთში მისი დარჩენა ჰკვიანური არ იქნებოდა და თვითონაც სიამოვნებით შეაფარებდა თავს პარიზს, მაგრამ არ უნდოდა ლუსიას თვალში ლაჩრად გამოჩენილიყო. ის მთელი მკვერმეტყველებით ცდილობდა დაერწმუნებინა თავისი სათაყვანებელი მეგობარი, რომ საზღვარი გადაელახა.

— თქვენ ვინ გგონივართ! — წამოიძახა განრისხებულმა ხოველიანოსმა — მივალწევ თუ არა პირენეის მთების თხემს. მძაფრი ქარივით ზურგს უკან დამედევნება ჩემი მტრის ხარხარი. არამზადა მანუელი ჩემ ზურგს უკან არ უნდა ზეიმობდეს: „აი, ესეც თქვენი ბელადი! მთებს გადაღმა გადავიდაო“. — არა, დონ მიგელ, მე ვრჩები.

იმ დღეს, როცა დონ გასპარი ხელმეორედ მიდიოდა უვადო გადასახლებაში, შემოიკრიბა თავისი მეგობრები. აქ იყვნენ მიგელი და კინტანა, გოია, აგუსტინი და, წარმოიდგინეთ, ექიმი პერალიც.

ხანში შესულ მამაკაცს გაჭირვებაში თავი ისე ღირსეულად და მხნედ ეჭირა, როგორც მისგან მოსალოდნელი იყო. გასაგებიაო, ამბობდა ის, რომ მანუელი ცდილობს საგარეო პოლიტიკაში დამარცხება საშინაოში ძალმომრეობით შეინიღოსო. მაგრამ ინგლისთან დაზავებას ბევრი აღარ აკლია, და მაშინ ეს სულმოკლე, მშიშარა, უთუოდ ეცდება კვლავ შეურიგდეს ბურჟუაზიას და თავისუფალ მოაზროვნეებს. ასე რომ, მისი, ხოველიანოსის, გადასახლება ხანგრძლივი როდი იქნება.

სტუმრები ღონ გასპარის დამარწმუნებელ სიტყვებს დარცხვენილი გამომეტყველებით უსმენდნენ. მისი იმედები ყველას საეჭვოდ მიაჩნდა. ის სისასტიკე, რომელიც მანუელმა ურკიხოს მიმართ გამოიჩინა, ხოველიანოსისათვის კარგს არას მოასწავებდა.

უხერხული სიჩუმის შემდეგ ექიმმა აიღო სიტყვა. მისთვის ჩვეული სიმშვიდითა და გონიერებით ლაპარაკობდა, რომ რაკი მანუელმა პირველი ნაბიჯი გადადგა, ძნელი იყო მისი შეკავება. ამიტომ ყველასათვის სასიამოვნო იქნებოდა, თუ მათი პატივცემული მასპინძელი პარიზში იქნებოდა და არა ხიხონში. დანარჩენები წამსვე დაეთანხმნენ ექიმს, ყველაზე გაცხოველებით კი ჭაბუკი კინტანა:

— თქვენ არა მარტო თქვენი თავის წინაშე ხართ ვალდებული ამ შურისმაძიებელ გაიძვერასაგან დაიხსნათ თავი, არამედ ესპანეთის წინაშეც, ღონ გასპარ, — აღელვებული ამბობდა ის, — თავისუფლებისა და განათლებისათვის ბრძოლაში თქვენი შემცვლელი არავინ მოიპოვება.

მეგობრების ერთსულოვანმა რჩევამ და ყველაზე მეტად კინტანას სიტყვებმა, რომლის ცეცხლსა და სათნობას დიდად აფასებდა, თითქოს გავლენა მოახდინა ხოველიანოსის სიჯიუტეზე. ჩაფიქრებული მისჩერებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს. მაგრამ ბოლოს თითქოს გაღიმებულმა უპასუხა:

— მე მგონია, ტყუილად სწუხხართ, ჩემო მეგობრებო, ასტურიაში კიდევაც რომ დავიღუპო, მაინც უფრო მეტ სარგებელს მოვუტანდი პროგრესს, ვიდრე პარიზში მოლაყებ ლტოლვილის სახით უსაქმურად მჯდომი. არც ერთი ადამიანი, რომელმაც იდეისათვის ბრძოლას შესწირა თავი, უმიზნოდ არ დაღუპულა. ხუან პადილია დაამარცხეს, მაგრამ ის დღესაც ცოცხლობს და იბრძვის.

ფრანსისკო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სიტყვა არ ესმოდა. ღონ გასპარის ნათქვამის საერთო აზრს მაინც ხვდებოდა, და ძლივს მოახერხა დამცინავი ღიმილის შეკავება. რა თქმა უნდა, პადილია დღესაც ცოცხალი იყო, მაგრამ როგორც ყველასაგან დაეიწყებული ტაკიმასხარა კაეტანასი, კადისის მახინჯი, კასა დე აროელი ქონდრისკაცი.

ექიმმა პერალმა სიტყვა ჩამოაგდო გენერალ ბონაპარტზე. უეკველია, ის გულწრფელად ისწრაფოდა მთელ ევროპაში განმანათლებლური იდეები გაეცრელებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერო-

ბით ესპანეთში დონ მანუელის პოლიტიკა აიძულებს სამხედრო ღონისძიებებს მიმართოს. ეს იწვევს სასტიკ აღშფოთებას და პირველი კონსული როდი ისურვებს თავის საწინააღმდეგოდ ესპანელი ხალხის კიდევ მეტად გაღიზიანებას და მოერიდება პირენეის ნახევარკუნძულის საშინაო საქმეებში ჩარევას. დღევანდელ საქმის ვითარებაში ნაპოლეონი პირველ მინისტრს თავისუფალ მოაზროვნეებთან ბრძოლაში, ცხადია, ხელს არ შეუშლის.

— და ამიტომაც, — თავისებური სიჭიუტით დაუბრუნდა თავის წინანდელ სიტყვებს პერალი, — მე თქვენს ადგილას, დონ გასპარ, ესპანეთში არ დავრჩებოდი.

სხვები, განსაკუთრებით კი დონ მიგელი, მოელოდნენ, რომ ხოველიანოსი ჯიუტ მრჩევლს რისხვას დაატეხდა თავს, მაგრამ დონ გასპარმა თავი შეიკავა.

— მე ჩემს წინა გადასახლებას ცუდად როდი ვიგონებ, — თქვა მან. — იძულებითმა დასვენებამ სარგებელი მომიტანა. შემეძლო მენადირა, მეკითხა, რამდენიც მინდოდა, ვსწავლობდი და ზოგი რამ დაწერე კიდევ, რაც, შესაძლოა, არც ისე უსარგებლო იყოს. თუ მე ახლა ბედისწერა კვლავ მშობლიურ მთებში მგზავნის, ალბათ კეთილი განზრახვითაც კი.

ყველანი მოწინებით, მაგრამ სკეპტიკურად განწყობილნი უსმენდნენ, თუკი გაძევებულ ურკიხოს მელანსა და ქალაქს არ ანებებენ, შეუძლებელი იყო, რომ დონ გასპარისათვის ნება დაერთოთ ასტურიაში მეორე ისეთი წიგნი დაეწერა, როგორიც „პური და არენა“ იყო.

— რა თქმა უნდა, ჩემო მეგობრებო, — ანუგეშებდათ ხოველიანოსი, — დავმარცხდით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რას მიაღწია კეთილშობილმა და მამაცმა ურკიხომ. ბოლოს მაინც მიღწეულ იქნა ესპანეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა. დიდი თანხა, რომელიც წინათ რომში მიდიოდა, ახლა ჩვენს ქვეყანაში რჩება. რას ნიშნავს მსგავს მიღწევებთან ის პატარა უსიამოვნება, რომელსაც მე უნდა შევეურიგდე?

მაგრამ აქ ხმა აღიმალა აგუსტინმა.

— ვისაც სინდისი ეყო თქვენი მადრიდიდან გასაძევებლად, უკან არ დაიხვეს ელიქტის გაუქმებისაგან.

— ამას ვერ გაბედავენ! — წამოიყვირა ხოველიანოსმა. არ შეიძლება დაუშვან, რომ რომი ისევ დაგვაცხრეს თავს და უკანასკნელი სისხლი გამოგვეწოვოს. გარწმუნებთ, ჩემო მეგობრებო, ამას ვერ გაბედავენ! ელიქტს ვერ გააუქმებენ!

მეგობრები სიამოვნებით უსმენდნენ მანუგეშებელ სიტყვებს, მაგრამ გული კი სტიკიოდათ ხოველიანოსის გულუბრყვილობის გამო. ფრანსისკოსაც კი, რომელსაც პოლიტიკისა ბევრი არაფერი გაეგებოდა, სჯეროდა, რა ბავშვობა იყო, რომ დონ გასპარი, მიუხედავად მრავალი მწარე გამოცდილებისა, ჯიუტობდა და არ სურდა დაენახა, ქვეყანას როგორ განაგებდა უსამართლობა.

ის დააკვირდა კედელზე დაკიდებულ პორტრეტს, რომელიც მაშინ დახატა, როცა ხოველიანოსს ჯერ კიდევ მოხუცი არ ეთქმოდა და თვითონ ძალზე ახალგაზრდა იყო. პორტრეტი ცუდი იყო. დღეს რომ დაეხატა, ეცდებოდა ეჩვენებინა, რომ დონ გასპარი, მიუხედავად თავისი ბანალური მალაღმარდოვანებისა, უფრო ამალელებელი იყო, ვიდრე სასაცილო. ახლა ამჯობინებს დარჩეს ძლიერი მტრისთვის ხელმისაწვდომად, იმის მაგიერ. რომ სასწრაფოდ გაცეალოს და პირენის მთები დაიღოს მათ შორის საზღვრად. ვერ იქნა და აქამდე ვერ გაიგო, რომ ვინც იდეისათვის იბრძვის, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალი უნდა დარჩეს და მიუხედავად ამისა, ხოველიანოსის სისულელე არ არის საძულველი სისულელე; პირიქით, გოია თითქმის ვახარებული იყო იმ სიჯიუტით, რომლითაც დონ გასპარი თავის შორალს არ ღალატობდა.

უცებ შეამჩნია, რომ ხოველიანოსი მას ელაპარაკებოდა.

— ახლა, დონ ფრანსისკო, აქ, მადრიდში, ჩემი მაგივრობა თქვენ უნდა გასწიოთ. დღევანდელი ხელისუფლები არაჩვეულებრივ სიბეცეს იჩენენ თქვენი სურათებისადმი და ვერ ამჩნევენ, რაოდენ დიდია თქვენი როლი ბნელეთის მოციქულებთან და მჩაგვრელებთან ბრძოლაში. თქვენ მეფის და გრანდების ბრმა კეთილგანწყობა სასარგებლოდ უნდა გამოიყენოთ. თქვენ უკან არ უნდა დაიხიოთ, გოია. თქვენ ჩვენს გარყვნილ დროებას თავი სარკეში უნდა დაანახვოთ. თუ მონდომებთ, თქვენ გახდებით ამ სამეფო კარისა და ამ ქალაქის იუვენალი.

გოიას ამისაკენ გული არ მიუწევდა. ძალიან უნდოდა ხოველიანოსის მალაღმარდოვან სიტყვებზე და მის მოურიდებელ მოთხოვნას

ნებზე საკადრისი პასუხი გაეცა. მაგრამ მოაგონდა, რომ მოხლეკაცს საეჭვო ბედი მოელოდა და ვინც თავის თავზე ბევრს იღებს, უფლება აქვს სხვისგანაც მეტი მოითხოვოს.

— მე მგონია, დონ გასპარ, — უთხრა მან თავმდაბლად, — რომ თქვენ ზედმეტ მნიშვნელობას ანიჭებთ ჩემს ხელოვნებას. ხელისუფლებამ იცის, რომ ჩემს სურათებს არავითარი გავლენა არა აქვთ. ამიტომაც არ კრძალავს მათ. მაგრამ თუ მეფე და გრანდები თანახმა არიან ისეთები დავხატო, როგორებიც არიან, ეს მხოლოდ სიამაყით მოსდით. თავი ისე დიდად მიაჩნიათ, რომ არა ჰგონიათ, სინამდვილეს შეეძლოს მათი დამცირება. სულ ერთია, ამ სინამდვილეს ტაკიმდსხარა ეუბნება, თუ კარის მხატვარი ხატაჲს.

— თქვენ არა ხართ თქვენი თავის მიმართ სამართლიანი, დონ ფრანსისკო, — წამოიძახა აღშფოთებულმა კინტანამ. — ჩვენ. მწერლები, ვწერთ მხოლოდ დახვეწილ კასტილიურ ენაზე, რომელიც კარგად უღერს რამდენიმე განვითარებული კაცის ყურში, თქვენი „კარბლოსის ოჯახი“ და ფლორიდაში თქვენი ფრესკები ყველას გულს სწვდება.

ფრანსისკომ კინტანას ალერსიანად შეხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. მან თავს ძალა აღარ დაატანა იმის გასაგონად, თუ რას ლაპარაკობდნენ სხვები. სამაგიეროდ ათვალეირებდა ხოველიანოსის პორტრეტს, გული სწყუდებოდა, რომ დონ გასპარი უნდა წასულიყო, და დრო აღარ იყო მისი ახალი პორტრეტის დასახატავად.

რადგან მხოლოდ დღეს ჩაწვდა ბოლომდე

ოგი არსებებს დონ გასპარისა.

მას აღანთებდა მარტოდენ ბრძოლის

ყინი და არა გამარჯვებისა,

დიახ, ის იყო მარად ჩაუქი

მებრძოლი. როგორც ყოველ ესპანელს,

ისე თუ ისე, მასაც გააჩნდა

რადცა ღონ-ეხობრისებური.

გადათელილი და გაქელილი

სიმართლის გამო სტკიოდა გული.

უსამართლობას და ბოროტებას

სადაც ნახავდა ხმას იმალლებდა

და იმ წუთშივე თრგუნავდა, თუმცა

არც კი ესმოდა, რომ ქვეყანაზე

სამართლის ქმნა და სიკეთე მხოლოდ
მტყნარი ოცნება და სიზმარია,
იდვალა მიუწოდომელი,
როგორც მიზანი კეთილშობილი,
ღონ-კიხოტისა, მაგრამ ის უნდა
ლამანჩელივით ეშურებოდეს
სამართლიანი ბრძოლებისაკენ.

20

გრაჯიურები, რომლებიც ფრანსისკომ უქანასკნელ თვეებში გააკეთა. გადამუშავებული იყო სანლუკარში გატარებულ ბედნიერ დროს შესრულებული ესკიზებიდან. მაგრამ მაშინდელმა უზრუნველმა. მზიარულმა ჩანახატებმა ახალი ფორმის მიღებისას სხვა, უფრო გაღრმავებული, გამწვავებული და გაავეებული აზრიც მიიღო, კაეტანა მხოლოდ კაეტანა აღარ იყო. დუენია ეუფემიაში გარდაცვლილი მოახლის ბრივიდას სახე გამოიყურებოდა. მოახლე ფრუელა, მოცეკვავე სერაფინა ნაირსახოვანი მადრიდელი მახოებივით გამოიყურებოდნენ. და თვით ისიც, ფრანსისკოც, მრავალნაირად გამოიყურებოდა: ხან უგერგილო საყვარლად, ხან საშიშ მახოდ, მაგრამ უფრო ხშირად კი მეოცნებე, მოტყუებულ, ბრიყვ პელელედ.

ამგვარად შედგა ღვლარქნილი, საოცარი ალბომი, რომელშიაც გამოხატული იყო ყველაფერი, რაც ამ ქალაქის, მადრიდის ქალებს თავს გადახდენოდათ. ბევრი ცუდი და ცოტა კარგიც. ისინი ცოლად მიჰყვებიან შეუხედავ მდიდარ მამაკაცებს, იტყუებენ გულუბრყვილო შეყვარებულებს. ყვლეფავენ ყველას. ვისი გაყვლეფაც შეიძლება, და მათ კი, თავის მხრივ, ყვლეფს მევახშე, ვეჭილი, მოსამართლე. ბათ უყვართ და არშიყობენ, კოპწიაობენ მიმზიდველ ტანსაცმელში გამოწყობილნი, ხოლო როცა გადაბერდებიან და სახეზე მკვდრის ფერი დაედებათ, სარკის წინ სხედან, ირთვებიან და იკაზმებიან. თავმომწონედ სეირნობენ ფეხითა და ძვირფასი ეტლებით. და საცოდავად არიან ჩაცუქქული ინკვიზიციის წინაშე სამარცხვინო პერანგებში გამოწყობილნი. იტანჯებიან ციხეებში, დგანან სამარცხვინო ბოძებთან, წელამდე შიშველი მიჰყავთ დასჯის ადგილამდე. და მუღამ არის მათ ირგვლივ ელეგანტური გარყვნილების, მხეცი პოლიციელების, დესპოტი მახოების, ცბიერი ღუენიებისა და მაჰანკლების ბრბო.

დემონებიცაა მათ ირგვლივ და არა მარტო გარდაცვლილი ბრი-
ვიდა, არამედ მთელი არმია მოჩვენებებისა, ზოგი კეთილი და ზო-
გიც შემაზრზენი, უმეტესად კი ძალზე უცნაურები.

ყველაფერი ორაზროვანია, იცვლება მნახველის თვალწინ. მაყრი-
ონს შორის ჯვარდასაწერად მიმავალ დედოფალს მეორე, მხეცის სა-
ხე აქვს. მის უკან მიმავალი დედაბერი საზიზღარ ანთრად იქცა. ნა-
ხევრად სიბნელიდან მრავალმნიშვნელოვნად ილრიჯებიან მაყურებ-
ლები. ნაცნობ და უცნობსახეებიანი, ნდომააშლილი, ვნებამორეული
მამაკაცები ფრინველებივით დაჯარჯატებენ, ცვივიან, მათ პუტავენ,
ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხოლო გაპუტულებს კი გა-
რეთ ყრაან. აი საქმროს უჩვენებენ საცოლის გარდაცვლილი წარჩი-
ნებული წინაპრების წუნდაუდებელ ნუსხას. ის სწავლობს ამ ნუს-
ხას და ჯერ კიდევ ვერ ხედავს, რომ ცოცხალ საცოლეს მიიმუნის
სახე აქვს. ეს თვითონ ქალმაც არ იცის. ყოველი მათგანი ნიღბოსა-
ნია და თავისი თავი ისე ეჩვენება, როგორც სურს და არა ისე, რო-
გორც სინამდვილეშია. აქ ვერაფერს ცნობს ვერც სხვას და ვერც სა-
კუთარ თავს.

თავდავიწყებით და გატაცებით ხატავდა გოია ამ ბოლო კვირებ-
ში ამგვარ სურათებს. ხოველიანოსის წასვლის შემდეგ მისი გატა-
ცება გაქრა. ის უმოქმედოდ იჯდა თავის ერმიტაში, გონებიდან არ
შორდებოდა დონ გასპართან საუბარი. თავის გულში დანარჩენ იქ
მყოფთ ეკამათებოდა. კაცმა რომ თქვას, რა უნდოდათ მისგან? შე-
უერთდეს პროექტისტებს და პუერტა დელ სოლზე ხალხს მემამო-
ხური სურათები აჩვენოს? ესმით თუ არა ამ ხოველიანოსებსა და
კინტანებს, რომ მსხვერპლის ვალება ამაოა? სამასი წელიწადია თავს
იწამებენ, იწვალებენ და იკლავენ ერთი და იმავე მიზნისათვის, მაგ-
რამ რას მიაღწიეს? იჯდეს მოხუცი ხოველიანოსი მშვიდად თავის
ასტურიის მთებში და მანამდე იცადოს, ვიდრე ინკვიზიცია მწვანე
შიკრიკს გაუგზავნიდეს და უკან დააპრუნებდეს. ის კი, ფრანსისკო,
გონებას ვერ დაიბნელებს ყალბი გმირობით, *Au tuyo tu!* ყველამ
თავის თავს მიხედოს! მაგრამ ვერაფრით ვერ დააღწია თავი ხოვე-
ლიანოსთან მოსმენილ საუბარს. მას მოაგონდა, როგორ ზანტად,
მოყირკებულიად და გამომწვევად იყო გათხლამული დონ მანუელი
დივანზე, რომელიც ბრძოლის ველს გამოხატავდა; გაიხსენა ნაზი და

სუსტი დონია ტერესა, დიდრონი ოვალები რომ შეუცნობელი. საზღვარი ქვეყნისათვის მიეპყრო. და უეცრად ქვედატუნჩამოშვებულ მადიდას ნიუჯდა და ხატვას შეუდგა. მაგრამ აძვერად ხატავდა არა ქალებს, არა წარჩინებულ მანდილოსნებს, არა პეტრიეტრებს, მახებს და მიჰანკლებს, არც გამოუცნობ, მრავალაზროვან, არამედ უძრალთ. ყველასათვის გასაგებ სურათებს.

აგერ დიდი, ბებერი ვირი პატარა ჩოჩორს გულმოდგინედ ასწავლის ანბანს. აი, ანთარი გიტარაზე უკრავს მოხობლული ბებერი კაკი ვირისთვის და მისი ამაღა აღტაცებული უკრავს ტაშს. წარჩინებული ვირი თავის წინაპრების სიას სწავლობს და ეს ვირთა წყება თაობიდან თაობაზე ათასი წლების მანძილზე გადადის. აი, ატარა. ბეჯითი, გაწაფული მაიმუნი ამაყ. ბრწყინვალე ვირს ხატავს და ტილოდან გამოიყურება პორტრეტისმაგვარი თავი, რომელიც უფრო ვეფხისას ჰგავს, ვიდრე ვირისას.

გოიამ თავისი ნახატები გასინჯა. ეს იყო მეტისმეტად გაბედული, უბრალო. სწორედ რომ მისი მეგობრების მოსაწონი. მან დახატა ორი დიდი, მძიმე ვირი, რომლებიც ორ წელში მოხრილ მამაკაცს ჩაზნექილ ზურგზე ასხდნენ. მან ღვარძლიანად ჩაიციინა. „Tu que no puedes, llévame a cuestas — შენ, რომელსაც მეტი ვზა არა გაქვს, გვათრიე მე და ჩემი მუცელი“. ეს უკვე უკეთესი იყო. აქ ჩანდა, როგორ ასხედან კისერზე წარჩინებული წოდება და სამღვდლოება ესპანეთის მომთმენ ხალხს.

ცხადია, უაზრობა იყო ასეთი ნათესაისთვის პოლიტიკური მნიშვნელობის მინიჭება. მაგრამ ასეთი სახეუარო სურათებს ხატვას გულს აყოლებდა.

უქანასკნელ ხანებში ხანგრძლივად იჯდა ერმეტაში და მუშაობდა ჩუმად. გატაცებით. მას აქამდე მოხანაზებისა და გრავიურებისათვის სახელი ვერ დაერქმია. ახლა კი მათ „Satiras“ — სატირები უწოდა.

ქალებსაც ხატავდა ისევ, მაგრამ მეტი სიავითა და ნაკლები თანავრძნობით. აი დახატა შეყვარებული წყვილი, მიჯნურთა ფეხებთან კი — ორი პაწაწინა მოღური ღინაძაღლი იმავე საქმით გართული.

აგერ უზარმაზარ ლოდთან დვას მიჯნური და სასოწარკვეთილი დასცქერას გარდაცვლილ სატრფოს. მაგრამ არის კი ის ნამდვილად მკვდარი? ხომ არ იხედება ჩუმად და არ ხარობს მამაკაცის სასოწარ-

კვეთით? მის ზიერ გამოხატულ ცხოვრებაში სულ უფრო და უფრო მეტ როლს თამაშობენ დემონები. ადამიანური, ზეციური, ეშმაკისეული ერთიმეორეშია არეული და ამ საოცარ აღრევაში დაჰქრიან, ცეკვავენ ფრანსისკო, კატანა, ლუსია და ყველაფერი ეს ქცეულა უტიფარ, გრანდიოზულ თამაშად.

მან გამოსახა ამ თამაშის სიტკბოება. დახატა სატირი სფეროზე დამჭდარი, როგორც ჩანს დედამიწის სფეროზე, და თხისფეხებიანი ჰიუონი, დიდი, ხალისიანი დემონი აკრობატივით ერთობა ოცნებით გატაცებული. კმაყოფილი, ბავშვური გამოჩეტყველებით მალა უპირავს სამხედრო მუნდირში გამოწყობილი მრავალრდენიანი კაცი. მას უზარმაზარი პარიკი აქვს ჩამოცმული, პარიკი იწვის და ბოლავს, ხელებშიაც ანთებული და მხრჩოლავი ჩირალდნები უქირავს. დედამიწის სფეროს ერთი მხრიდან ვარდება ერთი კაცი, რომლითაც თამაში. როგორც ჩანს, მოსწყენია სატირს, ჩამოვარდნილის გაჩაჩხელი ფეხები და მისი უკანალი საოცრადაა გაშვერილი სიცარიელეში. ხოლო მეორე მხრიდან თავდაყირა ეშვება სამყაროს სივრცეში ხელ-ფეხ გაფარჩხული, სატირის მეორე მობეზრებული სათამაშო.

ფრანსისკოს სიამოვნებას ჰგვრიდა ორაზროვანი სურათების ხატვა. ელიმებოდა მხრჩოლავი პარიკისა და მხრჩოლავი ჩირალდნების დანახვაზე: ვინაიდან სიტყვა humear „ბოლვა“ ნიშნავს აგრეთვე „კუდაბზიკობას, ყრუოჩობას“; მოსწონდა აგრეთვე კმაყოფილი, მკვებარა ჯამბაზი, პელელე, რომლითაც თხისფეხება ერთობა, და რომელმაც კიდევ არ იცის, რომ მალე მასაც ორ მობეზრებულ სათამაშოსავით თავდაყირა დაუშვებენ. და თავის თავს ეკითხებოდა, რომელი იყო დონ მანუელი — ბავშვივით მოთამაშე სატირი, თუ კმაყოფილი სათამაშო ჯამბაზი?

ერთი კი ცხადი იყო: ამ სურათით ბრიყვიც კი მიხვდებოდა, რომ ბედნიერება მშვენნიერი, თავნება ქალი კი არ იყო. არამედ ზორბა. მხიარული. მშვიდი, უწყინარი, მაგრამ თავის გონებაჩლუნგობით საშიში სატირი.

ფრანსისკო თავის თავზეც ფიქრობდა. თავის საკუთარ „Sudir y' baiar-ზე, წარმატებასა და ჩავარდნებზე, მაგრამ მას მხრჩოლავი ჯამბაზების ხვედრის მსგავსი აღარაფერი შეემთხვეოდა. ის შეიძლება-

შოისროლონ, მავრამ ანაზღეულად თავს ვერ დაესხმის ვერც თხისფეხება და ვერც სხვა დემონი. მეტად თავს აღარ გაისულელებს. ყველაფერს მომზადებული შეხვდება.

მალე დამტკიცდა, რომ მისი თავდაჯერება მხოლოდ სულელური ბაქიაობა იყო. სატირმა ისიც სხვასავით მასხარად აიგდო.

სარაგოსადან მოვიდა ცნობა, გარდაცვლილიყო მარტინ საპატერი. ფრანსისკოს არავისთვის უთქვამს თავისი უბედურება, ისე მიაშურა ერმიტას. დიდხანს იჯდა იქ გაშტერებული. კიდევ მოწყდა მისი სიცოცხლის ერთი ნაწილი, დაიკარგა, დაიმხო. ახლა აღარავინ ჰყავდა ისეთი, ვისთანაც განვლილ დღეებზე შეეძლო ლაპარაკი, შეეძლო სიცილი უმნიშვნელო რამეზე, ვისაც გულში ჩაახედებდა. როცა გულისამრევი წვრილმანები უზომოდ გააბრაზებდა, აღარავინ ჰყავდა, ვისთანაც შეეძლო „ებოლებინა და ეყოლოჩინა“, რამდენსაც მოისურვებდა. მარტინი გარდაიცვალა! დიდცხვირა. საყვარელი მარტინი!

— ეს რა მიყავი, შე ნამუსგარეცხილო! — გოიას ეგონა, რომ ეს გაიფიქრა. სინამდვილეში კი ხმამალა თქვა. და უეცრად, ატელიეში მარტო მყოფმა, ცეკვა დაიწყო. უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ ფიცრებში, პრესებში, ქალაღებში, ფუნჯებში, საწერტლებში დიდსა და პატარა წყლის ჭურჭლებს შორის დააბიჯებდა, ცეკვავდა გოია მძაფრად და ამასთანავე ზვიადად. ეს იყო ხოტა. ღირსეული, ბობოქარი, საბრძოლო ცეკვა, რომელიც გოიასა და მარტინის სამშობლო მხარეს, არაგონს ეკუთვნოდა, ეს იყო მარტინთან გამოთხოვება, მისთვის გამართული ქელეხი.

საღამო უამს მოაგონდა, რომ კაეტანასთან იყო დაბარებული. „მკვდრები საფლავეში, ცოცხლები მაგიდასთან!“, ჩაილაპარაკა მან პირქუშად. თავისი ჩვეულების წინააღმდეგ, დღეს ცუდად იყო ჩატმული, ეტლიც კი არ შეეკვეთა, ხოლო მონკლოამდე კი გრძელი აღმართი იყო ასავლელი. გოია ფეხით გაუდგა გზას. კაეტანა გაოცდა, როცა ის გამტვერიანებული და მოუწესრიგებელი მოვიდა, მაგრამ არაფერი ჰკითხა. მანაც არაფერი უთხრა მარტინის სიკვდილის თაობაზე. იმ ღამეს დიდხანს დარჩა კაეტანასთან და მას ველურად დაუხეშად დაეუფლა.

მეორე დღეს ერმიტაში მთელი ძალით დააცხრა თავს ძველი სიშ-

მაგე. საპატერის სიკვდილში თვითონ მას მიუძღოდა ბრალი და მის პორტრეტებს. ამჯერად ვერ გაებედა ავ სულებთან შებმა. ისინი ჩა-
აფრინდნენ მას ბრწყალებით, ესმოდა მათი ყრუ ხითხითი.

დიდხანს იყო ჩატუცქული, შიშისაგან განადგურებული. შემდეგ
ერთბაშად საშინლად გაბრაზდა, ჯერ თავის თავზე, ხოლო შემდეგ
მარტინზე. მარტინი დაუახლოვდა, სულსა და გულში ჩაუძვრა, სანამ
აუცილებელი არ შეიქნა მისთვის, მაგრამ როგორც კი აუცილებელი
შეიქნა, მიატოვა, უღალატა. ყველა გოიას მტერი იყო; და ყველაზე
მეტად კი ის, რომელსაც ახლო მეგობრად მოჰქონდა თავი. კაცმა
რომ თქვას, ვინ იყო მარტინი? ეშმაკი სულელი, ბანკირი, რომელიც
მხატვრობაში ისე ერკვეოდა, როგორც ლეკვი ხუანიტო, ვიგინდარა
და მეტი არაფერი. მერედა რა საძაგელი შესახედავი იყო! როგორ
შეეძლო ასეთი ცხვირი გოიას საიდუმლოებაში ჩაეყო და ეყნოსა
იგი! გაბრაზებული შეუდგა იმის ხატვას, თუ როგორ უზის მარტინი
წვნიან თეფშს და თხვლეპავს, დიდი ცხვირი კი თანდათან იზრდება,
და უეცრად ხარბად მოქვლეფავი და მქშინავი ღორმუცელას სახე
რალაც საოცარ უხამსობად იქცა, ის სახეს კი აღარ ჰგავდა, არამედ
მამაკაცს სასირცხოს.

ფრანსისკო დაგაგებდა სირცხვილით და სინანულით. მან შესცო-
და მიცვალბულის წინაშე! რაც დახატა ეს მისი საკუთარი, უდიდესი
უნამუსობა იყო. რადგან მარტინი მისი საუკეთესო მეგობარი იყო და
ყველაფერს უკეთებდა, ამიტომ მისი გულკეთილობა შეშურდა და
საკუთარი ცუდი, ღორული აზრები მას მიაწერა. მარტინი უხვად იყო
დაჯილდოებული უბრალოებით და ამიტომაც დემონებს მასზე ხელი
არ მიუწვდებოდათ. ფრანსისკოსთან კი გზა ხსნილი ჰქონდათ, და რა
სულელი იყო, რომ ეგონა, თითქოს მათზე ბატონობა შეეძლო.

ახლა ისინი ირგვლივ შემოსხდომიან, საზიზღრად, ხელშესახებად.
მიუხედავად სიყრუისა, ესმოდა მათი ჩხავილი; ღრქიალი, კივილი,
გრძნობდა მათ შემაზრზენ სუნთქვას.

მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ძლივძლივობით სძლია თავს. წელ-
ში გაიმართა, პირა მოკუმა, ტანსაცმელი შეისწორა, თმა ყურებს უკან
გადაიწია. ის, ფრანსისკო გოია, მეფის პირველი მხატვარი, აკადემიის
საპატიო პრეზიდენტი, თვალს არ დახუჭავს, მოჩვენებებს პირს არ
აარიდებს, პირდაპირ სახეში ჩახედავს მათ ახლაც კი, როცა მისი
გულითადი მეგობარი მარტინი გამოასალმეს წუთისოფელს.

იგი გაუსწორდა ეშპაკების მოდგმას, ქალაღს მიაჯაჰვა ისინი.

გოია ხატავს. ხატავს თავისთვის მავიღაზე დაშზობილი, ხელეზში თავჩარგული, ხოლო მის ირგვლივ კი გამეფებულია ლამის უხამსი აურზაური, ვეებერთელა კატისთავა და ჩიტისთავა ურჩხულები, ჰოტები და ლამურები ეხვევიან გარს: სულ უფრო და უფრო ეტმასნეზიან: ერთ-ერთი ურჩხული, მგონი, უკვე ზურგზე შეაჯდა. მაგრამ ირგვლივ შეუძლიათ შემოეხვიონ, ხოლო სულში კი ველარ ჩაუფრეზიან. ერთ საშინელ ჩიტისმაგვარ ურჩხულს ბრჰყალეზში ხომ უკვე ჩასჩარა გრავიურის საწერტელი. ეს მოჩვენეზები უნდა მოემსახურონ მას, ხელსაწყოები მიაწოდონ, იარაღები, მათი მოსათვინიერეზელი, ქალღღზე გადასატანი და იქ მისაჯაჰვი, საიღანაც უკვე ველარაფერს ავნებენ.

აქედან მოყოლებული აღარ ეშინოღა მოჩვენეზებისა. მხატვარს ეწაღა მათთან შეზმა და მათი სავსებით მოთვინიერეზა. გოიამ გამოიღახა ისინი, და ღახეთ, მოთვინიერღენ, მოვიღენ. ყველგან ეცხადეზოდენ; ღრუბლების ცვალეზადი კონტურები, როცა გზას ადგა, ხეების ტოტები, როცა თავის ბაღში სეირნობღა, სიღაში ჩამღგარი წყლის გუბეები, როცა ის მანსანარესას ნაპირეზზე ხეტიღლოზღა. ერმიტას კედლების ლაქები, და შზის ანარეკლი: ყვეღაფერი იმ გარეგნობასა და შესახეღაობას ღებუღლოზღა, რასაც ის თავის ეღულში ატარეზღა.

ფრანსისკო ყრმობიღანვე სწავღოზღა ღემონეზის ბუნეზას და მან უფრო მეტი სახეობა იცოღა მათი, ვიღრე ესპანეთის სხვა მხატვრეზმა, მწერღეზმა და ამ საკითხში გარკვეულმა ინკვიზიციის მსახურეზმა. ახღა, როცა შიში ღასძღია, იწვევეღა მათაც, რომღეზიც წინათ განზე იღგენ, და მალე ყვეღანი გაიცნო. გაიცნო ეშმაკუნები და კუღიანები, მაქციები, ეღფეზი, ფერიები და ჰუჰეზი, ვამპირები და საიჭიოღან ღაბრუნებუღეზი. კაციჰამიები, ბასიღისკეზი. გაიცნო აგრეთვე „Soplenes“, ენატანიები და მაბეზღარები, ყვეღაზე საზიზღარნი მოჩვენეზათა შორის, რომღეზიც სამართღიანად ატარებღენ იმავე სახელს, რასაც პოღიციის და წმინღა ინკვიზიციის ჰამუშეზი. გაიცნო აგრეთვე duendes და duendecitos — მხიარული ჰინკეზი, რომღეზიც ღამის განმავღობაში მადღობის ნიშნად, ბეჰითად უკეთებღენ მთელ საოჯახო სამუშაოს თავიანთ უნებურ მასპინღელს.

ამ მოჩვენეზებიღან ბევრი აღამიანის სახეს ატარებღა, რომღეზ-

შიაც საოცრად იყო გოიას მტრებისა და მოყვრების ნაკვეთი არეული. ერთი და იგივე კუდიანი ხან კაეტანად გამოიყურებოდა, ხან პეპად, ხან ლუსიად. ერთი და იგივე მოსულელო ქაჯი ხან ღონ მანუელი იყო. ხან ღონ კარლოსი.

მოჩვენებებს უყვარდათ ბერების, წმინდა ტრიბუნალის მსაჯულებისა და პრელატების სამოსელის გადაცმა და ხშირად ასე მოდიოდნენ ფრანსისკოსთან. უყვარდათ აგრეთვე საეკლესიო წესების მიბაჟვა—ზიარების, მირონცებების, ზეთის კურთხევის. ერთი კუდიანი სატირის მხრებზე წამოსკუპებული გამოცხადდა მასთან, რომელიც მორჩილების ფიცს დებდა: ეპისკოპოსის სამოსელში გამოწყობილი, ზეცაში მოფარფატე წმინდა სულები აწოდებდნენ გადამლილ წიგნებს, რომელზედაც ის იფიცებოდა, ხოლო ტბის სიღრმიდან იჭყიტებოდნენ მორჩილები და გალობდნენ.

გოიას სამუდამოდ გაუქრა შიში მოჩვენებებისადმი და გრძნობდა ღრმა, დამცინავ, სასტიკ სიბრაღულს მათ მიმართ. ვინც მთელი სიცოცხლე გაატარა მოჩვენებების შიშსა და ცდომილებაში. დახატა ადამიანთა ბრბო, რომელიც თერძის მიერ მოჩვენებად გამოწყობილ ფიტულს, ელ კოკოს, მოკრძალებით თაყვანს სცემდა. წარმოადგინა გასვალტყავებული, სულით ღარიბი ადამიანები, რომლებიც ბრმად და უშირო მოთმინებით კვებავდნენ და უვლიდნენ თავიანთ მჩაგვრელებს: მღრღნელებს, ვეება ვირთხებს, გრანდებსა და უჭკუო მცონარებს, სამღვდელოებას, რომელთა თვალები აწებილია. რომელთა ყურებს დიდი ბოქლომი ადევს და რომელთა სხეული დავარულია ძვირფასი ძველებური. მეტისმეტად გრძელი სამოსელით, რომელშიაც განძრევა არ შეუძლიათ: მან გამოსახა უსიცოცხლო, უსახო მღაბიონი, ჩაგრულნი, რომლებიც გაყინულან ბნელ, უაზრო უმოქმედობაში, იმ ღროს, როცა დაუძღურებულ გამოფიტულ ადამიანს მთელი ძალ-ღონე მოუკრებია და შეკყუდებია უზარმაზარ ლოდს, რომელიც ეს-ეს არის დაგორდება და მას და მთელ ბრბოს გასრესს.

მისი ფანტაზიის ნაყოფი დღითი დღე უფრო შეუპოვარი და მრავალმნიშვნელოვანი ხდება. ის უკვე ფურცლებს აღარ არქმევს „სატირებს“; არამედ „იღებებს, შთაბეჭდილებებს, კაპრიზებს“ — კაპრიზებს.

მათი უინტიმურესი საქმიანობის ღროს მიაყურადებდა მოჩვენე-

ბებს, როცა მთვრალეები იყვნენ, ირთვებ-იკაზმებოდნენ, ერთიმეორეს ბალანსა და ფრჩხილებს სკრიდნენ. აიძულა ისინი ეჩვენებინათ, თუ როგორ მოფრინავდნენ თემობაზე, თუ როგორ უნთებდნენ ცეცხლს შექამანდიან მოჩუხჩუხე ქვაბს, აიძულა ეჩვენებინათ მისთვის რიტუალი — besamano — თხისსახოვანი ეშმაკის ხელზე მთხვევა. აიძულა გაემხილათ იღუმალი ხერხები და შელოცვები, რომელთა მეოხებითაც ადამიანი იქცეოდა ცხოველად, თხად ან კატად.

ზნორად ის აქვე, სახელოსნოში,
გეახლებოდათ პურსა და ღვინოს
და თან სუფრასთან იწვევდა სულელებს,
ეუბნებოდა: „დაჯექით, კამეთ,
ქაჭებო!“ ეშმაკს, თხისფეხებიანს,
ის მიმართავდა: „ო, Mi amigo“,
ხოლო ზონზროხას ქათინაურით
ეტყუოდა ხოლმე: „Chico, ო, პატარავ
ჩემო“. იგი შეუსვენებლივ
ატარტარებდა ენას, ხუმრობდა
და თავს იქცევდა საფრთხობელებთან.
ჰკიდებდა ხელებს რქებზე, ბრქუალეებზე,
ეჭაჩებოდა სლიპინა კულზე.
ცნობისმოყვარედ და გულსიყუროთ
აკვირდებოდა ჩლუნგსა და უხეშ,
ბოროტ სიფათებს, სიცილისმომგვრედ
ველურ სახეებს. და სიჩუმეში
დიდხანს ისმოდა ყრუ და მკექარე
მისი ხარხარი... რაღა თქმა უნდა,
გოია
იმათ მასხარად იგდებდა.

21

გოია ნებას იძლეოდა მასთან ერმიტაში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მისულიყვნენ. მაგრამ ერთს კი ყოველ დროს შეეძლო მისვლა, ეს იყო კაეტანა.

ის არასოდეს არ კითხულობდა გოიას მუშაობის ამბავს. მაგრამ ერთ დღეს კი უთხრა:

— შენ ახლა თითქმის სულ აქა ხარ. რას აკეთებ, კაცმა რომ თქვას?

— ვხატავ უბრალოდ, რაც თავში მომივა, თავშესაქცევ სურათებს. ახალი აგუატიენტას ხერხი მათთვის ზედგამოჭრილია. როგორც ვთქვი, მნიშვნელოვანი არაფერია, ეს არის ფანტაზია, კაპრიზო. — თავის თავზე გული მოსდიოდა, რომ ასე აგდებულად ლაპარაკობდა საკუთარ ნაწარმოებებზე. იმედი ჰქონდა, კაეტანა არ მოითხოვდა მათ ნახვას და თანაც უნდოდა, რომ მოეთხოვა.

მას მართლაც არ მოუთხოვია. თავისდა უნებურად უთხრა გოიამ:

— თუ გასურს, გიჩვენებ ზოგიერთს.

გოიამ უჩვენა ფურცლები აურჩევლად, როგორც ეწყო; მხოლოდ ისინი, რომლებზედაც კაეტანა იგულისხმებოდა ან ჰგავდა მას, იქით გადადო. კაეტანამ ჩვეულებისამებრ ჩემად და სწრაფად დაათვალიერა სურათები. გადაჟამებულ, ძალიან ულამაზო ქალზე, რომელიც სარკეში იყურებოდა და იკაზმებოდა, კმაყოფილებით თქვა:

— ეს არ უჩვენო დონია მარია ლუიზას.

დანარჩენ სურათებზე კი კრინტი არ დაუძრავს.

ფრანსისკოს გული გაუტყდა. ახლა ის ფურცლები გაუწოდა, რომლებზედაც თვით კაეტანა იყო განსახიერებული. მან ისინიც გულგრილად დაათვალიერა. შეყვარებულ, მოსაუბრე წყვილზე, სადაც გოიამ ის და თავისი თავი გამოხატა, და მათ ფეხებთან ჩაცუცქეული შეყვარებული ძაღლების თაობაზე თქვა:

— ეს როდი გაახარებს შენს პეპასა და მანუელს.

გოია წუთით შეცბა. მაგრამ ხომ თვითონ დახატა ასეთი სურათი: „თავს ვერაფერ ვცნობს“?

იმ ფურცლებს, რომლებზედაც მოჩვენებები იყო გამოხატული, უფრო დიდხანს აკვირდებოდა, ვიდრე სხვა სურათებს.

— ბრიგიდა კარგად გამოგვსვლია, — თქვა მან, მაგრამ უმეტესი სურათებისადმი გულგრილობა და აშკარა უინტერესობა გამოიჩინა. — აღსანიშნავია, რომ შენ ამას გასართობები უწოდებ. გულახდილად რომ ვთქვა, მე უფრო მხიარული მეგონა შენი გასართობები. „Nous ne sommes pas amusées“; — წარმოთქვა მან ოდნავ შესამჩნევ ბოროტი დაცინვით. ბოლოს ხელი დაავლო რვეულს და დაუწერა: „გულახდილად რომ ვთქვა, ზოგი რამ უხეშად და ბარბაროსულად მიმაჩნია“. — ხოლო ბევრი კი უგემოვნოდ, — დაუმატა მან სიტყვიერად, ძალზე გარკვევით.

გოია გაოგნებული იდგა. ეგონა, კაეტანა შეძრწუნებული იბრუნებდა პირს ამ სურათებიდან; არ გაუკვირდებოდა, რომ ის აღშფოთებულიყო. მაგრამ: „უხეში“? „უგემოვნო“? აგერ. მის წინაშე ეწყო მთელი ამ სანეტარო და მწარე ხუთი წლის შემეცნების ნაყოფი. გოიამ უსაშინლესი მოგზაურობის შედეგად აღმოაჩინა თავისი ამერიკა. ხოლო რაც კაეტანამ თქვა, სულ ეს იყო: — „უგემოვნო“ — გრანდესას განაჩენი. მან, როცა ქმარი ოდნავ ხელს უშლიდა, შეძლო მისი საიქიოს გასტუმრება. მაგრამ, როცა გოიამ თავისი განადგურების მოსურნე მოჩვენებები გამოიწვია და დაამარცხა, ეს უგემოვნობა იყო.

რამდენიმე წამში გულში ჩააბრუნა თავისი რისხვა. ადრევე უნდა სცოდნოდა, რომ კაეტანასათვის ეს უცხო იქნებოდა, არ უნდა ეჩვენებინა ნახატები. „საყოველთაო ენა, — გაახსენდა მას, — ჭაბუკი კინტანა შეცდა“. გაეცინა.

— რა გაცინებს? — ჰკითხა კაეტანამ.

— ჩემი ნამოქმედარი მაცინებს, — უპასუხა გოიამ, დაავლო ხელი კაპრიჩოებს და უკანვე ჩააწყო სკივრში.

მეორე დღეს დახატა ახალი სურათი. დახატა გადაბმული და ხეზე მიკრული ქალი და კაცი, რომლებიც თავგამეტებით ცდილობენ თავი დააღწიონ ერთმანეთს; თავს ადგათ უზარმაზარი, ფრთებგაშლილი, სათვლიანი ბუქნაჰოტი, რომელიც ერთი ფეხით ხეს ჩასკიდებია, ხოლო მეორეთი ქალის თმას. კინტანა და ხოველიანოსი სათვლიან, უზარმაზარ ბუქნაჰოტს ეკლესიად ჩათვლიდნენ, რომელსაც თავისი კანონების თანახმად, ქორწინების წმინდა კავშირი შეუბღალავად მიაჩნია. მანუელი კი იტყვის, რომ ბუქნაჰოტი ბედისწერაა, რომელმაც მიგელი ლუსიას მიაჯაჰვა, მიგელი იფიქრებს, რომ ეს ფრინველი წარმოადგენს მანუელისა და პეპას შემაერთებელ კვანძს. ხოლო თვით გოიამ კი იცოდა, რომ ნახატი ყველაფერ ამას ნიშნავდა და ამასთანავე მისსა და კაეტანას დაუბოლოებელ კავშირს.

ორიოდე დღის შემდეგ კინტა დელ სორდოში მოულოდნელად გამოცხადდა ექიმი პერალი. ბუნებით უნდობ და დაყრუებისაგან კიდევ უფრო უნდობელად ქცეულმა გოიამ მაშინვე გაიფიქრა, რომ პერალი კაეტანას გამოგზავნილი იყო. აი, თურმე, როგორი გავლენა მოუხდენია მის ახალ ხელოვნებას! წუთიერად იგრძნო, რომ შავი ტალღა ხელახლა უნდა დასცხრომოდა თავს. მერე კაეტანას მოქმე-

დება სასაცილოდ ჩათვალა. მას არ დაუფარავს თავისი აზრი სურათებზე და თუკი თავისი თავი პეპად ჩათვალა, რატომ არ უნდა ჩაეთვალა გოია გიჟად?

— გამოტყდით, ექიმო, — უთხრა მან ძალდატანებითი უზრუნველობით, — ხომ ღონია კაეტანას დაეალებით მობრძანდით? თქვენ უნდა გაიგოთ, თუ როგორ ვგრძნობ თავს.

პერალმაც მსგავსივე ხალისით მიუგო:

— ჰოც და არაც, ღონ ფრანსისკო. ცხადია, რომ ჩემი დარბაზობა გამოწვეულია ღონია კაეტანას შეგულიანებით, მაგრამ მე ძველ პაციენტთან კი არ მოვედი, არამედ მხატვარ გოიასთან. დიდი ხანია თქვენი ახალი ნაწარმოები აღარ გვინახავს. ახლა კი ქალბატონმა ალბამ მიაშობო, რომ ბოლო ხანებში აუარებელი ახალი სურათები და გრაფიურები შეგიქმნიათ. თქვენ იცით, რა დიდად გაფასებთ. მე ბედნიერად და საამაყოდ მივიჩნევდი, თუ რომელიმე ნაწარმოებს მაჩვენებდით.

— გულახდილად ბრძანეთ, ღონ ხოაკინ, — უპასუხა გოიამ. — კაეტანამ ხომ გითხრათ, რომ მე ჩაკეტილი ვარ და რაღაც სისულელეებს ვხატავ? მან გითხრათ, — განაგრძობდა იგი და სიფიცხე დაეტყო, — რომ მე ისევ შევიშალე, მელანქოლიამ შემიპყრო, გავგიჟდი, გადავირიე, — მისი სიფიცხე თანდათან იზრდებოდა, — რომ მე ვარ შექანებული, სულით ავადმყოფი, გასულელებული, გამოთაყვანებული, გაცოფებული, გაშმაგებული! — ახლა კი აყვირდა. — თქვენ საამისოდ მოგეპოვებათ მეცნიერული დასახელებები, კლასიფიკაციები, ქვეგანყოფილები, რუბრიკები. — „თავი უნდა შევიკავო, გაიფიქრა მან, თორემ ეტყვის კაეტანას, რომ მე მართლა შეშლილი ვარ“.

ექიმმა პერალმა ძალიან წყნარად უთხრა:

— ღონია კაეტანამ თქვენი სურათები ღირსშესანიშნავად ჩათვალა. მაგრამ ჩვენი იტალიაში მოგზაურობის დროს და მანამდეც მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ ქალბატონის მსჯელობა მხატვრობაზე მეტად თვითნებურია.

— დიახ, — თქვა ფრანსისკომ, — კუდიანებს ხელოვნებაზე თავიანთი თეორიები გააჩნიათ.

პერალმა, თითქოს ეს არც გამიგონიაო, განაგრძო:

— გარდა ამისა, თქვენ თავადაც იცით, თუ ცრურწმენათა დასაძლევად რაოდენი ბრძოლა სჭირდება ხელოვანს, რომელმაც რაიმე

ახალი შექმნა. მე არ მიყვარს ჩაცემა, მაგრამ ნუ ჩამითვლით სულელურ ცნობისმოყვარეობად, ან ექიმის დაინტერესებად ნუ ჩამომართმევთ, თუ მე ასე მწყურია თქვენი ქმნილებების დათვალიერება!

კატანას სულელური ლაყბობისა და არანაკლებ სულელური მოქმედების შემდეგ ფრანსისკოს დაინტერესებდა ამ დინჯი, ხელოვნების მცოდნე კაცის აზრის მოსმენა. მან უთხრა:

— მობრძანდით ჩემთან ხვალ ქალაქის სახელოსნოში. თქვენ ხომ იცით — კალიე დე სან ბერნარდინოზეა! ან არა, ხვალ არა, — შეასწორა მან, — ხვალ სამშაბათია, უიღბლო დღეა. მობრძანდით ოთხშაბათს ნასადილევს! მაგრამ დაბეჭითებით კი ვერ დაგპირდებით, რომ ნამდვილად იქ დაგხვდებით.

პერალი ოთხშაბათს მოვიდა. გოია იქ დახვდა. მან უჩვენა „სატირებიდან“ რამდენიმე სურათი. როცა გოიამ დაინახა, როგორ ცნობისმოყვარე, მცოდნე თვალებით სინჯავდა მათ პერალი, უკვე სხვა ნახატებიც უჩვენა და რამდენიმე კაპრიჩოც. გოიამ იგრძნო, თუ როგორი სიამოვნებით ყნოსავდა ექიმი საკმეელისა და გოგირდის სუნს, რომელიც სურათებს ასდიოდა. უჩვენა აგრეთვე კუდიანთა თემობაზე მამაკაცების თავზე მფრინავი კატანა. მან სიამოვნებით შენიშნა, რომ პერალის თვალებში ბოროტმა სიხარულმა გაიელვა.

და შეეკითხა: „ლოქტორო, აბა, თქვენ როგორ ფიქრობთ? მე შეშლილი ვარ? ყველაფერი, რაც აქ გამოესახე სისულელეა?“ უგულწრფელესი პატივისცემით მან უპასუხა: „ამ ნახატებში თუკი ბევრი რამ ჩემთვის უცხოა და აუხსნელი, სიმართლეს გეტყვით, მხოლოდ იმიტომ, რომ მე ცხოვრებას ნაკლებად ვიცნობ, ვიდრე თქვენ... აი, ეს ჯოჯოხეთი თქვენ დაგვიხატეთ ისეთი ძალით, თითქოს ოდესღაც ყოფილიყავით თვითონაც იქა. და ეს სიმართლე ძლიერ მაშინებს“. ხოლო გოიამ ჩაიტინა და უთხრა: „ლოქტორო, თქვენ არ შემცდარხართ, მე იქ ვყოფილვარ, ზეც მეშინოდა და მსურდა — ისიც,

ვინც შეხედავდა ნახატებს ჩემსას,
მოეცვა ასეთ შიშსა და ძრწოლას,
კი, რა თქმა უნდა, თქვენ ყველაფერი
გაიგეთ ზუსტად!“ — და ღონ ფრანსისკო
ახალგაზრდული, კაბუკურ გზებით
გადაეხვია.

22

გოიამ თავი მიანება პორტრეტებზე მუშაობას; შემკვეთები უკმაყოფილონი იყვნენ. აგუსტინმა მოაგონა, რომ გენერალ მირანდას სურათი სამი კვირის წინ უნდა ყოფილიყო მზად: თურმე ჰერცოგი დე მონტილიანოც წუხდა. ორივე პორტრეტს გაუყეთა აგუსტინმა ის, რაც შეეძლო; ახლა ფრანსისკოს ხელთ იყო მათი დამთავრება.

— შენ დაამთავრე, — მობეზრებულად უთხრა გოიამ.

— სერიოზულად ამბობ? — ჰკითხა გახარებულმა აგუსტინმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო გოიამ.

მას შემდეგ, რაც კაეტანამ კაპრიჩოები დაათვალიერა, წარჩინებული შემკვეთების აზრს მისთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა.

აგუსტინი დაძაბულად მუშაობდა; ათ დღეში ორივე სურათი დაამთავრა. გრაფი მირანდა დიდად ნასიამოვნები დარჩა, ხოლო მარკიზი დე მონტილიანო არანაკლებ კმაყოფილი.

შემდეგ გოია უფრო ხშირად თავის აგუსტინს ანდობდა სურათების დამთავრებას, თვითონ კი დიდ, მხოლოდ პირველ მონახაზებს აკეთებდა. ამას ვერავინ ამჩნევდა. ფრანსისკოს აცინებდა მნახველთა უვიცობა.

მან აგუსტინს უთხრა:

— დონია კაეტანას სურს თავისი ახალი სურათი. მე რომ დავხატო, მეტისმეტად პირადული გამოძივა. ამას ვგრძნობ. შენ მშვენივრად იცი ჩემი მანერა. მოჰკიდე ამ საქმეს ხელი! ესკიზები და სურათები იმდენია, რამდენიც გნებავს. მე საბოლოოდ ორიოდეჯერ მოუვსვამ ფუნჯს, ხელს მოგაწერ — და ყველაფერი რიგზე იქნება.

გაოცებულმა აგუსტინმა უნდობლად შეხედა.

— არ ენდობი შენს თავს? — გასაღიზიანებლად ჰკითხა გოიამ.

აგუსტინმა გულში გაიფიქრა, რომ ეს სახიფათო ხუმრობა იყო, თუ ცუდად დაბოლოვდებოდა, ბრალი აგუსტინს დაედებოდა.

— შენ ხომ იცი, — თქვა მან დაქვევებულად, — რა კარგად ერკვევა ჰერცოგის ასული მხატვრობაში.

— ისიც ისე ერკვევა, როგორც სხვები, — უთხრა ფრანსისკომ.

აგუსტინი ხატვას შეუდგა. კარგი გამოვიდა, დახატული მანდილოსანი ნამდვილად ჰერცოგის მეუღლე ალბა იყო; ეს იყო წმინდა, ნათელი, უნაკლო ლამაზი. მოგძოო სახე, ვეებერთელათვალეებიანი, ამყწარბებიანი, ხუჭუჭა შავთმიანი. მაგრამ ამ შუბლის მიღმა არ იგრძნობოდა ბრიგიდას ზმანება. არავინ დაიჯერებდა, რომ ამ ქალმა დააჩქარა თავისი ქმრის სიკვდილი, ან რომ მათ, რომლებიც უყვარდა, ჯოჯოხეთურად აწამებდა კაპრიზისათვის, ქედმაღლობისა და ჭადოქრობისათვის. ფრანსისკომ სურათი გულდასმით დაათვალიერა. შემდეგ ერთი ორჯერ გადაუსვა ფუნჯი, და ხელი მოაწერა. უკანასკნელად მოავლო თვალი. ეს მაინც აგუსტინ ესტევეს სურათი იყო.

— საუცხოოა, — თქვა მან, — აი ნახავ, როგორ მოეწონება კატანას.

ეს ასეც მოხდა. მას — კატანას,
პორტრეტის მშვიდი, სუფთა, ზვიადი,
მშვენიერება აღფრთოვანებდა.
და თქვა: „აქამდე შენ, შეიძლება,
უკეთ მხატვედი, მაგრამ, იცი, ეს
ჩემი პორტრეტი სხვა წინანდელზე
უფრო მიზიდავს, მომწონს, დოქტორო,
ხომ მართალი ვარ?“ ხოლო დოქტორი
იღვა საოცრად შეცბუნებული,
რადგანაც მიხვდა, თუ რა ოინი
მოუწყო ახლა ფრანსისკომ, შემდეგ
ჩაიბურტყუნა: „ეპეიც არა მაქვს,
რომ ეს ახალი ნამუშევარი
წარმოადგენდეს იქნება ძვირფას
შენაძენს თქვენი გალერეისა...“
ყველაფერ ამას გოია უხმოდ
ისმენდა, არც კი გაუღიმიო.
ამიერიდან კატანასთან
მან მოიხადა თავისი ვალი.

იმ საღამოს, როცა ზოველიანოსთან მეგობრები უკანასკნელად შეიკრიბნენ, აგუსტინმა პირქუშად და დაბეჯითებით იწინასწარმეტყველა, რომ ღონ მანუელი გააუქმებდა ურკიხოს გაბედულ ედიქტს ესპანეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის თაობაზე. მაგრამ ღონ გასპარის ფანატიკურმა უარყოფამ: „ამას ვერ გაბედავენო“ — შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და მიუხედავად გონების კარნახისა, იმედი ჩაუნერგა. ახლა კი მანუელმა მართლაც იგდო ხელთ მეფური ძალაუფლება და აღადგინა წინანდებული უხამსი და სულის ამომხდენი დამოკიდებულება ესპანეთის ეკლესიისა რომისაგან. მიუხედავად იმისა, რომ აგუსტინი ამ ამბავს მოელოდა, ახლა მაინც რისხვასავით დაატყდა თავს.

მას სურვილი აღეძრა ფრანსისკოსათვის გული გადაეშალა. რაკი მეგობარმა ასეთი ნდობა გამოუცხადა, რომ ხელს აწერდა თითქმის მთლიანად მის მიერ დახატულ სურათებს, აგუსტინმა ეს იმის ახალ დადასტურებად მიიჩნია, რომ მათ შორის უფრო მჭიდრო მეგობრული კავშირი დამყარდა. მაგრამ სიხარული თურმე ნადრევი ყოფილა. გადიოდა კვირეები და გოია გულითადი საუბრის შესაძლებლობას არ აძლევდა: ახლაც, როცა მას ძალზე ესაჭიროებოდა, ის აქ არ იყო. მთელი თავისი თანდათან დაგროვილი რისხვა ერთბაშად დაატეხა თავს ფრანსისკოს.

იცოდა, ფრანსისკოს ყველაზე მეტად ეჭავრებოდა, როცა ერმიტაში ვინმე მიაკითხავდა და ხელს შეუშლიდა. აგუსტინმა სწორედ ერმიტას მიაშურა.

გოიამ, როგორც კი შემოსული აგუსტინი შენიშნა, ისე გადაწია ფიცარი, რომელზედაც მუშაობდა, რომ აგუსტინს ვერაფერი დაენახა.

— გიშლი ხელს? — ჰკითხა ერთობ ხმამაღლა.

— რა თქვი? — ჰკითხა გოიამ და რვეული გაუწოდა.

„გიშლი ხელს?“ — მომატებული ბრაზით დაუწერა აგუსტინმა.

— დიახ, — დაიქუხა გოიამ და ჰკითხა: — რა მოხდა?

— მანუელმა ედიქტი გააუქმა! — წარმოთქვა აღშფოთებულმა აგუსტინმა გარკვევით.

— რომელი ედიქტი? — ჰკითხა გოიამ.

ახლა კი ველარ შეიკავა თავი აგუსტინმა.

— მშვენივრად იცი, რომელიც! — წამოიყვირა მან. — და შენ დი-
დი ბრალი მიგიძღვის ამაში!

— აი შე სულელო, ჩერჩეტო, შე ვირო კვადრატში! — მუქარით
სავსე დაბალი ხმით დაიწყო ფრანსისკომ. შემდეგ კი ყვირილს მოჰყ-
ვა, — და ამისთვის გაბედე ჩემი ხელის შეშლა? ამ საღამოს კი არ
შეგეძლო გაგეგებინებინა? რას ფიქრობ? გგონია, შურდულივით
გაგეძანდები და მანუელს ყელს გამოვჭრი? თუ რა?

— ნუ ყვირი! — უთხრა გაბრაზებულმა აგუსტინმა. — სულელურ,
საშიშ რაღაცას რომავ და მთელი ხმით გაჰყვირი. — და დაუწერა:
„ამ სახლს თხელი კედლები აქვს. საჭირო არ არის დამბეზღებლები
გაიმრავლო“, და ხმადაბლა, ნაღვლიანად, გარკვევით განაგრძო ლაპარა-
კი: — ზიხარ აქ და ჩასციებისხარ რაღაც უბრალო წვრილმანს და მე-
გობარს თუ გულზე დარდი შემოაწევა და შენთან მოიბრუნს, მაშინ
მოჰყვები ყვირილს, რომ თავი დაგანებოს! რას აკეთებდი იმ დროს,
როცა ესპანეთს უკან ექაჩებოდნენ აშშ-მორებული წყვილიდისაკენ. ხა-
ტავდი ბოროტმოქმედთა მეთაურის, მანუელის, პორტრეტებს, გა-
მოგყავდა, როგორც კეისარი, ალექსანდრე და ფრიდრიხი შეერთე-
ბულად. სულ ეს იყო, რაც სათქმელი გქონდა? ფრანსისკო! აღამი-
ა! ნუთუ ობი მოგეკიდა და სულ დაღბი?

— ასე ნუ ყვირი, — უთხრა წყნარად გოიამ, — თვითონ არა თქვი,
რომ ამ სახლს თხელი კედლები აქვსო? — ის სულ დამშვიდდა. თით-
ქმის სიამოვნებდა, რომ აგუსტინი ცხარობდა. განა მოიპოვებოდა
მეორე ისეთი აღამიანი, რომელსაც ამ მწარე თევებში ისე სასტიკად
ეგრძნოს ქვეყნის გასაჭირი, როგორც მას, ფრანსისკო გოიას? განა
იყო კიდევ მეორე, რომელსაც ეს გასაჭირი თვალსაჩინოდ გაეხადა?
აქ კი დგას ამ Capricho-თა სამყაროში გულადი აგუსტინი და ცო-
ფებს ჰყრის, რომ ფრანსისკო ბრმაა, ზანტი და სქელკანიანი.

— ახლაც ბრაზი მომდის, რომ მაგონდება, — ბობოქრობდა თა-
ვისი ზრინწიანი ხმით აგუსტინი, — როგორ მოგმართავდა ზოველია-
ნოსი: „ესპანეთი. ესპანეთი! იმოღვაწეთ ესპანეთისათვის! ხატეთ
ესპანეთისათვის! თვით შენი ხელოვნება გავალბს არ დახუჭო თვა-
ლები. მაგრამ შენ არაფერი გედარდება, გარდა შენი თავისა. ბატონმა
პირველმა მხატვარმა ყველაფერს ანგარიში უნდა გაუწიოს. მისმა

აღმატებულებამ არაფერი არ უნდა გაბედოს, რაც გაზულუქებულ ნაძირალებს არ მოეწონებათ. გაგონილა ასეთი დაბეჩავება, ასეთი დამონება? Que vergüenza!

ფრანსისკო წყნარად იდგა და თითქმის ილიმებოდა. აგუსტინი ამან სულ გამოიყვანა მოთმინებიდან.

— ცხადია, რომ ქალს მიუძღვის ყველაფერში ბრალი, — თქვა მან, — მისთვის შენ რისკი გასწიე და შენი ვაჟკაცობა დაამტკიცე, ახლა კი გაინაზე მასთან. დაცივნით იჩეჩავ მხრებს ზოველიანოსის ნათქვამზე, და ოხუნჯობ, როცა ესპანეთს ბოლო ეღება.

გოია აგუსტინის ჩივილში მის უსუსურ რისხვას გრძნობდა დონია ლუსიას მიმართ.

— შე უბედურო, სულელო, — უთხრა მან თითქმის შეცოდებით, — შე მუღმივო სტუდენტო! ხელოვნებაზე გაქვს ოდნავი წარმოდგენა, მაგრამ ცხოვრებისა, ადამიანებისა და ჩემიც კი სრულებით არაფერი გაგეგება. შენ გგონია, რომ მე აქ უსაქმოდ ვეგდე მთელი ამ თვეების განმავლობაში, და ქედმაღლურად ვოცნებობდი რომანტიულ გულისთქმას აყოლილი? არა, შე ბრძენო და გულთამხილაგო! მე აქ სხვა საქმიანობას ვეწეოდი. — გახსნა სკივრი და ამოღლაგა უამრავი ნახატი, უამრავი გრავეურა და გადაუშალა ისინი აგუსტინს.

გოიას დაცივნა აგუსტინს გულის სიღრმეში ჩასწვდა. მაგრამ იმის დანახვის სურვილი, თუ რა გაეკეთებინა მხატვარს მთელი ამ წლის განმავლობაში, უფრო ცხოველი გამოდგა, ვიდრე შეუტაცხყოფა.

აგერ იჯდა და უყურებდა. მას ერთბაშად ეკვეთა ახალი საოცარ Capricho-თა სამყარო, ეს უხვი ჯერ არნახული ჭეშმარიტზე უჭეშმარიტესი მოვლენები. მერამდენეჯერ ათვალეირებდა იგი ყოველ ცალკეულ ნახატს, ვერ სცილდებოდა, გადადებდა გვერდზე დახარბებულო, რომ დაენახა მომდევნო ახალი. მას თავი აღარ ახსოვდა, აღარ ახსოვდა დონ მანუელის ედიქტი. შეესისხლხორცა ახალ სამყაროს. მან წინათაც იგრძნო, როცა ფრანსისკო ამა თუ იმ ნახატს უჩვენებდა, რაღაც სახალისო, უხიაკი, შემაზრზენი იყო ამ სურათებში, მაგრამ რაც ახლა მის თვალწინ გადაიშალა, ეს იყო ახალი, თავისი გაათფრებული გაქანებით. ეს ახალი უცნობი გოია იყო, რომელმაც ახალი, წინანდელზე გაცილებით უფრო ღრმა სამყარო აღმოაჩინა.

აგუსტინი უყურებდა, პირს აწკლაპუნებდა. გოიამ ადროვა, ის მხოლოდ უყურებდა, როგორ ათვალეირებდა სურათებს აგუსტინი. ეს სრულიად საკმარისი იყო.

ბოლოს ისე მოხიბლულმა და აღელვებულმა, რომ ენას ძლივს აბრუნებდა და გოიას გაუჭირდა მის ბაგეზე სიტყვების ამოკითხვა, აგუსტინმა თქვა:

— და ანის პატრონმა იქ ჩვენ გვალაპარაკე? ჩვენი, ამ ქუჩის კოლოფების, რჩევა მოისმინე? ალბათ ყველა სულელებად და ბრმებად ჩაგვთვალე!

როცა დაინახა, რომ გოიამ მას სწორედ ვერ გაუგო, ყრუ-მუნჯთა ანბანს მიმართა, ფიცხლად დაუწყო ხელით ნიშნება, მაგრამ ეს მოსწყინდა, და კვლავ მოჰყვა ენთუზიაზმით ყბედობასა და ქშენას:

— ამას გულში ატარებდი, შესაძლოა კიდევაც ხატავდი და ჩვენ კი გვალაპარაკებდი!

კვლავ მიუბრუნდა ფურცლებს, ძალა აღარ შესწევდა მათთვის თავის დანებებისა, გახარებული და გაოცებული, მივარდა გოიას:

— ძალღი ხარ და მეტი არაფერი! ზიხარ აქ ჩუმად და ამას აკეთებ! აი შე ქვეშქვეშა, შე ცბიერი! შენ ახლა ყველა ქვეშ მოიქციე — თანამედროვეებიც და ძველებიც.

ის სულელურად, მხიარულად იცინოდა, გოიას მხრებზე ხელი მოხვია, ბავშვივით იქცეოდა და ფრანსისკო კი ამით ბედნიერი იყო.

— როგორც იქნა, გაიგე, თუ რა ბიჭია შენი მეგობარი. გოია! — ამაცობდა ის, — შენ მხოლოდ გინება გემარჯვება, იოტისოდენა ნდობა არა გაქვს ჩემი. ერმიტაში შემომეჭკერი, და მოცდა არ ინებე. აბა, ახლა თქვი, ვარ გამოუსადეგარი? დაობებული და დამპალი? — და კიდევ ერთხელ უნდოდა დაედასტურებინა: — აბა თვითონ თქვი, არის თუ არა ხალისიანი ჩემი სურათები? გამოვიყენე თუ არა კარგად შენი ტექნიკა?

აგუსტინი თვალს არ აცილებდა ერთ უცნაურ სურათს, რომელსაც ვერაფერი გაუგო და მორჩილად თქვა:

— ამ სურათს ჯერ ვერაფერი გაუგე. მაგრამ მთლიანობაში კი ვერკვევი. ყველა მიხვდება ამ საშინელსა და მშვენიერს. მათაც უნდა გაიგონ ეს. — გაიცინა. — „Idioma Universal“.

გოია ამას აღელვებული ისმენდა. თუმცა ხანდახან ეკითხებოდა თავის თავს, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ფურცლები

სხვაზე და, საერთოდ, უნდა გამოეჩინა თუ არა ისინი; მაგრამ შეშინებული ამგვარ ფიქრებს თავიდან იშორებდა. მას შემდეგ, რაც კაეტანამ ისეთი ზიზლის გამომხატველი თვალებითა და გულცივად შეხედა სურათებს, გაბრაზებულმა გოიამ გადაწყვიტა, რომ სხვისი თვალები ამ ფურცლებს ვეღარ იხილავდა. მოჩვენებებთან საშიში და სასაცილო ბრძოლა მისი საკუთარი, ღრმა პიროვნული საქმე იყო. ყველა გამვლელ-გამომვლელისთვის Capricho-ების ჩვენება იმას უდრიდა, რომ მაღრიდის ქუჩებში შიშველს დაეწყო ხეტიალი.

აგუსტინმა მეგობრის სახეზე დარდი ამოიკითხა და ის რეალურად გადმოთარგმნა. მან შეიგნო ერთი რამ. რაც ცხადია გოიასაც ესმოდა: სახელდობრ ის, რომ ეს სურათები საშიში იყო, სიკვდილივით საშიში. კაცის მოქმედება, რომელიც ამგვარ ნახატებს აღამიანებს გადაუშლიდა თვალწინ, იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ ინკვიზიციას თვითონ ჩავარდნოდა ხელში, როგორც არქიმწვალებელი. ამას ფიქრობდა აგუსტინი და იგრძნო სიმარტოვის სიცივე, რომელშიც მისი მეგობარი ფრანსისკო ცხოვრობდა. კაცმა თავის არსებიდან გამოდევნა მთელი საშინელება და სიმახინჯე სულ მარტომ, გამბედაობა ეყო და დახატა სულ მარტომ და იმედდაკარგულმა, რომ ოდესმე ვინმეს გაუზიარებდა თავის ღიღსა და საშიშ ზმანებებს.

ფრანსისკომ, თითქოს აგუსტინის ფიქრი გაეგონოს, უთხრა:

— კკუით ვერ მოვიქეცი. შესაძლოა უკეთესი ყოფილიყო, რომ შენს თვალებს არ ეხილა ეს სურათები. — მან ერთად შეაგროვა ნახატები. აგუსტინს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მოხმარება კი ვერ გაბედა.

მაგრამ, როცა მოლუმულმა გოიამ სურათები ისევ სკივრში ჩაუშვა, აგუსტინი გონს მოეგო. წარმოუდგენელი იყო. რომ ის ფურცლები არავის ენახა და აქ სკივრში ყოფილიყო ჩაწყობილი ღიღიხნით, შესაძლოა სამუდამოდაც კი.

— მეგობრებს მაინც უჩვენე, — სთხოვა მან. — კინტანას. მიგელს. ნუ ხარ ასეთი ამაყი და გულჩახვეული, ფრანსო! შენ ძალად აფიქრებინებ კაცს, რომ უქმური ხარ.

გოია მოინისლა, შეიგინა და იუარა. მაგრამ გულში კი უნდოდა, მეგობრებისათვის თავისი ნამუშევრები ეჩვენებინა. ერმიტაში მიიწვია მიგელი და კინტანა. უხმო თავის ვაჟს ხავიერსაც.

პირველად მოხდა, რომ ერმიტაში ერთდროულად ორ კაცზე მეტი
იყო, და გოიას ეს თითქმის მკრეხელობად მიაჩნდა. მეგობრები მის
იზრგვლივ მოთავსდნენ. გარდა ხავიერისა, თავს ყველანი დაძაბულად
და უხერხულად გრძნობდნენ. გოიამ ლეინო მოატანინა, პური და
ყველი დააწყო და სტუმრები მიიწვია. თვითონ კი უსიტყვოდ იჯდა.
ბოლოს მძიმედ, თითქმის ნაძალადევად ამოიღო სკივრიდან ფურ-
ცლები.

გრავეიურები ხელიდან ხელში გადადიოდა და ერთბაშად აივსო
ერმიტა ადამიანებისა და მოჩვენებების ხროვით, რომლებშიაც მე-
ტი ჭეშმარიტება იყო, ვიდრე თვით ჭეშმარიტებაში. მეგობრები აკ-
ვირდებოდნენ და ხედავდნენ, რომ ამ არსებებს, ნიღბების მიუხედა-
ვად თუ ნიღბების მეოხებით, უფრო გაშიშვლებული სახეები ჰქონ-
დათ, ვიდრე ხორცშესხმულ ადამიანებს. ესენი ნაცნობი ადამიანები
იყვნენ, ოღონდ მხატვარს მათთვის მიეცა ბევრად უფრო ბოროტი
გამომეტყველება და სხვანაირი გარეგნობა. ხოლო სასაცილო და სა-
ზიზღარი დემონები იყვნენ დამანჯული ურჩხულები, ძნელად მოსა-
ხელთებელნი, რომლებიც თვითონ მათ ემუქრებოდნენ, უბადრუკი,
უციცი და ბოროტი აზრით აღვსილნი, საძაგლები, ცბიერები, ღვთის-
მოშიშარნი და აღვირახსნილნი, მხიარულნი, უცოდველნი და ბი-
წიერნი.

ხმას არავინ იღებდა. ბოლოს გოიამ თქვა:

— შესვით, შესვით და მიირთვით რაიმე! დაუსხი ყველას, ხავი-
ერ! — და რადგან ისევ დუმდნენ, განაგრძო: — მე ნახატებს Cap-
richos დაეარქვი. — კაპრიზები, გამოგონილი, ფანტაზიები.

კვლავ დუმილი სუფევდა. მხოლოდ ჭაბუკმა ხავიერმა თქვა:

— მესმის.

ბოლოს წამოიჭრა კინტანა:

— Caprichos! — წამოიძახა მან, — თქვენ სამყარო შექმენით და
კაპრიზებს უწოდებთ?

გოიამ ქვედა ტუჩი გამოიშვირა და ცალკებად გაიღიმა. კინტანას
აღფრთოვანებას საზღვარი არა ჰქონდა.

— თქვენ მე დამამარცხეთ, გოია! — წამოიძახა მან. — როგორ
უაზროდ და უეციკობად მიმაჩნია ჩემი საბრალო ლექსები! ამ ფურ-
ცლების წინაშე თავს ისე ვგრძნობ, როგორც პატარა ბიჭი, რომე-

რლიც სკოლაში პირველად მივიდა და თავგზა აებნა დაფაზე დაწერი-
ლი უამრავი ასოს დანახვაზე.

მიგელმა თქვა:

— სასიამოვნო როდია ხელოვნების მკვლევარისათვის, როცა რაიმე ახალი გამოჩნდება და მთელ მის თეორიას დააყირავენ. მე ხელახლა უნდა დავიწყო სწავლა, ფრანსისკო. მიუხედავად ამისა, 'სულით და გულით გილოცავ!' — ჩაახველა და განაგრძო: — იმედი მაქვს, რომ ცუდად არ ჩამომართმევ, თუ ზოგიერთ სურათზე ძველი თაობის მხატვრების გავლენას აღმოვაჩენ, მაგალითად, ესკურიალში არსებული ბოსხის რამდენიმე სურათისა, აგრეთვე ავილიისა და ჟოლედოს ტაძრების ხ-ს ქანდაკებებისა და უპირველეს ყოვლისა კი სარაგოსას დელ პილარის ღვთისმშობლის ტაძრის ქანდაკებებისა.

ხავიერმა თქვა:

— ყველაზე ღიდი მხატვარიც კი თავის წინაპრების მხრებს ეყ-
რდნობა.

მისი მეტიჩრობა ეუხერხულა სტუმრებს. ხოლო გოიამ კი ალერ-
სით შეხედა ჭკუისკოლოფა შვილს და თანხმობის ნიშნად გაულიმა.

მიგელი მსჯელობდა:

— უმეტესი სურათის შინაარსი ნათელია. მაგრამ ზოგიერთისა
კი, მაპატიე ფრანსისკო, ვერაფერი გამიგია.

— სამწუხაროა, — მიუგო გოიამ. — ზოგიერთის მეც არაფერი
გამეგება და იმედი მქონდა, რომ შენ გამარკვევდი.

— მეც ასე ვფიქრობდი, მოურიდებლად ჩაერია ლაპარაკში ხავი-
ერი.

— თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ამავე დროს გაუგება-
რია.

აქ აგუსტინმა თავისი ღვინის ჭიქა წააქცია. ღვინო მაგიდაზე და-
იღვარა და ორი სურათი დაასველა. დანარჩენები ისე უყურებდნენ
ამ მარცხს, თითქოს აგუსტინს მკრეხელობა ჩაედინოს.

ოდნავ აღელვებულმა კინტანამ მიგელს მიმართა:

— თუ თქვენთვის ესა თუ ის სურათი გაუგებარია, მაინც უნდა
დამეთანხმოთ, რომ მთლიანად უკვლას აზრს ყოველი კაცი გაიგებს.
Idioma Universal! თქვენ დაინახავთ, დონ მიგელ, რომ ხალხი გაიგებს
ამ სურათებს.

— სცდებით, — უპასუხა მიგელმა, — ხალხი, ცხადია, ვერ გაი-

გებს ამ ფურცლებს. ბევრი განათლებულიც კი ვერ მიხვდება მათ აზრს. სამწუხაროა, რომ თქვენი მტკიცების შემოწმების საშუალება არ გვექნება.

— როგორ თუ არ გვექნება? — აენტო კინტანა, — ნუთუ თქვენ თანახმა ხართ, რომ ეს საოცარი ნაწარმოები აქ ჩაკეტილი დარჩეს ერმიტაში სან ბერნარდინოზე?

— მაშ როგორ? — უპასუხა მიგელმა, — იქნებ თქვენ გნებავთ ფრანსისკოს კოცონზე გაგზავნა?

— ეს სურათები რომ ხალხმა ნახოს, — ჩაერია პირქუშად საუბარში აგუსტინი, — მაშინ ინკვიზიცია ისეთ კოცონს გააჩაღებს, რომლის წინაშეც ყველა აღრინდელი აუტოდაფე მბეუტავ ჭრაქად მოგვეჩვენება. ეს თქვენც ხომ კარგად იცით.

— თქვენი წყეული სიფრთხილით ყოველ კაცს ლაჩრად აქცევთ! — წამოიძახა გამწარებულმა კინტანამ.

აგუსტინმა მიუთითა რამდენიმე ოფორტზე.

— ეს გამოსაქვეყნებელია? — იკითხა მან, — და ეს?

— ზოგიერთი ცხადია უნდა გამოირიცხოს, — დაეთანხმა კინტანა, — მაგრამ უმეტესობის გამოქვეყნება შეიძლება და უნდა გამოქვეყნდეს.

— სწორედ უმეტესობის გამოქვეყნება არ შეიძლება, — უკმეხად უპასუხა მიგელმა. — რამდენიც არ უნდა გამოირიცხოთ, ამას არც ინკვიზიცია მოითმენს და არც მეფის მსაჯულები.

რადგან დანარჩენები მოლუშული და უმწეოდ დადუმებულნი ისხდნენ, მიგელმა სანუგეშებლად თქვა:

— უნდა ველოდოთ შესაფერ დროს.

— თუ თქვენი „შესაფერი“ დრო დადგება, ეს სურათები აღარც იქნება საჭირო. მაშინ ისინი უსარგებლო ხელოვნებად იქცევიან. — თქვა კინტანამ.

— ასეთია მხატვრის ხვედრი, — ჩაფიქრებულად თქვა ახალგაზრდა ხავეირმა.

— ხელოვნებას აზრი არა აქვს, თუ ქმედითი არ არის. — არ ეშვებოდა თავისას კინტანა. — დონ ფრანსისკომ თვალსაჩინო გახადა შიში, ის დიდი, ფარული შიში, რომელსაც მთელი ქვეყანა მოუცავს. ხაკმარისია მისი მხოლოდ ჩვენება და ის გაქრება. ხაკმარისია კოცონს

შავ კაცს. ტანსაცმელი შემოაგლიჯო და ის უკვე საშიში აღარ იქნება, განა გოიამ უმეტესი სურათები მხოლოდ ჩვენთვის, ზუთისათვის, შექმნა და სხვებისათვის კი არა? არა, ეს დაუშვებელია!

ისე დაობდნენ, თითქო გოია არც კი ყოფილიყოს აქ. ის ჩუმად უსმენდა, ხან ვის ტუჩებს უყურებდა და ხან ვისას, და მართალია, ყველაფერი არ ესმოდა. მაგრამ თითოეულ მათგანს ისე კარგად იცნობდა, რომ შეეძლო მათი მოყვანილი არგუმენტების წარმოდგენა.

უკვე ამოიწურა მათი არგუმენტები და ახლა შეჰყურებდნენ და ელოდებოდნენ მის აზრს.

მან ჩაფიქრებულად, მაგრამ ეშმაკურად თქვა:

— მიგელ, შენს ნათქვამში ბევრი ყურადსაღებია, მაგრამ თქვენი ნათქვამიც დონ ხოსე, სამართლიანია. და რადგან, სამწუხაროდ, ერთიმეორის საწინააღმდეგოა, მე ყველაფერი კარგად უნდა მოვიფიქრო. გარდა ამისა, იმასაც ანგარიში უნდა გაეწიოს, — განაგრძო ღიმილით, — რომ ჩემთვის იოლა როდია ამდენმა შრომამ მუქთად ჩამიაროს. ფული მკარდება.

ამ სიტყვებით აკრიფა მან სურათები და გრავიურები და ჩაკეტა სკივრში.

გაოცებული ხედავდა ყველა
როგორ ქრებოდა ეს ჯადოსნური
შეშხარავი და ჟერაც ახალი
სამყარო... სწორედ აი ამ სახლში,
აქ, უმნიშვნელო. უბრალო სკივრში,
ინახებოდა საუკეთესო,
რაც შეუქმნია ხელს ესპანელის
საუკუნიდან საუკუნემდე,
ველასკესიდან დღემდე. ამ სკივრში
ნახავდით იმათ — ზღაპრულ ფემონებს
ესპანეთისა, რომლებიც მხოლოდ
ღამორჩილა გენიის ფუნჯმა.
თუმც ხელოვნებამ, იქნებ, ბოლომდე
ვერ დაიურვა ისინი მაინც,
რამეთუ მათი სახის და ხატის
ქვეყნად არავენ არის მხილველი. ო
და შეიძლება სწორედ ამაში
არსებობს მათი უსაზღვრო ძალა.

აქ, მართლაც, საქმე ვერაა კარგად
და მეგობრები წავიდნენ რაღაც
გაურკვეველი და უცნაური
გრძნობით სიმძიმის და ალტაცების.
და უხილავად მისდევდათ უკან
აჩრდილნი ქაჯთა და დემონების,
ველურ, შემაზრზენ და უსაშინლეს
მოჩვენებათა. თუმც მათზე უფრო
საშიში იყო ადამის მოღვაძე.

24

გოია ანგარიშს უწევდა იმას, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა სხვებზე მისი ნაწარმოები. რადგანაც მეგობრებმა, გულწრფელი სურვილისა და ცხოველი ინტერესის მიუხედავად, ბევრი Capricho-ს აზროვნერ გაიგეს, მან გადაინახა ყველაზე გაურკვეველი და პირადული, ხოლო დანარჩენები კი თვალსაჩინო თანმიმდევრობით დააღაგა.

წინ დააწყო ის ფურცლები, რომლებზედაც იოლად გასაგები სიტუაციები და ანეკდოტები იყო განოხატული. ამ ფურცლებს „სინამდვილიდან“ მოსდევდა მოჩვენებათა და უცნაურობათა გამომსახველი ოფორტები. ამგვარი თანამიმდევრობა აადვილებდა მათ სწორ გაგებას, სინამდვილის სამყარო ხსნიდა დემონების სამყაროს, ხოლო მოჩვენებათა ნეორე ჭგუფი იძლეოდა პირველის განმარტებას, რომელიც ადამიანებს ეხებოდა. საკუთარი თავგადასავალი, რომელიც Capricho-ებში გამოხატა, თავისი სიყვარულის აღრეული ზმანებანი, განდიდება, ბედნიერება და სასოწარკვეთილებანი ასეთი თანმიმდევრობით ჭეშმარიტ აზრს იძენდა, თითოეული კაცის, მთელი ესპანეთის თავგადასავლად იქცეოდა.

მას შემდეგ, რაც დაანაწილა, შეარჩია და დააღაგა ფურცლები, დაიწყო ფიქრი, რომ ყოველი ნახატისათვის სახელი დაერქმია; ყოველ წესიერ ნახატს ბოლოს და ბოლოს ისევე ესაჭიროება საკუთარი სახელი, როგორც ყოველ წესიერ ქრისტიანს. ის არ იყო მწერალი, ხშირად დიდხანს ეძებდა შესაფერ სიტყვას, მაგრამ ეს მას იტაცებდა. როცა ოფორტის სახელი მეტისმეტად უხამსად მოეჩვენებოდა, დაურთავდა პატარა განმარტებას. საბოლოოდ ყოველ სურათს ჰქონდა არა მარტო ხელმოწერა, არამედ განმარტებებიც, ხანდახან სახელწოდება მეტისმეტად უწყინარი გამოდიოდა, სამაგიეროდ კომენტარი იყო მწვავე, ზედმე-

ტად გაბედულიც კი. ზოგჯერ კი სახელწოდების გაბედულება შენელებული იყო გულუბრყვილო დამრიგებლური განმარტებით. ყველაფერი ერთიმეორეში იყო არეული: ანდაზები, ენამწარე და მოსწრებელი სიტყვები. გულუბრყვილო გლეხური სიბრძნე, ვითომც ღვთისმოსავი გამოთქმები, ღრმა აზრის მქონე ენაკვიმატური ხუმრობანი.

„ტანტალუსი“ მიაწერა მან სურათს, რომელზედაც სასოწარკვეთილი შეყვარებული გლოვობს ჩუმად მოთვალთვალე, თითქოს მიცვალბულ, სატრფოს. აქ თავის თავს დასცინოდა და მიაწერა: „ვაჟი რომ უფრო რაინდულად და ნაკლებ მოსაწყენად მოქცეულიყო, ქალი მკვდრით ალსდგებოდა“. „არავინ თავის თავს არ იცნობს,“ — მიაწერა მან „მასკარადს.“ მოხუცი ქალის სურათის ქვეშ, რომელიც სარკის წინ გულმოდგინედ და ძვირფასად იკაზმებოდა თავის დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავის აღსანიშნავად, მიაწერა: „სიკვდილამღ“. იმ მახას სურათს, რომელსაც კაზმავენ, ხოლო მაქანკალი ბრიგიდა კრიალოსანს ათამაშებს და ლოცვას უკითხავს, მიაწერა: „ის ლოცულობს, და განა მართალი არ არის? რომ ღმერთმა გააბედნიეროს, დაიფაროს ბოროტებისაგან, დალაქებისაგან, ექიმებისაგან, სასამართლოს აღმასრულებლებისაგან, რათა დახელოვნდეს და ყველას ისე აამოს, როგორც მისმა ცხონებულმა დედამ“.

იმ ფურცელს, რომელზედაც საცოდავი მეძავი წმინდა ინკვიზიციის ტრიბუნალის მდივნის წინ ზის და თავის განაჩენს ისმენს, მიაწერა: „განა შეიძლება ასე ცუდად მოეპყრან კეთილსინდისიერ ქალს, რომელიც ერთი ნაჭერი კარაქიანი პურისათვის მთელ ქვეყნას ბეჯითად და წარნატებით ემსახურებოდა?“ იმ ოფორტს, რომელზედაც კუდიანი სატირს მხარზე აზის და მკრეხელურ აღთქმას აძლევს ნეტართა სულებს, მიაწერა: — „ჰვიცავ, რომ შენს მასწავლებლებსა და უფროსებს დაუჯერებ და პატივს სცემ? ბელლებს გამოჰგვი? ეყენებს აუღარუნებს? იწივლებ და იკივლებ?, იფრენ, მირონს იცხებ, გამოწუწნი, შეუბერავ, შეხრაკავ? გააკეთებ ყველაფერს, რასაც და როცა კი რამეს დაგვაჟალებენ? — ვფიცავ! — კეთილი, ჩემო გოგონა, დამირქმევია შენთვის კუდიანი. სულითა და გულით გილოცავ!“

დიდხანს ფიქრობდა, თუ რომელი ფურცელი დაედო პირველად. გადაწყვიტა, წინ წარემძღვარებინა ის სურათი, რომელზედაც თვითონ არის მაგიდაზე დამხობილი, თვალს ხუჭავს მოჩვენებათა წინაშე და არ სურს მათი დანახვა. ამ ფურცელს დაარქვა „Idioma Universal“, მაგრაჟ

შემდეგ ეს სახელწოდება შეუფერებლად ეჩვენა, სურათს დაარქვა „გონების ძილი“ და ნიაწერა: „სანამ გონებას სძინავს, ფანტაზია მოჩვენებებს ბადებს. გონებასთან შეერთებული ფანტაზია კი ღედაა ხელოვნებისა და ყველა მასი საოცარი ქმნილებისა“.

Caprichos-ის წყების დამამთავრებლად მან ახალი სურათი დაამზადა.

მოჭპრის პანიკური შიშით შეპყრობილი ვეება, არაჩვეულებრივად მახინჯი ბერი, მის უკან კი — მეორე. წინ დგას პირდაღებული გამოყვანილი ცხოველის მსგავსი გრანდი, ერთი ზარმატაგანი და მღრღნელთაგანი, აქვეა მეორე მოჩვენება, რომელსაც ბერის შესახედობა აქვს და ღრიალებს. ფურცელს გოიამ ქვევით მიაწერა ის, რაც ოთხი საზიზღარი დაღებული ხახიდან ამოისმის:

„Ya es hora! აჰა, დარეკა
განკითხვის ქამმა. ღრო დადგა!“ ყველას
უნდა ენახა: უსასტიკესმა
საათმა დაჭკრა!.. ამიერიდან
მან მოჩვენებებს მოუღო ბოლო.
უარი ცივი ავტომატ-გრანდის
გულს და გონებას! ხოლო ეშმაკის
გზას დადგომია ყველა დამქაში:
ბერიც, პრელატიც! Ya es hora!
არა, ამოდ ის ამ სურათით
როდი ამთავრებს თავის კაპრიზს.
Ya es hora!

25

მას შემდეგ, რაც გოიამ მეგობრებს Caprichos აჩვენა, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მკაცრი მყუდროების დარღვევას ერმიტაში. მეგობრები უფრო ხშირად და ყოველგვარი ფორმალობის გარეშე მიდიოდნენ მასთან.

ერთ დღეს, როცა სამივე მოვიდა, აგუსტინი, მიგელი და კინტანა, მიგელმა ღიმილით მიუთითა ჭაბუკ პოეტზე და დაუწერა: „ამან შენ რაღაცა მოგიტანა“. და როცა გოიამ კითხვის გამომხატველი თვალებით შეხედა გაწითლებულ კინტანას, მიგელმა განაგრძო: „მან ოდა მოგიძღვნა“.

კინტანამ მორცხვად ამოიღო ხელნაწერი პორტფელიდან და მისთვის მიცემა დააპირა, მაგრამ აგუსტინმა სთხოვა:

— თქვენ თვითონ წაიკითხეთ, გეთაყვა, ლექსი!

გოიამაც კვერი დაუკრა:

— დიახ, გეთაყვა, თქვენ წაიკითხეთ, დონ ხოსე! მე მიყვარს ყურება, როცა თქვენ კითხულობთ. უნეტეს ნაწილს გავიგებ.

კინტანა კითხვას შეუდგა. ლექსი კეთილზმომადანი იყო. ის კითხულობდა:

დაცარიელდნენ სამეფონი, მრავალი განძი —

თვალისმომკრელი და ელვარე — მიმოიფანტა.

მაგრამ ეცხლი კი ხელოვნების, რომელიც ასე

ააზიზგინეს მურილიომ და ველასკესმა,

ანთია დღესაც! ჩვენს დადებულ გოიას ფუნჯში

ელვარებს იგი! სინამდვილე, მისმა ზღაპრულმა

და ქაღოქრულმა ფანტაზიამ გააფერმკრთალა.

დადგება ჟამი! ო, სულ მალე დადგება იგი,

მთელი სამყარო ქედს მოიხრის შენს წინ, გოიავ,

როგორც ქედს უხრის დღეს რაფაელს იგი. სხვადასხვა

კუთხიდან, მხრიდან, მოაწყდება სამშობლოს შენსას,

მილიონობით ღეთსმოსაყი მოხეტიალე,

რომ შენს ქმნილებებს ერთხელ მაინც შეავლოს თვალი...

ჩაუქრობელო სიამაყევ ესპანეთისა!

გადიმებული და მოხიბლული უყურებდნენ მეგობრები გოიას, რომელიც თვითონაც იცინოდა ოღნავ დარცხვენილი, მაგრამ მაინც აღტაცებული.

Si vendrá, un día

vendrá, también, oh, Goya! en que a tu nombre

El extranjero extático se incline...

გაიმეორა მან კინტანას ლექსი, და ყველა გააოცა იმ გარემოებამ, რა კარგად გაეგო იგი. კინტანა კიდევ უფრო მეტად გაწითლდა.

— ოღნავ გადაჭარბებულად არ მიგაჩნიათ ჩემი ქება? — ჰკითხა გადიმებულმა გოიამ. — თქვენ რომ დაგეწერათ, რომ მე კოლეგა ჟან ლუი დავიდზე უკეთესი ვარ, კიდევ ჰო, მაგრამ რაფაელზე უკეთესობა კი რამდენადმე გადაჭარბებულია.

— იმ კაცისათვის, რომელმაც ეს ნახატები შექმნა, შეფასების უდიდესი სიტყვაც მეტად უსუსურია, — უპასუხა აგზნებულმა კინტანამ.

გოია გრძნობდა, რა ბავშვივით გულუბრყვილო იყო კინტანა და რა ბავშვური, გულუბრყვილო იყო მისი ლექსები, ამასთანავე, მას არც ესაჭიროებოდა იმის დადასტურება, რომ ველასკესის შემდეგ ის ესპანეთის პირველი მხატვარი იყო, მაგრამ მაინც მასში ბედნიერების ტალღა დაიძრა. ასეთი ამაღლებული, სახოტბო ლექსი დააწერინა ყმაწვილ კაცს მისმა „უხეშმა, ბარბაროსულმა, უგემოვნო“ ფურცლებმა. და ისიც მაშინ, როცა უწესრიგოდ ეწყო და ძნელი გასაგები იყო.

გოიას გულით უნდოდა ახლა ეჩვენებინა მეგობრებისათვის, როგორ გამოიყურებოდა დალაგებული Caprichos და რაც შეიძლება გულგრილად თქვა:

— გნებავთ კიდევ ერთხელ დაათვალიეროთ სურათები? მე ისინი თანმიმდევრობით დავაწყვე და სახელები მივეცი. სხვათა შორის კომენტარებიც დავუთეთ. — ეშმაკურად განაგრძო მან, — იმ ყეყეჩებისათვის, რომლებიც განმარტებას საჭიროებენ.

მეგობრებს მთელი ამ ხნის განმავლობაში სწყუროდათ ფურცლების კიდევ ერთხელ ხილვა, მაგრამ ვერ ბედავდნენ უცნაური კაცისათვის ეთხოვათ, როცა Capricho-თა სამყარო მათ თვალწინ ხელმეორედ გადაიშალა, ამ სანახაობამ ყველა გააოცა. დიახ, იმ თანმიმდევრობით, როგორც ახლა ისინი გოიას დაეწყო, მათ ნამდვილი შნიშვნელობა მისცემოდა. თვით თავდაპირილმა მიგელმაც კი თითქმის მოწიწებით თქვა:

— ეს შენს ნახატებში საუკეთესო, უდიდესი პორტრეტია, ფრანსისკო, — აქ მთელი ესპანეთის სახე მოგიცია.

ქაბუქმა კინტანამ თქვა:

— მე, რა თქმა უნდა, თავისუფალი მოაზროვნე ვარ, მაგრამ დღეიდან ყოველ კუთხეში დემონები და კუდიანები მომეჩვენება.

აგუსტინმა პირქუშად და გესლიანად თქვა:

— არიან ადამიანები, რომლებიც უკ ლუი დავიდს მხატვრად თვლიან!

მიალწიეს უკანასკნელ ფურცელს, რომელზედაც ამოკვეთილი იყო შიშისაგან გაქცეული, მოღრიალე ბერების სამოსელში გამოწყობილი ურჩხულები.

— Ya es hora! Cierra Espana! — წინ ესპანეთო! — ხმამაღლა და აღფრთოვანებით წამოიძახა კინტანამ ძველი საბრძოლო მოწოდება.

მიგელმა კი დაფიქრებულად თქვა:

— მინაწერები შესანიშნავია, ზოგიერთი პირდაპირ დიდებულთა. თუ მე სწორად გავიგე, თქვენ გიცდიათ შინაარსის შერბილება. მაგრამ ხშირად ისინი მას მხოლოდ ამახვილებენ.

— მართლა ეგრეა? — ეშმაკური გაცემებით იკითხა გოიამ და განაგრძო, — რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ჩემი მოუქნელი ესპანურით ვერ გადმოვცემ ჩემს ზმანებებს. დიდი მალღიერი ვიქნებოდი შენი, მიგელ, აგრეთვე თქვენიც, დონ ხოსე, და შენი, აგუსტინ, თუ რაიმეს ძირჩევდით.

მეგობრებისათვის პატივი და სიხარული იყო გოიას დიდ ნაწარმოებებში თავიანთი წვლილის შეტანა. მიგელს უკვე ხელთ ჰქონდა შესაფერი მინაწერი იმ სურათის ქვეშ, რომელზედაც გამოხატულია მინჩრწნილი, დაჩაჩანაკებული ძუნწი, რომელიც თავის განძეულს ინახავს. ეს იყო სერვანტესის ციტატა: „ყოველი კაცი ისეთია, როგორც ღმერთმა გააჩინა, ჩვეულებრივ კი ბევრად უარესიც“. სხვებმაც გამოიგონეს შესაფერი სიტყვები. ისინი მიხვდნენ, რა ეწადა ფრანსისკოს. მინაწერებს უნდა ჰქონოდა ხალხური იერი, ყოფილიყო მძაფრი და ძარღვიანი.

— დაუხვეწელობა უნდა დარჩეს, — თქვა მიგელმა.

— რა თქმა უნდა, — თქვა ფრანსისკომ, — მე ხომ ასეთი ვარ.

ყველა შეხმატკბილებულად, ერთგულად მუშაობდა, გაჩნდა მთელი წყება ქვეშ მისაწერი ახალი სიტყვებისა, ერმიტაში ხუმრობასა და სიცილს ბოლო არ უჩანდა.

ამ მხიარულების დროს მიგელი ვერ იყო კარგ ხასიათზე. რად დასჭირდა სიტყვაძვირ ფრანსისკოს ამ მინაწერებისა და განმარტებების გამოსაგონებლად თავის შეწუხება? ხომ არ დაბადებია სახიფათო იდეა Caprichos-ის გამოქვეყნებისა?

რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე მიგელი, მით უფრო უღრმავდებოდა შიში, უქვევლია გენიალურ სულელს, გოიას გადასდებოდა კინტანას გიჟური ფანატიზმი. მიგელი თავს იტეხდა იმის ფიქრით, თუ როგორ დაეხსნა მეგობარი ამგვარი დამღუპველი უჯუნურობისაგან.

ერთადერთი ვისაც შველა შეეძლო, იყო ლუსია.

მიგელის დამოკიდებულება ლუსიასთან ძველებურად ორაზროვანი იყო, როცა მან ლუსიას უთხრა, გადადგომა გადაწყვიტე, რადგან მეტად აღარ მინდა მანუელის ძირგამომთხრელი პოლიტიკის

მონაწილე ვიყო, ლუსიამ ანუგეშა, ჭკვიანურად, თავაზიანად, მაგრამ უგულოდ. შესაძლოა მან პეპასაგან ან მანუელისაგან უკვე იცოდა ეს ამბავი.

ლუსიას გულწრფელად სწყინდა მიგელის უთანხმოება მანუელთან, რამაც მას მიუძღოდა ბრალი. გეგმას აწყობდა მათ შესარიგებლად. მაგრამ ახლა კი არა, მომავლისათვის. უკანასკნელ თვეებში მანუელს ჰყავდა გამოცდილი პატრიოტი და საიმედო მრჩეველი—აბატი.

ღიას, დიდ ინკვიზიტორსა და პირველ მინისტრს შორის შეთანხმება არ დარღვეულა, აბატი მონასტრიდან გამოუშვეს. ეს იმას როდინიშნავდა, რომ წმინდა სამსჯავრომ განაჩენი გააუქმა, არამედ ინკვიზიციის ნიშნულები მას ვერ ამჩნევდნენ, სანტას მწვანე შიკრიკები გვერდს უვლიდნენ, და რაკი ჭერ კიდევ ვერ ბედავდა მეფის რეზიდენციაში გამოჩენას, მანუელი არწმუნებდა, რომ შეეწლო ფარულად ჩასულიყო სატახტო ქალაქში, სანამ მეფის კარი ჭერ კიდევ არ დაბრუნებულიყო მადრიდში. სწორედ ახლა, როცა მანუელმა თავისი მიგელი დაკარგა, მას გვერდით აბატისთანა ნიჭიერი კაცი ესაჭიროებოდა.

ზიგელმა, რა თქმა უნდა, იცოდა საქმის ვითარება. მას ღრმად სტკენდა გულს ის გარემოება, რომ მანუელმა და ლუსიამ ის ჩამოიცილეს და აბატი ამჯობინეს მის თავს.

ახლა გოიას გამო სასურველი საბაბი მიეცა გულახდილად ესაუბრა ლუსიასთან.

მას შემდეგ, რაც მან ლუსიას Caprichos-ის სიახლე და ამალელებელი დიდებულება საქმის ცოდნით გააცნო, გაუმჟღავნა აგრეთვე გოიას სულელური განზრახვა — ფურცლების გამოქვეყნებისა და მოჰყვა ჩივილს იმის თაობაზე, თუ რა სულელები არიან ადამიანები, ხოლო განსაკუთრებით კი ნიჭიერები. ლუსიამ კვერი დაუკრა. ბოლოს მის თხოვნაზე დაჰპირდა, ვეცდები, გოიას ამ სისულელეზე ხელი ავადებინო.

ლუსია გოიასთან წავიდა.

— ყური მოვკარი, თქვენ შესანიშნავი ოფორტების მთელი წყება დაგიწადებიათ. თქვენის მხრივ არ არის კარგი, რომ ამას ძველ მეგობრებს უმაღავთ.

გოია აღშფოთებული იყო მიგელის თავშეუკავებლობით და ენაჭაბრტლობით. მაგრამ განა თვითონ მან არ უჩვენა ოფორტები კაეტანას? ლუსიამ პირდაპირ ჰკითხა, თუ როდის შეეძლო Caprichos-ის

ნახვა. ამასთანავე, ის მარტო არ აპირებდა მოსვლას, — თან მოიყვანდა ერთ მათს საერთო მეგობარს.

— ვის? — უნდობლად ჰკითხა გოიამ. მას ეგონა, პეპას მოიყვანდა და მისთვის არ უნდოდა სურათების ჩვენება.

მაგრამ ლუსიამ უთხრა:

— მე მინდოდა თქვენი ახალი ოფორტი აბატთან ერთად მენახა.

შემცბარმა გოიამ ჰკითხა:

— დონ დიეგო აქ არის? მაშასადამე მას...

— არა, მას ნება არა აქვს. მაგრამ აქ არის. — უპასუხა ლუსიამ.

გოია დაიბნა. თუ ის მსჯავრდადებულ მწვალებელს, რომლის აუტოდაფეს თვითონ დაესწრო, თავის სახლში შესვლის ნებას მისცემს, ეს წმინდა სამსჯავროს უდიდესი თავხედური გამოწვევა არ იქნება? ლუსია ხედავდა მის დაბნეულობას. მისი წვრილი მოელმო თვალები გოიას პირდაპირ სახეში შესცქეროდნენ, მის გრძელ ტუჩებზე ძლივს შესამჩნევმა ღიმილმა გაითამაშა.

— თქვენ ინკვიზიციის ჯაშუშად მიგაჩნევიან? — ჰკითხა მან.

გოიამ წუთით მართლაც იფიქრა, რომ მისი ინკვიზიციის ხელში მიცემა სურდა ლუსიას. განა მან არ გახვია უბედურებაში ხოველიანოსი თავისი დამლუპველი ავხორცობის გამო? მაგრამ ეს ცხადია, სისულელეა, აგრეთვე სისულელეა მისი ყოყმანი აბატთან შეხვედრაზე. თუკი აბატს მადრიდში შეეძლო გამოჩენა და ხელს არ ახლებდნენ, ძნელი საფიქრებელია, რომ მას, ფრანსისკოს, რაიმეს ეტყოდნენ. თუ აბატს კარში არ გააგდებდა. ლუსიასთან ყოველთვის მსგავსი რამ ემართებოდა: სწორედ მისი თანდასწრებით ვარდებოდა სასაცილო მდგომარეობაში; ასე მოხდა პრადოზე. მათი პირველი შეხვედრის დროს.

ახლა, როცა მან თავისი საკუთარი და ესპანეთის დიდი შიში დასცლია და Caprichos დახატა, ქალს თავი ისევ წვრილმან, სასაცილო მშიშარად აჩვენა.

— „Carajo!“ შეიგინა გუნებაში გოიამ.

ამასთანავე, უნდოდა ლუსიასთვის ეჩვენებინა თავისი სურათები. მიუხედავად მტრული უნდობლობისა, გოია გაურკვეველ მიზილულობას გრძნობდა მისდამი. მათ საერთო ჰქონდათ ის, რომ მანაც გოიასავით, დაბალი წრიდან გამოსულმა და შემდეგ ამადლებულმა, უბრალოება არ დაკარგა და ამაში იყო მისი ძალა.

გოია დარწმუნებული იყო, რომ ის Caprichos-ს უფრო ღრმად გაიგებდა, ვიდრე სხვა რომელიმე მისი ნაცნობი ქალი. დიახ, მას ეგონა, რომ შურს იძიებდა კაეტანაზე თუ ლუსიას აჩვენებდა ამ სურათებს.

— გეთაყვა, დონია ლუსია, — მწრალად უთხრა მან, — გადაეცით დონ დიეგოს ჩემი სალამი, — პატივი დამდეთ და ერთად მობრძანდით ჩემთან ოთხშაბათს, დღის სამ საათზე, ჩემს ატელიეში კალიე დე სან ბერნარდინოზე.

აბატი როცა ლუსიასთან ერთად მოვიდა, დიდად შეცვლილად არ გამოიყურებოდა. ეცვა უბრალო, ძალზე ელეგანტური ტანსაცმელი. უკანასკნელ ფრანგულ მოდაზე შეკერილი და ცდილობდა ისევე თავისუფლად. კვიანად, გონება მახვილად და ოდნავ ცინიკოსად ეჩვენებინა თავი, როგორც ის ყოველთვის იყო.

მარტო გოია ხედავდა, როგორ უძძიმდა ეს მას და თვითონაც თავს უხერხულად გრძნობდა, მან შეამოკლა შესავალი სიტყვა და საჩქაროდ ამოაწყო სკივრიდან ოფორტები.

დონია ლუსია და აბატი Caprichos-ს ათვალეირებდნენ, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც გოიას წინასწარ ჰქონდა წარმოდგენილი. ლუსიას სახეს ნიღაბი ჩამოშორდა, მასზე გამოიხატა ფანატიკური თანხმობის ნიშანი. მთელი თავისი ვნებიანობით ამოზიდა მან ფურცლებიდან გამომდინარე მგზნებარე სიცოცხლე და მის ანარეკლს უკანვე აფრქვევდა.

აბატი ათვალეირებდა ოფორტების პირველ წყებას, რომლებიც „სინამდვილეს“ გამოხატავდნენ და როგორც ხელოვნების ჰემმარიტმა მცოდნემ, კვიანური შენიშვნები გამოთქვა ტექნიკის თაობაზე. მაგრამ შემდეგ, როცა ფურცლები სულ უფრო გაბედული და ფანატიკური ხდებოდა, დადუმდა და მისმა სახემაც ლუსიასავით თანდათან მიიღო თავდავიწყებული გატაცების გამომეტყველება.

ახლა ისინი ორივე დაჰყურებდნენ იმ ოფორტს, რომელზედაც ერთიმეორეზე მიკრული წყვილი იყო გამოხატული, რომელთა თავებში ბრჭყალები ჰქონდა ქოტის ჩაღვლებული. „ვერავენ გამოგვიხსნის?“ — ასე უწოდა გოიამ სურათებს. დიდი კმაყოფილებით უყურებდა ფრანსისკო, როგორ ხარბად მიშტერებოდნენ ლუსია და აბატი ამ თავიანთ ბედის გამომხატველ ფურცელს, შემდეგ, როცა ესენი დანარჩენ ოფო-

რტებს ათვალეირებდნენ, ამ სამს შორის ერთი გამოუთქმელი ურთო ერთგაგება დამყარდა.

ბოლოს გოიამ თავისი სიხარული განზრახ უხეშად შენიღბა და თქვა:

— ახლა კმარა! — და ნახატების აკრეფა დააპირა.

— ნუ, ნუ, — წამოიყვირა ბავშვივით თავშეუკავებლად აბატმა და ლუსიაც არ აპირებდა ამ ფურცლის შელევას, რომელიც ხელთ ეპყრა.

— მე შეგონა, რომ ეს ბრბო საბოლოოდ გამოვიცანი, — თქვა ლუსიამ, — მაგრამ მხოლოდ თქვენ გამოავლინეთ თვალსაჩინოდ სისულელისა და საზიზღრობის საშინელი ურთიერთშერწყმა.

ლუსიას შეაყრეოლა.

— Mierda! — აღმოხდა მას. საოცარი იყო წარჩინებული მანდილონის ნატაფ ბაგეთაგან მოწყვეტილი ასეთი უწმაწური სიტყვის მოსმენა.

აბატმა მიუთითა ოფორტის ნომერს და თქვა:

— მხოლოდ სამოცდათექვსმეტი ნახატი? არა, ისინი ათასობითაა! ეს მთელი ქვეყანაა! აქ არის ესპანეთი მთელი თავისი სიდიადითა და მთელი თავისი უბედურებით!

გოიამ ახლა კი დაავლო ხელი სურათებს და სკივრში გადაუძახა.

აბატი სკივრს გაოგნებული, დაბნეული გამომეტყველებით მიშტერებოდა. გოიას ესმოდა, რაც მის გულში ხდებოდა. მან ხომ იხილა აბატი მაშინ მუხლმოყრილი ტარაგონის ტრიბუნალის წინაშე. Caprichos ყველა დამცირებულის შურისძიება იყო და თვით აბატის შურისძიებაც; ამ Caprichos-ით თვითონ ისიც გაჰყვიროდა და პირში ახლიდა ამა ქვეყნის ძლიერ თავის ზიზღსა და სიძულვილს.

აბატმა წყნარად, ნელა და გრძნობით თქვა:

— ძნელი წარმოსადგენია, ეს სურათები ქვეყნად არსებობდეს, მაგრამ ქვეყნისათვის კი — არა.

გოიასაც წამსვე გადაედო აბატის მხურვალე სურვილი, რომ მთელ ქვეყანას დაენახა გაშიშვლებული სახეები იმ ღვთისპირიდან გადავარდნილებისა, რომლებიც ღღეს ესპანეთს განაგებდნენ, როგორც მას ჰყავს გამოყვანილი აქ სკივრში ჩაკეტილ ფურცლებზე. აღრინდელზე უფრო ძლიერ იგრძნო ცდუნება Caprichos-ის. საქვეყნოდ ჩვენებისა.

— მე მათ გამოვაქვეყნებ! — ხმაჩახლგით თქვა მან. მაგრამ აბატი

გონს მოეგო, დაუბრუნდა ამ სახელოსნოს და ქალაქ მადრიდის სინამ-
ღვილეს და ძალდატანებულად უთხრა:

— თქვენ, რა თქმა უნდა, ხუმრობთ, დონ ფრანსისკო.

გოია ყურადღებით დააკვირდა მის სახეს და ელეგანტურ ნიღაბს
მიღმა დაინახა მიცვალებულის სახე. დიახ, ეს კაცი ცოცხლებში აღარ
ერია. ახლა დადიოდა იქით-აქეთ, ფარულად, უნებართვოდ, შერისხული,
იმავე მადრიდში, სადაც ადრე ყოველ სალონში ბრწყინავდა და ყოველ
თელსაჩინო პოლიტიკურ მოკლენაზე გავლენას ახდენდა, და ცო-
ცხლობდა მხოლოდ იმ ქალის სიბრალულითა და მოწყალებით, რომ-
ლისთვისაც თავი გაინაღგურა.

მის წინ იჯდა მიცვალებული, და ცდილობდა რაც შეიძლება ძალ-
დაუტანებლად. გულთბილად ესაუბრა. გოიამ ახალი Capriccio დაინახა:
ნახევრად გახრწნილი მიცვალებული მოხდენილად მიყრდნობია კლავე-
სინს და სიგარას აბოლებს.

ის რაღაც შიშს გრძნობდა ამ კაცის წინაშე, რომელიც ცოცხალივით
ზიმოდიოდა, მაგრამ მიცვალებული კი იყო.

— ვერ გავიგონე, — დაბნეულად უპასუხა გოიამ. |

ლუსიამ უკმაყოფილოდ, მაგრამ სერიოზულად ჩაახედა სახეში.

— აბატი გირჩევთ, გონს მოეგოთ.— უთხრა მან ძალზე გარკვევით.

გოია წაისვევ გაერკვა საქმის ვითარებაში. მიხვდა, ლუსიას აბატი
იმისათვის მოეყვანა, რათა გოიას თავისი თვალით დაენახა, როგორი
იყო მარტვილთა ბედი. ლუსიას გაფრთხილება დროული იყო. გოია
ბავშვივით იქცეოდა. კინტანას ლექსმა „დიდება ესპანეთს“ მას თავბრუ
დაახვია და პატივმოყვარეობამ გონება უკან მოიტოვა. უნდოდა თავისი
„დიდება“ ხელშესახები გაეხადა. მან დაიმსახურა ლუსიას სასტიკი გა-
მოხედვა და საყვედური. კარგი ქნა, რომ დონ დიეგო მასთან მოიყვანა,
დაე. მისმა დანახვამ ბებერი, მაგრამ ჯერ კიდევ უჭკუო თავი გამოაფ-
ხილოს.

და თქვა უბრალოდ: „დიახ, მართალი
ბრძანდებით“. შემდეგ აბატსაც ასე
შეეხშიანა.

ხოლო წასვლის წინ

ლუსიამ სკივრზე თავისი მზერა

შეაჩერა და მეტად მკაფიოდ,

რომ გაეგონა გოიას უკეთ,

წარმოთქვა ჩუქად: „გოიავ, თქვენი

ზადლობელი ვარ, რადგან ამ ქვეყნად
ეს საოცრება არსებობს, მე კი
ალარ მრცხვენია ვიწოდებოდე
ესპანელ ქალად".
და შემდეგ იქვე,
დიეგოს თვალწინ,
მიუახლოვდა და დაეწაფა
მხურვალედ, ურცხვად,
გოიას ტუჩებს.

26

ექინმა პერალმა ერმიტაში მოინახულა გოია. ფრანსისკო მიხვდა, რომ იგი საგულისხმო ვითარებამ მოიყვანა.

— მე თქვენ რაღაც უნდა გაცნობოთ, — მართლაც უთხრა პერალმა რამდენიმე შესავალი სიტყვის შემდეგ, — ვყოყმანობდი. არ ვიცოდი, მეთქვა თუ არა; შესაძლოა ვცდები, რომ გეუბნებით, მაგრამ თქვენნება დამრთეთ დონია კაეტანა თქვენი თვალით დამენახა კაპრაიხოზე, და ალბათ გახსოვთ, რომ მოწმედ გამიხადეთ, როცა დონია კაეტანას აზრი გინდოდათ გაგეგოთ იმ პორტრეტზე. ვფიქრობ, შემიძლია ვთქვა, რომ მე და თქვენ დუეესიტას ახლო მეგობრები ვართ.

გოია დუმდა, მისი ფართო სახე მოლუშული იყო, ის ელოდებოდა. პერალი გაუბედავად და მიკიბულ-მოკიბულად განაგრძობდა ლაპარაკს. რეგიმჩნევიათ თუ არა უკანასკნელ ხანებში მცირეოდენი ცვლილებანი კაეტანას ხასიათშიო? — ჰკითხა პერალმა. „აჰა, — გაიფიქრა ფრანსისკომ, — კაეტანას გაუგია ჩემი და აგუსტინის ოინი და პერალი მოვიდა ჩემ გასაფრთხილებლად“.

— დიახ, — უთხრა მან. — დონია კაეტანა ბოლო დღეებში რაღაც შეცვლილად მეჩვენა.

— დიახ, შეცვლილია. ის ფეხმძიმედაა. — თითქოსდა არაფერი იყო, უთხრა პერალმა.

გოია თავის თავს შეეკითხა სწორად გაიგო თუ არა, თუმცა იცოდა, რომ სწორად გაიგო, „Esta prenada“, თქვა პერალმა. „Palabra prenada — ფეხმძიმე, მძიმე, დამძიმებული“ — ფიქრობდა გოია სულელივით.

გულში ცეცხლი უტრიალებდა, მაგრამ თავს იკავებდა. პერალს ეს არ უნდა ეთქვა, ფრანსისკოს ასეთი რამის ცოდნა არ სურდა, არ სურდა

მისთვის გაეზიარებინათ კაეტანას ინტიმური ცხოვრების ულამაზო მხარე, მაგრამ პერალი განაგრძობდა უსიანიონენო გულახდილობას; ახლა დაუწერა კიდევაც: „წინათ ამგვარ შემთხვევებში ღონია კაეტანა დროულად ზრუნავდა მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, მაგრამ ამჟერად პირველ ხანებში, როგორც ჩანს, უნდოდა შვილის გაჩენა, ხოლო შემდეგ კი გადაიფიქრა. თუ ის თავის გადაწყვეტილებაზე ხელს არ აიღებს, ვფიქრობ, რომ ქირურგიული ჩარევა მეტად დაგვიანებული და სახიფათოა“.

გოიამ წაიკითხა.

— რატომ მატყობინებთ მე ამას? — გულმოსულად იკითხა მან.

პერალმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ შეხედა მას. გოია წამსვე მიხვდა, რომ ის მისი, ფრანსისკოს, შვილი იყო. მისი ბავშვის დაბადება სურდა კაეტანას. მაგრამ ახლა კი გადაუფიქრებია.

პერალმა დაუწერა: „ქარგი იწნება, ღონ ფრანსისკო, რომ თქვენ დააჯერებდეთ ღონია კაეტანას, და ხელს ააღებინებდეთ საშიშ გადაწყვეტილებაზე.“

გოიამ ჩახლეჩილი, მაგრამ ძალზე მალალი ხმით თქვა:

— ჩემი საქმე არ არის მისი ბრწყინვალეობა კაეტანა ფონ ალბას გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა. მე ეს არასოდეს მიქნია და არც ვიზამ.

ის უაზროდ, მექანიკურად ფიქრობდა: **Prenada, palabra, prenada**— ფეხმძიმე, მძიმე, დამძიმებული... მან ბოლო მოუღო თავის ქმარს, ბოლო მოუღო ჩემს ელენს, ბოლოს მოუღებს ამ ჩემს შვილსაც“. ძალიან ხმაძალდა კი თქვა:

— მე მას არაფერს არ ვეტყვი. კრინტსაც არ დავძრავ ამის თაობაზე.

პერალი ოდნავ გაფითრდა. დაუწერა: „გთხოვთ გაიგოთ, ღონ ფრანსისკო, რომ ოპერაცია საშიშია“. გოიამ წაიკითხა, მხრები აიჩეჩა.

— არ შემიძლია, ექიმო, მასთან ლაპარაკი, — თქვა მან საცოდავად და მისი სიტყვები მობოდიშებასავით ეღერდა, — მე ეს არ შემიძლია. ექიმ პერალს მეტი აღარც უთქვამს და აღარც დაუწერია რაიმე. ამოხია რვეულიდან ფურცელი და ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯა.

— მაპატიე, ღონ ხოაკინ, ჩემი უხეშობა, — უთხრა გოიამ. ამოაწყო სკივრიდან კაპრიჩოები. ამოარჩია მათში ორი ფურცელი. ერთზე გამო-

ხატული იყო სამი მამაკაცის თავზე, როგორც ღრუბელზე, შემდგარი კაეტანა, რომელიც ზეცისაკენ თუ ქვესკნელისაკენ კუდიანივით მიჰქრის, ხოლო მეორეზე—ორსახოვანი კაეტანა ვნებააშლილი საყვარელითა და ჯადოსნური კოშკით გარშემორტყმული.

— გნებავთ ეს ფურცლები, ექიმო? — ჰკითხა მან.

პერალი ყურებამდე გაწითლდა.

— გმადლობთ, დონ ფრანსისკო: — უთხრა მან.

რამდენიმე დღის შემდეგ პერალმა შემოუთვალა, რომ სასწრაფოდ ჩასულიყო მონკლოაში. გოია ჩავიდა, შეხედა პერალის სახეს, მიხვდა, რომ იმედი აღარ იყო.

ჩამოზნელებულ ოთახში, სადაც კაეტანა იწვა, მოსხურებული იყო სუნამო, მაგრამ მაინც ჰკარბობდა გულისამრევი ნყარალი სუნი, რომელიც მანდურიდან გამოდიოდა. მანდურის ფარდები ჩამოშვებული იყო. პერალმა ანიშნა ფრანსისკოს გადაეწია ისინი და შესულიყო. თვითონ კი იქაურობას გაეცალა. ფრანსისკომ ფარდა გადასწია. სარეცელს გვერდით უჭდა გამხდარი, გამშრალი, გაშვებული დუენია. ფრანსისკო სარეცელის ნეორე მხარეს დადგა.

კაეტანა სანთელივით გაყვითლებული სახით იწვა, ღრმად ჩაცვენილი თვალები დახუჭოდა. ფრანსისკოს ხშირად ეჩვენებოდა მისი მალა აწეული წარბები უზარმაზარ ჰიშკრის თალებად, მაგრამ, რაც ჰიშკარში ზდებოდა, ის მაინც ვერ გაეგო. ახლა სულითა და გულით უნდოდა დახუჭული სანთლის ქუთუთოები გაეხსნა. გოია იცნობდა მის თვალებს, რომლებშიაც ურთიერთმოწინააღმდეგე გრძნობათა ალიაქოთის გამოცნობა შეიძლებოდა, მაგრამ სიმტკიცე კი არ გააჩნდათ. მხოლოდ ახლა, უკანასკნელად რომ გაეხილა თვალი, გოია მათ სიმართლეს დაინახავდა.

ძალზე ცხადად. ისე ცხადად, თითქოს ხორცშესხმული იღგნენ ოთახში მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც გოიამ მოლაპარაკე ქვეყნიდან თავის სიყრუეში თან წაიტანა. მეხსიერებაში ჟღერდა ქალის სიტყვები: „მე მხოლოდ შენ მიყვარდი, ფრანჩო, მხოლოდ შენ, შე სულელო, ბებერო, უშნო, ერთადერთო მამაკაცი. მხოლოდ შენ ერთი, შე თავხედო მხატვარო. მხოლოდ შენ“. ამასთანავე. კაეტანამ იცოდა, რომ მისი სიყვარული ბოლოს მოუღებდა: ეს უწინასწარმეტყველეს გარდაცვლილმა ბრიგიდამ და ცოცხალმა ეუფემიამ.

კაეტანას შეგნებულად უყვარდა და შეგნებულად ეგებებოდა მო-

მკვდინებელ საშიშროებას. და გოიამ კი, მიუხედავად იმისა, რომ ქალ-
ნა ბევრეჯრ სთხოვა, ერთხელაც არ დახატა. მან ვერ შეძლო მისი და-
ხატვა. იქნებ იმიტომ არ დახატა, რომ არ უნდოდა უბედურება დასტე-
ხოდა თავს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აგერ იწვა და სულს დათავდა.

გოია გონებააფორიაქებული მიშტერებოდა მას. ძნელი საფიქრებე-
ლი იყო, რომ კაეტანა კვდებოდა, წარმოუდგენელი იყო, რომ ეს მხურ-
ვალე, თავისებური ამაყი გული ცემას შეწყვეტდა. გოია უბრძანებდა მას,
განძრეულიყო. ბოლოს და ბოლოს გაეხილა თვალი, ეცნო ის და დალა-
პარაკებოდა. ის ამას უცდიდა აუტანელი მოუთმენლობით. თავის გულ-
ში წყველიდა ქალს, რომ ძველებურად კირვეულობდა, თვალს არ ახელ-
და და არაფერს ამბობდა და მხოლოდ ყურს უგდებდა თუ, როგორ
ერთმეოდა ძალ-ღონე, როგორ ეცლებოდა ხელიდან სიცოცხლე, რო-
გორ უახლოვდებოდა აღსასრული.

გოია მოიცვა სიმარტოვისა და საშინელი განაპირების გრძნობამ.

ის და კაეტანა დაკავშირებულნი იყვნენ ისე, როგორც კი შეიძლება
ადამიანთა ურთიერთდაკავშირება, და რა უცხონი დარჩნენ ერთიმეო-
რისათვის! რა ცუდად იცნობდა კაეტანა მის მხატვრობას და რა ცუდად
იცნობდა გოია მას. მისი „ტანტალუსი“ სიცრუე იყო: მან თვალი არ
გაახილა, ისე კვდებოდა.

ნტრულად განწყობილი და გაჯგიმული ღონია ეუფემია მიუახლოვ-
და გოიას და დაუწერა: „დროა წაბრძანდეთ. ახლა უნდა მოვიდეს მარ-
კიზა ვილიაბრანკა“. გოია მიხვდა დუენიას სურვილს. მთელი წლების
ნანძილზე გოია სახელს უტეხდა კაეტანას, ახლა ღირსეული სიკვდილი
ნაინც უნდა ეცლია. კინალამ გაეცინა, ალბების ამ უკანასკნელ ჩამომა-
ჯალს თავხედი, გაბედული, დამცინავი სიტყვა უფრო შეჰფე-
როდა სიკვდილის წინ. მაგრამ აგერ იწვა ისეთი დასუსტებული, მყარად
ჰაერში, და მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა უფრო ღირსეული არ გახ-
დებოდა, გოიას ნაცვლად ვილიაბრანკების მთელი ღინასტიაც რომ დას-
წრებოდა მის სულის ამოხდომას.

დუენიამ ის კარებამდე მიაცილა.

— თქვენ გამოასალმეთ წუთისოფელს, ბატონო პირველო მხატვა-
რო. — უთხრა მან და თვალეზი განუზომელი ზიზლით აევსო.

პერალი დარბაზში იდგა. ორივე მაშაკაცმა უსიტყვოდ მდაბლად
დაუკრა თავი ერთიმეორეს. დარბაზში ჩქარი ნაბიჯით გაიარა მღვდელ-
მა ზიარებით. გოიამაც სხვებთან ერთად მუხლი ნოიყარა. კაეტანა ისე-

ვე დაინახავს მღვდლისა და ვილიაბრანკას მისვლას, როგორც გვიას მისვლა დაინახა.

ყოველგვარ მითქმა-მოთქმის მოყვარულ ხალხში სწრაფად გავრცელდა ხმა მოწინაველის თაობაზე. ყველა მიუთითებდა უცხოელზე, იტალიელზე, დედოფალზე, რომელსაც თითქოს მეტოქე მოეწამლოს.

სიძულვილი, რომლითაც ჰერცოგის გარდაცვალების შემდეგ კაეტანას უყურებდნენ, შეიცვალა თანაგრძნობით, სიყვარულითა და პატივისცემით. ხალხში დადიოდა გულისამაჩუყებელი ამბავი იმის თაობაზე, როგორ უბრალოდ და თავმდაბლად ესაუბრებოდა ყველას, თითქოს ნათი ტოლი ყოფილიყოს. როგორ თამაშობდა ხარებთან ბრძოლას ბავშვებთან ქუჩაში, როგორი ხალისითა და გულუხვად უწვდიდა ხელს ყოველ გაჭირვებულს, რომელიც მას მიმართავდა.

მის დასაფლავებას მთელი მადრიდი დაესწო. ისეთი დიდებული დასაფლავება მოუწყეს, როგორც ასეთი მაღალი წოდების ქალბატონს შეეფერებოდა, ვილიაბრანკებს არაფერი დაემუშრებიანთ, მაგრამ არც დარდით იკლავდნენ თავს, მხოლოდ სათნო დონია მარია ტერესას ეცოდებოდა კაეტანა, რომელიც ასეთი მშვენიერი იყო და ასე უღროოდ და ტრაგიკულად გამოესალმა წუთისოფელს. ქედმაღლური ზიზღით უყურებდა მოხუცი მარკიზა ხალხის მგლოვიარობას. კაეტანას უყვარდა ხალხი და ხალხს უყვარდა იგი. დონია მარია ანტონიას ცივი და ქედმაღლური გამომეტყველება ჰქონდა. ახლა თვით მას მოულო ბოლო იმავე ხელმა, რომლის მეშვეობითაც ამ ზნედაცემულმა გზაბნეულმა მისი საყვარელი ვაჟი გამოასალმა წუთისოფელს. მიცვალებულის წესის აგების დროს მოხუცი მარკიზა ოდნავ ამოძრავებდა ტუჩებს და მისი სიტყვები ღეთისსადიდებელი როდი იყო.

თავისი უკანასკნელი ნება-სურვილით კაეტანა ფონ ალბამ გულუხვად უანდერძა ქონება ღუენია ეუფემიას. მოახლე ფრუელას, მისი უამრავი ადგილ-მამულის ურიცხვ მსახურებს და არ დავიწყებია ტაკიმას-ხარა პადილიაც კი. ეს ანდერძი იყო ფულადი თანხები, ხანდახან ძალზე დიდი, გათვალისწინებული ისეთი ადამიანებისათვის, რომელთაც კარგად არც იცნობდა. სტუდენტებისათვის, რომლებიც მას ერთხელ შეხვედრიან სადმე, ნახევრად გამოთავყვანებული, გამოსულელებული მათხოვარი ბერისათვის, რომელიც თავის სიცოცხლის დღეებს მის მამულში ამთავრებდა, ნაბიჭვისათვის, რომელიც მის სასახლეში ეპოვათ, რამდენიმე მსახიობისა და ტორეადორისათვის. ნეფის პირველ

მხატვარს ფრანსისკო დე გოია ი ლუსიენტეს დონია კაეტანამ ერთი უბრალო ბექედი დაუტოვა და მეტი არაფერი. მის შვილს ხავეერს კი პატარა რენტა. სამაგიეროდ მისმა ექიმმა პერალმა მიიღო ნახევარი მილიონი რეალი, აგრეთვე ანდალუზიაში მამული და რამდენიმე იმ-ვიათი სურათი. დონია მარია ლუიზა გულდაწყვეტილი იყო, რომ სამ-კაულები, რაც მას ალბასათვის შურდა, ახლა მოახლეებსა და შინაყმებს უნდა დარჩენოდა, ვინაიდან კაეტანამ ჩვეულებას უღალატა და არა-ფერი დაუტოვა კათოლიკე მბრძანებელს. დონ მანუელსაც გაუტრუვდა იმედი. მას ეგონა, მთავარი მემკვიდრე მარკიზა დე ვილიაბრანკა ხელ-საყრელ პირობებში გაუცვლიდა ალბას გალერეის სურათებს. მაგრამ ახ-ლა სურათები გადადიოდა საზიზღარი, თავის უსულგულობით ცნობილ ექიმ პერალის ხელში.

როგორც დედოფალს, ისევე პირველ მინისტრს ძალზე ესიამოვნათ როცა გაიგეს, რომ დონ ლუის მარია მარკიზი დე ვილიაბრანკა, ამჟამად მეთოთხმეტე ჰერცოგი ალბა, ასაჩივრებდა, რომ დონია კაეტანა მიწ-დობი იყო და განსაკუთრებით უხვად დაჯილდოებულმა პირებმა: ექიმ-მა, დუენიამ და მოახლე ფრუელამ მას ანდერძი მოხერხებულად დასტ-ყუეს. აგრეთვე ჰერცოგის მეუღლის უეცარი გარდაცვალებაც ექვს იწ-ვევდა. ვარაუდობდნენ, რომ ხარბმა მგზნებარე კოლექციონერმა, მას შემ-დეგ, რაც ანდერძში თავისი ადგილი ეშმაკურად დაიკავა, მემკვიდრეობის დროულად მიღების მიზნით, ჰერცოგის მეუღლის თავიდან მოცილება გადაწყვიტა და ბოლო მოუღო მასო.

დედოფალმა ივარაუდა, ექიმის წინააღმდეგ აღძრული საქმე სწრა-ფად აღკვეთავდა სულელურ მითქმა-მოთქმას, რომელიც მის უბრწყინ-ვალესობას კაეტანას სიკვდილს უკავშირებდა. მან დაავალა დონ მა-ნუელს, პირადად მიეღო ზომები მისი პირველი სეფექტალის გარდაცვა-ლების მიზეზისა და ანდერძის ვითარების გამოსარკვევად.

აღიძრა საქმე ექიმ პერალის, დუენიასა და მოახლე ფრუელას წინააღმდეგ, რომელთაც ბრალი ედებოდათ *Catration de herencia* — მემკვიდრეობის თაღლითურად მითვისებაში, ბრალდებულები დააპა-ტიმრეს, ხოლო ქონებას ყადაღა დაადეს. მალე დამტკიცდა, რომ დონია კაეტანას ნებისყოფაზე ძალდატანებით იმოქმედეს. ანდერძი ყალბად იქნა მიჩნეული. დაპატიმრებულთა საქმე ძიებაში იყო.

ქონების დიდი ნაწილი ახლა ჰერცოგ ალბას ხელში გადავიდა. მან შესთავაზა დონ მანუელს გარდაცვლილის გალერეიდან სურათი აერჩია

და შემკვიდრების საქმის გამოკვლევაზე გაწეული მზრუნველობისათვის მადლობის ნიშნად მიეღო მისგან. თუმცა რამდენიმე სურათი, რომლებიც ინფანტს მოსწონდა, უგზო-უკვლოდ გამქრალიყო. დონია მარია ლუიზას, რომელმაც იოწყალება მოილო გამოერკვია დონია კაეტანას საიდუმლოებით მოცული სიკვდილის მიზეზი, ახლა ჰერცოგი ალბა უმორჩილესად სთხოვდა. კეთილენება და გარდაცვლილის მოსაგონებლად მიეღო ზოგიერთი დარჩენილი სამკაული.

და კაეტანას ბევრი სურათი
მალე გამოჩნდა გაღვრებში
მანუელისა. ხოლო დედოფლის
ყელზე, თითებზე ციმციმი იწყეს
ბეჭდებმა, თვლებმა, ქინძისთავებმა,
ყელსაბამებმა — ჰერცოგი ალბას
უმიღდრესი და სახელგანთქმული
საგანძურადან.

27

მეგობრებმა ვერ მოახერხეს გოიას დაყოლიება, რომ მათთან ესაუბრა კაეტანას სიკვდილის თაობაზე მწუხარების გასაქარვებლად. ეშინოდათ, კვლავ არ დასცხრობოდა თავს შავი მელანქოლია. მაგრამ ბედმა შეიბრალა და უვნებელი გადაჩა.

დაღვრემილი, უსიტყვოდ იჯდა, ან მიდი-მოდიოდა კინტას ცარიელ კედლებს შორის, ცდილობდა თავის გონებაში წარმოედგინა ცოცხალი კაეტანა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მის მეხსიერებაში დარჩენილიყო მხოლოდ ფიქრებში წასული სანთელივით გაფითრებული მომაკვდავის სახე და მის ირგვლივ მდგომი მყრალი სუნი. უკანასკნელადაც გაიტანა თავისი სიჯიუტე, თვალი არ გაახილა. გოიას ბოღმა კაეტანას სულში არსებული გამოუცნობი უფსკრულების გამო შენელდა მისი უეცარი სიკვდილის წინა თვეებში; ახლა კი, როცა ის უკვე აღარ იყო, კვლავ შემოაწვა გულს განახლებული სიმძაფრით.

გოია სეირნობდა თავის ვრცელ ბაღში დარბაისლური გამომეტყველებით, შუბლზე ჩამოწეული ბოლივარით, ხელში ლამაზი ბამბუკის ჯოხით, არაგონულად შემართული, შავ ფიქრებში წასული, კაეტანა აღარ იყო, ნამდვილად აღარ იყო, მან ეს იცოდა. მას არ სწამდა ნღვდლები, არც ზეცა, არც ჯოჯოხეთი, მისი ზეცა და ჯოჯოხეთი ამქვეყნიური

იყო. რაკი კაეტანა ქვეყანაზე აღარ იყო, მაშასადამე, აღარც სადმე არსებობდა.

კაეტანასაგან არაფერი დარჩა აქ და ეს თვით გოიას ბრალი იყო. მის ნიერ დახატული პორტრეტები მხოლოდ საცოდავი, უბადრუკი ჩრდილები იყო. რომლებიც ვერ გამოხატავდნენ ქალის დიდებულებას; თვით ავუსტინის დაუხელოვნებელი პორტრეტი უფრო ახლო იყო თავის ორიგინალთან. მისი, ფრანსისკოს, ხელოვნება კი უსუსური აღმოჩნდა. ყველაზე ნამდვილი მაინც კაპრიჩოზე იყო. მაგრამ კაეტანა მხოლოდ ჯადოქრული სახით გადმოსცა და მისთვის დამახასიათებელი ბრწყინვალე, მომაჯადოებელი თვისებების ნატამალიც კი არ ჩანდა გოიას შესრულებულ სურათებსა და პორტრეტებში.

„მკვდრები ცოცხლებს უხელონ თვალბსო“, ამბობენ ადამიანები, მკვდარმა კაეტანამ კი არ აუხილა მას თვალი. გოიას არაფერი გაეგება მისი, არც გაეგებოდა და ვერც გაიგებს ვერასოდეს. არც კაეტანას გაეგებოდა მისი. არც ერთი ქალისათვის არ ყოფილა ასე უცხო მისი ხელოვნება, „უგემოვნო და უხეში“. შესაძლოა Caprichos-ს მიუძღოდან ბრალი იმაში, რომ კაეტანამ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება და დაბედბამდე მოსპო მისი შვილი.

გოია ცდილობდა სამართლიანი ყოფილიყო მისდამი. ცხადია, პირველი დანახვისთანავე შეიძულა მან გოია, მაგრამ გოიამაც პირველი დანახვისთანავე. როცა კაეტანა თავის ესტრადაზე იხილა, მაშინვე შეიძულა ის. ვერასოდეს ვერ გაუგო მას და არც ახლა ესმის. ყოველთვის, თვით მგზნებარე წუთებშიაც კი, გოიას ვნება ზიზღთან იყო შერეული. თავმოძმინარებულ გოიას კაეტანამ სიყვარულის სიტყვები უთხრა; ხოლო მას კი მკვდრისათვისაც ვერ ეთქვა, რომ ის უყვარდა.

ის დასტიროდა თავის თავსაც და ქალსაც. თვალებიდან მოგორავდა უბადრუკი, უღირსი ცრემლები: ისინი ვერაფერს რეცხდნენ, ვერც მის სიძულვილს და ვერც სიყვარულს.

სულმდაბლობა იყო უმწეო გარდაცვლილის ძაგება. მან პირჯვარი გადაიწერა ატოჩის წმინდა ქალწულის იმ ხის ქანდაკების წინაშე, რომელსაც კაეტანამ მაშინ, პირველ დამეს, მანტილია გადააფარა, რათა ყოვლად წმინდას მისი ცუდი საქციელისთვის არ ეყურებინა. ის ლოცულობდა:

— და მიუტევე მას ცოდვები, როგორც ჩვენ შევეუნდობთ ხოლმე

ჩვენს მოვალეებს. — მისი ლოცვაც სულმდაბლური იყო, ვინაიდან თვითონ ის არაფერს მიუტევებდა კაეტანას.

მის სულშიაც ასეთივე სიცარიელე იყო, როგორც კინტაში. აქამდე მისი ცხოვრება დღელდა და გადმოდრიდა ახალ-ახალი წამოჭრილი სურვილებითა და საქმიანობით. მას აღარაფერი იტაცებდა, არც გართობა, არც ქალები, არც სმა-ჭამა, არც პატივმოყვარეობა, არც წარმატება და არც თვით მუშაობა. საღებავებისა და ტილოს სუნიც კი სევდას ჰგვრიდა. მისთვის ყველაფერი დასრულდა, მისი ხელოვნებაც და კაეტანაც. სათქმელი ნათქვამი იყო. დამზადებული, დანუშავებული Caprichos სკივრში ეწყო.

თუმცა კაეტანა ჯერ კიდევ აწუხებდა. მას გულს უღრღნიდა ის უსამართლობა, რომელსაც დედოფალი და დონ მანუელი მიცვალებულისადმი სჩადიოდნენ, როცა მოაგონდებოდა, რომ ექიმი და ღუენია ციხეში ისხდნენ, რომ კაეტანას ხსოვნა ცუდი ხმებით იბღალებოდა, ბრაზი ახრჩობდა. მხოლოდ მას ჰქონდა უფლება გარდაცვლილისადმი უსამართლო ყოფილიყო და სხვას კი არავის.

აწუხებდა ისიც, რომ Caprichos-იც არ იყო დასრულებული. „ხელოვნება კარგავს თავის აზრს, თუ ქმედითი არაა“, თქვა კინტანამ. ეს მართალი იყო. თუ ვინმე თავის ნაწარმოებს მნახველს დაუმალავდა, იგივე იქნებოდა, ქალს რომ დაბადებამდე მოეხრჩო თავისი შვილი.

სიამოვნებას ჰგვრიდა იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდებოდა, ოჯორტები რომ გამოექვეყნებინა. ხანდახან, როცა ვინმე არაჩვეულებრივ სიმამაცეს გამოიჩინდა, ეს ქვეყნის მმართველებს დაარეტიანებდა და დამბლას დასცემდა. აღრინდელ ახალგაზრდა გოიას ნიიზიდავდა კიდევ ასეთი დიდი გამბედაობა. თუ ახლა ის მთელი ქვეყნის დასანახავად გამოხატავდა თავის აზრს კაეტანას შეურაცხყოფლებისადმი, იქნებოდა თუ არა ეს გამოსყიდვა იმ დანაშაულისა, რაც თვითონ ჩადინა მიხლამი? იქნებოდა კი ეს მიცვალებულისათვის შეწირული ნსხვერპლი? შესაძლოა მაშინ კაეტანამ კიდევაც შეიგნოს, თუ რას წარმოადგენს მისი „უგემოვნო“ Caprichos და მის მკვდარ ბრიგიდასთან ერთად მკვდარი თავის ქალა ამაზე იმტვიროს.

ცხადია Caprichos-ის განოქვეყნება უგუნურობა იქნებოდა; ეს მას სხვებმაც ურჩიეს და თვითონაც დაბეჯითებით დაუმტკიცა თავის თავს. მაგრამ ნუთუ ის იმდენად დაბერდა და იმდენად უსისხლო გახდა, რომ მხოლოდ გონების კარნახით იმოქმედოს? ნუთუ ისიც აბეზარ მი-

გელად იქცა? მას არ შეჰფეროდა Caprichos დედაბერივით ლაჩრულად დაემალა ერმიტაში.

გოია საქმეში გართულ აგუსტინს თავს წაადგა.

— ეუბრძანე ეტლი გაამზადონ. ჩემთან წამოხვალ. ჩვენ კინტაში გადმოვიტანთ Caprichos-ს.

გაოცებულმა აგუსტინმა დაინახა მისი სასტიკი, გადაწყვეტილების გამომეტყველი სახე და შეკითხვა ველარ გაბედა.

ისინი უსიტყვოდ მივიდნენ კალიე სან ბერნარდინოზე, ავიდნენ ერმიტას კიბეზე და ძლივძლივობით გამოათრიეს ქუჩაში გაოცებული მობინადრეების თვალწინ ფიცრები, სურათები, გრაფიურები, სკივრი, ბოლოს კი მძიმე პრესი და ეტლში შეჰყარეს. მრავალჯერ დასპირდათ დამრეც, ვიწრო კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა, ვიდრე ყველაფრით დატვირთავდნენ ეტლს. მსახურმა ანდრესმა მოხმარება მოინდომა, მაგრამ გოიამ გულმოსულად მოიშორა. უკან დაბრუნების დროსაც ის ჩუმად და მოღუშული იჯდა და სკივრს თვალს არ აცილებდა. შემდეგ აგუსტინის დახმარებით ყველაფერი კინტას სახელოსნოში შეიტანა. აქ ისე დადგა სკივრი კედელთან, რომ ყველას თვალში მოხვედროდა.

მოდიოდნენ მნახველები: ჰერცოგის მეუღლე ოსუნი, მარკიზი დე სან ადრიანი და სხვები, რომელთაც თავი გოიას ახლობლად შეეძლოთ მიეჩნიათ. გოია მათ ცნობისმოყვარეობას აღვივებდა.

— თქვენ უთუოდ გსურთ გაიგოთ, რამაქვს სკივრში შენახული, — იცინოდა ის, — შესაძლოა ოდესმე გიჩვენოთ, ღირს მისთვის თავის შეწუხება.

აგრეთვე კადისიდანაც ეწვია მას გემების პატრონი სებასტიან ლარტინესი. ცქვიტად დაუწერა მან ფრანსისკოს: „ჩვენ ორივემ ბევრი დავკარგეთ, თქვენო ბრწყინვალეზავ. მისი აღმატებულება ქალბატონი ალბა — დიდებული მანდილოსანი, საოცარი მანდილოსანი, ძველი ესპანეთის უკანასკნელი ყვავილი“, — და მან თანაგრძობით შეხედა გოიას, — „სამწუხაროა“, — განაგრძო წერა, — რომ ამ დიდი ქალბატონის მემკვიდრეობა დაქუცმაცდა და გაიბნა. მრავალი ბურათი დაიკარგა კიდევ. აგრეთვე საიდუმლოებით მოცული თქვენი ხელით დახატული შიშველი ვენერა, თქვენო ბრწყინვალეზავ, სამწუხაროდ უგზო-უკვლოდ გაქრა. ჩემი წინადადებაა: ხომ არ იქნება

შესაძლებელი, რომ ახლა სანდო, მოკრძალებულმა, მდიდარმა, ხე-
ლოვნების ჭეშმარიტმა მცოდნემ იმ სურათის ასლი მაინც მიიღოს?"

გოიამ წაიკითხა. მოიღუშა.

სენიორ მარტინესმა სწრაფად უთხრა:

— არაფერია, არაფერი, ჩავთვალთ, რომ არაფერი მითქვამს. —
ფურცელი გამოართვა და დახია.

თანაგრძნობითა და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდა ის ში-
შველ სახელოსნოს და მისი თვალი ისევ და ისევ სკივრს არ სცი-
ლდებოდა. ბოლოს ჰკითხა, რა შეექმნა ბატონ პირველ მხატვარს უკა-
ნასკნელ თვეებში.

გოიამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ გაიღიმა და მოწყალედ უთხ-
რა:

— დიდ პატივად მიმაჩნია ასეთი დიდი მცოდნისა და მაღალი რა-
ნგის კოლექციონერის დანტერესება ჩემი მხატვრობით.

მან ამოალაგა სკივრიდან რამდენიმე სურათი: პირველად ვირების
ციკლიდან, ხოლო შემდეგ მახების ცხოვრების ამსახველი ფურცლე-
ბი. და როცა დაინახა, თუ როგორი საქმის ცოდნით, ინტერესით და
გატაცებით ათვალეირებდა სენიორ მარტინესი გრავიურებს, გაბედა
და უჩვენა „კაეტანას ზეცაში ფრენა“.

სენიორ მარტინესი ქსუტუნებდა, ქირქილებდა, და წითლდებოდა.

— ეს მე უნდა შევიძინო! ყველაფერი, რაც სკივრშია უნდა შე-
ვიძინო! მთელი სკივრი თავის სურათებიანად უნდა შევიძინო! — ის
ჩქარობდა, ენა ებზოდა, საჩქაროდ წერდა, მაგრამ მაინც ნელა ეჩვენე-
ბოდა, ისევ ლაპარაკს უბრუნდებოდა.

— თქვენ ჩემი კოლექცია გინახავთ, ღონ ფრანსისკო, — ამბობდა
და წერდა ის, — უნდა გამოტყდეთ, რომ ამ საოცარი ნაწარმოებების
ადგილი კასა მარტინესშია, Plus ultra! ეს მარტინესის დევიზია. Plus
ultra! ეს თქვენი ხელოვნების დევიზიცაა ღონ ფრანსისკო. თქვენ თვით
მურილიოზე მეტად ამაღლით! მოძყიდეთ სკივრი, თქვენო ბრწყინვა-
ლებავ! თქვენ ვერ იპოვით ჩემზე უფრო ღირსეულ მყიდველსა და
თაყვანისმცემელ მცოდნეს.

— მე ამ ოფორტებს „Caprichos“ ვუწოდებ, — უთხრა ფრანსი-
სკომ.

— შესანიშნავი სახელწოდებაა, — უთხრა სწრაფად და ენთუზი-

აზმით სენიორ მარტინესმა, — ბატონი პირველი მხატვრის ფანტაზიები! საუცხოოა! ბოსხი, ბრეიგელი, და კალო შეერთებული და ყველაფერი ეს ესპანურ ყაიდაზე, თანაც უფრო თავაშვებულნი და დიდებული!

— მაგრამ რა გნებავთ თქვენ შეიძინოთ სახელდობრ, სენიორ? — აღერსიანად ჰკითხა გოიამ. — თქვენ მხოლოდ რამდენიმე ფურცელი ნახეთ. სკივრში კი ხუთი-ექვსჯერ მეტია. ათჯერ მეტი.

— მე ყველაფერს ვიძენ, — განაცხადა სენიორ მარტინესმა, — ყველა ფიცარს, ფურცელს და მასთან ერთად სკივრსაც. ეს საქმიანი წინადადებაა. დაადეთ ფასი, თქვენო ბრწყინვალებავ!

„მე თანახმა ვარ ყოველგვარ ფასზე,
თუკი მიღება საქმე უბაღლო
და სწორუპოვარ თქვენს ქმნილებებზე.
მე ძუნწი არ ვარ. არავინ ქვეყნად
ჩემი ბებერი და საცოდავი
თვალების მეტმა არ მსურს იხილოს
ეს სკოცრება“ — და უპასუხა
გოიამ: „ქარგით. თუ გადავწყვიტე
ჩემი კაპრიზის დაბეჭდვა, მაშინ
ერთ-ერთ ყველაზე პირველ ანაბეჭდს
გამომიგზავნით აუცილებლად“.
„ყველაზე პირველს! ო, ღმერთო ჩემო! —
წამოიყვირა მან. — გთხოვთ ძალიან,
გამომიგზავნოთ თანაც დაფები.“
ხოლო გოიამ ძლიერს გამოავლო
აბეზარი და ურჩი სტუმარი
თავის კინტადან.

იმ გაზაფხულს ცუდი ხმები გავრცელდა დონ გასპარ ხოველიანოსის ხეედრის თაობაზე. ინფანტი მანუელი აღარ უშლიდა ხელს ინკვიზიციას ემოქმედა ხოველიანოსის წინააღმდეგ და ერთ ღამეს შოხუცი კაცი ხოხონას ახლოს, თავის მამულში ლოგინიდან წამოაყენეს და დაატუსაღეს.

მწვალებელი ფეხით გაუყენეს ბარსელონას გრძელ გზას, ბოჩკილდადებული, ყველას დასანახავად. შემდეგ კუნძულ მალიორკა-

ზე გადაგზავნეს და მონასტრის ბნელ საკანში ჩაამწყვდიეს. აეკრძალა წიგნებით და ქალაღდით სარგებლობა და გარე სამყაროსთან კავშირი.

— Ya es hora: დადგა დრო, — უთხრა გოიამ აგუსტინს, — მე Carichos-ს საბოლოოდ გვაგმზადებ. შენ მომამარაგებ ქალაღდით და ერთად დავბეჭდავთ მათ. ჩემის აზრით სამასი ანაბეჭდი ჭერჭერობით საკმარისი იქნება.

ამ უკანასკნელ ხანებში აგუსტინი შემფოთებული ადევნებდა თვალყურს, როგორ სურდა ფრანსისკოს მომსვლელთა ყურადღება სკივრში შენახულ საიდუმლოებისაკენ მიექცია.

— ეგ მართლა გსურს? — წაიღულღულა შემფოთებულმა აგუსტინმა.

— ძალიან გაკვირვებს? — დასცინა ფრანსისკომ. — განა შენ არ იყავი, ერმიტაში რომ შემომივარდი და ამიყვირდი: დაობდი, დალბი, დაეციო, მაშინ შენი დონ გასპარი მხოლოდ გაძევებული იყო; ახლა კი საკანში ზის ბორკილგაყრილი, უსინათლოდ და უჰაეროდ.

— შენ გაგიყდი, ფრანჩო! ამას ნუ გვიზამ. ინკვიზიციას ამით ნუ გაახარებ. — შეევედრა აგუსტინი.

— ჩვენ დავბეჭდავთ სამას ცალს! — უბრძანა გოიამ. — ზოგიერთი ჩემი მეგობარი ამას სამართლიანად მიიჩნევს და იტყვის, რომ სხვანაირად მოქცევა არ შეიძლებოდა. მაგალითად კინტანა.

— მე ეს ვიცოდი, — მწარედ ჩიოდა აგუსტინი. — კინტანას ნაკმევი საკმეველი თავში აგივარდა, ეს გამოიწვია იმ სულელურმა ოდამ შენს უკვდავებაზე.

— მიმიფურთხებია უკვდავებისათვის, — მშვიდად უთხრა გოიამ.

— როგორ უნამუსოდ სტყუი! — უპასუხა გაბრაზებულმა აგუსტინმა.

— ნუ ილანძღები! — ისეთივე უჩვეულო თავშეკავებით უთხრა გოიამ. — ჭერ შენ ყოველი წვრილმანი საბაბით მირჩევდი, შენი ხელოვნებით პოლიტიკას ემსახურეო და ახლა კი, როცა დონ გასპარს წამებით სიკვდილის პირს აყენებენ, უნდა გავჩუმდე. ასეთები ხართ თქვენ, პილიტიკოსები და პროექტისტები. „სწავლულები ყბედობენ, გაბედულები მოქმედებენ.“

— მტყნარი სისულელე იქნება ახლა სკივრიდან Caprichos-ის ამოღება. ახლა ომიანობაა, ინკვიზიციას შეუძლია ჩაიდინოს, რაც სურს. გონს მოდი, ფრანსისკო! კაცმა შეიძლება საკუთარი მამა მოკლას და თავი დააღწიოს დატუსაღებას, მაგრამ ვინც ახლა ამგვარ ოფორტებს გამოაქვეყნებს, თვითმკვლელობას ჩაიდენს.

— ჩემთან მაგას ნუ ამბობ! — წამოიყვირა გოიამ. — მე ესპანელი ვარ. ესპანელი თვითმკვლელობას არ ჩაიდენს.

— ეს თვითმკვლელობაა, — არ ცხრებოდა აგუსტინი, — და შენ იცი ეს. შენ ამას სჩადიხარ არა წესიერებისა და პოლიტიკისათვის. მას შემდეგ, რაც ის ქალი გარდაიცვალა, შენთვის ყველაფერი გაუფერულდა და გინდა შენი სულელური გამბედაობით შეაფერადო. ეს ასეა. მხოლოდ ქალია ამაში დამნაშავე. თავისი სიკვდილის შემდეგ უბედურებას გახვევს თავს.

ძლიერ გაბრაზდა გოია. „ძაღო, ხმა ჩაიკმინდე! — უყვირა. — ჩემთან თუკი დარჩენა არ შეგიძლია, მე სხვას ვიპოვი“. „სცადე, იპოვე! ვინღა იქნება ქვეყნად ისეთი შენთან რომ გაძლოს, მხოლოდ მე ბრიყვი ვიტანდი მაგ შენს სისულელეებს“, — წამოიყვირა აგუსტინმა და სწრაფად გავიდა. და თუმცე ფრანსისკო ვერ გაიგებდა, კარები მანც მთელი ძალ-ღონით, გაიჭახუნა

29

აგუსტინმა უკუთავდო თავისი მორცხვობა და ლუსიასთან გაეშურა; ის ერთადერთი იყო, რომელმაც თავის დროზე ფრანსისკოს ხელი ააღებინა Caprichos-ის გამოქვეყნების სულელურ განზრახვაზე.

მან შესჩივლა, სენიორ გოიას უთუოდ თავისმა უკანასკნელმა უბედურებამ გადააწყვეტინა გრავიურების დაბეჭდვა და გავრცელებაო.

— გვედრებით დამეხმაროთ, დონია ლუსია! — ეხვეწებოდა ის, — გვედრებით, სენიორა, გადაარჩინოთ უბედურებისაგან ესპანეთის უდიდესი ადამიანი!

სანამ ის ასე უმწეოდ და დაბნეული ლაპარაკობდა, ლუსია ყურა-

დღებით აკვირდებოდა მის სახეს. ხედავდა რაც მის გულში ხდებოდა. აგუსტინს უყვარდა ქალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავის გულში ადანაშაულებდა, რომ დაღუპა მისი მეგობრები: აბატი, მიგელი და, უპირველეს ყოვლისა, ხოველიანოსი. ცხადია, გულს უღრღნიდა ის გარემოება, რომ იძულებული გახდა სწორედ მისთვის მიემართა საშველად.

— თქვენ ერთგული მეგობარი ხართ, აგუსტინ. მე ჩემს ძალ-ღონეს არ დავიშურებ.

ლუსიას ესმოდა, თუ რამ აიძულა ფრანსისკო გამოექვეყნებინა Caprichos, თავისი გლოვით გამოწვეული სიცარიელისა და დადამბლავებისაგან თავდასახსნელად გოიას საშიში და დიდი თამაში ესაჭიროებოდა, მეორე მხრივ ის არაგონელი გლეხი იყო, შეჩვეული გამბედაობის სიფრთხილესთან შეხამებას; როცა ის საშიშ სთავგადასავლო საქმეს ბედავს, არ უნდა უგულვებელპყოს კარგი აღჭურვილობა.

ლუსია ხედავდა ინკვიზიციის ხელიდან გოიას დახსნის საშუალებებს, მაგრამ მისი გეგმა დამუშავებას მოითხოვდა. უპირველეს ყოვლისა კი საჭირო იყო შეეკავებინა ფრანსისკო მეტისმეტი აჩქარებისაგან.

ლუსია ეწვია მხატვარს.

— ცხადია, გენმით, თუ რა სახიფათოა თქვენი განზრახვა, — უთხრა მან.

— მესმის—უპასუხა გოიამ.

— არის საშუალება ამ საშიშროების შემცირებისა, — უთხრა ლუსიამ.

— ბავშვი აღარა ვარ, — უთხრა მან, — უმჯობესია ნაკვერჩხალი გელით გამოვიღო, ვიდრე შიშველი ხელით, მაგრამ საჭიროა, მქონდეს გელა.

— ამიენში ზავის თაობაზე მოლაპარაკება ისე არ მიმდინარეობს, როგორც დონ მანუელის პირად ინტერესს შეეფარდება. — თქვა ლუსიამ. — მას ესაჭიროება იქ სანდო კაცის გაგზავნა, თუკი დონ მიგელი თანხმობას განაცხადებდა დონ მანუელთან მუშაობაზე, მაშინ მას შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა პროგრესისა და იმ კაცისათვის, რომელიც მისთვის ძვირფასია.

გოია ყურადღებით აკვირდებოდა მის ტუჩებს. დონია ლუსიამ განაკრძო:

— ამ მოკლე დროში მე ვაპირებ ჩემი უახლოესი მეგობრების მოწვევას. იქ იქნება დონ მანუელი, პეპა და, იმედი მაქვს, დონ მიგელიც: შემძლია თქვენი და აგუსტინის მოსვლის იმედიც ვიქონიო, დონ ფრანსისკო?

— რა თქმა უნდა, მოვალ, — უთხრა გოიამ და გულთბილად განაგრძო: — თქვენ ძალ-ღონეს არ იშურებთ, დონია ლუსია, რომ ჩემი სულელური მოქმედების მოსალოდნელი შედეგისაგან მიხსნათ. ამისათვის მზადა ხართ ზოგიერთი პირობაც კი შეაპართ საზავო ხელშეკრულებაში. — ის გულწრფელად იღიმებოდა.

— თქვენ ახლა მელას უფრო ჰგავხართ, ვიდრე ლომს. — ღიმილითვე უთხრა ლუსიამ.

პოლიტიკური საქმიანობა ლუსიას უადვილდებოდა და საქმის ვითარებაც ხელსაყრელი იყო. ამიენის კონფერენციაზე, სადაც ინგლისი, საფრანგეთი და ესპანეთი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ევროპაში ზავის ჩამოგდების თაობაზე, უნდა გადაწყვეტილიყო მთელი რიგი საკითხები, რომლებიც, როგორც ლუსიასათვის ცხადი იყო, პირადად დონ მანუელის ინტერესებს შეეხებოდა. დონ მანუელი ცდილობდა დაეცვა პაპის ინტერესები, რისთვისაც იმედი ჰქონდა, დიდი პატივი მიეგებოდა, მას საბაბი ჰქონდა დედოფლისათვის დაემტკიცებინა, რომ მისი შემცვლელი კაცი არ მოიპოვებოდა, და სურდა მიეღწია შექმნილიყო ხელსაყრელი პირობები იტალიის იმ ქვეყნებისათვის, რომელთა მთავრები დედოფლის ნათესავები იყვნენ. უპირველეს ყოვლისა, სურდა ნეაპოლის სამეფოს სამფლობელოების გაფართოება და ამ ქვეყნიდან გენერალ ბონაპარტეს, ამ გაბაჩოს ჯარების განდევნა. ვინაიდან, თუ ამას მოახერხებდა, ბოლო მოეღებოდა იმ დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობებოდა ნეაპოლის ტახტის მემკვიდრისა და დონია მარია ლუიზას უმცროსი ქალიშვილის შეუღლებას. ის კი, ინფანტი ისაბელა, ამას მანუელი არც პეპას და არც ლუსიას არ უმალავდა, მისი შვილი იყო და, ცხადია, გულით უნდოდა, თავისი ასულისათვის სამეფო გვირგვინი დაედგა თავზე. მაგრამ მანუელის ინტერესები ყოველთვის როდი ემთხვეოდა ესპანეთის ინტერესებს და რადგან წარმომადგენელი ასარა, რომელსაც სახელმწიფო ამიენს აგზავნიდა, არ იყო დონ მანუელის მეგობარი, ამიტომ ესაჭიროებოდა თავისი აგენტი საკუთარი ინტერესების დასაცავად. ლუსია დარწმუნებული იყო, რომ თუ დონ მიგელი დონ მანუელის ინტერესების დასაცა-

ვად ამეინს წასვლაზე დათანხმდებოდა, სამაგიეროდ შეეძლო დიდი საფასური მოეთხოვა.

დონია ლუსიამ დონ მანუელი წვეულებაზე მიიპატიჟა და გახარებულმა შენიშნა, როგორ გაუბრწყინდა მას სახე, როცა ლუსიამ უთხრა, მიგელის თანდგომის იმელი მაქვსო. მიგელმაც გაიდო ცოტა თავპატივი, მაგრამ უთუოდ თვითონაც მოხარული იყო, რომ შემთხვევა მიეცა ინფანტთან შეხვედრისა.

დონია ლუსიასთან ისეთივე ვიწრო წრე შეიკრიბა, როგორც იმ საღამოს, როცა მისი მეგობარი პეპა პირველად შეხვდა დონ მანუელს: თუმცა აბატი აკლდათ.

კიდევ უფრო მჭიდროდ შეესებულებოდა კედლები თავიდან ბოლომდე მიგელის შეგროვილი სურათებით, ვიდრე მაშინ. მათ შორის იყო გოიას შესრულებული დონია ლუსიას პორტრეტი. მიგელმა ბოლო ხანებში ღრმა ტკივილით შეიყინა ამ სურათის ჯადოსნური სინამდვილე. ჯადოსნური წინასწარხედვით განჭვრიტა ფრანსისკომ ლუსიას ჭეშმარიტი არსი და მისი მომავალი ბედი: ახლა ცოცხალი ლუსია საგსებით შეეზარდა ტილოზე წარმოსახულ ქალს.

მიგელის სახე ამ საღამოსაც, როცა დონ მანუელი ამგვარ კეთილსასურველ ვითარებაში კვლავ უნდა ეხილა, უწინდებურად ნათელი და მშვიდი იყო; მაგრამ მის გულში კი ალიაქოთი ტრიალებდა. თავის თავს არწმუნებდა, რომ შეეძლო ბედნიერად ჩაეთვალა თავი! მთელი თავისი სიცოცხლის დიდი ნაშრომი, მხატვართა ლექსიკონი, იძულებითი უსაქმობის წყალობით, ბოლო თვეებში საგრძნობლად წასწია წინ და თითქმის დაამთავრა კიდევ. და აქ, მის საყვარელ ხელოვნების საგანძურთა შორის, იჯდა მისი საყვარელი ცოლი. მათ შორის მღვრიე წყალმა ჩაიარა. და თუ მან დაკარგა თავის საყვარელი თანამდებობა, ჩრდილში მყოფი რომ ესპანეთის ბედს მართავდა, ახლა საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მისი შეურაცხმყოფელი იძულებული ხდებოდა, მიგელისათვის კვლავ ეთხოვა, შესდგომოდა მოღვაწეობას. მიუხედავად ამისა, სასიხარულო მოლოდინს თან ერთვოდა მოუსვენრობა. ნიადაგი მის ფეხთა ქვეშ არ იყო მყარი, მისი ქებული სიმტკიცე გაქრა. მას ახლაც შეეძლო ძველი სიმტკიცით ეთქვა თავისი თავისა და სხვისთვისაც: „ეს კარგია, ის კი ცუდი“, მაგრამ დამაჯერებლობა მხოლოდ მის ღმერთს ედებოდა.

სამაგიეროდ ისეთი დამაჯერებლობითა და სიხარულით იყო ამ სა-

ლამოს აგუსტინ ესტევეს გული სავსე, როგორც მას დიდი ხანია აღარ უგრძნია. მან არ იცოდა დაწვრილებით ლუსიას გეგმა. მაგრამ ცხადი იყო, ეს წვეულება მან ფრანსისკოს დასახმარებლად გამართა. უკვე ის, რომ მანუელი და მიგელი მეგობრულად უნდა შეხვედროდნენ ერთიმეორეს და თანაც ფრანსისკოს თანდასწრებით, ბევრს ნიშნავდა. აგუსტინს უხაროდა, რომ ლუსიას წინაშე თავისი მორცხვობა დასძლია და სასარგებლო ნაბიჯი გადადგა, რათა დაეცვა ფრანსისკო თავისივე სულელური საქციელის მოსალოდნელი შედეგისაგან. რაკი ეს მოახერხა, საკუთარი მომავალიც უფრო ნათლად ესახებოდა. შესაძლოა ისიც მხატვართა პირველ რიგებში ჩადგეს. ის ნელი და მოუქნელი კაცია, მაგრამ სწორედ ისინი, ვინც ნელა ვითარდებიან, ხანდახან უმაღლეს მწვერვალს აღწევენ და თუ ამ მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევენ, არც ამას იღარღებდა. რაკი მას საშუალება მიეცა ფრანსისკოს არსებითი დახმარება აღმოუჩინოს, თავის მისიას შესრულებულად ჩათვლის.

ლუსია კმაყოფილი იყო თავისი წვეულებით. მის სტუმრებს ლუსიასთან პირველად შეკრების შემდეგ ბევრი ორომტრიალი გადახდათ თავს. თვითონ შეუწყო ხელი ამ ორომტრიალს და ახლა აპირებდა კიდევ მეტად ჩარეულიყო ქვეყნისა და მისი ახლობლების ბედში. სამწუხაროა, რომ დონ დიეგო აქ არ იყო. ის გულს იჭერებდა სიცილით, რომ დაენახა როგორ ეცდებოდა მანუელი საშუადამოდ შემოენახა ქვეყნისათვის Caprichos-ზე გამოსახული თავისი საკუთარი უნამუსობა.

მანუელი მტკიცე განზრახვით იყო მოსული — მიგელი უკან უნდა დაებრუნებინა. მშვიდობის თავადს სურდა განემტკიცებინა თავისი პრინციპი. „მოკრძალებული ზავი სჯობია ბრწყინვალე გამარჯვებას“. სურდა ოქროთი და ვერცხლით დატვირთული გემები კვლავ დაუბრკოლებლად მოცურებულიყო ამერიკიდან, მთელ ესპანეთში ფული და ზეიმი გამეფებულიყო და ეს მისი, მანუელის, დამსახურება იქნებოდა. ამგვარ ვითარებაში აღარ უნდა გაუძნელდეს მიგელისადმი სულგრძელობის გამოჩენა; ამასთანავე, თუ მიგელი ამიენის ხეს მაგრად შეარხევს, კიდევ უფრო ძვირფას ნაყოფს ჩამოყრის.

დონ მანუელი ემთხვია თუ არა დონია ლუსიას ხელს, წამსვე ხალიხიანად მიაშურა გაჯგიმულ მიგელს, მხრებზე ხელი დაჰკრა და მოხვევა მოუხდომდა.

— როგორ მიხარია კვლავ შენი ნახვა! გახსოვს ჩვენი უკანასკნელად ერთად ყოფნის დროს რაღაც მოუჭრიდებლად, პირდაპირ უკმეხად მომხალე და არც მე გამიცია თავაზიანი პასუხი. მე დავივიწყე ეს სისულელე, შენც დავივიწყე ის, მიგელიტო!

მიგელს განზრახული ჰქონდა, თავი შეეკავებინა და ამ მიზნით დიდხანს კითხულობდა თავის საყვარელ მაკიაველის. მიუხედავად იმისა, გულში გაცხარდა და მშრალად მიუგო:

— ჩაშინდელ ნათქვამ სისულელეში ზოგი რამ ჰქვიანური იყო.

— შენ თვითონაც იცი, — კვლავ მიმართა ინფანტმა, — როგორ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ საქმის ვითარება შეიცვალა. ერთი დაიდოს ხელშეკრულება და მაშინ ნახავ, როგორ სასწრაფოდ ვუჩვენებთ თავის ადგილს ხუცური ძმობის ანაფოროსებს. ნუ გაქვს ასეთი უქმური გამომეტყველება მიგელ! მე მესაპიროვება შენი ამიენს გაგზავნა! შენ უარს ვერ იტყვი ამ სამსახურზე ჩემთვის და ესპანეთისათვის.

— ეჭვიც არ მეპარება, დონ მანუელ, — უთხრა მიგელმა, — რომ ახლა გადაწყვიტეთ ლიბერალური პოლიტიკა გაატაროთ. მაგრამ როგორიც არ უნდა იქნეს ზავი, ვშიშობ, ის მხოლოდ პაპის, დიდი ინკვიზიტორისა და ორიოდე გაუმადლარი გრანდისათვის იქნება ხელსაყრელი.

დონ მანუელმა ჩაყლაპა უკმაყოფილება მიგელის ჰირვეულობისა და უნდობლობის გამო. იგი მოჰყვა ლაპარაკს იმ დიდებულ გეგმებზე, რომლებიც მას ჰქონდა დასახული. იგი განახორციელებს დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებულ მდინარეთა რეგულაციას, მოაწყობს სანიმუშო სამეურნეო დაწესებულებებს და დიდ ლაბორატორიებს. ის ფიქრობს აგრეთვე სამი ახალი უნივერსიტეტის დაარსებას. შესასუსტებს ცენზურას, ანდა სულ გააუქმებს.

— ჩამომიტანე ერთი კარგი ზავი, — შესძახა მან, — და ნახავ, როგორ აყვავდება ესპანეთი განმანათლებლობის მზის ქვეშ, — მან ააქლერა თავისი ხვერდოვანი ტენორი. ყველანი უსმენდნენ.

— მშვენიერი გეგმებია, — თქვა მიგელმა. იგი ლაპარაკობდა მშრალად, საქმიანად, ძლივს შესწმჩნევი ირონიით. — თქვენ სათანადოდ ვერ აფასებთ დაბრკოლებებს, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლას აპირებთ. თქვენ არა გაქვთ ნათელი წარმოდგენა, როგორ გათავსდებოდა ამ ბოლო თვეებში წმინდა სამსჯავრო. დღეს ფრანსისკო გო-

იაც კი ვერ ბედავს, გამოაქვეყნოს თავისი შესანიშნავი ოფორტები.

გაოცებული მანუელი გოიას მიუბრუნდა:

— მართლა ასეა, ფრანსისკო? — ჰკითხა მან.

— რა სურათებია? — ჩაერია პეპა.

— რატომ ჩემთან არ მოხვედი, შე გულჩათხრობილო, ბიჭო? — ნეგობრულად გაჯორა მანუელმა, მოხვია ხელი მხრებზე გოიას და ერთ მაგიდანთან მიიყვანა. — მიაგმე შენი ნახატების ამბავი. — უთხრა მან.

პეპაც უმაღლვე გვერდით მიუჯდათ.

გოიამ შეამჩნია, თუ როგორ მოხერხებულად გააბა მიგელმა მხეში მანუელი და უხაროდა, რომ ავანტიურა გრანდიოზულ ფარსად იქცა.

მისი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მანუელმა მხიარულად ჰკრა მუჯლუგუნი გოიას, პეპას თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ასე, ჩემო კარგო, აბა გამოტყდი: ისევ შიშველი ვენერა დახატე? — და მთელი სახით გაიკრიჭა.

გოიას მოაგონდა სენიორ მარტინესის სიტყვები იმ ორი სურათის თაობაზე, რომლებიც მან მაშინ სანლუკარში დახატა. ახლა ყველაფერს მიხვდა. მანუელის ცხოველური გამომეტყველებებისა და პეპას ოდნავ გაღმებულ გულგრილი სახის დანახვაზე შეეძლო ამოეკითხა, რა ბედი სწვეოდა ორივე სურათს. ისინი უთუოდ იპოვეს კაეტანას დატოვებული ქონების აღწერის დროს. ჩაცმული კაეტანას ქვეშ შიშველი აღმოაჩინეს, შესაძლოა ახლა ეს სურათი მანუელის მფლობელობაშია და მან მიგელის სიტყვები ისე გაიგო, რომ თითქოს მას, ფრანსისკოს, კვლავ რაღაცა მსგავსი დაეხატოს და იმიტომ ეშინოდეს ინკვიზიციისა.

გოიამ წარმოიდგინა ორივე, მანუელი და პეპა, სურათების წინ მდგარი, უნაშუსო გამომეტყველებით სინჯავდნენ ხელით კაეტანას სხეულს და ამ სანახაობით საკუთარ ნდომას იღვივებდნენ. თავიდან ფეხებამდე ბრაზით აივსო გოია. ძლივს მოახერხა თავის შეკავება, რომ არ დაეყვირა.

პეპამ შიშითა და სიხარულით დაინახა, როგორ მოინისლა მისი თვალები, მანუელმა კი სხვაგვარად გაიგო მისი უგუნებობა.

— დიახ, დონ ფრანსისკო, — დასცინოდა ის უხეში ცბიერებით. — ჩვენ გამოვიცანით თქვენი ოინები. დიდი მოხერხებული ყოფილხართ!

ვერც ერთი ფრანგი ვერ გააკეთებდა ამას უკეთესად. მაგრამ შიში ნუ გექნებათ. სურათები მცოდნე კაცის ხელშია, რომელსაც გააჩნია ძალაუფლება, დაიცვას ისინი ინკვიზიციისაგან. ორივე მანდილოსანი „მანამდე“ და „შემდეგ“ ჩემს გალერეაში ჰკიდია, ზუსტად ისე, როგორც კასა დე აროში იყო დაკიდებული.

ფრანსისკომ ძალ-ღონე მოიკრიბა და წაღველი გულში ჩაიხშო. დიახ, კინალამ გაეცინა. გაიფიქრა, ამ უხემო რეგენს წილად ხვდა Caprichos-ის პროტექტორობა ეკისრა და საკუთარი ხელით დაედგა ფიტარნაგი, რომელზედაც მისი უნამუსობა იქნება გამომზეურებული ჯასაკიცხავადო. ის კი, ფრანსისკო, თავის მყუდროებას უნდა მოუფრთხილდეს და ფარული შურისძიების სიტკბოებას იგემებს.

პეპა იჯდა, მშვენიერი, თეთრად მოქათათე და უშფოთველი, როგორც ჭეშმარიტი კონტესა კასტილოფილი. ის აქამდე დუმდა. მაგრამ ახლა სინხარულმა აიტანა, რომ ფრანსისკოს მისი მოწყალება ესაქირობოდა.

— რა სურათები დახატეთ, ფრანსისკო? — გულითადად ჰკითხა მან, — დარწმუნებული ვარ, ინფანტი დაგიცავთ, თუ თქვენ მათ გამოაქვეყნებთ.

— ეს სურათები თქვენი ვენერას ყაიდისაა? — იკითხა აღზნებულმა დონ მანუელმა.

— არა, თქვენო ბრწყინვალეზე, — უპასუხა ცივად გოიამ, — მათ შორის ძალიან ცოტაა ეროტიული ხასიათის ფურცლები.

ნამდვილად განცვიფრებულმა და იმედგაცრუებულმა მანუელმა იკითხა:

— მაშ რატომღა გეშინიათ?

— ჩემო მეგობრებო, — განმარტა ფრანსისკომ, — არ მირჩევნ მათ გამოქვეყნებას, ვინაიდან ზოგ ოფორტზე გამოხატულია ანაფორიანი და ოლარიანი მოჩვენებები. ჩემი აზრით, სურათების მთელი წყება ძალზე მხიარულია. მე მათ Caprichos-ი დავარქვი.

— თქვენ ყოველთვის რაღაც არაჩვეულებრივს გამოიგონებთ, დონ ფრანსისკო, — უთხრა პეპამ.

გოიამ მას ყურადღება არ მიაქცია და თითქოს არაფერი ეთქვას, განაგრძო:

— დიდი ინკვიზიტორი არ არის ჩემი ხელოვნების მოყვარული.

— არც მე მოვწონვარ რეინოსოს, მისი გულისათვის იძულებული გავხდი ჩემი ზოგი პროექტი უარმეყო. მაგრამ ამ ანგარიშის გაწევისაც მალე მოელება ბოლო. — დაიბუბუნა მანუელმა.

აღმა, ორივე ხელებით მაგიდას დაეყრდნო და გაცხარებით თქვა:

— ჩვენს მეგობარ გოიას დიდხანს აღარ მოუხდება ლოდინი, რომ ქვეყანას დაანახვოს თავისი ანაფორიანი მოჩვენებები. ამისათვის, მიგელ, შენ მე უნდა ჩამომიტანო ამიენის ხელშეკრულება. მაშინ დადგება დროც, გამიგე, ფრანსისკო? — ჩაჰყვირა ყრუ კაცს.

ფრანსისკო ყურადღებით აკვირდებოდა მის ტუჩებს.

— გავიგე: დადგა დრო — Ya es hora, — თქვა მან.

— Si señor, — სიცილით მიუგო მანუელმა. Ya es hora! და გახარებულმა აგუსტინმაც ხმამაღლა გაიმეორა:

— Ya es hora!

— ჩვენც გვინდა თქვენი საშიში მოჩვენებების ნახვა, დონ ფრანსისკო, — მოისურვა პეპამ.

— დიახ, ახლა მეც არ მასვენებს ცნობისმოყვარეობა, — კვერი დაუკრა მანუელმა. დაჰკრა ფრანსისკოს მხარზე ხელი და ხმამაღლა უთხრა: — იცოდე, რომ შენი Caprichos-ი და მოჩვენებები გამოქვეყნდება, კიდევაც რომ ცოტა წაწიწკნონ დიდ ინკვიზიტორს წითელი მანტია. მე დაგიცავ და ვნახოთ, ვინ გაბედავს შენ შეხებას. სულ ცოტა ხანს დაგჭირდება ლოდინი, ორიოდე თვე, შესაძლოა მხოლოდ კვირა, ვიდრე ზავი ჩამოვარდებოდეს. აი ამას შეუძლია მისი დაჩქარება, თუ მოისურვებს, — თქვა მან და მიგელზე მიუთითა.

დაყოლია მან ძლივს გოია,
რომ წასულიყვნენ მიგელთან. იგი
გადაეხვია ორივეს. „ხედავ,
რა საღამოა! მაშ, მოდი ერთად
ვადავკრათ ჩვენი წარმატებისა!
მიგელ, შენ უნდა იყო ამიენში.
შენ კი, ფრანსისკო, მიუხედავად
მოჩვენებების და ბერებისა,
გამოაქვეყნებ კაპრიჩოს შენსას
ჩვენი მხატვრობის განსაღიღებლად.
მე კი მეგობრულ ხელს ვიწვდი შენსკენ
სამარადისოდ“.

როცა პეპამ გაიგო ალბას სიკვდილის ამბავი და უცნაური ვითარება, რომელშიაც ის მოხდა, პირველად მწარენარევი სიხარული იგრძნო და გოიასთან მოსასამძიმებლად მისვლა დააპირა. მაგრამ ლუსია რამდენჯერმე იყო ერმიტაში და არც ერთხელ არ უთხოვია გოიას მისთვის პეპას მისვლა. ხოლო კონტესა კასტილოფილი არ მიეძალა.

მოგვიანებით მანუელმა წაიყვანა პეპა და აჩვენა უსირცხვილო სურათები, კაეტანა ალბა ტორეროს ურცხვ კოსტიუმში და მის უკან დამალული ჰერცოგის შიშველი ასული. ალბას და ურჯულო ფრანჩოს გარყვნილებამ პეპა აღაშფოთა, მაგრამ მას იზიდავდა მეორე სურათი და ხშირად დიდხანს აკვირდებოდა თავისი მეტოქის სხეულს მცოდნის თვალით. არა, მას არ უნდა ჰქონდეს შედარების შიში; კაცი ვერ გაიგებს, რისთვის ამჯობინა მას ფრანსისკომ ეს აეხორცი, უსირცხვილო გატყლარჭული ქალი.

ლუსიასთან წვეულებაზე სამწუხაროდ არ მიეცა შესაძლებლობა ფრანჩოსათვის გულახდილად ეთქვა რაიმე, მაგრამ ახლა თხოვნით მიმართა გოიამ მასა და მანუელს, დახმარება გაეწიათ გრავიურების გამოქვეყნების საქმეში. და ვინაიდან ამიენის მოლაპარაკებაზე ზრუნვა ნანუელს წუთით არ ასვენებდა, პეპამ ითავა ამ საშიში Caprichos-ის დათვალიერება.

დაახტარესებული პეპა წინასწარ გაუფრთხილებლად გაეშურა კინტასაკენ, მაგრამ ოდნავ უხერხულობას მაინც გრძნობდა. მან ფრანსისკოს თავისი მოსვლის მიზეზი აუხსნა, მხატვარმაც თავაზიანად მოუხმინა.

კარგია, რომ დონ აგუსტინი აქ არ იყო. ის და ფრანჩო ისევ მართო დარჩენენ ერთად, როგორც ძველად. და რადგან გოიას ემჩნეოდა, რომ მოსწონდა მისი უმანუელოდ მოსვლა, პეპამ დროულად ჩათვალია მისთვის მეგობრული გულახდილობით რამდენიმე რჩევა მიეცა.

— შენ ისე კარგად არ გამოიყურები, ფრანჩო, როგორც მე ვისურვებდი, — დაიწყო მან, — იმ ამბავმა შენზე ცუდად იმოქმედა. ძალიან მეტყინა გული, როცა შენი უბედურების ამბავი შევიტყვე, თუმცა თავიდანვე ვიცოდი. შენი ჰერცოგის ასული სიკეთეს არ დაგაყრიდა.

გოია ღუმდა. ალბას პორტრეტს, ერთადერთ სურათს ცარიელ ოთახში, მოთმინებიდან გამოჰყავდა პეპა.

— ვერც ხატავდი მას კარგად, — განაგრძო მან, — როგორღაც არა-ბუნებრივად დგას ის აქ. და როგორ სისაცილოდ გაუშვერია ძირს საჩვენებელი თითი. ყოველთვის ასე ხდებოდა: როცა შენსა და შენს მოდელს შორის ოდნავ უთანხმოება იყო, სურათიც უხეირო გამოდიოდა.

გოიამ ქვედა ტუჩი ჩამოაგდო. მან წარმოიდგინა, თუ როგორ დგანან ერთად ეს ჩერჩეტი, უნამუსო ინდაური და მისი ყუყუჩი მფარველი შიშველი კაეტანას სურათის წინ. დიდი სურვილი ჰქონდა დაეველო ხელი და კიბეზე დაეშვა ისინი, მაგრამ თავი შეიკავა.

— თუ მე არ ვცდები, კონტესა, — უთხრა მან, — თქვენ ინფანტის დავალებით ხართ მოსული ჩემი ოფორტების დასათავალიერებლად.

გოია ძალზე თავაზიანად ლაპარაკობდა. კონტესა კასტილოფილმა იგრძნო, რომ მას ხმას აკმენდინებდნენ.

გოიამ Caprichos-ი მოიტანა. პეპა მათ ათვალერებდა. ფრანსისკომ წამსვე დაინახა, რომ ქალს ესმოდა სურათების შინაარსი, ახლა ის შეუდგა ვირი არისტოკრატების წყების დათვალერებას, პეპამ ამაყი გამომეტყველება მიიღო, გოიამ საშიშროება იგრძნო. ქალს დიდი გავლენა ჰქონდა მანუელზე. მისთვის იოლი იყო გოიას წაჩხუბება მანუელთან, მისი განადგურება, Caprichos-ის სამუდამოდ სკივრში ჩამარხვა. მაგრამ პეპამ მხოლოდ ეს თქვა:

— შენ არაჩვეულებრივად უტიფარი ხარ, ფრანსისკო, — მისი სახიდან სიამაყე გაქრა, ის ნელა აქნევდა ლამაზ თავს აქეთ-იქით და ღიმილს ძლივს იკავებდა.

მაშასადამე არ შემცდარა, როცა თავის ღროზე პეპას დაუახლოვდა.

ძალიან გაახარა პეპა ფურცელმა „Hasta la muerte—სიკვდილამდე“-მ, რომელზედაც გამოხატული იყო დაჩაჩანაკებული დედაბერი, სარკის წინ რომ იკაზმება; ცხადია, მასში დედოფალი შეიცნო. როცა ის ამა თუ იმ საცოდავ თუ თვალწარმტაც მედიდურ მახასა და პეტიმეტრში საკუთარ თავს იცნობდა, თითქოს ვერ ამჩნევდა, მაგრამ სიამოვნებით მიუთითებდა, როცა ალბას ოცნობდა.

— შენ ამასთანავე სასტიკიცა ხარ, — უთხრა მან, — მე ეს ვიცოდი. ეს ოფორტებიც ძალზე სასტიკებია. ქალებს უჭირთ შენთან სიახლოვე. შესაძლოა მასაც უჭირდა შენთან ყოფნა.

მან წეგელა თავისი მწვანე, მიბნედილი, ურცხვი თვალებით სახეშო და გოიამ დაინახა: თუმცა ქალებს უჭირთ მასთან ურთიერთობა, მაგრამ პეპა მზადაა კვლავ იგემოს მასთან კავშირი.

კაცმა რომ თქვას, გოიას მოსწონდა მის წინ მჯდომარე ლამაზი, ჩაპუტკუნებული პეპა. თანაც მისგან მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ გოიას მზარეს დაიჭერდა მანუელის საწინააღმდეგოდ.

გოიამი გაიღვიძა რალაცა ზანტმა, ინდიფერენტულმა. უშფოთველმა ვნებამ მათი ძველი, უანგარო სიყვარულისა. ცუდი როდი იქნებოდა, რომ ერთხელ კიდევ ჩაგორებოდა ლოგინში ეს თეთრი, ქათქათა, ჩაპუტკუნებული, გონიერი, რომანტიული ბუნების პეპა. მაგრამ მას ეშინოდა ცხელი კერძისა.

— რაც წავიდა, წავიდა, — ზოგადილ თქვა მან.

პეპას წევილო ეს სიტყვები კაეტანას მიმართ თავისი ნათქვამის პასუხად ჩათვალა.

— რას აპირებ, ფრანჩო? მონასტერში წახვალ? — ჰკითხა პეპამ თანაგრძნობით. მაგრამ აშკარად გაღიზიანებულმა.

— თუ ნებას მიბოძებ, — უპასუხა მან. — მალე მოვალ შენთან, შენი პატარა ბიჭის სანახავად.

პეპა ისევ Caprichos-ს მიუბრუნდა. ჩაფიქრებული ათვალიერებდა მრავალრიცხოვან გოგონასა და ქალს. ეს იყო ალბა, ეს კი თვითონ პეპა, ეს ლუსია, და აქ იყო ბევრი სხვა, რომელთაც ფრანსისკო უთუოდ კარგად იცნობდა ან ეგონა, რომ იცნობდა. მას ყველა ისინი უყვარდა და სძაგდა. თვითონ მათში და მათ ირგვლივ ეშმაკებს ხედავდა. დიდი ხელოვანი იყო ფრანჩო, მაგრამ ამ ქვეყნისა და ადამიანებისა არაფერი გაეგებოდა და განსაკუთრებით კი ქალების არაფერი ესმოდა. საოცარი, რომ ყველაფერს ვერ ხედავდა, და საკვირველი იყო, თანაც რა ბევრს ხედავდა. ისეთს, რომელიც სულაც არ არსებობდა. საბრალო, შერყეული ფრანჩო, იგი უფრო ალერსიან ნოჰყრობასა და გამხნეგებას საჭიროებს.

— Ils sont très intéressants, vos Caprichos! — შეაქო მან. — ისინი საპატიო ადვილს დაიჭერენ შენს შემოქმედებაში. მე ვიტყვოდი, რომ ისინი არაჩვეულებრივია, remarquables². მე მხოლოდ ერთში არ

¹ თქვენი Caprichos ძალზე საინტერესოა (ფრ.).

² შესანიშნავია (ფრ.).

გეთანხმები: ყველაფერი გადაქარბებული აქვთ, მეტისმეტად დაღვრემილები არიან და პესიმისტურნი, მე ბევრი გაჭირვება გამამიტანია, მაგრამ ცხოვრება ასეთი ბნელი როდია, მერწმუნე, ფრანწო. თვითონ შენ წინათ ასე ბნელად არ გეჩვენებოდა იგი. ამასთანავე, შენ მაშინ პირველი მხატვარი არც იყავი.

„გადაქარბებულია,—ფიქრობდა ის,—პესიმისტური, უხეში, უგემოვნო. იოლი როდია ჩემი სურათებით მკვდრების გულიც მოვიგო და ცოცხლებისაც!“ პეპა ფიქრობდა: „ბედნიერი ის მხოლოდ მაშინ იყო, როცა ჩემთან იყო. ოფორტებში ნათლად ჩანს, რა გაჭირვებაში იყო სხვებთან“.

ხმამალა კი თქვა:

— რომანტიკული კი იყო კაეტანა, ამას ვერ წაართმევ. მაგრამ შეიძლება იყო რომანტიკული და ირგვლივ უბედურება არ სთესო.—რადგან გოია დუმდა, განაგრძო:—მან ყველას უბედურება მოუტანა. ექიმსაც უბედურება მოუტანა მისმა დანატოვარმა ფულმა. არ ესმოდა, ვინ იყო მტერი და ვინ—მოყვარე, თორემ ექიმს არაფერს არ დაუტოვებდა

გოია უსმენდა, ყველაფერს ვერ გებულობდა და წინანდებურად შემრიგებლურად იყო განწყობილი. თავის მხრივ პეპა მართალი იყო. მას ბევრჯერ გაუმწარებია გოია თავისი სულელური ყბედობით, მაგრამ უბედურება კი არ მოუტანია მისთვის, არამედ დახმარებია კიდევაც, თუ შესძლებია.

—რასაც ხალხი ექიმ პერალზე ჭორობს,—უთხრა მან,—მართალი არ არის. სინამდვილე ხშირად სხვაგვარია, ვიდრე ეს შენს ლამაზ, რომანტიკულ თავს შეუძლია წარმოიდგინოს.

პეპას ცოტა არ იყოს ეწყინა, რომ გოია ისე ექცეოდა, როგორც პატარა სულელს, მაგრამ მოხიბლა იმ გარემოებამ, რომ გოია ისეთ რამეებზე ლაპარაკობდა, რაც მას ეხებოდა. ეს ნიშნავდა, რომ მათი ძველი ინტიმური დამოკიდებულებიდან რაღაცა კიდევ დარჩენილიყო.

— აბა რას იტყვი ექიმზე? მოკლა თუ არა კაეტანა?—იკითხა მან.

— პერალი იმდენადაა დამნაშავე, რამდენადაც მე,—უპასუხა აღზნებულად და დამარწმუნებლად გოიამ.—და შენ კარგს იზამ, თუ ამას გააგებინებ, ვისაც ჯერ არს.

პეპას უხაროდა და ამაყობდა, რომ ფრანსისკომ სთხოვა მას დახმარება.

— ამას შენთვის მნიშვნელობა აქვს, ფრანჩო?— მოისურვა გაგება და თვალეზში ჩახედა მას.

— უდანაშაულოს გამართლებამ შენც ისევე უნდა გაგიტბოს გული, როგორც მე.— ოღნავ მშრალად უპასუხა მან.

პეპამ ამოიოხრა.

— შენ არასოდეს არ გამომიტყდები, რომ ჩემდამი სიმპათია გაგაჩნია, — შესჩივლა მან.

— შენ მე მომწონხარ, — უპასუხა გოიამ ოღნავ დაცინვით, მაგრამ ნაზადაც.

პეპამ წასვლისას უთხრა გოიას:

„მაგრამ მე ცხენზე ამხედრებული

ხომ არასოდეს დაგიხატვიარ“.

მან უპასუხა: „კარგი. დაგხატავ,

თუ ძალიან გსურს. მაგრამ მე ვფიქრობ,

არ ღირს“. „რას ამბობ, ცხენზე მჭდომარე

თვით დედოფალიც არ მოჩანს ცუდად“.

„თვით დედოფალიც— ეს მართალია“.

შემდეგ კი პეპამ მავედრებელი

და საბრალო ხმით უთხრა ფრანსისკოს:

„შენ ჩემო ფრანჩო, წინანდებურად

გულახდილი ხარ“.

„მერე რა? ეს ხომ

საუკეთესო არის საბუთი

ჩემი და შენი მეგობრობისა“.

31

სენიორ მიგელ ბერმუდესი გოიასთან გამოსამშვიდობებლად მოვიდა.

— რაც დონ მანუელსა და დედოფალს თავიანთ სასარგებლოდ სურთ, იმას მივალწევ ამიენში, მაგრამ ქვეყნისათვის კი ვერ ჩამოვიტან კარგ ზავს. სულ დიდი, რასაც ესპანეთისათვის შეიძლება მივალწვიო— ეს ის იქნება, თუ მოხერხდება მეგობრული ფორმულირება მიეცეს ხელშეკრულებას, ისე რომ ჩვენი პრესტიჟი არ დაეცეს. დიდად არ მსიამოვნებს ამ ამაზრზენ მოლაპარაკებაში მონაწილეობა; ამას მხოლოდ იმიტომ ჩავდივარ, რომ ინფანტ მანუელთან ჩემი პოზიცია გავიმაგრო, ბნელეთის მოციქულებს ისევე წყვედიადში უნდა ვუკრათ თავი

და,—აქ სახე გაუცისკროვნდა,—დაე, ერთ კაცს, ფრანსისკო გოიას, მაინც მოუტანოს ამიენის ზავმა სარგებელი.

—მე ყოველთვის არ ვეთანხმები შენს შეხედულებას ხელოვნებაზე, მიგელ,—უთხრა ფრანსისკომ,—მაგრამ შენ კარგი მეგობარი ხარ.—მან დაიხურა თავისი დიდი ქუდი და შემდეგ მოიხალა მის წინაშე.

—როგორ გგონია, რამდენ ხანს გაგრძელდება კონფერენცია?—ჰკითხა მან მოგვიანებით.

—უთუოდ ორ თვეზე მეტს არა,—უპასუხა მიგელმა.

—მანამდე მე მათ აუჩქარებლად დავამთავრებ,—მოიფიქრა მან,—ხელშეკრულების დადებიდან სამი დღის გასვლის შემდეგ გამოვაცხადებ Caprichos-ის გამოცემის ამბავს და ერთი კვირის შემდეგ კი მადრიდში ყველას შეეძლება მისი ნახვა და ყიდვა, ვისაც ფული ექნება.—დაასკვნა კმაყოფილმა გოიამ.

—მე კი მინდოდა გამოქვეყნებამდე მენახა გამზადებული Caprichos-ი, ფრთხილად უთხრა მიგელმა,—არ დაიცდი ამიენიდან ჩემ დაბრუნებამდე?

—არა,—მოკლედ მოუპრა გოიამ.

—კიდევ ერთხელ მაინც გადახედე იმ ფურცლებს, რომელსედაც მანუელი და დედოფალია გამოსახული.—სთხოვა მან.

—ათასჯერ გადავხედე,—უთხრა გოიამ,—ჯერ კიდევ როცა „კარლოსის ოჯახს“ ვხატავდი, ერთმა კაცმა უბედურება მიწინასწარმეტყველა. ყოველი შემთხვევისათვის,—ცუღლუტად განაგრძო მან,—დაწვრილებით განმარტებაში დავწერ, რომ Caprichos-ი არც ცალკეულ შემთხვევებს ეხება და არც განსაზღვრულ პიროვნებებს.

—ვირულ წყებას მაინც ნუ შეიტან,—არ ეშვებოდა მიგელი.

ფრანსისკო არც ამაზე დაეთანხმა.

—ვინც Caprichos-ს ფარული აზრით არ უყურებს, ის ისევე აღიქვამს მას, როგორც არის.—კმაყოფილებით თქვა მან,—ბოროტი ადამიანი კი ყოველ უცოდველ ოფორტში ბოროტებას დაინახავს.

—ნუ იქნები მეტისმეტი გამბედავი, ფრანსისკო!—კვლავ სთხოვა მიგელმა.—მეტისმეტად ნუ დაძაბავ მდგომარეობას.

—გმადლობ, მიგელ,—არხეინად უპასუხა გოიამ.—და ჩემი დარდი

ნუ გექნება! ნურაფერზე იფიქრებ, გარდა ფრანგებისა! შენ შენს საქმეს გაუძეხი კარგად! მე კი აქ არ წავახდენ ჩემს საქმეს.

მომდევნო დღეებში საბოლოოდ აწონ-დაწონა გოიამ, რომელი Caprichos ამოეღო და რომელი დაეტოვებინა. ის არ ფიქრობდა, რა შეურაცხყოფდა მანუელს ან მარია ლუიზას, მას არ ჰქონდა არც მეფის კარისა და არც პოლიტიკის დარდი, მხოლოდ ამას ეკითხებოდა თავის თავს: სამართლიანი ვარ თუ არა კაეტანასადმიო, დატოვა ბიწიერი „ზეცაში ფრენა“ და ამოიღო „სიცრუის ზმანება“. უფრო და უფრო მეტად იქცეოდა მისთვის Caprichos-ი პირადულ საქმედ. ისინი იქცნენ მის დღიურებად, მისი ცხოვრების ქრონიკად.

ახლა მას ხელს უშლიდა ის, რომ Caprichos-ს წინ უძღოდა ფურცელი, რომელზედაც მაგიდაზე დამხობილი, მოჩვენებებით გარშემორტყმული გოია იყო გამოხატული. ამ სურათს შეეძლო თავისი ადვილი საღმე უკან ეპოვნა. შესაძლოა მეორე ნაწილის „მოჩვენებების“ თავში. მაგრამ მთელი ნაწარმოების წასამძღვარებლად ნამდვილად არ გამოდგებოდა. ამ ოფორტში გოია იდეალიზირებული იყო, ბევრად უფრო ახოვანი და ბევრად ახალგაზრდა, ვიდრე სინამდვილეში. უპირველეს ყოვლისა, შეუფერებელი და გაუგონარი ამბავია, რომ გოია პირველ ფურცელზევე სახეს მალავს. ასეთი სადავო ნაწარმოების შემქმნელმა, როგორც Caprichos-ია თავისი სახე უნდა გამოაჩინოს. უნდა იდგეს თავისი ნაწარმოების წინ ყველას დასანახავად. Caprichos-ის პირველ გვერდზე გარკვევით უნდა ჩანდეს გამოსახული ნამდვილი, დღევანდელი ფრანსისკო გოია. გოია, რომელმაც დაკარგა ხოსეფა, მარტინი, კაეტანა, რომელიც ღრმა საშინელ მორევში იყო ჩაძირული და ხელახლა ამოტივტივდა. ის გოია, რომელმაც ფანტაზია გონებას დაუმორჩილა, შექმნა ხელოვნება და არა მოჩვენებები.

მას ბევრი ავტობიოგრაფიული დაეხატა და მოეხაზა.

ერთზე ახალგაზრდა გოია დგას ჩრდილში და მოკრძალებულად, მაგრამ იმედიანად შეჰყურებს ძლიერ მეცენატს. მეორეზე ოდნავ უფროსი გოიას, შეუპოვარი, გულადი, ტორეროს კოსტიუმში, რომელსაც სწამს, რომ ქვეყანა მისია. შემდეგ გოია მეფის კარის პრანჭია კავალერია, რომელიც კაეტანას თავს ევლებს, შემდეგ ისევ გოია, რომელიც ისევ ჩრდილშია, მაგრამ ამჯერად თავი მეფის ოჯახისაკენ მიუბრუნე-

ზია, და ბოლოს დახატა მან წვეროსანი, სასოწარკვეთილი, ყოველგვარი ბოროტი სულებით შეპყრობილი გოია.

ახლა კი უნდა დაეხატა დღევანდელი გოია, რომელმაც გამოიარა შემეცნების ძნელი გზა და ისწავლა ამ წუთისოფლის შეგუება, მაგრამ შერიგება კი ვეოა.

მან გულმოდგინედ ჩამოივარცხნა თმა ყურებზე და დიდხანს ფიქრობდა, რა ჩაეცვა. სწორედ Caprichos-ის თავში უნდა ყოფილიყო ახოვანი გოია, ღირსეული გოია, არა ოინბაზი და მასხარა, არამედ მეფის პირველი მხატვარი. მან გამოინასკვა მალალი, ნიკაპამდე ამოსული ყელსახვევი, ჩაიცვა განიერი რუხი სერთუკი, და მსხვილ მრგვალ თავზე ჩამოიმხო დიდებული ცილინდრი—ფართოფართლებიანი ბოლივარი.

ამგვარად შეუდგა პროფილში თავის თავის ხატვას დაინტერესებული, თუ რა გამოვიდოდა აქედან.

ხატვას რომ მორჩა, მან მეტისმეტად

გაკვირებულმა შეხედა ნახატს.

ო, ეს მოხუცი ბატონი, ნუთუ,

პირქუში სახით რომ იხედება,

თვითონ ისაა—ფრანსისკო გოია?

განა ის ასე უბოროტესი

და ღვარძლიანი მზერით აღსავეც

უყურებს ხოლმე ადამიანებს?..

პროფილში ხედავს: მას ქვედა ტუჩი

ჩამოწევი, ნაოკები კი,

როგორც ისრები გადამსხვრეული,

შემორკალულნი ბაგეებს. ზემოთ,

გაქვეებულან. ხოლო განიერ

ბოლივარის ქვეშ მისი ზვიადი

ლომისებური, ვეება თავი

წამომართულა...

უცნაურ გრძობით

აღტყინებული, ის შეპყურებდა

ნახატს. ფრანსისკო ფიქრობდა ისევე:

აინამდვილეშიც ნუთუ ასეთი

აღრენილია და მოღუშული?

თუ მის წინაშე დგას მარტოოდენ

საძაგელი და მუნჯი სიბერე?

ღ: პეტისმეტად გაბრაზებულმა
 დიდხანს უყურა. ბოლოს კი მაინც
 ქვეშ მოაწერა თავის სახელი:
 „ფრანსისკო გოია დე ლუსიენტეს,
 ფერმწერი“. თანაც კომენტარები
 დაურთო: „აი, შეხედეთ ყველამ —
 წარჩინებული გვაშია იგი!
 მაგრამ თუ მოხდით თავზე შლიაპას
 და გადაუხსნით თავის ქალასაც,
 გაოცებულნი თქვენ აღმოაჩენთ,
 რა ეშმაკებიც ბუღობენ მასში!“

32.

მადრიდში ყველა ზარი რეკდა. კათოლიკე მეფის და დიდი ბრიტანეთის მისი უდიდებულესობის რწმუნებულებმა ამიენის შეთანხმებას ხელი მოაწერეს. ჩამოვარდა ზავი. ბოლო მოელო ქვეყნის გასაჭირს. კვლავ მოცურდებიან ზღვისიქითური ქვეყნების გემები. ორივე ინდოეთის საგანძური კოკისპირულ წვიმასავით დაეშვება ესპანეთის დავალულ მიწას. ცხოვრება ფუფუნებად იქცევა.

გოიას იმედი არა ჰქონდა, რომ მოლაპარაკება ასე სწრაფად დამთავრდებოდა. მაგრამ ის მზად იყო: უკვე დაბეჭდა სამასი ცალი Caprichos, შესავალი განმარტებაც დაწერილი ჰქონდა.

ზავის გამოცხადებიდან ერთი კვირის შემდეგ „Diario de Madrid“-ში გამოქვეყნდა უწყება Caprichos-ზე. ამ უწყებაში ნათქვამი იყო, რომ „სენიორ ფრანსისკო დე გოიამ დაამზადა ოფორტების წყება, ფანტასტიკური შინაარსის „Asuntos Capriches“. საზოგადოებისათვის ჩვეული მრავალი უგუნურებიდან და სისულელიდან, ურიცხვი უვიცობიდან, ანგარებიდან და მატყუარობიდან ავტორმა ისეთები აარჩია, რომლებიც უფრო შესაფერ მასალად ეჩვენა კჰუის სასწავლებელი და ამასთანავე ფანტასტიკური სურათებისათვის. სენიორ დე გოიას მხედველობაში არ ჰქონია ამა თუ იმ პიროვნების ანდა მოვლენის ხელყოფა ან დაცინვა, პირიქით, მისი მიზანია გაამატარახოს ყოველი ჭურის ტიპიური ხასიათი, ნაკლოვანება და უკუღმართობა. ამ Caprichos-ის ნახვა და შეძენა შეიძლება სენიორ ფრაგოლას დუქანში, კალიე დე დესენგანო 37-ში. საქალაღე შეიციავს 76 ოფორტს. მისი ფასია ერთი ოქროს უნცია, ანუ 288 რეალი.

კალიე დე დესენგანო იყო წყნარი, წარჩინებულთა ქუჩა. სენიორ ფრაგოლას პატარა დუქანი ლამაზი იყო და ძვირფასად მორთული. აქ იყიდებოდა იშვიათი სუნამოები, საუკეთესო ფრანგული ლიქიორები, ლუი შეთხუმეტის თუ მეთოთხმეტის დროინდელიც კი, ვალენსიური მაქმანები, სააუთუნეები, ძველი წიგნები, ფაიფურის ქანდაკებები და ჩინური სამშვენიისები. ყოველგვარი რარიტეტები და ანტიკვარული ნივთები, აგრეთვე ნატიფი რელიკვიები, წმინდანთა ძეგლები და მრავალი მსგავსი რამ. აგუსტინი და კინტანა არ ურჩევდნენ ოფორტუნის გამოფენას ამ ფუფუნებისა და სინატიფის ფონზე. მაგრამ გოიამ დაიჟინა, რომ Caprichos-ი სწორედ აქ უნდა გამოიფინოს როგორც ძვირფასეულობა ძვირფას ნივთთა შორისო; დაე, მასში უწინარეს ყოვლისა დაინახონ არა პოლიტიკური პროპაგანდის საშუალება, არამედ ხელოვნების ნაწარმოებიო. თანაც მოაგონდა, რამდენჯერ ყოფილა კაეტანასთან ერთად კალიე დე დესენგანოზე დუქანში, როცა მათ უცნაური და იშვიათი ნივთების ნახვა მოუხდებოდათ, რომელთაც შოხერხებული სენიორ ფრაგოლა სადმე ყოველთვის გამოქეჟავდა. ყველაზე მეტად ფრანსისკოს ხიბლავდა ქუჩის მრავალმნიშვნელოვანი სახელი. სიტყვა „Desengano“-ს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ის ნიშნავს იმედის გაცრუებას, განხიბვლას, გამოფხიზლებას და ის ნიშნავს აგრეთვე გაფრაუხილებას, დარიგებას, შეშეცნებას. კალიე დე დესენგანო—შეშეცნების გზა—Caprichos-ის შესაფერი ქუჩა იყო, ფრანსისკომ გაიარა ეს გზა; ახლა სხვებმაც გაიარონ.

სხვები კი, Caprichos-ის სანახავად მოსულნი, ამ ნახატებთან ვერაფრითარ შეშეცნებას ვერ დებულობდნენ, და თუ იმედგაცრუებულნი რჩებოდნენ, მხოლოდ თვით ოფორტებით. ისინი ფურცლებს ნაქალაქს და არაფერი გაეგებოდათ. რეცენზიებშიც არ ჩანდა სიტბო და გაგება. მხოლოდ კრიტიკოსი ანტონიო პონცი აქებდა ნაწარმოების სიახლეს და სიღრმეს და წერდა: „ორი ერთად მოჩვენებას ვერ იხილავსო“, ამბობს ანდაზა: გოიამ გააყალბა ეს ანდაზაო.

კინტანა, რომელიც მოელოდა, Caprichos-ი ქალაქს ამბობნებსო, დანაღვლიანებული იყო. გოია კი არ დარდობდა. მან იცოდა, ამგვარი ნაწარმოებისათვის საჭირო იყო დრო ნამდვილი დამფასებლის მოსაპოვებლად. ის რწმენას არ კარგავდა. ცოტა ხანში მართლაც გაიზარდა ინტერესი და სულ უფრო და უფრო მეტი მნახველები მოდიოდნენ კალიე დე დესენგანოზე.

რალა თქმა უნდა, მიუხედავად
კომენტარების, ამ ნახატებში
ძალიან ბევრი ზედავდა ხოლმე
თამამ, გაბედულ კარიკატურას
მალალი რანგის პიროვნებებზე,
დაცინვას, ქირღვას, ხავსმოკიდებულ
აღათ-წესებზე.

და მითქმა-მოთქმა,
გულის წამლები და გესლიანი,
ისმოდა ყველგან, მაგრამ ყველაზე
ხშირი სტუმარნი მალაზიისა
იყვნენ მსახურნი ინკვიზიციის.

33

მოულოდნელად, საიდუმლოდ გაჩნდა გოიას წინ ერთი მწვანე მო-
ციქულთაგანი. ის ფარულად შემოდქრა და ფარულადვე გაძქრა. აკან-
კალეტული თითებით გახსნა ბარათი გოიამ. პეორე ღღეს მიწვეული
იყო წმინდა სამსჯავროს წინაშე წარსადგომად.

გულის სიღრმეში დიდი ხანია იცოდა, ეს ასე იქნებოდა, იცოდა იმ
დროიდან, როცა ის აიძულეს სან დომინგოს ეკლესიაში დასწრებოდა
ოლავიდეს აუტოდაფეს და რამდენჯერმე კიდევ გააფრთხილეს დაბე-
ჯითებით. მიუხედავად ამისა, ამ მიწვევამ თავზარი დასცა.

მან გონება მოიშველია, მაგრამ დიდი ინკვიზიტორი არ იყო კოკო—
შავი კაცო, რომლის დამარცხება ფუნჯითა და საწერტელით შეიძლე-
ბოდა. ფრანსისკოს მინც ჰქონდა სხვა იარაღიც. მას ახსოვდა მეგობ-
რების რწმუნება: რაკი ომი დამთავრდა, მანუელი იოლად შეიძლებს.
წმინდა სამსჯავროს გამოსდომები აღკვეთოსო.

მიუხედავად ამ მოსაზრებისა, ფრანსისკოს გულს შიშის ტალღე-
ბი უშფოთებდა. იჭდა სკამზე მოწყვეტილი სხეულით და მოწყენილი
სახით; ვერავინ იცნობდა ამ შიშით აცახცახებულ არსებაში გოიას,
რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა ამაყად გამოსვლა ბოლივარიტა და
რედინგოტი.

მეგობრებიდან არავინ იყო მადრიდში. მიგელი და ლუსია ისევ
საფრანგეთში იყვნენ, მანუელი და პება მეფის კარზე, ესკურიალში,
კინტანა კი სევილიაში ინდოეთის საქმეთა საბჭოში. აგუსტინთან ან

ხავერთან მაინც ელაპარაკა. მაგრამ ძალიან ღრმად ჰქონდა გამჭდარი სასტიკი სასჯელის შიში, რომელიც იმ ადამიანს ემუქრებოდა, ვინც საიდუმლოს გასცემდა. მის გულში კვლავ ცოცხლობდა შიში, რომელიც ბავშვობისას აიტანდა ხოლმე, როცა, ყოველწლიურად, რწმენის ელიქტს გამოაქვეყნებდნენ.

მას ყველასათვის უბედურება მოჰქონდა. საწყალი მისი შვილი ხავეირი! ახლა მას შერისხავენ და გაანადგურებენ.

მეორე დღეს დაუდევრად ჩაცმული, როგორც წესი მოითხოვდა, გამოცხადდა სანტა კასაში. ის შეიყვანეს პატარა, ჩვეულებრივ ოთახში. შემოვიდა მოსამართლე. დინჯი, სათვლიანი, მღვდელმსახურის სამოსელიანი ბატონი. მას შემოპყვა მდივანი. მაგიდაზე გაჩნდა აქტები და მათ შორის Caprichos-ის საქალაღდეც.

ეს იყო პირველი ანაბეჭდები, რომელიც ფრანსისკომ სასინჯად დაამზადებინა. სამი ასეთი საქალაღდე სენიორ მარტინესს ჰქონდა, ერთი—ჰერცოგის მეუღლე ოსუნს და ერთი—მიგელს. ახლა უაზრობა იყო იმის ანგარიში და ფიქრი, თუ როგორ ჩაიგდო ხელში ინკვიზიციამ ეს საქალაღდეები და ვინ გასცა იგი. მთავარი იყო, რომ საქალაღდეები აქ ეწყო.

პატარა ოთახში დუმილი მეფობდა, უფრო მეტად სამარისებური და გულისწამლები, ვიდრე ოდესმე უგრძნია ყრუ გოიას. ტუჩებს არავინ ანძრევდა. მოსამართლემ დაწერა, რისი კითხვაც სურდა, გადასცა მდივანს ოქმში შესატანად, შემდეგ კი გოიას გაუწოდა.

მოსამართლეს აქტებში ჰქონდა აგრეთვე Caprichos-ის შესავალი განმარტება. მან ისიც გაუწოდა გოიას. ეს იყო პირველი ნუსხა, აგუსტინის შედგენილი და გოიას ხელით შემოწმებული. მოსამართლე ეკითხებოდა:

— თქვენი სურათები იმას გამოხატავს, რაც განმარტებაშია აღნიშნული, თუ კიდევ სხვა რაიმესაც?

ფრანსისკო გაოგნებული უყურებდა. გონს ვერ მოსულიყო და მისდა უნებურად თავში სულ ის უტრიალებდა: ვინ მისცა საქალაღდე? ვინ მისცა განმარტებანი? რომ დამშვიდებულიყო, მოსამართლის სახესა და ხელებს აკვირდებოდა. მას ჰქონდა მოგრძო, მშვიდი, მკრთალი, შავგვრემანი სახე, სათვლიდან გამოიყურებოდა ნუშისებური, არაფ-

რისმთქმელი თვალები. ხელები ჰქონდა გამხდარი და პროპორციული. ბოლოს გოიამ მოახერხა ძალ-ღონის მოკრება. ფრთხილად თქვა:

— მე უბრალო კაცი ვარ და არ შემწევს სიტყვის გამოხეხვის უხარი.

მოსამართლემ დაიცილა, ვიდრე მდივანი ამ პასუხს ოქმში შეიტანდა. შემდეგ ამოიღო საქალაქიდან ერთი *Capricho* და გოიას გაუწოდა. ეს იყო *Capricho* 23; მასზე იყო მეძვეი სამარცხვინო პერანგში, რომელსაც წმინდა ტრიბუნალის მდივანი განაჩენს უკითხავს, ამ დროს მორწმუნეთა და ცნობისმოყვარეთა მჭიდროდ თავშეყრილი, დაინტერესებული ბრბო მიშტერებია და ყურს უგდებს. გოიამ დახედა გამხდარი ხელით გამოწეულ სურათს. კარგი ნახატი იყო. ოთახის სიციარიელეში აწოწილი ცოდვილის ვეება ქუდი, ქალის სახე და პოზა გამოხატავდა ლაფდასხმულ, გათელილ ადამიანურ ღირსებას, ეს შესანიშნავად იყო დახატული და პროფესიონალური უაზრო გამომეტყველებით განაჩენების მკითხვეი მდივანი, გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა აქ აქტის შემდგენელს, ზღვა თავები, ცნობისმოყვარე, ავხორცული და ამასთანავე მოკრძალებული, გამოთავყვანებული გამომეტყველებით ისე კარგად იყო გადმოცემული, რომ გოიას სასირცხვო არაფერი ჰქონდა ამ სურათის დახატვის გამო. მოსამართლემ აიღო მაგიდიდან ოფორტი და ისეთივე გამოზომილი მოძრაობით გამოუწოდა განმარტება. აქ ამ 23 *Caprichos*-ს გოიამ მიაწერა: ოი, ოი, ოი! შეიძლება ასე მოეპყრან პატიოსან ქალს, რომელიც ლუკმა პურისთვის ბეჭითად და წარმატებით ემსახურება მთელ ქვეყანას?“

მოსამართლემ ჰკითხა:

— რა გინდოდათ ამით გეთქვათ? ვინ ეპყრობა ცუდად ამ ქალს? წმინდა სამსჯავრო? თუ ვინ?

გოიას წინაშე იდგა ნატიფი, გარკვეული ასოებით ხორცშესხმული, ძალზე სახეფათო შეკითხვა. დიდი სიფრთხილით უნდა გასცეს პასუხი, თორემ თავს წააგებს. და არა მარტო თავის თავს, არამედ თავისი შვილისასაც და შვილის შვილებისასაც უკუნითი უკუნისამდე. „ვინ მოეპყრო ცუდად ამ ქალს?“—ისევ იდგა მის წინაშე ახალი კითხვა.

— ბედისწერა, — უპასუხა გოიამ.

გადატყევილ, მოგრძო სახეს არაფერი გამოუხატავს. გამხდარმა ხელმა დაწერა:— „რას გულისხმობთ ბედისწერაში? ღვთის განგებას?“

გოიას პასუხი პასუხი არ იყო, იგივე საკითხი სხვა სახით იდგა მის წინაშე თავაზიანად, დამცინავად. მას კარგი დამაჯერებელი პასუხი უნდა მოენახა. გაცხარებული ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. მანში გააბეს. მოსამართლის მშვიდ თვალებზე ბრწყინავდა და ელაგდა სათვალე. ღრანსისკო ფიქრობდა და ეძებდა, ეძებდა და ფიქრობდა. არც ერთი არ ინძროდა, არც მოსამართლე, არც მდივანი და მოელვარე სათვალე გოიას სახეს დაეინებით მისჩერებოდა.

„ყოვლად წმინდაო ატოჩის ღვთისმშობელო, მაპოვნინე პასუხი! ჩამაგონე კარგი პასუხი! მოილე მოწყალება, თუ ჩემდამი არა, ჩემი შვილისადმი ნაინც!“—ლოცულობდა თავის გულში ღრანსისკო.

ფანქრის ოღნავი მოძრაობით მოსამართლემ მიუთითა დაწერილზე.

„რას გულისხმობთ ბედისწერაში? ღვთის განგებას?“—ეკითხებოდა ხელი, ფანქარი და ქალაღი.

—დემონებს,—წარმოთქვა გოიამ და იგრძნო, რომ მისი სიტყვა ზმჩახლეჩილად გაისმა. მდივანმა ის ოქში შეიტანა.

კიდევ ერთი კითხვა და კიდევ მეორე, კიდევ ათი და ყოველი მათგანი წამება იყო, ყოველი მოკლე შუალედი კითხვასა და პასუხს შორის — საუკუნე.

საუკუნე საუკუნეს მისდევს და დაკითხვაც დამთავრდა. მდივანი ოქმის ხელმოსაწერად გამზადებას შეუდგა. გოია იჯდა და უყურებდა, როგორ წერდა ხელი. ეს იყო გაწაფული, მაგრამ ტლანქი და უხეში ხელი. ოთახი ჩვეულებრივი იყო, შიგ იდგა აქტებიანი ჩვეულებრივი შაგიდა. მასთან იჯდა თავაზიანი ბატონი, ღვთისმსახურის სამოსელში გამოწყობილი წყნარი, სათვალეანი, თავაზინი სახით და ჩვეულებრივი ხელი წერდა მშვიდად და თანაბრად. მაგრამ გოიას ეჩვენებოდა, რომ ოთახი სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა, თანდათან ემსგავსებოდა სამარეს, თითქოს კედლებს შორის მანძილი ვიწროვდებოდა, ისინი მას აწვებოდნენ და ლამობდნენ გაეტყორცნათ იგი ღროიდან და ცხოვრებიდან.

მდივანი გულისგამაწვრილებელი ზოზინით წერდა. გოია უცდიდა, თუ როდის დაამთავრებდა ოქმს, და ამასთანავე უნდოდა, რომ მდივანს კიდევ უფრო ნელა ეწერა და არასოდეს არ დაემთავრებინა. როცა ოქმი დამთავრდება, მაშინ ხომ ხელმოსაწერად მისცემენ, და მოაწერს თუ არა ხელს, მოვლენ მწვანე ადამიანები. წაათრევენ მას, და სამუდამოდ ქვესკნელში დაიკარგება. სხვები იკითხავენ, თუ რა იქნა მხატვარი,

თავს შეიყრიან და ბევრს იქაქანებენ, მაგრამ გაკეთებით კი ვერაფერს გააკეთებენ და ის ქვესკნელში ჩაღვება.

იჭდა და იცდიდა, მთელი სხეული მოწყვეტილი ჰქონდა, თავს ძალას ატანდა, რომ სკაპილან არ გადმოვარდნილიყო; ეს-ეს არის ძალა გამოელევა და გვერდზე გადაიხრება. ახლა გაიგო, რა ყოფილა ჯოჯოხეთი.

მდივანი წერას მორჩა.

მოსამართლემ ნელა და გულდასმით გადაიკითხა ოქმი. მოაწერა ხელი.

ქალაქი გოიას მიაწოდა. ახლა ხელი უნდა მოაწეროს? შეშფოთებული ნიაჩხრდა მოსამართლეს.

— წაიკითხეთ, — უთხრა მან, და გოიამ შვებით ამოისუნთქა, რადგან ახლავე არ უნდა მოეწერა ხელი.

დაიწყო კითხვა, ეს იყო გაწამებული კითხვა. აქ იყო მოსამართლის საშინელი ცბიერი შეკითხვები, — ყოველი მათგანი გოიასთვის მახე და მისი ბრაცველი, უსუსური პასუხები. მიუხედავად ამისა, კითხულობდა რაც შეიძლება ნელა, ზედმეტი წუთის მოსაგებად, წაიკითხა პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე გვერდი. მეხუთე მხოლოდ ნახევარი გვერდი იყო. ახლა უკვე ბოლოში ჩავიდა. მდივანმა კალამი გაუწოდა და უჩვენა ადგილი, სადაც ხელის მოწერა იყო საჭირო. მშვიდი თვალები მას უყურებდნენ, სათვალე. ელავდა. გოიამ ხელი მოაწერა გაწამებული, დამძიმებული თითებით. ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. სულელურად და ეშმაკურად გაღიმებულმა მოელვარე სათვალეში ჩაიხედა.

— განმარტებებზედაც საჭიროა ხელის მოწერა?

მოსამართლემ თავი დაუქნია. გოიამ კიდევ მოიგო დრო. განმარტების ქვეშ ნელა, გულმოდგინედ გამოჰყავდა ასოები და აი უკვე ყველაფერს მოაწერა ხელი.

მორჩა... ის გახდა თავისუფალი.

საფეხურებზე, მწყობრა ნაბიჯით

დაეშვა ნელა.

აი, კიდეცა

გასცილდა კიშკარს.

ცივმა ნიაჟმა

გამოაცოცხლა და მაინც გულს

ესერებოდა მწავვე ტკივილით.

ფეხის ყოველი გადადგმა ტანჯვად
ეჩვენებოდა, თითქოსდა მძიმე,
გამომფიტავი ავადმყოფობის
შემდეგ უდროოდ წამომდგარიყოს
ქვეშაგებიდან. მერე სახლამდე
ღონემიხდილი და მოქანცული
ძლივს მილასლასდა. ანდრესს უბრძანა
გაშლა სუფრისა, მაგრამ როდესაც
ბიჭი მობრუნდა, გოია უკვე
ღრმა ძილში იყო.

34

ახალგაზრდა სენიორ ხავიერი გაოცებული იყო, რომ ოქროს ახალ-
გაზრდობის წრის წარმომადგენელი მისი მეგობრები აღარ ეპატიებოდ-
ნენ და მის მიპატიებებაზეც უარს ამბობდნენ სხვადასხვა საბაბით. შე-
საძლოა ამა თუ იმ გრანდს ან პრელატს Caprichos-ი თვალში არ მოუ-
ვიდა.

ხავიერს გულით უნდოდა ამის თაობაზე მამასთან საუბარი. მაგრამ
ის ამ ბოლო დღეებში ისე დაღუპებული და დაღვრემილი იყო, რომ
ხავიერს, მიუხედავად მისი ახალგაზრდული უदारდელობისა, ეშინოდა
თავის საქმეებით არ შეეწუხებინა. მაგრამ მას ესაჭიროებოდა მხიარუ-
ლება, მეგობრები, წარმატება. მადრიდში თავს კარგად ველარ გრძნობ-
და და რადგან მამა შეჰპირდა, სწავლის მისაღებად საზღვარგარეთ გაგა-
გზავნიო, თავისებურად მორიდებული ტონით შეახსენა ეს.

—სწორედ დროზე მომაგონე,—მოულოდნელი ალერსიანობით
უთხრა გოიამ,—ახლავე უნდა შეგვუდგეთ სამზადისს.

აგუსტინ ესტევემ გულისტკივილით იგრძნო გოიას ირგვლივ შექ-
მნილი სიცარიელე. არისტოკრატები, რომლებიც წინათ სულით და გუ-
ლით ცდილობდნენ მისთვის პორტრეტი დაეხატვინებინათ, ახლა უსუ-
სური საბაბით უარს ამბობენ შეკვეთებზე. სენიორ ფრაგოლამ განა-
ცხადა, რომ ვერც ერთ ცალ Caprichos-ს ვერ გაჰყიდდა, გოიას სახე-
ლის ხსენებაც კი ხალხში შეცბუნებას იწვევდა.

ხმები დადიოდა, წმინდა სამსჯავრო გოიას წინააღმდეგ საქმის აღ-
ძვრას აპირებსო. ამ ხმების სათავე, როგორც ჩანს, თვით სანტა კასა-
დან გამომდინარეობდა.

აგუსტინმა შვებით ამოისუნთქა, როცა გაიგო, ცოლ-ქმარი ბერმუდესები ამ დღეებში დაბრუნდებოდნენ.

ღიას, ღონ მიგელმა კარგად შეასრულა თავისი მისია ამიენში და ლუსიასთან ერთად ახლა უკანვე მოემგზავრებოდა. თუმცა მან იცოდა, რომ მის მიერ დადებული ხელშეკრულება ქვეყანას არას არგებდა, მაგრამ ღონ მანუელისა და დედოფლის სასარგებლო შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. იტალიის სამთავროების საზღვრები გაფართოვდა, პარმის საჰერცოგო აღსდგა, საფრანგეთმა ვალდებულება აიღო თავისი ჯარები სასწრაფოდ გაეყვანა პაპის სამფლობელოდან, აგრეთვე ნეაპოლის სახელმწიფოდან და ეტრურითიდან. გარდა ამისა, ინფანტის დიდად საამებლად, მიგელმა მოახერხა ის, რომ საზავო ხელშეკრულებას პირველად ესპანეთის წარმომადგენლები მოაწერდნენ ხელს. საფრანგეთის რესპუბლიკის რწმუნებულებზე რამდენიმე დღით ადრე. ეს იმას ნიშნავდა, რომ მიგელს უფლება ჰქონდა სამაგიერო მოეთხოვა ინფანტისაგან და გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს წინსვლის, ცივილიზაციისა და თავისუფლების სასარგებლოდ.

ამგვარად, ძალზე კმაყოფილი ბრუნდებოდა ღონ მიგელი მადრიდს, მაგრამ ჩამოსვლისთანავე მასთან გამოცხადდა აფორიაქებული აგუსტინ ესტევე და მას აუწყა ფრანსისკოს ირგვლივ შექმნილი სახიფათო ვითარება.

ღონ მიგელი დაუყოვნებლივ გაეშურა პოლიციის უფროსთან, სენიორ დე ლინარესთან, რათა გამოეკვლია, რამდენად საფუძვლიანი იყო აგუსტინის პანიკა. სენიორ დე ლინარესმა, რომელსაც თავისი ჯაშუშები ჰყავდა სანტა კასაში, ყველაფერი კარგად იცოდა.

მისმა გადმოცემულმა ამბავმა მიგელი უალრესად აღაშფოთა.

ღონ რამონ დე რეინოსო-ი-არეს, ბურგოსისა და სარაგოსას არქივისკოპოსს, ორივე ინდოეთის პატრიარქს, ორმოცდამეოთხე დიდ ინკვიზიტორს, უთქვამს, რომ ფრანსისკო გოიას ჯოჯობეთური ხელოვნებიდან გამომდინარე გავლენა უფრო საშიშია, ვიდრე ზოველიანოსის ყველა ნაწერი და ნათქვამიო. მეორეჯერ კი უთქვამს, Caprichos-ი ჯოჯობეთური გოგირდის სუნად ყარსო. ამგვარი აზრი დიდ ინკვიზიტორს რამდენჯერმე გამოუთქვამს ერისკაცებთანაც, უთუოდ იმ მიზნით, რომ მისი სიტყვები გავრცელებულიყო. უეჭველია, რეინოსომ გადაწყვიტა

Caprichos-ის და მისი ავტორის წინააღმდეგ გალაშქრება. ამბობდნენ, თითქოს ბატონი პირველი მხატვარი კიდევაც დაჰკითხესო.

ღონ მიგელმა მადლობა გადაუხადა პოლიციის უფროსს და ლუსიას მიაშურა. დიდმა ინკვიზიტორმა, კარგმა პოლიტიკოსმა, რომელმაც დიდი ხანია იცოდა, როგორ ემუქრებოდა საზავო ხელშეკრულება მის ხელისუფლებას, თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად, ეტყობა, დაუყოვნებლივ სცადა ფხა გამოეჩინა და Caprichos-ი კი ამ მიზნისათვის ხელსაყრელ შემთხვევას სთავაზობდა. საშიშროება დიდი იყო. სასწრაფოდ უნდა მიეღო ზომები.

ფრანსისკოსთან დისკუსიას ახლა აზრი არა ჰქონდა. მიგელმა და ლუსიამ შეადგინეს გეგმა, რათა ინკვიზიციის თავდასხმის ჩანასახი ძირფესვიანად აღმოეფხვრათ. იმავე დღეს გამგზავრა მიგელი ესკურიალს.

იქ მას დახვდა მოზეიმე, ბედნიერი მანუელი. ის კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ ბედის რჩეული შვილი იყო. ჯერ ერთი: მას მიევო ახალი, ყველაზე ბრწყინვალე პატივი. პაპმა ამიენში მიღწეული წარმატებისათვის მადლობის ნიშნად მას დე ბასანოს პრინცის ტიტული უბოძა. გარდა ამისა, საბუთი გადასცა მისმა ცოლისძმამ, ინფანტმა ღონ ლუის მარიამ, ესპანეთის პრინცესამ, სწორედ მან, რომელიც თავის დროზე მანუელს კაცად არ თვლიდა და ვერ ამჩნევდა, თითქოს ცარიელი ადგილი ყოფილიყო. მეორე: მან ხელახლა დაუმტკიცა დონია მარია ლუიზას, რომ სახელმწიფო მოღვაწე ღონ მანუელი მართავს მისი დინასტიის საქვს და, მიუხედავად ყოველგვარი ქარტეხილისა, მუდამ ახალ-ახალ გამარჯვებებს აღწევს. მესამე: მან მიაღწია ინფანტისაბელის, მარია ლუიზას და თავისი საყვარელი ასულის დამოუკიდებელი, გაბაჩოსაგან თავისუფალი ნეაპოლის დედოფლად დაბრძანებას. ყველაფერზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, და შესაძლოა ყველაზე მეტად საამაყო მანუელისათვის, რომ მისმა წარმომადგენლებმა პირველებმა მოაწერეს ხელი საზავო ხელშეკრულებას. დიახ, მის სახელს ახალი პატივი შეემატა: მან და არა ამაყმა გენერალმა ბონაპარტემ დაუპრუნა ევროპას სანატრელი მშვიდობა. ამიერიდან მისი, მშვიდობის თავადის, სახელი ესპანეთის მთელ სახელმწიფოში პირველი მოიხსენიება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შემდეგ.

ღონ მანუელს სულითა და გულით გაუხარდა მიგელის ნახვა, არ დავიწყებია, რომ მას ამიენის საქმეების წარმატებაში წილი ედო, და

სიურპრიზი მოუმზადა: კათოლიკე მეფის საკუთარი ხელით დაწერილი მადლობა, ამასთანავე ახალი ტიტულები, წარჩინებები და აგრეთვე საგარეობი ფულადი საჩუქრები.

მაგრამ სამწუხაროდ პირველი შეხვედრის სიხარული დონ მიგელმა ჩაუშალა. მან საუბარი გადაიტანა გოიას სავალალო მდგომარეობაზე:

დონ მანუელის სახეზე მსუბუქმა ჩრდილმა გადაირბინა. თავისი ახალი ბრწყინვალეების გამოშხეურებით ისე იყო დასაქმებული, რომ დროს ვეღარ პოულობდა გოიასთვის თავის შესაწუხებლად. რა თქმა უნდა, მან ყური მოჰკრა, რეინოსომ წარბი შეიკრა გოიას Caprichos-ის ნახევრისასო, მაგრამ ეს განა საკვირველი იყო? წარბის შეკვირიდან აუტოლაფქმდე გრძელი გზა იდო. არა, მიგელს ტყუილად ეჩვენებოდა ცუდად ეს საქმე. დიდი ინკვიზიტორი რამდენჯერმე სიტყვიერი ძაგებით მოიხსენიებდა ამ მხატვრობას და თავს მიანებებდა. ინფანტმა მოინდომა მიგელის შიში არისტოკრატიულად ხელის ჩაქნევით გაექარწყლებინა.

მაგრამ მიგელი არ ცხრებოდა. ის ამბობდა, რომ დიდ ინკვიზიტორს განზრახული ჰქონდა გოიას ისევე მოქცეოდა, როგორც ხოველიანოსს. და თუ ახლავე არ შეუშლიან ხელს, შესაძლოა მომდევნო დღეებში ფრანსისკომ უკვე წმინდა ტრიბუნალის საპყრობილეში ამოყოს თავი. იქიდან მისი დახსნა ბევრად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე დღევანდელად გადამქრელი, ქმედითი ზომების მიღებაო.

ინფანტს ეჩოთირებოდა საერთო ზეიმის დროს სანტა კასასთან კონფლიქტი, მაგრამ დაინახა, რომ ჩარევა აუცილებელი იყო.

— შენ მართალი ხარ, — უთხრა მან, — დაუყოვნებლივ უნდა მივიღოთ ზომები ჩვენი საყვარელი ფრანსისკოს გადასარჩენად, ასეც მოვიქცევით. ორმაგი ქორწინება მეფის ოჯახში ჯერ არნახული ზეიმით ჩატარდება. მთელი ქალაქი ბარსელონა სანადიმო დარბაზად იქცევა. და იცი, ვის მივანდობ ზეიმის მთავარ მეთვალყურეობას? ფრანსისკო გოიას. ფილიპე დიდმა ხომ მიანდო მსგავს შემთხვევაში მსგავსივე ვადებულება ველასკესს? — მას თანდათან ხალისი ემატებოდა, — მართალი თქვი, ხომ მოხერხებულად მოვიგონე? ამგვარად, ჩვენ მთელ ქვეყანა დავანახებთ, როგორი მოწყალე თვალთ უყურებენ ფრანსისკოს მათი კათოლიკური უდიდებულესობანი. მე ხვალვე მოველაპარაკები დონია მარია ლუიზას. მერე დავინახავთ, როგორ გაბედავს რეინოსო ჩვენი გოიას შეწუხებას.

მიგელმა ქებით შეამკო ინფანტი ასეთი კარგი მოსაზრებისათვის. მაგრამ ეწინააღმდეგებოდა, ვითუ ასეთი დიდი პატივიც საკმარისი არ ყოფილიყო. დიდი ინკვიზიტორის ფანტიკური სიძულვილის გასანელებლად, უნდა გამოინახოს საშუალება, რომელიც უშუალოდ Caprichos-თან იქნება დაკავშირებული. Caprichos-ი უნდა შემოიფარგლოს მიუვალი კედლით. მიუხედავად იმისა, რომ მანუელმა უკმაყოფილოდ ჩამოუშვა ცხვირი, მიგელი არ მოეშვა.

— როგორი იქნებოდა, — განაგრძობდა ის, — რომ ჩვენს მეგობარ ფრანსისკოს, ბედნიერ ორმაგ ქორწინებასთან დაკავშირებით, მათა უდიდებულესობათათვის საჩუქარი მიერთმია? და საჩუქრად კაპრიჩოსის ფირფიტები აერჩია? ისე, რომ მომავალში კაპრიჩოსს მეფის სამხატვრო სტამბა ბექდავდეს და უშვებდეს?

გაოცებულმა მანუელმა უცებ ვერ მოახერხა პასუხის გაცემა. მან მხოლოდ ზერეღედ გადაავლო თვალი ფრანსისკოს მიერ მისთვის მიძღვნილ ეგზემპლარს. მაშინ მას ბუნდოვანი ეჭვი დაებადა, რომ გოიას უტიფრობა აქ-იქ პირადად მას უმიზნებდა. მაგრამ ვიღრე ეჭვი ხორცს შეისხამდა, დამაჩერებელი გახდებოდა, საკუთარი ბედნიერებისა და წარმატების გრძობამ წარეცხა. დონია მარია ლუიზას კარიკატურის დანახვაზე ინფანტმა ჩაიციხა, მაგრამ დიდად კი არ ჩაფიქრებია. მთლიანად ნაწარმოები მართალია თავხედურ, მაგრამ ძირითადად მხატვრის უწყინარ ხუმრობად ჩათვალა.

ახლა, როცა მიგელმა თავისი გაბედული წინადადება წამოაყენა, მანუელი ხელახლა ოდნავ დაეკვდა. ფიქრობდა, რომ მარია ლუიზას შეიძლება სწყენოდა თუ პირდაპირ შეაჩივრებდნენ Caprichos-ს. მაგრამ, რაღაც მისთვისაც უცნობი მიზეზის გამო ამგვარი შეპასუხებისაგან თავი შეიკავა. ამის მაგიერ მან ცოტა ხნის შემდეგ იკითხა:

— როგორ გაქვს შენ ეს წარმოდგენილი? Caprichos-ი ხომ უკვე გამოქვეყნებულია და ახალი აღარაა. შეიძლება ასეთი საჩუქრის მიერთმევა მეფისათვის? აქვს განა რაიმე ფასი ფირფიტებს, როცა ოფორტები უკვე ბაზარზეა? დონია მარია ლუიზამ კარგი ანგარიში იცის. ასეთ ძუნწუ საჩუქარს შეურაცხყოფად არ მიიღებს?

მაგრამ დონ მიგელს პასუხი მზად ჰქონდა.

— სენიორ ფრაგოლამ, — უპასუხა მან, — ინკვიზიტორის შიშით, რამდენიმე დღის წინ შეწყვიტა მათი გაყიდვა. რამდენადაც მე ვიცი, სულ

დიდი 200 ცალი თუა ხალხის ხელში. ყოველი ფურცლიდან კი შეიძლება ხუთი-ექვსი ათასი ცალი ანაბეჭდის დამზადება, ხალხი უჩვეულოდ და დაინტერესებული, თითო ეგზემპლარი ოქროს ერთ უნციად უნდა დაფასდეს. თქვენ ხედავთ, დონ მანუელ, რომ საჩუქარი, რომელსაც სენიორ დე გოია კათოლიკე მეფეს მიახთმევს, შესაფერია მაღალი დანიშნულებისათვის.

დონ მანუელმა გუნებაში იანგარიშა. გამოუვიდა მილიონნახევარი რეალი. ჩაუსტვინა.

— დედოფალი უფრო ადრე იმას იკითხავს, — განაგრძო ღიმილით მიგელმა, — რატომ მოართვა გოიამ ასეთი ძვირფასი საჩუქარი და მიხვდება, რომ წმინდა სამსჯავროსაგან თავის დასახსნელად მფარველობა ესაჭიროება. მაგრამ დედოფლის თვალში ეს კიდევ უფრო ძვირფასს გახდის საჩუქარს. დედოფალი უთუოდ უკან არ დაიხევს, დიდ ინკვიზიტორს რომ ოინი უყოს.

— შენი არგუმენტები ყურადსაღებია, — თქვა ინფანტმა, — მაგრამ, — და აქ იძულებული გახდა თავისი შიში გამოეთქვა, — თუ მე კარგად მახსოვს, იქ არის ზოგიერთი ფურცელი, რომელიც ვაითუ არ მოეწონოს დედოფალს. დედოფალი ხანდახან ძალიან ფხუკანია.

დონ მიგელს საამისო პასუხიც ჰქონდა გამზადებული და მაშინვე მიუგო:

— დედოფალი უთუოდ მიხვდება, რომ ვერ გაუბედავდნენ იმ ნაწარმოების შირთმევას, სადაც თვითონ იქნება ნაგულისხმევი. და თუკი დედოფალი ნაწარმოებს თვითონ გამოაქვეყნებს, არავის აზრად არ მოუვა, ზოგიერთ ოფორტზე თვიდონ ის ეძიოს.

ამან დააჯერა მანუელი. დიდი სახელმწიფო მოღვაწე თვითონ გააზრცილებდა პასკვილს და ამით უვნებელს გახდიდა მას. თვითონ გენერალმა ბონაპარტემ არ დააკიდებინა თავისი კარიკატურა უფრო გამოსაჩენ ადგილას? თუ ეს პრუსიის მეფე ფრიდრიხი იყო? სულერთია, რომელიც არ უნდა ყოფილიყო! დონია მარია ლუიზას და დონ მანუელს შეეძლოთ ეს გადმოეღოთ. მეფის სამხატვრო სტამბაში Caprichos-ის დაბეჭდვის აზრი უფრო და უფრო მოსწონდა.

— მე მოველაპარაკები დონია მარია ლუიზას გოიას გეგმისა და საჩუქრის თაობაზე, — დაჰპირდა ის.

— გამადლობთ, ინფანტო, — უპასუხა დონ მიგელმა.

მან აუწყა ლუსიას თავისი მოლაპარაკების წარმატების ამბავი, ლუსიამ კი გოიას მიაშურა. ის დიდად ნაწყენი დაუხვდა, რომ ამდენი ზნის წასული მიგელი ესკურიალს გაემგზავრა მის უნახავად. აი, როგორი ფლიდი მეგობრები ჰყავს როგორც კი გასაქირი მოადგება კარს, შიატოვებენ! სახე გაუბრწყინდა, როცა ლუსია დაინახა.

— მითხრეს, რომ ინკვიზიცია Caprichos-ით უკმაყოფილო ყოფილა, — თქვა მან, — თქვენც გაიგეთ ეს ამბავი?

გოიამ თავი ძლივს შეიკავა, ისე უნდოდა ამოენთხია ნალველი, მაგრამ მხოლოდ მშრალად თქვა:

— დიახ.

— საოცარი კაცი ხართ, დონ ფრანსისკო. — უთხრა ლუსიამ, — რატომ ჩვენ არ მოგვმართეთ? თქვენ ხომ დაგპირდნენ.

— დამპირდნენ! — გაიმეორა გოიამ და მრავალმნიშვნელოვნად აიჩეჩა მხრები.

— ინფანტების ორმაგი ქორწილის გადახდა გადაწყვეტილია ბარსელონაში, — დაიწყო ლუსიამ, — თქვენ, დონ ფრანსისკო, მიგიწვევენ ესკურიალში, მიგიღებენ საზეიმო აუდიენციაზე და როგორც თავის დროზე ველასკესს, ისე თქვენც, ნადიმის მოწყობას და მეთვალყურეობას დაგვალებენ.

გოია ჩაფიქრდა.

— ეს საკმარისია? — იკითხა საქმიანად, — სხვათა შორის მე ისევე არ მაყვარს ზეიმის ხელმძღვანელობა, როგორც წმინდანების ხატვა.

— თქვენგან საჩუქარს ელოდებიან მეფის ოჯახში ორმაგი ქორწინების გამო. თქვენი მეგობრის აზრით, — განაგრძო ლუსიამ, — Caprichos-ის ფურცლები საამისოდ ზედგამოჭრილი იქნება.

გოიას ეგონა, კარგად ვერ მოისმინა, რას ეუბნებოდნენ.

— დამიწერეთ, გეთაყვა, დონია ლუსია, — უთხრა მან.

ლუსია დაეთანხმა და როცა ის იჯდა და წერდა მონდომებისაგან ენისწვერაგამყოფილი, უეცრად იქცა პრადოზე ნუშის გამყიდველ გოგონად.

გოიამ წაიკითხა.

— არ დამიშვებენ ძირს ესკურიალის კიბიდან? — იკითხა მან, — ის ძალზე დაქანებულია.

— თქვენმა მეგობრებმა გამოიანგარიშეს, რომ Caprichos-ს, თუკი

მას მეფის სამხატვრო სტამბა გამოსცემს, მილიონნახევარი მოგებას მოცემა შეუძლია. თქვენმა მეგობრებმა იზრუნეს, გაეგებინებინათ ეს მეფის კარისათვის.

გოია ჩაუფიქრდა ამას და უფრო მეტად გამხიარულდა.

— ეს თქვენი გეგმაა, ლუსია?—ჰკითხა მან.

ლუსიამ პასუხის მაგიერ უთხრა:

— მე თქვენს ადგილას ერთ ფურცელს ამოვიღებდი Caprichos-იდან თუკი თქვენ მას მათ აღმატებულებებს უსახსოვრებდით: „Hasta la muerte—სიკვდილამდე“—ს.

— რომელზედაც დედაბერი იპრანკება?—ჰკითხა გოიამ.

— დიახ, ხანში შესული მანდილოსნები მეტისმეტად ფხუციანები არიან,—უპასუხა ლუსიამ.

— არაფერსაც არ ამოვიღებ,—განაცხადა ხმაშალა და მხიარულად გოიამ. დედაბერი დარჩება საქალაქში, სიკვდილამდე. „ვისაც გზედულება არ ჰყოფნის, მას ტყვია-წამალი ვერ უშველის“,—წარმოთქვა ძველი ანდაზა.

ლუსია გამხიარულდა.

— თქვენ ბევრს ბედავთ, თავს იმეტებთ, მაგრამ იცოდეთ, ეს სიამოვნება ძალიან ძვირად არ დაგიჯდება.

გოიამ თითქოს სწორად ვერ გაიგო, განზრახ უპასუხა:

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ამგვარი ძვირფასი საჩუქარი უბრალო მხატვარმა არც უნდა მიართვას კათოლიკე მეფეს.

ის კვლავ ჩაუფიქრდა და სახე კვლავ გაუბრწყინდა.

— თქვენ, დონია ლუსია, მოხერხებული ქალი ხართ და დონ მიგელი კარგი დიპლომატია,—წარმოთქვა ხმაშალა,—მე დიდი ხანია განზრახული მაქვს, ჩემი შვილი იტალიასა და საფრანგეთში განათლების მისაღებად გავგზავნო. არ შეიძლება საქმე ისე გავჩარხოთ, რომ მეფემ სამგზავრო თანხა მაინც გაიღოს?

გოიამ ნახა, ლუსიამ როგორ მოულოდნელად და უჩვეულოდ ჩაიჭიქილა. „რას იზამს კაცი! კვიანურია,—ამბობდა იგი. — თუ მეფის კარი ყოყმანობს ჭერაც, მიიღოს თქვენი ძვირფასი ძღვენი. ჩვენ შეიძლება ვურიჩიოთ მონარქს,

ვაიშვილს თქვენსას, ეთ ახალგაზრდა
 ფერმწერს და მხატვარს, ამ მგზავრობისას
 შეუწყოს ხელი ყოველნაირად.
 ან, კაცმა რომ თქვას, რა უნდა იქონ
 აქ გასაკვირი, დიდი ხელმწიფე, —
 მფარველი ჩვენი ხელოვნებისა,
 მოწყალე თვალთ თუკი შეხედავს
 შეილსა და მამას?...“ შემდეგ ორთავემ—
 ამ პრადოელმა მოვაპრე გოვომ
 და მწყემსმა ბიჭმა არაუბნელმა
 ზალისიანად შეხედეს ერთორას
 და გულიანად გაღიხარბარეს...

85

დონ კარლოსი და დონია მარია ლუიზა მომალლო ადგალას დაბრ-
 ძანებულიყვენ ტახტისმაგვარ სავარძლებში. მათ უკან იდგნენ ინფან-
 ტი მანუელი, კონტესა კასტილოფილი, სხვა გრანდები და გრანდესები.
 ტახტის პირველ საფეხურზე მუხლმოყრილი მეფის პირველი მხატვარი
 ფრანსისკო დე გოია Caprichos-ის საქალაქდეს საჩუქრად აწვდიდა მე-
 ფე-დედოფალს.

მუხლმოყრილ ფრანსისკოს ესმოდა ახლა აქ მომხდარა ამბის ძალ-
 ზე სასაცილო ვითარება. ეს იყო ყველაზე სასტიკი დაცინვა მის დაცინ-
 ვებით მდიდარ ცხოვრებაში, ეს იყო Caprichos საქალაქდესი მოთავსე-
 ბულ ყოველ Caprichos -ზე მეტად სასაცილო. ეს ამბავი ხდებოდა დიდე-
 ბულ, ბრწყინვალე ესკურიალში, მისი მონაწილენი იყვნენ უღარდელი,
 გამოყეყეჩებული მეფე, გარყვნილი ამაყი დედოფალი და თვით გოიაც
 თავისი მახილებელი ოფორტებით, რომლებზედაც გამოსახული იყო
 ღირსებით აღსავსე ვირები, მაიმუნისსახიანი მეძავეები, დაჩაჩანაკებუ-
 ლი დედაბერი და მოჩვენებები. და ამ შეუპოვარი, თავქეიფა ქმნილე-
 ბისათვის მათი კათოლიკური უდიდებულესობანი მოწყალედ უხდიან
 მადლობას, ჰპირდებიან ინკვიზიციის თავდასხმისაგან მფარველობას
 და პირობას აძლევენ, რომ ამ აბუჩად ამგდებ სურათებს ქვეყანას უჩ-
 ვენებენ. ყველაფერი ეს კი ხდება ამა ქვეყნის ყოფილ ძლიერთა, ინ-
 კვიზიციის ფუძემდებლებისა და გამავრცელებლების საძვალეთა თავ-
 ზე! გოიას წარმოესახა კაპრიჩო, რომელზედაც ეს გარდაცვლილი მე-
 ფეები, ჩონჩხად ქცეული ხელებით, თავიანთი ვერცხლის კუბოების

მძიმე სასურავების აწევას ლამობენ, რათა აღკვეთონ ეს მკრეხელური გამასხარავება.

მათი აღმატებულებანი *Caprichos*-ს ათვალეირებდნენ.

ისინი ფურცლავდნენ და ერთიმეორეს აწვდიდნენ ოფორტებს, აკვირდებოდნენ დიდხანს. გოიას გულში თანდათან ჩაქრა ღვარძლიანი სიხარული და არასასიამოვნო გრძნობა შეეპარა. შესაძლოა ყველა მოსახრების მიუხედავად დელოფალს „*Hasta la muerte*“-ს ფურცლის დანახვაზე დაეკარგოს თავდაპირილობა, საჩუქარი ფეხებთან მიუგდოს და თვით გოია ინკვიზიციას გადასცეს.

მანუელი და პეპაც გაზავციცებით და ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ დონია მარია ლუიზას, რა თქმა უნდა მას ეყოფა ჰკუა, რომ მიხვდეს ზოგიერთი ფურცლის ნამდვილ აზრს, მაგრამ ეყოფა კი ჰკუა არ შეიმჩნოს ეს?

ჭერჭერობით მხოლოდ დონ კარლოსი გამოთქვამდა თავის აზრს. მას ართობდა *Caprichos*-ი, განსაკუთრებით მოსწონდა ვირების ციკლი.

— აჲ მე ბევრ ჩემს გრანდთაგანს ვხედავ.— კმაყოფილებით თქვა მან.— ზოგიერთ მათგანს შემძილია ახლა ვუთხრა: „*Cubrios*— დაიხურეთ!“ და რა უბრალო საშუალებებით მიგიღწევიათ ასეთი შედეგისათვის, ჩემო კარგო ფრანსისკო. კაცმა რომ თქვას, კარიკატურების ხატვა იოლია. გრძელ ცხვირს უფრო დააგრძელებ, გამამარ წვივებს უფრო დააწვრილებ და ეს უკვე ხელოვნებაა. მომავალში მეც ვცდი ამას.

დონია მარია ლუიზა აჲ კვირებში სიხარულით იყო აღტაცებული. კიდევ ერთხელ დაგვირგვინდა ბრწყინვალედ მისი სურვილები, მან გაიტანა თავისი ამ მტაცებელი, უხეში ფრანგი გენერლის წინააღმდეგ: კვლავ აღადგინა თავისი შვილების სამეფო ტახტები: პორტუგალიის, ნეაპოლის, ეტრურიის სამეფოები, პარმის საჰერცოგო მტკიცედ შეაკავშირა თავის დინასტიასთან. დაუბრკოლებლად ცურავს მისი გემები შვიდ ზღვაზე, რათა მის ფერხთა ქვეშ გაათინონ მთელი მსოფლიოს საგანძურები.

ამ გუნებაზე მყოფი ათვალეირებდა *Caprichos*-ს. დიახ, მისი კარის მხატვარ გოიას გამჭრიახი, გაბედული თვალი აქვს. როგორ მიუდგომლად, ცხადად ჰყავს ნაჩვენები მამაკაცები, როგორ ღრმად დაუნახავს მათი მშფოთვარე და მინც ცარიელი სულის სიღრმე. რა ზუსტად იც-

ნობდა ქალებს. როგორ უყვარდა, სძაგდა, ეზიზღებოდა და ალტაცებულ-
ლი იყო მათით ეს მამაკაცი. ქალი თუნამდვილი ქალია, ისე უნდა იბრ-
ძოლოს, როგორც აქას ფრანსისკო უჩვენებს. უნდა მოიკაზმოს და ყუ-
რადლებით იყოს, რომ სავარცხელი კონტად ჰქონდეს თმაში გარკობი-
ლი და წინდა ფეხზე შემოტმასნილი. მოისაზროს, როგორ გაყვლიფოს
მამაკაცი, ხოლო თავის თავს მოუფრთხილდეს, და სხვას არ გაეყვლე-
ფინოს. ფეხზლად უნდა იყოს, რომ ცბიერმა ინკვიზიტორმა მის საწი-
ნააღმდეგოდ არ იქადაგოს და ტახტიდან არ ჩამოაგდოს.

აი ეს, რომელიც ზეცაში მოფრინავს თუ ქვესკნელში ეშვება, ალბა
არ არის? რა თქმა უნდა ის არის. ის იყო აგრეთვე სხვადასხვა ოფორ-
ტებზეც ლამაზი და ამაყი, მაგრამ კუდიანად გამოყვანილი. უთუოდ
ბევრი სიმწარე აგემა მან თავის საყვარელს, ფრანსისკოს. მიუხედავად
სილამაზისა, სიმპათიურად არ გამოიყურებოდა ამ ფურცელზე. თუკ-
ცა ახლა ის უკვე თავის მავზოლეუმში წევს სან ისიდროში გახრწნი-
ლი, დავიწყებული და ეს Caprichos-ი ვერც გაახარებს და ვერც და-
ალონებს. ლამაზი, თავხედი, ამაყი მოქიშბე, თავმოჭრილი და შერცხ-
ვენილი წავიდა ამ წუთისოფლიდან. ის კი, მარია ლუიზა, ჯერ კიდევ
ჰყვავის, კიდევ შეუძლია ამ ცხოვრებას გემო ჩაატანოს, კიდევ დიდ-
ხანს იჯირითოს დედამიწაზე, ვიდრე მისი ზეცაში აფრენის თუ ჯოჯო-
ხეთში ჩაგდების უამი დაჰკრავდეს.

გოია გაფაციცებით მიშტერებოდა დონია მარია ლუიზას ხელებს.
აკვირდებოდა, როგორ ფურცლავდა Caprichos-ს ქალის ხორციანი
ხარბი ხელები, რომლებიც მას ბევრჯერ დაეხატა. ხედავდა ხელებზე
წრავალ ბეჭედს და მათ შორის კაეტანას საყვარელ ბეჭედსაც. მას ხში-
რად უნახავს, შენებია და დაუხატავს ეს ძველებური, საუცხოო, გემოვ-
ნებით გამოჭედილი ბეჭედი, ხანდახან ის კაემანს ჰგვრიდა გოიას, და
უფრო ხშირად კი სიამოვნებას ანიჭებდა. ახლა ამ თითებზე მისმა და-
ნახვამ გული მოუკლა გოიას. ძალიან კარგად მოიქცა, დედოფლის ავ-
ხორცული, გარყვნილი, აღვირახსნილი სიმახინჯე რომ აღბეჭდა ოფორ-
ტზე. მან ეს დაიმსახურა, თუნდაც კაეტანას შიმართ გაიძვერული უსინ-
დისო საქციელით.

ოფორტების დამთვალეირებელი, მდუმარე დედოფლის სახე იყო
მკაცრი, დაძაბული, უშფოთველი. და უეცრად გოია აიტანა ბევრად
უფრო ძლიერმა ახალმა შიშმა, ვიდრე წინათ, მწვავედ იგრძნო, რა უც-
ნაური, თავხედური იყო მისი „საჩუქარი“. სისულელე ჩაიდინა, რომ

ლუსიას რჩევა არ დაიჭერა და „Hasta la muerte“ ოფორტებიდან არ ამოიღო. ცხადია, დედოფალი თავის თავს იცნობს. ცხადია, მიხვდება, რომ ამ ოფორტებით გოია განაგრძობს დედოფლის აწ გარდაცვლილი საძულველი მტრის დაწყებულ ბრძოლას.

აი უკვე დადგა ქამი. ახლა ხანში შესული მორთულ-მოკაზმული მარია ლუიზა აკვირდებოდა დაჩაჩანაკებულ დედაბერს, სარკის წინ რომ იკაზმებოდა. თვითონ ის სულაც არ არის ჩამომკვანარი, პირიქით მსუქანიც კია, თანაც ამ გადაჯამებულზე ორჯერ ახალგაზრდაა. დედოფალი თავის თვალებს არ უჭერებდა, მაგრამ წამსვე მიხვდა: ამ ოფორტზე გამოხატული მაიმუნივით დამანქული დედაბერი თვითონ იყო. მას სუნთქვა შეეკრა ყველაზე უფრო დამამცირებელი შეურაცხყოფისაგან, რომელიც კი ოდესმე მისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფებით მდიდარ მის ცხოვრებაში. გაოგნებული მიშტერებოდა ოფორტის 55 ნომერს. „Cincuenta y cinco“, რამდენჯერმე გაიფიქრა ანგარიშშიუცემლად—და აი ეს კაცი იდგა აქ, ეს მდაბიო, ერთი ზეავი ფუნა, არარაობა, რომელიც თვითონ მან აამალა და პირველი მხატვრობა უბოძა, აქ იდგა ის და მისი მეუღლის, კათოლიკე მეფის, მისი მოყვრებისა და მტრების თანდასწრებით, ცხვირწინ შესჩარა ეს ვერაგული ფურცელი. ნიშნის მოგებით უყურებდა ამას მანუელი, მისი პეპა და ყველანი. ნუთუ დედამიწაზე ყველა დედოფალთა შორის უამაყესს არავითარი ძალა-უფლება აღარ აქვს, რადგან ორმოც წელს გადააბიჯა და ლამაზი აღარ არის?

თავი რომ შეეკავებინა, მექანიკურად კითხულობდა და გულში იმეორებდა: „Hasta la muerte, cincuenta y cinco“. მოაგონდა გოიას მიერ დახატული მისი მრავალი სურათი. მართალია, იქ შეუხვდავი გამოჰყავდა, მაგრამ მის ძალასა და ღირსებას მაინც გამოხატავდა. ის შტაცებელი ფრინველი იყო, დიახ ულაშაზო, მაგრამ ერთი მათგანი, ვინც მალა ფრინავს და თავის გამჭრიანი თვალებითა და მაგარი ბრჭყალებით თავის მსხვერპლს ელვის სისწრაფით თვალს მოავლებს და უეჭველად მოიტაცებს. ამ 55-ე ფურცელზე ამ კაცს მისი ყველაფერი კარგი მიუჩქმალავს, უჩვენებია მხოლოდ სიმახინჯე, სიამაყე და ძალა კი—არა.

წუთის რაღაც მონაკვეთში სურვილმა აიტაცა მოესპო ეს უსინდრო. საამისოდ მას ხელის განძრევაც კი არ დასჭირდებოდა. საჭარო

ყო მხოლოდ რაიმე საბაბით „საჩუქარი“ არ მიეღო; დანარჩენზე ინკვიზიცია იზრუნებდა, მაგრამ მას მშვენივრად ესმოდა, რომ მის ირგვლივ მყოფნი მოუთმენლად ელოდებოდნენ, რას იზამდა იგი. თუ არ უნდოდა, რომ მომავალში დიდხანს სასაცილოდ გაეხადა თავი, მაშინ გაუთლელი, გლეხური უნამუსობა დამშვიდებული, ირონიული ქედმაღლობით უნდა მიეღო.

ჩუმად ათვალეირებდა ოფორტს. მანუელსა და პეპას შიში ემატებოდათ და მოუთმენლად ელოდებოდნენ. მეტისმეტად ხომ არ გადააჭარბეს? გოიას მთელი ძალით დაეძგერა შიშის ტალღა.

ბოლოს გახსნა ბაგე მარია ლუიზამ. მშვიდი, გულითადი ღიმილით, ისე, რომ ბრილიანტის კბილებმა გაიბრწყინეს და ცულლუტად დაემუქრა გოიას:

— ამ თქვენი სარკის წინ მჯდომი, დამანჭული დედაბრის დახატვილი დიდი პატივი კი გიციათ ჩვენი ოსუნის დედისათვის, ძვირფასო ფრანსისკო.

სამივესათვის, გოიასათვის, მანუელისთვის და პეპასათვის ცხადი გახდა, ამ ქალმა იცოდა, „Hasta la muerte“ რომ თვითონ მას უმიზნებდა. მაგრამ გაუძლო. არც კი შემეკრთალა, მას კაცი ვერაფერს დააჯლებდა.

მარია ლუიზამ კიდევ ერთხელ გადაფურცლა ზერელედ Caprichos-ი და ისევ საქაღალდეში ჩააწყო.

— კარგი ნახატებია, — თქვა მან, — თამამი, ველური და კარგი. შესაძლოა, ზოგიერთი ჩვენი გრანდი გაბრაზდეს. მაგრამ ჩემს პარმაში ერთი ანდაზა გვექონდა: „მხოლოდ სულელს მოსდის გული სარკეზე, რომელიც მის ანარეკლს იძლევაო“. — მან პირი იბრუნა, ავიდა საფეხურებზე და ამალღებულ სავარძელში ჩაბრძანდა.

— ჩვენი ესპანეთი, — თქვა მან პათოსის გარეშე, მაგრამ ღირსეულად, — ძველისძველი ქვეყანაა, მაგრამ ზოგიერთი მეზობლის ჯიბრზე კვლავ ცოცხლობს. ის აიტანს ზოგიერთ ჭეშმარიტებას, მით უმეტეს, როცა ის ოსტატურად და მოსწრებულადაა მორთმეული. თქვენ მომავალში მაინც უფრო წინდახედულად უნდა მოიქცეთ, ღონ ფრანსისკო. ყოველთვის როდი მმართველობს გონება, და შესაძლოა დადგეს დრო, სენიორ, რომ თქვენ სულელების განკარგულებაში აღმოჩნდეთ.

მან მიუთითა Caprichos-ზე, როგორც მესაკუთრემ, იმ თითით, რომელზედაც კაეტანას ბეჰედი ჰქონდა წამოცმული.

— ჩვენ ვღებულობთ თქვენს საჩუქარს, დონ ფრანსისკო,—თქვა მან,—ვიზრუნებთ, რათა თქვენმა სურათებმა დიდი გავრცელება ჰპოვოს, როგორც ჩვენი ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც.

დონ კარლოსი თავის მხრივ ჩამობრძანდა ტანტიდან, ფრანსისკოს მაგრად დაჰკრა ხელი მნაზზე, და ძალზე ხმამაღლა უთხრა ყრუს, როგორც ბავშვს:

— შესანიშნავია თქვენი კარიკატურები. ძალიან გაგვართო, „Muchas gracias“.

მარია ლუიზამ კი განაგრძო:

— ჩვენ გადავწყვიტეთ აგრეთვე თქვენს ვაჟს სამი წლით დაუხინშნოთ სტიპენდია ცოდნის გაღრმავების მიზნით საზღვარგარეთ საზოგადოებრივად, ეს მინდოდა პირადად მეცნობებინა თქვენთვის. ლამაზია თქვენი ვაჟიშვილი, გოია, თუ თქვენა გვავთ? გამომიგზავნეთ საზღვარგარეთ გამგზავრებამდე. და ეცადეთ კარგად წარმართოთ თქვენი საქმეები ბარსელონაში! ჩვენ შევხარით ჩვენი შვილებისა და ჩვენი სახელმწიფოს ამ დიდ საზეიმო დღეებს.

მათი აღმატებულებანი წაბრძანდნენ. გოია, მანუელი და პეპა აღტაცებულნი იყვნენ სიხარულით, რომ ყველაფერი ასე მშვიდობიანად დამთავრდა. მაგრამ ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს თვითონ კი არ დასცინეს დედოფალს, არამედ დედოფალმა დასცინა მათ.

მარია ლუიზამ თავის ტუალეტს მიაშურა; ბრძანა, Caprichos-ი იქ მიერთმიათ. მოართვეს გამოსაცვლელი სამოსი. მაგრამ როგორც კი საზეიმო კაბა გახადეს, ანიშნა, მარტო დამტოვეთ.

მარია ანტუანეტას დანატოვარი საპირფარეშო მაგიდა, ნატიფი, ძვირფასი, გემოვნებით იყო ნაკეთები. ბევრი იშვიათი საგანი და პატარა ნივთი იღო ზედ. კოლოფები და ყუთები, პაწაწინა ქილები და შუშები, სავარცხლები, პომადები, ყოველი ჯურის პუდრები და ფერუშმარილები, სუნამო ფრანკისპანი და სანპარელი, პაჩულის, ამბრისა და ვარდის წყალი, აგრეთვე სხვა იშვიათი წყლები ექიმებისა და კოსმეტიკის სპეციალისტებისაგან დამზადებული. დონია მარია ლუიზამ მოუთმენლად მოუსვა ხელი მთელ ხარახურას, მისწია იქით და Caprichos-ი დაიდვა წინ.

მსუსხავი, უტიფარი, მემამოხური ნახატები ეწყო მის წინ, თავ-

მოკვეთილ შარია ანტუნენტასეულ ძვირფას მაგიდაზე, ფუქსავატურ, ფუფუნების ნაყარნუყარს შორის. მარია ლუიზას სურდა ფურცლები მარტოს გაესინჯა გულდასმით.

ცხადია, ფრანსისკოს მის დასამცირებლად კი არ მოუტანია ეს საქალაღდე, არამედ დიდი ინკვიზიტორისაგან თავდასაცავად. ამგვარად დავხმარა მას რენოსო ხელსაყრელი მორიგება მოეხდინა. Caprichos-ი იყო უტიფარი და თავშესაქცევი. იგი აღიზიზნებდა ადამიანს, ბევრი იყიდოდა საქალაღდეს. მანუელმა აუხსნა, რომ იქიდან მრავალი მილიონის მიღება შეიძლებოდა. ასე მოუხდებოდა მხატვარს, ის კი არ მიღებდა მილიონს, არამედ მარია ლუიზა.

დედოფალმა დახედა უკანასკნელ ფურცლებს, ბერებისა და გრანდებისსახიან მოჩვენებებს, პანიკური შიშით რომ გარბიან. „Ya es hora!“ „დაჰკრა საათმა!“ ეწერა ქვეშ. უეცრად აიღეწა. ამ უსინდისო, შეამბოხური სურათის შინაარსი გადაიშალა მის თვალწინ. Ya es hora!“ სჯერა კი ეს მას? არა და არა, სცდება ეს მდებო წარმოშობის ბატონი, პირველი მხატვარი. საათს ჯერ არ დაუკრავს. არც დაჰკრავს ასე მალე. და ის, მარია ლუიზა, არ აპირებს გაქცევას. სიკვდილამდე არ აპირებს.

ის ისევ „Hasta la muerte“-ს ფურცელს დაჰყურებდა. ეს საძაგე-ლი, ბილწი სურათი იყო. და რა უხამსი ხუმრობაა, მილიონჯერ გამეორებული დაციწვა, პრანჰია დედაბრისადმი დაციწვა. ასე არ უნდა დახურდავდეს სახელოვანი მხატვარი.

დაე, ღარიბი იყოს ნახატის იდეა! შაინც კარგია. სარკესთან დედაბრის ამ გულმოდგინე პრანჰვას მომამბეზრებელი მორალიზებისა არაფერი გააჩნია. ეს არც იაფფასიანი დაციწვაა, ეს არის წყნარი, სავალალო, შიშველი სინამდვილე.

ასეთი აზრის მატარებელი
ადამიანი სახიფათოა,
თუმც არა მისთვის, რამდენიც უნდა
იყფოს ძალღმა—ქარავანი ხომ
შაინც თავის გზით მიედიწება.
იგი, თითქოსდა, მოხარულია
და კმაყოფილი, რომ ქვეყანაზე
ცხოვრობს ასეთი დიდი მხატვარი...
ხომ შეიძლება დედოფალიც კი
გაბრიყვდეს ისე, რომ თავის სულში,

სხვა ჩაახედოს დაუფარავად.
 ეს დემონები მისთვისაც უცხო
 არაა სულაც. ის და გოია
 ერთი მოდგმაა. „ჩვენ ორთავენი
 თანამზრახველნი ვართ და ვეკუთვნით
 უტიფარ ჭილაგს!“
 მან საქალაღე
 გასწია განზე და ჩაიხედა
 სარკეში. არა, ჯერ სიბერემდე
 შორია ნუთუ ვტყუებდები არა!
 გოიას ფუნჯით დახატულ მოხუცს
 სულაც არა ჰგავს. ბედნიერია
 იგი! ბუნებამ დაასაჩუქრა
 უველაფრით, რაზეც მხოლოდ ოცნება
 თუ შეიძლება მაგრამ ცრემლები
 ეელს მოეპყინა უცებ და იგი
 რაღაც უმწეოდ გაბრაზებული
 ატირდა მწარედ და უნუგეშოდ,
 ისე, რომ თითქმის მთელი სხეული
 კრუნჩხვამ მოიცვა...
 ხოლო როდესაც
 გამოერკვა და გონზე მოვიდა,
 მან შეიმშრალა თვალებზე ცრემლი
 და შეწითლებულ ცხვირზე წაიციხო
 პუდრი, დედოფლის მთელი ღირსებით
 რბილ სავარძელში მოთავსდა, ზარი
 ჩამოჰკრა, ხოლო როცა გამოჩნდა
 ქალთა ამაღა, დედოფალი კვლავ
 დედოფლად დარჩა.

36

როცა გოია ბარსელონადან დადლილი და ახალი პატივით შემოსილი უკან დაბრუნდა, მადრიდში თავის საქმეები ჩინებულად დახვდა მეფის სამხატვრო სტამბას, აგუსტინის ხელმძღვანელობით, დიდი რაოდენობით დაებეჭდა *Caprichos*-ი და უკვე მზადდებოდა მეორე გამოცემა. ესპანეთის ყველა მოზრდილ ქალაქში იყიდებოდა ოფორტებში დედაქალაქის შვიდ წიგნის დუქანსა და მხატვრულ ნაწარმოებთა მაღაზიაში ჰყიდდნენ მათ.

ხანდახან ფრანსისკო შეივლიდა დურანის წიგნის დუქანში, რათა

გაეგო, რას ლაპარაკობდა ხალხი Caprichos-ის თაობაზე, ღუქნის ლამაზ პატრონს, სენიორა ფელიპა ღურანს. უხაროდა მისი დანახვა და დიდი ხალხით და კმაყოფილებით უყვებოდა ამბებს. თურმე ბევრი ხალხი მიდიოდა Caprichos-ის სანახავად, ყველაზე მეტად კი უცხოელები, და საქალაქეები, მიუხედავად მაღალი ფასისა, იოლად იყიდებოდა. გოია ამჩნევდა, რომ დონია ფელიპას ეს გულში უკვირდა, ვინაიდან თვითონ ბევრი არაფერი გაეგებოდა Caprichos-ისა.

—რა საშინელ სიზმრებს ხედავთ, დონ ფრანსისკო!—ეუბნებოდა ის და თავს კეკლუცად აქნევდა.

გოია გულკეთილად უღიმოდა და თვითონაც ეშმაკურ მზერას ესროდა; მას მოსწონდა სენიორა ფელიპა.

უმეტესობა გაოცებული იყო და არ ესმოდა, რა იყო აქ მოსაწონი. გოიას აზრით, კოლეგა დავიდის კლასიციზმმა გაუფუჭა გემოვნება ხალხს. მაინც ბევრი მოდიოდა და სდებდა 288 რეალს ერთ Capricho-ში, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ნაწარმოების ირგვლივ დიდი მითქმა-მოთქმა და სენსაცია გაიმართა. Caprichos-ზე გამოსახულ ყოველ არსებაში, ნამდვილ მოდელს ეძებდნენ, ხმა დაირხა აგრეთვე მის ფარულ ბრძოლაზე ინკვიზიციის წინააღმდეგ.

თუმცა ზოგიერთები, უმეტესად ახალგაზრდები, Caprichos-ში ხედავდნენ არა მხოლოდ პიკანტური და სენსაციური კარიკატურების კრებულს, ისინი ჩასწვდნენ და აღფრთოვანდნენ ამ ახალი გაბედული და თავისებური ხელოვნებით, იტალიიდან და საფრანგეთიდანაც მოდიოდა აღიარებისა და თავყვანისცემის გამომხატველი წერილები. აღტაცებულმა კინტანამ განაცხადა, რომ უკვე ხორცი შეისხა მის ლექსში გამოთქმულმა სიტყვებმა: გოიას სახელი მთელ ევროპაში ჰქუხსო.

მრავალი თავყვანისმცემელი და ცნობისმოყვარე მოდიოდა კინტაში, მაგრამ გოია ძალიან ცოტას თუ ღებულობდა.

ერთ დღეს, სრულიად მოულოდნელად, გამოცხადდა ექიმი ხოაკინ პერალი.

დიახ, ის გაეთავისუფლებინათ, მაგრამ იმ პირობით, რომ ორი კვირის განმავლობაში აქაურობას გასცლოდა და მომავალში მისი კათოლიკური უდიდებულესობის სამფლობელოებში აღარ გამოჩენილიყო. ახლა გოიასთან გამოსამწვიდობებლად და მადლობის სათქმელად მოსულიყო, ვინაიდან, მისი აზრით, ფრანსისკოს უთუოდ წილი ედო მის ფანთავისუფლებაში.

გოიას გაუხარდა, რომ პეპამ „კეთილი საქმე“ გააკეთა.

— თქვენი დანმარება ძნელი არ იყო, — უთხრა გოიამ, — რაკი ნადავ-
ლი გაინაწილეს, თქვენს ციხეში ჯდომას აზრი აღარ ჰქონდა მათთვის.

— მე დიდი სიამოვნებით დაგიტოვებდით საჩუქრად ჩემი კოლექ-
ციიდან რომელიმე სურათს, მაგრამ მთელი ჩემი ქონება კონფისკაცია-
ქმნილია, — თქვა პერალმა. შემდეგ გოიას განსაცვიფრებლად მაგიდაზე
288 რეალი ჩამოთვალა, — ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, დონ ფრან-
სისკო. დუქნებში მოსული Caprichos-ის ანაბეჭდები მეტისმეტად
მკრთალია. დიდად დამავალებთ, თუ ერთ ადრინდელ ასლს დამით-
მობთ.

გოიამ ოდნავ ჩაიციხა და უპასუხა:

— ჩემი აგუსტინ ესტევე საუკეთესოს მოგართმევთ ჩვენი ანაბეჭ-
დებიდან.

პერალმა გაიღიმა და უცბად მისი სახე ბევრად გაახალგაზრდავ-
და.

— იქნებ საზღვარს იქითა მხრიდან მოვახერხო თქვენთვის სამაგი-
ერო მადლობის გადახდა. ვინაიდან ჩემს ცხოვრებაში ბევრი ცუდი
ვანმიცდია, ამ ბოლო შემთხვევას მომზადებული შევხვდი. მე ახლა
სანკტ პეტერბურგში მივემგზავრები და, თუ კვლავაც აღარაფერი მოხ-
და, იმედი მაქვს. იქ ჩემი კოლექციიდან რამდენიმე ჩემი საყვარელი
სურათი დამხვდება. ყველა ჩემი გოია, დონ ფრანსისკო. მათ შორის
Caprichos-ის ერთი ოფორტივ, რომელიც საბოლოო გამოცემაში არ
არის. — მიუხედავად იმისა, რომ მარტონი იყვნენ, სულ ახლო მივიდა
გოიასთან და დამარცვლით ჩაუჩურჩულა: — იმედი მაქვს, იქ დამხვდე-
ბა აგრეთვე ველასკესის დიდებული, მაგრამ ნაკლებად ცნობილი სუ-
რათი „ვენერა სარკით“.

— თქვენ წინდახედული ბრძანდებით, დონ ხოაკინ, — უთხრა მოწი-
წებით გოიამ. — ამ ველასკესის საფასურით შეძლებულად იცხოვრებთ.

— არა მგონია, ველასკესის გაყიდვა დამჭირდეს. — უპასუხა პერალ-
მა, — მეფის კარზე მე არ გამიჭირდება: იქ საიმედო მეგობრები მყავს,
რომლებმაც სახარბიელო წინადადებები შემომთავაზეს, მაგრამ მე ძა-
ლიან დამაკლდება ესპანეთი და თქვენ, ფრანსისკო.

პერალის გამოჩენამ ფრანსისკო ააფორიაქა. მისმა მოსვლამ გააცოც-
ხლა გოიას ძალზე ბედნიერი და ძალზე უბედური წლების ღრმა მო-
გონებები. სულის შემხუთველი სიმარტოვის გრძნობით გააცილა

ფრანსისკომ ეს კაცი, მეგობარი და ბტერი, რომელმაც კაეტანასთან მისი მტკიცუნული და ბედნიერი კავშირი უკეთ იცოდა და ესმოდა, ვიდრე სხვა ვინმეს.

მალე ხავეირის გასამგზავრებელი სამზადისის დასასრულიც დადგა. გათვალისწინებული იყო, რომ დიდხანს დაჰყოფდა იტალიაში და აგრეთვე საფრანგეთში; ამ მოგზაურობის დროს მას საფუძვლიანი განათლება უნდა მიეღო.

ნამის სურვილის თანახმად გოიას ვაჟი მიეგზავრებოდა, როგორც წარჩინებული კაცი, ერთი მსახურითა და ბევრი ბარგით.

ფრანსისკო იდგა შვილთან ერთად ეტლთან, სანამ უკანასკნელს სკივრს მოიტანდნენ.

— მე ღრმად ვარ დარწმუნებული,—უთხრა ხავეირმა,—რომ შენი შვილი ნამდვილი მხატვარი დაბრუნდება, რომლითაც შეგეძლება იამაყო. დიახ, იმედი მაქვს, მეც ოდესმე შენსავით ვისწავლი ხატვას, მამა. თუმცა Caprichos-ს,—უთხრა მან მოწიწებით,—შენს მეტი ველარავინ შექმნის.

და მოიხურა უკანასკნელი
ნოდის ლაბადა, ელთან მიბნეულ
ვერცხლის საკინძით, რომელიც ერთხელ
მას უსახსოვრა ჰერცოგინია
აღბამ... მერე კი სხარტად, მსუბუქად
ჩახტა ეტლში და ეტლის სარკმლიდან
გამოყო თავი, დამშვიდობების
ნაშნად მამამისს ფართო შლიაპა
დაუქნია და თან გაუცინა.
და, მეეტლემაც თავის მათრახი
შემართა მალა ეტლი დაიძრა...
და ხავეირიც წავიდა მისგან.
ხოლო გოიას, დარჩენილს მარტოდ,
თვალწინ ყოველთვის უდგას სურათი:
გადიმებული, მცინარე ბიჭი
შლიაპას აქნევს. და უფრიალებს
ქარი ლაბადას, ელთან მიბნეულ
ვერცხლის საკინძით, რომელიც ერთხელ
მას უსახსოვრა ჰერცოგინია,
კაეტანა აღბამ.

გოია ცხოვრობდა კინტა დელ სორდოში მარტო, აგუსტინთან და თავის დახატულ და დაუხატავ სურათებთან ერთად.

წლოვანებით ჯერ მოხუცი არ იყო, მაგრამ დამძიმებული იყო ცოდნით, ნანახით და განცდილით. მოჩვენებები მსახურებად გაიხადა, მაგრამ ისინი მაინც შეამბოხებდნენ და რჩნენ. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინ გამოსცადა მან ეს, მაშინ, ინკვიზიციის მოსამართლესთან, როცა გააფთრებული შიში სწავდა და ახრჩობდა. მაგრამ რაც არ უნდა ზიანი მიეყენებინათ მისთვის დემონებს, ცხოვრებას ველარ მოუწამლავდნენ. მოსამართლის წინაშე რომ შიში იგრძნო, სწორედ ეს ამტკიცებდა, თუ როგორ ძვირფასი იყო მისთვის ცხოვრება.

ის ფიქრობდა წიგნის დუქნის პატრონ ლამაზ ფელიპაზე. თქმა არ უნდა, ქალს მოსწონდა გოია, მოუხედავად იმისა, რომ ყრუ იყო, და ხანში შესული. როცა ცდილობდა Caprichos-ი მყიდველისათვის მოეწონებინა, იგი აქებდა მათ არა მათი ღირსებების გამო, არამედ მხოლოდ გოიას გულის მოსაგებად. „რა საშინელ სიზმრებს ხედავთ, დონ ფრანსისკო!“—რალაც მოუხშირა მისი სიზმრების შესხენებას. გოია მალე, მისი პორტრეტის ხატვას შეუდგება, დანარჩენი მერე გამოჩნდება. მომავალი გვიჩვენებს.

მან აიღო დიდი ქუდი, ჯოხი და წავიდა სასეირნოდ. ნელა აიარა სახლის უკან მდებარე პატარა აღმართი. მის თავზე პატარა, უზურგო სკამი დაადგმევინა. დაჯდა ისე გამართულად, როგორც არაგონელ კაცს შეეფერებოდა.

მის წინ გაშლილი იყო დილის სხივებით ვერცხლისფრად განათებული ფართო ველი. მის ნაზი მწვანით შემოსილ მინდვრებს უკან აღმართულიყო ჯვადარამის მთები თოვლით დაფარული მწვერვალებით. წინათ ხშირად გაუხარებია მისი გული ამ მიდამოს დანახვას; ახლა კი ვერაფერს ამჩნევდა.

სილაში მექანიკურად ხატავდა წრეებს, რომლისაგან რალაც არეულ-დარეული სხეულები და სახეები გამოდიოდა. გაცეხულმა დაინახა, რომ უცაბედად თავისი მეგობარი მარტინი დაეხატა.

ახლა მას ბევრი მიცვალებული ეცხადებოდა. გარდაცვლილი მეგობრები მეტი ჰყავდა, ვიდრე ცოცხლები. „მკვდრები ცოცხლებს თვალს უხელენ“. ახლა მას შეეძლო თვალები ფართოდ გაეხილა. ახლა

მეტი იცოდა. მაგალითად, იცოდა, რომ ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ ზშირად აუტანელია, მაინც ღირს ტანჯვად. და მუდამ ეღირობა.

„Ya, es hora“-ს თუმცა ასე მალე ვერ დაიძახებს, მაგრამ თუ საათი არასოდეს არ დაჰკრავს, ის მაინც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავლოდება და ირწმუნებს მას.

უაზროდ მისჩერებოდა ცხვირწინ გადაშლილ მინდვრებსა და ზურგს უკან აღმართულ მთებს. მან მიაღწია მაღალ მწვერვალს, მაგრამ ამ სიმაღლიდან დანაღვლიანებულმა დაინახა, რა მაღალი იყო მახლობელი მწვერვალი და რა მიუღწეველი—უკანასკნელი. Plus ultra, ადვილი სათქმელი იყო. მძიმე გზა უფრო და უფრო ციცაბო და ქვიანი ხდებოდა და გაიშვიათებული, გრილი ჰაერი კაცს სულს უხუთავდა.

კვლავ მოჰყვა თავის შესაქცევად სილაში ხატვას. ამჯერად გამოუვიდა მანამდე ოცნებაში ზშირად ნანახი გოლიათის გამოსახულება, რომელიც მიწოლილა და თვლემს სულელურ ოცნებას თავმიცემული. მის თავზე კი გაცრეცილი, სასაცილო მთვარე ჰკიდია.

უეცარი მოძრაობით შეწყვიტა ხატვა. მისმა სახემ დაძაბული და სასტიკი გამომეტყველება მიიღო. რაღაც ახალი წარმოესახა. ამ ახლის ტილოზე ან ქაღალდზე გამოხატვა ჯოჯოხეთური შრომა დაუჯდება. ეს იქნება სასტიკი, გამყინავი სიმაღლე, რომელზედაც უნდა ავიდეს. უნდა გამოინახოს ჯერ არნახული ფერთა შეხამება, რათა არნახული ხალულად აქციოს. რაღაც მოშავო თეთრი და ყავისფერი, როგორც ჭუჭყიანი რუხ-მწვანე, რაღაც მქრქალი, გაურკვეველად ამაღელვებელი.

„ესეც ფერწერაა?“—იკითხავენ ისინი. ეს იქნება ფერწერა, მისი საკუთარი ფერწერა.

თუ Caprichos-ი ფერებში დაიხატებოდა— ეს იქნებოდა ერთადერთი შესაძლებელი ფერწერა. ფერებით დაწერილ Caprichos-თან გრავირებული ნახატები უსუსურ საბავშვო სათამაშოდ გამოჩნდებოდა.

„რა საშინელ სიზმრებს ხედავთ, დონ ფრანსისკო“. დარბაისელმა ბატონმა ფართოდ და ღვარძლიანად გაიღიმა დარბაისლურ ბოლივარს ქვეშ. წამოდგა, შინისაკენ გაბრუნდა.

შევიდა თავის საწოლ ოთახში. გაიხადა მძიმე სერთუკი, თავი მსუბუქად იგრძნო. ჩაიცვა სამუშაო ხალათი, რომელიც დიდი ხანია აღარ ეხმარა; კვლავ გაიღიმა: ხოსეფას ეს გაუხარდებოდა.

სამუშაო ხალათით ჩავიდა სასადილო ოთახში. დაჯდა ცარიელ კედლებს შორის.

იმ ახლისათვის, რაც მას წარმოესახა, ტილო გამოუხსადეგარი იყო. ამას ჩარჩოში ვერ ჩაამწყვედევ და აქეთ-იქით ვერ წაიღ-წამოიღებ. ეს წისი საბყაროს განუყრელი ნაწილია და ასევე უნდა დაჩრჩეს. ეს არ ეკუთვნოდა ტილოს, ის ეკუთვნოდა მის კედლებს.

კედლის შიშველ ზედაპირს მიაჩერდა გამჭრიახი, მაგრამ არაფრის დამნახავი თვალით. ახალმა ძალამ დაირბინა მის სისხლში, საშინელმა და მადლიანმა.

ახალი გოლიათი სწორედ ზედგამოჭრილი იყო მისი კედლისათვის. ეს იყო სულ სხვა გოლიათი, ვიდრე ის, სასაცილო, რომელიც აქამდე ჯშირად მოსჩვენებია ან სილაში გამოუქქეპავს. ეს ახალი გოლიათიც ბრიყვი იქნება, მაგრამ ხარბი და საშინელი, შესაძლოა ის, რომელმაც ოდისევის თანამგზავრები ჩაყლაპა, ან ის, სატურნი თუ რაღაც რომ ჰქვია, დროის დემონი, საკუთარ ბავშვს რომ სანსლავს.

დიახ, ასეთი კაციკამია გოლიათი შეკფეროდა მისი სასადილო ოთახის კედელს. წინათ ხანდახან მოველინებოდა შუადღის მოჩვენება „ელ იანტარი“, ეშინოდა მისი, გაურბოდა, თუმცა ლმობიერი და მშვიდობიანი დემონი იყო: ახლა საქმე ისე წავიდა, რომ თვით ბრიყვი და საშინელი ხაიანისაც აღარ ეშინოდა, პირიქით, უნდა მიიჩვიოს, ყოველთვის თვალწინ ჰყავდეს ეს „ოგრო“, „კოლოსი“, „ხიგანგო“, მსანსლავი, მყლაპავი, მღეპავი, მქელავი გოლიათი, რომელიც ბოლოს შასაც შესანსლავს. ყოველი ცოცხალი არსი ნთქავს და თვითონაც ინთქმება. ეს ასეა. და ეს სურს თვალწინ ჰქონდეს, სანამ მას თავად კიდევ შესწევს სანსვლის უნარი.

იმ რამდენიმე მეგობარსაც, რომელთაც თავის სუფრასთან იწვევდა. როდი აწყენდათ თვალწინ ჰქონოდათ იგი. ვინც მის გოლიათს დაინახავდა, ორკეცი ძალით იგრძნობდა სიხარულს, რომ თავად ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ყველას ჩასანსლავს მისი გოლიათი: მიგვლს და ლუსიას, აგუსტინს და დონია ფელიპას,—წიგნის დუქნის ლამაზ პატრონს. მაგრამ ჯერჯერობით ცოცხლები ვართ და თვითონ ჩვენ ესანსლავთ. სხეულში ძალა დაურბენს ადამიანს. კაცი იგრძნობს ამ რეგვენის გოლიათის წინაშე ათასჯერ თავის უპირატესობას. შეიცნობს, რომ ეს ყოვლისშემძლე გოლიათი ამავე დროს უსუსურიცაა, საშინელია და ბოროტი, მაგრამ საცოდავიც და სასაცილოც. ადამიანს შეუძლია მისი

რეგვენობა, გაუმადლობა და ცბიერება გააქილიკოს, მასხრად აიგდოს, სანამ თვითონ ზის მაგიდასთან და სანსლავეს. ხოლო შისი სიკვდილის შემდეგ, კვლავაც დასცინებს ბრიყვ გოლიათს კედელზე დახატული სურათი.

ჯერ მეტისმეტად ბუნდოვანია
კოლოსი. მასზე მომწვანო ფონი
შეფერილია ყავისფრად, შავად
და ჭუჭუისფერი კოლორით, მაგრამ
განათებული არის შიგნიდან
რალაცნობიერად დაძრული შუქით.
აი გიგანტიც, პირდაღებული,
დგას და კაცუნას, პაწაწინტელას
ულაპავს და სანსლავეს... მალე გოია
თავის ბუმბერაზს, ბოლოს და ბოლოს,
შეასხამს ხორცს და წყვედიადის გარსი-
დან გამოიყვანს მზის სინათლეზე.
მან უნდა მიაღერსმოს კოლოსი
კედელს! გოია წამოდგა ნელა
და მოიგონა ძველი ნათქვამი:
„მკედრებს სასაფლაო—ჩვენ სავესე ტაბლა“.
და სუფრის გაშლა უბრძანა მსახურს.
მაშ რა გეგონათ! მას ხომ ჯერ კიდევ
სალი და მთელი აქვს ყველა კბილი,
მადაც—აგრეთვე შესანიშნავი
მობრუნებულმა აგუსტინმა კი
რომ დაინახა კვლავ სამუშაო
ხალათში იგი, ძლიერ გაოცდა...
ხოლო გოიამ მას ემშაკური
და მხიარული ღიმილით უთხრა:
„როგორცა მხედავ, ვმუშაობ. დიახ,
მე გადავწყვიტე რალაც ახალი
შექმნა. არც მსურს და არც შემიძლია
გაუთავებლად ვესიყვარულო
ცარიელ კედელს. მე უნდა იგი
ავამეტყველო სურათით, რალაც
ცხარეთი, უფრო ძლიერად მაღა
რომ ამეშალოს! შენ ხომ მიმხვდი?
მე ხვალ დავიწყებ“.

შინადასახეობა

ნაწილი პირველი	5
ნაწილი მეორე	159
ნაწილი მესამე	407

რედაქტორი ნიკოლოზ ანდრონიკაშვილი
გამომცემლობის რედაქტორი ე. ბენუკელი
მხატვარი ი. დინაგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი რ. მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები მ. რევაზიშვილი, ე. ურუშაძე.
გამომშვები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 16/IX-76 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 14/IX-78 წ.
საბეჭდი ქალაღი № 1 60X84¹/₁₆
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 36,74
საღარიცხვო-საგამომცემლო თაბახი 32,11
ტირაჟი 20.000 შეკვეთა № 10234
ფასი 8 მან. 50 კაბ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლო-
ბათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა
სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული
საწარმოო გაერთიანება

ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 33

Кутаисское полиграфическое производственное
объединение государственного комитета Совет-
та Министров Грузинской ССР по делам изда-
тельства, полиграфии и книжной торговли.

г. Кутаисж, пр. И. Чавчавадзе, 33.

ЛИОН ФЕЙХТВАНГЕР

Гейя, или трудный путь познания

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1978